ระเบียบ
ปรินเซส



თბილისი — 1971

„ჯოჯოხეთურ დანაშაულობათა სამასფურცლიანი მატიანე“, — ასე შეიძლება ეწოდოს ამ წიგნს. აქ მოკლედ, ნათლად და მახვილგონიერულადაა აღწერილი სამასამდე პაპისა და სხვა უოვალავი მღვდელმთავრისა თუ რიგითი მღვდლის გაუგონარი სიავის, სისასტიკის, სიხარბის, ანგარების, გარყვნილების, ფარისეველობის, მკელელობისა და ინტრიგების საოცარი ამბები. აქ ასობითაა ისეთი ამბავი, ეპიზოდი თუ მცირე ნოველა, რომლებზედაც ცალკე მოთხრობების, ტრაგედიებისა და რომანების შექმნა შეიძლება და შეიქმნა კიდეც.

ნიჭიერი ფრანგ მწერლისა და ჟურანლისტის, ბნელეთის მოციქულთა რისხვის — კარდინალ ლეო ტაქსილის (1854-1907) ეგზომ დიდი შრომის ნაყოფში, რასაც ქართველი მკითხველი ახლა პირველად გაეცნობა, ნიღაბახდილია ქრისტიანული რელიგიის მთელი რეაქციული არსი და ღნუსხულია ძირითად ხაზებში ის დანაშაულობანი, რომელთა მსგავსს ვერ იპოვით ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერც აღმოსავლეთის და ვერც სამხრეთის რელიგიების ისტორიაში.

მკითხველს რკინის ნერვები დასჭირდება, რომ დამშვიდებით წაიკითხოს უზნეობისა და უკაცურობის ამდენი ფაქტი, მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ, რასაც ის მხოლოდ წაიკითხავს, ხალხების ოიციანთ ზურგზე გადაუტანიათ. წიგნის მიზანიც ნათელია: არა გარყვნილებისა და უკაცურობის ქადაგება, არამედ, პირიქით, შეძულება ამ ბოროტებათა და საერთოდ ფარისეველობაზე აგებული იმ რელიგიისა, რაც ამდენ მსხვერპლს ითხოვდა.

ამ აზრით ეზიარა ტაქსილის წიგნს მსოფლიო და ამ აზრით სთავაზობს მას გამომცემლობა ქართველ ხალხს.

გახრწნილი წმინდა მამები

● ღვთისმსახურებს რომ ჰკითხოთ, ყოველი თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი — არამზადაა. მაგრამ ჩვენ, უფრო მომთმენი და შემწყნარებელი ადამიანები, წმინდა მამებს არ ავყვებით და თავს ნებას არ მივცემთ განვაცხადოთ, ეკლესიის ყველა მსახური — პირწავარდნილი არამზადა გახლავთ-თქო. არა, როგორ გეკადრებათ, პირიქით, გვინდა ვაღიაროთ, რომ ეკლესიის მსახურთა შორისაც კი მოიძებნება მრავალი, ფრიად პატივცემული ადამიანი.

მაგრამ... მაგრამ... და კიდევ ერთხელ მაგრამ!

ყველა ნაკლებპატივცემული ადამიანის ჩამოთვლა შეუძლებელია — მოგეხსენებათ, მეტისმეტად გრძელი სია გამოგვივა. ამიტომ გვინდა ასეთი რამ ვცადოთ: დაე, თვითონ ისტორიამ წაგვიყვანოს იმ ღვთისმსახურთა ნატერფალზე, რომელთაც თავი გამოიჩინეს თავიანთ მანკიერებით. ასეთი ცდა საინტერესო და ჭკუის სასწავლებელი იქნება.

როცა ფარისეველს ელაპარაკებით და ეუბნებით, რომ მისი გვარის რომელიმე წარმომადგენელი — სამაგალითო, თითით საჩვენებელი, ზნედაცემული ადამიანია, ჩვეულებრივი ფარისეველი პირჯვარს ისახავს და როგორც წესი, ასეთ პასუხს გვაძლევს:

— სამწუხაროდ, ასე გახლავთ! მაგრამ თორმეტ მოციქულთა შორისაც კი გამოერია ერთი იუდა!

ალბათ ამის თქმა სურს:

— მართალია, ჩვენს შორისაც მოიძებნებიან არამზადები, ოღონდ იშვიათად, ძალიან იშვიათად...

რა გაეწყობა, ისტორიას მივმართოთ და ვცადოთ, იქნებ დავამტკიცოთ, რომ ეკლესიის მსახურთა შორის არამზადების რიცხვი არც თუ ისე მცირეა, ხოლო პატიოსანი ადამიანები, რაც მართალია. მართალია, ისე იშვიათად გამოჩნდებიან, როგორც მარგალიტები ნაგავში. მარგალიტებს ქება და დიდება, რა თქმა უნდა, ხოლო ნაგავი უნდა გადავყაროთ!

კლერიკალიზმის მამები

● მოვასვენოთ პეტრე მოციქული და მისი პირველი მიმდევრები: სანდო ცნობები არ შემონახულა, უაღრესად ბუნდოვანია ყველა მონაცემი, რაც მათ საერთოდ საეკვო ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება.

ვნახოთ, რა საქმიანობას ეწეოდნენ იმ რელიგიის დამაარსებელნი, რომელიც არსებითად ჩაგვრის სისტემად გადაგვარდა — როგორც პოლიტიკურად, ისე კომერციულად.

ჯერაც უძველეს დროს, პეტრეს პაპობის ჟამს ვხედავთ ქრისტიანთა, ნახევრად წარმართთა სექტას, ქალთმოძულე მოძღვრის ჰერმას მიმდევართა გაერთიანებას. ეს გახლდათ ნიკოლაიტების სექტა. მის წევრებს მტრები ცილსა სწამებდნენ: საზიარო ცოლები გყავთო.

პირიქით, ნიკოლაიტები ქალებს სულაც ამრეზით უყურებდნენ. ქალი ჯოჯოხეთის ნაშიერიაო, ამტკიცებდნენ, მამაკაცთა შესარყევნელად ეშმაკის მიერ ქვესკნელიდან მოვლენილიო. ამიტომაც უფრო საკუთარ სქესს ამჯობინებდნენ. როგორც ხედავთ, ჩვენი დროის უზნეო ბერები მხოლოდ მიმბაძველები არიან და წინამორბედთა ცოდვებს იმეორებენ.

არ დაგავიწყდეთ: ნიკოლაიტების სექტა ვიღაც ვულგარული ნაძირალებისაგან როდი შედგებოდა. მათი უფროსი ნიკოლოზი სალიმის ერთ-ერთი დიაკონთაგანი იყო, ასეთი დიაკვნები კი იერუსალიმს სულ შვიდი ჰყავდა.

მეთორმეტე პაპის, ანიკეტის დროს შექმნილი გნოსტიკოსების სექტა ძეორე უკიღურესობაში ჩავარდა. მისი წევრები გულდაჯერებულნი ამტკიცებდნენ: ქალი საზოგადოებრივი საკუთრებაა და ვისაც როგორ ენებოს, ისე გაერთოსო. მოკლედ, ყოველი მამაკაცისათვის ქალის საწოლი ოთახის კარი ღია უნდა იყოსო.

შემდეგ, მეთოთხმეტე პაპის ელეფთერის დროს გამოჩნდა ვალენტინელების სექტა. მისი წევრები ზომიერ გზას დაადგნენ: არც ერთ სექტას არ ედავებოდნენ. ბრძნულად აერთიანებდნენ ორსავე მოსაზრებას: კაცი იქნება თუ ქალი, საზიარო იქნება თუ საკუთარი, სულერთია, გარყვნილების ყველა სახე მისაღებია და ნებადართულიო.

მეჩვიდმეტე პაპის, კალიქსტ I ბრძანებით, საროსკიპოს გვერდით ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია აგეგეს: შესცოდეთ, ილოცეთ, ლოცვა-კურთხევით ყველაფერი გეპატიებათო!

ურბან I სამღვდელოებამ განსაკუთრებული პატივით უნდა მოიხსენიოს: სწორედ მისი მეუფების დროს დაიწყო ეკლესიამ გამდიდრება იმით, რომ შემოსავალი დააწესა. საკმარისი იყო ვინმეს ქრისტიანობა მიეღო, რომ მაშინვე ჩააცივდებოდნენ და დაუწყებდნენ მტკიცებას, მიწიერი სიამე საიქიო ცხოვრებას აბრკოლებსო. ნეტარებას ვერ ეღირსებაო იმქვეყნად ის, ვინც სიცოცხლეში დროს ატარებსო. შეშინებული, გულუბრყვილო მორწმუნე უარს ამბობდა ყველაფერზე. რაც კი რამ სიკეთე გააჩნდა: თმობდა ფულს, ქონებას და სახელ-დიდებას. მაშინდელ სასულიერო წოდებას უგერგილობას ვერ დასწამებთ. როგორც კი შემთხვევა მიეცემოდათ, უფლის მსახურნი ჯიბეს მარჯვედ ისქელებდნენ.

მეთვრამეტე პაპის ჟამს რომის კათოლიკურმა ეკლესიამ დაჟინებით დაიწყო სიმდიდრის დაგროვება.

შემთხვევით ვისარგებლებ და III საუკუნის სასულიერო წოდების ცხოვრებიდან ერთ პატარა თავშესაქცევ ამბავს დავიმოწმებ.

გრიგოლ სასწაულთმოქმედი, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, ვტყობა, მართლა წმინდანი კაცი იყო, რაკი წმინდანად შერაცხეს. მაგრამ ეს ღირსპატივცემული პრელატი, თურმე, არც მიწიერ სიამოვნებას იკლებდა. დაღამდებოდა თუ არა, ჩვენი დროის მრავალი ღვთისმსახურის მსგავსად, ანაფორას იხდიდა და თავისი მრევლის საიდუმლო ბუდეებში მხიარულ ნადიმებს მართავდა. თუმცა რას

მართავდა, ეს სიტყვა პატივისათვის ვიხმარე, თორემ ეპისკოპოსი გრიგოლი ისეთი კაცი იყო, რომელსაც უბირნი კრიჟანგს, წუწურაქს ეძახიან. ეს გახრწნილი ხუცესი დროს დამყოლ ქალებში ატარებდა და მოხერხებულად მიიძურწებოდა ხოლმე სწორედ იმ დროს, როცა ქრისის გახსნის წუთი დგებოდა. საქმე ჩინებულად მიდიოდა, მაგრამ ეშმაკად ერთმა ქალმა წირვაზე გამოსული ეპისკოპოსი იცნო და საქვეყნოდ, ყველას გასაგონად მოითხოვა გასამრჯელო: მთელი ღამე რომ ჩემს მკლავებზე ინებივრე, გადახდა არ უნდაო? პრელატის სახის აღწერა ზედმეტია! ამჯერად ეპისკოპოს გრიგოლს ფულის გადახდა მოუხდა! მაგრამ ამან ვერაფერი ავნო, გრიგოლ ალექსანდრიელი წმინდანად შერაცხეს.

ნოვაციან I რომის ეპისკოპოსად ორგიების ორომტრიალში აირჩიეს. ხმების უმრავლესობა რომ ნაღდად მიიღო, მომავალმა ეპისკოპოსმა წინდახედულობა გამოიჩინა და თავისი ამომრჩევლები ღვინოში ჩააბრჩო.

პირველი განდეგილი თიბაიდი, პავლედ წოდებული, დანაშაულის ადგილზე დაიჭირეს, როცა საკუთარ დასთან მრუშობდა.

წმინდა კორნელიუსის, ოცდამეორე პაპის დროს, მღვდელთა ჯგუფი გაასამართლეს ერთ-ერთი მონასტრის მონაზვნების გაუპატიურებისათვის.

მარცელინი, ოცდამეათე პაპი, არ იყო მოზელილი იმ თიხისაგან, რომლისგანაც წმინდა მოწამეები გამოდიან. როცა წარმართმა იმპერატორმა არჩევანი შესთავაზა: ან იუპიტერს ეცი თაყვანი ან ეწამეო, უდრტვინველად უარჰყო ჯვარცმული იესო და ის რელიგია, რომლის ქურუმთქურუმიც ის იყო, შემდეგ კი საკმეველი უკმია ყველა ღმერთს, რომლის თაყვანისცემაც უბრძანეს. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ არის დიდი მომაკვდინებელი შეცოდება იმასთან შედარებით, რასაც სჩადიოდნენ ბორჯია და მთელი სინკლიტი, მაგრამ ასეთი განდგომა აღნიშვნის ღირსია ნამდვილად: პაპი მარცელინი ხომ წმინდანად შერაცხეს!

ჩვენ IV საუკუნის მიჯნაზე ვდგავართ. აი, სად შეიძლება სიცილით გული ვიჯეროთ.

ამ საუკუნის კვირაძალზე ნუმიდიის ქალაქ ცირტაში (აფრიკაში), საეკლესიო კრება მოიწვიეს, სადაც აფრიკის პროვინციებისათვის ეპისკოპოსი უნდა აერჩიათ. ეპისკოპოსის კვერთხი ერგო

სწორედ იმას, ვინც კრების წევრებიდან ყველაზე მეტად გარყვნილი იყო და ყველაზე უარესი რეპუტაციითაც სარგებლობდა.

ვინმე ბონიფაციუსი, აგრეთვე წმინდანად რომ შერაცხეს, მთელს თავის თავისუფალ დროს ერთ მეძავთან ატარებდა, სახელად აგლაიასთან. ამაზე დამაჯერებლად მოგვითხრობენ ღვთისმსახური მემატიანეები.

ოცდამეთოთხმეტე პაპის, სილვესტრის დროს. ღვთისმსახურთ ასე აიშვეს თავი, რომ იძულებული გახდნენ მოეწვიათ ნეოკესარიის საეკლესიო კრება, რათა ცოტათი მაინც დაეცხროთ ვნებააშლილი მამები და მათი მანდილოსნები. იმ დროის ერთი ეპისკოპოსი საჯაროდ, დაუფარავად ტრაბახობდა კიდეც, ჩემი ეპარქიის თერთმეტი ათასი მღვდელი ყოველწლიურად თითო ოქროს მაძლევს ნებართვისათვის, რომ თავიანთ საყვარლებთან იცხოვრონო. თუნდაც საყვარელი არ ჰყოლოდა, ოქრო მაინც უნდა მიეცა მღვდელს: შენ ფული გადაიხადე და მერე გინდა იცხოვრე, გინდა ილოცეო!

ვალერიახელები (ეს იყო კიდევ ერთი სექტა იმ ეპოქისა) თავიანთ მღვდლებს ნებას აძლევდნენ, რომ ქალებთან დაწოლილიყვნენ. ასეთი პატივცემული გვამები ხომ ყოველგვარი ცთუნებისაგან თავისუფალნი არიან! ყოველივე ეს ჩაწერილია ნიკეის კრების მატიანეებში.

დიდი წმინდანი ათანასე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, მკვლელი იყო. თავისი მბრძანებლობის მანძილზე არაერთი ადამიანი იმსხვერპლა. ანტიოქიაში საეკლესიო კრებაზე თავმოყრილმა ოთხმოცდაშვიდმა პრელატმა დაადგინა: მაღალი წოდების შემარცხვენელი ათანასე განიკვეთოს ეკლესიიდან, რომელსაც მან პატივი აჰყარა. მაგრამ „წმინდა მამა“ არ დაიბნა და ანათემა გამოუცხადა მის წინააღმდეგ ამხედრებულ ეპისკოპოსებს. წმინდანად შერაცხულმა ლიბერიუსმა, ოცდამეჩვიდმეტე პაპმა, ორჯერ განკვეთა ათანასე ეკლესიიდან. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად იგივე ათანასე არხეინად შერაცხეს წმინდანად. იქნებ თვითონ გაერკვიოთ ამ საქმეებში, მე რა შემიძლია.

ახლავე გადავიდეთ ოცდამეცხრამეტე პაპზე, რომლის სახელია დამასი I. როცა ეს „ალალი“ კაცი ტახტზე აიყვანეს, ღვთისნიერმა მორწმუნეებმაც კი უარი თქვეს მის ცნობაზე, იმდენად „ნათელი პიროვნება იყო“ ქრისტეს ახალი მოადგილე. მაშინ დამასიმ ენერგი-

ული ზომები მიიღო: თავის მომხრეებთან ერთად შეიჭრა ერთ-ერთ ეკლესიაში და უწყალოდ გაჟლიტა ქალები, ბავშვები და ძოხუცები. პაპთან ხუმრობა ასეთიაო!

მორწმუნეებმა გაკვეთილი შეითვისეს და ბედს დაბორჩილდნენ. ერთი იმდროინდელი მემატიანე ფიქრობდა და წერდა: „როდესაც შევცქერი რომის ელვარებას, ჩემთვის გასაგებია, რისთვის ცდილობენ ადამიანები ეპისკოპოსის ხარისხის მიღებას ამ „ბრწყინვალე ქალაქში, რადგან ასეთი ღირსება მათ აძლევს პატივს, უმდიდრეს საჩუქრებს, ქალთა კეთილგანწყობილებას, ჩინებულ სამოსელსა და მდიდრულ სუფრას, რაც თავისი სიუხვითა და სინატიფით სამეფო სუფრას აღემატება“.

როგორც ყოველი ცოდვილი, დამასიც გრძნობას აყოლილი კაცი იყო და როგორც იტყვიან, თავისი ვნებების ძონა. მაგრამ თავის ადგილზე კი მაგრად იჯდა, ეშმაკის კერძი!

ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ ხანებში პაპი ჯერ კიდევ არ იყო მთელი რომის სრულუფლებიანი მბრძანებელი: კონსტანტინეს მემკვიდრეებს უხრიდა ქედს. საერთო განვითარებითა და ზნეობრივი ავლადიდებით მაშინდელი საძღვდელოება ახლანდელისაგან არ განირჩეოდა. მაგრამ იმ დროს რომის პაპი მაინც ემორჩილებოდა რომის იმპერატორთა კანონებს, ანგარიშს უწევდა მათ. ასე, იმპერატორმა გრაციანმა, რომელმაც კარგად იცოდა ქრისტიან მოძღვართა კეთილმსახურებისა და უანგარობის ამბავი, 370 წელს გამოსცა კანონი, რომელიც სასულიერო პირებს მარტოხელა ქალების, ქვრივებისა და ქალიშვილების სახლებში შესვლას უკრძალავდა. იგივე ბრძანებულება ეკლესიის მსახურთ ქონების ჩამორთმევის მუქარით უკრძალავდა თავიანთი სულიერი შვილების საკუთრების მიღებას საჩუქრის ან მემკვიდრეობის სახით. ეს ორდონანსი ყოველ კვირას საქვეყნოდ ცხადდებოდა რომის ეკლესიებში.

წარმოიდგინეთ, რა ჭკვიანი ყოფილა ეს გრაციანი! წარმართი იმპერატორი ქრისტიანებს ქრისტიანობას ასწავლიდა.

ახლა მოისმინეთ იერონიმეს გოდება ამ საქმის გამო: „ვაი სირცხვილო! — გაიძახოდა. — კომედიანტებს, ოინბაზებს, მეეტლეებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად მიიღონ მემკვიდრეობა, ბოღვდლებსა და ბერებს კი ეს უფლება წაართვეს“.

რა მძიმე განცდაა! ისარი მიზანში მოხვდა! თუ გნებავთ ღვთის-

ნსახურმა მოთქმა-გოდება დაიწყოს, ხელი ჯიბეზე დაარტყით — ესაა მისი ყველაზე უფრო სუსტი ადგილი.

თქვენა გგონიათ იმპერატორ გრაციანის ბრძანებამ ალაგმა ეკლესიის მსახურნი? თქვენც არ მომიკვდეთ! ადამიანთა ამ მოდგმას ყოველთვის ჰქონდა უნარი მოხერხებულად შეებრუნებინათ კანონები თავიანთ სასარგებლოდ.

ეშვაკობითა და მოტყუებით აშენებდნენ კლერიკალები სამრეკლოებს, ყიდულობდნენ მიწებს, აგროვებდნენ განძეულს — აქაო და საქველმოქმედო საქმიანობას ვეწევითო.

ვალენტინ. გოაციანის და ვალენტიანის შემდეგ იმპერატორებმა შეისმინეს ეკლესიის მსახურთა აჯა და იმპერატორის ბრძანებამ მოქმედება შეწყვიტა.

წმინდა ტახტზე დამასი შეცვალა სირიციუსმა. ეს პაპი რატომღაც თვალში არ მოსდიოდა წმინდა იერონიმეს. ეს ღირსპატივცემული ძველი ქრისტიანი მწერალი, რომელიც დამასის რომაელი იმპერატორებისაგან იცავდა, შემთხვევას არ უშვებდა, რომ ახალი პაპისათვის როგორმე ზიანი მიეყენებინა.

როგორც ცნობილია, ეკლესიის მსახურნი ყოველნაირად აქებდნენ და ადიდებდნენ პატივცემულ წმინდა ბერიკაცს. ამასთან ეს მწერალი თავის თხზულებებში სრულიად გარკვევით ლაპარაკობს სასულიერო პირთა დაუქორწინებლობის — ცელიბატის გამო. მერე, ამ ბრძენი მასწავლებლის ძოსაზრებანი სავსებით შეესაბამებოდნენ იმას, რასაც თქვენი მორჩილი მონა წერდა, რისთვისაც გამძვინვარებული ღვთისმსახურნი სასამართლოთი ემუქრებოდნენ ამ საყოველთაოდ აღიარებულ საეკლესიო მწერალს, რომელმაც ბიბლიის ლათინური თარგმანითაც ისახელა თავი.

ჩემი სტატია, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „ძირს ანაფორიანები!“ იმავე თემას ეხება და განავითარებს. მე კი, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ გავიმეორე ის აზრი, რასაც ამბობდა ქრისტიანი მემატიანე, კეთილმსახური იერონიმე.

ეკლესიის ეს მამა თავის ერთ-ერთ თხზულებაში ქრისტიან მოძღვრებს მისაბაძ მაგალითად ძველი ეგვიპტის ქურუმებს უსახელებს „ძველი რელიგიის მსახურნი, — წერს იერონიმე, — საერთოდ უარს ამბობდნენ ქალის სიახლოვეზე მას შემდეგ. რაც თავიანთ თავს ღმერთს მიუძღვნიდნენ. საკუთარი ვნება და ცთუნება რომ დაეძლი-

ათ, ხორცსა და ღვინოზე ხელს იღებდნენ, ხოლო ქურუმნი სულაც საჭურისები იყვნენ". ქვემოთ ასე დასძენს: „მღვდლებმა და ბერებმა, რომელთაც უმანკოების აღთქმა დადეს, ძველ წარმართ ქურუმთა კვალზე უნდა იარონ, როცა ეჩვენებათ, რომ მათი სული უძლურია ხორციელ ვნებებთან ბრძოლისათვის".

სწორედ ასე წერდა დიდად პატივცემული იერონიმე. მაშ რატომ ბრაზობთ, ბატონო მღვდლებო, როცა თქვენგან დასაჭურისებას ითხოვენ? ჯერ სიწმინდის შარავანდედი მოხადეთ წმინდა იერონიმეს და ჯოჯოხეთში გაგზავნეთ, მერე კი მისი მოძღვრება უარჰყავით. ხანდაზმული წმინდანი ისეთ პამფლეტებს წერდა თავისი დროის მღვდლების წინააღმდეგ, რომ თუ ასეთ რამეებს თქვენი მორჩილი მონა დაწერდა, სასამართლოებში წანწალით სულს ამოხდიდით.

პაპი, რომელმაც იერონიმე ჭეშმარიტ წმინდანად შერაცხა, საშლელით მიჰყვა უთუოდ ამ ღვთისკაცის პამფლეტებს, მოშალა ყველაფერი, რაც მას ხელს არ აძლევდა და შეეცადა უკვდავეყო ბერიკაცის მხოლოდ ის აზრები, რომლებიც მიმართული იყვნენ იმპერატორ გრაციანის წინააღმდეგ.

მკითხველის გართობის მიზნით დავიმოწმოთ ზოგიერთი ადგილი იერონიმეს ნაწერებიდან.

ერთხელ ამ მოხუცმა ეპისტოლეთი მიმართა რომელიღაც ქალიშვილს და ურჩია უმანკოების შენარჩუნება, ამასთან ასეთ ბრძნულ რჩევებს აძლევდა:

„ასულო ჩემო, თუ გსურს შეინარჩუნო შენი ქალწულობის ყვავილი, მოერიდე, — როგორც შავ ჭირს, ისე მოერიდე ფარისევლებს, რომლებიც სასულიერო ხარისხებს მხოლოდ იმისათვის იღებენ, რომ ქალები უფრო იოლად მოხიბლონ".

ეტყობა, იცნობდა თავის ძმაკაცებს ეს ღვთისკაცი!

განვაგრძოთ: „ეს საზიზღარი მღვდლები თავიანთ თითებზე მოციმციმე ბეჭდებს იკეთებენ..."

ბატონო ეპისკოპოსებო, თქვენი ბრძანებით მორწმუნენი მუხლმოყრილი ემხობიან წმინდა იერონიმეს გამოსახულების წინაშე. დამალეთ თქვენი ხელები, რომლებზედაც თვალ-მარგალიტით მოჭედილი ბეჭდები ციმციმებენ!

„მათი მთავარი საქმიანობა ისაა, რომ გებულობენ ლამაზი ქალების სახლებსა და სახელებს, ხასიათსა და საქმიანობას..."

ოჰო, მამანო იეზუიტნო, ეს სტრიქონები უთუოდ თქვენ გეხებათ, თუნდაც სანაძლეოს დავდებ!

„მოტყუებას რომ თავი დააღწიო, — განაგრძობს იერონიმე, — შენს წინაშე ნიღაბს ავხდი ერთ-ერთ ამნაირ მოძღვართაგანს, რომელსაც გაიძვერობაში ტოლი არა ჰყავს. მზის ამოსვლისთანავე ზეზეა. წინასწარ მოფიქრებული აქვს, ვისთან როდის მივიდეს, უახლოეს გზებს ირჩევს. აბეზარი მოხუცია, პირდაპირ ქალებზეა გადამკვდარი. თუ ბალიში შენიშნა, ძვირფასი საბანი ან რაიმე ავეჯი მოუვიდა თვალში, ყველაფერს ყურადღებით დაათვალიერებს და დაიწყებს ფარისევლურ ოხვრას თავის სიღარიბეზე, მანამდე იწუწუნებს და იკრუსუნებს, სანამ რაიმეს გამოგტყუებს. სიხარბე — მისი ხასიათის მთავარი თვისებაა“.

თუ რომელიმე კაპუცინის სტუმრობა ნახეთ პატიოსან ოჯახში, ცალე დარწმუნდებით, რომ სასულიერო წოდების ზნე სულაც არ შეცვლილა.

რაც შეეხება ეპისკოპოსებს, წმინდა იერონიმე არც მათ ინდობდა: „...ეპისკოპოსები ხელს გამოგიწვდიან, გაკურთხებენ და სამაგიეროდ ფულს იღებენ, იმისი მონები ხდებიან, ვინც რამეს მისცემს, უმდაბლეს საძსახურს გაუწევს, ბინძურ საქმეებში ხელს შეუმართავს მღვდელმთავარს, რათა შემდეგ მის მემკვიდრეობას დაეპატრონოს“.

გნებავთ გაიგოთ, რას ამბობს წმინდა იერონიმე თვითონ პაპზე? მის უწმინდესობას სირიციუსს უბრალოდ უწოდებს „ძოწით მოსილ გახრწნილ ბერიკაცს“.

აი, ამ ნამდვილი ღვთისმსახურის წერილი მარცელისადმი:

„გადაშალეთ აპოკალიფსი — და თქვენ ნახავთ, რომ მოცბქულმა იწინასწარმეტყველა ამ ძოწით მოსილი გახრწნილი ბებრის მეუფება, რომელსაც შუბლზე მკრეხელის დაღი აზის. გადახედეთ ამ დიდებული ქალაქის ბოლოს, იქ ჭეშმარიტად იდგა წმინდა ეკლესია, მოციქულთა და წმინდა მოწამეთა ტაძრების შემნახავი, მაგრამ მისი მეთაურის ამპარტავნობამ და თავგასულობამ მართლმორწმუნენი განდრიკა ნამდვილი სარწმუნოებიდან“.

„როცა მე ამ რომის ბაბილონში შემოვედი, ძოწით მოსილი ბებერი მემრუშის ერთმა კარისკაცმა მაიძულა მიმეღო მისი დოგმები, რომელნიც თავიდან ბოლომდე ერთიან დაბნეულობას წარმო-

ალგენენ. მაშინ დავწერე ჩემი შრომა, რაც პაპს ვუძღვენი. შემდეგ დავტოვე ეს წყეული ქალაქი და დავბრუნდი იერუსალიმში, ბურგი ვაქციე აქ საზიზღარ მხარეს, სადაც რომულის ტახები დახავარდობენ, გავექეცი მის გახრწნილ ადამიანებს. უმჯობესია კიყო ღვთისმშობლის სავანეში, ყრმა იესოს გამოქვაბულში..."

გახრწნილი მემრუშე! ბებერი მეძავი! რომის बाबილონი! ძე რომ ასეთი ეპითეტებით შემემკო პაპი ლევ XIII, წმინდანად ვინ შემრაცხავდა!

არ იფიქროთ, რომ წმინდა იერონიმესი მშურს და ამისათვის დავიმოწმე მისი ციტატები, მინდა მხოლოდ ხაზგასმით ვთქვა: ეკლესიის მსახურნი არა თუ უღირსნი არიან, არამედ ამასთან ძალზე მერყევნიც, და სრულიად არა აქვთ ლოგიკა. ამიტომ ხომ არა ვგრძნობ კმაყოფილებას, როცა წმინდა ავგუსტინეს კანონიზაციის აქბავს ვკითხულობ?

ეკლესიის ეს მამა სრულიად ღირსია თავისი ანაფორიანი ღაშქრისა. ახალგაზრდობის წლებში როგორც თვითონ კათოლიკები აცხადებენ და აღიარებენ, ნეტარი ავგუსტინე არაფრით არ ყოფილა გატაცებული, აზარტული სათამაშოებისა და თავშესაქცევი სანახაობების გარდა. მერე მამას მოსტაცა ყველაფერი, რაც გააჩნდა, რაც იპოვნა, წააგო, და ბოლოს დედა იძულებული გახდა შვილი სახლიდან გაეგდო. შემდეგ კი, როცა ავგუსტინე ეპისკოპოსად აირჩიეს, ყველაზე უფრო თავგამოდებულ ფანატიკოსად იქცა. კლერიკალები მის წინაშე ულრმესი მოწიწებით ხრიდნენ თავს, ძის სისუსტესა და გარყვნილებაზე თვალებს ხუჭავდნენ, აქაო და საძრახისს არაფერს ვხედავთო, და დაბეჯითებით ცდილობდნენ მისი სახით შეენიშნათ მხოლოდ თავდადებული პრელატი, რომელმაც თავისი ავტორიტეტით განამტკიცა ფორმულა ბრმა რწმენისა: „ირწამს, რადგან სისულელეა".

რაკი ზერელედ მაინც თვალი გადავავლეთ IV საუკუნის პაპობის ისტორიას (მარცელინ პირველიდან სირიციუსამდე), ალბათ ზედმეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმპერატორ კონსტანტინეზე — ქრისტიანული რელიგიის მფარველსა და ჭეშმარიტ მხსნელზე, რომელიც მადლიერების გრძნობით გულაჩუყებულმა პირველმა პაპებმა წმინდანად შერაცხეს. სინამდვილეში კი, კონ-

სტანტინე რომ არ ყოფილიყო, ქრისტიანობა დიოკლეტიანეს დროს დაიღუპებოდა.

კონსტანტინე დროზე მიხვდა, რომ დევნილი სექტა თავისი მოქიშპის მაქენციუსის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოადგებოდა. ამიტომაც გადავიდა ქრისტიანთა ღმერთის მხარეზე. ამით ახალი მოკავშირეები — ქრისტიანები ამოიყვანა მიწისქვეშეთიდან, სადაც ისინი დიოკლეტიანემ ჩარეკა. სხვათა შორის, წმინდა რელიქვიების კულტის შემოღება ამ სასტიკი და ვერაგი იმპერატორის დედის დაჩსახურებაა.

პალესტინიდან რომ ბრუნდებოდა, წმინდა ელენემ თან წამოიღო აუარებელი „წმინდა ნაწილი", რომელთაც საოცარი სისწრაფით იწყეს მომრავლება, როგორც ოინბაზის ჯადოსნური ცვერთხის ტრიალზე მრავლდებიან ფერადი ბურთულები.

კლერიკალები ძალიან ამაყობენ იმპერატორ კონსტანტინეს თანადგომით, სინამდვილეში კი, კაცმა რომ განსაჯოს, საამაყო აქ არაფერია.

მოკლედ ჩამოვთვალოთ ამ სასტიკი მბრძანებლის ზოგიერთი საგმირო საქმე. კონსტანტინემ ხანჯლით განგმირა საკუთარი შვილი კრისპი, აბანოში დაახრჩო საკუთარი ცოლი ფაუსტა, ბრძანება გასცა მოეკლათ მისი თორმეტი წლის დისწული ლიციანი, რომელსაც დავაუკაცების შემდეგ შეეძლო ანგარიში მოეთხოვა: როგორ მოიშორეო თავიდან მაშაჩემი, შენი ღვიძლი დის ქმარი? აი, რა გულმოწყალე კაცი იყო, რა ნაზად უყვარდა ამ გვირგვინოსან წმინდანს თავისიანები. ასეთ ამბებსაც სწორედ იმ დროს ჩადიოდა, როცა ყბადაღებული ნიკეის საეკლესიო ყრილობას ხელმძღვანელობდა. ცნობილია, რომ ნიკეის ყრილობა მოწოდებული იყო გამოემუშავებინა ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო!

უბრალო ჰუმანურობის თვალსაზრისით ეს იმპერატორი პირდაპირ ურჩხული იყო, ნამდვილი ურჩხული და არაკაცი. მას ბევრად ჩამორჩებოდნენ პრუსიელები, რომლებიც, როგორც ცნობილია, მიუტევებელ ცოდვებს ჩადიოდნენ 1870 წელს. ფრანგთა წინააღრეგთან, ფრანკებთან ბრძოლაში კონსტანტინე ტყვეებს გაუგონარი სასტიკით გაუსწორდა: დასაგლეჯად მიუყარა გარეულ ნადირებს, რომელთა ხროვაც ამ გვირგვინოსან ნადირს საგანგებოდ საამისოდ მოჰყვებოდა უკან, არმიასთან ერთად. სიცოცხლის აღსასრულის

წინ ეს ხორცშესხმული ბოროტება ბავშვებს ახოცვინებდა და უმანკო ყრმათა სისხლში ბანაობდა.

ასეთი გახლავთ ეს წმინდანი, სამღვდელოების დიდება და მშვენება!

IV საუკუნეში ოთხი იმპერატორი შეეცადა ხელი შეეშალათ ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებისათვის, რამენაირად მაინც დაესუსტებინათ ახალი სექტა. ესენი იყვნენ. იულიანე განდგომილი ანუ ფილოსოფოსი, ვალენტი, გრაციანი და ვალენტიანი. ვალენტი საკუთარ კარავში დაიწვა; გრაციანი მოკლეს; ვალენტიანი მოსყიდულმა მსახურებმა გაგუდეს. რაც შეეხება იულიანეს, ფრიად ლიბერალურ ხელმწიფეს, რომელიც სხვებზე უფრო ენერგიულად ცდილობდა ზღვარი დაედო ღვთისმსახურთა ხრიკებისათვის, მოწამლული ისრით დაიღუპა. საეკლესიო მატიანე ამტკიცებს, ეს ისარი ზეციდან ისროლაო თვითონ იესო ქრისტემ. კარგად ისროლეს და კარგადაც ახსნეს.

ვინ გაბედავს და იტყვის, იმ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდნენო იეზუიტები?

წმინდა ტახტი და ქალები

ამასობაში V საუკუნეს მივადექით.

სირიციუსი ანასტასი პირველმა შეცვალა. მის დროს ეკლესიას ქალები დაეპატრონენ. პირდაპირ დაუჯერებელია, რასაც სჩადიოდნენ პაპის სუსტი ხასიათის წყალობით წმინდა ბებრები!

იმ დროს ქრისტიანების ორ მტრულ ბანაკს განაგებდა ორი მეცავი დედაკაცი — ბანოვანი მარცელა და ბანოვანი მელანია. ვინმე რუფინი, აქვილეის მღვდელი, ქალბატონ მელანიას საყვარელი, ჭირივით სძულდა ქალბატონ მარცელას. რუფინი გამოჩენილი მეცნიერი იყო და მის შრომებს ძალიან აფასებდნენ იმ დროის-ღვთისმეტყველნი. ბუნებრივია, ქალბატონ მარცელას შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა თუ პატივმოყვარეობა აღიზიანებდა და ალბათ თავიდან არ შორდებოდა ასეთი კითხვა: „რისთვის უნდა დავუთმო რუფინი ჩემს მეტოქესო?“

შურით გონდაკარგულმა ლამაზმა კურტიზანმა ქალმა სწავლულს ძისცა წინადადება, იმდენადვე არარელიგიური, რამდენადაც არასაკადრისი. არაფერს არ მოერიდა, ყველაფერი სასწორზე დადო და... პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. ეტყობა, ეს რუფინი მტკიცედ იყო დაკავშირებული მელანიასთან. ვინ არ იცის, რა შურისმაძიებელ ერინიად იქცევა უარყოფილი კურტიზანი ქალი! შეურაცხყოფილი დედაკაცი, რომელსაც მხურვალე გრძნობაზე ცივი წყალი გადაასხეს, გაალმასებული შევარდა პაპთან და მელანიას საყვარელი ამხილა.

წმინდა მეძავმა — წმინდამ-მეთქი, რადგან შემდეგში ეს კურტიზანი წმინდანად შერაცხეს — განაცხადა, რომ რუფინი ერეტიკოსია, რადგან ორიგენის თხზულება თარგმნა, რაც უკვე თავისთავად ერესიაო.

პაპს, თუ მემატიანეებს ვერწმუნებით, არ შეეძლო რაიმეზე უარი ეთქვა ქალბატონ მარცელასათვის, საწოლში იქნებოდა ეს თუ წმინდა ტახტზე; ახლაც ბოლომდე მოუსმინა, თავისი მშვენიერზე მშვენიერი თუნუქის კვერთხი აიქნია, კეთილსინდისიერად დაუმიზნა და ტკაც! — უბედურ რუფინს ღვთის რისხვა დაატეხა. მართალია, ბევრი ვერაფერი ავნო, მაგრამ ეკლესიიდან კი განკვეთა, თუმცა სწავლული ღიღინით განაგრძობდა ცხოვრებას.

მთელი ეს ამბავი იმაზე მეტყველებს, რომ არც პირველ საუკუნეებში განირჩეოდნენ კლერიკალები ზნეობრივი სისპეტაკით.

იოკენტი I დროს ხახულიეოო წოდება აშკარად ძარცვავდა ქალებს, რომელთაც მოხერხებულად აცდენდნენ სალუქი და ნასუქი კლირიკები. ამიტომაც ასე ერთიანად გამდიდრდა ყველა ღვთისმსახური.

მაგალითად, ვინმე მატრონა, სახელად ვესტინა, მრავალი მღვდლის საყვარელი, ეკლესიისათვის არც თავს ზოგავდა, არც ქონებას, და მთელი თავისი შეძლება მას შესწირა, ვის მსახურებსაც სარეცელი გაუზიარა.

პაპის საამებლად ვესტინამ რომში ააგო დიდებული ბაზილიკა (ამჟამად გურვასის და პროტასის ეკლესია), ფუფუნებით მორთული და ოქროვერცხლით შემკული. ამ ტაძრის საკურთხეველში დაცული და წმინდა ზიარებისათვის განკუთვნილი სანაწილე ერთიანად ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ზოდისაგან იყო გამოჭედი-

ლი. სანათლისღებოს თავზე აღმართული უზარმაზარი ირემი პირიდან წყალს აფრქვევდა. ზეთის შესანახი კოლოფი, რომლის დანიშნულებაა ეშმაკების განდევნა, მთელი ახათისაგან იყო გამოკვეთილი. ამას გარდა, ტაძარში ინახებოდა ოცდათექვსმეტი სპილენძის შანდალი, ყოველი მათგანი თითო ას საძოც კილოგრამს იწონიდა.

სიქსტ III

❁ პაპი, რიცხვით ორმოცდამეექვსე, რომელიც რომს განაგებდა 432 წლიდან 440 წლამდე, სრულიად ჯანმაგარი და ყოჩაღი მამაკაცი გახლდათ. წმინდა მამა პირდაპირ აცხადებდა, რომ დედათა მონასტერი და ჰარამხანა-ეს ერთი და იგივე სახლია: იქაც და იქაც უნდა მბრძანებლობდეს მხოლოდ პაპი!

წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, და მისი დებულება.

ახალგაზრდა ქალწული, წმინდა სავანეში რომ შედის, როგორც ქრისტეს სარძლო, ბუნებრიეია, მისი მეუღლე ხდება.

ახლა რა გაეწყობა, თუ იესო ქრისტეს არ შეუძლია ციდან დედამიწაზე დაეშვას, თავს დააბრალოს! სხვა ვინ უნდა იყოს ქრისტეს მოადგილე, მე თქვენ გეკითხებით?

რა თქმა უნდა, პაპი.

ყოველ შემთხვევაში, ასე მსჯელობდნენ ეპისკოპოსები.

მართლაც, მიიღო თუ არა მაღალღირსმა სიქსტ მესამემ წმინდა ძალაუფლება თვითონ იესო ქრისტესაგან, სრულიად გულდამშვიდებით შეუდგა ზნეკეთილი მეუღლის მოვალეობის შესრულებას და ყოველ ახალგაზრდა მონაზონს თავის კანონიერ თანამემცხედრედ რაცხდა, ისე რომ არც კი წითლდებოდა.

ერთხელ, მართალია, ცოტა მარცხი განიცადა: ერთმა მონაზონმა, სახელად ქრიზონომიამ, წინააღმდეგობა გაუწია... რაღა თქმა უნდა, პაპს ძალის გამოყენება მოუხდა. მაშ რა უნდა ექნა? ბოლოს და ბოლოს, პაპია თუ არ არის, ეშმაკმა დალახვროს?! –

მაგრამ ეს ცოტაა. უზენაეს მიწიერ მეუფეს სიქსტ მესამეს სისხლის აღრევაც დასწამეს: ახლო ნათესავთან დაიჭირაო საქმე.

მისმა აღვირახსნილმა მოღვაწეობამ მორწმუნეთა საყოველთაო

აღშფოთება გამოიწვია. საგანგებო საეკლესიო ყრილობაც კი მოიწვიეს, მისი უწმინდესობის გასამართლება მოიხდომეს. ბაგრამ განა ყრილობას შეუძლია ომი გაუსწიროს პაპს? სიქსტ III ისეთ ურთიერთობაშია თავის კლირთან, რომ უკეთესი არ ენდა. ეს ხომ ერთი ბუნაგის ბანდა იყო! მთავარი ავაზაკის ქვეშევრდომებიც მასავით გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. მონასტერთა ზედამხედველებმაც მოზრდილი თანხები მიაწვალეს. გავლენიანი წრეები მოისყიდეს საქმე იმით დამთავრდა, რომ სიქსტ III მართალი გამოვიდა!

ყრილობიდან სამი თვის შემდეგ შეთქმულების მეთაური, ბრალმდებელი მოძღვარი ბასა მოწამლეს და სული გააცხებინეს. გამართლებულმა პაპმა დიდის ამბით დაასაფლავა თავისი მტერი, თანნიანგის ცრემლებს ღვრიდა და იტკიცებდა. საწყალი კაცი ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალაო.

ბასას მოკვლის ამბავი მხოლოდ სიქსტ III მემკვიდრემ გამოამჟღავნა.

ლევ I

ეს წმინდა მამა ცნობილი გახდა იმით, რომ უაღრესად უზნეო ბულა გამოსცა: საქრისტიანოს პირველი მღვდელმთავარი სამუდამოდ აკანონებდა მამის უფლებას, რომ თავისი ასული ხასად მიეყიდა მისთვის, ვიზედაც მოისურვებდა.

ამ პაპის მეუფების ჟამს ვიენის ეპისკოპოსს ცელიდონიუსს პრალად დაედო მკვლელობა და ძალადობანი, კერძოდ თავისი საყვარლის ქმრის მოკვლა. ბრალდება დადასტურდა და პროვანსალელ ეპისკოპოსთა საგანგებო სასამართლომ წმინდა ილარიონ არლელის თავმჯდომარეობით დაადგინა ცელიდონიუსის გადაყენება.

როგორც ხედავთ, საეკლესიო სასამართლომ ბოროტმოქმედი მღვდელმთავარი კი არ დასჯა, მხოლოდ გადააყენა. ჩვენს დროში ამ ავხორცს ბებერს კატორღაში წააბრძანებდნენ, მაშინ კი ცელიდონიუსმა ეს სასჯელიც იუკადრისა. თავი დაჩაგრულად წარმოიდგინა, გაჯიუტდა, თავისი შემოსავლიანი ადგილის დატოვება არ ისურვა

და იქამდე გათავხედდა, რომ მის უწმინდესობასთან იჩივლა: სასამართლო უსამართლოდ მომექცაო. არც შემცდარა: კარგად იცოდა, წმინდა მამის მორალიც რომ ფრიად დრეკადი იყო.

ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. პაპმა მართლაც გააუქმა სასამართლოს გადაწყვეტილება. რამდენიმე ძალადობა, რამდენიმე შკვლელობა რა ისეთი დანაშაულია, ქვეყანა ხომ არ დაუქცევიაო, ასე განსაჯა წმინდა მამამ.

ხოლო როდესაც ილარიონ არლელმა თავს ნება მისცა პროტესტი განეცხადებინა-არ შეიძლებაო ეპისკოპოსის ტახტზე სისხლის სამართლის დამნაშავის დატოვება — პაპმა ილარიონი ეკლესიიდან განკვეთა: ჭკუას ისწავლის და პაპის საქმეებში არ ჩაერევაო!

გავიდა კიდევ რამდენიმე წელიწადი და ეპისკოპოსთა საერთო კრებამ ეთესში ეკლესიიდან განკვეთა თვითონ პაპი ლევი.

მაგრამ ვერც ამ მოვლენებმა შეუშალეს ხელი მართლმორწმუნე კათოლიკეებს. რომ ილარიონისა და ლევისათვის ერთნაირად ეცათ პატივი. წმინდა ილარიონ არლელის დღედ გამოცხადებულია 5 მაისი, წმინდა ლევისად კი — 11 მაისი.

ესეც კლერიკალების ლოგიკა! აბა რა გასაკვირია, რომ ასეთი ლოგიკის და ასეთი მორალის პირობებში ყველაფერი ნებადართული იყოს! მეტისმეტად ადრე გაიხარწნა წმინდა მეძავი!

გავიხსენოთ: ლევის პონტიფიკატის დროს წარმოიქმნა ქრისტიანული ძმობა ადამიტებისა. ამ სექტაში ორივე სქესის წარმომადგენლები შედიოდნენ. ღვთისმსახურების ყველა ცერემონიალს (ლოცვა-კურთხევას, წირვას) მისი წევრები სრულიად შიშველნი ასრულებდნენ, წმინდა ზიარების მიღებისას კი ყოვლად უგვანოდ ეხვეოდნენ ერთიმეორეს ეს ტიტლიკანა მორწმუნენი, და ვინ იცის, რა არ ხდებოდა ქრისტეს სამლოცველოში!

კიდევ მეტსაც ვიტყოდით უმაგალითო მისტიფიკატორულ ოინებზე, მაგრამ გული გვერევა, ჯობს მოვეშვათ.

ილარიონ არლელის გარდა კიდევ ერთი ქვეშევრდომი გაკადიერდა და შეეკამათა გვირგვინოსან ლომს-ლევ პირველს. შეეკამათა და ღმერთიც გაუწყრა უბრალო გადაყენება-განკიცხვით არ დამთავრებულა ეს საქმე. ლაპარაკია პრისცილიანზე, მოხუც ძღვდელზე, რომელსაც რელიგია ცოტა სხვანაირად ესმოდა-არა ისე, როგორც პაპს.

მისმა უწმინდესობამ ბრძანა შეეპყროთ პრისცილიანი და ეწამებინათ. სამარცხვინო წამების შემდეგ მოხუცი დილეგში ჩააგდეს, ბორკილი დაადეს, შემდეგ კი ბერები შეუდგნენ იმის გამორკვევას, არის თუ არა პრისცილიანი თანახმა უარჰყოს თავისი დაბნეულობა? ცნობს თუ არა პაპს ქრისტეს მოადგილედ დედამიწაზე?

უბედური მღვდელი პასუხს არ იძლეოდა. მაშინ ჯალათებმა ხელებსა და ფეხებზე მუხრუჭები მოუჭირეს, ხოლო როდესაც ტანზე ტყავი დაუსკდა და სახსრებიდან ძვლებმა იწყეს ჭახჭახით გადმოსვლა, ესეც არ აკმარეს, ცეცხლთან მიათრიეს.

— უარჰყავი შენი შეცდომები, პრისცილიანო, და თაყვანი ეცი ლევს, მორწმუნეთა მამას! — მეასედ ეუბნებოდნენ წამებულ მოძღვარს.

საშინელი წამებით დაღდასმულმა პრისცილიანომ ზეცაში ლოცვა აღავლინა და უარი თქვა პაპის თაყვანისცემაზე. ქრისტეს მსახური გმობდა სატანის მსახურს. ეს იყო მრისხანე პროტესტი.

მაშინ დაიწყო ცეცხლით წამება. უბედურს თმა და თავის კანი ერთიანად დაუწვეს, სხეული გავარვარებული შანთით დაუდაღეს, შეურუჯეს, პირღია ჭრილობებზე ადუღებულ ზეთს ასხამდნენ, და ბოლოს გამძვინვარებულმა ჯალათმა ხახაში მდუღარე სითხე ჩაასხა. ასე აწამეს კიდევ ორი საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ჭეშმარიტმა მღვდელმა სული განუტევა.

პრისცილიანი, როგორც ერეტიკოსი, წმინდანებს არ მიათვალეს. ილარიონ არლელს უკეთესი ბედი ერგო, ვიდრე წამებულ ბერიკაცს. დროზე მიიმალა, თორემ ჩვენ შევიქნებოდით იმის მოწმე, როგორ გახდა ერთი წმინდანი მეორე წმინდანის მსხვერპლი ერთი და იმავე ღმერთის გულისათვის.

ლევ პირველმა სახელი განითქვა იმითაც, რომ თითქოს ერთმა შეაჩერა ატილას ლეგიონები, მრისხანე დამპყრობელისა, რომელიც ევროპას ღვთის რისხვასავით დაატყდა თავისი ველური და სასტიკი ჰუნების ურდოებით.

აი, რას გვეუბნება გადმოცემა.

როცა ატილამ თავისი უნდო ლაშქარი რომზე დაძრა და თავის გზაზე ყველაფერს წვავდა, შეშინებულმა მცხოვრებლებმა ძველი მტრობა-ქიშპობა დაივიწყეს და საერთო მტრის შესახვედრად გამოვიდნენ.

სრულიად ბუნებრივია, რომ პაპი და მისი კოლეგები ამ ჯვაროსნულ ლაშქრობას გაუძღვებოდნენ. ხმის ჩახლეჩამდე გალობდა ჰიმნებს ქრისტიანთა ლაშქარი და ასე მივიდა ჰუნების მეფის ბანაკამდე. ასეთი შეხვედრით განცვიფრებული ატილა დაინტერესდა, და რა ხდებაო, იკითხა. პაპმა ლევმა ოქროპირივით დაიწყო ენამზეობა. მისი შთაგონებული სიტყვა ძლიერ დამაჯერებელი გამოდგა, მით უმეტეს რომ მოზრდილი თანხით იყო გამაგრებული. ატილამ ჯეროვნად შეაფასა პაპის სიტყვა თუ მეფური საჩუქრები და მშვიდობიანად გაეშურა თავის საბრძანებელში.

ამ საქმის ბედნიერი დასასრული მალე სასწაულს მიაწერეს. ისეთი ადამიანებიც კი აღმოჩნდნენ, რომელთაც საკუთარი თვალით უხილავთ, როგორ დაფარფატებდა ჰაერში თეთრწვერა ბერიკაცი, რომელსაც წელზე უზარმაზარი მახვილი ერტყა, და როგორც კი ლევმა სიტყვა დაასრულა, ატილას უბრძანა, უკან გაბრუნდიო.

ლევ პირველის სასწაულმა მხოლოდ ერთხელ იხსნა საქრისტიანო.

როცა ცოტა მოგვიანებით ქვეყანას ვანდალთა ურდო შეესია გეიზერიხის წინამძღოლობით, რომელიც ატილას არ ჩამოუვარდებოდა, რომაელმა ქრისტიანებმა ძველი ოინის გამეორება განიზრახეს. პაპმა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყო. არც ჰიმნების გალობა დაუკლია და არც დროშები. მაგრამ, ეტყობა, ატილამ ისე პირწმინდად გამოფხიკა რომის სალარო, გეიზერიხისათვის აღარაფერი დარჩათ. ვანდალთა მეფე აბა რა ვანდალი იქნებოდა, თუ ცარიელ სიტყვას დასჯერდებოდა! არც პაპის ოხვრა-გოდება ისმინა, არც მისი დაპირება, პირადად ინება სალაროების მოსინჯვა და ლევის დაპირებული სასწაული ფრიად სავალალოდ დამთავრდა.

თოთხმეტი დღე მძინვარებდა გეიზერიხი რომში, ფლოტი მოსპო, აიკლო და ააოხრა წმინდა ქალაქი. მართალია, მტირალმა პაპმა დაპირება გამოსტყუა, ეკლესიებსა და მოსახლეობას დავინდობო, მაგრამ სად ვანდალი და სად დანდობა! დამპყრობელთა ბრბოები თავისუფლად აპარტახებდნენ ყოველივეს, მახვილოსანი მოხუცი კი აღარ აპირებდა საშველად გამოცხადებას. ვანდალებმა ქალაქი მხოლოდ მაშინ მიატოვეს, როცა სახლებში უკვე აღარ დარჩა არც ერთი ცხვირსახოცი და არც ერთი პირმშვენიერი ქალწული.

გადავფურცლოთ ისტორიის ფოლიანტი და გავიხსენოთ კიდევ რამდენიმე საეკლესიო მოღვაწე. წმინდა მეუფეს ანასტასიუს მეორეს, რომელმაც ორი წლის მბრძანებლობის შემდეგ მიიძინა 498 წელს, ეკლესიის მესვეურები პირდაპირ დესპოტს ეძახდნენ. მათვე მოწამლეს მისი უწმინდესობა. ესეც მოწმობს იმას, რომ სულიერი მამები მგლებზე ავნი არიან, რადგან ცხოველთა ეს მოდგმა, რა სისხლისმსმელიც არ უნდა იყოს, თავის მსგავსს არ ჰოსპობს.

ანასტასიუსის მემკვიდრე, პაპი სიმახი, მხილებულ იქნა, როგორც ადულტერი, ცოლქმრული ერთგულების შემბღალავი.

წმინდა საბასი, იერუსალიმის ეპისკოპოსი, ბანდის მეთაური იყო.

პაპთა შინაბრძოლა

❂ ჩვენ იმ დრომდე მივედით, როცა პაპობამ თავისი პირველობა დააძტკიცა და ქრისტიანული ეკლესიის უზენაესი მბრძანებლობის ეფლება მოიპოვა.

ვინ არ იცის, რარიგ ალანთებს მოქიშპეებს ვნებათაღელვა! რა კვნესა და გოდება იციან! ეპისკოპოსები წინასწარ ეძებენ კანდიდატებს. პაპი ჯერ ცოცხალია, მღვდელმთავრები კი ინტრიგის ქსელსა ქსელავენ!

მესამოცე პაპი, სილვერიუსი, რომელიც ეპისკოპოსმა ვიგილიუსმა გადააყენა, ოსტგოთების მეფესთან კავშირისათვის უდაბურ კუნძულ პალმარიაზე გადაასახლეს, სადაც ცხრა დღე უჭმელ-უსმელად გაატარა. ბოლოს და ბოლოს, ბერებმა, რომლებიც მშიერ-მწყურვალ კამპანიელ ბერიკაცს ზედამხედველად მიუჩინეს, აღარ დაუცადეს განგების ნებას. გაგუდეს, სიცოცხლე მოუსწრაფეს.

ვიგილიუსი, სამოცდაპირველი პაპი, ცნობილი იყო, როგორც სოდომიტი. მამაკაცთა შემრყვნელი ცოდვილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წმინდა მამამ ღვთაებრივი კვერთხით მოკლა ერთი ბიჭი, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია: როგორ თუ ჩემს ნებას არ დაჰყევიო! ამ საზარელ მკვლელობას აჯანყება მოჰყვა. ამბოხე-

ბულმა ხალხმა პაპი სასახლიდან გამოათრია, თოკი მოაბა და შოლტის ცემით შემოატარა მთელი ქუჩები.

ვიგილიუსის მთელი ცხოვრება-უმძიმეს დანაშაულობათა ერთიანი ჯაჭვია. ამ ხარბი და გულმხეცი თაღლითის, გამხრწნელის, მკვლელის ბატონობის დროს სასულიერო წოდება უსასრულო ორგიებს მართავდა, მონასტრები საროსკიპოებად იქცა. ეს შავბნელი ბატონობა კი თითქმის ორი ათეული წელი გაგრძელდა.

ვიგილიუსი თავისმა მემკვიდრემ-ეპისკოპოსმა პელაგიუსმა მოწამლა. პელაგიუსის დროს აღმოსავლეთის ერთ-ერთი ეპისკოპოსი ამხილეს, როგორც სისხლის აღმრევი მემრუშე.

როდესაც ტახტზე იჯდა იოანე III, სამოცდამესამე პაპი, ორი ფრანგი პრელატი გაასამართლეს ძალადობისა და არაერთი მკვლელობისათვის. როგორ თუ განაჩენი საერო ხელისუფალთ გამოუტანესო, განრისხდა იოანე, ეს ხომ ეკლესიის ძალაუფლების ხელყოფა არისო მიუტევებელი, და პრელატებს თავიანთი წოდება დაუბრუნა. პაპის მოთხოვნით უმძიმეს დამნაშავეებს საჩუქრად ორი ეპარქია უბოძეს.

პელაგიუს მეორის დროს ანტიოქიის ეპისკოპოს გრიგოლს სისხლის აღრევა-საკუთარ დასთან უზნეო კავშირი დაუმტკიცდა. პაპმა გრიგოლი რომში დაიბარა, საერო სასამართლოს მისი საქმის გარჩევა აუკრძალა. იმის ნაცვლად, რომ მოწმეები დაეკითხა, პაპმა გრიგოლს ჰკითხა და მოსთხოვა: შემომფიცე, რომ დანაშაული არ ჩაგიდენიაო. რაღა თქმა უნდა, პრელატმა სახარებაზე დაიფიცა, ყოველისშემძლე ღმერთი და წმინდა მოციქულები დაიმოწმა, ყრმასავით უცოდველი ვარო.

მაშინ ქრისტეს მოადგილემ ასეთი შესანიშნავი გადაწყვეტილება გამოიტანა:

„ღვთის მსახურს, ჩვენს ამორჩეულს, ჩვენი მრევლის ერთ-ერთ გამგებელს, უკვე მარტო თავისი სასულიერო წოდების გამო არ შეუძლია ყალბი ფიცი მოგვცეს. მან ფიცი მომცა, არ ჩამიდენიაო ცოდვა. მაშასადამე, ბრალმდებლებმა ცილი დასწამეს. დე, პასუხი აგონ ჩადენილი დანაშაულისათვის. ჩვენი ვალია მათი დასჯა!“

მართლაც, ამ საქმის მოწმეებს პირის გაღებაც არ აცალეს, სტაცეს ხელი, რომის ქუჩები წკეპლის ცემით შემოატარეს და მერე განდევნეს.

პელაგიუს მეორემ მალე გამოაქვეყნა სახელგანთქმული ბულა, რომლითაც ეპისკოპოსებს წინადადებას აძლევდა, თქვენი ხასების შვილებს ნუ დახოცავთო, მონასტრებს ჩააბარეთ, რომ მომავალში მათგან მორჩილი ბერები გამოვზარდოთო.

თვითონ პელაგიუსი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა ვენერიული სნეულებისაგან. რაც რომის ერთ-ერთ საროსკიპოში-ლუპანარში შეიყარა.

დიდი გრიგოლი

ო, წმინდა კაცო! ქველმოქმედო პაპო! ხალხებო, მუხლი მოუყარეთ ღვთის მონათა მონას! სამოცდამეექვსე პაპს, გრიგოლად წოდებულს, თამამად შეიძლება ეწოდოს არა ნახევრად მხეცი, არამედ სრული ნადირი, ნამდვილი ნადირი! საამისოდ საჭირო ყველა მონაცემი მას უდავოდ აქვს.

სწორედ ამ სახელგანთქმულმა პაპმა გამოიგონა ყბადაღებული სალხინებელი. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ძალიან ბახვილგონივრული გამოგონება იყო.

სალხინებელი ანუ განსაწმენდელი (ლათინურად იგნის პურგატორიუმ-განსაწმენდელი ცეცხლი) საიქიოს იმ ნაწილს ეწოდება, სადაც უნდა განიწმინდოს ადამიანის სული, რათა მერე სამოთხეში მოხვდეს.

მრავალი ღვთისმეტყველი გრიგოლზე ადრეც ვარაუდობდა, რომ ცეცხლი, რაზედაც პავლე მოციქული ლაპარაკობს, შეიძლება აენთოს არა მარტო ქვეყნის აღსასრულს, არამედ სიკვდილსა და განკითხვის ჟამს შორისაც. ლაქტანციუსი თავის „ღვთაებრივ დაწესებულებაში“ (წიგნი VII, თავი 21) ამბობს: „ნურავინ იფიქრებს, რომ სულნი სამსჯავროზე სიკვდილისთანავე წარდგებიან. ყველა სული ერთ საერთო ადგილზე ბინადრობს, სადაც გამოცდას ელიან, ვიდრე დიდ სამსჯავროზე უხმობენ. ვინც ცოდვილი აღმოჩნდება, აღარ აღდგება, წყვდიადში ჩაინთქმება და საწამებლად იქნება განწირული“.

გრიგოლ დიდმა ამ საქმეების გარშემო დიდი ჯაფით არ გასარჯა

თავისი ნათელი გონება, უფრო უბრალოდ განაცხადა: „სულებს საკუთარ ტანჯველს შეუმსუბუქებს ლოცვა, რომელსაც ცოცხლები წარმოთქვამენ, ვიდრე მიცვალებულნი სალხინებელში იქნებიან. ხოლო სალხინებლიდან მათი გამოყვანა შეიძლება წირვით, რომლის დანიშნულებაც სწორედ ეს არის“. შემდეგ მისმა უწმინდესობამ ასე ბრძანა: „მიცვალებულთა სულები ცოცხლებს ეცხადებიან, თავიანთ ტანჯვას მოუთხრობენ და ლოცვით შეწევნას სთხოვენ, შემდეგ კი აცხადებენ, რომ ლოცვამ სინამდვილეში შეამსუბუქა მათი მდგომარეობა“.

გრიგოლი ამას უბრალოდ როდი ამბობდა. მისი სიბრძნით აღმოჩენილმა სალხინებელმა უთვალავი ინდულგენციები და წირვა მოითხოვა, თითო მათგანი ღირდა სამი ფრანკი, ასი სუ და ერთი ლუიდორი.

უმორჩილესად გთხოვთ საეკლესიო ფიალასთან, კეთილმსახურნო მორწმუნენო! ნუ გენანებათ, ჩაყარეთ რაც შეიძლება მეტი მოწყალება და დანარჩენი ჩვენზე იყოს! დავტრიალდებით და შევეცდებით შევამსუბუქოთ ცხონებული მამათქვენის და საერთოდ თქვენიანების წამება. ამინ!

ადამიანთა შეძლების ასე მუხანათურად ღლეტა-გამოძალვის გარდა წმინდა გრიგოლის სინდისს (თუ საერთოდ გააჩნდა სინდისი) ერთი მკვლელობაც დააწვა ტვირთად: მან მოწამლა ეპისკოპოსი მალქუსი ამბოხისათვის და განკვეთა ეკლესიიდან. მალქუსი თავისი განკვეთის დღეს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან შეიარა ერთ ლეგატთან, რომელსაც დავალებული ჰქონდა ურჩი მღვდელმთავრისათვის პაპის მრისხანე ბულა გადაეცა.

მალქუსის სიკვდილი — „დიდი სასწაული“ იყო თვით მომწამვლელის სიტყვით, რადგან მეამბოხის ეს ანაზღეული აღსასრული თურმე ყოვლისშემძლე უზენაესის ნება ყოფილა: „ღვთის ხელი“ ურევიაო ამ საქმეში! მოკრძალებულმა პაპმა ამჯერად თავისი ღვაწლი ღმერთს მიაწერა.

გრიგოლის პონტიფიკატის — წმინდა ტახტზე არჩევის — დროს მოხდა კიდევ ერთი ამბავი, რაც იმ დროს იოლად შეეძლოთ მიეწერათ სასწაულისათვის და განგების ნებად გამოეცხადებინათ. ეს ეკლესიის მთავარი მონასტრის უზარმაზარი აუზის შეკეთების დროს მოხდა.

მას შემდეგ, რაც წყალი გაუშვეს, ამ დიდი წყალსაცავის ფსკერზე სამი თუ ოთხი ათასი ყრმის გვამი ნახეს.

თქვენ ალბათ არ დაიჯერებთ და დედათა მონასტერში ამ დენი ბავშვი სულიწმინდამ გააჩინა. მაშ სულიერ ქამებს ხომ ვერ დავდებთ ბრალს, ამ მონასტრის მუდმივ სტუმრებს, მონაზვნები შეგირყვნიათო! გრიგოლი სხვაზე ადრე მიხვდა, რომ კლერიკალების ძალაუფლება უმთავრესად უმეცრებაზეა აგებული, და მთელი თავისი ძალაუფლება იმისათვის გამოიყენა, რომ რამენაირად რომაელი ხალხის გონება დაეჩლუნგებინა. მისი ბრძანებით ანადგურებდნენ ანტიკურ წიგნებს. ხელნაწერებს, ქანდაკებებს, უმდიდრესი წარმართული მემკვიდრეობის შედევრებს. ამ თვალსაზრისით ამ წყეული ბნელეთის მოციქულის, განათლების მტარვალის ყოფნა რომის ტახტზე უფრო საზიანო გამოდგა, ვიდრე გოთების, ჰუნებისა და ვანდალების ყველა შემოსევა.

გრიგოლს გულდასმით ჰქონდა წაკითხული სახარება. იცოდა, რომ იქ ლაპარაკია ხმელ ტოტებზე, რომელთაც ხეს აჭრიან და ცეცხლს შეუკეთებენ ხოლმე. ეკლესიაც ხომ ხეა! მაშ რატომ არ უნდა „წავაჭრათ“ მასაც ხმელი ტოტები, განდგომილთა სახით, და არ შევუკეთოთ ცეცხლს? ასე ჩაეყარა საფუძველი ერეტიკოსთა დაწვის ათასწლოვან პრაქტიკას.

გრიგოლმა ცამეტ წლამდე დაჰყო ტახტზე. ცხადია, ის წმინდანად შერაცხეს.

საბინიანს შეიძლება გრიგოლის ღირსეული მემკვიდრის პატივი მივაგოთ. ანათემის მუქარით აუკრძალა საბინიანმა ხალხს წერაკითხვის შესწავლა: მისი აზრით, განათლება ბერთა და მღვდელთა უპირატესობაა, უბირი ხალხი კი ბნელია და ბნელში უნდა დარჩესო.

მისი ბრძანებით, ანტიკური ხელოვნების ძეგლებს ნაჯახით ამსხვრევდნენ, უძვირფასეს ხელნაწერებს ცეცხლში ყრიდნენ, და ისტორიკოს მორის ლაშატრის სიტყვით რომ ვთქვათ, კაცობრიობას მხოლოდ ისღა დარჩენია, დაიტიროს გონების ის საგანძური, რაც საბინიანის მხეცობამ დაღუპა.

საბინიანი იმ დროის ერთი ყველაზე უფრო საძულველი მღვდელი იყო. გრიგოლის სიკვდილის შემდეგ, როცა ეკლესიის მსახურთა ზედა ფენა შეიყარა, რომ ახალი პაპი აერჩიათ, იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომელი კაცი მოუტანდა თავის სამწყსოს მეტ სარგებ-

ლობას. მათ სხვა საღერღელი ჰქონდათ აშლილი: რომელი კანდიდატი უფრო გაზრდისო ეკლესიის სიმდიდრეს.

აი, რატომ ერგო საბინიანს წმინდა პეტრეს ტახტი.

ეს პაპი ღრუბელივით ხარბი და გაუმაძღარი იყო. განუზომელი ანგარებით დაბრმავებული ბერიკაცი არ მოერიდა არც იმას, რომ საყოველთაო უბედურებიდანაც სარგებლობა გამოეტანა. როცა რომში შიმშილობამ იფეთქა, საბინიანმა, რომელსაც მოციქულის სასახლის სარდაფებში ხორბლის უზარმაზარი მარაგი ჰქონდა შენახული, დაიწყო პურის გაცვლა ოქროზე.

ადამიანები ქუჩაში ეცემოდნენ შიმშილისაგან, წმინდა მამა კი უსირცხვილოდ ვაჭრობდა. ხალხი აღშფოთდა. პაპს დელეგაციები მიუგზავნეს და ევედრებოდნენ, უფასოდ მიეცი პური მათ, რომელთაც გადახდის უნარი არ შესწევთო.

ქრისტეს სახელით! პაპმა დელეგაცია არც გახადა მიღების ღირსად. გაგონებაც არ სურდა ხალხის სათხოვრისა. რომელი იესო, რა მოწყალება, პაპს ოქრო ესაჭიროება!

მაშინ ხალხი აეშალა, დიდი და პატარა ფეხზე დადგა. სიცოცხლის ფასად დაუჯდა დიდ მევახშეს თავისი სისასტიკე. საკუთარ სასახლეში ჩააძაღლეს განათლების მტარვალი.

საბინიანის მოკვლის შემდეგ წმინდა ტახტი მთელი წლის განმავლობაში თავისუფალი დარჩა. ეპისკოპოსები იარაღით ხელში ემუქრებოდნენ ერთიმეორეს, არავის უთმობდნენ წმინდა მეუფის კვერთხს. ბოლოს და ბოლოს, ტირანმა ფოკამ, რომელიც იმ დროს იმპერიას განაგებდა, მორწმუნე ქრისტიანებს თავს მოახვია ბონიფაციუს III. სწორედ ამ პაპმა მიიღო მსოფლიო ეპისკოპოსის წოდება. ათი თვეც არ დასცალდა, ისე ჩააბარა სული ზეცას.

* * *

ბონიფაციუს IV სრულყოფილი კრეტინი გამოდგა. ამ მანიაკს თავიდანვე ერთი აზრი თუ უაზრობა აეკვიატა: უკლებლივ ყველა მორწმუნე ბერად უნდა ვაქციო უსათუოდო. მთელი ქვეყნიერება რომ ქრისტეს სარწმუნოებაზე მოექცია, ამასაც არ იკმარებდა. არა, ის ოცნებობდა ქრისტეს ნამდვილ მხედრობაზე. ბერების ურდოებზე. ყველგან ბერები, მხოლოდ ბერები და მეტი არავინ...

ბონიფაციუსმა ბერთა სამოსელიც კი გამოიგონა, რომელიც მისი ჭკუით ანგელოზთა სამოსის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

აი, რას წერდა ეს ტვინნაღრძობი წმინდანი:

„ბერები თავიანთი გარეგნული სახით მამაც ქერუბიმებს ემსგავსებიან. მათი თავსახურავი — კაპიშონი, ეს ანგელოზის გაშლილი ფრთებია. სუტანის (კაბის) გრძელი სახელოები-ორი დანარჩენი ფრთა, იატაკზე მოფრიალე კალთები — მესამე წყვილი ფრთები. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ბერები, სერაფიმების მსგავსად, ექვსფრთიანი არიან, და მაშასადამე ანგელოზთა უზენაეს იერარქიას განეკუთვნებიან?"

მკითხველსა ვთხოვ, ნუ იფიქრებს, რომ ხუმრობისათვის თუნდაც ერთი სიტყვით გადავუხვიე ჭეშმარიტებას. მე სიტყვა-სიტყვით გავიმეორე ის ციტატა, რაც ბონიფაციუს მეოთხეს ეპისტოლეშია.

ახირებული იდეის ფანატიკურმა მიდევნებამ პაპი იქამდე მიიყვანა, რომ საკუთარი მშობლები აიძულა თმა მოეპარსათ, ბერებად შემდგარიყვნენ და საკუთარი სახლიც მონასტრად აქცია.

ამაზრზენი ზნეობანი

● გავიდა მცირეოდენი ხანი და ტახტზე მარტინ I ავიდა. მისი გამგებლობის დროს ეკლესიის მსახურთა შორის არაბუნებრივი სახის გარყვნილება ნამდვილ წყლულად იქცა. მღვდლები აღარ კმაყოფილდებოდნენ ქალებისა და ყმაწვილების წახდენით, პირუტყვთმავლობა დაიწყეს. ან რა დაუშლიდათ, როცა თვითონ უკვე პირუტყვებს გაუტოლდნენ!

შეუძლებელია მათი სამარცხვინო ქცევების ჩამოთვლა ისე, რომ მათ მაგიერ არ წამოვწითლდეთ.

საკმარისია ითქვას, რომ თვითონ მარტინმა აღიარა უგვანობა ამ ბინძურ ორფეხა პირუტყვთა საქციელისა, ადამიანთა ზოდგმა რომ სამარცხვინო ბოძზე გააკრეს.

მაასტრიქტის ეპისკოპოს ამონისადმი მიმართულ ეპისტოლეში ნათქვამია:

„უდიდესი მწუხარებით ვამჩნევთ, რომ მღვდლები, დიაკვნები და სხვა კლირიკები სამარცხვინო გარყვნილების ჭაობში ეშვებიან. სოდომურ ცოდვებსა და პირუტყვთმავლობას ეწევიან. ყოველი საზიზღარი არამზადა, რომელსაც თუნდაც ერთხელ დანაშაულის ადგილზე შეიპყრობენ უწყალოდ იქნება გადაყენებული ყოველგვარი იმედის გარეშე, რომ ოდესმე თავის ადგილზე აღდგება“.

პაპისათვის ასეთი ეპისტოლეც დიდი ღვაწლი უნდა იყოს. მაგრამ კლირი, რომლის ხუთი მეექვსედიც ძვალსა და რბილში გამჯდარი გარყვნილების სნებით იყო შეპყრობილი, ასეთ პაპს დიდხანს ვერ მოითმენდა, საეკლესიო ზნეობის გამოსწორება რომ მოიწადინა. მღვდლებმა პაპს ერეტიკოსობა დასწამეს უდაბურ კუნძულზე გადაასახლეს, სადაც საბრალო მარტინმა მოკლე ხანში სული განუტევა. ეტყობოდა, პაპის ტახტზე ადამიანის ამინდი არ იყო.

წმინდა ტახტზე დასვეს ევგენი I, მწყემსი, სრულიად ღირსი და მსგავსი თავისი სამწყსოსი. ვინმე მაქსიმმა, ქრიზოპოლელმა აბატმა, ევგენს უსაყვედურა, შენი მეტოქის სიცოცხლეში რად დაიდგიო პაპის ტიარა! მონასტრის წინამძღვარმა ალბათ არ იცოდა, რომ „ევგენი“ ბერძნულად „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულს“ ეწოდება და ბედნიერი პაპი ასეთ გამოხდომას არავის შეუნდობდა! პაპმა ევგენმა ბრძანება გასცა საჯაროდ გაეშოლტათ მაქსიმი ქალაქის ყოველ გზაჯვარედინზე. ამის შემდეგ აბატს მოჰკვეთეს ენა და მარჯვენა ხელი.

პაპი ევგენი წმინდანად არის გამოცხადებული. ყველაზე უფრო სასაცილო კი მაინც ის არის, რომ მომდევნო პაპებმა წმინდანად შერაცხეს მისი მოქიშპე აბატიც. ეკლესია მაქსიმის სახელს პატივით იხსენიებს 13 აგვისტოს, ევგენს კი იმავე თვის 27 რიცხვში ადიდებს.

პაპმა აგათონმა სახელი განითქვა იმით, რომ ეკლესიიდან განკვეთა პაპი ჰონორიუსი, რომელსაც ტახტი ეჭირა 625 წლიდან 638 წლამდე.

რომელია მათგან უფრო უცოდველი?

აგათონი ვენერიული სნეულებით მოკვდა. მართალია, ამან ხელი ვერ შეუშალა მის გვამს, რომ უდიდესი სასწაულები მოეხდინა.

687 წლიდან 701 წლამდე წმინდა პეტრეს ტახტზე იჯდა იშვიათი ჯიშის არამზადა, ნამდვილი ძაღლი. არ გაგიკვირდეთ, ჩვენს წინაშეა პაპი სერგი I.

როცა მისი წინამორბედი კონონი სიკვდილის სარეცელზე იწვა, დაბნეული კლირიკები, რამდენიმე ჯგუფად დაყოფილნი, თავთავიანთ პაპებს ირჩევდნენ. ამიტომ ერთბაშად სამი მემკვიდრე გამოცხადა: თეოდორი, პასქალი და სერგი I.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ ნერვიულობდა ტახტზე ასული სამი ავაზაკი, რა ჩხუბი და დაკიდარაბა იყო გამართული. თუმცა ბა რა გასაკვირია, წმინდა ტახტი სახუმარო საქმე ხომ არ არის!

ამ შეხლა-შემოხლაში ჩორწმუნე ხალხიც ჩაითრიეს. თეოდორეს მომხრეებმა იულიუსის ბაზილიკაში პასქალის მომხრეები დაარბიეს. სერგიმ მოხერხებულად ისარგებლა არეულობით: ვიდრე თეოდორე და პასქალი ერთიმეორეს აწყდებოდნენ, შეიარაღებული რაზმი მოისყიდა, დაათრო და ტახტზე ავიდა, მოციქულის ტიარა დაიდგა თავზე.

პასქალი და თეოდორე სარდაფში ჩააგდეს, როგორც ნაცემი მამლები. მალე ეს ყოჩაღი გამრტყმელები დაშოშმინდნენ, ვნებები დაიოკეს და ფიციც კი მისცეს სერგის, დაგებორჩილებითო.

სერგიმ ორივე გაათავისუფლა. წმინდა მამამ თეოდორემ ძვირფასი დრო არ დაკარგა და იქვე, საპყრობილის კარებშივე დაიწყო სერგის გაშავება: ტახტის მიმტაცებელი ხარო, ბრალი დასდო, მხოლოდ ჩემი არჩევა არისო ნამდვილი კანონიერი საქმე. მართლაც, სასულიერო წოდების გადაბირება მოახერხა და სერგი კარში გააგდეს.

მაგრამ არც სერგი დაეცა სულით. დაჰკრა ფეხი და რავენაში ჩავიდა. იმხანად ქალაქის ეგზარქოსი იყო ვინმე იოანე პლატინი, თავზე ხელადებული ვაჟკაცი, ყოველგვარი ალიაქოთისა და დავიდარაბის მოყვარული, ნამდვილი შფოთისთავი. სერგიმ ოქროს მთები აღუთქვა, ოღონდ ტახტის დაბრუნებაში დამეხმარეო.

ორი გაიძვერა მორიგდა. მოკლე ხანში პლატინის დახმარებით

სერგიმ მართლაც დაიბრუნა ტიარა, რაც, სიძართლე რომ ითქვას, ძალიან უხდებოდა.

ტახტზე რომ მოკალათდა, წმინდა მამამ პირველ ყოვლისა გადაწყვიტა ჯეროვნად დაესაჩუქრებინა რავენის ეგზარქოსი, რომელმაც ასეთი უანგარო დახმარება გაუწია, როგორც ჭეშმარიტმა კათოლიკემ. მხოლოდ ერთი აფიქრებდა: იოანე პლატინი საშიში თანამზრახველი იყო, ასეთ მრისხანე თაღლითთან მეგობრობაც კი სახიფათოა და ვინ იცის, რა ხათაბალაში არ გაგხვევს! თანაც პაპმა ნომერ ორმა თავის მხრივ დაურიდებლად განაცხადა, ბედგამწყარალი ეგზარქოსი მეც მფარველობას მიწევსო. უნდოდა თუ არ უნდოდა, სერგის აღებული ვალდებულების განაღდება მოუხდა.

ადგა და ეკლესიები გაწმინდა. ჩამოიღო ყველა სამკაული, გაიყიდა წმინდა ჭურჭელი, შანდლები, კანდელაბრები, სანაწილეები. საქმე იქამდე მივიდა, რომ მევახშეებს ძისცა ოქროს გვირგვინები, რომლებიც წმინდა პეტრეს საკურთხეველს ამშვენებდნენ.

იოანე პლატინი, ბოლოს და ბოლოს, დაცხრა და რომიდან წავიდა, თან იმდენი ოქრო წაიღო, ალბათ ჰუნების მეფესაც არ ღირსებია ამაზე მეტი.

სერგიმ გულმოდგინედ იზრუნა თავისი ტახტის მოზიარეზეც, მონასტერში ჩაამწყვდია საბრალო თეოდორე, ცხრა დღის შემდეგ კი, პირდაპირ მესის დამთავრების შემდეგ, თეოდორემ სული ზეცას ჩააბარა. ზიარებისათვის თეთრი ღვინო თვითონ სერგიმ გაუგზავნა. დანარჩენი ადვილი გასაგებია.

თავისი პონტიფიკატის განმავლობაში სერგიმ მრავალი თავშესაქცევი ბულა გამოაქვეყნა. ასე, ერთი მათგანი მღვდელს ნებას აძლევდა ექორწინათ ქუჩის ქალებზე, მართალია, მხოლოდ ერთხელ. მეორედ მეძავს ვეღარ შეირთავდნენ და მეტი რა გნებავთ? მონასტრებს ნება დართო აღსაზრდელად აეყვანათ ათი წლისა და მეტის ბავშვები. ადვილი-წარმოსადგენია, რა მოელოდათ ყმაწვილებს იმ გახელებულ მამაკაცთა ხელში, რომელთაც ქორწინება აკრძალული ჰქონდათ. იმ ეპოქაში ქორწინება მხოლოდ ბერებს ეკრძალებოდათ. სამაგიეროდ ბიჭუნებით იქცევდნენ თავს.

ამას გარდა, სერგის დაუინებითი წინადადებით მსოფლიო კრებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: მონასტრებში უნდა მიეღოთ

ქურდები, მკვლელები, ავაზაკები და ყველა ჯურის დამნაშაულები, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო მათი დანაშაული.

წარმოგიდგენიათ, რა სუფთა საზოგადოება იყრიდა თავს ამ მყუდრო სავანეებში?

მაღალღირს მამას სრულიად თავისებური წარმოდგენა ჰქონდა მრავალ საგანზე. გაუმჭღავნებელი ცოდვა ნახევრად გეპატიებათო, ბრძანებდა. ყველაფერი ნებადართულია, რაც ფარულად — მალულად მოხდებაო. მაგალითად, არ შეიძლებაო მრუშობა წმინდა ადგილებში —ეკლესიებში, საკურთხევლებთან თუ მონასტრებში, მეტადრე თუ ქორწინება კანონიერი არ არის! ნამდვილად, სწორია, არ შეიძლება! ცოლ-ქმარმა ტაძარში ის გააკეთოს, რაც მოუნდება, ნაგრამ საყვარლებმა? ღმერთმა დაგვიფაროს, მორალი ასეთ რამეებს არავის აპატიებს, პაპის მორალიც კი! მართლაც, ერთ-ერთ ბულაში პაპი სერგი აცხადებს „ანათემა გამოეცხადოს იმ მამაკაცებს და დედაკაცებს, რომლებიც სამლოცველოში ერთიმეორეს გადაჭდობიან და გულის ნებას ისრულებენ“.

როცა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის პატარა პატრიარქებმა მრავალი ჩხუბისა და დავიდარაბის შემდეგ ერთხმად მოითხოვეს აეკრძალათ მღვდლებისათვის ეკურთხებინათ სისხლისაღმრევი ქორწინება ხათესავებს შორის, ეკლესიის უცოდველმა მბრძანებელმა ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი თქვა.

ვისია ყრმა?

● თავისი პონტიფიკატის, შავბნელი მეუფების განმავლობაში სერგი I უთვალავ დანაშაულობას სჩადიოდა, თანაც მეტისმეტად ერთნაირი ყაიდისას: ძალადობა და მკვლელობა ცვლიდა ერთიმეორეს. აქ შეიძლება ყურადღების შეჩერება ერთ პატარა ისტორიულ სცენაზე—ეს ამბავი არაა მოკლებული ორიგინალობას.

ერთხელ პაპს ბრალი დასდეს: თავშეკავების აღთქმას არღვევო: ეკლესიის მბრძანებელმა მონაზონი შეაცდინაო, თავისი სულიერი ასული. პაპი უარყოფას განაგრძობდა. მაშინ მისივე მსხვერპლი მიუყვანეს. პაპმა აღიარა, რომ ამ ქალს მართლა ათქმევინა ალსარე-

ბა, მაგრამ დაიფიცა, ნეკითაც არ შევხებივარო. ნეკით რას შეეხებოდიო, და მოჰგვარეს ყრმა, რომელიც ამ მონაზონს ეყოლა რამდენიმე თვის წინ. ყმაწვილი პირწავარდნილი პაპი იყო. კედელთან მიმწყვდეულმა პაპმა გულიანად გაიცინა, ყრმა ხელში აიყვანა, პირჯვარი გადასახა და გაცბუნებულ ხალხს გამოუცხადა: „როგორც გენებოთ, მაგრამ მე გავაჩინე ქრისტიანი. მადლობა შევწიროთ უფალს, რომ კიდევ ერთი მორწმუნე შეგვემატა“. სამწყსომ ასეთი პასუხი აღტაცებით მიიღო, პაპის ფერხთით დაემხო და ხელზე მთხვევის ნება ითხოვა.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სერგი საგრძნობ სამხედრო ძალას განაგებდა. დანაშაულის ადგილზეც რომ წაესწროთ, ტახტიდან მისი გადმოგდება ადვილი საქმე არ იქნებოდა.

სწორედ ამ სერგიმ შეიტანა წირვის რიტუალში საქვეყნოდ ცნობილი ფრაზა:

„კრავო უფლისაო, ქვეყნიერების ცოდვის მიმტევებელო, შეგვიწყალენ!“ ფაქტი ჯიუტია: წმინდა მამის სინდისი ყოველდღიურად კარგად გასაპნულ ჯაგრისს საჭიროებდა. კრავს კი არა, მის უშუალო უფროსს იესო ქრისტესაც გაუჭირდებოდა მისი ცოდვების მიტევება.

სერგის, რომელიც სირიელი იყო, ორი ბერძენი მოჰყვა, ორივე იოანე, მერე კიდევ ერთი უმნიშვნელო პაპი იჯდა ტახტზე ოციოდე დღით და ადგილი კონსტანტინეს დაუთმო.

სირიელი კონსტანტინე პირდაპირი კაცი იყო, წინააღმდეგობანი და ჭოჭმანი არ იცოდა. რავენის ეპისკოპოსს ფელიქსს წაეჩხუბა და უბრალოდ ბრძანა, შეიპყარითო. რამდენიმე დღის შემდეგ კი პაპის ბრძანებით ქვის დილეგიდან ამოათრიეს, ენა მოჭკვეთეს—ამ ენით პაპს გმობდიო, თვალები შანთით ამოსთხარეს—ამ თვალებით ჯიქურ შესცქეროდიო, და მერე განდევნეს.

კონსტანტინემ იმპერატორ იუსტინიანეს გამოსთხოვა ნებართვა, რომ გასწორებოდა თავის მოწინააღმდეგე პატრიარქ კალინიკუსს. როცა უბედური პატრიარქი რომში ჩამოვიდა, მაშინვე თვალები დასთხარეს, შემდეგ კი გულღვარძლიანი მღვდელმთავარი მისდგა და აპამპულებდა დაბრმავებულ ბერიკაცს მთელი იმ საშუალებებით, რისი გამოგონებაც ბოროტი ტირანის ფანტაზიას შეუძლია.

ამავე მოძღვართ-მოძღვარმა გამოუშვა ბულა, რომლის ძალითაც თვით უმძიმესი ცოდვები ეპატიებოდა მას, ვინც მოსალოცავად რომში ჩავიდოდა. ამიერიდან არხეინად ყოფნა შეეძლოთ იმ ადამიანებს, რომელთაც საზარელი დანაშაულობანი ჰქონდათ ჩადენილი: სკამარისი იყო რომში მოსალოცავად ჩასვლა და იქ ტაბტზე მოკალათებული ტიაროსანი ბოროტმოქმედისათვის საჩუქრების ჩატანა, რომ ღმერთი სოდომურ ცოდვებსაც აპატიებდა. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენი სიავე მოხდებოდა ევროპის ქვეყნებში ამ იდიოტური ბულის წყალობით!

ზაქარიას პაპობის დროს კათოლიკეთა შარლატანობა აშკარა უსირცხვილობამდე მივიდა. რომელიღაც ეპისკოპოსმა ადალბერტმა მორწმუნეებს ასეთი სასწაული აუწყა: ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში ანგელოზი გამომეცხადა, აი, ეს რელიქვია მომცა და მითხრა, რასაც ინებებ, ღმერთი ყველაფერს მოგცემსო. ადალბერტმა საბარეგანზე დაიფიცა, თვითონ იესო ქრისტე ბარე სამჯერ გამომეცხადაო. ყოველნაირი ასეთი ყაიდის არაკით დაარწმუნა კიდეც თავისი სამწყსო და საერთო ნდობა მოიხვეჭა. მის საპატივცემოდ სამლოცველოები, ეკვდერები შენდებოდა. ავაზაკი ოცნებობდა ასეთი თაღლითური ხერხით თავის ეპარქიაში ლამაზი ქალიშვილებისათვის თავი მოეყარა და თურქეთის ფაშასავით ჰარამხანა გაეხსნა. ინება და ღვთის შეწევნით მიაღწია კიდეც საწადელს. პატივდებული მანდილოსნები ერთიმეორეს ხვდებოდნენ და ტრაბახობდნენ: „ჩემი ქალიშვილი წმინდა კაცმა თავისი სარეცლის ღირსად გახადა“. ო, ბნელო საუკუნეე! ეს წმინდა კაცი სინამდვილეში იყო პირწავარდნილი არამზადა, ღვთის სახელით მოვაჭრე და გახრწნილი პირუტყვი! მაგრამ ამ პირუტყვმა აკი ასე „უკვდავჰყო“ თავისი სახელი!

პრელატი მოხერხებულად ვაჭრობდა რელიქვიებით და უნდა ვიგულისხმოთ, რომ დიდძალი ფულიც მოიხვეჭა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს უზნეო პირუტყვი საცოდავ დაბრმავებულ ხალხში საკუთარ თმასა და ფრჩხილებს ყიდდა. საქმე დიდი დავიდარაბით დამთავრდა: სამოქალაქო ხელისუფალთ ხმა აიმაღლეს და მოითხოვეს, ეს თაღლითი ეპისკოპოსი გადააყენეთო.

პაპმა ზაქარიამ სახელი განითქვა იმითაც, რომ უსასტიკესი დევნით გაუმწარა სიცოცხლე შოტლანდიელ ეპისკოპოსს ვირგილიუსს, გამოჩენილ მეცნიერს, რომელმაც გამოთქვა აზრი, რომ დედამიწა

— ბურთია და სამყაროში არსებობენ სხვა, უცნობი სამყაროები. ეს საოცარი იდეები, რომელთაც გვიან ჯორდანო ბრუნოს კოსმოგონიაში მიიღეს ფართო პოეტურ-მეცნიერული სახე. აცოფებდა რომის შუბლვიწრო პაპს. გალის პრიმასისადმი მიმართულ წერილში შემდეგს წერდა: „ყურადღება მიაქციეთ ფილოსოფოს ვირგილიუსს, რომელიც ცრუ ჭეშმარიტებებით ტრაბახობს, სატანას რომ შთაუგონებია მისთვის, და თავხედურად ამტკიცებს, თითქოს დედამიწაზე არსებობენ უცნობი ქვეყნები და ადამიანები, სამყაროში კი — სხვა მზე და მთვარე, ჩვენების გარდა. ის კადნიერი უნდა განიდევნოს ეკლესიიდან. ჩამოერთვას ხარისხი და ყველაზე უფრო ბნელ მიწისქვეშა დილეგში ჩაისვას. მანამდე კი უნდა აწამოთ ყველა საშუალებით, რაც კი ადამიანს გამოუგონებია, რადგან არ არსებობს ღირსეული სასჯელი იმ თავხედისათვის, რომელიც თავისი შემბილწველი მოძღვრებით ჩვენი რელიგიის სიწმინდეს არღვევს“.

ამას წერდა კაცი, რომელიც თავის თავს იმის მოადგილედ თვლიდა, ვინც მთელს თავის სიცოცხლეში თითქოს წყენის დავიწყებასა და ცოდვების მიტევებას ქადაგებდა. რამდენი შავი საქმე გაკეთებულა წინასწარმეტყველთა და მეფეთა სახელით! რამდენ ღორს ჩაუთვლია თავი არწივთა შთამომავლად და საქმის გამგრძელებლად!

პაპის ტახტზე პავლე პირველის სიკვდილის შემდეგ ავიდა ტიბერიუსი, იგივე კონსტანტინე II, ჩვეულებრივი იტალიელი საერო კაცი. ტიბერიუს კონსტანტინეს პონტიფიკატი დიდხანს არ გაგრძელებულა. წელიწადიც არ გასულა, რომ სამღვდელოებამ აეშალა. კლირიკები ორ პარტიად გაითიშნენ და პაპის ტახტზე ორი კანდიდატი გამოჩნდა — ბერი ფილიპე და დიაკონი სტეფანე.

ანტიპაპი კონსტანტინე II, ბუნებით წყნარი და სათნო კაცი თავის მდგომარეობას, თუ მეტი არა, სულელურად თვლიდა. გულდამშვიდებით გადადგა, უბრალო სკამივით მიატოვა პაპის ტახტი, მონასტერში შეაფარა თავი და ორი გაშმაგებული მხეცი ერთიმეორეს შეატოვა: თავიც გიტეხიათ, მე თქვენი ტახტი არ მხიბლავსო, რაც პაპობის ისტორიაში უპრეცენდენტო მაგალითია.

გამარჯვებული გამოვიდა სტეფანე IV. ისტორიაში ეს ნადირი

დარჩა. როგორც პირწავარდნილი არაბზადა და ეშმაკისი ბოროტმოქმედი.

ტასტზე რომ აღმოჩნდა, სტეფანემ მაშინვე ბრძანება გასცა, რომ დაეპატიმრებინათ თეოდორე, თავისი წინამორბედის მვგობარი ეპისკოპოსი საბრალო კაცს თვალები დასთხარეს, ენა მოჭრეთეს, შემდეგ მთაზე აიყვანეს და ციხეში გადაუშვეს, სადაც ბერებმა შიმშილით სიკვდილისათვის გასწირეს.

კონსტანტინე მეორის ძმა პაპის ფანატიკოსებმა მათრახის ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს, თვალები დასთხარეს და გასიხლიანებული ჩააგდეს წმინდა სილიბისტროს მონასტრის დილეგში.

მაგრამ სისხლისმსმელ სტეფანეს მძვინვარება არც ამით დასრულებულა. ნადირი გაძღება და წავა, ტიაროსან მხეცს კი კვლავ დაღებული ჰქონდა ხახა და მსხვერპლს კვალდაკვალ მისდევდა. ძონასტერში მივიდა, სადაც კონსტანტინემ ჰპოვა თავშესაფარი. და როცა ბედშავმა პაპ-ყოფილმა გაქცევა სცადა, ღოჯებიანმა სატანამ ტაძრამდე სდია და ცოფმორეულმა ბრძანა საკურთხეველიდან გამოეყვანათ მსხვერპლი. გამოიყვანეს კი არა, გამოათრიეს (კაციჭამია ველურებმაც იციან ტაბუ, პაპმა კი შეაგინა ქრისტეს საკურთხეველიც!), ფეხებზე მძიმე გირები დაჰკიდეს, ცხენს მიაბეს და რომის ქუჩებში ათრიეს. ამის შემდეგ ხალხმრავალ მოედანზე ჯალათმა გახურებული შანთით ამოსთხარა თვალები. მძვინვარე ნოზეიმე მხეცმა სტეფანემ ხალხს სიკვდილისა და საშინელ წამების მექარით აუკრძალა არა თუ მიშველება, არამედ მიახლოვებაც კი. ყოფილი პაპი უმწეოდ ეგდო ტალახში. საკუთარი სისხლის მორევში, და მხოლოდ მეორე დღეს აღშფოთებულმა ხალხმა აიძულა ეკლესიის მსახურებად წოდებული ჯალათები, რომ ცოცხალმკვდარი ბერიკაცი აეყვანათ და რომელიღაც მონასტერში გადაეძალათ.

არანაკლებ სამარცხვინოდ და მხეცურად აწამეს პაპ ფილიპეს მომხრე—ვატრიპერტი. უკუღმა შესვეს ვირზე, ხელში სადავის ნაცვლად ვირის კუდი მიაჩიჩეს და ასე შემოატარეს ქალაქის ქუჩები. ათასნაირი წვალებისა და გაპამპულების შემდეგ ჯალათმა ხელის თითებზე ფრჩხილები დააძრო, შემდეგ ასევე უღმერთოდ ააძრო ფრჩხილები ფეხებზე და გავარვარებული რკინით ამოშანთა თვალები. ამის მიუხედავად ჭეშმარიტმა სატანის მოციქულმა სტეფანემ

კიდევ განაგრძო ვატრიპერტის აბუჩად აგდება, სულის ამოხდომამდე ათრიეს, აწამეს და შემდეგ სანეხვეზე ძონძივით ისროლეს...

ჩვენ თავზარი გვეცემა, როცა გვესმის, რომ ამას სჩადიოდა ჩვენი პლანეტის მკვიდრი, იტალიელი, ქრისტიანი, ქრისტეს მოადგილედ წოდებული ჯალათი. შურისძიებით რომ ასე იჯერა გული, ჯალათმა საეკლესიო კრება მოიწვია და აიძულა გამოეტანათ დადგენილება, რომ. პაპად არჩევისათვის საჭიროა კანდიდატს ჰქონდეს თუნდაც დიაკვნის წოდება.

ამავე ყრილობაზე ისევ წამოჭრეს კონსტანტინეს საკითხი. სტეფანემ ჯალათს უბრძანა ბედშავი უსინათლო კაცისათვის თორმეტი ჯოხი დაეკრა და ესა ამოეგლიჯა. დასჯა ხდებოდა ეპისკოპოსების დასწრებით, თვითონ საქრისტიანოს მბრძანებელი ხელმძღვანელობდა ჯოჯოხეთურ ანგარიშსწორებას და გამკითხავი არავინ იყო. ამჯერად კი ვეღარ გაუძლო არაადამიანურ წამებას ბედშავმა კონსტანტინემ და სული განუტევა.

ცოტა მოგვიანებით სტეფანემ სასიკვდილოდ გასწირა ორი რომაელი არისტოკრატი, მამა და შვილი, მხოლოდ იმისათვის, რომ მათი ქონების დაპატრონება მოისურვა. სტეფანემ უდანაშაულო ადამიანებს ადამიანური სიკვდილიც კი არ აკმარა, ბრძანა თავის თვალწინ ამოეთხარათ თვალები მამისათვის. ჯალათმა ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა და უბედური რომაელი მესამე დღეს სისხლის ჩაქცევისაგან დაიღუპა. შვილი უფრო ამტანი აღმოჩნდა და წამებას გაუძლო. მაშინ ლატერანის სარდაფში ჩააგდეს და იქ გაგუდეს.

საკვირველება ისაა, რომ ეს მამა-შვილი ყველაზე უფრო თავგამოდებით მოითხოვდა სტეფანეს არჩევას.

რეზინის სინდისი

● ადრიან პირველს, რომელმაც ურჯუკი სტეფანე IV შეცვალა, თავის წინამორბედივით არ ჰქონდა სინდისი ცოდვებით დამძიმებული.

მაგრამ მანძილი პატიოსან ადამიანსა და სრულყოფილ არამზადას შორის დიდია — ამ სივრცეში თავისუფლად შეიძლება მოთავსდეს სხვადასხვა ყაიდის თაღლითების მთელი რაზმი.

ადრიან I, რომლის ამბავსაც ახლა ვიტყვით, უკიდურესობამდე ანგარებიანი იყო და ისეთი დამწვარი, რომ ნეკის ფრჩხილს არ გაიმეტებდა.

რაც შეეხება სინდისს, ამ პაპს რეზინის მსგავსი სინდისი ჰქონდა. ამა და ამ კაცის სინდისი რეზინივით იწელებარ, რომ იტყვიან, სწორედ ადრიან პირველზეა ზედგამოჭრილი.

კარლოს დიდი რომ იტალიაში ჩავიდა, ეკლესიის მსახურთა უზნეობის ამბავმა ძალიან დააფიქრა. პაპს ელაპარაკა და ურჩია აელაგმა მათი თვითნებური პარპაში. ამასთან გამოთქვა ის აზრი, რომ ღვთისმსახურნი თავიანთი საქციელით სახელს უტეხენ ქრისტიანობას. მონებით ვაჭრობენო, ქალიშვილებს საქონელივით აძლევენო სარაცინებს, სათამაშო სახლები და საროსკიკოები გაუმართავთ და თვითონაც გარყვნილების სამარცხვინო მორევში გადაშვებულანო, როგორც ოდესღაც სოდომისა და გომორის მცხოვრებლები.

ყურადღება მიაქციეთ, ყოველივე ეს ისე საქვეყნოდ ხდებოდა, რომ არავითარი დაკითხვა, ძიება და მტკიცება ამ ბოროტებას არ ესაჭიროებოდა. როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შეინიშნებოდა ის ამაზრზენი წრესგადასულობა, რასაც იტალიაში ჰქონდა ადგილი.

წმინდა მამამ კარლოს დიდს უტიფრულად უპასუხა:

— ყველაფერი ეს ჭორებია, ჩვენი ეკლესიის მტრების გავრცელებულიო!

ფრანკთა მეფეს ხელი ჩაუქნევია და თავის საბრძანებელში დაბრუნებულა. პაპს ის მაინც მეტ ანგარიშს უწევდა, ვიდრე თავის ეპისკოპოსებს. ეტყობა, პაპთან მეგობრობა უფრო სურდა, ვიდრე მისი გადაკიდება. იგივე სურვილი ჰქონდა პაპსაც. ასეა თუ ისე, როდესაც პაპმა მოითხოვა, დაუბრუნეთო მოციქულის ტახტს მისი მამულები, მეფემ საჩქაროდ მიიღო ზომები ამ თხოვნის შესასრულებლად. ეს ის მამულები იყო. რომლებიც ბენევენტის ჰერცოგს ეკუთვნოდა და მოცილე პაპს არ დაუთმო. თვით კარლოს დიდი სულით პატარა მლიქვნელი აღმოჩნდა, მაშინვე წაართვა უბედურ ჰერცოგს თავისი საგვარეულო ქალაქები და პაპს ძღვენივით მიართვა. თავის მხრივ არც წმინდა მამა აკეთებდა რამეს უსასყიდლოდ და თუ ვინმეს დახმარებას გაუწევდა, სულ ცოტა, ერთიორად მეტს ელოდა.

ერთხელ ტასილონმა, ბავარიის ჰერცოგმა სთხოვა, ფრანკთა მეფესთან შემარიგეო. ადრიანი დათანხმდა, შუამავლობას ვიკისრებ, თუ ამდენს და ამდენს მომცემო. როცა დასახელებული თანხა თავის დროზე ვერ მიიღო, გაცოფებულმა წუწურაქმა შუბლი შეიკრა და ტასილონი ეკლესიიდან განკვეთა. ამას გარდა, პაპმა განაცხადა: უფალი ღმერთი თავის მოადგილის პირით ნებას აძლევს ფრანკებს სასტიკად დასაჯონ ბავარიელები, ამასთან შეუძლიათ გააუპატიურონ ქალიშვილები, დახოცონ ქალები, ბავშვები და მოხუცები, დაწვან ქალაქები და მოსახლეობა აიკლონო. გული გვეკუმშება, რომ ვისმენთ, რამდენი ღვარძლი უთესიათ ამ ქრისტეს მოადგილეებს!

სულ ცოტა ხნის წინ, ვიდრე უზენაესს ესტუმრებოდა, სატანის მსახურმა ადრიანმა ერთი სათნო საქმე „მოაკვარახჭინა". ინგლისის პრინცი ოფა წმინდა მამას ფეხქვეშ ჩაუვარდა, ცოდვები მომიტევეო, ევედრებოდა. ბედგამწყრალმა პრინცმა თურმე ერთი ანგლო-საქსი მბრძანებელი მოკლა, მოკლა მოტყუებით, საკუთარ სასახლეში, სადაც იმ საბაბით მიიწვია, რომ თავისი ქალიშვილი მიეცა.

ადრიან I აღმერთებდა ამნაირ პრინციპებს, მათი საქმე მართლაც ძალიან სარფიანი იყო: არაფერს არ ხარჯავდა და იღებდა კი მთელს ქონებას.

პაპი დაჰპირდა უფლისწულს, ზეცასთან შეგარიგებო, მხოლოდ ერთი პირობა დაუყენა: მუდმივი, განსაკუთრებული გადასახადი უნდა დააწესო, წმინდა პეტრეს შესაწირავი, თანაც მორწმუნეთათვის თავშესაფრები უნდა გამართოო. წმინდა მამა წინასწარვე ტკბებოდა ასეთი ღვთისსათნო დაწესებულებების შემოსავლით.

მადლიერებით აღსავსე ოფა, რა თქმა უნდა, დათანხმდა.

ქურდი მადლობას ეუბნება ქურდს, მკვლელი ლოცავს მკვლელს... პირდაპირ ისე გულის ამაჩუყებელი ამბავია, მეტი რომ აღარ შეიძლება!

რა საწყენია გაიძვერებისა და ჯიბგირებისათვის: ადრიან I ისე ჩაესვენა შავ მიწაში, რომ ვერ მოასწრო მათთვის უმაღლესი სკოლების დაარსება!

რაც ბატონი, ისიც ყმაო!

● თავის კარისკაცთა გახრწნილობის მიფუჩეჩება ბუნებრივია, ხშირად პაპსაც ძვირად უჯდებოდა. არაერთხელ გამხდარა თვითო-

ნაც ამ წაყრუების მსხვერპლი. შემწყნარებლობა კი არა, ეს იყო თანამონაწილეობა...

ორმა მღვდელმა პაპის მოკვლა განიზრახა. ამ მიმზიდველი განზრახვის აღსასრულებლად ზოგიერთი ბერის დახმარებაც დასჭირდათ და ასეთ ბერებსაც მიაგნეს.

ერთხელ, როცა ღვთაებრივი მოადგილე თავის ლატერანის სასახლეში ბრუნდებოდა, შეთქმულნი თავს დაესხნენ მის ამალას, მეუფე საქრისტიანოისა ცხენიდან გადმოათრიეს, წვერში ხელი ჩაავლეს, დაითრიეს, ქვები დაუშინეს, თავი დაუჩეჩქვეს, შემდეგ კი უგრძნობელი და ცოცხალ-მკვდარი გზაზე დააგდეს და მიიმალნენ. მალე მკვლელები მობრუნდნენ და როცა ნახეს, რომ პაპს ჯერ კიდევ სული ედგა, წმინდა სტეფანეს და სილიბისტროს ეკლესიის მონასტერში შეათრიეს. აქ, შიგ ტაძარში, საკურთხეველთან, ბერებმა ფრჩხილები და კბილები აამოქმედეს, ბედგამწყრალი პაპის ენის ამოგლეჯა და თვალების ამოთხრა სცადეს. ბოლოს და ბოლოს, ესეც რომ ვერ მოახერხეს, დილეგში ჩასვეს. რადგან იცოდნენ, რომ ადრე თუ გვიან პაპს ძებნას დაუწყებდნენ და ოინი ძვირად დაუჯდებოდათ.

მაგრამ ლევ მესამეს ბედის წიგნში დიდხანს სიცოცხლე ეწერა. როცა სამი დღის შემდეგ ერთ-ერთი შეთქმულთაგანი, სახელად ერაზმი სარდაფში ჩავიდა, რომ გვამი ამოეტანა და მიწაში ჩაეფლო, როგორც ძაღლის ლეში, გაოცებისაგან პირი დააღო: პაპი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მაშინ ლევ III მეორე მონასტერში გადაიყვანეს. საიდანაც მოგვიანებით სასახლესთან დაახლოებულმა ერთმა პირმა მისი გამოხსნა მოახერხა.

ეს ამბები ლევ მესამის პონტიფიკატის დასაწყისში მოხდა. ჭეშმარიტად, პაპს, სატანის სულის გარდა, გამძლეობაც სატანისა ჰქონდა. ლევ III არა მარტო გადარჩა, არამედ მოგვიანებით თავის მტრებთან ანგარიშის გასწორებაც მოახერხა. რაკი ტახტი დაიბრუნა, რას არ მოახერხებდა!

როგორც ცნობილია, მცირე სამსახურიც ამაგრებს მეგობრობას, საიქიოდან (უთუოდ ჯოჯოხეთიდან) მობრუნებულმა პაპმა 800 წლის 25 დეკემბერს კარლოს დიდი იმპერატორად აკურთხა და ამ ისტორიული ცერემონიალით საბოლოოდ მოინადირა სვებედნიე-

რი ხელმწიფის გული. კარლოსი ყოველთვის დაუზარებლად იცავდა პაპს მრავალრიცხოვანი მტრებისაგან.

814 წელს კარლოსი გარდაიცვალა. ახლა კი ისევ წამოჰყვეს თავი მისმა დაუძინებელმა მოწინააღმდეგეებმა — ლანგობარდებმა და სხვებმა. ისევ მოეწყო ძლიერი შეთქმულება მღვდელმთავრის დასათრგუნავად.

მაგრამ ლევ III წინდახედული კაცი იყო. ვიდრე თავდასხმას მოაწყობდნენ, თვითონ სტაცა ხელი და შეიპყრო ყველა შეთქმული — ყოველ შემთხვევაში, ყველა, ვინც საეჭვოდ მიაჩნდა. ადვილი შესაძლებელია, რომ მათ შორის მართალი ხალხიც ყოფილიყო, რადგან თავგამოდებით ცდილობდა მათი დანაშაული დაემტკიცებინა, ეს კი გაუჭირდა. მესამე პაპი ვერც ამან შეაფერხა.

სასიამოვნო სანახაობით რომ თავი სათაკადოდ შეექცია, პაპმა ბრძანა ყველა ეჭვმიტანილი ლატერანის სასახლის ფანჯრებთან დაესაჯა. ნამდვილი სათნო მწყემსი ასე თავის ცხვრებსაც კი არ გასწირავს, მაგრამ ტახტზე იჯდა მოზეიმე ნადირი, რომელიც რომში ისე ტრიალებდა, როგორც მგელი ცხვარში. მერე, ასეთმა უწყალო სასჯელმაც ვერ მოუოხა გული ნაცემ პაპს, რომელსაც შეთქმულებმა, მთლად სამწუხაროდ, თავის დროზე ცემით სული ვერ ამოხადეს, ამიტომ ახლა დაღუპულთა ოჯახებიც დაგვიანებული შურისძიების მსხვერპლი შეიქმნენ. ლევის ბრძანებით, შეთქმულთა ცოლები რომიდან განდევნეს, შვილები კი მონასტრებში გააბარეს.

ეკლესიამ, რა თქმა უნდა, ლევის კანონიზაცია არ დააყოვნა. უეჭველია, გულაჩუყებულმა სამღვდელოებამ ისიც დიდ დამსახურებად ჩაუთვალა, რომ დასჯილთა ცოლ-შვილიც ერთიანად არ გაეუქა.

პატიოსნებით აღსავსე საზოგადოებაა, ეშმაკმა კი წაიღოს!

პასქალი I

● თაღლითი, ბოროტმოქმედი და გახრწნილი არამზადა—ასეთი იყო ეს მეორე პაპი, რომელმაც სტეფანე IV შეცვალა.

წმინდა ტახტის ქონება ქარს გაატანა, ყოველთვის ფული უჭირ-

და, გაფლანგული თანხების ასანაზღაურებლად კი ასეთი ოინი მოიგონა.

წმინდა ცეცილიას ეკლესიის რესტავრაცია ბრძანა და ფუფუნებით მორთო. მთავარ საკურთხეველში რაკა დადგეს — ლუსკუმი წმ. ცეცილიას ნეშტისათვის, რაც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნი, მაგრამ ღვთის წყალობით მალე უნდა ეპოვნათ.

თავისი ოინისათვის ყველაფერი რომ მოამზადა, პასქალიმ ღვთისმსახურების დროს, ციისკრის ჟამს, თავი მოიმძინარა. აქაო და ლეთარგიული ძილი მომერიაო.

თვალები რომ გაახილა, მორწმუნეებს აუწყა: ძილში წმინდა ცეცილია გამომეცხადა და მითხრაო: „თავიანთი სახელის შემბილწველი მღვდლები და მკრეხელი პაპები უკვე ეძებდნენ ჩემს ხრწნად ნეშტს, მაგრამ უფალი ღმერთის ნებით მისი პოვნის ღირსი შენ ერთი გახდიო“.

ამ მარტივი და გულუბრყვილო ფოკუსის შემდეგ პაპმა ისიც გაამხილა: წმინდანმა პრეტექსტის სასაფლაოს ერთ-ერთი კუთხე მიჩვენაო.

სამღვდელოების თანხლებით პასქალი იქით გაეშურა, თვითონვე აიღო ბარი, საფლავი ამოთხარა და მართლაც იპოვა მუსიკოსების მფარველი წმინდანის ნეშტი. მის ფეხებზე ჯერ კიდევ ჩანდა სისხლის ნაკვალევი! არც ერთ მორწმუნეს არ შეპარვია ეჭვი ამ იშკილბაზობაში. აშკარა სასწაულზე მხრების აჩეჩვა ვერავინ გაბედა. ან რა უნდა ეთქვათ? ყველაფერი ხომ საკუთარი თვალით ნახეს! ასეთი საკვირველი აღმოჩენის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, მორწმუნეთა მსხვერპლშეწირვა და მომლოცველთა ნაკადი არ შეწყდებოდა, და წმინდა მამის სიმდიდრემ ერთი ორად იმატა.

წმინდა ნაწილთა წარმოება
ნარდად და ცალობით

● პირველი წარმატებით გამხნევებული პაპი დარწმუნდა, რომ სიმდიდრის პირველი წყარო ხალხის უმეცრება და იოლი რწმენა იყო. ასეთი შესაძლებლობის გამოუყენებლობა კი მეტი რომ არა ვთქვათ, სისულელე იქნებოდა.

„ასე დაიწყო, — წერს ერთი ძველი მწერალი,—წმინდანთა ფაბრიკაცია მათი გაყიდვის მიზნით, და ამ კომერციამ პაპს უსაზღვრო შემოსავალი მისცა“.

მის უწმინდესობას არ აწყენდა, პატარა დუქანი რომ გაეხსნა და ასეთი აბრა გამოეკრა:

> *საექსპორტო წმინდანები.*
> *გაყიდვა ნარდად და ცალობით.*

რაღა თქმა უნდა, პასქალს მრავალი მიმდევარი გაუჩნდა. ვაჭრობა ისე გაცხოველდა, რომ თქვენი მოწონებული. განუზომელმა შემოსავალმა ბერები სულ დააგიჟა და მოკლე ხანში მონასტერთა უმრავლესობა რელიქვიების ფაბრიკებად იქცა.

ეს წმინდა დუქნები, მართალია, ისედაც არასდროს არ განიცდიდნენ საქონლის ნაკლებობას. გამყიდველები მოხერხებულად აკმაყოფილებდნენ მუშტრების ყოველნაირ მოთხოვნილებას. თუ ვინმე განაცხადებდა, წმინდა ბრიგიტას კბილის შეძენა მსურსო, ან წმინდა პავლეს ფრჩხილი მჭირდებაო, თუ რომელიმე სხვა მოციქულის ან წმინდანის ლავიწი, ბეჭი, თითის ძვალი და სხეულის რომელიც გნებავთ ნაწილი—დიდი სიამოვნებითო, იმ წუთში მიართმევდნენ. ოღონდ მოეთხოვათ, დუქანში ჩიტის რძესაც გააჩენდნენ. საქმე მხოლოდ ფასში მორიგება იყო.

განმეორდა პურისა და ღვინის სასწაული, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად პური ადამიანის გვამით და მისი ნაწილებით შეიცვალა. უფლის მაცოცხლებელი ჯვარიც დიდ გასავალში იყო. ეს რელიქვია მორწმუნეებს მოაგონებდა მაცხოვრის ტანჯვას სიკვდილის ჟამს. მარტო ამ ჯვრის ნათალი ბურბუშელა რომ შეეკრიბათ, მრავალ ოჯახს მთელი ზამთრის განმავლობაში გაათბობდა. თვით ქრისტეს სხეულის ნაწილები, რაც ბერებმა გაყიდეს, რომ შეგეკრიბათ, ასამდე ქრისტეს ეყოფოდა და კიდევაც გადარჩებოდა.

ასეთ სარფიან საქმეს საგულდაგულოდ ეწეოდა ეკლესია მრავალი საუკუნის განმავლობაში. ქვემოთ ამაზე დაწვრილებით შევჩერდებით. აქ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ პასქალი I გახლავთ ამ საეკლესიო ინდუსტრიის დამაარსებელი. სწორედ მის დროს დაიწყეს ბერებმა სხეულის ზოგიერთი ნაწილის გაყიდვა,

თანაც ისეთი ნაწილებისა, რომ აქ მათი დასახელებაც არ შეგვიძლია, უხერხულია! ხელსაყრელ ფასებში ასაღებდნენ წმინდა იოსების, იოანე ნათლისმცემლის, ქალწულ მარიამის სხეულის ნაწილებს. იესო ქრისტეს ჩუჩა შედარებით გვიან აღმოაჩინეს, წმინდა ლუდოვიკოს დროს. ტყავის ეს საეკვო და საჩოთირო ნაპერი იყიდა ანჟუის ჰერცოგმა, მეფის ძმამ, და ერთ-ერთ ეკლესიაში გამოჰფინა, რომ მორწმუნეებს თაყვანი ეცათ.

ორგიები და მკვლელობანი

● ისევ პასქალი პირველს დავუბრუნდეთ. ლოთარი, ფრანგთა მეფის ლუდოვიკო კეთილმსახურის უფროსი შვილი, რომში რომ ჩავიდა, შეძრწუნებული დარჩა იმით, რაც წმინდა ქალაქში ნახა, და განსაკუთრებით აღაფშოთა პაპის სასახლემ, რაც საროსკიპოს უფრო ჰგავდა, ვიდრე წმინდა ადგილს.

პრინცმა სასტიკად გააფრთხილა ტიაროსანი უწმინდური და პაპმაც სიტყვა მისცა, ჭკუით ვიქნები, გამოვსწორდებიო. მაგრამ განა პაპი ისეთი ვინმე იყო, რომ გამოსწორებულიყო? ლოთარმა იტალიის დატოვებაც ვერ მოასწრო, რომ პაპი ვეფხად იქცა. ჯერ იქიდან დაიწყო, რომ ორი პატიოსანი მღვდელი დააპატიმრა (ალბათ იმ ორის გარდა რომში ერთი წესიერი მოძღვარიც არ მოიძებნებოდა), ცილი დასწამა.

მღვდლები პირდაპირ ლატერანის სასახლეში მიიყვანეს, სადაც, მათი ფიცით რწმუნების მიუხედავად, დამნაშავეებად ცნეს, პასქალის დასწრებით ენები ამოკვეთეს, თვალები დასთხარეს და ბოლოს თავები წააჭრეს.

ლუდოვიკო კეთილმსახურმა პაპის დასჯის მიზნით რომში ორი ელჩი გაგზავნა, რომელთაც საზარელი მკვლელობის გამოძიება ევალებოდათ. მაგრამ თაღლითმა, გაიძვერა მღვდელმთავარმა დაკითხვას როდი დაუცადა. მთელი თავისი ‘კარისკაცების თანხლებით ელჩებს შეეგება და განაცხადა, მზად ვარ მოვიწვიო საეკლესიო ყრილობა და ჩემი ჩვენება მოგცეთო.

ასეთი პროცედურა წმინდა მამის უწმინდურ გულს არავითარი ხიფათით არ ემუქრებოდა. რას ნიშნავს ცარიელი ფიცი ისეთი პირ-

წავარდნილი არამზადებისათვის, როგორიცაა პასქალი. უბრალო თამაში, ფორმალური იშკილბაზობა, მეტი არაფერი!

მართლაც, მეორე დღეს შეყარა ყველა ეპისკოპოსი, ბერი და მღვდელი (მსახურნი კი, ცხადია, კვერს უკრავდნენ. მოგეხსენებათ, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს!). მთელი ამ ხროვის, უწმინდური კოლეგიის დასწრებით მან საზეიმო ფიცი დადო, უდანაშაულო ვარო. ასეთია მარად და ყველგან გონებაჩლუნგ, შუბლვიწრო, უნიჭო, უსინდისო, მაგრამ გარეგნულად კანონიერი და უფლებამოსილი კოლეგიების როლი სერიოზულ საქმეთა გადაწყვეტის დროს.

— მაშინ გვიჩვენეთ მკვლელები! — მოსთხოვეს მეფის ელჩებმა.

ასეთი მოთხოვნა დააბნევდა ვისაც გაებავთ, მაგრამ პასქალის მსგავს გამოუსწორებელ ფარისეველს კი წარბსაც ვერ შეუხრიდა. სრულიად არ დაფიქრებულა, ისე ქედმაღლურად მიუგო, რომ ცილისმწამებელთა დამსჯელნი საერთო სამართალს არ ემორჩილებიან და მისი ვალია წმინდა მართლმსაჯულების დაცვა ყოველი მბრძანებლის წყრომისაგან, ვინც არ უნდა იყოს.

მატიანე მხოლოდ იმას დასძენს, რომ ლუდოვიკო კეთილმსახურმა ვერ სცნო შესაძლებლად ეკლესიის ავტორიტეტის შელახვა. ხელმწიფე მიხვდა: თუ კვლევა-ძიებას განაგრძობდა, იძულებული გახდებოდა პაპი — მკვლელი გადაეცა ჯალათებისათვის; პაპის თავის მოკვეთა ქრისტიანობის ძალაუფლებას შეარყევდა, ლუდოვიკო კი კეთილი ქრისტიანი იყო.

უთქმელადაც ნათელია, ეკლესიამ პასქალი წმინდანად შერაცხა. გულახდილად უნდა ვთქვათ, ასეთი პატივის ღირსი იყო კიდეც: რატომ არ უნდა გამხდარიყო მკვლელი წმინდანი, როცა წმინდანთა პლეადას უკვე ამშვენებდა მრავალი ავაზაკი და ტიაროსანი არამზადა?

ყოველწლიურად 4 მაისს კეთილმსახური კათოლიკენი ამ წმინდანის პატივსაცემად პარაკლისს იხდიან.

დააბრუნეთ ფული!

● პასქალის ჩაძაღლების შემდეგ ერთ ტახტზე ორი პაპი ავიდა. რომაელები იტყოდნენ: ტიფს მივუმატოთ ყვავილი სახადის შემდეგ!

უბედურებას მეორეც მოჰყვება! რომს ბედი დაენავსა... ასეთი მდგო-
უბედურებას მეორეც მოჰყვება! რომ ბედი დაენავსა... ასეთი მდგო-
მარობა მცირე ხანს გრძელდებოდა.

ქალაქის მოხელეებმა, სასულიერო წოდებამ და დიდებულებმა ზოსიმე აირჩიეს, მაგრამ ის მალე იძულებული გახდა ადგილი დაეთმო ევგენ მეორისათვის, რომელიც ხალხმა წამოაყენა.

როცა ეს უკანასკნელი ტახტზე დაჯდა და მტკიცედ დამკვიდრდა, თავში ერთი შავბედითი აზრი მოუვიდა: მოდი, ლუდოვიკო კეთილშსახურს შევატყობინებ იმ არეულობის ამბავს, რაც ჩემი არჩევის დროს რომში მოხდა, იქნებ ჩემი მოწინააღმდეგეები სასტიკად დავსაჯოო. მეფემ ისმინა პაპის თხოვნა და თავისი შვილი ლოთარი აახლა, სენ-დენის მონასტრის აბატთან ერთად: მაგრამ ახალგაზრდა პრინცმა ვერ გაამართლა ევგენი მეორის იმედები. ლოთარი სულაც არ ფიქრობდა პაპის შურისძიების ბრმა იარაღი ყოფილიყო. პრინცს დავალებული ჰქონდა გულმოდგინე კვლევა-ძიების ჩატარება, და როგორც კი რომში ჩავიდა, საქვეყნოდ განაცხადა, მზად ვარ მოვისმინო მოქალაქეთა ყველა საჩივარი, თუ ვინმე ნაწყენია საეკლესიო ხელისუფალთაგან.

ურიცხვი უბედური ოჯახი გამხდარიყო ადრინდელი მღვდელმთავრების უკაცურობის მსხვერპლი, დაჩაგრულთა და დამცირებულთა მთელი ჯარი დაიძრა. მუხლმოყრილნი ევედრებოდნენ ლოთარს, გვიშველე, გვიხსენი პაპისა და მის მსახურთა უკეთურობისაგანო. ამრიგად, ფრანგთა მეფისწულმა გაიგო პაპის ტახტის მთელი უსამართლობის, ანგარების და ბოროტების ამბავი, რომლის ერთადერთი მიზანი იყო ხალხის ქონების დასაკუთრება, მოქალაქეთა გაძარცვა.

ლოთარმა წმინდა მამას უბრძანა დაებრუნებინა ყველასათვის წართმეული მიწები და ქონება.

ევგენი თმას იგლეჯდა, ფრჩხილებს იკვნეტდა, ნანობდა თავის დაუდევრობას; მაგრამ რა გზა ჰქონდა, ბრძანება შეასრულა, რადგან, როგორც მკითხველს მოეხსენება, სხვა გამოსავალი არა ჰქონდა.

ხატთგაღმერთება

● როგორც გენებოთ და ევგენი II მაინც საკმაოდ გულგრილი და ზომიერი კაცი გახლდათ. არამზადას ვერ უწოდებდით, მხოლოდ

ესაა, პასქალ პირველის მაგალითს მიჰყვა, დაკარგული ქონების ანაზღაურების მიზნით სპეკულაცია წამოიწყო. ადვილი დასაჯერებელია, რომ ღვთისნიერი კაცი იყო, ღმერთი უთუოდ სწამდა, რადგან თუ მის თანამედროვე ავტორებს ვერწმუნებით, დაშაშხულ ვირთევზასავით უმეცარი გახლდათ.

იმ ეპოქაში ხატების თაყვანისცემამ ისეთ საზღვარს მიაღწია, რომ ლუდოვიკო კეთილმსახურმა და ფრანგმა ეპისკოპოსებმა მოითხოვეს საეკლესიო კრების მოწვევა, რათა ოდნავ მაინც ზღვარი დაედოთ ხატების თაყვანისცემისათვის.

მრავალი მღვდელი, ჩემის აზრით, უაღრესად ფხიანი აღმოჩნდა. ასე, მაგალითად, ზოგიერთები საღებავს ფხეკდნენ, ფხვნილს ღვინოში ყრიდნენ და მორწმუნეებს ასმევდნენ ზიარების დროს. სხვები სეფისკვერს აჩეჩებდნენ ქანდაკებას; აქედან კი მორწმუნეებს უფლება ეძლეოდათ გარკვეული გამოსასყიდის ფასად აეღოთ.

თვითონ ევგენი II ხატგაღმერთების თავგამოდებული მომხრე იყო, ხატის კულტი ჰქონდა გამჯდარი ძვალსა და რბილში, მაგრამ ფრანგთა იმპერატორის წინაშე უძლური იყო და იძულებული გახდა დათანხმებულიყო, რომ მომავალი წლისათვის ყრილობა მოეწყო.

ხანგრძლივი განსჯის შემდეგ ყრილობამ შემდეგი სასაცილო გადაწყვეტილება გამოიტანა: „ყოველგვარი ხატი, ღვთის კანონით, კერპია, მაგრამ მისი ყოველგვარი თაყვანისცემა — კერპთაყვანისმცემლობაა“.

აბა ერთი სცადეთ ასეთი იკლიკანტური სიბრძნის ხვეულებში გარკვევა! ვინც ვერ გაიგებს, ერეტიკოსად გამოცხადდება და მარადიულ სატანჯველს თავს ვერ დააღწევს.

ევგენი მეორის პონტიფიკაციის დასასრულს სასულიერო წოდების გარყვნილობამ ისეთ საზღვარს მიაღწია, რომ ერთიანი საფრთხე შეიქნა, განსაკუთრებით მონასტრებში, ასე რომ პაპმა იტალიის ყველა პრელატის ყრილობა მოიწვია, სხვა გამოსავალი ვერ მონახა. ამის შედეგად გამოიცა ბრძანებულება, რაც ეკლესიის მსახურთ მაღალი ზნეობისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ გახრწნილი კლირიკები თავაშვებულ ღრეობასა და ცოდვის მორევში ცურვას განაგრძობდნენ. არც მღვდელები, არც დიაკვნები, არც მორწმუნენი არ იღებდნენ ; ხელს თავიანთ ზნეზე.

მაშინდელი სასულიერო წოდების უმეცრებაზე რომ წარმოდგენა იქონიოთ, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ეპისკოპოსები, რომლებიც ნათლობას სათანადო წესით ასრულებდნენ და „მრწამსს“ დაუმახინჯებლად ამბობდნენ, ღრმად განსწავლულ მღვდელმთავრებად ითვლებოდნენ.

მკვლელი, ქურდი,
თაღლითი და გამცემი

● ყველა ეს ეპითეტი და ბევრი სხვა მსგავსი ზედმიწევნით შეეფერება გრიგოლ მეოთხეს.

ამ პაპს ტახტი თექვსმეტი წელიწადი ეჭირა, 824 წლიდან მოყოლებული, და მეტი საძაგლობა ჩაიდინა, ვიდრე ათიოდე პირწავარდნილმა ავაზაკმა, ერთად აღებულმა.

ჩვენ მხოლოდ მის უმთავრეს „საგმირო საქმეებს“ ჩამოვთვლით“.

პაპენბროკის სიტყვით, გრიგოლ მეოთხეს თავის წინამორბედის მოკვლას აბრალებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ პატივცემულ პაპენბროკს სულაც ჭერ ჩავთვლით წმინდა ტახტის მტრად: 1628 წელს ბელგიაში დაბადებული ეს იეზუიტი ამთავრებს „წმინდანთა ცხოვრების“ („აქტა სანქტორუმ“) დიდ ნაწილს. ეს წიგნი ბოლანდმა დაიწყო.

„რომაელებს, — წერს ისტორიკოსი, — ეშინოდათ ფრანგთა მეფის ლუდოვიკო კეთილმსახურის რისხვისა და არ თანხმდებოდნენ გრიგოლ მეოთხის აოჩევაზე, ელჩები გაუგზავნეს ხელმწიფეს და სთხოვეს, წარმომადგენლები მოგვაშველე, პაპის არჩევნების დროს კანონიერება შეამოწმონო. როცა რომში ფრანგთა ელჩები ჩამოვიდნენ, გრიგოლმა ისინი საჩუქრებით აავსო და ტიარაც მიიღო. მაგრამ გავიდა ხანი და ლუდოვიკომ პაპს აღშფოთების წერილი მოსწერა, გადაყენებით ემუქრებოდა და პირდაპირ ეუბნებოდა, ხრიკებისა და ძალადობის გზით გაქვსო ტახტი მოპოვებული. ამას გარდა, მეფე უაღრესად სასტიკად აფრთხილებდა, შეწყვიტე გარყვნილი ცხოვრება, შეაჩერე ორგიები და შეცვალე ცხოვრების მთელი სახე, რათა შენი სამარცხვინო წარსული გამოისყიდო ამითო“.

გრიგოლს უარი არ უთქვამს... დაპირებაზე! სინამდვილეში კი ჯავრი გულში შეინახა და ფიცი დადო, გადავუხდიო ლუდოვიკოს.

ჩვენ ვნახავთ, რომ გრიგოლმა მოახერხა ფიცის შესრულება.

მალე მეფემ განკარგულება გასცა, სრულიად მიუდგომლად და სამართლიანად გაერჩიათ წმინდა მარიამის სავანის აბატის საჩივარი. აბატი ბრალს სდებდა გრიგოლის წინამორბედს — ადრიანესა და ლევს — მიწის ხუთი ნაკვეთი მიითვისესო. ამ საქმეში გარკვეულმა მეფის მოხელეებმა დაადგინეს, რომის სასახლემ დააბრუნოსო უსამართლოდ მითვისებული მამულები.

განაჩენმა, რომლის სამართლიანობის უარყოფა არანაირად არ შეიძლებოდა, გრიგოლი აღაშფოთა. პაპი ცოფიანს დაემსგავსა. მაშინვე საქმეს შეუდგა და იმდენი მოახერხა, რომ ლუდოვიკო კეთილმსახურს შვილები აუშალა. როცა ლოთარმა საქვეყნოდ გამოაცხადა თავისი გამოსვლა მამის წინააღმდეგ, პაპი დაუყოვნებლივ საფრანგეთში ჩავიდა, რათა პრინცისათვის დახმარება გაეწია.

ჯერ სახარების მცნებას მიჰყვა, ლუდოვიკოს ბანაკში გამრცხადდა ვითომ და იმ მიზნით, რომ მეფე შვილებთან შეერიგებინა. მეფის მეტისმეტი მიმნდობლობითა და გულუბრყვილობით მოხერხებულად ისარგებლა, ტყუილად დროს არ კარგავდა. პაპმა შეისწავლა მისი ჯარების განლაგება, აქეზებდა სარდლებს, დაპირებებითა და მუქარით იკეთებდა საქმეს და ასრულებდა საზიზღარი ქვეწარმავლის, ორპირი ჯაშუშისა და ფარისევლის როლს.

იმავე ღამეს, როგორც კი გრიგოლი ბანაკიდან წავიდა, ჯარისკაცები ლოთარის მხარეზე გადავიდნენ, და სასოწარკვეთილი ლუდოვიკო, რომელმაც ჯოჯოხეთური ღალატის მთელი სიმწარე იგრძნო, დანებდა.

გრიგოლი არც ამით დაკმაყოფილდა. ეს ჯოჯოხეთის მოციქული შურისძიების წყურვილმა არ მოასვენა. შვილი ხომ მამას აუმხედრა, მაგრამ როცა გაიგო, რომ შვილებმა მამასთან შეხვერდის დროს მაინც ერთგვარი მორიდება გამოიჩინეს, ლამის გაგიჟდა.

პაპმა მოითხოვა, რომ შვილებს მამა დაეპატიმრებინათ და მეფის წოდების ჩამორთმევით პატივი აეყარათ. გაბრიყვებულმა მემკვიდრეებმაც მომნანიებლის პერანგი ჩააცვეს და საქვეყნოდ, უზარმაზარი ბრბოს თვალწინ აიძულეს მოენანიებინა ყველა შეცოდება, რაც თითქოს შვილების წინაშე მიუძღოდა. ამის შემდეგ ლოთარმა, ამ დამთხვეულმა მოძალადემ, მამა მონასტერში ჩაკეტა და მამის ტახტი თვითონ დაიჭირა.

ასე მოახდინა გრიგოლმა ტახტის მიტაცების ორგანიზაცია, და-

ლოცა ეს ვერაგული საქმე და რომში ტრიუმფით დაბრუნდა. მაგრამ გავიდა მცირე ხანი და მოძალადე ლოთარის საქციელით აღშფოთებული მამაცი ფრანგი ხალხი ამხედრდა, ტახტის მიმტაცებელი დამხობილად გამოაცხადეს და გვირგვინი ლუდოვიკოს დაუბრუნეს.

მოხუცმა მეფემ თავის მხრივ პაპისათვის სამაგიეროს გადახდა მოიწადინა. რა თქმა უნდა, მისი გრძნობა სავსებით გასაგები მიზეზებით იყო გამოწვეული. სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ პირადად ჩასულიყო რომში ლაჩარი და ვერაგი, გაიძვერა და მუხანათი პაპისათვის სამაგიეროს გადასახდელად, გულუბრყვილო ლუდოვიკომ ისევ წარმომადგენლები გაგზავნა და დაავალა: გამოარკვიეთ, პაპი ჩემი შვილების ამბოხებაში თუ მონაწილეობდაო.

წმინდა მამა, რა თქმა უნდა, თავის მართლებას შეუდგა. ყველაფერი იფიცა. ამ საქმეში ჩემი ხელი არ ურევიაო.

ეშმაკმა დალახვროს! გახვრეტილი გროში იყო მისი და მისი კოლეგების ფიცის ფასი, მაგრამ პაპის ფიცს ვინ არ დაიჯერებდა!

გრიგოლმა წმინდა სახარებაზე დაიფიცა, ყოვლად კეთილი ზრახვები მამოქმედებდაო, შენი ერთგული ვარო, არწმუნებდა ლუდოვიკოს, თავის სამსახურს სთავაზობდა შვილების წინააღმდეგ ეს იაფფასიანი ფარისეველი, მეამბოხეებს უწოდებდა, საჩუქრებით ავსებდა ელჩებს.

მცირე საჩუქარი მეგობრობას განამტკიცებს ხოლმე.

ლუდოვიკო კეთილმსახურს, რომელიც ჭეშმარიტად თავისი ზედწოდების ღირსი იყო, სამწუხაროდ ერთი სუსტი მხარე ჰქონდა: ზედმეტ გულკეთილობას იჩენდა, ყველაფერი აპატია შვილებსაც და პაპსაც. მოგვიანებით ისე შორს წავიდა ამ თავის გულუბრყვილო კეთილმსახურების გზაზე, რომ თავის დამღუპველ პაპს დახმარებაც კი გაუწია, როდესაც პაპის ახალი ვერაგული ღალატით აღშფოთებულმა ლოთარმა თავის ოფიცრებს უბრძანა სასტიკად გაესწორებინათ ანგარიში კათოლიკური ეკლესიის მსახურთათვის და პირადად პაპისათვის.

ამის შემდეგ გრიგოლმა, როგორც იტყვიან, მარილი წაიღო. მისი ცოდვილი სული სატანამ მიიბარა, თორემ, უეჭველია, თავის გულკეთილობას კიდევ გამოიჩენდა და საფრანგეთის მეფეს ახალი ოინით გააკვირვებდა.

აი, რა გაიძვერა ვინმეების თაყვანისცემას მოითხოვს ეკლესია

თავისი მორჩილი ცხვრებისაგან! პიუს მეცხრეს რომ ჰკითხო, ღვარძლიანი ბერიკაცი პაპის უცოდვილობის დეკრეტს აქვეყნებს და პირწავარდნილ არამზადებს მამა აბრამის ბატკნებად აცხადებს!

სინამდვილეში კი მარტო ეს სიაც იკმარებდა, რომ გამოფენაზე გამოგვეტანა მანკიერების ყველა სახეობა!

ღორის დინგი

❹ „ოს პორკი"—„ღორის დინგი",—ასე ეძახდნენ უტვინო, უმეცარ და უსინდისო პაპს, რომელმაც გრიგოლ IV შეცვალა. არჩევის შემდეგ ეს მანამდე შეუმჩნეველი ღორი დაუყოვნებლივ შეეცადა შეეცვალა სახელი და იწოდა სერგი მეორედ.

ამ ტირანის შემდეგ წესად შემოიღეს, რომ ტახტზე ასვლის შემდეგ პაპებს სახელი გამოეცვალათ. სახელს იცვლიდნენ, ცოდვა რჩებოდა.

იმასაც ამბობდნენ, სერგი II ურიგო კაცი არ იყო. საუბედუროდ, მას ჰყავდა ძმა ბენედიქტე, რომელსაც ადმინისტრაციული ძალაუფლება ებარა და ამიტომ ქვეყანა გააწამა თაღლითობით.

ცბიერი იყო, მექრთამე, გამობრძმედილი თაღლითი, ქურდობა და ძარცვა ისეთივე დამშვიდებული სინდისით შეეძლო, როგორც სხვა ადამიანებს მოწყალების გაცემა შეუძლიათ.

ბენედიქტე საჯარო ვაჭრობით ყიდდა ეპისკოპოსის წოდებას, და ვინც მეტს გადაიხდიდა, გამარჯვებასაც ის აღწევდა. თუ პაპი თვითონ უწესობას არ სჩადის, უმსგავსობით მისი მახლობლები იჩენენ თავს, და არც ერთ შემთხვევაში არა რჩება წაგებული ის, ვინც პაპის ეგიდის ქვეშ იმყოფება.

მართალია, ხალხი წოდებებს ტყუილად არ იძლევა, მაგრამ თუ პაპი ღორი იყო, მისი დინგის მაგიერობას მისი ძმა ასრულებდა.

მონაზვნები და წმინდა მამა

❺ სერგი II შეცვალა ლევ მეოთხემ. ამ კაცის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. კათოლიკურ სამყაროს მწერალთა უმრავლესობა მისი

კეთილი საქმეების აღნუსხვას ცდილობს, დანარჩენები, არანაკლებ განათლებული ავტორები აძტკიცებენ, რომ ამ პაპმა საკუთარ სახლში დედათა მონასტერი გამართა და დროს თავაწყვეტილ ღრეობა-გარყვნილებაში ატარებდა. ბრალს სდებდნენ, საზიზღარი ძუნწი და წუწურაქი იყო, ამასთან სახელგანთქმული აბატის ლუი დე ფერიეს ჩანაწერებს იმოწმებდნენ. ეს აბატი მოგვითხრობს: ვიდრე რომში ელჩად წავიდოდი, უმდიდრესი საჩუქრების მომარაგება დამჭირდა, რადგან „ასეთი აუცილებელი სამზადისის გარეშე ლევ მეოთხესთან მიახლოებაც კი შეუძლებელი იყო".

იმ ეპოქის გახრწნილ რომში სრულიად ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა ის ამბავი, რომ ეკლესიის დიდკაცობა ხელქვეითების ჯიბეებში ყოფდა ხელებს. ლევ IV, როგორც წერილი, ხალხის სასიცოცხლო ძარღვებიდან წოვდა სისხლს და იმავე დროს საარაკო თანხებს ხარჯავდა თავისი ჯოჯოხეთური ნადიმებისათვის, რომის იმპერატორთა ღრეობას რომ მოგვაგონებდა.

რომის ღარიბობა იმავე დროს საშინელ სიღარიბეში ღაფავდა სულს, პაპი ლევი კი არაბების შემოსევის დროს დაქცეულ წმინდა პეტრეს ტაძრის აღდგენაზე ხარჯავდა განუზომელ თანხებს. ძვირფას ქსოვილებს, ხალიჩებს, გობელინებს ყიდულობდა. ჯვრებს, ჭურჭლებსა და შანდლებს ოქროთი ფარავდა. წმინდა პეტრეს საეკვო საფლავზე აღმართა ოქროს ფილა, ძვირფასი თვლებით მოჭედილი, ბარელიეფზე კი თავისი და მეფის პორტრეტები საუკუნოდ უკვდავჰყო. სამარხს გარშემო შემოავლო იშვიათი ხელოვნებით მოვარაყებული ვერცხლის ფართო ჩარჩო. მაგრამ ყველაფერს ჩრდილავდა უზარმაზარი სანაწილე, სუფთა ვერცხლისაგან გამოჭედილი თავისებური ლუსკუმი, რომლის წონა იყო ათას ექვსასი გირვანქა.

ქრისტიანული უანგარობის რა ამაღელვებელი მაგალითია!

საერთო ჯამში წმინდა პეტრეს ტაძრის მორთვასა და მის მღვდელთა დასაჩუქრებაზე პაპმა დახარჯა სამი ათას რვაას სამოცი ლივრი ვერცხლით და ორი ათასამდე ოქროთი.

უბედურ ხალხს, ოფლის ღვრით რომ ძლივს შოულობდა ლუკმაპურს და ბევრად მეტ ნაკლებობას განიცდიდა, ვიდრე ჰქონდა დამსახურებული ადამის ცოდვისათვის მის შთამომავალ ადამიანს, — პირველი მღვდელმთავარი ციურ სასუფეველს ჰპირდებოდა, თუ მორჩილებაზე უარს არ იტყოდა.

ამიტომ ითმინეთ! იშიმშილეთ! ადიდეთ!
მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო!

პაპი ქალი იოანა

ზოგიერთი ბრმა ფანატიკოსის თავგამოდებული პროტესტების მიუხედავად, პაპი ქალის იოანას არსებობა დამტკიცებულია და მისი უარყოფა აღარავის არ შეუძლია. ამ მანდილოსანმა ლევ IV შეცვალა და ტახტზე იჯდა დაახლოებით ორი წელიწადი, ვიდრე მშობიარობას გადაჰყვებოდა.

თავისი ქალობა რომ დაეფარა, სასიყვარულო თავგადასავლებს უსასტიკესი საიდუმლოებით იცავდა და ამიტომ მოსახლეობაში უმანკოების სახელი დაიგდო. მისი ამაღელვებელი სათნოების სახელი ისე მტკიცედ დამკვიდრდა რომში, რომ ბუნდოვანი წარსულის პატრონი ავანტურისტი ქალი ერთხმად აირჩიეს საქრისტიანოს პირველ მღვდელმთავრად.

მაგრამ სიმართლე უ-და ითქვას, იოანა, მერვედ წოდებული, ღირსეულ ადგილს იჭერს მანკიერ და სასტიკ პაპთა შორის, რადგან ამ დედაკაცის (სწორედ რომ დედა-კაცის!) მოჩვენებითი სათნოება და სიწმინდე მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი იყო, რასაც წინდახედულად ატარებდა ეს ფარისეველი თავიდანვე, ჯერ კიდევ ნორჩი ქალიშვილი, რათა უმაგალითო პატივმოყვარეობის წყურვილი მოეკლა.

იოანა პაპთა ოფიციალურ სიაში არ შეაქვთ, მის არსებობას მაინც ეჭვის ქვეშ აყენებენ, მაგრამ მთელმა ქვეყნიერებამ იცის: იოანას აღსასრული ტრაგიკული იყო, და მაშასადამე ის არსებობდა. ამაღლების დღეს, როცა ჩვეულებრივ ჯვარს ამაღლებენ და მსვლელობას აწყობენ, პირველი მღვდელმთავრის სამოსელში გამოწყობილი პორფიროსანი დედაკაცი დიდ საზეიმო პროცესიას მიუძღოდა, ცხენზე ამხედრებული, როგორც წესია, გარშემო ეპისკოპოსები და მხედრიონი, კარისკაცები და უთვალავი ხალხის ბრბო ეხვია და ის მიემართებოდა წმინდა პეტრეს ბაზილიკაში.

გზად ასეთი ზარ-ზეიმით მიმავალ „პაპესას“ ისეთმა ტკივილებმა მოუარეს, რომ ცხენიდან გადმოვარდა და ქუჩაში დაეცა. ეს მშობიარობის ტკივილები გახლდათ. მისი უწმინდესობა დედამიწაზე

გორაობდა, იგრიხებოდა, იკლაკნებოდა, კიოდა, წიოდა და არადამიანური გოდებით ძრავდა რომს. ბოლოს, როგორც იქნა, შემოიგლიჯა საღვდელმთავრო სამოსელი და საშინელი კრუნჩხვით შვა ყრმა, რომლის შობას აღარაფერი ეშველებოდა, რაკი ერთხელვე ჩაისახა.

იქნება ახალი ღვთისმშობელი გადარჩენილიყო კიდეც, მაგრამ მღვდლებმა არა თუ არავინ მიუშვეს მისაშველებლად, არამედ მჭიდრო წრე შემოარტყეს და კაცის შვილს არ დაანახეს ფარდაახდილი წმინდა მამა, რომელიც სინამდვილეში დედა აღმოჩნდა, ლანძღვა-გინებით აიკლეს და სიცოცხლე მოუსწრაფეს.

მშობელი დედა რომ, კრუნჩხვით სიკვდილს ებრძოდა, გამძვინვარებულმა წმინდა მამებმა (ვინ იცის, რომელი იყო მამა!) უდანაშაულო ყრმას დაატეხეს რისხვა ღვთისა, სტაცეს ხელი და გაგუდეს.

პაპი-დედაკაცის არსებობის უარმყოფელ ქრისტიან მწერლებს ერთადერთი არგუმენტი აქვთ: პაპის ტახტი წმინდაა და ყოვლის შეძლე ღმერთი არ დაუშვებდა გახრწნილი დედაკაცის ასვლას წმინდა პეტრეს ტახტზე, რომელიც თვითონ იესო ქრისტემ დაამტკიცაო.

მაგარი საბუთია, ვერაფერს იტყვი!

ისღა დაგვრჩენია, გავიმეოროთ იგივე კითხვა, რაც თავის დროზე ისტორიკოსმა მორის ლაშატრმა დასვა: „როგორღა მოითმინა შემოქმედმა ყველა დანაშაული, ღვთის გმობა და საზიზღრობანი, რაც რომის ეპისკოპოსებს დაუმტკიცდათ? როგორ დაუშვა განგებამ, რომ წმინდა ტახტი ერეტიკოსმა პაპებმა გათელეს, შეაგინეს, დაამცირეს, შებილწეს, ლაფში ამოსვარეს რჯულის შემრყვნელებმა, მამათმავლებმა და მკვლელებმა?“

ბარონიუსი, პაპობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავგამოდებული დამცველი, იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ბონიფაციუს VI და სტეფანე VII საზიზღარი არამზადები იყვნენ, რომელთაც თავიანთი ბინძური ნამოქმედარით შეარცხვინეს უფლის სახლი. მკვლევარი ბრალს სდებს ამ მღვდელმთავრებს იმაში, რომ ეკლესიის უსასტიკეს მტრებს გადააჭარბეს

ეპისკოპოსი ჟენებრარი ამტკიცებს, რომ „ორი საუკუნის განმავლობაში წმინდა ტახტი ეჭირათ გახრწნილ პაპებს, ნამდვილ ურჯულოებს. მათ აპოსტატები უნდა ვუწოდოთ და არა აპოსტოლები*. საეკ-

* აპოსტოლი (ბერძნ.)—მოციქული, აპოსტატი—რჯულგანდგომილი, მტერი.

ლესიო საქმეებს დედაკაცები განაგებდნენ. პირველი მღვდელმთავრის ტახტი ამ წლების განმავლობაში როსკიპი ქალების საწოლ ოთახებში იდგა". მართლაც, თეოდორა და მაროცია, გათავხედებული შეძავები, ფაქტიურად მთელს რომს განაგებდნენ და სახელმწიფო საქმეებს ისე ატრიალებდნენ, როგორც მათი ქვენა გრძნობების კარნახით მოეხასიათებოდათ. წმინდა ტახტზე სვამდნენ თავიანთ საყვარლებს ან შვილებს, რომელთა მამები ერთიმეორეში ერეოდათ, და მატიანე ამ მანდილოსნებზე ისეთ აღმაშფოთებელ წვრილმანებს მოგვითხრობს, რომ თქვენი უმორჩილესი მონა მათ გამეორებას ველარ გაბედავს.

ყველაფერი ეს ისტორია გახლავთ, ბატონო კლერიკალებო. ეს არის თქვენი ისტორია.

ვისია ტიარა?

● ბენედიქტე III ტახტზე ავიდა იოანა-პაპი ქალის გარდაცვალების შემდეგ. მისმა არჩევამ აღაშფოთა მღვდელი ანასტასი, რომელსაც კარისკაცთა შორის ბევრი გავლენიანი მომხრე ჰყავდა. პატივმოყვარე მეტოქე ლატერანის სასახლეში შეიჭრა, ლანძღვა-გინებით ააქოთა იქაურობა, რაც ისედაც აქოთებული იყო, წმინდა სამოსელი შემოაგლიჯა ბენედიქტეს და, მომიტევეთ ასეთი გამოთქმების ხმარება, თავისი კარდინალის ჯვრით მიბეგვა კიდეც საცოდავი. მღვდლებმაც იყნოსეს, რომ მათი ახალი ბატონი ცხვებოდა, თავის მხრივ მისი გულის მოგების მიზნით ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეს, ბენედიქტე ტახტიდან ჩამოათრიეს, გათოკეს და გაჯოხეს. შემდეგ კი სახლიდან ისე გააგდეს, სულ კუდით ქვა ასროლინეს.

მაგრამ ანასტასს გამარჯვებით ტკბობა დიდხანს არ ეწერა: რომში აჯანყებამ იფეთქა, ქუჩებში ზედახოცვა გაიმართა. აქეთ პაპისტები იდგნენ, იქით ანტიპაპისტები და შეიქმნა ერთი ორომტრიალი. საქმე იმით დამთავრდა, რომ ანასტასს თავსლაფი დააჯეს და სასახლიდან განდევნეს.

ახლა ტიარა ისევ ბენედიქტეს ხელში გადავიდა და კიდევაც შეინარჩუნა სიკვდილის დღემდე, რაც სამი წლის შემდეგ დაუდგა.

● მგონი, მხოლოდ ლათინურ ენას გააჩნია უნარი შესაფერისი ძალით ასახოს, დახატოს, გადმოგვცეს სიღრმე საზიზღრობისა, რითაც აღსავსეა პაპობის ისტორია, და იმ დანაშაულობათა, რომლებშიც ქრისტეს მოადგილეები იყვნენ პირდაპირ თუ ნაწილობრივ ჩათრეული.

რაიმსის არქიეპისკოპოსის გინკმარის წინადადებით პაპმა ბენედიქტე მესამემ ეკლესიის მსახურთა ზედა ფენა შეკრიბა იმ მიზნით, რომ გავსამართლებინათ დიაკონი გუბერტი, მეფე ლოთარის ცოლისძმა.

პატივცემულმა დიაკონმა გუბერტმა დედათა მონასტერი საროსკიპოდ აქცია და ამ სამარცხვინო დაწესებულებიდან უზარმაზარ შემოხავალს იღებდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გინკმარი გუბერტს ბრალად სდებდა უწესო კავშირს დედოფალთან — თავის ღვიძლ დასთან.

ამის გამო გინკმარმა მის უწმინდესობას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ფარდას ხდიდა საშინელ დანაშაულს: ლოთარის ცოლი, მშვენიერი ტეუტბერგი სისხლის აღმრევია, უზენაეს კავშირშია თავის ძმასთანო. არქიეპისკოპოსის სიტყვით, დედოფალმა აღიარა, უსაზიზღრესი ქვენა გრძნობების მოზღვავების დროს ერთხელ შემაცდინაო, რის შედეგადაც დედოფალს მუცელი ეძრა, და თავისი სოდომური დანაშაულის დაფარვის მიზნით დიაკონმა თურმე საკუთარი გულარძნილი სიყვარულის ნაყოფი დაახრჩო.

„არასოდეს, — დასძენს სწავლული პრელატი, — დედაკაცს არ შეუძლია დაორსულება, თუ მამაკაცთან ინტიმური კავშირი არ დაიჭირა... უწმინდესმა მარიამმა ყრმა შვა უზენაესის განსაკუთრებული ნებართვით, ქალწულობაც იმავე უფლის ნებით შეინარჩუნა ძას შემდეგ, რაც დედა გახდა, მაგრამ ჩვეულებრივი ქალი...“

მრავალი გვერდი შეავსო პრელატმა, ბევრი ეტრატი დახარჯა ამ საქმეზე, და თავს დამნაშავედ გრძნობს, პირველ ღვდელმთავარს პატიებას სთხოვს კადნიერებისათვის: არ უნდა ეკადრაო ასეთი რამეების წერა ჩემი ხარისხის პატრონის, მაგრამ ვერა, დუმილი ვერ შევძელიო.

მალე აშკარა გახდა, რომ ამისათვის წერილის დასაწყისში უნდა ეფიქრა და ცოტათი მაინც შეერბილებინა თავისი მკაცრი სტილი. მაგრამ მაშინ შთამომავლობა დაკარგავდა ამ ბრწყინვალე ლიტერატურულ ძეგლს, რაშიაც აისახა ეკლესიის მოღვაწეთა საქმეც და სიტყვაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ მოგებული დავრჩით.

დედაკაცთა ხრიკები

● ბენედიქტე III ისე გარდაიცვალა, რომ დიაკონ გუბერტისა და მისი გარყვნილი დის ტეუტბერგის გასამართლებას ვერ მოესწრო, რომაელები ელოდნენ მეფე ლუდოვიკო გერმანელის ჩამოსვლას, რომ ახალი პაპის არჩევის საკითხი გადაეწყვიტათ.

ბოლოს მეფეც ჩამოვიდა. დაიწყო არჩევნები. ხმების უმრავლესობა მიიღო ნიკოლოზმა, წარჩინებული გვარის ახალგაზრდა მღვდელმა, რომელიც ბენედიქტეს მდივნად მუშაობდა.

უკვე ცერემონიების მსვლელობაში ახალმა პაპმა თავი გამოიჩინა, როგორც პაპის ძალაუფლების თავგამოდებულმა დამცველმა, პაპთა ავტორიტეტისათვის მებრძოლმა, ამასთან მეტი თავხედობა და ქედმაღლობა გამოამჟღავნა, ვიდრე მისმა ყველა წინამორბედმა.

ნიკოლოზმა მოისურვა, რომ მის გამოჩენაზე მეფეს ქუდი მოეხადა, ფეხით მიჰყოლოდა პროცესიას და პაპის ცხენის სადავე დაეჭირა წმინდა პეტრეს ბაზილიკიდან ვიდრე ლატერანის სასახლემდე. ქედმაღალ მეუფეს საკადრისი მონა შეხვდა. ლუდოვიკომ ბრმად შეასრულა ყველა მოთხოვნა გუშინდელი დიაკვნისა, დამატებით კი გამომშვიდობების დროს ამ დუხჭირმა მეფე-წმინდანმა პაპის წინაშე მუხლი მოიყარა, სამჯერ დაჰკრა შუბლი მიწას და პაპის ფეხსაცმელს ეამბორა!

ბრალდება, რაც არქიეპისკოპოსმა გინკმარმა წაუყენა ტეუტბერგსა და გუბერტს, ის იყო მიივიწყეს კიდეც. მსგავსი სკანდალური ამბები საკმაოდ ხშირად ხდებოდა და კლირი მათ დუმილით უვლიდა ხოლმე გვერდს. მაგრამ და-ძმას ისევ წაასწრეს დანაშაულის ადგილზე. ბედგამწყრალი ლოთარის ცოლი შეიპყრეს და განაჩენის გამოტანამდე მონასტერში გამოამწყვდიეს. საქმე სამეფოს ეპისკოპოსებს

გადაეცათ. მაგრამ ზნედაცემულ ქალს ქმრის რისხვისა შეეშინდა, მონასტრიდან გაიქცა და ეყო პირუტყვული უსირცხვილობა, რომ ისევ თავის გახრწნილ-გადაგვარებულ ძმასთან და კუროსთან ერთად ეძებნა თავშესაფარი კარლ მელოტის სასახლეში. ეტყობა, ამ მეფეს, მიუხედავად იმისა, რომ მელოტი იყო, რაღაც ჯადო ჰქონია, რომ ტეუტბერგი პირველსავე ღამეს მისი საყვარელი გახდა. ამნაირ ქალს თავისი მხსნელი სიმდიდრე ყველგან თან დააქვსო, ამბობდა ხალხი.

მაგრამ დედოფალს მალე მოსწყინდა უბრალო საყვარლის მდგომარეობა, და მისი მაღალი წოდებისათვის საკადრისი თავხედობით მიატოვა მელოტის სასახლე, დაჰკრა ფეხი და პირდაპირ რომის პაპს ესტუმრა, ფრანგთა ეპისკოპოსებს უჩივლა, ასეთი უღმერთო ბრალდება წამომიყენესო

ლოთარსაც შეეშინდა, ვაითუ ჩემმა მოღალატე ცოლმა წმინდა ტახტი ამიმხედროსო, მაშინვე დაფაცურდა, პაპს შუაკაცები მიუგზავნა, რათა დაერწმუნებინათ, ეს გახრწნილი დედოფალი ყოველგვარი საძაგლობის მოქმედია და არ შეგაცდინოსო.

მაგრამ დედოფალმა ტეუტბერგმა უკვე შეაცდინა ნიკოლოზ პირველი, და განა მარტო ახალგაზრდა ნიკოლოზი? ცბიერ დედაკაცს ყველა კარისკაცისთვის ეყო ღიმილი და შებილწული სხეული. სულელი ხომ არაა თქვენი მეფეო, ფიქრობდნენ გულში, ფრანგთა ელჩებს რომ უსმენდნენ, ჩვენი ოცნებაც სწორედ ისაა, ასეთმა მზეთუნახავმა შეგვაცდინოსო!

მოკლედ რომ ვთქვათ, საეკლესიო კრებამ დედოფალი უმანკო კრავად გამოაცხადა (რა ხშირად ყოფილა უმანკოება სიბილწის ნიღაბი) და შეჩვენების მუქარით აიძულა მეფე გარყვნილ ცოლს შერიგებოდა.

საეკლესიო მართლმსაჯულება, ვოდევილების მსახიობი ქალისა არ იყოს, დედაკაცის ყოველგვარ ხრიკსა და ოინს აღმერთებს!

გავიხსენებთ კიდევ ერთ ეპიზოდს იმ ეპოქიდან. ცოტა მოგვიანებით იმ დღიდან, რაც მეფე ლოთარი სამუდამოდ მონათლეს რქოსნის ტიტულით, პაპმა მოიწვია ახალი კრება, რომელსაც ცოლ-ქმრული ერთგულების დარღვევის ახალი საქმე უნდა გაერჩია. ბრალდება წაუყენეს ჰერცოგ მატფრიდის ასულს, მშვენიერ ინჰელტრუდას, ჰერცოგ ბოსონ ლომბარდიელის მეუღლეს, რომელმაც ქმარს ძვირფასეულობა მოჰპარა და საყვარელთან ერთად გაიქცა.

აჭჯერად ლესჩმა ქმარმა არ გაიმეტა დამნაშავე ქალი, რომელსაც სინანულის სიტყვაც არ დასცდენია, და თვითონვე იხმარა ყველა ღონისძიება, რომ გაქცეული მეუღლე უკან დაებრუნებინა.

თავდაპირველად რქოსანი ჰერცოგი საკუთარი გულმოდგინებით შეეცადა ამ საქმის მოგვარებას, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ქალთან მუდარით ვერაფერს გახდებოდა, საქმეში რომის პაპი ჩაბა და მისი გავლენის ძალით მოიწადინა სურვილის შესრულება, რომ ქურდსა და მეძავს, ვერაგსა და მოღალატე დედაკაცს თავისი ვალი მოეხადა ქმრისა და... სახელმწიფოს წინაშე.

ნიკოლოზმა ისმინა ჰერცოგის ხვეწნა, კრება მოიწვია მილანში. იქვე დაიბარა ინჰელტრუდა: ქალის დასწრება დააბნევდა კვთილშობილთა სამსჯავროს, ხელს შეუშლიდა სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში. მოღალატე მეუღლის შეჩვენებას ვერ გაბედავდნენ, ქმართან დააბრუნებდნენ.

იმ დროს ლექსიკონში რომ ყოფილიყო სიტყვა „ხმა ჩაიწყვიტე", გახრწნილი დიაცი საკადრის საპუსს გასცემდა პაპს, მაგრამ ასეთი გამოთქმა ალაბათ ჯერ არ შესულიყო ხმარებაში, ამიტომ მოღალატე ცოლმა დუმილი ამჯობინა და მოწვევაზე უარით დაკმაყოფილდა.

ქალი გაასამართლეს, მაგრამ არც ანათემამ გასჭრა, არც შეგონებამ. მაშინ გამოიტანეს ეკლესიიდან განკვეთის გადაწყვეტილება. ინჰელტრუდამ რომ ეს დადგენილება მიიღო, ცეცხლში ისროლა (როგორც შვიდასიოდე წლის შემდეგ ისვრის პაპის ბულას მარტინ ლუთერი!) და პაპის ელჩები სასაცილოდ აიგდო:

— თუ თქვენს წმინდა მამას განუზრახავს კრებები მოიწვიოს, გამოასწოროს მოღალატე ცოლები, ჩაერიოს ადულტერებში, მას საქმე არა ჰქონია, და გადაეცით, რომ ტყუილად ნუ კარგავს დროს, ნუღარ გაირჯება ამ საეკლესიო ბრძანებულებათა გაცემით. უმჯობესი იქნება თავისი გარყვნილი კლირის გამოსწორებისათვის იზრუნოს. ისა სჯობია მონაზვნებს შვილების გაჩვენა აუკრძალოს და საკუთარი სახლიდან გარეკოს სოდომური ცოდვით დამძიმებული მამათმავალნი!

რაც მართალია, მართალია! ასეთი პასუხი ნაწილობრივ ამსუბუქებს ამ ქალის დანაშაულს!

ნიკოლოზ I ერთ-ერთი უძლიერესი პაპი იყო, როგორიც კი ოდე-

სმე წმინდა პეტრეს ტახტზე ასულა, თანაც პატივმოყვარე და ქედმაღალი. ადვილი წარმოსადგენია, რარიგად გაცოფდებოდა, როცა გარყვნილი ქალის ასეთი პასუხი მოისმინა და გაიგო, როგორი პატივითაც შეხვდა მის ელჩებს ჰერცოგის ყოფილი მეუღლე. მაშინვე უბრძანა ლოთარინგიის ეპისკოპოსებს გაეგდოთ ზნედაცემული ქალი ქალაქიდან და მეორე ანათემით დაემუქრა მოურიდებელ დედოფალს, თუ დაუყოვნებლივ ქმარს არ დაუბრუნდებოდა.

ინჰელტრუდამ ერთხელ კიდევ გამოხატა თავისი გულგრილობა მუქარისა და საეკლესიო სასჯელთა მიმართ, გულდამშვიდებით ეახლა კელნის ეპისკოპოსს და მისი სარეცელი გაიზიარა. ასე საქვეყნოდ გახდა ჰერცოგის ნაცოლარი პრვლატის საყვარელი, ისე რომ გახმაურებასაც აღარ მოერიდა.

კეთილგონიერი ტეუტბერგის კვალზე რომ წასულიყო, განდგომის ნაცვლად პაპს ხლებოდა რომში, აუდიენცია ეთხოვა წმინდა მამისათვის, უეჭველია. ანათემისა და განკვეთის ნაცვლად ლოცვა-კურთხევას მიიღებდა. ციურსა თუ მიწიერ საქმეებს მუდამ წარმართავენ პირადი განწყობილებანი ძლიერთა ამა ქვეყნისათა.

ნიკოლოზ მესამეს ანათემის რისხვა უნდა დაეტეხა ინჰელტრუდასთვის, მაგრამ ეტყობა, ამ ქალმა დააინტერესა და ასე შეუთვალა: ყველაფერს გაპატიებ. თუ ჩემთან ჩამოხვალ და იმდენ ვერცხლს მომართმევ, რამდენიც ამ საქმეს მოუხდებაო.

წმინდა მამა ახირებული კავალერიც გამოდგა: ქალის ვიზიტსაც ითხოვდა და ვერცხლის ფულსაც!

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

არქიეპისკოპოსი
ბრალს სდებს ნიკოლოზ პირველს

❍ თუ ნიკოლოზ I სუსტი სქესის ზეგავლენით ზოგჯერ მარცხს განიცდიდა, სამაგიეროდ საერო ხელისუფალთა და საეკლესიო მაგნატებისაგან თავისი ავტორიტეტის სრულ აღიარებას ითხოვდა და ხშირად აღწევდა კიდეეაც — ნაწილობრივ თავისი უპარის, ნაწილობრივ კი კარლოს დიდის მემკვიდრეთა სისუსტის წყალობით.

პაპის განუსაზღვრელმა ქედმაღლობამ, ისევე როგორც მისმა

ბრძანებულებებმა, კათოლიკური ეკლესიის ზოგიერთი დიდი მესვეურის ძლიერი ოპოზიცია გამოიწვია.

მეფე ლოთარის ეპისკოპოსებმა მეცში მოიწვიეს ყრილობა და დაადგინეს, რომ წმინდა მამის ბრძანებათა მიუხედავად სავსებით ამართლებენ მეფე ლოთარის საქციელს — ტეუტბერგთან განქორწინებას.

გოტიეს და ტეუტგოდს, კელნისა და ტრირის არქიეპისკოპოსებს დაევალათ ამ გადაწყვეტილების ჩაბარება წმინდა მამისათვის. ნიკოლოზ პირველმა მეცის ყრილობის მონაწილეებს ქურდებისა და არაკეთილების ხროვა უწოდა, გააუქმა ყრილობის გადაწყვეტილება და ჩამოართვა ეპისკოპოსის წოდება ფრანგთა პრელატებს.

ტეუტგოდმა და გოტიემ ქედი არ მოუხარეს პაპს, არ შეუშინდნენ მუქარას და უმორჩილესი თხოვნით მიმართეს მეფეს, სამაგალითოდ დასაჯე პაპი, რომელმაც მეფის წარმომადგენელთა შეურაცხყოფა გაბედაო.

აი ზოგიერთი ადგილი არქიეპისკოპოს გოტიეს მიმართვისა წმინდა მამისადმი:

„მღვდელმთავარო, შენ შეურაცხგვყავი ჩვენცა და ჩვენნი მოყვასნიც, შენ შეურაცხყავი ყველა ადამიანური უფლება, დაარღვიე ეკლესიის წესდებანი, შენი საქციელით გადააჭარბე ყველა ამპარტავან წინამორბედს. შენი საბჭო შედგება ისეთივე მოსყიდული, თავაშვებული, უზნეო და მექრთამე მღვდლებისა და ბერებისაგან, როგორიც თვითონ შენ ხარ... როგორც ხარბი ქურდი, ისე მოიქეცი, ეკლესიის მთელი საგაძური მიითვისე... შენ ახრჩობ ქრისტიანებს... მხდალო ტირანო, შენ მონათა მონის წოდებას იჩემებ, მაგრამ ღალატის გზას დასდგომიხარ, ოქროსა და ფოლადს იყენებ იმისათვის, რომ გახდე მბრძანებელთა მბრძანებელი... შენ ბედავ და ბიწიერს გვიწოდებ, ცოდვილებად გვრაცხ ჩვენ! მაგრამ რაღას უწოდებ კლირს, რომელიც გუნდრუკს უკმევს შენს ძლიერებას და ადიდებს შენს ძალაუფლებას? რას უწოდებ შენს სპილენძისთავებიან მღვდლებს, ჯოჯოხეთის მოციქულებს, რომელთაც ლითონის გული აქვთ, წელი კი სოდომისა და გომორის ტალახისაგან მოზელილი? ეს მსახურები იმისათვის არიან შექმნილი, რომ შენს წინაშე მუცლით იხოხონ. ქედმაღალო, ეს ქვეწარმავალნი შენა გგვანან, სავსებით ღირსნი არიან რომისა, ამ საზარელი ბაბილონისა, რომელსაც

შენ მარადიულსა და უცოდველ ქალაქს ეძახი. დიახ, ესაა კოპორტა მღვდელთა, სისხლის აღრეკვითა და მოღალატური კავშირით, ძალადობითა და მოწამვლით, მკვლელობითა და მუხანათობით შებილწულ დამნაშავეთა, ღირსეულთა იმისათვის, რომ განასახიერონ შენი წყეული ამალა, რადგან რომი — ბუნაგია ყველა მანკიერებისა, სავანე დემონთა და შენი, პაპო, რადგან სახელი შენი —სატანაა!"

ეს წერილი, რომის ეკლესიის ზნეს რომ ასე შესანიშნავად ახასიათებს, მით უფრო საინტერესოა, რომ მან ეპისკოპოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის მოწონება დაიმსახურა. ეს ის მღვდელმთავრები არიან, რომელთაც ჯერ კიდევ სწამთ რამე და არ შეხებიათ რომის ჭირი.

უფლის ხელი

● კელნისა და ტრირის არქიეპისკოპოსთა საჩივრის პასუხად, პაპის საქციელით ისედაც აღშფოთებულმა ლუდოვიკო მეორემ რომზე ჯარი დაძრა, რათა გადაყენებული პრელატები დაეცვა.

წმინდა მამა გათამამებული მეფის დასახვედრად მოემზადა. ბრძანება გასცა ყველგან პარაკლისი გადაეხადათ, რათა რომაელებში ფანატიკური სულისკვეთება გაეღვიძებინა. მაგრამ მეფის არმიის შემოტევამ წელში გატეხა პაპის ურდო.

მაშინ პაპი ლოდიანის გზას დაადგა, მისი თანამოლაშქრენი კი ფარულად მუშაობდნენ. ლოდინი დიდხანს არ მოუხდათ: მალე მოვიდა ცნობა მეფის ერთი ოფიცრის ანაზდეულ სიკვდილზე. გაცხარებულ ბრძოლაში იმ ოფიცერს თურმე ძვირფასი თვლებით მოჭედილი ჯვარი დაუმსხვრევია. ბედშავის გვამს თურმე შავი გამონაყარი ჰქონდა, აშკარა ნიშანი ძლიერი შხამის მოქმედებისა. თვითონ მეფეს კი საშინელი ციებ-ცხელება აუვარდა.

სამღვდელოებამ ღაღადისი დაიწყო: ღმერთი სასტიკად სჯის ეკლესიის მსახურთო. უმეცარმა ხალხმა სასწაული დაიჯერა:

შეშინებული ლუდოვიკო უკანასკნელი ლაჩარივით მოიქცა, პაპის ყველა პირობა მიიღო და ნიკოლოზი ტრიუმფით დაბრუნდა რომში. თავისი გამარჯვება მრისხანე ბრძანებით აღნიშნა: სასტიკი

წამების მუქარით აუწყონ ფრანგთა პრელატებს, რომ სასახლე მიატოვონო.

ასე შეეხო პაპის მტრებს უფლის ხელი — ბნელეთის მოციქულთა ხელი.

მღვდელმთავრის
მორალი

● ერთხელ ბულგარეთის მეფემ ბოგორისმა ქრისტიანობა მიიღო და რომის პაპს მდიდრული საჩუქრებით დატვირთული წარმომადგენლები აახლა. პაპისაგან სათაანადო მითითებები უნდა მიეღოთ რელიგიის საკითხებზე.

აი მღვდელმთავრის პასუხი:

„თქვენ გვატყობინებთ, რომ ქვეშევრდომნი მონათლეთ მათი თანხმობის გარეშე, რის გამოც მომხდარა აჯანყება, რაც თქვენს სიცოცხლეს დაემუქრა. ქება და დიდება თქვენ, რომ დაგიცავთ თქვენი ავტორიტეტი, დაბნეული ცხვრების გაწყვეტა რომ გიბრძანებიათ, რომელთაც ფარეხში შესვლა არ ისურვეს. თქვენ სულაც არ ჩაგიდენიათ ცოდვა ასეთი წმინდა სიმკაცრის გამოჩენით. პირიქით, ქება-დიდება თქვენ, რომ გაგიწყვეტიათ მტრები, წმინდა მოციქულთა ეკლესიის წიაღში შესვლა რომ არ ინებეს, ამით თქვენ ციური სასუფევლის კარი შეგიღებიათ თქვენი ქვეშევრდომი ხალხებისათვის. დე, ნუ მოერიდება მეფე მკვლელობას, თუ ამით მოახერხებს ქვეშევრდომთა მორჩილებაში ყოლას და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას! ღმერთი შეუნდობს და სათაანადოდ დააჯილდოებს როგორც ამა ქვეყნად, ისე მარადიულ სასუფეველშიც!“

რომელი სარწმუნოების ადამიანი არ შედრკება და შეძრწუნდება, ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავს? შეიძლება ზოგ ვინმეს ეჭვიც კი შეეპაროს მათს სისწორეში, იქნებ ნაყალბევიაო, იფიქროს! მაგრამ რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ეს ციტატები ნამდვილი ისტორიული დოკუმენტებიდან გახლავთ აღებული. მერე და, განა აქ გამოთქმული აზრები გამონაკლისს შეადგენენ? ვაი რომ ასე იყო კათოლიკური ეკლესიის მთელი ისტორიის მანძილზე — როგორიც არ ყოფილა „ურჯულოთა“ რელიგიების ისტორიაში!

თუ სამოთხე ნამდვილად არსებობს, განა არ ჯობია პატიოსანმა ადამიანმა შუბლში ტყვია იკრას, ვიდრე შემთხვევით ან შეცდომით ამ წმინდა საზოგადოებაში მოხვდეს?

ეპისკოპოსი — ძმისმკვლელი

● იოანე მერვის ასმეთერთმეტე პაპის პონტიფიკატის დროს ნეაპოლიტანის ჰერცოგმა სერგიმ კავშირი შეკრა სარაცინებთან, და ეს მოხდა უწმინდესი მამის სასტიკი აკრძალვის მიუხედავად.

ასეთი თვითნებური საქციელისათვის განრისხებულმა პაპმა უბედურ ჰერცოგ სერგის ღვიძლ ძმას, ეპისკოპოს ათანასეს უბრძანა, ღამით თავს დასხმოდა ურჩ მბრძანებელს, თვალები დაეთხარა და რომში გამოეგზავნა. პრელატმა სიამოვნებით შეასრულა პაპის ბრძანება, მით უმეტეს რომ ეს სარფიანი საქმე შესაძლებლობას აძლევდა ნეაპოლიტანის საჰერცოგოს დაპატრონებოდა.

იოანემ ქებით ცაში აიყვანა უზურპატორი და არა მარტო საჰერცოგო დაუმტკიცა ძმისმკვლელს, არამედ ოთხი ათასი ვერცხლის უნციაც გაუგზავნა — საჩუქრად მიიღეო გულმოდგინებისათვის!

ურჩი ჰერცოგი რომ ასე დასაჯა, პაპი თვითონვე დაუყოვნებლივ შეუთანხმდა იმავე ურწმუნო სარკინოზებს. მთავარია ძალაუფლება, თორემ მერე სატანასთან კავშირიც კი სათნოებად ჩაგეთვლებათ!

მართალია, მისი თვალსაზრისით, ე. ი. საეკლესიო თვალსაზრისით, მას ერთი გარემოება ამართლებდა: წინასწარვე იცოდა, რომ ამ ხელშეკრულებას მალე დაარღვევდა. წმინდა მამას დროის მოგება უნდოდა, რადგან ბერძენთა ჯარი დასახმარებლად მოიწევდა.

ესეც ერთი შტრიხი, რაც საეკლესიო მორალს ახასიათებს!

* * *

ამრიგად, პაპი მაშველ ჯარს ელოდა, რომ სარკინოზებს გასწორებოდა. წინასწარვე ოცნებობდა: ერთ ლაზათიან სვრემას მოვაწყობ და ხელსაც კარგად მოვითბობ ურჯულოთა სისხლითო! მოლაპარაკების თანახმად, სარკინოზებს უნდა შეეწყვიტათ საეკლესიო მიწა-წყალზე თარეში, რისთვისაც პაპი ვალდებულებას კისრულობდა წელიწადში ოცი ათასი უნცია ეძლია.

ჰოდა, იოანეც ალბათ ასე ვარაუდობდა: რაღა იმ ურჯულოებს მივცე, თვითონ ავიღებ ამ თანხას, მათ კი გავწყვეტო!

პაპის სავალალოდ, მისი გეგმები არაბებზე ძლიერმა მტრებმა ჩაშალეს.

ლამბერტი, სპოლეტოს ჰერცოგ გუის შვილი, ზოგიერთი სხვა დიდებულის მხარდაჭერით გადაუდგა თავაშვებულ პაპს, თავს დაესხა რომს და მრავალრიცხოვანი ჯარით ისე შევიდა იოანე მერვის საბრძანებელში, რომ წინააღმდეგობაც არ შეხვედრია. ჰერცოგის ჯარი წმინდა ქალაქს დაეპატრონა და ალყაშემორტყმული ლატერანიც მალე აიღო. ლამბერტმა საკუთარი ხელით გამოათრია პაპი, ფარდაგების უკან რომ დამალულიყო, და წმინდა პეტრეს ტაძრის ერთ-ერთ სენაკში დაამწყვდია. მოხდა ის, რაც ვერ შესძლეს მეფეებმა და იმპერატორებმა. გამარჯვებულებმა პაპს მომნანიებლის სამოსი ჩააცვეს და მისი თავი სასტიკ განდეგილს ჩააბარეს, იმან კიდევ პაპს დახმარება გაუწია, რომ თავისი ყველა ცოდვის მიტევება მიეღო.

განდეგილის თხოვნით ღმერთმა პაპს შეცოდებანი მიუტევა.

საქმის მოთავეებმა იტალიის იმპერატორად კარლომანი აირჩიეს, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ მისი სახით საიმედო მფარველს გაიჩენდნენ, თუ იოანე VIII რაიმე ზომებს მიიღებდა და ტახტის დაბრუნებას შეეცდებოდა. თუმცა, პაპს რომ ჭკუა ასწავლეს, ახლა თავს არხეინად გრძნობდნენ და პაპის ქვემძრომულ საქმიანობას ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

იოანე მერვეს კი არ ეძინა: თავისუფლება რომ მიიღო, მაშინვე კრება მოიწვია, ეკლესიიდან განკვეთა ლამბერტი და სხვა ჰერცოგები, რომლებიც ამ შეთქმულებაში იყვნენ ჩაბმული. შემდეგ წმინდა მამა გალიაში გაემგზავრა, იმედი ჰქონდა, რომ იქ დიდძალ ჯარს მოუყრიდა თავს და შურს იძიებდა ამდენი დამცირებისათვის.

კრება ტრუაში მოიწვია; იმავე დროს ჰერცოგების დასათრგუნავად არმიას უყრიდა თავს, ეპისკოპოსებსა და სენიორებს ეხვეწებოდა გემების გაწყობას, მეფეს ევედრებოდა, დამეხმარე წმინდა ტახტის დაცვაშიო.

თავისი სიტყვა პათეტიკურად დაიწყო და მუქარით დაამთავრა:

„ძრწოდეთ რამეთუ სასჯელი არ დაიტეხოთ, რადგან ის მოელის ყველას, ვინც თავის მღვდელმთავარს დახმარებაზე უარს ეტყვის განსაცდელის ჟამს! სენიორებო და ეპისკოპოსებო, მომაპყარით

სასმენელნი თქვენნი, მე თქვენ გაფიცებთ დაუყოვნებლივ შემოგვწიროთ თქვენი ქოანება, გასწიროთ თქვენი ცოლ-შვილი და საკუთარი სიცოცხლე წმინდა ტახტის სადიდებლად!"

ამ მაღალფარდოვანი სიტყვის პასუხად დარბაზი დუმდა. ეს დუმილი ბევრ რამეზე მეტყველებდა.

პაპი, რომელიც ტრუას კრებაზე დიდ იმედს ამყარებდა, უკმაყოფილო წავიდა. წასვლის წინ ბრაზმორეულმა რაღაც გაურკვეველი წაიბურტყუნა. ადვილი შესაძლებელია, რომ მან ლათინურად თქვა:

„რაც გინდა თქვი და მძიმე კი ხარ, პაპის ქუდო!"

პაპი — ფალსიფიკატორი

● ლაპარაკია ისევ იმ ყბადაღებულ იოანე მერვეზე, რომელიც ეს არის კრებიდან დაუმშვიდობებლად გაგვეცალა.

ტრუას ყრილობაზე გამართული ერთ-ერთი დისკუსიის დროს ეპისკოპოსებმა პაპს წარუდგინეს კარლ მელოტის ანდერძი, რომლითაც მეფე საფრანგეთის სამეფოს თავის შვილს უტოვებდა და დამატებით წმინდა პეტრეს სასულიერო მახვილსაც ანდობდა. ეს ნიშნავდა, რომ ლაპარაკია აგრეთვე იტალიის ბედზე და იმპერატორის წოდებაზე.

მეფის სახელით პრელატებმა პაპს მოსთხოვეს ამ ანდერძის დამტკიცება.

იოანე VIII ხალისით დათანხმდა, მხოლოდ ერთი პატარა პირობით:

განუსხვისებელი უფლება მაქვსო სენ-დენის სააბატოზე, რაც ვითომ კარლ მელოტმა აჩუქა, თან ნაჩუქრობის სიგელიც კი წარადგინა და ლუდოვიკო ბლუს მოსთხოვა: ეს საბუთი დამიმტკიცე, მე კი სამაგიეროდ იმპერიას დაგიმტკიცებო.

სრულიად ზერელე კვლევა-ძიებით დადგინდა, რომ პაპს ჩვეულებრივი ყალბი ქაღალდი შეეთითხა. მაგრამ ეს არაფერი, ტიაროსან არამზადას პანღური არ ამოჰკრეს, თუმცა სავსებით იმსახურებდა. მართალია, სააბატო გვირგვინს დიდ შემოსავალს აძლევდა და მეფეს ეყო ჭკუა-გონება, რომ ეს შემოსავლიანი სამრევლო ცარიელი და უსარგებლო ტიტულისათვის არ დაეთმო.

როგორც ხედავთ, იოანე მერვეს ჰქონდა ყველა შესაფერისი ღირსება და თვისება, რომ პირველი რანგის პაპთა სიაში ჩავრიცხოთ. აფსუს, სამწუხარო კია, რომ არ შეგვიძლია დავძინოთ, ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხაო.

გულმავიწყობით მოხდა ეს თუ უსამართლობით, ძნელი სათქმელია, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ერთნაირად საწყენია!

რომაელი ქალის შურისძიება

● იოანე VIII 822 წელს გარდაიცვალა. ფულდის სახელგანთქმულ სააბატოს ანალები მის გარდაცვალებაზე ერთობ თავშესაქცევ წვრილმანებს მოგვითხრობენ.

იყო და არა იყო რა... თურმე ერთ მშვენიერ დღეს ამ ბედგამწყარალ პაპს შეუყვარდა მშვენიერი... ცოლიანი კაცი. ეს კიდევ არაფერი. ერთხელ ამ კაცის გატაცებაც მოინდომა, რომ ცოლს ხელი არ შეეშალა და თავისუფლად მისცემოდა დამღუპველი ვნების სოდომურ თამაშს.

კაცი გაუჯავ, წმინდა მამას უარს როგორ ეტყოდა, მაგრამ იმ დუხჭირი სუბიექტის ცოლმა — ეჭვიანობის ნიადაგზე თუ რაღაც სხვა მოსაზრებით — გადაწყვიტა სასტიკად ეძია შური, და გადაწყვეტილება აღასრულა კიდეც — მოწამლა ქმრის შემრყვნელი პაპი.

ქალის თანამზრახველებმა ნახეს, რომ საწამლავმა საკმარისად ვერ იმოქმედა, პაპის აპარტამენტებში შეიპარნენ და წმინდა მამას თავში ჩაქუჩის ჩაკვრით მოუსწრაფეს სიცოცხლე.

კარდინალი ბარონი, რომელიც ამ ამბავს მოგვითხრობს, ეპიტაფიასავით მოკლე სიტყვით ამთავრებს მას:

„ასეთი სიკვდილი სავსებით დაიმსახურა ამ საზიზღარმა პაპმა“. რა გაეწყობა, გულახდილად რომ ითქვას, ჩვენც ვეთანხმებით.

ცოცხლად გახრწნილი...

● სოდომიტის იოანე მერვის მაგიერ ტახტზე დასვეს იტალიელი მარინ I (იგივე მარტინ II). საერთოდ, იოანემ ცუდი ფეხი დაუტოვა

მემკვიდრეებს: მთელი 70 წლის განმავლობაში პაპები სათამაშო ტიკინებს ემსგავსებიან.

ახალმა პაპმა პოლიტიკაში ისეთივე თაღლითის სახელი დაივდო, როგორიც მისი წინამორბედი იყო, ისიც გახრწნილი და ქედმაღალი გამოდგა.

მისი მიწიერი არსებობა დიდხანს არ გაგრძელებულა: ტახტზე სულ ერთი წელი და ხუთი დღე იჯდა — ეს გახლდათ მთელი მისი უპირატესობა იოანე VIII წინაშე.

მარტინ მეორე 884 წელს გარდაიცვალა, ოღონდ მის გარდაცვალებაში ბრალი არავის მიუძღვის .ისე ცხოვრობდა, სიცოცხლეშივე ლეშივით გაიხრწნა და აშმორდა უმალ, ვიდრე სულს განუტევებდა.

მაშ ცხონდი, ლეშო!

საჯარო ვაჭრობა

● ადრიან III, რომელმაც მარტინ II შეცვალა, მღვდლის შვილი იყო. მისი პონტიფიკატის დროს რომის კლირი მთლიანად შეცურდა გახრწნილების მორევში, და ისიც არაბუნებრივი ტკბობის სახით. მღვდლები აღარ კმაყოფილდებოდნენ კურტიზანი ქალებით, ლამაზი მეძავებით, მოურიდებლად ხსნიდნენ საოსკიპოებს, სადაც გარყვნილების მოყვარულნი პოულობდნენ ქალებსაც და მამაკაცებსაც — ვისაც როგორ ენება!

ეს ის დრო იყო, როცა მკვლელობითა და ოქროს შემწეობით, ხანჯლითა და საწამლავით შოულობდნენ საეკლესიო და სახელმწიფო თანამდებობებს. ადულტერი, ღალატი, სისხლის აღრევა ჩვეულებრივ საქმედ ითვლებოდა, როცა საქმე მიზნის მიღწევაზე მიდგებოდა. ცნობილია, რომ რომში ეპისკოპოსის წოდებას საჯარო ვაჭრობით ყიდდნენ.

ეს ეპისკოპოსი! მაგრამ რა ტიტულზე უნდა ეოცნება ღმერთისა და ადამიანების შუამავალს? განა ციური მამის ტახტი ისედაც არ აძლევდა განუსაზღვრელ ძალაუფლებას? ამაზე მეტი რაღა უნდოდა, რომ ღმერთისთვის ეთხოვა? განა მბრძანებელთა მბრძანებელი არ გახადა, მსოფლიოს უძლიერეს პირად არ აქცია?

პაპი ადრიან III მისი წინამორბედების მსგავსად ცდილობდა მოესპო სახელმწიფოს ყოველგვარი ზეგავლენა ეკლესიაზე და განუსაზღვრელი ბატონობა მოეპოვებინა ფართო სამთავროებზე. პაპის ძალაუფლების ზრდა ხომ მის სიმდიდრესაც ზრდიდა!

ადრიან III ისე გაკადნიერდა, ბრძანებაც კი გამოსცა, რითაც მღვდლებს უფლებას აძლევდა თვითონ აერჩიათ იტალიის ტახტზე ისეთი პრინცი, რომელიც მათთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა.

ადვილი გასაგებია, რა ნიშნის მიხედვით ირჩევდა სამღვდელოება ყველაზე უფრო ღირსეულ ხელმწიფეს!

ხალხი პირუტყვივით ცხოვრებას ეწეოდა, სულს ღაფავდა უმეცრებაში და ვეღარ ახერხებდა პაპობის დამპალი უღლის გადაგდებას, თუმცა ყველა ხედავდა, როგორ გაიხრწნა ეს წყობილება, როგორ გალატაკდა და გაუბედურდა უპატრონო ხალხი. მთელი საუკუნე, თითქმის მთელი საუკუნე იყო იტალია გონებაჩლუნგი და სასტიკი ტირანების მსხვერპლი.

ადრიან მესამემ ციური მამის ტახტი 884 წელს დაიჭირა, მაისში, და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, დატოვა კი მხოლოდ გახრწნილი, ყოყოჩი, ხარბი და უტვინო ტირანის სახელი.

მერე რა, ეკლესიამ წმინდანად შერაცხა!

ბერების სიხარბე

● ადრიან III მეუფების წლებში სარკინოზები ხშირად აოხრებდნენ საეკლესიო მამულებს და თავისუფლად დათარეშობდნენ რომის მიწებზე.

სანგდამი, მათ წინამძღოლი არ ივიწყებდა იმ ამბავს, რომ მონასტრები აურაცხელ სიმდიდრეს ფლობდნენ. სარკინოზებმა წმინდა ვინჩენცის მონასტერი ჩაიგდეს ხელში, გაძარცვეს და მაშინვე იერიში მიიტანეს მონტე-კასინოს სახელგანთქმულ სავანეზე, წმინდა ბენედიქტეს ორდენის აკვანზე.

ვიდრე ბერები რაიმეს იღონებდნენ, სანგდამმა ალყა შემოარტყა პატარა საბატოს, რადგან ცნობილი მონასტრის მაღალი გალავანი და ბასტიონები ნამდვილ აუღებელ ციხეს წარმოადგენდნენ.

მაგრამ სარაცინებმა ხელი მაინც მოითბეს. ტაძრის ეკლესია ცოტა ქვემოთ იყო, ბექობზე. ავაზაკთა ბანდა იქ შეიჭრა და ავაზაკთა ნაძარცვი აურაცხელი განძი იპოვეს, შანტაჟისა და გამოძალვის გზით რომ დაეგროვებინათ ბერებს. ამის შემდეგ სარაცინებმა ეკლესია ცეცხლს მისცეს და ცოფიანი მგლებივით მიატოვეს ცარიელი ფერფლი. კედლებიც კი არ დაინდეს, იმის მიუხედავად, რომ მათ შორის იპოვნეს საუნჯე, რაც მათ ყოველგვარ მოლოდინს აღემატებოდა. ყაჩაღმა ყაჩაღი გაძარცვა და მიიმალა.

ზარალის ანაზღაურების მიზნით ბერებმა მაშინვე დაიწყეს მშენებლობა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, ადამიანთა სისულელე ისევ მოუტანდა სიმდიდრეს. იცოდნენ ამ მუქთახორებმა თავიანთი ნიჭის ძალა.

მართლაც, მოკლე ხანში მათმა სიმდიდრემ უწინდელს გადააჭარბა.

კალიის განადგურება

● ალჟირში, სადაც კალია ყოველივეს აპარტახებს, ეოსავლის გადასარჩენად ათასგვარ ღონეს მიმართავდნენ. ყველაზე ხშირად მიწაზე ფართო ტილოს დააფენდნენ და ასე იჭერდნენ გაუმაძღარ პარაზიტებს, რომელთაც ღვთის რისხვას ეძახიან.

- რომაელებმა უკეთესი ხერხი მოიგონეს.

885 წელს კალია ალჟირიდან იტალიაში შეიჭრა და მოსახლეობის ყანების, ბაღ-ვენახის და ვვლ-მინდვრების ძოვას შეუდგა. ხალხს თავზე სიმშილის საფრთხე ჩამოაწვა.

ამ დროს ადრიან III სიკვდილის სარეცელზე იწვა. საჭირო იყო ახალი პაპის არჩევა.

— სტეფანე მღვდელი ავირჩიოთ! — ერთხმად გაჰყვიროდნენ სამღვდელონი, მხედრიონი, კარისკაცნი და ხალხი. — მხოლოდ ის გვიხსნის კალიისაგან!

სტეფანე IV მისი სურვილის წინააღმდეგ აირჩიეს: იქნებ თავმდაბლობის გამო, ან იქნებ იმიტომაც, რომ მომავალი მუქ ფერებში ეხატებოდა: იმ ხანებში პაპები დიდხანს ვერ ძლებდნენ ტახტზე! ბანდიტების ბანდას, რაც წმინდა ტახტის გარშემო ირეოდა, სინდი-

სის ქენჯნა დიდად არ აწუხებდა და სულ მცირეოდენი გამორჩენისათვის მზად იყო მისი უწმიხდესობისათვის წვენში ვირთხის შხამი ჩაეწვეთებინა..

არ ვიცი, რა მოტივები ამოძრავებდა სტეფანეს, მაგრამ პირველი ადამიანი კი აღმოჩნდა, რომელიც გადაჭრით უარყოფდა თავზე იმ მძიმე და ტლანქი ქუდის დახურვას, რასაც ტიარა ეწოდება. თითქმის ძალით მოუხდათ თავისი მყუდრო სენაკიდან მისი გამოყვანა და ტრიუმფით გაუყენეს ლატერანის სასახლის გზას.

საზეიმო ცერემონიის დროს, როგორც იტყვიან, ცის თაღი გაირღვა, მოსკდა ღვართქაფი და ძვალსა და რბილში გაატანა წყალძა ყველას, ამასთან გამონაკლისი არც კალია აღმოჩნდა...

აბა როგორ არ აღევლინათ ღაღადი სასწაულზე! მართალია, მეორე-მესამე დღეს ისე გამოიდარა, სველი კალია გაშრა, დარი დაუდგა და ისევ დაიწყო მძვინვარება. სასწაული გასკდა!

წმინდა მამაც გულზე სკდებოდა, რომ ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლა და ბრძანა მხვნელ-მთესველთათვის ნაკურთხი წყალი მიეცათ, რომ ველ-მინდვრებზე მოესხურებინა და ამ ხრიკით ეხსნა თავისი საცოდავი მდგომარეობა. რაიმე ხომ უნდა ეღონა საშინელი პარაზიტების წინააღმდეგ!

ზოგიერთი მემატიანე გვიმტკიცებს, რომ ნაკურთხმა წყალმა მართლაც უშველა საქმეს... ადვილი შესაძლებელია, რომ ეს გაუმაძღარი მწერები სიცილისაგან დახოცილიყვნენ! განა ეს სასწაული არ არის?

რამდენიმე სიტყვით მოვიგონოთ როგორ დაკრა ბედმა ლახვარი ახალ პაპს არჩევიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

სტეფანემ ეპისკოპოსები, მეფისა და უმაღლეს წარჩინებულთა წარმომადგენლები მიიწვია ლატერანის სასახლეში, თქვენი თვალით ნახეთო პაპის სამყოფელი, სადაც ის ბედის ახირებამ შეიყვანა.

რა თქმა უნდა, სტეფანე ფიქრობდა, რომ სასახლეში აურაცხელი სიმდიდრე იქნებოდა: მისი წინამორბედები ხომ უმდიდრეს საჩუქრებს ითხოვდნენ სულ უმნიშვნელო სამსახურისათვის — მათ ხომ ასეთი ჩვეულება ჰქონდათ, ეს უკვე ათასჯერ მოვისმინეთ.

ვაგლახ! ცარიელი ილუზია, გაქარწყლებული იმედები — აი, რა ნახეს სასახლეში! ლატერანის სასახლის საგანძური პირწმინდად გაეძარცვათ. სალარო ცარიელი იყო.

ასევე ცარიელ-ტარიელი დახვდათ ბეღლები, საკუჭნაო, სარდაფი:

რაც შეეხება ავეჯსა და მორთულობას, სულაც არაფერი არ იყო. პაპებს ყველაფერი ოქროდ ექციათ და შეესანსლათ. წმინდა ქონება ქარს წაეღო. საცოდავ სტეფანეს იმდენი ჭურჭელიც არ დახვდა, რომ სტუმრებს გამასპინძლებოდა.

აი, რა ნადიმებს მართავდნენ მისი წინამორბედნი! მადაც ასეთი უნდა!

ქურდი, მკვლელი და
უბიწო კაცი!

● ასეთი იყო, ფორმოზ I, სტეფანე მეექვსის მემკვიდრე, ას მეხუთმეტე პაპი. თავისი საეკლესიო კარიერის დასაწყისში, ნიკოლოზ პირველის პაპობის დროს, ბულგარეთში გაიგზავნა ეპისკოპოსად. იქ ყოფნის განმავლობაში უზარმაზარი ქონება მოიხვეჭა, ხალხის უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის წყალობით ნამდვილი საგანძური დაისაკუთრა, სამაგიეროდ კი საცოდავ ხალხს მხოლოდ ქრისტიანული დოგმები უქადაგა. წმინდა ტახტზე მის ასვლას წინ აღუდგნენ ჰერცოგ ტოსკანელის მომხრეები, რომელთაც მღვდელი სერგი დაუპირისპირეს. მაგრამ იტალიის მეფემ გუიმ უცერემონიოდ დასვა ტახტზე ფორმოზი და ზეიმით შეიყვანა ლატერანის სასახლეში.

მტრები მაინც არ ცხრებოდნენ. წმინდა პეტრეს ტახტისათვის ბრძოლა წარმოებდა მთელი მისი პონტიფიკატის განმავლობაში, რაც თითქმის ხუთი წელი გრძელდებოდა. რომი სისხლისაგან იცლებოდა. ყოველდღე და ყოველ ნაბიჯზე მოწამლული და ხანჯლით განგმირული ადამიანები ეცემოდნენ წმინდა ქალაქში, და ერთი კაცის დღეკეთილობისათვის უთვალავი მოპირდაპირე წყდებოდა. გაბატონებული მღვდელები ერთიმეორეს ხოცავდნენ ძალაუფლებისათვის, როგორც მორიელთა და ყოველაირი მოდგმის ტირანთა წესია. ამ ნიადაგზე ფორმოზს წინააღმდეგობა შეხვდა მეფესთან. აქ გამოამჟღავნა ეკლესიის მესვეურთა ჩვეულებრივი უმადურობა, ნამდვილი ღორობა, ეგზომ ჩვეულებრივი რამ საერთოდ გახრწნილი და უნიჭო არამზადებისათვის, რომლებიც ძალაუფლების სათავეში ხვდებიან, გადაუდგა იმ მეფეს, რომელმაც ტახტზე აიყვანა და გერმანიის

მეფეს არნულს მოუწოდებდა, ჩამოდი, იტალია შენი იყოს და იმპერატორის გვირგვინსაც გიკურთხებო.

არნულმა დიდხანს არ ახვეწნინა წმინდა მამა: მრავალრიცხოვანი არმია შეყარა და რომზე დაიძრა. იოლად აიღო ქალაქი, პირდაპირ წმინდა პეტრეს ბაზილიკაში შევიდა და იმპერატორად ეკურთხა. აბა ვინ სულელი იტყოდა უარს ასეთ წყალობაზე? ქრისტეს მოადგილემ, იტალიელმა ფორმოზმა იტალია აჩუქა გერმანიის მეფეს და სართად იმპერატორის გვირგვინიც უბოძა. საჩუქარზე უარის თქმა უზრდელობაა.

აი, ახლა კი ფორმოზმა გამოსავალი მისცა თავის ბრაზსა და სიშმაგეს! აქაო და სარწმუნოების შეურაცხყოფისათვის ერეტიკოსებს ვსჯიო, გერმანელ ჯარისკაცებს უფლება მისცა მთელი რომის დიდკაცობა თითქმის ერთიანად გაეწყვიტათ. ქრისტიანთა მწყემსმა საკუთარ ფარეხში გაჟლიტა საცოდავი ფარა: რატომ ბღავითო!

მაგრამ, როგორც იტყვიან, სადღაც ღმერთი ყოფილა. არნული სასტიკად დაისაჯა იმისათვის, რომ ურჯულსა და ღვთის გარეგან პაპს დახმარება გაუწია. მართალია, იმ ღმერთის როლში გამოვიდა ერთი რომაელი მოქალაქე, რომელმაც მტარვალს სასმელში ნელი მოქმედების საწამლავი ჩაუწვეთა. არნულს მთელს ტანზე გამოაყარა, ერთნაირად წყლულებით დაიფარა, ვერაფერმა ვერ უშველა და სამი წლის შემდეგ ბედშავი იმპერატორი საშინელი წამებით გარდაიცვალა. რისთვის იწვალა? გაგიგონიათ იმპერატორი არნული?

არც ფორმოზი ტკბებოდა დიდხანს თავისი ტრიუმფით. მან განისვენა ორმაგად დამშვიდებულმა: უფლის სამეუფოში რომ ისევე უბიწომ შეაბიჯა, როგორც დედის მუცლიდან გამოვიდა, და რომის მოსახლეობის ნახევარი რომ გაწყვიტა.

მეფობა ორი კვირით

● როგორც ვიცით, სტეფანე VI ძალით აიყვანეს ტახტზე. ბონიფაციუს VI კი, თუმცა ისიც მეექვსე იყო, არც კი დაელოდა ფორმოზის გვამის დაკრძალვას, ისე გააჩაღა გაშმაგებული ბრძოლა ტახტისათვის, ამასთან არ დაერიდა ტიარის მოცილეთა წინააღმდეგ არც ერთი საშუალების გამოყენებას.

პირდაპირ მუშობით ყრიდა ფულს, ფიცით უმტკიცებდა კლირსა

და დიდებულებს, თქვენი ერთგული ვიქნებიო — მოკლედ, თავისი ტახტისაკენ გზას ძძიმე ჯაფით იკაფავდა.

მის წარსულზე დაფიქრება არავის აწყენდა: ბონიფაციუსს ჩამორთმეული ჰქონდა დიაკვნის წოდება ადულტერისა და მკვლელობისათვის. რაკი დიაკვნობა წაართვეს, პაპობა მოინდომა.

უბედური ბონიფაციუსი! გაეა იცოდა, რას უმზადებდა ბედი და წერა? თორემ განა ამდენს გაისარჯებოდა ტიარისათვის? ერთ-ერთმა მოქიშპემ, სტეფანემ, ანეეის ეპისკოპოსმა, არჩევიდან თოთხმეტი დღის შემდეგ მოწამლა.

ორი კვირა, ცხადია, მცირე დროა, მაგრამ სიმართლე რომ ითქვას, ძალაუფლებით კი მაინც გაძღა. ორგიების დიდი მოყვარული, ლოთი და ღორმუცელა, გახრწნილი და დღემოკლე პაპი, უხეშად რომ ვთქვათ, „საჭმელს ასკდებოდა". ღორი იყო და მუცელს აღორებდა.

ბონიფაციუსის მეჯლისები — ესაა მთელი ეპოპეა მოციქულის ტახტის ისტორიაში, და მის წმინდა ბალიშებს ხომ ყველა ჯურის ლოთის, ღორისა და გახრწნილი გაიძვერის გაცნობა მოუხდათ!

კარდინალი ბარონიანი უარყოფს ვერსიას, რომელსაც მხარს უჭერს იმ დროის თითქმის ყველა მემატიანე. ის ამტკიცებს, რომ ბონიფაციუს VI — რომელსაც თვითონვე, სხვათა შორის, ბინძურ ცხოველს უწოდებს — მოკვდა არა შხამით, არამედ ორგიის დროს, მაგიდასთან, თავისი არნახული, ნამდვილი პირუტყვული თავაშვებულობის წყალობით. მოკლედ, დაასკდაო საჭმელს.

ჩვენ არ უარვყოფთ არც ერთ ვერსიას. ორივე სიმართლეს ჰგავს. ნაირ-ნაირი მანკით ღონეგამოლეული, გამოფიტული ბონიფაციუსი, ეს ღირსპატივცემული გვამი, უკვე ტახტზე ასვლის დროისათვის სანახევროდ და მეტად დამპალი იყო. სტეფანემ თუ მოწამლა, ამით მხოლოდ დააჩქარა მისი აღსასრული, რაც უამისოდაც მალე დადგებოდა.

სტეფანე VII

ეი, კიდევ ერთი წმინდა მამა, რომელიც არ აფუჭებს კოლექციას, პირიქით, პატიოსანი თვალივით ციმციმებს იმ არამზადების ფონზე, ციური მაზის ტახტზე რომ ცვლიან ერთიმეორეს.

ერთი მგლისკენაც უნდა ვთქვათ: არც ერთი მისი წინამორბედი არ გაძოირჩეოდა ასეთი ჩლუნგი პატივმოყვარეობით. ეს წმინდა რეგვენი თავის თავს ეძახდა მთავართა მთავარს, მბრძანებელთა მბრძანებელს, ეპისკოპოსთა მეფეს, მოკვდავთა მსაჯულს. თანაც არა თუ წინააღმდეგობას არა უწევდა თავის ფავორიტების ტლანქ მლიქვნელობას, არამედ თვითონვე თვლიდა თავის თავს ღვთისაგან კურთხეულ ადამიანად, რომელსაც ამის გამო შეუძლია უზენაესის როლი შეასრულოს. არა მარტო იფერებდა უბადრუკი ლაქიების ქება-დიდებას, ბრძენ მღვდელმთავრად რომ თვლიდნენ, არამედ თავისი ყოველი ახირება ყოველგვარ კანონზე აღმატებულ სიკეთედ მიაჩნდა, როგორც ყოველი დროისა და ხალხის ტვინნაღრძნობ ტირანებს სჩვეოდათ, ხალხებს რომ დაჰყეფენ თავზე და ხალხისავე ნაოფლარი ღვინის სუნით ახრჩობენ.

სწორედ ამ მანიაკის დროს წამოიჭრა და გამოცხადდა დოგმა პაპის უცოდველობის შესახებ. ეს იდიოტური დოქტრინა, აბსურდული პრინციპი თავის ოფიციალურ გაფორმებას მოგვიანებით იღებს, აგერ XIX საუკუნეში, ესე იგი ვოლტერისა და საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, რომელთაც ფარდა ახადეს პაპობას და ქვეყნიერებას უჩვენეს აშმორებული ჭაობი, დანაშაულობათა ზღვა, ჯოჯოხეთის უბანი. პიუს მეცხრის დროს კათოლიკური მსოფლიო ჯერ კიდევ იმდენად სულელი და ლაჩარი აღმოჩნდა, რომ მიიღო დოგმა, რაც ადამიანს ნებას აძლევს გამოაცხადოს თავისი თავი ყოვლისმცოდნედ და მიითვისოს ყოვლისშემძლე ძალაუფლება — ის ძალაუფლება, რაც უწინ უფრო ჭკვიანმა მორწმუნეებმა მოწიწებით მიაწერეს მხოლოდ უზენაეს ძალას — ღმერთს, და ამით ერთგვარი ზომიერი მიჯნა დაუდგინეს გათავხედებულ ტირანთა თვითნებობას, რაღაც მორალით შეზღუდეს ადამიანები. ახლა პაპი აღარ დაკმაყოფილდა მიწიერი ძალაუფლებით და ციურს წაეპოტინა.

სტეფანე მეშვიდის
დანაშაულობანი და სიგიჟე

● XIX საუკუნეში წმინდა ტახტი, ისტორიკოს პლატინის სიტყვით, „იქცა ყველა პატივმოყვარე ინტრიგანის საბოლოო მიზნად, ყველა მანკის ბუნაგად. მას აღწევდნენ და მოიპოვებდნენ ოქროს და სისხლის ფასად“.

სტეფანე VII იმდენად უმეცარი და დუხჭირი იყო, რომ გაჭირვებით ახერხებდა ხელის მოწერას, რელიგიის ელემენტარული საფუძვლებიც კი არ იცოდა. ყველაფერს რომ თავი მივანებოთ, ის იმდენად ცბიერი იყო, რამდენადაც გახრწნილი.

რაც არ უნდა ვთქვათ მის შესახებ, ყველაფერი ცოტა იქნება: მის მანკიერებასა და ბოროტებას არ ჰქონია საზღვარი, გულისამრეკ ორგიებში ისეთ საქმეებს სჩადიოდა, იოანე მერვესაც კი გადააჭარბა.

სტეფანე VII, მღვდლისა და გარყვნილი კურტიზანი ქალის შვილი, მთელი თავისი საზიზღარი სიცოცხლის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ სავსებით ამართლებს ასეთ კეთილშობილურ წარმოშობას.

პონტიფიკატის დასაწყისშივე მოუვიდა თავში აზრი, იმდენადვე ნაღვლიანი, რამდენადაც თავშესაქცევი: ამ სამმაგმა ღორმა და ცოფიანმა კრეტინმა განიზრახა მიცვალებულ წინამორბედთან ანგარიშის გასწორება, — პაპ ფორმოზის გვამის ამოთხრა მიწიდან, სადაც ის უკვე შვიდი თვე განისვენებდა, და სამაგალითოდ დასჯა, ვითომდა როგორც უზურპატორისა. ალბათ ბედშავი მბრძანებელი სიცოცხლეში ამ ცოცხალ ლეშს თავში უკაკუნებდა!

უმაღლესი სამღვდელოების კრებაზე რომში საზიზღარი სპექტაკლი გათამაშდა: ფორმოზი ამოთხარეს, ფეხებით მოათრიეს და ტახტზე დასვეს. საზეიმო სამოსით მორთეს და მოკაზმეს, თავზე ტიარა დახურეს, ხელში კი პაპის კვერთხი მისცეს. განსვენებულს ვექილი დაუნიშნეს — არა იმდენად დაცვის, რამდენადაც მონანიების მიზნით, რომ საჯაროდ ეღიარებინა თავისი შეცოდებანი ამ მიცვალებულთან მებრძოლი ტირანის წინაშე. თავისი კლიენტის სახელით რომ ლაპარაკობდა, ეს მართლაც უცნაური ვექილი ყველა მიწიერ ცოდვას მიაწერდა ბრალდებულს, რომელსაც არც დადასტურება შეეძლო, არც უარყოფა, ყოველნაირად აშავებდა ყოფილ პაპს, აწ გვამს, რომლის ფერხთით ოდესღაც ქვეწარმავალივით დახოხავდა. როგორც კი ვექილმა სიტყვა დაამთავრა, სტეფანემ განაჩენი გამოაცხადა, ფორმოზი ეკლესიიდან განკვეთა და ფეხის ერთი დარტყმით გადმოაყირავა ტახტიდან გვამი, რომლის წინაშეც უწინ ძრწოლით დუმდა.

მაგრამ ვერც ამ ველური მხეცობის აქტმა დააშოშმინა გამძვინვარებული კრეტინი. მისი ბრძანებით გვამს გახადეს წმინდა შესა-

მოსელი, მოჰკვეთეს მარჯვენა ხელის სამი თითი, რომლებითაც პირჯვარს ისახავდა, გადაუმტვრიეს ხელები და ფეხები, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯალათმა ნეშტს თავი მოჰკვეთა, დასახიჩრებული ფორმოზი ტიბრში გადაისროლეს, დასამარხავი მიწაც კი არ აღირსეს.

სტეფანე VII არც ამით დაკმაყოფილდა. ტიბრიდან გამორიყული უთავო გვამი ისევ დაასახიჩრეს და დამარხეს. ბორტმოქმედ მოსამართლესაც მალე დაუდგა შავი დღე. 897 წლის 2 მაისს შეთქმულებმა დიდი ხნის ოცნება განახორციელეს, გვამებთან მებრძოლი თანამოძმე შეიპყრეს, ძალაუფლება წაართვეს, საპყრობილეში ჩააგდეს და თოკით გაგუდეს. ეს შეთქმულნი უფრო შორსმჭვრეტელნი აღმოჩნდნენ და უფრო მამაცნიც იმ ზომიერ თანამზრახველებთან შედარებით, რომელთაც ბორტმოქმედი მბრძანებლები გადააყენეს და ნებაზე მიუშვეს.

ეკლესია IX საუკუნეში

● კლერიკალები ვერ უარყოფენ კარდინალ ბარონიუსის საკმარის ავტორიტეტულობას, მაგრამ აი, რას წერს ეს რულიად მართლმორწმუნე ისტორიკოსი:

„არასოდეს არც ერთ გაეხეთქილებას, არც ერთ სამოქალაქო ომს, წარმართების არც ერთ დევნას, ერეტიკოსებისა და სქიზმატიკოსების დასჯას არ მიუყენებია ეკლესიისათვის იმდენი ტანჯვა, რამდენიც ამ ურჩხულებმა, სიმონიისა* და მკვლელობის გზით რომ დაუფლებიან ქრისტეს ტახტს...

რომის ეკლესია სირცხვილისაგან გარეცხილ როსკიპად ქცეულა, აბრეშუმით მოსილ და ძვირფასი თვლებით მოჭედილ მეძავად, საქვეყნოდ რომ ეწევა პროსტიტუციას და თავს ოქროდ ასაღებს. ლატერანის სასახლე იქცა საზიზღარ ბუნაგად, სადაც ყველა ეროვნების სასულიერო პირები ზნედაცემულ დედაკაცებს ეჯიბრებიან გარყვნილებასა და აღვირახსნილობაში“.

მგონი, ნათელია, არა? ამაზე უფრო მკაფიოდ ფორმულირებულ

* სიმონია — საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა.

აღიარებას ვერც მოიფიქრებ. აქ ხომ რაიმე მიკერძოებასა და ორაზროვნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია! მოძღვარნი როსკიპებს გარყვნილებაშიც გასჯიბრებიანო!ხალხს აიძულებდნენ თავიანთი ზიზღისმომგვრელი ალერსისა და ბინძური კეთილგანწყობილებისათვის ფული ეხადა! ...

დილაობით მესას იხდიდნენ. წირვის შემდეგ პურს ქრისტეს სხეულად აქცევდნენ, საღამოობით კი თავიანთ სხეულს აძლევდნენ ჰერმის მიმდევრებს და ხრწნიდნენ იმას, რასაც ლოცვით წმენდდნენ.

„არასოდეს, — წერს ბარონიუსი, — მღვდლებს, მეტადრე პაპებს არ ჩაუდენიათ იმდენი დანაშაულობა, გარყვნილება, ძალადობა, ძარცვა-რბევა და მკვლელობა, რამდენიც იმ ხანებში!“

ამას წერს კამპანიელი ცეზარ ბარონიუსი, პაპის სულიერი მსახური, ვატიკანის ბიბლიოთეკარი, კარდინალი, პაპობის თავგამოდებული დამცველი, რომლის თორმეტტომიანი შრომაც ჯერ კიდევ 1601 წელს გამოსცეს. ასეთ ავტორს, ცხადია, მეტი დაეჯერება.

ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პაპები არაფრით არ ჩამორჩებოდნენ თავიანთ წინაპრებს, და წმინდა ტახტის ისტორია სხვა არა არის, თუ არა სირცხვილისა და ბოროტმოქმედების გიგანტური არქივი. ეს იყო ავგიას თავლა, რაც თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში ვერავის გაუწმენდია, რადგან არ ჩანდა ჰერაკლე.

ჰაერი! მეტი ჰაერი!

● ჩვენ შევდივართ უფრო აშმორებულ თავლაში, უფრო ზიზღისმომგვრელ ეპოქაში, ვიდრე ზემოთ აღწერილი იყო. იწყება ეპოქა, რომელიც ისტორიაში უფრო მოყივნებულია — მას „ორივე სქესის მეძავთა როჩის სამეფოს“ ეძახიან! ყველაზე უფრო უნდილი და უხარისხო მემრუშენი განაგებდნენ ქრისტიანულ ეკლესიას, პაპები და ეპისკოპოსები მათი კაბის ქვეშ იყვნენ მოკალათებული და ფეხებს უკოცნიდნენ.

პლატინა, ჟენებრარი, ბარონიუსი თავიანთ ცნობილ თხზულებებში მეათე საუკუნის მღვდელმთავრებს სიმონიის, მაგიის, ტირანიის,

ქურდობისა და კაცისკვლის მაძებს ეძახიან. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ეს სულაც არაა გაზვიადებული დახასიათება.

პარადს ხსნის რომან I, ას მეთვრამეტე პაპი.

თავისი არჩევიდან მეორე დღესვე მან გააუქმა წინამორბედი დამთხვეულის — სტეფანე მეშვიდის ბრძანება, ფორმოზის წინააღმდეგ რომ იყო მიმართული. უნდა აღიარეშნოს, რომ ქრისტეს მოადგილეთა უმრავლესობა, საკუთარ თავს რომ უცოდველად აცხადებდა, რაღაც განსაკუთრებული გაშმაგებით ამხელდა წინამორბედთა ბნელ საქმეებს, უცოდველი პაპი სატანად აცხადებდა მეორე პაპს. რომელსაც თავი ასევე უცოდველად მიაჩნდა. ეს პატივმოყვარეობით გაცოფებული მღვდელმთავრები თითქოს რაღაც სხვა, არაკაცთა. მოდგმისანი იყვნენ, არ ესმოდათ, რომ თავიანთ მსგავსთა ყბადაღებულ უცოდველობას რომ აშიშვლებდნენ ხალხის წინაშე, ამით საკუთარ თავს უცხადებდნენ სასიკვდილო განაჩენს. ო, წმინდაო კრეტინიზმო, სად არის შენი კრიტერიუმი?

პლატინის სიტყვებით, „შურითა და შიშით გაჟღენთილ-გათანგული მღვდლები ხალხს უმეცრებისა და ცრუ რწმენის ბურანში ჰხვევდნენ“.

ჩვენ დიდი ხნით ვერ შევჩერდებით ისეთ პაპებზე, როგორნი არიან რომან I, თევდორე II, იოანე IX და ა. შ., რადგან მათი მოღვაწეობა ისე მომქანცველად ერთფეროვანია, ძილი მოგერევათ.

რომან I წმინდა ტახტზე სულ ოთხი თვე იჯდა. ამ ხანმოკლე დროის მანძილზე მაინც მოასწრო იმდენი, რომ თამამად შეიძლება შევიყვანოთ პირველი რანგის გახრწნილ პაპთა კოლექციაში.

თეოდორ II, რომან პირველის მემკვიდრე, ოცი დღე „პაპობდა“, მესამე კვირის თავზე კი სული აბრაამს ჩააბარა. ტახტი გადავიდა იოანე IX— „პაპათა პლეადის ყველაზე უფრო ლმობიერი“ მღვდელმთავრის ხელში, როგორც უწოდა ბარონიუსმა. მაგრამ ცნობილია, რომ ისიც კარგად გაქნილი მევახშე იყო. თუ ეპისკოპოსი რამეს დაუშავებდა, მას უშუალოდ პაპი აძლევდა მიტევების ინდულგენციას, თუ ცოდვილი სათანადო თანხას პაპის სალარო'ში შეიტანდა. ავიღოთ, მაგალითად, სამი პრელატის ამბავი — პეტრეს, პასკალის და სილვესტრისა, ფორმოზის გვამის გასამართლების დროს რომ გამოვიდნენ კრებაზე მიცვალებულის ბრალმდებლად და ამით გახრწნილ ღორს ასიამოვნეს.

იოანე მეცხრემ, რომელმაც იმ უბედური მღვდელმთავრის პატიოსნების აღდგენა მოიწადინა, ახალი კრება მოიწვია. უკაცური გაბაჩენი გაუქმდა და მისი გამომტანნი ეკლესიიდან განკვეთეს. პრელატებმა მორჩილად მოითხოვეს, მოგვეცით საშუალება, რომ ჩვენი უწინდელი საკუთარი ბრალდებანი გადავიკითხოთო. იოანე დათანხმდა და უკვე მეორე დღეს გამოაცხადა, რომ ბრალდებულთ იწყალებს. პეტრემ, პასკალმა და სილვესტრმა ერთ ღამეში ფულით გამოისყიდეს თავიანთი დანაშაული. ეს საკმაოდ ძვირად დაუჯდათ, მაგრამ იცოდნენ, რომ თუ ეკლესიის წიაღში დარჩებოდნენ, ბოროტმოქმედი ღორის თანამზრახველნი საბრალო მორწმუნეთა წყალობით მოკლე ხანში აინაზღაურებდნენ დანაკლისს.

ქრისტიანობის შედეგები

● მკითხველმა პატარა გადახვევა მაპატიოს.

ეკლესიის მსახურნი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში დაუღალავად ამტკიცებდნენ, რომ ქრისტიანობამ ხელი შეუწყო კაცობრიობის განვითარებას. ეს მტკიცება ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება, და ამისი დამტკიცება ძნელი არ არის.*

საუკუნეების განმავლობაში, ვიდრე ამ ახალ რელიგიას გამოიგონებდნენ, ადამიანები სულ ახალ-ახალ ცოდნას იძენდნენ. მეცნიერების განვითარება სწრაფი ტემპით ხდებოდა. ქრისტიანობის ჩასახვიდან ცხრა საუკუნის შემდეგ კაცობრიობა უმეცრების, ცრუმორწმუნეობისა და ბარბაროსობის წყვდიადში ჩაიძირა.

ბენედიქტე მეოთხის, ას ოცდა პირველი პაპის, იოანე მეცხრის მემკვიდრის დროს, ინგლისის მეფე ედგარი წერდა:

---

* ავტორის ასეთ კატეგორიულ განცხადებას ერთგვარი სიფრთხილით უნდა შეეხოთ. ქრისტიანობის თავდაპირველ დადებით როლზე, სხვა რელიგიებზე უფრო მძლავრ გამაერთიანებელ ძალაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ის კმარა, რომ ქრისტიანული რელიგიის, კერძოდ მისი წიგნების თემაზე შეიქმნა გრანდიოზული ღირებულებანი ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მუსიკაში და ა. შ. სულ სხვა საკითხია ეკლესიის მსახურთა რეაქციული როლი (შენიშვნები ყველგან მთარგმნელისაა. რედ.).

„რომში შეიძლება ვნახოთ მხოლოდ ორგიები, გარყვნილობა, ღორმუცელობა და სიწამხდრე ყოველგვარი. მღვდელთა სახლები იქცა სირცხვილის ბუნაგებად, მეძავთა და სოდომიტ-მამათმავალთა თავშესაფარად. დღე და ღამე ცეკვავენ, მღერიან, ღრეობენ და ერთიმეორეს ეხვევიან იქ ორივე სქესის ადამიანები. ბახუსს ადიდებენ, ავხორცული ცეკვა-თამაში და მესალიანას ორგიები ცვლიან იქ წირვა-ლოცვას“.

მღვდელთა კორუპციამ მოიცვა საზოგადოების ყველა ფენა. ხალხი სიძვირითა და უქონლობით სულს ღაფავდა, ხოლო ეკლესიის ზედა ფენა ყალბი ზეიმითა და სამოთხის ზღაპრით უჭედავდა ყურებს, ორგიებში იყო ჩაფლული და ერთადერთ მიზანს ხედავდა: ბამორჩენას.

წმინდა იოანე ქრიზოსტომმა თქვა: „ყველა ამქვეყნიური ბოროტება საკურთხევლიდან მოდისო“. აქვე დავუმატებთ წმინდა იერონიმეს სიტყვებს: „ვერსად ვერ იპოვნით ასეთ პირუტყვებს, ფარისევლებს, ხალხის მომწამვლელებს, როგორც მღვდელთა და მეფეთა შორის“.

ქრისტოფ — ჯალათი

ძალიან გაგიკვირდებათ, მაგრამ ბენედიქტე მეექვსეს სიკვდილის შემდეგ რომაელებმა პაპის ტახტზე უაღრესად პატიოსანი ადამიანი აირჩიეს. ეტყობა, აქ რაღაც შეცდომა მოუვიდათ და ის მაშინვე გამოასწორეს.

ლევ V— ასე ეძახდნენ ამ იშვიათ ფრინველს — პატივმოყვარე ქრისტეფორემ გადმოაგდო ტახტიდან, სადაც ის საცოდავი სულ ორმოცი დღე იჯდა, იგი საპყრობილეში ჩააგდეს და იქვე გაგუდეს: რატომ ხარ პატიოსანიო! სხვა დანაშაული ლევ მეხუთეს არა ჰქონია, თუ დანაშაულად არ ჩავთვლით იმას, რომ სწორედ ამ ურჯულო ქრისტეფორეს ბევრი სიკეთე გაუკეთა.

კეთილი საქმე ყოველთვის სამაგიეროს ითხოვს. სიკეთის ნერგი იხარებს, დადო თუნდ სიპსა ქვაზეო. ქრისტეფორემ ეს ანდაზა საქმით დაამტკიცა: ლევი გაგუდა.

თავისი მადლობა რომ ასე გამოხატა, მაშინვე შეუდგა თავისი

უშუალო მიმდევრების დასაჩუქრებას, რომელთაც უყოყმანოდ მისცა ხმა.

ქრისტეფორე დიდხანს არ დამტკბარა თავის ნამოქმედარით. სერგი, მისებრ ცხრა თოკში გამძვრალი და გამონაჯანდრული არამზადა (ამაში მალე დავრწმუნდებით), უკვე ტახტის მაძიებელი იყო, მაგრამ ყოველთვის უჩინარივით დაუძვრებოდა ხოლმე ხელიდან.

„ეშმაკმა დალახვროს! — ამბობდა თავისთვის. — ასე ტახტზე ასვლა იოლია! რატომაც არ უნდა მივბაძოთ ქრისტეფორეს!“

დიდხანს არ უფიქრია, თავისი განზრახვის აღსრულებას შეუდგა და მოკლე ხანში მიზანსაც მიაღწია. საქმე დამში მოვიდა. ქრისტეფორე ტახტიდან ჩამოაგდეს, გააგდეს და მონასტერში დაამწყვდიეს. მერე სერგიმ იფიქრა, ვაი თუ გაიქცესო, და დილეგში გადაიყვანა, სადაც ბედშავ პაპს შიმშილით ამოხდა სული.

წმინდა მამები
და კურტიზანი ქალები

❁ დაბოლოს, სერგიმ თავის უმაღლეს სურვილს მიაღწია. თავდაპირველად ამდენი მოლოდინისათვის თავი იმით დაისაჩუქრა, რომ გააუქმა იოანე მეცხრის და სამი დანარჩენი წინამორბედის ყველა ბრძანება, ამასთან გამოაცხადა, არც ერთ ამ უზურპატორს არ ჰქონდა უფლება პაპის ტახტზე ასვლისო, მას კი, ცხადია, ეს უფლება ჰქონდა, ოღონდ რის საფუძველზე, ეს კი აღარ უთქვამს.

იმ დროს რომს თეოდორა განაგებდა, სახელგანთქმული კურტიზანი ქალი, ტოსკანის მარკგრაფის ადალბერტის ხასე.

თეოდორას ორი ასული ჰყავდა. გარყვნილებით ორივემ გადააჭარბა სახელგანთქმულ მეძავს, რომლის საშომაც მისი ზნეობის საკადრისი უწმინდურები შვა. უფროსი, მაროცია, განსაცვიფრებელი სილამაზით განირჩეოდა, რაც მის უსაქციელობას კიდევ უფრო საშიშს ხდიდა. ადალბერტი მგრძნობიარე კაცი იყო და მალე მისი საყვარელიც გახდა.

არც წმინდა მამა სერგი იყო უგრძნობელი; მანდილოსნებს პატივსა სცემდა, ამიტომ მაროციაც თვალში მოუვიდა... უნდა ითქვას, რომ თეოდორას უფროსი ასული და დედის მეტოქე ამაყობდა

მის უწმინდესობაზე გამარჯვებით და დიდხანს არ უწვალებია, ისე გაუზიარა სარეცელი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს მაროციას მგრძნობიარე და სათნო გულზე მეტყველებს.

პაპისაგან მრავალი შვილი შეეძინა. მათ კიდევ შევხვდებით, როცა წმინდა ტახტის საფეხურზე ერთიმეორეს წაღმა-უკუღმა გადააყირავებენ; ჯერ ვაცალოთ, დაიზარდონ! მაროცია კარგი დედა გამოდგა. ეს დასტურდება თუნდაც იმით, რომ არც საყვარელ ვაჟიშვილს ეუბნებოდა უარს იმ ვნებიან ალერსზე, რითაც მათს მშობელ მამას და საქრისტიანოს მამას აჯილდოებდა.

ამ სათნო ყრმებს თავი ისე სახიერად ეჭირათ, თითქოს წინასწარვე სცოდნოდათ ალფრედ დე მიუსეს სტრიქონები:

რა გზითაც მამა წავიდა, იმ გზაზე წავა შვილიცა...

მშვენიერი მაროცია უთუოდ რაღაც ჯადოს ფლობდა, რომ შესძლო სახის მშვენიერების შენარჩუნება მრავალი ათეული წლის განმავლობაში. ზოგი იმასაც ამბობდა, ამ ცოდვილს სიბერეც არ გაეკარაო.

ისტორია გვაუწყებს (არ დაგავიწყდეთ — ისტორია და არა გადმოცემა!), რომ „ჯოჯოხეთური სისხლისაღმრეევი მრუშობა ამ კურტიზანი დედაკაცისა სამი თაობის განმავლობაში გრძელდებოდა“.

დედა და ასული

● გრძელი გამოვიდოდა, თორემ, აქ ასეთი სათაურიც შეიძლებოდა: „ქალის შემწეობით უმაღლესი წოდებების მოპოვების ხელოვნება“.

იოანე, რავენელი დიაკონი, მონაზვნიხა და მღვდელის უკანონო სიყვარულის ნაყოფი, ახალგაზრდა კაცი იყო, თვალადი, ტანადი, ტანსარო, და როგორც კი სიყვარულით დამწვარმა თეოდორამ თვალი მოჰკრა, მისი სურვილით ცეცხლი შეენთო.

ეს ურცხვი კურტიზანი ქალი მფარველობას უწევდა თავისი ღვიძლი ასულის სასიყვარულო ფანდებს მღვდელმთავართან-პაპ სერგისთან, რომლის სარეცელსაც იმავე დროს თვითონაც იზიარებდა.

სწორედ ამ პეროდში შეხვდა მას იოანე დიაკონი, რომელმაც პირველი მზერითვე მოინადირა მისი გული. ამ დიაკონს მშობლები-

საგან მეტად ზერელე წარმოდგენა ჰქონდა მიღებული ზნეობაზე, თანაც უკვე იცოდა. რა მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა ეჭირა ამ ქალს, ამიტომ მაშინვე წარმოიდგინა, რამდენ სიამეს და წარმატებას ჰპირდებოდა ცხოვრებაში მისი ვნებიანი გამოხედვა.

თვითონ პაპის საყვარელი! ეშმაკმა დალახვროს, რა ბედნიერი შემთხვევაა! დიაკონმა იოანემაც არ დააყოვნა ამ ბედის წყალობის გამოყენება, არ მოერიდა ხიფათს და ვნების მორევში შეცურდა.

იმ დროს თეოდორა რომში ჯერ კიდევ ყოვლის შემძლე მანდილოსანი იყო და სულაც არ გაუჭირდა ლამაზი ჭაბუკისათვის რავენის არქიეპისკოპოსის ხარისხის ბოძება. მაგრამ ჭაბუკის სიშორე საკმაოდ ხანში შესული ქალის გულში ეჭვის ნაღვლიან სიმებს არხევდა. იოლი ხომ არ იყო რომიდან რავენაში ჩასვლა იმისი გულისათვის, რომ საყვარელ ყმაწვილს გადახვეოდა! ამიტომ როგორც კი წმინდა ტახტი განთავისუფლდა, ყველა თავისი ფანდი გამოიყენა, მთელი თავისი ხელოვნება აამოქმედა და გუშინდელ დიაკონს საჩუქრად მიართვა... პაპის ტიარა.

კაცმა რომ თქვას, თეოდორა იძულებული იყო ეს ნაჩქარევი ნაბიჯი გადაედგა: ყმაწვილი კაცი სადმე ხომ უნდა მოეწყო, თორემ რავენიდან აღშფოთებულმა ხალხმა ცოფიანი მგელივით განდევნა თავისი ორგიებისა და დანაშაულობისათვის, განდევნა სამარცხვინოდ, როგორც არამზადა.

თეოდორას ეჭვიც მალე გამართლდა: იოანე უკვე ღალატობდა. ტახტზე რომ ავიდა იოანე მეათის სახელწოდებით, მაშინვე იგრძნო, რომ ეს ქალი უკვე აღარ ესაჭიროებოდა, და მეტოქეებით დაასაჩუქრა. მთელი მისი დრო ორგიებსა და სასიყვარულო თავგადასავალს მიჰქონდა. ყველაზე ნაკლები დრო საქმეებისათვის რჩებოდა. ეს ამბავი არც კი ახსოვდა. არასოდეს ეკლესია ასე უპატრონო არ ყოფილა. ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ისე აირია ყველაფერი. ვისაც რა უნდოდა, იმას აკეთებდა. აშკარა უკანონობაზე გარყვნილი პაპი ბრმად იძლეოდა სანქციებს. მაგრამ ეს საქმის ვითარებას მაინც ვერ ცვლიდა. როცა უფსკრულში ვარდები, ფსკერზე უფრო ღრმად სადღა დავარდები! იოანე მეათემ მხოლოდ თავისი ცხოვრება აქცია ერთიან ორგიად და გარყვნილების მორევად. რაც შეეხება თვითონ ეკლესიას, მეტი რაღა დაემატებოდა, იმავე ჭაობში დარჩა, რომელშიაც უწინდელმა პაპებმა შეაცურეს. თეოდორას პროტექციით აღ-

ზევებული მშვენიერი ნადირის საქმე ტრაგიკულ ფინალს უახლოვდებოდა. მართალია, თეოდორამ გამოაცხო, მაგრამ თვალში მისი ასული მოუვიდა: რაც უნდა იყოს, უფრო ახალგაზრდა არისო, და რაკი პაპმა ინება, მაროციაც დედისეულ სარეცელში ჩაწვა. შემთხვევითი არ გეგონოთ, იმ ხანებში ასეთი მოდა იყო: ჯერ დედა, მერე მისი ასული! ეს პრაქტიკა რამდენიმე საუკუნის შემდეგ მწვერვალზე ბალთაზარ კოსამ აიყვანა.

უკუღმართ ვარსკვლავზე დაბადებულ იოანეს საუბედუროდ, გახრწნილ მაროციას, ამ საყოველთაო საყვარელს, თავში ერთი ფანტაზია მოუვიდა: იოანეს მისაკუთრება მოინდომა, რომ მეტოქე არა ჰყოლოდა. მაგრამ წმინდა მამა, როგორც სათნო და სამართლიანი ადამიანი, თავის ალერსს ერთნაირად უზიარებდა მაროციას ,მის ღვიძლ დას — ამ თავის ოფიციალურ საყვარელს — და მათს ჯერ კიდევ ლამაზ დედას, თეოდორას. ამიტომ, ბუნებრივია, ყოველთვის ვერ იცლიდა მაროციასათვის. ამ წმინდა სამების გარდა (რაშიაც პაპი ცუდს არაფერს ხედავდა, რადგან საიდუმლო ერთ ოჯახში რჩებოდა), იოანე კიდევ საკმაოდ ბევრ დროს უთმობდა სხვა ლამაზ მანდილოსნებს. თუ ვინმე თვალში მოუვიდოდა, ზურგს რისთვის აქცევდა? განა ყველა და ყველაფერი მისი არ იყო? საქმე იმით დამთავრდა, რომ მაროცია ძალიან გაანჩხლდა. უპატრონო ხომ არ ეგონათ? მრავალ გავლენიან საყვარელზე რომ არაფერი ითქვას, მას ხომ კანონიერი ქმარიც ჰყავდა, ვინმე გუი ტოსკანის ჰერცოგი. ეს ჰეშმარიტად გასაოცარი ქმარი გამოდგა: სიამოვნებით დათანხმდა, რომ სამაგიერო გადაეხადა თავისი ცოლის საყვარლისათვის, რომელიც ასეთ ლამაზ ქალს ღალატობდა: მე ვუჩვენებო სეირს იმ უსინდისო ლოველასს!

მართლაც, ტოსკანის ჰერცოგი თავისი ქვეშევრდომების თანხლებით პაპის სასახლეში შეიჭრა, გარყვნილი პაპი შეიპყრო, ჯერ მის თვალწინ მისი ძმა დაახჩო, მერე თვითონ წმინდა მამა დილეგში ჩააგდო და ბალიშებით გაგუდა. ყოველივე ამას თვალყურს ადევნებდა თვითონ მაროცია

ბალიშებით! ბუმბულით! მოკლედ, გერმით გაგუდეს კაცი, რომელმაც თავისი ცხოვრების მეტი ნაწილი ბუმბულებში გაატარა! სიმართლე რომ ითქვას, ზოგჯერ ბედი უწყალოდ ეთამაშება ადამიანებს!

რა საშიშია ხანდახან
იმპერატორი ქალის სიყვარული!

ლევ VI, იოანე მეათის მემკვიდრე, წმინდა პეტრეს ტახტზე სულ რამდენიმე თვეს იჯდა. ამ ხნის განმავლობაში არავითარი ყბადასაღები ამბავი არ მომხდარა.

გავიხსენებთ მხოლოდ ერთ ისტორიულ ანეგდოტს, რასაც ისტორიკოსი ლიუტპრანდი მოგვითხრობს, კრემონის ეპისკოპოსი.

ლევ მეექვსის პონტიფიკატის დროს იტალიას განაგებდა იმპერატორი ბერენგარი, რომელსაც მხურვალე გულით უყვარდა თავისი მეუღლე ვილა.

იმპერატორის მეუღლეს საყვარელი ჰყავდა — ყოვლად გონჯი და უსახური მღვდელი: თხუნელასავით შავი, ნადირივით თმაბურძგნილი. დათვივით ტლანქი, სახითა და სხეულის აღნაგობით ნამდვილი ურჩხული. ამდენ სიკეთესთან ერთად ბუნებამ გაუგონარი სიჩლუნგით დაასაჩუქრა. ღორმუცელა ხუცესს ძალიან უყვარდა ღვინო და ისე სვამდა, როგორც ღორი, სვამდა უზომოდ, რის გამოც უხეში იყო, როგორც ყოველი ლოთი. მოკლედ, ადვილი წარმოსადგენია, რა მაცდური ვინმე იყო ეს მღვდელი!

ასეთი მიმზიდველი არსება რომ მუდამ გვერდით ჰყოლოდა, ვილამ მას თავისი ასულების აღზრდა დაავალა. ალბათ, ჰქონდა რაღაც კარგი ამ დათვს! რას ასწავლიდა ეს დრუნჩა მოძღვარი ბავშვებს, ისტორია ამაზე დუმს. მაგრამ ისედაც ადვილი წარმოსადგენია, რას ისწავლიდნენ გოგოები მის ხელში.

ერთხელ ღამით, როცა ერთგული საყვარელი ფეხშიშველა მიიპარებოდა დედოფლის საწოლისაკენ, რომ ხმაურით არავინ გაეღვიძებინა, დერეფანში რაღაც საგანს წამოედო და იატაკზე გაიშლართა. ეტყობა, იმ საღამოს ბახუსის საამებლად ზედმეტი ღვინო გადახუხა.

შეშინებულ მსახურებს ხუცესის ბრაგვანი ჯერ მიწისძვრა ეგონათ, მერე კი იფიქრეს, ქურდი თუ შემოიპარაო, სტაცეს ხელი და ღვთისმსახური კი შერჩათ სახტად დარჩენილებს.

ზნედაცემულ ვილას, რომელსაც ადამიანი ეცოტავა და დათვთან დაიჭირა საქმე, საქვეყნოდ მოყივნებისა შეეშინდა, ვაი თუ

ყველაფერი გამომჟღავნდესო, და მღვდელს მაშინვე ბრალი დასდო, ალბათ ერთ-ერთი ჩემი ქალიშვილის გარყვნა განიზრახაო.

მღვდელმა ზედმეტად ჩათვალა თავისი საყვარლის ბრალდების გადათქმა და გონებაში მოეწონა კიდეც მისი საზრიანობა. უდრტვინველად მიჰყვა ღარაჯებს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დედოფალი საპყრობილიდან მალე გამოიხსნიდა.

მაგრამ ვილას უკვე დიდი ხანია მობეზრებული ჰყავდა უსახური საყვარელი და მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა, რომ საზიზღარი ხუცესი თავიდან მოეშორებინა. ამიტომ პირიქით, მოითხოვდა, დააჩქარეთო გასამართლება, თან იმისი თადარიგი დაიჭირა, რომ გონჯსა და დუხჭირ ხუცესს შური არ ეძია და მისი ღირსება არ შეელახა: განკარგულება გასცა განაჩენის გამოცხადების დღეს სიტყვის უფლება არ მიეცათ და სიფრთხილისათვის პირი ჩვრით ამოეტენათ.

სასამართლომ დამნაშავეს თავის მოკვეთა მიუსაჯა.

ბრიყვმა ხუცესმა ალბათ იგრძნო, რომ საქმე სახიფათოდ შეტრიალდა და ბევრი იწვალა, რომ მოსამართლეებისათვის მთელი სიმართლე გაემხილა: დედოფალს ვყვარობდიო, უნდოდა ეთქვა. მაგრამ დააგვიანდა. იმპერატორი ქალის ბრძანება შესრულდა. თხემის ადგილზე მიმავალ მღვდელს ლაპარაკის უფლება წაართვეს.

ანეგდოტის მორალი ასეთია: მეფეები, რომლებიც ხალხებს ასამართლებენ, სავსებით ღირსნი არიან იმ მეგობრობისა, რითაც მღვდელმთავრები აბედნიერებენ ხოლმე.

– ინტიმური კურთხევა

❸ სტეფანე მერვეზე, რომელმაც ლევ მეექვსის შემდეგ დაიხურა ტიარა, მატიანეებში თითქმის არაფერი არსებითი არ არის ნათქვამი.

ზოგიერთი ღვთისნიერი ავტორი ამტკიცებს, რომ ეს მღვდელმთავარი უაღრესად მკაცრად იბრძოდა სასულიეროთა ზნეობრივი სიწმინდისათვის. რა ძუნწი ცნობებიც არ უნდა გვქონდეს სეტფანე მერვის პონტიფიკატზე, თავს ნებას მივცემთ ეჭვი შევიტანოთ მათ სისწორეში.

სწორედ სტეფანე მერვის პონტიფიკატის დროს გამოიტანეს რომის საეკლესიო კანონმდებლებმა შემდეგი გადაწყვეტილება:

„საერო ხელისუფალთ უფლება არა აქვთ ბრალი დასდონ მღვდლებს, თუნდაც თავიანთ ცოლებთან და ასულებთან წაუსწრონ. მორწმუნეებმა ასეთ შემთხვევაში უნდა იფიქრონ, რომ მოძღვარს უფრო ახლო, ინტიმურ მდგომარეობაში განუზრახავს ამ ქალების კურთხევა და ამ მიზნით დაწოლილა მათთან“.

როგორ მოგწონთ, თუ ღმერთი გწამთ, ასეთი ინტიმური კურთხევა? წარმოიდგინეთ მოულოდნელად შინ დაბრუნებული ქმარი, რომელიც თავის ცოლს გაღაქღაქებული აბატის მკლავებში ხედავს, გატიტვლებულსა და ნამუსახდილს. იმის ნაცვლად, რომ ღვთის კაცის ლოცვა-კურთხევით გულაჩუყებული უკან გაბრუნდეს, ის აღშფოთებით გაჰყვირის:

— ეშმაკმა დალახვროს, ეს რას ნიშნავს, ქალო? როგორც ვატყობ, რქების დადგმას მიპირებთ?!

აბატი კი ნაღვლიან მზერას აპყრობს შემოსწრებულს და სრულიად დამშვიდებული ეუბნება:

— როგორ მოგივიდათ თავში ასეთი ღვთისგმობა? მე ვლოცავ თქვენს მეუღლეს... გადით, შვილო ჩემო, მეზობელ ოთახში. როცა ლოცვა-კურთხევას დავამთავრებ, დაგიძახებთ. რას მიყურებთ? გამათავებინეთ დაწყებული საქმე.

აბა რა საკამათოა, ბრძანება ფრიად სასიამოვნობ, ოღონდ, ცხადია, მოძღვრისათვის და არა ქმრისათვის.

მაგრამ ეს ბულა მაინც ამტკიცებს, რომ წმინდა მამა სტეფანე არც ისე თავგამოდებით იბრძოდა სამღვდელოების ზნეობის ასამაღლებლად, როგორც ორთოდოქსალური მწერლები გვიმტკიცებენ.

იოანე XI,
თავისი დედის საყვარელი

● წმინდა ტახტზე იოანე XI ასვლით, რომელმაც სტეფანე VIII შეცვალა, ხელახლა ვხვდებით იმ სფეროში, სადაც ჩვენი ნაცნობი კურტიზიანი ქალი მაროცია „მოღვაწეობს“.

პაპ სერგისთან ამ მეძავს ჰყავდა შვილი ოქტავიანე. და მოუთმენლად ელოდა მის დავაჟკაცებას პაპი სტეფანე VIII რომ წინაპართა გზას დაადგა, მაროციამ თავისი გონება და ქონება ერთიანად დაატრიალა. ეს ქალი უზარმაზარ მამულებს განაგებდა, გავლენიანი საყვარლები და ნათესაობა ჰყავდა, ასე რომ არ გაუჭირდა პაპის ტახტის დაპყრობა ოქტავიანესათვის, რომელიც მისთვის ორნაირად ბვირფასი იყო: როგორც შვილი და როგორც საყვარელი. თვითონ მაროციას ალბათ არ უნდოდა ტახტი, თორემ უთუოდ ამასაც მოახერხებდა.

როცა წმინდა ტახტზე აიყვანეს, ოქტავიანე თვრამეტი წლისა იყო. ასეთი ყმაწვილი კაცი ჩვეულებრივ არ აჰყავდათ ქრისტეს მოადგილის ტახტზე, მაგრამ მარადიულ ქალაქში ყველაფერი ხდებოდა.

ოქტავიანე სუსტი ხასიათისა და თანაც გაუბედავი კაცი იყო, რაც მაროციას ძლიერ აფიქრებდა. ძლიერი მფარველი რომ გაეჩინა, მზეთუნახავმა მეძავმა განიზრახა მზე დაებნელებინა თავისი ქმრისათვის, რომელიც ახლახან ასე ღირსეულად გაუსწორდა თავის მეტოქეს იოანე მეათეს.

განიზრახა და გააკეთა. ქმარი მოწამლა. ერთი მკვლელობა გინდ იქით იყოს, გინდ აქეთ, რა განსხვავებაა! მრავალი პაპის საყვარელი განა ასეთი წვრილმანის წინაშე უკან დაიხევდა?

წარმატებას რომ მიაღწია, ლამაზმა ქვრივმა თავისი ხელი და გავლენიანი მდგომარეობა თავისსავე მაზლს, ლომბარდიის მეფეს შეუთავაზა. ჰუგოც დიდი გაიძვერა ვინმე აღმოჩნდა, აინუნშიაც არ ჩააგდო ის ამბავი, რომ თავისი ასეთი ახლო ნათესავი მაროციამ მოწამლა: კარგად ჰქონია შესწავლილი ყველა ხრიკი და ფანდი ამ აღვირახსნილი ჰეტერისა, რომელმაც სავსებით აღადგინა უბადაღებული ზნე ანტიკური ლესბოსისა და არა ნაკლებ ძველი გომორისა, რაც ბიბლიური თქმულების თანახმად ღმერთმა გოგირდის ცეცხლით დაწვა.

იქნებ ვს ხელმწიფე მაინც ყოყმანობდა, ამ ქალს რომ ირთავდა? არა, ხალისით მიიღო ქალის წინადადება! ზნეობის საკითხში, მოგეხსენებათ, ქრისტიანი მეფეები და საქრისტიანოს მეუფეები სინდისის ქენჯნას არ განიცდიდნენ.

❂ საკუთარი ქმრის მომწამვლელ ქვრივზე რომ დაქორწინდა, ჰუგომ, როგორც საქმოსნები იტყვიან, მომგებიანი საქმე მოაკვარეხჭინა. ეს კავშირი აფართოებდა მეფის სამფლობელოებს და განამტკიცებდა მის ძლიერებას. სამი ქალი, სამი გრაცია, სამი სატანა, იმ ხანებში რომს განაგებდა ფაქტიურად, რომი კი ქვეყნიერებას განაგებდა.

მაგრამ მეფემ მეტისმეტად დიდი შეფასება მისცა თავის შესაძლებლობას და ამან დაღუპა.

ვინმე მარკიზ ადალბერტისაგან (ერთ-ერთი პირველი საყვარლისაგან) მარიციას ჰყავდა შვილი ალბერიკი, რომელიც ძმურად უყოფდა იოანე მეთერთმეტეს მათი მშობელი დედის ალერსსა და სარეცელს!

მეფე ჰუგო ურიგოს ვერაფერს ხედავდა იმაში, რომ მისი კანონიერი მეუღლე პაპის საყვარელი იყო, და ისიც საკუთარი პირმშო შვილისა! შესაძლებელია, რომ ერთგული კათოლიკე ამაში თავისთვის დიდ პატივსაც ხედავდა, რადგან სამღვდელონი ხომ ასეთი ინტიმური კავშირის დროს აკურთხებენ სხვათა ცოლებს! სამაგიეროდ ალბერიკი ჭირივით სძულდა! ან ვინ იყო, ბოლოს და ბოლოს, ალბერიკი? ვიღაც მარკიზის ნაბუშარი, და მეტი არაფერი!

როცა მეფემ მდგომარეობა განამტკიცა, მეტად თავის შეკავება ზედმეტად ჩათვალა და ერთხელ, როცა სათნოება შეულახეს, ალბერიკს სილა გააწნა. გამძვინვარებულმა ალბერიკმა რომი აუმხეჯრა და წმინდა ანგელოზის ციხეს დაესხა თავს. მეფე ჰუგო ამას აღარ მოელოდა, აჯანყებას მოუმზადებელი შეხვდა, რომიდან გაიქცა და ქალაქი თავის მოწინააღმდეგეს დაუტოვა.

გამარჯვებულმა ჰერცოგის ტიტული მიიღო და ფაქტიურად რომის დიქტატორი გახდა! ო, როგორ დაეცა რომი! თავისი ძმა იოანე XI ახლად გამომცხვარმა ჰერცოგმა დაატყვევა და მხოლოდ განსაკუთრებით საყურადღებო დღესასწაულებზე უშვებდა — ღვთისმსახურების გასაძღოლად. შემდეგ კი ისევ ამწყვდევდა, როგორც ვირს ამწყვდევენ, ტვირთს რომ მოაზიდვინებენ. ამიტომ იოანე მეთერთმე-

ტისთვის სიკვდილი ნამდვილი ხსნა იყო. ეს უბადრუკი ნაბუშარი, რომელსაც საკუთარი დედა ჰყავდა საყვარლად, სმა-ჭამისაგან გასკდა და გახრწნილი სული ბელზებელს ჩააბარა 936 წელს, როცა სულ 24 წლისა იყო (სხვა ცნობით 29 წლისა). აქედან ტახტზე სულ ოთხიოდე წელი იჯდა.

რაც შეეხება მაროციას, ალბერიკი, იგივე ალბერიხ მეორე, მას მთელი ამ ავანტურების შემდეგ აღარ ენდობოდა და მუდამ თავისთან ჰყავდა. მათი ჯოჯოხეთური, დანაშაულებრივი თანაცხოვრებისაგან დაიბადა ვაჟი, რომელსაც მალე ვნახავთ პაპის ტახტზე იოანე მეთორმეტის სახელწოდებით. ეს დუხჭირი ნაყოფი უმაგალითო სიძვისა მესამე თაობაში განაგრძობს ამ ბილწი „ოჯახის“ საზიზღარ ტრადიციებს.

პაპი იოანე XII, საკუთარი ძმის შვილი დედის მხრივ, გარკვეულის აზრით პირდაპირ გააუპატიურა საკუთარმა დედამ, ზნედაცემულმა პირუტყვმა მაროციამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ყმაწვილი სქესობრივად მომწიფებული არ იყო. ამდენი საყვარლის და ქმრის პატრონს რა უჭირდა საამისო, ეს ისტორიამ მის სიცოცხლეშივე გახრწნილ სხეულს უნდა ჰკითხოს. ახალი იოანეც მალე იქნა ჩათრეული გარყვნილების ჭაობში და როგორც კი საამისოდ მომწიფდა, საკუთარი დედის ვნებააშლილი საყვარელი შეიქნა.

წლების მანძილზე „აკვანშივე შერყვნილი“ იოანე სრულიად გადაჯიშდა და თუ პაპთა შორის ყველაზე უფრო მანკიერი არა, ყველაზე უფრო თავაშვებული კი გამოდგა, კერძოდ ორგიებში ყველა წინამორბედს გადააჭარბა. სრულიად შეუძლებელია ყველა იმ ქალის ჩამოთვლა, რომელიც ამ პაპმა შეაცდინა, მოხიბლა და გააუპატიურა, რადგან ეს პირუტყვი არ ერიდებოდა არავითარ ძალადობას, თუ ვინმე გაბედავდა და გაუძალიანდებოდა.

ზოგიერთი თავისი საყვარელი პაპმა განუზომელი ფუფუნებით შემოსა. საერთოდ, ქალების მიმართ იოანე XII მეტისმეტად გულუხვი იყო. მართალია, პაპებისა და მეფეების გულუხვობა იმით განსხვავდება, რომ მათ ეს წყალობა არაფერი უჯდებათ.

თავისი ერთ-ერთი ვასალის ცოლს, რომელიც პაპს განსაკუთრებით ვნებით უყვარდა, მთელი ქალაქები და მონასტრები აჩუქა.

მეორე საყვარელს, რომელმაც, ეტყობა განსაკუთრებით ასია-

შოვნა, წმინდა პეტრეს ტაძრის ოქროს ჯვრები და ჭურჭელი მისცა. აი, ვისთვის ეწამა პეტრე.

იტალიის დიდებულებმა აღარ ისურვეს ტახტზე ამ გახრწნილი ლოველასის ყურება, თხოვნით მიმართეს გერმანიის იმპერატორ ოტონს. პაპი შენს წინააღმდეგ ინტრიგებს აწყობს და დაგცინისო, სწერდნენ, რადგან ფაქტიურად საეკლესიო და საერო საქმეებს განაგებს არა პაპი, არამედ მისი რომელიმე კაცი ან საყვარელი. იოანეს მუხანათობის გარდა ამ ეპისტოლეში ასეთი ფაქტებიც იყო მოყვანილი:

„იოანე მეთორმეტის ერთ-ერთი ხასა-სტეფანეტა — ჩვენს თვალწინ გარდაიცვალა პაპთან კავშირის შედეგად ლატერანის სასახლეში, ამასთან შვა ვაჟიშვილი, რომლის მამა, მისივე სიტყვებით პაპი იყო. პირველი მღვდელმთავრის სამყოფელი იქცა გარყვნილების ალაგად, მეძავთა სათარეშო სავანედ! მისი დეიდა დედამისთან, მაროციასთან ერთად სისხლის აღმრევ ცხოველთა ჭაობში იხრჩობა. რომაელ ქალებსაც, ისევე როგორც უცხოელ ქალებს, წმინდა მოციქულთა ტაძრად შესვლა ეშინიათ, რადგან საკურთხევლის საფეხურებზეც კი პოულობს მსხვერპლს ეს ურჩხული-ცოლთა, ქვრივთა და ქალიშვილთა შორის! მოციქულთა ტაძრები იქცევიან! დაღუპულთა ცრემლით შეცახცახებული ცა მორწმუნეებს დაღუპვით ემუქრება!“.

ტახტის დაკარგვა

ოტონმა, რომაელთა მიმართვა რომ წაიკითხა, მიუხედავად მთელი მისი ჯოჯოხეთური შინაარსისა, უკიდურესი ზომების მიღება არ ისურვა. მკაცრი გაფრთხილებით დაკმაყოფილდა, რაზედაც იოანე XII დაპირდა, შეცდომებს გამოვასწორებო. დიახ, გაუგონარ ბოროტმოქმედებას შეცდომებს ეძახდა. თავის გასამართლებლად ახალგაზრდული გატაცება დაიმოწმა.

იმპერატორმაც დაიჯერა პაპის პირფერული რწმუნებანი და იმის ნიშნად, რომ სურს მასთან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს, კრემონისა და მიუნსტერის ეპისკოპოსები გაგზავნა რომში.

იოანე მეთორმეტემ მათ ლატერანის სასახლეში უგულითადესი მიღება მოუწყო, მაგრამ გაისტუმრა თუ არა გერმანელი ეპისკოპოსები, რვა დღის შემდეგ ბრძანება გასცა რომის კარები გაეღოთ ოტონის მოქიშპისათვის — ადალბერტისათვის, რომელიც ხსენებული ბერენგარის შვილი იყო. ადალბერტიც ტრიუმფით შევიდა რომში და ძველი პატრიციებისა და იმპერატორების ქალაქი რიხიანად დაიჭირა.

პაპის მუხანათობით აღშფოთებული ოტონი მთელი თავისი არმიით დაიძრა რომზე. იოანამ და ადალბერტმა, ამ ორმა კრეტინმა, ზედმეტად ჩათვალეს იმპერატორის დაცვა, წმინდა პეტრეს მთელი საგანძური ზანდუკებში ჩააწყვეს და გაიტაცეს.

„ვიხსნათ სალარო"! — ეს ფარისევლური დევიზი გაიმეორა იოანემაც, გაძარცვა საკუთარი საჭურჭლე, დატოვა ტახტი და გაიქცა.

იმპერატორის ჩამოსვლის დროისათვის რომის მოსახლეობა ორ ბანაკად დაიყო. ერთს მიემხრო ყველა პატიოსანი მოქალაქე, მეორეს — ყველა ქურდი, გაიძვერა და ბანდიტ. სრულიად ზედმეტია იმის დამატება, რომ უკანასკნელები პაპის მომხრეები იყვნენ.

გერმანიის მრავალრიცხოვანი ლაშქრის გამოჩენამ მაშინვე დააცხრო ამ ბანდის საბრძოლო ცეცხლი. წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ, ისე შემოუშვეს იმპერატორი, მორჩილება გამოხატეს და ერთგულება შეჰფიცეს. მაგრამ ოტონს გადაწყვეტილი ჰქონდა მკაცრად დაესაჯა პაპი და მაშინვე საეკლესიო ყრილობა მოიწვია. ყრილობას ესწრებოდა ორმოცი ეპისკოპოსი, ოცდაათი კარდინალი, სამი დიაკონი, მრავალი ბერი და საერო კაცი. როცა იმპერატორმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ პაპს არ სურს თავის მართლება, ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა შეჰყვირა: „მისი დანაშაულობანი ყველას თვალწინ ხდებოდა, მისი ამბავი იმ ხალხში გავიდა, რომელიც შორეულ ინდოეთში ცხოვრობს. იოანე მეთორმეტემ თავისი სახელი ლაფში ამოსვარა".

ოტონმა მოითხოვა, ბრალდებანი უფრო ზუსტად ჩამოაყალიბეთო. მაშინ კარდინალებმა და ეპისკოპოსებმა სათითაოდ დაიწყეს გახრწნილი მღვდელმთავრის დიდ და მცირე დანაშაულობათა ჩამოთვლა, მისი მკრეხელობის, ურჯულობის, უზნეობის შემთხვევების ოასახელება, უმძიმეს დანაშაულობათა მთელი სია შეადგინეს.

ეპისკოპოს პეტრეს თქმით, იოანე XII წირვაზე მთვრალი დადიოდა. ეპისკოპოსმა ნარნიმ კი თურმე თავისი თვალით ნახა, როგორ აკურთხებდა პაპი ვიღაც ვიგინდარას დიაკვნად... საჯინიბოში.

იოანე სატანის სადღეგრძელოს სვამდა, ბანქოს თამაშობდა და შემწედ იუპიტერს უხმობდა. ორგიების დროს იოანე თავის თავს ვენერას ქურუმს ეძახდა.

მსგავსი ბრალდებანი მოდიოდა ყოველი მხრიდან, აღშფოთებული ასამბლეის გუგუნში ფარდას ხდიდნენ გაშმაკის მოციქულის ბნელ საქმეებს.

თუ დღეისათვის ყრილობა — ტაკიმასხრული ფარსი და ფორმალობაა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროისათვის საეკლესიო ყრილობა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამასთან ბრალს სდებდნენ არა ვინმე უბრალო პიროვნებას, არამედ საქრისტიანოს უზენაეს მრძანებელს.

წარმოიდგინეთ, თითქოს რომელიმე ხუმარას მოეხასიათა სააღდგომო საკმევლის კვამლში ამურების გაფრენა. ან ვთქვათ ვინმე ტაკიმასხარამ ოქროს თევზის ჭმევა მოიგონა ძველებური კლიზმის შემწეობით იმ ჭურჭლიდან, რომელსაც ნაკურთხი წყლისათვის ხმარობენ. ასეთ რამეებს უგემოვნო ხუმრობად ჩავთვლით, მაგრამ მაინც მხოლოდ ხუმრობად, და ისიც უბოროტოდ. მაგრამ თუ ამას ვაკეთებს ეკლესიის მსახური — როგორ მოგვეწონება ეს ამბავი? განა მისი მოვალეობა ის არ არის, პატივი სცეს სარწმუნოების ატრიბუტებს? ნაკურთხი წყლის გამასხრება მღვდელს მოსაწონ საქციელად ჩაეთვლებოდა? არა, მაშინ ეს ფაქტები ფრიად მნიშვნელოვან დანაშაულად ჩაითვლებოდა. ამის მიხედვით ვიმსჯელებდით ეკლესიის მსახურთა ფარისევლობაზე.

იოანე მეთორმეტის ასე ვთქვათ წვრილმანი ცოდვები რომ ჩამოთვალეს, კრებაზე დაიწყეს მისი წრესგადასული ცოდვების სიის კითხვა: იოანე XII ეპარქიებს ფულზე ყიდდა; მღვდლისა და ეპისკოპოსის წოდებებს აძლევდა არასრულწლოვან ბავშვებს; საქვეყნოდ ეწეოდა გარყვნილ კავშირს საკუთარ დედასთან მარიციასთან და დეიდასთან — თეოდორა უმცროსთან; ღარიბთა სატაძრო ფული თავის გახრწნილ საყვარლებს მიახარჯა; პაპის სახლი საროსკიპოდ აქცია; თვალები დასთხარა თავის სულიერ მოძღვარს ბენედიქტეს რომელიც ჯალათის ხელით დაიღუპა; თავის თვალწინ დაახრჩობინა

კარდინალი იოანე, რომელიც მისივე ბრძანებით წინასწარ დაასაჭურისეს.

დასასრულ ყრილობამ საზეიმოდ ფიცით დაამტკიცა ყველა ეს ბრალდება.

ყველა უდავო საბუთი სახეზე იყო, მაგრამ იმპერატორმა ოტონ პირველმა დაუსწრებლად პაპის გასამართლება არ ინება და მის მოსაყვანად ჯარისკაცები გაგზავნა. მალე მეომრები უკანვე დაბრუნდნენ და მეფეს მოახსენეს: პაპი თავით ფეხებამდე შეჯავშნულა, თავზე მუზარადი ახურავს, ხელში ხმალი უჭირავს და მეძავი ქალებით გარემოცული მიჰყვება საზიდარს, რომელიც შანდლებით, ჯვარცმებით, ფიალებითა და სხვა საეკლესიო ქონებითაა სავსეო.

იოანე XII დანაშაული საბოლოოდ დამტკიცდა. მაგრამ ოტონ პირველს უნდოდა სასამართლოს აბსოლუტურად მიუდგომელი ხასიათი ჰქონოდა, ამიტომ პაპს წერილი გაუგზავნა და მოსთხოვა, თავი იმართლეო.

პასუხად პაპი იმპერატორს დაემუქრა, დაგწყევლიო.

ოტონმა ისევ მიიწვია, მაგრამ პაპმა უპასუხოდ დატოვა.

მაშინ იმპერატორმა ყრილობის ყველა წევრი დაჰკითხა და შეუვალობის ასეთი ყალბი ნისლით დაბურული ტიაროსანი პირუტყვი დამხობილად გამოაცხადა.

მაგრამ ყოჩაღ მღვდელმთავარს მაინც არ ჰქონდა ნათქვამი თავისი უკანასკნელი სიტყვა.

მიზანი ამართლებს
საშუალებას

● მიზანი, ესე იგი წმინდა ტახტი წაართვეს იოანეს. საშუალებები კი... ახლა გავეცნობით მათ.

იოანეს გადაყენების შემდეგ ხალხი აუწერელი ენთუზიაზმით მიესალმა რომაელ მღვდელს ლევს.

როცა ტახტზე ახალი პაპი ლევი ავიდა, წესრიგი აღდგა და ოტონმა შესაძლებლად ცნო თავისი არმიის გაგზავნა საზამთრო ბანაკში, თავისთვის კი მხოლოდ პირად მცველთა მცირე რაზმი დაიტოვა.

მალე იმპერატორმა გაიგო, რომ საქმე სხვანაირად შეტრიალდა და იგრძნო, რომ მძიმე შეცდომა ჩაიდინა. ვერც კი მოასწრო მისმა არმიამ რომის დატოვება, რომ ქალაქ რომში მღელვარება დაიწყო. ოტონის წინააღმდეგ პირველად ის მღვდლები აღდგნენ, რომლებიც ეევდრებოდნენ, დაგვეხმარეო.

იოანე XII, რომელიც აქამდე ნაცემი ძაღლივით დუმდა, სასწრაფოდ გამოვიდა ასპარეზზე და მოქმედება დაიწყო. მისი აგენტები რომში ავრცელებდნენ მოწოდებას, რომელშიაც გადაყენებული პაპი ბრალს სდებდა იმპერატორსა და მისი ნებით მოწვეულ ყრილობას, რომელმაც თითქოს გათელა ყველა ღვთაებრივი თუ ადამიანური კანონი,რადგან მხოლოდ ღმერთსა აქვს პაპის გასამართლების უფლება. თავის მემკვიდრეს ანტიპაპს ეძახდა, იმპერატორს — ტირანსა და წარმართს, ორივეს ანათემა გამოუცხადა, მასთან ყველა ეპისკოპოსს, მღვდელს, კარდინალსა და დიდებულს, ვინც მის წინააღმდეგ გამოვიდა. მოწოდებაში ეწერა: „მე, იოანე XII, ჭეშმარიტი მღვდელმთავარი, ტახტზე ეკლესიის ყველა წესკანონის დაცვით აყვანილი, ყველას ვუცხადებ ცოდვების მიტევებას, და თვითონ წმინდა პეტრეს სახელით, ზეცით ნაბოძები ძალაუფლების სახელით მოვუწოდებ ყველა მორწმუნეს, რომ ყველა საშუალებით, რკინითა და საწამლავით ებრძოლონ ჩემს მტრებს“. სისხლის აღმრევი, ხორცშესხმული ბოროტება, რომლის სახელია იოანე XII, ამ მოწოდებითაც კი ხელახლა ამტკიცებს, რომ ის არაა ღვთისმსახური, გაჭირვების დროსაც კი საწამლავსა და მახვილს აწოდებს ხელში მორწმუნეებს, რათა დაიცვან არა ეკლესია, არამედ ის, გახრწნილი პაპი, საკუთარი დედის საყვარელი. გათავხედებული პაპი — ყოფილი რომაელ მოქალაქეებს უბრძანებს ალყა შემოარტყან ოტონის სასახლეს, მოკლან იმპერატორი, რადგან თურმე ასეთია უფლის ნება.

ადვილი წარმოსადგენია, რა ზეგავლენას მოახდენდა ცრუმორწმუნე და ფანატიკოს ხალხზე მისი მოწოდება. ბნელი და უბედური ხალხი ხშირად ეგება სისხლისმსმელ ტირანთა ანკესზე, სასიკვდილოდ სწირავს ხოლმე თავს ბედის უკუღმართობით განდიდებულ არამზადებს. ასე მოხდა აქაც. ბოლოს და ბოლოს, მოსყიდვითა და დაპირებებით პაპმა საკმაოდ მრავალრიცხოვან ბრბოს მოუყარა თავი.

მღვდლები, რომლებიც გუშინ სასტიკად ამტყუნებდნენ ბორტმოქმედ პაპს, დღეს მისი თავგამოდებული მოკავშირეები გახდნენ. 964 წლის 2 იანვარს რომის ზარების ზრიალში ეკლესიის მსახურთა და უსაქმურთა ბრბოს ლაშქარი ოტონის სასახლისაკენ გაემართა.

იყო ერთი მუქარა და ქადილი. მაგრამ ეტყობა, ამ შეკოწიწებული არამზადების ბრბოს სიმამაცის ნატამალიც კი არ გააჩნდა. იმპერატორის დასათრგუნავად რომ მიეშურებოდნენ, მოელი ხმით ღრიალებდნენ, როგორც იქცევა ყოველი ლაჩარი, რათა შიში გულში ჩაიკლას.

საშუალება ერთობ პრიმიტიულია მტრის დასამარცხებლად. იმპერატორს შორიდანვე შემოესმა. ბრბოს ღრიანცელი და თავის პირად მცველთა რაზმით შეეგება მრისხანე მოწინააღმდეგეს.

პირველსავე შეხვედრაზე მღვდლები პანიკურმა შიშმა მოიცვა, ანაფორის კალთები აიკეცეს და მოჰკურცხლეს, ერთიმეორეს ედებოდნენ, ეცემოდნენ, დგებოდნენ და ისევ გარბოდნენ, ისე რომ უმწეო ჯარისკაცები შეატოვეს ხელში ოტონის უშიშარ რაზმს.

მეორე დღეს გამარჯვებულმა ოტონმა განაცხადა, მზად ვარ შევიწყალო მეამბოხეები, თუ ას მძევალს მაახლებთ და ისევ ერთგულებას შემომფიცავთო.

ასი მძევალი აახლეს. ფიციც მისცეს. მაგრამ იმავე დროს დაიფიცეს, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში დავარღვევთო ფიცს. ამით ადასტურებდნენ ცნობილ პრინციპს: აღთქმის დარღვევა ყოველთვის შეიძლებაო.

კარნავალი ტაძარში

● თანამოლაშქრეთა გაქცევამ იოანე XII კოვზი ნაცარში ჩაუგდო. მან უკან დაიხია, მაგრამ ფარ-ხმალი როდი დაყარა.

რომაელი კურტიზანი ქალები მოუთმენლად მოელოდნენ ტახტზე პაპის ხელახლა ასვლას. კარგად გრძნობდნენ თავიანთი კეთილისმყოფლის ფასს და მშვენივრად ესმოდათ, რომ როგორც კი

იოანე აღდგებოდა, ძალაუფლება ისევ მათ ხელში მოიყრიდა თავს. ამ იმედით აღფრთოვანებული დაუღალავად დაეთრევოდნენ სახამროებსა და ბუნაგებში, აფრქვევდნენ ეკლესიის ოქროს მარჯვნივ თუ მარცხნივ, მონაწილეობდნენ ქურდებისა და ბანდიტების საზიზღარ ღრეობაში და მოკლე ხანში შეაკოწიწეს მაწანწალების არმია, რომელიც მზად იყო პირველსავე ნიშანზე ბრძოლის ხანძარში გადაშვებულიყო.

თვითონ ოტონმა მისცა მათ მოქმედების საშუალება.

ამ იმპერატორს სრულებით არ ესმოდა სასულიერო წოდების ნამდვილი ბუნება. ეგონა, სავსებით შეიძლებაო მის დაპირებაზე დანდობა და იმედი ჰქონდა, რომ ეს უკანასკნელი ფიცი მაინც სულის სიმშვიდეს მოუტანდა.

ეკლესიის მსახურთა მადლიერების გრძნობა რომ კიდევ უფრო განემტკიცებინა, მძევალთა დაბრუნებაც კი გადაწყვიტა. ასეთი წყალობის შემდეგ ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მათი გული მოიგო და არხეინად გაემართა იქით, სადაც თავისი არმია ელოდა. იოანეს მომხრეებს ხელი გაეხსნათ. ოტონის დაუდეგრობით სარგებლობა არ დააყოვნეს, და იოანე XII ისევ ტრიუმფით შეეიდა რომში, ბანდიტებისა და მღვდლების არმიის თანხლებით.

მოზეიმე მხეცი ისევ დამკვიდრდა ლატერანის სასახლეში, საიდანაც ლევ მერვემ ძლივს გაასწრო, და მოიწვია ახალი ყრილობა, რომელზედაც იმყოფებოდნენ იგივე ეპისკოპოსები და კარდინალები, რომელთაც ახლახან საქვეყნო ღრიანცელით აუწყეს ქვეყანას პაპის ცოდვები. ამჯერად ზეიმით შეხვდნენ გამარჯვებულ პაპს და ისევე ერთხმად მისცეს ხმა მის აღდგენას, როგორც მოითხოვდნენ მის დამხობას მაშინ, როდესაც განდევნილი იყო.

ეს მოულოდნელი შემობრუნება ბრწყინვალედ ახასიათებს სასულიერო წოდების გველივით მოქნილობას, მის მონურ და ვერაგულ ბუნებას, მის სამარცხვინო პირფერობას ძლიერთა წინაშე და უმოწყალო სისასტიკეს სუსტებთან.

იოანე XII ყრილობის დარბაზში დაღლილი გამოცხადდა, ორი მეძავი კურტიზანი ქალი შემოსდგომოდა მხრებში. უკან მთელი პროცესია მოჰყვებოდა, მსუბუქი ქცევის ქალიშვილებისა და ყოველგვარი ნაყარი ხალხის თანხლებით. წაქცევაზე მიმდგარ პაპობას უკვე ყავარჯნები სჭირდებოდა!

თავისი ბინძური, სამარცხვინოდ გალეშილი სატელიტების. იაფფასიანი ლაქიების გვერდით, რომელთაც ერჩიათ საკუთარ ბუნაგებში ყრილიყვნენ და ასეთ საზეიმო დღეობაზე კი არ გამოჩენილიყვნენ, მიხრწნილი პაპი თავს თამამად გრძნობდა, წელში გაიმართა და მგზნებარე სიტყვა დასჭექა.თავისი ჭკუით სამარცხვინო ბოძზე გააკრა ყრილობა, რომელმაც მისი დამხობა გაბედა.

შემდეგ ლევ მერვეს წაართვა ყოველგვარი წმინდა წოდება და ანათემის მუქარით აუკრძალა წმინდა ქალაქთან მიახლოება. ზოგიერთი პრელატი კინაღამ გასწირა, მაგრამ მონანიების წერილი მიართვეს და ისე მორჩილად დახოხავდნენ მის ფერხთით, რომ მეორე დღეს თავიანთი უფლებები დაუბრუნა.

უმსგავსი კარნავალი კოშმარით დამთავრდა. დასატუქსავად ანათემა, ცხადია, სასარგებლოა, მაგრამ წამება — უფრო მძიმე ღონისძიებაა. იოანე მეთორმეტემ მაინც გაასამართლა ორი პატივსაცემი მღვდელი, რომლებიც უწინ მის დამხობას მოითხოვდნენ, ახლა კი დანარჩენებივით მუცლით ხოხვა და მუხლის მოყრა არ ინებეს, არ იკადრეს დანარჩენების მსგავსად თავის დამცირება და სამაგიეროც ისეთი მიიღეს. ერთს მარჯვენა ხელი მოჰკვეთეს, მეორეს კი მხოლოდ ორი თითი, მაგრამ შელახული სამართალი რომ აღედგინათ, დამატებით ცხვირი და ენაც მოაჭრეს.

•

კურტიზანი ქალი
წმინდანად შერაცხეს

● ლოთარის, პარიზის გრაფის, საფრანგეთის ჰერცოგის ქვრივს, სახელად ადელჰაიდას, მოსვენებას არ აძლევდა ხსენებული ბერენგარი, სდევნიდა და დაჟინებით მოითხოვდა, ცოლად ჩემს შვილს გაჰყევიო.

პრინცესას გადაყენებული მეფის ნაშიერი თავის ტოლად არ მიაჩნდა, ზიზღით უარყოფდა ასეთ სიახლოვეს და რაკი არ ეშვებოდნენ, დახმარებისათვის იმპერატორ ოტონს მიმართა. ეს უკანასკნელი არა მარტო დახმარებაზე დათანხმდა, არამედ გვირგვინიც კი

შესთავაზა. ოტონმა იცოდა, რომ ვიდრე ეს ქალი ლოთარს გაჰყვებოდა, ლოთარის მამის — გუის საყვარელი იყო. ამას გარდა, ისიც იცოდა, რომ მშვენიერი ადელჰაიდა, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ყოვლად უზნეო დედაკაცს, გათხოვების შემდეგ სარეცელს უყოფდა ქმარსა და მამამთილს, თავისებურად გულუხვად ასაჩუქრებდა ყველა მსურველს. იცოდა ისიც, რომ დაქვრივების შემდეგ მარტოობა არ აწუხებდა, გუისთან დაჭერილ დანაშაულებრივ კავშირს განაგრძობდა და თანაც მორიგეობით ყვარობდა ლამაზ ახალგაზრდა დიდებულთა მთელ რაზმს. ასე რომ მისი საწოლი ოთახის კარზე მუდამ რიგი იდგა, თანაც გემოვნებაც ჰქონდა: ისეთებს არჩევდა, რომელთაც არც ჭკუა აკლდათ და არც ქონება. ისტორია დასძენს, რომ ადელჰაიდა გულმოდგინე აღრიცხვას აწარმოებდა: ყველა საყვარელი დანომრილი ჰყავდა, როგორც დღეს ტროლეიბუსებია დანომრილი.

ყველაფერი ეს ოტონმაც იცოდა. იცოდა ისიც, რომ ასეთი ქალის მოყვანით ის იქცეოდა თავისი დროის უდიდეს რქოსნად. მაგრამ განა ღირს ასეთი წვრილმანებისათვის ყურადღების მიქცევა?

ქალბატონ ადელჰაიდას მზითვად მოჰქონდა დიდი პროვინციები, ხოლო როცა ახალგაზრდა ან თუნდაც საკმაოდ ხნიერ ქალს დიდძალი სიმდიდრე და ადგილ-მამულები აქვს, რომელი გვირგვინოსანი სულელი იტყვის უარს მის შერთვაზე, თუნდაც ძვირფასეულობასთან ერთად მის გვირგვინს რაღაც სულელური სამკაულებიც მიატყეპოს?

მკითხველი ალბათ საგონებელში ჩავარდება: რატომ უთმობსო ამდენ ადგილს ანეგდოტებს წმინდა მამათა ცხოვრების აღწერაში? ნება გვიბოძეთ აგიხსნათ: ჩვენ შემთხვევით ვისარგებლეთ და მკითხველს გავაცანით მომხიბლავი ადელჰაიდა, რადგან ეს კეთილშობილი მანდილოსანი, ნამდვილი როსკიპი და სისხლის აღმრევი, ბოლოს და ბოლოს გახდება მისი უწმინდესობის საყვარელი და ღირსეულ ადგილს დაიჭერს იმ ღვთისმოსავ წმინდანთა შორის, რომელთა კანონიზაციაც მოახდინა ეკლესიამ.

მზრუნველმა ეკლესიამ იცოდა, რომ სამოთხის ყველა ბინადარი მუსიკით ვერ გაერთობოდა, ამიტომ თავის რჩეულებს ტრომბონის, კლარნეტისა და სხვა მუსიკალური იარაღების გარდა ისეთ გასართობებსაც უგზავნიდა, როგორიც არიან დაუზარებელი მეძავები.

რატომაც არა? განა ხამოთხეში არა ჰყავთ მთელი ლეგიონი იმ პაპებისა და ეპისკოპოსებისა, რომელთაც ამა ქვეყნად განუკითხველი ხალხი გარყვნილ-გათახსირებულებს ეძახდა? მათაც ხომ უნდოდათ ცხოვრება?

მადლობა უნდა მოვახსენო წმინდა ეკლესიას თავისი საარაკო მზრუნველობისათვის.

ხელჩართული ბრძოლა
წმინდა ტახტზე

● მაგრამ დავუბრუნდეთ იოანე მეთორმეტეს. ტახტი რომ დაიკავა, დიდხანს აღარ დასცალდა ძველებურად დროსტარება. ერთხელ ღამით რომელიღაც რომაელმა დიდებულმა წაასწრო... მისი უწმინდესობა უწმინდურ დიაცთან იწვა, ქმრისა და ოჯახის მოღალატესთან! პაპი ხომ პაპი იყო, თავის დედას რომ არ ინდობდა, მაგრამ რომაელი ქალები რაღამ გადარიაო, იტყვის მკითხველი. ეს არც ჩვენ ვიცით. ფაქტი ისაა, რომ წმინდა მამა სწორედ ინტიმური კურთხევის პროცესში იყო. იოანე ხშირად ერთობოდა ასეთი რამეებით. არავისი შიში და რიდი არა ჰქონდა. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში მორჩილი ქმრები თვალს ხუჭავდნენ და გარბოდნენ, ცით მოვლენილ წყალობად თვლიდნენ პაპის სტუმრობას.

მაგრამ ამჯერად იოანე XII ეტყობა, უღმერთო და უსირცხვილო ადამიანს შეეყარა. ან იქნებ გაბედნიერებულმა ქმარმა ვერ იცნო იოანე: საეჭვოა, რომ ასეთი საღვთო საქმის აღსრულების დროს პაპი მთელი თავისი სამღვდელმთავრო სამოსით ყოფილიყო გამოწყობილი. ასეა თუ ისე, მასპინძელმა წმინდა სტუმარს მთელი ძალით ჩაჰკრა თავში ჩაქუჩი და ტიაროსანმა სტუმარმა ცნობა დაკარგა.

დაზარალებული პატრიარქის სასახლეში გადაიყვანეს, რვა დღის შემდეგ მან თავისი ნეტარი სული უფალს ჩააბარა (964 წლის 20 მაისს).

მღვდლებმა ხმა დაყარეს, იოანე XII სატანას შეებრძოლაო და თავი ჩატეხილი იმიტომ აქვს, თვითონ სატანამ დაჰკრაო რქა.

რას იტყვით? ეს პატარა დეტალი ერთგვარ სიმართლეს როდია მოკლებული.

რომაელებს ესმოდათ, რომ ახლა კი ოტონის რისხვას თავს

ვერ დააღწევდნენ, და ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ახლა მათს ცრუ ფიცს კიდევ ვინმე ერწმუნებოდა! მაშინვე დაიწყეს მზადება თავდაცვისათვის, პაპად კი კარდინალი ბენედიქტე აირჩიეს.

ოტონმაც არ დააყოვნა, და მალე თავისი არმიით რომს შემოადგა.

მოსახლეობა _თავგამოდებით იცავდა თავს. თვითონ წმინდა მამაც კი ბარიკადებზე ასულიყო, მეხსა და ელვას აფრქვევდა მტერს, წყევლიდა ყაჩაღებს... სამწუხაროდ, მისი ანათემა არავის არ აყენებდა არავითარ ზიანს.

წინააღმდეგობა გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ალყაშემორტყმულები შიმშილმა არ გატეხა წელში. რომაელები იძულებული გახდნენ ოტონისა და ლევ მეათისათვის გაეღოთ ალაყაფის კარები.

ეპისკოპოსები, რომელთაც უკვე ორჯერ შეჰფიცეს და ორჯერ უმუხთლეს იოანესაც და ლევსაც, არც კი გაწითლებულან, ისე გამოუცხადეს სრული მორჩილება ლევს და ერთხმად აღიარეს პაპად.

სწორედ დრეკადი ხერხემალი აქვთ ამ სულიერ მამებს!

ბენედიქტეს საჯაროდ წყევლიდნენ ის მღვდელმთავრები, რომელთაც ახლახან ტახტზე ლოცვა-კურთხევით აიყვანეს.

მოიწვიეს ახალი ყრილობა, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა ტახტზე ლევ მერვის აღდგენა. ამ კრების წინაშე ლევ მერვის ბრძანებით ბენედიქტემ სამღვდელო სამოსელი შემოიგლიჯა და მიწაზე გაწვა.

შემდეგ ყოფილ პაპს` გადასახლება მიუსაჯეს. მაშინ კი თავისუფლად ამოისუნთქა გამარჯვებულმა „ლომმა“ — ლევ მერვემ.

ასე დამთავრა შეხლა-შემოხლა პაპის ტახტზე. ლევ VIII და იოანე XII რიგრიგობით იმარჯვებდნენ ტიარისათვის ბრძოლაში, და ლაფონტენის იგავის საწინააღმდეგო ამბავი მოხდა: მესამე ვაცმა, რომელიც ბოსტანში მოხვდა, ყველაფერი დაკარგა. საწყალი ბენედიქტე!

მღვდელმთავრის გართობა და შურისძიება

● ღმერთები, როგორც ცნობილია, სასტიკი შურისმაძიებელნი არიან. თუ ბიბლიას ვერწმუნებით, იეღოვამ სამოცდაათი ათასზე მეტი

კაცი გაწყვიტა იმისათვის, რომ სჯულის კიდობანში შეიხედეს. ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ პაპებმა, რომლებიც მხოლოდ მოადგილენი არიან ღმერთისა, სისასტიკით კიდევაც გადააჭარბეს თავიანთ მბრძანებლებს. ისინი თავიანთ შურისძიებას ისეთ დახვეწილ სახეს აძლევდნენ, რომ გამოცდილი ჯალათიც კი თითს მოკაკვავს. ამ საქმეში პაპები ნამდვილი არტისტები არიან. უნდა გვახსოვდეს, რომ აქ არავითარი ჯადოქრობა არ არის: პაპის ტახტზე კი არ ოსტატდებიან, ყველაზე უფრო დახელოვნებული „ოსტატები" ახერხებენ პაპის ტახტზე ასვლას. აი, სად სჭირდებათ ღვთისმსახურებს არტისტობა.

ლეო VIII შედარებით ბედნიერი გამოდგა. არც სიცოცხლეში უწამებიათ, არც სიკვდილის შემდეგ შეხებიან მის გვამს. ერთი წელი გაატარა ტახტზე და მიიცვალა. ოტონ პირველის დასტურით მის ადგილზე იოანე XII დასვეს.

ტახტზე ახალი პაპი რომ ავიდა, თავის წინამორბედთა ბედი პირწმინდად დაივიწყა. პაპებს არ სჭირდებოდათ ისტორია, მათ სჭირდებოდათ მხოლოდ საკუთარი დღეკეთილობა. გიჟური პატივმოყვარეობით ატანილს ძვალსა და რბილში გაუჯდა განდიდების მანია და ისე უღრენდა დიდსა თუ პატარას, რომ მალე მთელი რომი ამხედრდა — მხედრიონი, წარჩინებულნიც და ხელოსნებიც კი. ხალხი აიშალა და მანიაკი პაპი რომიდან განდევნეს.

არეულობის სათავეში იდგა ჰერცოგი როფრედი, ქალაქის პრეფექტი პეტრე და ამქართა უფროსი.

თერთმეტი თვე იჯდა იოანე XII კაპუაში და დარწმუნდა, რომ ჰანიბალი ტყუილუბრალოდ აზვიადებდა ამ ქალაქის სილამაზეს. სად კაპუა და სად ლატერანის სასახლე! რა თქმა უნდა, ლატერანი ჯობდა!

როგორც იქნა, განდევნილობის ნაღვლიან ღამეში მზის სხივი შეიჭრა: დევნილმა პაპმა განთქმული კალაბრიელი ავაზაკები მოისყიდა, გამოცდილი მკვლელები მოხერხებულად მიეპარნენ როფრედს, რომელიც რომაელებმა ამასობაში კონსულად აირჩიეს, და მალე იოანეს შეატყობინეს, შენი ვალი აღარა გვაქვს, ნაღდად დავფარეთო.

წმინდა მამა წინასწარვე ვარაუდობდა, რომ როფრედის სიკვდილი მთელს მოძრაობას ლახვარს ჩასცემდა. ბელადის დამკარგვე-

ლი რომაელები სასოწარკვეთილებამ მოიცვა და ზარდაცემულნი ელოდნენ ოტონს.

უნდა შევნიშნოთ, რომ იმპერატორს თავი მოაბეზრეს დაუსრულებელმა განხეთქილებებმა და შესლა-შემოხლამ, რამაც რომს ქანცი გაუწყვიტა. მეტისმეტად ხშირად აიძულებდნენ რომაელები მოეხდინა მომქანცველი გადასვლები. ათასზე მეტი კილომეტრის გავლა იმ დროის პირობებში, ბუნებრივია, იმპერატორის ნერვიულ სისტემას აღიზიანებდა.

პანიკით მოცულმა მოქალაქეებმა გადაწყვიტეს, სხვა გამოსავალი არა გვაქვს, ისევ იოანე XII უნდა დავაბრუნოთ და ტახტზე აღვადგინოთო. ამასთან ერთად იმედოვნებდნენ, რომ იმპერატორის რისხვის შიში პაპის ავ ზნეს ცოტას შეარბილებდა. რა გულუბრყვილობაა! ფარეხში ვეღხი შეუშვეს — ცხვარს დაიცავს, მგელი არ მოვიდესო!

საშობაოდ ოტონი მართლაც ჩამოვიდა რომში. მთელი დღე ლოცვასა და ღვთისმსახურებას მოანდომა. მეორე დღეს კი ქალაქის თორმეტი უწარჩინებულესი მოქალაქე და პრეფექტი პეტრე პაპს გადასცა — გინდა შეჭამე, გინდა მოხრაკეო.

წმინდა მამამ თავის მძვინვარებას გამოსავალი მისცა: სახრჩობელა მაგათთვის მეტისმეტად ლმობიერი სასჯელიაო, განაცხადა, და საცოდავები ჯოჯოხეთურად აწამეს. ყველაზე მძიმე წამება პრეფექტ პეტრეს ელოდა: ცხვირი და ტუჩები მოაჭრეს, კონსტანტინეს ქანდაკებას მიაბეს და სახე ადამიანის განავლით დაუზილეს. შემდეგ გაატიტვლეს, უკუღმა შესვეს ვირზე, თავსა და ფეხებზე ზანზალაკები მიაბეს, მთელს ქალაქში წკეპლის ცემით ჩამოატარეს და ბოლოს დასერილ-დასისხლიანებული საშინელ მიწისქვეშა დილეგში ჩააგდეს, სადაც მზის სხივი არ აღწევდა, ობობა და ქვემძრომიც კი ძლივს გაჩერდებოდა. ო, სამარცხვინო ურჯულკობავ, პაპიზმად წოდებულო! შენს წინაშე ფერს კარგავს ყველა საღებავი, რჩება მხოლოდ სისხლის ფერი, და მთელს ქრისტიანულ სამყაროს შეიძულებდნენ თქვენგან გმობილი „ურჯულოები“, რომელთაც მსგავსი უკაცურობა აზრადაც არ მოუვიდოდათ, ღვარძლიანო, გაუმაძღარო შურისმაძიებელნო!

გაუგონარი, დაუოკებელი მძვინვარებით ატანილი საზიზღარი პაპი ვერანაირად ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ როფრედი მისმავე

დაქირავებულმა ავაზაკებმა მოკლეს და წამებას თავი დააღწიეს, თორემ გონებაჩლუნგი მტარვალის ფანტაზია ვინ იცის, წამების რა ახალ სახეებს არ გამოიგონებდა! მაგრამ ასედაც მოახერხა ცოტა რამ ლეშზე მონადირე შავმა ყორანმა. იმით მაინც ისიამოვნა, რომ როფრედის გვამი ამოთხარა, ტალახში ათრევინა და მერე პირდაპირ ქუჩაში ძაღლებს მიუგდო.

ნათლობის ფასი

● ვიდრე პოლონეთი წარმართულ ქვეყნად რჩებოდა, იფურჩქნებოდა. როგორც კი იოანე XIII დროს ქრისტიანობა მიიღო, სიღატაკეში ჩავარდა.

აი, რას მოგვითხრობს მატიანე ამ სავალალო მეტამორფოზის შესახებ. ტახტის მემკვიდრე თავად მეშკოს, შვიდი წლის ასაკში რომ დაბრმავდა, ანაზდად თვალი აეხილა მას შემდეგ, რაც თავი გაპარსეს და მღვდლად აკურთხეს.

ბუნებრივია, თავსატეხი ამბავი სასწაულად გამოაცხადეს. ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოწვეული მისნები გუნდ-გუნდად აცხადებდნენ, რომ მეშკოს მეფობის დროს პოლონეთს დიდი ციური შუქი მოეფინებოდა. ეს მეფობა დადგა და მრავალი სხვაც, მაგრამ პოლონეთს არაფერი მზე არ მოჰფენია იმის გარდა, რასაც მოწყალე ზეცა უგზავნის.

პოლონეთის დიდკაცობას მტკიცედ სწამდა წინასწარმეტყველება, რადგან ამაში სურდა ენახა თავისი ქვეყნის ბედნიერი და სახელოვანი მომავალი. მაგრამ იმთავითვე სასტიკი იმედგაცრუება მოელოდა: ძლივს მოასწრო ტახტზე ასვლა, რომ მეშკომ მძიმე დამარცხებები განიცადა მეზობლებთან ბრძოლებში. ამ დუხჭირ მეფეს ღრმად სწამდა მისანთა წინასწარმეტყველება და თავისი ბედის ჰოროსკოპი, სახელმწიფო საქმეები არ აწუხებდა, თავისი ხასების თანხლებით ჩაკეტილიყო სასახლეში, მხიარულობდა, ნადიმობდა, დროს ატარებდა და დიდი ციური შუქის მოლოდინში გულხელდაკრეფილი ნებივრობდა.

გავიდა კიდევ საკმაო ხანი და ასეთი საქმიანობით ქანცგაწყვეტილი თავადი თავის უძლურობაში დარწმუნდა, მთელს პოლონეთში დაგზავნა შიკრიკები და საჩუქარს დაპირდა მას, ვინც გამოაჯანსაღებდა, თანაც დაეხმარებოდა, რომ მემკვიდრე გასჩენოდა.

რამდენიმე რომაელ მღვდელს იმ დროისათვის უკვე შეეღწია პოლონეთში. სწორედ ახლა დადგა მათი ამინდი. დაუყოვნებლივ ეახლენ თავადს და შეაჯერეს, შენი სურვილები მყისვე ასრულდება, თუ კერპთაყვანისმცემლობას უარყოფ, ხასებს გარეკავ და ქრისტიან ქალს შეირთავ.

უმეცარი და ცრუმორწმუნე მეშკო იოლად დაჰყვა მღვდელთა შეგონებას. მით უმეტეს რომ ცოლად ბოჰემიის მეფის ბოლესლავის ასული დაუთქვეს, ნამდვილი მზეთუნახავი.

თავადმა ბოლესლავს ელჩები გაუგზავნა და დაავალა, გადაეცით მეფეს, მზად ვარ ხელები გავშალო და გულში ჩავიკრა ქრისტიანობაცა და ქრისტიანი ქალიცო!

სამწუხარო მოქცევის საკალალო შედეგებმა მაშინვე იჩინეს თავი, როგორც კი მეშკომ ბოჰემიის მეფის ასული შეირთო... ახალგაზრდა მთავარმა დაპირება შეასრულა, წინაპართა სარწმუნოებას ზურგი აქცია და თავგამოდებული ქრისტიანი გახდა.

მაშინვე ბრძანება გასცა დაემსხვრიათ კერპები, რომელთაც უწინ ასე თავგანწირვით სცემდა თაყვანს, მთელი ქონება ჩამოართვა ყველას, ვინც შეუპოვრად იცავდა ძველ სარწმუნოებას, და განკარგულებაც კი გასცა, რომ ზოგი მათგანი კოცონზე გაეგზავნათ. კერპთაყვანისმცემელ პოლონეთს „ნათელი ეცა“ და მოევლინა ისეთი ღმერთი, რომელიც ცოცხალ ადამიანებს კოცონზე ხრაკავდა. განა ეს არ იყო ნაბიჯი წინ?

ამ კოცონთა ალი ხომ არ იყო ის „დიდი შუქი“, რომელსაც მისანთა წინასწარმეტყველებით პოლონეთი უნდა განენათლა?

თავის მხრივ არც პაპი კარგავდა დროს ფუჭად. ახალი ფარა შეემატა მის სამწყსოს, დროზე უნდა გაეპარსა და ზოგი ვინმე უნდა მოეხრაკა კიდეც! დაუყოვნებლივ გაგზავნა პოლონეთში ლეგატები, რომელთაც რომის ტახტისათვის უნდა შემოემტკიცებინათ პოლონეთი: ორი არქიეპისკოპოსი დანიშნა, შვიდი საეპისკოპოსო დააარსა, მრავალი ეკლესია და სააბატო გაიჩინა. მოკლედ, ობობას ქსელი გაბა, ახალი ქვეყანა მღვდლებითა და ბერებით აავსო. საეკ-

ლესიო ლაშქარი საქმეს შეუდგა: დაიწყო გადასახადების მოგროვება წმინდა ტახტის სასარგებლოდ.

ფანატიკოსმა მეშკომ, პირველი მღვდელმთავრის მორჩილმა იარაღმა, დიდძალი თანხა აჩუქა პაპს ახალი ეკლესიების ასაშენებლად. მოკლედ რომ ვთქვათ, უბედური პოლონეთი გაძარცვეს, გაანიავეს, და რომის სასახლის ინტერესებს ანაცვალეს.

ძვირად დაუჯდა პოლონელ ხალხს თავისი მბრძანებლის მონათვლა!

კეთილი ნეშტიც...
განამტკიცებს მეგობრობას

● როცა პოლონეთის მთელი სიმდიდრე ქსენძების ხელში გადავიდა, ხოლო მიწა მონასტრებმა და საეპისკოპოსოებმა მიიტაცეს, გაღატაკებულმა გლეხებმა ხელი იარაღს ჩაავლეს და გაღარიბებული თავადაზნაურობის წინამძღოლობით ეკლესიების ძარცვა დაიწყეს. დანაშაულიო, იტყვის ზოგიერთი, მაგრამ როცა ჯიბგირს ქეჩოში ჩაავლებთ ხელს და ეუბნებით: მოპარული ფული დამიბრუნეო, განა სინდისის ქენჯნა გაწუხებთ?

— გვიშველეთ! გვიშველეთ! — მორთეს გოდება შეშინებულმა მღვდლებმა, რომელთაც იგრძნეს, რომ ხელი ყელში წაუჭირეს.

— მოვდივარ! — მიუგო ბრეტისლავმა, ბოჰემიის ჰერცოგმა, და არც დააყოვნა გამოჩენა.

მაგრამ როცა ჰერცოგი თვალნათლივ დარწმუნდა, რა განუზომელი სიმდიდრე დაგროვდა ეკლესიებში და მონასტრებში, და ამასთან ნახა მშიერი, გამწარებული ხალხი, ფიქრებს მიეცა:

„რომელი მხარეა ამჟამად უფრო ძლიერი? გლეხობა. მაგრამ მეორე მხრივ, მღვდლებიც საარაკო სიმდიდრეს განაგებენ. ორმაგი იდიოტი ვიქნებოდი, ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ რომ გამელაშქრა. სამღვდელოების წინააღმდეგ გამოსვლა — დიდი ცოდვაა, მაგრამ მათთვის დახმარების გაწევა ხომ ნამდვილი სისულელე იქნებოდა!“

პრაღის არქიეპისკოპოსი ბრეტისლავს დაეთანხმა, და მათ შეიმუშავეს მოქმედების ახალი, საკუთარი ხაზი. სამეფოს უდიდეს

ქალაქებს შეესიენ და პირველად პოლონეთის სატახტო ქალაქი გნეზნო აიღეს.

ბრეტისლავი ამ ქალაქში გამაგრდა და ადგილობრივი ეკლესიების ძარცვას მიჰყო ხელი გნეზნოს ტაძარი პოლონეთის ერთ უმდიდრეს ეკლესიად იყო ცნობილი. ტაძრის მთავარ სიმდიდრეს შეადგენდა მთლიანი ოქროს ჯვარცმა და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი პატარა წიგნის მაგიდა — ანალოი.

ბრეტისლავმა და მისმა ეპისკოპოსებმა ამ განძეულის მითვისება არ დააყოვნეს.

იმავე ტაძარში ესვენა ნეტარი ადალბერტის ნეშტი, რაც ორივე ავაზაკს თვალში მოუვიდა. მაგრამ ადგილობრივმა სამღვდელოებამ იუნოსა, ბოჰემიის მთავარს ამ წმინდა ნაწილების მითვისება განუზრახავსო, და მასთან ერთი სახიფათო ხრიკის გათამაშება გადაწყვიტა. ავაზაკებმა საიდუმლოდ გააპარეს ადალბერტის ნეშტი და მის ნაცვლად ძმა ჰაუდენციის გვამი დაასვენეს. ისიც წმინდანი იყო, ოღონდ უფრო დაბალი ხარისხისა.

ბრეტისლავმა და პრაღის ეპისკოპოსმა ამ ოინისა არა იცოდნენ რა. მათ საიდუმლოდ გაასვენეს ცრუ ადალბერტი. პოლონელი ქსენძები ჩუმად დასცინოდნენ გაბრიყვებულ თაღლითებს. ამ წარმატებით დამთავრებულმა ოპერაციამ ოდნავ მაინც შეამსუბუქა მათი კაეშანი დაკარგულ განძზე. ქსენძებს კარგად ესმოდათ, რომ გასვენებული წმინდანის გვამი, ვინც მისი ფასი იცოდა, გამდიდრების საიმედო წყარო იყო.

ერთი სიტყვით, ბანდიტებს შორის სრული მშვიდობა ჩამოვარდა და ერთიმეორეს მეგობრებივით დაშორდნენ... ეს ვისი წყალობით? ჰაუდენციისა, ცხადია.

თამამად შეიძლება ითქვას: კარგი ნეშტიც ამაგრებს მეგობრობას.

ორი სასწაული

● სასწაულების გარეშე არ არსებობს რელიგია. ვერ იარსებებს. მღვდლებს ადამიანთა გონებაზე თავიანთი ბატონობის შენარჩუნება და ყოვლად სულელური დოგმების უდავო ჭეშმარიტებებად გასა-

ღება მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუ უმეცარი და იოლად დამჯერე ხალხის წარმოსახვას განაცვიფრებენ ფაქტებით, რომლებიც ერთი შეხედვით ზებუნებრივი გვეჩვენება.

იოანე XIII ძალიან აფასებდა ამ იარაღს. თანამედროვე მემატიანეები მოგვითხრობენ ერთ თავბრუდამხვევ სასწაულს, რაც თურმე ამ ნახშირისგულიან პაპს მოუხდენია. ოტონ პირველის ამალის ერთ-ერთი წევრის წარჩინებულ კაცს აეკვიატა აზრი, რომ მის სულში ეშმაკეული შეიჭრა. ეს უბედური ბნედიანივით იქცეოდა: შეტევა მოუვლიდა თუ არა, სახესა და ხელ-ფეხს იკაწრავდა.

თავისი საყვარელი კარისკაცის ამნაირი მდგომარეობით შეწუხებულმა იმპერატორმა პაპს სთხოვა ავადმყოფისათვის ყელზე შეებაათ წმინდა პეტრეს სახელგანთქმული ძეწკვი, რასაც ავსულთა განდევნის უნარს მიაწერდნენ. წმინდა მამა დათანხმდა, ყველა სამზადისი ჩაატარა და სადარბაზო ბარათები დააგზავნა: რაც შეიძლება ძეტმა მაყურებელმა ნახოსო სასწაული.

მრავალრიცხოვანი რჩეული საზოგადოების თვალწინ სნეულს კისერზე ჰკიდებდნენ ძეწკვებს, რომლებიც წმინდა პეტრეს ჯაჭვსა ჰგავდნენ, და ვერავითარი ეფექტი ვერ მოახდინეს. მაგრამ როგორც კი „ნამდვილი“ ძეწკვი დაჰკიდეს — ეშმაკეული სქელმა კვამლმა დაფარა და მის თავზე საშინელი ყვირილი გაისმა. არავის ეჭვი არ ეპარებოდა, ყველაზე მეტად კი თვითონ ავადმყოფს სჯეროდა, რომ ეს თვითონ უშმაკი ყვიროდა.

ყველა დამსწრემ ერთხმად დაიწყო ლაპარაკი სასწაულზე. საინტერესოა, რა გუნებაზე დადგებოდნენ, რომ თანამედროვე ცირკის ოინბაზი გნახათ?

მეორე სასწაული: იოანე მეცამეტემ ერთი ახირებული წესი შემოიღო: ზარებს ნათლავდა. თუ ნათლობის მიზანი ცოდვებისაგან განწმენდაა, მაშინ საკითხავია, რა ცოდვა უნდა ჩაედინა ზარს, ჩამოსხმული ლითონის ნაწილს? მაგრამ რელიგია რომ გავათავისუფლოთ ყველა უაზრობისაგან. რითაც ის აღსავსეა, მაშინ მღვდლებს ჯასაკეთებელი აღარაფერი დარჩებოდათ. იგივე ითქმის ყველა მუქთახორა ტირანზე, ცარიელი სიტყვით რომ სიუხვეს უქადაგებს მშიერ ხალხს. რამე ხომ უნდა თქვან და აკეთონ მტარვალებმა?

ზოგიერთი ლეგენდის თანახმად, წმინდა იოანეს ეკლესიის

დიდ ზარს ლატერანში უნარი ჰქონდა განედევნა ეშმაკები. ერთი ბერი ამტკიცებდა, მე თვითონ ვიყავი მოწმე ასეთი განდევნისაო.

„ვიღაც ახალგაზრდა ქალიშვილი, — მოგვითხრობს ეს ბერი,— დედამისის თანხლებით ბაზილიკაში გაემართა. იმ დროს, როცა მოაჯირის კიბეზე ადიოდნენ, ზარების ხმა გაისმა: მლოცველებს წირვაზე მოუხმობდნენ. საბრალო ქალიშვილი უეცრად დაიკრუნჩხა, საშინელი ტანჯვით დაეცა და მე დავინახე, როგორ გამოსრიალდა სამოსის კალთებში წყვდიადის სული, ახალშობილი ყრმის სახე ჰქონდა, ჰაერში აორთქლდა“.

განა ასეთი სასწაული ჭკუის სასწავლებელი არ არის? პატიოსანი ახალგაზრდა ქალიშვილი წირვაზე მიეშურება.. საფეხურებზე რომ ადის, კრუნჩხვით ეცემა ძირს იმ მომენტში, როცა ზარი ლოცვაზე მოუწოდებს.ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ეს ქალიშვილი ეშმაკეულია... ანუ ეშმაკს შეუპყრია... ცხრა თვის წინათ იმ ეშმაკს უთუოდ ანაფორა ეცვა, ან იქნებ ტიარაც ეხურა.

როგორც ხედავთ, ბერი არ ტყუის. ასეთი სასწაულები სად არ ხდება! მაგრამ საიდან გაიგო კეთილმა ბერმა, რომ სამოსის კალთიდან გამოხტა არა ყრმა, ძე კაცისა, არამედ ავი სული? ჩვენ უფრო იმ აზრისა ვართ, რომ ეს იყო პატარა ანგელოზი, და ჰაერში რომ არ გამქრალიყო, თვითონ მშობელმა შეიფარა, საკუთარ მკერდში მისცა ბინა და გაიტაცა. მართალია, ეს ჰიპოთეზა ჩრდილს აყენებს ქალწულის უცოდველობას... კმარა, ნუღარ ვიხუმრებთ. ეს გულუბრყვილო იგავია, ხომ მართალია? მაგრამ თუ მას ყველა დამახასიათებელი წვრილმანით მოუთხრობს ეკლესიის მსახური მორწმუნეებს. რომელთა სიბნელის ამბავი კარგად იცის, იგავი ჭეშმარიტების წონას იძენს, და მისი მრევლიც ყველაფერს დაიჯერებს.

აქედან გამეცალე!

● მალე მას შემდეგ, რაც ბენდიქტე VI ავიდა იოანე მეცამეტის სისხლიან ტახტზე, მამაცმა რომაელმა კრესჩენციუსმა აჯანყებისაკენ მოუწოდა ხალხს: ვიხსნათ სამშობლო პაპებისაგან და მეფეებისაგანო!

კრესჩენციუსი იმაზე ოცნებობდა, რომ შეექმნა ძველი რომის

რესპუბლიკის მსგავსი წყობილება, მაგრამ მისი განზრახულობა წინასწარვე იყო განწირული დასაღუპავად. საეკლესიო ძალაუფლებამ, ძალადობისა და მთელი ქვეყნიერების ერთ ჭკუაზე — უკეთ, უჭკუობაზე მოქცევის საზიზღარმა სისტემამ ისე გაიდგა ფესვი, ისე დათრგუნა ყოველგვარი თავისუფალი აზრი და ინიციატივა, ადამიანის რწმენა და სითამამე, რომ საყოველთაო უმეცრების წყალობით იოლად ახშობდნენ აზრის სულ მცირეოდენ გამოვლინებას, რაც კი საეკლესიო დოგმას ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ იმ დროისათვის კრესჩენციუსის კეთილშობილურ იდეას განხორციელება არ ეწერა.

ხალხს რომ ხელში იარაღი აეღო, უწინარეს ყოვლისა ჯერ იმ ფიცზე უნდა ეთქვა უარი, რაც ბენედიქტე მეექვსეს მისცა. კრესჩენციუსმა და აჯანყების დანარჩენმა ხელმძღვანელებმა მოითხოვეს, პაპი მოვკლათო. ეს საქმე კი გამოუვიდათ. ბენედიქტე IV, ისეთივე ურჯული, როგორც მისი უაესი წინამორბედები იყვნენ, სასახლეშივე გაგუდეს.

უეჭველია, ეს აქტი თავად სამართლიანობით იყო ნაკარნახევი. მაგრამ მგზნებარე პატრიოტი — ენთუზიასტი კრესჩენციუსი ერთხანს ყოყმანობდა მკვლელობაზე ბრძანების გაცემას, თუმცა გულწრფელად სწამდა, რომ აჯანყების გამარჯვება ამაზე იყო დამოკიდებული. ამ ყოყმანში მღვდელმა ფრანკონმა ეს ბრძანება საჩქაროდ გაახმიანა, ოღონდ ხალხის გამარჯვების სურვილი კი არ ამოძრავებდა, არამედ პირადი კეთილდღეობისათვის. იბრძოდა: თვითონ უნდოდა ბენედიქტეს ადგილზე დაჯდომა. ეს რას შეცვლიდა? რომს თითო საპაპე ეშმაკი არ დაელეოდა. მოედანზე ჯერ კიდევ ხმალთა ჭკრიალი ისმოდა, როცა ეშმაკეული ფრანკონი ლატერანში შეიჭრა და პირდაპირ პაპის ტიარა დაიხურა.

გაუგონარმა თავხედობამ ნაყოფი გამოიღო: ხალხი ახალ მტარვალსა ზეიმით შეხვდა .. ასე გამოცხვა ახალი პაპი — ბონიფაციუს VII.

ახალმა მღვდელმთავარმა, დიაკვნისა და მეძავი კურტიზანი ქალის შვილმა, რომელმაც მემკვიდრეობად საზიზღარი ინსტინქტები მიიღო, თავისი ცხოვრების ფურცელი ყოვლად ამაზრზენი ცოდვებით შეავსო.

ამ სინდისგარეცხილმა ბოროტმოქმედმა თავისი პირველი დანაშაულის ნაყოფით სარგებლობა ვერ მოახერხა. უძლიერესი ფეო-

დალური დაჯგუფების, ტოსკანელი გრაფების წარმომადგენლებმა მას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს, და სახელგანთქმული მაგნატები არავითარი ღონისძიების წინაშე არ ჩერდებოდნენ.

ბონიფაციუსს ძალღონე გამოეცალა მრავალრიცხოვან და ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ვერაფერ ძალას აძლევდა უბრალო მღვდელს ჯადოსნური ტიარა, ასე თავხედურად რომ მოიტაცა და თავზე დაიხურა. ყოველ წამს ელოდა საწამლავი, ხაფანგი, დანა-ხანჯლის ჩაცემა ზურგში, და შიშით გაგიჟებულმა რომიდან გაქცევა გადაწყვიტა. ცხადია, უპირველესად იმისათვის იზრუნა, რომ გზას ხელცარიელი არ გასდგომოდა. ტყუილად როდი აგროვებდნენ პაპები წმინდა პეტრეს ტაძარში აურაცხელ სიმდიდრეს. შავი დღისათვის უნდოდათ. ბონიფაციუსმა ტაძარი გაძარცვა, გაიტაცა იმდენი სიმდიდრე, რომ მთელს სიცოცხლეში მეფური ცხოვრებისათვის ეყოფოდა, ფარულად გაიპარა ზღვაზე, ჩაჯდა გემში და კონსტანტინოპოლს მიაშურა.

გატაცებული განძეული — ჯვარცმები, სანაწილეები, შანდლები, ჭურჭლეული და სხვა საეკლესიო ქონება — ფულად ენდა ექცია. ბონიფაციუს — ავაზაკს შეეძლო ეს ქონება გადამყიდველებისათვის მიეცა, მაგრამ ბინძურმა არამზადამ უფრო სარფიან საქმედ ძოვალა სავაჭრო საქმეში ჩაბმა, და აი, ყოფილი მღვდელმთავარი კონსტანტინოპოლის ქუჩებში იწყებს თრევას, რომ წმინდა პეტრეს ტაძრის განძეული გაყიდოს.

უსირცხვილო ვაჭრუკანამ რამდენიმე თვე დაჰყო აღმოსავლეთში, ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ მართავდა ორგიებს, თავის ფავორიტებსა და ფავორიტ მეძავებს ართობდა და ირთობდა თავს წმინდა მოციქულის ქონებით. ხოლო როცა მისი „შემოსავალი“ შეწყდა, ისევ რომში დაბრუნდა. მალე ისევ წმინდა ტახტზე ვნახავთ. ეს უზნეო ავანტურისტი, რომელმაც მოკლა თავისი მეტოქე ბენედიქტე VII, და რომი ყოველგვარ უბედურებას მიაჩვია, მარადიულ ქალაქს ერთხელ კიდევ შეარყევს თავისი ბოროტებით.

მფარველი და
მისი მონამორჩილი

● ტოსკანელის უძლიერესმა ოჯახმა იოლად გამოძებნა ბონიფაციუს მეშვიდის მემკვიდრე.

მოციქულის ტახტზე ერთ კლუნიელ აბატს ვარაუდობდნენ, პატიოსან კაცს და მაშასადამე, ამ პატივისათვის სრულიად გამოუსადეგარს. უბედურება ისაა,რომ ძირშივე მცდარი, უკულმართი ინსტიტუტის, გახრწნილი სისტემის, მრუდე იდეის მესვეურად კეთილსინდისიერი ადამიანი უკვე გამოუსადეგარია, ან უკეთ რომ ვთქვათ, ვერ გაიხარებს, საამისოდ ჯერ თვით უკულმართი ინსტიტუტი უნდა მოისპოს და ადამიანს ნორმალური მოქმედების საშუალება მიეცეს. ასეთი რევოლუციის მოსახდენად კი აბატი მეტისმეტად სუსტი არსება იყო. ალბათ გრძნობდა საქმის ვითარებას, რომ იმპერატორ ოტონისა და დედოფალ ადელჰაიდას დაჟინებით თხოვნის მიუხედავად ამ უნიკალურმა პიროვნებამ გადაჭრით განაცხადა: არ მინდა თქვენი ტახტი და ტიარაო! მეორე მღვდელი, რომლის სახელი იყო დომნი, უფრო დამყოლი გამოდგა, მაშინვე თანჯიანი თანხმობა განაცხადა, ტახტზე დაჯდა და... გარდაიცვალა.

დომნის უდროოდ დაღუპვის შემდეგ ბონიფაციუს VII შეეცადა ტახტი ისევ ხელთ ეგდო, მაგრამ ადგილი დაუთმო ბენედიქტეს, რომელსაც იგივე ძლიერი ტოსკანელები მფარველობდნენ. ასეთი მაღალი მფარველობის წყალობით ბენედიქტე VI გახდა რიცხვით ას მეორმოცე პაპი.

მისი კასტის დამახასიათებელი მანკიერების გარდა ის განირჩეოდა უმაგალითო პირფერობით. თავი უზადო ასკეტად მოჰქონდა, მაგრამ თავისი სამყოფელის სიღრმეში შემალული ისეთ ორგიებს მართავდა, რომ ვატიკანს სატანის ხარხარი არყევდა. ეს იყო საზიზღარი დროსტარება. მაგრამ სახლის კედლები ვერ აღმოჩნდნენ საკმაოდ სქელი, რომ გახრწნილი პაპის საიდუმლობა შეენახათ.

* * *

იმ ხანებში ბერძნები კალაბრიაში შემოჭრას ლამობდნენ. იმპერატორმა ოტონმა თავისი ლაშქარი იქით წაიყვანა, მოკლე ხანში

დაამარცხა მტერი და სააღდგომოდ რომში შემობრუნდა, სინამდვილეში კი უფრო იმისათვის, რომ შიშით აკანკალებული ბენედიქტე დაემშვიდებინა. საქმე ისაა, რომ ყოფილი პაპი ბონიფაციუსი და მისი მომხრეები უმოწყალოდ ებრძოდნენ საწყალ ბენედიქტეს და მთელი რომის მოსახლეობას. ტერორის საფრთხეში ჰყავდათ ყველანი.

როგორც ცნობილია, შიში ცუდი მრჩეველია. სწორედ მუდმივმა შიშმა აიძულა პაპი გადაედგა გიჟური ნაბიჯი, რაც თავისი მფარველი იმპერატორის დახმარებით მოახდინა.

თავისი ყურმოჭრილი ყმის დაჟინებითი თხოვნით მისმა უდიდებულესობამ იმპერატორმა ოტონმა მოაწყო ქრისტეს შობის აღსანიშნავად ბრწყინვალე დღეობა. ნადიმზე დაპატიჟა რომის დიდკაცობა, აგრეთვე: მეზობელი ქალაქების მაგისტრები და დეპუტატები.

ყველაფერი მომზადებული იყო სამეფო მეჯლისისათვის. უმდიდრესი სუფრა ვეღარ იტევდა უნატიფეს საჭმელ-სასმელს, ნუგბარი კერძები ერთიმეორეს ცვლიდნენ, უიშვიათესი ძველი ღვინო წყალივით იღვრებოდა. გაცხარებული სმა-ჭამის დროს კაცმოძულე მღვდელმთავარმა ნიშანი მისცა. გაისმა ახაზდეული საბრძოლო მარშის ზარდამცემი ხმა, თითქოს საიერიშოდ მოუწოდებდნენ ჯარს, და მართლაც დარბაზში ტლანქი ჩექმების ბრაგუნით შემოიჭრა ჯარისკაცების რაზმი. მუსიკა შეწყდა. ყოველ მოქეიფეს გვერდით ჯარისკაცი მიუჯდა და სამარისებურ დუმილში ოფიცერმა გრძელი სია ამოიღო, ცივად დაიწყო სიკვდილმისჯილთა გვარების კითხვა.

სამოცი კაცი პირდაპირ სანადიმო დარბაზიდან გაიყვანეს და იქვე სიკვდილით დასაჯეს.

სხვათა შორის, მთელი ამ საზიზღარი ისტორიული მკვლელობის მსვლელობის მანძილზე პაპი და იმპერატორი სუფრაზე განცხრომით ჯდომასა და მეგობრულ საუბარს განაგრძობდნენ. თანაც, თითქოს არაფერიაო, გაოგნებულ მეზობლებს სიცილით სთავაზობდნენ კერძებს. როგორც ხედავთ, რომში საქმეებს ისევ პაპად წოდებული სატანა განაგებდა. ერთი იმპერატორი გამოვიდა, თითქოს რაღაც ადამიანური, და იმასაც სულში ეშმაკეული შეუძვრა, შისი უწმინდურობის ბენედიქტეს სახით!

ბონიფაციუსის
ახალი საქმენი საგმირონი

❸ ურჯულო პაპებმა თავიანთი ღვთისგარეგანი საქმეები მოითავეს და ჩაძაღლდნენ. რაღა საჭიროა ახლა ტყუილი ნერვიულობა და ლანძღვა-გინება, ისინი მიწაშიც ისევე ყრუ არიან, როგორიც დედამიწაზე იყვნენ! ამიტომ ისევ დამშვიდებით განვაგრძოთ მათი საგმირო საქმეების აღრიცხვა, თუმცა ეს საერთო შეუძლებელია.

იმ დროს, როცა ოტონი და ბენედიქტე თავიანთი ჭკუისა და უნარის შესაფერისად ერთობოდნენ, ბონიფაციუსი, რომელიც სიმდიდრისა და ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვოდა, საჩუქრებისა და დაპირებების შემწეობით აგროვებდა დამქაშებს და გულმოდგინედ აკოწიწებდა თავის ჯარს.

ამ არამზადის ხსოვნის შეურაცხყოფა იქნებოდა, რომ გვეთქვა, ამ დაპირებებს ზოგჯერ მაინც ასრულებდაო, ან თუნდაც ერთი წუთით ფიქრობდა მათს შესრულებასო. ბონიფაციუსმა სპეციალური თეორიაც კი შექმნა იმის თაობაზე, თუ როგორ მოეშორებინა თავიდან მომავალში კრედიტორები.

ოტონი დარწმუნდა, რომ ბენედიქტე აღდგომის კვირაძალზე მოწყობილი მხეცური ჟლეტის შემდეგ დაშოშმინდა, რომსა და მის გარეუბნებში თავისი არმიის შევსებას შეუდგა. ბერძნები სარკინოზებს შეუერთდნენ, კალაბრიას დაესხნენ თავს და ოტონიც თავისი არმიით იქით გაეშურა. მაგრამ პირველსავე შეტაკებაზე იტალიელებმა უკან დაიხიეს და თავს გაქცევით უშველეს. ბრძოლა ზღვის პირას წარმოებდა. ოტონი კარჭაპში ჩახტა, შემთხვევით რომ ნახა ნაპირზე, ისარმა გაიზუზუნა და მეფე დაიჭრა. ისარი მოწამლული აღმოჩნდა და იმპერატორი რამდენიმე თვის ტანჯვის შემდეგ გარდაიცვალა.

ოტონს ისარი ესროლა არა მოსისხლე მტერმა, არამედ... პაპმა ბონიფაციუსმა, რომელმაც ურჯულოთა რიგებში ბრძოლა იკადრა ისე, რომ არც წამოწითლებულა.

აღარც ბენედიქტეს უცოცხლია ბევრი თავისი მფარველის დაღუპვის შემდეგ. იმავე „სარკინოზი — პაპის“ ხელით განგმირული დაეცა 983 წლის ივლისში.

„ახლა კი მოციქულის ტახტი როგორმე ფრანკონს შეხვდება“, — თავისთვის ვარაუდობდა ბონიფაციუსი.

ვაგლახ, რომ იმპერატორისა და პაპის მკვლელი ამჯერადაც შეცდა! პაპი გახდა პავიის ეპისკოპოსი, რომელიც ტახტზე იოანე XIV სახელწოდებით ავიდა.

მაგრამ ბონიფაციუსი რა შვილი იყო, რომ მეტოქე ტახტზე გაეჩერებინა! ძველი ავანტურისტი, ბანდიტი, ქუჩის მეწვრილმანე, სარკინოზების ჯარისკაცი და მეფეთა მკვლელი არავითარ ღონისძიების წინაშე არ შედრკა, თავისი განძეულის ნარჩენებიც გამოიყენა, მაწანწალების დიდძალი ბრბო შეკრიბა, იოანე XIV დააპატიმრა და ლატერანის სასახლის სრულუფლებიანი მბრძანებელი გახდა. საცოდავი იოანე წმინდა ანგელოზის ციხეში ჩაამწყვდია, ოთხი თვე აწამა და მერე შიმშილით სიკვდილი გადაუწყვიტა. ჯოჯოხეთის მოციქულებს ჯოჯოხეთური სასჯელების გამოგონებაში ალჟირის ფაშაც ვერ შეედრებოდა.

იოანეს მომხრეების დასაშინებლად (თუ ასეთები მის გარშემო გამოჩნდებოდნენ), ბონიფაციუსმა თავისი მსხვერპლის საზეიმოდ გამოწყობილი გვამი სასახლის სამაგრის ასაწევ ხიდს მიაბა. ესეც ქრისტეს მოადგილის მორიგი სათნოება: მტრის გვამი ჰაერში ირწეოდა და მიდამოს... ვერ აყროლებდა, რადგან უკვე აყროლებული იყო ცოცხალი ლეშის საქმეებით.

ეს სისასტიკე, ცხადია, სრულიად ზედმეტი იყო და მხოლოდ ზიანს აყენებდა ბონიფაციუსს, რადგან, ისტორიკოს პლატინას სიტყვით, პაპმა, რომელიც შიმშილით მოკლეს, ხალხში მაშინვე სიბრალული და სიმპათია გამოიწვია. ხალხს არ უყვარს უწყალო ტირანები.

როგორც კი ტახტი დაცარიელდა, ბონიფაციუსმა თავი ბაპად გამოაცხადა. მტარვალი გრძნობდა ხალხის განწყობილებას, არავითარი ილუზიით არ იტყუებდა თავს და იცოდა, რომ მხოლოდ უსასტიკესი რეპრესიებითა და ტერორით შესძლებდა ძალაუფლების შენარჩუნებას. გაბოროტებული მღვდელმთავარი უმკაცრესი საერო მეთოდებით იბრძოდა ძალაუფლებისათვის.

მთელი წლის განმავლობაში ქალაქის ქუჩები სისხლით იყო მორწყული. ბონიფაციუსი არც მტერს ინდობდა, არც მეგობარს — მის თვალში ყველა მტერი იყო. ის კი არა, თავისი დამქაშები გან-

საკუთრებით სძულდა, რადგან ვერ ივიწყებდა იმ თანხებს, რომლებიც მათთვის დახარჯა, ან უნდა დაეხარჯა.

შიშის ზარი და სასოწარკვეთილება მეფობდა რომში. ყველას ერთნაირი ხვედრი ელოდა. ყველა წოდების ადამიანები ეკითხებოდნენ საკუთარ თავს, ჩვენმა საათმაც ხომ არ დაჰკრაო. ჩვეულებრივი ჯალათების, ამ ასე ვთქვათ კანონიერი მკვლელების გარდა, ბონიფაციუსს ჰყავდა დაქირავებული ბანდა, რომელიც მიზანში ამოღებულ მსხვერპლს ყოველგვარი გასამართლების გარეშე სპობდა.

თვითონ ბონიფაციუსი? რას საქმიანობდა ამ განუწყვეტელი სვრემის დროს? ქეიფობდა! მეძავებთან ნებივრობდა! მსხვერპლთა, განწირულ ადამიანთა გოდება იკარგებოდა მისი უსირცხვილო საყვარლებისა და მახლობელი მამაკაცების სიმღერასა და ღრიანცელში, რომელთა შორისაც აღვირახსნილი მკვლელი თავის სამყოფელში დროს ატარებდა.

ალბათ გრძნობდა ეს ავხორცი სატანა, რომ მისი დღეებიც დათვლილი იყო ზუსტად თვრთმეტი თვის შემდეგ ტახტზე ასვლის დღიდან თავისი ცოდვილი სული ეშმაკს ჩააბარა, თუმცა იმასაც ამბობდნენ, ანგელოზთა გუნდმა სამოთხეში აიყვანა უფლის მოადგილეო! ეს უფრო დასაჯერებელია: რატომაც არ უნდა აეყვანათ ციურ სასუფეველში სატანა, როცა იქ უკვე ირეოდა უთვალავი ქაჯი და ეშმაკი?

შურისძიება
სიკვდილის შემდეგ

● რად გავისარჯოთ იმის სათქმელად, რომ ბონიფაციუსის გვამა არავინ გადაჰყოლია! ისე მიაყუდა ყალიონი და წარუდგა მიქელგაბრიელს, რომ ერთ რომაელსაც არ ჩაუცვამს ძაძები.

ვერაგ პაპს დღე უცებ გაუშავდა. წვეთი ჩაექცაო ტვინში, ზოგიერთი მემატიანე ამტკიცებს, მაგრამ ჰქონდა კი ბონიფაციუსს ტვინი? საერთოდ კი აპოპლექსიური დარტყმა–ყველაზე უფრო ბუნებრივი აღსასრული იქნებოდა ამ გახრწნილი ადამიანისათვის, რომელიც პირუტყვულ ცხოვრებას ეწეოდა, ღორივით იყორავდა მუცელს, სტომაქი იყო მისი ღმერთი, ორგიებში ფლანგავდა თავის ჯან-

სა და ღონეს. იმავე დროს არც ქალებს იკლებდა, მაგრამ არც მამაკაცებთან სიახლოვით პოულობდა ნაკლებ სიამოვნებას, ეს ცნობილია, და ჩვენ რა ვიცით, რამდენ ენერგიას ითხოვდა ერთი მიხრწნილი ბერიკაციისაგან კაცობრიობის ორივე ნახევარი ერთდროულად! ზოგიერთი ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომაელებმა პაპის ტირანიას თავი ძლიერი შხამის შემწეობით დააღწიესო. არც ესაა ურიგო ვარიანტი!

ზუსტად ცნობილია ერთი რამ: საყოველთაო საზეიმო სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. მხოლოდ სიკვდილმა იხსნა რომი სიკვდილისაგან! როგორც კი ხმა გავარდა, პირწავარდნილი არამზადა წუთისოფელმა ამოჭამაო, უბირი და დიდებული ყველა წმინდა პეტრეს ტაძართან შეიყარა. მღვდელმთავრის ლეში კუბოდან ამოათრიეს და ცემით მეორედ ამოხადეს ცოდვილი სული. მერე დაშლილ-დასახიჩრებულ გვამს სუდარა ახადეს და მარკ ავრელიუსის მოედნამდე ძაღლის ლეშივით ქუჩა-ქუჩა ათრიეს, ხოლო იქ თავდაყირა დაჰკიდეს, ისე რომ ყოველ გამვლელს დაუხრელად და გაურჯელად პირდაპირ სახეში მიეფურთხებინა. ხალხსაც სცოდნია შურისძიება. რად დაიმსახურა?

მეორე დღეს ღირსეული გასვენება მოუწყვეს. ტიაროსანი ურჩხული უწმინდურობის ორმოში ჩააგდეს და ქვეყნის სიბინძურე თავზე ეღვრებოდა — განა იმასვე არ უკეთებდა თვითონაც ხალხს სიცოცხლეში ეს ლეში? ეკლესია რომ სირცხვილისა და სამუდამო დაცინვისაგან ეხსნათ, ღამით რამდენიმე მღვდელი ჩაძვრა ორმოში და ფარულად სადღაც ჩაფლეს შეგინებული გვამი.

ცრუმორწმუნეობანი

● გადავიდეთ XI საუკუნეზე, რაც გამოირჩეოდა ტლანქი ცრუმორწმუნეობით, ველური ფანატიზმით და კეთილმსახურების ნიღბით მოსილი გახრწნილობით.

X საუკუნის დასასრულს მთელი ქრისტიანული სამყარო ცახცახით მოელოდა. მრავალრიცხოვანი წინასწარმეტყველებანი ამ თარიღს უკავშირებდნენ ქვეყნიერების აღსასრულს და „განკითხვის დღის“ დადგომას. სასულიერო წოდებაც, რა თქმა უნდა, დიდ

გამორჩენას ელოდა ამ ზღაპრებისაგან, რომლებიც იქნებ თვითონ ყველაზე ნაკლებად სწამდა.

მოახლოებული და გარდუვალი აღსასრულის წინ ადამიანები მხოლოდ საიქიო ცხოვრებაზე ფიქრობდნენ და მისთვის ზრუნავდნენ: მონანიებით უნდა მოელბოთ სასტიკი მსაჯულის გული, რათა მაცხოვრის სამართლიანი რისხვა არ დაეტეხათ თავზე. ყველაზე უფრო დამწვარი კრიჟანგებიც კი თავიანთ ქონებას ეკლესიას აძლევდნენ, მღვდლები კი სხვას წყალს ასმევდნენ, თვითონ ღვინოს ასკდებოდნენ და ყველას არწმუნებდნენ, იზრუნეთ საუკუნო სასუფეველისთვის, უარყავით მიწიერი ტვირთი, ფუჭი ამქვეყნიური სიკეთე, რაც სახარების სიტყვით დამღუპველი დაბრკოლებაა მისთვის, ვინც სამოთხის გზას დასდგომიაო.

როცა საშინელი წელი გავიდა და წარღვნა არ მომხდარა, ბევრმა გაბრიყვებულმა თითზე იკბინა, სულკლური შიში ინანა, გულში ამბობდა: რა მრჯიდა, მთელი ჩემი ქონება რომ ეკლესია — მონასტრებს დავურიგეო! მაგრამ გვიანღა იყო. კლირი, როგორც ნიანგი, არასოდეს არ გაუშვებს იმას, რასაც ერთხელ კბილი დაადგა, თუნდაც ეს შეცდომით მომხდარიყო. პირიქით, ეკლესიის მოწოდება სწორედ ისაა, რომ ტვინთხელ მორწმუნეებს რაც შეიძლება მეტი გამოსტყუოს, ათასნაირი აბსურდული სიცრუით გამოუჭედოს თავი და ვისაც ცოტა აქვს, ის ცოტაც წაართვას.

იმ საუკუნეში ადამიანებს წინასწარმეტყველებათა, მაგიის, ვარსკვლავთმრიცხველობის, მისნობისა და ჯადოქრობის დიდი რწმენა ჰქონდათ. ყოველგვარ ცრუ რწმენას ისე იღებდნენ, როგორც სრულიად უეჭველ ჭეშმარიტებას. უნდა შევნიშნოთ, რომ თავიანთ სამწყსოს არც მღვდლები ჩამორჩებოდნენ; მაგია ისეთი პოპულარობით სარგებლობდა და უმეცრება ისე ძლიერ იყო ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ მრავალი სასულიერო პირი თვითონვე ეწეოდა ყოველნაირ მემარგეობასა და კუდიანობას, საეკლესიო საიდუმლეობას მარჩიელობითა და ჩხიბვით ხსნიდნენ.

შეშინებული ხალხი ნაადრევად ფიქრობდა, რომ ეშმაკმა ღმერთი დაამხო და დადგა ანტიქრისტეს დრო.

სილვესტრ მეორეზე, ფრანგ სწავლულზე, რომელიც მართლაც სასწაულით მოხვდა პაპის ტახტზე გრიგოლ მეხუთის შემ-

დეგ*, დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, სატანასთან შეკრაო კავშირი. პაპი სილვესტრი თანამედროვეებს აოცებდა მათემატიკური და ფილოსოფიური ცოდნით, და მაშ საიდან ექნებოდა ასეთი ცოდნა, ეშმაკთან რომ არ ჰქონოდა კავშირი? ზოგიერთი მემატიანე სერიოზულად ამბობს, სილვესტრმა სევილიიდან ჩამოიტანა საზიზღარი წიგნი, რომელშიც მოცემულია კაბალისტური ფორმულები, მათი შემწეობით პაპი ლუციფერს აიძულებს ყველა სურვილი შეუსრულოსო! თუმცა უკვდავებასაც კი ჰპირდება, თუ პაპი იერუსალიმის ტაძარში წირვაზე უარს იტყვის. მემატიანეებს მხედველობიდან გამორჩათ ერთი დასკვნა: სილვესტრამდეც ხომ ისრულებდა ყველა პაპი ყველა სურვილს? მაშასადამე, ყველა პაპს ჰქონია შეკრული კავშირი სატანასთან.

„სილვესტრი, — განაგრძობს მემატიანე, — იმედოვნებდა, რომ სიცოცხლეს გაიხანგრძლივებდა, ამიტომ არასოდეს არ დადიოდა მოსალოცავად წმინდა ადგილებში და ერთთავად ღვთისსაწინააღმდეგო ჯადოსნობას ეწეოდა წმინდა ჯვრის ბაზილიკაში, რასაც აგრეთვე იერუსალიმის ტაძარი ეწოდებოდა. ამ ღვთისმსახურების ჟამს ერთხელ საკურთხეველის წინ პაპს ანაზდეულად გამოეცხადა ეშმაკი, დაიტაცა სამლოცველოს განთქმული სამკაული, ოქროს ჯვარცმა, და ისე მაგრად ჩაკრა თავში წმინდა მამას, რომ სული გააცხებინა“.

ეს გულუბრყვილო ლეგენდა მშვენივრად ახასიათებს ცრუმორწმუნეობის ძალას, რაც რელიგიური წესებითა და ფორმულებით ისედაც მეტისმეტად დამძიმებული გონების უკანასკნელი ნაპერწკლის ჩაქრობას ლამობდა.

---

* აქ ავტორი მცირე უზუსტობას უშვებს. მას შემდეგ, რაც ოტონ მესამის ნებით დაყენებული გრიგოლ V კრესჩენციამ განდევნა, პაპის ტახტზე ავიდა კალაბრიელი ბერძენი ჯოვანი ფილაგეტი, რომელმაც ტახტი იმავე კრესჩენციასაგან იყიდა. ოტონ III რომში დაბრუნდა და აღადგინა გრიგოლ V, რომელმაც იოანე XVI შეიპყრო, მოსჭრა ცხვირი, ამოგლიჯა ენა და ამოსთხარა თვალები, შემდეგ დილეგში ჩააგდო, ვირზე შესვა, ქალაქში ატარა და ასეთი წვალებით ამოხადა სული. ამბობენ, ბოლოს თავიც მოჰკვეთესო იმპერატორის ბრძანებით. ეს მოხდა 999 წელს. ტახტზე ავიდა სილვესტრ II.

ქვები ტირიან,
ქვები... ცეკვავენ!

● სილვესტრ მეორის ასე ვერაგულად მოკვლის შემდეგ, რაშიაც ნამდვილად სატანის მსახურთა ხელი ერია, მღვდლებმა არ დააყოვნეს იმ ლეგენდის გამოყენება, რაც პაპისა და ეშმაკის შეთანხმებაზე ლაპარაკობდა.

ხმა გაავრცელეს,თითქოს სილვესტრმა სიკვდილის წინ აღიარა და მოინანია ასეთი კავშირის არსებობა. თურმე თვითონ მომაკვდავმა მახლობლებს სთხოვა მისი გვამი თეთრ კატაფალკზე დაესვენებინათ, ბალდახინში თეთრი ცხენები შეებათ და გაერეკათ. ცხენები თვითონვე გაჩერდებიან იქ, სადაც საჭირო იქნება ჩემი დაკრძალვაო.

პაპ სილვესტრის ნება ზუსტად აასრულეს — თეთრი ცხენები ლატერანის სასახლის წინ გაჩერდნენ, სადაც პაპის ნეშტი პატივითა და ყველა წესის დაცვით მიაბარეს სამარეს.

„მას შემდეგ, — წერს მემატიანე, — აგერ ექვსი საუკუნეა, რაც მღვდელმთავრის გარდაცვალების კვირაძალზე, თითქოს მის ახლად სიკვდილს იუწყებაო, ყოველთვის ხელახლა ჭახჭახებენ სილ-- ვესტრის ძვლები და საფლავის ფილა სისხლის ლაქებით იფარება...“

თმა ყლაყზე დაგვიდგება, ხომ მართალია? ქვა ტირის, სისხლის ცრემლებს აფრქვევს, ხოლო მიცვალებულის ძვლები საფლავში ჭახჭახებენ, კამათლებივით, ჩხაკუნობენ და გატაცებულ მოთამაშეებს ეუბნებიან: „აბა დაიწყე, ითამაშე, რომელს მოუვიდა დუშაში?“

დამეთანხმეთ, ასეთ რამეებს უნდა მივეჩვიოთ, ყოველდღე ხომ არა ხდება მსგავსი ოინები! ახლა ისიც წარმოიდგინეთ, რა დღეშია სამარის ჭია, გემრიელი ლუკმა რომ პირიდან უსხლტება, იწყებს ჭახჭახს და როკვას! აქ უტვინო ჭიასაც კი ტვინი შეერყევა!

ვეორე მხრივ, რა ნეტარ სულიერ სიმშვიდეს ჰპირდება ასეთი სასწაული ყოველ წმინდა მამას, რომელსაც მზერა იმედით მიუპყრია მომავლისათვის, გულის ფრიალით ელის განკითხვის საათს... საკმარისია გაისეირნოს პაპ სილვესტრის საფლავისაკენ და ყური

მიადოს საფლავის ფილას. თუ სამარეში დუმილია, შეუძლია არ-ხეინად დაიძინოს.

. თუმცა არც ერთი შემთხვევა არაა ცნობილი, რომ წმინდა მამას წინასწარმეტყველთა შემწეობა ეთხოვა და სურვილი აღძვროდა იმის გაგებისა, თუ როდის ჩააცლებდნენ ხელს უწყალო პარკები ან გულქვა თანატოსი, რათა ამაო მიწიერი ცხოვრების ძაფი გადაეჭრათ.

XVII საუკუნის შუა წლებში, ლატერანის სასახლის ახლად აშენების დროს გახსნეს სახელგანთქმული ფილოსოფოსი პაპის სამარე, რასაც დროგამოშვებით ეშმაკი საცეკვაო დარბაზად აქცევდა ხოლმე, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს. ნეშტი ცოცხალი გეგონებოდათ და ნელსურნელებას აფრქვევდა თურმე („ო-ლა-ლა!— იტყოდა ჩვენი გავროში, — ვიდრე დროა, გავწიოთ!")... მაგრამ ანაზდად ნათლის სვეტმა გაანათა გვამი, ჯოჯოხეთური ალი ავარდა ნეშტიდან, ყოფილი პაპი ფერფლად იქცა და დარჩა მხოლოდ ორი ნივთი: ვერცხლის ჯვარი და მღვდელმთავრის ბეჭედი.

გამოცნობა იოლია: ცეცხლის ალი — ეშმაკია, ასე რომ გაბრიყვდა, თავი კუბოში ჩააჭედვინა ხალხს და საუკუნეების განმავლობაში ყოველ ღამე პაპის გარდაცვალების დღის კვირაძალზე მისი უწმინდესობის ძვლებს ათამაშებდა. რაღა თქმა უნდა, სამარხი გახსნეს თუ არა, სატანამ იმავე წუთს მოძურწა, ცეცხლად იქცა და სურნელოვანი გვამი მიატოვა. მაგრამ ყოველი კეთილმორწმუნე ქრისტიანი მადლიერი უნდა იყოს სატანისა: ნეშტს რომ უფრთხილდებოდა, ამით დახმარებას უწევდა მაცხოვარს, რომელიც მიცვალებულთა განსჯას დაიწყებს განკითხვის დღეს: ამდენი ფერფლის გარჩევა ხომ უზენაესსაც გაუჭირდება!

ამის შემდეგ სილვესტრის საფლავზე არაჩვეულებრივი აღმაფერი მომხდარა. მღვდლებმა სასწაულების შეწყვეტაც მაშინვე თავისებურად ახსნეს: ან პაპის ჯადოქრობამ გაჭრა ან ეშმაკის გაქრობამო. XVIII საუკუნეში კი, როცა ვოლტერმა, დიდრომ, მონტესკიემ თავიანთი ბრწყინვალე შრომებით საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია იწინასწარმეტყველეს, საეკლესიო ისტორიკოსმა მურატორიამ პაპ სილვესტრის პანეგირიკი გამოსცა. მთელი ოპუსის საერო კილოს შემდეგი დებულება ახასიათებს: სილვესტრის სამარის სასწაული ნუღარავის გააოცებს, ისევე როგორც მისი გაქრობა. რამდენი წმინდანის სამარეზე უფრქვევია

ზეთი და მანანა უბრალო ქვას, მაგრამ დღეს ასეთ სასწაულს აღარ ახდენენ!“

მაგრამ რისთვის წავიდეთ ასე შორს, XVIII საუკუნეში? სულ ახლახან, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სწავლა-განათლების შესახებ კანონის განხილვის დროს, პოლ ბერტმა ტრიბუნიდან გაიმეორა სწავლა-განათლებისადმი მიძღვნილი ზოგიერთი რელიგიური წიგნის ციტატები. თავიანთი უზნეობით აღმაშფოთებელი ადგილები რომ წაიკითხა, მემარჯვენეებს მიაძახა:

— ხომ ვერ იკისრებთ ასეთი მითითებებისა და დარიგებების მიღებას?

ერთ-ერთმა კლერიკალმა იქვე გასცა პასუხი:

— ჩვენ არა გვაქვს უფლება განვსაჯოთ ის, რაც ეკლესიის მამებს დაუწერიათ.

ამ განცხადებას ულტრამონტანური ბანდა ტაშის ქუხილით შეხვდა!

ამრიგად, ეკლესიის მესვეურთა ბუნება სულაც არ შეცვლილა საუკუნეების განმავლობაში: ყველაზე უფრო ველური, უზნეო და ჯოჯოხეთური აზრები უდავო სახელმძღვანელოდაა აღიარებული ჩვენს განათლებულ საუკუნეში, მით უარესი მათთვის!

პროგრესი გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ, და შორს არ არის ის დრო, როცა მეომარი ეკლესია, უტლანქესი ცრუ რწმენისა და ფანატიზმის ჭაობში რომ ჩაფლულა, გარდასულ დროთა ნათელ ჰორიზონტზე ძლივს შესამჩნევ წერტილად-ღა გამოჩნდება.

ფუტკრები — მისნები

● სილვესტრ მეორის შემდეგ ტახტზე ავიდა იოანე XVII. ამ ტირანზე ცოტა რამ ვიცით. შემონახულია ცნობები მის ვერაგობაზე, სისასტიკესა და შურისმაძიებლობაზე. ეს არის და ეს. როგორც ვხედავთ, ბევრად არ განსხვავდებოდა თავის წინამორბედთაგან. წმინდა ტახტი სულ ხუთი თვე ეჭირა.

მის დროს მოხდა ერთი კურიოზული ეპიზოდი: ერთმა შალონელმა ბერმა ლევტარდმა მორწმუნე ბრიყვებისაგან ფულის გამოძალვის მიზნით თავი სულთამხილავად გამოაცხადა. ხალხს თავი მოუყარა და გამოუცხადა: ღამით, ველზე რომ მეძინა, სასწაული

დამემართაო — ფუტკრები შემოიძვრნენ უკანა ტანიდან, ზეზუნით ჭამოფრიდნენ პირიდან და მაუწყეს, დიადი საქმეები მოგელის, უბრალო მიწიერთათვის მიუწვდომელი და შეუძლებელიო. ამ წუთიდან ჩემს არსებაში ღვთაებრივი ძალის მოზღვავება ვიგრძენი.

დაუჯერეს. ასე დაიწყო წინასწარმეტყველება და საკმაოდ მოკლე ხანში შეადგინა ძლიერი პარტია, რომელმაც მოითხოვა, ეპისკოპოსის კათედრა მიეცესო ამ მქადაგებელს.

ჟეზუინმა. შალონის ეპისკოპოსმა, ნახა, რომ საქმე სახიფათო ხასიათს იღებდა და საჭიროდ ჩათვალა საქმეში ჩარევა. მართლაც, მოახერხა ყალბი შარავანდედის გაფანტვა, ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ამ უბადრუკი ეპიგონის გარშემო რომ შეკრა უმეცრებამა და სიხარბემ. იმედგაცრუებულმა და შეურაცხყოფილმა ხალხმა ბერი ისე გაამწარა, რომ ბედგამწყრალი მაწანწალა, გაიძვერა და ვიგინდარა ჭაში ჩახტა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იქ ფუტკრები აღარ შეაწუხებდნენ.

მეორე ბერს თავში გიჟური აზრი მოუვიდა: ვერგილიუსი, ჰორაციუსი და იუვენალი წინასწარმეტყველებად გამოაცხადა. მთელს იტალიაში დაეხეტებოდა და ხალხს არწმუნებდა, უქადაგებდა: მათი აღთქმებით იხელმძღვანელეთ, სასუფეველში ჰოხვედრა თუ გსურთო. უნდა ითქვას, რომ ამაში იყო ერთგვარი პოეზია, მაგრამ უკვდავი პოეტების გამოცხადება რელიგიურ წინასწარმეტყველებად ერთდროულად სიბრძნესაც შეიცავდა და სიხულელესაც.

როგორც კი ეს ამბავი იოანე XVII ყურამდე მივიდა, ეპისკოპოსებს უბრძანა, უწყალოდ გაწყვიტეთ ამ ღვთის გლახების ყველა მომხრე, სადაც არ უნდა მოიხელთოთო.

მკვლელობა კათოლიკეთა ულტიმო რაციო გახდა — უკიდურესი საბუთი — მუდამ, როგორც კი აუცილებელი ხდებოდა ხალხისათვის თავიანთი დოგმები მოეხვიათ თავზე.

ხმლის ერთი დაკვრით

● იოანე მეჩვიდმეტე იოანე მეთვრამეტემ შეცვალა. ახალი პაპი ტახტზე ხუთი წელიწადი იჯდა. მოსაწყენი და მომქანცველი იქ-

ნებოდა მის უმსგავსობათა და უხამსობათა სრული სიის წაკითხვა. სხვა საგულისხმო მისი პონტიფიკატის წლებში არაფერი მომხდარა და ასევე შეუმჩნევლად მიიცვალა 1009 წელს.

გადავიდეთ ბენედიქტე მერვეზე, რომელმაც ტიარა გრაფ ტოსკანელის შეთქმულების წყალობით მიიღო.

მხეცური სისასტიკით ბენედიქტე VIII წინასწარვე გადაიკიდა ხალხი ტახტზე ასვლაც კი ვერ მოასწრო, რომ მის გაშემო დაიწყო შეთქმულებათა ქსელის გაბმა და თავზე საფრთხის ნისლი ჩამოაწვა. სამღვდელოებამაც კი შექმნა ძლიერი დაჯგუფება, რომელმაც შეძლო მეორე პაპის — გრიგოლის წამოყენება.

ბენედიქტე ენერგიულად იცავდა თავს. კარგა ხნით ლატერანის სასახლის ერთადერთი გამგებელიც ის იყო. მაგრამ არც გრიგოლი ყლაპავდა ბუზებს. იოანეზე არანაკლებ გერგილიანი გამოდგა და ბოლოს განდევნა კიდეც მეტოქე, ბენედიქტე გერმანიაში გაიქცა. ჰენრიხ მეორის დახმარების იმედი ჰქონდა და მეფის მხარდაჭერა იოლადაც მიიღო. ჰენრიხ მეორე არმიას გაუძღვა და მალე ლომბარდიაში გაჩნდა. შეშინებულმა რომაელებმა მტრის ახალ შემოჭრას ისევ ძველი მტარვალის აღდგენა ამჯობინეს, ბენედიქტეს შუაკაცები გაუგზავნეს და ვედრებით მიმართეს, დაბრუნდი ლატერანის სასახლეშიო. გრიგოლს სხვა რა გზა ჰქონდა, დაუყოვნებლივ დატოვა რომი.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰენრიხ მეორემ ერთ-ერთ ცრუმოსახელეზე დიდ გამარჯვებას მიაღწია და შეუზღუდავი მბრძანებლის გვირგვინის საკურთხებლად თავის მეუღლე კუნიგუნდასთან ერთად რომში ჩავიდა.

პაპმა ამ საზეიმო ცერემონიიდან სარგებლობა მიიღო. ჯერ ერთი, ავტორიტეტი განიმტკიცა, მეორე კიდევ აღადგინა ზოგიერთი უპირატესობა, რაც რომის პაპებს ჯერ კიდევ კარლოს მეორემ და ოტონ მესამემ მიანიჭეს.

ვერც კი მოასწრო ჰენრიხმა რომიდან წამოსვლა, რომ ტოსკანაში სარკინოზების ჯარი შეიჭრა. ბენედიქტემ ეპისკოპოსებს ჯარისკაცების გამოყვანა უბრძანა, ლაშქარს თვითონ გაუძღვა და ურჯულოებს ეკვეთა.

ბრძოლა სამი დღე გაგრძელდა. თავდაპირველად ქრისტიანები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, მაგრამ ბოლოს იმარჯვეს და სარკინოზთა ყველა პოზიცია დაიკავეს. ოღონდაც! თვითონ უფალი ღმერთი იბრძოდა მათს რიგებში. თანაც სასწაული მოხდა: თვითონ

რომის პაპს აღმოაჩნდა იმდენი სიმამაცე, რომ ჯარს გაუძღვა. ამას. ცხადია, ერთგვარი წამახალისებელი მნიშვნელობა ჰქონდა. ქრისტიანთა ჟლეტას ისევ მტრის სვრემა ჯობდა.

ჩვენ სულაც არ ვამცირებთ დიდი საბაოთის დამსახურებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის ჩვენს პლანეტაზე გამოჩნდა, მისი სახელით და მისი დროშით მებრძოლი ჯარების შეხლა მტერთან ერთობ ხშირად სრული კატასტროფით დამთავრებულა. არც უნდა მოვთხოვოთ კეთილ ღვთაებას იმაზე მეტი, რაც მას შეუძლია! სრულიად გასაგებია, საცოდავი მოხუცი საბაოთი ყოველთვის იბნევა და გამოსავალს ვერ პოულობს, როცა მაგალითად, ორი მეფე, ორივე მართლმორწმუნე, ერთიმეორეს ომს უცხადებს მხოლოდ იმის გამო, რომ ერთმა, მისმა უდიდებულესობამ იქსმა, მეფე ზეტის ელჩების მიღების დროს სამოცდათხუთმეტჯერ დააცემინა ცხვირს, ხოლო ბრიყვმა ელჩმა მხოლოდ სამოცდათოთხმეტჯერ უსურვა ჯანმრთელობა!

ასეთი დელიკატური წვრილმანისაგან შეიძლება თვითონ მამა ღმერთი დაიბნეს და თავგზა დაკარგოს! წარმოიდგინეთ უზენაესის მდგომარეობა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, ადრე დილით, აურაცხელ ფოსტას ათვალიერებს და პოულობს ორ ლოცვას.

პირველი ლოცვა

● მოწყალეო და საყვარელო ღმერთო ჩემო!

განზრახული მაქვს ჩემი ძლევამოსილი ჯარებით ავიღო ჩემი კუზენის ზეტის სამეფო. იმედი მაქვს შენი შეწევნისა. მომეცი ძალა, რომ ყველა მისი ჯარისკაცი მტვერში დავცე და მისი სამეფო მიწასთან გავასწორო!

შენი მონა და შვილი მეფე იქსი და სხვა და სხვა...

მეორე ლოცვა

● უზენაესო წინაპარო ჩემო!

ჩემი სიყვარული შენდამი უსაზღვროა და ამიტომ ისმინე ჩემი

ლოცვა. ჩემი კუზენი იქსი, ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, ჩემს ჯარებთან შებმას აპირებს. ჩემი გული გაიხარებს, თუ ჩემს შუბლს დაფნა შეამკობს. მექმენ მოწყალე და მაჩუქე მტერზე გამარჯვება. დამამარცხებინე ის ბაქია, და შემისრულე სურვილი, ოღონდ არა უადრეს ორივე არმიის გაწყვეტისა, რადგან რაც მეტია მსხვერპლი, მით უფრო სასახელთა გამარჯვება.

შენი... შენი მოწყალების... შენზე მლოცველი... მეფე ზეტი,' და ა. შ.

„ეშმაკმა დალახვროს! — ამბობს საბაოთი—რა გზას დავადგე, რომ ორივე მეფის გული მოვინადირო? ეს ცხოველები, დედამიწაზე რომ მომრავლდებიან, ჩემი ყოვლის შემძლე ნების მოიმედენი ციურ ჩიხში მაქცევენ! ღმერთმანი, აღარ ჩავერევი მაგათ საქმეებში! თვითონ გაარჩიონ, თავიც უტეხიათ"!

რითაც არ უნდა დამთავრდეს ბრძოლა, განა დამარცხებულს უფლება აქვს ღმერთს დაემდუროს, ჩემს თხოვნას ყურადღებაც არ მიაქციოს?

რა თქმა უნდა, არა!

თქვენ ხედავთ, რა მიუდგომლად ვარჩევთ საბაოთის მდგომარეობას. ახლა ნება მოგვეცით დავძინოთ, რომ ბრძოლა მოხდა და ღმერთს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია სარკინოზებზე პაპის ჯარისკაცების გამარჯვებაში!

ეტყობა, თავის სამხედრო საქმეებში არც თვითონ მღვდელმთავარს ჰქონია ღმერთის დიდი იმედი: თვითონვე დააწყო საბრძოლო რიგით თავისი ჯარები, მსროლელთა რაზმით გაამაგრა სანაპირო და მოწინააღმდეგის გემებს ხელი შეუშალა, რომ მაშველი ძალები გადმოესხათ.

ჩვეულებრივ, წარმართნი თავიანთ მტრებს ტყვედ იგდებდნენ თუ არა, თან მიჰყავდათ. ქრისტიანები მხოლოდ ასეთი სიამოვნებით არ კმაყოფილდებოდნენ და ურჯულოებზე გამარჯვების აღსანიშნავად სისხლიან ნადიმებსაც აწყობდნენ, კუნძულელ ტომთა მსგავსად. მაშინაც კი, როცა სარკინოზები დამარცხებული იყვნენ. მღვდელმთავრის ჯარებმა ცეცხლსა და მახვილს მისცეს, გადაბუგეს და ააოხრეს მთელი მხარე. უზარმაზარი სამხედრო ნადავლის გაყოფა იქვე მოხდა, ბრძოლის ველზე. თვითონ პაპს, წარმოიდგინეთ, ერგო სარკინოზების ბელადის ცოლი, განსაცვიფრებლად ლამაზი მანდილოსანი.

წმინდა მამა გახარწნილ-გათახსირებული ადამიანი იყო. ამ საქმეში ტოლი არა ჰყავდა. უპირატესობას ყმაწვილ კაცებს აძლევდა, მაგრამ არც მშვენიერ მანდილოსნებს იწუნებდა. ერთი მარცხი კი მაინც მოუვიდა. ვერც ერთი კოცნა ვერ მოსტაცა მშვენიერი სარკინოხი ქალის ბავეს. ამ ურჯულის სისასტიკემ მის ვნებიანობას გადააჭარბა. ორივე ხელი ჩაავლო უზარმაზარ ხმალს და ერთი დაკვრით თავი წააცალა სარკინოზ ქალს, რომელსაც ამ პირუტყვმა სხვა იარაღით ვერაფერი დააკლო.

ამის შემდეგ წმინდა პეტრეს მოადგილემ თავისი მსხვერპლის გაცივებულ გვამს თავისუფლად ჩაავლო ხელი და დაუწყო ჩხრეკა. დოლბანდს ოქროს სალტე მოაგლიჯა, ძვირფასი თვლები მობოჭა და ჯიბეში ჩაიყარა, ან ვინ შეუშლიდა: ქალის ნეშტი ხომ მისი საკუთრება იყო!

როგორ შეიძლება მიწისძვრის შეჩერება

❶ რა თქმა უნდა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს სათაური ცოტა გულუბრყვილოდ გამოიყურება. მაგრამ გასაკვირი არაფერია — ჩვენ მოგითხრობთ საეკლესიო მატიანიდან ნასესხებ ისტორიულ ეპიზოდებს, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, მორიგეობით შევხვდებით ჯოჯოხეთურ დანაშაულობასა და საარაკო სისულელეს. ეს გარდუვალია!

სარკინოზებზე ბენედიქტეს დიდი გამარჯვების შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და რომში მიწა იძრა. ეს მოხდა ვნების პარასკევს, თანაც დიდად საგულისხმო იყო ის ამბავი, რომ მორწმუნეებმა პირველი ბიძგები სწორედ იმ მომენტში იგრძნეს, როცა ჯვარს ემთხვეოდნენ.

რატომ ინება მიწამ შეზანზარება და რომაელთა შეძრწუნება, ისიც იმ დროს, როცა წმინდა ჯვარცმას სცემდნენ თაყვანს მუხლმოყრილნი?

ამაზე წმინდა მამამ უყოყმანოდ გასცა ასეთი პასუხი: ასეთი უბედურების დატეხვით უფალმა ღმერთმა აგრძნობიან თავისი რის-

ხვა ადამიანებს, რომელთაც ეგზომ დარდიან დღეებში შეურაცხყვეს მაცხოვარი.

აუცილებელი გახდა დამნაშავეთა გამონახვა, სხვა გზა არ იყო. თუმცა ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ბენედიქტემ განაცხადა: სწორედ იმ წუთებში, როდესაც ქრისტიანები ჯვარს ემთხვეოდნენ, სინაგოგაში ებრაელები თავიანთ ცერემონიებს ატარებდნენო. ცის რისხვა ვის უნდა გამოეწვია, ამ უბედური ანტიქრისტიანების გარდა! საჭიროა მათი საძარცალში ბიცეა და სასტიკად დასჯაო!

თუმცა, რა საჭიროა მათი გასამართლება? განა პაპი უცოდველად არ ითვლება?.. და ბენედიქტემ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლის ძალითაც ყველა რომაელი ებრაელისათვის თავი უნდა მოეკვეთათ. დაუყოვნებლივ შეიპყრეს და ჯალათს მოჰგვარეს ბედშავნი.

საშინელებაა, არა?

წინა თავებმა, რა თქმა უნდა, ბევრი რამისათვის მოგვამზადეს, და მაინც ადამიანის გონებას უჭირს ასეთ ფაქტებთან შერიგება, იმედიც კი იღვიძებს გულში, იქნებ ზოგი რამ გაზვიადებულია, ან მოგონილიო. სამწუხაროდ, ამაო იმედია! ამ ფურცლებზე ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ რეალურ ამბებზე, რომელთაც ლეგენდის ნასახიც არ ურევიათ. მართალია, პაპიზმს ვებრძვით, მაგრამ ვებრძვით პატიოსანი იარაღით. ჩვენ ვამბობთ: აი, ესეც თქვენი ეკლესია! გნებავთ იცოდეთ, რა შვილიცაა? გაეცანით მის მეფაურებს! სულ ქურდები, მკვლელები, პედერასტები არიან — სულ ან თითქმის სულ ყველანი... მოგვიტევეთ, მათ შორის არიან მოღვაწეებიც. მაგალითად პიუს IX, მაგრამ მის უწმინდესობას მოგვიანებით გავცნობით.

დავუბრუნდეთ მიწისძვრას. ებრაელთა დარბევის შემდეგ ის შეწყდა. მიწისძვრა ყოველთვის წყდება. როგორ ფიქრობთ, ვითომ საეკლესიო ისტორიკოსები ამ ეპიზოდის გადმოცემის დროს ეძებენ ასეთი არაადამიანური ღონისძიების შემამსუბუქებელ გარემოებებს? რა სისულელეა! მღვდელმთავარს აქებენ და ადიდებენ! თანაც შემაძრწუნებელი გულგრილობით დასძენენ:

„მათი დასჯის შემდეგ ქარი ჩადგა და მიწა აღარ ირყეოდა, უწინ კი მისი რყევა წმინდა ქალაქს აზანზარებდა“.

ზიზღისმომგვრელი დანაშაულის უფრო თავხედური აპოლოგია წარმოუდგენელია.

● ბენედიქტე VIII სრულებითაც არ ყოფილა კეთილი ღვთისმსახური, მაგრამ იმანაც კი სცადა როგორმე აელაგმა თავაშვებული ალირი, პატივცემულ წმინდა მოციქულს უსათუოდ შეშურდა თავისი ხელქვეითებისა და განიზრახა მათთვის მრუშობის უფლება წაერთმია... აბა მაშ რით უნდა ავხსნათ მისი უწმინდესობის გულში ზნეობის უეცარი გამოღვიძება?

1020 წელს მან პავიაში მოიწვია საეკლესიო ყრილობა და მრავალი პრელატის მტკიცე წინააღმდეგობის მიუხედავად მიაღწია ისეთი დადგენილების გამოტანას, რომლის თანახმადაც მთელი სასულიერო წოდება, როგორც თეთრი, ისევე შავიც კარგავდა როგორც ქორწინების, აგრეთვე საყვარლის გაჩენის უფლებას.

ჰენრიხ მეორემ მღვდელმთავრის თხოვნით დაამტკიცა ეს დადგენილება. მის დამრღვევს სასულიერო და საერო სამსჯავრო ემუქრებოდა.

ნუ დაღონდებით, აქვე შევნიშნავთ: სამღვდელოების გარყვნილება ამით ოდნავადაც კი არ შენელებულა. არავითარი მუქარა არ ჭრიდა, და მერე მღვდლები არც კი თვლიდნენ საჭიროდ თავიანთი სასიყვარულო თავგადასავლების დაფარვას, თითქოს სარეცელი ყოფილიყო მათი მოღვაწეობის ერთადერთი ასპარეზი. ისევე იქცეოდნენ, როგორც ბრძანების გამოცემამდე, საქვეყნოდ და მოურიდებლად ეწეოდნენ გარყვნილ ცხოვრებას. მაშ როგორ? რისი შიში უნდა ჰქონოდათ? ბრძანება რომ სისრულეში მოეყვანათ, ამისათვის საჭირო გახდებოდა მთელი სამღვდელოების გასამართლება. ყველა საკურთხეველი და სამლოცველო ერთბაშად დაცარიელდებოდა. ეს კი საშინლად საწყენი საქმე იქნებოდა!

ბენედიქტე VIII გარდაიცვალა 1024 წელს, თორმეტი წლის მბრძანებლობის შემდეგ. კათოლიკე ისტორიკოსები სრულიად სერიოზულად ამტკიცებენ, გარდაცვალების შემდეგ არაერთხელ გამოეცხადა სხვადასხვა პირებს და სთხოვა, ლოცვებში მომიხსენიეთო. რა რეპუტაცია ჰქონია ღირსპატივცემულ პაპს, თუ კი თვითონ

კეთილმსახური საეკლესიო მოღვაწენი არ თვლიდნენ ღირსად, რომ ერთბაშად მოხვედრილიყო ციურ სასუფეველში!

მემატიანე პლატინა გვარწმუნებს, რომელიღაც პრელატს ბენედიქტეს ჩონჩხი უნახავსო, შავ ცხენს მიაგელვებდაო სადღაც გაურკვეველი მიმართულებით. ეპისკოპოსს უკითხავს, საით გაგიწევიაო. პასუხად აჩრდილმა ეპისკოპოსს ორივე ხელი მაგრად ჩაავლო, აიყვანა და საგანძურთან მიიყვანა, დამალული განძი უჩვენა და სთხოვა, ღარიბებს დაურიგე, იქნებ შემიმსუბუქდეს ტანჯვა, რასაც საიქიოში განვიცდი ჩემი მძიმე ცოდვებისათვისო.

სეგიბერტი და პეტრე დამიანიც ამტკიცებენ, ერთხელ მიცვალებული თავის მემკვიდრეს გამოეცხადა და სთხოვა, ილოცეო ჩემთვის, იქნებ დააცხროო სალხინებლის ცეცხლის სიმხურვალე, რაც ჩემი უთვალავი ბოროტმოქმედებისათვის მრუჯავსო. ამ ღანაშაულობათა მასშტაბზე ნათლად მეტყველებს ის გარემოება, რომ ამ წაწყმედილ პაპს განსაწმენდელში ყოფნის ვადად ათასი წელი დაუღგინეს.

მაგრამ ყველა ეს ლეგენდა თავისი კომიკურობით მაინც ძლიერ ჩამორჩება იგავს ვინმე ვინცენტ ბოველზე, რომელიც ბენედიქტე მერვის სიკვდილიდან ორასი წლის შემდეგ ცხოვრობდა და მეფე ლუდოვიკო წმინდის კარზე წამკითხველის მოვალეობას ასრულებდა. ვინცენტი საზეიმოდ და საჯაროდ აცხადებდა, ბენედიქტეს ღვთაებრივი განაჩენი პირობითიაო: ერთ-ერთმა კლუნიელმა ბერმა, რომელსაც თვითონ უწმინდესი ქალწული გამოეცხადა, თურმე თქვა. რომ პაპის სულს ტანჯვისაგან გაათავისუფლებს მხოლოდ კლუნიელ ბერთა ლოცვა და მათი აბატის — წმინდა ოდილონის დამსახურებაო.

მაშასადამე, მამა-ღმერთი, რომელსაც მღვდლები მრისხანე მსაჯულად თვლიდნენ, არც თუ ისე უმოწყალო ყოფილა? წარმოიდგინეთ, საშინელი ცოდვებით დამძიმებული ქრისტიანი გამოეცხადა.

— რა გქვია? — ეკითხება უზენაესი.

— ბენედიქტე VIII, დიდო მსაჯულო.

— შენ ბრალად გედება ქურდობა, მკვლელობა, შერყვნა, გაუპატიურება, მამათმავლობა. შენ გათელე ყველა ადამიანური და ციური კანონი. რას იტყვი თავის გასამართლებლად?

— არაფერს, დიდო მსაჯულო.

— ძალიან კარგი! ათას წელიწადს გაატარებ სალხინებელში. ხომ არაფერს იტყვი განაჩენის წინააღმდეგ? მიპასუხე. რას ფიქრობ ამ გადაწყვეტილებაზე?

— მე ვისურვებდი, რომ ეს სასჯელი მომეხადა დედამიწაზე, ამ გლოვის ველზე...

— რაც შენ ნაგავის ზვინად აქციე?

— უფალო, ყველა იმას აკეთებს, რაც მას შეუძლია.

— მაშ შენ გინდა იქ დაგაბრუნო, სადაც ამდენი დანაშაული ჩაგიდენია? არასოდეს! ყველაფერი, რაც შემიძლია შენთვის გავაკეთო, ესაა პირობითი სასჯელის დადება. თუ კლუნიელი ბერები შემევედრებიან შენი ხვედრის შემსუბუქებას, სამოთხის საშვებს გამოგიწერ. ოღონდ გახსოვდეს: სახელდახელო ლოცვა, რამდენიმე სტრიქონის ჩაბულბულება, ან ოც სუდ ღირებული საცოდავი წირვა ვერ დამაკმაყოფილებენ. დანაშაულისაგან სრულიად განთავისუფლდები მხოლოდ მაშინ, თუ ბერები შენთვის ისე ილოცებენ, როგორც წესი და რიგია: დღე და ღამე მუხლმოყრილნი შემეხვეწებიან, იმარხულებენ, წირავენ და ილოცებენ.

— მოკლედ, თუ გულს მოგილბობენ, არა?

— რა თქმა უნდა! ჩემი რჩევა ასეთია: წმინდა ქალწულს მიმართე და სთხოვე, მფარველობა გაგიწიოს. უწმინდესი ქალწული გულმოწყალეა, ბერებიც ჩემის აზრით პატივსა სცემენ მანდილოსნებს და მშვენიერ ქალბატონს უარს არაფერზე არ ეტყვიან... რას ვამბობ! ახალგაზრდა ქალწულს-მეთქი, რადგან დედობას ხომ არავითარი ზიანი არ მიუყენებია მისი უმანკოებისათვის!

ეს გროტესკული დიალოგი ზუსტი შინაარსია ვინცენტ ბოველის საზეიმო განცხადებისა. ეს პაროდიაც კი არ არის, მხოლოდ შარჟია, რაც ხაზს უსვამს დეტალს, მაგრამ კი არ ამახინჯებს ფაქტს. ის გვიჩვენებს, რომ საეკლესიო იგავები, რითაც მღვდლები საბრალო მორწმუნეებს ტვინს უტენიან, სინამდვილეში სხვა არა არიან რა, თუ არა გრანდიოზული ბუფონადა.

ვინცენტის სიტყვით, წმინდა ქალწულის გამოცხადებისა და ვინცენტის აბსურდული განცხადების შემდეგ კლუნიელმა ბერებმა ლოცვა-კურთხევა გააძლიერეს და მოკლე ხანში მიაღწიეს ბენედიქტე მერვის განთავისუფლებას სალხინებლის ცეცხლიდან.

„მაშინ კი, — დასძენს ვინცენტი, — განსვენებული მღვდელ-მთავარი პირადად გამოცხადდა საბატონოში, რათა მადლობა ეთქვა ბერებისათვის, რომელთაც განსაწმენდელიდან იხსნეს. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ბერები ტაძარში ლოცულობდნენ, პირდაპირ წარუდგათ ბენედიქტე VIII და აუწყა, როგორ ამოვიდა ეტნის ხახიდან, როგორ დააღწია თავი ცეცხლის ალს და როგორ ნებივრობს იერუსალიმის ციურ სასუფეველში“

ამრიგად, სალხინებელმისჯილნი პირდაპირ ვულკანის ხახიდან ამოდიან და ხვდებიან შიგ სამოთხეში! რა ბედნიერნი არიან სიცილიის მცხოვრებლები! ამ კუნძულზე მდებარეობს სალხინებელი, მათ კი აზრადაც არ მოსდით, ასეთი წყალობისათვის ღმერთს მადლობა შესწირონ!

იესო ქრისტეს წერილი

● ბენედიქტე VIII რომ გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა მისი ძმა იოანე XIX. დაახლოებით იმავე დროს გარდაიცვალა ჰენრიხ II, რომელმაც დასავლეთის რომის იმპერიის ტახტი თავის შვილს კონრადს დაუტოვა. 1027 წელს კონრადი თავის მეუღლის ჟიზელის თანხლებით რომში ჩავიდა, რათა პაპს გვირგვინი ეკურთხებინა. ამ ცერემონიას ესწრებოდა კანუტი, ინგლისის მეფე, რომელსაც იმავე დროს დანიის მეფის ტიტულიც ჰქონდა. კანუტიც თხოვნით იყო პაპთან მისული. მეტისმეტად დიდ ბაჟს ახდევინებენო რომში მოსალოცავად ჩამოსულ ჩემს ქვეშევრდომებს. ამას გარდა, მოითხოვდა იმ თანხის შემცირებას, რაც ინგლისის სამეფოს საეპისკოპოსოებს შეჰქონდათ რომის სალაროში.

ცხადია, ასეთი მოთხოვნები იოანე მეცხრამეტეს გუნებას გაუფუჭებდა. ფულის საკითხი მისი ყველაზე უფრო სუსტი ადგილი იყო. განუზომელი სიხარბითა და ანგარებით მან ყველა თავის წინამორბედს გაუსწრო, და როგორც მკითხველს ახსოვს, არც ის წინამორბედნი გამოირჩეოდნენ უანგარობით, რომის მრავალ მღვდელ-მთავარზე ზედგამოჭრილი იქნებოდა ეპიგრამა: „მიიღე, აიღე, იქურდე — აი პაპის სამი მცნებ.

არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა პაპისათვის, როცა ლაპარაკი იყო მისი სალაროს გამდიდრების შესახებ. მის უწმინდესობასთან აუდიენციისათვის მორწმუნეს არ ეყოფოდა უბრალო მოსაკითხი, რასაც რომელიმე მეძავს მიუტანს ხოლმე მამაკაცი მის ჭერქვეშ სადილობის პატივისათვის. არა, როგორ გეკადრებათ, ნამდვილი საჩუქარი უნდა მიერთმია. რაც უფრო დიდი იქნებოდა გასამრჯელო, მით უფრო მოწყალედ გაუღიმებდა პაპი. განა მარტო კანუტის სამეფოს მიმლოცველები იყვნენ წელში გაწყვეტილი ზედმეტი გადასახადებით? არც სხვა ქვეყნებიდან წამოსულ მორწმუნეებს ადგათ უკეთესი დღე.

იოანე XIX მიდასავით იყო, ყველაფერს ოქროდ აქცევდა: ცოდვების მიტევება იყო, კურთხევა თუ განკვეთაც კი — ყველაფრიდან სარგებლობას იღებდა, ყველაფერში ფულს ხედავდა.

ეპისკოპოსებს ძლიერ აბრაზებდა პაპის მერკანტილიზმი. კონრადის კორონაციიდან დიდი ხანი არ გასულა და ლიმოჟში ფრანგ ეპისკოპოსთა ყრილობა შეიკრიბა, რამაც რომის სასახლეს აუკრძალა განკვეთილთათვის ცოდვების განტევება ადგილობრივი ეპისკოპოსების დასტურის გარეშე.

ამ აკრძალვის აზრი დაახლოებით ასეთი იყო: ივაჭრეთ, მოიგეთ, რამდენიც გენებოთ, მაგრამ ცოტა ზრდილობა იქონიეთ, გაგვაფრთხილეთ ხოლმე, რომ საქმიდან რაიმე გამორჩენა გვქონდესო.

ყრილობამ განიხილა აგრეთვე საფრანგეთის სამეფოში წესრიგის დამყარების საკითხი და სათანადო ზომებიც მიიღო. საქმე ისაა, რომ ფარისეველ და კეთილმორწმუნე ლუდოვიკო წყნარის გარდაცვალების შემდეგ კარლოს დიდის იმპერიაში სრული ანარქია დაიწყო. საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში წვრილი მთავრები ერთიმეორეს ებრძოდნენ, ქალაქებს ძარცვავდნენ, მოსახლეობას უმოწყალოდ ხოცავდნენ, ხელოსნებს, ვაჭრებსა და გლეხობას გარეული ნადირებივით დევნიდნენ. ხალხი უმოწყალოდ იტანჯებოდა, სამღვდელოებას კი ამ ამბებთან არაფერი ესაქმებოდა. აი, ასეთ საშინელ უქმურ დროში ფრანგმა ეპისკოპოსებმა უეცრად მოსახლეობისათვის ზრუნვა დაიწყეს. ასეთი ზრუნვის ახსნა ძალიან უბრალო საქმეა. ფეოდალურმა უწესრიგობამ ხაზინას ლახვარი ჩასცა. ჯერ ერთი, მოსახლეობის გაღატაკებამ ძლიერ იმოქმედა ეკლესიის შემოსავალზე, მერე კიდევ ხარბი მემამულეების სიხარბე იქამდე მივიდა

რომ მონასტრებს მიჰყვეს ხელი, თავს ესხმოდნენ და წვავდნენ ტაძრებს, ხოცავდნენ ბერებს, აუპატიურებდნენ მონაზვნებს.

აი, რატომ გადაწყვიტეს ლიმოჟში შეკრებილმა ეპისკოპოსებმა თავგასული ფეოდალების ალაგმვა.

მალე დარწმუნდნენ. რომ ეკლესიიდან განკვეთით ჰერცოგებსა და გათავხედებულ მთავრებს ვერ შეაშინებდნენ, ამიტომ ახალი გადაწყვეტილება მიიღეს: საქმეში ღმერთი ჩავრიოთო. გამოცხადდა საზეიმო ხასიათის კრება, რომელსაც მთელი პროვინციის მორწმუნე ხალხი უნდა დასწრებოდა. ჩვეულებრივი წირვისა და ლოცვა-კურთხევის შემდეგ ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა უზარმაზარ ბრბოს ასეთი სიტყვით მიმართა:

— ძმანო ჩემნო, უდიდესი ახალი ამბავი უნდა გაუწყოთ: თვითონ იესო ქრისტეს განუზრახავს თავისი ეპისტოლეთი დედამიწაზე ადამიანებს შორის მშვიდობა ჩამოაგდოს. მოგმართავთ თხოვნით, აირჩიოთ წარმომადგენლები, რომ ეპისტოლეს დახედონ, რამდენად ნამდვილია ქრისტეს წერილი, შემდეგ კი უფლის ნებას გაგაცნობთ.

კრებამ ზეიმით მოისმინა შარლატანური გამოსვლა და იქვე აირჩია ათი კაცისაგან შემდგარი კომისია, ათივე ეპისკოპოსი იყო. მათ უნდა შეემოწმებინათ ძვირფასი კორესპონდენცია.

ამბობენ, რომ ძველ რომაელ ავგურებს*, ერთიმეორეს რომ გადახედავდნენ, სიცილი წასკდებოდათ ხოლმე. უნდა ვიფიქროთ, რომ ქრისტიანი პრელატებიც, ამ ავგურების ღირსეული მემკვიდრეები, თავს ძალას ატანდნენ, რომ ამ ეგზომ საფრთხილო ექსპერტიზის დროს სახის სერიოზული გამომეტყველება შეენარჩუნებინათ!

პროცედურა დიდხანს არ გაგრძელებულა. იესო ქრისტეს ხელმოწერა რომ ნამდვილი იყო და არა ყალბი, ეს მალე დადასტურდა. შემდეგ კი იმავე ყრილობაზე ეპისკოპოსებმა ფიცი დადეს, რომ ეპისტოლე ნამდვილად ციდან ჩამოვარდა.

ბევრი რომ არ გაცინოთ, მოკლედ მოვჭრით. საბოლოოდ ლიმოჟის კრებამ დაადგინა: ეპისტოლე გაეგზავნოს ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, რათა მორწმუნეებმა, მიუხედავად მათი რანგისა, სქესისა და ეროვნებისა, განუხრელად დაიცვან ზეცით წარმოვლენილი მცნება უზენაესისა.

---

* ფრინველთა გალობისა და გაფრენის მიხედვით მარჩიელნი.

ამ მცნებებსა და დარიგებებზე უფრო სულელური რამის მოფიქრება, ამაზე უფრო ურიგო და უზნეო დებულებების შეკოწიწება შეუძლებელია.

იესო ქრისტე, რომელსაც მოგვიანებით ბოკაჩიოს „დეკამერონის“ გმირი, მოხუცი ქმარი მიჰბაძავს, თავის წერილში თავისებურ „სიყვარულის კალენდარს“ იძლევა.

უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ღმერთი ცოლ-ქმარს თავიანთ მოვალეობის შესრულების ნებას საწოლში მხოლოდ გარკვეულ, ზუსტად განსაზღვრულ დღეებში აძლევდა.

მაგალითად, ორშაბათი ისეთ დღედაა გამოცხადებული, როცა ქმარი ცოლს ვერ მიეკარება.

ამას გარდა, მითითება ასეთი იყო: პარასკევს ყველა პურსა და წყალზე უნდა გადავიდეს, შაბათს ხორცს არ მიეკაროს არავინ. იკრძალებოდა მტერთან შებმა იარაღით ხელში, აგრეთვე მონასტერთა ქონების ხელყოფა. დაბოლოს, ეპისტოლე მკაცრად განსაზღვრავდა ორ სქესს შორის ურთიერთობას: მამაკაცებს ნება ეძლეოდათ ქალებთან ერთად ელოცათ, მაგრამ ეკრძალებოდათ ამ დროს მათი გაუპატიურება.

ოღონდ არ იფიქროთ, რომ აქედან რაიმე ოდნავ მაინც მოგონილია. დავა შეიძლება ჩვენს შეფასებაზე, მაგრამ რაც შეეხება ფაქტებს, აქ უდიდეს სიფრთხილეს ვიცავ: არც არაფერს ვაზვიადებ, არც არაფერს ვაკლებ. ან რა საჭიროა ეს? ეკლესიის ისტორია უამისოდაც საკმაოდ აღსავსეა ცინიზმით, სისულელით და საძაგლობით, რომ ქრისტიანობის გამანადგურებელ საბრალდებო აქტად გამოვიყენოთ.

ყოველ მრევლში, ყოველ ეპარქიაში აიძულებდნენ მორწმუნეებს სახარებაზე დაედოთ ფიცი ერთგულებისა, რომ დაიცავდნენ იმ მცნებებს, იესო ქრისტეს ეპისტოლეში რომ იყო მოცემული. სასჯელი, რაც ურჩებს ემუქრებოდა, საკმაოდ მკაცრი იყო, რომ ვინმეს შეკამათება ან დარღვევა გაებედა. ლაპარაკი იყო არა მარტო ეკლესიდან განკვეთაზე, არამედ ქონების კონფისკაციაზე, აგრეთვე ქრისტიანული წესით დამარხვის უფლების დაკარგვაზეც. პირველსა და მესამე სასჯელზე კიდევ შეიძლებოდა კაცი დათანხმებულიყო, მაგრამ ქონების კონფისკაცია ყველასათვის ერთნაირად საშინელია: კეთილმსახური ქრისტიანებისა თუ ურწმუნოებისათვის.

არ დავფარავ, ჩვენ, რასაკვირველია, გვაინტერესებს, რანაირად უნდა შეემოწმებინათ მღვდლებს, რამდენად იცავდნენ მორწმუნეები ცოლქმრული „სიყვარულის კალენდრის“ წესებს? ნუთუ მნათეებს აგზავნიდნენ თავიანთი სულიერი შვილების ყოველ საწოლ ოთახში და ავალებდნენ, ასი თვალი გამოისხით, ასი ყური გამოიბით, ხომ არაფერი ზდება ორშაბათობით ისეთი, რასაც იესო ქრისტე კრძალავს წმინდა სარეცელშიო?

ამაზე საეკლესიო ისტორიკოსები არაფერს ამბობენ, რაც ძალიან საწყენია.

ძირს ტირანი!

● რომაელები მოუთმენლად მოელოდნენ იოანე XIX მეუფების აღსასრულს. არაფერი ჰქონდათ იმის საწინააღმდეგო, რომ პაპს ყოველღამე თავის სამყოფელში შემოეკრიბა მშვენიერი ქალიშვილები, მეძავები და ყმაწვილი კაცები, რომელთაც უზენაესი მთელი თავისი სიუხვით ბერტყავდა ლატერანის სასახლის თავზე, მაგრამ პაპის თავაშვებულმა ძალადობამ, გახრწნილებამ და დესპოტიზმმა ისეთი აუტანელი ხასიათი მიიღო, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო.

წმინდა მამა, ეტყობა, გრძნობდა, რომ გულზე არავის ეხატა და თავის პოპულარობაზე ყალბი წარმოდგენით თავს არ იტყუებდა. ამიტომ არასოდეს ცხვირს გარეთ მარტო არ გამოჰყოფდა. როგორც ბებერ მგელს ხროვა, ისე მუდამ თან ახლდა თავისი საკადრისი ამალა. მაშინ შეთქმულთ გადაწყვიტეს იარაღის ასხმა და აშკარად შებმა. საქმე ამბოხებისაკენ ძიდიოდა.

როცა მრავალრიცხოვანმა ბრბომ ლატერანის სასახლეს ალყა შემოარტყა, პაპი დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარა ჰქონდა და საიდუმლო ხვრელებს მიმართა, როგორც ვირთხაქ, რომელსაც გამოსასვლელი ამოუქოლეს. იოანე XIX გერმანიაში გაიქცა და თავი კონრად მეორეს შეავედრა. არც შემცდარა, ვარაუდი გაუმართლდა: კონრადმა მალე ისევ აღადგინა წმინდა ტახტზე. რადგან ძაღლი ძაღლის ტყავს არც მაშინ ხევდა. პაპმა ისევ ისარგებლა ხიშტებზე აგებული ძაღლური ძალაუფლებით, ხალხის ჩაგვრითა

და შურისძიებით. აღსასრულის წინ ეს ბოროტი სული ერთხელ კი-
დევ დატება უდანაშაულო ადამიანთა სისხლით. ყმაწვილი კაცებისა
და ლამაზი ქალიშვილების სხეულით, ვიდრე 1032 წელს ცოდვილ
სულს ეშმაკს ჩააბარებდა. ტუსკულანის გრაფმა, რომელიც არ იყო
სასულიერო პირი და ამიტომ ტახტი იყიდა. მთელი რვა წელიწადი
ატარა სისხლიანი ტიარა!

ყრმა — პაპი

● გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ბენედიქტე IX,
როგორც კი ძიძის კალთიდან გადმოვიდა, პაპის ტახტზე ავიდა და
გახდა იოანე XIX მემკვიდრე. ყოველ შეძთხვევაში, ჯერაც ყრმას
ხელი მიაშველეს და ისე აიყვანეს პაპის ტახტის საფეხურებზე
თორმეტი წლისაც არ ვიყავი, როდესაც ცხვარში მიკრეს თავიო, თა-
მამად შეეძლო ეთქვა ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულ ყმაწვილს,
რომელიც აგრეთვე ტუსკულანის გრაფი იყო.

მცირე ასაკმა ახლად გამომცხვარ პაპს ხელი ვერ შეუშალა, რომ
უმოკლეს ხანში გამოემჟღავნებინა ყველა მანკიერება, რაც მის წი-
ნამორბედ პაპთა შორის ყველაზე უფრო გახრწნილ და სასტიკ
მღვდელმთავრებს ახასიათებდათ.

ბენედიქტე მეცხრეს (მისი ნამდვილი სახელი იყო თეოფილა-
ქტე) ტახტი ერგო ტოსკანელი გრაფების თაღლითობის წყალობით
წარჩინებულ გვარის ავაზაკებმა მათებრ პირწავარდნილი ბანდი-
ტის ტახტზე აყვანას მიაღწიეს ძველი მეთოდების — ინტრიგების,
მუქარისა და მოსყიდვის გზით.

იმპერატორი კონრად II პოლიტიკური მოსაზრებით მფარვე-
ლობას უწევდა ამ ძლიერსა და ძლევამოსილ გვარს. ამრიგად, მისი
უზენაესი წყალობა ამ ახალ პაპზეც გავრცელდა.

როცა ბენედიქტე IX თავისი აღვირახსნილი უმსგავსობისათვის
აღშფოთებულმა ხალხმა რომიდან განდევნა (ვერასოდეს ვერ ისწავ-
ლეს ჭკუა ამ ტიაროსანმა სატანებმა!) კონრად II ხალისით მიეშვე-
ლა მღვდელმთავარს და ისევ ტრიუმფით აიყვანა ტახტზე.

ისევ იზეიმა ტლანქმა ძალამ კანონსა და ხალხზე — საუბედუ-

როდ, არა პირველად და არა უკანასკნელად! და ისევ იმ გათელილი ხალხის სახელით.

კიდევ რამდენიმე სიტყვა ბენედიქტე მეცხრეზე

ამ მღვდელმთავარმა ისე შეარცხვინა და შებილწა წმინდა ტახტი ჯოჯოხეთური ცოდვებით, ბოროტმოქმედებითა და აშკარა დანაშაულობით, რომ ქრისტიანი მწერლები არც კი ცდილობენ წმინდა მამად წოდებული ურჯუკის სამარცხვინო მოღვაწეობის მიჩქმალვასა და შელამაზებას.

კარდინალი ბენო პაპს ბრალს სდებდა იმაში, რომ შეგნებულად სარგებლობდა ეშმაკეული საშუალებებით, მაგიასა და ჯადოქრობას მიმართავდა, თავის საყვარლებს აიძულებდა დაელიათ რაღაც ქაჯურად შეზავებული წამლები, რათა ამ გახრწნილი ლეშისადმი ვნებიანი სიყვარულით ანთებულიყვნენ. კარდინალი იმასაც ამტკიცებს, პაპი ეშმაკს სწირავდაო მსხვერპლს, ავსულთა ღრეობაში იღებდაო მონაწილეობას, კუდიანთა შაბათობაში, და არაერთხელ უნახავთო ტყეში, წყვდიადის სულთან შეუღლებული.

ეს მტკიცებანი, გულუბრყვილო ბრალდებანი, მხოლოდ ღიმილს იწვევენ, და მაინც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ ბენედიქტე მეცხრეზე. მისი დანაშაულებრივი საქმიანობა ისე არაბუნებრივი და არაადამიანური იყო, რომ ისტორიკოსები იძულებული ხდებოდნენ მისტიკისათვის მიემართათ, და ეშმაკის მანქანება ჩაერიათ მოვლენის ახსნაში.

ხალხს სულ უფრო და უფრო უმძიმდა მისი ძალაუფლების ატანა, და ბოლოს, თორმეტი წლის ძალადობის, ძარცვა-რბევისა და მკვლელობის შემდეგ, როგორც იქნა, ეს ავსული რომიდან განდევნეს.

მაგრამ ნუ ვიმხიარულებთ ნაადრევად. ფონი გასვლას დავლოცოთ. მორიელი გასრესილი არაა, მაშ ის კიდევ დაბრუნდება საწოლ ოთახში. ბენედიქტე მეცხრეს კიდევ შევხვდებით. ტიარა ძალიან უხდება და უარს როგორ იტყვის, რომ თავის უავგუსტოეს თავზე ერთხელ კიდევ დაიდგას!

გადაყენებული პაპის დროსტარება

● მას შემდეგ, რაც ბენედიქტე „გადააყენეს", საბინის ეპისკოპოსი, რომელმაც ერთხელ უკვე განაცხადა თავისი უფლებები ტახტზე, ისევ გადავიდა შეტევაზე. ყალბი დაპირებების, მოსყიდვის, უხვი საჩუქრების წყალობით სამღვდელოებამ ახლა კი მართლაც აიყვანა ტახტზე და ამ ახალ პაპს სახელად ეწოდა სილვესტრ III. ეს მოხდა 1044 წლის 26 დეკემბერს.

ვიდრე ეპისკოპოსი თავის საქმეებს აგვარებდა, არც ბენედიქტე მეცხრეს ეძინა. იმავე ტოსკანელის ძლიერი ოჯახის დახმარებით მოისყიდა ავაზაკთა ბანდა, რომის გარეუბნებში რომ დათარეშობდა, და მოსახლეობა ნამდვილი ტერორის წინაშე დააყენა.

მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტისა და ავაზაკთა უმოწყალო თარეშისათვის რომ ზღვარი დაედოთ, რომაელები იძულებული გახდნენ წმინდა ქალაქის კარები ისევ ცხრა თოკში გამოვლილი არამზადისათვის გაეღოთ. მართალია, ამჯერად ბენედიქტე დიდი ხნით აღარ იჯდა ტახტზე. მისმა ორგიებმა ახალი ამბოხება გამოიწვიეს და ბენედიქტემ თვითონვე განაცხადა ტახტზე უარი, რადგან ხალხის რისხვა მეტისმეტად დიდი იყო, რომ ხელახლა რისკი გაეწია. ამრიგად, ერთი სასწაულიც მოხდა: შხამში დამწვარმა მორიელმა აღიარა, რომ ის მტრედი არაა და სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს.

მაგრამ პაპი აქედანაც კი გამორჩენას ელოდა. იცოდა, რომ ასეთი მტარვალის ნებაყოფლობითი გადადგომა წყალობა იყო, და სათანადო ჯილდოსაც ითხოვდა. ისეთ ადგილს თმობდა, უფასოდ მისი დატოვება მიუტევებელი სისულელე იქნებოდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და უსირცხვილო ვაჭრობის შემდეგ ბენედიქტემ ტახტი მღვდელ იოანეს მიჰყიდა და ამ მაცდუნებელი სკამისათვის საზღაურად მიიღო თხუთმეტი ათასი ლივრი ოქროთი.

თუ მკითხველი ფიქრობს, რომ ასეთი სარფიანი საქმის მოკვარახჭინების შემდეგ წმინდა ტახტით მოვაჭრე არამზადა უკვალოდ გაქრა, სასტიკად ცდება. პაპს ჯერაც არ ჰქონდა ნათქვამი თავისი უკანასკნელი სიტყვა.

სამი მღვდელმთავარი წმინდა ტახტზე

● ტიარის საფასური რომ მიიღო, ბენედიქტემ სრულიად არხეინად გამოაცხადა თავის მემკვიდრედ იოანე XX და თავისი ჭკუით სრულიად პატიოსნად დააკანონა ეს გადაწყვეტილება. მაგრამ სილვესტრ მესამესაც ძვირად დაუჯდა თავისი არჩევა: სამი თვე გაატარა წმინდა ტახტზე და ჯერაც ვერ აინაზღაურა ის ხარჯები, რაც სისხლიან საფეხურებზე ასვლის უფლების მოსაპოვებლად გასწია — თავის ხარბ ამომრჩევლებს მისცა. სამი თვე მიიწურა, ტახტზე იოანე ავიდა, სილვესტრი კი პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა. რაკი თავისი საუკეთესო გრძნობები შეულახეს, სილვესტრ III იერიშზე გადავიდა. შეიარაღებულ ბანდას ჩაუდგა სათავეში და რომში შეიჭრა, პაპის სასახლეს დაესხა თავს. იოანე XX მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და შეიქმნა ცხარე ხელჩართული ბრძოლა. ღმერთი ალბათ თავს იქცევდა, თორემ რა მნიშვნელობა ჰქონდა, მგელი იქნებოდა ტახტზე თუ მგლისფერი ძაღლი? განა ღირდა ეს სისხლისღვრად? ან იქნებ ხელი ჩაიქნია: რაკი ქრისტეს მოადგილეებს ჯიშად არ მოსდგამთ ადამიანობა, ბარემ იღრინონო, და მოწაღმართე ანგელოზი გაარიდა ტახტის მოცილეებს.

ამასობაში ბენედიქტე IX, რომელსაც ტახტისათვის აღებული ფული უკვე შემოხარჯოდა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დრო დაუდგა და ტიარის დაბრუნება უნდა ეცადა, რათა მეორედ გაეყიდა. რატომაც არა? ტიარა, მეწველ ძროხასა ჰგავს, მუდმივ მოგებას იძლევა. ბენედიქტე ისეთი კაცი იყო, რომლისგანაც ყველაფერს შეიძლება მოელოდე. ბევრიც არ უფიქრია, შეკრიბა არამზადების რაზმი, შეიჭრა ლატერანის სასახლეში და განდევნა იქიდან კაცი, რომელიც იქ თვითონვე მოაწყო. იოანე XX გაეცალა, მაგრამ ქალაქიდან გასვლა არც მან ისურვა: ფული კასრზე დადო და ახლა რაღა დროის გაცლა იქნებოდა! მოკლედ, რომში ერთსა და იმავე ტახტზე ერთდროულად სამი პაპი აღმოჩნდა, ღირსნი ერთიმეორისა. ერთი წმინდა იოანეს ეკლესიაში მოკალათდა, მეორე წმინდა პეტრეს შეეხიზნა, მესამე კიდევ ღვთისმშობლის ეკლესიაში ითბობდა ხელებს.

რა გნებავთ? ბენედიქტე IX, სილვესტრ III და იოანე XX ჩინებულად მოაწყო უზენაესმა. პატივცემულმა სამებამ კავშირი შეკრა, ძველი რომაელების ტრიუმვირატის მსგავსი, სამივე ძმურად იყოფდა საეკლესიო შემოსავალსაც და თავიანთი ტაცება-გაძოძალვის ნაყოფსაც. ყოველ ღამეს თავაშვებულ ორგიებში ატარებდნენ თავიანთი გალეშილი ხასებისა და ხასა მამაკაცების თანხლებით. ერთი გასამდა. მეტი რა უნდოდათ?

როგორ კარგავენ ფერს იმ ნადიმებთან შედარებით ჩვენი თანამედროვე წვეულებანი! ეს ტიაროსანი სარდანაპალები ახალ-ახალი აკრძალული ტკბობის წყაროების ძიებაში ცდილობდნენ აღედგინათ სოდომის ცოდვები. თუმცა სოდომს სახელი აქვს მოყივნებული — ბიბლიის წყალობით — თორემ ისეთი რა უნდა ჩაედინათ, რომის პაპებს გატოლებოდნენ!

საეკლესიო ტრადიციებს რომ იცავდა, პატივცემული სამება განირჩეოდა, არაჩვეულებრივი სიუხვით საყვარლების მიმართ. ამიტომ მოკლე ხანში რომის ეკლესიების საგანძური ქარს გაატანეს. ქრისტეს ღვთაებრივი კულტისათვის საჭირო ძვირფას ნივთებს ახალი პაპები მსხვერპლად სწირავდნენ ვენერას კულტის მსახურთ-ზნედაცემულ მეძავებს. ტკბილად გატარებული ერთი ღამისათვის გასამრჯელოდ იხდიდნენ ძვირფას ჭურჭელს, სანაწილეს, ჯვარცმას... სიყვარული მაინც ყოფილიყო, თორემ ეს იყო გულისამრევი ვაჭრობა!

მოციქულის ტახტი ამ ზნედაცემულ სამებას უკვე სრულიადაც აღარ აინტერესებდა, ამიტომ მისთვის თავი უნდა დაეღწიათ. საბოლოოდ რომ გაკოტრდნენ, მათ სამთა შექმნეს თათბირი. პაპებმა სწორედ შესანიშნავი გამოსავალი ნახეს — წმინდა ტახტი საჯარო ვაჭრობით გაყიდეს.

იოანე XIX განსვენების შემდეგ, ბენედიქტე IX პონტიფიკატის დროს, წმინდა პეტრეს ტახტი აუქციონიდან გაყიდეს უკვე მეოთხეჯერ, გაყიდეს როგორც რომელიმე შინაბერას ძველი ავეჯი!

წმინდა ოთხეული

● როგორც კი ხმა გავარდა პაპის ტიარა იყიდებაო, მაშინვე გამოჩნდნენ მსურველნი, რომლებიც კარგ ფასს იძლეოდნენ. მოყ-

ვარული რას არ იყიდის, თუ სურვილთან ერთად ნაძარცვი ფულიც ბლომად ექნება!.

წარმოდგენილი გვაქვს, რა ციებ-ცხელებაც იქნებოდა ამ აუქციონზე! ბოლოს და ბოლოს, ტიარა შეხვდა რომაელ მღვდელს ჯოვანი გრაციანოს, რომელსაც აღმოაჩნდა საკმაო შეძლება, რომ ყველაზე მეტი თანხა გადაეხადა. პაპიც ის გახდა, გრიგოლ VI სახელწოდებით.

ეკლესიის კანონის თანახმად, პაპის სახელი სამუდამოა. ამ წოდებას ერთხელ იძლევიან და სიკვდილამდე რჩება. ამრიგად, ამ დროს კათოლიკურ ეკლესიას ერთდროულად ოთხი პაპი ჰყავდა, თუმცა მოვალეობას მხოლოდ ერთი ასრულებდა.

პონტიფიკატის დასაწყისში ქლესა მღვდელმთავარი წყნარი და მორჩილი ჩანდა, სათნო და ქველიც კი — იქნებ დაივიწყონო ის შეხლა-შემოხლა, რაც სკანდალური არჩევნების დროს მოხდა. ზოგიერთი რეფორმა გაატარა და ერთგვარი სიმპათიაც კი მოიპოვა ხალხში.

მაგრამ როგორც კი ძალაუფლება მტკიცედ მოიგდო ხელში, ინავშეკავება და ხალხის საამებლად ლაპარაკიც კი ზედმეტად ჩათვალა, როგორც ყველა ტვინნაღრძობი ტირანის წესია, და იმის ანაზღაურებას შეუდგა, რაც „სიმშვიდის“ დროს დაკარგა. ტირანებს ხომ ყველაფერი თავისთვის უნდათ და თუ ხალხსაც არ ნთქავენ, იმისათვის, რომ სჭირდებათ. გრიგოლ VI არ გახლდათ მორიდებული კაცი, მაშინვე დაიწყო ათასნაირი საშუალების გამოყენება გასამდიდრებლად: შეძლებულთა ქონების კონფისკაციამდეც კი, ამასთან უდანაშაულო მოქალაქეებს აწამებდა და ეკლეტდა, რომ ენა დაეყენებინათ და ცუდი არაფერი ეთქვათ, საჩივრები არ დაეწყოთ.

თავისი ასეთი საზრიანობის, ნიჭისა და უნარის წყალობით გრიგოლმა მოკლე ხანში ორმაგად აინაზღაურა ის თანხა, რაც ტახტის ყიდვის დროს დაკარგა.

სისხლიანი აბაზანა

● უბედური იტალია დააქცია და გაანიავა ახალმა მღვდელმთავარმა, სრულ სიღატაკეში ჩააგდო! გზებზე ყაჩაღთა ბანდები დაძრ-

წოდნენ, ასე რომ მიმლოცველები რომში ჩასვლას ისე ვერ ბედავდნენ, თუ დიდ-დიდ ბრბოებად არ შეიყრებოდნენ. ან რა უნდა ელოცათ პაპების დაქცეულ ქვეყანაში?

თვითონ რომში ცხოვრება სახიფათო გახდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მძარცველები ხსნიდნენ მოციქულთა საფლავებს და იპარავდნენ იმ საჩუქრებს, მორწმუნეებს რომ მოჰქონდათ.

ვიდრე ძარცვა-რბევით მხოლოდ ცალკეული მოქალაქეები ზარალდებოდნენ, გრიგოლ VI არავითარ ზომებს არ იღებდა. მაგრამ როცა ეკლესიებისა და წმინდანთა სამარხების ჯერი დადგა, როცა თვითონ პაპის ხაზინას მოუვიდა ზარალი, მაშინ კი იკადრა მღვდელმთავარმა ზომების მიღება. მრისხანე დეკრეტი გამოსცა, საეკლესიო ქონების დაცვას რომ ითვალისწინებდა. მოქალაქეთა პირად საკუთრებაზე კი ამ ღორმა კრინტიც არ დაძრა და იმდენი ტვინიც კი არ აღმოაჩნდა, რომ ეფიქრა, საიდან მოდიოდა ხაზინის განძი. ღორს დაუყარეთ მხოლოდ სალაფავი, დამყრელს ზედაც არ ახედავს. თუმცა რა ფასი ჰქონდა, დეკრეტს შედეგი არ მოჰყოლია, ვითომ ძაღლს დაუყეფია. დეკრეტები ერთია, ცხოვრება მეორე. ის კი არა, ძარცვა-რბევა კიდევ მეტი ძალით გაჩაღდა.

მაშინ გრიგოლ VI ყაჩაღთა დაშინება ეკლესიიდან განკვეთით სცადა. ეს ზომა ცოტა უფრო ეფექტური გამოდგა, მაგრამ მრისხანე პროტესტი გამოიწვია არა მარტო ყაჩაღთა, არამედ მთელი მოსახლეობის მხრიდან. პაპის ღორული სიხარბის განუწყვეტელი ზრდით მოთმინებადაკარგული ხალხი ყოველგვარ საბაბს ეჭიდებოდა, რომ სასმელში ჩამბალი საზიზღარი მტარვალისაგან თავი დაეღწია, ძალაუფლება რომ ვერაგობით ჩაიგდო ხელში და გაღატაკებულ ქვეყანას თავზე ყორანივით დასჩხაოდა.

ერთ მშვენიერ დღეს პაპის სასახლის წინ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი, წმინდა მამას შეურაცხმყოფელი სალანძღავი სიტყვები და უწმინდურობა მიაყარეს.

— გაწყვიტეთ! — ბრძანა ტიაროსანმა მტარვალმა.

პაპის ბრძანება უსიტყვოდ შესრულდა. უდანაშაულო, სამართლიანად აღშფოთებული ხალხის სისხლი დაღვარეს ღვარძლიანი ბებერი მხეცის ბრძანებით.

სისხლიანი ანგარიშსწორება იმდენად საზარელი იყო, რომ სამღვდელოებაც კი აეშალა ცოცხლად ჩამპალ ტირანს და მორჩი-

ლებაზე უარი უთხრა. კარდინალებმა და ეპისკოპოსებმა საჩივრით მიმართეს ჰენრიხ შავს. მეფე მაშინვე გამოეშურა და პაპის გასამართლების მიზნით საეკლესიო ყრილობა მოიწვია.

მოხდა კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევა, პაპი გრიგოლ VI გადააყენეს, ოღონდ არა ჯოჯოხეთური ხოცვა-ჟლეტვისათვის (ასეთი რამეებისათვის ტირანთა მსაჯული ვინაა! ან რას ნიშნავს იმპერიისათვის ორას-სამასი ადამიანის სიცოცხლე?). ასეთი ჯალათური ბრძანების გაცემა ხახვივით შერჩებოდა, რომ მოციქულის ტახტის ყიდვა არ გახმიანებულიყო. გრიგოლ მეექვსის არჩევა რომ კანონიერ ფორმებში მომხდარიყო, უმაღლესი სამღვდელოება უსათუოდ კიდევაც მოუწონებდა სისასტიკეს, რამაც რომში სისხლის ტბები დააყენა.

კლიმენტი II

● წმინდა ტახტზე ამდენი არამზადის ხილვის შემდეგ რომსა და მთელს საქრისტიანოს უნდა შეეძულებინა პაპობის ინსტიტუტი. მაგრამ ის დღესაც არსებობს.

გრიგოლ VI რომ დაამხო, ჰენრიხ შავმა მისი შემცვლელის ძებნა დაიწყო. კლირი, სენატი, წმინდა პეტრეს ტაძრის საეკლესიო კორპორაციების წარმომადგენლები შეყარა და წინადადება მისცა დაუყოვნებლივ აერჩიათ ახალი პაპი. ამასთან ეპისკოპოსებს მიმართა, მოციქულის ტახტზე ღირსეული კანდიდატი დაასახელეთო. პასუხი არ იყო. იმპერატორმა განმარტება ითხოვა, რატომ დუმსო ყრილობა? მაშინ ერთმა პრელატმა მთელი ყრილობის სახელით თქვა, რომის სამღვდელოება იმდენად არის დაცემული და გახრწნილი, რომ თავისი წიაღიდან აღარ შეუძლია ისეთი კაცის გამოყვანა, მღვდელმთავრის წოდების ღირსი რომ იქნებაო. წარმოიდიგნეთ, რა საყურადღებო აღიარებაა! ზოგს შეიძლება ეჩვენოს, რომ მთელს ამ ჯოჯოხეთურ მატიანეში ამბები მეორდებაო. მაგრამ ყველა ეს ამბავი თავისებურად ორიგინალურია, და რად ღირს მარტო ეს ერთი ისტორიული აღიარება, რაც არ წამოსცდენია არანაკლებ გახრწნილ-დაცემული მრავალი დინასტიისა თუ ინსტიტუტის არც ერთ მესვეურს! პრელატის სითამამე ქების ღირსია.

იმპერატორს ისღა დარჩენოდა, თავისი საკუთარი კანდიდატუ-

რა დაესახელებინა: თავისივე თანამემამულე, ბამბერგის ეპისკოპოსი, რომელიც აირჩიეს კიდევაც კლიმენტი II სახელწოდებით. ძლივს ერთი განათლებული გერმანელი ავიდა სახელგატეხილ ტახტზე. ამ პრელატმა თავი ისახელა ერუდიციითა და ჭკუით. იმავე დროს, რა გასაკვირია, არაჩვეულებრივი თავმდაბლობითა და მოკრძალებითაც განირჩეოდა, რაც ნიჭიერთა და განათლებულთა თვისებაა თვით პაპის ტახტზეც კი... არ უნდოდა ბამბერგის ეპისკოპოსს წმინდა პეტრეს ტახტზე ასვლა. ძალით მოუხდათ მისი დასმა და წმინდა ანაფორით შემოსვა... ფრთხილად, მკითხველო! აქ კი მკვეთრი მოსახვევია! განათლებული და ჭკვიანი ბამბერგელი პრელატი, როგორც კი მოჯადოებულ ტახტზე ავიდა, თავისი წინამორბედებივით ქედმაღალი, ხარბი და არც თუ ისე მორიდებული მომხვეჭელი გახდა.

ვინ ჩაჯდება სავარძელში?

● კიდევ რამდენიმე სიტყვა კლიმენტი II შესახებ.

პირველი, რაც მან ჩვეულებრივი მეტამორფოზის შემდეგ გააკეთა, ეს იყო საეკლესიო ყრილობის მოწვევა. ამ ყრილობას უნდა გადაეწყვიტა იტალიელ ეპისკოპოსთა პრივილეგიების საკითხი და ამით ბოლო უნდა მოღებოდა პირველობისათვის ბრძოლის სულელურ დავიდარაბას.

ყრილობის პირველ დღეს აქვილეისა და რავენის არქიეპისკოპოსებმა ისარგებლეს იმით, რომ მილანის ეპისკოპოსის ადგილი ცარიელი იყო და იმპერატორის უახლოესი ორი სავარძელი დაიკავეს. დაგვიანებულმა მილანის ეპისკოპოსმა ნახა, რომ ორივე სავარძელი დაკავებულია, საქმის ასეთი ვითარება არ მოეწონა და უყოყმანოდ ჩაჯდა... იმპერატორის სავარძელში. პატივცემული კლირიკები ასეთი მოულოდნელობისაგან გაშეშდნენ, შემდეგ კი გაშმაგებით დაესხნენ თავს კადნიერ დამრღვევს. აქვილეის ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ მილანის თავს რანგით არ უჭირავს მათზე დიდი ადგილი და ამიტომ თავხედმა ახლავე უნდა მიატოვოს იმპერატორის ადგილი.

კონკურენტებმა არქიეპისკოპოსს ალყა შემოარტყეს და ძალაც კი იხმარეს, რომ „კრუხი საბუდრიდან აეგდოთ". ეჩიდებოდნენ ტა-

ნისამოსის კალთებზე, ეჭიდავებოდნენ, მაგრამ არქიეპისკოპოსი მედგრად იცავდა თავს, და ადგილიდან მისი აგდება შეუძლებელი გახდა—წურბელასავით მიჰკვროდა საპატიო სავარძელს. აზრთა სხვადასხვაობის გამო დაიწყო კამათი, ღვარად წამოვიდა ციტატები წმინდა ტექსტებიდან და წესდებებიდან. ყველა ისე ერთხმად ლაპარაკობდა, ისეთი დუჟი ადგათ პირზე, ისე წყევლიდ... უკაცრავად, ისე აწყვეტინებდნენ ერთიმეორეს, რომ თავი ტოლედოს ტაძარში გეგონებოდათ. ბოლოს შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას დაღლილობამ სძლია. ღირსპატივცემული კლირიკები ცოტა დაწყნარდნენ, სათითაოდ იწყეს გამოსვლა, გრძელ-გრძელ სიტყვებს ამბობდნენ, საფუძვლიანსა და დამაჯერებელს. ბოლოს და ბოლოს, საპატიო ადგილი რავენის არქიეპისკოპოსს ერგო.

განა ეს ეპიზოდი მღვდელმთავართა ჩლუნგ ამპარტავნობასა და ფუჭ ამაოებაზე არ მეტყველებს?

მეორე დღეს ყრილობამ დაიწყო იმ მღვდელთა საკითხის განსჯა, რომელთაც წინა პონტიფიკატის დროს ხარისხი ფულით ჰქონდათ ნაყიდი.

ზოგმა ეპისკოპოსმა ის აზრი გამოთქვა, რომ ასეთები უბრალოდ გადასაყენებელი არიან. პაპმა მეტი ლმობიერება გამოიჩინა: უკანონო გზით აღზევებულნი თავიანთ ადგილებზე დატოვა, ოღონდ ერთი პატარა პირობით...

ხვდებით?

ოღონდაც! ამის გამოცნობას რა უნდა, ეშმაკმა დალახვროს! ჯარიმა უნდა გადაუხადონ წმინდა ტახტს!

რომაელები არც ისე თავგამოდებით იცავდნენ მღვდელმთავრებს, რომელთაც იმპერატორი ირჩევდა. ამ ხვედრს ვერც კლიმენტი II გადარჩა. მართალია, სიძულვილი პასიურ ხასიათს ატარებდა, რადგან რომში შავი ჰენრიხი იმყოფებოდა და თან არმია ჰყავდა.

მაგრამ წავიდა იმპერატორი და პაპისადმი მტრულმა განწყობილებამ მაშინვე თავი იჩინა, ბოიკოტი გაძლიერდა. ბოლოს პაპის ყურამდეც მივიდა ხმა: შეთქმულება მზადდებაო. სწავლულმა პაპმა ბედთან თამაში არ ისურვა და დროებით სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. მაგრამ ბედი ყველაზე უფრო ფრთხილ ადამიანებსაც დასცინის ხოლმე. მშობლიურ გერმანიაში ჩასული კლიმენტი II რატომღაც გარდაიცვალა, ისე რომ საერთო ანგარიშით ტახტზე ცხრა

თვე იჯდა, მეტი არა. ურჯუკ პაპებთან შედარებით ეს განათლებული პრელატი მაინც მთელი მოვლენა იყო წმინდა ტახტზე.

ძველი ნაცნობი

ბანაძლეოს დავდებ, თქვენ აღარ ელოდით, თუ მეოთხედაც შეხვდებოდით ღირსპატივცემულ ბენედიქტე მეცხრეს, რომელსაც ჩვენი ცხოვრების ერთ კრიტიკულ მომენტში დავემშვიდობეთ, როცა თავისი ორი კოლეგის — იოანე XX და სილვესტრი III მონაწილეობით წმინდა ტახტი საჯარო ვაჭრობით გაყიდა.

ამის მიუხედავად, იძულებული ვართ სწორედ ბენედიქტე IX წარმოგიდგინოთ, როგორც კლიმენტი მეორის მემკვიდრე.

გვაქვს პატივი გაგაცნოთ. განსაცვიფრებლად უჯათო პაპია, რვაფეხასავით ჩასჭიდებია ტახტს, ვერ მოაცილებ.

ვიდრე იტალიას მიატოვებდა, ჰენრიხ შავმა იქიდან გრიგოლ VI განდევნა, რათა „გადაყენებული“ პაპისათვის ხელი შეეშალა ესარგებლა შემთხვევით და კლიმენტი მეორის არყოფნის დროს ჩისი ტახტი დაეკავებინა. სწორედ ეს გარემოება დაეხმარა ბენედიქტე მეცხრეს, რომ ტახტი ხელახლა დაეპყრო.

როცა რომაელებმა კლიმენტი II სიკვდილი გაიგეს, ჩამინვე ელჩები აფრინეს იმპერატორთან და სთხოვეს, პაპად ლიონის არქიეპისკოპოსი დაგვიმტკიცეო. იმ დროს, როცა ელჩები თავიანთ ჩაღალ მისიას ასრულებდნენ, ბენედიქტემ, „ფიცის გამტეხმა, ქალთა შემრყვნელმა, სისხლის აღმრევმა“ ცოდვილმა ქალაქი პეზარო მიატოვა, სადაც იმალებოდა, რომში გამოცხადდა ავაზაკთა ურდოს თანხლებით და ვითომ არაფერიაო, ისე დაიკავა პაპის ტახტი, რაც თვითონვე გაყიდა ცოტა ხნის წინ. ცხენის ქურდმა დაიბრუნა ცხენი, რომელიც თვითონვე მოიპარა და გაყიდა.

ამჯერად ამ მოუშორებელმა წურბელამ ტახტზე რვა თვეზე ცოტა მეტ ხანს გაძლო. მთელი ტომი არ გვეყოფოდა იმ დანაშაულობათა ჩამოსათვლელად, რომლებიც ამ მართლა სისხლისმწოველმა სპრუტმა ასე მოკლე დროში მოახდინა. ზოგადად ვიტყვით: მის ძირითად საქმიანობად რჩებოდა ძარცვა-რბევა, მკვლელობა, ორგიები და გახრწნილი ცხოვრება უწინდელ ყაიდაზე.

ახლა წარმოიდგინეთ ადამიანის გაპირუტყვების საზარელი გზა და მისი პათოლოგიური შედეგი: ოცდაათი წლისაც არ იყო ეს ძახინჯი, გარეგნულად კი ოთხმოცი წლის მიხრწნილი ბებერი გეგონებოდათ, ისე გაასავათა და გამოფიტა ყოვლად უმსგავსო ცხოვრებამ.

ამ მართლაც საზარელი რვაფეხა ურჩხულისაგან რომის დასახსნელად იმპერატორს უსასტიკესი მუქარის გამოყენება დასჭირდა. 1048 წლის 17 ივლისს ბენედიქტე მოტყდა და ტახტზე უარი თქვა, ოღონდ წინასწარ კი ხვრელი იპოვნა დასაბრუნებლად: აბატ ბართლომეს, რომელიც ხალხში წმინდანის რეპუტაციით სარგებლობდა, თხოვნით მიმართა, სასახლეში მეწვიეო, და დაჰპირდა, ყველა ჩემს დანაშაულს მოვინანიებო. პატიოსანი აბატი, რომელიც გროტ-ფერატის სავანის წინამძღვარი იყო, მართლაც ღირსეული კაცი უნდა ყოფილიყო, რაკი თავისი ჭკუითა და პატიოსნებით თუ ალღოთი იმდენი დაიმსახურა, რომ თავადებს შორის ატეხილ დავაში მსაჯულად მას იწვევდნენ. მაგრამ ამჯერად კი ის გაბრიყვდა. როცა ტიაროსანმა თვალთმაქცმა გრძელი აღსარების შემდეგ ხალხის წინაშე განაცხადა, გადავწყვიტე ამ სოფლის დატოვება და აღსასრულის დღემდე სრულ მარტოობაში ყოფნაო.

შემდეგ თავში ჩვენ ვნახავთ, როგორ შეასრულა სპრუტმა სიტყვა.

ბენედიქტე IX — აწ და მარადის...

ამრიგად, ბენედიქტე IX კიდევ რაღაცის იმედით იყო. როცა სინანულისა და გადადგომის სცენა გაითამაშა. საზიზღარი კომედიანტი, რომელმაც მონანიებული ცოდვილის როლი შეასრულა, მორიგ ცოდვას სჩადიოდა. მისი ვარაუდი სწორი იყო. რომაელები აღარ ერჩოდნენ, რაკი ნებაყოფლობით გადადგა და ბერობა დაიწყო. ღვარძლიანმა ბოროტმოქმედმა დამსახურებული სასჯელისაგან თავი დაიზღვია და ღორული ცხოვრება მაინც განაგრძო. სინამდვილეში კი ეს ცოცხალი ლეში ახალ ხრიკს აწყობდა, ტახტზე დასაბრუნებლად ემზადებოდა

როგორც კი ეს ფარისეველი რომიდან წავიდა, იმპერატორის

დანიშნული ბრიკსენის ეპისკოპოსი დამასი მეორის სახელწოდებით წმინდა ტახტზე ავიდა.

ოცდასამი დღის შემდეგ რომის გარეუბანში სწორედ სპრუტივით მიმალულმა ბენედიქტემ საცეცი ესროლა ტახტს. გადაყენებულმა პაპმა მომწამვლელები მიუგზავნა დამასის. მიცვალებულის დაკრძალვასაც კი არ დაუცადა, ისე წამოვიდა ტოსკანელების ჯარისკაცების თანხლებით და ლატერანის სასახლეს თავს დაესხა.

ტიაროსანი ურჩხულის უკანასკნელი მბრძანებლობა ექვს თვეს გაგრძელდა. კიდევ ნახევარი წელი პარპაშობდა რომში რვაფეხა სისხლისმწოველი ურჯუკი, რომელმაც თვით საკუთარ თავს უდროოდ გამოსწოვა ყველა წვენი. მთელი ეს დროც ისევ ორგიებში გაატარა, რომელთა აღწერაზეც უარს ვამბობთ, და ისე გამოფიტა თავი, რომ ლანდს დაემსგავსა.

მაშინ ჰენრიხ შავმა რომში თავისი კუზენი გაგზავნა, გვარად ბრუნო, რომელიც პაპად გამოცხადდა ლევ IX სახელწოდებით.

ბენედიქტე, ორგიებისაგან საბოლოოდ გამოფიტული ლეში, უკვე მეტისმეტად უძლური იყო, რომ წინააღმდეგობა გაეწია რომაელებისა და იმპერატორისათვის. იმდენი კი მაინც შესძლო, რომ გროტ-ფერატის მონასტერში გაიხიზნა, სადაც მალე ჩაძაღლდა კიდეც ოცდაცამეტი წლის ასაკში. ეს იყო ანტიპოდი ლეგენდარულ იესო ქრისტესი, რომელმაც აგრეთვე ამდენი იცოცხლა!

სიკვდილი იყო მისი სიცოცხლის ერთადერთი გონივრული აქტი!

დაყაჭე ფული!

●„დაყაჭე ფული!“ — გაჰყვირის ბალაგნის შესასვლელთან ტაკიმასხარა. ეს მოწოდება შეიძლებოდა გაგვეკრა ტაძრად წოდებული ყოველი ბალაგნის ფრონტონზე. „ფული დაყაჭე! ქისა გახსენი!“ — ესაა მღვდლის დევიზი: წარსულში, აწმყოში და მომავალში. მღვდელთა დინასტია ყოველთვის აფასებდა ფულს.

გამონაკლისი არც ის პაპები არიან, რომელთაც ასე თუ ისე კეთილი სახელი დაუტოვებიათ. იგივე ითქმის ლევ მეცხრეზეც. სრულიად შესაძლებელია, რომ ის კარგი ადამიანი ყოფილიყო. ისტორიკოსთა უმრავლესობა ამტკიცებს,—გულკეთილი, რბილი და

უბოროტო მბრძანებელი იყოო, მაგრამ ეს თეთრი ყორანიც კი, პაპათა შორის უსათნოესი კაცი, შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ წმინდა გულმოდგინებით მოებოჭა ფული, სპელუკაცია გაეწია და სამწყსოს სულელური მორჩილებით ევაჭრა.

1049 წელს მან იტალიისა და გალიის ეპისკოპოსთა ყრილობა მოიწვია, რათა მისი ყველა წინამორბედის მიერ გაყიდულ თანამდებობათა გაუქმება მოეხდინა. მაგრამ გულმოდგინე შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ თუ გადააყენებდნენ ყველა კლირიკს, რომელმაც თანამდებობა და ხარისხი იყიდა, მაშინ ყველა ეკლესია უნდა დაეკეტათ.

როგორა გგონიათ, რა გზას დაადგა მკაცრი მღვდელი ლევ IX? ამ გარემოებით ისარგებლა და კლიმენტი მეორის გზით წავიდა: თუ წმინდა მამის სალაროში ფულს შეიტანთ, ყველას თქვენს ადგილებზე დაგტოვებთო, განუცხადა ხარისხით მოვაჭრე მღვდლებს.

ამ ყრილობიდან ერთი წლის შემდეგ სან-რემის მონასტრის აბატმა ახალი ეკლესია ააშენა და პაპიც მის კურთხევაზე მივიდა. მომავალი ცერემონიის ამბავი მთელმა გალიამ იცოდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მოედინებოდა არა მარტო მეზობელი სოფლებიდან და ქალაქებიდან, არამედ შორეული პროვინციებიდანაც. გულუბრყვილო მორწმუნეები, რომელთაც ყველაფერი სწამთ და სჯერათ, ჯარად შემოსდგომოდნენ წმინდა რემის აკლდამას და უმდიდრეს საჩუქრებს დებდნენ საკურთხეველზე. ენთუზიაზმი ისე დიდი იყო, რომ ვისაც წმინდა რემის საკურთხეველთან მიახლოება არ შეეძლო, ბრბოს თავზე ისროდა შესაწირავს... ო, საბრალო ბნელო საუკუნევ! იესოს საფლავი მაინც ყოფილიყო, თორემ ვინმე რემის სამარხზე ამდენი ქონების გადაყრა, რათა მერე რომელიმე გახრწნილმა პაპმა ორგიებში თავის მეძავებს აჩუქოს ან სადმე კონსტანტინოპოლის ბაზრებში გაყიდოს — განა ორმაგი სისულელე არ არის?

წმინდანი დუმდა. ბერები ფუტკრებივით ფუსფუსებდნენ, დაუზარებლად აგროვებდნენ შეწირულობას, გაჰქონდათ მონასტრის წიაღში ან თავიანთ სენაკებში. დროგამოშვებით მღვდელმთავარიც გამოეცხადებოდათ ხოლმე, რომ კიდევ უფრო წაეხალისებინათ, წმინდა გულმოდგინების ცეცხლით აღენთოთ ისედაც საკმარისად გასულელებული მორწმუნეები. „შესწირეთ! — თითქოს მთელი თა-

ვისი გამომეტყველებით შთააგონებდა მისი უწმინდესობა უგნურ ცხვრებს, — შესწირეთ წმინდა რემის!“

ასე დაღამდა და არაქათგამოცლილი ბერები იძულებული გახდნენ ბანილიკა დაეკეტათ. წმინდა რემის ეძინა.

ჩვენ არ ვიცით, რა თანხა უბოძეს თვითონ პაპს, რომელიც ეაისარჯა და თავისი მობრძანებით ასე გაამდიდრა სან-რემის მსახურნი. ცნობილია მხოლოდ ეს ფაქტი, რომ ლევ IX გარკვეული მოსაზრებით ეწვია ეკლესიის გახსნას და მონაწილეობა მიიღო ამ კეთილმსახურულ კომედიაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ბერები სიძუნწეს არ გამოიჩენდნენ, რადგან უზარმაზარი მოგება მიიღეს და თანაც პაპის ხასიათი კარგად იცოდნენ: მღვდელმთავრები თავიანთ ლოცვა-კურთხევას მუქთად არ აბნევდნენ!

წმინდა მამის აღიარება

❶ ლევ IX პონტიფიკატის დასასრულს სახელგანთქმულმა ღვთისმეტყველმა დამიანიმ მის უწმინდესობას მიმართა ეპისტოლეთი, რომელიც საკმაოდ საინტერესოა, რომ დავიმოწმოთ. პეტრე დამიანი წმინდა მამას რჩევისათვის მიმართავდა, სამღვდელოება მეტისმეტად გაიხრწნა და რა ვიღონოთო.

„ჩვენი პრელატები, — წერდა ღვთისმეტყველი, — აშკარად ეწევიან გარყვნილებას, ერთთავად ღრეობენ, ცხენებს დააჭენებენ, უსირცხვილოდ წვებიან ხასებთან საეპისკოპოსო სასახლეებში. ეს უღირსი ღვთისმსახურნი მორწმუნეებს უფსკრულში ერეკებიან, უბრალო სასულიერონი კიდევ გარყვნილების უმაღლეს ზომამდე მივიდნენ, და ჩვენ სხვა გზა არა გვრჩება, იძულებული ვხდებით წმინდა ზიარების წესის ჩატარება ავუკრძალოთ უღირსებს. ღვთისმსახურის წოდებამ ისეთი ზიზღი დაიმსახურა, რომ იძულებული ვხდებით უფლის მსახურნი შევარჩიოთ სინდისით მოვაჭრეთა, გახრწნილთა, მკვლელთა შორის.

ოდესღაც წმინდა მოციქულმა განაცხადა, რომ სიკვდილის ღირსია არა მარტო ის, ვინც დანაშაულს სჩადის, არამედ ისიც, ვინც მისი შემწყნარებელიაო. რაღას იტყოდა, დედამიწაზე რომ დაბრუნებულიყო და ჩვენი დროის სამღვდელოება ენახა! სასულიერო

წოდების გარყვნილება დღეს ისე დიდია და ზარდამცემი, რომ მღვდლები უკვე საკუთარ შვილებთან სცოდავენ. არამზადები თავს იმით იმართლებენ, რომის სასახლეც გარყვნილი იყოო. და რაკი ყველა დანაშაულისათვის ნიხრი აქვთ დადებული, არხეინად სჩადიან ბოროტმოქმედებას, ისე რომ სინდისიც აღარ აწუხებთ".

პეტრე დამიანი პაპის რამდენიმე დადგენილებას იმოწმებს, აღმაშფოთებელი უწმაწურობით გამორჩეულს. ჩვენ მკითხველის პატივისცემა გვაქვს და მხოლოდ ისეთ ადგილებს დავიმოწმებთ, რომელთა დაბეჭდვაც დასაშვებად მიგვაჩნია. მაგრამ ასეთი სიფრთხილით შერჩეული ადგილებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ საეკლესიო კოდექსის შემდგენთა სულიერ ავლადიდებაზე.

„ღვდელი, რომელიც არ ითვლება ბერად და შემთხვევით შეაცდენს უბიწო ქალს, უნდა ინანიებდეს ორი წლის განმავლობაში და მარხულობდეს სამი დიდმარხვის მანძილზე, ჭამდეს მხოლოდ პურს და სვამდეს წყალს, ისიც მხოლოდ ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით. თუ ქალწული ქალი ეკლესიის წიაღშია გამწესებული, და მღვდელი მასთან ხშირ-ხშირად წვებოდა, ეპიტიმია ხუთი წელიწადი უნდა გაგრძელდეს. უბრალო ღვთისმსახურმა ასეთივე ცოდვისათვის ეპიტიმია (მარხვა სინანულისა) უნდა დაიცვას ექვსი თვის განმავლობაში, მეფსალმუნემ კი — ორი წელი".

პეტრე დამიანის მრავალი ასეთი მაგალითი მოჰყავს და წმინდა მამას ეუედრება მიიღოს აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ საასულიერო წოდების წრესგადასულ უწესობას ზღვარი დაედოს. განა ეს პირველი სიგნალია?

ლევ IX პასუხი ეღერს ისე, როგორც აღიარება, რაც სულაც არაა მოკლებული ქომაგის კილოს, თუმცა გარეგნულად მიუდგომელი მსჯავრი გეგონებათ. პაპის პასუხი ღირსია იმისა, რომ აქვე დავიმოწმოთ:

„ცოდვები, რომელთაც თქვენ ახსენებთ, — სწერდა პეტრე დამიანის, — უსასტიკეს სასჯელს იმსახურებენ. თუმცა ერთი მათგანის ჩამდენი ეკლესიიდან განკვეთით და ხარისხის წართმევით უნდა დაისაჯოს, მაგრამ ასეთ შემცოდე ღვთისმსახურთა რიცხვი სრულიად შეუძლებელს ხდის ამ ზომის მიღებას და იძულებული ვარ ეკლესიაში დავტოვო თვითონ დამნაშავეები".

თანამედროვე ეკლესიის რამდენი მსახური ნანობს ალბათ, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც სამღვდელოება ასეთი თავისუფლებით სარგებლობდა! რაც არ უნდა ჩაედინა მღვდელს, ეკლესია მისთვის თავისუფალ თავშესაფარს წარმოადგენდა, ისევე როგორც ავაზაკი აფარებს თავს დამნაშავეთა სისხლიან ბუსაგს. ჩვენს დროში საერო ხელისუფლება ეკლესიის მსახურთაც სჯის, თუ თავიანთი სასჯელის დაფარვა ვერ მოახერხეს. ეკლესიის მსახურნი კი ამას „რელიგიის დევნას" ეძახიან! გამოდის, რომ „ღვთის კაცი" ადამიანთა კანონებს არ უნდა ემორჩილებოდეს.

მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა იმისი ფიქრი, რომ ულირიკების მორალური დონე გაიზარდა და გაიწმინდა. საქმე მხოლოდ იმ უბრალო გარემოებაშია, რომ დღეს სამღვდელონი იძულებული არიან იმლიქვნელონ, იფარისევლონ და დაფარონ თავიანთი საზიზღარი საქმიანობა, რაც სასჯელს დაატეხს ამ იუდას შთამომავალთ: ისე ძლიერნი აღარ არიან, როგორც შუა საუკუნეებში, და საზოგადოებრივ აზრს თუ ანგარიში არ გაუწიეს, თვითონვე ინანებენ, რადგან მათი უზენაესი მბრძანებელი ისე თუ ისე მაინც შეზღუდულია.

როგორ ექიშპებოდა ორი დუქანი ერთმანეთს

ლევ IX რომ გარდაიცვალა, წმინდა ტახტი მთელი წლის განმავლობაში თავისუფალი იყო. რომაელები იმპერატორ ჰენრიხ მესამის ნებართვის გარეშე ახალი პაპის არჩევას ვეღარ ბედავდნენ. ამ უმეფობის ჟამს რომისა და საბერძნეთის ეკლესიებს შორის ჩამოვარდნილი დავა, რაც ოდესღაც სახელგანთქმულმა პატრიარქმა ფოტიოსმა წამოიწყო, ახალი ძალით გაჩაღდა და სრულიად უწმაწური, უმსგავსო ხასიათი მიიღო.

საბერძნეთის ეკლესია ამტკიცებდა, რომ დასავლეთის ეკლესიის არც მოძღვრება, არც დისციპლინა არ ეთანხმება წმინდა წერილს და წმინდა ტრადიციას, და ამდენად ის ერეტიკულია. რომის კურია კი უარყოფდა ბერძენთა (ბიზანტიელთა) ეკლესიას, როგორც ანტიქრისტიანულ ორგანიზაციას. ამრიგად, ძაღლი მგელს ებრძოდა

და ორივე ერთი ჯიშისა იყო. საქრისტიანოს სამარცხვინოდ, ორი უდიდესი ქრისტიანული ეკლესია ერთმანეთის ლანძღვა-გინებით იკლებდა ქვეყნიერებას.

დავა ეხებოდა ზიარებას, შაბათის მნიშვნელობას და ზოგიერთ სხვა წვრილმან საკითხს, რომელთაც ორივე ეკლესია უზარმაზარ მნიშვნელობას აძლევდა. არსებითად მათი დისკუსია აშკარად კომიკურ-უბადრუკ ხასიათს ატარებდა.

სინამდვილეში ეს იყო ორი მოქიშპე დუქნის ბრძოლა, რომელთაც ერთმანეთს შორის ადრიდანვე კონკურენცია ჰქონდათ.

მაგალითად, ერთი ეკლესია მეორეს საყვედურობდა, ზიარებისათვის პურს ქალაქის საფუნთუშეებში ყიდულობ, შემდეგ აქუცმაცებ, ღვინოში ყრი და ზიარებას კოვზით აწვდი მორწმუნეებსო.

„ის კი არა, — სწერდა პატრიარქ მიხეილ ცირულარიუსს რომის ეპისკოპოსი გუმბერტი, ერთ-ერთი ლეგატი, რომელიც ლეკ მეცხრემ გაგზავნა რომიდან კონსტანტინეპოლში ბერძნული ეკლესიის ერესთან ბრძოლის მიზნით, — ის კი არა, თქვენს ჰოსტიას* რკინის დანით ჭრით, იმის ნაცვლად, რომ თითებით გატეხოთ, როგორც წმინდა ტრადიცია გეუბნება და იერუსალიმის ეკლესია იცავს“.

„ზიარების შემდეგ, — განაგრძობს გუმბერტი, — თუ მოსაკითხის რამდენიმე ნამცეცი გადარჩება, ჩვენ მას არა ვწვავთ, მოწიწებით ვინახავთ ძვირფას კოლოფში და მეორე დღეს ღვთისმსახურების დროს მორწმუნეებს მივართმევთ. თქვენს ბერძნულ ეკლესიებში კი უფლის წმინდა სხეულის ნაწილებს ნაგავთან ერთად ყრით“.

გაგონილა, ქრისტიანებო? ღვთაებრივ პურს, რაც ქრისტეს სისხლსა და ხორცს განასახიერებს, ნაგავში ყრიან, წმინდა მოსაკითხს დანით ჭრიან, როგორც რომელიმე ვარიას ან ყვინჩილას, ოთხად ანაწილებენ: ორი ბარკალი, ორი ფრთა... უკაცრავად, ორი ხელი წმინდა მარიამის შვილისა! განა ის არ კმარა, რომ უბედური ღმერთკაცი ჯვარს აცვეს, აწამეს, ახლა დამატებით კიდევ დანითა

---

* ჰოსტია (ლათ. „მსხვერპლი“) — იგივე ობლატი, მოსაკითხი, უსაფუარო პური, საზიარებელი, სეფისკვერის მაგიერი, ბატკნის ან ჯვრის გამოსახულებით (XII საუკუნიდან).

ჭრიან, გლეჯენ,, აქუცმაცებენ, რათა მერე ნარჩენები ნაგავში გადაყარონ! ერთიც ვნახოთ, სანაგვე ყუთში რომელიმე მაწანწალა მშიერმა ძაღლმა ჩაყო დრუნჩი და ქრისტეს გული გადასანსლა, რადგან არ იცის, რასა სჩადის!

რა საშინელია ღმერთის ხვედრი! — ღმერთმა დაგვიფაროს, პირდაპირ თმა ყალყზე დაგვიდგება ხოლმე, რომ წარმოვიდგენთ!

მეორე მხრივ, თუ რომის ეკლესია წმინდა ნამცეცებს ძვირფას ზარდახშაში ინახავს და ამით უფრო პატიოსანი ღვთისმოსავია, არა ვიგონია ასეთი პროცედურა მორწმუნეებს ძლიერ მოეწონოთ: გუშინდელი სუფრის ნარჩენებს „რომ სთავაზობენ და იძულებული არიან ასეთი საეჭვო ნამცეცები შეირთვაო, ეს [illegible] [illegible]ია! მართალია, ძნელი წარმოსადგენია ყოველი მორწმუნის სიამაყის გრძნობა, გულმოდგინე ლოცვით რომ განისპეტაკებს სინდისს, დგას მუხლმოყრილი, ემზადება ჰოსტიის მისაღებად, აგერ გადაყლაპავს კიდეც და გრძნობს, როგორ გადავიდა უფალი მის სხეულში, პირდაპირ ნაწლავებში ჰყავს იესო ქრისტე. მუხლები ტეხენ, დაღლილა, მაგრამ თვალები მორჩილად მოუჭუტავს, როგორც ასეთ შემთხვევას შეეფერება, ათრთოლებული ენა გამოუყვია, რაღაც გემრიელ ლუკმას ელის და მღვდლის მოახლოებას ასეთი ფიქრებით ხვდება: „როგორც იქნა! ხამანწკების შემდეგ არაფერი ისე არ მიყვარს, როგორც ჩემი ღმერთის გამაჯანსაღებელი სისხლი. ახლა სწორედ იმით გამიმასპინძლდებიან...“ ასეთ ნეტარ ფიქრებს მისცემია და ამის ნაცვლად ხმელ ნამცეცებს, იღებს, გუშინდელ ნასუფრალს!

არა, ეს უკვე მეტისმეტია, ეს სულაც არაა სასაცილო!

გუმბერტი განაგრძობს რომისა და საბერძნეთის რელიგიური დუქნების სხვადასხვაობის აღნუსხვას, პარალელებს ავლებს და ასე ქადაგებს:

„რაც შეგვეხება ჩვენ, იერუსალიმის ეკლესიის წეს-ჩვეულებას მივდევთ, საკურთხეველზე თხელ, სუფთა და მთელ კვერებს ვდებთ. კურთხევის შემდეგ მათ ხელით ვტეხთ და ვაძლევთ ხალხს, შემდეგ პირთან მიგვაქვს ღვინით სავსე თასი და სიამოვნებით ვსვამთ ქრისტეს სისხლის სიმბოლოს“.

სიამოვნებით! პირდაპირ ნეტარებით! გემოც იმას ექნება!

ბერძნული კულტის სხვა წესებთან ერთად, რომელთაც წმინდა ტახტი ერეტიკულს ეძახის, გუმბერტი კიცხავს აღმოსავლეთის ეკ-

ლესიის იმ ჩვეულებასაც, რაც ბერებსა და მონაზვნებს ნიფხავის ჩაცმას უკრძალავს.

სიტყვა არ გვყოფნის, ასეთი აკრძალვა სრული უაზრობაა! ისიც გაუგებარი.. თუ რომის სამღვდელოება პერანგის ამხანაგს იცვამდა და ასეთ ცოდვებს სჩადიოდა, ადვილი წარმოსადგენია, რას ჩადიოდნენ „უნიფხვო“ ბერები და მონაზვნები!... ან რა იყო ვითომ ეს? თუმცა, ეტყობა, ჩაცმულობის ამ ნაწილის უარყოფა, როგორც სიტყვიან, თვალის დახამხამებაში ტანზე გახდის საშუალებას იძლეოდა. რა გულის ამაჩუყებელი ზრუნვაა იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ცოტა დრო აქვთ და ძალიან ეჩქარებათ ლოგინში ჩაწოლა!

ჩვენ არ შევეხებით გრძელსა და გაშმაგებულ დავას წირვისა და სხვა ნაკლებად საინტერესო ამბების შესახებ. საგულისხმოა მხოლოდ ლეგატის სიის ერთი უკანასკნელი მუხლი: გუმბერტი ბერძენ პატრიარქს ბრალს სდებს იმაში, რომ საკურთხეველზე მოაქვთ ბოსტნეული და მოხრაკული ხორცი, რათა ქრისტეს სხეულთან ერთად მიირთვან!

ჩვენი თვალსაზრისით ეს არც თუ ისე დიდი სისულელეა! ეტკნარი პური, მოგეხსენებათ, არც თუ ისე გემრიელი ლუკმაა. თუ დაკეპილ ხორცსაც მივუმატებთ, შემწვარ-მოხრაკულსაც, ორიოდე კარტოფილს, დესერტს, თანაც წირვის დროს ქრისტეს სისხლთან ერთად გემრიელ ღვინოსაც დავაყოლებთ—ასეთი საუზმით კაცი წირვაზეც კი არ მოიწყენს. წყალწყალა საეკლესიო ღვინოც კი გემრიელი და სასიამოვნო მოეჩვენება.

ბოლოს და ბოლოს, თავსატეხი დისკუსიები ორმხრივი ანათემით დამთავრდა. გუმბერტმა ეკლესიიდან განკვეთა კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ განკვეთა რომის ლეგატი. ორივე მხარემ ბევრი უწმაწური სიტყვა დახარჯა, არც ერთი არ დარჩა ვალში მეორეს. ლეგატი და პატრიარქი ერთიმეორეს უწოდებდნენ სატანის ელჩს, უზურპატორს, უწმინდურს, დამნაშავეს, კატორღელს, ბარბაროსს და სხვა მისთანა კეთილხმოვან სიტყვებს, რითაც ქუჩის ვიგინდარები ამკობენ ხოლმე ერთიმეორეს.

ორი საუკუნის განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები, მცირეოდენი შესვენებების გამოკლებით, დაუსრულებელ ომში იყვნენ ერთიმეორესთან. ერთი რწმენის ორი წამხდარი ნახევარი ნიღაბს ხდიდა საერთო დანაშაულსაც და მათი დოგმების

უაზრობასაც. ამ უსასრულო დავის შედეგად ორი დახავსებული საწვრილმანო დუქნის საბოლოო განხეთქილება და უსაშველო ბრძოლა დამტკიცებულად ჩაითვალა.

ეშმაკი წირვაზე

❂ თუ ჩვენს დროში, მეოცე საუკუნის კვირაძალზე, როცა ისტორიის სანაგვე ყუთებში ვყრით დახავსებულ რელიგიურ ცრურწმენებს, ეკლესია კიდევ ბედავს იოლად მორწმუნე იდიოტების უგნურობით სპეკულაციას, ბედავს საქვეყნოდ ამტკიცოს, რომ ქალი, რომელიც ამ თვრამეტი თუ ოცი საუკუნის წინ ცხოვრობდა, ბირენეელ მწყემს ქალებს გამოეცხადა და გამოუცხადა, ღვთისმშობელი ვარო, და მთელმა ამ სისულელემ საფრანგეთში ჰომერიული ხარხარი ვერ გამოიწვია, — განა გასაკვირია, რომ უმეცრების ბნელ საუკუნეებში ყოვლად სულელური, ზებუნებრივი ლეგენდები სრული ნდობით სარგებლობდნენ?

აი მოთხრობა, აღებული ისტორიკოს მერბურის წიგნიდან (ეს იყო იეზუიტი, რომელიც XVII საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა).

ვინმე ჰილდებრანდი ჰენრიხ მესამესთან გაგზავნეს ასეთი თხოვნით: ლევ მეცხრის მეკვიდრედ ეპისკოპოსი ჰედეგარდი დანიშნეო. რომაელებს ერთხმად ჰქონდათ გადაწყვეტილი უწმინდეს ტახტზე ამ ეპისკოპოსის აყვანა.

იმპერატორი შორსმჭვრეტელი კაცი აღმოჩნდა, ეს ეპისკოპოსი ნაზად უყვარდა, როგორც ნათესავი, და შეეშინდა, ვაი თუ პაპის ტახტზე ასვლამ ეს პატიოსანი კაცი პირწავარდნილ არამზადად აქციოსო, როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა. თითქოს გულმა უგრძნო ისიც, რომ ტახტზე ასვლის შემდეგ თვითონ იმპერატორსაც ზურგს აქცევდა და მეგობარი მტრად გადაექცეოდა. ჰილდებრანდი დაჟინებით მოითხოვდა, რომაელთა თხოვნა ყურად იღეო, იმპერატორი დიდხანს ყოყმანობდა და ბოლოს დათანხმდა.

ახალი მღვდელმთავარი პაპად აირჩიეს 1055 წლის 16 აპრილს, ვიქტორ II სახელწოდებით.

„გავიდა ხანი, — აბობს მერბური, — და წმინდა პეტრეს ტაძ-

რის ერთმა დიაკონმა, — რომელიც თავის დასთან დანაშაულებრივ კავშირში გამოიჭირეს და დასაჯეს, — განიზრახა პაპისათვის სამაგიერო გადაეხადა: წმინდა ზიარების სითხეში შხამის დიდი დოზა ჩაამატა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საზეიმო წირვას თვითონ პაპი დაესწრებოდა.

ვიდრე მოთხრობას განვაგრძობდეთ, შემდეგ მომენტზე გავჩერდეთ. როგორც ხედავთ, პაპმა ვიქტორ II დიაკონი დასაჯა იმ დანაშაულისათვის, რასაც უფრო მაღალი რანგის სამღვდელონი ყოველდღე ჩადიოდნენ. ამიტომაც ვნებით შეპყრობილმა დიაკონმა, რომელსაც საკუთარ დასთან მოეხასიათა ამ პირუტყვული ვნების დაკმაყოფილება, განიზრახა მღვდელმთავართან ანგარიშის გასწორება იმით, რომ ვირთხის საწამლავი ჩაურია. თავისთავად ეს ამბავი სრულიად ჩვეულებრივი ღონისძიებაა სამღვდელოების ისტორიაში.

მაგრამ რატომ თვითონ იესო ქრისტემ არ დასაჯა გახრწნილი დიაკონი და რატომ მისცა უფლება ამ ღვარძლიან არსებას, რომ მის სისხლში შხამი შეერია?

სათნო ისტორიკოსი, რომელიც თავისი გმირის დანაშაულის ამბავს მოგვითხრობს. ამ კითხვაზე არ დაფიქრებულა.

იმ წამს, როცა ვიქტორ II დაამთავრა საზეიმო ლოცვა-კურთხევა და ზიარების ფიალის ასაღებად ხელი გაიშვირა, მოეჩვენა, რომ ფიალა ტახტზე იყო მიწებებული. ისევ სცადა აღება, მაგრამ ფიალა ვერ ააგლიჯა. მაშინ წმინდა მამა დარწმუნდა, რომ საქმე აქვს სასწაულთან.

როცა სასწაული ხდება, მუხლის მოყრა არ უნდა გვეზარებოდეს. ეს ჩვენი საკუთარი ფიქრია და არა ისტორიკოსისა. ავიღოთ, მაგალითად, პატარა ლურდელი მწყემსი ქალის მაგალითი: როგორც კი მის წინაშე უწმინდესი ქალწული წარდგა, სულიწმინდასთან საუბრით ისედაც აღელვებულმა განაცხადა: „მე, უბიწო ქალწულმა, მუცლად ვიღეო!“ — მწყემსი ქალი მაშინვე ფეხქვეშ ჩაუვარდა და ადგილზე გაშეშდა!

როცა საქმე სასწაულთან გვაქვს, მაშინვე მუხლი უნდა მოვიყაროთ, თვალები დავხუჭოთ, თორემ ისე შეიძლება სასწაული აორთქლდეს.

ვიქტორ II საერთო წესის თანახმად იატაკზე დავარდა და სა-

კურთხევლის წინ გაიშლართა. მემბური ამ მოვლენას ცოტა სხვანაირად აღწერს, ჩვენ მხოლოდ მისი სტილი შევცვალეთ, ფაბულა იგივეა. წმინდა მამამ ღმერთს მიმართა მგზნებარე ლოცვით—მაუწყე საიდუმლო, რატომ არ მომეცი საშუალება ხალხის წინ ფიალის აწევისა, რომ ამით წმინდა ზიარების წესი შემესრულებინაო. წმინდა მამა ამ საქმეს ბოროტი სულის ჩარევით ხსნიდა და არა მეგობრული განწყობილების შედეგად, რაშიაც არა ცდებოდა.

„ვერც კი მოასწრო პაპმა ლოცვის პირველი სიტყვების წარმოთქმა, რომ მომწამელელი დიაკონი, რომელიც პაპის გვერდით იდგა მუხლმოყრილი, მაშინვე ეშმაკმა შებოჭა და ზურგზე დასცა".

დიაკონი — გულაღმა, პაპი — თავდაღმა, იატაკში ცხვირჩარგული — რა გულის ამაჩუყებელი სცენაა!

ბოროტმოქმედმა დანაშაული მოინანია. ვიქტორ II თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ ასე სასწაულით გადარჩა სიკვდილს, და შეებრალა ეშმაკეული დიაკონი (სიხარულში ადამიანი გულმოწყალე ხდება). იქვე ყველა მორწმუნეს მიმართა სიტყვით, ვილოცოთო მადლობის ნიშნად და შევთხოვოთ ღმერთს წყვდიადის სულის განდევნაო.

„როცა სატანა გაქრა, წმინდა მამამ იოლად ასწია ფიალა და სალაროში დამალა".

ეშმაკმა დალახვროს, რისთვის დასჭირდა ღვინის, ესე იგი ქრისტეს სისხლის შენახვა, როცა ის მოწამლული იყო? როგორც მემბური ამბობს, პაპს უნდოდა ეს შხამიანი ღვინო კათოლიკური ეკლესიის რელიქვიებს შორის შეენახა.

რას იზამ, ეს მტკიცებაც ისევე ჭკუის სასწავლებელია, როგორც თვითონ ანეგდოტი. მაგრამ კლირიკები ამნაირ გამაგრილებელ სასჭელს ცოტა სხვანაირად იყენებდნენ. თუ ვიქტორ II შხამს იმისათვის შეინახავდა, რომ შემდეგ ამით თავის რომელსამე მეგობარს გამასპინძლებოდა, მერე რა, ამით საეკლესიო ტრადიციის და თავისი კურიის გამოცდილების ერთგული დარჩებოდა.

მოსამართლენი, ბრალმდებელნი და ბრალდებულნი

● ვიქტორ II პონტიფიკატის დროს საფრანგეთში მრავალჯერ იქნა მოწვეული ყრილობა, რომლის მსვლელობაშიც ნამდვილად ცდილობდნენ სამღვდელოებაში წესრიგის დამყარებას.

კლირიკები თავაშვებულ ცხოვრებას განაგრძობდნენ, ექიშპებოდნენ ერთიმეორეს მევახშეობაში, ყოველნაირად ძარცვავდნენ გულუბრყვილო ხალხს, რომელსაც არ ესმოდა, რომ რელიგია — ესაა კომერცია, ისიც უფრო უზნეო და უსინდისო, ვიდრე რომელიმე სხვა.

ეკლესია უკვე აღარ კმაყოფილდებოდა იმით, რომ უბრალო ხალხს გადასახადებით ქანცავდა და შიმშილით კლავდა, ამავე დროს ცდილობდა თავისი ზეგავლენის გავრცელებას ფეოდალებზე. ქვეყნის მმართველობა ჰგავდა პირამიდას, რომლის მწვერვალზეც იდგა კლირი, ცენტრში — დიდკაცობა, ძირს კი იმყოფებოდა მშრომელი ხალხი, მჩაგვრელთა მძიმე უღლის ქვეშ ნენებული, გვემული და ქედმოხრილი.

ყრილობებზე პრელატები თავს მოსამართლეებად ასაღებდნენ და ქვეშევრდომებს ასამართლებდნენ იმ დანაშაულობისათვის, რასაც თვითონვე სჩადიოდნენ, ზოგჯერ კი ბევრად უფრო მძიმესაც. გასაგებია, ბრალდებული ვერ გებულობდა, რატომ უნდა დამორჩილებოდა ასეთი ბრალმდებლების განაჩენს.

მას შემდეგ, რაც ბერანჟერმა—ნარბონის ჰერცოგმა—თავის არქიეპისკოპოსს ეოფრუას უჩივლა, ტულუზაში არლის, ესკის და ნარბონის ეპისკოპოსებმა პაპის ლეგატების უფლებით ყრილობა მოიწვიეს. თავის დროზე ხსენებულმა ეოფრუამ ნარბონში ეპისკოპოსის კათედრა მიიღო ბერანჟერის შემწეობით, და დაიფიცა: არასოდეს არც ეპისკოპოსი, არც ჰერცოგი, არც მათი მიმდევრები, არც ეპისკოპატი ჩემი მმართველობით არ დაზარალდებიანო.

რა თქმა უნდა, ეოფრუამ ძალიან ჩქარა დაარღვია პირობა და გატეხა ფიცი. მაშინვე დაიწყო საეკლესიო ქონებისა და კანონიკების მიწის ნაკვეთების გაყიდვა, აღებული ფულით კი თავის საყვარლებსა და საყვარელ კაცებს ასაჩუქრებდა. უზარმაზარ თანხებს

ხარჯავდა ციხე-სიმაგრეების ასაშენებლად და ბოლოს ათასობით ადამიანი სასიკვდილოდ გასწირა: სასტიკი ომი გამოუცხადა ჰერცოგ ბერანჟერს. სასულიერო სატანები უკვე საერო მთავრებსაც აშკარა ომს უცხადებდნენ.

ამას გარდა, თავის ძმას ვილჰელმს ასი ათას ოქროს ეკიუდ უყიდა კათედრა, ეს თანხა კი გადაიხადა ჯვრებით, ფიალებით, ძვირფასი რელიქვიებით, ოქროს და ვერცხლის ჭურჭლით, რომელთაც შევახშეებზე ყიდდა.

ჰერცოგმა ბერანჟერმა ლეგატებს სთხოვა, პაპი დაითანხმეთ, რომ არქიეპისკოპოსი სასტიკად დასაჯოსო. მაგრამ ეკლესიის მოთავეები მგლებს ემსგავსებიან, ერთიმეორეს ისე არ ჭამენ, თუ დიდი გასაჭირი არ დაადგათ. ეოფრუა, როძელიც სასამართლოს ესწრებოდა, გამართლდა. ლეგატებმა სწრაფად მოითათბირეს. ბერანჟერს სარჩელზე უარი ეთქვა და ჰერცოგი იძულებული გახდა ახალი ჯარისათვის მოეყარა თავი, რომ თავგასულ არქიეპისკოპოსს დახვედროდა.

ვის უნდა, გადაეხადა დალეწილი ქოთნების საფასური? ცხადია. ისევ ხალხს! მხოლოდ ხალხს და ყოველთვის ყველგან მარტო ხალხს.

რა ღირს საუკეთესო პაპი?

● რა ღირსო საუკეთესო პაპი? სრულიად დაუფიქრებლად შეიძლება ვუპასუხოთ: არაფერიც არ ღირს! გახვრეტილი გროშია მისი ფასი.

ვიქტორ II კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში ცნობილია, როგორც პაპთა შორის ყველაზე უკეთესი. საეკლესიო მემატიანეები პირდაპირ უგალობენ მის სიბრძნეს, სათნოებას, სამართლიანობას

რამდენად სამართლიანი იყო, ეს ჩანს შემდეგი ეპიზოდიდან.

სამღვდელოება და პიწათმფლობელი მაგნატები აოხრებდნენ საფრანგეთის პროვინციებს (არქიეპისკოპოს ეოფრუა ნარბონელს მრავალი მიმბაძველი ჰყავდა). თარეში და ომები არ წყდებოდა. რო-

მში საჩივლელად წასვლას აზრი არა ჰქონდა—საქმეს იგებდა ის, ვისი მფარველებიც უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდნენ.

ვიქტორ II პონტიფიკატის დროს ყველაზე უფრო გაშმაგებული ბრძოლები მიმდინარეობდა მონტე-კასინოს სააბატოს გარშემო, ფართოდ გაშლილ მიწა-წყალზე, რაც განთქმული იყო უნაყოფიერესი მამულებითა და მოძრავი თუ უძრავი ქონებით.

აბატ რიშარის სიკვდილის შემდეგ ბერებმა მონასტრის წინამძღვრად აირჩიეს კეთილშობილი ბერიკაცი პეტრე, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე წმინდა წერილის შესწავლას შესწირა.

მისმა შრომებმა კაცობრიობას დიდი ვერაფერი მოუტანეს — ასეთივე წარმატებით შეეძლო რიკტაფელა ეთამაშა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე ეს გულით კეთილი და სპეტაკი კაცი სახარებაში იქექებოდა, ზიანი მაინც არავისთვის მოუტანია. ფურცლავდა, იზეპირებდა, ჩხირკედელაობდა, ხავსი ედებოდა, ეს იყო და ვს. მერე, რაგინდარა სისულელით თავის შექცევა სჯობს საროსკიპოების გახსნას, სოდომური ცოდვების მორევში ცურვას, გაუმაძღრობას.

გადაწყვეტილია, აბატი პეტრე პატიოსანი კაცი იყო. მაგრამ მისი კანდიდატურა არ მოეწონა კლირს, უფრო იმიტომ, რომ მის არჩევას არავითარი შემოსავალი არ მოუცია. ამომრჩევლებს რომ გულუხვობა გამოეჩინათ და შესაფერისი თანხა შეეტანათ წმინდა პეტრეს ტაძრის სალაროში, მაშინ საქმე კიდევ გამოსწორდებოდა და წმინდა მამაც შეურიგდებოდა როგორმე მეორე წმინდა პეტრეს, მოციქულის სეხნიის არჩევას. ბერებმა ეს მნიშვნელოვანი ფორმალობა დაივიწყეს და საცოდავ აბატს სიცოცხლის ფასად დაუჯდა მათი ეს სიძუნწე თუ გულმავიწყობა.

განრისხებულმა ვიქტორ მეორემ მონტე-კასინოში კარდინალი გუმბერტი გაგზავნა დავალებით, გააუქმე ახალი აბატის არჩევანი, ეჯათო ბერებს რომ პაპის ნებისათვის მეტი პატივი ეცათ, ლაქია კარდინალი მონასტერში ჯარისკაცთა ჯგუფით შეიჭრა, პატივცემული პეტრე ძალით შეიპყრეს და რომში გაგზავნეს. ამაზე მეტი უსამართლობა და ძალადობა თვით უბოროტეს პაპებსაც იშვიათად ჩადენიათ, ვიქტორ II კი პაპთა შორის საუკეთესოს ტიტულს ატარებდა!

წმინდა მამამ ყველასაგან პატივცემული ბერიკაცი ლატერანის

სასახლის მიწისქვეშა დილეგში ჩააგდო, სადაც საცოდავ აბატს შიმშილით სული ამოხდა.

ესეც თქვენი ვიქტორ II, პაპთა შორის უსათნოესი ბატკანი!

აქ მოთხრობილი გმირობა რომ მოახდინა, ვიქტორმა გეზი გერმანიისაკენ აიღო. სადაც თავისი ნათესავი ჰენრიხ III სიკვდილის სარეცელზე ეგულებოდა. მეფის გარდაცვალების წინ გერმანიის ეპისკოპოსებმა და კარისკაცებმა ერთგულება შეჰფიცეს ჰენრიხის ხუთი წლის ვაჟს, დედოფალი აგნესა რეგენტად გამოაცხადეს.

ვიქტორ II მალე დაბრუნდა იტალიაში. ტოსკანაში რომ ჩავიდა, უეცრად თავი ცუდად იგრძნო — უთუოდ აბატ პეტრეს ცოდვამ უწია — და უდროოდ განისვენა 1052 წლის 28 ივლისს.

პაპის ასე უეცარი გარდაცვალების შესახებ მატიანე დუმს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისეთივე შეთქმულების მსხვერპლი გახდა, როგორსაც ასე სასწაულით გადარჩა თავისი პონტიფიკატის დასაწყისში. კეთილმა ღმერთმა ამჯერად ვეღარ მოიცალა, სხვაგან ჰქონდა საქმეები უთუოდ, ან სასწაულების გუნებაზე აღარ იყო, და მის მოადგილეთაგან საუკეთესომ ასე უპატრონოდ დალია სული.

• • •

სტეფანე X, რომელმაც ვიქტორ II შეცვალა, ნამდვილ საგანძურს — მონტე-კასინოს სააბატოს ქონებას დაპატრონებოდა. ამ მიზნით მან მონასტრის წინამძღვარი დიდი კონსტანტინოპოლში გაგზავნა და ისეთი დავალება მისცა, რომელიც თავშივე ჩასაფუშავად იყო განწირული. ცბიერ პაპს იმედი ჰქონდა, რომ აბატის სხვაგან ყოფნის დროს ბერებს იოლად გაუსწორდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბერებმა მისი უსასტიკესი ბრძანება შეასრულეს და ჰონასტრის მთელი განძი წინ დაუწყვეს, სტეფანე X უეცრად უარი თქვა თავის გადაწყვეტილებაზე და მოითხოვა, რომ ბერები გასცლოდნენ და უკანვე წაეღოთ თავიანთი განძეული. მემატიანეები, ცხადია, ამას ხსნიან ცით მოვლენილი „უფლის ჩაგონებით“, მაგრამ იქვე დასძენენ, რომ გაგიჟებული ბერის სიტყვა, რაც იქვე მოისმინა სტეფანე მეათემ, აღსავსე იყო მუქარით.

მალე ამის შემდეგ სტეფანე X ტოსკანაში გავშურა, რომ ძმასთან ერთად განესაჯა, როგორ ეწარმოებინა შემდგომი ბრძოლა იმ-

პერატორთან, რომელიც აშკარად ედავებოდა რომის პაპს ქრისტიანულ სამყაროზე ზეგავლენის საკითხში. 1058 წლის 29 მარტს ფლორენციაში ჩასული, სტეფანე X თავისი წინამორბედივით უეცრად გარდაიცვალა.

ძნელი არჩევანი

❁ იმავე ღამეს, როცა რომმა სტეფანე მეათის უეცარი სიკვდილი შეიტყო, ქალაქის უხუცესებმა მღვდელმთავრად ველეტრელი ეპისკოპოსი ჯიოვანი მინჩიო აირჩიეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავისი გამგზავრების წინ სტეფანე მეათემ აიძულა კარდინალები და სამღვდელოების ყველაზე უფრო გავლენიანი წარმომადგენლები ფიცი მიეცათ, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეს გერმანიაში გაგზავნილი ჰილდებრანდის დაბრუნებამდე არ აირჩევდნენ ეს ღონისძიება პაპისთვის საბედისწერო გამოდგა.

პეტრე დამიანი ცდილობდა დაეცვა პაპისათვის მიცემული ფიცი და წინ აღუდგა ახალი პაპის არჩევას, მაგრამ კრახი განიცადა. ასე რომ, თავს მხოლოდ გაქცევით უშველა. გრაფ ტოსკანელის ჯარისკაცები კვალდაკვალ დასდევდნენ და სიკვდილით ემუქრებოდნენ ახალი პაპის ყველა მოწინააღმდეგეს.

რომელიღაც არქიეპისკოპოსი ტაძარში მოათრიეს, შიშველი ხმალი პირდაპირ თვალებთან დაუტრიალეს და ისე აიძულეს თავზე ტიარა დაედგა მინჩიოსათვის, რომელიც ამიერიდან ისტორიაში შედის როგორც ბენედიქტე X.

ამასობაში ჰილდებრანდიც დაბრუნდა. როგორც კი გაიგო ბენედიქტეს არჩევა, რისხვად დაატყდა თავს სამღვდელოებასა და რომის ნოტაბლებს, უსაყვედურა უთაურობა და ნებისყოფის სისუსტე, რამაც გრაფ ტოსკანელებს საშუალება მისცა მათთვის თავს მოეხვიათ არასასურველი პაპი. ჰილდებრანდი დაჟინებით მოითხოვდა გაერეკათ ბენედიქტე X, ტახტიდან გადაეგდოთ და ახალი არჩევნები დაენიშნათ. ჰილდებრანდს რუ ეხუმრებით: თავის დროზე ის გრიგოლ VII გახდება, პაპთა შორის უძლიერესი.

პრელატებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა: იმპერატორის

მომხრეებმა ჰილდებრანდის მხარე დაიჭირეს, ფეოდალთა დაყენებულნი ბენედიქტეს ამოუდგნენ გვერდით. ჰილდებრანდის მომხრეებმა მაინც თავისი გაიტანეს, ნიკოლოზ მეორის სახელწოდებით ახალი პაპი აირჩიეს. ამრიგად, ძალაუფლების სათავეში ერთდროულად ისევ ორი პაპი აღმოჩნდა.

პირველი უმეცარი და საოცრად ჩლუნგი ვინმე იყო, ნამდვილი კრეტინი. კითხვაც კი არ იცოდა! რაც შეეხება მეორეს, უკიდურესად პატივმოყვარე, ხარბი და ფარისეველი გახლდათ. მოკლედ, არც ერთი უქნია ღმერთს და არც მეორე, მაგრამ მოციქულის ტახტზე უარესებიც გამოდგებოდნენ.

საერთოდ, ძნელი გასარჩევია, ვისი დაყენებული პაპი ჯობდა. ბენედიქტე მეათეს დიდ გამოცდილ მღვდელმთავრად მოჰქონდა თავი—აქაო და წარჩინებული გვარისაც ვარო, სინამდვილეში კი ყოველი უმნიშვნელო საკითხის გადაჭრის დროს ჩიხში ექცეოდა, როგორც გაქირი ვირი, რომელიც განზე მიიწევს და ეკლებში ეჩხირება. ამით ამცირებდა თვით მოციქულის ტახტს. ბოლოს და ბოლოს თავი უძლურად სცნო, რომ ბრძოლა განეგრძო და, ცხრა თვის შემდეგ ადგილი თავის მოქიშპეს დაუთმო.

1059 წელს ნიკოლოზ II ჰილდებრანდთან ერთად გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმადაც პაპის არჩევა შეეძლოთ მხოლოდ ეკლესიის უმაღლესი ხარისხის მსახურთ, რომლებიც განსაკუთრებულ კოლეგიას — კონკლავს შეადგენდნენ. ასე შეიქმნა კოლეგია — დიდი პრეტენზიისა და დიდი გონებრივი სიჩლუნგის აშმორებული რიოში. იმპერატორს (გერმანიის მეფეებს იმ დროს ეწოდებოდათ წმინდა რომის იმპერიის იმპერატორები) მხოლოდ იმისი უფლება რჩებოდათ, რომ მათთვის არასასურველ პირზე აცილება შეეტანათ. ეს მნიშვნელოვანი დეკრეტი ეხებოდა არა მარტო დიდი ფეოდალების, არამედ თვითონ იმპერატორის ძალაუფლებას. ამით ეკლესიამ ძლიერი ლახვარი ჩასცა საერთოდ საერო ძალაუფლებას. დეკრეტის ავტორი უფრო მომავალი მრისხანე პაპი ჰილდებრანდი იყო.

ნიკოლოზ II ბევრად არ განსხვავდებოდა თავისი წინამორბედებისაგან. თუ ვიქტორ II ასე თუ ისე მაინც ებრძოდა სიმონიას, ეს ისევ წარმატებით ვაჭრობდა თანამდებობებით, სიგელებითა და ტიტულებით. ამას გარდა, ეს გაქნილი თაღლითი უაღრესად სასტიკიც აღმოჩნდა.

რომელიღაც ბერანჟერი, სან-მორიცის სუბდიაკონი წმინდა ზიარების საკითხებში როგორღაც რომის ეკლესიას გამოეთიშა. ცხადია, სუბდიაკონს თავისი მოსაზრებანი ჰქონდა. რომის პაპმა ვითომ მისი დატუქსვა მოინდომა და უაღრესად თავაზიანად მიიწვია წმინდა ქალაქში. როგორც კი მღვდელმთავრის ხელში აღმოჩნდა, ყოველგვარი ჯასამართლებისა და დაკითხვის გარეშე საპყრობილეში ჩააგდეს და არ გამოუშვეს მანამდე, სანამ არ უარჰყო თავისი შეცდომები. კიდევ იოლად გადარჩა.

დანარჩენ საქმეებში ნიკოლოზ II პონტიფიკატის ისტორია არაფრით არ არის საგულისხმო. საინტერესოა მხოლოდ ერთი პატარა დეტალი. როგორც მემატიანეები ირწმუნებიან, ნიკოლოზ II ერთ დღეს არ გაუშვებდა ისე, რომ თორმეტი მათხოვრისათვის ფეხები არ დაებანა. თუ ეს მართლა ასე იყო, ესეც მისი ფარისევლობის ილუსტრაციაა. განა არ სჯობდა უბრალოდ საჭმელი მიეცა უბედურთათვის, ვიდრე ქრისტეს ლეგენდის ყოვლად სულელური პაროდია ეჩვენებინა?

პაპი ნიკოლოზ II ასეთი თავმდაბლური ცერემონიების მიუხედავად მიიცვალა ფლორენციაში 1061 წლის ივლისში.

ფანატიზმი

● გაკვრით შევეხოთ ფანატიზმის ერთ შემთხვევას, რაც საეკლესიო დოგმებით დაკანონებული მისტიკური სისულელეებით ადამიანის გონების დაცემას ნათლად გვიხატავს.

ნიკოლოზ მეორის გარდაცვალების შემდეგ, ალექსანდრე II პონტიფიკატის დროს ლუჩეოლის მონასტერში, უმბრიაში, ერთი განდეგილი ბერი ცხოვრობდა, წმინდა დომინიკე, მეტსახელად აბჯროსანი. ეს სახელი იმისათვის უწოდებიათ, რომ ტანზე პერანგის ნაცვლად თურმე აბჯარი უტარებია. მონასტერში სულ თვრამეტ კაცს უცხოვრია. მხოლოდ ცარიელ წყალსა და ხმელ პურზე ვადადიოდნენ, სრულიად არ ეკარებოდნენ ხორცსა და კარაქს, მოხარშულ ბოსტნეულს მარტო კვირადღეობით ჭამდნენ, და იმ ხმელ პურსაც კი მორიდებით ციცქნიდნენ. გარდა ამისა, ენა მუცელში

ჩაეგდოთ, თავი სრული დუმილისათვის გაეწირათ და ერთიმეორეს სულ ორიოდე სიტყვით თუ მიმართავდნენ, ისიც მხოლოდ კვირა-დღეობით, მწუხრის ლოცვის ჟამს.

წმინდა დომინიკეს თურმე არც ეს რეჟიმი ჩაუთვლია საკმაოდ მკაცრად და მარხვის დღეების რიცხვი გაუზრდია, ამასთან საკუთარი თავიც შეუბრალებლად უწამებია და უგვემია. ზამთრობით თურმე თავისი სენაკის კართან დაეგდებოდა ცივ იატაკზე, პერანგის ამარა, მერე და ეს პერანგიც, ქსოვილისა კი არა, რკინის მავთულისა ყოფილა, დაწნული, და ზედაც თურმე აბჯარს იხურავდა საბნის ნაცვლად. სახე და მთელი სხეული რკინის წვეტიანი ლურსმნებით უკაწრია და ტანში ეკლები უყრია. ერთხელ სახედასისხლიანებული გამოცხადებულა აბატთან, ფეხქვეშ ჩავარდნია და გოდებით შეუძახნია:

— მამაო ჩემო, მძიმე შეცოდება ჩავიდინე, დამინიშნე სასტიკი ეპიტიმია!

აღმოჩნდა, რომ ამ დავრდომილმა პურთან ერთად რამდენიმე ფოთოლი შეჭამა და ეს უფრო მძიმე შეცოდებად მიიჩნია, ვიდრე მისი დროის უთვალავი მღვდელმთავარი და დიაკონი თვლიდა საკუთარ დასთან უზნეო კავშირს!

დომინიკეს ხელები გულზე ჯვარივით დაუწყვია და ისე ულოცნია. თორმეტი ფსალმუნი ჩაუკითხავს თითო ოთხმოცჯერ, თანაც ჰიმნები და ლიტანიები დაუმატებია.

ბრწყინვალე ვარჯიშია! — მოწაფეებს თუ ორჯერ ათქმევინებს, რომელიმე ლექსი ან იგავი, ბეჯითობისთვის აქებენ!

სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ეს წმინდა შეშლილი დარწმუნებულა, რომ ტყავის თასმები წკეპლაზე მტკივნეულია და ახლა ამ თასმებით დაუწყია თავის გვემა. ბოლოს და ბოლოს, კანი ზანგივით გაშავებია, ნაიარევი ტანი ნაჭრილობეე-ნაწიბურებისაგან ისე გახდომია, როგორც გინახავთ ნაჯაფი ხარის კისერი. აბჯრის ქვეშ რომ რვა რკინის ფერსო უტარებია, რკინები ტანში ძარღვებივით ჩასჯდომია.

ამბობენ, ამ შეშლილმა ძალიან დიდხანს იცოცხლაო. იმის წყალობით ხომ არა, რომ რკინის რეჟიმს იცავდა და ღმერთს ართობდა მისი მაიმუნობა? იმის ნაცვლად, რომ ცილები, ლიმონის სიმჟავე ან სხვა რამ წვენები ეყლაპა, რკინის ძაფსა და ბეჭედს უშვებდა კუჭ-

ში. ალბათ ასეთი პროცედურაც სასარგებლოა, მაგრამ ჩვენ სხვა მაგალითი არა გვაქვს და შეუმოწმებლად ჩვენს მკითხველს ვერ ვურჩევთ, რომ ასეთ დიეტაზე გადავიდეს.

„მეუდაბნოე მამებიდან" მრავალმა განსაკუთრებული რეპუტაცია მოიხვეჭა, ნამდვილი წმინდანის სახელი დაიგდო, ნაწილობრივ იმ არაადამიანური ტანჯვა-გვემის წყალობით, რასაც საკუთარ თავს აყენებდნენ, ნაწილობრივ კი სასწაულების წყალობით, რომელთაც ამ განდეგილებს მიაწერდნენ. მძიმე სატანჯველით იტანჯებოდა მათი გონებაც. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ასე ხშირად მოსდიოდათ ჰალუცინაციები, ეცხადებოდათ ანგელოზები თუ მიცვალებულთა სულები, და ყოველივე ეს სინამდვილე ეგონათ. ისედაც დაბინდულ გონებას ეს კიდევ უფრო აგიჟებდა და აბრუებდა.

ბრძოლა პაპის ტახტისათვის

● ჩვეულებრივ ყოველი პაპის არჩევა გერმანიის იმპერატორის დასტურით ხდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა რომის იმპერიის იმპერატორთა წინაშე ურჩობა იტალიელებს ხშირად ძვირად დასჯდომიათ, ნიკოლოზ მეორის გარდაცვალების შემდეგ კიდევ სცადეს დამოუკიდებლად არჩევნების ჩატარება. ბერი ჰილდებრანდი, რომელსაც მკითხველი უკვე გავაცანით, ფიქრობდა, რომ გერმანიის მეფის მცირეწლოვანობა რომის სასახლეს საშუალებას მისცემდა პაპი დამოუკიდებლად აერჩია. კარდინალთა და ეპისკოპოსთა უმრავლესობა ჰილდებრანდს დაეთანხმა, მაგრამ ტოსკანელი გრაფების ძლიერი გვარი, რომლის ინტერესებიც სამღვდელოებისას ეჯახებოდა, ამჯერად უნებურად იმპერატორის დამცველის როლში გამოვიდა, და რაკი გრაფებს დამაჯერებელი არგუმენტიც ჰქონდათ — ძლიერი არმია ჰყავდათ, ამიტომ ჰილდებრანდმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გაბედა!

მართალია, შეუპოვარმა ბერმა სცადა ნიკოლოზ მეორის დეკრეტის გამოყენება, რომლის თანახმადაც მღვდელმთავრები რომის ეკლესიის უმაღლესი ხარისხის მსახურებს უნდა აერჩიათ კონკლავზე. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომში არ აღმოჩნდებოდა არც

ერთი კლირიკი, ღირსი საქრისტიანოს მბრძანებლის ტახტისა, მაშინ უნდა აერჩიათ უცხოელი მღვდელი, ისიც იმპერატორთან შეთანხმებით. ჰილდებრანდმა რამდენიმე ელჩი მიუგზავნა დედოფალ აგნესას, მეფე ჰენრიხის დედასა და იმპერიის რეგენტს, და სთხოვა კონკლავის მოწვევის ნებართვა, რომ ნიკოლოზ მეორის დეკრეტის თანახმად ახალი პაპი აერჩიათ.

სამი თვის შემდეგ დელეგატები დაბრუნდნენ, ისე რომ იმპერატორ ქალთან აუდენციას ვერც ეღირსნენ. მაშინ შეურაცხყოფილმა ჰილდებრანდმა გადაწყვიტა თავისი საკუთარი მიხედულებით ემოქმედა. გასწია რისკი, მოიწვია რომში ნორმანთა რაზმები, შემდეგ შეკრიბა კარდინალები და ერთგული კარისკაცები, სიტყვით გამოვიდა და კონკლავს წინადადება მისცა, ტახტზე ახსელმო ავიყვანოთო, ლუკის ეპისკოპოსი. მისმა კანდიდატურამ გაიმარჯვა. ახსელმო ტახტზე ავიდა და ალექსანდრე II დაირქვა.

ტოსკანელების ფეოდალურმა პარტიამ ჰილდებრანდთან ვერაფერი გააწყო და თავის მხრივ ელჩები გაუგზავნა იმპერატორ ქალს აგნესას. ცდამ ნაყოფი გამოიღო; მოიწვიეს ახალი ყრილობა, რომელმაც დამხობილად გამოაცხადა ალექსანდრე II და პაპის ტახტზე პარმის პრელატი კადალ პალავიანი-ჰონორიუს II აიყვანა.

უკეთეს კანდიდატს კაცი ვერ მოიფიქრებდა: კადალ პალავიანის სახელი შორს იყო გავარდნილი იმით, რომ ხასების უზარმაზარი შტატები ჰყავდა. მისი მხარის ყველა ლამაზი ქალის ქმარს კოხტა რქები ედგა თავზე და რქოსნის საპატიო სახელს თვითონ პრელატი იძლეოდა. გარდა ამისა, კადალ პალავიანს ფრიად თავისებური წარმოდგენა ჰქონდა კერძო საკუთრებაზე: საეკლესიო ფული, რაც მის ხელში გაივლიდა, იშვიათად ხვდებოდა დანიშნულების ადგილზე და უმთავრესად იფანტებოდა მისი ურიცხვი საყვარლის საწოლ ოთახებში. საწყალი მღვდლები ამაოდ ელოდნენ ხელფასს. მართალია, მრავალი ეპისკოპოსი ერთდროულად ემსახურებოდა ქრისტეს და ვენერას, უფრო კი ამ უკანასკნელს. უბრალოდ რომ ვთქვათ, საროსკიპოები ჰქონდათ გახსნილი და ისე ზრუნავდნენ თავიანთი კლიენტებისათვის, რომ სულ ფიანდაზები ეგოთ. მაგრამ ვერც ასეთი შეთავსება შველოდა საქმეს. კადალ პალავიანის უზარმაზარ ხარჯებს შემოსავლის ვერც ერთი წყარო ვერ ფარავდა.

როგორც ვხედავთ, კადალს ჰქონდა მღვდელმთავრისათვის საჭი-

რო ყველა აუცილებელი მონაცემი! თანაც მეტი ფული სჭირდებოდა!

როგორც კი კადალ, იგივე ჰონორიუს II ტახტზე ავიდა, დიდძალი არმია დაძრა რომზე, წინასწარ კი ალექსანდრე მეორის მომხრეები მოისყიდა. ალექსანდრე მალე მიხვდა, რომ უღალატეს, ლატერანის სასახლე მიატოვა, გაიქცა და თავი გოტფრიდ ტოსკანელის შეაფარა. იმედი ჰქონდა, რომ ჰერცოგი დაიცავდა. გოტფრიდს იმპერატორის გვირგვინი ელანდებოდა, იფიქრა პაპი დამეხმარებაო და ჯარისკაცების შეგროვება დაიწყო, რომ ჰონორიუსს დახვედროდა.

იმავე დროს დიდიემაც გამოიდო თავი, აგრეთვე ალექსახდრეს მომხრემ, მონტე-კასინოს აბატმა. ოქრო არ დაიშურა, საჩუქრები დააყარა გავლენიან პირებს და რომაელები ჰონორიუსს აუმხედრა. მაგრამ მშიშარა, გამოუცდელმა და გულგრილმა დაქირავებულმა ჯარისკაცებმა პირველსავე ბრძოლაში იბრუნეს პირი. ჰონორიუსმა ბრძანა უწყალოდ გაეჟლიტათ უკან დახეულები და წმინდა სიშმაგით მოცული თვითონაც ატრიალებდა ხმალს უფრო გამძვინვარებით, ვიდრე ამას გარემოება მოითხოვდა, რადგან დაბნეული და დაფანტული ჯარისკაცები აღარავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ. პაპს თავი ალბათ სამსონად წარმოუდგა (თუ ჰქონდა ბიბლია წაკითხული) და საბრალო „ფილისტიმელებს“ წალმა-უკუღმა კაფავდა. მაგრამ სამხედრო ბედნიერება ცვალებადია. იმ მომენტში, როცა ჰონორიუსის გამარჯვება აშკარა იყო, უეცრად ჰერცოგ გოტფრიდის მამაცი ჯარი დაესხა თავს და მთელი მისი წმინდა ლაშქარი „დაცალეწა“. პაპი ისე იყო სისხლით მთვრალი და გამარჯვებით გაბრუებული, რომ ვერც კი შენიშნა მრისხანე მტრის მოახლოება.

პაპი ჰონორიუს II ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ყოველი პაპი ხომ სატანის ორეული იყო! მისმა მომხრეებმა გუშაგი ოფიცრები მოისყიდეს და ჰონორიუსი ისევ განთავისუფლდა. პარმაში დაბრუნდა და პაპის მოვალეობის შესრულება განაგრძო, თუმცა დამარცხებული და განდევნილი იყო. მაინც ყველა პრივილეგიით სარგებლობდა, თანამდებობებს ყიდდა, ჯიბეს ისქელებდა, და ცოტა უფრო თავმდაბალი რომ ყოფილიყო, კეისარივით იცხოვრებდა, მაგრამ მისი პატივმოყვარული ზრახვები ვერ შეურიგდებოდნენ ყოფილი პაპის ან ნახევრად პაპის მდგომარეობას. მეორედ სცადა ტიარის დაბრუნება და თავისი მიწიერი არსებობაც მაშინ დაასრულა.

ალდობრანდინი,
უცეცხლოდ მოხარშული ბერი

● ალექსანდრე მეორის პონტიფიკატის დასაწყისში საეკლესიო განხეთქილებით გაწამებული ფლორენცია ეოთიან ბრძოლის ველად იქცა. ეპისკოპოსი პეტრე პავიელი და აბატი იოანე გვალბერტი— ვალომბროზეს სავანის წინამძღვარი — ერთიმეორეს აშკარად ეკვეთნენ.

გვალბერტი საქვეყნოდ სდებდა ბრალს პეტრეს: სიმონიას ეწევა, თანამდებობით ვაჭრობს, ღვთისმსახურებისა და მღვდლების დანიშვნის უფლება უნდა წავართვათო. მგზნებარე ორატორმა გვალბერტმა იოლად აიყოლია ისედაც ფანატიკური მორწმუნეები, რის შედეგადაც ორ მოქიშპე ბანაკს შორის პირდაპირ ხელჩართული ქუჩის ბრძოლები გაიმართა.

ეპისკოპოსმა პეტრემ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ავლაგმო ჯიუტი ბერები და თავხედი ორატორიო. ისიც კარგად ესმოდა, რომ არავითარი სიტყვიერი საბუთი არ გაჭრიდა (პეტრე ჩინებულად იცნობდა თავის თანამრძმეებს!). ამიტომ შეიარაღებული რაზმით დაესხა თავს ვალომბროზეს მონასტერს, აბატის ყველაზე უფრო თავგამოდებული მომხრეები შეიპყრო და გატიტვლება უბრძანა. ვინც ტანზე გახდას აყოვნებდა, ჯარისკაცები ეხმარებოდნენ, ძალით ხდიდნენ. როცა „რჩეულნი“ ეპისკოპოსს „ადამის სამოსით მოსილნი“ წარუდგნენ, ჯარისკაცებს მათი გაშოლტვა ებრძანათ, ისე რომ წკეპლა პირდაპირ რბილ ადგილებზე უნდა ეტყაპუნებინათ — სხეულის იმ ნაწილებზე, რითაც ადამიანი მზრუნველმა ბუნებამ დაასაჩუქრა, რათა დაჯდომა შეეძლოს.

მეეჭვება, რომ ასეთ ეგზეკუციის დროს ბერები „ალილუიას“ გალობდნენ! ეს იყო მკაცრი და სასარგებლო გაკვეთილი. გვალბერტმა და მისმა ბერებმა შეწყვიტეს ეპისკოპოსის წინააღმდეგ საჯაროდ გამოსვლა და ისე დაშინდნენ, მონასტრის ზღუდის გარეთაც კი ვერ გამოდიოდნენ. მაგრამ გულის სიღრმეში უთუოდ ინახავდნენ გაშოლტვის ყოველ წვრილმანს და შემთხვევას ელოდნენ, რომ შური ეძიათ.

ქრისტეს ანდერძის მიუხედავად, სამღვდელონი არასოდეს არ

უშვერენ მოპირდაპირეს მეორე ლოყას. პირიქით, ქამარში ყოველთვის დანა აქვთ გარჭობილი — რაღა თქმა უნდა, თუ ეს რაიმე რისკთან არაა დაკავშირებული.

ბერებმა ფარულად მიუგზავნეს პაპს თავიანთი წარმომადგენლები და სთხოვეს, ყრილობა მოიწვიე, რომ დაისაჯოს პეტრე პავიელი — სიმონიის, გარყვნილ ცხოვრებისა და მკვლელობისათვისო. ხოლო თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად პაპს სთავაზობდნენ ციურ სამართალს — ესე იგი, ცეცხლით გამოცდას.

პაპს ამ საგანზე არავითარი აღტაცება არ გამოუხატავს: ოინბაზს არ აღელვებს ის ხრიკი, რომლის საიდუმლოებაც მისთვის ცნობილია. ამას გარდა, ალექსანდრე მეორეს ალბათ არაფრად ეპიტნავებოდა თავისი ეპისკოპოსისათვის სახელის გატეხვა, არც ბერები სარგებლობდნენ ქალაქში დიდი პოპულარობით. ამიტომ ყრილობის მოწვევაზე უარი განაცხადა, სამაგიეროდ ბერებს მისწერა, ანათემა არ აგცდებათ, თუ თქვენს სენაკებში წყნარად არ გაჩერდებით და ერთი თქვენთაგანიც კი ზღუდეს გასცდება, თუნდაც ვინმე მოქალაქემ დაპატიჟოსო. შემდეგ პაპმა სასწრაფოდ გაგზავნა ფლორენციაში პეტრე დამიანი, რათა ამ მრისხანე ბრძანებით დაშინებული ხალხი დაეწყნარებინა, მაგრამ ვერც პეტრე დამიანის სიბრძნემ, ვერც მისმა თხოვნამ და დაპირებამ მოსახლეობა ვერ დააშშვიდა. თვითონ იოანე გვალბერტი მივიდა თავისი ბერების თანხლებით დამიანის თავშესაფარში, ყოველნაირად შეურაცხყო პაპის ლეგატი და ხალხს მოუწოდა იარაღით ხელში განედევნათ შემოჩენილი ეპისკოპოსი.

საქმე ალბათ ტრაგიკულად დამთავრდებოდა, რომ ჰერცოგი გოტფრიდი არ ჩარეულიყო. ბერებს დაემუქრა, მონასტრის ზღუდესთან დაგკიდებთ ხეებზე, თუ კიდევ გაბედავთ ხალხში გამოჩენასო.

მუქარამ ცოტა დააშოშმინა მეომარი ბერები. მაგრამ მოსახლეობა არ დამშვიდებულა. მეორე დღეს ბრბო იოანე გვალბერტს გამოეცხადა და სთხოვა მოეწყო ღვთის სამსჯავრო, რაც თავის დროზე პაპს შესთავაზა.

სწყენია, რომ ასეთ სამსჯავროს ჩვენს დროში არ მართავენ. მართლაც, სასულიერო პირებს რომ დანაშაულისათვის ასამართლებენ, განა უმჯობესი არ არის, ერთი-ორი საათით რიგიან კოცონზე დასვან? თუ, მაგალითად, მღვდელი დაიწვა, როგორც ხორცის უბ-

რალო ნაჭერი (მზარეულის უყურადღებობით), მაშინ ასეთი ყოფილა უზენაესის განაჩენი და რაღა საჭიროა სასამართლოზე დროის დაკარგვა? ასეთი სამართალწარმოება სავსებით შეესაბამება ეკლესიის მოძღვრებას ღვთის ყოვლისმხილველობის შესახებ, რომ თმის ღერიც კი არ ვარდება თურმე თავიდან, უფლის ნების გარეშე.

თქვენი არ ვიცი და მე პირადად შემიძლია წარმოვიდგინო, როგორც მორთავდნენ კლერიკალები გოდებას, ასეთ პროექტს რომ ვინმე სერიოზულად მოჰკიდებოდა და ცეცხლს სამსჯავრო გაეგზავნა!

ვალომბროზელი ბერები, რომელთა რწმენა ბევრად არ განსხვავდებოდა თანამედროვე სასულიერო პირთა რწმენისაგან, როგორღაც იოლად დათანხმდნენ ასეთ სასამართლოს გამართვაზე, რასაც ხალხი ელოდა. უთუოდ რაღაც მოხაზრების იმედი ჰქონდათ.

ეს გაუგონარი სანახაობა მართლაც მოაწყვეს 1063 წლის დიდმარხვის პირველი კვირის ოთხშაბათს.

თავდაპირველად მთელი მონასტრის ძმობამ განაცხადა სურვილი ასულიყო კოცონზე, მაგრამ როცა ცეცხლი აანთეს და საქმე საქმეზე მიდგა, ბერებმა უმჯობესად ჩათვალეს ამ პიროტექნიკურ გამოცდაზე გასულიყო მხოლოდ ერთი მათგანი. ბერი, რომელსაც მონასტრის წარმომადგენლის პატივი ერგო და ღვთის სამსჯავროზე გასვლა დაევალა, ერქვა პეტრე ალდობრანდინი.

დანიშნულ დღეს ორი უზარმაზარი კოცონი აანთეს, რომელთა სიგრძე სათითაოდ ოცდაათ ნაბიჯს აღწევდა, სიგანე კი ათს. ამ კოცონთა შორის ვიწრო ბილიკი დატოვეს, სამი ნაბიჯის სიგანისა. ეს ბილიკი ხმელი და ძალიან წვრილი ფიჩხით დაფარეს.

ჯერ ბერებმა საზეიმო სვლა მოაწყვეს, ჯვრით ხელში, მერე წირვა გადაიხადეს და ბოლოს ორ რიგად დაეწყვნენ, ხელში ყოველ ბერს სანთელი ეჭირა, მკერდზე ჯვარი ეკიდა. რაღა თქმა უნდა, წარმოდგენას გამოცდილი რეჟისორი ხელმძღვანელობდა!

ბერებმა ჰიმნების გალობით შემოავლეს რკალი ორსავე კოცონს და დაიწყეს ცეცხლის გაჩაღება. ცოტა ხნის შემდეგ ისეთი აუტანელი სიცხე დადგა, რომ იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. მაშინ აღელვებულმა ხალხმა გარკვევით დაინახა, როგორ წავიდა ცეცხლისაკენ პეტრე ალდობრანდინი. აუჩქარებლად მოიხადა ბარტყული, რაც წირვის დროს ეხურა, და საზეიმო ნაბიჯით მიუახლოვდა

ბილიკს. ცალ ხელში ჯვარცმა ეჭირა, მეორეში კი ცხვირსახოცი, რომლითაც ოფლს იწმენდდა.

რა თქმა უნდა, კითხვა დაგებადებათ: თუ ცეცხლი არ წვავდა, ოფლს რატომ ადენდა? დასტურ, ასეთი იყო განგების ნება. ნუღარ გამოვიძიებთ ამ ფსიქოლოგიურ წვრილმანებს...

ალდობრანდინი ნელა მიაბიჯებდა ბილიკზე, რომელიც ორ კოცონს ყოფდა, მუხლამდე გავარვარებულ ნაღვერლებზე იდგა, შუაში გაჩერდა და პირჯვარი გამოისახა. საზეიმო დუმილში (ეშმაკმა დალახვროს! სანახაობა მართლაც საკმაოდ თავშესაქცევია, რომ ხალხი გაირინდოს. მგონი, არც ერთი ჩვენგანი არ იტყოდა უარს თვალი შეევლო ბერისათვის, რომელიც მოგიზგიზე ცეცხლში დასეირნობდა) ...ამრიგად, საზეიმო დუმილში ბერის ხმა გაისმა. ბრბოს მიუბრუნდა, მოქალაქეებს, კლირიკებსა და ნოტაბლებს მოსთხოვა, შემომფიცეთ, რომ გადაუდგებით ეპისკოპოს პეტრეს, თუ ალდობრანდინი ცეცხლიდან უვნებელი გამოვაო.

ცხადია, ყველამ დაიფიცა. მაშინ ალდობრანდინმა დაიწყო საეკლესიო ჰიმნის გალობა, ღმერთს ევედრებოდა: თუ მართალი ვიყო, უვნებლად გადამარჩინეო. შემდეგ — ზუსტი ამონაწერი კარდინალ ბარონიუსის ნაშრომიდან:

„ყველა ხედავდა, როგორ მიაბიჯებდა ფეხშიშველა კაცი უზარმაზარი ცეცხლის ენებს შორის. ისე მშვიდად და დიდებულად მიდიოდა, თითქოს ვარდის ბუჩქებით დამშვენებულ ხეივანს მიჰყვებოდა, მზის სხივებით გახურებულ ჰაერს რომ მაცოცხლებელი ჩრდილით აგრილებს... მოცახცახე ალი, რაღაც საკვირველ ძალას რომ ემორჩილებოდა, გარს ევლებოდა წმინდა კაცს, მზიური შუქით ასხივოსნებდა, უფრო თვალისმომჭრელით, ვიდრე მზის ნათელია, თოვლში არეკლილი. ცეცხლის ენები ეხებოდნენ მისი სამოსის კალთებს, თავსა და წვერზე ეხებოდნენ და ზიანს კი არ აყენებდნენ... დამსწრეებმა შენიშნეს, — განაგრძობს კეთილმსახური ისტორიკოსი, — რომ იმ მომენტში, როდესაც ალდობრანდინი კოცონში შევიდა, ცეცხლის ალმა დაკარგა თავისი ძალა და შეინარჩუნა მხოლოდ შუქი, რამაც გააცისკროვნა წმინდა ბერის ზეიმი“.

ვჩქარობთ შევნიშნოთ, რომ „წმინდა ბერის“ ასეთი განდიდება ისე თუ ისე მაინც ერთგვარი ამბოხია წმინდა პაპის წინააღმდეგ, რომელმაც ამ ბერს ხალხში გამოჩენაც კი აუკრძალა.

აი, კიდევ ერთი თავშესაქცევი დეტალი, რასაც ბარონიუსი ხაზს უსვამს: „როცა ალდობრანდინი ცეცხლის ველის ბოლომდე მივიდა, უცებ შენიშნა, რომ ცხვირსახოცი დაკარგა სადღაც კოცონში, ბილიკის შუაგულში. დამშვიდებით გამობრუნდა, ცხვირსახოცი აიღო და ცეცხლიდან გამოვიდა, სხივმოსილი“.

რატომ „სხივმოსილი“? გეკითხებით, კარდინალო ბარონიუსო. იმისათვის, რომ გამოცდა ჩინებულად დაამთავრა თუ იმიტომ, რომ ცხვირსახოცის დაკარგვა გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა?

კარდინალი ბარონიუსი არ აძლევს შთამომავლობას ზუსტ ცნობებს ამ საკითხზე — ის დაწვრილებით აღწერს სახალხო ენთუზიაზმის სცენას, რაც „უწვავი“ ბერის წარმოდგენას მოჰყვა. ბარონიუსის დითირამბის კითხვას აღარ შევუდგებით და მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ვალომბროზელმა აბატმა არ დააყოვნა პაპისათვის სასწაულის შეტყობინება. ეს ნიშნავდა მოთხოვნას, რომ ახალი ეპისკოპოსი დაენიშნათ იმის ნაცვლად, ვინც ღვთის სამსჯავროს ამხილა, როგორც ერეტიკოსი და საზიზღარი მემრუშე.

უზენაესის ჟონგლიორები

❻ პაპს რომ ასე წარმატებით დაგვირგვინებული ცერემონიის ამბავი შეატყობინა, იოანე გვალბერტს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეპისკოპოს პეტრეს წინააღმდეგ აღძრული საქმე მოგებული იყო. მაგრამ, ეტყობა, ალექსანდრე II უკვე იცნობდა მოგიზგიზე ცეცხლის ალში გავლის საიდუმლოებას, რომ არავითარი გულჩვილობა არ გამოუჩენია ასეთი სასწაულის გამო. თუმცა ბუნებით ცბიერ დიპლომატს არც მეგობრული ურთიერთობის გაფუჭება სურდა ვინმესთან, და ბუნებრივია, არც მომხდარი „სასწაულის“ უარყოფა უცდია, რათა ბრმა მორწმუნეთა შორის სარწმუნოების პრესტიჟი არ შეელახა. ამიტომ შუალედური გზა აირჩია და ვალომბროზელ ბერებს ასეთი შინაარსის პასუხი გაუგზავნა:

„გილოცავთ, რომ თქვენს მონასტერში აღმოჩნდა ბერი, რომელმაც თავისი სიწმინდით ღვთის ასეთი უეჭველი და აშკარა მფარველობა დაიმსახურა. ასეთი მტკიცების შემდეგ უეჭველად გადავაყენებდი ფლორენციის ეპისკოპოსს, რომ მასაც ასეთივე გამოცდა

არ შემოეთავაზებინა იმავე ადგილას, სადაც წმინდა ალდობრანდინიმ ცეცხლში გაიარა, მე არ მივეცი თანხმობა, რომ ასეთ გამოცდაზე გასულიყო, რადგან შემეშინდა, ვაი თუ ახალი სასწაულის მოხდენით ალდობრანდინისა და მისი მონასტრის ეგზომ დიდი სახელი დაჩრდილოს-მეთქი. ეპისკოპოსი პეტრე რამდენიმე თვის განმავლობაში ქალაქგარეთ იქნება. მე არა მაქვს უფლება ჩამოვართვა ეპისკოპოსობა, რაკი უარი ვუთხარი გამოცდაზე გასვლისა, რათა თავისი უცოდველობა ღვთის სამსჯავროზე დაემტკიცებინა. ამიტომ გარწმუნებთ, თქვენივე გულისათვის დაცხრით, დამშვიდდით, დააწყნარეთ ხალხი და მოემზადეთ, რომ ღირსეულად შეხვდეთ თქვენს პრელატს, როცა ფლორენციაში დაბრუნდება".

განა ეს ეპისტოლე, რომელიც მხოლოდ ოდნავ შევამცირეთ, ისე რომ მისი დედააზრი არ შეგვიცვლია, ნამდვილი შედევრი არ არის პირწავარდნილი ვერაგობისა... უფრო რბილად რომ ვთქვათ— დიპლომატიისა?

ბერებსაც შეეშინდათ, რომ მეორე გამოცდა მათს ცუღლუტობას ნიღაბს ახდიდა, ამიტომ დუმილი ამჯობინეს. მაშინვე დაფაცურდნენ და ხალხს გამოუცხადეს, პეტრე ეპისკოპოსმა თავისი შეცოდებანი მოინანია, იესო ქრისტემაც შეისმინა ალდობრანდინის ლოცვა და შეიწყალაო დამნაშავე პრელატი.

რაც შეეხება ალდობრანდინის, მალე ახლად მონათლეს, პეტრე იგნაციო უწოდეს, ესე იგი პეტრე უწვი: ბერი, რომელსაც ცეცხლი არ ედება. სასწაულის მოხდენამდე ეს კაცი მონასტრის მწყემსი იყო. გულკეთილი რქოსანი საქონელიც პატივით ექცეოდა ალბათ იმ ხანებში... რა თქმა უნდა, მალე ერთ-ერთი მონასტრის აბატად დანიშნეს, ცოტა მოგვიანებით კი ალბანის კარდინალ ეპისკოპოსის თანამდებობა უბოძეს.

მაინც როგორ იცვალა დროება! რა ხშირად ვხედავთ ახლა ხარაჩოებზე გასულ კაცს, გავარვარებულ რკინაზე როძ დადის მოგიზგიზე ნაკვერცხლებით ხელში! ასეთი სანახაობისათვის ოც სუს იძლევიან და ისე ძალიან არავინ ეტანება. ერთ მაყურებელსაც ვერ ნახავთ აღტაცებულს. არავინ არ ლაპარაკობს სასწაულზე, არავინ ცდილობს ოინბაზის ხელით ტარებას. შორეულ წარსულში კი ეკლესია რა სიმაღლეზე აიყვანდა!

განუკვრეტელო წყვდიადო უმეცრებისა, სამღვდელოების ოჭროს საუკუნევ, თქვენ სამუდამოდ წარსულს ჩაბარდით!

In vino veritas! *

● მოხდა ისე, რომ წარჩინებული ოჯახის შვილი უაღრესად არასასიამოვნო მდგომარეობაში აღმოჩნდა. (ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, რომ უბირი ვინმე ასეთ მდგომარეობაში ვერ მოხვდებოდა). ეს ამბავი მოხდა ალექსანდრე მეორის პონტიფიკატის დროს, და უნდა აღინიშნოს, რომ ღირსპატივცემული მღვდელმთავარი, როგორც მარჯვე დიპლომატი, მაშინვე ჩაეჭიდა მას, რათა მოხერხებულად გამოეყენებინა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე პაპის ძალაუფლების გასავრცელებლად.

იმპერატორ ჰენრიხს დიდი ხანია ეჭვი ღრღნიდა თავისი მეუღლის პატიოსნების საქმეში. ერთ მშვენიერ დღეს სარკეში ჩაიხედა და შენიშნა, რომ თურმე რქოსანია...

მოლიერმა წამოიძახა ეს სიტყვები და ჩვენც თავს ნებას მივცემთ, რომ გავიმეოროთ.

პირველ ხანებში იმპერატორი უსიტყვოდ იტანჯებოდა, იმ იმედით, რომ მისი საყვარელი მეუღლე ბერტა ყინს მოიკლავდა და ისევ ერთგული ცოლი გახდებოდა. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ქალის პირველ აფეთქებას მრავალი ახალი მოჰყვა. ეტყობა, კეთილშობილ ქალს ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა, თვითონაც როლში შევიდა და არაფრის გულისათვის არ სურდა იმ სიამოვნებაზე უარის თქმა, რასაც პატარ-პატარა სასიყვარულო რომანები აძლევდნენ. მცირე ავხორცული გართობა ბოლოს და ბოლოს აშკარა სკანდალად იქცა. იმპერატორი ქალის სასიყვარულო ფანდები და ხიმინჯლობა ყველას პირზე ეკერა. ხელმწიფე ქვეყნის ყბაში ჩავარდა. მალე უბედურ ქმარს მთელს სასახლეში ერთი მამაკაცის პოვნაც აღარ შეეძლო, დედოფალი რომ საკადრისი პატივით ეხსენებინა: ყველა „ჩვენს პაწიას“ ეძახდა. სიმართლე უნდა ითქვას, ეს ძალიან არასასიამოვნო ამბავი იყო.

---

* (ლათ.) „ჭეშმარიტება ღვინოშია“.

ჰენრიხმა აღარ ისურვა ამდენი შეურაცხყოფისა და დამცირების ატანა, თავლაფდასხმულ დედოფალთან განქორწინება გადაწყვიტა. თავისი განზრახვა მაინც ის არქიეპისკოპოსს გაანდო. ამ უკანასკნელმა განზრახვა მოიწონა და თხოვნით მიმართა რომის პაპს, განქორწინება დაამტკიცეო.

პაპის წარმომადგენელმა გერმანიაში, პეტრე დამიანიმ, იმის ნაცვლად, რომ დაედასტურებინა მეფის გაყრა გახრწნილ ცოლთან, პირიქით, აუკრძალა მეფეს განქორწინება და მაინცის არქიეპისკოპოსი გადააყენა ასეთი ნაჩქარავი თანხმობისათვის, რადგან „განქორწინების ნებართვა თურმე პირდაპირ პაპისაგან უნდა მომდინარეობდეს“.

ფრანკფურტში მოწვეულ ყრილობაზე პეტრე დამიანიმ ასეთი სიტყვა წარმოთქვა (ცხადია, პაპ ალექსანდრე მეორის სახელით):

„თქვენი მოქმედება საკუთარი უმწიკვლო მეუღლის მიმართ, სენიორ, არ შეეფერება არა თუ უმაღლეს მბრძანებელს, არამედ არც ერთ ქრისტიანს. ადამიანური და საეკლესიო კანონები თქვენ დაგგმობენ! ერიდეთ მათს დარღვევას! რომს თავის ხელში უჭირავს ძლიერი იარაღი, რაც იმპერატორის ძალაუფლებას წაგართმევთ. მე თქვენ გიბრძანებთ დაემორჩილოთ უზენაესი მღვდელმთავრის გადაწყვეტილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულს გვგზდით გამოვიყენოთ თქვენს მიმართ საეკლესიო კანონები მთელი მათი სიმკაცრით და წაგართვათ იმპერატორის გვირგვინი, რომლის ღირსიც აღარა ხართ, რაკი ეკლესიას გადასდგომიხართ...“

ამ თავხედური სიტყვის საპასუხოდ, რასაც ეპისკოპოსები აღტაცებულნ მისალმებით შეხვდნენ, საბრალო იმპერატორმა მორჩილად განაცხადა: „მოვითმენ ჩემს შერცხვენას და ვემორჩილები წმინდა მამის ნებას, ჩემი ხალხების ჭკუის სასწავლებლად!“

ფრიად ჭკუის სასწავლებელი ფაქტია სწორედ! კარგ ჭკუას ასწავლიდა რომის პაპი „თავის ხალხებს“. მოღალატე ცოლებს მუხლი მოუყარეთო! ეკლესია ცოლის ღალატს ნაციონალური ინსტიტუტის სახით აკანონებს და ამაღლებს! ქრისტიანებო, რომელთაც ცოლები გღალატობენ! შეუნდეთ მოღალატე ცოლებს და ზიდეთ სირცხვილის ტვირთი, რქოსნის წოდება ატარეთ მორჩილად გოლგოთის გზაზე მაცხოვრის გულისათვის: ასე ბრძანებს პაპი, ქრისტეს მოადგილე!

განა ეს ინციდენტი თვალნათლივ არ ლაპარაკობს იმ ინტრიგებზე, რომელთაც ალექსანდრე II ხლართავდა არა მარტო დიდებულ კარისკაცთა, არამედ თვით იმპერატორის წინააღმდეგ?

რაღა თქმა უნდა, შეურაცხყოფილმა და დამცირებულმა ჰენრიხმა თავისი მორჩილებით დაამტკიცა, რა ცუდად ჰქონია შესწავლილი რომის კურიის საქმეები და ტრადიციები. მას შეეძლო უფრო ხელსაყრელი და აზრიანი გამოსავალი ეპოვნა, ვიდრე თავისი ქარაფშუტა მეუღლის ბერტას ხრიკების და პაპის ქირდვის თმენა იყო. უნდა მიეწვია პეტრე დამიანი და ეთქვა: „ხვალ რომ სასახლეში გამოცხადდებით, ჩემი მოლარე გადმოგცემთ გარკვეული რაოდენობის ოქროს, რასაც ჩემი უმორჩილესი მადლიერების გრძნობით გადასცემთ მის უწმინდესობას“.

აი, ეს უფრო გონივრული გამოსავალი იქნებოდა, რაკი სხვა ღონე არა ჰქონდა, და საქმეც ყველასათვის სასიამოვნოდ გათავდებოდა. იმპერატორი საამისოდ მეტად გულუბრყვილო აღმოჩნდა.

ეპისკოპოსი გერმან ბამბერგელი, რომელიც ვითომ თანამდებობათა გაყიდვის, სისხლის აღრევისა და მისთანა ტრადიციული დანაშაულობისათვის გადააყენეს, უფრო საზრიანი და მარჯვე გამოდგა. პაპის ანათემის მიუხედავად, არხეინად განაგრძო თავისი მოვალეობის შესრულება. ალექსანდრემ რომ ამ ფშკარა ურჩობისა და ამბოხების ამბავი გაიგო, ეპისკოპოსებს ანონსა და ზიგფრიდს განკარგულება გაუგზავნა გამოცხადებულიყვნენ რომში ჯიუტ გერმანის თანხლებით, რათა დამნაშავეს მეორედ მოესმინა ანათემა მთელი ყრილობის დასწრებით. პრელატებმა თანხმობა განაცხადეს. მაგრამ წინდახედულმა გერმანმა რომში ჩაიტანა მისი უწმინდესობისათვის საკადრისი თანხა. ალექსანდრემ რიხხვა წყალობით შეცვალა და არა მარტო აღადგინა თავის ადგილზე, არამედ უბოძა ყველა პრივილეგია, რითაც არქიეპისკოპოსები სარგებლობენ თავიანთ ზაღალ კათედრაზე.

გერმანელი ბერი ლამპერტ ჰერსფელდელი, XI საუკუნის ქრონიკების, ამ მიუდგომლობით გამორჩეული მატიანის ავტორი, ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს: „წმინდა მამამ რომში მიიწვია სამი პრელატი — ჰერმანი, ანონი და ზიგფრიდი — საზეიმო ნადიმი მაქვსო. ნადიმის დასასრულს, როცა ღვინომ პაპს ლაპარაკის საღერღელი აუშალა და გულისნადები გადააშლევინა, მან აღიარა, სიმო-

ნია არ მიმაჩნიაო მიუტევებელ შეცოდებად. სიმონიასა და უზნეო სიყვარულში მხილებულ კლირიკებს მხოლოდ იმისათვის ეხსნი, რომ მერე ცოდვების მიტევებაში ფული გამოვართვაო. ამასთან პაპმა ხაზგასმით თქვა, პატივსა ვცემ ამ სასულიერო პირებს, რომლებიც მღვდლად კურთხევის შემდეგ არ იქცევიან ქვებად, სასიყვარულო თავგადასავლით იქცევენ თავს და თავიანთი სიმდიდრის გამრავლება შეუძლიათო“.

„ჭეშმარიტება ღვიძოშიაო“, იტყვიან. ამ გამოთქმის ჭეშმარიტების უფრო თვალსაჩინო დადასტურება შეუძლებელია.

გრიგოლ VII

● ტახტზე ასვლამდე გრიგოლის სახელი იყო ჰილდებრანდი. მკითხველისათვის ცნობილი ეს ბერი ფაქტიურად ბევრად უფრო ადრე იყო პაპი, ვიდრე პაპის გვირგვინს მიიღებდა, რადგან არსებითად ის განაგებდა ეკლესიას მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში. მისი შეცადინეობით აირჩიეს გრიგოლ IV, რომელმაც ტახტი იყიდა. ჰილდებრანდმა ჯერ მორჩილ იარაღად გამოიყენა გრიგოლ IV, თავისი რეფორმები ცხოვრებაში გაატარებინა, ხოლო შემდეგ თვითონვე დაამხო. მისივე ზეგავლენისა და ინტრიგების წყალობით მიიღო ტიარა ნიკოლოზ მეორემ (აქაც ობობასავით აბამდა ქსელს მომავალი მღვდელმთავარი). მანვე აიძულა კარდინალები იმპერატორის სანქციის გარეშე აერჩიათ ალექსანდრე II. მასვე სწერდა პეტრე დამიანი: „მე პატივსა ვცემ პაპს, მაგრამ შენ თაყვანსა გცემ მუხლმოყრილი. შენ მას ხბი ბატონად, ის კი შენ ვხდის ღმერთად“. შემდეგ კი უჩივის მის განუსაზღვრელ დესპოტიზმსა და უზარმაზარ პატივმოყვარეობას, „წმინდა სატანას“ უწოდებს. გვიანდელი ისტორიკოსები კი პირდაპირ „ჯოჯოხეთის მუგუზალს“ ეძახიან.

ალექსანდრე მეორის გარდაცვალების შემდეგ ჰილდებრანდმა გადაწყვიტა, ახლა კი დადგა დრო ხელში ავიღო ძალაუფლება, რასაც მრავალი წელი სხვათა სახელით განვაგებო.

როდესაც ალექსანდრეს დასაფლავების დღეს საეკლესიო დიდკაცობა წმინდა პეტრეს ბაზილიკაში შეიკრიბა, რათა განესაჯათ სა-

კითხი, თუ რომელი აეყვანათ პაპის ტახტზე ორი კანდიდატიდან: მონტე-კასინოელი აბატი დიდიე თუ კარდინალი იერონიმე, — უეცრად ქუჩაში შეძახილები გაისმა: „ჰილდებრანდი იყოს ჩვენი ეპისკოპოსი!“ „წმინდა პეტრემ აირჩია ჰილდებრანდი!“

როგორც გამოირკვა, ამ სახალხო სურვილის განმაცხადებელთ ორი მღვდელი მეთაურობდა. ბრბოში შემძვრალიყვნენ და გაიძვერა ბერის არჩევას ქადაგებდნენ. აღელვებული ხალხი ბაზილიკაში ძეიჭრა, სადაც კოლეგია შეყრილიყო — ჩლუნგ. და ბოროტმოქმედ, ხარბ და პატივმოყვარე გვამთა წმინდა სინკლიტი. ბრბოს შეუპოვარი ძოთხოვნა რომ ბოისმინეს, კარდინალებმა იქვე სასწრაფოდ შეთითხნეს და გამოაქვეყნეს დეკრეტი, რომლის ძალითაც პაპის ტახტზე ჰილდებრანდი ადიოდა.

გრიგოლ VII, წარმოშობით იტალიელი, დაიბადა ტოსკანაში 1020 წელს, მამამისი, ბონიზო, ხელოსანი იყო. მამამისს ვეძახით, სიმართლე რომ ითქვას, ფორმალური გარეგნული ნიშნების მიხედვით, ისევე როგორც ევანგელისტები იესო ქრისტეს მამად თვლიან წმინდა იოსებს, მარიამის ბეუღლეს. თუ სიმართლეს ვიტყვით, ჰილდებრანდი, მამამისის კი არა, ბიძამისის შვილი იყო. აბრიგად, ლეგენდარული მტრედის როლი გრიგოლის დედის წინაშე შეასრულა ავენტინის მონასტრის აბატმა — ძმა ბონიზომ.

თავდაპირველი განათლება გრიგოლმა თავისი ბიძის მონასტერში მიიღო, ფაქტიური მამის ხელმძღვანელობით. თხუთმეტი წლისა რომ გახდა, მამამისმა, უფრო სწორად რომ ვთქვათ. დედამისის ქმარმა, საფრანგეთში გაგზავნა, სადაც სასულიერო განათლება დაასრულა.

მომავალი მღვდელმთავარი ჰენრიხ შავის სამეფო კარზე მოეწყო და დიდ გავლენას მიაღწია. საეკლესიო წრეებში მის ცოდნასა და უნარს მაღალ შეფასებას აძლევდნენ. პაპ ლევ მეცხრესთან ერთად რომში დაბრუნებულმა მისი უწმინდესობის მრჩეველად დაიწყო მუშაობა. ამას გარდა, ლევ მეცხრემ წმინდა პავლეს მონასტერი ჩააბარა, რომელშიაც ჰილდებრანდმა უსასტიკესი დისციპლინა შემოიღო: ბერებისაგან მოითხოვდა გარეგნულად მაინც დაეცვათ კეთილმსახურთა და თავშეკავებულთა წესები. ლევ IX რომ გარდაიცვლა, ჰილდებრანდმა არქიეპისკოპოსის ხარისხი მიიღო და რამდენიმე მეფე-მთავრის კარზე წარიგზავნა, როგორც პაპის ლეგატი.

კარდინალ-სუბდიაკონი ლევ IX დროს და არქიდიაკონი სტეფანე IX დროს, შეუპოვარი ფანატიკოსი და გაქნილი დიპლომატი ჰილდებრანდი უკვე ლევ მეცხრის გარდაცვალების შემდეგ ავიდოდა პაპის ტახტზე, მაგრამ გარკვეული მოსაზრებები ჰქონდა და მხოლოდ ოცი წლის შემდეგ, ალექსანდრე II შემდეგ დათანხმდა ამ მაღალ პატივზე.

სამოცი წლის იყო ჰილდებრანდი, როცა ტახტზე ავიდა, პაპთა შორის უდიდესი და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უაღრესად კოლორიტული ფიგურა, შეუდარებელი დიპლომატი და ენერგიული პოლიტიკოსი. გრძელი და საქმიანი გზა გაიარა ბენედიქტინელმა ბერმა, აბატის ნაბუშარმა, ხელოსნის ქოხიდან პაპის ტახტამდე. წლებს დაღი ვერ დაესვათ მის ცივ შუბლზე. მისი ჭკუით საერო ძალაუფლებას ისევე ანათებს პაპის შუქი, როგორც მზე—მთვარეს. პაპს ხელთ უპყრია ორივე მახვილი — საეროც და სასულიეროც, და განაგებს ადამიანთა ამქვეყნიურ ცხოვრებას, რაც მხოლოდ სამზადისია მარადიული იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. არავის არა აქვს უფლება წიგნების კანონიზაციისა, კანონთა გამოცემისა, ეპისკოპოსთა დანიშვნა-გადაყენებისა, პაპის გარდა. არავითარი ძალაუფლება არ უნდა ზღუდავდეს ქრისტეს მოადგილის ნებას. არავითარი ოჯახი არ არსებობს მღვდელმსახურისათვის, ეკლესიის გარდა... ფანატიკურად მორწმუნე პაპს ჰქონდა საკმაო ჭკუა, რომ პაპობის ასეთი აპოლოგია გარკვეულ დამღუპველ ფილოსოფიად შეეკრა და საკმაო ნებისყოფაც, რომ თავისი პრინციპები ცხოვრებაში გაეტარებინა. საბედნიეროდ, ყველა პაპი მისებრ ნიჭიერი და საქმიანი არ ყოფილა, თორემ ცივილიზაციის საუკუნე ბევრად უფრო გვიან დადგებოდა! მხოლოდ ამ თვალსაზრისით მოიტანეს სარგებლობა გახრწნილმა და ავხორცმა, მაგრამ უსუსურმა და უმეცარმა პაპებმა.

როგორც ადამიანი, გრიგოლ VII იყო სასტიკი, ცბიერი, პირფერი, გაიძვერა პოლიტიკოსი, რომელსაც მორჩილების ნიღბით შეეძლო ადამიანი ისე გაესრისა, როგორც ობობა. თავიდანვე ოცნებობდა იმაზე, რომ ეკლესია დაემორჩილებინა პაპის აბსოლუტური ძალაუფლებისათვის, განეთავისუფლებინა ის საერო ხელისუფალთა ზეგავლენისაგან. მოკლედ, გრიგოლ VII ოცნებობდა აბსოლუტურ საეკლესიო მონარქიაზე, მსოფლიოს მომცველ თეოკრატიაზე. ამ მიზნისათვის რომ მიეღწია, არავითარი დანაშაულის წინაშე

არ იხევდა უკან, არავითარ ღალატსა და გამცემლობას არ ერიდებოდა, ამასთან მოქმედებდა კლირიკების ნაცადი იარაღით, ხმარობდა სრულყოფილად, იქნევდა ყოველ მხარეს.

მისი პონტიფიკატის მთავარ საგმირო საქმეებზე გადასვლამდე თავს ნებას მივცემთ დავიმოწმოთ მისი ზოგიერთი პრინციპი, რომლებიც თავის ფართო მიმოწერაში ჩამოაყალიბა:

„ღმერთი არის სული, ბატონობს მატერიაზე. სწორედ ასევე, სასულიერო ძალაუფლება საეროზე მაღლა დგას“.

„მხოლოდ რომის მღვდელმთავარს შეიძლება ეწოდოს მსოფლიოს მეუფე“.

„მხოლოდ რომის პაპია უცოდველი. მხოლოდ მას შეუძლია გამოსცეს ახალი კანონები, შეაერთოს ან გაყოს ეპარქიები“.

„მისი ბრძანების გარეშე ვერავითარი ყრილობა ვერ იწოდება მსოფლიო კრებად“.

„მას ვერავინ გაასამართლებს“.

„რომის ეკლესია არასოდეს არ შემცდარა და არც მოუვა შეცდომა“ (კეთილი გაკვეთილი ყველა „შეუცდომელი“ და ტვინნაღრძობი ცოდვილისათვის! ბოროტმოქმედთა წმინდა ბუნაგში თურმე არავითარი შეცდომა არ მოსვლიათ! და ეს დებულება სწორია იმ შემთხვევაში, თუ შეცდომად სიკეთეს ჩავთვლით!).

„რომის მღვდელმთავარს უფლება აქვს დაამხოს იმპერატორები“.

„მას შეუძლია გაათავისუფლოს ქვეშევრდომნი უმართებულო ხელმწიფეებისადმი მიცემული ფიცისაგან“.

„პაპი უნდა ატარებდეს იმპერატორთა ძალაუფლების ნიშნებს: ხალხებმა და მეფეებმა მუხლი უნდა მოუყარონ და ფეხებზე ეამბორონ, ქრისტიანები მოვალენი არიან უდრტვინველად დაემორჩილონ მის ნებას. ვალდებულნი არიან მოკლან თავიანთი ხელმწიფე, მამა, ღვიძლი შვილი, როგორც კი ამას პაპი უბრძანებს. ქრისტიანები მხოლოდ იარაღნი არიან პაპის ხელში“.

აი, უსაძაგლესი, უბოროტესი მოძღვრება, როგორიც კი კაცთა მოდგმის ისტორიაში ვინმეს შემოუთავაზებია! შვილს მამის მოკვლას უქადაგებენ და ამას აკეთებენ უსათნოესი რელიგიის სახელით! მერე და ღირს კი ასეთი ტირანია, ასეთი ძალადობაზე აგებული ინს-

ტიტუტი იმდენად, რომ მისი გულისათვის შვილმა მამა მოკლას, მამამ კი — შვილი?

რა თქმა უნდა, გრიგოლი არ ყოფილა ამ მოძღვრების ავტორი, ის იყო მხოლოდ ამ ძველი ტრადიციის მატარებელი და გამტარებელი. მსგავსი და იგივე აზრები ხშირად შეგვხვედრია სხვა პაპთა ეპისტოლეებში, კანონიკური სამართლის არსენალში, „ცრუ-ისიდორისეულ დეკრეტალიებში", ასე რომ ამ მასალების წესრიგში მოყვანით გრიგოლმა მხოლოდ შექმნა თეოკრატიული სახელმწიფოს თეორია, რაზედაც მისი ამდენი წინამორბედი პაპი ოცნებობდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კათოლიკურ რვაფეხას თავი მხოლოდ მაშინ გამოება, როცა გრიგოლ მეშვიდემ მისი აბსურდული გულისნადები ერთიან მოძღვრებად შეკრა და სისხლიანი საცეცები მსოფლიოს შემოახვია.

* * *

დიდიე, მონტე-კასინოს აბატი, დიდ იმედს ამყარებდა იმ არჩევნებზე, რომლებიც ალექსანდრე მეორის გარდაცვალებისთანავე უნდა შემდგარიყო. პაპის ტახტი თავისი ეგონა. ხმების უმრავლესობას უთუოდ მოაგროვებდა, ჰილდებრანდის მოხერხებული ხრიკი რომ არა. მართლაც, აბატი არ იყო ამ დიდი მღვდელმთავრის მეტოქე!

გრიგოლმა იცოდა, რომ დიდიე საშინლად შეურაცხყოფილი იყო და არჩევის მეორე დღესვე ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„პაპი ალექსანდრე ჩვენს შორის აღარ არის, ძმაო ჩემო. მისი სიკვდილი მე დამატყდა თავს, ძირფესვიანად შემაძრწუნა, უფსკრულში მაგდებს. იმ დროს, როცა მის ცხედართან სულის მოსახსენებელ სამსახურს ეწეოდნენ, ხალხში ძლიერი მღელვარება დაიწყო. რომელიღაც გაგიჟებულმა მღვდლებმა ხელი მტაცეს, ამწიეს, ლატერანის სასახლეში შემიყვანეს და მოციქულის ტახტზე დამსვეს. თავს არ მოგაბეზრებ ჩემი დარდითა და კაეშნით, ვითხოვ მხოლოდ შენს ლოცვა-კურთხევას და შენთა ძმათა ვედრებას, რათა იესო ქრისტემ გამომიწოდოს ხელი მე უბედურს, გადამარჩინოს იმ სატანჯველსა და საფრთხეს, რომელთა განრინებასაც ვისურვებდა

ჩვენ გელოდებით, ძმაო ჩემო, სასახლეში, რადგან იცი, რაოდენ ესაჭიროება რომის ეკლესიას შენი ერთგულება და სიბრძნე".

ერთი შეხედვით იტყვი, რომ ანგელოზი მოვლენია სატანების ხელით შერყვნილ ტახტს, სადაც პაპები ერთიმეორეს გლეჯდნენ. მაგრამ ეს დახვეწილი ვერაგობაა.

დიდიემ უარი არ თქვა ჰილდებრანდის ფარისეველურ მიწვევაზე, გრიგოლიც ფართოდ გაშლილი ხელებით შეხვდა და ძმურად გადაეხვია არა მარტო იმიტომ, რომ მონტე-კასინოს მონასტრის ავტორიტეტს ითვალისწინებდა, არამედ იმიტომაც, რომ მართლა საჭიროებდა აბატის სიბრძნეს და უნდოდა მისი ავტორიტეტი გამოეყენებინა, მოციქულის ტახტი ეხსნა იმპერატორის ინვესტიტურისაგან. ჯერ თავის წინამორბედთა — სტეფანე მეცხრის, ნიკოლოზ მეორის, ალექსანდრე მეორის დროს ცდილობდა ამას, მაგრამ იმ დღიდან, რაც თვითონვე გახდა პაპი, თავის პირველ ამოცანად თვლიდა ეკლესიის განთავისუფლებას ყოველგვარი ბორკილისაგან, რა მეფე და იმპერატორიც არ უნდა ყოფილიყო. ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე არჩეულმა გრიგოლ მეშვიდემ იმთავითვე გაუგზავნა გერმანიის მეფეს ლეგატის სახით დიდიე და უცნაური დავალება მისცა. თავისი არჩევის ამბავს აუწყებდა ჰენრიხ მეოთხეს და ევედრებოდა, ნუ დამამტკიცებ, რადგან ჩემი მონასტრის მყუდრო სენაკი მირჩევნია პაპის სასახლის ელვარებასო. შედეგი განსაცვიფრებელი გამოდგა. ჰენრიხ მეოთხემ ცბიერი დიპლომატის ხრიკი პირდაპირ გაიგო, ყრილობა მოიწვია, ჰილდებრანდის არჩევა უკანონობად გამოაცხადა და უარი თქვა მის დამტკიცებაზე. ფარისეველი ბერი, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ნებაყოფლობითი უარი იმპერატორს გულს აუჩუყებდა და მოკრძალებული პაპის მიმართ სიმპათიას გამოიწვევდა, ანგარიშში მოტყუვდა. გულდამშვიდებით ელოდა დამტკიცებას და სამწუხარო ამბავი კი მოვიდა. გადაყენების ცნობა რომ მიიღო, თვინიერი ბერი გაშმაგდა. საყვედურით აღსავსე ეპისტოლე გაუგზავნა დიდიეს და მოსთხოვა, ყრილობის გადაწყვეტილებას ნუ დაეძებ, ჰილდებრანდის ინტრონიზაციას მიაღწიეო იმპერატორთან.

მონტე-კასინოს აბატმა, რომელსაც ისედაც გულში ჰქონდა ჩახვეული ძველი წყენა, პაპის ტიარა რომ ხელიდან წაართვა, გრიგოლ მეშვიდეს ასეთი პასუხი გაუგზავნა: „თუ მე მეტისმეტად ნე-

ლი ვარ, შენ მეტისმეტად აჩქარებული ხარ, რადგან ალექსანდრეს დასაფლავებასაც არ დაელოდე, ძალადობით ჩაიგდე ხელში წმინდა ტახტი, რითაც დაარღვიე ყველა კანონიკური კანონი“.

ჰენრიხ მეოთხემ პაპის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა შემოწმება მოისურვა და ამ მიზნით რომში გაგზავნა გრაფი ებერჰარდი, რომელსაც დაავალა: გაიგე კარდინალებისაგან, რამ აიძულა ისინი აერჩიათ პაპი იმპერატორის ნებართვის გარეშეო. ჰილდებრანდს იმ დროს ჯერ კიდევ არ ეყო სითამამე, რომ იმპერატორთან განხეთქილებაზე წასულიყო, ებერჰარდს სამღვდელოების თანხლებით შეეგება და ფიცით არწმუნებდა, არასოდეს არ მიცდია პაპის ტახტზე ასვლა, სრულიად უდანაშაულო ვარ, ხალხმა ამირჩიაო. წინდახედულობა ახლა ნამდვილად გამოადგა. „ღმერთია მოწმე, — განაცხადა, — რომაელებმა ჩემი სურვილის წინააღმდეგ ამირჩიეს. პაპის წოდებაზე უარს ვამბობდი, მიუხედავად მთელი მათი დაჟინებისა, და შემდგომშიაც უარს განვაცხადებ მანამდე, ვიდრე გერმანიის მეფისა და სენიორას სრულუფლებიანი დელეგაცია მათს ნებას შემატყობინებსო“.

ასეთი პირფერული მორჩილებით მოტყუებულმა ჰენრიხ IV თავისი ძველი დაუძინებელი მტერი ქრისტეს მოადგილედ დაამტკიცა. ამრიგად, ჰილდებრანდმა მაინც გაიმარჯვა, და ჰენრიხ IV მალე დარწმუნდება, რა მიუტევებელი ისტორიული შეცდომაც ჩაიდინა. როგორც კი დასტური მიიღო, გრიგოლ მეშვიდემ თითქმის იმავე წუთს მოიხსნა ნიღაბი და დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა იმპერატორის წინააღმდეგ. ეს იყო აშკარა ომი პაპისა წმინდა რომის იმპერიის იმპერატორთან. ჩვენ მხოლოდ ორიოდე ეპიზოდს დავასახელებთ ამ ბრძოლიდან, რაც მათი გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა. მას იმდენი სისასტიკე და ღალატი ახლდა, რომ მათს ჭეშმარიტებაში ეჭვიც კი შეგვეპარებოდა, რომ ყოველივე ეს უტყუარი საბუთებით არ დასტურდებოდეს.

პაპი მოუთმენლად ელოდა შემთხვევას, რომ დაერტყა. ცდა დიდხანს არ მოუხდა. როგორც კი ჰენრიხს საქსონია აეშალა, გრიგოლმა ისარგებლა მეფის მძიმე მდგომარეობით, მოიწვია რომის კურიის ეპისკოპოსების ყრილობა და საზეიმო ვითარებაში განკვეთა იმპერატორი ჰენრიხ IV.

● ამავე ყრილობაზე განიხილეს ცელიბატის საკითხი: გრიგოლი აშკარად და გადაჭრით გამოვიდა მღვდელთა ქორწინების წინააღმდეგ, თანაც აცხადებდა: სისხლის აღმრევი მემრუშენი და სოდომიტები მირჩევნია იმ მოძღვრებს, რომლებიც აშკარად ქორწინდებიან და ამით ვითომ თავს იკავებენ სამარცხვინო მანკიერებისაგანო.

თვითონ პაპს სამი საყვარელი ჰყავდა, დროებით და შემთხვევით ხასებზე რომ არაფერი ვთქვათ. სამივე საყვარელი ბედუკულმართი იმპერატორის ახლო ნათესავი იყო. ერთი მათგანი ჩვენი ნაცნობი აგნესა გახლდათ, ჰენრიხ მეოთხის დედა! მეორე ბეატრისა, იმავე ჰენრიხის დეიდა, — მესამე — მატილდა, ბეატრისას ასული და გულითადი მეგობარი, ლოთარინგიის ჰერცოგის გოტფრიდ კუზიანის ცოლი.

როგორც მკითხველი ხედავს, ბედს სულაც არ უქცევია ზურგი გრიგოლისათვის, და რაკი ვენერაც ასე სწყალობდა, თვითონ მას იოლად შეეძლო კანონიერი მეუღლის გარეშეც იოლად გასვლა.

ცელიბატის — უქორწინობის მქადაგებელი და დამკანონებელი ყველაზე ნაკლებად ზრუნავდა მღვდელთა უმანკოებაზე. გრიგოლი შორს იხედებოდა. ქორწინებას რომ კრძალავდა, ამით ძალაუფლების მოყვარული პაპი ცდილობდა მხოლოდ იმ კავშირის დარღვევას, რაც სამღვდელოებასა და საზოგადოებას შორის არსებობდა, ამით უნდოდა სასულიერო წოდების გადაქცევა განსაკუთრებულ, გაბატონებულ კასტად.

„ეკლესია ვერ დააღწევს თავს საეროთა მონობას, — წერდა გრიგოლ VII, — ვიდრე სამღვდელოება არ განთავისუფლდება ქორწინების ბორკილისაგან“.

პაპმა ყველა მორწმუნეს ანათემის მუქარით აუკრძალა დასწრება ღვთისმსახურებაზე, რასაც დაქორწინებული მღვდელი აწარმოებდა, და სათანადო დეკრეტები დაუგზავნა საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, გერმანიის ეკლესიებს, საფრანგეთის სამღვდელოება არ დაემორჩილა ამ დეკრეტს და მღვდელმთავარს უაღრესად მკვახე პასუხი გაუგზავნა: „შენ ერეტიკოსი ხარ, უწმინდესო მამავ, რადგან

უაზრო და ქრისტეს მცნობის საწინააღმდეგო უზნეობას ქადაგებ“. პარიზში შეკრებილმა ეპისკოპოსებმა, აბატებმა და მღვდლებმა ყრილობა მოიწვიეს და უარი თქვეს გრიგოლ VII დეკრეტის მორჩილებაზე, რაც უქორწინობას აკანონებდა. „რაც იძას უნდა, განუხორციელებელი და გონების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაა,— ამბობდნენ. როცა ერთძა აბატმა სიტყვა წარმოთქვა და პაპის მოთხოვნის შესრულება ურჩია, ყრილობის მონაწილეებს მოთმინების ფიალა აევსოთ, „მეფის მსახურთა დახმარებით გააგდეს ღვთის კაცი; ამასთან სახეში აფურთხებდნენ და ყოველნაირად შეურაცხყოფდნენ“. კამბრეში კანონიკებმა განაცხადეს, გადაწყვეტილი გვაქვს დავიცვათ ის წესები, „რომლებიც ასე ბრძნულად დაუდგენიათ წინაპრებსო“, და ხალხიც გადაიბირეს.

რა თქმა უნდა, არც ფრანგი ეპისკოპოსების განდიდებას ვაპირებთ. არც ისინი არიან ანგელოზები. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფრანგი სამღვდელოება XI საუკუნეში ბევრად უფრო დამოუკიდებელი იყო, ვიდრე დღეს არის. ჩვენს ახლანდელ სასულიერო წოდებას ერთი სიტყვაც არ დასცდენია, როცა მარაზმის ჭაობში ჩაძირულმა პიუს IX პაპის უცოდველობისა და უბიწო ჩასახვის დოგმატები გამოაცხადა. თავიანთ წინამორბედთა ყველა ძანკიერებას ახლანდელმა კლირიკებმა უდიდესი მონურობაც დაუმატეს...

შეთქმულება
გრიგოლ VII წინააღმდ...

● პრეფექტ სტეფანეს შვილმა — ჩენჩომ, რომელიც გრიგოლმა ეკლესიიდან განკვეთა, სხვა უკმაყოფილო განკვეთილებთან ერთად შეთქმულება მოაწყო პაპის წინააღმდეგ. გრიგოლ VII ამ დროს ჰენრიხ მეოთხესთან ბრძოლით იყო გართული. ჩენჩოს არ აწყენდა ისეთი მოკავშირე, როგორიც იყო იმპერატორი, ამიტომ გონივრული ნაბიჯი გადადგა; ჰენრიხს წერილი მისწერა, გრიგოლს ხელფეხშეკრულს გამოგიგზავნიო, ჰპირდებოდა.

ამბოხება შობის კვირაძალზე იყო დანიშნული.

პაპი ჩვეულებისამებრ ღვთისმსახურებას ეწეოდა ეკლესიაში

როცა მორწმუნეები ზიარების მისაღებად მოახლოვდნენ, იარაღშემართული შეთქმულნი პაპს მივარდნენ და საკურთხეველიდან გაათრიეს. შეიქმნა ხელჩართული ბრძოლა. გრიგოლს მრავალი არასასიამოვნო ვარჯიშის გადატანა მოუხდა. ეს იყო „მოწამეობრივი გვემის“ მძიმე წუთები: შვთქმულნი თმებით ათრევდნენ, სიბრტყით სცემდნენ ხმალს და ერთი-ორჯერ ისე უთავაზეს, რომ პაპს საძუდამოდ დარჩა-შუბლზე ნაჭრილობევი. წმინდა რეგალიები შემოაგლიჯეს და უკვე ქალაქგარეთ უპირებდნენ წაყვანას, მაგრამ გრიგოლს სატანა სწყალობდა. განგაშის შედეგად ქალაქის ჭიშკრები ჩაკეტილი აღმოჩნდა. ჩენჩოს სხვა გზა არა ჰქონდა, ნაცემ-ნაგვემი პაპი ისევ თავის ციხე-სიმაგრეში წაიყვანა. გათენების წინ სამღვდელოების წაქეზებული ბრბო გარს შემოერტყა იმ კოშკს, რომელშიაც პაპი იყო ჩამწყვდეული. ჩენჩო თავს მამაცურად იცავდა. მაგრამ როცა საალყო მანქანები მოაგორეს და გრიგოლის მომხრეებმა სიმაგრის გალავანი აიღეს, ჩენჩომ სისხლისღვრის შეწყვეტა ისურვა და ტყვე პაპთან მოლაპარაკება გამართა. მოხდა შეთანხმება. პაპი დაუყოვნებლივ იღებდა თავისუფლებას, ჩენჩო კი — სრულ პატიებას. ჩენჩო შეცდა.

გრიგოლმა მაშინვე უჩვენა ყველას, რა ფასიც აქვს პაპის სიტყვას. როგორც კი ლატერანის სასახლეში შევიდა, დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა ბულა, რომლითაც ჩენჩოს სამუდამო განდევნილობა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პაპის რეფორმებით უკმაყოფილო სამღვდელოება გრიგოლ მეშვიდეს მაინც აეშალა, ბარონებსა და იმპერატორს მიემხრო, არქიეპისკოპოს გიბერტს შეუთანხმდა. ჩენჩოს ამბოხებით გამხნევებულმა და მოციქულის ტახტის დასაკუთრებით დაიმედებულმა არქიეპისკოპოსმა პაპის წინააღმდეგ ახალი შეთქმულება მოაწყო. მაგრამ თუ ჩენჩო და მისი მომხრეები რესპუბლიკური იდეებით იყვნენ გამსჭვალული, გიბერტი და მისი მომხრეები მხოლოდ თავიანთი პირადი მიზნების მიღწევაზე ფიქრობდნენ. აჯანყებულებთან შეთანხმებულმა იმპერატორმა 1076 წლის 24 იანვარს ვორმსში მოიწვია ყრილობა, რომელზედაც კარდინალმა ჰუგო თეთრმა გრიგოლ მეშვიდის წინააღმდეგ თავისი ბრალდებანი წამოაყენა. მან ყრილობას წარუდგინა საბუთები, რომლებიც ამხელდნენ პაპის მრავალ დანაშაულობას, კერძოდ მან მოწამლა თავისი შვიდი

წინამორბედი და რამდენიმე სუვერენის მოკვლა სცადა. ამას გარდა, ჰუგომ ყრილობას წაუკითხა კარდინალების, რომის სენატის წევრთა და სხვა პროვინციელ ეპისკოპოსთა წერილები.

დავიმოწმოთ ყრილობის დადგენილების ნაწილი:

„ჰილდებრანდი, რომელმაც ქედმაღლურად მიიღო გრიგოლის სახელწოდება, აბუჩად იგდებს მართლმსაჯულებას, ერთდროულად გამოდის ბრალმდებლის, მოწმისა და მოსამართლის როლში. აშორებს ცოლ-ქმარს. მეძავებს კანონიერ მეუღლეებზე მაღლა აყენებს, აქეზებს მოსახლეობას სენიორების წინააღმდეგ. სუვერენებსა და ეპისკოპოსებს აიძულებს იყიდონ რომის კურიის დიადემები (ჯიღები) და მიტრები. ვაჭრობის საგნად უქცევია მღვდლის ხარისხი, ყიდულობს პროვინციებს, ყიდის საეკლესიო წოდებებს და ცდილობს თავის საგანძურში მოუყაროს თავი მთელი საქრისტიანოს ოქროს. ამიტომაც იმპერატორის, სენიორების, პრელატების, სენატისა და ქრისტიანი ხალხის სახელით ვაცხადებთ, რომ გრიგოლი გადაყენებულია მოციქულის ტახტიდან, რომელსაც ჩირქი მოსცხო“.

როგორც ვხედავთ, თვით ეკლესიის მესვეურებმა საკმაოდ ნათლად შენიშნეს და ამხილეს „პაპთა შორის უდიდესის“ მოღვაწეობის ბნელი მხარე.

ბრალდება რომ მოისმინა, იმპერატორმა რომის ხალხსა და სამღვდელოებას მიმართა წერილით, რომელიც ასე იწყებოდა: „ჩვენ ხელში გაბარებთ ბერ ჰილდებრანდს. აღდექით მის წინააღმდეგ, და ვინც ჩვენი უერთგულესი მსახურია, პირველი ეკვეთება, გაასამართლებს და დასჯის მას. ჩვენ არ ვითხოვთ მის სისხლს, ჩვენი სურვილია მხოლოდ ის, რომ ეს საზიზღარი ადამიანი განიდევნოს მოციქულის ტახტიდან, რადგან დამხობის შემდეგ მის სიცოცხლეს სიკვდილი ემჯობინება“.

ამის შემდეგ იმპერატორმა პაპს ასეთი ეპისტოლე გაუგზავნა: „ჰენრიხი ,მეფე არა ძალადობით, არამედ უფლის ნებით, ჰილდებრანდს, — აწ უკვე არა პაპს, არამედ ცრუ ბერს... ანათემას გადაცემულო, ჩვენი ეპისკოპოსების განაჩენით გადაყენებულო, — განვედი! დატოვე ძალით აღებული ადგილი, რათა წმინდა პეტრეს ტახტზე ავიდეს სხვა, ვინც სარწმუნოების საფარველს ქვეშ ძალადობას არ დამალავს...“

ეს ეპისტოლე რომში წაიღო პარმის მღვდელმა როლანმა, ნა-

ცვლად იმპერატორისა, რომელსაც გრიგოლ VII იბარებდა. როლანი რომში ჩავიდა სწორედ ყრილობის მსვლელობის დროს, პირდაპირ. პაპთან მივიდა, ამაყად უთხრა: „ჩემი ბატონი იმპერატორი, აგრეთვე გერმანიისა და იტალიის ეპისკოპოსები გიბრძანებენ დატოვო მოციქულის ტახტი, რაც ურიცხვი დანაშაულით შებილწე და შეარცხვინე“. შემდეგ ხალხსა და სამღვდელოებას გამოუცხადა, სამებისათვის ახალი პაპი უნდა იქნას არჩეულიო.

მაგრამ გრიგოლთან ხუმრობა ადვილი არ იყო. ვერ მოასწრო როლანმა სიტყვის დაძთავრება, რომ კრეფექტმა ის დააპატიმრა და თვითონ პაპი რომ არ ჩარეულიყო, რომაელი ჯარისკაცები იქვე სულს გააცხებინებდნენ. ცხადია, გრიგოლ მეშვიდეს, როგორც დახელოვნებულ დიპლომატს, ესმოდა, რომ საჯარო თვითგასამართლება და ანგარიშის გასწორება მისთვისვე არ იყო ხელსაყრელი. პათეტიკურ სიტყვაში მორწმუნეებს უქადაგებდა „მორჩილად გადაეტანათ უფლის კანონის მოღალატე გიჟების შეურაცხყოფა“.

ომის გამოცხადებაზე გრიგოლმაც ომითვე უპასუხა: იმპერატორი ჰენრიხ IV და მისი თანამოაზრეები დამხობილად გამოაცხადა, ამასთან გამოიყენა თავისი უფლება მეფედ კურთხევისა და ტახტის წართმევისა. ამრიგად, ჰენრიხ IV გადაყენებული აღმოჩნდა: „...ღვთისაგან ბოძებული ძალაუფლების ძალით ვათავისუფლებ ყველა ქრისტიანს, რომელსაც ფიცი ერთგულებისა მიუცია ან ამიერიდან მისცემს, და ვუკრძალავ ყველას ემსახუროს მას, როგორც მეფეს“.

მაგრამ გრიგოლ VII არ აპირებდა მარტო სიტყვით დაკმაყოფილებას.

ჰენრიხ IV კანოსაში

❸ მეფისა და პაპის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. გამარჯვება რიგრიგობით რჩებოდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. გრიგოლი არ ერიდებოდა არავითარ ღონისძიებას, მიმართავდა განკვეთას, ანათემას, და თუ საქმეს არც ეს შველოდა, მომწამვლელს უგზავნიდა იმპერატორს.

ჰენრიხიც თავის მხრივ გრიგოლთან ბრძოლაში გერმანელ მთავრებს ეყრდნობოდა. მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო ძლიერხი დააფრთხო ჰენრიხის გამარჯვებამ საქსონიელებზე, ამიტომ პაპსა და მეცის ეპისკოპოს ჰერმანს შეუთანხმდნენ. ამრიგად, როცა საქსონია ხელახლა აღდგა, ჰენრიხი მარტო აღმოჩნდა.

1076 წლის სექტემბერში პაპმა წერილით მიმართა გერმანიის ეპისკოპოსებსა და ყველა მორწმუნეს. მისი სამოქმედო გეგმა ასეთი იყო: თუ ჰენრიხს დამორჩილება სურს, გულწრფელობა უნდა გამოიჩინოს და ამიერიდან ეკლესიას უნდა მოექცეს „არა როგორც მოახლეს, არამედ როგორც ქალბატონს". ხოლო თუ ჯიუტობას განაგრძობს, მაშინ აირჩიონ სხვა მეფე, რომელსაც მღვდელმთავარი დაამტკიცებს.

როდესაც პაპის დესპანები იმპერატორთან გამოცხადნენ, ხელმწიფემ მოლაპარაკების გამართვა სცადა, მთავრებთან შეთანხმებით განვაგებო ქვეყანას, მაგრამ დესპანებმა არ მოუსმინეს და გადაჭრით განუცხადეს, თუ 22 თებერვლამდე მეფე არ იქნება პაპისაგან შეწყალებული, მას გადააყენებენ, მანამდე კი შპაიერში წავიდეს და ძალაუფლებაზე უარი თქვასო.

ჰენრიხი თითქოს დამორჩილდა პაპის დესპანთა ნებას, — დრო უნდა მოეგო, რომ ამბოხებულ მთავრებთან ბრძოლის ღონისძიება გამოენახა. მაგრამ მეფის მდგომარეობა ტრაგიკული იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ყრილობა უნდა შემდგარიყო გრიგოლ მეშვიდის მეთაურობით. ჰენრიხს ესმოდა, რომ თუ ყრილობა შედგებოდა, მისი საქმე წასული იყო. ის უეჭველად დაიღუპებოდა. რამენაირად ხელი უნდა შეეშალა პაპის ჩამოსვლისათვის. როგორც კი გაიგო, რომ ჩრდილოეთ იტალია მისკენ იყო, დაუყოვნებლივ დატოვა შპაიერი, თან იახლა ცოლი ბერტა, მცირეწლოვანი შვილი კონრადი, და ბურგუნდიაში გაეშურა. მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი, არაჩვეულებრივად ცივი ზამთარი იყო, თოვლიანი უღელტეხილები გაიარა და პავიას მიაღწია.

მეფემ იმისათვის კი არ დატოვა გერმანია, რომ დაეწყო ომი, რომლის საეჭვო დასასრული ძალიან აშინებდა, — არა, უწინარეს ყოვლისა უნდოდა პაპსა და გერმანელ მთავრებს შორის განხეთქილება ჩამოეგდო. უნდა ეჩქარა, ვიდრე რომიდან გასული პაპი კანოსაში იმყოფებოდა, თავისი მოკავშირისა და საყვარლის, გრაფის ქალ

მატილდას კოშკში. იმპერატორს, ეტყობა, იმედი ჰქონდა, რომ მატილდა, რომელიც მისი ნათესავი იყო, ყველა ღონისძიებას იხმარდა, რათა პაპი და იმპერატორი შეერიგებინა. მაგრამ ტყუილად გაისარჯა ჰენრიხი. პაპმა არ მიიღო.

იყო თუ არა პაპისათვის იმპერატორის ჩამოსვლა მოულოდნელი? რა პირობები უდა წაეყენებინა ჰენრიხისათვის? ორი მთავარი მემატიანე, ბენონოლდი და ლამპერტი, სხვადასხვა აზრისანი არიან, მაგრამ ერთ რამეში სრული თანხმობა აქვთ: სამი დღე ელოდა ფეხშიშველა მეფე პაპის შეწყალებას, იდგა თოვლში ალაყაფის კარებთან, უჭმელ-უსმელი, და ელოდა. ბოლოს, მეოთხე დღეს, დასრულდა ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული დამცირება. პაპმა მიიღო მავედრებელი იმპერატორი და მოხსნა განკვეთა. მეფემ წინასწარ ფიცი მისცა, გერმანელ მთავრებსა და ეპისკოპოსებს შეეურიგდებიო, ამასთან ვალდებულებას კისრულობდა, ხელს არ შეგიშლი, როცა გერმანიაში ჩამოსვლას მოისურვებო.

გრიგოლმა იმავე დღეს შეატყობინა მოკავშირეებს, რაც მოხდა. მოხდა კი პაპის უდიდესი გამარჯვება საერო ხელისუფლებაზე. სამი დღე იცდიდა კარებთან მშიერი და ფეხშიშველა იმპერატორი, პაპი კი თბილ სიმაგრეში მის ნათესავ ქალთან ნებივრობდა. პაპი ჯერ მეფის დამცირებას აღწერდა, მერე კი დასძენდა: „ყველა ირგვლივ მყოფი ცრემლმორეული შუამდგომლობდა, უკვირდათ კიდეც, რომ ჩვენ ვამჟღავნებდით არა ეკლესიის სასახურის სიმკაცრეს, არამედ ტირანის სისასტიკეს“.

როგორც ზოგიერთი მემატიანე მოგვითხრობს, გრიგოლმა ჰენრიხის დასწრებით წირვა გადაიხადა. როცა მოსაკითხი აკურთხეს, პაპმა მეფეს ასეთი სიტყვებით მიმართა: „დიდი ხანია ვიღებ შენგან და შენი მიმდევრებისაგან წერილებს, რომლებშიაც ბრალსა მდებთ მრავალ დანაშაულში და მიმტკიცებთ, რომ მათი ჩამდენი ღირსი არ არის საეკლესიო წოდებისა. აი ქრისტეს სხეული, რომელსაც ახლა ვეზიარები... თუ ბრალი არ მიძღოდეს, უზენაესმა მეუფემ მიხსნას ეჭვებისაგან, რომ ასეთ დანაშაულთა ჩამდენი ვარ, რასაც მწამებთ. ხოლო თუ დამნაშავე ვარ, ანაზდეულად მომეკვდინოს“.

მისმა უწმინდესობამ ახლა მეფეს შესთავაზა იგივე გამოცდა, მაგრამ მეფეს შეეშინდა, უარი თქვა.

დამტკიცებული არ არის, მართალია თუ არა ეს დრამატული

ეპიზოდი, მრავალი საეკლესიო მოღვაწე ამაში ხედავდა იმპერატორის მივრ თავისი დანაშაულობის აღიარებას. სინამდვილეში კი ამ გულუბრყვილო ავტორებს ავიწყდებათ, როგორ ხშირად ქცეულა ღვინო ეკლესიის მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორების უტყუარ საშუალებად. შესვამდა, მიიცვლებოდა, ღმერთს დაბრალდებოდა. ჩანს, ჰენრიხი არც ისე ბრიყვი ყოფილა.

პაპის ჯოჯოხეთური ხრიკი

● ჰენრიხ მეოთხემ კანოსაში თავი მოუხარა პაპს, ქოში დაუკოცნა დაუძინებელ მტერს, მაგრამ მძიმე დამცირებამ ვერ მოუტანა ვერც ერთი სიკეთე, რისი იმედიც ჰქონდა. პაპის მტრები ჩრდილოეთ იტალიაში აღშფოთებული იყვნენ მეფის საქციელით, და ასეთ დამამცირებელ შერიგებაში ღალატს ხედავდნენ, მეტს არაფერს.

ფორხჰაიმის საეკლესიო ყრილობაზე, სადაც პაპის მიწვევის მიუხედავად მეფე არ წასულა, გრიგოლ მეშვიდის მომხრე საქსონიელებმა და შვაბებმა მეფედ რუდოლფ შვაბი აირჩიეს. ახალ მბრძანებელს მთელი იმპერიის მორჩილების იმედი არა ჰქონდა: გერმანელ მთავართა უმრავლესობა მის წინააღმდეგ იყო განწყობილი და პაპის დამქაშთა იმპერატორი იძულებული გახდა საქსონიაში გახიზნულიყო. თავდაპირველად გრიგოლი ვითომ ყოყმანობდა და ვერ წყვეტდა, რომლის მხარე დაეჭირა. იმასაც კი ამბობდა თავისთვის, გერმანიაში უნდა ჩავიდე და გავარკვიო, რომელი მხარეა მართალი ამ დავაშიო, თუმცა ყველამ იცოდა, რომ რუდოლფის არჩევის მთავარი სულისჩამდგმელი იყო თვითონ პაპი—დიდი დიპლომატი, რომელიც თავის თეორიას ახლა საქმით ახორციელებდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, როცა დიდი ხნის ნანატრი ცნობა მიიღო—რუდოლფმა მიულჰაუზენთან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვაო, პაპი მაშინვე დაფაცურდა, რუდოლფს მიემხრო და გამოაცხადა, რომ ჰენრიხი კარგავს ძალაუფლებას, მასთან მეფის წოდებასო. მაგრამ ბრძოლის ველზე ბედი ცვალებადია, ელსტერის სანაპიროზე გამართულ ბრძოლაში რუდოლფი სასიკვდილოდ დაიჭრა და ჰენრიხის ტახტის მოცილე გარდაიცვალა

უმალ, ვიდრე ბრძოლის ველზე დაცემულთა სისხლი გაცივდებოდა. ეს მოხდა 1080 წელს. პაპის ბედის სასწორი სწორედ მაშინ გადაიხარა, როცა საზეიმოდ ემზადებოდა.

ჰენრიხმა ისევ დაამარცხა პაპი როგორც იტალიაში, ისევე გერმანიაში და ერთიმეორის მიყოლებით დაუბრუნა ყველა დარტყმა, რაც ოდესმე მისგან მიუღია. ისე, როგორც გრიგოლი ანტიმეფეებს უპირისპირებდა, ახლა ჰენრიხმაც გადაწყვიტა გრიგოლისათვის ანტიპაპები დაეპირისპირებინა. მან მოკლე ხანში მნიშვნელოვანი არმია შეკრიბა და რომს ალყა შემოარტყა. იმდენი ფული მიაყარა, რომაელებმა ჭიშკარი გაუღეს, და არქიეპისკოპოს გიბერტის თანხლებით იმპერატორი ლატერანის სასახლეში შებრძანდა. ახლა გრიგოლის ქოშის კოცნას აღარ აპირებდა.

მას შემდეგ, რაც წმინდა ტახტზე გიბერტი ავიდა — კლიმენტი მესამის სახელწოდებით, — ახალმა პაპმაც თავის მხრივ ჰენრიხ მეოთხეს თავზე დასავლეთის რომის იმპერიის გვირგვინი დაადგა.

წმინდა ანგელოზის ციხეში გამომწყვდეულ და ალყაშემორტყმულ გრიგოლ მეშვიდეს ჯერაც არ ჰქონდა ნათქვამი თავისი უკანასკნელი სიტყვა. რაკი დარწმუნდა, რომ მისი მომხრეები ვერაფერს გახდებოდნენ იმპერატორის ძლიერ არმიასთან, პაპმა წუნარად მოიფიქრა ჰენრიხ მეოთხის მოკვლის გეგმა.

ჯაშუშებმა შეატყობინეს, რომ იმპერატორი ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ეკლესიაში ლოცულობდა. პაპმა გადაიბირა კარდინალი, რომელიც ამ ბაზილიკას განაგებდა. სასულიერო მბრძანებლის მითითებით, ეკვდერის თაღში, სწორედ იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ჩვეულებრივ იმპერატორი იდგა, ხვრელი გააკეთეს და დიდი ლოდით შენიღბეს. თოკის შემწეობით ამ ლოდის გადმოგდება ადვილად შეიძლებოდა. კაცი, რომელიც ხსენებული ხვრელის ქვეშ იდგა, წიწილასავით გაისრისებოდა. როცა სამზადისი მოთავდა, კარდინალმა შესაფერისი მომენტის ლოდინი დაიწყო. ეს მომენტიც დადგა. ერთხელ, როცა იმპერატორი მუხლმოყრილი ლოცულობდა, იგრიალა ქვამ და ეკვდერის იატაკზე დავარდა. მაგრამ კარდინალს ხელში მხოლოდ თოკი შერჩა. ალბათ დაცემის ადგილი სწორად ვერ გაიანგარიშეს, ან ალბათ მეფე არ იდგა აჩემებულ ადგილზე, — ყოველ შემთხვევაში, მარტივი ფანდი მარცხით დამთავრდა, ჰენრიხ IV უვ-

ნებელი დარჩა. უზარმაზარი ლოდი მის ფერხთით დაიმსხვრა, და მეფე მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა ნატეხებით. კარდინალმა, ვინც თავისი ხელით ჩამოსწია თოკი, ნახა, რომ ხრიკი არ გამოვიდა, იბრუნა პირი და გაქცევა სცადა, მაგრამ მეფის მცველებმა იქვე შეიპყრეს და სასიკვდილოდ განგმირეს, რითაც დაამტკიცეს, რომ არც იმპერატორთან ხუმრობაა იოლი. კარდინალის გვამი ჯერ საკურთხევლის საფეხურებზე ეგდო, მერე ქუჩაში გადაათრიეს და ნაგავში დადეს ძაღლების საძიძგნად.

როგორც ვხედავთ, უძლიერესი პაპი — მკვლელი, გრიგოლ VII, როცა საჭიროდ თვლიდა, ოინებსაც აწყობდა.

ჰენრიხი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ პაპი ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც არავითარი დანაშაულის წინაშე არ იხევენ უკან, ოღონდ თავიანთ მიზანს მიაღწიონ, და დღესა თუ ხვალ ან შხამით მოუღებენ ბოლოს, ან სადმე კუთხეში დაჭირავებული მკვლელი გამოუხტება, რომ გულში მახვილი ჩასცეს, ამიტომ ყველაზე უფრო კეთილგონივრულად მიიჩნია რომიდან გაცლა. გარდა ამისა, პაპის საყვარელი, მეომარი ქალი მატილდა, ლომბარდიაში შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა თავისი ნათესავის წინააღმდეგ. ჰენრიხმა სასწრაფოდ მიატოვა რომი და თან იახლა ანტიპაპი კლიმენტი III, რომელიც, ცხადია, გრიგოლს ვერ გაუმკლავდებოდა.

გრიგოლმაც გაითვალისწინა, რომ მისი მომხრეების რიგები რომში შეთხელდა, ამიტომ დახმარებისათვის რობერტ გუისკარს მიმართა. ვინა გგონიათ რობერტ გუისკარი? გერმანელ მეკობრეთა მთელი არმიის ბელადი. მართლაც, მისი დიდძალი მხედრიონი, ფეხოსანი თუ ცხენოსანი, ქრისტიანი თუ სარკინოზი, რომისაკენ დაიძრა ეკლესიის დასახსნელად. მოსახლეობა თავის დაცვას შეეცადა, მაგრამ ნორმანთა ჰერცოგმა რამდენიმე დღის შემდეგ შეძლო ქალაქში შეჭრა. „პაპთა შორის უდიდესის“ სურვილი ასრულდა. ბედის ანაბარა მიტოვებული რომი ნორმანთა და სარკინოზთა ურდოებმა გათელეს, ააოხრეს, ხოცვა-ჟლეტისა და ხანძრების ასპარეზად აქციეს მარადიული ქალაქი. მთელი უბნები აღგავეს პირისაგან მიწისა ნორმან ავაზაკთა მოთარეშე რაზმებმა. ათასობით რომაელი მონად გაყიდეს.

გრიგოლ VII, წყევლით მოსაგონებელი ღვარძლიანი ტირანი, მისი მიზეზით აოხრებულ ქალაქში ვეღარ გაჩერდა, გაპარტახებულ-

გავერანებულ რომში მის ფეხქვეშ მიწა იწვოდა, მისებრ ავაზაკ გუ-ისკარს აედევნა, სალერნოში გადავიდა, სადაც ეყო თავხედობა მოე-წვია ახალი საეკლესიო კრება და ანათემა გამოეცხადებინა ჰენ-რიხ მეოთხისათვის, კლიმენტი მესამისა და მათი მომხრეებისა-თვის.

რამდენიმე თვის შემდეგ ჰენრიხIV თავისი არმიით დაბრუნდა რომში (სწორედ ანათემის ღირსი იყო, ამ ტიაროსან ავაზაკს აქამდე ვერ გაუსწორდა). მხოლოდ ძალის გამოყენებით მოახერხა ტახტზე თავისი პაპის კლიმენტი მესამის დაბრუნება.

რაც შეეხება გრიგოლს, მან ამჯერად ველარ გაუძლო თავისი იდეალების დასამარებასა და მოსისხლე მტრის ზეიმს, და ლოგინად ჩავარდა. საბედნიეროდ, სიმწარეში აღმოჰხდა ცოდვილი სული. ამ სიმწარის სიმწვავეს მისი უკანასკნელი წუთიც მოწმობს. სულთმო-ბრძავს რომ სულიერმა მამამ სთხოვა, შეიწყალე შენი მტრები და მოხსენი წყევლაო, განდევნილმა მღვდელმთავარმა ხრენწიანი ხმით თქვა, რომ წყევლის ჰენრიხს, ანტიპაპ გილბერტს და იმ არამზადებს, რომლებიც მათ მხარს უჭერენ. ვერ შეუნდო! მართლმორწმუნე ბერ-ში ადამიანურმა ბრაზმა გაიმარჯვა.

გრიგოლ VII გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, ტახტზე 12 წლის მბრძანებლობის შემდეგ, 1085 წლის 25 მაისს. სალერნოში განისვე-ნა და იქვე დაასაფლავეს.

წმინდა მოციქულის რომაულ-კათოლიკურმა ეკლესიამ გადა-წყვიტა, რომ ბოროტმოქმედმა — დამნაშავემ, გრიგოლ მეშვიდედ სახელდებულმა, თავისი ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობის გან-მავლობაში შარავანდედი დაიმსახურა. ჩვენ რა გვეთქმის, თვითონ უკეთ იციან!

სასწაულთმოქმედი ტიარა

● საეკლესიო ისტორიოგრაფებმა, ეტყობა, მცირე ჯაფა როდი გა-სწიეს, რომ ეს პაპი გაემართლებინათ, რაიმე საგმირო საქმეები მა-ინც მიეწერათ მისთვის, ჩადენილ დანაშაულობათა გარდა. ასე, ზო-გიერთი მათგანი ამტკიცებს, გრიგოლ VII სასწაულმოქმედის უნარს

ფლობდაო, და არა მარტო ახდენდა სასწაულებს, არამედ ამის უნარს ანიჭებდა უსულო საგნებსაც. ამ მხრივ კანონიკი პავლე, გრიგოლ მეშვიდის ცხოვრების ერთ-ერთი, მემატიანე, ძალიან საინტერესო ფაქტს მოგვითხრობს. — სრულიად ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მოცემულ მოთხრობაში არაფერი არ ჩაგვიმატებია — ასეთი სიუჟეტები მხოლოდ იმ კლერიკების თავში იბადება, რომელთაც ტვინის ანთება აქვთ.

ამრიგად, ვინმე უბალდი, მანტუის ეპისკოპოსი, თურმე უაღრესად უბიწო ცხოვრებას ეწეოდა, როგორც სოდომიტების კანონი ითხოვს. კაცს მხოლოდ კაცები უნდა უყვარდეს, ქალი რა საკადრისია! ბოლოს და ბოლოს საცოდავი პრელატი დასნეულდა. უცნაური და მტანჯველი სენი შეეყარა. გამოცდილმა ექიმმა მისი წყლული გასინჯა, მიზეზი გაიგო და ხელი ჩაიქნია, ვერაფერს ვერ გიშველიო. ეპისკოპოსმა მთელი იტალიის ექიმები შეაწუხა, ყველგან იყო და კონსილიუმებიც კი დანიშნა, მაგრამ ექიმთა მთელი მეცადინეობის მიუხედავად უწინდელზე უფრო იტანჯებოდა. ღვთისნიერი კაცი იყო, დაუზარებლად ლოცულობდა, ღმერთს შეწევნას სთხოვდა და ბოლოს უზენაესმა უსმინა კიდეც, ზეშთაგონებით მხნეობა ჩაუნერგა, განგების ნების მორჩილმა გრიგოლ მეშვიდეს ტიარა სთხოვა, მტკივნეულ ადგილზე მიიდო—იქ, სადაც უბრალო ქუდსაც კი არავინ იკარებს, მოციქულის გვირგვინს კი არა. რა თქმა უნდა, ამ რიტუალის შესრულების დროს ყველა-წესი შეასრულა, რაც კი წმინდა თავსარქმელს ეკადრებოდა. განა მტკიცება უნდა, რომ რაწამსაც უკანალზე გრიგოლ მეშვიდის ტიარა მიიდო, ეპისკოპოსის წყლული მაშინვე განიკურნა? და განა მარტო ეს ერთი მაგალითი არ კმარა გრიგოლის კანონიზაციისათვის?

სამოქალაქო ომები
სამეფო და სამოციქულო ტახტებზე

● ტახტისა და საკურთხევლის დავა გრიგოლ მეშვიდის გარდაცვალებით არ დამთავრებულა. მისი მომხრეები არც ახლა ცნობდნენ კლიმენტი მესამეს. მათ თავიანთი კანდიდატი წამოაყენეს — ჩვენთვის უკვე ცნობილი დიდიე, რომელიც სიკვდილის სარეცელზე

გრიგოლმა თავის მემკვიდრედ დანიშნა. მაგრამ პატივცემულ აბატს მოციქულის ტახტზე ასვლა არ ეწერა. ამ დროისათვის უკვე ავად იყო და სიკვდილის წინ დაასახელა პრელატი ოსტია ოტონი, როგორც მოციქულის ტახტის ყველაზე უფრო ღირსეული კანდიდატი. ოტონი მღვდელმთავრად იქნა გამოცხადებული, განსვენებულის ხსოვნის საპატივცემოდ, და ეწოდა ურბან II. ერთი მემატიანის ცნობით, ჯერ კიდევ არქიდიაკონობის დროს ოტონმა რამდენიმე წელი გაატარა კლუნის სააბატოში, სადაც სიჭაბუკის ცოდვებს ინანიებდა (თურმე სენაკში წაუსწრეს ერთ ახალგაზრდა პირმშვენიერ მონაზონთან, რომელიც მეტისმეტად ინტიმურ ვითარებაში აძლევდა... აღსარებას).

სიმართლე
ჯვაროსნულ ომებზე

❂ მემატიანეთა სიტყვით, ჯერ კიდევ 1074 წელს გრიგოლ მეშვიდეს გამოუთქვამს სურვილი „პირადად გაძღოლოდა ქრისტიანრაინდებს უფლის მტერთან საბრძოლველად იესოს საფლავამდე". მაგრამ გერმანიის იმპერატორთან ომი გაჭიანურდა და ურჯულოებისათვის სად მოიცლიდა! ურბან მეორეს, რომელიც საფუძვლიანად გაბმაგრდა არა მარტო რომის ტახტზე, არამედ მთელს იტალიაშიც, დაბოლოს შეეძლო გრიგოლ მეშვიდის დიდი ხნის ოცნებისათვის ფრთები შეესხა. გარდა ამისა, ალექსი კომნენი, ბიზანტიის მაშინდელი იმპერატორი, პაპს დაჰპირდა, მოციქულის ტახტს დავუმორჩილებ ჩემი იმპერიის მთელს ეკლესიას, თუ წმინდა მამა დასავლეთის სახელმწიფოებს დაიყოლიებს და გაიყოლიებს ურჯულოებთან საომრად, რათა იხსნან მაცხოვრის საფლავიო. სარფიანი გარიგებით გამხნევებული ურბან II ორმაგი გულმოდგინებით შეუდგა დიდი ხნის წინ მოფიქრებული განზრახვის განხორციელებას.

ურბან II საფრანგეთში ჩავიდა, კლერმონის სახელგანთქმულ საეკლესიო ყრილობა მოიწვია, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება პირველი გიეური და დანაშაულებრივი ლაშქრობის მოწყობის შესახებ, რომელიც ცნობილია ჯვაროსნული ომების სახელწოდებით.

როცა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, პაპმა ღია ცის ქვეშ შე-

მოიკრიბა ურიცხვი, მრავალათასიანი ბრბო და წარმოთქვა თავისი მგზნებარე, დემაგოგიური და მეომრული სიტყვა, რომლითაც რაინდებს მოუწოდებდა, დაიცავით ქრისტეს სამარეო.

— არ დაივიწყოთ, — შეჰყვირა ბოლოს, — რომ ღმერთი ჩემი პირით გამარჯვებას გპირდებათ და გაძლევთ ურწმუნოთა ურიცხვ საქონელს. ყველა, ვინც უფლის ეკლესიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში წავა, მოწამის გვირგვინს მიიღებს და ცოდვების სრულ მიტევებას დაიმსახურებს.

პაპმა ლაშქრობის ბრძანებაც გამოსცა: ვერავინ მიეკარება იმ სენიორთა სამფლობელოებს, რომლებიც წმინდა ლაშქრობაში მიდიან, ვერავითარი მევალე ვერ დაუწყებს მათ დევნას. ყველას, ვინც ხელჰყოფს რაინდთა ქონებას, განკვეთა ელის.

რად გინდათ მტკიცება, მღვდელმთავრის სიტყვა უდიდესი აღფრთოვანებით მოისმინეს. პაპი რომ თავისი კურთხევის გარდა წინასწარ იძლეოდა ცოდვების მიტევებას ყველა დანაშაულის, ძარცვა-რბევისა და მკვლელობისათვის, რაც ჩაუდენიათ ქრისტეს რაინდებს ან რასაც ჩაიდენენ მომავალში! ბრბოში გაისმა შეძახილები და ღაღადისი: „უფლის ნებაა! უფლის ნებაა!“ ეს გახდა ჯვაროსანთა საბრძოლო შეძახილი.

არსებობს რამდენიმე წლით გვიან შექმნილი ლეგენდა, რომ ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი იყო პეტრე მეუდაბნოე, რომელმაც თითქოს დაარწმუნა პაპი, რომ ამ საქმეს გაძღოლოდა. იერუსალიმში მიმლოცველობის დროს თურმე წმინდა კუბოს ეკლესიაში ჩაეძინა და ძილში გამოეცხადა მაცხოვარი, რომელმაც თითქოს ასე უთხრა: „პეტრე, ძვირფასო შვილო ჩემო, წადი შენს პატრიარქთან და უამბე შენს მამულში ქრისტიანთა დევნის ამბავი, დაითანხმე მორწმუნენი და წამოიყვანე, რათა წარმართებისაგან იხსნან იერუსალიმი“. პეტრე მეუდაბნოე რომში დაბრუნდა და პაპს ყველაფერი უამბო.

ისტორიკოსი ჟიურიე ამტკიცებს, რომ პეტრე არასოდეს არ ყოფილა მეუდაბნოე და არ უნახულებია „წმინდა“ ადგილები, არამედ იყო მხოლოდ და მხოლოდ პაპის აგენტი, არჩეული წმინდა საღვთო ომის მქადაგებლად, როგორც თამამი და მჭევრმეტყველი კაცი. „პეტრემ, — დასძენს ისტორიკოსი, — ფულის მოზრდილი თანხა მიიღო იმისათვის, რომ შესძლო ხალხის გაბრიყვება და სალაშქ-

როდ წაასხა ქანაანის მიწაზე, რაც სამასი წელი ირწყვებოდა ჯვაროსან ფანატიკოსთა სისხლით“.

არასოდეს არ მომხდარა იმდენი სასწაული, რამდენიც იმ ეპოქაში. შიმშილ-წყურვილით არაქათგამოცლილ და გაბრუებულ ადამიანებს მარხვა და ლოცვა ხშირად გადაიყვანდა ხოლმე მოჩვენებათა სამყაროში. ასე, ერთ მღვდელს ძილში ანდრია მოციქული გამოეცხადა და აჩვენა ეკლესიაში ადგილი, სადაც ვითომ ჩამარხულია შუბი, რითაც ქრისტე განგმირეს. ამ შუბით შეიძლებაო ურჯულოებზე გამარჯვება. როცა შუბი მონახეს, ბევრმა დაიწყო მტკიცება, მღვდელმა შუბი თვითონ ჩამარხაო. მღვდელმა ღვთის სამსჯავრო ითხოვა და დაიფიცა: მოგიზგიზე ცეცხლის ალში გავალ შუბით ხელში და ჩემს სიმართლეს დავამტკიცებო. ღვთის სამსჯავროს კი გაუძლო, მაგრამ თითქმის მაშინვე მოკვდა. მღვდლები ამტკიცებდნენ, იმიტომ დაიღუპა, რომ სადღაც ერთი წუთით თავის რწმენაში ეჭვი შეეპარაო. მაგრამ შუბი კი წმინდა რელიქვიებს მიათვალეს.

მეორე მემატიანე მოგვითხრობს: აუტანელ პაპანება სიცხეში, როცა სასმელად კაცი ვერაფერს იპოვნიდა, ორიოდე აყროლებული გუბის გარდა, ჯვაროსანთა საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად ერთმა მღვდელმა მათ უბრძანა, ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყვეთო ქალაქის გარშემო: ასე ურჩია თურმე რომელიღაც წმინდანმა, რომელიც ძილში გამოეცხადა. ჯვაროსნებმა სამჯერ ფეხშიშველა შემოურბინეს ქალაქს, მერე კი შეიარაღებულნი ეკვეთნენ მეჩეთს, სადაც მუსულმანები იმალებოდნენ. „სისხლი მუხლებამდე სწვდებოდა ცხენზე მჯდომ რაინდს. ერთი წუთით შეწყვიტეს სვრემა“, რათა წმინდა სამარეზე მუხლი მოეყარათ, შემდეგ კი ისევ მიჰყვეს ხელი ძარცვა-რბევასა და ხოცვა-ჟლეტას“.

გარდა ფანატიზმისა და ცრუმორწმუნეობისა, რითაც სამღვდელოება ჯოჯოხეთურ სპეკულაციას აწარმოებდა, სხვა წანამძღვრებიც იყო ამ „წმინდა საქმეში“. ყოველ შემთხვევაში, როგორც ერთი ისტორიკოსი შენიშნავს, „თუ ზოგიერთი ჯვაროსანი მართლა ცდილობდა ქრისტეს საფლავისათვის მიეღწია, რათა თავისი ვალი მოეხადა, მათი ბელადები, პირიქით, იმას ცდილობდნენ,. რომ მებრძოლთა მარჯვენა გამოეყენებინათ და აღმოსავლეთში თავისთვის სამთავროები შეექმნათ. ადამიანთა უმრავლესობა აღმოსავლეთში მხოლოდ ძარცვის სიყვარულს მიჰყვებოდა, ან აზიაში იმისათვის მიდიოდნენ, რომ სამშობლოში წასართმევი აღარაფერი დარჩა“.

ერთი კათოლიკე ავტორი გვიმტკიცებს: „ჯვაროსანთა ლაშქრის ეს ბანდები შედგებოდნენ ავანტურისტების, ფიცისგამტეხთა, გახრწნილთა, ავაზაკთა და მკვლელთაგან. ძარცვა-რბევა შეადგენდა მათთვის ამ წმინდა ლაქრობის ჭეშმარიტ მიზანს". კანონიკი გვიბერტი და იეზუიტი მემბური აღიარებენ, რომ ჯვაროსანთა არმია ავაზაკთა გიგანტურ ბანდას ჰგავდა.

ბეილი, რეფორმაციის მომხრე, რომლის მიუდგომლობა და შეშფოთებულობა ისე დიდი იყო, რომ რეფორმატორები ურწმუნოებას სწამებდნენ, ჯვაროსნული ომების ასეთ შეფასებას გვაძლევს: „ვინ გაბედავს ამ ურჩხულებს ქრისტეს მეომრები უწოდოს? ეს ფარისევლები მხოლოდ ძარცვავდნენ და არბევდნენ, ნამუსს ხდიდნენ ქალებსა და ქალიშვილებს, რომლებიც მასპინძლობას უწევდნენ. „ზიის ქრისტიანები რომ ამ საზიზღარ ბარბაროსებს დაინახავდნენ, ვითომდა მათს დასახმარებლად მოსულს, უფრო თავზარდამცემ შიშს განიცდიდნენ, ვიდრე თურქების ან სარკინოზების გამოჩენაზე. უეჭველია, ჯვაროსნული ლაშქრობანი კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უფრო საზიზღარ ფურცლებს შეადგენენ".

ჯვაროსანთა პირველი ბანდა გზას 1096 წლის 8 მარტს გაუდგა. ნაყარნუყარი ხალხის ეს ცოცხით მოხვეტილი ბრბო, ერთიანად ჩამოკიანკილი და არეულ-დარეული, თითქმის მთლიანად ფეხოსნებისაგან შედგებოდა. არავის არ ჰქონდა საშუალება, რომ ცხენი შეეძინა და იმით მაინც გამგზავრებულიყო შორეულ ქვეყანაში. თუ ვინმემ მოახერხა ცხენის ყიდვა, გაჭირვებამ აიძულა ისევ გაეყიდა. ბრბოს მეთაურობდა ვალტერ გოლიაკი ანუ უფულო. ზედწოდება საკმაოდ ბევრის მეტყველია. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ წმინდა სამარის მიგნება ყველაზე ნაკლებად აღელვებდა ამ ვიგინდარას. სინამდვილეში ის ოცნებობდა მოგებაზე, აღმოსავლეთის მიწებზე და თავისი არასახარბიელო ზედწოდების შეცვლაზე რაიმე მომხიბლავი ტიტულით.

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ წვრილმანზე ვჩერდებით, რომ უფრო ზუსტად დავხატოთ ეს საეკვო გმირები, საეკლესიო ლეგენდამ რომ წმინდანთა შარავანდედით შემოსა.

ვალტერმა თავისი ბანდა რაინის გაყოლებით წაიყვანა დუნაის მხარეში, იქიდან კონსტანტინოპოლში გადასვლაც მოახერხეს. რაზმს წინ მიუძღოდნენ თხა და ბატი, ძველი გერმანული მითოლოგიის

წმინდა ცხოველები. როგორც კი სალაშქროდ დაიძრა, რაინონის ქალაქებში ჯვაროსანთა ბანდამ ებრაელები გაწყვიტა, როგორც ქრისტეს მტრები, მათი სახლები კი გაძარცვა. როცა კელნის არქიეპისკოპოსმა კელნელი ებრაელები თავისი სახლის ქვედა სართულში დამალა, ბრბომ კარი ნაჯახებით ჩალეწა და საცოდავები უწყალოდ გაჟლიტა. „მაინცსა და კელნში, — ამბობდა ბერი გვიბერტი, — მოსახლეობა სახლებში ბარიკადებს აგებდა, რომ ამ ურჯულებისაგან თავი დაეხსნა. ვიჟური სასოწარკვეთილებით მოცული დედები საკუთარ შვილებს ახრჩობდნენ, ქმრები საკუთარ ცოლებს მახვილს უყრიდნენ, ქალიშვილები თავს იკლავდნენ, რომ ხელში ცოცხალი არ ჩავარდნოდნენ შეუბრალებელ ფანატიკოსებს, რომელთაც მხარზე ჯვარი გადაეკრათ“.

ჯვაროსანთა პირველ ბანდას უკან ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ორმოცი ათასი მაწანწალა, პეტრე მეუდაბნოეს წინამძღოლობით. ჯვაროსანთა ნაწილი, ბერ გოტშალკის ძეთაურობით რომ მიდიოდა, ერთიანად გაწყდა უნგრელებთან და ბულგარელებთან ბრძოლაში. რისხვით ანთებულმა და თავზარდაცემულმა ამ ხალხებმა გადაწყვიტეს თავიანთ მიწა-წყალზე არ გაეტარებინათ ეს მძარცველთა ბანდები. გავიდა მცირე ხანი და ორასი ათასი ავაზაკი დაესხა თავს ამ უბედურ ხალხებს, დაანგრიეს მათი ქალაქები, გადაწვეს სოფლები და სანახევროდ გაჟლიტეს მათი მოსახლეობა.

სხვადასხვა გზით წასულმა ჯვაროსანთა რაზმებმა თავი კონსტანტინოპოლში შეიყარეს. დასავლეთის რაინდები განცვიფრებულნი შესცქეროდნენ ამ დიდებულ ქალაქს, მარმარილოს სასახლეებით, ოქროს გუმბათებითა და ფართო ხალხმრავალი ქუჩებით რომ იყო დამშვენებული. სიმდიდრე მათ შურით აღავსებდა, ბერძენი სქიზმატიკოსები კი დიდი მოკრძალების გრძნობას არ აღუძრავდნენ ხარბ ყაჩაღებს. იმპერატორმა ალექსი კომნინმა წინასწარ დაამზადა ჯარისათვის უზარმაზარი სანოვაგე და გარკვეული ზომები მიიღო, რომ ძარცვას ადგილი არ ჰქონოდა. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. ავაზაკები მოიწვია და ავაზაკურად დატრიალდნენ: ჯვაროსნები ტყვიის ფურცლებს აგლეჯდნენ ეკლესიების სახურავებს, წვავდნენ სახლებს, ხოცავდნენ მიწათმფლობელებს, დედათა მონასტრებსაც კი არ ინდობდნენ. ამ ყოჩაღ ჯვაროსან მეომართა ყველა საგმირო საქმის გადმოცემა შეუძლებელია.

ანა კომნინა, იმპერატორის ასული, რომელმაც მამის ცხოვრება აღწერა თავის თხზულებაში „ალექსიადა“, ასე აღწერს პეტრე მეუდაბნოის ჯარისკაცთა თარეშს: „ისინი ბავშვებს ნაწილ-ნაწილ ჭრიდნენ, აიძულებდნენ დედებს შეესვათ მათი სისხლი, ისინი ძალას ხმარობდნენ ყრმებსა და ყმაწვილებზე, შემდეგ ჰკიდებდნენ და ხმალთა ფხიანობას ამოწმებდნენ მათს გვამებზე“. ქალის სიტყვით, თვითონ პეტრე მეუდაბნოე აძლევდა თავის მაროდიერებს ძარცვისა და ძალადობის მაგალითს. ჰოდა, ამ მხეცს პეტრე მეუდაბნოეს ეკლესია გვიხატავს, როგორც მგზნებარე მოციქულს, თითქოს წინასწარმეტყველი იყოს!

ბერძნები, როგორც ერეტიკოსები, იმ ერთეულებსაც კი სძაგდათ, რომელთაც სამშობლო ურბან მეორისა და მისი აგენტების ცეცხლოვანი სიტყვით გაღვივებულმა გულწრფელმა ფანატიკურმა რწმენამ დაატოვებინა და თვითონ ძარცვა-რბევაში მონაწილეობა ორც კი მიუღიათ.

იეზუიტი მემბური, რომლის კალამი ყოველთვის განადიდებდა კათოლიკური ეკლესიის მოქმედებას, აღიარებდა, რომ წმინდა ტახტმა ჯვაროსნული ლაშქრობიდან უზარმაზარი მოგება მიიღო.

ზოგიერთმა პრელატმა ჩალის ფასად იყიდა სამფლობელოები, რომლებიც რაინდებმა გაყიდეს, ფული რომ დასჭირდათ ახალი რაზმების შესადგენად. მღვდლებმა, რომელთაც მოწყალე გულით იკისრეს ლაშქრად წასულ რაინდთა მამულის მოვლა-პატრონობა, არ დააყოვნეს შემოსავლის გადაადგილება საკუთარ ჯიბეში. შემდეგ, როცა ჭირმა, შიმშილმა, სნეულებამ და მუსულმანთა გმირულმა წინააღმდეგობამ ქრისტეს არმია თითქმის დაადნო და გააცამტვერა, მრავალმა კლირიკმა სცადა დაღუპულთა ადგილ-მამულის მითვისება.

ეკლესიის ქონების საარაკო გაზრდა — ეი პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ძირითადი შედეგი.

პასქალის II —
გრიგოლ მეშვიდის
ერთგული მიმდევარი

● ურბან II, რომელიც 1099 წელს გარდაიცვალა, პასქალის მეორემ შეცვალა. ახალმა პაპმა იმთავითვე მოიშორა თავიდან თავისი წინამორბედის კონკურენტი, რომელიც მასაც მოსვენებას უკარგავდა: მოწამლა კლიმენტი III. როცა კლიმენტის მომხრეებმა ახალი პაპი დაუპირისპირეს, პასქალისმა ისიც დაღუპა: შეიპყრო და წმინდა ლავრენტის მონასტრის დილეგში ჩააგდო. მესამე ანტიპაპსაც იგივე ბედი ეწია, იმ განსხვავებით, რომ ის მეორე მონასტრის ორმოში ჩააგდეს. მეოთხე განდევნა და გადასახლებაში ამოხდა სული. ასე ზედიზედ გზავნიდა ტარტარში პასქალის მეორე, ახალი სატანა, თავის მეტოქეებს, ასე ჩამოიშორა კლიმენტი III, თეოდორიხი, ალბერტი, სილვესტრ IV.

ერთი შეხედვით, ახლა პასქალის მეორეს შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა. მაგრამ შრომისმოყვარე პაპის შესვენება ხანმოკლე გამოდგა, რადგან მალე იტალიის მეფის კონრადის ანაზდეული სიკვდილის ცნობა მოვიდა. ეს მეფე ურბან მეორემ აკურთხა, მისი მომხრე იყო, და პასქალისს შიშით გული გადაუქანდა, ვაი თუ ძალაუფლება ისევ ჰენრიხ მეოთხის ხელში გადავიდესო, ამიტომ ამ უკანასკნელს შვილის მოწამვლა დასწამა და მორწმუნეებს მოუწოდა, იარაღი აისხითო ჰენრიხის წინააღმდეგ, შური იძიეთო „მოწამის“ მოკვლისათვის. ამჯერად ჰენრიხ IV მოერია შეთქმულთ და პასქალისი აიძულა ზავი ეთხოვა. მაგრამ როცა ჰენრიხ IV არ გამოცხადდა რომში მოწვეულ ყრილობაზე, მისი მოუსვლელობა მიუტევებელ დანაშაულად ჩაითვალა და პაპმა მეფე ისევ შეაჩვენა.

პირდაპირ განსაცვიფრებელია, რა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ეს ბედშავი იმპერატორი. თითქოს დიდი ხანია ფერფლად უნდა ქცეულიყო, საწამლავს უნდა დაეწვა, ლოდს უნდა გაესრისა, ის კი ყველაფერს გადარჩა, ყველა ანათემა გადაიტანა, რაც სეტყვასავით დაატეხეს თავს, გრიგოლ მეშვიდიდან დაწყებული!

ხსენებულ ყრილობას ესწრებოდა ჩვენი ნაცნობი ქალბატონი გრაფინია მატილდა, გარყვნილი დედაკაცი, რომელიც ბებერი პაპის დავრდომილობას თავის ნათესავს აზღვევინებდა. თავისი ნათესავი

იმპერატორი ახლაც ისევე სძულდა, როგორც თვრამეტი წლის წინათ. შურისმაძიებელი და ზნედაცემული ბანოვანი ჰენრიხ მეოთხეს აბრალებდა იმ აქტის გატაცებას, რომლითაც თავის ქონებას თავისი საყვარლის წმინდა ტახტს უანდერძებდა. თავისი გვარის უფროსის მემკვიდრეობის დაკარგვამ კიდევ უფრო გააბოროტა ყოფილი მღვდელმთავრის ავხორცი და გულბოროტი ხასა. იმდენს ეცადა ეს ესპიტი, ჰენრიხს თავისი მეორე შვილი აუმხედრა. ყოვლისშემძლე მამიდის ანკესზე იოლად წამოგებულმა პრინცმა მრავალრიცხოვანი პარტია შეკრა. სხვა სამეფო ღირსებათა შორის ახალგაზრდა არამზადა მლიქვნელობითაც განირჩეოდა.

ეს ქლესა უფლისწული რომ არ ყოფილიყო მემკვიდრე გვირგვინისა, რომლის დახურვაც თავის დროზე ადრე ხსურვა, მისგან ჩინებული მღვდელი გამოვიდოდა.

იმპერატორის — მშობელი მამის წინააღმდეგ — რომ რამდენიმე პროვინცია აამხედრა, იმავე დროს თავის უანგარობასა და შვილის მოკრძალებული გრძნობის შესახებ ლაყბობდა, და იმდენი ჭკუა კი არავის აღმოაჩნდა მის მომხრე-დამქაშთა შორის, რომ დაფიქრებულიყვნენ: რა ხეირს დააყრიდა ქვეყანას ის ლაწირაკი, ვინც მამას გადაუდგა. ამნაირი ფარისევლური განცხადების მიუხედავად თავის დეკლარაციაში უკვე არსებითად სხვა გეზი გამოხატა: „თუ მეფე გადაწყვეტს წმინდა ტახტის მემკვიდრეთა დამორჩილებას, მაშინ ხმალს ქარქაშში ჩავაგებთ და მამაჩვენს ვეახლებით, როგორც მისი ყველაზე უფრო მორჩილი ქვეშევრდომნი. მაგრამ თუ მეფე განაგრძობს წმინდა პეტრეს დიდი მემკვიდრის ჯიბრში დგომას და შეუპოვარ ურჩობას, ჩვენც იძულებული ვიქნებით უპირველეს ყოვლისა უფლის ნებას დავემორჩილოთ და საკუთარი ხელით დავცემთ ძირს, თუ ეს გახდება საჭირო რელიგიის დასაცავად, რადგან ასე გვიბრძანა მღვდელმთავრმა პასქალისმა“.

თქვენ ხედავთ უბადრუკი პასქალისის მორჩილ ყმას, რომელიც მამას და ევროპას უბრძანებს, დამორჩილდით, ემონეთ, ქოშები დაუკოცნეთ ცინგლიან მღვდელს, რომელიც ბედის ახირებას მბრძანებლის ტახტზე აუყვანია! აქ კი ვეღარ ვიტყვით, შვილი მამას სჯობდაო!

თავისი ჯარისკაცებისაგან მიტოვებული ჰენრიხ IV პაპს ეახლა და თავი დაუხარა, უკანონოდ ცნო ყველა თავისი აჩემება და დად-

გენილება. ძველი ტაქტიკის ერთგულმა უწმინდესობამ ჰენრიხის მახლობელი ოფიცრები მოისყიდა და მოხუცი იმპერატორი მეამბოხე შვილს მიჰგვარეს: გინდ შეიკალი, გინდ შეიწყალეო. მაგრამ მეამბოხე პრინცმა (სასაცილო კია ამ ვიგინდარის პრინცად ხსენება) დიდი ხანია დაივიწყა თავისივე დაპირება, მამის ავტორიტეტს ვაღიარებ, თუ წმინდა ტახტს დაემორჩილებაო.

გათავებული ლოთების ფიცი უფრო სარწმუნოა, ვიდრე მეფეთა და მღვდელთა!

ჰენრიხ IV აიძულეს ტახტიდან გადამდგარიყო შვილის სასარგებლოდ. მის ნაცვლად გამეფდა უღირსი, მოძალადე, პაპთა ლაქია ჰენრიხ V. საქმე აღბაშფოთებელ ფინალს უახლოვდებოდა. კობლენცში მუხლმოყრილი მამა ღვიძლ შვილს ევედრებოდა, შემიწყალეო. მაგრამ მიცემული სიტყვის მიუხედავად ბორკილი დაადეს და დილეგში ჩააგდეს. სასტიკი ზომები, რაც მოხუცი (55 წლის) იმპერატორის მიმართ იქნა გამოყენებული, პასქალის მეორის ინტრიგებს დარტყმით ემუქრებოდა. რაინის ოლქების მოსახლეობამ უარი თქვა ახალგაზრდა ჰენრიხის მორჩილებაზე, ჰენრიხ ლიმბურგელმა კი იმპერატორის დახსნაც მოახერხა პატიმრობიდან, რაც ფრიად დროულად მოხდა. წმინდა ობობამ... უკაცრავად, წმინდა მამამ რომის პაპმა უკვე გასცა ბრძანება მისი დახრჩობის შესახებ, როგორც რომში უსწორდებოდნენ ხოლმე ერთიმეორეს პაპებად წოდებული შხამიანი ობობები!

ლიეჟში ჩასულმა მოხუცმა იმპერატორმა, რომელიც დარწმუნდა, რომ მისი შვილი პაპის ყურმოჭრილი ყმა იყო, ყველა ქრისტიან მბრძანებელს თხოვნით მიმართა, დამეხმარეთო, და ბრალს სდებდა პაპს მისი უდიდებულესობის წინააღმდეგ დანაშაულებრივ მოქმედებაში. გაცოფებულმა პასქალისმა ენციკლიკი გაუგზავნა საფრანგეთის, გერმანიის, ბავარიის, შვაბიისა და საქსონიის ეპისკოპოსებს, სენიორებსა და მთავრებს.

„დევნიდეთ ყველგან, — წერდა, — ჰენრიხს, ერეტიკოსების უფროსს, და მთელს მის ბანდას. ვერასოდეს ვერ შესწირავ ღმერთს უფრო ძვირფას მსხვერპლს, ვიდრე იქნება სიცოცხლე ამ ქრისტეს მტრისა, რომელიც ლამობდა მღვდელმთავრებისათვის უზენაესი ძალაუფლება გამოეგლიჯა. ჩვენ გიბრძანებთ თქვენ და თქვენს ვასალებს აწამოთ იგი უსაშინელესი საწამებელი საშუალებებით. ჩვენ

მოგიტევებთ ყველა ცოდვას, ჩადენილსა და აწ ჩადენილს, და განსვენების შემდეგ შეხვალთ იერუსალიმის სასუფეველში“.

პაპი ცოფსა ჰყრის. სადაა ქრისტიანული თავშეკავება და სათნოება! პაპი იღრინება, როგორც ცოფიანი მგელი, და ემუქრება არა რომელიმე უბრალო მონას, არამედ წმინდა რომის იმპერიის იმპერატორს! როგორც ხედავთ, თვითონ იმპერატორმა ვერ შეაფასა ჯეროვნად პაპის ძალაუფლების ჯოჯოხეთური ძლიერება. ახლა კი მას დასდევდნენ, როგორც ნადირს.

ეს ეპისტოლე ნიმუშია კლერიკალური სტილისა, მან აღაშფოთა თვით ზოგიერთი საეკლესიო მოღვაწე. ეს სამარცხვინო საბრალდებო აქტია თვით ეკლესიის ისტორიისათვის. პაპი ქრისტიანი იმპერატორის შეპყრობასა და წამებას ითხოვს, მკვლელს კი ჰპირდება ყველა ცოდვის მიტევებას, სანქციას აძლევს მკვლელობასა და ძალადობას! ლიეჟის ეპისკოპოსმა პაპს გაუგზავნა ეპისტოლე, რომელშიაც დიდი ღირსებითა და ძლიერ ენერგიულად გამოხატა ბოროტი პაპის მძვინვარე ბულით გამოწვეული განცდები. აი მღვდელმთავრისადმი მიმართული მისი წერილის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი სტრიქონები:

„ვინ მისცა უფლება წმინდა ტახტს ბრძანოს მკვლელობის ჩადენა, ვითარცა ღირსეული საქმისა, რომლის სიწმინდეს თითქოს შეუძლია განწმინდოს ადამიანი არა მარტო წინათ ჩადენილი ცოდვებისაგან, არამედ მათგანაც, რომელთაც მომავალში ჩაიდენს? ისეთ ცოდვებსაც კი, როგორიცაა მკვლელობა, სისხლის აღრევა, ქურდობა? რეკომენდაცია გაუწიეთ ამნაირ დანაშაულობას რომის საზიზღარ დაქირავებულთა წინაშე! რაც შეგვეხება ჩვენ, ნუ გვირჩევთ, არ დაგემორჩილებით. ძველ ბაბილონშიც კი არ ყოფილა ისეთი ბარბაროსობა, ქედმაღლობა, კერპთთაყვანისმცემლობა და მსგავსი უმსგავსნობანი, როგორიც ამჟამად წმინდა ქალაქში ბატონობენ!“

ლიეჟის ეპისკოპოსის ეპისტოლე ფუჭ გასროლად დარჩა. დრო იყო ბნელი და უტყვი. პასქალის IV მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ჰენრიხ IV უნდა მოეკლა. მისი მეორე ცდა უფრო შედეგიანი გამოდგა. მოხუცი იმპერატორი წმინდა მამის საწამლავმა იმსხვერპლა იმ დროს, როცა მისი შვილი ალყას არტყამდა ლუტიხს. ვიდრე იმპერატორი ცოცხლობდა, მოსახლეობა თავგამოდებით იცავდა თავს, ხოლო როცა ჰენრიხ IV დაიღუპა, წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღა-

რა ჰქონდა. საზიზღარი შხამიანი ობობის — პაპის ნების ღირსეული შემსრულებელი მოითხოვდა, მამის ცხედარი გადმოგვეცითო. ის უნდა გადაეცათ ჯალათისათვის, რათა აბუჩად აეგდოთ, ეთრიათ და ეწამებინათ, როგორც თავის ეპისტოლეში ბრძანებდა ბინძური პასქალისი. ეს აღმაშფოთებელი დანაშაული მოხდა კიდეც იმ კრეტინის წყალობით, რომელიც ჰენრიხ მეოთხეს დარჩა ტახტზე ჰენრიხ მეხუთის სახით. მხოლო 1111 წელს მიეცათ ნება იმპერატორის გვაძზე წყევლის მოხსნისა და ეკლესიის წესით დაკრძალვისა, მანამდე კი ლატერანის ობობის ბრძანებით შეგინებული ნეშტი ესვენა უბრალო ქვის სამარხში, იმ ტაძრის მახლობლად, რომლის შესასვლელთანაც ეწერა: „აქ წევს რომის მტერი“.

მასწავლებელი და
მისი ღირსეული მოწაფე

❷ დამნაშავე შვილს, რომელმაც თავისი გაუგონარი ვერაგობით მამას უკანასკნელი დღეები მოუწამლა, არც პაპის ყურმოჭრილი ყმობა შეეძლო. მან მხოლოდ გამოიყენა რომის ტახტი, რომ მამის ტახტი დაეპყრო, შემდეგ კი პაპსაც უმუხთლა და სწორედ მასწავლებლის ღირსეული მოწაფე გამოდგა. ტრუაში პასქალის მეორის მიერ მოწვეულ საეკლესიო ყრილობაზე (1107 წელს) ჰენრიხის წარმომადგენლებმა იმპერატორისათვის მოითხოვეს „ეპისკოპოსების დანიშვნის უფლება, რაც ოდესღაც კარლოს დიდმა მიიღო“, ე. ი. საეკლესიო ინვესტიტურა (კვერთხი და ბეჭედი). ხედავთ? მამის მკვლელმა და უზურპატორმა კარლოს დიდის უფლებები მოითხოვა! პაპმა უარი უთხრა, და იმპერატორის ელჩებმა გვარიანი პასუხი გასცეს: „არა აქ, არამედ რომში — მახვილი გადაწყვეტს ამ საქმეს“.

ბედი სწყალობდა ჰენრიხ მეხუთეს. უნგრეთთან, პოლონეთთან და ბოჰემიასთან ორი წლის წარმატებული ბრძოლის შემდეგ უზარმაზარი არმია დაძრა იტალიისაკენ. ლომბარდიის ქალაქები უდრტვინველად დამორჩილდნენ, თვით ზნედაცემულ მატილდას არ გაუწევია წინააღმდეგობა (თუმცა ვის უწევდა ის წინააღმდეგობას!) სუტრის რომ მიაღწია, პასქალისის ელჩებმა მოახსენეს, რომ პაპი უარს ამბობს ყველა ფეოდალურ სამფლობელოზე, რაც ეკლესიას-

მოუპოვებია ყველა გასული საუკუნის განმავლობაში, მონეტების მოჭრასა და სხვა პრივილეგიებზე, სამაგიეროდ ითხოვს საეკლესიო არჩევნების თავისუფლებას და საერო ინვესტიტურის გაუქმებას. ვერაგი პასქალისი ლამობდა ეკლესიის დამოუკიდებლობის გადარჩენას ყველა მისი საერო სიმდიდრის ფასად. ჰენრიხ V მოწყალე გულით მიიღო პირობები და 12 თებერვალს გვირგვინის საკურთხებლად რომში ჩავიდა. წმინდა პეტრეს ტაძარს, სადაც კურთხევა ხდებოდა, რაინდების რაზმი იცავდა. მაგრამ როგორც კი შეთანხმება წაიკითხეს, ტაძარი გოდებამ შეძრა. საეკლესიო დიდკაცობა კატეგორიულ უარს ამბობდა მამულების დათმობაზე. კორონაცია შეფერხდა. ეკლესიაში ავაზაკებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მეფემ ტყვედ იგდო თავისი ძველი მოკავშირე და მამამისის მკვლელი, რომლის ხელითაც იდგამდა თავზე გმობილ გვირგვინს, დააპატიმრა მისი კარდინალებიც და ყველანი ალბანოში გაგზავნა. პასქალისს აბა სხვა რა გზა ჰქონდა, თავი დამარცხებულად ცნო და ჰენრიხს მის წინამორბედთა ყველა უფლება დაუმტკიცა.

რა შურისძიებაა კანოსაში წასვლისათვის! ჩადენილ დანაშაულს რაღა ეშველებოდა, თორემ შვილი თითქოს გონს მოვიდა. თავისი გამარჯვების ტრიუმფისათვის რომ უფრო გაესვა ხაზი, მამის დაუძინებელი მტრების დამარცხების დღეს ეკლესიიდან განკვეთილი მამის ცხედარი ზეიმით მიაბარა მიწას.

მაგრამ პაპებზე გამარჯვება ხანგრძლივი არასოდეს არ ყოფილა. ეკლესიამ უარი თქვა იმ პირობების მიღებაზე, რომლებიც პაპმა მიიღო. რომის სამღვდელოება ქრისტეს მოადგილეს ბრალს სდებდა, რომ იმპერატორის გვირგვინი დაადგა და უკურთხა სახელმწიფოებისა და ეკლესიების მნგრეველ ჰენრიხს, მისცა მას პრივილეგიები. ლატერანის ყრილობაზე 1112 წელს პასქალისმა გაუქმებულად გამოაცხადა პრივილეგიები, რომლებიც მეფემ ძალით გამოჰგლიჯა: „... ვიღებ ჩემი მასწავლებლის გრიგოლის და ურბანის დეკრეტებს... ვამტკიცებ იმას, რასაც ისინი ამტკიცებდნენ, და ვწყევლი, რასაც ისინი წყევლიდნენ...“

რომის ლეგატებმა ყველგან გამოაცხადეს ლატერანის ყრილობის დადგენილებანი, აგრეთვე ანათემა, რაც პასქალის მეორემ გამოუცხადა თავის ყოფილ მოწაფეს ჰენრიხ მეხუთეს.

ჩვენ აღარ შევჩერდებით იმ ბრძოლებზე, რომელთაც განაგრ-

ძობდნენ პაპები და იმპერატორები XII საუკუნეში. ამ ბრძოლაში არამზადები ერთიმეორის ღირსნი არიან. შეეებებით მხოლოდ ყველაზე უფრო დამახასიათებელ ეპიზოდებს წმინდა პეტრეს ტახტის გამგებელთა მოღვაწეობიდან.

პასქალის სიკვდილის შემდეგ პაპად აირჩიეს მონტე-კასინელი ბერი ჯოვანი კაეტანი, რომელმაც სახელად მიიღო გელასი II. ბეფის კაცებმა, რომლებსაც ძლიერი ფეოდალი ჩენჩო ფრანჯიპანი მეთაურობდა, მას ხელი სტაცეს და დილეგში ჩააგდეს. რომში ჩასულმა ჰენრიხ V მიაღწია თავისთვის სასურველი მოხეცი არქიეპისკოპოსის მორისის ინტრონიზაციას. მორისი გახდა გრიგოლ VIII. გელასი II საპყრობილიდან გაიქცა და ერთი წლის მბრძანებლობის შემდეგ ბურგუნდიაში გარდაიცვალა. მის მემკვიდრედ სამღვდელოებამ აირჩია არქიეპისკოპოსი გვიდო, რომელმაც კალიქსტ II დაირქვა. ეს კაცი თავიდანვე ჰენრიხ მეხუთის დაუძინებელი მტერი იყო.

კალიქსტ II, ლატერანის სასახლეს რომ დაეპატრონა, ჯარი შეაგროვა. თავის ერთ-ერთ კარდინალს დაავალა, ალყა შემოარტყიო გრიგოლის რეზიდენციას სუტრიში. მოქიშპის რაც შეიძლება მალე შეპყრობის სურვილით ატანილმა კალიქსტ მეორემ თვითონ მიიღო მონაწილეობა ლაშქრობაში და იერიშის ხელმძღვანელობა ითავა. შეუპოვარი წინააღმდეგობის შემდეგ სუტრის გარნიზონი იძულებული გახდა დანებებულიყო. როგორც კი გრიგოლ VIII კალიქსტ მეორის ხელში აღმოჩნდა, პაპმა ბრძანა მეტოქისათვის თვალები დაეთხარათ და არც ეს უბედურება აკმარა: დაასაჭურისა. შემდეგ უბედური მორისი უკუღმა შესვეს აქლემზე, ხელში კუდი მისცეს, და მასხარის სამოსით მორთული ჩამოიყვანეს რომში. აქ ერთ-ერთ მონასტერში ჩაამწყვდიეს, სადაც რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. ასე თურქულად გაუსწორდა კიდევ ერთი ქრისტიანი მბრძანებელი თავის მოყვასს, რომლის დანაშაული მხოლოდ ის იყო, რომ ტახტზე დასვეს.

კალიქსტ მეორის ბატონობა აღინიშნა დაუსრულებელი ბრძოლით ფეოდალურ მთავრებთან. მეომბოხე ოჯახები პირდაპირ ქუჩებში აგებდნენ სიმაგრეებს, ისე რომ არც ძველ ძეგლებს ინდობდნენ. ქუჩებში სისხლისმღვრელი ბრძოლები წარმოებდა. ჩენჩო ფრანჯიპანის წარჩინებული გვარის ძველ მტრობას ინახავდა გულში, თავგამოდებით რომ იცავდა პაპის მიერ ასე მხეცურად წამებუ-

ლი და მოკლული მეტოქის სიცოცხლეს. კალიქსტი დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდა ამ გვართან და არ მოისვენა, ვიდრე ფრანჯიპანის სიმაგრე — „ტირანიისა და დესპოტიზმის სავანე“ — მიწასთან არ გაასწორა. საოცარია კაცთა სიბრმავე. ყოველი ტირანი მეორე ტირანს ებრძვის სამართლიანობის სახელით და თუ სძლია, აჭარბებს მას მხეცობით, მაგრამ ვინ არის გამკითხავი?

ჰონორიუს მეორეს, კალიქსტ მეორის მემკვიდრეს, ფრანჯიპანის ოჯახის არჩეულს, არანაკლებ ძლიერი პიერლონის გვარის სახით საშიში მოპირდაპირე ჰყავდა. ოპოზიცია საკმაოდ ძლიერი იყო და ახალ პაპს დამხობით ემუქრებოდა. ჰონორიუსს არ უნდოდა ერთთავად დამოკლეს მახვილის ქვეშ ჯდომა, მტერთან ბრძოლაში წინამორბედთა ტრადიციული იარაღი გამოიყენა. განუზომელი ფული დახარჯა, ავტორიტეტი მოიხვეჭა, და მტრულად განწყობილი სენიორები მიყუჩდნენ. მაშინ ჰონორიუსმა ასეთი კომედია გაითამაშა: ზოგ ვინმეს ჩემი არჩევა არ უნდოდა, გაიხსენა, ამიტომ უარს ვამბობ ტახტზე, რადგან არ მინდა მორწმუნეთა ნების წინააღმდეგ ვმართო ეკლესიაო. თავის მომხრეებს მოუყარა თავი წმინდა იოანე ლატერანელის ბაზილიკაში და საზეიმო ვითარებაში მოიხადა ტიარა. მისმა ხრიკმა სათანადო შედეგი გამოიღო: დამსწრენი მუხლმოყრილნი ევედრებოდნენ: ნუ დაგვღუპავ, დარჩი ტახტზეო, სამარის კარამდე შენი ერთგული ვიქნებითო. რა გულისამაჩუყებელი... რა გულისამრევი სცენაა!

წმინდა ტახტზე რომ ასე მყუდროდ მოეწყო, ამ თაღლითმა იმაზე დაიწყო ოცნება, როგორ განედიდებინა თავისი მბრძანებლობა, და რაკი მისმა ტვინმა უკეთესს ვერაფერს მიაგნო, განიზრახა იმ ქვეყნების მოქცევა, რომლებიც ჯერ კიდევ „წარმართობის წყვდიადში იყვნენ ჩაფლული“.

უხეშად რომ ვთქვათ, ჰონორიუსმა განიზრახა თავის დუქანში გადაებირებინა ის კლიენტები, რომელთაც აქამდე თავგამოდებით ძარცვავდნენ ქურუმები, წარმართული კულტურის მსახურნი — იესო ქრისტეს კონკურენტები.

პომერიანია მეტად გემრიელი ლუკმა იყო და საქმოსანმა ჰონორიუსმა ოტონს დაავალა, რაც შეიძლება მალე მოაქციე ქრისტეს სარწმუნოებაზე ეს მიწა-წყალიო. პომერანიელებს პოლონელი მთავარი ბოლესლავი მბრძანებლობდა, და ოტონიც მასთან გაეშურა.

ბოლესლავმა ხალისით მიიღო წმინდა მამის წინადადება, ქრისტეს დავუმორჩილოთო წარმართები, რომლებიც მართლაც თავგამოდებით უარობდნენ ახალ სარწმუნოებაზე გადასვლას. ეტყობა, მათი სასოწარკვეთილი წინააღმდეგობა გამოწვეული იყო ბუნდოვანი პატრიოტული გრძნობებითაც, რადგან სულელები არ იყვნენ და იცოდნენ, რომ კერპებთან ერთად თავიანთ მდინარეთა შესართავებსაც დაკარგავდნენ. ბოლესლავს ათასობით პომერანიელის გაწყვეტა მოუხდა, რათა დაემტკიცებინა ქრისტიანთა უპირატესობა სხვა რელიგიების წინაშე. სისხლიანი საბუთი იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ ცოცხლად დარჩენილებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. ჰონორიუსმა თავისი „მოღვაწეობის" უკვდავყოფა ამით უზრუნველჰყო და შავი ბერების რაზმები გაუგზავნა ახლად მოქცეულებს, რათა აქამდე უპატრონოდ დაფანტული ნახირისათვის წმინდა სამების მოძღვრება ექადაგათ. რაც შეეხება ბოლესლავს, პაპის წყალობის სხვა ნიშნებთან ერთად ამა ქვეყნადვე მიიღო საუკუნო სასუფეველი.

მთავარმა პატიოსნად დაიმსახურა ნაჩვენები საჩუქარი, რადგან ქრისტიანული ღმერთის წინაშე არ არსებობს უფრო ღირსეული საგმირო საქმე, ვიდრე იმ ხალხის გაწყვეტა, რომელმაც მორჩილებაზე უარი უთხრა.

ჰონორიუსი ღორივით ხარბი და გაუმაძღარი იყო. მის მოღვაწეობას ამოძრავებდა არა სარწმუნოება, არამედ ანგარება. დავიმოწმებთ ერთ დამახასიათებელ ეპიზოდს. 1128 წელს საფრანგეთის კანცლერმა და პარიზის არქიეპისკოპოსმა სტეფან დე სანლისმა პაპს ელჩები გაუგზავნა და შეუთვალა, მეფე ლუდოვიკო სქელის უმსგავსი საქციელი აღშფოთებას იმსახურებსო. პრელატი ბრალს სდებს ხელმწიფეს, საფრანგეთის გარყვნილ სამღვდელოებას ხელს აფარებს და ამ სამარცხვინო საქმით ხელსაც ითბობსო. ჩანს, პატივცემულ პრელატს ის აღელვებდა, ნაღებს რომ მეფე იღებდა და თხლეს მას რჩებოდა. საქმე რომ სხვანაირად ყოფილიყო, არაფერი საწინააღმდეგო არ ექნებოდა, უარესიც რომ ჩაედინა სამღვდელოებას.

სტეფანე დე სანლისი მეფეს ბრალს სდებდა საეკლესიო ქონების მითვისებაშიც. ჩემი მოკვლა სცადაო, ატყობინებდა, ჯარისკაცები დამასხაო თავს. ცხადია, სტეფანე დე სანლისს თავისი ბრალდებების სათანადო საჩუქრებით გამაგრებაც არ დავიწყებია.

მადლიერმა ჰონორიუსმა არქიეპისკოპოსის ელჩები პატივით მიიღო და დაუზარებლად აკურთხა — ასეთ ქესტებზე პაპები უარს არასოდეს არ ამბობდნენ, რადგან კურთხევა არაფერი არ უჯდებოდათ — არქიეპისკოპოსს უბრძანა, ანათემა გამოუცხადე მეფეს და საფრანგეთის სამეფოსაც ინტერდიქტი დაადევიო, ე. ი. საფრანგეთის მორწმუნეებისათვის უნდა აღეკვეთა გარკვეული ვადით ყოველგვარი ღვთისმსახურება, რაც შუა საუკუნეებში დიდ შემავიწროებელ სასჯელად ითვლებოდა.

სტეფან დე სანლისმა პაპის ბრძანება სიამოვნებით შეასრულა და საეკლესიო დიდკაცობის მნიშვნელოვანი ნაწილიც გადაიბირა.

ლუდოვიკო სქელმა ბრწყინვალედ იცოდა, რომ პაპის მადლიერება — ესაა საქონელი ,რომლის შეძენაც გარკვეულ ფასად ყოველთვის შეიძლება. ამიტომ თავის მხრივ დიდძალი საჩუქრით დატვირთული ელჩები მიუგზავნა პაპს და სთხოვა, ანათემა მომხსენიო, დამატებით არც ინტერდიქტისა და სხვა მუქარის მოხსნაზე ვიტყოდი უარსო. ასეთი წამოწყება ძვირად კი დაუჯდა, მაგრამ პაპის წყალობის დაკარგვას ისევ ფულის დაკარგვა ამჯობინა.

რაღა თქმა უნდა, პაპს საჩუქრებზე უარი არ უთქვამს და სათხოვარიც დაუზარებლად შეუსრულა. ამავე დროს ფიქრადაც არ მოსვლია ეპისკოპოსისათვის ფული დაებრუნებინა, როგორც მოიქცეოდა მის ადგილზე ყოველი პატიოსანი კომერსანტი. როგორც ზღაპარში იტყვიან, ისე მოხდა: ცხენიც დაიბრუნა და ფულიც.

მალე სტეფან დე სანლისის ორი მიმდევარი ეპისკოპოსი მიმართავს რომს პათეტიკური ეპისტოლეთი, რომლითაც მეფეს ბრალს სდებენ ახალ დანაშაულში: არქიეპისკოპოსს დევნისო, უხამსი საქციელით შეურაცხყოფსო ეკლესიას. ეს ეპისტოლე უპასუხოდ დარჩა: გულუბრყვილო საეკლესიო მოღვაწეებს დაავიწყდათ წერილის აღქურვა დამაჯერებელი დანართით, რაც რომში მუდამ წარმატების საწინდარია.

სტეფანე დე სანლისმა დროზე გამოიცნო დუმილის მიზეზი. მეკახშისაგან საეკლესიო ჭურჭლის დაგირავებით დიდძალი თანხა ისესხა და რომში ოთხი ათასი ოქროს დინარი გაგზავნა... განა საკიროა იმის დამატება, რომ უკლებლივ ოთხასივე დინარი პაპმა მოწყალე გულით მიიღო? მაგრამ ის კია საკითხავი, ვის რად უნდოდა ამა

სთანა სინდისით მოვაჭრე მღვდელმთავრის კურთხევა, ანათემა, წყრომა თუ წყალობა?

ყველაფერი ისეა, როგორც ზღაპარში გსმენიათ. მაგრამ პრელატისა და მეფის ეს ძვირად ღირებული შეჯიბრი როდისმე ხომ მაინც უნდა დასრულებულიყო?

ლუდოვიკო სქელი უკვე ხელის ჩაქნევას აპირებდა. მაგრამ გვიანღა იყო, ობობამ ბუზი ქსელში გააბა. გაბრაზებულმა ჰონორიუსმა სტეფან დე სანლისს რწმუნება მისცა მოეწვია რაიმსში საეკლესიო კრება და მეფე გაესამართლებინა, ანათემა გამოეცხადებინა, შეეჩვენებინა ლუდოვიკო, თუ... თუ მეფე არ ინებებდა მიყენებული წყენის ანაზღაურებას...

ბოლოს და ბოლოს, ლუდოვიკომ ქედი მოიხარა და აღარ გახდა საჭირო მის წინააღმდეგ მოციქულის სახელით სასტიკი ზომების მიღება.

ორი მეტოქის ბრძოლა

ჰონორიუს II გარდაცვალების შემდეგ ორი მოქიშპის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. მაშინ, როცა კარდინალების ერთმა ჯგუფმა ფრანჯიპანის გვარის დახმარებით ინოკენტი II აირჩია, მეორე პარტიამ მას დაუპირისპირა კარდინალი პეტრე, რომელმაც ანაკლეტ II იწოდა. გავიდა ხანი და ეს ანაკლეტი ანტიპაპების სიაში მოხვდა, ე. ი. იყო და არც იყო პაპი.

რა მოტივით მისცა ეკლესიამ უპირატესობა ინოკენტის, ჩვენთვის ისევე უცნობია, როგორც უფლის გზები. მე პირადად მგონია, რომ ინოკენტი, უბრალოდ, რომ ვთქვათ, უფრო გაქნილი გაიძვერა გამოდგა, ვიდრე მისი მეტოქე ანაკლეტი და ამით მოიპოვა „ნამდვილი" პაპის რეპუტაციაც, მართლაც, ნამდვილი პაპი იყო! ნამდვილი პაპი იმას ნიშნავს, რომ სადაც ის დაჯდება, იქ თვითონ იესო ქრისტე ანტიპაპის სკამსაც ძლივს შეიხვედრებს.

პირველად გამარჯვება ანაკლეტს ხვდა. ინოკენტი ტახტიდან გადმოაყირავა და რომიდან განდევნა, მაგრამ მოქიშპე გაექცა და პიზის მიუვალ ციხეში გამაგრდა, ამიტომ გამარჯვებული მძვინვარებას განაგრძობდა.

წმინდა პეტრეს ტაძრიდან რომ მღვდლები განდევნა, მოქიშპე გააქცია, ძვირფასეულობა გაიტაცა როგორც პეტრეს ტაძრიდან, ასევე სხვა ეკლესიებიდან, ანაკლეტმა ცოტა წყურვილი მოიკლა და ინოკენტისათვის საბოლოოდ ანგარიშის გასასწორებლად ჯარის შეკოწიწებას შეუდგა, მაგრამ წინდახედული ინოკენტი ამასობაში იტალიიდან გაეცალა და საფრანგეთში დამკვიდრდა.

ანაკლეტი მიხვდა, რომ თავისი საკუთარი ძალებით ვეღარაფერს გახდებოდა და დახმარებისათვის თხოვნით მიმართა ლოთარ მეორეს. მაგრამ რაკი ორივე მღვდელმთავარმა დახმარება ერთდროულად სთხოვა, მეფემ ბრძნული დუმილი ამჯობინა: ორი ავაზაკი ერთმანეთს ებრძვის, მე რა მრჯისო!

ამასობაში ინოკენტი, რომელსაც კლუნიის საბატომ დაუჭირა მხარი, საფრანგეთში პაპად აღიარეს.

რაკი ევროპის მბრძანებლებთან მარცხი განიცადა, ანაკლეტმა გადაწყვიტა მომზადებული დახვედროდა მოქიშპეს, თუ ის იტალიაში გამოჩენას განიზრახავდა. როჟერთან შეთანხმებას მიაღწია. სამაგიეროდ ჰერცოგს დაუთმო კაპუის სამთავრო, ნეაპოლიტანის სამფლობელოები და სიცილიის მეფის ტიტული. ამას გარდა, პირდაპირ რომ ითქვას, კავშირის განსამტკიცებლად წმინდა მამამ თავგანწირული ნაბიჯიც გადადგა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ჰერცოგს თავისი და მიათხოვა. უკანასკნელი საჩუქარი განსაკუთრებით ძვირფასი რამ იყო, რადგანაც ანაკლეტს, როგორც გულანთებულ ძმას, საკუთარი და ისე უყვარდა, რომ არც დღე შორდებოდა, არც ღამე. უფრო ღამით ეხვეოდა.

მაგრამ სისხლის აღმრევ ანაკლეტის სიამესაც დაუდგა ბოლო. ინოკენტიმ და ლოთარმა მოითათბირეს. პირველ ხანებში აყოვნებდნენ, მცირე ჯარით რომს როგორ დავესხათო თავს, მაგრამ ბოლოს პაპმა და მეფემ გადაწყვიტეს: რას ვკარგავთ, ცდა ბედის მონახევრეაო! ძალიან კი აჩქარდნენ: ერთს იმპერატორის გვირგვინი ხიბლავდა შორეული ელვარებით, მეორეს — მოციქულის ტახტი.

როცა ლოთარ II თავისი მცირერიცხოვანი არმიით რომს მიადგა, ანაკლეტმა თავისი ზოგიერთი მიმდევრის ღალატის ამბავიც გაიგო, ლატერანის სასახლე მიატოვა და თავი წმინდა ანგელოზის ციხეს შეაფარა. ანაკლეტის ყურამდე მისული ხმები უსაფუძვლოდ არავის დაურხევია. ნოტაბლები, რომელთაც ახლახან მას შეჰფიცეს

ერთგულება, ტრიუმფით შეხვდნენ მისი კონკურენტისა და მეფის შემოსვლას.

ინოკენტი ავენტინში გამაგრდა და მოკლებული აღმოჩნდა იმის საშუალებას, რომ ლოთარი იმპერატორად ეკურთხებინა წმინდა პეტრეს ტაძარში, სადაც ჩვეულებრივ ხდებოდა მეფეთა კურთხევა, რადგან პეტრეს ტაძარი მეორე პაპის გამგებლობაში რჩებოდა. ამიტომ იძულებული გახდა თავისი მეგობრისათვის ლატერანში ეკურთხებინა გვირგვინი.

როგორც ოტონ ფრაიზინგენელი წერს, ინოკენტი მეორემ შემდეგში მხატვარს შეუკვეთა სურათი, რომელზედაც გამოხატული იქნებოდა მუხლმოყრილი ლოთარი, რომელსაც გვირგვინს ადგამს ტახტზე მჯდომი პაპი.

რამდენიმე თვის მანძილზე ლოთარის არმია, რომელიც სულ ორი ათასი კაცისაგან შედგებოდა, უშედეგოდ ცდილობდა იმ ციხესიმაგრის აღებას, რომელშიც ანაკლეტი იჯდა. იოლი არ არის ანგელოზის ციხის აღება, თუნდაც შიგნით სატანა იყოს გამაგრებული. მოალყეების რიგები შესამჩნევად თხელდებოდა. ალყაშემორტყმულნი ქვებსა და ისარს უშენდნენ. ვიდრე ლოთარი ჭოჭმანობდა, შევუტიო კოშკს თუ არაო, ხმა მოვიდა, ჰერცოგი როჟერი გაძლიერებული რაზმით ახლოვდება ცოლისძმის (თუ რაყიფის!) დასახმარებლადო. მაშინ ლოთარმა გერმანიისაკენ იბრუნა პირი და ინოკენტი ბედის ანაბარა მიატოვა. ვაგლახ! საბაოთი ცუდი მფარველი გამოდგა! ინოკენტის დროებით რომის მიტოვება მოუხდა და ისევ პიზაში გამაგრდა, საიდანაც დაიწყო თავისი მეტოქის ბომბარდირება ანათემებით.

თითქმის მთელი წელიწადი გავიდა შედარებით მშვიდად. ანაკლეტის მომხრეთა შორის მრისხანე ანათემებს არავითარი გულის ფრიალი არ გამოუწვევიათ. მაშინ ინოკენტიმ გადაწყვიტა უფრო ეფექტური ღონისძიებების მიღება: იმპერატორთან შეკრა კავშირი, გრაფინია მატილდას მამულების თაობაზე შეუთანხმდა და მეორედ აიძულა ლოთარი ალპებზე გადასულიყო. მომენტი მოხერხებულად იქნა შერჩეული: რომის კურია სრული დაშლის პროცესში იყო. ანაკლეტმა სულ დახარჯა ეკლესიების ძარცვით ნაშოვნი ფული და მოკავშირეებს ვეღარაფრით ეხმარებოდა. სასახლეში სევდიანი დღეები დადგა: დასრულდა ორგიები, გაიფანტნენ მხიარული ქალები,

პაპსა და მის დამქაშებს სპარტანული წესით ცხოვრება მოუხდათ. ასე იცის უფულობამ. შედეგიც ბუნებრივი იყო: ანაკლეტის პარტია თავისთავად დნებოდა.

ინოკენტიმ ჩინებულად იცოდა სასახლეში შექმნილი ვითარების ყველა წვრილმანი და ლოთარის სამი ათასი ცხენოსნით მიაშურა რომს. იმავე დროს მეფე ლოთარმა როჟერიც განდევნა კალაბრიიდან. წმინდა მამა და იმპერატორი ქალაქ ბარის გალავანთან შეიყარნენ. აქ მოხდა ერთი ინციდენტი, რაც უთუოდ ანაკლეტის გამარჯვებას უზრუნველჰყოფდა, რომ მისი მოწინააღმდეგ ასე მარჯვე არ ყოფილიყო.

იოანე კომნინმა, აღმოსავლეთ რომის იმპერიის იმპერატორმა, ლოთარს გამოუგზავნა ელჩები, რომელთაგანაც ერთ-ერთი ბერი უღრესად მშევრმეტყველი იყო. ეტყობა, ამ ბერს ვიღაცამ ინოკენტის მხილება დაავალა. დავალება პირნათლად შეასრულა. ყოვლად უმსგავსო გარყვნილება დასწამა, სოდომიტად გამოაცხა ინოკენტი. ბერის მგზნებარე სიტყვამ იმპერატორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ასე რომ მისდა საუბედუროდ განიზრახა მოკავშირისათვის ზურგი ექცია და მისი მოქიშპის ანაკლეტის მხარეზე გადასულიყო. მაგრამ ვიდრე ამ განზრახვას ხორცს შეასხამდა, რაღაც საზარელ მუცლის გვრემა აუვარდა (დასტურ, საქმეში ღმერთი ჩაერიას!) და ორი დღის ტანჯვის შემდეგ სული განუტევა. ინოკენტიმ ეს საქმეც მოითავა და ახლა მარტოხელა გაუდგა რომის გზას. ამასობაში მისმა სიძემ, სიცილიის მეფემ ისარგებლა იმპერატორის სიკვდილით, კალაბრია და აპულია ააოხრა, გაძარცვა და რომის ტყვეობიდან ანაკლეტის გამოსახსნელად გაეშურა. ინოკენტის მდგომარეობა სულაც არ იყო ბრწყინვალე. მცირე ჯარით როჟერის მრავალრიცხოვანი არმიის შეჩერებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, თუ საქმეში უფალი არ ჩაერეოდა. აი, ჩაერია კიდეც. თავგზიანი ინოკენტი არ დაიბნა, და უზენაესს, რომელიც ერთხელ უკვე დაეხმარა, არც ამჯერად უქცევია მისთვის ზურგი. ანაკლეტი მოულოდნელად შეუძლოდ გახდა. მუცელზე ხელი იტაცა და დაიკრუნჩხა. ეს ჭამის შემდეგ დაიწყო. უცნაური სენი შეეყარა, მსგავსი იმისა, რაც ლოთარს დაემართა. რამდენიმე დღის არაადამიანური ტანჯვის შემდეგ ანაკლეტმაც განისვენა წიაღსა შინა აბრაამისასა. ინოკენტიმ ისეთი საჭმელების შეზავება იცის, მტერიც კი ეტანვბაო, ამბობდნენ ჩუმ-ჩუმად, მა-

რამ ხმამაღლა ვინ რას იტყოდა, ახლა ქრისტეს მოადგილე ინოკენტი იყო.

თითქოს ყველა ჩამოიშორა, ტახტის გზა კი მაინც არ იყო თავისუფალი. ინოკენტის მოწინააღმდეგეებმა განსვენებული ანაკლეტის მემკვიდრედ კარდინალი გრიგოლი აირჩიეს. მაგრამ მომხრეები მალე ბზესავით შემოეფანტა და არც არის გასაკვირი: ანაკლეტის და ლოთარის ბედი რომ გაიგეს, ღვთაებრივი სამსალის შიშით ყველა სატელიტმა თავს უშველა, ზოგიერთები კიდევ დაუცხრომელმა პაპმა მოისყიდა. ბევრი განსაცდელის შემდეგ, როგორც იქნა, ინოკენტი რომში ჩავიდა, მაგრამ მისი ვაი-ვაგლახი მაინც არ დასრულდა. როჟერი იარაღის დაყრას არ აპირებდა, მოიწევდა და მოიწევდა. ისეთი დაი აჩუქა განსვენებულმა პაპმა, რომ მკვდარსაც როგორ უმუხთლებდა! ინოკენტი არ შედრკა, თავისებურ ჯარს მოუყარა თავი და მტერს დახვდა. სიცილიის მეფემ ადვილად დაამარცხა საბაოთის არმია და თვითონ უზენაესის მოადგილე ტყვედ ჩაიგდო. როჟერმა ხელშეკრულებაზე მოაწერინა ხელი. მთელი ის მიწა-წყალი და ყველა პრივილეგია, რაც ანაკლეტმა სიცილიის ნეფეს უბოძა, მასვე რჩებოდა. ინოკენტი სიცილის გუნებაზე არ იყო, მაგრამ მეფის ტყვეს რა შეეძლო, თანხმობის მეტი!

1139 წლის 6 იანვარს ინოკენტი, რაც ლათინურად „უცოდველს" ნიშნავს, რომში დაბრუნდა, ტახტზე დაჯდა და ასე იჯდა 1143 წლამდე, ოთხი წელი. ასე რომ, პაპობის ისტორიაში ერთი ფურცელი ამ „უცოდველმა" მომწამვლელმაც დაიმსახურა.

ორი მეტოქე პაპის კონკურენციის ნიადაგზე დაწყებული სისხლისმღვრელი ომი ცხრა წელიწადს გაგრძელდა!

ქრისტიანობა —
სათნოების რელიგია

● ინოკენტის მემკვიდრემ ცელესტინმა ტახტზე ხუთი თვე დაჰყო. მის დროს აღმოსავლეთში განსაკუთრებით სასტიკად დევნიდნენ ბოგომილელთა სექტას, დაუნდობლად უსწორდებოდნენ ამ ბულგარელ ერეტიკოსებს, რომელთაც ჯერ კიდევ ადრე, ალექსი კომნინის დროს ავიწროვებდნენ და უწყალოდ წვავდნენ კოცონზე.

ეს სქიზმატიკოსები ამტკიცებდნენ, რომ მამა-ღმერთს ორი შვი-

ლი ჰყავდა. უფროსი, სახელად სატანაილი, მამას გადაუდგა, დამარცხდა და დედამიწაზე იქნა განდევნილი.

ამრიგად, ჩვენი დედამიწა ბოგომილებმა კატორღად აქციეს, სადაც სამოთხიდან დევნილნი იტანჯებიან, და ამაში არის ერთგვარი პოეზია!*

როგორც ამ ბნედიანი ფანატიკოსების ქადაგებიდან ჩანს, სატანაილი თავს იმით ირთობს, რომ ქმნის მთელს ამ ხილულ სამყაროს...

შემდეგ ბოგომილები ამტკიცებდნენ, რომ ღმერთმა თავისი უმცროსი შვილი იესო ქრისტე დედამიწაზე სატანაილის დასამხობად გამოგზავნა, რათა ის ქვესკნელში ჩაეგდო და მისი სახელისათვის ჩამოეცილებინა ანგელოზის მარცვალი „ილ“.

თავისთავად ეს ლეგენდაც ისევე უგნური და გულბრყვილოა, როგორც ყველა სხვა ბიბლიური თქმულება სამყაროს შექმნისა და სამღთხის შესახებ. უბედურება ის იყო, რომ ეს პოეტური თქმულება ზოგიერთ წვრილმანში კანონიკურ ლეგენდას ეწინააღმდეგებოდა.

ასე იყო თუ ისე, ბოგომილელთა მოძღვრება ერესად ითვლებოდა, ხოლო ერეტიკოსებთან ეკლესია ცერემონიებს არ მართავდა. მათე ედესელის მტკიცებით, აი ათასი ერეტიკოსი ზღვაში გადაყარეს, მათ შორის თვით იმპერატორ ალექსი კომნინის ღვიძლი ბებია.

სექტის წინამძღოლი, ბერი ნიფონტი საშინელი წამებით მოკლეს. მხოლოდ რელიგიურ სიგიჟეს შეუძლია ასეთი უკიდურესი და უკაცური ზომების მიღება. ბერს წვერ-ულვაშიდან სულ სათითაოდ წიწკნეს თმა (ხოლო თმა ამ ბერს, მემატიანის სიტყვით, ხშირი და გრძელი ჰქონდა), შემდეგ კი ჯალათმა, რომელმაც თავისი საქმე იცოდა, პირდაპირ თითებით ამოუგდო ორივე თვალი ბუდიდან. დაკითხვა რომ დასრულდა, უბედური ნიფონტი კოცონზე დაწვეს. ახლა თქვენ დაადგინეთ ასეთი რელიგიის ფასი!

---

* ბოგომილელთა ძლიერი ანტიფეოდალური სექტა, რომლის დამაარსებლად თვლება ნახევრად ლეგენდარული მღვდელი ბოგომილი, შეიქმნა X საუკუნეში ბულგარეთში. თავიანთი უცნაური მოძღვრების გარდა ეს სქიზმატიკოსები ქადაგებდნენ გადამთიელთა — ბიზანტიელთა განდევნას.

ოღონდ არ დაგავიწყდეთ: ქრისტიანობა — ესაა სათნოების რელიგია!

როცა ცელესტინ II მოკვდა, რომის კურიის კარდინალებმა დ• ნოტაბლებმა, რომელთაც არც ხალხი გააფრთხილეს, არც სამღვდელოება, ლატერანის სასახლეში კრება გამართეს და ტახტზე ფარულად აიყვანეს კარდინალი ჟერარდო, ამიერიდან ლუციუს II. ზნეობის თვალსაზრისით ლუციუს II არაფრით არ განირჩეოდა XII საუკუნის დანარჩენი პაპებისაგან. მისი ორგიები არაფრით არ არიან აღნიშვნის ღირსი წმინდა ტახტის ისტორიაში: ლუციუსი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ზომიერად. სცოდავდა. სამაგიეროდ მის პატივმოყვარეობასა და ბატონობისაკენ მისწრაფებას საზღვარი არა ჰქონდა.

დასავლეთის იმპერიის მეთაური ამ დროს იყო კონრად კეთილმსახური, რომლის ხასიათი ნამდვილად შეეფერებოდა ასეთ ზედწოდებას. ოღონდ გვახსოვდეს, „კეთილმსახური" არ ნიშნავს ადამიანთა მსახურს, ესაა ღმერთის მსახური, ღმერთი და ადამიანი კი, მოგეხსენებათ, ანტიპოდები არიან.

რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინათ პაპებს, ყოველთვის შეეძლოთ ასეთი იმპერატორის იმედი ჰქონოდათ.

ავიდა თუ არა ტახტზე, პაპთა ცვლით თავმობეზრებული მთელი იტალია ფეხზე დადგა. ამბოხებულ ხალხს საშიშ დესპოტთან ჰქონდა საქმე. ტლანქი და ამპარტავანი (პაპი და ისიც ამპარტავანი!) ლუციუსი სულ მცირეოდენ წინააღმდეგობასაც კი ვერ ითმენდა, უმნიშვნელო სურვილებიც შეუფერხებლად უნდა გაეტანა და თავის სამწყსოს დამოუკიდებლობის შეუმჩნეველ გამოვლინებასაც კი გაალმასებულ მახვილს ახვედრებდა. რომაელთა რაც შეიძლება სწრაფად მოტეხვის სურვილით ატანილმა ლუციუსმა სიცილიის მეფის მაშველ ჯარსაც კი არ დაუცადა, ისე გადაუღუნა ჯოხი და ამან გამოიწვია სახალხო აჯანყება.

აჯანყების ბელადი იყო არნოლდ ბრეშიანელი, სახელგანთქმული ფრანგი სწავლულის აბელარის მოწაფე. მან აამხედრა რომაელები და ხალხმა ძალით ჩაიგდო ხელში ის თავისუფლებანი, რომელთაც მისთვის პაპი არ იმეტებდა. შეიქმნა სენატი, აირჩიეს პატრიცი, რომელიც რომს განაგებდა. სენატი მთელი თავისი შემადგენლობით გაემართა ლატერანის სასახლეში და ერის სახელით გამოუცხადა ლუციუსს, ყველა უფლება ჩამორთმეული გაქვს, რაც პა-

პებს მოუპოვებიათო. სენატმა ეკლესიის წარმომადგენლებისაგან მოითხოვა უარი ეთქვათ საერო ჭონებაზე, მიწა-წყალზე, ამქვეყნიურ ზრუნვაზე და საქმეებზე, მხოლოდ და მხოლოდ სულიერი მოღვაწეობით შემოზღუდულიყვნენ. სამწუხაროდ, პაპს თვით რომაელები ცუდად იცნობდნენ.

წმინდა მამამ საერთოდ ამ ტირანისათვის დამახასიათებელი ქედმაღლური იერით უპასუხა, საშინელი განკითხვა არ აგცდებათო. მაგრამ რევოლუციური სულით ანთებული რომაელები არ შეუშინდნენ ტირანის მუქარას. ძველი რომის დიდების აღდგენა მოიწადინეს, კაპიტოლიუმზე ახალი კომუნა დააარსეს და ორმოცდათექვსმეტი სენატორი აირჩიეს, ყოველი ოლქიდან თითო წარმომადგენელი.

მაშინ ლუციუსმა დახმარება სთხოვა იმპერატორ კონრადს. სენატმა ალღო აუღო პაპის ინტრიგებს და თავის მხრივ ელჩები აფრინა იმპერატორთან, რომ საქმის ნამდვილი ვითარება გაეცნოთ მისთვის.

კონრად კეთილმსახურმა რომაელთა მიმართვას პასუხიც არ გასცა, არც კი მიიღო სენატის ელჩები, ხოლო პაპის ლეგატებს დიდი პატივით დახვდა და ბრძანება გასცა, ჯარი შემიკრიბეთ წმინდა ტახტის დასაცავად.

ლუციუსი თავისი ლეგატების დაბრუნებასაც არ დაელოდა, ისე შეყარა დიდკაცობა და კაპიტოლიუმზე იერიში მიიტანა. თვით პაპს, ნამდვილ მძვინვარე სატანაილს, ხელში ნაჯახი აეღო და ალაყაფის კარებს უბრახუნებდა, რომ მალე შეჭრილიყო იმ სასახლეში, სადაც სენატი იყო გამაგრებული. ამ ძველ შენობაში იკრიბებოდნენ ოდესღაც სენატორები და კონსულები, რომლებიც ქვეყნიერებას მართავდნენ. მოურიდებლად უშენდა ახალი მბრძანებელი, ძველ ჭამაც რომაელთა კარიკატურა, თავის ტლანქ ნაჯახს კაპიტოლიუმის კარებს, თითქოს სამოთხეში შესასვლელი ჭიშკარი იყო და ანგელოზს უხმობდა, მაგრამ ჯოჯოხეთის კარებად ექცა: პაპს ანაზდად ქვა დაეცა თავში (რა თქმა უნდა, ის კი არა, რომელზედაც იესო ქრისტეს უნდოდა თავისი ტაძრის აშენება). მეორე დღეს ლუციუს II მთელი თავისი ბრწყინვალებით წარუდგა მამა საბაოთს — ომის ღმერთს იაღვეს. საბედნიეროდ, მოციქულის ტახტზე სულ თერთმეტიოდე თვეს დაჰყო (1144 წლის 10 მარტიდან 1145 წლის 3 თებერვლამდე), თორემ ვინ იცის, რამდენ პატიოსან რომაელს შეიწირავდა!

საინტერესო წიგნი უზნეოთა ზნეობაზე

ერთმა საეკლესიო მწერალმა, რომელსაც ვერახაირად ვერ ჩავთვლით ანტიკლერიკალად, რადგან თვითონ იყო მორწმუნე ბერი, შთამომავლობას ერთი მეტად თავშესაქცევი პატარა წიგნი დაუტოვა იმ ზნეობაზე, რაც XII საუკუნის შუახანებში მონასტრებში იყო გაბატონებული. ამ თხზულებას ვერ მივათვლით ვერც ანეგდოტებს, ვერც სატირას ან პამფლეტის ჟანრს. უპირველეს ყოვლისა, ესაა რჩევა-დარიგებები დისციპლინაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა კლუნიელი აბატის პეტრეს კანონთა კრებული. ეს ის პეტრეა, თავის დროზე ინოკენტი მეორეს რომ დიდი სამსახური გაუწია. უკვე მარტო ეს ფაქტიც მეტყველებს იმაზე, რომ ეს კაცი უაღრესად მოქნილი ყოფილა ზნეობის საკითხში. რაკი ასეთმა ადამიანმაც კი ვერ მოითმინა ბერთა ძმობის უხამსი საქციელი და საჭიროდ ჩათვალა გამოექვეყნებინა თავისი კანონთკრებული, რომლის მიზანიც იყო სამღვდელოების გამოსწორება, ადვილი წარმოსადგენია, რა შორს წასულა ღვთისმსახურთა გარყვნილება.

ამ საინტერესო პატარა წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება მაჰომედის დაბნეულობის შესახებ მსჯელობას. ამაზე ჩვენი მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. ამ თხზულების მეორე ნაწილი ბევრად უფრო საგულისხმოა. მოვიყვანოთ ზოგიერთი ციტატა [illegible] ორდენის სამონასტრო წესდებიდან, რომლის წევრიც პეტრე ბრძანდებოდა.

„აეკრძალოთ ბერებს კვირის მესამე დღეს, [illegible], გარეული იხვისა და წყლის ქათმის ჭამა, რადგან ფრინველთა ჯიშს ეკუთვნიან, თუმცა დაცურავენ...“

ეს დარიგება მოწმობს, რომ ალბათ სანდრე დიუმას ცილი არ დაუწამებია პატერ ჰორანფლოსათვის, რომელიც მისი თქმით მარხვაში მსუქან ყვინჩილას შეექცეოდა, წინასწარ კი ჭანარით ნათლავდა.

„აეკრძალოთ ბერებს ნავახშმევს შაქრის, თაფლის ან წიწაკის ნაყენის დალევა“...

კეთილმსახური ბერის ზრახვა სრულიად გასაგებია: ეს სასმელები ადამიანს აღაგზნებენ, და ბერები რომ მას მიირთმევენ, მერე კინ იცის, რას არ ჩაიდენენ.

„აეკრძალოთ ბერებს დღეში სამჯერ მეტად ჭამა“.

მაშ რამდენჯერ მიირთმევდნენ მრევლის ხარჯზე ეს მუქთახორა წმინდანები? ვინ იცის, რამდენ ცხვარსა ნთქავდნენ ყოველდღე!

„აეკრძალოთ ბერებს სამკაულების ტარება და ძვირფასი ქსოვილების ჩაცმა... აგრეთვე ორზე მეტი მოსამსახურის დაყენება...“

ცუდად როდი ეწყობოდნენ ეს ვაჟბატონები! ღმერთს ვემსახურებითო და ხალხს იმსახურებდნენ! საკითხავია, მაშ რამდენი მსახური ჰყავდათ ამ უსაქმურებს?

„...ღამეობით მისაღებში ახალგაზრდა ლამაზ მანდილოსნებთან დარჩენა...“

მოიცათ, ამის აკრძალვა როგორ შეიძლება? მაშ დღისით ხომ არ... ჩვეულებრივ, მისაღებებში მნახველებს ესაუბრებიან. რა თქმა უნდა, ღამ-ღამე კი არა, დღისით. შეიძლება სანაძლეო დავდოთ, რომ რაღაც სხვა საქმით იყვნენ გართული.

„აეკრძალოთ ბერებს აღსაზრდელად მაიმუნების აყვანა, აგრეთვე ყმაწვილი კაცის სენაკში შეყვანა და კარის ჩაკეტვა იმ საბაბით, რომ მოწაფეს ლოცვას ვასწავლიო...“.

ლოცვებს ასწავლის! ჩინებულია! უთუოდ უსიტყვოდ ლოცულობენ! უნდა ვაცალოთ, ჰუჰრუტანებიდან რომ შევიხედოთ, ღმერთს ეწყინება. მაგრამ უნდა დავუფიქრდეთ ისეთი სიტყვების სრულ შეუსაბამობას, როგორიცაა „მაიმუნების აღზრდა“ და „ყმაწვილ კაცთან განმარტოება“. რატომ აერთიანებს ამ ცნებებს პეტრე ბერი? ვერაფრის მტკიცებას ვერ გავბედავთ და მხოლოდ ბუნდოვანი ეჭვი გვაქვს, რომ გამწარებული ბერები თავისუფალ დროს მაიმუნებსაც „ასწავლიდნენ ლოცვას“, რაც პეტრეს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

კიდევ ერთი ციტატაც და მოვრჩებით:

„აიკრძალოს ახალგაზრდა ბერების მიღება აბატის საგანგებო ნებართვის გარეშე, თორემ საბატონები მაწანწალებისა და საზიზღარი გათახსირებული ადამიანების საკრებულოდ იქცევიან“...

აქ რაღა ეჭვი შეიძლება იყოს? ავტორი უკვე გადაკვრით კი არ ამბობს, არამედ კატეგორიულად ამტკიცებს: ბერები ერთიმეორის თავით ვეღარ კმაყოფილდებოდნენ, მაწანწალებს იკედლებდნენ და ერთობოდნენ. ყურადღება მიაქციეთ იმასაც. რა ხშირად ახსენებს ბერი ზედსართავს „ახალგაზრდა“: ახალგაზრდა მონაზვნებიო, ახალ-

გაზრდა კაციო... ბერს აშკარად წამოსცდა. რა ავხორცნი ყოფილან კლუნიელი ბერები! და ეს სავანე არც სხვებზე უკეთესი ყოფილა, არც უარესი.

ბოლოსიტყვაობაში ამ სამოძღვრებო წიგნის ავტორი დასტირის ბერთა სიწამხდრეს, რაც დღითიდღე მატულობდა. ძალაუნებურად უნდა ვერწმუნოთ ამ ავტორიტეტულ მოწმეს, რომელიც წერს:

„ამ სავანეებმა, კეთილმსახურმა წმინდა ბენედიქტემ რომ ააშენა ქრისტიანული ზნეობის გაუმჯობესების მიზნით, დაივიწყეს თავიანთი დამაარსებლის წმინდა აღთქმა და სოდომის სამეძაო სახლებად ქცეულან“.

კათოლიკური მხედრიონის
შტაბ-ბინა საფრთხეშია

❶ ლუციუს მეორის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ ხალხს უნდოდა ისეთი პაპი აერჩია, რომელიც რევოლუციურ იდეებს თანაუგრძნობდა, ე. ი. სურდა ეპოვნა თეთრი ყორანი. კარდინალები სხვანაირად ფიქრობდნენ. შეიყარნენ და საიდუმლოდ აირჩიეს ერთ-ერთი ბერი—წმინდა ანასტასი. სენატმა რომ კონკლავის საიდუმლოდ შეყრის ამბავი გაიგო, კარდინალებს გამოუცხადა, ახალმა პაპმა კონსტიტუცია უნდა მიიღოს და მის კანონებს დაემორჩილოსო. კარდინალებმა მოსაფიქრებლად ერთი დღე ითხოვეს და სენატიც დათანხმდა. ვიმეორებთ, თვით რომის სენატი ცუდად იცნობდა რომის პაპს. იმავე ღამეს პაპი ევგენი III და მისი ამომრჩეველი კარდინალები რომიდან ფარულად გავიდნენ და მონტიჩელის სიმაგრეს შეაფარეს თავი.

ფარსის მონასტერში რომ მღვდელმთავრის ხარისხი მიიღო, ევგენი III რომში დაბრუნდა მტკიცე განზრახვით, რომ გაეტეხა რომაელები, რომელთაც თავხედურად მოიგონეს რაღაც კანონები და მოციქულის ტახტის მპყრობელზე მაღლა დააყენეს.

არნოლდ ბრეშიანელის მოწოდებაზე რომის მოსახლეობა აღდგა და ლატერანის სასახლეს შეიარაღებული შემოერტყა. წმინდა მამამ იკადრა მწირის სამოსელი და ქალაქიდან ქურდულად გაიპარა. მაშინ ხალხმა ჯავრი პაპის მცველებზე იყარა. კარდინალების, ეპის-

კოპოსების და არისტოკრატების სასახლეები, რომლებიც პაპის აბსოლუტურ ძალაუფლებას უჭერდნენ მხარს, დაანგრიეს, დაწვეს და გაძარცვეს. შემდეგ ბრბო პეტრეს ტაძრისაკენ გაემართა, სადაც მლოცველები პაპისათვის მორთმეულ ძღვენს ინახავდნენ, მთელი ეს არამი სიმდიდრე მოაქუჩეს და რომის უღარიბეს მოსახლეობას დაურიგეს. აქ მოხდა სისხლიანი შეტაკება. დაატრიალეს შუბები და კეტები. მღვდლებმა სიტყვა ქრისტიანულ სათნოებაზე ჩამოაგდეს და წინააღმდეგობის გაწევა სცადეს. ეს ცდა ძვირად დაუჯდათ — ყველანი დახოცეს. ევგენი მესამეს იმედის ძაფი გაუწყდა, რომ ოდესმე პაპის ტახტზე დაბრუნებას ეღირსებოდა, და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა რომიდან. ამ პაპს ბედი არ სწყალობდა. თითქმის რვა წელი ითვლებოდა პაპად (1145—1153) და აქედან მეტი წილი განღევნილობაში ან ბრძოლაში გაატარა. ამჯერად რომში მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაბრუნდა. მისი ხეტიალის დროს რომს არნოლდ ბრეშიანელი განაგებდა.

რომელ წმინდანს ღირსებია სხვას ასეთი წყალობა?

❁ ყოველი კრეტინი კი არ არის ფანატიკოსი, მაგრამ როგორც გენებოთ და ყოველი ფანატიკოსი კი ნამდვილად კრეტინია.

ევგენი მესამის მთავარი მასწავლებელი და მფარველი იყო ბერნარდი, ანუ როგორც ეკლესია ეძახის, წმინდა ბერნარდი. ქრისტიანულ სამყაროს ეს მეთაური, რომლის წინაშეც მთელი დასავლეთი ქედს იხრიდა, მიზნად ისახავდა ყველა ქრისტიანის გაერთიანებას ერთ უზარმაზარ არმიად, რომლის სათავეშიც სამღვდელოება იქნებოდა. ამ საქმეში თანამზრახველიც გაიჩინა, თვითონ ევგენი III, რომელსაც, კაცმა რომ თქვას, ხეტიალის დროს სხვა საქმე არა ჰქონდა.

ისტორიის სახელმძღვანელოებში ფართოდ არის მოთხრობილი მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის ტრაგიკული ამბავი. საკმარისია ითქვას, რომ ორი უზარმაზარი არმიიდან, აღმოსავლეთისაკენ რომ გაემართა, პალესტინამდე, სულ რამდენიმე რაზმმა ჩააღწია.

ერთი ისტორიკოსის სიტყვით, მგზნებარე ფანატიკოსმა ბერ-

ნარდმა, წმინდა ლაშქრობას რომ ქადაგებდა, თვითონ მეფე ლუდოვიკო მეშვიდეს აუცრემლა თვალი, რაც გვიმტკიცებს, რომ ისიც საკმაოდ ბნელი, სენტიმენტალური, გულჩვილი ვინმე ყოფილა, ნიანგის ცრემლებს რომ ღვრიდა. თუმცა მის გულჩვილობაზე ისტორია სხვა აზრისაა. როგორც ცნობილია, იმ ოცტა ხნის წინ კეთილმსახურმა მეფემ გულგრილად დაწვა ეკლესია, რომელშიაც ათასი კაცი იყო დამწყვდეული, და ამით მრავალი მძულვარე პაპი დაჩრდილა.

მეკვრმეტყველურ ქადაგებაში ბერნარდი ლაპარაკობდა საფრთხეზე, რაც ეკლესიას ემუქრება, ჯვაროსანთა დამსახურებაზე, რომელთაც მაცხოვრისათვის შურისძიების ფიცი დადეს. პაპის სახელით ჰპირდებოდა ცოდვების მიტევებას ყველას, ვინც ხელში იარაღს აიღებდა, მკერდზე ჯვარს მიიკერებდა. დასასრულ ბერნარდმა ხალხს უწინასწარმეტყველა უზარმაზარი გამარჯვებები და ტრიუმფალური დაბრუნება ურწმუნოთა სრული განადგურების შემდეგ. იმავე ისტორიკოსის ცნობით, „ბრბო საზეიმო ღრიანცელით შეხვდა ბერნარდის ქადაგებას, როგორც ოდესღაც კლერმონში. როცა გამზადებული ჯვრები არ ეყო, ტანზე სამოსი შემოიგლიჯა და იმით დაიწყო ჯვრების დამზადება“. ო, ბნელო, საცოდავო საუკუნეევ! როგორ გწამდა სისულელე ამდენი დამარცხების შემდეგ! ეს შეშლილი ფანატიკოსიც რა მსახიობი ყოფილა! მისი სამოსისაგან რამდენი ჯვარი გამოვიდოდა! მაგრამ იცოდა, მისი ხრიკი ხალხში ეფექტს მოახდენდა. ამიტომ შემოიფლითა ტანსაცმელი, რაც მერე სისხლით უნდა შეღებილიყო, სულელთა სისხლით.

წმინდა ბერნარდი, თუმცა წმინდანი იყო, ყოველი ჩვეულებრივი მოკვდავივით ცდებოდა. არასოდეს არც ერთი მატყუარის წინასწარმეტყველება ასეთი განუზომელი კრახით არ დასრულებულა. მისი ქადაგებით აგებული ხუხულა ისეთი ხმაურით დაემხო, მთელმა ქვეყნიერებამ გაიგო. მაგრამ ჯვაროსნული ომების საბოლოო მარცხის შემდეგაც კი თავის დაძვრენას ცდილობდა კრეტინი ბერი, რაც ამტკიცებს, რომ რეგვენთან ერთად დიდი უსირცხვილო ვინმეც ყოფილა. როცა ანგარიში მოსთხოვეს, გაოცებულ ქრისტიანებს ამ კონკიაუღარუნა ცრუპენტელამ ურცხვად მიახალა: ჩემი წინასწარმეტყველება იმიტომ არ ასრულდა, რომ თქვენი სამარცხვინო ცოდვების გამო ქრისტე გაწყრა და ჯვაროსნებს ხელი შეუშალა თავიანთი აღთქმის აღსრულებაშიო. აი, ეს მარადიული ძალადობის ძველთაგან-

ვე ცნობილი ხერხი, როგორ აბრიყვებს ბნელ ხალხს! თავრბე ხუ ოტყვით, ქრისტე გაუწყრა ლაშქრად წასულებს შინ დარჩენილთა ცოდვებისათვის და ხება არ მისცა, რომ მისი საფლავი ურჯულოებისაგან ეხსნათ! ხუთუ იესო ასეთი ბუტია იყო? მაშინ ის არ ყოფილა ქრისტე, და წმინდა ბერნარდი ერესს ქადაგებს.

ასეთი შარლატანური ფანდი თვით იეზუიტ მემბურს ვერ მოეთმენია: „ძსგავსი ძსჯელობით ყოველ თაღლითს შეუძლია თავისი ყალბი წინასწარმეტყველება გაამართლოს".

მიუხედავად იმისა, რომ წმინდა ბერნარდმა ერთ სიცრუეს მეორე დაუპირისპირა, მის წმინდანობას ერთი ნამცეცი არაფერი დააკლდა, თუმცა ვირზე წაღმა შესმის ღირსიც აღარ იყო. სიცოცხლეში ევგენი III იყო მისი მიმდევარი, სიკვდილის შემდეგ კი თვითონ „დაედევნა" პაპს: ერთ თვეზე ნაკლებ ხანში მიჰყვა, და მისმა გარდაცვალებამ რელიგიურ ფანატიკოსთა შორის ნაძდვილი სიგიჟე გამოიწვია. ეკვდერში დასვენებულ წმინდანს უზარმაზარი ბრბო შეეკრიბა გარშემო. რომიდან კი არა, პროვინციებიდანაც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი, რომ ერთხელ ძაინც შეეხედათ ახლად მოვლენილი წმინდანისათვის. გიჟური როკვა და ლოცვა არ შეწყვეტილა ბერნარდის ნეშტის ირგვლივ მთელი ორი დღე და ღამე. პირველ დღეს მორწმუსეები იძით კმაყოფილდებოდნენ, რომ გვაძის გვერდით მონეტებს, პურის ნამცეცებსა და ქსოვილებს ათავსებდნენ. მონეტები რელიქვიებად იქცეოდნენ, ქსოვილები სამკურნალო სახვევებად, პურისაგან კი სნეულთა გამაჯანსაღებელ აბებს ამზადებდნენ; თუ სნეული ამ აბებს გადაყლაპავდა და მოკვდებოდა, ბრმა მორწმუნენი დარწმუნებული იყვნენ, რომ მიცვალებული ან ეშმაკეული ყოფილა ან გამოუსწორებელი დამნაშავე. ვინც თავისი ფანატიკური ქადაგებით ათასობით ადამიანი უცხო მხარეში დასაღუპავად გასწირა, ის სიცოცხლის წამლად ჩათვალეს!

მეორე დღეს მორწმუნეებმა დაიწყეს სამოსის ნაგლეჯების წაჭრა, ავგაროზის მაგიერ იკიდებდნენ კისერზე წმინდანის კაბის კიდეს. შემდეგ თმაზე გადავიდნენ, ხოლო როცა გვამს აღარც თმა შერჩა, უკვე ნეშტის ძარცვას მიჰყვეს ხელი. მიცვალებულს ფრჩხილები წააკვეთეს, მერე ცხვირი, ყურები და სხეულის სხვა ნაწილები. წმინდანის გვამის ეს კეთილმსახურული პროფანაცია იმით დამთავრდა, რომ დაკრძალვის დროს ადამიანის სხეული უკვე უფორმო მასად

ქცეულიყო. განა ასევე არ ექცევიან გვამს ტურები და კატები? კაფრებს და ჰოტენტოტებს რომ ღვაძის ასეთი შეგრძნება ენახათ, ალბათ იტყოდნენ: „საცოდავი ველურები! ეტყობა, ძალიან მოშიოდათ, რომ საკუთარი მოძმე შეუჭამიათო!“

წმინდა ბერნარდის საძაგელი გაძვალტყაეებული ნეშტი მიწას მიაბარეს. მისი თაეები და ფრჩხილები კი ვინ იცის, რაძღენი საუკუნის განმავლობაში იყიდებოდა ძაძასისხლად უფლის დუქნებში — ეკლესიებში!

ადრიან IV

ეუგენი მესამის განსვენების შემდეგ წმინდა ტახტზე ერთი წლის განძავლობაში იჯდა ანასტასი IV, რომლის პონტიფიკატმა ისტორიაში არავითარი კვალი არ დატოვა. პაპი იყო და ახსენებენ. შემდეგ პაპის ტახტზე დაჯდა ნიკოლოზ ბრეიკსპირი, იგივე ადრიან IV, ერთადერთი ინგლისელი, რომელიც პაპი გახდა (თუ იოანას არ ჩავთვლით).

სიყმაწვილეში ეს პაპი, უღარიბესი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდა კაცი, პირდაპირ მათხოვრობდა. არაჩვეულებრივმა შემთხვევამ მთელი მისი ცხოვრება ძირფესვიანად — სწორედ სვიანად შეცვალა და ყოფილ მათხოვარს „უბადრუკი იმპერიის“ მძლეველის სახელი მოუხვეჭა. ლა-მანში გადაცურა და საფრანგეთის რომელიღაც მონასტრის ზედამხედველს შეეყარა. პატივცემულმა ბერმა მაშინვე შეიცნო ამ ახალგაზრდა ინგლისელში ეკლესიის ნამდვილი მსახური, თავის სავანეში წაიყვანა, ბერად აკურთხა და ბოლოს სიკვდილის წინ, თავის საძმოს ანდვრძი დაუტოვა, წინამძღვრად ეს ჩემი საყვარელი მოწაფე აირჩიეთო. ახალგაზრდა აბატმა მისდამი რწმუნებული სავანის ზნეობის გაწმენდა დაისახა მიზნად, და ეს სწორედ საჭირო იყო, რადგან ბერები მხიარულსა და უზრუნველ ცხოვრებას იყვნენ მიჩვეული. ბერებს ახალგაზრდა ზედამხვდველის სიწმინდე არ ეჭაშნიკათ და რომში იჩივლეს: ანასტას მეოთხეს გაუგზავნეს დელეგატები და შეუთვალეს, ჯოჯოხეთური დახაშაულობანი ტვირთად აწევსო ჩვენს ზედამხედველს. რომში თვითონ აბატიც

ჩავიდა. ეტყობა, მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, რომ პაპის გულიც მაშინვე მოინადირა. ბერები გარეკა და ეს ქუდბედიანი ინგლისელი კი თავისთან დაიტოვა. მოხდა იგივე, რაც საფრანგეთის სავანეში, ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით: პაპის გარდაცვალების შემდეგ ხალხმა პაპის ტახტის კანდიდატად წამოაყენა, დაიმედებულმა, რომ წინამორბედებზე უფრო დემოკრატიული, ლიბერალური და ადამიანური იქნებოდა.

მაგრამ ადრიან მეოთხემაც გაუცრუა ხალხს იმედი. ამ ბედის ნებიერმა ძალიან ჩქარა დაივიწყა თავისი მდაბიო ჩამომავლობა, როგორც ხშირად ხდება ისტორიაში (ოდესღაც ალბათ ბურბონიც მდაბიო იყო!), და ისევე უსაზღვროდ ამპარტავანი გამოდგა, როგორც უსაზღვროდ თავმდაბალი იყო კარიერის დასაწყისში. განდიდებული გლეხი მთავარზე უარესი გამოვიდა.

ინტრონიზაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ სენატორები მივიდნენ და სთხოვეს, რომს ძველი უფლებები დაუბრუნეო. ადრიან მეოთხემ შუბლი შეიკრა და ისეთი კილოთი, რაც არავითარ შეპასუხებას არ უშვებს, განუცხადა: პაპის ძალაუფლება ღმერთმა დაადგინა, ყველა კანონზე მაღლაა, განუსაზღვრელია, და არასოდეს არავის დავუთმობო. როგორც კი შეპასუხება დააპირეს, პაპმა პირდაპირ შეწყვიტა აუდიენცია, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გარეკა სენატორები. ისიც მშვენივრად იცოდა, მისი საქციელი რომ ხალხს აღაშფოთებდა, ამიტომ ადრიან IV თავის სიცოცხლეს გაუფრთხილდა და სასახლე სიმაგრედ აქცია.

პაპის წინდახედულობა უსაფუძვლო არ ყოფილა. არნოლდ ბრეშიანელმა განაახლა ბრძოლა პაპების წინააღმდეგ და ლატერანის ტირანიის დასამხობად საყოველთაო აჯანყება მოაწყო.

უკიდურესი აღელვების მიუხედავად მეამბოხეებს განსაცვიფრებლად ზომიერად ეჭირათ თავი. შთაგონებული მქადაგებლის ზეგავლენას აყოლილნი არავითარ ძალადობას არ მიმართავდნენ ეკლესიის წინააღმდეგ.

არნოლდ ბრეშიანელი სისხლის დაუღვრელად ფიქრობდა სამართლიანობისა და თავისუფლების ზეიმის გადახდას. ამბავთა შემდგომი მსვლელობა გვიჩვენებს, რამდენად მცდარი იყო ამ მეოცნების მოქმედება. სამღვდელოებასთან ისე არ შეიძლებოდა ფონს გასვლა, როგორც ეს მგზნებარე და თავაზიანი რეფორმატორი რომაე-

ლებს ურჩევდა. საძწუხაროდ, ეს კეთილშობილი რეფორმატორი იმ-დენადვე გულუბრყვილო იყო, რამდენადაც მამაცი. მისი ბრწყინვა-ლე და ცოტა არ იყოს საკვირველი გამარჯვების ნაყოფი უდაბნოს ქარს მიჰქონდა, თვითონ კი ეშმაკ პაპებთან მოლაპარაკეებას განაგრ-ძობდა.

პირველად რომაელებსაც ეგონათ, რომ გამარჯვებას მიაღწიეს. ქალაქში მღელვარება ნელ-ნელა მიწყდა. მაშინ ანგარიშიანმა პაპმა, რომელსაც დრომდე მოცდის უნარი ჰქონდა, თავისი ძალაუფლების აღდგენის ბრწყინვალე ღონისძიებას მიმართა. მთელი რომი შეაჩვე-ნა, ეკლესიიდან განკვეთა, ღვთისმსახურება შეწყვიტა, ეკლესიები ჩაკეტა, ხატ-ჯვარი მაღლა თაროზე დაჰკიდა, ზარის ხმა მი-წყდა... და ეს უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ პაპი ხალხს არ შეიწყალებდა. პაპი მიზანში არტყამდა, როგორც გამობრძმედილი ჩუბინი. ამ ოსტატურად მოფიქრებულმა ხრიკმა მთელი ქალაქი სა-სოწარკვეთილებაში ჩააგდო. ერთხელ კიდევ აიღო ხელში პაპმა თავისი პირველი იარაღი — ხალხის უმეცრება. იმ დროს რელიგიუ-რი წეს-ჩვეულება ცრუმორწმუნე ხალხს თავისუფლებაზე ძვირად უღირდა. ბევრად უფრო ძვირად. ორი დღეც არ გასულა, რომ ად-რიანთან დეპუტაცია გამოცხადდა და შეეევედრა, ინტერდიქტი გაა-უქმეო.

უგნურმა დეპუტატებმა მის უწმინდესობას სახარებაზე შეჰფი-ცეს, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ არნოლდ ბრეშიანელი და მისი მომხრეები რომიდან განვდევნოთო. პაპი არნოლდივით გულუბრ-ყვილო როდი იყო. ხალხს უპასუხა: როცა დაპირებას შეასრულებთ, მაშინ გავხსნიო ეკლესიის კლიტეებს.

არნოლდ ბრეშიანელის დაღუპვა

❁ იმ დროს, როცა რომში საქმის ასეთი ვითარება იყო, ჩრდილო-ეთიდან დიდი საფრთხე ჩამოწვა. იტალიის ქალაქებს ალყა შემოარ-ტყა ფრიდრიხ ბარბაროსამ, რომელიც 1152 წელს, ევგენი მესამის პონტიფიკატის დროს, იმპერატორის ტახტზე ავიდა. ბარბაროსა (წითელწვერა) ქალაქთა მორჩილებას ითხოვდა. შეშინებულმა ად-

რიანმა სასწრაფოდ სამი კარდინალი აფრინა ტოსკანაში და დაავალა, მოელაპარაკეთ ფრიდრიხს ბისი გვირგვინის კურთხევის თაობაზეო.

გვირგვინის კურთხევაზე ზღაპრის მეღორეც არ ამბობს უარს, მეფე ფრიდრიხი როგორ იტყოდა! პაპის წინადადებით მოხიბლულმა ბარბაროსამ ვერაგული ნაბიჯი გადადგა: პაპს გადასცა არნოლდ ბრეშიანელი, რომელსაც მიუტევებელი დაუდევრობა გამოიჩინა და დახმარება სთხოვა, ისიც არა ელჩების ძეშვეობით, არამედ პირადად. კარდინალებმა სიამოვნებით მიიღეს მეფის საჩუქარი და რომში ბორკილგაყრილი მტრის თანხლებით დაბრუნდნენ. არნოლდს უკანასკნელი — ორმოცდაძეხუთმეტე წელი უსრულდებოდა.

ზოგიერთი მემატიანის ცნობით, რომაელები ლეონის ქალაქს ეკვეთნენ, და თავიანთი ბელადის განთავისუფლება მოინდომეს. სისხლისმღვრელმა ბრძოლამ, რაც მთელი დღე გაგრძელდა, უშედეგოდ ჩაიარა. გაბრიყვებული ხალხის საქმე უკუღმა მიდიოდა.

არნოლდი თვითონ ლიბერალური კაცი იყო, მტრებს არ ჭლეტდა. რამდენადაც თვითონ ლმობიერებას იჩენდა, იმდენად სასტიკნი აღმოჩნდნენ ახლა მტრები, რომელთაც ასე იოლად ჩაუვარდათ ხელში სახალხო გმირი. ცხადია, სიკვდილი მიუსაჯეს. სახელგანთქმული ლომბარდიელი მქადაგებელი, ბნელი საუკუნეების ერთი უნათლესი პიროვნება, ჯერ ეკლესიის ჯურღმულში გაგუდეს, მერე დაწვეს და ფერფლი ტიბრში გადაყარეს: ვაი თუ რამე ნაწილი გადარჩეს და ხალხმა თაყვანისცემის საგნად გამოიყენოსო!

პაპებს მტრის დათრგუნვა არ შეეშლებოდათ. ამ საქმეში მორიელებისა და ნიანგების მოწაფეები იყვნენ.

ფრიდრიხ ბარბაროსა, გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი მბრძანებელი, ნიჭიერი, უმამაცესი, შორსმჭვრეტელი დიპლომატი, სარდალი და პოლიტიკოსი, დიდხანს ამაოდ ტკეპნიდა იტალიის მიწას, და სხვა სასახელო ვერაფერი მოახერხა თავისი მბრძანებლობის დასაწყისში, გარდა ბრეშიანელის გადაცემისა ულმობელი მტრის ხელში,

მაგრამ ორი უდიდესი მეტოქის — პაპობისა და იმპერიის — მეგობრობა დროებითი და შემთხვევითი ამბავი იყო. ორივე ამაყი და პატივმოყვარე მბრძანებელი მალე ისევ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთა ერთიმეორეს. ეს იყო საერო და სასულიერო ბუმბერაზების ორთაბრძოლა. ორივე თავის ძალაუფლებას ცით მოვლენი-

ლად თელიდა. როგორც ანალიტიკური ამბობს, ფრიდრიხმა უკვე პირველსავე შეხვედრაზე თქვა უარი პაპის ცხენის სადავის დაჭერაზე, ამ დამამცირებელ წესზე, რაც დიდი ხანია ხაზს უსვამდა მეფეთა ვასალობის სასულიერო ერისწულთა წინაშე. ყოფილმა მათხოვარმა, ბრანდენბურგელმა ადრიანმა ეს იუკადრისა და უარი უთხრა გერმანიის იმპერატორს პატივზე, რომ... პაპის ქოშები დაეკოცნა! მთელი დღე გაგრძელდა ძოლაჭარაკება, რომ ქედმაღალ მბრძანებლებს ერთიმეორისათვის რაიმე დაეთმოთ

პაპისა და იმპერატორის კავშირი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ერთიმეორის თავი ესაჭიროებათ თავიანთი ხალხების დასათრგუნავად. ასეთი შეთანხმება ხანგრძლივი არასოდეს არ არის.

გავიდა ხანი და ადრიან IV ლეგატები გაუგზავნა ფრიდრიხს თხოვნით, ბეგარისა და გადასახადისაგან გაათავისუფლეო მოციქულის სამფლობელოები; ვასალები კი არა, ქვეშევრდომები უწოდეო იტალიელ ეპისკოპოსებს, დაუბრუნეო ვრაფინია მატილდას სამფლობელო პაპის ტახტს. დაბოლოს, პაპი თავისთვის სრულ სუვერენიტეტს მოითხოვდა რომში. შეთანხმება არ მოხერხდა. დაიწყო ომი, რაც ოც წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და იმპერატორის დამარცხებით დამთავრდა (პაპ ალექსანდრე III დროს). პაპების ძლევა შეეძლო მხოლოდ განათლების საუკუნეს.

ალექსანდრე III

ადრიან IV გარდაცვალების შემდეგ კარდინალად არჩეულ იქნა როლანდო ბანდინელი — სწორედ ის კარდინალი, რომელიც უწინ პაპის ლეგატი იყო და სეიმზე კინაღამ შემოაკვდა ერთ გერმანელ დიდებულს თავხედური სიტყვებისათვის, განრისხების დროს რომ მიახალა ფრიდრიხს: „მაშ ვის უჭირავს იმპერატორის ძალაუფლება, თუ არა პაპს?“

ახალ პაპს, რომლის სახელი როლანდო წესისამებრ შეიცვალა და ეწოდა ალექსანდრე III, იმპერატორის მომხრეებმა მაშინვე დაუპირისპირეს ვიქტორ IV (ოქტავიან მონტიჩელი, იტალიელი). განხეთქილების შეწყვეტის მიზნით ფრიდრიხმა პავიაში ყრილობა მოი-

წვია. მაგრამ ალექსანდრე III თავიდანვე კრიზეაში ჩაუდგა ფრიდრიხს, ყრილობის მოწვევის უფლებასაც ედავებოდა და ყრილობაზე მოსვლა არ იკადრა. „ვერავინ ვერ გამასამართლებს მე, — განაცხადა ადრიანის მემკვიდრემ, — მარტო მე მაქვს ასეთი უფლება". მართალია, ყრილობამ ვიქტორ IV აირჩია, მაგრამ მთელმა საქრისტიანომ, გერმანიის გამოკლებით, მაინც ალექსანდრე III დაამტკიცა. საბერძნეთის იმპერატორმაც კი ალექსანდრე ამჯობინა და წინადადება მისცა: თუ ფრიდრიხის გვირგვინს მომცემ, მთელი საბერძნეთის ეკლესიას პაპს დავუმორჩილებო.

ფრიდრიხმა მაინც იმძლავრა, რომს მიაშურა. ალექსანდრე III იძულებული გახდა რომიც დაეტოვებინა და თავი საფრანგეთს შეაფარა. მაგრამ ლტოლვილი პაპი მაინც პაპად დარჩა. ამაოდ უპირისპირებდა ფრიდრიხი ვიქტორ მეოთხის სიკვდილის შემდეგ მას პასქალის მესამეს. პაპი ალექსანდრე რომში დაბრუნდა და იმპერატორი გადაყენებულად გამოაცხადა,. მისი ქვეშევრდომები კი გაათავისუფლა ერთგულების ფიცისაგან. იტალიელების მოთმინების ფიალაც აევსო იმპერატორის ძალადობას, მის მოხელეთა გამომძალველობას, და წმინდა ტახტის მხარე დაიჭირეს.

მაგრამ დაუღალავი და მოუსვენარი ფრიდრიხი კვლავ დაიძრა რომისაკენ, რათა ტახტზე თავისი პაპი კალიქსტ III გაემაგრებინა (სამსავე პაპს, რომლებიც თავისი ხანგრძლივი ბრძოლის მანძილზე ფრიდრიხმა ალექსანდრეს დაუპირისპირა, ეკლესია ანტიპაპს ეძახის). რვა დღის ალყის შემდეგ იმპერატორი რომში შევიდა. ალექსანდრეს სხვა რა დარჩენოდა, მწირის სამოსი ჩაიცვა და თავისი რეზიდენცია მიატოვა. „დამხობილმა" ფრიდრიხმა მოზეიმე მხეცი განდევნა. მაგრამ პაპებს ხომ მუდამ ვინმე სწყალობდა: ან ღმერთი, ან ეშმაკი, ან იმპერატორი. ამჯერად გერმანიის არმიაში საშინელი ეპიდემია გაჩნდა და ბარბაროსა იძულებული გახდა ჩრდილოეთს გაბრუნებულიყო.

ამასობაში ჩრდილოეთ იტალია აიშალა. ჩანს, ჩრდილოელი ტირანის მძვინვარებამაც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია და ეროვნული შეგნება გააღვიძა. იმპერატორის დესპოტიზმით, მისი მოხელეების სიხარბითა და ძალადობით აღშფოთებულმა ქალაქებმა ურთიერთ შუღლი დაივიწყეს. მრავალი მათგანი ერთ კავშირში გაერთიანდა, და ასე შეიქმნა სახელგანთქმული ლომბარდიის ლიგა,

რამაც ფრიდრიხის დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა. ჭეხეთ მარცხიანი ლაშქრობა იტალიაში დამთავრდა სისხლიანი ბრძოლით. ლომბარდიელები ვაეკაცურად იცავდნენ თავს, გერმანელმა თავადებმა იმპერატორს დახმარებაზე უარი უთხრეს. ფრიდრიხი იძულებული გახდა დაეთმო, თავისი იმპერატორული ღირსება დაივიწყა და პაპის ქოშებს ეამბორა.

ყველა მიწა, რაც მოციქულის ტახტს წაართვა, უკანვე დაუბრუნა. ორივე დიდი ტირანი იძულებული გახდა ერთიმეორეს დახმარებოდა. პაპი იმპერატორს დაჰპირდა, ღვიძლი შვილივით მოგექცევიო, იმპერატორი კი პაპს ეფიცებოდა — საყვარელ მამასავით ძეყვარებიო.

ზავის შეკვრის მიუხედავად, ალექსანდრეს მოწინააღმდეგეები ანტიპაპის კალიქსტ მეორის გარდაცვალების შემდეგ მაინც ცდილობდნენ მეოთხე ანტიპაპის არჩევას. არჩევანი შეჩერდა ლანდოსიტინოზე, რომელიც პაპად გამოცხადდა კიდეც ინოკენტი III სახელწოდებით.

ბარბაროსას მძლეველმა გონებამახვილური და ძალიან იოლი, წმინდა კლერიკალური საშუალება მოიგონა მოქიშპის ჩამოსაშორებლად.

რომელიღაც რომაელმა მაგნატმა, რომელიც ინოკენტის მფარველობას დაჰპირდა, რეზიდენციისათვის ანტიპაპს რომის მახლობლად თავისი ციხე დაუთმო. ეს რომ ალექსანდრემ გაიგო, ხსენებული მაგნატი დაიყოლია თავისი ციხის მიყიდვაზე, ამასთან შეაძლია უზარმაზარი თანხა, რაც სიმაგრის რეალურ ღირებულებას აღემატებოდა. თან პირობა ჩამოართვა: რაც იმ ციხეშია და ვინც იმ ციხეშია, ყველა და ყველაფერი ჩემი უნდა იყოსო. მთავარი „რაინდულად“ ღაეთანხმა ასეთ სარფიან წინადადებაზე, თუმცა მშვენივრად იცოდა, რაც ელოდა იმ კაცს, რომელსაც თავშესაფარი მისცა. ეს იყო ყოვლად უსინდისო გარიგება. ალექსანდრემ არსებითად თავისი მეტოქე პაპი იყიდა. მალე ლანდოსიტინო შეიპყრეს. ქვის ტომარაში ჩასვეს. წმინდა მამის ბრძანებით ტყვე საშინლად აწამეს. ბოლოს ღა ბოლოს, ჯალათმა უბედური პაპი დაახრჩო.

ეს ეპიზოდი შუქსა ჰფენს ალექსანდრე მესამის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ნიშანს — მის სისხლიან სისასტიკეს. ყველაზე მეტად მაინც ალექსანდრემ თავი გამოიჩინა ალბიგოელებთან ანგა-

რიშის გასწორებით. ეს საზარელი ამბავი ლანგედოკში დღემდე ახსოვთ, როგორც წარსულის უდიდესი უბედურება. თავის სიკვდილამდე ორი წლით ადრე, 1179 წელს, ალექსანდრე მესამემ კლერვოსის აბატი ჰენრიხი გაგზავნა ამ მხარეში და დაავალა, ლაბორი და სხვა ქალაქები ერესისაგან გაათავისუფლეო. საზიზღარი პაპის ღირსეულმა ლეგატმა წმინდა გულმოდგინებით შეასრულა თავისი ბატონის ეს ქვეწარმავლური დავალება. მთელი სამხრეთი საფრანგეთი სისხლის მდინარეებმა წალეკეს. სხვა პაპებზე ლაპარაკის დროს კიდევ გვექნება საუბარი ამ საშინელ ტრაგედიაზე, მაგრამ მისი პირველი მოქმედება ალექსანდრე მესამის დროს გათამაშდა;

ვალდენსებთან ანუ ლიონელ ღატაკებთან ანგარიშის გასწორება

✠ როგორც ცნობილია, კათოლიკური ეკლესია ერეტიკოსებს უწოდებს ყველას, ვინც უაზრო საეკლესიო დოგმებში ეჭვის შეტანა გაბედა. ვალდენსელთა სექტამაც ასეთი დევნა განიცადა ალექსანდრე მესამისაგან.

აი, რას წერს პერენი თავის „ვალდენსელთა ისტორიაში“ იმ დროის კანონების შესახებ: „ჩვენი უფალი ღმერთის საამებლად 1160 წელს სიკვდილით დასჯა გამოცხადდა მათთვის, რომელთაც ეჭვი ეპარებათ წმინდა სიტყვების სიმართლეში; ჰოსტიაში იესო ქრისტე პურის სახით გვევლინებაო. სიკვდილის მუქარით იყო ნაბრძანები ქუჩებში ნოხები და ქსოვილები დაეფინათ ჯვრებით მსვლელობის დროს, აგრეთვე მუხლებზე დამხობა და მკერდში მუშტების ცემა, უფალი ღმერთის ვედრების ჟამს“.

ახლა გულდამშვიდებით ვიცინით მთელს ამ სულელურ ჩმახვაზე, აღარაფრის გვეშინია და თუ რამეს განვიცდით, ესაა მხოლოდ სიბრალული იმ ადამიანებისა, რომლებიც ღორმუცელა მღვდლებს ასე ასულელებინებდნენ თავს. მაგრამ იმავე დროს, როცა დავფიქრდებით ხოლმე უმეცრების იმ შორეულ საუკუნეებზე, იმ ბარბაროსულ ეპოქებზე, როდესაც ეკლესია იყო ყოვლისშემძლე მბრძანებელი ევროპის ხალხებისა, უნებურად აღტაცებული ვრჩებით იმ მამაცთა გმირობით, რომელთაც ასე ძლიერი, ასე უწყალო და ჯოჯო-

ხეთური ძალაუფლების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს და აშკარად გაილაშქრეს კიდეც.

ვალდენსელთა სექტის დამაარსებლად ითვლება მდიდარი ლიონელი ვაჭარი პიერ ვალდი, რომელმაც თავისი სიმდიდრე ღარიბებს დაურიგა, წავიდა, ქვეყანა მოიარა და ყოველ მხარეში ხალხს მოუწოდა, ზურგი ექცია ამ ცრუ რწმენისათვის, რაც ჭეშმარიტ სარწმუნოებას ჩირქსა სცხებს. თავიანთი მსჯელობა რომ უმწიკვლო მოქმედებითაც დაემტკიცებინათ და გაემართლებინათ, ეს ერეტიკოსებად წოდებული მამაცები თვითონ იძლეოდნენ ღარიბული და თავშეკავებული ცხოვრების მაგალითს. თვითონ ვალდმა მრავალი მიმდევარი გაიჩინა, რომელთაც თავიანთ თავს ვალდენსები უწოდეს.

ვალდენსების მოძღვრება უარყოფდა ყოველგვარ საეკლესიო მსახურებას, ქადაგების გარდა, უარყოფდა საიდუმლო ზიარებას. მათი მტკიცებით, პურს შეუძლია მხოლოდ სხეულის კვება, სულის საკვები კი სათნოებაა და არა პურიო. ვალდი ამტკიცებდა, ყოველი ქრისტიანი — მღვდელიაო. სასტიკად უარყოფდა ინდულგენციებით ცოდვის გამოსყიდვის ვაჭრულ ღონისძიებას, გმობდა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის გარეგნულ საწესჩვეულებო ცერემონიებს. სექტა გაიყო „მორწმუნეებად“, რომლებიც ერისკაცებივით განაგრძობდნენ ცხოვრებას და „სრულყოფილებად“, რომლებიც უბიწობის აღთქმას დებდნენ და ქადაგებას ეწეოდნენ.

ცხადია, ასეთი სექტა ძირს უთხრიდა სიცრუესა და ძალადობაზე აგებულ ეკლესიას. პაპი ალექსანდრე III მის არსებობას დანაშაულს უწოდებდა და ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა მისი მიმდევრების დასათრგუნავად. მისი ბრძანებით ათასობით ფანატიკოსმა იარაღი აისხა და სამხრეთ საფრანგეთს ეკვეთა, როგორც ცოფიანი მგლების ხროვა. ტულუზაში, სადაც ამ ერესის ფუძეს დებდნენ, კონსული იყო დიურანი, თავისი პატიოსნებით, გულკეთილობითა და სათნოებით განთქმული მოღვაწე.

ხანდაზმულობისა და მაღალი მდგომარეობის მიუხედავად, პაპის ლეგატმა დიურანს მთელი ქონება წაართვა და ყველასაგან პატივცემული ბერიკაცი საფრანგეთიდან განდევნა. იგივე ბედი ეწია დიურანის ყველა ნათესავსა და მეგობარს, აგრეთვე იმ მოქალაქეებს, რომელთაც მასთან რაიმე საქმიანი ურთიერთობა ჰქონიათ. ამიო ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ პაპისათვის არ არსებობს არავითა-

რი სამართალი, კანონი და დადგენილი ნორმა. ის იბრძვის გარეული ნადირის კანონით: ერევი? — დაგლიჯე!

ვალდენსურ ერესში მრავალს ედებოდა ბრალი, ამიტომ უამრავი ტყვე აწამეს, პაპის ლეგატები ყოველნაირად ცდილობდნენ გამოტეხვას, დანაშაულის აღიარებას ან დამნაშავეთა გაცემას.

ალექსანდრემ ტულუზაში გაგზავნა ჰენრიხ კლერვოელი, ცნობილი თავისი „გმირობით" ალბიგოელებთან ანგარიშის გასწორების დროს. ჯერ ტულუზაში ჩასულიც არ იყო ეს არაკაცი და მისი ურჯულოთა ბანდა ამ განთქმული ქალაქის ქუჩებში არ გამოჩენილიყო, რომ ყველგან კოცონები აინთო. ცეცხლით გამაგრებულ ფსასტიკესო სარწმუნოებავ, ადამიანებს ცოცხლად ხრაკავდნენ შენი სახელით, შენ კი ისევ ცოცხალი ხარ! პაპის ლეგატი უფართოესი რწმუნებულებით იყო აღჭურვილი. ვალდის უბედურ მიმდევრებს ყოველნაირად დახვეწილი მეთოდებით აწამებდნენ, რომლებიც შეიძლება იშვან მხოლოდ კლირიკის გიჟურ წარმოსახვაში. ათასობით მოხუცი, ქალი და ბავშვი ჩამოახრჩვეს, ჯვარზე გააკრეს, ცოცხლად დაწვეს, მათი ქონება კი მეფისა და წმინდა ტახტის ხაზინებში შეიტანეს.

ვალდენსელებს რომ ანგარიში გაუსწორეს, ტახტი და საკურთხეველი მთელი თავიანთი ბრწყინვალებით აციმციმდნენ. სამკაულებს სისხლის და ცეცხლის ფერი გადაჰკრავდათ. ეს პორფირისა და ანაფორის ფერია.

ალექსანდრეს ხასიათის ერთადერთი დამახასიათებელი ნიშანი არ ყოფილა სისასტიკე. ამ სულიერ გვამს განსაკუთრებით მწვავედ მოსდგამდა ყველა მანკი, რასაც საფუძვლად ედო სიხარბე. ამ სიხარბითა და ანგარებით იყო ნაკარნახევი ყველა მისი საქციელი, მთელი მისი პოლიტიკა: როგორმე მახე დაეგო, ხრიკები მოეწყო და სალარო აევსო, არავითარ საძაგლობას არ ერიდებოდა.

რაკი ერთხელვე ამაზე ჩამოვაგდე სიტყვა, ერთ ტიპიურ ეპიზოდს დავიმოწმებ.

სიცილიის მეფის სულიერმა მოძღვარმა გოტიემ არქიეპისკოპოსის კათედრა მიიღო პალერმოს სამღვდელოების თანხმობის გარეშე, და მისი დანიშვნა უარყოფილ იქნა. მეფის ამ აქტის შესახებ საჩივარმა რომს მიაღწია. თეოონ დეფოფალი ეკვდრებოდა პაპს უარი ეთქვა ასეთ დანიშვნაზე. დეფოფალს საკმაოდ დამაჯერებელი მიზეზები

ჰქონდა: დიდი ხანი ოცნებობდა ამ თბილ საარქიეპისკოპოსო სავარძელში თავისი ერთ-ერთი საყვარლის — კანცლერ სტეფანეს ჩასმაზე და ახლა მის ოცნებას ფრთა ეკვეცებოდა. რა თქმა უნდა, დედოფალს ბახვილი თვალით და თბილი ხელით ჰქონდა შენიშნული ხსენებულ სტეფანეს ღირსებები, რომლებიც აუცილებელია კარგი არქიეპისკოპოსისათვის.

პაპს ზოგჯერ თავაზიანობის გამოჩენაც შეეძლო, მეტადრე მაშის, როცა საქმე დედოფლებთან ჰქონდა, და ლეგატის პირით შეუთვალა: თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ისეთ რამეს გავაკეთებ, რომ დედოფალს სიაიოვნება მივანიჭო, ოღონდ ერთის პირობით—სტეფანეს დანიშვნა სულ ცოტა ათასი უნცია დაჯდებაო. დედოფალი ამ წინადადებამ საგონებელში ჩააგდო. სრულიად გასაგებია მისი გულის ურვა: თუ ყოველი საყვარელი ასე ძვირი დამიჯდება, რაც არ უნდა ოფლი ღვაროს ჩემმა მორჩილმა ხალხმა, მაინც ჯიბეგაფხეკილს გროში აღარ დამრჩება, რომ თვალზე მივიკრაო. დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ მოწყალე ბეფურმა გულმა თავისი გაიტანა, გონების კარნახს არ უსმინა და გაიღო ის თანხა, რასაც ითხოვდნენ.

დედოფლის საუბედუროდ, გოტიე უთავო კაცი არ აღმოჩნდა, ისიც კარგად იცნობდა თავის პაპს. თუ დედოფალმა დიდი ჭოჭმანის შემდეგ მისი გადაყენებისათვის ათასი უნცია გადაიხადა, თვითონ საქმეში ჩააბა ორი ათასი ოქრო, რათა დედოფლის საყვარელი გადაეყენებინათ. გოტიემ წმინდა მამას ორჯერ მეტი მისცა და ადგილი შეინარჩუნა: თუ საჭიროება მოითხოვდა, გოტიე ამ თანხას ორზე გაამრავლებდა. იმ ბედნიერ ძველ დროში არქიეპისკოპოსის მიტრა მეფის გვირგვინზე მეტს ფასობდა!

პაპმა მოწყალე გულით მიიღო გოტიეს საჩუქარი და საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა, დედოფალს კი შეუთვალა: „პალერმოს სამღვდელოებამ სარწმუნო საბუთები წამოაყენა თქვენი წინაღადების წინააღმდეგ და თქვენს პასუხს ველიო“.

ცბიერმა ტიაროსანმა ნაღირმა ჯერ ქალი გააწბილა და მერე მისი აბუჩად აგდებაც მოიწადინა.

საქმე იმით დამთავრდა, რომ საწყალმა სტეფანემ არქიეპისკოპოსის სავარძელი ვერ მიიღო.

პაპი ალექსანდრე პატივმოყვარე და ქედმაღალი ტირანი იყო.

ხოლო რაიდენად მედიდური და კუდაბზიკაც გახლდათ, შემდეგი ფაქტიდან ჩანს.

როცა ფრიდრიხ ბარბაროსა იძულებული გახდა ბრძოლა შეწყვიტა და პაპისათვის ზავი ეთხოვა, ალექსანდრე მესამემ, როგორც ისტორიკოსი ფორტუნატ ულმელი მოგვითხრობს, იმისთვის ასეთი ცერემონიალი დაადგინა: „შეჩვენება რომ მოხსნეს, ფრიდრიხი დიდი ზეიმით შევიდა ვენეციაში. ის მაშინვე მიჰგვარეს ალექსანდრე მესამეს. როძელიც მეფეს კარდინალებით გარშემორტყმული ელოდა წმინდა მარკოზის დიდებული ტაძრის ატრიუმში. შევიდა თუ არა, მეფემ მოსასხამი განზე გადააგდო, ორივე მუხლი მოიყარა და თავი პაპის ფერხთით დადრიკა, ისე რომ იატაკს შეეხო შუბლით. ალექსანდრე წინ წამოვიდა, მეფეს კისერზე ფეხი დაადგა, იმ დროს როცა კარდინალებმა ხმამაღლა გალობით გაიმეორეს ფსალმუნის სიტყვები: „დიდ არს უფალი და ქებულ ფრიად“... შემდეგ კი: „შენ შედგები ბასილისკოზე და სძლევ ლომსა და დრაკონს“. ფრიდრიხმა ვეღარ მოითმინა და შესძახა: „მღვდელმთავარო, ეს სიტყვები წმინდა პეტრეს ეკუთვნის და არა შენ“. „ტყუი, — უპასუხა ალექსანდრემ ურჩ იმპერატორს, — ეს სიტყვები დაწერილია მოციქულზე და ჩემზე“. ამ ქედმაღლურ სიტყვას საქმეც მიაყოლა: მთელი ძალით დააჭირა კისერზე ფეხი იმპერატორს, ძალით გააჩუმა, და მხოლოდ ამის შემდეგ დართო ნება ფეხზე წამომდგარიყო. ახლა კი დალოცა წელში გატეხილი, ფერხთით დამხობილი იმპერიის მბრძანებელი. წმინდა მარკოზის ტაძარში გაისმა კარდინალების გალობა: „გადიდებთ, უფალო!“ ცხადია, ადიდებენ! ენა მათი გალობით ივსება.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მათი ღმერთი, მტრედისა და გლეხის გოგოს სასიყვარულო ინტრიგის ნაყოფი, ბაგაში დაიბადა, ე. ი. ბოსელში, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ იმპერატორის ფეხქვეშ თელვა, თუნდაც ის ნამდვილი დიდებული იმპერატორი კი არ იყოს, არამედ უბრალო ნოხი, მაინც პატარა მიღწევა არ არის! ასეთი ღმერთი ღირსია დიდებისა!

იქნებ ფიქრობთ, რომ ამ ცერემონიალმა პატივმოყვარე მოადგილის ხარბი გული დააცხრო? თქვენც არ მომიკვდეთ!

მისმა უწმინდესობამ მთელი რიგი სხვა ხრიკიც მოიგონა. ხსენებული ცერემონიის მეორე დღეს ალექსანდრე III იმავე მარკოზის ტაძარში გაემართა წირვაზე, და ფრიდრიხ ბარბაროსა კვერთხით

ხელში მისი ცერემონმაისტერის დამამცირებელ მოვალეობას ასრულებდა, წიხ ძიუძღოდა პაპს და ბრბო'ში გზას უკაფავდა... ამ კუდაპზიკურ ოინებს რომ ვკითხულობთ, უნებურად გვებადება კითხვა: რატომ თვლიან პაპთა შორის უდიდესად გრიგოლ მეშვიდეს, ნიკოლოზ მეორეს, ინოკენტი მესამეს....

ამრიგად, ფრიდრიხს ხელთ იმპერატორის კვერთხი უჭირავს და პაპს გზას უკაფავს. ჩემის აზრით, ბევრად უფრო მართებულად მოიქცეოდა, რომ პირი ებრუნა და ქრისტეს მოადგილისათვის დაეკრა თავში!

„მთელი საზეიმო წირვის განმავლობაში, რაც მცირე ხანს როდი გაგრძელებულა, იმპერატორი ქანდარაზე იდგა. პაპი რომ ტაძრიდან გამოდიოდა, იმპერატორი ისევ პირქვე დაემხო, ქოშები დაუკოცნა და ფეხით გაჰყვა სიენელ მოციქულს სასახლემდე, ისე რომ ხელში მისი ცხენის სადავე ეჭირა“.

ეს ისტორიული ფაქტი მოწმობს, რაოდენ დიდი ზეგავლენა ჰქონია იმ დროს რელიგიურ ცრუ რწმენას ადამიანებზე. მთელი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მონარქი, მამაცი და ნიჭიერი იმპერატორი დათანხმდა, რომ პაპისათვის გაეწია ხალიჩის, ლაქიისა და მეჯინიბის მაგიერობა! იბადება კითხვა, რისი გულისათვის დათანხმდა ფრიდრიხი ეგზომ ძნელად წარმოსადგენ დამცირებაზე? რამ აიძულა ეს ქედმაღალი დესპოტი, რომ ნოხივით დაგებოდა ფეხქვეშ მის დაუძინებელ მტერს, ტიაროსან მევახშეს? უფრო მეტად სწორედ იმისათვის, რომ პაპს მოეხსნა შეჩვენება და არ გაეწირა ეკლესიიდან განკვეთისათვის, ამას კი სხვა გზით ვერ მიაღწევდა.

ო, დახავსებულო კათოლიკურო ეკლესიავ! შენ ახლაც ინაზები, ძველ ჟანგმოდებულ იარაღს იღებ, მაგრამ შენი ანათემა მხოლოდ სიცილით თუ მოკლავს იმას, ვისაც თავზე რისხვად ატყდები. მე თვითონ გავხდი შენი წყევლა-კრულვის საგანი, მაგრამ რა მომივიდა? უკბილო გველეშაპო, შენ ბავშვის შესაშინებელ საფრთხობელადაც კი არ გამოდგები!

ლუციუს III

● ალექსანდრე III თითქმის ოცდაორი წელი იჯდა ტახტზე. მისი ტიარა ერგო ერთ კრეტინს, რომელმაც სრულიად დამაჯერე-

ბლად დაამტკიცა, რომ სისულელე სისასტიკეს არ გამორიცხავს.

უბადლო, როგორც ეძახიან ამ კრეტინს ტახტზე ასვლამდე, სწორედ იმიტომ აირჩიეს მოციქულის მემკვიდრედ, რომ რეგვენი და მიხრწნილი სნეული იყო.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გახდეს მისი არჩევის ფარული მიზეზი, რამდენიმე წლით უკან დავბრუნდეთ.

1179 წელს რომში მსოფლიო ყრილობა მოიწვია ალექსანდრე მესამემ, ვითომდა ზნეობის გაუმჯობესების მიზხით. ამ ყრილობაზე ოცდაშვიდი კანონი დაამტკიცეს. უკანასკნელი მათგანი, ქვემეხთა ბატარეაზე ბევრად უფრო სიკვდილისმთესველი, ერეტიკოსთა დევნას ითვალისწინებდა,აგრეთვე მოვალეობის მოხდას იმ პირთა მიმართ, რომელთაც ერიტიკოსების თანაგრძნობა ბრალდებოდათ.

მეორე კანონი მიმართული იყო იმ პრელატების წინააღმდეგ, რომლებიც დაქვემდებარებული სამღვდელოებისაგან მეტისმეტად დაუზოგავად იღებდნენ საეკლესიო ხარკს. პრელატებს ჩვეულებად ჰქონდათ მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით წელიწადში რამდენიმეჯერ თავიანთი დიოცეზების (ეპარქიების) შემოვლა. სოფლის მღვდლებსა და ბერებს თავიანთ ხარჯზე უზარმაზარი „პერსონალის“ შენახვა უხდებოდათ. ამრიგად, მუქთახორა პრელატებს თავიანთი ამალა საბრალო ხალხის ხარჯზე გადაჰყავდათ.

ეს კანონი კლუნიელ აბატთა კანონთკრებულზე ნაკლები ყურადღების ღირსი როდია. საეკლესიო მორალისტები მჭერმეტყველურად აშიშვლებენ ჩვენს წინაშე უმაღლესი საეკლესიო იერარქიის ნამდვილ ცხოვრებას, რაც აქ ზოგიერთი ნაწყვეტის სახით უნდა დავიმოწმოთ:

„თუ მოციქული თავის თავსა და ოჯახს საკუთარი ხელგარჯილობით კვებავდა, გეკითხებით, რატომ იქცევიან შებრუნებით ჩვენი დღევანდელი მოციქულები? რატომ ეძლევათ მათ უფლება თავიანთი მსახურები სიღატაკემდე მიიყვანონ, აიძულონ გაყიდონ ეკლესიების სამკაულები, დაგირაონ მონასტერთა მიწა-წყალი და აღებული თანხით დაფარონ ეპისკოპოსთა ხარჯები? ამასთან ლაქიების მთელს ამალას ინახავენ, და ნთქავენ სანოვაგის უზარმაზარ მარაგს, რაც მთელი წელიწადი იკმარებდა.

ამიტომ ვაცხადებთ: ამიერიდან არქიეპისკოპოსებს ეკრძალებათ ორმოცზე მეტი ცხენის ყოლა, კარდინალებს — ოცდახუთზე მეტისა, ეპისკოპოსებს არ უნდა ჰყავდეთ ოც-ოცდახუთზე მეტი ცხე-

ნი, არქიდიაკვნებს — შვიდზე მეტი, დაბალი წოდების მსახურთ — ორზე მეტი...

იკრძალება: სანადიროდ გათვალისწინებული ძაღლებისა და ქორ-შავარდნის წაყვანა სამოგზაუროდ... ძვირფასი ჭურჭლის მოთხოვნა სუფრაზე და უცხო ღვინოების სმა...“

როგორ მოგწონთ ასეთი რევოლუცია? აბა რა ზომიერებაა! რა უბრალო და ალალი ზნეობა!

რა თქმა უნდა, ამ კანონს სერიოზულად არავინ მოკიდებია. ეპისკოპოსები უმალ თავიანთი მიტრებისაგან ბარიკადებს ააგებდნენ, ვიდრე ასეთ რეჟიმს დაემორჩილებოდნენ.

„სწორედ ასევე იკრძალება: ეპისკოპოსთა და აბატთა კურთხევისათვის გასამრჯელოს მოთხოვნა, მსახურთა დანიშვნისათვის, მიცვალებულთა დაკრძალვისათვის, ქორწილისა და სხვა წესებისათვის, რამაც სიწმინდის შებღალვა და ბოროტად გამოყენება გამოიწვია, რადგან ზოგჯერ საიდუმლო ზიარებაზე უარს ეუბნებიან იმას, ვისაც გასამრჯელო არ გააჩნია“.

მთავარი მიზანი ყრილობისა, რომელმაც ეს პირფერული კანონები მიიღო, იყო საერო ზეგავლენის გაუქმება იმ კოლეგიებში , რომლებიც პაპს ირჩევდნენ. პირველი კანონი კარდინალებს უმტკიცებდა განსაკუთრებულ უფლებას, რაც პაპის არჩევას გულისხმობს: ამ კანონის თანახმად, პაპი გახდება ის, ვინც ხმების ორ მესამედს მიიღებს. ამიერიდან კარდინალთა კოლეგიისათვის ხალხისა და სამღვდელოების ოპოზიცია აღარაფერს ნიშნავდა.

ალექსანდრე მესამის სიკვდილის შემდეგ კარდინალებმა მოითათბირეს: მოციქულის ტახტზე მხოლოდ კოლეგიის წევრები ავირჩიოთო. ეს ძალიან გონივრული გადაწყვეტილება იყო. აღვირახსნილ მღვდელმთავართა კოლეგიის ყოველ წევრს მისი წყალობით აშკარად უღიმოდა ბედი.

ახლა ეს ადვილი გადაწყვეტელება იყო, რადგან კარდინალები მდგომარეობის ბატონ-პატრონები გახდნენ. მაგრამ პაპის არჩევის ცერემონიალი ახლა უწინდელზე მეტ ხანს გრძელდებოდა: ყველას მოუნდა პაპობა. იმდენი კანდიდატი გამოჩნდა, რამდენიც კოლეგიის წევრი, და რაკი ღვთისმსახურნი პატივმოყვარეობენ ყველა წოდების მესვეურებს აღემატებიან, ამიტომ მოციქულის ტახტი ხშირად რჩებოდა „ობლად“. ახლაც ასე მოხდა. ადგილი დიდხანს იყო ვაკანტური, ვიდრე კოლეგიის წევრები უბალდოზე არ

შეჩერდნენ. კოლეგიამ იმსჯელა: უბალდო დიდხანს ვერ იბოგინებს, [illegible] თუ ხვალ ჩააბარებსო სულს ზეცას, თანაც დიდ დავიღარაბაობა არ მოითხოვდა. იოლად დაიჭერდნენ ხელში და თავიანთ ჭკუაზე ატარებდნენ. კარდინალები ცოტა მოტყუვდნენ: უბალდომ — ლუციუს მესამემ ოთხი წელიწადი გაძლო.

ამ დუხჭირი ბერიკაცის მთელი საზრუნავი იყო საეკლესიო ხაზინის გამდიდრება, რისთვისაც არავითარ ღონისძიებას არ ერიდებოდა. ჩანს, საიქიოსათვის იმარაგებდა ამდენ განძეულს, რათა ჯოჯოხეთიდან თავი გამოეხსნა, რადგან სამოთხეში მოხვედრის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

ლუციუსმა, უბალდომ, მართლაც უბადლო ჯალათმა, რომელიც მშობლების თვალწინ შვილებს წვავდა, სიძუნწითა და ბოროტებით ლამის ყველა წინამორბედს გადააჭარბა.

ტახტზე ასვლისთანავე შეცვალა ძველი ჩვეულება, რომ დიდი დღესასწაულების დროს ღარიბობისათვის პური და სამოსელი უფასოდ დაერიგებინათ, მღვდლებს აიძულებდა ეოსახლეობისათვის უფრო მარჯვედ გაეძროთ ტყავი. გაჭიმძალველმა ბებერმა ძაღლმა ისე გაამწარა მრევლი, რომ მთელმა რომმა აჯანყების დროშა ააფრიალა. ლუციუსი იძულებული გახდა ქალაქიდან გაქცეულიყო. გამძვინვარებულმა ხალხმა დაარბია პაპის სასახლე. ძლიერი მაგნატების ზოგიერთი სამფლობელო მიწასთან გასწორეს. მოქალაქეები ფიცს დებდნენ, იარაღით ხელში დავიხოცებით და ლუციუს-ჯალათს კი არ დავემორჩილებითო.

მაგრამ აჯანყებულ ხალხს მუდამ ჰქონდა რაღაც სუსტი მხარე. ლუციუსმა აჯანყებულთა დათრგუნვა მალე მოახერხა. აგენტები დააგზავნა ევროპის სასახლეებში და დახმარება ითხოვა. უფრო ფულად დახმარებას ითხოვდა რომაელთა ამბოხების ჩასაქრობად. ასეთ კეთილმსახურულ წინადადებაზე სენიორებს სადავო რა უნდა ჰქონოდათ! მაშინვე წამოვიდა შესაწირავი, და მოსავალი საკმაოდ უხვი გამოდგა. ლუციუსმა იმდენი ოქრო ხვეტა, რომ მეამბოხეთა ბელადები მოისყიდა. და ხაზინა არ დაცარიელებულა. მოღალატე წინამძღოლებმა ფიცი დაივიწყეს და ზეიმით დააბრუნეს პაპი ლატერანის სასახლეში. ახლა ლეში გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ხარჯების ანაზღაურებას. რომაელებს მძიმე, განსაკუთრებული ბეგარა დაადო. პაპებმა და საერთოდ ტირანებმა ვერასოდეს ვერ ისწავლეს

ჭკუა—გუდავენ და გუდავენ ხალხს, ბერავენ და ბერავენ შემოსაცვლელს, ვიდრე თვითონ საპნის ბუშტებივით არ გასკდებიან ხოლმე. მოთმინებიდან გამოსული ხალხი ისევ აღდგა, თანაც ისე შეურიგებლად, რომ სისხლიანი შურისძიების შიშით პაპს მეორედ მოუხდა გაქცევა.

რაკი ჭეშმარიტება ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია, ვერ დავფარავთ, რომ ხალხი ამჯერად სასტიკად გაუსწორდა სამღვდელოებას. დაიწყო საყოველთაო რბევა-აკლება. რომაელები, რომელთაც იმ ცოტა ხნის წინ თვითონ უსისხლანებდნენ ერეტიკოსებს, ახლა წამძეზებლებს ექცნენ ღვთის რისხვად და ისეთივე გაშმაგებით ეკვეთნენ წმინდა სულთამხუთავებს. ძარცვავდნენ და წვავდნენ ეკლესიებს, ზედ შუაგულ მოედანზე ნამუსს ხდიდნენ მონაზვნებს, აბუჩად იგდებდნენ და აპამპულებდნენ მღვდლებს, წკეპლავდნენ და აწამებდნენ ეპისკოპოსებს. ზოგიერთი მემატიანე გვაუწყებს, რომ ერთ-ერთი მონასტრის დარბევის შემდეგ ხალხმა თვალები დასთხარა ყველა ბერს, ხელში ჯვრები მისცა, წინ წაუმძღვარა ერთადერთი ბერი, რომელსაც მხოლოდ ცალი თვალი ამოუგდეს, და უბრძანეს: „იარეთ ჯვაროსნულადო!“

- ვინღა იტყვის, რელიგია ზნეობას აზომიერებსო?

ყველა ეს სახალხო შურისმაძიებელი ხომ მორწმუნე კაცი იყო... ეპვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში. რომ გავიდოდა ხანი და ყველა მოინანიებდა, ცოდვად ჩათვლიდა ჯალათებთან ანგარიშის გასწორებას, გულწრფელად აღიარებდა, შევცოდეო, და შეეცდებოდა მონანიების გზით სამოთხეში მოხვედრილიყო. ის უბედური კი, სახლნილო სადილობის შემდეგ რომ უეცრად გარდაიცვალა ოთხშაბათ დღეს, ალბათ ჯოჯოხეთის მარადიულ ცეცხლში დაიხრუკება.

ლუციუს III ვერონაში გამაგრდა იქ ჩავიდა იმპერატორი ფრიდრიხი, რომელიც ხალხის მადლიერი უნდა ყოფილიყო, რომ პაპმა მეორედ არ დაადგა კისერზე ფეხი. ამის ნაცვლად ლუციუსთან გამართა თათბირი, როგორ დავამშვიდოთ რომაელებიო. იმპერატორის არმიისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა ხალხის დათრგუნვა, მაგრამ პაპს პირობები წაუყენა: გრაფინია მატილდას მიწა-წყალი დაუბრუნეო იმპერიას. ამ ყბადაღებული მატილდას, გრიგოლ მეშვიდის საყვარლის მიწებისათვის საუკუნენახევარი გრძელდებოდა დავა ტახტსა და საკურთხეველს შორის. წმინდა მამამ

სიტყვიერად დათმო, მაგრამ გულში კი ჩაითქვა: პირში ჩალა უნდა გაშოვავლო იმპერატორსო.

საკლესიო პოლიტიკოსები მუდამ და ყველაფერში თავიანთი პრინციპის ერთგულნი არიან. საიდუმლო წერილში ლუციუსმა ყრილობის მონაწილეებს დაავალა ყოველნაირად გაეპიანურებინათ მოლაპარაკება მატილდას მამულზე, მთელი ყურადღება გადაეტანათ რომაელთა დამშვიდებაზე და მეამბოხეთა დასჯაზე.

ეტყობა, შორსმჭვრეტელი ფრიდრიხიც მიხვდა, რომ გაბრიყვებას უპირებდნენ და არმიას ბრძანება მისცა, ბრძოლას ნუ გააჩაღებთ. შეიცადეთო.

საქმე ჩინებულად დამთავრდა: წმინდა მამა ისე ჩავიდა შავ მიწაში, რომ პასუხს ვერ ეღირსა და ვერ გაიგო, როგორ წავიდა მისი საქმე დედამიწაზე.

კრება, რომელიც ლუციუსმა მოიწვია იმ მიზნით, რომ განდევნილი მღვდელმთავარი ტახტზე დაებრუნებინათ, მარტო ამ საკითხით არ ყოფილა გართული. ამ ყრილობაზე გამოქვეყნდა ბრძანება, ვალდენსელთა, ეპვმიტანილთა ან მხილებულთა წინააღმდეგ მიმართული, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ მამაცთა წინააღმდეგ, რომლებიც წინ აღუდგნენ ყველაზე უფრო აუტანელ ტირანიას, იმ ტირანიას, რაც ადამიანს სულს უხუთავს. ამ ბრძანებამ მთელი სიმკვეთრით გამოამჟღავნა მიხრწნილი ბებერი ლეშის — ლუციუსის არაადამიანური სისასტიკე. ცალი ფეხი რომ სამარეში ედგა, უნდოდა კაცობრიობის უკეთესი ნაწილიც თან წაეყვანა, რომ საიქიოში განეგრძო მათი წამება. მთლიანად ამ სამარცხვინო დოკუმენტს ვერ დავიმოწმებთ, მაგრამ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მის ერთ ნაწყვეტზე:

„არ არსებობს სასტიკი ღონისძიება, რომლის წინაშეც საეკლესიო მართლმსაჯულება შედრკება, რათა გაანადგუროს ერესი. რამაც ჩვენს დროს მრავალ პროვინციაში გამოიტანა ნაყოფი. რომმაც კი გაბედა წმინდა ტახტის წინააღმდეგ გამოლაშქრება, და მისმა საზიზღარმა ხალხმა თავის მღვდლებზე აღმართა მკრეხელის ხელი. შურისგების დღე ახლოვდებოდა, და სასიამოვნო მოლოდინში, რომ დაჰკრავს საათი რომაელებისათვის სამაგიეროს მიგებისა ყველა იმ უბედურებისათვის, რაც თავს დაგვატეხეს, ჩვენ ანათემას ვუცხა-

დებთ ყველა ერეტიკოსს, რა სახელსაც არ უნდა იყონ ამოფარებული...“

რამდენი სიძულვილია ამ სტრიქონებში, რამდენი ცოფი, და რამდენი თავხედობა, რომ მიხრწნილი ბებერი რომის ხალხს ლანძღავს და ემუქრება სამაგიეროს გადახდით! მერე და ეს კაცი, ქვეშევრდომებს რომ შურისძიებისაკენ მოუწოდებს, — ეკლესიის მეთაურია და წინამძღოლი იმ სარწმუნოებისა, რომელიც ქადაგებს: ერთ ლოყაზე რომ გლეწონ, შენ მეორე მიუშვირეო.

„ჩვენ დავამხობთ ამ სექტანტებს მარადიული წყევლით. ჩვენ ვწირავთ მარადიული სასჯელისათვის ყველას, ვინც მათ თავშესაფარს მისცემს ან დაიფარავს, ვინც მათ „სრულყოფილ მორწმუნეებს“ უწოდებს ან სხვა რაიმე ერეტიკულ ზედწოდებას. ვბრძანებთ ჩამოართვათ საეკლესიო წოდება და გადასცეთ საერო სასამართლოს ყველა, ვინც მხილებული იქნება ერეტიკოსთა თანადგომაში, კლირიკი იქნება თუ სასულიერო პირი. ხოლო თუ ასეთები ერისკაცნი აღმოჩნდებიან, ვბრძანებთ: უსაშინელესი წამებით აწოხადეთ სული, გამოცადეთ ცეცხლით, რკინით, გამათრახებითა და ცოცხლად დაწვით“.

როგორც ხედავთ, თვითონ კარდინალები შეცდნენ. ვიდრე ეს ცოცხალი ლეში მიწაში ჩაშავდებოდა, წამებით ფიქრობდა ცოცხალთა დათრგუნვას, დაწვას და დასახიჩრებას.

ჩინებულია! წამება, მათრახი, რკინა, ცეცხლი ერთი დანაშაულისათვის, რომ კაცს ეპვი შეაქვს უბრალო მიქარვაში, პურის ნატეხი—ქრისტეს სხეულიაო! წამება იმისათვის, რომ „სრულყოფილი მორწმუნე“ უწოდეს ვინმე საღად მოაზროვნე ადამიანს!

„ყოველმა პრელატმა წელიწადში რამდენიმეჯერ უნდა ინახულოს თავისი დიოცეზის ყველა ქალაქი, და განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც მისი აზრით, ერეტიკოსები უფრო მრავლად არიან. პრელატებს ნება ეძლევათ დაჰკითხონ მოხუცები, ქალები და ბავშვები, რომ ათქმევინონ, რომელ მხარეში იმალებიან ვალდენსები ან საიდუმლო კრების მონაწილეები, სხვა მორწმუნეებისაგან განსხვავებული რწმენის ადამიანები, ან ის თავხედნი, რომლებიც წმინდა წერილის ახსნა-განმარტებას ცდილობენ“. „ქალაქები, რომლებიც გაკადნიერდებიან და არ დაგვემორჩილებიან, ან უგულვებელყოფენ თავიანთ მოვალეობას, რომ ერეტიკოსებს ულმობელი ბრძოლა გა-

უცხადონ, გამორიცხული იქნებიან სხვა ქალაქებთან ყოველგვარი ურთიერთობისაგან, დაკარგავენ თავიანთ რანგსა და პრივილეგიებს. მოქალაქეები განკვეთით დაისჯებიან, მარადიული კილვა იქნება მათი ხვედრი და სამუდამოდ დაკარგავენ უფლებას, რომ პატიოსან ხელობას მიჰყონ ხელი. ყოველ მორწმუნეს ნება ეძლევა მოკლას ასეთები. დაეპატრონოს მათს ქონებას ან დაიმონოს ისინი".

აი, რა ბრძანებულება გამოსცა ლატერანის ყრილობამ! საქრისტიანოს ბურჯები დაუსჯელ მკვლელობასა და ძარცვას აკანონებენ!

მაგრამ კომენტარები ზედმეტია. თავს ნებას მივცემთ მხოლოდ ერთი დასკვნა გავაკეთოთ: მტაცებელ მხეცთა შორის პირველ ადგილზე კლირიკები უნდა დავაყენოთ.

XII საუკუნის ბოლოს პაპობის მდგომარეობა, ცნობილ წარმატებათა მიუხედავად, ფრიდრიხ ბარბაროსასთან ბრძოლაში რომ მოიპოვეს, მეტისმეტად მერყეევი იყო. ლუციუსმა ხომ განდევნილობაში დალია წაწყმედილი სული, ისე რომ ლატერანში დაბრუნება ვერ გაბედა. მისი სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ პაპის ტახტზე დასვეს უბერტო კრიველი, რომელსაც ეწოდა ურბან III. მას მოციქულის ტახტი ცოტა ხანს ეჭირა, ორ წელზე ნაკლები დროით და მთელი პონტიფიკატის მანძილზე ვერონაში ცხოვრობდა. მისი მბრძანებლობის ბოლოს ცნობა მოვიდა, სალადინმა იერუსალიმი აიღო.* ჯვაროსნების გამოუსწორებელმა მარცხმა წმინდა მამა ისე შეაძრწუნა, რომ ლოგინად ჩავარდა და მესამე დღეს სული განუტევა. გრძნობიერი პაპი იყო ურბან III.

ეამთაალმწერელი როჟერ გოვედენელი გვატყობინებს, რომ მუსულმანების გამარჯვებამ მთელი საქრისტიანო დაანაღვლა. სალადინმა ბრძანა ეკლესიებიდან ჯვრები გადმოეგდოთ, ზარები დაემსხვრიათ და მეჩეთები საკმევლით „განეწმინდათ". „ქრისტიანების გაშვებაზე სალადინი დათანხმდა, ოღონდ ქონების გარეშე, თანაც მამაკაცის თავზე ათი ოქრო უნდა გადაეხადათ, ქალებისათვის თითოზე ხუთი ოქრო და მთელი ღარიბობისათვის ერთად — ოცდაათი

---

* ეგვიპტისა და სირიის სულთანმა სალადინმა, 1187 წელს ტიბერიადის ველზე დაამარცხა ჯვაროსნები და აიღო იერუსალიმთან ერთად თითქმის მთელი პალესტინა. თავისი სიმამაცისათვის სალადინს მისებრ გულად მოწინააღმედეგეებთან — ფრიდრიხ ბარბაროსას და რიჩარდ ლომგულთან ერთად არაერთი პოეტი უმღერიდა. **ეუსუფ** სალადინმა ძლიერი ლახვარი ჩასცა ჯვაროსნებს.

ათასი. დევნილ — ლტოლვილთა უდიდესი ნაწილი შიმშილისა და გაჭირვებისაგან გზაშივე დაიღუპა.

ასეთი იყო ჯვაროსნული ხოცვა-ჟლეტის ბუნებრივი შედეგი. სალადინი კიდევ რომის პაპზე ლმობიერი გამოდგა.

რომის კარდინალებმა წერილობითი ვალდებულება აიღეს, საყვარლებს არ გავეკარებით, ცხენებზე არ შეეჯდებით, სანადიროდ არ წავალთ. ვიდრე წმინდა მიწა ურჯულოთა ხელში იქნებაო. ზოგმა ისიც კი თქვა, ჯვარს ავიღებ და პალესტინაში წავალ საომრადო.

რა თქმა უნდა, ყველა ეს დაპირება ქაღალდზე დარჩა. პირფერული „აღთქმების" ერთადერთი მიზანი ფანატიკოსთა გრძნობების ღაღვივება იყო, და ამასაც სასაცილო სახე ჰქონდა: რაკი გარყვნილი კარდინალი თავის საყვარელს არ მიუწვება, გულაჩუყებული მორწმუნეები პირდაპირ ცეცხლში გადაეშვებიან და სალადინს გრძელ წვერს დააგლეჯენ! თქვენც არ მომიკვდეთ! კარდინალებმა შეინარჩუნეს ხასებიც, ცხენებიც, მეძებრეებიც, და არც არავითარ სიამეს არ იკლებდნენ. რომის სასახლე ისევ ისე უზარმაზარ საოსკიპოს ჰგავდა, სალადინი კი სულთნის ტახტზე არხეინად იჯდა, ვიდრე მისებრ ლომგულმა რიჩარდმა არ შეანელა მისი წინსვლა, ექვსი წლის შემდეგ კი რჯულშემწყნარებელი სულთანიც გარდაიცვალა.

გრიგოლ VIII
კლიმენტი III...

❁ ურბან მესამის მემკვიდრემ გრიგოლ მერვემ ვერაფერი საგულისხმო ვერ გააკეთა, რადგან ორჩევიდან ორი თვის შემდეგ გარდაიცვალა. მაგრამ სიკვდილის წინ მაინც მოასწრო ერთი უბედურების დატრიალება: ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა.

ტახტზე ავიდა კლიმენტი III. რომში დაბრუნებული პაპი იძულებული გახდა მიეღო სენატის პირობები. თუმცა კომუნამ პაპს ერთგულება შეჰფიცა, დამოუკიდებლობა მაინც შეინარჩუნა.

კლიმენტი III განაგრძობდა წინამორბედის მოფიქრებულ საქმეს, კიდევაც მოახერხა სამი ხელმწიფის გადაბირება — საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის მბრძანებელთა მიმხრობა. გზას პირველი გაუდგა ფრიდრიხ ბარბაროსა, მაგრამ გულადმა ტირანმა გამარჯვების ნაცვლად სიკვდილი ჰპოვა. მდინარე სალეფის ნაპირას ისადილა, ბანაობა მოინდომა და სწრაფმა მდინარემ ისე გაიტაცა,

მთელი მისი არმია უძლური გამოდგა. ამრიგად, ასე თუ ისე, ფრიდრიხი მაინც პაპებმა მოინელეს. იმპერატორის გვირგვინი გადავიდა მისი შვილის ჰენრიხ IV ხელში. ჭაბუკი იძულებული გახდა ჯვაროსანთა ჯარი მიეტოვებინა და საკურთხებლად რომს დაბრუნებულიყო.

ამ დროისათვის კლიმენტი III გარდაიცვალა და მისი ადგილი დაიკავა მიხრწნილმა ბებერმა ბობონემ, რომელიც ეკლესიის ისტორიაში შესულია ცელესტინ III სახელწოდებით.

ჩვენ აღარ შევჩერდებით ჰენრიხ VI და მღვდელმთავრის ბრძოლაზე, ამ იმპერატორის შავ ბედზე, მესამე ჯვაროსნული ომის წვრილმანებზე. გადავალთ XIII საუკუნეზე.

XIII საუკუნის პაპები

XIII საუკუნეს კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში იწყებს ინოკენტი III, ცელესტინის მემკვიდრე, გრაფ სენის გვარისა, ლატარიო, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა ვასალად გაიხადა. ეს ძლიერი პაპი და ნიჭიერი დიპლომატი ტახტზე 1198 წელს ავიდა და მთელი თვრამეტი წელი ატარებდა ტიარას. ეს იყო წმინდა პეტრეს № 181 მოადგილე. ტახტის გზა მას გაუკაფა ბიძამისმა, კლიმენტი მესამემ, რომელმაც კარდინალის წოდება უბოძა.

ახალი მღვდელმთავარი ბევრი რამით მოგვაგონებდა გრიგოლ მეშვიდეს, მასავით დარწმუნებული იყო, რომ მთელი ქვეყნიერება პაპის ძალაუფლებას უნდა დაემორჩილოს. უსაზღვრო იყო ამ გრაფის პატივმოყვარეობა; „მეფეთა ძალაუფლება მხოლოდ ცალკეულ ოლქებზე ვრცელდება, პაპის ძალაუფლება მთელს სამეფოს მოიცავს“, — წერდა ერთ წერილში. ასეთი პაპის დროს იმპერატორის გვირგვინი ორჯერ უფრო მძიმდებოდა ხოლმე. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ სისასტიკით ინოკენტიმ თავის უკანასკნელ წინამორბედებს გაუსწრო.

არჩევისთანავე ქალაქის პრეფექტურა გარდაქმნა, პრეფექტი საიმპერიო მოხელიდან პაპის მოხელედ აქცია. მუნიციპალიტეტი, მართალია, დატოვა, მაგრამ თავის მორჩილ იარაღად გაიხადა.

იმ ხანებში გერმანიაში სამოქალაქო ომი წარმოებდა ჰენრიხ

მეექვსის შვილის რეგენტსა და ოტონ ბრაუნშვაიგელს შორის. პაპმა გადაწყვიტა ამ დავაში ჩარევა და გერმანელებს უბრძანა, ოტონს დაემორჩილეთო, ეს უკანასკნელიც ფიცით ირწმუნებოდა, ეკლესიას შევუნარჩუნებო ყველა უფლებასა და სამფლობელოს, მათ შორის მატილდას მემკვიდრეობას.

რამდენიმე წლის განმავლობაში პაპი მთელი თავისი შეძლებით ცდილობდა ერთგული მიმდევრის დაცვას.

მაგრამ როგორც კი იმპერატორი გახდა და რომში გვირგვინი იკურთხა (1209 წელს), ოტონმა მაშინვე დაარღვია ყველა დაპირება და ფიცი: მარკგრაფის ქალ მატილდას მიწებს დაეპატრონა და სამხრეთ იტალიაში სიცილიის მეფის სამფლობელოებსაც მისწვდა. მოტყუებულმა ინოკენტიმ ოტონი შეაჩვენა (1210 წლის ნოემბერში) და, როგორც წესია, მისი ქვეშევრდომები გაათავისუფლა ერთგულების ფიცისაგან. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ოტონს ენერგიულად ებრძოდა, ინოკენტი მარაგად ერთ ძლიერ მოკავშირეს ინახავდა. ჯერ კიდევ 1198 წელს კონსტანცია, ჰენრიხ მეექვსის ქვრივი და სიცილიის სამეფოს მემკვიდრე, დათანხმდა, რომ მიეღო პაპის ინვესტიტურა და სიკვდილის წინ ინოკენტი მესამეს თავისი შვილის ფრიდრიხის მეურვეობა დააკისრა.

ოტონის საქციელით აღშფოთებული პაპი გადაჭრით შეუდგა მის წინააღმდეგ კოალიციის შედგენას, და მისი ცდა წარმატებით დამთავრდა. ჩვიდმეტი წლის ფრიდრიხმა, მას შემდეგ რაც რომში ჩავიდა და ინოკენტის ერთგულება შეჰფიცა, მალე დაამარცხა ოტონი და მაინცში იმპერატორად ეკურთხა. ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ფრიდრიხი დაპირებებს უშურველად იძლეოდა: ვალდებულებას კისრულობდა, რომ უდრტვინველად დაემორჩილებოდა წმინდა ტახტს, დაეხმარებოდა პაპს ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ინოკენტის ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ მისი ერთგული აღზრდილი რამდენიმე წლის შემდეგ მის ყველაზე უფრო საშიშ მტრად იქცეოდა.

ხელმწიფეები, რომლებიც ინოკენტის ჭკუაზე დადიოდნენ, სუსტნი იყვნენ და მის დახმარებას საჭიროებდნენ: მაგალითად, შვეციის, დანიის, პორტუგალიის სუსტი მბრძანებლები თავიანთ სუზერენს — პაპს ხარკს უხდიდნენ. მაგრამ როცა ინოკენტი III შეეცადა ფილიპე ავგუსტისა და იოანე უმიწაწყლოს დავაში ჩარევას, ენერგიულმა ფილიპემ შესძახა: „პაპს არაფერი ესაქმება იმას-

თან, რაც ხელმწიფეებს შორის მოხდება!“ ამისათვის ინოკენტიმ ინტერდიქტი დაადო, ღვთისმსახურება აკრძალა მის ქვეყანაში.

ინგლისის მეფის ძალაუფლება კი მცირდებოდა პაპის წინაშე. მაგრამ ინოკენტი მესამის ინტრიგებმა მხოლოდ სამოქალაქო ომი გამოიწვიეს. ბრძოლაში, რასაც მეამბოხე ბარონებთან და ხალხთან აწარმოებდა, იოანე უმიწაწყლომ დახმარებისათვის პაპს მიმართა. ინოკენტიმ დაუყოვნებლივ ანათემა გამოუცხადა თავისუფლებიდ ქარტიას, აუკრძალა მეფეს მისი ცხოვრებაში გატარება, ბარონებს კი — მისი შესრულების მოთხოვნა. მანვე განკვეთა პრელატები და ბარონები, რომლებიც მეფეს წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ისინი ჯიუტობას განაგრძობდნენ. სისხლიანი ომი აჩანაგებდა ინგლისის ხალხსა და ეკონომიკას, და ხალხი თავისი უბედურების მიზეზად პაპს თვლიდა.

ინოკენტი მთელი ქრისტიანული ევროპის გაერთიანებაზე ოცნებობდა, რათა მოეწყო გრანდიოზული ლაშქრობა ქრისტეს საფლავის დასახსნელად. 1213 წელს ისევ გაგზავნა დესპანები ჯვაროსნული ლაშქრობის საქადაგებლად, თან ჯვარს დაჰპირდა ყოველ მსურველს, თუნდაც სისხლის სამართლის დამნაშავე ყოფილიყო. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ წმინდა ადგილები გამოეხსნათ, ჯვაროსნებმა ბიზანტია დაიპყრეს, ქრისტიანული იმპერია. ძალადობამ, რასაც ბერძნები განიცდიდნენ, კიდევ უფრო გაზარდა მათი სიძულვილი, ბიზანტიის ხალხებმა შეიძულეს დასავლეთის ქვეყნები, რელიგიური ერთიანობისა და ძმობის აღდგენა ახლა ორმაგად უფრო ძნელი გახდა.

მეორე ჯვაროსნული ლაშქრობა ინოკენტი მესამემ მოაწყო საქრისტიანოს შიგნით — ალბიგოელების წინააღმდეგ.

დაიწყო იქიდან, რომ სამხრეთ საფრანგეთში გაგზავნა ბერები, რომლებიც მოვალენი იყვნენ მიეღწიათ ერეტიკოსთა განკვეთისათვის. ამ ბერებს უფლებამოსილობა ჰქონდათ მიემართათ წამების ყოველგვარი სახეობისათვის — რკინით, ცეცხლითა და წყლით წამებისათვის — ალბიგოელთა ჯიუტობის შესაბამისად. „ქეთილ“ ლეგატებს მოქმედების სრული თავისუფლება ეძლეოდათ მხოლოდ ერთი პირობით — რომ უწყალო და ულმობელი ყოფილიყვნენ.

ასეთები აღმოჩნდნენ კიდეც სინამდვილეში. „მთელი ქრისტიანული სამყარო, — წერს პერენი თავის „ალბიგოელთა ისტორიაში“, — შეძრწუნებული იყო საზარელი სანახაობით: ადამიანებს

სასრჩობელებზე ქარი არსევდა. ადამიანები ცოცხლად იწვოდნენ კოცონებზე, ხალხს აწამებდნენ ჭხოლოდ იმისათვის. რომ თავიანთ ზრახვებს მხოლოდ უზენაესს ანდობდნენ და უარყოფდნენ ადამიანის მოგონილ უსარგებლო ცერემონიებს.

პაპი მაინც ფიქრობდა, რომ მისმა ემისრებმა საკმარისი სიმკაცრე ვერ გამოიჩინეს და საკმაოდ მოკლე ხანში ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგებს. ამიტომ დასახმარებლად სამი ლეგატიც გაუგზავნა, სამივეს დაავალა გაენადგურებინათ ყველა ერეტიკოსი, ესე იგი სამხრეთ საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობა, ძალე კი ინოკენტის ემისრებს ჰთელი თავისი ქვეწარმავლური ბრწყინვალებით შეემატა საზიზღარი ბერი დომინიკე, ინკვიზიციის დამფუძნებელი.

ჩვენ უკვე ვახსენეთ ეს საზარელი სიტყვა !კაცობრიობის ისტორიამ არ იცის მეორე ცნება, ეგზომ ზარდამცემი და სისხლიანი, ცეცხლის ენებით დაწერილი სიმბოლო უდანაშაულო ადამიანთა არაადამიანური ტანჯვისა. ამიერიდან ის საუკუნეების მანძილზე სიკვდილის პირბადიანი ლანდის სახით გამოჩნდება და თავზარს დასცემს ყველას, ვინც ბნელში შეჭრილ შუქს ღიმილით შეხვედრია.

ალბიგოელთა გვემას განუზომელი საშინელების სახე მიეცა. სიმონ დე მონფორმა მრავალრიცხოვანი არმიით ალყა შემოარტყა ქალაქ ბეზიერს. ამ აყვავებული ქალაქის მოსახლეობა მთელი თვის განმავლობაში გმირულად იცავდა თავს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს შიმშილით გაწამებულნი იძულებული გახდნენ დამორჩილებოდნენ. მათი საზავო წინადადებები სასაცილოდ არ ეყოთ. საქმე ჰქონდათ არა რეგულარულ ჯართან და პატიოსან სარდალთან, არამედ პაპის ქაჯთა ლაშქართან, რომლის სათავეშიც სატანის მოციქული იდგა. ქრისტიანმა ფანატიკოსებმა ფიცი დადეს, უკანასკნელ სულამდე დავხოცავთ ყველას, ძუძუთა ბავშვების ჩათვლითო.

ლაპარაკი იყო ერების განადგურებაზე, რადგან მეტისმეტად გავრცელდა ეს მოძრაობა და თვით პაპობის არსებობას ემუქრებოდა. ამიტომ პაპი ძლიერ შეშფოთებული იყო და აბა რა დანდობაზე შეიძლებოდა იმედის დამყარება! წმინდა ტახტმა ვადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა. პეტრე მოციქულის მემკვიდრე არ ერიდებოდა არავითარ ღონისძიებას, ცეცხლითა და მახვილით იმორჩილებდა ქვეყანას. რომელმაც წელში გამართვა სცადა და იარაღით ხელში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება მოიწადინა.

რაც შეეხება სიმონ დე მონფორს, რელიგია მისთვის იყო მხოლოდ ნიღაბი, რომლის შიგნითაც საკუთარი განცდები იფარებოდა. მას რაიმუნდის, ტულუზის გრაფისა და ალბიგოელთა ერთ-ერთი მთავარი ბელადის ტიტული და მიწა-წყალი უნდოდა ხელში ჩაეგდო.

დე მონფორის არმიის უდიდესი უმრავლესობა შედგებოდა ბახდიტებისაგან, რომელთაც სახრჩობელა ჰქონდათ დამსახურებული. და ქრისტიანი ფანატიკოსებისაგან, რომლებიც ერეტიკოსთა გაწყვეტაში ხედავდნენ საუკეთესო საშუალებას, რომ რამენაირად ეამებინათ ეკლესიისათვის, თავი გამოედოთ და სულის სახსნელად მიუტევებელი ცოდვები გამოესყიდათ.

ინოკენტის ლეგატებმა მონფორის ხროვის სახით იპოვეს ის ძალა, რომელიც აუცილებელი იყო მათი დანაშაულებრივი ზრახვების აღსასრულებლად. როცა ბეზიერის გრაფი და სხვა პირები ქალაქის სახელით პაპის ლეგატებს ეახლენ და განუცხადეს, მზად ვართ კაპიტულაცია მოვახდინოთო, ღვარძლიანმა დომინიკემ ყველანი გააგდო, ცოფიანმა ქოფაკმა ადამიანური პასუხის ღირსად არ გახადა, მხოლოდ ეს უთხრა: წმინდა მამის ბრძანებით ქალაქი უნდა დაიწვას, ხოლო მთელი მოსახლეობა: ქალი, კაცი, მოხუცი, ბავშვი — ერთიანად, უწყალოდ და განუსჯელად გაწყდება სახრჩობელაზე, ჯოცონზე, ან ბასრი მახვილითო.

ალყაშემორტყმულთ გაიგეს, რომ შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონდეთ და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბრძოლა გადაწყვიტეს. ცხადია, ბრძოლაში სიკვდილი ჯობდა ღვთის ქოფაკთა ხელით უმოწყალო წამებას. თავგანწირულთა სასოწარკვეთილი წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქი აიღეს. დაიწყო საშინელი სვრემა. ჯალათისკაცები ქუჩაში აუპატიურებდნენ ქალებს და მერე მუცელს ეფატრავდნენ... ევროპა ღირსი იყო ამ წარღვნის მხედართა უკაცურობისა, რადგან თაყვანს სცემდა იმ ღმერთს, რომლის მსახურნი თავიანთ მოყვასთა მიმართ ასეთ გიჟურ სისასტიკეს იჩენდნენ! თვითონ ღვთის ქოფაკი დომინიკე ჯვრით ხელში დადიოდა ქალაქის ქუჩებში და გაცოფებულ ფანატიკოსებს გაუგონარი მკვლელობისათვის აქეზებდა, — გაწყვიტეთ, გაძარცვეთ, დაწვით, განურჩევლად ალექსისა და ასაკისა! სისხლის ნაკადულები ჩუხჩუხებდნენ ბედშავ ქალაქში. ამაოდ ცდილობდა ზოგი ვინმე ჯალათების დარწმუნებას, ბეზიერში ყველა ერეტიკოსი როდიაო, — ეს ურჩხულები უმალ ას უდანაშაულოს გაანადგურებდნენ, ვიდრე ერთ დამნაშავეს დაინდობ-

დნენ.“ მოკალით! — ხრინწიანი ხმით გაჰკიოდა გაცოფებული არნოლდ ამალრიკი, — დახოცეთ ყველანი! ღმერთი გაარჩევს თავისიანებს! ეს მოწოდება უნაკლოდ და ზუსტად შესრულდა. ქალაქი ბეზიერი ფერფლად იქცა, ქუჩებში ადამიანთა გვამები ზვინებად ეყარა, სამოცი ათასი ნეშტი დაიმარხა აკვამლებულ კედლებს შორის.

„დროა მივეშველოთ ღმერთს“ — შესძახა ღვარძლიანმა ბებერმა ძაღლმა, რომელიც წმინდა ტახტზე იჯდა, და ხელი რკინით შეჭედილი პროვანსისაკენ გაიშვირა. აი, ამ „მიშველების“ საზარელი შედეგი! აყვავებული ქალაქი წამებულთა სამარხად იქცა. ბანდიტების არმიას თავის გასამართლებლად იმავე პაპის სიტყვები ჰქონდა: „ვინც ერეტიკოსებს ცეცხლით და მახვილით არ გაანადგურებს თვითონ არის ერეტიკოსიო!“

ბეზიერს რომ გაუსწორდნენ, პაპის აგენტები დანარჩენ ქალაქებს ეკვეთნენ. დაანგრიეს ან დაარბიეს კარასკასონი, ტულუზა, ალბი და სხვა ქალაქები, სამხრეთ საფრანგეთის მთელი პროვინციები, რომლებიც ალბიგოელთა მოძრაობას ემხრობოდნენ. მათაც განიცადეს ჯოჯოხეთური აკლება-აწიოკება. განსაკუთრებით გულმოდგინედ ჟლეტდა და აწამებდა ამ ლაშქრობის დროს მშვიდობიან მოსახლეობას დომინიკე, სრულიად ღირსი იმ სისხლიანი შარავანდედისა, რითაც ის ეკლესიამ დააჯილდოვა. წმინდანის სახელის მოპოვებას ხომ ქათმის სისხლი არ ეყოფა! ამისათვის საჭირო იყო ადამიანთა სისხლის მდინარეები.

ალბიგოელთა დევნა რამდენადმე მიწყნარდა, როცა ინოკენტი მესამემ ლატერანში ყრილობა მრიწვია. ამ ყრილობის მთავარი მიზანი იყო ფრიდრიხ მეორეს გვირგვინის კურთხევა. ეს გვირგვინი ცეცხლისა იქნებოდა, სადმე რომ ღმერთი ყოფილიყო, რადგან „ხალხის მამა“ ოქროს ტახტზე ადიოდა, მისი ხალხი — ცეცხლის ტახტზე, მას კი სიტყვაც არ შეუწევია უდანაშაულო ადამიანებისათვის, რომელთაც ბანდიტების ხროვა განუკითხველად ჟლეტდა.

ამავე ყრილობაზე იხილავდნენ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მსოფლიო ეკლესიის გარდაქმნას ეხებოდა. მოულოდნელად ტულუზისა და პუას გრაფების საჩივარი მოვიდა, სიმონ დე მონფორმა ჩვენი სამფლობელოები მიითვისაო. წმინდა მამამ მოისმინა სიმონისა და დომინიკეს სისასტიკის ამბავი და უმაგალითო ცინიზმით

განაცხადა: ვერ გავკიცხავ ერთგულ ქრისტიანებს თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მეტისმეტი გულმოდგინეობისათვისო. ყოველგვარ ძალადობას მოენახება გასამართლებელი გამოთქმა, თუ საქმე გვაქვს ძალადობის მფარველ შავ ძალასთან! თქვა ესა თუ არა, ცბიერმა პაპმა კილო იცვალა და განაწყენებულ სენიორებს დაჰპირდა, მამულებს დაგიბრუნებთო. ეს დაპირება, რასაკვირველია, ტყუილი იყო. წმინდა მამამ არა მარტო არ შეასრულა სიტყვა, არამედ ფარულად საიდუმლო ბრძანება აფრინა დომინიკესა და მონფორთან, მეტი სიმკაცრე გამოიჩინეთ ალბიგოელების წინააღმდეგ, რათა ერეტიკოსებს შესვენებით გული არ მოეცეთო. ამავე დროს მიტაცებული მიწები მონფორს დაულოცა.

ფრანცისკ ასიზელი

ამავე ყრილობაზე გამოცხადდა ფრანცისკანელთა ორდენის დამაარსებელი ფრანცისკ ასიზელი. აუცილებლად უნდა დაემტკიცებინა წესდება თავისი მონასტრებისათვის. ინოკენტი მესამემ, რომელიც ჩვეულებრივ მდიდრულ საჩუქრებს იღებდა იმ მოქალაქეებისაგან, რომელთაც განსაკუთრებული პატივი მიაგო—ქოშებზე კოცნის უფლება, ამჯერად გამონაკლისი დაუშვა: არა თუ არაფერი არ მოითხოვა ფრანცისკ — ქოფაკისაგან, არამედ პირიქით, თვითონვე მისცა მას ფული. რა თქმა უნდა, პაპისათვის ადვილი იყო მცირეოდენი თანხის გადაგდება ბეჩავი იდიოტისათვის, რომელიც თავისი გიჟური ჰალუცინაციებითა და წინასწარმეტყველებით არაჩვეულებრივ წარმატებით ახდენდა ზეგავლენას უმეცარი და ცრუმორწმუნე ხალხის გონებაზე.

ფრანცისკის ბიოგრაფია სრულიად ლეგენდარულია. დღევანდელ სინამდვილეში ყოველნაირი მსგავსი მონაჩმახიდან ერთიც იქმარებდა ამ გმირის საგიჟეთში წასაბრძანებლად. მაგალითად, ფრანცისკმა თითქოს ზედმიწევნით იცოდა ცხოველთა ენა და თავისუფლად საუბრობდა მათთან (თუ ცხოველებად ჩავთვლით პაპსა და მის დამქაშებს, ამ ლეგენდაში უჩვეულო არაფერია). ეგზალტაციის მოვლის წუთებში ფრანცისკის სხეული ბნედიანივით ცახცახებდა, ფეხებს კი განუწყვეტლივ გრეხდა და ამოძრავებდა. მის მეტყველებაში

არავითარი გარკვეული აზრი არ შეიცნობოდა—თუმცა იმ დროს უაზრობა და აბდაუბდა მეტყველება ზეშთაგონების ნიშნად ითვლებოდა.

ფრანცისკი ეკლესიისათვის ნამდვილი განძი იყო: მორწმუნეთა გაგიჟების უნარმა პაპის კეთილგანწყობილება მოუპოვა. წმინდა მამამ ჩინებულად იცოდა, როგორ გამოეყენებინა ეს ქადაგად დაცემული, რომელიც ხალხს არწმუნებდა, ზეცის მადლი მფენიაო.

ფრანცისკ ასიზელმა სახელი განითქვა აგრეთვე როგორც წმინდა კაცმა, არაჩვეულებრივი უმანკოებით გამორჩეულმა. ძნელი სათქმელია, რამდენად ვამართლებულია მისი ასეთი დიდება. ერთი მემატიანე მოგვითხრობს: „ხორცის დემონი რომ დაეძლია და ვნებათა ხანძრისაგან დაეხსნა თავისი უბიწობის თეთრი ანაფორა“, ფრანცისკი ზამთრობით გაყინულ წყალში ყვინთავდა. „როცა ერთხელ ფრანცისკმა ლამაზი ქალიშვილის ხილვაზე ძლიერი ცთუნება განიცადა, როცა ქალიშვილი კურთხევისათვის მასთან მივიდა, ფრანცისკმა ტანზე გაიხადა (ქალიშვილის თვალწინ!) და იმდენი ურტყა თავის თავს წკეპლა, მთელი ტანი დაისისხლიანა. ასე გაწკეპლილი მერე გარეთ გავარდა, თოვლში დაიწყო კოტრიალი და თან გაჰყვიროდა: „სულიწმინდა ჩამისახლდა სხეულშიო“. მალე ყველამ დაინახა შვიდი უზარმაზარი ბურთი, თოვლის გუნდები, რომლებიც მისი სისხლით წითლად შეიღება! ამ დროს ფრანცისკს თავისი სული ეუბნებოდა: თოვლის ქალთა შორის ყველაზე დიდი და ლამაზი — შენი ცოლია, ოთხი დანარჩენი — შენი ხასა, ორი უკანასკნელი კიდევ-მოსამსახურე გოგოები არიან. იჩქარე, ყველანი შინ მიიყვანე, თორემ სიცივეში იყინებიან“ (ჩანს, იმ საუკუნეში ადამიანებს ვნების ცეცხლი ეკიდათ, რომ ასეთი ცერემონიების შესრულება სჭირდებოდა თვით მათ შორის ყველაზე უფრო წმინდა გვამს).

მემატიანის დასკვნა პირდაპირ შეუდარებელია: „თოვლის ქალები წყლად იქცნენ, ფრანცისკის სულმა კი მის სხეულს უთხრა: „ო, სხეულო ჩემო, გაკვეთილად მიიღე ეს შემთხვევა და ფრთხილად იყავი: ასე დნება და იქცევა ორთქლად ყველა ხორციელი სიამე სულის წინაშე“.

სამწუხაროდ, მემატიანეს დაავიწყდა ეთქვა ჩვენთვის, რა კილოთი და რომელ ენაზე ლაპარაკობდა ფრანცისკის სული.

ჩვენი ანეგდოტი იმდენადვე სულელური და უბადრუკია, რო-

გორც ყველა სხვა ამბავი წმინდანთა ცხოვრებისა. თუ ამ ფაქტს ვარ-თლა ჰქონდა ადგილი, ის მხოლოდ ფრანცისკის სიგიჟეზე ლაპარა-კობს, და დღეს ბავშვიც კი მიხვდება, რომ აქ სხვა ახსნა არ არ-სებობს.

სინამდვილეში ფრანგთა ორდენის დამაარსებელი ახალგაზრდო-ბაში თავგზააბნეული მოქეიფე, არშიყი და დარდიმანდი ვინმე იყო. ამბობენ, თუ მოეწონებოდა, არც ერთ ქალს არ გაუშვებდაო. ერთ მშვენიერ დღეს მოსწყინდა ეს საქმე და თავგადადებული რელიგი-ური ფანატიკოსი გახდა. ვითომ დაცხრა? თქვენც არ მომიკვდეთ! მისთა ენებათა საგანი იცვალა მხოლოდ, სინამდვილეში კი ახლად მოქცეულმა უწინდებურის გულმოდგინეობით განაგრძო სოდომუ-რი ცოდვების დატრიალება. აი ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი, რაც აგრიპა დ' ობინიესაგან ვისესხეთ: „თუ რომელიმე ეპისკოპოსს ან კარდინალს პაჟი შეუყვარდება, თავი ცოდვილად არ უნდა ჩათვა-ლოს. პირიქით, შეუძლია იმედი იქონიოს, რომ ოდესმე წმინდანად შერაცხავენ, რადგან წმინდა ფრანცისკის მაგალითს მიჰყოლია: ფრანცისკ ასიზელი ხომ თავის ხორციელ სიყვარულს საკუთარ ძმა-თან მაცეისთან წმინდა სიყვარულად თვლიდა. ეს ავხორცი ბერი მოგვითხრობს, რაწამსაც ახალგაზრდა მორჩილი, ჩემი ძმა მაცეი დავინახე, ჩემს გულსა და ჯიგარს ყოვლის გამრეჯავი ცეცხლი მოედო, და ერთხელ, ღვთისმსახურების დროს, მოულოდნელად შე-სძახა: „ო, მაცეი, ჯობს მე დამნებდე, ვიდრე ღმერთს!"

„და ჩვენ, — განაგრძობს წმინდა ფრანცისკი, — მაშინვე ჩავა-ქრეთ ჩვენი ცეცხლის ალი, საკურთხევლის კიბეზე მხურვალე კოც-ნით გადავეხვიეთ ერთიმეორეს".

აი, როგორ ესმოდა ღირსეულ მამაკაცს უბიწოება. ამან ხელი ვერ შეუშალა, რომ წმინდანი გამხდარიყო. ჩვენს დროში კი მისი კეთილმსახური მიმბაძველები სხვა ხვედრს იმსახურებენ: გამასწო-რებელი პოლიციის ხელში ხვდებიან.

იმავე ყრილობაზე გამოიმუშავეს ფართო ინსტრუქცია მომავა-ლი ჯვაროსნული ლაშქრობის თაობაზე. ცალკეული რაზმების თავ-შეყრის ადგილებიც კი დანიშნეს, და პაპი ყველას დაჰპირდა, ადგი-ლზე მოსვლით გაგაბედნიერებთო, პირადად დაგლოცავთო. მაგრამ დაპირებას პაპი იშვიათად ასრულებდა და ინოკენტიმ პირობა ვერც ახლა შეასრულა: ამ დღემდე სიცოცხლე მას არ ეწერა. უეცრად გა-რდაიცვალა: ღორმუცელობამ იმსხვერპლა.

ჰონორიუს III

✪ ინოკენტის მემკვიდრემ ჰონორიუს III ტახტზე თავისი ასელა აღნიშნა ბრძანებით, გააძლიერეთო ალბიგოელთა წინააღმდეგ ბრძოლა. ისეთ ადამიანებს, როგორიც არიან დომინიკე და სიმონ დე მონფორი, წაქეზება არ ესაჭიროებათ. სისხლიანმა ჯალათებმა ძველებური გულმოდგინეობით განაგრძეს სამხრეთ საფრანგეთის მოფენა გვამებითა და ფერფლით. ბოლოს და ბოლოს, სასიკეთო საქმეც მოხდა: სიმონი ტულუზის კედლებთან მოკლეს. მალე ჩაძაღლდა დომინიკეც, ბედნიერი იმ შეგნებით, რომ მტკიცე ბაზა შექმნა ინკვიზიციის ტრიბუნალის შესადგენად. ჰონორიუსმა მწარედ დაიტირა მოციქულის ტახტის ეს ორი ბურჯი, მაგრამ დრო არ დაუკარგავს, ისე შეუდგა შემცვლელების ძებნას. ეს არც ისე იოლი იყო. ყოველდღე ვერ იპოვნი ისეთ ადამიანებს, რომელთაც აქვთ უნარი და ხალისი გაჟლიტონ მთელი ქალაქის მოსახლეობა, დიდიან-პატარიანად. ბოლოს და ბოლოს, ჰონორიუსმა, როგორც იქნა, დაიყოლია საფრანგეთის მეფე ჰენრიხ VIII, რომ მაშველი არმია გაეგზავნა სიმონ დე მონფორისათვის, რომელიც ალბიგოელებთან ბრძოლას განაგრძობდა. საქმე იმით დამთავრდა, რომ ერეტიკოსები ერთიანად დაარბიეს. ჰენრიხის ფანატიკოსები ღირსეულ დახმარებას უწევდნენ ჯალათ მონფორის ღირსეულ შვილს. ვინც გაჟლიტეს, გაჟლიტეს და ვინც გადარჩა, ლომბარდიაში გაიქცა, მაგრამ არც იქ მოასვენეს. ვინც ლტოლვილებს თავშესაფარს აძლევდა, პაპი ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა.

გრიგოლ IX

✪ ჰონორიუს III გარდაიცვალა 1227 წლის 20 მარტს, სწორედ იმ დროს, როცა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა. მისი ტახტის მემკვიდრეც, ოთხმოცი წლის გრიგოლ IX, კარდინალი ჰუგოლინო, გრაფ სენის გვარისა, ენერგიულად განაგრძობდა მის საქმეს, მაგრამ არც ევროპის ერეტიკოსებს ივიწყებდა. ბლანკა კა-

სტილიელი, რომელიც ლუდოვიკო მეცხრის, მცირეწლოვანი შვილის რეგენტად იყო, პაპს თავგამოდებით ეხმარებოდა. მრავალი კოცონი აგიზგიზდა ამ სასტიკი დედოფლის გულში ანთებული ცეცხლისაგან. ძალაუფლების მოყვარულ ბლანკას მძიმე ბრალდებაც წაუყენეს: ჰენრიხ მერვეს სიცოცხლე მოუსწრაფაო. ამ გიჟმა სამეფო მაშხალამ საქვეყნოდ განაცხადა, მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, როცა დაიღუპება ყველა უკეთური, ვინც წმინდა ეკლესიის მოძღვრებას სადავოდ ხდისო. მაგრამ მთელი ამ დევნის მიუხედავად ერეტიკოსების რიცხვი სულ იზრდებოდა: რაც მეტს დევნიდნენ, მით უფრო მეტი მიმდევარი უჩნდებოდათ.

პაპის ზეგავლენით ფანატიკოსმა ბლანკამ ერეტიკოსების გასაწყვეტად გაგზავნა მრავალრიცხოვანი არმია, რომელსაც სათავეში ჩაუყენა იმ დროის ერთ-ერთი უსასტიკესი ჯალათი. გულქვა ფანატიკოსმა სიმონ დე მონფორის მსგავსად სისხლიანი ანგარიშსწორება მოაწყო ალბიგოელებთან. ტყვეებს დაუყოვნებლივ აბარებდა ჯალათს, რომელიც უსასტიკესი წამების შემდეგ ყველას შეუბრალებლად ხოცავდა. სიკვდილის პირშავი მოციქული არავის არ ინდობდა, სიცოცხლეს არ უნარჩუნებდა არც იმათ, ვინც გადარჩენის იმედით თვითონვე ბარდებოდა ტყვედ, არც იმ ბედგამწყარალთ, რომელთაც თვითონვე უარყვეს ერესი და ეკლესიის ერთგულების ფიცს სდებდნენ.

მაგრამ თუ ალბიგოელების წინააღმდეგ ჯვაროსნულმა ლაშქრობამ წმინდა მამას წარმატება მოუტანა, შედარებით ცუდად ჰქონდათ საქმე თურქებთან ბრძოლაში. ქრისტიანთა ელეტაში მამაც ჯალათებს ურჯულოები კუდით ქვას ასროლინებდნენ ხოლმე.

იმპერატორმა ფრიდრიხ II, რომელმაც თავისი „მოღვაწეობა“ დაიწყო, როგორც „მღვდლების მეფემ“ (ასე ეძახდნენ თანამედროვეები) ჯერ კიდევ თავისი მეფედ კურთხევის დროს დადო ფიცი, ჯვაროსნულ ლაშქრობას მოვაწყობო, მაგრამ ინოკენტი მესამის სიკვდილის შემდეგ აშკარად დასცინოდა თავის ყოფილ მასწავლებელს — პაპ ჰონორიუსს და ათასნაირ მიზეზს იგონებდა, რომ დათქმული ლაშქრობა გადაედო. ბოლოს და ბოლოს მაინც დაემორჩილა გრიგოლ მეცხრის მოთხოვნას და თავისი ჯარი გემებში ჩასხა, მაგრამ სამი დღის შემდეგ უკან დაბრუნდა და პაპს ბოდიში მოუხადა, ძალიან მინდოდა ქრისტეს საფლავის დახსნა, მაგრამ გემებში რეე-

ვამ არმია დამისნეულა და უკანვე გეახელითო. კეთილმსახურები ზღვის სნეულებამ დაამარცხა.

ფრიდრიხის დაბრუნება რომ გაიგო, გამძვინვარებულმა ბებერმა პაპმა მეფე არ მიიღო და შეაჩვენა, ეკლესიიდან განკვეთა. პასუხად ფრიდრიხმა სიგელი გაუგზავნა, თავს იმართლებდა და რომის ეკლესიას ადანაშაულებდა. ამას გარდა მან გააუქმა პრივილეგიები, რომლებიც რომის ეკლესიას იმპერატორებმა მისცეს.

თავის სიგელში, რომლის წაკითხვაც იმპერატორმა კაპიტოლიუმში ბრძანა, მეფე ფრიდრიხ II ბევრ ჭეშმარიტებას ამბობდა. მაგალითად:

„იტალიის ხალხებო! რომის ეკლესია არა მარტო ხარჯავს იმ თანხებს, რომელთაც მორწმუნეთა უცოდინარობის წყალობით იღებს, არამედ ბედავს სუვერენების დამხობას და ყმად ქცევას, რომ ხარკი აიღოს. ჩვენ ახლა არაფერს ვიტყვით ძარცვა-რბევაზე. სიმონიაზე, საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობაზე, ყოველივე იმაზე, რაც მთელს დასავლეთს ბილწავს, რადგან ყველამ იცის, რომ პაპი გაუმაძღარ წურბელას ემსგავსება. მღვდლები ამტკიცებენ, რომ ეკლესია — დედაა ჩვენი. პირიქით, ეკლესია ისე გვექცევა, როგორც ბოროტი დედინაცვალი, მხოლოდ ფარისევლურად გვეძახის შვილებს. ლეგატებს აგზავნის ყოველ მხარეს, რომ დაარბიონ ქალაქ-სოფლები, მოიპარონ მბრძანებელთა და ხალხთა სიმდიდრე. ეკლესიის ხელში ქრისტეს მორალი მხოლოდ იარაღია, ქონების დაგროვებისათვის მოგონილი, რაც ეკლესიის მსახურთ უფლებას აძლევს ისე იმოქმედონ, როგორც იქცევიან შარაგზის ყაჩაღები. ინდულგენციების შემწეობით ეკლესია უსირცხვილოდ ვაჭრობს დანაშაულის ჩადენის უფლებით, ის უსირცხვილოდ არიგებს სამოთხის რჩეულ ადგილებს მათთვის, ვინც მეტ ფულს მისცემს“.

რას იზამთ, განაჩენი მკაცრია და მეფური, მაგრამ სწორი.

როცა ამ მოწოდების ამბავი წმინდა მამამ გაიგო, მის გაშმაგებას საზღვარი არა ჰქონდა. ეპისკოპოსებს ენციკლიკით მიმართა, ინტერდიქტი დაადო ყველა ქალაქსა და სოფელს, სადაც იმპერატორს უნდა გაევლო. ფრიდრიხიც არ შეუშინდა პაპის მუქარას, რომს მიაშურა და პაპის მოწინააღმდეგე სენიორების დახმარებით ქალაქში შევიდა. ფრიდრიხის შთაგონებით გიბელინების პარტიამ გრიგოლის წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა. იმ მომენტში, რო-

ცა პაპი წმინდა პეტრეს ტაძარში წირავდა, შეიარაღებული რაზმი შეიჭრა და საკურთხეველს მივარდა. პაპმა ძლივს უშველა თავს გაქცევით. ეს ადრე დილით მოხდა, ღმერთს ჯერ კიდევ ეძინა, თორემ უთუოდ მიეშველებოდა თავის მოადგილეს. ბებერი ობობა პერუზაში გამაგრდა და უკეთესი დღეების ლოდინი დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ იერუსალიმის სამეფოს მემკვიდრე ქალზე დაქორწინებულმა ფრიდრიხ II დამასკოს სულთნის გარდაცვალების ამბავი გაიგო და იერუსალიმის დასაპყრობად წასვლა გადაწყვიტა. თქვა და გააკეთა კიდეც. ამჯერად ზღვის სნეულებამ რატომღაც ვერ შეაშინა და მეფემ ჯარი მშვიდობიანად გადასხა სირიაში.

ვერაგმა გრიგოლმა მაშინვე ისარგებლა იმპერატორის არყოფნით. მაშინვე არმია გაგზავნა ჰერცოგის წინააღმდეგ, რომელსაც ფრიდრიხმა სიცილიის, აპულიის და კალაბრიის მმართველობა დაავალა. პაპმა კარგად იცოდა ჯარისკაცების სიწუწკის ამბავი და ისეთი პრივილეგიები მისცა, რაც ურჯულოებთან ომში ეძლეოდათ ხოლმე. რაკი წინასწარ ცოდვების მიტევება მიიღეს. ამ ბანდიტებმა დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობის რბევა-აწიოკებას მიჰყვეს ხელი. მაოხრებელ ჯარს სათავეში ედგა ჟან დე ბრიენი, ფრიდრიხის სიმამრი. აი, რას წერს ფრიდრიხის ერთ-ერთი მომხრე იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა პაპის არმია:

„თქვენი გამგზავრების შემდეგ, ხელმწიფევ, წმინდა მამამ ჟან დე ბრიენის დახმარებით მრავალრიცხოვანი არმია შეკრიბა. მათი ლეგატები ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილან და აცხადებენ, რომ მახვილით მოგიღებენ ბოლოს, რაკი ანათემით ვერაფერი გავნეს. მათი ჯარები წვავდნენ სოფლებს, ძარცვავდნენ მიწათმფლობელებს, აუპატიურებდნენ ქალებს, ავერანებდნენ ყანებს. არაფრის წინაშე არ ჩერდებოდნენ, არ სცემდნენ პატივს არც ეკლესიებს, არც სასაფლაოებს. იპარავდნენ წმინდა ჭურჭლეულს და ხსნიდნენ საფლავებს, რომ ძვირფასი ნივთები წაეღოთ. არასოდეს არც ერთ მღვდელმთავარს არ უკადრებია ამდენი საზიზღარი საქმის ჩადენა. ახლა დარაჯები დაუყენებიათ ყველა ნავთსაყუდელში, რომ თქვენი სამეფო უდიდებულესობა შეიპყრონ, თუ მცირე ამალით გამოჩნდებით. ჩვენთვის ისიც ცნობილია, რომ წმინდა მამა თქვენს წინააღმდეგ ხრიკებს აწყობს თვით წმინდა მიწაზე, სადაც ამჟამად იმყოფებით. ტაძროსნებს შეუთანხმდა, რომ მიგზავნილი მკვლელის ხან-

ჯლით განეგმირეთ. ღმერთმა დაგიფაროთ ურჯულოებისაგან და კიდევ უფრო მეტად — პაპისა და მისი დამქაშებისაგან“.

გაფრთხილება უაღრესად გონივრული და დროული აღმოჩნდა. გრიგოლის განკარგულებით ტაძროსნებმა ეგვიპტის სულთანს მელიქ-ელ-ქამელს აცნობეს, რომ ფრიდრიხს განუზრახავს ფეხით, თითქმის ამალის გარეშე, იორდანიის სანაპიროზე მოსალოცავად წასვლა. დღეც კი გარკვეული იყო ნაჩვენები, რომ სულთნის მსახურებს არ გაძნელებოდათ. იმპერატორის შეპყრობა ან მოკვლა. აი, როგორ იცავდა ღვთისმეული პაპი ქრისტეს საფლავის მხსნელებს! ფრიდრიხს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ცნობა და მისი საქმე გათავებული იქნებოდა, რომ სულთანს ტაძროსანთა შეთქმულებით სარგებლობა ესურვა. მაგრამ ეგვიპტის სულთანი საქმეს სხვა თვალით უყურებდა, მუხთალი პაპივით კი არა, და ტაძროსანთა დასმენის წერილი იმპერატორს გაუგზავნა. ფრიდრიხმა დაუყოვნებლივ შეკრა კავშირი სულთანთან და იტალიაში გაეშურა.

მისმა გამოჩენამ საქმის ვითარება მთლიანად შეცვალა. პაპის ჯარი დამარცხდა, და რაკი ძარცვის საშუალება აღარ ჰქონდათ, ყველა იქით გარბოდა, საითაც თვალი მიუწვდებოდა.

პაპმა ბრძოლის შეწყვეტა მაინც არ ისურვა, ბრძოლა კი ხარჯებს ითხოვდა, ამიტომ ბრძანა გაეყიდათ საეკლესიო ჭურჭლეული, კულტის საგნები და სათესლე ხორბალიც კი. მაგრამ საჯარო ვაჭრობიდან მიღებული ფულით შეკოწიწებული ახალი არმიაც დამარცხდა. პაპის ერთადერთი იარაღი ისევ ანათემა გახდა.

იმპერატორს იარაღის ამ სახეობის ნაკლებად ეშინოდა, ამიტომ ისევ ტრიუმფალური სვლით მიიწევდა რომისაკენ. უკვე რომის კედლებთან იყო, როცა მოულოდნელი ამბავი მოხდა. „ჰანიბალი კედლებთანაა!“ — შესძახა ცაში ღმერთმა, იქუხა, იქექა, ტიბრი ადიდდა, კალაპოტიდან გადმოვიდა, რომი დაფარა. ეს კიდევ არაფერი. წყალმა რომ დაიკლო, ქალაქში უწმინდურობის სუნი დადგა. მაშინვე ეპიდემიამ იფეთქა, რომის სამღვდელოებამ ეს შემთხვევაც მაშინვე გამოიყენა, ხალხს უქადაგა: ღმერთმა დაგსაჯათ იმისათვის, რომ წმინდა მამას გადაუდექითო. ასეთი ბავშვური მეთოდით იყენებდნენ საუკუნეების განმავლობაში პირბნელი ხუცები ბუნებრივი მოვლენების უბრალო დამთხვევას. ღვთისმსახურთა ქადაგებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. რომაელებმა გრიგოლს დეპუტაცია გაუგზავნეს, რომში დაბრუნება და ღვთის რისხვის შერბილება სთხოვეს.

ფრიდრიხმა ვერ გაბედა რელიგიური სისულელით გონებადაბინდული ხალხის მტრული განწყობილების პირობებში ბრძოლის გაგრძელება და პაპს ზავი შესთავაზა.

გრიგოლი ცოტა შეყოყმანდა და მერე იმპერატორთან მოლაპარაკება დაიწყო. ორი ახალი მოკავშირე რომში ერთად გამოჩნდა. მრავალი ბოთლი დაცალეს და მარადიული მეგობრობის ფიცი შეკრეს. ეს მარადიული ზავი ხანმოკლე გამოდგა.

გრიგოლ IX ფრიდრიხს სიყვარულით ეხვეოდა და თან ფიქრობდა, როგორ გადაეხადა სამაგიერო უჯათო იმპერატორისათვის. მართალიც იყო: ბებერ პაპს გრძელი დღე არ დარჩენოდა, თუმცა ტახტზე თითქმის თოთხმეტი წელი დაჰყო. ინტრიგის ოსტატმა ფრიდრიხ მეორეს საკუთარი შვილი ჰენრიხი აუმხედრა, მერე კი თავისი ვერაგობის დაფარვის მიზნით ღრმად დამწუხრებულის ნიღაბი გაიკეთა: შვილმა როგორ გიმუხთლაო!

ფრიდრიხი იოლად მოსატყუებელი კაცი არ იყო. პაპის თაღლითობას მიხვდა და სამაგიეროს გადახდა არ დააყოვნა. როცა მცირე ხნის შემდეგ რომში აჯანყებამ იფეთქა და პაპმა დახმარებისათვის ფრიდრიხს მიმართა, იმპერატორმა უპასუხა: „დასახმარებლად მოსვლა კი არა, ძალიან გამახარა თქვენი გაჭირვების ცნობამ“.

ასეთი პასუხი რომ მიიღო, პაპმა დაიფიცა, სამაგიეროს გადავუხდი მეფეს, რომელმაც საქვეყნოდ მომჭრა თავი და ხალხში გამომაჭენაო! მართლაც, იმპერატორის მეამბოხე შვილს დიდძალი ფული და ჯარისკაცების რაზმი გაუგზავნა.

ფრიდრიხმა რიცხობრივად ჭარბ ძალებთან შებმა ვერ გაბედა და გრიგოლს ისევ ზავი მოსთხოვა. მისი პირობები ისე ხელსაყრელი იყო, რომ ბებერმა არამზადამ ზურგი აქცია მეამბოხე პრინცს, რომელიც თვითონვე აამხედრა, უკან გაიწვია რაზმი და ბედის ანაბარა მიატოვა თავისი ახალი „მოკავშირე“.

ჰენრიხმა იარაღი დაყარა. რამდენიმე წელი სასტიკ პატიმრობაში გაატარა და აპულიაში გარდაიცვალა 1242 წელს.

დადგა შედარებითი სიმშვიდის ხანმოკლე დრო. ფრიდრიხს უკვე ჰქონდა ფარული ხრიკების გამოცდილება და თვალყური ეჭირა პაპის ყოველ ნაბიჯზე. მალე გაიგო, რომ გრიგოლს მრავალი ვერაგული ქსელი გაება და ისეთი ვითარება შეექმნა, რასაც ან იმპერატორის დამხობა უნდა მოჰყოლოდა ან მისი მოკვლა.

ფრიდრიხმა სწრაფად მიიღო ზომები, რომ შექმნილი საფრთხე თავიდან აეცილებინა. მნიშვნელოვან არმიას მოუყარა თავი და სარდინიაში გაგზავნა. წმინდა მამას უკვე დიდი ხანია ამ კუნძულზე პრეტენზია ჰქონდა, და ფრიდრიხმა იცოდა, რომ მისი დაპყრობით პაპს ძლიერ დარტყმას მიაყენებდა.

გაცოფებულმა გრიგოლმა თავისი რისხვა ახალი დასაბუთებული ანათემის სახით გადმოაფრქვია, რომლის ნაწილს აქ უსათუოდ მოვიყვანთ.

გამძვინვარებული გრიგოლი იმპერატორს ახალი ძალით დაატყდა თავს ამ ანათემის სახით:

„ჩვენ ვწყევლით და განვკვეთთ ფრიდრიხს, რადგან გვეძახის ანტიქრისტეს, ბალაამსა და წყვდიადის მთავარს; რადგან ჩვენს ლეგატს ხელი შეუშალა, რომ საკადრისად გამასპინძლებოდა ალბიგოელებს; რადგან ეკლესიის მიწებს დაეპატრონა, კერძოდ სარდინიას; რადგან უარი თქვა წმინდა მიწაზე დაბრუნებისა. ჩვენ ვათავისუფლებთ მის ყველა ქვეშევრდომს ერთგულების ფიცისაგან და სიკვდილის მუქარით ვუკრძალავთ ყველას მის მორჩილებას, ვიდრე ჩვენთან შეწყალების სათხოვნელად თავისი ფეხით არ მოვა“.

გრიგოლი თავს ინუგეშებდა იმედით, რომ ანათემა ფრიდრიხს შეაშინებს და პატიებას ითხოვს, შეცოდებას მოინანიებს. ეს იმედი მალე ქარსა და წყალს გაჰყვა. იმპერატორმა პასუხის ღირსადაც კი არ გახადა ბნელეთის მამა, ისე გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც გვაოცებს ვაჟკაცური კილოთი და დამოუკიდებელი სულის ძლიერებით.

„იცოდეთ, იოლად მორწმუნე ხალხებო,—წერდა მამაცი მეფე,—რომ დადგა დრო, როცა თვალი უნდა აგიხილოთ სარწმუნოებაზე, რაც თავს მოგახვიათ სამმა მატყუარამ—მოსემ, ქრისტემ და მაჰომედმა. ნუთუ გონება არ გეუბნებათ, რომ მხოლოდ მოტყუებით დაინტერესებულ უსაქმურებს შეეძლოთ ემტკიცებინათ, თითქოს ღმერთი შეეძლო ეშვა ქალწულს? როდემდე აპირებთ კიდევ პაპების, ამ სისხლისამღრევთა, ქურდებისა და მკვლელების ძლიერება იწამოთ? ნუ გეშინიათ მათი უბადრუკი და სასაცილო სიცრუისა, და სასაცილო მუქარისა, რაზედაც შემიძლია იარაღით ვუპასუხო!“

ფრიდრიხ II შიგ გულში უმიზნებდა ურჩხულს. მხოლოდ მან იპოვა მეფეთაგან ის ადგილი, რაც ტიაროსან ურჩხულს ხერხემალს გაუწყვეტდა, რომ ამ გზით ბრძოლა განეგრძოთ.

სამწუხაროდ, ასეთი განმანათლებლური ხმა იმ საუკუნეებში ძალიან იშვიათად ისმოდა და გამოძახილს ვერ პოულობდა მაშინაც კი, როცა ასეთ მანიფესტს ხელს მეფე აწერდა. უძლეველი ეკლესია კვლავ განაგრძობდა თავის საძაგელ საქმიანობას.

ფრიდრიხის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ პაპი ვარაუდობდა, რომ იმპერატორი რომზე წამოვიდოდა, მაგრამ ახლაც შეცდა.

იმპერატორმა პაპის მოტეხვა სხვა გზით, სცადა. იმ დროს სიცილია სავსე იყო ბერებით, რომელთა შორისაც განსაკუთრებით წმინდა ფრანცისკის მეომრები განირჩეოდნენ. ეს თავგამოდებული მსახურნი საღმრთო ომს ქადაგებდნენ და ხალხებს იმპერატორის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ფრიდრიხმა არა მარტო გარეკვა დაუწყო ბერებს სიცილიიდან, არამედ თავისებური მეათედის გადახდაც დააკისრა ეკლესიის მსახურებს. ეს ვაჟბატონები თვითონვე იღებდნენ ხოლმე მეათედს და ცოტა არ იყოს უხალისოდ მოეკიდნენ იმპერატორის მოთხოვნას. გადახდა კი მაინც მოუხდათ.

რაც შეეხება პაპს, მის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ მისი მწარე განსაცდელი ჯერაც არ იყო დამთავრებული.

უწინ ფრიდრიხის სამფლობელოებიდან რომში განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ მიმლოცველები, რომელთაც ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული პაპთან მიახლოება და მისი ქოშების ამბორი. ამ პატივს უდიდესი შემოსავალი მოჰქონდა პაპისათვის.

ფრიდრიხმა გადაჭრით აღკვეთა თავის ქვეშევრდომთა მიმლოცველობა, განსაკუთრებული ნებართვის გარეშე სასტიკად აკრძალა მარადიულ ქალაქში წასვლა.

გრიგოლს უეჭველად უნდა ეპოვა ღონისძიება, რითაც იმპერატორის დარტყმებს აირიდებდა. საამისოდ საჭირო იყო ფული, უპირველესად კი ჯარისკაცები. მალე გრიგოლმა გამოსავალი ნახა: ჯვაროსანთა რაზმებს რომში აჩერებდა. ეს ჯარები ჩვეულებრივ რომს გაივლიდნენ, რომ პაპისაგან ცოდვების მიტევება მიეღოთ, ვიდრე ურჯულოებთან საომრად გაეშურებოდნენ. ქრისტეს მოადგილე სულ იოლად დაეპატრონა ჯვაროსანთა ფულად სახსრებს.

ეს მაინც ცოტა იყო. მაშინ პაპი მისმა საყვარელმა ასულმა — საფრანგეთმა იხსნა.

იმ დროს საფრანგეთში ლუდოვიკო IX მეფობდა. ხელმწიფე, რომელიც შემდეგ ეკლესიამ წმინდანად შერაცხა, რა თქმა უნდა, გაჭირვებაში ჩავარდნილ პაპს დახმარებაზე უარს არ ეტყოდა. გრიგო-

ლის ლეგატებმა ლუდოვიკო მეცხრისაგან ნებართვა მიიღეს, სამეფოს შემოსავლის მეოცედ ნაწილს ისე მოუარეთ, როგორც გენებოთო. როცა ლეგატებმა თავიანთი მისია შეასრულეს და რომში დაბრუნდნენ, მათი წარმატებით აღფრთოვანებულმა პაპმა საჭიროდ ჩათვალა ფრანგთა მეფისათვის თავისი კეთილგანწყობილების დამოწმება.

მაინც რა გააკეთა? მეფის ძმას რობერტ არტუას აჩუქა იმპერატორის გვირგვინი. მაგრამ მეფემ ასეთი საჩუქრის მიღება შეუძლებლად ჩათვალა. მას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა ინტერესები, რომლებიც განკვეთილ იმპერატორთან აკავშირებდნენ, თანაც ხომ ზედმიწევნით იცოდა გრიგოლ მეცხრის ნამდვილი ფასი!

ასე იყო თუ ისე, ფრანგთა მეფის დახმარებით გრიგოლმა მოკლე ხანში დიდძალი არმია შეაკოწიწა, და იტალია ბრძოლის ველად იქცა. თვით რომში ხალხი ორ ნაწილად გაიყო: ცალ მხარეს იყვნენ გველფები, პაპის მომხრეები, მეორე მხარეს კი გიბელინები, იმპერატორის მომხრეები. მათ შორის საშკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. როცა მრავალი გამარჯვების შემდეგ ფრიდრიხი რომს შემოადგა, გრიგოლი უეცრად გარდაიცვალა.

ეს ბედნიერება მოხდა 1241 წლის 20 აგვისტოს.

ცელესტინ IV

❀ იმ დროისათვის რომში სულ ათი კარდინალი აღმოჩნდა. დანარჩენები იმპერატორის ტყვეობაში იყვნენ. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ტახტზე აიყვანეს კარდინალი ჯოფრედო, რომელმაც ცელესტინ IV იწოდა. ახალი პაპი, ეტყობოდა, წესიერი ადამიანი იყო: მტკიცედ გადაწყვიტა სამღვდელოების მანკიერების აღკვეთა, და სწორედ ამან დაღუპა. პრელატებმა მათთვის შეუფერებელი პაპის თავიდან მოშორება განიზრახეს. აშკარად გამოსვლა ვერ გაბედეს და ისევ ეკლესიის მესვეურთა ნაცადი საშუალება გამოიყენეს.

არჩევიდან ორი კვირის თავზე ცელესტინ IV მოწამლეს და პაპი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

ამის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში პაპის ტახტი ვაკანტური იყო. რომაელები დაჟინებით მოითხოვდნენ ცელესტინის სიკ-

ვდილის მიზეზის გამოძიებას. როცა აღმოჩნდა, რომ მისი სიკვდილი ბუნებრივი არ ყოფილა და ამ დანაშაულში კარდინალების და არქიეპისკოპოსების ხელი ერია, შეშინებულ ხელისუფალთ გამოძიება შეაჩერეს. მრავალი დამნაშავე რომიდან გაიქცა და ლატერანში მხოლოდ ექვსი კარდინალი დარჩა. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ალექსანდრე III დროს იყო მიღებული დადგენილება, რომლის თანახმადაც მღვდელმთავრის არჩევანი მხოლოდ კარდინალთა წრიდან შეიძლებოდა, ამასთან ხმების ორი მესამედი უნდა მიეღო. ამ შემთხვევაში მდგომარეობა განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა: ექვსსავე კარდინალს ჰქონდა პრეტენზია, რომ ტიარა მიეღო. მოთმინებიდან გამოსული იმპერატორი დაემუქრა: ექვსივეს ჩამოგახრჩობთ, თუ არ შეთანხმდითო.

არც ამ ღონისძიებამ გაჭრა, ასე რომ ფრიდრიხი იძულებული გახდა მარადიული ქალაქისათვის ალყა შემოერტყა. ალყა სასტიკი აღმოჩნდა. ქალაქში შიმშილობა დაიწყო. რომაელებმა იმპერატორის ბანაკში შუაკაცები გაგზავნეს: უსამართლობა არისო წმინდა კოლეგიის საქციელისათვის მთელი ქალაქის მოსახლეობის დასჯა, და ჰპირდებოდნენ: თუ ალყას მოხსნით, მთელს ექვსეულს გაგრეკავთო.

მაშინ ფრიდრიხი თავს დაატყდა გველფებს, დაარბია კარდინალების სამფლობელოები და არ მოისვენა მანამ, სანამ პაპის კანდიდატურა არ შეარჩიეს.

ინოკენტი IV

1243 წლის ივნისში კოლეგიამ, როგორც იქნა, პაპი აირჩია. ახალ მღვდელმთავარს ეწოდა ინოკენტი IV.

იმპერატორი ინოკენტის თავის ძველ მეგობარს ეძახდა, ყველგან სამადლობელი პარაკლისების გადახდა ბრძანა და იმედი გამოთქვა, რომ ახალი პაპი დაეხმარებოდა მშვიდობის აღდგენაში.

მაგრამ როგორც კი ტახტზე ავიდა, ახალმა პაპმა შეიძაგა იმპერატორი და სიკვდილის დღემდე მისი დაუძინებელი მტერი იყო.

განხეთქილება უშუალოდ ინტრონიზაციის შემდეგ მოხდა. ინოკენტიმ ფრიდრიხს წინადადება მისცა მოლაპარაკების მიზნით დე-

ლეგატები აერჩიათ და თვითონ კანდიდატებად დაასახელა რომის კურიის ერთგული ადამიანები. ბუნებრივია, დელეგატებმა მიიღეს ყველა პირობა, რაც პაპმა უკარნახა. მათი ხელმოწერილი ხელშეკრულება, სხვათა შორის, შემდეგ მუხლებს შეიცავდა: „იმპერატორი ვალდებულებას კისრულობს დაუბრუნოს ტახტს ყველა წართმეული მიწა, თანაც საჯარო აღსარებაში აღიაროს, რომ ეშმაკის შთაგონებით უარი თქვა აღესრულებინა გრიგოლ მეცხრის მოთხოვნები. ამას გარდა, იმპერატორი მოვალეა განაცხადოს, რომ მღვდელმთავარი; თუნდაც უდიდესი დამნაშავე იყოს, ერთადერთი განაგებს უზენაეს ძალაუფლებას ყველა ქრისტიანზე, მათი რანგის მიუხედავად...“

ფრიდრიხი პირდაპირ გაშმაგდა, რომ პაპმა მისი მოტყუება გაბედა, და შეუთვალა, უახლოეს ხანში პასუხს პირადად გაგცემო. ინოკენტიმ იცოდა, რომ ფრიდრიხი მალე შეასრულებდა დაპირებას, გონივრულად მოიქცა, არ დაელოდა მუქარის აღსრულებას, რომიდან გაიქცა და ზოგიერთ ბერს მიმართა, დახმარება სთხოვა. ამაოდ! დეენილ პაპს არავინ დაუჭირა მხარი. ბოლოს და ბოლოს, ინოკენტიმ თავშესაფარი ნახა ლიონში, რაც ნომინალურად იმპერიას ეკუთვნოდა, სინამდვილეში კი სრულიად დამოუკიდებელი იყო.

მალე პაპმა იქ კრება მოიწვია. პირველსავე სხდომაზე ინოკენტიმ იმპერატორის განკვეთის განაჩენი წაიკითხა, ბრალი დასდო ფიცის გატეხვაში, ერესსა და მკრეხელობაში, ამასთან იმპერატორის ტახტი ვაკანტურ ადგილად გამოაცხადა, თითქოს ფრიდრიხი აღარც არსებობდა. ასეთია პაპი: გაშლილ ოკეანეში ან ფრიალო კლდეში რომ ერთი ფეხის მოსაკიდებელი ადგილი ნახოს, მეტი არ უნდა, მთელს ოკეანეს, მთელს ხმელეთს ობობას ქსელში გაახვევს და საკუთარ სამფლობელოდ გამოაცხადებს. ფრიდრიხის წარმომადგენელმა კრება უკანონოდ გამოაცხადა, რადგან ფრიდრიხის გამოცხადებას არ დაუცადეს, ამას გარდა ინოკენტი IV მოსამართლის როლში გამოვიდა, როდესაც ის დაინტერესებული მხარე იყო. მაგრამ მღვდელმთავარმა მეორე დღესვე გაგზავნა გერმანიაში ფერარის ეპისკოპოსი და თან გაატანა ბრძანება, რომ იმპერატორის გვირგვინი დაედგა ჰენრიხს, ტიურინგიისა და ჰესენის ლანდგრაფს. იმავე დროს მაინცის არქიეპისკოპოსს უბრძანა სრული რწმუნება, რომ

ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო ფრიდრიხის წინააღმდეგ და დაეთრგუნა პაპის მოქიშპე.

მრავალი გერმანელი მთავარი დაჰყვა პაპის ქადაგებას. შეიარაღებული რაზმები აოხრებდნენ და აპარტახებდნენ იმპერიის მიწა-წყალს. განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა შიგ იტალიაში. შეთქმულებანი, ამბოხებანი, ალყა, ხელჩართული ბრძოლა, ხანძარი, ძალადობა და მკვლელობა მოსახლეობას უზარმაზარ ზიანს აყენებდა.

მთელი წელიწადი იღვრებოდა პაპის ნებით ქრისტიანთა სისხლი...

შეიარაღებული ბრძოლით რომ ვერაფერს გახდა, ინოკენტი მეოთხემ ფრიდრიხის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო.

შეთქმულება კი არა, ეს იყო მუხანათური მკვლელობის განზრახულობა. ვერაგმა პაპმა ფრიდრიხის უცვლელი ექიმი პიერ დე ვინი დაიყოლია, რომ ახალი ექიმი აეყვანა — იტალიელი მკურნალი, რომელიც დათანხმდა, რომ იმპერატორი მოეწამლა.

მალე შეთქმულთ ხელსაყრელი შემთხვევაც მიეცათ. გამუდმებული ომებით ქანცგაწყვეტილმა ფრიდრიხმა თავი შეუძლოდ იგრძნო. პიერ დე ვინმა კონსილიუმზე კიდევ ერთი ექიმის მოყვანა ისურვა. ავადმყოფმა თანხმობა განაცხადა. მაგრამ პაპის სიხარული ნაადრევი იყო. არ ვიცით, არ ენდო თუ ვიღაცამ გააფრთხილა, — ასე იყო თუ ისე, ხელმწიფემ მოითხოვა, პირველად წამალი ექიმმა ღალიოსო. იტალიელმა მკურნალმა უარის თქმა ვერ გაბედა და გამოსავალი მაინც ნახა: სამსალით სავსე ფიალა უცაბედად დაუვარდა. თავისი ეჭვის სიმართლეში დარწმუნებულმა ფრიდრიხმა დარჩენილი მიქსტურა როდი გადაღვარა, სამი სიკვდილმისჯილისათვის მიცემა ბრძანა. სამივე დამნაშავე სამ წუთში გათავდა.

პიერ დე ვინი და იტალიელი ექიმი დაუყოვნებლივ სიკვდილით დასაჯეს. მთავარი დამნაშავე კი დაუსჯელი დარჩა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე (1250 წელს) ფრიდრიხმა ინოკენტისთან შერიგება სცადა, რომ თავისი შვილის კონრადისათვის ტახტი უზრუნველეყო. მაგრამ ინოკენტი მეოთხეს ლაპარაკიც კი არ სურდა „გველის ჯიშზე“ და უარი თქვა მოლაპარაკებაზე.

ფრიდრიხის გარდაცვალების ამბავმა ინოკენტის ლიონში მოუხწრო. გახარებულმა მღვდელმთავარმა დაუყოვნებლივ სცადა იმპერატორად ჰენრიხ ჰოლანლიელის კურთხევა. მაგრამ განსვენებულის

შვილმა კონრადმა ძლიერი არმია შექმნა და პირისპირ ბრძოლაში დაამარცხა მოწინააღმდეგე, თავისი მეტოქე. პაპმა ახალი კანდიდატი გამონახა, მაგრამ შედეგი იგივე იყო.

ინოკენტის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მთელი თავისი საჭურჭლე წმინდა მიწაზე ჯვაროსნულ ლაშქრობის მოწყობისათვის დაცალა. იმავე იდეის გატარება უხერხული იქნებოდა. ამ დროისათვის მაინც. ამიტომ ინოკენტიმ ახალი ხრიკი მოიგონა: ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყო თვითონ ქრისტიანი იმპერატორის წინააღმდეგ! მისმა ლეგატებმა საჯაროდ განაცხადეს, ვინც სალაშქროდ წავა ან ხარჯებს შესწირავს ამ საქმეს, მას ყველა ცოდვა მიეტევება, თანაც უფრო ფართო მასშტაბით, ვიდრე ურჯულოების წინააღმდეგ ლაშქრობისათვის ხდებაო. მაშინ, როდესაც პალესტინელ ჯვაროსნებს თურქებთან ბრძოლისათვის მხოლოდ საკუთარი ცოდვები მიეტევებოდათ, იმპერატორის წინააღმდეგ მოლაშქრე ქრისტიანებს ჰპირდებოდნენ, შვილთა, მახლობელთა, ოჯახის სხვა წევრთა ცოდვებიც მოგეტევებათო.

მაგრამ პაპს კოვზი ამჯერადაც ნაცარში ჩაუვარდა. ინგლისმა და საფრანგეთმა ასეთ აბსურდულ წინადადებაზე უარი განაცხადეს, ასე რომ პაპის ხელში მხოლოდ იტალია დარჩა. ფული ინოკენტის ცოტა ჰქონდა, მაგრამ მის მოწოდებას უთვალავი ფანატიკოსი გამოეხმაურა, ასე რომ პაპმა დიდძალი არმია შეაგროვა.*

კონრადი ჭირის ოფლში გაწურეს. იტალიაში მას მხარს უჭერდა მხოლოდ ფრიდრიხის, მამამისის უკანონო შვილი მანფრედი, იმპერატორის ნაცვალი სამხრეთ იტალიაში. კონრადი მას შეუერთდა და ნეაპოლი დაიპირა. მაშინ ინოკენტიმ ნაცად ხერხს მიმართა: იმპერატორის მოკვლა სცადა. მართლაც, მოახერხა ძმების წაჩხუბება და მანფრედი შეთქმულების მეთაური აღმოჩნდა. ამჯერად პაპის ვერაგობამ ნაყოფი გამოიღო. 1254 წლის მაისში კონრადი შხამით დაიღუპა. წმინდა მამა სიხარულით ცას ეწია. ახლა შეეძლო დამშვიდებით ეკატრიალა ბუმბულებში. კონრადის შვილი მხოლოდ სამი წლისა იყო და სამეფოდ როდის გამოდგებოდა! სამი წლის ყრმა სერიოზულ მოწინააღმდეგედ ვერ ჩაითვლებოდა.

---

* ინოკენტი IV ელჩები გაუგზავნა ალექსანდრე ნეველსაც. რუსეთის ჭკვიანმა მბრძანებელმა ლეგატებს პირდაპირ მიახალა: „გამეცალეთ! თქვენცა და პაპიც ეშმაკის მოციქულები ხართო“.

მაგრამ ბოროტი მომწამვლელის დღე მოკლე გამოდგა. სულ მალე ინოკენტიმ თავისი ამაღლებული სული ჩააბარა ღმერთს, რომელსაც დედამიწაზე თერთმეტი წელიწადი განასახიერებდა.

ალექსანდრე IV

ინოკენტის მემკვიდრე ალექსანდრე IV თავისი წინამორბედის სრულიად ღირსეული შემცვლელი გამოდგა. ჯერ კიდევ პიუს მეცხრეზე 600 წლით ადრე არც ერთ პაპს არ ეპარებოდა ეჭვი თავის უცოდველობაში, ამასთან ამ პატივს მხოლოდ თვითონ ისაკუთრებდნენ. ალექსანდრე მეოთხემ, თავის წინამორბედთა უმრავლესობის მსგავსად, უყოყმანოდ შეცვალა მისებრ „უცოდველ" ინოკენტის ზოგიერთი გადაწყვეტილება. მის ბულაში ნათქვამი იყო: „არაფერი უჩვეულო არ არის იმაში, რომ პაპმა შეცვალოს თავის წინამორბედთა დეკრეტები, თუ მათი საფუძველი შემცდარია ან მდაბალი ზრახვებით ნაკარნახევი".

ალექსანდრე IV სახელი განითქვა თავისი სისასტიკით, დესპოტიზმით და მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორებით. მაგრამ ერთხელ, როცა რომის საზოგადოების წინამძღოლის დილეგში ჩაგდება მოიწადინა, რათა მის ადგილზე თავისი ფავორიტი დაესვა, რომაელების მოთმინების ფიალა აივსო და ხალხი ტირანს აუმხედრდა. პატიმარი გაათავისუფლეს და ტრიუმფით ჩაიყვანეს კაპიტოლიუმში. როცა ხალხის ენთუზიაზმი ცოტა დაცხრა, ალექსანდრემ სენატორი ეკლესიიდან განკვეთა. მაგრამ სენატორი არ შეუშინდა მღვდელმთავარს და გააფრთხილა, თუ ამ ხრიკებს არ შეწყვეტ, საკადრის პასუხს გაგცემო. ალექსანდრე ლაჩარი გამოდგა, შეშინებულმა მიატოვა რომი და რეზიდენციად გაიხადა ვიტერბო, სადაც 1261 წელს გარდაიცვალა.

* * *

ალექსანდრე IV პონტიფიკატის დროს შეიქმნა ერთი უცნაური სექტა ფანატიკოსებისა, რომელთაც ფლაგელანტები (საკუთარი თავის მშოლტავები) ეწოდათ. თავისებური რელიგიური ისტერიით მოცული ყველა ასაკის ქალი თუ კაცი (ბავშვებიც კი) გიჟებივით დარ-

ბოდნენ ქუჩა-ქუჩა და სრულიად ტიტლიკანები მინამდე იშოლტავდნენ თავს, ვიდრე წკეპლა ხელიდან დაუვარდებოდათ.

ამ სექტამ ძალიან ჩქარა მოიპოვა პოპულარობა. ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, ხანდახან ფანატიკოსთა ბრბოების რიცხვი ათი ათასს აღწევდაო. მთელი ეს რიცხვმრავალი ურდო პატიოსანი ხალხის თვალწინ ეწეოდა ზემოთხსენებულ კეთილმსახურულ ვარჯიშს. ფლაგელანტების პროცესია შეიძლებოდა გენახათ ყველგან და ყოველ დროს: დღისითაც და ღამითაც. თვითონ ზამთრის უსასტიკესი ყინვა ვერ აგრილებდა სათნო მსახურთა მხურვალე გულს, ისევ ისე ადამისა და ევას კოსტუმით მორთულნი დაბორიალობდნენ ქუჩა-ქუჩა საცოდავი გიჟები და უმოწყალოდ იშოლტავდნენ თავს.

პირველ ხანებში სასულიერონი თანაუგრძნობდნენ სექტას. მღვდლები და ეკლესიის უზენაესი მსახურნი ცერემონიებში მონაწილეობდნენ, თავში მიუძღოდნენ პროცესიას, მართალია, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ტანისამოსს არ იხდიდნენ და არც თუ ისე გულმოდგინეთ იშოლტავდნენ თავს. გავიდა ხანი და სამღვდელოებამ ალმაცერად დაუწყო ცქერა ფლაგელანტებს, მერე მფარველობაზე აიღო ხელი, რადგან ახალი სექტის მესვეურებმა სარწმუნოების უმთავრეს დებულებებს ვადაუხვიეს და ზოგიერთი ძველი დოგმის ახლით შეცვლა მოინდომეს. მაგალითად, ურთიერთალსარების წესი შემოიღეს და თუმცა საერონი იყვნენ, ერთმანეთს ცოდვებს უნდობდნენ.

აი, მაშინ კი დარწმუნდნენ ჩვენი თვითმშოლტავნი, რომ ეკლესია, რომელიც მორწმუნეთა ყოველგვარ დანაშაულსა და მანკიერებას გულგრილად უყურებს, თავის დოგმატების ოდნავ ხელყოფასაც კი ვერ ურიგდებოდა.

* * *

როცა ალექსანდრე IV მიიცვალა ვიტერბოში სულ რვა მიხრწნილ-გადაყრუებული კარდინალი იმყოფებოდა. საკმაოდ რთული ვითარება შეიქმნა. ვერც ერთი მათგანი ვერ გაუძღვებოდა რომის კურიას, და კარდინალებს ალექსანდრე მესამის კანონის დარღვევა მოუხდათ: პაპად გამოაცხადეს იერუსალიმის პატრიარქი ჟოაკიმ პანტალეონი, ხარაზის შვილი, ჩამომავლობით ფრანგი, რომელიც იმ დროს შემთხვევით აღმოჩნდა ვიტერბოში. ახალ პაპს ურბან IV ეწოდა. ტახტზე დიდხანს არ მჯდარა, სულ რაღაც სამი წელიწადი, და

ის წლებიც მტრებთან ბრძოლაში გაატარა, ასე რომ ბოლოს გაქცევა მოუხდა. ურბან მეოთხე გარდაიცვალა 1264 წელს.

ურბანის შემდეგ 1268 წლამდე წმინდა ტახტს განაგებდა კლიმენტი IV. ამ ფრანგმა მღვდელმთავარმა კარლ ანჟუელს ნეაპოლი და სიცილია აჩუქა. სხვა საგულისხმო მას არაფერი მოუხდენია. გარდაიცვალა კლიმენტი IV, იგივე გი ფულკოდი, და მთელი სამი წლის განმავლობაში პაპის ტახტი ცარიელი იყო. წმინდა კოლეგიაში მოკალათებულ ყოველ კარდინალს პაპობა სურდა, და რაკი ყველა ერთნაირად ჩლუნგი აღმოჩნდა, ვაკანტური ადგილი ვერავინ დაიკავა. ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი დავიდარაბის შემდეგ, პაპი გახდა ერთ-ერთი კარდინალი ტეოდალდო ვისკონტი, იტალიელი, რომელმაც გრიგოლ X დაირქვა.

კრება, რაც ახალმა პაპმა მოიწვია, საეკლესიო საკითხებს არ ჩევდა.

გასარჩევი კი აქ ბევრი რამ იყო. იმ დროის სამღვდელოების ზნეობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პაპის ეპისტოლე, რაც ყრილობის მზადების დროისათვის მღვდელმთავარმა ლიეჟის ეპისკოპოსს გაუგზავნა.

„ჩვენ გავიგეთ,—წერს პაპი,—რომ საყვარლად აგიყვანიათ ბენედიქტელთა ორდენის აბატი ქალი და თურმე ტრაბახობთ კიდეც, რომ თოთხმეტი თვის განმავლობაში ორმოცი სხვადასხვა საყვარლისაგან ოცდაორი შვილი გყოლიათ. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენს ერთ-ერთ საეპისკოპოსო სამფლობელოში მონაზონ ქალთა ჰარამხანა გქონიათ და ამ სატანის ასულებთან ყოველად უზნეო ცხოვრებას ეწევით. ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ერთ-ერთი აბატი ქალის გარდაცვალების შემდეგ არჩევის კანონიკური წესი დაგირღვევიათ და განსვენებულის ადგილზე დაგინიშნავთ თქვენი საკუთარი ასული, რომელიც იმავე დროს თქვენი საყვარელიცაა. დაბოლოს, არ დაკმაყოფილებულხართ ეკლესია-მონასტრების ძარცვით და საეკლესიო თანამდებობანი გაგიყიდიათ. თქვენ ქურდებსა და მკვლელებს მფარველობთ, არასოდეს არ გამოცხადებულხართ საკურთხეველში ფხიზელი თავით“.

დასამატებელი მხოლოდ ისა გვაქვს, რომ მაშინდელი სამღვდელოების სხვა წინამძღოლები არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ ლიეჟის ეპისკოპოსს. ამიტომ პრელატები პაპის ასეთ შეხედულებას

შეშფოთებით შეხვდნენ. მაგრამ ეშმაკი არც ისეთი საშიში აღმოჩნდა, როგორც პირველი შეხედვით ეგონათ: არავითარი რეფორმები არ მოუხდენია, მხოლოდ შემოსავლის მეათედი ნაწილი მოითხოვა და მეტი არაფერი.

ყრილობაზე გამოქვეყნდა დეკრეტი, რაც პაპის არჩევის ცერემონიას ეხებოდა. სხვათა შორის, ამ დეკრეტში ნათქვამი იყო:

„პაპის გარდაცვალების შემდეგ მოციქულის სასახლეში კარდინალებმა ათი დღის განმავლობაში უნდა დაუცადონ იმ კოლეგებს, რომლებიც სხვაგან იმყოფებიან. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოვალენი არიან შეიკრიბონ პაპის სასახლეში და თან იახლონ მხოლოდ ერთი მსახური, მამრობითი სქესისა. ჩვენ ვავალებთ გაუსვლელად იყონ ერთ დარბაზში, რომელიც არ იქნება გადატიხრული, და არ დატოვონ მაშინაც კი, როცა ბუნებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო ოთახში მოუნდებათ გასვლა. თუ სამი დღის მსჯელობის შემდეგ არჩევნები კიდევ არ დამთავრდება, კონკლავის წევრებს დღეში მხოლოდ თითო კერძი მიეცემად სადილად და თითო ვახშმად. თუ პაპი ხუთი დღის შემდეგაც არ იქნება არჩეული, ამომრჩევლებს მხოლოდ თითო ნატეხი პური მიეცემათ, ცოტა ღვინოსა და წყალთან ერთად — მანამდე, ვიდრე ახალი მღვდელმთავარი არ იქნება არჩეული. მთელი არჩევნების მსვლელობის დროს კარდინალები კარგავენ ყოველგვარი შემოსავლის მიღების უფლებას, აგრეთვე ბენეფიციუმებს, რომელთაც ეკლესიიდან ან მოციქულის ხაზინიდან იღებენ“.

შესაძლებელია, რომ გრიგოლ მეათის მემკვიდრე ინოკენტი V მოციქულის ტახტზე სწორედ აჩქარების წყალობით მოხვდა: კარდინალებს უნდოდათ რაც შეიძლება მალე მოეხდინათ არჩევნები გრიგოლ მეათის განაწესის თანახმად. ინოკენტი უბრალო კაცი იყო და პაპი აშკარა გაუგებრობის შედეგად გახდა. ავიდა ტახტზე თუ არა, სერიოზულად შეუდგა რომის კურიის პოლიტიკის შეცვლას. წმინდა კოლეგის წევრებმა მაშინვე იყნოსეს, წაღმართი საქმე არ მოგველისო და ინოკენტი V სამსალის შემწეობით თავიდან მოიშორეს. კიდევ ერთი წესიერი ადამიანი მოიწამლა პაპიზმის ჭაობის საზიზღარი მიაზმით, როგორც კი წმინდა ტახტზე ფეხი შედგა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ პატიოსანი კაცი ვერ გაიხარებს ტირანთა მეუფების ყამს.

ისევ გაიმართა არჩევნების კომედია. როცა რვა დღე გავიდა და კარდინალები პურსა და წყალზე გადაიყვანეს, ისევ დაფაცურდნენ და პაპის ტახტზე სასწრაფოდ დასვეს ადრიან V. მაგრამ კარდინალებს ამჯერადაც ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. ადრიანიც მეტისმეტად წესიერი ადამიანი აღმოჩნდა პაპის ტახტისათვის, ამიტომ ადრიანი აღსასრული ერგო. კარდინალებმა ნაცად საშუალებას მიმართეს: პაპს ძლიერ მოქმედი შხამი ჩაუყარეს კერძში, მერე კი განაცხადეს, კუჭის სნეულებით დაიღუპაო, ოღონდ რა სნეულებით, ეს საიდუმლოდ შეინახეს.

* * *

XIII საუკუნის ბოლო ებრაელთა და ერეტიკოსთა საშინელი დევნით აღინიშნა. განსაკუთრებით მძიმე დღე დაადგათ ებრაელებს გერმანიასა და საფრანგეთში. ხალხს უმხედრებდნენ, ათასნაირ ჯოჯოხეთურ დანაშაულობას სწამებდნენ, გიჟურ არაკებს უგონებდნენ, სატანის მსახურებად აცხადებდნენ. უმეცარ და ცრუმორწმუნე ადამიანებს ასეთი ცილისწამება აცოფებდა.

ნიკოლოზ IV მეუფების ჟამს ერეტიკოსთა დევნა კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ პაპმა დომინიკანელთა პრივილეგიები გაზარდა და საშუალება მისცა მათ ისე გამოეყენებინათ საეკლესიო კანონები, როგორც მოეპრიანებოდათ. დომინიკანელები მოწოდებული იყვნენ იმისათვის, რომ ერესი ცეცხლითა და მახვილით მოესპოთ, აღეგავათ პირისაგან მიწისა, მოეხდინათ ერეტიკოსთა ქონების კონფისკაცია, დაეთრგუნათ ყველა, ვისაც ერეტიკოსთა მფარველობა და თანაგრძნობა დაბრალდებოდა. ბოროტი პაპის ნებართვით ანგრევდნენ არა მარტო ერეტიკოსთა, არამედ მეზობელ სახლებსაც, როგორც მათი სიახლოვით „შებილწულთ". პაპის ბულა სენიორებსა და ქალაქთა ხელისუფალთ ავალებდა ხელი მოემართათ დომინიკანელებისათვის და ყველაფერში მათ დამორჩილებოდნენ. შემთხვევით კი არ თანაუგრძნობდა პაპი ამ ორდენს: თვითონაც ისეთივე ბოროტი, სასტიკი და შურისმძიებელი იყო, როგორც ეს „ღვთის ქოფაკები". მტრის სიკვდილიც კი არ უცხრობდა შურისძიების წყურვილს. მაგალითად, მისი ჯოჯოხეთური სიავის მამხილებელი ორი ბერი რომ გარდაიცვალა, ბრძანა ამოეთხარათ მათი გვამები, კოცონზე დაეწვათ და ფერფლი ქარისათვის მიენდოთ.

აი, რას წერდა ნიკოლოზ მეოთხესა და მის ამალაზე მისი თანამედროვე ტიროლის გრაფი: „თუ ეპისკოპოსებს ხიფთანს მისცემთ, მოსასხამსაც თან გაიყოლებენ. როგორ უნდა იყო ისე უგნური და ლაჩარი, რომ მოთმინებით აიტანო პაპის სასახლის ქედმაღლობა, სიძუნწე, მუხანათობა, თავაშვებულობა და სხვა დანაშაულობანი?

ეკლესიის მსახურთა მთელი საქმე ისაა, რომ უკანონო შვილები ამრავლონ, იქეიფონ და გამოიგონონ ახალ-ახალი ღონისძიება, რათა რაც შეიძლება მეტი ფული წაჰგლიჯონ ხალხს.

ნუთუ არ კმარა, რომ მწყემსები თავიანთ ცხვარს კრეჭენ? ნუთუ აუცილებლია, რომ ამის გარდა დაახრჩონ, გაგუდონ კიდეც საცოდავი პირუტყვი? დიდხანს ვიყავით მათი ხრიკებით გაბრუებული. დიდხანს გვაშინებდნენ ჯოჯოხეთით, რაც არ არსებობს. საკმარისად გვთელეს ფეხით მღვდლებმა! დროა ავდგეთ და შევძახოთ: სიკვდილი და განადგურება კაცობრიობის გამხრწნელებს!“

სამართლისა და გონების ხმა ქუხდა დროდადრო ყველა წოდების მოწინავე ადამიანთა შორის, მაგრამ ყველაფერი ეს რჩებოდა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ბონიფაციუს VIII

❁ ნიკოლოზ IV ჩაძაღლების შემდეგ პაპის ტახტზე აირჩიეს ბერი პიეტრო, რომელსაც ეწოდა ცელესტინ V.

არჩევნების დროს ტახტისათვის სხვებზე უფრო თავგამოდებით იბრძოდა ყოყოჩი და პატივმოყვარე კარდინალი ბენედეტო გაეტანი. მას წმინდა ტახტზე ცელესტინის არჩევის შემდეგაც კი არ დაუყრია იარაღი და ტიარისათვის ბრძოლა ფარულად განაგრძო.

მორჩილმა საქმოსანმა პიეტრომ თითქმის მთელი თავისი ცხოვრება სენაკში გაატარა, ფსალმუნებს გალობდა და კეთილმსახურულ ოცნებებს ეძლეოდა. პაპის სასახლის ბრწყინვალება და დიდმშვენიერება, რომის კურიის მოღვაწეებთან საუბრები მხოლოდ მძიმე ტვირთად აწვებოდა. ახლა კეთილ მოხუცს ისეთი მოვალეობა დაეკისრა, ლოცვისა და კეთილმსახურული ოცნებების დრო აღარა რჩებოდა, ამიტომ ერთი პატარა ეკვდერი ამოირჩია, ღამეებს იქ ატარებ-

და და ისე განმარტოვდა, რომ კაცისშვილი მასთან ვერ შეეიდოდა.

ერთხელ, მთელი ღამე რომ ჯვარცმასთან ლოცვა-ვედრებაში გაატარა, ცელესტინმა უეცრად უცხო ხმა გაიგონა. ლაპარაკობდა უზარმაზარი ჯვარცმა, რაც მთელს კედელს ფარავდა: „ცელესტინ! გადააგდე პაპის ძალაუფლების ტვირთი — ის მეტისმეტად მძიმეა შენთვის!“.

ტახტზე ყოფნის ხანმოკლე დროის განმავლობაში ცელესტინი ისედაც დარწმუნებული იყო თავის სამწყსოს გახრწნილებაში და არაერთხელ უკითხავს საკუთარი თავისთვის: ხომ არ დავუთმო ადგილი უფრო ძლიერსა და ენერგიულ ვინმეს, რომელიც სამღვდელოებას გამოასწორებსო. საბრალო ბერს ცუდად სცოდნია ისტორია: რომელ პაპს გამოუსწორებია გამოუსწორებელი?

საიდუმლო ხმამ ცელესტინს ეჭვი გაუძლიერა. თანაც ასეთი დამთხვევა მაინც საეჭვოდ ეჩვენა. რაიმე ცუდი ხომ არ იმალება ამ საქმეში? ეშმაკის მანქანება ხომ არ არის? მტანჯველი ეჭვი თანგავდა ცელესტინს, და რაც მეტს ფიქრობდა ეკვდერში გაგონილ ხმაზე, მით უფრო უჭირდა რაიმე გადაწყვეტილების გამოტანა.

გავიდა რამდენიმე კვირა და ცელესტინმა ისევ გაიგონა იესო ქრისტეს ხმა. ამჯერად ჯოჯოხეთის სატანჯველით ემუქრებოდნენ, თუ დროზე არ აღასრულებდა მაცხოვრის ნებას, და არ გადადგებოდა. საცოდავ განდეგილს ქვითინი წასკდა. „უფალო, — ამბობდა დაყუდებული პაპი, — განა შენს დახმარებასა და შეწევნას არ ვითხოვ? მომეევლინე და განმანათლე, ნამდვილად შენ თუ ლაპარაკობ ჩემთან? ხომ არ მიჯობს დავაგდო ტიარა და გავიქცე ამ გახრწნილი ბაბილონიდან?“

უწყალო ხმამ მიუგო: „უარი თქვი პაპის წოდებაზე, ცელესტინ“.

მეორე დღეს დილით ნეტარმა ბერიკაცმა (ძლივს არ გვეღირსა ამ სიტყვის პირდაპირ ხმარება რომელიმე პაპზე!) კარდინალები იხმო. მათ შორის იყო ბენედეტო გაეტანი. ცელესტინმა ყველას გამოუცხადა, არა ვარ ღირსი ჩემი მაღალი წოდებისა და არ შემიძლია გავუძღვე იმ საქმეს, რაც დამაკისრეთო.

„დარწმუნებული ვარ, — თქვა ბოლოს, — მარადიულ სატანჯველს ვერ დავაღწევ თავს, თუ მღვდელმთავრად დავრჩები. ამიტომ გთხოვთ გადასცეთ ტიარა ჩემზე ღირსეულს“.

თვალებზე მომდგარმა ცრემლმა ხელი შეუშალა პაპს, რომ შეენიშნა საზეიმო ღიმილი გაეტანის სახეზე.

მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ ციური ხმა, რაც ცელესტინს ტახტიდან გადადგომას ურჩევდა, ცბიერი კარდინალის ბაგიდან გამოდიოდა. სწორედ იმ სამლოცველოს ზედა სართული ეკავა, რომელშიაც წმინდა მამა ლოცულობდა ხოლმე. გაეტანიმ ამით ისარგებლა და ზედ ქრისტეს ჯვარცმის თავთან ხვრელი გააკეთა.

კარდინალები შეწუხდნენ, მაგრამ განაცხადეს, რომ წინ ვერ აღუდგებიან წმინდა მამის სურვილს. მართალია, მათ მოითხოვეს, რომ ცელესტინს გამოეცა კანონი, რაც მღვდელმთავრებს უფლებას მისცემდა ნებაყოფლობით დაეთმოთ ტახტი, კარდინალებს კი — მიეღოთ მისი წინადადება.

ცელესტინის წასვლის ამბავი მთელს რომში გავრცელდა. ხალხი მას წმინდანად თვლიდა და სამართლიანად აღელდა. ძლივს ერთი წმინდანი იხილეს პეტრეს ტახტზე და ისიც გარბოდა! დიდი ბრბოები პირდაპირ სასახლის წინ იყრიდნენ თავს და გადაჭრით მოითხოვდნენ უარი ეთქვა ცელესტინს თავის განზრახვაზე. ასეთი სიყვარულითა და ნდობით გულაჩვილებულმა ცელესტინმა ყოყმანი დაიწყო და კარდინალებს განუცხადა, ცოტა მადროვეთ, სულიწმინდას უნდა ვკითხო რჩევაო.

საღამოს, როცა პაპი ეკვდერში განმარტოვდა, ისევ შემოესმა უზენაესის მრისხანე ხმა: „აი, როგორ მემორჩილები! — სისინებდა ბოროტი სული, — ჭეშმარიტად გეუბნები, ცელესტინ, განკითხვა არ აგცდება, რადგან მე არ დამემორჩილე“.

„წყალობას ვითხოვ, წმინდა მამავ!“ — გოდებით თქვა ცელესტინმა და მთელი ღამე ჯვარცმის წინ გაშხლართული ეგდო.

იმავე დილით ჯვალოს კაბა და სქემიკოსის სამოსი ჩაიცვა, კარდინალები მოიწვია და განუცხადა, ციურმა ხმამ დაადასტურა ჩემი განზრახვა, დაუყოვნებლივ ვტოვებ ტახტს და ვბრუნდები ჩემს სენაკშიო.

ახლა გაეტანს შეეძლო ვერაგული ზრახვები აესრულებინა და მოემკო ღამის შრომის ნაყოფი. ცელესტინის წასვლიდან ათი დღის შემდეგ კარდინალებმა პაპის ტახტზე ეს პატივისმოყვარე კაცი დასვეს.

ქრისტეს ახალ მოადგილეს სახელად ეწოდა ბონიფაციუს VIII. როგორც კი ინტრონიზაცია დამთავრდა, ახალმა პაპმა დაუყოვნებლივ მოითხოვა გაეფორმებინათ ცელესტინის გადადგომა.

წმინდანის უზარმაზარ პოპულარობას არ შეეძლო სულის სიმშ-

ვიდე არ დაერღვია გაეტანისათვის. ახალ პაპს ეშინოდა, ერთ მშვენიერ დღეს თავისი მომხრეების ნებას დაჰყვება და ტახტს დაუბრუნდებაო.

განუწყვეტელი შიში წამლავდა ბონიფაციუსის ცხოვრებას და მან ცელესტინის პატიმარყოფა ბრძანა. აი, რას მოგვითხრობს ამაზე „წმინდანთა ცხოვრება“: „განდეგილი ცელესტინი თავის საკუთარ სენაკში შეიპყრეს პაპის მცველებმა. გზად მიმავალ წმინდანს მორწმუნეთა ბრბოები ჯარად ეხვეოდნენ, ითხოვდნენ დალოცვას, ფეხებს უკოცნიდნენ, სუტანის კიდეს აჭრიდნენ, თმებს აცლიდნენ იმ სახედარს, რომლითაც პატიმარი მიჰყავდათ, და ინახავდნენ, როგორც წმინდა რელიქვიას. როცა ცელესტინი სასახლეში მიიყვანეს, ფარისეველმა ბონიფაციუსმა ვითომ პატივით მიიღო. მაგრამ იმავე საღამოს პაპის ქეშიკებმა მის სიმაგრეში მიიყვანეს, სადაც მღვდელი გამოეცხადა და უბრძანა, აღსარება თქვი და სასიკვდილოდ მოემზადეო. ვიდრე ცელესტინი თავისი გულის საიდუმლოს ამბობდა, ბონიფაციუსი, როგორც ნაცადი ქვეწარმავალი, ისევ ფარდაგის უკან იმალებოდა, აღსარების დამთავრების შემდეგ კი ეცა და საყვედურებით აავსო, აქაო და გადადგომის შემდეგ მკრეხელური აზრები თქვიო. ამის შემდეგ ბრძანა ყოფილი პაპი ქვის ტომარაში ჩაესვათ, ციხის გარეთა ალაყაფის კარებთან კი, სადაც დილეგი ჰქონდა, ოცდაათი ჯარისკაცი დააყენა, რომ პატიმართან ბრბო არ შეჭრილიყო. ხალხის მღელვარების შიშით ღვარძლიანმა ბონიფაციუსმა აშკარად ვერ მოკლა თავისი პატიმარი, მაგრამ შიმშილით მოუსწრაფა სიცოცხლე და რამდენიმე დღის შემდეგ განაცხადა: ნეტარი მოხუცი სიბერისაგან გარდაიცვალა და სიკვდილის წინ პაპი დალოცაო. დანაშაულს მაინც აეხადა ფარდა და მკვლელი მთელმა საქრისტიანომ შეიძულა“.

ბოლანდისტების მოთხრობისათვის ჩვენ ერთი სიტყვაც არ მიგვიმატებია. შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ კეთილმსახური ისტორიკოსები არ დააყოვნებდნენ ბონიფაციუსის დაცვას, თუ საამისოდ სულ მცირეოდენი საფუძველი მაინც ექნებოდათ.

განუზომელი ამპარტავნობით სნეული პაპი განუწყვეტელ ომს აწარმოებდა ევროპის მრავალ ხელმწიფესთან. განსაკუთრებით ჩაეცივდა ფილიპე ლამაზს, რომელმაც კატეგორიული უარი თქვა მის მორჩილებაზე და არ ცნო მღვდელმთავრის ხელმწიფობა საერო ძალაუფლებაზე.

ბონიფაციუსის პოლიტიკური როლი ისტორიკოსების მიერ სხვადასხვანაირად არის შეფასებული, მისი პიროვნება კი აზრთა არავითარ სხვადასხვაობას არ იწვევს. ყველა ისტორიკოსი, საერო თუ სასულიერო, ერთხმად ამტკიცებს, რომ ცელესტინის მკვლელი პირწავარდნილი არამზადა იყო.

ჩვენ კი იძულებული ვართ ბონიფაციუსი დავიცვათ: ეს კაცი სულაც არ არის პაპთა შორის გამონაკლისი. სხვა მღვდელმთავართა უმრავლესობა მასზე უკეთესი არაფრით არ ყოფილა. მხოლოდ ესაა, მრავალი პაპი ერიდებოდა თავის დანაშაულობათა ასე გამომზეურებას.

კარდინალი ბენედეტო გაეტანი, ვიდრე ტიარას დაეპატრონებოდა, გიბელინების ერთ-ერთი ლიდერი იყო. პაპის ტახტზე რომ ავიდა, ამ პარტიის თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ იქცა. ასეთი ქამელეონური მეტამორფოზი იმის გამო მოხდა, რომ გიბელინებს შორის უწარჩინებულესი და უმდიდრესი კოლონას გვარის ორი კარდინალი მისი კანდიდატურის წინააღმდეგი წავიდა. გულღრძო გაეტანიმ, რაკი თავისი გაიტანა და პაპის კვერთხი ხელთ იგდო, მათი მტრობა გაიხსენა და კოლონას გვარი შეაჩვენა, ეკლესიიდან განკვეთა, დაწყევლა კოლონას საგვარეულო და მათი შთამომავლობა, ყადაღა დაადო ამ დიდებული გვარის ყველა მამულს, დაანგრევინა მათი სასახლეები და მეამბოხეთა საბოლოოდ დათრგუნვის მიზნით მთელი საქრისტიანო მოიხმო დასახმარებლად, თითქოს საქმე ნამდვილ ჯვაროსნულ ლაშქრობას ეხებოდა. აი, სადამდე აღწევს ღვარძლიან მტარვალთა სიშმაგე, პირად მტრებს რომ მთელი კაცობრიობის მტრებად აცხადებენ! რაკი შუბლვიწრო ტირანს თავის დროზე თავში უკაკუნებდნენ, ახლა მთელი მისი გვარისა და მოდგმის მოთხრა განიზრახა.

კოლონას ოჯახის წევრებს რომიდან გაქცევა მოუხდათ, მაგრამ ეს არ იყო ისეთი გვარი, რომ ბრძოლა შეეწყვიტა.

მღვდელმთავარმა მოლაპარაკებაც კი გამართა საფრანგეთის მეფესთან, რომ კოლონასთან ბრძოლისათვის საჭირო ფული ეშოვნა. მეფის საამებლად ლუდოვიკო მეცხრის კანონიზაცია მოახდინა. გარდა ამისა, კარლოს ვალუას, მეფის ძმას, გერმანიის მეფის გვირგვინი აჩუქა. ეს გვირგვინი ჯერ ადოლფ ნასაუელს ეკუთვნოდა, მაგრამ პაპი მის წართმევას ფიქრობდა, რომ ფილიპეს ძმისთვის ეჩუქებინა. ბონიფაციუსის მორჩილი საქმიანობით მოტყუებულმა

ფილიპემ პაპის ემისრებს ნება მისცა წაეღოთ რომში ყველაფერი, რისი შოვნაც კი მორწმუნეთა უმეცრების წყალობით მოახერხეს.

ბარაქიანი მოსავალი მიიღეს, ასე რომ ვერავინ იტყოდა, ჩიტი ბდღვნად არ ღირდაო.

როგორც კი საფრანგეთიდან წამოღებული თანხა პაპის სალარაში მოხვდა, ბონიფაციუსმა არა თუ არ შეასრულა თავისი დაპირებანი, არამედ ინგლისის მეფე ედუარდიც კი წააქეზა, რომ ფლანდრიის ჰერცოგს მიშველებოდა და საფრანგეთს თავს დასხმოდა.

ვიდრე უკიდურეს ღონისძიებებს მიმართავდა, ფილიპე ლამაზმა რომში გაგზავნა ელჩი, რომელმაც ახსნა-განმარტება მოითხოვა.

ბონიფაციუსმა ერთხელ კიდევ მოახერხა ფილიპეს მოტყუება. ის კი არა, საფრანგეთის მეფე მის ნებას დაჰყვა და ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის დასტურიც კი მისცა ვერაგ მღვდელმთავარს. მართალია, ფილიპეს მაინც ეყო გამჭრიახობა, რომ საფრანგეთის საქმეებში პაპის ჩარევის საწინააღმდეგოდ გარკვეული ღონისძიება მიეღო. რაკი მიხვდა, მეფე გზას მალე არ გაუდგებაო, ბონიფაციუსმა ფილიპეს გაუგზავნა ელჩი, რომელსაც თავი ისე ქედმაღლურად ეჭირა, რომ ფილიპემ ბოლომდე არ მოუსმინა, ისე ძაღლივით გააგდო.

გაცოფებული და დამცირებული ლეგატი სამხრეთ საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც დაიწყო მოსახლეობის წაქეზება ამბოხებისა და ფილიპეს მოკვლისაკენ. ამასთან უამრავი ცოდვის მიტევებასა და ფულად საჩუქრებს დაჰპირდა მას, ვინც მსოფლიოს (ესე იგი, პაპს) ფილიპესაგან იხსნიდა.

როცა ამ ინტრიგებს ფარდა აეხადა, ლეგატი დააპატიმრეს, ბრალად დასდეს მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა, ამბოხება, ერესი და ღვთის გმობა.

ფილიპემ დაუყოვნებლივ გაგზავნა რომში ელჩი და პაპს მოსთხოვა დამნაშავის გასამართლება, სასულიერო წოდების წართმევა და დასჯა.

ბონიფაციუსმა მეფეს სრულიად მოულოდნელი პასუხი გასცა. „იცოდე, რომ ჩვენ გვემორჩილები საეკლესიო საქმეებშიც და საეროშიც“, — წერდა პაპი. პირიქით სდებდა ბრალს ფრანგთა ხელმწიფეს, ეკლესიის უფლებებში იჭრებიო. ლეგატი ქება-დიდების ღირსია სიმამაცისთვის, რაც მან გამოიჩინაო, განაცხადა. მართალია, მხოლოდ ჩემი ბრძანება შეასრულაო, დასძენდა. ამ წერილთან ერ-

თად ბონიფაციუსმა გამოაქვეყნა ბულა, რომლითაც საფრანგეთს თავის სამფლობელოდ აცხადებდა. ასე შეიძლება ყოველმა ჩვენგანმა თავი მსოფლიოს მბრძანებლად გამოაცხადოს.

ფილიპე, რა თქმა უნდა, გაშმაგდა. 1302 წლის 10 აპრილს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში მან მოიწვია დიდკაცობის, სასულიერო და მესამე წოდებათა საერთო თათბირი, რათა განეხილა პაპის მოქმედება. თათბირის ყველა მონაწილემ, მათ შორის სასულიერო წოდებამაც, ერთხმად გამოთქვა აზრი, ბოლო უნდა მოეღოსო პაპის დანაშაულებრივ მანქანებას. ჯერ ამ დიდებული ტაძრის კარიბჭეზე საჯაროდ დაწვეს პაპის ბულა, მერე ამ ცერემონიების მონაწილეების წინაშე მეფემ დაწერა პაპისადმი ასეთი მიმართვა: „იცოდე, უბადრუკო ხუცესო, რომ საერო საქმეებში არავის არ ვემორჩილებით, და შენი განუზომელი ამპარტავნობა ქედს უნდა იხრიდეს ჩვენს წინაშე". ამ ეპისტოლეს პაპმა შეჩვენებით უპასუხა: მეფე გადაყენებულია და ტახტს მიიღებს ის, ვინც მის თავს ან მკვდარს ან ცოცხალს მომგვრისო.

მაშინ მეფემ პრელატები და ბარონები შეყარა ლუვრში. იქ მისმა წარმომადგენელმა გილიომ ნოგარემ წაიკითხა ნამდვილი საბრალდებო აქტი ბონიფაციუსის წინააღმდეგ, აღვირახსნილ მღვდელმთავარს უწოდებდნენ ანტიპაპსა და ერეტიკოსს, რომელმაც თავისი სამარცხვინო სახელი საზარელ დანაშაულობათა ჩირქით შებღალა.

მითითებული იყო, რომ პაპს არა სწამს სულის უკვდავება, არ მარხულობს, არ ცნობს აღსარების საიდუმლოს: „საზიზღარი მღვდელმთავარი ეკლესიის მსახურთ აიძულებს გაუმხილონ წმინდა აღსარების საიდუმლო იმ საბაბით, რომ თავისი მტრების ზრახვები უნდა იცოდეს. ის დევნის მოხეტიალე ბერებსა და მონაზვნებს, ართმევს მათ ფულს და თავს იმით იმართლებს, ეს პირფერი უქნარები ხალხს ძარცვავენო".

არავის დაუძრავს ენა პირშავ ბონიფაციუსის დასაცავად. გენერალურმა შტატებმა მსოფლიო კრების მოწვევა მოითხოვეს. მეფემ გენერალური შტატების გადაწყვეტილება ევროპის ყველა ხელმწიფეს შეატყობინა და მას ყველგან ერთნაირი აღტაცებით შეხვდნენ. თვით რომში ფილიპე ლამაზს დაუჭირა მხარი მრავალმა სენი-

ორმა, მოხელემ, მღვდლებმა და მოქალაქეებმა, რომელთაც გული ჰქონდათ გაწყალებული წმინდა მამად წოდებული ურჯუკის ტირანიით. ბონიფაციუსს ამკარა საფრთხე ემუქრებოდა. გაგიჟებულმა მტარვალმა გადაწყვიტა გაქცეულიყო ქალაქიდან, სადაც მისი მტრების რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა. თან იახლა ძმისწულები, ფავორიტები და ბავშვები, ანანიში გაიქცა. განდევნილი მორიელი ახალ რეზიდენციაშიც კარგად გრძნობდა თავს, ფრანგთა მეფეს ახალი შეჩვენების ბულა დაატეხა თავს, პირველზე უფრო შხამიანი და ულმობელი. უკანასკნელი დედაკაცივით წყევლიდა ფილიპეს, მის ოჯახს, მის შთამომავლობას, და ინტერდიქტს ადებდა მთელს საფრანგეთს. ამავე ბულით ეს ბოროტი სული გერმანელებს, ფლამანდიელებსა და ინგლისელებს მოუწოდებდა, საფრანგეთის წინააღმდეგ გაილაშქრეთო, და საუკუნო სასუფეველს ჰპირდებოდა ყველას, ვინც ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებდა. რა პირადული, ქვეწარმავლური და ვერაგული იყო მღვდელმთავრის მოწოდება! განა პირველსავე შემთხვევაში არ უმუხთლებდა ხსენებულ ქვეყნებსაც, ისევე როგორც „წმინდა ტახტის პირმშო შვილს“, საფრანგეთს უმუხთლა?

მსოფლიო ყრილობის მოწვევა, რომელზედაც ბონიფაციუსი უნდა გაესამართლებინათ, ნოგარეს დაევალა. კარდინალ კოლონას ძმისწულის დახმარებით მან რვაპაპიანი რაზმი შეაგროვა. საფრანგეთის მეფის დროშის ფრიალით შეიჭრა ეს რაზმი 1303 წლის 6 სექტემბერს განთიადისას ანანის სიმაგრეში და მიდამო შეძრა ძახილით: „სიკვდილი ბონიფაციუსს! გზად პაპის ძმისწულის სასახლე აიღეს და ალყა შემოარტყეს სიმაგრეს, რომელშიაც წმინდა მამა იმალებოდა. რაკი ნახა, რომ წინააღმდეგობის გაწევა ფუჭი საქმე იყო, პაპმა მოლაპარკება გამართა და რამდენიმე საათის ვადა ითხოვა: მოვიფიქრებ და კარდინალებს მოვეთათბირებიო. ეს თხოვნა მხოლოდ ხერხი იყო: პაპს იმედი ჰქონდა, რომ მის მოწოდებას ახანის მოსახლეობა გამოეხმაურებოდა, მიეშველებოდნენ და ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდოდა. მაგრამ პაპი შეცდა. მოსახლეობამ უარი თქვა შემოხიზნული სატანის დაცვაზე. როცა მოსაფიქრებლად მიცემული ვადა მიიწურა, ნოგარემ და კოლონამ იერიში ბრძანეს.

ტვინნაღრძობმა ტაკიმასხარამ უკანასკნელ ღონისძიებას მიმართა: იქნებ შემოჭრილ მტერზე ზეგავლენა მოვახდინოო, პაპის

ტიარა დაიდგა, მოციქულის გასაღები და ჯვარი დაიჭირა, მღვდელმთავრის სამოსი ჩაიცვა და ასე მორჭმით დაჯდა ტახტზე, გამარჯვებულებს დაელოდა და ის კი არ იფიქრა, იყო თუ არა ამ ატრიბუტების ტარების ღირსი. მაგრამ ამჯერადაც შეეშალა. ნოგარემ ყრილობაზე გამოცხადება მოსთხოვა. რაკი დარწმუნდა, რომ ჯიუტი პაპი ზიზღის ნიშნად დუმდა, კოლონამ ჰკითხა, უარს ამბობ თუ არა პაპის ხარისხზეო. ასეთმა კითხვამ ბონიფაციუსი მთლად გააცოფა: ერთხელ კიდევ დაწყევლა საფრანგეთის მეფე, მისი მოდგმა, და რამდენიმე შეურაცხმყოფელი სიტყვა დაატანა კოლონას მისამართითაც. ამ უკანასკნელმა ვეღარ მოითმინა შხამიანი მორიელის თავხედური კბენა და ლაზათიანი სილა გააწნა ზვიად პაპს. კოლონას ხელზე რკინის ხელთათმანი ეცვა, ასე რომ ბოროტმა მღვდელმთავარმა ცნობა დაკარგა და ტახტის ფეხებთან დაეცა. ცოცხალმკვდარი ბონიფაციუსი გაათრიეს და ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ სენაკში ჩააგდეს.

სამი დღე ეგდო პაპი საპყრობილეში. მეოთხე ღამეს ეკლესიის ბოროტ მსახურთ მოახერხეს ბნელი ხალხის ამხედრება: ანანის მცხოვრებლები თავს დაესხნენ ციხეს და პაპი გაათავისუფლეს. როცა პაპი რომში დაბრუნდა და ნახა, რომ იქ სრული ანარქია სუფევს, სულით დაეცა: არავითარი განკარგულება არ გაუცია, მხოლოდ წყევლა-შეჩვენებასა და განკვეთაზე ბოდავდა: შემდეგ ციებ-ცხელებამ მოუარა და საკუთარ ხელებსა კბენდა. ასე იტყვიან მორიელზეც: თუ ცეცხლის რკალში მოხვდა, თავის თავს იგესლავსო. ჯოჯოხეთური ტანჯვით ამოხდა სული ბონიფაციუსს დაბადებიდან ოთხმოცდაექვსი წლის ასაკში. აქედან ტახტზე ცხრა წელი დაჰყო. კიდევ ცხრა წელი რომ ეცოცხლა და ებატონა, მთელს ევროპას შეშამდაო, ამბობდნენ თანამედროვენი.

ლათინურად ბონიფაციუსი „მწყალობელს“, „ქველმოქმედს“ ნიშნავს. ბონიფაციუს მერვემ თვით ბუნებას დასცინა ასეთი სახელის მიღებით. მეფე ფილიპე მეოთხემ, კანცლერმა ნოგარემ და კარდინალმა კოლონამ რკინის ხელით შეაწყვეტინეს სიცილი ბოროტ ბერიკაცს, რომელიც იმდენადვე გავლენიანი იყო, რამდენადაც ამპარტავანი და ღვარძლიანი.

რაკი იმ ეპოქაში სიკეთეს და ბოროტებას ღმერთი და ეშმაკი განასახიერებდნენ, ამიტომ ბონიფაციუსის თანამედროვეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ წმინდა მამის სული სატანის ხელში იყო. თვი-

თონ ეკლესიის მესვეურებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ბენედიქტე გაეტანი მარადიული ცეცხლის ალზე უნდა იხრუკებოდეს, წყეული და წაწყმენდილი. ხელიდან ხელში გადადიოდა ნახატები, რომლებიც ათასგვარ მოურიდებელ პოზაში განასახიერებდნენ ღვარძლიანი პაპის საქმიანობას.

დანტემ, ბონიფაციუსის თანამედროვემ, ვერაგი პაპი ჯოჯოხეთში მოათავსა, ერთი გულუბრყვილო მემატიანე კი სრულიად სერიოზულად გვაუწყებს, რომ ქათქათა მარმარილოსაგან გამოკვეთილი ქალწულის ქანდაკება, რაც ბონიფაციუსის საფლავზე აღმართეს, მეორე დღესვე გაშავდა და ვერავითარი ღონისძიებით ვეღარ დაუბრუნეს უწინდელი ფერი.

ბონიფაციუსის უფრო სრული დახასიათების მიზნით აქვე დავიმოწმებთ მის რამდენიმე გამონათქვამს, უტყუარი დოკუმენტებიდან აღებულს:

„ღმერთმა ამ ქვეყნად მომცეს კეთილდღეობა და სხვა ცხოვრებაზე არ ვიდარდებ“.

„ადამიანთა სული ცხოველთა სულზე უფრო უკვდავი არ არის“.

„სახარებაში სიცრუე მეტია, ვიდრე სიმართლე. უბიწო ჩასახვა — სისულელეა, უფლის ძის ხორციელობა — სასაცილო, ხოლო გარდაქცევის დოგმატი — პირდაპირ სიბრიყვე“.

„განუზომელია თანხა ფულისა, რაც ქრისტეს ლეგენდამ მისცა ეკლესიის მსახურთ“.

„რელიგია პატივმოყვარე ადამიანთა შექმნილია ხალხის მოსატყუებლად“.

„კლირიკებმა უნდა თქვან ის, რასაც ამბობს ხალხი, მაგრამ ისინი არ არიან ვალდებულნი სწამდეთ ის, რაც ხალხს სწამს“.

„ეკლესიაში უნდა იყიდებოდეს ყველაფერი, რისი ყიდვაც სულელებს სურთ“.

აი, მღვდელმთავრის ფილოსოფია! ამას რომ ამბობდეს მეცნიერი ათეისტი, ყველა მოაზროვნე ადამიანი მიესალმებოდა, მაგრამ რაღაც ოდიოზური გრძნობა გეუფლებათ, როცა ამას ისმენთ საქრისტიანოს ულმობელი მბრძანებლისაგან, რომელსაც საკუთარი საქმეც კი არა სწამს და სხვას აწამებს იმის თქმისათვის, რასაც თვითონ უსირცხვილოდ აღიარებს როგორც უბრალო ჭეშმარიტებას.

ახლა ვნახოთ რა ღონისძიებით შეაგროვა ბონიფაციუსმა კოლოსალური თანხა, რაც ფრანგმა ჯარისკაცებმა აღმოაჩინეს, როდესაც პაპის სასახლე დაიკავეს. ქრონისტი უოლსინგემი, ინგლისელი ბერი, ამტკიცებს, რომ „ყველა მეფეს, ერთად აღებულს, არ აღმოაჩნდებოდა იმდენი ოქრო, თვალმარგალიტი და ძვირფასეულობა, რაც პაპის საგანძურის ზარდახშებში იპოვეს“.

უწინარეს ყოვლისა, ბონიფაციუსი უზარმაზარ შემოსავალს იღებდა გადასახადების სახით, რომელთაც მთელს ევროპაში აგროვებდა; ამის გარდა, პაპის სალაროში შედიოდა დიდძალი სიმდიდრე იმ საჩუქრებიდან, რასაც ეკლესიის მსახურთ აძლევდნენ ყოველწლიურად მიმლოცველები. მაგრამ პაპს, რომელიც განუწყვეტლივ ებრძოდა ხელმწიფეებს, ფული მაინც არ ჰყოფნიდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ბონიფაციუსი ნამდვილი გენია იყო, როცა საქმე საეკლესიო მომხვეჭელობასა და გამოძალვას ეხებოდა. სწორედ მას უნდა უმადლოდეს პაპობა საიუბილეო დღესასწაულების გამოგონებას. ბონიფაციუსის დეკრეტის ძალით, საიუბილეო წელი ეკლესიამ უნდა იდღესასწაულოს ყოველ ას წელიწადში ერთხელ (ცნობილია, რომ მოგვიანებით ეს ვადა შემცირდა ორმოცდაათამდე, პავლე მეორის დროს კი — ოცდახუთ წლამდე).

კაცმა რომ თქვას, საიუბილეო წელი იგივე მომლოცველობა იყო პეტრეს საფლავზე. მწირი ტოვებდა მოციქულის საფლავზე ძღვენს და სამაგიეროდ იღებდა ცოდვის მიტევების ქაღალდების მთელ კონას. ჩვენ ვხედავთ, რომ ბონიფაციუსის გამოგონება თავისი უბრალოებით გენიალურია. პირველი იუბილე იზეიმეს მისი მეუფების ქამს, მეცამეტე საუკუნის უკანასკნელ წელს —1 300 წელს. მომდევნო იუბილე ხომ მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ დადგებოდა. მრავალი ფანატიკოსი, იმის შიშით, რომ მომდევნო იუბილემდე — 1 400 წლამდე ვერ იცოცხლებდა, ახლავე მიეშურებოდა რომში. რომ ცოდვების მონანიება მოესწრო. ალბათ ამით აიხსნება პირველი საიუბილეო წლის შემოსავლის სიუხვე, რამაც თვით პაპის მოლოდინს გადააჭარბა. ფლორენციელი ქრონისტი ვილანი ამტკიცებს, პირველ საიუბილეო წელს რომი ორასი ათასზე მეტმა მიმლოცველმა მოინახულაო. „მე ამ

ქალაქში ვცხოვრობდი, — ამბობდა მეშატიანე, — როცა მორწმუნეთა უზარმაზარმა ბრბოებმა იწყეს აქ დენა. ისინი ჩამოდიოდნენ ქვეყნის ოთხივე მხრიდან ძველი რომაელების გზებით, ეს იყო რაღაც ხალხთა დიდი გადასახლების მსგავსი რამ. ორი კლირიკი დღე და ღამე ბარებით ხვეტავდა ნებაყოფლობით მოზიდულ შემოწირულობას. რაც წმინდა პეტრეს სამარეზე ზვინებად ეწყო. იუბილემ საზღაპრო სიმდიდრე მოუტანა ბონიფაციუსს, და თვითონ რომაელებმაც კარგად მოითბეს ხელი, ძვირად მიჰყიდეს ნაირ-ნაირი საქონელი უბირ ხალხს, რომელიც რომში ჩამოვიდა ცოდვების მოსანანიებლად და ქისების დასაცარიელებლად".

პატარა სახლი ლორეტოში

იუბილე ცელესტინის მკვლელის ერთადერთი გამოგონება რადი იყო. ყოველთვის რომ ფული უპირდა, წმინდა მამა სულ იმაზე ფიქრობდა, რა გზა მიმიყვანოს მორწმუნის ქისამდე. ერთხელ განაცხადა ანგელოზები დამპირდნენ, ნაზარეთიდან (მუსულმანთა მიწაწყლიდან) გალილეაში გადავიტანთო პატარა სახლს, რომელშიც დაიბადა ღვთისმშობელი, ჯვარი დაიწერა წმინდა იოსებზე და სულიწმინდისაგან იესო ქრისტე ჩაესახა. მართლაც, რვა დღეც არ გასულა, რომ სარწმუნოებით მოვაჭრე პაპმა მორწმუნეებს მიმართა, დალმაციაში გეპატიჟებით, სადაც ანგელოზებმა უდაბურ მთაზე დადგეს ღვთისმშობლის პატარა სახლიო. მაგრამ მალე წმინდა მამა მიხვდა, რომ დიდი მანძილი, რაც მორწმუნეებმა უნდა გაიარონ მარიამის ქოხის სანახავად, მეტისმეტად ამცირებს მის შემოსავალს. კეთილმა ანგელოზებმა მისი თხოვნით სახლი ახალ ადგილზე გაიტანეს — რეკანათში. ეკლესიის მსახურთ არ დააყოვნეს ახალ-ახალი ზღაპრების შეთხზვა იმ სასწაულების შესახებ, რომლებიც თითქოს ამ ქოხის გარშემო ყოველდღიურად ხდებოდა: თურმე ქალი ჯადოსნურ მელოდიებს მღერის, მუხები ენწეროებს დრეკენ და ღვთისმშობლის ქოხს ესალმებიან, ტყეს არნახული — არგაგონილი შუქი ასხივოსნებს. ცდამ მალე გამოიღო ნაყოფი. მიმლოცველები ბრბოებად მიეშურებოდნენ საკვირველი ქოხისაკენ (მხოლოდ ბრბო შეიძლება ეწოდოს ამნაირ ბნელ ხალხს). არც ერთ სახელგანთქმულ მეძავ ქალს არა ჰქონია იმდენი შემოსავა-

ლი, რამდენიც ჰქონდა მადონა რეკანათის. მართალია, თვითონ მადონა არ სარგებლობდა იმ საჩუქრებით, რომლებიც მორწმუნეებს მოჰქონდათ. დროგამოშვებით საზარელი ურჩხული თავის აგენტებს გზავნიდა, რათა შემოსული საჩუქრები პირდაპირ პაპის სალაროში გადაეტანათ. ისიც უნდა აღიარებნოს, რომ ავაზაკები, რომლებიც იქ მხარეში უხვად დათარეშობდნენ, პაპის აგენტების მოსვლამდე ძარცვავდნენ საწყალ მადონას და თავიანთ ბუნაგში მიჰქონდათ ქოხში დაგროვილი ძვირფასეულობა. მეტი მაინც წმინდა ბუბაგს რჩებოდა.

ბონიფაციუსს, როგორც მტაცებელ ნადირთა წესია, აშკარად არ მოსდიოდა თვალში მეტოქეები, შარაგზის ავაზაკებს ამრეზით შესცქეროდა და მესამედ სთხოვდა ანგელოზებს გადაეტანათ ქოხი და ისეთ ადგილზე მოეთავსებინათ უძრავი ქონება, სადაც ავაზაკთა ხელი ვერ შეეხებოდა. ანგელოზებიც დატრიალდნენ და ღვთისმშობლის სახლი ტრიალ მინდორზე გადაიტანეს. მაგრამ აქ ორმა მეზობელმა დაიწყო დავა მიწის იმ მოპაკვეთზე, სადაც მფრინავი ქოხი დაიდგა.

მაინც არ იყო საშველი და პაპს ისევ მოუხდა ანგელოზების შეწუხება. ქოხი ლორეტოში გადაიტანეს და იმ დღიდან იქ დარჩა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ანგელოზებიც კმაყოფილი დარჩნენ, პაპს რომ აამეს: სახლის გადატანა ახალ ადგილზე ძალიან გაჭირდებოდა, რადგან ის მოათავსეს ერთ დიდ საუცხოო ეკლესიაში, რაც საგანგებოდ ააგეს წმინდა ქოხის შესანახავად. ასეთია ლორეტოს სახლის ისტორია.

პაპ ბონიფაციუსს დიდი ნიჭი ჰქონდა ადამიანთა სისულელის სპეკულაციისა და ამით თავის სალაროში უზარმაზარი მოგება შეჰქონდა.

შარლატანების ტრიუმფი

ამრიგად, ჩვენ XIV საუკუნეში შემოვაბიჯეთ. მაგრამ ვიდრე მის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, თავს ნებას მივცემთ მოგითხროთ რამდენიმე საყურადღებო ამბავი, დაკავშირებული ფრანგ მეფეთა შორის სყველაზე უფრო უნდილი, უბადრუკი ლუდოვიკო

მეცხრის სახელთან. ოფიციალურმა ისტორიკოსებმა, რომლებიც ხშირად კლერიკალებს ემსახურებიან, ეს საზიზღარი ხელმწიფე და დედამისი გაახვიეს ლეგენდის ბურუსში, რაც უნდა გაიფანტოს და სინამდვილე გამომზეურდეს.

თორმეტი წლისა იყო ლუდოვიკო IX, როდესაც „კათოლიკური სარწმუნოების" დასახსნელად სამხრეთ საფრანგეთში წასულ მამამისს, ლუდოვიკო მერვეს, ერეტიკოსების ცოდვამ უწია, გზაში ცუდად გახდა და ლანგედოკიდან წამოსული გზაშივე გარდაიცვალა. მეფე მოწამლა გრაფმა ტიბომ, დედოფალ ბლანკა კასტილიელის საყვარელმა.

აი, ამ ბრწყინვალე — ზნედაცემული დედაკაცის პირმშო შვილმა უბრწყინვალესი განათლება მიიღო: ვერავინ შეედრებოდა საეკლესიო ჰიმნების გალობაში და ლოცვათა კითხვაში. როცა დედამისი მრუშობდა, ღვთისნიერი მამა კი საკუთარ ქვეშევრდომებს ჟლეტდა, ლუდოვიკო „წმიდანთა ცხოვრების" კითხვაში იწაფებოდა. მართალია, მთელი მისი ცოდნა ამით შემოიფარგლებოდა, მაგრამ განა ბევრი ცოდნაა საჭირო ღვთაებრივი მისიის შესასრულებლად? ესე იგი ქრისტეს სადიდებლად სისხლის დაღვრას განა ბევრი ცოდნა უნდა? ლუდოვიკოს ზოგიერთი საქმე უკვე ითქვა, დავუმატებთ კიდევ რამდენიმე წვრილმანს.

სრულწლოვანი რომ გახდა, ლუდოვიკო IX სახელმწიფო ხაზინიდან აიღო რვა ათასი უნცია ოქროთი, რათა ვენეციელებისაგან ქრისტეს ეკლის გვირგვინი ეყიდა. ლუდოვიკო მეცხრის უსაზღვრო სიბრიყვემ მთელი თავისი ბრწყინვალებით იჩინა თავი ამ გარიგებაში. სენ-დენის სააბატოს ბერები ამტკიცებდნენ, ქრისტეს ნამდვილი ეკლის გვირგვინი, ვენეციელებს კი არა, ჩვენ გვაქვსო: გვირგვინის ეკლებს მწვანე ფერი აქვთო შენარჩუნებული და აბა ასეთი საბუთის უარყოფა ვის შეეძლო! არგუმენტაცია მეფესაც ჭკუაში დაუჯდა, მიუხედავად იმისა, რომ ჭკუა არასოდეს არ ჰქონია, და რაკი თავი გვირგვინში ჰქონდა, ერთბაშად კი არ ეცა, ექსპერტიზა დანიშნა საკითხის დასადგენად: ვნახოთ, ნამდვილი რელიქვია რომელიაო. ჩანს, მთლად სულელიც არ ყოფილა, რომ ყალბს ნამდვილი —ამჯობინა.

სიცრუემ ძალიან მოკლე ხანში იჩინა თავი: გვირგვინი, რასაც ბერები სთავაზობდნენ და რაც მათ უზარმაზარ შემოსავალს აძლევ-

და, შეღებილი ხისაგან გამზადებული აღმოჩნდა. ხალხს უთქვამს, თუ ხატი ჩემი გაჭკდილია, მისი მადლი მე ვიცი. რა გასაკვირია რომ ცოდვის მორევში იხრჩობოდნენ და არ სწამდათ რელიგია ბერებს, რომლებიც თვითონ ქმნიდნენ რელიგიას!

თავისი შორსმჭვრეტელობით აღტაცებულმა ლუდოვიკომ დაუყოვნებლივ აფრინა დესპანები ვენეციაში და ასეთი დაავალებით აღჭურვა: არავითარი ფასის წინაშე არ დაიხიოთ უკან და ქრისტეს გვირგვინი ჩამომიტანეთო (სამწუხაროა, რომ საფრანგეთს თუნდაც ერთი ასეთი შტერი ჰყავდა!), თავის უბადაღებულ ღედასა და კარისკაცებს კი ბრძნული პასუხი გასცა: რაკი სენ-დენიელი ბერების გვირგვინი ყალბი აღმოჩნდა, ვენეციური უთუოდ ნამდვილი იქნებაო. ჩანს, არც მისი კარისკაცები ბრწყინავდნენ ჭკუით, რომ ეთქვათ: რაკი სენ-დენიელი ბერების გვირგვინი ყალბი აღმოჩნდა, ყოველ სხვა მონასტერშიც შეიძლება ყალბი გვირგვინი დაამზადონო!

გარიგებამ სენსაცია მოახდინა. წვრილ-წერილმა მთავრებმა: რომლებიც, როგორც ყოველთვის, დიდი სიმდიდრით არასოდეს არ გამოირჩეოდნენ, ვენეციის რესპუბლიკის მაგალითს მიჰბაძეს და ჩინებულად გამოიყენეს ლუდოვიკოს არაჩვეულებრივი ცრუმორწმუნეობა. ერთიმეორეს არ აცლიდნენ, სულ ახალ-ახალსა და უჩვეულო რელიქვიებს სთავაზობდნენ რეგვენ მეფეს და ისიც მადლობით იღებდა ყოველგვარ ნაგავს, თანაც ამ ნაგავში ფულს არ ზოგავდა. ისეთი საკვირველი რელიქვიები მოაგროვა, რომ თქვენი მოწოვებული: მაცხოვრის ჯვრის ძელი, ჯვარცმის შუბი, ჩაქუჩი, ლურსმნები და სხვა ბუტაფორია. ვიმეორებთ, ყველაფრისათვის იხდიდა უზარმაზარ თანხებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხაზინიდან იღებდა. რაკი ნახეს, რომ რელიქვიებით ვაჭრობა ფრიად სარფიანი საქმე ყოფილა, მას დანარჩენმა ქვეშევრდომებმაც მიჰყვეს ხელი. მარჯვედ დატრიალდნენ საფრანგეთში მყოფი ბერძენი და იტალიელი მღვდლები და ბერები. თმას ძიიტანდნენ, ძვლის ნამუსრევს თუ გამხმარი ჩუჩის ნამცეცებს, სულერთი იყო, ყველაფერი საარაკო ფასად გადიოდა. ბუნებრივია, მყიდველები დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ ეს რელიქვიები რომელიმე წმინდანს ეკუთვნოდა. ასე, გუნუამ ვირის კუდი იყიდა, ულაპარაკოდ მისცა ათასი ეკიუ ოქროთი. კუდი ვითომდა ეკუთვნოდა იმ სახე-

დარს, რომლითაც იესო ქრისტე იერუსალიმში შევიდა. კუდის ამ-ბავი მით უფრო საყურადღებოა, რომ მისი გამყიდველი იყო ეკლე-სიის ერთ-ერთი იერარქი, როძლის ღირსებაშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. მყიდველები სულელები არ გეგონოთ: გაღებულ თან-ხას ერთი სამად ანაზღაურებდნენ უფრო სულელი მორწმუნეების ხარჯზე. მეორე პრელატმა გაყიდა იმ ბაგიდან აღებული თივა, რო-მელიც თითქოს ყრმა იესოს აკვნის მაგიურობას უწევდა.

იმ დუქნების კარებთან, სადაც ეს იშვიათი საქონელი იყიდე-ბოდა, უცხოელი ბერები გაშმაგებით მოუხმობდნენ მყიდველებს.

„აქეთ! აქეთ! — გოდებდნენ გადარეულები. — შეხედეთ! აი ფიალა, რომელშიც ქრისტეს სისხლია, ჯვარის ქვეშ მარიამის ხე-ლით დაგროვილი! ესეც ჭურჭელი, რომელშიც ქრისტეს ცრემლები ინახება! აგერ ღვთისმშობლის რძე!“

მორწმუნეებიც ხალისით ხსნიდნენ ქისებს. ფრანგი პრელატე-ბი პირველად შურით შესცქეროდნენ უცხოელებს, მერე კი თვი-თონაც დაიწყეს რელიქვიების დამზადება. სავსებით გარკვეულად გადაწყვიტეს, რომ კონკურენციის ძლევა შეიძლება მხოლოდ ისე-თი საქონლით, რაც კიდევ უფრო უჩვეულო იქნება, ამიტომ სრუ-ლი თავისუფლება მისცეს თავიანთ აღვირახსნილ ფანტაზიას. ბა-ზარზე გამოჩნდა ისეთი საქონელი, რასაც მხოლოდ ჰომერიული სიცილის გამოწვევა შეუძლია. ანაფორიანი მატყუარები ბრმა მორ-წმუნეებს სთავაზობდნენ ცარიელ კოლოფებს, რომლებშიც მათი სიტყვით იესოს ხელებიდან ჰაერი, ზარ-დახშებს, რომლებშიც ვითომ ეწყო... იესების უჩინარი რქები (ღვთისმშობლის ქმარი ხომ რქოსანი იყო, თვითონ სულიწმინდამ დაადგა კოხტა რქები). კეთილი ლუდოვიკო წმინდა კი ასეთ ვაჭრ-ობას მფარველობდა, დარწმუნებული იმაში ,რომ ღმერთს ასე არაფე-რი სიამოვნებს, გარდა, ცხადია, ერეტიკოსების აწიოკებისა.

ბანდიტების ბანდა

● პაპი, რომელიც ორი საუკუნის ზღურბლზე იდგა, შედარებით უეშმაკო და წესიერი კაცი იყო. ამიტომაც მისი პონტიფიკატი დიდ-ხანს არ გაგრძელებულა. ეს იყო იტალიელი ბერი ნიკოლო ბოკასი-

ნი, რომელიც ტახტზე 1303 წლის 27 ოქტომბერს აიყვანეს ბენედიქტე XI სახელწოდებით. რამდენიმე თვის შემდეგ მასთან სადილად გამოცხადდა ახალგაზრდა კლირიკი, მონაზვნად გადაცმული, და ვერცხლის სინით ლეღვი მიართვა (თუ ყურძენი): ამა და ამ დედათა მონასტრის აბატმა ქალმა გამოგიგზავნაო. ბენედიქტემ საჩუქარი მადლობით მიღო, ორი ცალი გულდამშვიდებით მიირთვა და დანარჩენები თანამეინახეებს მესთავაზა. იმათ უარი უთხრეს, პაპს გემრიელ ლუკმას ვერ წავართმევთო. იმავე საღამოს ბენედიქტემ საშინელი კრუნჩხვით დალია სული. ამრიგად, კარდინალებმა თავიდან მოიშორეს კიდევ ერთი არასასურველი პაპი.

ბენედიქტე XI მემკვიდრე კლიმენტი V თავისი კარდინალების მსგავსი და ღირსი იყო.

პირველად თავისი რეზიდენციის ადგილად ლიონი გაიხადა. გარკვეული დროის განმავლობაში მასთან მრავალი ეპისკოპოსი და აბატი დადიოდა, მაგრამ ისე ძარცვავდა ყველას, რომ მალე ვიზიტები შეწყდა. მაშინ კლიმენტი მეხუთემ პირადად დაიწყო ეპარქიების შემოვლა და ისე აცარიელებდა ყველგან ეკლესია-მონასტრებს, რომ სამღვდელოებამ მწარედ ინანა, რატომ ვაიძულეთო ეს გაუმაძღარი ობობა, რომ თავისი ბუნაგი მიეტოვებინა და ჩვენს სალაროებში შეეხედაო. ამბობენ, ხარბ პაპს მთელი ხუთი დღე დასჭირდა კლუნიის საბატოს სარდაფებიდან ოქრო-ვერცხლის ამოსაზიდადო.

როცა პაპმა ამოქაჩა ყველაფერი, რისი ამოქაჩვაც შეიძლებოდა, მაშინ ტახტზე მოკალათებულმა ბანდიტმა ძველ, ნაცად საშუალებას მიმართა. გაიხსენა, რომ IV ლატერანის კრებამ დაადგინა: „ერეტიკოსების და მათი თანამზრახველების ქონება ეკუთვნის წმინდა ტახტს, ამასთან მსჯავრდებულთა არც შვილებს, არც ნათესავებს არა აქვთ უფლება პრეტენზია განაცხადონ ამ ქონების თუნდაც სულ მცირეოდენ ნაწილზე“. კლიმენტი მეხუთეს ეშინოდა, რომ ფილიპე ლამაზი ამ დეკრეტის განხორციელებას წინ აღუდგებოდა, ამიტომ შემოსავლის შუაზე გაყოფა შესთავაზა. ამაზე იოლად შეთანხმდნენ, და ურიცხვი კოცონი აგიზგიზდა იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში და განსაკუთრებით საფრანგეთში. როცა ამ კოცონთა ალმა უდანაშაულო ადამიანები შთანთქა, ორმა გვირგვინოსანმა ბანდიტმა ნაძარცვი ქონება ძმურად გაიყო.

კლიმენტის პაპის ტახტი ათი წელი ეჭირა. გაუზვიადებლად შე-

იძლება ითქვას, რომ „ფრანგთა პაპად“ წოდებული ავიხიოხელი ბანდიტი მთელს თავისუფალ დროს, რაც გახრწნილ ცხოვრებას არ ხმარდებოდა, თავისი სიმდიდრის გასაზრდელად იყენებდა, თანაც საამისოდ ყოვლად საზიზღარ, გულის ამრევ ღონისძიებებს მიმართავდა. ინკვიზიციის საზარელ სასამართლოებს აძლევდა არა მარტო ერეტიკულ სექტებს, არამედ ტაძროსნებსაც კი. მისი დანაშაულობრივი საქმიანობის უკანასკნელი აქტი იყო იმპერატორ ჰენრიხ VII მოწამლვა.

ამის შემდეგ გარყვნილი ცხოვრებით არაქათგამოცლილი და მიხრწნილი კლიმენტი V გარდაიცვალა.

იოანე XXII

● კლიმენტის სიკვდილის შემდეგ მოციქულის ტახტი მთელი წლის მანძილზე ვაკანტური იყო.

ამ უმეფობის ხანაში კლირიკები დაუსჯელად ძარცვავდნენ მოქალაქეებს, ხოლო ინკვიზატორები ისე დასდევდნენ ერეტიკოსებს, როგორც ობობები და მორიელები — ბუზებს. განსაკუთრებით სასტიკად უსწორდებოდნენ ლოლარდების სექტას, რომელიც ქადაგებდა, რომ ლუციფერი და მეამბოხე ანგელოზები ზეციდან იმის გამო განდევნეს, დესპოტ ღმერთს თავისუფლება და თანასწორობა მოუთხოვესო. ლოლარდები ამტკიცებდნენ აგრეთვე, რომ გაბრიელ მთავარანგელოზი და მისი ამალა — ტირანიის დამცველები — დაემხობიან, ხოლო მეფეთა მორჩილი ადამიანები — სამუდამო სატანჯველით დაისჯებიან.

დრო იყო და ფრანგთა მეფე ფილიპე V განიზრახა წმინდა კოლეგიაში წესრიგის დამყარება. უმეფობისათვის რომ ბოლო მოეღო, ასეთი ოინი მოიგონა. მეფე ლიონში ეპატიჟებოდა ყოველ კარდინალს ცალკე და ტიარას ჰპირდებოდა იმ პირობით, რომ ყველაფერს საიდუმლოდ შეინახავდა. აზრად არავის მოსვლია, რა მახესაც უგებდნენ. დანიშნულ დროზე ყველანი მოგროვდნენ მონასტერში, სადაც მეფე ელოდათ. მაშინ ფილიპემ განუცხადა, მანამდე ჯერ გაგიშვებთ, ვიდრე ქრისტეს მოადგილეს არ აირჩევთო. შემდეგ ხაფანგში შემოტყუებული კარდინალები ჩაკეტა და საიმედო მცველები მიუჩინა.

მთელი თვე დაჰყვეს გრიგოლ მეცხრის დადგენილების თანახმად ცარიელ პურსა და წყალზე, ბოლოს მოსწყინდათ ნებიერ კარდინალებს ხმელა პურის ლოღნა და კაპიტულაცია მოახდინეს. პაპად აირჩიეს ფრანგი ჟოაკიმ დ, ოსა, რომელსაც იოანე XXII ეწოდა.

ჩლუნგმა და უმეცარმა იოანე XXII მხეცური გაძმაგებით დაუწყო დევნა მეცნიერებს, ყოველ ახალ აღმოჩენას ფიზიკაში, ქიმიაში და ასტრონომიაში აფასებდა როგორც ეშმაკის მანქანებას. მრავალი სწავლული აღმოჩნდა მისი მეუფების შავბნელ ჟამს ინკვიზიციის დილეგში, მრავალი აწამეს და დაწვეს. დავიმოწმოთ ერთი ნაწყვეტი იოანე XXII ეპისტოლედან, რაც მოწმობს, რაოდენ სულელურ ბრალდებებს უყენებდა ეკლესია მამაც ადამიანებს, რომელთაც კაცობრიობა წინ მიჰყავდათ. „ჩვენ გავიგეთ, — წერდა პაპი, — რომ ჟან დამანი, ექიმი ჟან ლიმოჟელი, ჟაკ ბარბანსონი და ზოგი სხვა მაგიას ეწევა: სარგებლობენ ჯადოსნური სარკეებითა და მისნური საგნებით, ხაზავენ კაბალისტიკურ ნიშნებს, იწვევენ წყვდიადის სულებს, თავიანთი შელოცვების ძალით ღუპავენ ადამიანებს, ამწყვდევენ დემონებს ბოთლებში და მდულარე წყალში აიძულებენ გადაუხსნან მომავლის საიდუმლო. ამტკიცებენ, რომ შეუძლიათ ყოფიერების შემცირება და გაგრძელება. ამას გარდა, აწყობენ შეთქმულებას ჩვენს წინააღმდეგ და ჯადოქრობითა და შელოცვებით ცდილობენ წაგვართვან სიცოცხლე და ტიარა. ამიტომაც გიბრძანებთ: მოექეცით მათ ისე, როგორც ექცევით ერეტიკოსებს. გადაეცით ყველანი ინკვიზიციას — დაე, წამებით გამოჰგლიჯონ აღიარება, შემდეგ კი ცეცხლს მიეცით“.

დაცარიელებული ხაზინის შევსების მიზნით ამ შხამიანმა ობობამ ანგარიში გაუსწორა ფრატიჩელების ორდენს, რომელიც ცელესტინ მეხუთემ დაამტკიცა. იოანემ თავი იმით იმართლა, ბონიფაციუს მერვემ ცელესტინის განკარგულებანი გააუქმაო, ამით ეშმაკს დაეყრდნო, კეთილ მღვდელმთავარს გადაუდგა, უდანაშაულო ბერები ერეტიკოსებად გამოაცხადა და მათი ქონება ინკვიზიტორებს გაუყო.

როცა ფრანცისკანელთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა, მათაც ზუსტად ასევე მოექცა, მწვალებლები კოცონზე გაგზავნა, ქონება კი მიითვისა. ეს იყო დაკანონებული ძარცვა-რბევა და ძალადობა. ორდენის გენერალმა სიმამაცე გამოიჩინა, სასტიკი პროტეს-

ტი გამოაქვეყნა და განაცხადა, ყველაზე ადრე კოცონს. პაპი იმსახურებსო. უჯათო ბერებმა საჩივრით მიმართეს გერმანიის მეფეს ლუდოვიკო ბავარიელს და სთხოვეს აელაგმა გათავხედებული პაპი. აი ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან:

„ხელმწიფევ, აგერ უკვე მრავალი წელია ეკლესიის ტახტზე მოკალათებულია დამნაშავე, რომელიც ბედავს ქრისტეს სახელით დაამტკიცოს თავისი უფლება, დაუსჯელად ჩაიდინოს ყოველგვარი დანაშაული, გაძარცვოს მეფეები და ხალხები, დაახრჩოს და გაუგონარი წამებით ამოხადოს სული მამაც ადამიანებს, რომლებიც უარყოფენ მის თავხედურ პრეტენზიას უცოდველობაზე. ჩვენთა მოყვასთა სახელით გევედრებით, ხელმწიფევ, ყველა ღონისძიება გამოიყენოთ, რათა დაამსხვრიოთ ეს საშინელი თეოკრატიული დესპოტიზმი, რაც კაცობრიობას არცხვენს. ნუ დაელოდებით იმ მომენტს, როცა სოდომიტები და ბოროტმოქმედნი ხალხებს ხელ-ფეხს შეუკრავენ და თავიანთი გახრწნილებით დაღუპავენ შრომისმოყვარე ერებს. დაამხეთ პაპი, მეფეო, რათა ჩვენ ამ სამარცხვინო საქმის ბოლო ვიხილოთ!“

უნდა ითქვას, რომ უფრო ნათელ, სრულყოფილ მამხილებელ წერილს თანამედროვე თავისუფალი ადამიანიც ვერ დაწერდა. ლუდოვიკო ბავარიელმა მკაცრი წერილით მიმართა პაპს, რომელმაც შეჩვენებით უპასუხა. ასე იყო მუდამ: სიმართლის ხმას რომ გაიგონებდა, პაპი მორიელივით აიფოფრებოდა ხოლმე და შხამიან კუდს ასწევდა. შეჩვენებული მეფე ჯარით მიადგა მარადიული ქალაქის კედლებს. ცხარე ბრძოლის შემდეგ, რამაც ორივე მხრიდან დიდძალი მსხვერპლი ითხოვა, ლუდოვიკო IV ბავარიელმა რომი აიღო. პაპსა და მეფეს შორის წინააღმდეგობა ადრეც იყო, — ბნელეთის მოციქულ იოანეს მიერ დევნილი მეცნიერები თავშესაფარს ლუდოვიკოს კარზე პოულობდნენ, — ასე რომ ამ გამარჯვებას დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. რომის მოსახლეობა გერმანიის მეფეს ისე შეხვდა, როგორც გამათავისუფლებელს, და დაჟინებით მოითხოვდა იოანეს გადაყენებას. მეფემ მაინც პაპთან შერიგება სცადა, მაგრამ იოანემ ახალი ანათემით უპასუხა. მაშინ ლუდოვიკო ბავარიელი დარწმუნდა, რომ მიხრწნილი პაპი სრულიად დამპალა, და დიდი ყრილობა მოიწვია, რომელზედაც ერთ-ერთმა ბერმა პაპის დანაშაულობათა გრძელი სია წაიკითხა და ბოროტმოქმედი მღვდელმთავრის დამცველებს მისცა სიტყვა. ამ მოწოდებას არავინ არ გამოეხმაურა და

ლუდოვიკომ თავი უფლებამოსილად ჩათვალა განეცხადებინა, რომ გადაყენებულია ის, „ვინც თავის თავს იოანეს უწოდებდა, სინამდვილეში კი სხვა არავინ იყო, [illegible] არა უკეთური და ერეტიკოსი, გაუმაძღარი და გამდიდრების სურვილით ატანილი არამზადა". ამის შემდეგ მანტია, ტიარა და მღვდელმთავრის ბეჭედი მეფის ხელით მიიღო უბრალო ბერმა პიეტრომ, რომელსაც ეწოდა ნიკოლოზ V. ეს იყო ანტიპაპი.

ამრიგად, ეკლესიის სათავეში ისევ ორი პაპი აღმოჩნდა. იმ დროს, როცა ერთი მათგანი ამაოდ ცდილობდა სამღვდელოების ზეობის გამოსწორებას, მეორე არხეინად იჯდა თავისი ავინიონის დიდებულ სასახლეში, არ ცნობდა ყრილობის გადაწყვეტილებას და უწინდებურად განაგრძობდა თავისი სიმდიდრის გაზრდას. ნიკოლოზ V პირველ ხანებში უბრალო ცხოვრებას ეწეოდა, ცდილობდა მაგალითი მიეცა თავისი კარდინალებისა და ბერებისათვის. მაგრამ გარემოებამ აიძულა განეგრძო წინამორბედთა ფინანსიური პოლიტიკა: მანაც დაიწყო ბენეფიციუმების, საეკლესიო წოდებათა და პრივილეგიების გაყიდვა. მაგრამ რაკი ავინონელი პაპიც ზუსტად იმასვე აკეთებდა (დამპალი ინსტიტუტი თავს ვეღარ აღწევდა დანაშაულს), ყოველ ვაკანტურ ადგილზე ორი ეპისკოპოსი აღმოჩნდებოდა ხოლმე. ადვილი წარმოსადგენია, რა ცემა-ტყეპა და ხელჩართული ბრძოლა იმართებოდა ყოველ კათედრასთან!

იოანე XXII აგენტები ოქროს არ ზოგავდნენ და ბოლოს რომში დაქირავებულთა რაზმი შეაკოწიწეს, რაც თავზარსა სცემდა ნიკოლოზ მეხუთის ყველა მომხრეს. შემდეგ იოანე XXII გამოაქვეყნა მანიფესტი, რომლითაც მეფეს ერესის მიზეზად თვლიდა და გერმანიის ტახტიდან გადაყენებულად აცხადებდა. ნიკოლოზ მეხუთეს რომიდან გაქცევა მოუხდა.

აი ნაწყვეტი მისი წერილიდან, რომელშიც იოანეს თავის გადადგომას ატყობინებს: „გამიგონია, როგორ გწამებდნენ ერესს, სიმონიას, მკვლელობას და ყოველნაირ დანაშაულს. ამის საფუძველზე მე გთვლიდით პაპთა შორის ყველაზე უფრო უღირსად, რომ ეს წოდება გეტარებინათ. შემდეგ მე გავიგე, რომ თქვენზე უფრო ღირსი არავინ არ არის პაპის გვირგვინის ტარებისა. აი, რატომ ვამბობ უარს ტიარაზე და მზად ვარ საზეიმოდ განვაცხადო ეს თქვენი დასწრებით სადაც გნებავთ, სადაც მეტყვით".

იოანე XXII მადლობა შეუთვალა ანტიპაპს და უბედური ნიკოლოზი თავის სასახლეში მიიწვია. ძლივს მოასწრო მონანიებულმა ნიკოლოზმა ავინიონში ჩასვლა, რომ ტიაროსანი არამზადის აგენტებმა ხელი სტაცეს და მიწისქვეშა დილეგში გადაკარგეს, სადაც გულუბრყვილო პაპი სამი წელიწადი იტანჯებოდა: ერთხელ დილით, მეციხოვნემ პური და წყალი რომ მიუტანა, ციხის კარი ღია დახვდა, ნიკოლოზ V კი მკვდარი ეგდო: იოანე XXII ბრძანებით საბრალო მოხუცი გაგუდეს.

ცოდვების განტევება პრეისკურანტით

❁ თავისი პონტიფიკატის დასასრულს იოანე XXII სცადა ქვეყნიერების განცვიფრება რამდენიმე მოსაზრებით იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიჭიროს თავი მართლმორწმუნემ, რათა სასუფეველში მოხვდეს. წმინდა მამის აზრები საეკლესიო მოღვაწეთა შორის უეჭველია სერიოზულ დავას გამოიწვევდნენ, რომ ფილიპე ჰეხუთეს არ მოეთხოვა პაპისაგან თავისი დებულებების საჯაროდ უარყოფა და არ დამუქრებოდა: თუ ასე არ მოქცეულხარ, ავინიონის სასახლის წინ დაგწვავ, როგორც ერეტიკოსსო.

ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ იქნება რამდენიმე პარაგრაფის დამოწმება მისი შრომიდან, რაც მოწმობს, რომ წმინდა მამა თავისი საქმის ნამდვილი მცოდნე ყოფილა. დოკუმენტი. რახედაც ლაპარაკია, ცნობილია ასეთი სათაურით: „სამოციქულო კანცელარიის ნიხრი“. ამრიგად:

„კლირიკს, რომელსაც ხორციელი შეცდომა მიუძღვის მონაზონთან დეიდაშვილ-ძამიდაშვილებთან ან ნათლულებთან, ცოდვა მიეტევება, თუ გადაიხადა 67 ლივრი და 12 სუ“.

თუ კლირკს სურს ცოდვის განტევება მიიღოს არაბუნებრივი დაკმაყოფილებისათვის, იხდის 219 ლივრს და 15 სუს“.

„თუ მღვდელმა ნამუსი ახადა ქალწულს, უნდა გადაიხადოს 2 ლივრი და 8 სუ“.

მონაზონი, რომელიც ხშირ-ხშირად სცოდავდა თავის მონასტერში და მის ფარგლებს გარეთაც, ახლა კი განზრახული აქვს გახ-

დეს ,ბატი, იხდის ჯარიმას 131 ლივრსა და 15 სუს რაოდენობით".

„მღვდელი, რომელსაც სურს მიიღოს ნებართვა თავის ნათესავთან უზნეო ცხოვრებისა, წინასწარ იხდის ჯარიმას —76 ლივრსა და 1 სუს".

როგორც ამ აბსოლუტური კრეტინიზმის იშვიათი დოკუმენტიდან ჩანს, განტევების ნიხრი დაწესებული იყო არა მარტო ჩადენილ ცოდვებზე, არამედ იმ ცოდვებისათვისაც, რომელთა ჩადენასაც სასულიერონი მომავალში აპირებდნენ!

„საეროთა მრუშობისათვის ცოდვის მიტევება ღირს 27 ლივრი. სისხლის აღრევისათვის დავუმატებთ 4 ლივრს".

„დედაკაცი, რომელსაც სურს გარყვნილებისათვის განტევება და იმავე დროს განაგრძობს გარყვნილებას, იხდის 87 ლივრს და 3 სუს. თუ მსგავს დანაშაულში ქმარია დამნაშავე, ნიხრი ესე ქმარზეც ვრცელდება".

რა მომქანცველია ეს დახურდავებული კრეტინიზმი! მაგრამ გადავიდეთ იოანე XXII თხზულების იმ ნაწილზე, რაც სხვა დანაშაულობებს ეხება.

„ცოდვის მიტევება და შემდეგ დევნის წინააღმდეგ გარანტია ისეთ დანაშაულობათათვის, როგორიცაა ძარცვა-რბევა, ქურდობა, სახლის დაწვა, დამნაშავეს დაუჯდება 15 ლივრი და 4 სუ".

„ცოლის დასახიჩრებისათვის ქმარს კანცელარიაში შეაქვს 3 ლივრი და 4 სუ. იმ შემთხვევაში, თუ ქმარმა ცოლი მოკლა, 17 ლივრი და 15 სუ უნდა გადაიხადოს. თუ მკვლელობა ჩადენილია მეორედ დაქორწინების მიზნით, —32 ლივრი და 9 სუ".

„ვინც ძმას, დას, მამას ან დედას მოკლავს, იხდის 17 ლივრსა და 4 სუს".

ეპისკოპოსის ან პრელატის მოკვლისათვის —131 ლივრსა და 14 სუს".

გული როგორ არ აგიჩუყდებათ! ეპისკოპოსი დედ-მამაზე რვაჯერ ძვირად ფასდება!

„თუ მკვლელმა რამდენიმე მღვდელი მოკლა სხვადასხვა დროს, პირველი მკვლელობისათვის იხდის 137 ლივრსა და 6 სუს, დანარჩენებისათვის კი ამ ფასის ნახევარს".

„თუ ერეტიკოსი კათოლიკურ სარწმუნოებას დაუბრუნდება, მიტევებისათვის გადაიხდის 269 ლივრს. დამწვარი ან სიკვდილით დას-

ჯილი ერეტიკოსის შვილი ცოდვის მიტევებას მიიღებს, თუ გადაიხდის 218 ლივრს და 16 სუს".

„კლირიკმა, რომელსაც ვალები ვერ გადაუხდია და სურს მევალეების დევნას თავი დააღწიოს, კანცელარიაში უნდა შეიტანოს 17 ლივრი და 3 სუ, რათა ვალი ეპატიოს".

საინტერესოა, ასეთი კომბინაცია მევალეებს დააკმაყოფილებდა?

„ვინც გავლენიანი პირის უფლებები დაარღვია, აგრეთვე კონტრაბანდისათვის გადასახდელია ჯარიმა 87 ლივრი და 3 სუ".

სულერთია, დამნაშავეს სიკვდილი არ ასცდება, თუ გავლენიან პირს ხელში ჩაუვარდება, მაგრამ სამაგიეროდ მას ეტრატის ნაჭერი დარჩება, წმინდა მამას კი —87 ლივრი და სამი გროში, რაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავია!

„თუ მონასტერს განზრახული აქვს დისციპლინა შეცვალოს, რათა უფრო მკაცრი რეჟიმი დაამყაროს, ხაზინაში შეაქვს 146 ლივრი და 5 სუ".

განა ეს გენიალური არ არის? ეკლესიის მეთაური შლის ყოველგვარ მიჯნას „მანკისა" და „ქველმოქმედების" ცვებებს შორის: ყველაფერზე ნიხრია. ყველაფერი შემოსავლის წყაროდაა გადაქცეული.

ძალიან ნიჭიერი პაპი აღმოჩნდა ეს იოანე XXII. მისი კოდექსი — თავისებური შედევრია. ყველაფერი გათვალისწინებულია — ლეშიჭამია სვავს შემოსავლის არც ერთი წყარო არ გამორჩენია.

ერთი შენიშვნა მაინც გვაქვს: იოანე XXII წიანამორბედებიც ვაჭრობდნენ ცოდვების მიტევებით, საეკლესიო თანამდებობით და წოდებით. არსებითად, იოანეს არაფერი ახალი არ შემოუღია, მხოლოდ არაჩვეულებრივად გააფართოვა ეს შემოსავლიანი მრეწველობა, და ყველაზე უფრო თვალსაჩინო გახადა ორგროშიან მღვდელმთავართა [illegible]ების მთელი სიჩლუნგე როგორც ჩამოთვლილ ცოდვათა სასაცილო ხასიათით, ისე გროშებამდე მათი დახურდავებით. იოანეს ამ ნიხრში ეკლესიის მთელი მორალი იყრის თავს.

* * *

მორიელები დღეგრძელნი არიან. იოანემ ოთხმოცდაათი წლის ასაკში ჩააბარა ღვარძლიანი სული ბალზებელს. წმინდა კოლეგიის წევრებმა ყურადღება შეაჩერეს ჩამძღრძვალი პაპისა და მისი დის შვილზე, ამ არც თუ მთლად წმინდა და-ძმური სიყვარულის მახინჯ

ნაყოფზე, ავინიონელ ლოთზე, რომლის სახელი იყო ჟოაკინ ფურნიე. მთელი თავისი სიჩლუნგის მიუხედავად მას კარგად ესმოდა, რომ ქრისტეს მოადგილედ არ ვარგოდა. როცა დარწმუნდა, რომ კარდინალებს მაინც განუზრახავთ მისი პაპად კურთხევა, ჟოაკიმმა წამოიძახა ისტორიული ფრაზა: „ძმანო ჩემნო, უფროსად გინდათ ვირი აირჩიოთ?“ უნდა ვაღიაროთ, რომ ბენედიქტე XII შვიდი წელი განაგებდა წმინდა ტახტს და კარდინალებს ერთხელაც არ გამოუხატავთ სინანული თავიანთი არჩევანისათვის.

ტიაროსანი ბანდიტები

● ბენედიქტე XII გარდაცვალების შემდეგ კარდინალებმა ყოჩაღად დაიჭირეს თავი, მარჯვედ გაინაწილეს პაპის ხაზინის განძი და შეუდგნენ ახალი პაპის არჩევას. ასე გამოცხვა კლიმენტ VI, ეს იმ დროის დიდი გარყვნილი და გათახსირებული კაცი. თავისი წინამორბედების მსგავსად ცდილობდა ისიც შრომისმოყვარე მრევლის გატყავებას, რომ რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე მოეხვეჭა.

მარადიული ქალაქი იმ დროისათვის უაღრესად სავალალო მდგომარეობაში იყო. ძლევამოსილი სენიორები ჩრდილოეთ იტალიის ტირანთა მაგალითისამებრ ცდილობდნენ მის დაპატრონებას. ხალხი გაწამებული იყო გავლენიან მთავართა და კარისკაცთა თავაშვებული პარპაშით. მგზნებარე რესპუბლიკელი კოლა დი რიენცი ხალხს მოუწოდებდა, გადააგდეთო ორმაგი ტირანიის უღელი — არისტოკრატიისა და სასულიეროთა. მას თვალსაჩინო წარმატება ჰქონდა. რომში რესპუბლიკური წყობილება დამყარდა, რიენცი ტრიუმფით მიიყვანეს კაპიტოლიუმში, სადაც ტრიბუნისა და რომის განმათავისუფლებლის ტიტული მიანიჭეს.

მიკიტნის შვილი კოლა და რიენცი არ იყო იმნაირი კაცი, რომ წარმატებისაგან თავბრუ დახვეოდა. მდაბიო წარმოშობის მიუხედავად, ძალიან განვითარებული ადამიანი გახლდათ და თანაც თავგამოდებული პატრიოტი. კარგად ესმოდა, ცრუმორწმუნეობას რომ ერთი ხელის მოსმით ვერ სძლევდა, რადგან საუკუნო უმეცრებაში ჰქონდა მას ფესვები ღრმად გაღგმული, ამიტომ კომპრომისზე წავიდა, პაპის ლეგატი მოიწვია და ვატიკანში დასვა. ამ დათმობით

ფიქრობდა რიენცი პაპის ინტრიგების პარალიზებას. რადგან ძალიან კარგად იცოდა, როგორ სძულდათ რომის რესპუბლიკა იმპერატორს. მთავრებსა და წმინდა ტახტს.

კლიმენტი VI მეტისმეტად ეშმაკი და გაიძვერა იყო, რომ რიენცის აშკარად დასხმოდა თავს, და მხოლოდ-ფარულად, თავისი მოწამლული აგენტების მეშვეობით ამზადებდა რომში კონტრრევოლუციურ გადატრიალებას. როგორც კი ხელსაყრელი მომენტი დადგა, ტრიბუნს შეჩვენების შხამი დააპთხია თავზე, გამოაცხადა ერეტიკოსად, გააუქმა ყველა შეთანხმება, რაც მასთან იძულებით ჰქონდა დადებული და მორწმუნეებს მოუწოდა, ებრძოლეთო რიენცის, ამასთან შეჩვენებით ემუქრებოდა ყველას, ვინც გაბედავდა და ტრიბუნს მხარს დაუჭერდა. პაპიზმის ქვეწარმავლური რეაქცია შავ სოკოსავით იზრდებოდა და რომს თავზე აწვებოდა. ქალაქში ამბოხებამ იფეთქა. სათავეში პაპის ლეგატი ედგა. როცა რიენციმ გაპკარგულება გასცა, დაფებს დაჰკარით და ხალხს იარაღისაკენ მოუწოდეთო, უკვე გვიანღა იყო, ყველა ეკლესია მეამბოხე პაპის ანაფორიან ღამურებს ჰქონდათ დაკავებული. რიენციმ ბერის სამოსი ჩაიცვა და გაქცევა ძლივს მოასწრო. იმპერატორმა კარლ ლუქსემბურგელმა რიენცი მიიღო და იქვე გადასცა პაპს. ავინიონში ჩაყვანილი რიენცი მიწისქვეშა დილეგში ჩააგდეს. იქ უნდა დაეცადა სასამართლო განაჩენისათვის, რაც წინასწარ იყო დადგენილი. მაგრამ აქ რიენცის შავი ჭირი მიეშველა. შავმა სიკვდილმა იმ წლებში მთელს ევროპაში ასი ათასობით ადამიანი ჩააწვინა მიწაში. თვით ავინიონში მისი დამღუპველი მოქმედება ისე ძლიერი იყო, რომ პაპმა შიშით პატიმარიც დაივიწყა. რიენცის ბედმა გაუღიმა, დილეგიდან გამოსვლა მოახერხა და ისედაც ცოდვილი პაპი ერთი ზედმეტი დანაშაულისაგან იხსნა. მართალია, ამით კლიმენტი VI ბევრს არაფერს კარგავდა, ჩადენილი მკვლელობანიც ეყოფოდა იმისათვის, რომ ქრისტეს ღირსეული მოადგილე ყოფილიყო.

ჯერ კიდევ თავისი პონტიფიკატის დასაწყისში კლიმენტი VI მოხვეჭის მანიამ აიტანა და 1 350 წელი წმინდა საიუბილეო წლად გამოაცხადა, რითაც საიუბილეო წლებს შორის მანძილი ნახევარი საუკუნით შეამცირა. პროფესორი იყო და ალბათ იანგარიშა, რვა წელიწადი როგორ ვერ გავძლებო. მართლაც, ათი წელი გაძლო და 1 352 წელს ჩააბარა ეშმაკებს ცოდვილი სული. წინასწარ ერთი

კურიოზული ბულის შედგენაც მოასწრო: საიქიოს ანგელოზები გაეფრთხილა, სამოთხეში გადაიყვანეთ ყველა ცოდვილი, რომელიც ჩემს სალაროში ფულს შეიტანსო.

მთავარი მაინც საუბილეო წელი იყო. ფანატიკოს მოჭლოცველთა რიცხვი რომში კიდევ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე პირველ საიუბილეო წელს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო ყალბი და ხელოვნური იყო. ქალაქის ყველა სახლი სასტუმროდ იქცა, უკანასკნელი ქოხი და სენაკიც კი მამასისხლად ქირავდებოდა. მოსახლეობა ოქროს ციებ-ცხელებამ მოიცვა.

დღესასწაულების დამთავრების შემდეგ კლიმენტი მეექვსის ლეგატი რომიდან ავინიონში ჩავიდა. უკან მიჰყვებოდა უზარმაზარი ქარავანი. ორმოცდაათი ურემი, ოქრო-ვერცხლით დატვირთული. ბნელი, ცრუმორწმუნე საუკუნე ხარკს აძლევდა ჯვრიან ოცობას, რომლის ხარბი მუცელი ხარხებმა ვერ აძოყორეს.

კლიმენტი VI სიკვდილის შემდეგ მღვდელმთავრად აირჩიეს ინოკენტი VI, მიხრწნილი ბერიკაცი, მაგრამ პირწავარდნილი არაბზადა. აი, რას წერდა ავინიონსა და მის ჭბრძანებელზე პოეტი პეტრარკა, რომელსაც კლიმენტი VI ფარისეულურად მფარველობას უწევდა: „ამ ქალაქში არ არსებობს არც შებრალება, არც ქველმოქმედება, იქ არ არის არაფერი წმინდა, არაფერი ადამიანური... ჰაერი, მიწა, სასახლეები, სახლები, ქუჩები, ბაზრები, ტაძრები, ბაღები, პაპის ტახტი და საკურთხეველი, ღმერთის სახელზე აგებული, — ყველაფერი შებილწულია სიცრუით, ყველაფერს თაღლითობის ჩირქი აცხია. მისი ქვის მიწისქვეშეთში მტაცებელი მინოსი ბატონობს... მხოლოდ ოქროს შეუძლია ამ ურჩხულის ალაგმვა, მის პირზე ღიმილის მოგვრა... ოქრო იძლევა ამ ქალაქში იმის უფლებას, რომ გახრწნა საკუთარი დები, მოკლა მშობლები. ოქროს ფასად შეიძლება იყიდო ანგელოზები, წმინდანები და თვითონ იესო ქრისტე. პაპი მოგყიდით ყველაფერს. ყველაფერს, თავისი ტიარის გარდა...“

ეს ის ინოკენტი VI იყო, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულ პოეტს, ხელმწიფეთაგან პატივცემულ პეტრარკას ჯადოქარს უწოდებდა. ამ ჯადოქარმა სწორედ ანდერძი აუგო გახრწნილ პაპსა და მის დამპალ ინსტიტუტს.

ინოკენტი VI სიკვდილის შემდეგ წმინდა კოლეგიამ მღვდელ-

მთავრად აირჩია ფრანგი ბერი გილიომ დე გრიგორი — ურბან V, შემდეგ კი — კლიმენტი მეექვსის ძმისშვილი გრიგოლ XI.

ერეტიკოსების
საყოველთაო რბევა

● გრიგოლ XI ისეთივე ტირანი და გამომძალველი იყო, როგორც მისი წინამორბედი. ერეტიკოსებს კოცონზე გზავნიდა, მათი ქონება კი პაპის სალაროს ემატებოდა.

პირველი სექტა, რომელმაც დევნა განიცადა, იყო ტურლეპენთა სექტა. სწორედ რელიგიური დევნის ნიადაგზე უნდა წარმოთქმულიყო ძველებური ანდაზა: „როცა სურთ ბებერი ძაღლი მოკლან, ამბობენ, ცოფიანიაო". როგორც გენებოთ და ეკლესიის მსახურთ წარმოსახვის სიღარიბეს ვერ დავწამებთ, როცა საქმე ხაზინის გავსებას ეხება.

მთელს საფრანგეთში გიზგიზებდა უთვალავი კოცონი. პაპის სიხარბისა და მეფის ფანატიზმის მსხვერპლთა რიცხვი ისე დიდი იყო, რომ მრავალ ქალაქში ახალი ციხეების აშენება გახდა საჭირო. ტურლეპენთა მთელი სექტა გაანადგურეს, პაპის ხაზინის ზანდუკები კი ოქროს ვერ იტევდნენ.

გრიგოლ XI სულაც არ ჩქარობდ ავინიონის დატოვებას. ან რა ეჩქარებოდა, მთელი მისი ცხოვრება ამ მყუდრო ქალაქში ერთიან ნადიმს წარმოადგენდა. პაპისა და მისი კარდინალების სასახლეები მეფური ფუფუნებით იყო მორთული და დიდებული დარბაზები ვერ იტევდნენ კურტიზან ქალებს, მუსიკოსებს, მოცეკვავეებსა და ხუმარებს. აი, რას ხმარდებოდა ქრისტეს სახელით გაღებული ხალხთა დანაზოგი! ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა, რომელსაც პაპმა რომში დაბრუნება უბრძანა, თავს ნება მისცა განეცხადებინა: „შენ გინდა მწყემსი აიძულო, რომ თავის სამწყსოში იცხოვროს? მაშინ შენ თვითონ რატომ არ ბრუნდები რომში? იმიტომ ხომ არა, რომ შენი ახალი სასახლე ოქროთი და პორფირით ბრწყინავს და იმ ქალაქის მოსახლეობა, რომელშიაც შენ ცხოვრობ, შენს აღვირახსნილ ქალას ტაშს უკრავს? ან იქნება იმიტომ, რომ აქ დაუსჯელად შეგი-

ძლია ეწეოდე მრუშობას, ძალადობასა და სხვა ბოროტმოქმედებას? როგორც გვიბრძანებ, მაგრამ ჩვენც შენსავით გვინდა შევწიროთ მსხვერპლი ღმერთებს, რომლებიც აქ აღმართე".

წმინდა მამამ მოთმინებით მოისმინა მამხილებელი ტირადა, შემდეგ კი ღიმილით უპასუხა: „ჩვენმა ძვირფასმა ეპისკოპოსმა ღამე სამიკიტნოში გაატარა, და როგორც ვატყობ, ღვინის კასრების ორთქლმა გონება აურიაო"

ავინიონის სასახლის ფუფუნება პაპს ძალიან ძვირი უჯდებოდა. ყოველთვის ფული უჭირდა, გაჭირვება კი ადამიანს გაქცევას ასწავლის. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გაგზავნილ ლეგატებს დაავალა, ახალი გადასახადების შეტანას მიაღწიეთო პაპის სალაროში. მაგრამ ამჯერად მეფეთა სიბრიყვესაც საზღვარი აღმოაჩნდა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ავინიონელ ობობას და სრული მარცხი აგემეს ლეგატებს.

გრიგოლ XI კიდევ ერთი ფიასკო განიცადა. სწავლული ინგლისელი ღვთისმეტყველი უიკლიფი, რომელიც ინგლისის ეკლესიის დამოუკიდებლობას მოითხოვდა, დიდი ხანია გულს უკლავდა და ნაღველს უსივებდა რომის პაპს. მორიელის ღობე — გესლია. გრიგოლმა ლონდონის არქიეპისკოპოსს წერილი მისწერა და უბრძანა, პატიმარჰყავი ერეტიკოსი ჯონ უიკლიფი და აწამეო. მაგრამ უიკლიფს მფარველად მოევლინა ოქსფორდის უნივერსიტეტი და თვით მეფე, ასე რომ უიკლიფმა (ვიკლიფმა) თამამად განაგრძო კათოლიკური ეკლესიის მრავალი პრინციპის (მღვდელთა უქორწინობის, ხატთა თაყვანისცემის და სხვ.) გატარება კრიტიკის ქარცეცხლში. თავის სიტყვებსა და თხზულებებში ეს მამაცი ადამიანი ამხელდა ინკვიზიტორთა სისასტიკეს, პაპის სასახლის დაბაშაულობასა და ინტრიგებს. მართალია, მოგვიანებით მოხეტიალე ბერების ზეგავლენით მაინც ვერ ასცდა სამართალს, ხოლო სიკვდილის შემდეგ კონსტანცის კრებამ უიკლიფი ერეტიკოსად გამოაცხადა და მისი ნეშტის ამოთხრა და დაწვა ბრძანა, მაგრამ სიცოცხლეში არასოდეს არ შეუწყვეტია რომის ტახტის „ბომბარდირება". ეს იყო სერიოზული დარტყმა გრიგოლ XI მეუფებისათვის და შესაძლებელია მიზეზიც მისი უეცარი სიკვდილისა. ასე რომ, დიდმა ინგლისელმა რეფორმატორმა მაინც მოინელა დიდი ავინიონელი არამზადა.

● რომსა და ავინიონს შორის ბრძოლა მყისვე გაჩაღდა, როგორც კი გრიგოლ XI გადაყირავდა. ამ დროიდან იწყება ქრისტიანული ეკლესიის „დიდი განხეთქილება“, რაც ნახევარი საუკუნე გაგრძელდა. საქრისტიანო გაიყო ორ ნაწილად, ორივე ნაწილს თავისი პაპი ჰყავდა. მეტოქეები ერთიმეორეს დაუნდობლად ებრძოდნენ, რაც ევროპის ხალხებს ძვირად უჯდებოდათ.

ფრანგი და იტალიელი პაპები ერთიმეორეს ებრძოდენ არა მარტო ტახტისათვის, არამედ ბოროტმოქმედებაში პირველობისთვისაც: რომელი მეტ სიავეს და სისაძაგლეს ჩავიდენთო! იეზუიტი მემბური ამის თაობაზე წერს: „ცამეტი საუკუნის განმავლობაში არც ერთი სქიზმა არ ყოფილა ამაზე საშინელი. განხეთქილება დაჭღუპველი იყო არა მარტო იმით, რომ ორმოცდაათი წლის მანძილზე ეკლესიას არ ჰყოლია კანონიერი პაპი, არამედ სასასტიკითა და დანაშაულობითაც, რაც ორივე მხრიდან ხდებოდა“. პაპთა სიცრუე და ამოუძირკვავი სიავე ამითაც გამოჩნდა.

გრიგოლ XI მემკვიდრედ ურბან VI აირჩიეს, ანტიპაპი, „ლატაკი პაპი“, ნეაპოლიტანელი. ტახტზე მისი აყვანიდან ორი თვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ანანიში შემოკრებილმა ფრანგმა კარდინალებმა მეორე პაპის არჩევა მოახერხეს. თურმე ურბან მეექვსის ერთ-ერთი მახლობელი პირი მოისყიდეს, რომელმაც რომიდან ფარულად წაიღო პაპის ტიარა, წმინდა პეტრეს გასაღები, მწყემსის ბეჭედი და პაპის ღირსების სხვა ნიშანები. გამძვინვარებულმა ურბანმა სასწრაფოდ შეაგროვა არმია და ანანიში დაიძრა, სადაც იმედი ჰქონდა, რომ იოლად დააშოშმინებდა ფრანგ კარდინალებს. მაგრამ შეცდა: ჯარისკაცებთან მოუხდა საქმის დაჭერა, თუმცა ეგონა, რომ მხოლოდ კლირიკებს შეხვდებოდა. რომში რომ დაბრუნდა, გაიგო, რომ მეტოქე გაუჩნდა, სახელად კლიმენტი VII. გაცოფებულმა ურბანმა ბრძანა გაეწყვიტათ ყველა ფრანგი, რომელიც კი მარადიულ ქალაქში ცხოვრობდა, არ დაენდოთ არც ქალი, არც კაცი, არც მოხუცი, არც ბავშვი.

კლიმენტი VII ურბანის ღირსეული ორეული იყო. აი, რას წერს ამ მეორე ურჯუკზე იეზუიტი მემბური: „რობერტ ჟენეველი

(ასეთი იყო პაპის საერო სახელი) 36 წლის ასაკში ავიდა ტახტზე. ხასიათი და მიდრეკილებანი იმპერატორისა ჰქონდა. არავითარ საშუალებას არ ზოგავდა მიღებაზე. ჰერცოგებს, ელჩებს და სენიორებს მეფურად იღებდა. იმის უნარს კი სრულიად მოკლებული იყო, რომ საქმისათვის ხელი სერიოზულად მოეკიდა. მისი მთავარი მანკი იყო ღორმუცელობა. საყვარლებსა და ფავორიტებს ნათესაობაში ირჩევდა, შორს არ მიდიოდა, საჩუქრებითა და პატივით ავსებდა ყველას".

როგორც კი კლიმენტი VII ავინიონში გამაგრდა, რომის სამღვდელოების ზედა ფენაში ძლიერი მღელვარება დაიწყო. ეპისკოპოსები და კარდინალები პირდაპირ გარბოდნენ და ახალგაზრდა გარყვნილ პაპს უკრავდნენ თავს, რადგან ხედავდნენ, რომ კლიმენტი ,მეექვსის ეპოქის სასახლის ზნეობა უნდა აღედგინა. მალე ვატიკანი დაცარიელდა. ქრისტეს მოადგილეებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, და ეს იყო ბრძოლა ყაჩაღთა — მთელი საფრანგეთისა და იტალიის ბანდები ჩააბეს ამ ომში. მხარეებს ეწოდათ კლემენტისტები და ურბანისტები.

საქმის ვითარება არ გაუმჯობესებულა არც ურბან VI სიკვდილის შემდეგ. რომის კარდინალებს შეეძლოთ ბოლო მოეღოთ განხეთქილებისათვის, თუ პაპად ცნობდნენ კლიმენტი მეშვიდეს, მაგრამ საფრანგეთის ზეგავლენისა ეშინოდათ და ტახტზე თავიანთი პაპი დასვეს — ნეაპოლიტანელი პეტრე ტომაჩელი, ბონიფაციუს XI.

ბონიფაციუსი მომხვეჭელი იყო, კლიმენტი VII— მფლანგველი. პირველი აგროვებდა ოქროს და ტკბებოდა მისი ყურებით, მეორე კი ოქროში ხედავდა თავისი ვნებების დაკმაყოფილების საშუალებას. მაგრამ ერთ რამეში პაპები თანხმდებოდნენ: არავითარ ღონისძიებას არ ერიდებოდნენ გასამდიდრებლად.

პარიზის უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ 1380 წელს სცადა განხეთქილების შეწყვეტა, შემდეგ ეს ცდა განაახლა ბონიფაციუს IX არჩევის შემდეგ, და გაუგზავნა კიდეც კლიმენტი მეშვიდეს უაღრესად ენერგიული წერილი, რამაც პაპზე ისე ძლიერ იმოქმედა, რომ წაკითხვისთანავე გარდაიცვალა.

ავინიონელმა კარდინალებმა ყური არ ათხოვეს პარიზის უნივერსიტეტის პროტესტს და მაშინვე დაიჭირეს თადარიგი, რომ რომაელთა მაგალითისამებრ ახალი პაპი აერჩიათ. მაგრამ ვიდრე არ-

ჩიენებს შეუდგებოდნენ. ყოველმა კარდინალმა სათითაოდ ფიცი დადო, თუ პაპად მე ამირჩევენ, ეკლესიის გაერთიანების გულისათვის პირველსავე შემთხვევაში ტახტზე უარს ვიტყვიო.

ფრანგ კარდინალთა არჩევანი შეჩერდა ესპანელზე, ჯიუტსა და ცბიერ პედრო დე ლუნაზე, პაპთა შორის ყველაზე უფრო დღეგრძელ კაცზე, რომელიც იმდენად ეშმაკი იყო, რომ სიკვდილიც კი მოატყუა: ასი წელი იცოცხლა. ტახტზე ასვლის დღიდან, მისი სახელი იყო ბენედიქტე XIII. ბენედიქტე იფიცებოდა, უარს ვიტყვი ტახტზე, თუ აუცილებელი იქნებაო, მაგრამ ფიცის ასრულებაზე კი არ ფიქრობდა. ან რადის ჩათვლიდა საჭიროდ თავის გადადგომას? როცა ფრანგთა მეფემ კატეგორიულად დაუსვა გადადგომის საკითხი, ბენედიქტემ ხელმწიფის ელჩს განუცხადა: „არ გადავდგები! დაე, იცოდეს თქვენმა მბრძანებელმა, რომ უზენაეს მღვდელმთავრად არჩეული ვარ უზენაესი ღმერთის ნებით და არასოდეს არ დავემორჩილები ადამიანის ნებას!“ კარდინალებმა გაითვალისწინეს, რომ პაპის ასეთი პასუხი გართულებებს გამოიწვევდა და საჩქაროდ მიატოვეს ავინიონი. მათი შიში შემთხვევითი და ამაო არ აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქს მეფის ჯარებმა ალყა შემოარტყეს და პაპის გაცემა ითხოვეს. ავინიონის მოქალაქეებმა და ხელისუფალთ კატეგორიული უარი თქვეს ბენედიქტეს დაცვაზე, და ბებერ პაპს ისღა დარჩა, თავისი სასახლიდან გაეწია გარნიზონისათვის სარდლობა. მისი მდგომარეობა უიმედო ჩანდა, მაგრამ სამეფო ჯარის ერთ-ერთი უფროსის დახმარებით ავინიონიდან გაიქცა და ერთ მიუვალ სიმაგრეს შეაფარა თავი, იქიდან შეუთვალა მეფეს, რომ „ღმერთის, ანგელოზების, მთავარანგელოზის და მთელი ციური მხედრობის შეწევნით დაამარცხებს მთავრებსა და სენატორებს, წმინდა ეკლესიის საზეიმოდ და სადიდებლად“.

მეფემ უარი თქვა ბრძოლაზე მოწინააღმდეგესთან, რომელსაც თვითონ ზეცა ეხმარება: ზავი შეკრა ბენედიქტესთან და ბებერი ობობაც ზეიმით დაბრუნდა ავინიონში.

ბონიფაციუს IX უსაზღვრო სიხარბის ამბავი რომ იცოდა, ბენედიქტემ სცადა ფულის დახმარებით მიეღწია იმისათვის, რომ მის მეტოქეს ტახტზე უარი ეთქვა, და რომში მოსალაპარაკებლად დელეგაცია გაგზავნა. ბონიფაციუსმა საზეიმო ვითარებაში მოუსმინა თავის კონკურენტის წარმომადგენლებს და სთხოვა, მოსაფიქრებლად

დრო მომეცითო. მეორე დღეს საიდუმლოდ მოიწვია უცხოელი ელჩები, კარდინალები, ეპისკოპოსები, აგრეთვე რომის სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლები, შემდეგ კი ბენედიქტეს ელჩები იხმო. როგორც კი დარბაზში დელეგატები შეკრებილნენ, ტახტზე მორჩმით მჯდომარე ბონიფაციუსმა ტრიუმფატორის კილოზე გამოაცხადა: „მე ბრალს ვდებ ანტიპაპს, რომელიც თავის თავს ბენედიქტე მეცამეტეს ეძახის, იმაში, რომ შემომთავაზა სამარცხვინო გარიგება, ათი მილიონი ოქროს ფლორინი შემაძლია პაპის ტიარისათვის. წინადადებას ვაძლევ მის აგენტებს დაადასტურონ ჩემი ბრალდება“.

მაგრამ ავინიონის პაპის დელეგატები ასეთ ხრიკს ელოდნენ მღვდელმთავრისაგან და მას მომზადებულნი შეხვდნენ. მაშინვე ფიცით თქვეს, რომ ბენედიქტემ კი არა, თვითონ ბონიფაციუსმა მისცა მათ ასეთი საზიზღარი წინადადება: პაპის ტიარა მოგვყიდოსო რომის სასარგებლოდ ავინიონმა. გამძვინვარებულმა პაპმა ბრძანა ბენედიქტეს წარმომადგენელთა შეპყრობა და წამებით დაკითხვა, რომ სიმართლე ეღიარებინათ. მაგრამ დელეგატებმა თამამად უპასუხეს, პარლამენტიორი ხელშეუხებელიაო.

მთელმა ამ დავიდარაბამ შეარყია გარყვნილი ცხოვრებით ისედაც შერყეული ბებერი ბონიფაციუსის ჯანი. აღწერილი ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როცა წმინდა მამა თავისი ერთ-ერთი საყვარლის მკლავებში ეძებდა მიწიერი დარდის დავიწყებას, ბიწიერი ძარღვი გაეხსნა, აუვარდა საშინელი სისხლდენა, რისი შეჩერებაც ვერა ღონისძიებით ვერ შესძლეს. ჯერაც ვერ მოესწროთ ავინიონელი პაპის დელეგატებს რომიდან გასვლა, როცა ავხორცმა ბონიფაციუსმა, ქრისტეს მოადგილემ, ცოდვილი სული ჩააბარა... ვენერას.

იმ პაპთა შორის, რომელთაც ეკლესია თავგამოდებით აქებს, ამ პაპზე გამორჩეული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ მან სარწმუნოებისათვის სისხლი დაღვარა. ამას ადასტურებს ახალგაზრდა მეძავი, რომლის სარეცელშიც სული დალია.

ბონიფაციუსის სიკვდილი რომ გაიგეს, ბენედიქტეს ელჩები რომში დარჩნენ და დაიწყეს ყოველ მხარეს ფულის ჩუქება, იქნებ კარდინალები დავიყოლიოთ, რომ ავინიონის პაპი ცნონო. კარდინალებმა ბლომად ოქრო ჩაიჯიბეს და სრულიად არხეინად აირჩიეს

ტახტზე ბონიფაციუსის მემკვიდრე ინოკენტი VII. ამრიგად, ფულიც იშოვეს და პაპიც საკუთარი დაისვეს.

იტალიის სამღვდელოების უმრავლესობამ ინოკენტი VII ცნო, სამოქალაქო მოსახლეობამ კი მთელი რიგი ზირობები წაუყენა. უწინარეს ყოვლისა, რომაელებმა მოითხოვეს, რომ ქალაქის საქმეები ხალხს განეგო და არა პაპს. პაპმა მოკლედ და მკაფიოდ უპასუხა: გარეკა სახალხო წარმომადგენლები. რომაელები აღშფოთდაენ და იარაღით ხელში გამოვიდნენ ახალი მღვდელმთავრის წინააღმდეგ, რომელიც თავიდანვე ხალხის აბუჩად აგდებით იწყებდა ბატონობას. ვატიკანი აიღეს, პაპი რომიდან გაიქცა.

ეს რომ ბენედიქტე XIII გაიგო, მაშინვე შეკრიბა ჯარი და იტალიას მიაშურა. ჯერ გენუაში გადმოვიდა და მიაღწია თავის აღიარებას კანონიერ პაპად. მაგრამ ვიდრე ბენედიქტე გზაში იყო, ინოკენტი VII ინტრიგებისა და მოსყიდვების საშუალებით ტახტის გზა ისევ შეიმოკლა და რომში დაბრუნდა. მაშინ ბენედიქტემ მარადიულ ქალაქში გაგზავნა თავის აგენტები, რომელთაც მოისყიდეს რომის პაპის მახლობლები და მოაწამვლინეს ინოკენტი. დარჩა ისევ კენტი პაპი.

მაგრამ ვერც ამან უშველა ბენედიქტე XIII. მიზეზები განხეთქილებისა უფრო ღრმა იყო და სამსალა ამას ვერ უშველიდა. რომის კარდინალებმა იცოდნენ, რომ ავინიონის კურია მათ დაბრკოლებას შეუქმნიდა არჩევნებში, აღარ დაუცადეს ინოკენტის დაკრძალვას და ტახტზე დასვეს ვენეციელი ანჯელო კორერი — გრიგოლ XII. ეს მოხდა 1406 წელს.

მაგრამ რა ჯორზეც არ უნდა შემჯდარიყვნენ რომისა და ავინიონის პაპები, განხეთქილება მუდამ ვერ გაგრძელდებოდა. წყალი, თუნდაც შხამიანი. მიაზმით გაჟღენთილი და დამყაყებული, მაინც ნაგუბარში უნდა ჩადგეს. საერო მბრძანებლებს აშკარა მოუთმენლობა დაეტყოთ. ერთის ნაცვლად ორი პაპის, ორი სასახლის შენახვა, ამას მიმატებული ხარჯები, დაკავშირებული პაპთა ბრძოლასთან, — ყოველივე ეს მეტისმეტად აფიქრებდა მეფეებს. გრიგოლ XII და ბენედიქტე XIII საფრთხე იგრძნეს და სწრაფად გაითამაშეს კომედია: ორივემ განაცხადა შეხვედრის სურვილი, რომ განხეთქილებისათვის ბოლო მოეღოთ.

მთელი ევროპა აეგო ვერაგ პაპთა ამ ანკესზე. მაგრამ მალე

აშკარა გახდა, რომ პაპები მხოლოდ ერთ რამეში შეთანხმებულან: ასეთივე მდგომარეობა შევინარჩუნოთო.

თავის რეზიდენციაში რომ დაბრუნდა, გრიგოლ XII, თავისი საყვარელი სამწყსოს ჭკუის სასწავლებლად კონფისკაცია გაუკეთა იმ მოძღვართა ქონებას, რომელთაც ეჭვი აღუძრეს, განხეთქილების წინააღმდეგ წავიდნენო. გარდა ამისა, ცენზორთა კომიტეტი შექმნა, რათა ქადაგებისათვის თვალყური ედევნებინა. ამ ღონისძიებამ კარდინალების პროტესტიც კი გამოიწვია. ბევრმა მათგანმა გრიგოლის სასახლე მიატოვა. მართალია, ტიაროსანმა ობობამ ურჩებს ანათემის რისხვა დაადევნა, მათი შეპყრობა და ცეცხლით წამება ბრძანა (რა ჩქარა ბრაზდებიან პაპები!), მაგრამ ბევრმა მოასწრო პარიზში ჩასვლა. თავი რომ სამშვიდობოს იგრძნეს, კარდინალებმა მეტად მკაცრი მანიფესტი გამოაქვეყნეს პაპის წინააღმდეგ. იტალიის სამღვდელოებას შეუერთდნენ ავინიონელი კარდინალებიც, რომლებიც მზად იყვნენ უარი ეთქვათ ბენედიქტეს მორჩილებაზე. საფრანგეთის მეფემ კარლ VI ბენედიქტე XIII გააფრთხილა, რომ თუ განხეთქილება არ შეწყდება, პაპს აეკრძალება სამეფოს საზღვრებში შემოსვლა.

საპასუხოდ ბენედიქტე XIII თავის ეპისტოლეში შხამს ანთხევდა: „მორწმუნეთა უზენაესი მამა, ბენედიქტე XIII აცხადებს: თუ 20 დღის განმავლობაში საფრანგეთი მას არ დაემორჩილება, პაპი საერთო ინტერდიქტს დაადებს საფრანგეთის მთელ სამფლობელოებს და ქვეშევრდომებს გაათავისუფლებს მეფის ერთგულების ფიცისაგან. ამას გარდა, საფრანგეთის მეფის გვირგვინი გადაეცემა იმას, ვინც წმინდა ეკლესიის საქმისათვის უფრო ერთგული იქნება“.

ბუნებრივია, რომ ასეთმა ეპისტოლემ კარლ VI ლამის გააგიჟა (სამწუხაროდ, ასეთი სიგიჟე მეფეებს მალე გაუვლიდათ ხოლმე). ორივე პაპის თავხედურმა საქციელმა მოთმინების ფიალა აუვსო საერო მთავრებსაც. საქმე იმით დამთავრდა, რომ ვიდრე გრიგოლი და ბენედიქტე ქალაქიდან ქალაქში დაეთრეოდნენ და მომხრეებს უყრიდნენ თავს, პიზაში გაიხსნა ყრილობა, რომელმაც ორივე მღვდელმთავარი გადააყენა და აირჩია ალექსანდრე V.

ორივე ავაზაკმა. ბენედიქტემ და გრიგოლმა, უარი თქვა ყრილობის გადაწყვეტილების დამორჩილებაზე. ასედაც იყო მოსალო-

ლნელი. პაპებს არაფერი არ აკავშირებდათ მოცქეულის ტახტთან, სიხარბისა და პატივმოყვარეობის გარდა. რისთვის დათმობდნენ ერთსაც და მეორესაც? მოხდა უარესი. ერთი პაპის ნაცვლად აღმოჩნდა სამი. შეიქმნა სამპაპობა.

ალექსანდრე V პონტიფიკატი წელიწადზე ცოტა ნაკლებ ხანს გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეკლესიის ფაქტიური გამგებელი იყო პაპის ფავორიტი ბალთაზარ კოსა, სახელგანთქმული მეკობრე, ვაჟკაცი, ღვთისმეტყველების დიდი მცოდნე, დაუშრეტელი ენერგიის ადამიანი, ნამდვილი ტიპიური შვილი თავისი მღელვარე და საშინელი ეპოქისა. ალექსანდრეს პონტიფიკატის პირველსავე დღეებში ცდილობდა კოსა ტიარის დაუფლებას, და მისებრ უნივერსალური ნიჭის პატრონისათვის, რასაც უსაზღვრო ცინიზმი და ვერაგობა თან ერთვოდა, ეს დიდ სიძნელეს არ შეადგენდა. ხანგრძლივი ინტრიგების შემდეგ მან დაიყოლია ლეიბ-მედიკი, რომ ალექსანდრე მოეწამლა. ჭამა-სმას გადაყოლილი გულუბრყვილო ალექსანდრე, რომელიც კოსას ასე ენდობოდა, შავ მიწაში ჩაწვა, ბალთაზარ კოსა კი წმინდა ტახტზე ავიდა, უფრო ბასრი სტილეტის შემწეობით, ვიდრე პატიოსანი გზით, და სახელად იწოდა იოანე XXIII.

იოანე XXIII
(ბალთაზარ კოსა)

● დამნაშავეთა და არამზადების ამ საარაკო და შეუდარებელ კოლექციაშიც კი გამოირჩევა იოანე XXIII თავისი საგმირო საქმეებით. არ არსებობს დანაშაულის არც ერთი სახეობა, რომლითაც ამ ხორცშესხმულ ბოროტებას თავისი სახელისათვის ჩირქი არ მოეცხო. ჯერ ერთი, როგორც გადმოგვცემენ, სასულიერო წოდების მიღებამდე ის იყო ჩვეულებრივი მეკობრე.

ხალხმა თავიდანვე შეიძულა იოანე XXIII, ასე რომ ნეაპოლიტანის მეფემ სულ იოლად მოაწყო მის წინააღმდეგ შეთქმულება. მაგრამ დროზე გაფრთხილებულმა კოსამ ბოლონიაში მოასწრო გაქცევა, სადაც უწინ სწავლობდა და ნასიყვარულო ინტრიგებში ჩაფლული ათასგვარ დანაშაულს სჩადიოდა, ახლა კი დახმარებისათვის აქედანვე მიმართა იმპერატორ სიგიზმუნდს. ხელახ-

ლა მოიწვიეს ყრილობა. ეს იყო სახელგანთქმული კონსტანციის საეკლესიო კრება. იოანეს არ მოეწონა, რომ ყრილობის ადგილად საიმპერიო ქალაქი აირჩიეს, მაგრამ იმედს ამყარებდა თავის ინტრიგულ ნიჭზე და ყრილობის მონაწილეთა მექრთამეობაზე.

კონსტანციის საეკლესიო ყრილობა გაიხსნა 1414 წელს.

ეს იყო უზარმაზარი ყრილობა, რომლის მსგავსი უწინ არავის ახსოვს. ოთხი ათასზე მეტი ადამიანი მოზღვავდა კონსტანცაში, — სამღვდელოების, დიდკაცობის, ხელოსანთა კორპორაციების, ოქრომჭედელთა, ხარაზთა, დალაქთა, მუსიკოსთა, ქვისმტეხელთა თუ სხვა წოდებისა და ხელობის წარმომადგენელთა სახით.

ისტორია დუმს იმაზე, ჰქონდათ თუ არა მუსიკოსებს თან წაღებული საკრავები, რომ სენიორები და კარდინალები შესვენებაზე ცეკვა-სიმღერით გაერთოთ. სავსებით შესაძლებელია, რომ ასედაც ყოფილიყო, რადგან ვიცით, რომ ყრილობაზე ლამაზი ქალების ნაკლებობა არ ყოფილა. შვიდას თვრამეტი მომხიბლავი მეძავი იყო მიწვეული, რომ საგანგებო სამსახური გაეწიათ საეკლესიო ყრილობის მონაწილეებისათვის. თვით საეკლესიო იერარქებმა ხომ დამატებით კიდევ საკუთარი საყვარლებიც თან იახლეს და მათი თანხლებით სრულიად არხეინად დასეირნობდნენ ქალაქში. საყვარელი თან ახლდა იოანესაც.

პირველმა სხდომამ დააიმედა იოანე. დარწმუნებული იყო, რომ ბენეფიციუმების, ტიტულებისა და საჩუქრების გაცემით უკვე მიიმხრო ყრილობის გავლენიანი მონაწილეები. მაგრამ იმპერატორმა, რომელიც ფარულად თვალს ადევნებდა ძველი მეკობრის სახმელეთო მანევრებს, ანაზდეულად დააყენა პაპის გადაყენების საკითხი, და ეს წინადადება ყრილობის უდიდესმა უმრავლესობამ მიიღო. იოანე XXIII ამდენს არ მოელოდა, ზეზე წამოდგა, იმპერატორთან მიიჭრა და განუცხადა, რომ კონსტანციდან წავა, და ასეთ დამცირებას კი არ აიტანს. მაშინ სიგიზმუნდმა ქალაქის ჭიშკრებთან გუშაგთა რაზმების გაძლიერება ბრძანა და იოანეს დაუყოვნებლივ გადადგომა მოსთხოვა. იოანეს შეურაცხმყოფელ მუქარაზე სიგიზმუნდმა ბრძანა წაეყვანათ პაპი მისთვის განკუთვნილ სახლში და თავზე გუშაგები დაეყენებინათ, რომ არსად გაქცეულიყო. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე, იოანემ გუშაგები დაათრო, ბერის სამოსელი ჩაიცვა და გაიპარა. იგი ავინიონის გზას დაადგა.

ჯერ შაფჰაუზენში დაიმალა, მერე ფრაიბურგში. ყრილობას კი გაუგზავნა წერილი, რომელშიც იუწყებოდა: თუ ჩემს პირობებს მიიღებთ, გადავდგებიო: მისთვის უბადა შეენარჩუნებინათ მუდმივი ლეგატის ტიტული იტალიაში, უნდა მიეცათ პენსია ოცდაათი ათასი ოქროს ფლორინის რაოდენობით, მის განკარგულებაში უნდა გადაეცათ ბოლონა, ავინიონი და კიდევ რამდენიმე ქალაქი.

ბალთაზარ კოსა აბუჩად იგდებდა კონსტანცის ყრილობას (ცნობილია, რომ დელეგატების მისვლაზე ლოგინიდან არ წამომდგარა, მერე ზურგი აქცია და საჯდომის ფხანას მოჰყვა). ყრილობის მონაწილეები დარწმუნდნენ, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება ამაო იქნებოდა, იოანე თავისი ნებით არ გადადგებოდა, და ერთხმად გამოიტანეს დადგენილება, რომლის ძალითაც ის დამხობილად ცხადდებოდა.

ამ დადგენილებაში ჩამოთვლილია იოანეს მთავარი დანაშაულობანი. უტყუარი ფაქტები დამტკიცდა, რომ ვიდრე პაპი გახდებოდა, მან თავის წინამორბედს მიუგზავნა მომწამვლელი, რომელიც შემდეგ თვითონ თავისი ხელით მოწამლა; ბალთაზარ კოსამ ნამუსი ახადა სამას მრნაზონს; დანაშაულებრივი კავშირი იყო თავისი ძმის ცოლთან; სოდომურ ცოდვებს სჩადიოდა ბერებთან (ამ მხრივაც უნივერსალური იყო!); გახრწნა მთელი ოჯახი, რომელიც შედგებოდა დედის, ვაჟიშვილის, სამი დისაგან, ამასთან სულ უფროსი და თორმეტი წლისა იყო მოურიდებლად ვაჭრობდა საეპისკოპოსო კათედრებით და შეჩვენებითაც კი; ათასობით უდანაშაულო ადამიანი აწამა ბოლონიასა და რომში; მოწამლა საკუთარი საყვარელი...

ყველა ამ და მრავალი დანაშაულისათვის კრებამ დაამხო იოანე XXIII და გადასცა საერო სასამართლოს, როგორც „გამოუსწორებელი ცოდვილი, ზნედაცემული არამზადა, სიმონისტი, ხანძრების გამჩენი, მოღალატე, მკვლელი და გამხრწნელი". სულ განაჩენი შეიცავდა სამოცდათოთხმეტ მუხლს, რომელთაგანაც ოცი ბრალდება საჯაროდ არ წაიკითხეს, იმდენად ზარდამცემი და უმსგავსი დანაშაულობანი ჰქონდა ჩადენილი ამ საზარელ ადამიანს.

კონსტანცის კრებამ, რომელმაც თავისი საქმიანობა სამართლიანი აქტით — იოანე XXIII დამხობით დაიწყო, შემდგომში

სამუდამოდ შეირცხვინა თავი: კოცონზე დაწვა მიუსაჯა ორ დიდ სწავლულსა და მამაც ადამიანს — იან ჰუსსა და მის მოწაფეს იერონიმე პრაღელს.

დიდი ღვთისმეტყველი ჰუმანისტი, დოქტორი იან ჰუსი იყო თავისი დროის უაღრესად განათლებული ადამიანი, ცნობილი თავისი ზნეობრივი სისპეტაკით. კაცი, რომელიც მზად იყო ყველაფერი შეეწირა თავისი რწმენისათვის, და შესწირა კიდეც. ანეთიევ იყო მისი მოწაფე იერონიმე პრაღელი.

იან ჰუსი და იერონიმე პრაღელი დიდი ხანია ულმობელ ბრძოლას ეწეოდნენ საეკლესიო ხრიკებისა და მუხანათობის წინააღმდეგ, მღვდლების გაიძვერობის წინააღმდეგ. უარყოფდნენ აგრეთვე ზოგიერთ საეკლესიო დოგმატს, ამტკიცებდნენ, რომ პაპი კი არა, ღმერთი მიუტევებს ადამიანებს ცოდვებს, არ ცნობდნენ პაპის უცოდველობის აბსურდულ დოგმას.

ჰუსი სამწუხაროდ კონსტანცაში ჩავიდა, ენდო იმპერატორის დაპირებას, მფარველობას გაგიწევ და თავისუფლად იქადაგებ შენს დებულებებსო. სიგიზმუნდმა მართლაც შეუვალობის სიგელიც მისცა. მაგრამ როგორც კი კონსტანცაში გამოჩნდა, გაავებულმა მტაცებლებმა ხელი ჩაავლეს და მამაცი მქადაგებელი დააპატიმრეს. არსებითად ეს საქმე კოსას წამოწყებული იყო, კოსა და ჰუსი ერთდროულად იყვნენ დაპატიმრებული, მაგრამ პაპებს მორიელის ჯაშაები ეკრათ (კოსა შემდეგაც დიდებულად მოეწყო). ჰუსს კი — მარტო იმპერატორის ჯავშანი, რამაც ვერ იხსნა. ბორკილგაყრილმა ჰუსმა გულგრილად მოისმინა სიკვდილის განაჩენი, მერე ის საერო ხელისუფალთ გადასცეს. მოძალადე ხუცებმა იმისი უფლებაც კი წაართვეს,რომ მოწმეთა ჩვენების სიყალბე გაებათილებინა.

იერონიმე პრაღელი კონსტანცაში ჰუსის დახმარების მიზნით ჩავიდა, მაგრამ კეთილშობილი ადამიანი გზაშივე შეიპყრეს. ეს იყო ანგარიშის გასწორება შორეული, სამართლიანი და საშიში მტრისათვის. მალე ისიც ერეტიკოსად გამოაცხადეს და დაწვეს. პირველად იერონიმე შედრკა, მერე კი სიკვდილს ისიც რკინის სიმტკიცით შეხვდა. მათი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ისტორიაში.

* * *

სამპაპობისათვის რომ ბოლო მოეღო, კონსტანცის კრებამ გადაიყენა ორი დანარჩენი პაპიც — გრიგოლ XII და ბენედიქტე XIII,

რომლებიც უწინდებურად განაგრძობდნენ თავიანთი თავის გამოცხადებას ქრისტეს მოადგილეებად. მეტად ჩამორჩენ ცხოვრებას, ისედაც ჩამორჩენილნი, და ქრისტემ არ აცხონა არც ერთი. გრიგოლ XII მერე ცოტა გონს მოეგო და გადადგა, ეპისკოპოსად დაინიშნა, მაგრამ მალე სული განუტევა. ბენედიქტე კი დიდხანს ჯიუტობდა, მერე განრისხებულმა ყრილობამ ის გადააყენა. რაკი არაფერმა არ გაჰრა, საბოლოოდ დამხობილად გამოაცხადა, როგორც გამთიშველი და ფიცის გამტეხი.

მღვდელმთავრის ტიარა მარტინ V მიიღო. დიდი განხეთქილება შეწყდა.

მაგრამ როგორც კი პაპის ტახტზე ავიდა, მარტინ V ენერგიულ ოპოზიციას შეხვდა. ზოგიერთმა კარდინალმა მისი მისამართით ანონიმური სატირების გზავნაც კი დაიწყო. შურისძიების სხვა ღონისძიება რომ ვერ მოიგონა, მარტინ დუხჭირმა იან ჰუსის სრულიად უდანაშაულო მიმდევართა კოცონზე გაგზავნით იყარა ჯავრი. მისი აზრით, ამდენი ადამიანის დაწვა მის ყველა მოწინააღმდეგეს დააშინებდა და გააჩუმებდა. ამ აბსურდული საბუთის ნიადაგზე უამრავი ადამიანი იღუპებოდა.

როცა ბალთაზარ კოსამ სურვილი გამოთქვა, მზად ვარ ქრისტეს ერთადერთ კანონიერ მოადგილეს ვემსახუროო, წმინდა მამა მას აღტაცებით შეეგება, საჩუქრებით აავსო, კარდინალად დანიშნა, მაგრამ ორი თვის შემდეგ მოწამლა ეს უდიდესი მომწამველი და ყოფილი პაპი, რომელსაც ვერავინ მოერია. ამრიგად, მარტინმა დიდ განსაკუთრებულ „წარმატებას“ მიაღწია, თავიდან მოიცილა ბალთაზარ კოსა, რომელმაც ბევრი საზრუნავი გაუჩინა და ძილი დაუფრთხო. ახლა მარტინმა გადაწყვიტა ასევე მოეცილებინა მეორე მეტოქე — ბენედიქტე XIII. ეს საქმეც მოაგვარა.

მკვლელობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: სიკვდილის წინ ბენედიქტემ ორი კარდინალის მოხმობა მოასწრო, მემკვიდრეს არჩევა დაავალა, იმათაც დავალება შეასრულეს და ამრიგად რამდენიმე წლის განმავლობაში ანტიპაპის როლში გამოდიოდა მუნოცი — კლიმენტი VIII. მაგრამ მარტინ მეხუთის ლეგატმა მიაღწია იმას, რომ არაგონიის ფეოდალებმა და ეპისკოპოსებმა გადაყენების ძუქარით აუკრძალეს ალფონს მეფეს კლიმენტი მერვის მფარველობა. მაშინ ალფონსმა კლიმენტისთან ანგარიშის გასწორება ამჯო-

ბინა და ანტიპაპი იძულებული გახდა ტიარა დაბლა დაედო. გადადგომის აქტს ხელი მოაწერა 1429 წელს. ასე დასრულდა დიდი განხეთქილება, რაც თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში განუწყვეტელ ციებასავით აცახცახებდა ევროპის სახელმწიფოებს.

რომაელმა ოდონე კოლონამ, იგივე მარტინ V, კმაყოფილმა იმით, რომ როგორც იქნა ტახტზე მტკიცედ მოკალათდა, განიზრახა თავისი ზეიმის საქვეყნოდ აღნიშვნა. ბოროტი მღვდელმთავარი ჰუსიტებს არ ეშვებოდა. მაშინვე დაიწყო პოლონეთის მეფის წაქეზება, ომი გამოუცხადეო ჩეხ ერეტიკოსებს. ძალიან ენერგიული წერილი მიიღო პოლონეთის მეფემ რომის პაპისაგან, მაგრამ ერთბაშად არ ჩაბმულა ამ საშიშ ავანტურაში, რომლის შედეგი ფრიად საეჭვოდ ეჩვენებოდა. პაპი მაინც თავისას გაიძახოდა და მეფეც იძულებული გახდა დამორჩილებოდა. გამოცხადდა ჯვაროსნული ლაშქრობა ერეტიკოსების წინააღმდეგ, თანაც ამ ყბადაღებული ცოდვების მიტევებას ჰპირდებოდნენ მის ყველა მონაწილეს. საკითხავია, ვინღა შიუტევებდა ცოდვებს ქრისტიან ხელმწიფეებს, რომლებიც ქრისტიანებს ნადირივით დევნიდნენ და ჟლეტდნენ? მაგრამ ასეთ კითხვებს მაშინ არავინ იძლეოდა.

მეფისა და პაპის დაქირავებული მკვლელები ბოჰემიაში შეიჭრნენ. მაგრამ კათოლიკურმა ღმერთმა, რომელიც ამჯერადაც ალბათ პაპის ჯარს მიუძღოდა, რატომღაც ერეტიკოსების წინაშე ფარხმალი დაყარა. ჩეხები გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ. ეს მამაცი ხალხი არასოდეს არ ეგუებოდა გადამთიელთა ტირანიას, და ჰუსის სახელი იქცა ეროვნული თავისუფლების დროშად. ჰუსიტების არმია ისეთი დიდების შარავანდედით იყო მოცული, ისეთი შიშის ზარს იწვევდა, რომ საკმარისი იყო მისი მოახლოების ცნობა მოსულიყო და პაპის ჯარები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ.

როცა დამარცხების ამბავმა პაპის ყურამდე მიაღწია, თავისი მრავალრიცხოვანი არმიის გამარჯვებაში დარწმუნებულმა მარტინ V მოწყალე ღმერთის ღალატს ვერ გაუძლო, ტვინში სისხლი ჩაექცა სული ეშმაკს ჩააბარა. მხოლოდ ახლა დაამტკიცა, რომ პაპს ტვინი ჰქონია.

—

განათლებული შარლატანი
და გახრწნილი ადამიანი

1458 წელს მოციქულის ტახტზე ავიდა ენიუს სილვიო, პიკოლომინი,—პიუს II, პოეტი და დესპოტი, რომელიც თურქეთის სულთანს მთელს საქრისტიანოს დაპირდა, ოღონდ პირჯვარი გადაიწეროო. თუმცა პოეტის წოდებასთან ძნელი შესათავსებელია, ძაგრამ თავის წინამორბედებს არ ჩამოუვარდებოდა არც სისასტიკეში, არც ავხორცობაში და სიხარბეში, არც პატივმოყვარეობაში. მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ პიუს II უაღრესად მრავალმხრივი განათლება მიიღო. ასე რომ უძეცარს ვერანაირად ვერ ვუწოდებთ, და თუნდაც მარტო ამისათვის სრულიად ულმობელი განსჯის ღირსია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ენიუს სილვიო თავს მწერლად თვლიდა. წარმართობისა და ქრისტიანობის უცნაური ნარევი მის თხზულებებში მხოლოდ იმას მოწმობს, რომ რელიგია მისთვის მარტოოდენ სარფიანი საქმე ყოფილა. განა შეეძლო განათლებულ კაცს ეწამა მთელი ის აბდაუბდა, რითაც ქრისტიანული სარწმუნოებაა გაჟღენთილი? არა, პოეტ — ტირანს ბრალს ვდებთ სისასტიკისა და უსამართლობისათვის.

როგორც კი დარწმუნდა, რომ მოციქულის საჭურჭლე მისი წინამორბედის მემკვიდრეებს დაუცარიელებიათ, პიუს II უპირველესად თავისი ფინანსური საქმეების მოგვარებას შეუდგა. მანტუის კრების სხდომაზე ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა თურქების წინააღმდეგ და ევროპის ხელმწიფეები დაითანხმა, რომ ახალი გადასახადებით დაებეგრათ უბედური ქვეშევრდომები, თუმცა არც მეფეებს, არც თვით პაპს არავითარი განზრახვა არ ჰქონდათ გამგზავრებულიყვნენ თურქეთში და მახვილი ეჩვენებინათ ურჯულოებისათვის. უკანასკნელ სხდომაზე შარლატანმა პიუსმა გამოუშვა დეკრეტი, რომლის ძალითაც პაპი ცხადდებოდა არა მარტო საერო სახელმწიფოების, არამედ აგრეთვე საეკლესიო ყრილობათა უზენაეს მბრძანებლად, რითაც უარყო თვით კონსტანცის ყრილობის დადგენილება, რაც სამუდამოდ აკანონებდა ყრილობის უზენაეს ძალაუფლებას, პაპზე აღმატებულს. ამის შემდეგ წმინდა მამამ სასწრაფოდ შეაკოწიწა დაქირავებულთა რაზმი და რომზე დაძრა, რად-

გან მისი სხვაგან თარეშის დროს იქ ისევ რესპუბლიკა გამოეცხადებინათ. ქალაქი არ ელოდა უეცარ თავდასხმას და კაპიტულაცია მოახდინა. მეორე დღეს პაპი შეუდგა მეამბოხეებთან საყოველთაო ანგარიშსწორებას. რამდენიმე დღის განმავლობაში ჯალათებს საქრისტიანოს პირველ ჯალათთან მოჰყავდათ რომაელი მოქალაქეები, რომელთაც სახრჩობელა ან თავის მოკვეთა ელოდათ — იმის მიხედვით ,რომელს ინებებდა „პოეტი" — ურჯუკი. დიდხანს ახსოვდა რომს ეს ხოცვა-ჟლეტა. საერონი აღარ ერჩოდნენ დანებებულ ქალაქებს, პაპი-სატანები კი ჟლეტდნენ, რითაც ამტკიცებდნენ თავიანთ ნათესაობას ცოფიან მგლებთან.

სიკვდილამდე ცოტა ხნის წინ პიუს II კომედია გაითამაშა: ჭარი თქვა თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე, რასაც ტახტზე ასვლამდე ქმნიდა. თუ ამით უნდოდა ეთქვა, ტახტზე ასვლამდე ადამიანი ვიყავი, მერე კი ნადირი გავხდიო, ეს კომედია მოსაწონია. საერთოდ კი მუდამ არარაობა იყო. ენიუს სილვიოს იმ თხზულებებში მოთხრობილი იყო მისი პიკანტური თავგადასავალი, აღწერილი იყო იმ ქალთა ღირსებები, რომელთაც სარეცელი გაუზიარეს, მათი საიდუმლო მომხიბლაობა და ა. შ. საერთოდ, ავხორცი პაპის ეროტიკული ფანტაზია ისე მდიდარია, რომ მისი აღწერა არავის შეუძლია.

მაღი წამებისა

● პიუს II რომ გარდაიცვალა, ტახტზე ავიდა ვენეციელი კარდინალი პიეტრო ბარბო. როცა სახელის გამოცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა, მან განაცხადა, რომ ყველაფერს ამჯობინებს ფორმოზს, რაც იტალიურად ლამაზს ნიშნავს. კარდინალებმა, ეს რომ გაიგონეს, ჰომერიული ხარხარი ატეხეს: პიეტრო მახინჯი იყო. მაშინ ახალი პაპი დარწმუნდა, რომ ყველა სურვილი პაპსაც კი არ უსრულდება და გადაწყვიტა მიეღო სხვა სახელი: პავლე II.

კარდინალებმა პავლე II მთელი რიგი პირობები წაუყენეს და გონჯმა პაპმაც ფიცი დადო, შევასრულებო. ერთ-ერთი პირობა ასეთი იყო: ვითომ ჯვაროსნული ლაშქრობა უნდა გამოეცხადებინა, განსაკუთრებული გადასახადები მოეთხოვა და მთელი ეს შე-

მოსავალი კარდინალებთან ერთად გაეყო. ეს იყო ხარბი მგლების შეთქმულება ირმის ჯოგის წინააღმდეგ. წმინდა ტახტი წმინდა ძარცვაზე გადადიოდა.

ამ ფინანსური ოპერაციის პირველი ნაწილი პავლემ პირნათლად შეასრულა. რაც შეეხება მეორეს, პაპმა უმჯობესად ჩათვალა მთელი შემოსავალი თავის ხაზინაში დაეტოვებინა. რა თქმა უნდა, კარდინალებმა შუბლი შეიკრეს. მეტისმეტი გაბრაზება რომ შეატყო აფთრებს, პაპი დათანხმდა, რომ დაენიშნა სამი კარდინალისაგან შემდგარი კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებდა გადასახადის შეგროვებისა და გაყოფის საქმეს. პაპის დიდსულოვნურმა ჟესტმა კარდინალები ისევ დააშოშმინა და ეს საქმე მთლიანად მას მიანდეს. წამოვიდა ყველა ქვეყნიდან ოქროს ნიაღვარი. რომი გაივსო. მაგრამ ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, და პავლე II შეუდგა იმაზე ფიქრს, კიდევ რა ახალი ღონისძიებით გაეზარდა თავისი შემოსავალი. მაგალითად, ძალიან ძარჯვედ სარგებლობდა განკვეთის უფლებით. მის ხელში ეს ჰგავდა დამბაჩას, რასაც შარაგზის ყაჩაღი შუბლში ან მკერდში მიაბჯენს ხოლმე შიშით აკანკალებულ მგზავრს. შემდეგ თანამდებობიდან გადააყენა მრავალი ოფიცერი და კურიის მსახური, რათა შემდეგ მათთვის ბენეფიციუმები მიეყიდა. ზოგიერთმა მოხელემ ამ ღონისძიების წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. განსაკუთრებით ენერგიულად გამოვიდა სახელგანთქმული ისტორიკოსი პლატინა-პაპის მწერალი, რომელიც წმინდა მამის დეკრეტებს სუფთად გადაწერდა პერგამენტის ქაღალდზე — ეტრატზე, და ზედ ტყვიის ან ოქროს „ბურთულებს“ (აქედან „ბულა“) აბამდა...

— შენ ბედავ ჩემს განსჯას? — მრისხანედ შეუღრინა პაპმა. — განა არ იცი, რომ ყველა კანონი ჩემს თავში იბადება? რა შესაქმება, თუ შენ და შენი კოლეგები მოწყალებით იცხოვრებთ? ასეთია ჩემი ნება, რომლის უზენაესიც დედამიწაზე არა არის რა.

ზოგი მოხელე დარწმუნდა, რომ პავლეს აზრს ვერავინ შეაცვლევინებს, ამიტომ გადაწყვიტეს მიემართათ მეფეებისათვის, რომ მსოფლიო კრება მოეწვია და გადაეწყვიტათ მათი დავა წმინდა მამასთან (ჯერ საკითხის დასმაც დანაშაულია: ჯვაროსნული ლაშქრობის გადასახადი რა პაპისა და კარდინალების გასაყოფი იყო?!). ტახტის ერთგული პლატინა დაჟინებით მოითხოვდა, არ დაემცირე-

ბინა თავი წმინდა მამას და გაეუქმებინა თავისი ბრძანება. იმის ნაცვლად, რომ გონიერული რჩევა მიეღო, პავლე II განკარგულება გაუცა პლატინა დაეპატიმრებინათ.

უნდა აღინიშნოს, რომ პაპს, რომელიც გონჯი და ლენჩი იყო, სრულიად უმეცარი და რეგვენი, ჭირივით სძულდა მეცნიერები და მწერლები. მისი საყვარელი გამოთქმა იყო: „რელიგიამ უნდა გაანადგუროს მეცნიერება, რადგან მეცნიერება — რელიგიის მტერია“. ამ გამოთქმაში არავითარი გონებამახვილობა არაა, არის მხოლოდ გაშიშვლებული ვირობა, ანუ „წმინდა ვირობა“, როგორც ჯორდანო ბრუნო იტყოდა, და არის პაპიზმის მთელი არსი.

რომის ხელისუფალნი და ამქართა უფროსები ამ უაღრესად პოპულარული რომაელი მოქალაქის დაპატიმრებამ ააღელვა და ერთხმად მოითხოვეს მისი განთავისუფლება. პავლე მეორეს დათმობა მოუხდა, მაგრამ მწერალთან ანგარიშის გასწორების გასზრახვაზე ხელი არ აუღია. რამდენიმე ხნის შემდეგ ცრუ მოწმეები მოისყიდა და პლატინას რამდენიმე სხვა სწავლულთან ერთად მძიმე ბრალდება წაუყენეს: პაპის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდითო. ყველანი ინკვიზიციამ დაჰკითხა. მაგრამ თვით ამ სამპიროვანმა ურჩხულმა ვერაფერი ათქმევინა ვერც პლატინას, ვერც მისი უბედურების მოზიარე ამხანაგებს. ცრუ ბრალდება არ გამართლდა. მაშინ წმინდა მამამ ნამდვილი წამებით სცადა აღიარების „ამოგლეჯა“.

პირველად პლატინა აწამეს. სრულიად გაატიტვლეს და შეიყვანეს თაღოვან ოთახში, რომელიც მინით იყო გადატიხრული. ოთახის ცალ მხარეს ტახტზე იჯდა თვით ბელზებელი — რომის პაპი, ფავორიტებით გარემოცული, მეორე მხარეს წამება ხდებოდა. აი, რა სახე ჰქონდა ამ ჯოჯოხეთურ პროცედურას: გაშიშვლებულ ისტორიკოსს სვამდნენ სამი ფუტის სიმაღლის პალოზე, რომელსაც ალმასის ბუნიკი აგვირგვინებდა. ეს თურქულ პალოზე საშინელი რამ იყო — იქ აღსასრული უფრო მალე დგება. აქ კი ყველაფერი იმისათვის იყო გამიზნული, რომ ტანჯვა მეტ ხანს გაგრძელებულიყო. ო, ბნელო ევროპავ, სად გეძინა და რამ დაგაძინა, როცა ქრისტეს მოადგილედ წოდებული გონჯი პაპი პალოზე სვამდა ქრისტიან მეცნიერებს?.

წამება რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მაგრამ მამაცმა და

გაუტეხელმა პლატინამ ერთი სიტყვითაც კი არ აღიარა მისთვის წაყენებული ბრალდება. პაპის ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა და პლატინა ქვის ტომარაში ჩასვეს. მისი ადგილი სხვა ბრალდებულებმა დაიჭირეს. მათს სხეულს გავარვარებული გაზებით გლეჯდნენ, ჭრილობებში გამდნარ ტყვიას აღვრიდნენ, მაგრამ წყეულმა ჯალათებმა ვერ მიაღწიეს იმას, რომ ამ მამაც ადამიანებს პლატინა დაესმინათ. აი, სად ინახებოდა კაცობრიობის ნათელი ძალა, რომელსაც პაპიზმის მიაზმის შხამში ჩავარდნილი ადამიანის მოდგმა უნდა გადაერჩინა! ეს იყო ტირანიისა და ნებისყოფის ბრძოლის საუკუნე.

პავლე II ვეღარ უწოდებდა ბრალდებულთ სახელმწიფო ჰოღალატეებს და ამიტომ ერეტიკოსებად გამოაცხადა. შხამიანი ობობა შესაძვრომ ხვრელს ეძებდა ადამიანის ჯანსაღ სხეულში, რომ ის შიგნიდან დაეგესლა, რადგან გარედან ვერაფერი ავნო. მაგრამ აქ საქმეში იმპერატორი ფრიდრიხი ჩაერია (ძლივს!). რომში გადასახადების თავისი წილის მისაღებად ჩასულმა პაპს დაჟინებით მოსთხოვა პლატინის განთავისუფლება*.

რა გასაკვირია, რომ ამ ხარბსა და გულმხეც ჯალათს საკუთარი ასულის სარეცელი შეებილწა! ქვაზე წარწერილი ეპიგრამა გვაუწყებს: „შენ გყავს ასული და გაქვს წინამორბედებზე მეტი ოქრო. წმინდა მამა შენ არა ხარ, ბედნიერ მამად კი ჩაითვლები“.

დასასრულ ,მოგახსენებთ, რომ ამ ღირსეულმა მღვდელმთავარმა ბავშვებს სკოლაში სიარული აუკრძალა, რადგან, მისი ჭკუით, წერა და კითხვა მხოლოდ მღვდლების პრივილეგიაა. აბა სად წავიდოდა კაცობრიობა, რომ ასეთი დუხჭირი მწყემსების ჭკუით ევლო? წინაპართა გამოქვაბულებში.

---

* ბარტოლომეო დე საკი პლატინა (1421—1481), ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი, პაპთა ბიოგრაფიების ავტორი, ჩამომავლობით პიადენიდან იყო (აქედან ზედწოდება). პომპონიუს ლეტას აკადემიასთან კავშირისათვის პავლე მეორემ აწამა. სიქსტ IV დროს თავისუფლება მიიღო და ვატიკანის ბიბლიოთეკარად დაინიშნა.

● ფრანჩესკო ალბესკოლო დელა როვერე — ასე ეძახდნენ კარდინალს, რომელმაც პავლე II შეცვალა. ღირსპატივცემული პრელატი ღარიბი მეთევზის შვილი იყო და ბავშვობაში თვითონვე ეწეოდა ამ სახელოვან საქმეს, პეტრე მოციქულივით (მერე ადამიანების ჭერაზე გადავიდა). რა თქმა უნდა, რომის სასახლეს ისევე ვერ იხილავდა, როგორც საკუთარ ყურებს, რომ ბედნიერ შემთხვევას არ შეეხვედრებინა სენიორ დელა როვერესთან. დიდებულმა კარისკაცმა ყმაწვილი სასახლეში წაიყვანა და თავის საყვარელ ჭაბუკს თანდათან გაუკაფა საეკლესიო კარიერის გზა.

პაპი რომ გახდა — სიქსტ IV სახელწოდებით — ფრანჩესკომ ტახტზე თავისი ასვლა აღნიშნა ბულით, რომლის დედააზრიც დაახლოებით ასეთია: ურჩხულის ნაშიერი ანგელოზიაო. მღვდელმთავართა როგორც კანონიერი, ისევე უკანონო შვილები ამიერიდან რომის თავადთა უფლებებით ისარგებლებდნენ. ასევე პაპის მემკვიდრეთა შთამომავალნი. დეკრეტის უსირცხვილობა არავის გაჰკვირვებია, რადგან წმინდა მამა არც უწინ იწუხებდა თავს თავისი უთავბოლობის დაფარვით. მაგრამ რა ღირსებისათვის შეიყვარა და დააწინაურა ასეთი უტიფარი პირუტყვი როვერეს გმობილმა გვარმა? ეს საიდუმლო ლოგინშივე დარჩა.

თავზადის წოდებასთან ერთად სიქსტმა თავის უკანონო შვილს პიეტრო რიარიოს კარდინალის ქუდი უბოძა, დამატებით კი ყოველწლიური პენსია, მილიონ ხუთასი ათასი ეკიუ—ჩვენი დროისათვისაც უზარმაზარი, იმ დროისთვის კი პირდაპირ საარაკო თანხა! მაგრამ ტერეზა ფულგორას, კურტიზან ქალს, იმ დუხჭირი ნაბიჭვრის პიეტროს საყვარელს, მხეცურ ჟინს ვერ უოკებდა ვერც ეს თანხა და ვერც ვერავითარი სხვა ღირებულება.

პიეტროს ბედი ჰქონდა, პაპის გარდა ყველა დანარჩენი მღვდელმთავარიც მას ეხმარებოდა. სიყვარულით მთვრალი ტერეზა ისეთი იყო, უარს არავის ეუბნებოდა, ყოველ მსურველს გულს გადაუშლიდა ხოლმე, ასე რომ არ დარჩენილა წმინდა კოლეგიის არც ერთი მოცლილი წევრი, მის საწოლ ოთახში რომ არ შეეხედა.

ჰოდა, ყველა ფულს აძლევდა. ვინ იცის, რა ეშველებოდა ამ მოწყურებულ უწმინდურს, რომ ბედზე ცუდი სენი არ შეყროდა, ვენერას წყალობა. ეს საჩუქარი ქალმა თავის საყვარელ პიეტრო რიარიოს აჩუქა, და პაპის ნაბუშარი ორი წლის აუტანელი ტანჯვის შემდეგ სრულიად დაშლილ-დაჩირქებული ჩაწვა მიწაში.

სიქსტ IV იშვიათი გულუხვი მამიკო აღმოჩნდა. თავისი ოჯახის წევრებს დაუფიქრებლად აძლევდა სახელმწიფო მნიშვნელობის ადგილებს, ამდიდრებდა თავის საყვარლებსა და ძმისწულებს, ასაჩუქრებდა, უზარმაზარ პენსიებს უნიშნავდა, ყოველნაირ ღონისძიებას მიმართავდა, რომ თავისი უთვალავი შვილისათვის თავადის წოდება მიენიჭებინა, და თავისი აღვირახსნილი მოქმედებით მთელს იტალიაში სამოქალაქო ომი ატეხა. ბოლოს და ბოლოს, კარდინალებმა პაპს ასეთი განუსაზღვრელი ნეპოტიზმისათვის პროტესტი განუცხადეს. სიქსტმა, თავისი ღირსების შელახვად ჩათვალა ამ პროტესტისათვის ყურადღების მიქცევა და მთელი კოლეგია პასუხის ღირსადაც კი არ გახადა. პაპის ხაზინა რომ არ ეყო, ხარბმა მხეცმა თვალი მიაპყრო ფლორენციასა და სხვა სამთავროებს, რომლებიც რომს ესაზღვრებოდნენ. თავისი ჭკუით, ეს სამფლობელოები მორიგი უკანონო შვილის, ვინმე იერონიმესათვის უნდა ეჩუქებინა. მას შემდეგ, რაც პეტრე რიარიო ვენერიულმა სენმა იმსხვერპლა, წმინდა მამის მთელი ზრუნვის საგანი ეს იერონიმე გახდა. ისიც იცოდა, რომ ფლორენციის მბრძანებლები — ძლევამოსილი მედიჩები ამ განზრახვას აღტაცებით ვერ შეხვდებოდნენ, პირდაპირ ომის გამოცხადებას კიდევ მოერიდა, ამიტომ თავისი ბუშის დახმარებით შეაკოწიწა შეთქმულება კოზიმო მედიჩის ორი შვილიშვილის — ჯულიანოს და ლორენცოს წინააღმდეგ.

არქიეპისკოპოსი ფრანჩესკო სალვიატი კარდინალის ქუდს დახარბდა და დათანხმდა, რომ შეთქმულებას სათავეში ჩასდგომოდა. წმინდა ოჯახის მეორე დამქაში, იერონიმეს დისწული, რომში ჩავიდა, რათა შეთქმულების დღე და ადგილი დაენიშნა. ძმები უნდა მოეკლათ ეკლესიაში წირვის დროს, რომლის გაძღოლა იკისრა არქიეპისკოპოსმა სალვიატიმ. მასვე უნდა მიეცა ნიშანი. არქიეპისკოპოსი და მკვლელი! თუმცა ვის უკვირდა ეს მაშინ!

დანიშნული დღის კვირაძალზე არქიეპისკოპოსმა შეთქმულების მონაწილენი ერთად შეყარა და ასეთი დარიგება მისცა: თავი

უბრალოდ დაიჭირეთ, როჰ ეჭვი არავინ აიღოსო, დროზე დაიკავეთო ადგილი მსხვერპლთა ზურგს უკან, და როცა წმინდა ზიარების ფიალას ავწევ, — ეს იქნება ნიშანი, — მარჯვედ დაჰკარითო მახვილი.

შეთქმულებმა არქიეპისკოპოსის ინსტრუქცია შეასრულეს, მაგრამ შიშმა შეუშალა თუ ხალხმა, ან იქნებ მოხერხებულად მოწყობა ვერ მოახერხეს მედიჩების სიახლოვეს, — მოხდა კი ისე, რომ ყველანი მხოლოდ ჯულიანოს დაესხნენ თავს და მოკლეს კიდეც, ლორენცო კი, თუმცა ისიც დაჭრეს, გაიქცა და თავს უშველა.

ხალხმა გაიგო, რომ ბანდას არქიეპისკოპოსი მეთაურობდა, მაშინვე სტაცეს ხელი ქეჩოში, რასაც ჯერ კიდევ არ ამშვენებდა კარდინალის ქურდი, და ოთხ თავის დამქაშთან ერთად პირდაპირ სენიორიის სასახლის ფანჯრების წინ ჩამოახრჩვეს (დასანანი კია: მისგან ხამდვილი პაპი დადგებოდა!). ხალხი მოითხოვდა ანგარიშის ასევე გასწორებას კარდინალ რაფაელ რიარიოსთან, რომელიც ტაძრის ნიშში დაიჭირეს. მაგრამ როცა მან საჯაროდ აღიარა, რომ შეთქმულებას სათავეში უდგას თვითონ წმინდა მამა, ლორენცო მედიჩიმ ის შეიწყალა. რომში რომ ჩავიდა, ამ რიარიომ სიქსტს აუწყა მისი საპარცხვინო შეთქმულების ჩაფუშვის ამბავი. გაცოფებულმა პაპმა ფლორენციელებს მოსთხოვა ლორენცო მედიჩის გაცემა, რომელსაც ბრალს სდებდა არქიეპისკოპოსის მკვლელობაში. მტკიცე უარი რომ მიიღო, უსირცხვილო ურჯუკმა ფლორენციას ინტერდიქტი დაადო იმ საბაბით, რომ ფლორენციის რესპუბლიკამ დაარღვია ეკლესიის განუსხვისებელი უფლება, გაასამართლა და ჩამოახრჩო არქიეპისკოპოსი. მერე წმინდა მამა შურის საძიებლად მოემზადა, მაგრამ ფლორენციელთა საბედნიეროდ პაპს სხვა საზრუნავი გაუჩნდა და დროებით ჩამოაშორა ამ საქმეს.

თავები მოკვეთეთ,
ოღონდ გადაიხადეთ!

● ფუფუნებასა და გახრწნილებას რომ გადაჰყვა, სიქსტ IV ანაზდად შენიშნა, რომ მისი სალარო ცარიელია. მაშინვე დატრიალდა. რამდენიმე წელი გავიდა, ქრისტიანი ხალხებისაგან ხარკი

არავის ძოუთხოვია ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, არავინ წასულა თურქების საყლეტად. ეს ხრიკი აღარავის არ აღაფრთოვანებდა: მეტისმეტად ბოროტად სარგებლობდნენ ამ სპეკულაციით პაპები და ბერთა ლეგიონები, მთელს ევროპაში რომ დაძრწოდნენ. სისხლისმწოველ ვამპირს—სიქსტ მეოთხეს კი ფული სჭირდებოდა. საჭირო იყო რაიმე ახალი გამოეგონებინათ. პაპმა განკარგულება გასცა ხარკი აეკრიფათ: თავიანთი შემოსავლის ოცდამეათედი ნაწილი პაპის ხაზინაში უნდა ჩაერიცხათ. ებრაელებს უფრო მძიმე დღე დაადგათ: მათ მეოცედი ნაწილი უნდა მიეცათ. მაგრამ კიდევ მათი ბედი, რომ პაპს აზრად არ მოუვიდა მთელი ქონების კონფისკაცია.

ბერები მათი ჯიშისათვის ჩვეული გულმოდგინებით ასრულებდნენ პაპის ბრძანებას, და მოკლე ხანში ვატიკანის სარდაფები აივსო უსირცხვილო გამოძალვით მონაპოვარი ოქროს ზვინებით. სიქსტ IV მადაზე მოვიდა და ახალი ხრიკი მოიგონა. ლეგატები გაგზავნა ყველა ქრისტიანულ დედაქალაქში და დაავალა შეეგროვებინათ ოქრო ყველა ღონისძიებით, არ შეჩერებულიყვნენ წამების, სახრჩობელის, კოცონის და სასჯელის არც ერთი სახეობის წინაშე, რაც ღმერთს ეამება. ესპანეთის ლეგატად დანიშნა როდრიგო ბორჯია, რომელიც შემდეგ პაპი გახდა და ადამიანთა მოდგმის ისტორიის ერთი უდიდესი დამნაშავის სახელითაა ცნობილი.

ამ ზიზღსმომგვრელ ჯალათს მადრიდში საზეიმო მიღება მოუწყვეს. თვით მეფე გამოვიდა მის შესახვედრად და ლაქიასავით ეახლა, მისთვის განკუთვნილ სასახლეში მიიყვანა. ბორჯია სისხლმოწყურებული ნადირის გამძვინვარებით შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას. სამღვდელოებაც კი ვერ გადარჩა კონტრიბუციას. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს ესპანეთის სამღვდელოება უკიდურესად გახრწნილი იყო. ესპანეთის საეკლესიო გვამები არა მარტო გარეცხილი იყვნენ სინდისისა და პატიოსნებისაგან, არამედ ამასთან სრულიად უმეცარნიც გახლდნენ. ამ მხრივ თავიანთ იტალიელ ძმებსაც კი გადააჭარბეს. მათი მთავარი საქმიანობა იყო მევახშეობა. მოკლედ, ეს იყო შავი ლაშქარი, ბნელი ლაშქარი, სავსებით ღირსი ისეთი პირშავი ბელადისა, როგორიც მოევლინა ბორჯიას სახით. ამ ნაცადი ჯალათის ხელმძღვანელობით ესპანეთის ინკვიზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა. სიქსტმა და ბორჯიამ

სამარადისო წყევლა დაიტეხეს ესპანეთში ინკვიზიციის დამკვიდრებით. 1481 წელს ესპანეთს ერთდროულად დაატყდა შავი ჭირი და ინკვიზიცია. ქვეყანა ერთიან სასაკლაოდ იქცა. საერთოდ, სამნახევარი საუკუნის მანძილზე ესპანეთში ცოცხლად დაწვეს ოცდათექვსმეტი ათასზე მეტი კაცი. სულმდაბალი მკელელი და არამზადა სიქსტ IV საზარელ მოსავალს იმკიდა...

განსაკუთრებული გაშმაგებით ეკვეთნენ კათოლიკები ებრაელებს, რომელთა ხელშიც დიდძალ სიმდიდრეს მოეყარა თავი. ნარბი სამღვდელოება უკვე დიდი ხანია ოცნებობდა მათი ქონების მითვისებაზე. როგორც იქნა, დაუდგათ ნანატრი წუთი. იმ დროს ესპანეთში დაახლოებით ასორმოცდაათი ათასი ებრაელი ცხოვრობდა. უნიათო მეფემ — ფარისეველმა, ქამელეონმა, რომელსაც მეტსახელად „კათოლიკე" ეწოდა, სახელგანთქმულ დომინიკანელს, „დიდ ინკვიზიტორს" თომაზო ტორკვემადას დააკისრა დიდი მისია, რომ ურჯულოები ქრისტიანულად მოექცია. ტორკვემადამ, საზარელმა მაიმუნმა, კაცთა მოდგმის უკეთურმა ჯალათმა, მოარულმა ჩონჩხმა, რომელშიაც სატანის სული ჩაასახლა წყვდიადის მეუფებამ, დაუყოვნებლივ მოჰკიდა საქმეს ხელი. დაიწყო სისხლიანი სვრემა, ყველა ებრაელი კანონგარეშედ გამოცხადდა. ამ ჯოჯოხეთური კანონის გამოცემის შემდეგ სამეფო არმიის ჯარისკაცებმა ერთ კვირაში ათი ათასზე მეტი ებრაელი გაწყვიტეს. ისე, როგორც სისხლის დანახვა ხარს აგიჟებს, ამდენი გვამის დანახვამ მეფე კიდევ უფრო გააშმაგა. მაგრამ ტორკვემადას მისი წაქეზება არ ესაჭიროებოდა — ისედაც ცოფიანი ნადირივით დასდევდა უბედურ ისრაელებს. მრავალმა მოახერხა სხვა ქალაქებში გაქცევა, მაგრამ ინკვიზიციას გრძელი ხელები ჰქონდა, ობობას ქსელი მეტისმეტად საიმედოდ იყო გაბმული, ლტოლვილებს ყოველ ნაბიჯზე იქერდნენ ყველგან, სადაც არ უნდა დამალულიყვნენ. სხვა სახელმწიფოების საზღვრებიც კი არ იყო მათთვის დაბრკოლება. ტორკვემადას საგმირო საქმეები კარგადაა ცნობილი ისტორიის სახელმძღვანელოებიდან. ჩვენ მათ აღარ გავიმეორებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ებრაელთა გაწყვეტის წყალობით ჯალათთა ფინანსიური წარმატება ისე დიდი იყო, ფერდინანდ კათოლიკე აღტაცებული დარჩა, ინკვიზიცია მუდმივ დაწესებულებად გამოაცხადა და შექმნა მისი განსაკუთრებული საბჭო, რომლის სათავეშიც, რა თქმა უნდა,

ტორკვემადა დააყენა. ამ კაცის-სახე. მხეცმა ნამდვილად დაიმსახურა ასეთი პატივი. ჩამომავლობით თავად ებრაელმა, ბიბლიური ტიპის ფანატიკოსმა, ებრაელთა სვრემის გარდა თავი იმით ისახელა, რომ რვა ათასზე მეტი ერეტიკოსი კოცონზე დაწვა. და ეს მოარული ჩონჩხი თითქმის 80 წლის ასაკამდე ჯიჯგნიდა ტანჯულ ესპანეთს. მისი ინკვიზიცია ამიერიდან სამუდამოდ დამკვიდრდა, როგორც მუდმივი დაწესებულება. მთელს ესპანეთის სამეფოში გიზგიზებდა უთვალავი კოცონი, ირწეოდნენ სახრჩობელებზე უდანაშაულო ადამიანთა გვამები და იღვრებოდა ტლანქი ნაჯახის პირით უმანკო სისხლი, იღვრებოდა სიყვარულის მქადაგებელ ქრისტეს სახელით.

როგორც ცნობილია, ინკვიზაცია ავერ XVIII საუკუნემდე არსებობდა. მხოლოდ საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ შესძლო მისი გაუქმება!

ოქროს ფეერია

● რაღა თქმა უნდა, ასეთი სისხლით და ფერფლით მონაპოვარ ოქროში სიქსტ მეოთხეს თავისი წილი ედო. ინკვიზიცია კვებავდა ამ ურჩხულს. განუზომელი სიხარბით გამორჩეული ეს წყეული პაპი შეუდარებელ სიუხვეს იჩენდა საკუთარი საყვარლების — როგორც ქალების, ისევე მამაკაცების ძიმართ, ასევე სწყალობდა ყველა ფავორიტს, ამიტომ ფული მისთვის მუდამ დაუშრეტელი ფიქრისა და ტანჯვის წყაროს წარმოადგენდა. მართალია, ისეთი დაუშრეტელი ფანტაზია ჰქონდა, ყოველგვარი მძიმე მდგომარეობიდან პოულობდა გამოსავალს. ახლაც, ფულის მწვავე კრიზისის დროს, უცებ მოაგონდა, რომ პავლე მეორემ საიუბილეო წლებს შორის მანძილი ოცდახუთ წლამდე შეამცირა, მაგრამ ზეიმის გადახდას ვერ მოესწრო, რადგან მეორე სამყაროში გაითხოვა მისმა მოძმე ეშმაკმა. სიქსტ IV ისარგებლა წინამორბედის დეკრეტით და გამოაქვეყნა ახალი ბულა, რაც გამოშვებულ იუბილეს აღადგენდა. ბულა მორწმუნეებს მოუწოდებდა რომში ჩამოსულიყვნენ და ინდულგენციები მოემარაგებინათ საიქიო სასუფევლისათვის. იუბილე გამოცხადდა 1475 წლისათვის. მიუხედავად ომებისა, რომლე-

ბიც იმ დროს ევროპას აპარტახებდნენ, ფახატიზმი ისე დიდი აღმოჩნდა, რომ მრავალი მიმლოცველი გაპოეხმაურა სიქსტის მოწოდებას.

როცა ადამიანს ჯოჯოხეთში შიში ძილს უფრთხობს, როგორ არ უნდა ისარგებლოს ბედნიერი შემთხვევითო, რომ აქაც ისიამოვნოს და იმქვეყნადაც სატანჯველს თავი დააღწიოს? მაგრამ რატომ არ დაეკითხნენ მორწმუნეები გონებას, შეუძლია თუ არა უფლის წინაშე იშუამდგომლოს და ფულის შემოწირვით გამოისყიდოს სხვათა ცოდვა თვითონ უდიდესმა ცოდვილმა, მაგალითად სიქსტ VI, რომელიც თვითონ სჩადიოდა სოდომურ დანაშაულს, ცხოვრობდა დალაქთან და საკუთარ ვაჟიშვილთან? მაგრამ ფანატიზმი ბრმაა, კითხვებს არ სვამს.

რაინდები თავიანთ ჯარისკაცებს ბრძოლის ველზე ტოვებდნენ ხოლმე, თვითონ კი ქრისტეს მოციქულთა საფლავზე სალოცავად მიდიოდნენ. მორწმუნეები, რომლებიც გულმოდგინების ნაკლებობითა თუ სხვა რამ მიზეზით ადგილზე რჩებოდნენ, ვერაფერს ვერ იგებდნენ: წმინდა ტახტის ხარკის ამკრეფი ბერების ურდო, ჯარად რომ ეხვეოდათ გარშემო, იმდენ ფულს აცლიდნენ ხელიდან, მოსალოცავად და ინდულგენციების შესაძენადაც კი ეყოფოდათ. ყველა ქრისტიანი მეფე უხვ საჩუქარს უგზავნიდა სიქსტ მეოთხეს, მის ელჩებს კი სამაგიეროდ ცოდვების მიტევების ქაღალდები ჩამოჰქონდათ. ბევრი მეფე პირადად ჩავიდა წმინდა ქალაქში. წარჩინებული და პირმშვენიერი მანდილოსნები ჩადიოდნენ რომში, რომ ჩადენილი დანაშაულობანი გამოესყიდათ ან განტევება მიეღოთ უთვალავი სასიყვარულო თავგადასავლისათვის. ზოგიერთი მემატიანე-გვიმტკიცებს, პაპი უაღრესად ალერსიანად ხვდებოდაო ცოდვილ ლამაზმანებს, მოსანანიებლად რომ ეახლებოდნენ ხოლმე. არა მარტო ინდულგენციებს აძლევდა, არამედ თავისი საკუთარი სულიწმინდის საჩუქრებსაც უბოძებდა ფურმე. საერთოდ, წმინდა მამამ ბლომად ფული წააგლიჯა მათაც — როგორც განტევების ფუჭი ეტრატისათვის, ისევე საკუთარი ალერსისათვის. ფული უპირველეს ყოვლისა — ასეთი იყო ეკლესიის დევიზი.

სამი მამაცი ჭაბუკის
სავალალო ამბავი

სიქსტ IV პონტიფიკატის ბოლო წლებში (სულ ეს ურჯუკი ცამეტიოდე წელი განაგებდა საქრისტიანოს) ხშირად ამხედრებულა ხალხი სამღვდელოების ტირანიის წინააღმდეგ.

ოლგიატი, ლამპანჩიო და ვისკონტი — ასე ეძახდნენ სამ ახალგაზრდა მილანელს, რომელთაც არ ისურვეს ტირან სფორცას უღლის ზიდვა და განიზრახეს ხალხის განთავისუფლება ამ ვერაგი მტარვალისაგან. საჯაროდ უნდა ჩაეცათ მისთვის მახვილი, ყველას თვალწინ, თუნდაც მის მცველებს სამივე იქვე აეკუწათ.

„სფორცას, უსასტიკეს ტირანს, — წერს ერთი მემატიანე, — უყვარდა თავის შექცევა იმით, რომ ადამიანებს ცოცხლად მარხავდა მიწაში“.

რა თქმა უნდა, სამღვდელოება ამ სასტიკ და საზიზღარ ტირანთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდა.

1478 წლის აღდგომის მეორე დღეს სფორცა წმინდა ამბროსის ბაზილიკაში გაემართა. ამ დღეს წირვას წარჩინებული საეკლესიო გვამი უძღვებოდა. გახურებული საზეიმო მესის დროს ეკლესიაში ლამპანჩიო და მისი მეგობრები შეცვივდნენ, გასწი-გამოსწიეს დესპოტის მცველი კარისკაცები და თამამი საქციელი იმით გამართლეს, მისი ბრწყინვალებისათვის მნიშვნელოვანი ცნობა გვაქვსო გადასაცემი.

ლამპანჩიომ პაკეტით ხელში ტირანს მუხლი მოუყარა და... მუცელში ბასრი ხანჯალი ჩასცა. იმავე დროს ოლგიატმ და ვისკონტიმ მახვილები მკერდსა და ზურგში ატაკეს.

მკვლელობა ელვის სისწრაფით მოხდა, განგმირული მტარვალი ფერარისა და მანტუის ელჩებს დაესვენა ხელებზე უმალ, ვიდრე ისინი გონს მოვიდოდნენ და მიხვდებოდნენ, რაც მოხდა. ჭაბუკებმა ხალხის დაბნეულობით ისარგებლეს და გასასვლელს მიაშურეს. მლოცველებმა გზა დაუთმეს. მაგრამ ლამპანჩიო დეზებით გაიხლართა დაჩოქილ მანდილოსანთა კაბებში, დაეცა და ვიდრე წამოდგებოდა, კარისკაცებმა მახვილით განგმირეს. ვისკონტი ზედ გასასვლელთან შეიპყრეს და მანაც მეგობრის ბედი გაიზიარა.

მხოლოდ ოლგიატიმ მოახერხა გაქცევა, მაგრამ მალე ისიც დაიჭირეს და საშინლად აწამეს.

„ჯარისკაცებმა, — მოგვითხრობს მემატიანე, — მამაც მებრძოლს თმაში ჩაავლეს ხელი და ინკვიზიტორის სასახლისაკენ გაათრიეს, თან სცემდნენ და აგინებდნენ. ჯოჯოხეთური სასჯელი გადაუწყვიტეს: გავარვარებული გაზით დაგლეჯა. განსაცვიფრებელი სიმტკიცით გადაიტანა შეუდრეკელმა ვაჟკაცმა მხეცური წამება. როცა დასჯის წინ ინკვიზიტორმა ჰკითხა, თუ ილოცებ, შეწყალებას თუ ითხოვო, მოწამემ მიუგო: „მე ვილოცებ ერთ რამეს: ვილოცებ, რომ ჩემმა სხეულმა, რომელიც ჯალათების ხელშია, შეინარჩუნოს ძალა და გაუძლოს მისთვის გათვალისწინებულ წამებას, რომ შევძლო ეშაფოტზე შევძახო: „სიკვდილი მეფეებს! სიკვდილი მღვდლებს! გაუმარჯოს დავისუფლებას! გაუმარჯოს რესპუბლიკას!“

აი, ვინ ქმნიდა ისტორიას ჯალათთა მარწუხებში! სიქსტ IV იყო ქვესკნელის ძალა, ოლგიატი იყო მოწინავე კაცობრიობა.

ნებისყოფის ძალამ, რაც იარაღს დააყრევინებდა თვითონ კაცჭამიებს, კიდევ უფრო გააცოფა და წააქეზა ინკვიზიტორები. ოლგიატიმ ვერც კი მიაღწია თხემის ადგილამდე, ისე ამოხდა სული გავარვარებული მარწუხის ყბებს შორის. ჭაბუკი ოცდაორი წლისა იყო.

ასეთია საშინელი აღსასრული თავისუფლების სამი ნორჩი რაინდისა, რომელთა ამბავი ღირსია იმისა, რომ შთამომავლობამ გულით ატაროს.

წმინდა მამის ფინანსიური ოპერაციები

● გიგანტური თანხები, რომლებიც სიქსტ მეოთხემ მობოჭა 1475 წლის იუბილეზე, ძალიან სწრაფად გაიფლანგა. მაშინ ტიაროსანმა ობობამ გამოიგონა ახალი საეკლესიო თანამდებობანი და მათი გაყიდვა საჯარო ვაჭრობით. მაგალითად, არაგონიის ეკლესიის მართვა მიჰყიდა ექვსი წლის ყმაწვილს — ნეაპოლიტანის მეფის შვილს. მაგრამ ასეთი იდიოტური ხრიკის ანკესზე ბევრი არავინ წამოეგო, ასე რომ წამოწყებამ გახრწნილ მღვდელმთავარს ბევრი

ვერაფერი მისცა. წმინდა მამას შემთხვევითი სარფიანი საქმეებით მოუხდა იოლად გასვლა.

ასე, მაგალითად, იუბილის მომდევნო წელს პორტუგალიის მეფეს, უკვე ღრმად მოხუცებულ ბეხრეკს ალფონს V შეუყვარდა პრინცესა იოანა, თავისი ახლო ნათესავი. პაპმა გაითვალისწინა გადარეული ბებრის ასაკი, ‘ისი ჟინიანობა და უაღრესად დიდი თანხის ფასად პრინცესაზე ქორწინების ნებართვა მისცა. ხალხი თითქოს ბრმა იყო და ვერ აკეთებდა სათანადო დასკვნას ამდენი ბოროტი გარიგებიდან: რომ თუ ღმერთი ნათესავთა შეუღლებას საერთოდ დანაშაულად თვლის, ფულის შეტანა აქ საქმეს ვერ შეცვლის, მეტადრე, რომ ეს ფული პაპის ღორულ სტომაქში მიღის. ვერ მოასწრო პაპმა ქორწინების ნებართვის შესახებ ბულის გაგზავნა, რომ ნეაპოლიტანის მეფემ სთხოვა მისი გაუქმება და ამისათვის ორჯერ მეტი თანხა შესთავაზა. რაღა თქმა უნდა, პაპმა ბულა გააუქმა, მაგრამ, რასაკვირველია, არ დააბრუნა ფული, რაც პორტუგალიის მეფემ წინასწარ სულელურად გადაიხადა.

აქედან ჩანს, რომ სიქსტი, ღვთის საამო საქმეთა ნიღბით თავის საზიზღარ მაჭანკლურ საქმეებს რომ ეწეოდა, ფინანსიურ საქმეებში უტიფრობით ჩრდილავდა თვითონ რომის იმპერატორს ვესპასიანეს, რომელიც ურცხვად აცხადებდა: ფულს სუნი არა აქვსო.

სიქსტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სამარცხვინო ნამოქმედარი — ხელშეკრულების პროექტი, რაც ვერ განხორციელდა მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მაგრამ ასეთი პროექტის არსებობა დადასტურებულია ისტორიკოსებისა და მემატიანეების მიერ. ლაპარაკია სიქსტის მუხანათურ განზრახულობაზე, რომ ეღალატა მოკავშირე ვენეციელებისათვის, რომლებიც სულთან მეჰმედ მეორესთან სისხლიან ომში იყვნენ ჩაბმული.

ვენეციის რესპუბლიკა მოკავშირეებმა ყოველგვარი დახმარების გარეშე შეატოვეს ხახაში თურქეთის ვეშაპს, და სხვა გამოსავალი აღარ დარჩა, ისევ ზავი შეკრა, ზოგიერთი სიმაგრე დაუთმო თურქებს, კოლოსალური კონტრიბუცია და ყოველწლიური ხარკის გადახდა იკისრა.

ვინ იცის, სრულიად შესაძლებელია, რომ წმინდა მტრედი და მისი მეუღლე სხვა ძველ ღვთაებებთან ერთად რომელიმე მითო-

ლოგიურ მუზეუმში მოეთავსებინათ აქამდე! ცხადია, ასეთი ჰიპოთეზა ცოტა პარადოქსალურია. უნდა ვივარაუდოთ, რომ სიქსტ IV სულთანსაც კი არ დაუთმობდა საერო და სასულიერო ძალაუფლებას, რაც მოციქულის მოადგილეთა ხელშია. ლაპარაკი იყო ალბათ მხოლოდ ტერიტორიებზე... ასეა თუ ისე, ექსპერიმენტი არ გამოვიდა — პაპმა მეტისმეტად დიდი მოთხოვნები წამოაყენა. სულთანი მეჰმედი ვაჭრობდა, ვაჭრობდა და ბოლოს მოლაპარაკება შეწყდა. ისევ სიქსტის სიხარბემ იხსნა საქრისტიანო, სულთნის და პაპის შეთანხმება კი ახალი ამბავი ხომ არ იყო? არც პირველი, არც უკანასკნელი.

ჯანსაღი აზრები

❶ დიდ აფიორაზე უარის თქმა რომ მოუხდა, პაპი შეეცადა წვრილ-წვრილი ოპერაციებით აენაზღაურებინა დანაკლისი, და მართლაც მის სალაროში დიდძალი თანხა შევიდა.

ყველაზე უფრო სარფიანი წამოწყება აღმოჩნდა საროსკიპოების ორგანიზაცია, რასაც საქრისტიანოს უზენაესი გამგებელი უწევდა მფარველობას. ეს სახლები საგანგებოდ იყო გათვალისწინებული დიდკაცობისა და სამღვდელოებისათვის, პერსონალს უდიდესი გულმოდგინებით არჩევდნენ. ლუპანარიებად წოდებული სამეძაო სახლების შემოსავალი ყოველწლიურად ოცი ათას დუკატს აძლევდა პაპს. ამ ციფრის სისწორე დასტურდება ისტორიკოს კორნელი აგრიპას შრომით, სადაც საინტერესო ამბებია მოთხრობილი.

„სამოციქულო კურიის პრელატებსაც ედოთ წილი საროსკიპოების შემოსავალში, — ამბობს ისტორიკოსი. — ეს საქმე იმდენად ჩვეულებრივად მიაჩნდათ, რომ ხშირად მომისმენია, როგორ ლაპარაკობდნენ ეპისკოპოსები: „ორი ბენეფიციუმი წელიწადში სამი ათას დუკატს მაძლევს, ერთი მრევლი — ხუთასს, მონასტერი — სამასს, ხოლო პაპის ლუპანარიუმში მოკალათებული ხუთი როსკიპი მაძლევს ორას ორმოცდაათს“.

არ გვინდა ფაქტები მარჩიელობით შევცვალოთ, აღარ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ არისტოკრატიული ლუპანარიების

ორგანიზაცია პაპის შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენდა. შესაძლებელია, რომ კარდინალ სანტა ლუჩიას ლუპანარიუმის ორგანიზაციის ნებართვა სიქსტმა უფასოდ მისცა, როგორც საჩუქარი რაღაც სამსახურისათვის. არ ვიცით, რისთვის მოხდა, მაგრამ ფაქტი ასეთია და მისი აღნიშვნა მნიშვნელობას მოკლებული არ არის. აღვნიშნავთ იმასაც, რომ სიქსტ IV კარდინალ ლუჩიას და მის ოჯახს ნება მისცა ზაფხულის მთელი ცხელი თვეების მანძილზე თავისუფლად მისცემოდნენ აღვირახსნილ სოდომიას.

ზოგიერთი საეკლესიო ავტორი ბედავს განაცხადოს, რომ სიქსტ IV მეცნიერებასა და ხელოვნებას მფარველობდა. ეს უაზრო მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ურჯუკი პაპის მეცენატობის ზღაპარი იმაზეა აგებული, რომ ძვირფას ხელნაწერთა მცირეოდენი ნაწილი იყიდა, ჩალის ფასად რომ ასაღებდნენ ბერძენი ლტოლვილნი.

ამ თხზულებებით რომ ვატიკანის ბიბლიოთეკას ამდიდრებდა. ამით წმინდა მამამ უბრალო შემთხვევით ისარგებლა, ან ჰქონდა იმდენი ჭკუა, რომ ამაზედაც სპეკულაცია მოეხდინა, მეცენატის სახელი დაეგდო, როგორც ხშირად მომხდარა ისტორიაში. სინამდვილეში კი მხატვრებსა და მწერლებს აგდებით, ეჭვით და სასტიკადაც კი ეპყრობოდა ეს სულთანის მოკავშირე, ქრისტიანთა მოღალატე, საროსკიპოების გახრწნილი მფარველი.

ბეილი ამის თაობაზე ერთ დამახასიათებელ დეტალს გადმოგვცემს.

„უბედურმა თეოდორ ღაზელმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა არისტოტელეს „ზოოლოგიის“ თარგმნას. ერთ-ერთი ცალი პაპს მიართვა, ოქროთი მოვარაყებული და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი. სიქსტმა წიგნი შეათვალიერა და დაინტერესდა, რა ღირსო ასეთი ყდა. როცა ავტორმა ციფრი დაუსახელა, პაპმა ბრძანა მიეცათ მისთვის ყდის ფასი, ისე რომ დანარჩენი შრომისთვის არც ერთი გროში არ დაემატებინათ.

თეოდორ ღაზელმა წმინდა მამის ფული ტიბრში გადაისროლა და თავი შიმშილით მოიკლა“.

რა ბრძანებაა, განა მის უწმინდესობას ჰქონდა დრო დაინტერესებულიყო მწერლებით, არისტოტელეთი და თარგმანებით, როცა მთელი თავისი პონტიფიკატის მანძილზე უნდა ეფიქრა

ფულზე და, როგორც მოგვიანებით დანტე ამბობდა, „თავისი დათუნიების გამდიდრებაზე“, სალენო სამფლობელოები უნდა ეჩუქებინა თავისი საეჭვო ძმისწულებისა და უკანონო შვილებისათვის, გამოეძებნა მათთვის საპატარძლოები, ამასთან მოეწყო საროსკიპოები და გაეფართოებინა საკუთარი სამფლობელოები?!

სიქსტს ფული ესაჭიროებოდა, რომ დიდი ხნის განზრახვა სისრულეში მოეყვანა. ამას გარდა, არც თავნება ფლორენციელები დავიწყებია, რომელთაც სალვიატის ჩამოხრჩობა გაბედეს.

თაღლითური ფინანსიური ოპერაციების წყალობით კიდევ მოაგროვა იმდენი თანხა, რომ ჯარი შეადგინა, სათავეში საკუთარი შვილები ჩაუყენა და ომი გამოუცხადა არა მარტო ფლორენციას, რაც თავისი ნაბიჭვარის ჯერომო რიარიოსათვის უნდოდა, არამედ ვენეციასაც, რომელიც საჰერცოგოდ უნდა ექცია და თავისი ერთერთი ძმისშვილისათვის დაელოცა. ობობა თაფლის მთოველ ფუტკრებს უმიზნებდა შხამიან ჭანგებს.

ღირსპატივცემულო მღვდელმთავარო!

პირველ ხანებში პაპის ჯარებმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ ზედ გადამწყვეტ მომენტში, როცა ფლორენცია და ვენეცია ამ ხარბი ურჩხულის ხელში უნდა მოკაკვულიყვნენ, ომის ძარღვი, და ისიც დედაძარღვი, დაზიანდა: პაპის ხაზინაში ფული აღარ აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ჯარისკაცები ღმერთისა და მისი შავანაფორიანი წარმომადგენლების სიყვარულით არ იბრძოდნენ. მაშინვე განაცხადეს: თუ ფულს არ მივიღებთ, იარაღს დავყრითო. მოულოდნელობისაგან დაბნეულმა პაპმა სხვა გამოსავალი ვერ ნახა, ისევ თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობისათვის გადასახადი მოითხოვა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. ხალხი მართალია, გამოიფიტა და დაჩლუნგდა, მაგრამ ასეთმა თავხედურმა ბულამ მაინც საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. პაპის ხარკთამკრეფნი ისეთი მცირე თანხით დაბრუნდნენ რომში, რომ სიქსტმა ჯარის შეჩერება ვეღარ შესძლო. სამი წლის ხოცვა-ჟლეტის, ხანძრებისა და მკვლელობათა ჯაჭვის რგოლი გაწყდა. პაპი იძულებული გახდა ზავი ეთხოვა.

როცა პაპი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვენეციის საჰერცოგოს ვეღარ აჩუქებდა თავისი ღირსეული სიყვარულის ნაყოფს,

ძვირფას ჯერომო რიარიოს, დარდისაგან დასნეულდა და ჩაძაღლდა. ეს ბედნიერი ამბავი მოხდა 1484 წელს.

სიქსტის სიკვდილი ნამდვილი ტრიუმფი იყო. გახარებულმა ხალხმა მაშინვე ცეცხლს მისცა მისი ძმისწულების რიარიოს და დელა როვერეს სასახლეები. ეს ჯალათები ხალხს ისე სძაგდა, რომ ანდაზაც კი შეიქმნა: „ნამდვილი თურქები ახლა პაპის ძმისწულები არიანო". საერთო სიძულვილი ისე ძლიერი იყო, რომ უტვინო „სეფეწულების" მშვენიერ ბაღებში აღმართული ხეებიც კი არ დაინდეს.

ბრბომ დაწვა ციხე, რაც მღვდელმთავარმა თავისი წყევლით მოსაგონებელი მბრძანებლობის დროს აიშენა მომლოცველთა ფულით, დაანგრია წმინდა მამის ბეღლები და ხორბალი ღარიბებს დაურიგა, დახოცა პაპის ერთგული მომხრეები, მეტადრე გენუელები. პასკვინადები მეტყველებდნენ: „...სიკვდილო! რა მადლობელია შენი რომი, თუმცა ძალიან გვიან მოხვედი... დაბოლოს, სიქსტ, შენ ხარ გვამი. დაე, ყველა გახრწნილმა, არამზადამ, ბოროტმოქმედმა, ქურდმა და მატყუარამ შავები ჩაიცვას!"

ხოლო როცა ქალაქში წესრიგი დამყარდა კარდინალები დამშვიდებით შეიკრიბნენ არჩევნებზე, რათა ჩამღრძვალი არამზადის ადგილზე ახალი დაესვათ.

საარჩევნო ორომტრიალი

● სიქსტ IV მემკვიდრის არჩევა — ბრწყინვალე ნიმუშია იმ კორუპციისა, რაც წმინდა კოლეგიაში სუფევდა. პირველსავე საღამოს, როცა კონკლავი შეიკრიბა, წმინდა მარკოზის კარდინალმა თექვსმეტი ხმა მიიღო. სამი ქულა დააკლდა, რომ თასი მიეღო, ე. ი. პაპის ტიარა. მაშინ მისმა კოლეგამ, წმინდა პეტრეს კარდინალმა დანარჩენი სამი ხმა შესთავაზა, სამაგიეროდ მოთხოვა ხსენებული კარდინალის სასახლე, რაც წმინდა ანგელოზის ციხის მახლობლად იყო აღმართული.

წმინდა მარკოზის ტაძრის კარდინალმა შორს დაიჭირა, მეტისმეტი მოგვიდა, წინადადება მისცა, რაიმე უფრო ნაკლებად ღირებული აირჩიე ჩემი სამფლობელოებიდანო. მაგრამ წმინდა

პეტრეს კარდინალი გაჯიუტდა, სასახლე მიხდა, სხვა არაფერიო. გარიგება არ მოხდა და შეურაცხყოფილი კარდინალი ვიცე-კანცლერს მოელაპარაკა იმის თაობაზე, როგორ დავსაჯოთ უჯათო პრეტენდენტიო.

შუაღამისას ყველა პრელატი გააღვიძეს და დაუწყეს შეგონება, ხმა ჩიბოს მიეცითო, მელფის კარდინალს. კარდინალ საბელის თავისი ხმისათვის შესთავაზეს ციხე-სიმაგრე და ლეგატობა ბოლონიაში, კარდინალ კოლონას-სიმაგრე და ლეგატობა პაპის ეკლესიაში. აგრეთვე ოცდახუთი ათასიანი რენტა და სხვა პრივილეგიები, რომლებიც დამატებით შვიდი ათას დუკატს აძლევდნენ.

კარდინალ ორსინის ასე შეუთანხმდნენ: თუ ჩიბოს ხმას მისცემ, ციხეს მიიღებ და პაპის ხაზინადჯრად დაინიშნებიო. კარდინალ მარტინუზინოს ავინიონის საეპისკოპოსოსა და ციხეს დაპირდნენ. პარმის კარდინალი იმით დაამშვიდეს, რომ წმინდა ლავრენტის სასახლე დაულოცეს მთელი მისი შემოსავლით. მილანის კარდინალს არქიეპისკოპოსად აკურთხებდნენ ლატერანში და ლეგატად დანიშნავდნენ ავინიონში. დაბოლოს, წმინდა პეტრეს კარდინალმა თავი დაისაჩუქრა უზარმაზარი დომენით, რასაც გარშემო ხუთი ფართო ადგილ-მამული ეკრა, წმინდა პეტრეს ტახტის არმიის გენერალისიმუსის წოდებით. ასეთი სარფიანი გარიგების შემდეგ, გინდ ანგელოზი ყოფილიყო, გინდ სატანა, ხმის მიცემაზე უარს ვინ ეტყოდა! ხმის უმრავლესობა მიიღო ჩიბომ, მელფის კარდინალმა, გენუელმა ავაზაკმა. რომელსაც ინოკენტი VIII ეწოდა. ეს იყო ბოროტი, ზნედაცემული, რეგვენი პაპი. მისმა კოლეგამ, წმინდა მარკოზის ტაძრის კარდინალმა, გვიან გაიგო მის წინააღმდეგ მოწყობილი ხრიკის შინაარსი და არჩევნების სისწორეზე დავა სცადა. პირდაპირ შეურაცხმყოფელი სიტყვებით ამკობდა წმინდა კოლეგიის წევრებს, შეუძლებელიაო ხმების რაოდენობაში ასეთი ანაზდეული ცვლილება. მართლაც, წინა დღეს ხმების უმრავლესობა მიიღო, დღეს კი მხოლოდ ერთი, და ისიც მისივე საკუთარი!

კარდინალები მხოლოდ ულვაშებში იცინოდნენ. ღამით სულიწმინდა მოგვევლინა და თვალი აგვიხილაო. ასე სიცილსა და ხუმრობაში დამტკიცდა ინოკენტის არჩევა.

მკვლელობა
. მინდობილობით

● პაპის ტახტზე რომ ავიდა, ინოკენტის უკვე ჰყავდა თექვსმეტი უკანონო შვილი. თავის წინამორბედთა მსგავსად, როგორც კი ვატიკანში მოიკალათა, ახალი ობობა ოჯახის კეთილმოწყობის საქმეს შეუდგა: იმთავითვე იზრუნა იმისათვის, რომ თავისი შთამომავლობა ბენეფიციუმებით უზრუნველეყო, საეპისკოპოსოები და საძთავროები თავისი ნაბიჭვრებისა და მათი საყვარლების ხელში ჩაეგდო. ასე გასინჯეთ. ნეაპოლიტანის სამეფოს ნაწილსაც მისწვდა, რომ თავისი შვილის ფრანცისკის გული გაეხარებინა. მაგრამ ასეთ მტაცებლურ ზრახვას წინ აღუდგა მეფე ფერდინანდი, ჯერ დიპლომატიური ზომებით ძერე კი იარაღით. წმინდა მაძავ კი მის ელჩებს ქედმაღლურად განუცხადა, თქვენი მეფე ემორჩილება უზენაესს, რომლის წარმომადგენელიც დედაჭიწაზე მე ვარო. და ასე იმეორებდნენ ჟამიდან ჟამამდე დახავსებული პაპები ამ დახავსებულ დოგმას. იმეორებდნენ, რადგან გასდიოდათ...

ომმა პაპისაგან დიდძალი ხარჯები მოითხოვა. გამოცდილების სალარო მდიდარი იყო და წინამორბედთა ყველა ხერხი გამოიყენა. რეგვენ პაპს ეყო თავხედობა, რომ ყბადაღებული თურქობის ხარკიც გაეხსენებინა, თუმცა მთელმა ქვეყნიერებამ იცოდა, რომ ეს ხრიკი დიდი ხანია მხოლოდ ნიღაბი იყო, პაპთა სიხარბის დასაცხრობად მოგონილი.

ინოკენტის უნდოდა მთელი თავისი ძალღონე მიემართა ფერდინანდის წინააღმდეგ, რომელიც მრისხანე მოპირდაპირე იყო, ამიტომ პირველად განიზრახა ანგარიშის გასწორება ვინმე სენიორ ბუკოლინისთან, რომელიც ქალაქ ოზიმოში გამაგრდა და პაპის სამფლობელოებს ესხმოდა თავს. ხმა დადიოდა, ბუკოლინის სულთან ბაიაზედთან აქვსო კავშირი, იტალიის დაპყრობას არისო დაპირებული, თუ რომანის სანაპიროზე ათი ათას თურქს გადმოსხამსო.

ინოკენტიმ სცადა ძალით ჩაეგდო ხელში ბუკოლინი. ამ მიზნით ქალაქ ოზიმოში გაგზავნა თორმეტი ათასი ცხენოსანი და რვა

ათასი ფეხოსანი. მაგრამ ქალაქის გარნიზონმა პაპის არმიის ყველა იერიში უკუაგდო.

მაშინ წმინდა მამამ ღვარძლიანი მახვილგონიერება გამოავლინა, თავისი კავალერიის სარდალს კარდინალ ჯულიანოს მისწერა: თუ მტერს ვერ ვამარცხებთ, ის უნდა ვიყიდოთო.

ბუკოლინიმ მძიმე შეცდომა დაუშვა, წინადადება მიიღო, პაპის სარდალს შვიდი ათას ოქროს ეკიუს ფასად დაუთმო ქალაქი ოზიმო და მამაცი ჯარისკაცები გაუშვა. ბუკოლინი მილანში ჩავიდა. ორი დღის შემდეგ ის საკუთარ ლოგინში გაგუდული ნახეს: ღამით რომელიღაც მეძავ დედაკაცს დაეხრჩო, რათა პაპისათვის დაკარგული შვიდი ათასი ეკიუ დაებრუნებინა.

ნადირობა ადამიანებზე

● ინოკენტი VIII სულაც არ აწუხებდა სინდისის ქენჯნა იმ კაცის მოკვლისათვის, რომელიც მასთან სტუმრად მიდიოდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, პაპი საერთოდ არ ეძებდა თავისი საქციელის არავითარ მოტივირებას, რადგან ყველაფერი, რაც პაპის ხელიდან გამოვიდოდა, ითვლებოდა უზენაეს სიბრძნედ, თუნდაც უსაზიზღრესი დანაშაული ყოფილიყო. ეპისტოლეები, რომელთაც თავის ლეგატებს უგზავნიდა, რათა წაექეზებინა, ერეტიკოსებს უფრო სასტიკად მოექეცითო, აშკარად მოწმობენ მის გულგრილ სისასტიკეს. აი, როგორ აღწერს ისტორიკოსი პერენი ჯვაროსნულ ლაშქრობას ვალდენსელთა წინააღმდეგ.

„ალბერტმა, კრემონის არქიდიაკონმა, რომელიც ინოკენტი VIII გაგზავნა საფრანგეთში ვალდენსელთა გასანადგურებლად, მეფისაგან ნებართვა მიიღო მოესპო ერეტიკოსები ყოველგვარი სასამართლო გაჭიანურების გარეშე, სამეფო ლეიტენანტის ჟაკ ლაპლის და მრჩეველ ჟან რაბოს დახმარებით. ეს სამი არამზადა, — პაპის ლეგატი, მეფის ლეიტენანტი და მრჩეველი, — დაქირავებულთა სასტიკი ბანდის თანხლებით დაატყდა თავს ლუარის ხეობას, რათა მოესპოთ მისი მოსახლეობა. მაგრამ იქ ვერავინ ნახეს. ბანდის მოახლოება რომ გაიგეს, უბედურმა ერეტიკოსებმა თავიანთი ბავშვები დაიტაცეს და თავი მთებს შეაფარეს, ნაყოფი-

ერ ველს რომ ეკრა რკალად და მრავალი გამოქვაბულით იყო დასერილი. მაშინ არქიდიაკონმა და მისმა მხლებლებმა ნამდვილი ნადირობა მოაწყვეს ადამიანებზე. ხალხს ისე ექცეოდნენ, როგორც მგლიებს. როგორც კი აღმოაჩენდნენ რომელიმე გამოქვაბულს, რომელშიაც ადამიანები იმალებოდნენ, გარედან ფიჩხსა და ჩალას შემოუწყობდნენ და ცეცხლს წაუკიდებდნენ. ვინც შიგ იყო, კვამლში იგუდებოდა, ხოლო თუ ვინმე გამოსვლას მოინდომებდა, ჯარისკაცები შუბებით ერეკებოდნენ უკანვე, რომ ცეცხლში დაეწვათ.

ანგარიშის გასწორებამ ისეთი ძრწოლა გამოიწვია, რომ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც პაპის ჯალათებს გადარჩა, თავს იკლავდა: ის უბედურნი ერთიმეორეს ხოცავდნენ, ან უფსკრულში ცვიოდნენ, ოღონდ არქიდიაკონის ბანდიტებს არ შეეპყროთ და ცოცხლად არ დაეწვათ.

თუ ჯალათები შეშას ვერ იშოვნიდნენ, გამოქვაბულში შესასვლელებს ამოგლესავდნენ ან უზარმაზარ ლოდებს მიაწყობდნენ. ლეგატის წასვლის შემდეგ მთებში გათხრები ჩაატარეს, და გამოქვაბულებში რვაასამდე ყმაწვილის გვამი იპოვნეს: ბავშვები ან თავიანთ აკვნებში დაეხრჩო ბოლს, ან დედების ხელში დაღუპულიყვნენ, ან კიდევ შიმშილით დახოცილიყვნენ.

პაპის ჯალათებმა პირნათლად მოიხადეს თავიანთი ვალი: ექვსი ათასი ვალდენსელიდან, რომლებიც ამ ნაყოფიერ ველზე სახლობდნენ, ექვსასი კაცი-ღა დარჩა, თავიანთ ძმებს რომ დასტიროდნენ. ამ უბედურთა მთელი ქონება ერთმანეთში დაინაწილეს კრემონის არქიდიაკონმა, ჟაკ ლაპალმა და ჟან რაბომ. ამას გარდა, ლეგატმა თავისი ენერგიისა და დაუნდობლობისათვის საჩუქრად ეპისკოპოსის წოდება მიიღო".

სასულიერო მორიელებისა არ გაგვიკვირდება, მაგრამ რა უნდა ვუწოდოთ იმ ქალაჩუნა მეფეებს, რომლებიც გადამთიელ ჯალათებს თავიანთი ქვეშევრდომების ასე თურქულად გაჟლეტის სანქციას აძლევდნენ?

ბაიაზეთმა და ზიზიმმა ტახტისათვის ბრძოლა გააჩაღეს, ამასთან ბევრი სისხლი დაიღვარა. დამარცხებული ზიზიმი ეგვიპტეში გაიქცა, რათა ძმის შურისძიებისათვის თავი დაეღწია, იქიდან საფრანგეთში გადავიდა, ბრლოს კი იტალიაში გაეშურა, რომის პაპს შეეხვეწა, დაიმედებული, რომ მასთან უფრო საიმედო თავშესაფარს იშოვიდა, ვიდრე კარლოს VIII სასახლეში. პაპი კი უფასოდ არაფერს იძლევა და თავშესაფარს მას მისცემს, ვინც მეტს გადაუხდის. მოკლედ, პაპი სულთანზე უარესია.

ზიზიმი რომში გამოჩნდა იმ დროს, როცა ინოკენტიმ ამოწურა ყველა რესურსი, იძულებული გახდა უარი ეთქვა თავის განზრახვაზე და ფერდინანდს, ნეაპოლიტანის მეფეს ზავი სთხოვა.

თურქეთის პრინცის გამოცხადებამ პაპს ფრთები შეასხა: მაშინვე მიხვდა, რა დიდი სარგებლობა შეეძლო მისთვის მოეტანა ორი ძმის ჭიშპობას.

როცა საჯარო მიღებაზე ცერემონმაისტერმა ზიზიმს წინადადება მისცა, პაპის-ქოშს ეამბორეო, მუსულმანი აღშფოთებული დარჩა და მაჰმადის წვერი დაიფიცა, არასოდეს არ შევეხები ამ საძაგლობასო. თარჯიმანმა კეთილგონივრულად დაშალა ზიზიმის ნათქვამი და დაკმაყოფილდა იმის განცხადებით, რომ ზიზიმმა სთხოვა, ეს მოვალეობა ჩემს მაგიერ შენ შეასრულეო.

სხვა ვითარებაში ინოკენტი, ცხადია, ზიზიმს ჭკუას ასწავლიდა ჯიუტობისათვის, მაგრამ ახლა ეს კაცი აუცილებლად ესაჭიროებოდა. ამიტომ თავი მეგობრად გაუსაღა და საზეიმოდ შეჰფიცა კიდეც, კონსტანტინოპოლის ტახტს დაგისაკუთრებო.

უპირველეს ყოვლისა, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელმა, პაპმა შანტაჟს მიმართა, ბაიაზეთს დაემუქრა, ამბოხებას მოგიწყობ აღმოსავლეთშიო, და დიდძალი თანხა გამოსცანცლა. ამას გარდა, ბაიაზეთი აიძულა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, რომ ბრწყინვალე პორტა ქრისტეს მოადგილეს ყოველთვის მიაწოდებს ჯარისკაცებს, როცა კი დასჭირდება. ამან მის უწმინდესობას საშუალება მისცა ფერდინანდთან ბრძოლა განეახლებინა. მაგრამ

არც ამით ამოიწურებოდა ყველა მოგება, რისი მიღებაც თურქეთის პრინცის შემწეობით შეიძლებოდა.

როგორც უკვე ვნახეთ, ინოკენტი VIII წინამორბედებს თურქეთის სულთნის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა არა-ერთხელ გამოუყენებიათ ევროპის ხალხების გაძარცვის საბაბად. ადვილი შესაძლებელია, რომ რომის კურია მართლაც ფიქრობდა სულთანის წინააღმდეგ ექსპედიციის მოწყობას მისი ძმის მონაწილეობით, რომელიც ტახტის პრეტენდენტის სახით ხალისით ჩაუდგებოდა სათავეში ამ ლაშქრობას, და ზიზიმს ალბათ თურქეთშიც ჰყავდა ჯერ კიდევ თანამზრახველები.

წმინდა მამას არ შეეძლო არ ესარგებლა ასეთი ვითარებით. ბაგრამ ცხადია, თურქეთთან ომისათვის საჭირო თანხების აკრეფით არ დაკმაყოფილდებოდა. მის თავში უფრო ეშმაკური გეგმა მომწიფდა.

ერთის მხრივ, ევროპის ყველა ხელმწიფეს ლეგატები გაუგზავნა, მსოფლიო კრება უნდა მოვიწვიოთ, სადაც ახალი ჯვაროსნული ლაშქრობა გამოცხადდებაო: მეორე მხრივ კი სულთან ბაიაზეთთან ჰქონდა გამართული მოლაპარაკება ზავის თაობაზე, და ‘შვიდობის ფასზე ევაჭრებოდა.

ინოკენტი VIII ამრიგად, როგორც ხალხურ ანდაზაშია, ერთბაშად ორ კურდღელს დაედევნა და იმავე ანდაზის საპირისპიროდ ორივე დაიჭირა.

კრებაზე, სადაც ყველა სამეფომ, პროვინციამ და მეტნაკლებად მნიშვნელოვანმა ქალაქმა გაგზავნა წარმომადგენლები, გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ყველა ქრისტიანი მოვალეა გაიღოს ურჯულოებთან ომის სახსრები და პაპი უფლებამოსილია მოაგროვოს გადასახადები, მოითხოვოს შემოწირულობა, გაყიდოს ინდულგენციები, ნებართვის სიგელები და პრივილეგიები, ისიც ისეთი რაოდენობით, რა რაოდენობითაც მიზანშეწონილად ჩათვლის ახალი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის.

ინოკენტიმ არ დააყოვნა მისთვის მინიჭებული უფლების მაქსიმალურად გამოყენება. საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, უნგრეთში, ბოჰემიაში, პოლონეთსა და ინგლისში ისეთი უხვი მოსავალი მოიმკო, რომ სამოციქულო საგარძურისათვის ახალი განყოფილების მიშენება მოუხდა, ძველმა საცავმა ველარ დაიტია

ევროპის ხალხების ნაშრომ-ნაჯაფი, პაპის სახელით მოდებულმა ხარკის ამკრეფებმა რომ მოზიდეს ოთხივ კუთხიდან.

იმავე დროს საპირისპირო მოქ ,ოაკებაც აღმოსავლეთში წარმატებით დამთავრდა. სულთან ბაიაზეთს პაპის მუქარისა შეეშინდა, თანხმობა განაცხადა იმ თანხის გადახდაზე, რაც მოსთხოვეს. ის კი არა, დამატებით ძვირფასი თვლებით მოოქვილი ფასდაუდებელი საჩუქრებიც გამოუგზავნა პაპსა და კარდინალებს, თან ოცდაათი დარჩეული ჩერქეზი ქალიც აახლა. ეტყობა, კარგად იცოდა ქრისტიან ღვთისმსახურთა გემოვნება.

საჩუქრებმა პაპის სასახლეში აღფრთოვანება გამოიწვიეს — ბევრმა საშინელი სურვილიც კი გამოთქვა, მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადავალთო. ცხადია, ეს მხოლოდ ხუმრობა იყო: სულაც არ ესაჭიროებოდათ მუსულმანობის მიღება იმისათვის, რომ ჰარამ-ხანა გაეხსნ ,ა.

ამ დიდებული საჩუქრების გარდა ბაიაზეთმა ზიზიმის და მისი ამალის შესანახად პაპს გამოუგზავნა ას სამოცი ათასი ეკიუ ოქროთი. მისი უწმინდესობის გეგმა ისე განხორციელდა, ასეთი წარმატების იმედი თვითონ პაპს არ ჰქონდა.

გავიდა რამდენიმე დღე რომში თურქი ელჩების ჩამოსვლიდან და პაპს ახალი დელეგაცია ეახლა. ეგვიპტის ხალიფი რომის პაპს ჰპირდებოდა ოთხასი ათას დუკატს, იერუსალიმის გადაცემას ქრისტიანთა სრულ გამგებლობაში და დახმარებას ყველა დამპყრობელურ ზრახვებში, რასაც პაპი აღმოსავლეთში განიზრახავდა, სამაგიეროდ კი მოითხოვდა მხოლოდ ზიზიმის გადაცემას.

ელჩებს არ დაუფარავთ თავიანთი განზრახვა: ეგვიპტის ხალიფს გადაწყვეტილი აქვს თავის ჯარის სათავეში ზიზიმი დააყენოს, გაილაშქროს და დაამხოს ბაიაზეთი, რომლის დაუძინებელი მტერიც არისო.

ინოკენტიმ წინადადება მიიღო: წესად როდი აქვთ პაპებს ფულზე უარის თქმა, რა საქმისათვისაც არ უნდა შესთავაზონ. ეს გადაწყვეტილება აშკარა მუხანათობა იყო ბაიაზეთის მიმართ, მაგრამ პაპი თავისი ღირსების შელახვად თვლიდა ასეთ წვრილმანებზე ყურადღების შეჩერებას.

ესეც რომ არ იყოს, გაძა ზიზიმს დახმარებას არ დაჰპირდა? რა გაეწყობა, ახლა მისი უწმინდესობა თავის სიტყვას შეასრულებს

— მართალია, სხვისი შემწეობით, მაგრამ განა სულერთი არ არის? ასე რომ, ხალიფის ელჩებს დაუთქვა, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში გამოგიგზავნით ზიზიმს ქაიროშიო.

მოლაპარაკება სრულიად საიდუმლოდ წარმოებდა. მაგრამ ვერ მოასწრეს ხალიფის ელჩებმა რომიდან წასვლა, რომ თურქეთის სულთანმა უკვე იცოდა, რომ პაპს განზრახული აქვს ზიზიმის განთავისუფლება და ეგვიპტეში გაგზავნა, მიუხედავად ყველა საჩუქრისა, რაც ვერაგ მღვდელმთავარს გაუგზავნა.

რანაირად გაიგო სულთანმა პაპისა და ხალიფის ელჩების მოლაპარაკების საიდუმლო? მატიანე ამაზე დუმს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაიძვერა პაპმა — საქმოსანმა თვითონვე შეატყობინა ელჩს, ასეთი წინადადება მომცეს ქაიროდანო. მოკლედ, ზიზიმი იქცა ოქროს ვალუტად, რასაც პაპი წაღმა-უკუღმა ატრიალებდა და საითაც არ უნდა გადაეტრიალებინა, სულ მარგალიტს აფრქვევდა.

თურქეთის ელჩმა პაპს ექვსასი ათასი ეკიუ შესთავაზა ოქროთი და წინადადება მისცა, ზიზიმი მოწამლეო (რა საწყენია, რომ სარწმუნოება თიშავდა ისეთ ღვიძლ ძმებს, როგორიც იყვნენ პაპი და სულთანი!). გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, პაპი დათანხმდა. მისმა უწმინდესობამ მიიღო უწმინდური გასამრჯელო — ექვსასი ათასი ეკიუ, და გასცა თავისი უზენაესი ნებართვა, ოღონდ ეს კი ბრძანა: შემატყობინეთ, რანაირად განხორციელდება ეს ამბავიო.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ნამდვილი პაპი იყო, რომლის მუხანათურ ხრიკებს ალღოს ვერ უღებდა ვერც ქრისტიანი, ვერც მაჰმადიანი, როგორც ასპიტის გესლში არ გაერევა ნექტარი, ისე პაპის ვერც ერთ ნაბიჯში ვერ იპოვნით რაინდულ, ადამიანურ, ქრისტიანულ ჟესტს.

ვერც სულთანის ელჩმა შეიცნო პაპის კითხვაში მზაკვრობა და გულახდილად გაუმხილა საიდუმლო: ხვალ მისი სასახლის მცველი ოფიცერი ქრისტოფორ მაკრენი შხამს ჩააწვეთებს წყალში, გრაფინით რომ დგას პრინცის მაგიდაზეო.

ისტორიკოსი რაინალდი, რომელსაც ამ ცნობებისათვის ვუმადლით, გვაუწყებს: „ინოკენტიმ ეს გეგმა მოიწონა და იმავე დღეს ელჩმა მკვლელს შხამი გადასცა. მაგრამ წმინდა მამას, რომელმაც ამ საქმისათვის უზარმაზარი თანხა მიიღო, არავითარი ხალისი არა

ჰქონდა შემოსავლის ძვირფასი წყარო დაეშრიტა და პრინცი მოეკლა. იმავე საღამოს პაპის ქეშიკებმა ოფიცერი ქრისტოფორ მაკრენი შეიპყრეს და აწამეს. პაპის მუხანათობის მორიგი ბედუკულმართი მსხვერპლი გამოტყდა და მას ოთხად გაკვეთა მიუსაჯეს, ისიც გავარვარებული მარწუხებით. დასჯის შემდეგ მისი დასახიჩრებული ტანის ნაწილები ქალაქის ალაყაფის კარებზე გააკრეს".

„ეს მღაღადებელი მუხანათობა და თაღლითობა იყო, — დასძენს რაინალდი, — რამაც დაარღვია ყველა მოლაპარაკება, და ერთ-ორე დღეს ელჩმა კონსტანტინოპოლს გაცურა, თან ქვეყნიერებას მოჰფინა ეშმარიტების ხმა — რომის პაპი თავხედი გაიძვერა და თაღლითი ყოფილაო".

ინოკენტის ნაკლებად აწუხებდა ის ამბავი, თუ რას ფიქრობდა ან რას იტყოდა მის შესახებ სულთანი, მხოლოდ ულვაშებში იცინოდა: უზარმაზარი საზღაპრო თანხები მიიღო არაფრისათვის, და ეს იყო მისთვის მთავარი, — სხვა დაეარჩენი მას არაფერი არ აღელვებდა.

პაპი ერთხანს კიდევ განაგრძობდა შანტაჟებისა და ფულის გამოძალვის პოლიტიკას: ხმა დაყარა, ბაიაზეთის ელჩები გაცოფებული წავიდნენ, რაკი თურქებთან ზავზე ხელის მოწერა არ ვინებეო. მისი ყურმოჭრილი ყმების მიერ გაბერილი ეს ხმები კიდევ უფრო აადვილებდნენ ხარკის აკრეფას. უკანასკნელმა თაღლითურმა აფიორამ პირწავარდნილ არამზადას არა თუ სახელი არ გაუტეხა, არამედ სარგებლობაც კი მოუტანა.

პაპის მჭუხარე წარმატება მისი ღვარძლიანი არსებობის აღსასრულს დაემთხვა. სიკვდილის წინ კიდევ მეტი სიამოვნება განიცადა: როგორც იქნა, აიძულა ნეაპოლიტანის მეფე, რომ უარი ეთქვა იმ სამფლობელოებზე, რომელთა გადაცემაც პაპს ასეთი დაუცხრომელი ჟინით უნდოდა თავისი ერთ-ერთი შვილისათვის.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. წვეთი დაეცა და სული ეშმაკს ჩააბარა.

ინფესურას და სხვა ისტორიკოსთა ცნობით, მისმა ექიმმა, მიხრწნილი ბებრისათვის რომ ძარღვებში სიცოცხლის ძალები აღედგინა, დანაშაულებრივ საშუალებას მიმართა — მომაკვდავის ვენებში სამი ყმაწვილის სისხლი ჩაუშვა. პაპმა იცოდა, ამ დანაშაულის ჩადენას რომ აპირებდნენ, და თანხმობა განაცხადა. ჩანს, გონება

უკვე დაბინდული ჰქონდა, თორემ ექიმს შეუსწორებდა: ადამიანის კი არა, ასპიტის სისხლი რომ ჩაესხათ, იქნება გადაერჩინათ.

სამიგე ყმაწვილი დაიღუპა. არ გვიკვირს, ჩვენ ვიცით, რომ ინოკენტის ასეთი საქმეები ხელიდან გამოსდიოდა!

ალექსანდრე VI

● ბორჯიას სახელი, რაც ყველა მიწიერი ბოროტების სინონიმად ქცეულა! ამის მიუხედავად ყველამ როდი იცის მთელი ის სიავე და ბოროტმოქმედება, რაც ამ მიწაზე მოვლენილ ხორცშესხმულ ეშმაკს ჩაუდენია.

დედამისი, დაბადებით იოანა ბორჯია, ისტორიკოსთა ცნობით არაგონიის მეფეთა შთამომავალი, ვინმე გოტფრიდ ლენზოლის მეუღლე, დიდი ხნის განმავლობაში სარეცელს უზიარებდა თავის ძმას ალფონსო ბორჯიას, რომელიც მოციქულის ტახტზე იჯდა კალიქსტ II სახელწოდებით (ალფონსო ტახტზე დასვეს ორმოცი წლის ასაკში და საქრისტიანოს განაგებდა 1455—1458 წლებში).

როდრიგო იყო მათი უზნეო სიყვარულის მახინჯი ნაყოფი. ეს ფაქტი იმდენად აშკარა იყო, რომ გოტფრიდ ლენზოლიც ცოლს გასცილდა, უარი თქვა და-ძმის გულისამრევი მრუშობით გაჩენილი ნაშიერის მამობაზე, ამიტომ როდრიგომ თავისი ფაქტიური დედისა და მამის გვარი მიიღო. ბორჯია ხომ საერთოდ მახინჯი გვარი იყო, უზნეობისა და სისასტიკის აშმორებული ბუნაგი! როდრიგო ბორჯიამ დააგვირგვინა ამ გვარის მემკვიდრეობითი სიმახინჯე.

როდრიგო დე ბორჯიამ, მომავალმა ალექსანდრე VI, ყრმობის ასაკიდანვე გამოიჩინა თავი საყურადღებო უნარიანობითა და ზნეობრივი აღვირახსნილობით. იურისპრუდენცია შეისწავლა, მოკლე ხანში უაღრესად ენამახვილი ვექილის სახელი მოიხვეჭა, ბნელსა და ბინძურ საქმეებში იწაფებოდა. სულ მალე მოჰბეზრდა თავისი პროფესია, რაც ზნეობრივ სიწმინდეს ითხოვდა, და ერთ მშვენიერ დღეს ადვოკატის ტოგა სამხედრო აღჭურვილობით შეცვალა, რომ თავისი ქვენა გრძნობებისათვის ფართო გასაქანი მიეცა.

იმ ხანებში, თვითონაც ესპანელს, ერთ ესპანელ დედაკაცთან ჰქონდა კავშირი. მართალია, ის მზეთუნახავი ქვრივი ასაკით უფ-

როსი იყო და ორი შვილი ჰყავდა, ორივე ასული, ადრინდელი სიყვარულის ორი ნაყოფი. დედა რომ შეაცდინა, როდრიგომ მისი ასულებიც გახრწნა, მარტოოდენ სიტკბოების და დროსტარების სიყვარული ჩაუნერგა. დედა რომ გარდაიცვალა, უფროსი ასული მონასტერში ჩააბარა, უმცროსი კი, უფრო ლამაზი, თავისთვის დაიტოვა. ამ საქმეში ბალთაზარ კოსას დაემსგავსა, მაგრამ შემდეგ კი იმასაც დაჩრდილავს. ამრიგად, ბორჯიამ თავისი საყვარლის ასული დაისვა საყვარლად და კიდეც ეყოლა მისგან ხუთი შვილი. მათგან ცოცხალი დარჩნენ ფრანჩესკო, ცეზარი (ჩეზარი), ლუკრეცია და ჯიფრიდი.

შვიდი წლის განმავლობაში ქუხდა მთელ ესპანეთში როდრიგო ბორჯიას ძხიარული და უზნეო ცხოვრების ამბავი, და ამ გარემოებამ საკმაოდ შეუწყო ხელი მისი ბიძისა და მამის ალფონსო ბორჯიას არჩევას. შვილის წარმატებამ მამა პაპის ტახტზე დასვა. მამა და ღვიძლი ბიძა!

ღირსპატივცემულ მღვდელმთავარს მხურვალედ უყვარდა შვილი (ეს გასაგებია: ჩვეულებრივ მამებსაც უყვართ შვილები, ის კი მამაც იყო და ბიძაც). როგორც კი ტიარა მიიღო, როდრიგო რომში გაიწვია. მისი დაჟინებითი თხოვნით შვილმა მუნდირი გაიხადა და ანაფორა ჩაიცვა. ბუნებრივია, ეგზომ დიდი მფარველის წყალობით როდრიგომ სწრაფად გაიკეთა ჩინებული საეკლესიო კარიერა. რამდენიმე წელიც და არქიეპისკოპოსის ხარისხი მიიღო ვალენსიაში. რომში ჩამოსვლის შემდეგ პაპმა ბენეფიციუმი უწყალობა, რითაც მისთვის თორმეტი ათასი ეკუ წლიური შემოსავალი უზრუნველჰყო. ამ თანხას რომ საგვარეულო მამულებიდან შემოსულ ოცდაათიათას დუკატიანი რენტა დაუმატა, მეტიც არ უნდოდა, ნამდვილი დიდებულივით ხელგაშლილად ცხოვრება დაიწყო.

ჭკვიანმა და ვერაგმა როდრიგომ იცოდა, რომ მისი პატივმოყვარეობით ნაკარნახევი დიდების მოსაპოვებლად აუცილებელი იყო გარეგნული წესიერების დაცვა, ამიტომ თავისი საყვარელი რომში არ ჩაუყვანია, ვენეციაში დაასახლა, იქ ჩადიოდა და ნახულობდა დროგამოშვებით.

ვალენსიის არქიეპისკოპოსად რომ დაინიშნა, როდრიგო განთავისუფლდა თავისი ეპარქიის უშუალო მმართველობისაგან.

კალიქსტ III თავიდან არ იცილებდა, რადგან სიყვარული, რითაც პაპი თავის უკანონო შვილთან იყო დაკავშირებული, სულაც არ გახლდათ მარტოოდენ მამაშვილური. ეს ჩრდილავდა ყველა სოდომურ ცოდვას. მაგრამ ვერც ამ გახრწნილების მწვერვალზე შენიშნეს როდრიგოს მანკიერება. გარეგნულად ისე მკაცრად ეჭირა თავი და ისე მოხდენილად ირგებდა კეთილმსახურის ნიღაბს, რომ წმინდა კაცის რეპუტაცია მოიხვეჭა. მხოლოდ მახლობელი და შორსმჭვრეტელი ადამიანები ხვდებოდნენ წმინდა მამასთან მისი კავშირის ნამდვილ მიზეზებს .მალე პაპმა როდრიგო ეკლესიის ვიცე-კანცლერად და წმინდა ნიკოლოზის კარდინალ-დიაკვნად დანიშნა, ამასთან პენსია დაუნიშნა, და რა პენსია: ოცდარვა ათასი ოქროს ეკიუ.

ამ დღიდან როდრიგოს ყველა ზრახვა ერთ მიზანში იყრიდა თავს: გზა გაეკაფა მოციქულის ტახტისაკენ. თითქოს ასეთი არაშზადისათვის ეს არც ისე ძნელი გზა უნდა ყოფილიყო, მაგრამ როდრიგო მაინც სიფრთხილეს იჩენდა: ნამდვილი განდეგილის ცხოვრებას მიჰყო ხელი, როგორც მორის ლეშატრი გადმოგვცემს: ხალხში გამოსვლის დროს ხელები მუდამ ჯვარად ეწყო გულმკერდზე, მზერა ძირს დაეხარა, შთაგონებით და დიდის ამბით ლაპარაკობდა, ფიქრიანად, ეკლესიებში ხშირად დადიოდა, გულმოდგინედ ნახულობდა საავადმყოფოებს, ღვთისსათნო დაწესებულებებს, მოწყალებას იძლეოდა, ქონებას ღარიბებს ვუანდერძებო, აცხადებდა. სიმდიდრის უკიდურეს სიძულვილს ამჟღავნებდა ოქროში ჩამჯდარი თაღლითი, რელიგიისა და ზნეობის უაღრესად მოყვარულ კაცად ასაღებდა თავს. რომის ხალხი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ატყუებდნენ ასეთი ფარისევლები, ამჯერადაც მოტყუვდა. როდრიგოს სოლომონს ეძახდნენ მისი სიბრძნისათვის, იობს — მოთმინებისათვის, მოსეს — უფლის კანონის ერთგულებისათვის.

თავის ადგილზე რომ დაუღალავად მუშაობდა, იმავე დროს როდრიგო ბორჯია არ გამოუშვებდა წმინდა კოლეგიის არც ერთ სხდომას, გულმოდგინედ იხვეჭდა თავისი კოლეგების კეთილგანწყობილებას, ადამიანებთან ურთიერთობაში იჩენდა არაჩვეულებრივ თავმდაბლობას და სახნოვებას — სწორედ იმ თვისებებს, რომლებიც სავსებით არ გააჩნდა. ზომიერად ამაყი და თანაც უბრალო, სერიოზული და ხუმრობის მოყვარული როდრიგო თავის

საქმეს იწყობდა. უკვე მრავალი კარდინალის, ელჩის და იტალიელი სენიორის გული მოინადირა, ტახტის გარშემო რომ ირეოდნენ. განსაცვიფრებელი სიმარჯვით ფარავდა სრული გულგრილობის ნიღაბში აწყვეტილ ვნებებს და შეუპოვრად, მოფიქრებულად მიდიოდა თავისი აღთქმული მიზნისაკენ.

ასე აბრიყვებდა ხალხს და იმავე დროს აწარმოებდა მიწერ-მოწერას თავის საყვარელთან, ამ წერილებში თვითონვე ხსნიდა მოტივებს, რომლებიც აიძულებდნენ, რომ ზემოთ აღწერილი კომედია გაეთამაშა:

„როზა, საყვარელო ჩემო, ჩემს მაგალითს მიჰბაძე: იცხოვრე უმანკოდ იმ დღის მოლოდინში, როცა შევძლებ, რომ ხელახლა ძარადიული ნეტარებით შემოგიერთდე. დაე, ნურავისი ბაგეები ნუ შებილწავენ შენს მშვენიერებას, და ნურც ერთი ხელი ნუ გაბედავს საფარველი გადახადოს იმ სხეულს, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნის. ჯერჯერობით კი გამოიჩინე უდიდესი მზრუნველობა ჩვენი შვილების აღზრდისათვის, რადგან მათ მოელით ხალხებისა და ხელმწიფეების მბრძანებლობა...“

მაგრამ აქ როდრიგოს შეეშალა!

მეტისმეტი გულმოდგინება გამოუვიდა და რელიგიური გრძნობიერებით მხოლოდ ავნო თავის თავს. სათნოება იმ დროს ითვლებოდა საუკეთესო ღონისძიებად მოციქულის ტახტზე ასასვლელად. აშკარა გახდა, რომ ცდებოდა. ეს გაიგო მაშინ, როცა ტახტი ერგო ჯერ პიუს II, მერე პავლე II, სიქსტ IV და ინოკენტი VIII... მოგეხსენებათ, არც ერთი მათგანი განდეგილი და დაყუდებული არ ყოფილა. სადღაც თვით ბორჯია შეცდა.

როდესაც პაპის ტახტზე სიქსტ IV ავიდა, როდრიგო დარწმუნდა, რომ ტყუილუბრალოდ იწუხებდა თავს, არაგონიის ლეგატის წოდება იყიდა და ესპანეთში დაბრუნდა. იქ მისმა აღვირახსნილმა ორგიებმა ისეთი ხასიათი მიიღეს, რომ ჰენრიხ სუსტი იძულებული ვახდა გაეგდო.

როდრიგო რომში დაბრუნდა. დასაკარგავი უკვე აღარაფერი ჰქონდა, როზა და ხუთი შვილი ჩამოიყვანა, ქალაქის ერთ შორეულ კვარტალში გაწყობილ სასახლეში დაასახლა. როზამ კასტილიის გრაფინიის ტიტული მოიპოვა (ასეთი წოდება ჰქონდა სასახლის ინტენდანტს, რომელმაც მასთან ფიქტიურად იქორწინა). თავისი მეგობ-

რის მონახულების საბაბით როდრიგო, იგივე კარდინალი ბორჯია ყოველ საღამოს ნახულობდა თავის საყვარელს, მთელს ღამეებს ორგიებში ატარებდა, რომლებშიაც მონაწილეობდნენ როზა, ასული ლუკრეცია და ვაჟიშვილები — ფრანჩესკო და ცეზარი (ჩეზარე).

ინოკენტი VIII რომ მიიცვალა, კარდინალებთან თამაშს აღარ მოკუჟა, არც უსარგებლო წმინდანობია დაუწყია, პირდაპირ ადგა და იყიდა ხმები. ეს საშუალება ყველაზე უფრო საიმედო იყო, რომ წმინდა პეტრეს გასაღები ხელახლა არ გასხლტომოდა ხელიდან! კარდინალმა ორსინიმ თავისი ხმა მიჰყიდა მონტიჩელის და სარიანის სიმაგრეების ფასად. კარდინალი სფორცა რომის ეკლესიის ვიცე-კანცლერად დანიშნა. კარდინალმა კოლონამ თავისი ხმა ძვირად დააფასა: წმინდა ბენედიქტეს საბატო მოითხოვა მთელი ახლომდებარე მამულებიანად. წმინდა ანგელოზის კარდინალმა მიიღო პორტოს საეპისკოპოსო, აგრეთვე ციხე-სიმაგრე და ღვინით სავსე სარდაფები. ვენეციელმა ბერმა, რომელსაც თავი უკანკალებდა, კარდინალის ქუდი დაიხურა, თავისი ხმა გაყიდა ხუთი ათას ოქროს დუკატად და დამატებით მოითხოვა, რომ პაპის ასულს ლუკრეცია ბორჯიას მასთან ერთი ღამე გაეტარებინა. ასე იყიდა მთელი წმინდა კოლეგია და კიდევაც გამოცხადდა პაპად. როდრიგო ბორჯია იქცა ალექსანდრე მეექვსედ.

„ამრიგად, — შესძახა, როცა რომის ეკლესიის ვიცე-კანცლერ ბორჯიას სახელი საარჩევნო ყუთიდან ამოიღეს, — ამრიგად, მე პაპი ვარ, წმინდა პეტრეს მოადგილე!“

„დიახ, თქვენო უწმინდესობავ, — უპასუხა სფორცამ, — თქვენ არჩეული ხართ მღვდელმთავრად ყველა საეკლესიო კანონის დაცვით, და იმედი გვაქვს, რომ თქვენი არჩევა დაასვენებს ეკლესიას მთელი საქრისტიანოს საკეთილდღეოდ, რადგან თქვენ არჩეული ხართ სულწმინდის ნებით, როგორც ჩვენს ძმებში ყველაზე უფრო ღირსეული“.

მაგრამ როდესაც ახლად გამომცხვარი პაპი სამღვდელმთავრო შესამოსელით შემოსეს და თვითონვე ძვუფარავი საზეიმო იერით დაიხურა თავზე დიდი ხნის ნანატრი ტიარა, კარდინალმა მედიჩიმ ველარ მოითმინა და მის გვერდით მჯდომ კონკლავის წევრს ჩურჩულით უთხრა: „ჩვენ მგლის ხახაში ჩავცვივდით, ის ყველას

შეგვახრამუნებს, თუ თავის დაღწევის ღონისძიებას ვერ გამოვნახავთ".

ტახტზე ალექსანდრე VI ასვლა სულაც არ ეპაშნიკა ევროპის მრავალ ხელმწიფეს. ესპანეთის ზოგიერთი მეფე აშკარად უნდობლად მოეკიდა ახალ პაპს, რადგან ამ ქვეყანაში ბორჯიამ მხოლოდ ორგიებით გაითქვა სახელი.

დაბოლოს, ბორჯიამ გასაქანი მისცა თავის ბუნებრივ (უფრო სწორად — არაბუნებრივ) ინსტინქტებსა და შმაგ ვნებებს, თამამად ახმაურებდა თავის სამარცხვინო საგმირო საქმეებსა და უთვალავ ურიგო კავშირს. ეს ხარბი და გაკმაძღარი კაცი არ ჩერდებოდა არავითარი დანაშაულის წინაშე, ოღონდ კი თავისი უკანონო შვილები გაემდიდრებინა. ბენედიქტინელი ბერი, ბორჯიას თანამედროვე ამტკიცებს, რომ ალექსანდრე VI დროს რომი სასაკლაოდ იქცა.

მთელი მისი ინტერესები და მისწრაფებანი ერთ მიზანს ემსახურებოდნენ: რომ თავისი შვილები ძლევამოსილ ადამიანებად ექცია. პირველი, ფრანჩესკო, კანდიუმის ჰერცოგად გამოაცხადა. მეორეს, ჩეზარეს, ვალენსიის საარქიეპისკოპოსო აჩუქა. მაგრამ ეს დანიშვნები მხოლოდ ნაწილი იყო იმ ფართო გეგმისა, რასაც ეს საშიში მღვდელმთავარი ისახავდა. მას სურდა, რომ მისი შვილები გამხდარიყვნენ ნეაპოლის, ვენეციის ფლორენციის მბრძანებლები, იტალიისა და მისი პროვინციების ბატონები. გამარჯვებებზე, დიდ დამპყრობელურ ლაშქრობებზე ოცნებობდა. ამით იყო ნაკარნახევი მისი მქუხარე სახელიც — ალექსანდრე, ძველი დროის უდიდესი დამპყრობელის, მაკედონელი მეფის სახელი.

მაშინდელი იტალია დაქუცმაცებული იყო მრავალ წვრილ სამთავროდ. ეს სამთავროები ერთმანეთს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყვნენ ჩაბმულნი. ბორჯიამ გადაწყვიტა ესარგებლა ამ შინაგანი შუღლით, თანდათან ხელთ ეგდო დიდი და მცირე სამთავროები, შემდეგ კი მათგან შეექმნა სამფლობელოები თავისი შვილებისათვის.

უპირველეს ყოვლისა მიზანში ვენეციის რესპუბლიკა ამოიღო. ვენეციას გაუჭირდა, რადგან მხარდაჭერა ვერ ნახა ნახევარკუნძულის მეშურნე ტირანთა შორის. ვენეცია რომ დაამარცხა, შემდეგ არაჩვეულებრივი, წმინდა მაკიაველური სიმარჯვით, საი-

დუმლო მკვლელობათა და აშკარა სამხედრო ოპერაციების გზით გატეხა უმდიდრესი პროვინციების მბრძანებელთა ძლიერება.

თავისი დამპყრობელური პოლიტიკისათვის ერთგვარი მხარდაჭერა რომ უზრუნველეყო, ალექსანდრე VI შეეცადა მთელი რიგი შეთანხმებების დადებას. მაგალითად, ისარგებლა იმით, რომ საფრანგეთის მეფე ჰენრიხ VIII ნეაპოლიტანის სამეფოზე გალაშქრებას აპირებდა და ფერდინანდს კავშირი შესთავაზა იმ პირობით, რომ მეფე შვილიშვილს მისცემს პაპის უმცროს ვაჟს და მზითევში გაატანს ნეაპოლიტანის სამეფოს სამფლობელოებს. პაპის წინადადება შეურაცხმყოფელ ფორმებში უკუაგდეს. მაშინ ალექსანდრემ მილანის ჰერცოგთან გამართა მოლაპარაკება, დაიმედებულმა, რომ საფრანგეთს შეუერთდებოდა ნეაპოლიტანის წინააღმდეგ. მაგრამ ამ დროს მოხუცი ფერდინანდი გარდაიცვალა. მისმა შვილმა კი, ალფონს კალაბრიელმა, საქმეს სხვა თვალით შეხედა: პაპი მოკავშირედ მეყოლებაო და თავისი ასული ახალგაზრდა ჯიფრიდ ბორჯიას მისცა.

პაპისა და ორივე სიცილიის მეფის ხელშეკრულებას საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი რომში. ქორწილი გაუგონარი ფუფუნებით მოამზადეს. ალფონსი ახალგაზრდა მეფე-დედოფალს სკვილატის სამთავროს და კარიატის საგრაფოს აძლევდა, თანაც ფრანჩესკო ბორჯიას პენსიას უნიშნავდა ხუთი ათასი დუკატის რაოდენობით. რაც შეეხება მის უწმინდესობას, წვრილმანი ხარჯებისათვის საჩუქრად მიიღო ათი ათასი დუკატი, რაც იმ დროს ძალიან ესაჭიროებოდა. საქმე ისაა, რომ საეკლესიო ხაზინა ცარიელი იყო: პაპის ორგიებმა შთანთქეს მთელი ოქრო.

ალექსანდრე VI ძველ ნაცად ხერხს მიმართა, რაც ასე ხშირად გამოუყენებიათ მის წინამორბედებს: ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა მუსულმანთა წინააღმდეგ. „აუცილებლად უნდა მივმართოთ უკანასკნელ ღონისძიებას, რომ მუსულმანებს ქრისტეს საფლავი გამოვგლიჯოთ", — ამბობდა პაპი. მთელს ქრისტიანულ სამყაროს მოედო ბერების ლაშქარი, რომ ახალი ხარკი აეკრიფათ. ბრიყვთა სირეგვნეს არ ჰქონდა საზღვარი და ისევ წამოვიდა ოქროს ნიაღვარი პაპის სალაროში. კიდევ ბევრი იდიოტი აღმოჩნდა, ლაშქრობაში მონაწილეობის სურვილი რომ გამოთქვა. კიდევ

ბევრ სულელს სჯეროდა, რომ შეიძლებოდა ფულით ცოდვა გამოისყიდო.

როცა პაპმა ივარაუდა, რომ მეწველმა ძროხამ უკვე მისცა მთელი რძე, რაც გააჩნდა, გულდამშვიდებით ჩაიდო ჯიბეში მთელი ოქრო. კეთილმორწმუნე კრეტინების შემოწირული, და ნაცვლად ჯვაროსნული ლაშქრობისა, სულთან ბაიაზეთთან ზავი შეკრა.

მაგრამ ეს ისტორიული თაღლითობა ფერს კარგავს პაპის ახალი დანაშაულის წინაშე.

ეს ის დრო იყო, როცა ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა. ესპანელები და პორტუგალიელები ახალ ქვეყანას აწყდებოდნენ. სიმდიდრე ისე მაცდური გამოდგა, რომ ახლახან კეთილმეზობლურ სიამტკბილებაში მყოფი ორი ერი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთა ერთიმეორეს ახალი მიწებისათვის. პორტუგალიისა და ესპანეთის მეფეები კათოლიკები იყვნენ და ორივემ პაპს მიმართა, ჩვენი საქმე განსაჯეო, სთხოვეს. უბირთა ბრბოზე უარესები იყვნენ, თორემ რა რჩევა უნდა მიეცა ზნედაცემულ კაცს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ აღვირახსნილი ორგიებით ესპანეთს აზანზარებდა! ალექსანდრემ შუამავლის როლი დაიკისრა, ოღონდ, რა თქმა უნდა, სათანადო გასამრჯელო ითხოვა. პაპი ხომ უფასოდ ხელსაც არ გაიწვდის, რომ სისხლიან ხელზე ეამბორონ! გახრწნილმა მღვდელმთავარმა მეფეებს დაუნაწილა ნახევარსფეროები და ქვეყნები, თანაც ბულა გამოაქვეყნა, რომლითაც მოითხოვდა ახლად აღმოჩენილი ყველა ქვეყნის ხალხების მოქცევას ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ამ ბულის საფუძველზე ბერების შავი ლაშქარი ცოფიანთა ხროვასავით გავარდა ახალ ქვეყანაში, დაიწყო უბედური ინდიელების ძარცვა და ჟლეტა. სწორედ ბორჯიას ბულას შედეგად ახლდა ახალი კონტინენტის აღმოჩენას მილიონობით ადგილობრივი მკვიდრის რბევა-აწიოკება და ხოცვა-ჟლეტა, ძაღლების წასისიანება და მთელი მხარეების გადაბუგვა. ქრისტიანობა — ცეცხლის რელიგიაა.

ამასობაში ბორჯიამ თავისი ასული, მშვენიერი ლუკრეცია იოანე სფორცას მიათხოვა და ამით ერთდროულად დათმო ასული და საწოლის მოზიარე. ადრე ლუკრეცია ერთ არაგონიელ თავადს ჰყავდა დაწინდული, ამიტომ პაპმა ასული გაათავისუფლა მისთვის მიცემული აღთქმისაგან. ასულიც პაპისა იყო და აღთქმაც.

ამ ქორწინებას ისეთი ზეიმი ახლდა, როგორიც ლუკრეციას ეკადრებოდაო, წერს ინფესურა. საღამოს მისი უწმინდესობა კარდინალი ჩეზარე ბორჯია, მისი ძმა ფრანჩესკო, კურტიზასი და კეთილშობილი მანდილოსნები დიდ ნადიმზე მონაწილეობდნენ და ნასიამოვნებ საზოგადოებასთან ერთად შესცქეროდნენ მსახიობებს, რომლებიც ისეთ ურიგო სცენებს უჩვენებდნენ, რასაც საჯაროდ არავინ არ აკეთებს. დილით ალექსანდრე მეექვსემ ცოლქმარი პირადად შეიყვანა საწოლ ოთახში, რომლის შუაგულშიც ჯუფუნებით მორთული უფარდაგო სარეცელი იდგა. მემატიანის ცნობით, აქ ისეთი აღმაშფოთებელი სცენები გაიმართა, რომ აღწერა შეუძლებელია. წმინდა მამა თავისი ასულის საქორწინო სარეცელთან მატრონას როლს ასრულებდა. ლუკრეცია, ეს ახალგაზრდა მესალინა, რომელიც უკვე ადრეულ ყმაწვილქალობაში მონაწილე იყო მამისა და ძმების ბაკქანალიისა, პირველი შეუღლების დროს ქალწულის როლს თამაშობდა. ამ საზიზღარ კომედიას უმსგავსებასიათს აძლევდა. ბოლოს და ბოლოს, საქორწინო კავშირი მოხდა მღვდელმთავრის მთელი ოჯახის დასწრებით.

პაპი იმიტომ დათანხმდა თავისი ასულის გათხოვებაზე, რომ იმ ხანებში ახალი ვნება გაეღვიძა და ასულზე ცოტა გული აიყარა. მას შეუყვარდა ქალიშვილი, რომლის სახელი იყო ჯულია ფარნეზე, ვინმე ალექსანდრე ფარნეზეს და. ამ კაცს ყალთაბანდობა ბრალდებოდა, მაგრამ ალექსანდრე ბორჯიამ თავის სეხნიას დანაშაული შეუნდო. ის კი არა. დის მეცადინეობით კარდინალის წოდებაც მიიღო და ამით საძირკვლის ქვა ჩაყარა იმისათვის, რომ მომავალში პაპის ტახტზე ასულიყო.

ლუკრეციას თაფლის თვე მხოლოდ ერთი კვირა გაგრძელდა. ქმარს იწუნებდა, აწვალებდა, მამის ალერსი ერჩია, მისი დახვეწილი ნადიმები და რჩეული საზოგადოება, გადაჭრით განუცხადა ლარი სფორცას, რომ მის სამფლობელოში გაჰყოლოდა, და ვატიკანში დარჩა. საერთოდ, ეს იყო დროებითი თამაში, კომედია, რაც გახრწნილმა მამა-შვილმა გაითამაშეს. „ლუკრეცია მამის ოთახებიდან არ გამოდიოდა“, — გვაუწყებს იოანე ბურხარდი, ჩიტა დი კასტელოს ეპისკოპოსი, ალექსანდრე მეექვსის ღირსეული ცხოვრების უცვლელი მოწმე. პაპის ცერემონმაისტერი იყო და გულუბრყვილო კეთილსინდისიერებით წერდა ყოველ საათობით ყველაფერს,

რაც პაპის სასახლეში ხდებოდა. სწორედ ეპისკოპოსს ბურხარდს ვუმადლით, რომ ალექსანდრეს უთვალავი „საგმირო საქმე" დღეს ცნობილი და ფარდაახდილია.

ალექსანდრემ არა მარტო დაიტოვა ასული თავის სასახლეში, არამედ ნებაც მისცა საეკლესიო საქმეებში ღახმარებოდა. ეს ქალი ხსნიდა პაპის დეპეშებს, იწვევდა წმინდა კოლეგიას. ძალიან ხშირად პირდაპირ სასადილო დარბაზიდან წასული თავმჯდომარეობდა წმინდა კოლეგიის სხდომას, ჰეტერის საბოსი ეცვა, გაშიშვლებულ მკერდს ოდნავღა უფარავდა მარმაშის გამჭვირვალე ქსოვილი. ასეთი სახით იქცევდა თავს, კითხვებს იძლეოდა ყველაზე უფრო უძსგავსი საკითხების გარჩევის დროს. კარდინალების სიახლოვე არ უშლიდა, რომ მიეღო მამის ალერსი, თვითონაც ეფერებოდა, ეხვეოდა (ო, გულისამრევო სიზიზღრობავ! გათხოვილი ქალის მრუშობა საკუთარ მამასთან, ისიც წმინდა კოლეგიის სხდომაზე!). ბევრი რამის მნახველი ბურხარდიც კი, ასე გულუბრყვილო და გულგრილი კაცი, ვეღარ ითმენს და ამ სცენების აღწერის დროს ხშირად შესძახებს ხოლმე: „სირცხვილო! საშინელებავ!"

მის დღიურში ასეთ ეპიზოდს ვკითხულობთ: „დღეს მისმა უწმინდესობამ ლუკრეციას გასართობად ბრძანა გამოეყვანათ პაპის სასახლის მცირე ეზოში რამდენიმე ფაშატი და ახალგაზრდა ცეცხლისფერი ულაყები. გაშმაგებული ჭისვინით დაიფანტა ეზოში ახალგაზრდა ცხენების რემა. ფრუტუნითა და ერთიმეორის კბენით დასდევდნენ ულაყები ჭაკებს და ზეზეულადვე აგრილებდნენ. ქალბატონი ლუკრეცია და წმინდა მამა საწოლი ოთახის ფანჯრიდან დასცქეროდნენ და ტაშს უკრავდნენ. ამის შემდეგ მამა და შვილი ფანჯარას მოშორდნენ, შიდა სამყოფელებში შევიდნენ და მთელი საათი აღარ გამოჩენილან".

ბურხარდი ამ სცენას კომენტარებს აღარ უკეთებს და ჩვენც მის მაგალითს მივყვებით.

გადავიდეთ ხელშეკრულებაზე, რაც პაპმა და სულთანმა შეკრეს — საქრისტიანოს და სამაჰმადიანოს მეთაურებმა.

სულთანი ბაიაზეთი მუდამ შიშში იყო, მეტადრე მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ ეგვიპტის ხალიფმა რომის პაპს დიდი გამოსასყიდი შესთავაზა პრინც ზიზიმისათვის. ბაიაზეთს გული საგულეს არა ჰქონდა: ვაი თუ ერთ მშვენიერ დღეს ზიზიმი ეგვიპტის ჯარით

დამესხას თავს და ტახტი წამართვასო. რამდენიმე წლის განმავლობაში უხდიდა რომს დიდძალ თანხას ზიზიმის და მისი ამალის შესანახავად. შემდეგ კი ისევ მოუვიდა აზრად მოლაპარაკების განახლება ზიზიმის მოკვლის თაობაზე, რაც ინოკენტი VIII დროს დაიწყო და მკითხველისათვის ცხობილი მიზეზებით შეწყდა.

სულთანი პაპს სწერდა: „დღემდე, მონსინიორ, თქვენს უწმინდესობას წესიერად ვუხდიდი ორმოცი ათას დუკატს ყოველწლიურად, ჩემი ძმის ზიზიმის შესანახად. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემამდე მოვიდა ხმა, რომ თქვენი წინამორბედი ინოკენტი VIII ერთდროულად იღებდა ჩემგან დიდძალ ფულს პატივმოყვარე პრინცის დაცვისათვის, და თანაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ეგვიპტის ხალიფთან, მიიღო მისგან ფული ზიზიმის განთავისუფლებისათვის, — მე ეჭვი დამებადა, რომ თქვენ მემკვიდრე ფულს დახარბდება, ჩემს ძმას ჯარს მისცემს და ჩემს წინააღმდეგ გამოუშვებს.

თქვენმა ელჩებმა საუცხოოდ გაიგეს ჩემი შეშფოთების მიზეზი და მირჩიეს მივმართო თქვენს უწმინდესობას თხოვნით, რომ დაამშვიდოთ ჩემი შეშფოთებული სული და ჩამოიშოროთ ჩემი მოუსვენრობის მიზეზი. მათვე დამაიმედეს, რომ თქვენ ჩემს წინადადებას გულისხმიერი ყურადღებით შეხვდებით.

მე ვალდებულებას ვიღებ გადაგიხადოთ 300 ათასი დუკატი, დავუმატებ ამ თანხას რამდენიმე ქალაქს, და ამას გარდა ქრისტეს ტუნიკას, თუ თქვენი უწმინდესობა საიქიოს გაისტუმრებს სულთან ზიზიმს იმ საშუალებით, რომელსაც თქვენი უწმინდესობა აირჩევს. მაშინ ზიზიმი განთავისუფლდება მიწიერ ვარამისაგან და გადასახლდება უფრო ბედნიერ სამყაროში. ეს იქნება სამსახური, გაწეული თვითონ ტყვისადმი, რადგან მაჰმადის კანონის თანახმად მონობას სიკვდილი უნდა ამჯობინოს, ხოლო თქვენ კი, ღირსპატივცემული მბრძანებელი, არავითარ დანაშაულს ამით არ ჩაიდენთ თქვენი რელიგიის წინაშე, რადგან ქრისტიანებს ნაბრძანები აქვთ გაანადგურონ ერეტიკოსები და ურჯულოები...“

ადვილი წარმოსადგენია, რა კარგ გუნებაზე დადგებოდა წმინდა მამა! ამდენი ფული და ამდენი ქალაქი ერთი კაცის მოკვლისათვის, რომელიც მის ტყვეობაშია! ქრისტეს ტუნიკამ ცოტა გაართო, მაგრამ სამასი ათასი დუკატის გადათვლამ ხელები აუქავა. რა თქმა უნდა, არც წმინდა ტუნიკაზე უთქვამს უარი. არც ესი

ურიგო რამე. ეს ყბადაღებული ტუნიკა არაერთხელ გაყიდულა და გადაყიდულა, ვიდრე ბოლოს არქანტეილის ეკლესიამ არ შეიძინა, ნამდვილიც რომ იყოს, როგორც ხედავთ, თავის ფასად მაინც ღირებულა.

ბაიაზეთის წინადადება განსაკუთრებით ესიამოვნა პაპს: იცოდა, რომ საფრანგეთის მეფე კარლ VIII — მისი და სულთან ბაიაზეთის ერთნაირად დაუძინებელი მტერი — არც ფარავდა თავის განზრახვას, რომ ზიზიმი ოტომანების ტახტზე დაესვა.

ალექსანდრეს აჩქარება ჰმართებდა. კარლ VIII უკვე გამოვიდა იტალიაში სალაშქროდ, მისი დროშის ქვეშ მრისხანე არმია იდგა, მან უკვე აიღო რამდენიმე ქალაქი. პაპმა ქრისტეს სახელით აუკრძალა შემდგომი წინსვლა (ახალი ჟესტი!), მაგრამ კარლ VIII იცის წმინდა მამის წმინდანობის ფასი, ჩირად არ მიაჩნია მისი ანათემები, წინსვლას განაგრძობს, ლომბარდია უკვე აიღო და პაპის სამფლობელოებს მიუახლოვდა.

ჩვენ ვიცით, როგორ უჭირავთ თავი იმ მამაცებს, რომლებიც შორიდან იქადნებიან. ალექსანდრემ თავისი ჭურჭელი, ტიარა და ძვირფასეულობა წმინდა ანგელოზის ციხეში შეინახა, ცხენის შეკაზმვა ბრძანა და ლაჩრულად მოძურწა. საფრანგეთის არმიამ რომი ისე აიღო, ბატკნის ყურიც არ დაკლებია, და კარლ VIII მეფური გულახდილობით განუცხადა ალექსანდრეს, გადაწყვეტილი მაქვს საეკლესიო კრება მოვიწვიო და დაგამხო, როგორც მემრუშე, სისხლის აღმრევი, ქურდი და მკვლელიო. მაშინ პაპი მოლბა, უფრო დამყოლი გახდა და საფრანგეთის მეფეს ულაპარაკოდ დაუთმო ორივე სიცილიის სამეფო. დამოყვრებამ ნეაპოლიტანის მეფეს ვერაფერი უშველა.

კარლს შეეძლო პაპის დალოცვის გარეშეც იოლად გასულიყო, მაგრამ იმ ეპოქაში დაპყრობილი მიწაწყლის მეფის ტიტულს დამპყრობელი ვერ იღებდა პაპის კურთხევის გარეშე. კარლი არ დაკმაყოფილდა მარტო კურთხევით და წმინდა პეტრეს მოადგილეს სასტიკი პირობები წაუყენა: ალექსანდრე VI უთმობდა საფრანგეთს ოთხ ქალაქს: ვიტერბოს, ჩივიტა-ვეკიას, ტურაჩინოს და სპოლეტოს. ჩეზარე ბორჯია მძევლად რჩებოდა კარლ მერვესთან. პრინცი ზიზიმი მეფის განკარგულებაში გადადიოდა. ალექსანდრემ წმინდა სახარებაზე დაიფიცა, ყოველივეს შევასრულებ, რაც მეფემ მომთხო-

ვაო. ჩეზარე ბორჯიამაც ჯვარცმაზე შეჰფიცა, შენს ბანაკში დავრჩები, ვიდრე ნეაპოლიტანის ტახტზე არ გამაგრდებიო. რაც შეეხება ზიზიმს, სრულიად საღი და უვნებელი ჩაიყვანეს საფრანგეთში.

კარლმა და მისმა არმიამ რომი დატოვეს და ნეაპოლიტანის სამეფოში გასწიეს. მაგრამ ვერ მოასწრო არმიამ პაპის სამფლობელოებიდან გასვლა, რომ ჩეზარე ბორჯიამ დაარღვია ფიცი და გაიქცა. იმავე დროს უბედური ზიზიმი საშინელი კრუნჩხვით გარდაიცვალა. ბურხარდის სიტყვით რომ ავხსნათ, „ისეთი რამეებისაგან", რომლებიც მისი კუჭისათვის გამოუსადეგარი იყო. ვიდრე კარლს გადასცემდნენ, ის უკვე მოწამლული იყო ისეთი შხამით, რაც მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ იწყებს დამღუპველ მოქმედებას. ამრიგად, პაპმა ერთდროულად შეასრულა ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო დაპირება: ზიზიმი მეფეს გადასცა და იმავე დროს ბაიაზეთს კონკურენტი ჩამოაშორა. თითქოს იყო ამ პაპში მაინც რაღაც რაინდული, მაგრამ რაც ტახტზე ავიდა, მერე იმავე მიაზმის შხამში მოიხარშა, რაშიც იხარშებოდა მისი 250 წინამორბედი. პაპი — ეს ადამიანი აღარაა.

მოკლე ხანში კარლ VIII ორივე სიცილიას დაეპატრონა. მაგრამ მის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია ვენეციის რესპუბლიკის, მილანის ჰერცოგის, ინგლისის მეფისა და კურფიურსტ მაქსიმილიანეს შემადგენლობით. ამიტომ კარლ VIII საფრანგეთში გაეშურა საკუთარი მიწების დასაცავად.

უკან დაბრუნების დროს, პაპის ტერიტორიაზე რომ მიდიოდა, მეფეს იმედი ჰქონდა, რომ ბორჯიას დასჯიდა, მაგრამ ჩეზარე, რა თქმა უნდა, დროზე მიიმალა და რომში დაბრუნდა მხოლოდ მაშინ, როცა კარლმა იტალიის მიწაწყალი საბოლოოდ დატოვა.

როცა ფრანგთა მეფის დაბრუნების საფრთხემ ჩაიარა, ალექსანდრემ გაიზრახა თვითონ განეხორციელებინა ის, რის განხორციელებაზეც მისი მოწინააღმდეგე, მისებრ პატივმოყვარე კარლი ფიქრობდა. პაპმა ღალატი დასწამა იტალიელ სენიორებს, რომელთა სამფლობელოებიც კარლმა დაიპყრო. ჯერ სათათბიროდ მოიწვია, მაგრამ სჯა-ბაასი იმით დასრულდა, რომ ზოგი მათგანი იქვე განგმირეს ხანჯლით, ხოლო ვინც გაქცევით უშველა თავს, ისინი მოგვიანებით მოკლეს. მათი ქონება ბორჯიას ხელში გადავიდა. მხოლოდ ორსინის გვარის ბურჯები გადარჩნენ ვერაგულ მკვლელობას

და შეუპოვრად ებრძოდნენ პაპს. ჩეზარე ბორჯია, ნახევრად ჯარისკაცი, ნახევრად კარდინალი, ავაზასავით დააცხრა რომანიას, რათა ორსინის ვასალები დაემორჩილებინა, და იმდენი უხამსობა ჩაიდინა, რომ მოთმინებიდან გამოსულმა მოსახლეობამ კუდით ქვა ასროლინა, ისე განდევნა.

მაშინ ალექსანდრემ პოლიტიკა შეცვალა და კავშირი შეკრა კასტილიისა და არაგონიის მეფეებთან, რომლებიც თავიანთი ჯარებით შევიდნენ ნეაპოლში, რათა აქ აღდგინათ მეფე ფერდინანდის ძალაუფლება, კარლ მერვემ რომ წაართვა გვირგვინი. ასე აამღვრია წყალი პაპმა და მერე თვითონ დაიწყო შიგ თევზის ჭერა. ასეთ საქმეებში ხომ ვირტუოზი იყო და იმას მიაღწია, რომ მის შვილს ფრანჩესკოს გადაეცა ბენევენტის სამთავრო, სამასი ათას ოქროს ეკიუსთან ერთად.

ფრანჩესკოს დიდხანს არ მოუხდა თავის არმად მიღებული ტიტულებითა და პრივილეგიებით სარგებლობა. უწმინდესი მამის ხელით ინვესტიტურის მისაღებად რომში ჩასულმა მეფური ნადიმები გამართა და ისეთი ბრწყინვალე სხივით შეიმოსა, რომ ვერაგი ძმის ჩეზარეს გული შურით აავსო. გარდა ამისა, ქარაფშუტა, სამგზის როსკიპი ლუკრეცია უფრო ფრანჩესკოს სწყალობდა, უმცროს ძმას ჩეზარს ყურადღებას არ აქცევდა; ლუკრეციას ყურადღებას კი, ნათესაურის გარდა, სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა! ჩეზარეს თავი ფრანჩესკოზე ნაკლებად არ მიაჩნდა, მხოლოდ ესაა, მისი აზრით ბუნებამ შეცდომა დაუშვა. ფრანჩესკო რომ მასზე ადრე გააჩინა, ამიტომ განიზრახა ბუების შეცდომის გამოსწორება, რათა ალექსანდრეს პირველი შვილი და ერთადერთი მემკვიდრე თვითონ ყოფილიყო და ლუკრეციას გულიც მოეგო. ერთხელ შუაღამისას თავის დედასთან რომ იყო, ახლადგაშომცხვარი ბუნევენტის მთავარმა, იგივე ფრანჩესკო ბორჯიამ, საბედისწერო თავდასხმა განიცადა: ოთხმა შენიღბულმა კაცმა ცხრა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, მერე ყელი გამოღადრვს და ტიბრში ჩააგდეს.

ჰერცოგის გაქრობის ამბავი სწრაფად მოედო რომს. მეორე დღეს ჩეზარე ბორჯია ნეაპოლში გაემგზავრა. ეს უეცარი წასვლა საკმაოდ მეტყველი საბუთი იყო საზარელ მკვლელობაში მისი მონაწილეობისათვის. „ამის მიუხედავად, — მოგვითხრობს ბურხარდი, — შეშფოთებული პაპი კიდევ იმედს არ კარგავდა, რომ თავის

ფრანჩესკოს ნახავდა, და ჩვენ დაგვავალა — რომის ყველა საროსკიპო დაიარეთ და მომიძებნეთო“.

რამდენიმე დღის შემდეგ რომაელმა მენავეებმა ბენევენტის ჰერცოგის გვამი დაიპირეს. ალექსანდრე ახლაც ფიქრობდა, რომ მისი პირმშო შვილი ბორჯიას გვარის მტრებმა განგმირეს, თითქოს არ სცოდნოდა, რომ ამ საზარელი მანკიერი გვარის უბედურება თვით მის სისხლში იყო გამჯდარი. ღვარძლიანმა პაპმა, რომელმაც თვითონვე გაათამამა და დაამახინჯა შვილები, აღარ იცოდა, ვისზე მიეტანა ეჭვი და მრავალი წარჩინებული რომაელი მოქალაქე აწამა. არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, ისე იჭერდა და ხოცავდა უდანაშაულო ადამიანებს. ასე, ვერაგი კაენი ნეაპოლში დასეირნობდა, მისი ხელით განგმირულ ტირანს კი ახალ-ახალი მსხვერპლი ეწირებოდა. დაპატიმრება და წამება არ შეწყვეტილა მანამ, სანამ პაპი არ დარწმუნდა, რომ დანაშაული ჩაიდინა მისმა საყვარელმა შვილმა.

„მაშინ, — წერს ბურხარდი, — ცრემლები შეიწმინდა, თავის მოსასვენებელში ჩაიკეტა და ნუგეშს ეძებდა ლუკრეციას მკლავებში, თუმცა მკვლელობაში მის ქალიშვილსაც წილი ედო“. ცნობილია: ძმამ ძმა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა, ეჭვის საგანი იყო მათივე ღვიძლი და, მამის საყვარელი ლუკრეცია.

გავიდა ხანი, ჩეზარემ გადაწყვიტა, რომს უკვე დავიწყებული ექნება ფრანჩესკოს მკვლელობის ამბავიო, რომში დაბრუნდა და სრულიად გულდამშვიდებით წარდგა მამის უბრწყინვალესი მზერის წინაშე. მამიკომ შვილი მთელი კონსისტორიის დასწრებით გადაკოცნა. შვილის თხოვნა შეისმინა, გაათავისუფლა საეკლესიო აღთქმისაგან და მასვე მიანდო შესაფერისი პროფესიის არჩევა. მეტიც. წმინდა მამის ნებით მკვლელმა მიიღო მისი ხელით მოკლული ძმის ტიტული, სამთავრო და უფროსი ძმის ყველა პრივილეგია.ჩანს, ჩეზარემ იცოდა მამის ხასიათი, ძმას რომ ყელი გამოღადრა., მოკლედ, ცეზარემ გადააგდო კარდინალის ქუდი, მახვილი აიღო და პაპის ტახტის გოფალონიერი გახდა.

მამასთან შერიგების ნიშნად ჩეზარემ ნადირობა მოაწყო. უზარმაზარ ამალას, რაც შედგებოდა სასახლის ფავორიტების, წარჩინებულ მანდილოსანთა, კურტიზანი ქალების, მასხარების, მოცეკვავე ქალ-ვაჟთაგან, ხუთასი მხედარი და ექვსასი ფეხოსანი ახლდა.

„ოთხი დღე გაატარეს მათ ოსტიის ტყეებში, სადაც თავისუფლად ეძლეოდა ატეხილ ვნებას, — წერს ტომაზი, — ნადიმს ნადიმი მოსდევდა, და ისეთი გარყვნილების მორევი ტრიალებდა, რომლის წარმოდგენაც მხოლოდ სრულიად წამხდარ წარმოსახვას შეუძლია. რომში რომ დაბრუნდნენ, ეს ქალაქიც ბუნაგად აქციეს, საზიზღრობათა სამლოცველოდ. შეუძლებელია კაცმა ჩამოთვალოს ყველა მძარცველობა, მკვლელობანი და დანაშაულობანი, რომლებიც ყოველდღიურად ხდებოდა პაპის სასახლეში. ადამიანის სიცოცხლე არ იკმარებდა ყოველი წვრილმანის ასაწერად“.

კარდინალები სრულ მორჩილებას უცხადებდნენ ალექსანდრეს, ტაშს უკრავდნენ მამა-შვილების ყოველნაირ საქციელს. ფეხქვეშ ეგებოდნენ ჩეზარეს, როგორც კი კონსისტორიაში გამოჩნდებოდა, რადგან ბრწყინვალედ იცოდნენ, რომ ეს მხეცი დანაშაულობას სჩადიოდა არა მარტო იმისათვის, რომ თავისი გვარის მტრები მოესპო, არამედ იმისათვისაც, რომ სხვათა ქონებას დაუფლებოდა.

„გაშმაგებულ მხეცის სიხარბით ძარცვავდა მკვდარსაც და ცოცხალსაც, — წერს ბურხარდი. — მისი უდიდესი სიამოვნება იყო ადამიანის სისხლის ხილვა. ისევე, როგორც ოდესღაც იმპერატორ კომოდს, მასაც სულ ახალ-ახალი მკვლელობა სწყუროდა, რათა თავისი ავაზის ზნე დაემტკიცებინა. ერთხელ ბრძანება გასცა წმინდა პეტრეს მოედანი შემოეზღუდათ, და გალავანთან მოერეკათ სამხედრო ტყვეები—კაცები, ქალები და ბავშვები. ჯიშიან ტაიჭზე იჯდა შეიარაღებული, მოედანზე დაჰქროდა, გვამებით ავსებდა მოციქულის მოედანს, ლუკრეცია და მამამისი კი ამ სანახაობას აივნიდან დასცქეროდნენ და ტკბებოდნენ...“ მაგრამ არც ესაა უსაზარლესი წვრილმანი, უარესს კაპელანი გვაუწყებს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ალექსანდრე VI კავშირით იყო შეკრული კასტილიისა და არაგონიის მეფეებთან. ამ ორი მეფის ინტერესები ერთიმეორეს ემთხვეოდა ყველაფერში, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ფერდინანდ კასტილიელი, როგორც უახლოესი ნათესავი, პორტუგალიის ტახტის მაძიებელი იყო. პორტუგალიის მეფეს ჰყავდა ასული, რომელიც მონასტერში ჩააბარა. როცა პორტუგალიის მემკვიდრე ქალი წამოიზარდა, მონასტერი არც თუ ისე სასიამოვნო სამყოფელად ეჩვენა. თავისი შეცდომა შეიცნო, ინანა და დახმარებისათვის ფარულად ალექსანდრეს მიმართა, პაპმაც მოწყალე გულით მო-

ისმინა მისი თხოვნა. მიიღო საჩუქრები. გაათავისუფლა აღთქმისაგან და ნება მისცა სამეფო სისხლის მქონე პრინცთან ექორწინა.

ფერდინანდ კასტილიელს გულში სხვა ზრახვები ჰქონდა: პრინცესას ქორწინება პორტუგალიის გვირგვინის იმედს ფრთებს აკრიდა, ამიტომ პაპს წერილი გაუგზავნა, მუხანათობას საყვედურობდა.

ალექსანდრემ, რომელსაც საკმაო საფუძველი ჰქონდა ეხრუნა ფერდინანდისათვის, გაკვირვებული კაცის იერი მიიღო. როგორ, პორტუგალიის პრინცესას ნება დართეს მიეტოვებინა მონასტერი და ბარტყული გვირგვინზე გაეცვალა? განა ეს შესაძლებელია? არა, ეს პირდაპირ დაუჯერებელია! თუ სიმართლეა, ამისათვის პასუხს აგებს კარდინალ-კანცლერი, რომელიც ასეთ საქმეს ეწევა. რაც შეეხება პაპს, ეს საქმე პირველად ესმის. უფალი ღმერთი იფიცა, რომ აქამდე არაფერი იცოდა.

მეტი დამაჯერებლობისათვის პაპმა ციხეში ჩააგდო კარდინალი, პაპის კანცელარიის მდივანი, თაღლითობა დააბრალა: აქაო და პრინცესას ნებართვის სიგელი გაუგზავნაო, პაპის სახელს ამოეფარაო. უბედური კარდინალი ქვის ტომარაში ჩასვეს თითქმის სრულიად ტიტველი, მხოლოდ ხის ჯვარცმა დაუტოვეს, აგრეთვე წყალი პატარა კასრით, ლამპარი, და გააფრთხილეს: კვირაში მხოლოდ ორჯერ მიიღებო საჭმელს.

ორი თვის თავზე, როცა ივარაუდეს, კარდინალის ნებისყოფა საკმაოდ გატეხილი იქნებაო, პაპმა თავისი ერთ-ერთი ქეშიკი გაუგზავნა, რათა იმ უბედურს პაპის დანაშაული თვითონ დაებრალებინა. თუ უარზე დადგება, სიკვდილამდე პატიმრობა ელის, ხოლო თუ დათანხმდება, პაპი არა მარტო თავისუფლებას მიანიჭებს, ყველა თანამდებობას დაუბრუნებსო. კარდინალმა, რომელსაც ხსნის არავითარი გზა აღარ დარჩენოდა, მოწმეთა დასწრებით აღიარებას ხელი მოაწერა, სასურველი ხელმოწერა რომ ხელთ იგდო, პაპმა კონსისტორია მოიწვია და ბედუკუღმართ კარდინალს თაღლითობისათვის ჩამოხრჩობა მიუსაჯა. დასჯის დღეს რომ არასასიამოვნო მოულოდნელობისათვის თავი დაეღწია, ალექსანდრემ ბრძანა მოეწამლათ არქიეპისკოპოსი, შემდეგ კი ხმა დაყარა, რომ დამნაშავემ თავი მოიწამლა, რათა სამარცხვინო აღსასრულისათვის თავი დაეღწია. რაც შეეხება კარდინალის ქონებას, მისმა უწმინდესობამ მისი კონფისკაცია

მოახდინა და თავის ხაზინაში გადაიტანა. აი, რა ამბები ხდებოდა რომში!

ჩვენის მხრივ დავუძახებთ, რომ პაპმა ამ ჯოჯოხეთური სიცრუით ვერ დაარწმუნა ფერდინანდ კასტილიელი, რადგან ბორჯიას დაბაშაულობათა და ვერაგობის ამბავი მთელმა ევროპამ იცოდა. მან რწმუნება მისცა თავის ელჩს რომში. შეუერთდიო სხვა ქვეყნების მბრძანებლებს, რომელთაც მოღალატე პაპს გაფრთხილება გაუგზავნეს.

ერთ-ერთი აუდიენციის დროს სხვადასხვა კათოლიკური ქვეყნების ელჩებმა ალექსანდრე VI განუცხადეს, შენი მოქმედება დიდ ზიანს აყენებს რელიგიას, ზომიერება დაიცავი და ზღვარი დაუდეგი შენს ბოროტმოქმედებასო. ცხადია, ეს სუსტი გაცხადება იყო. ალექსანდრე, რასაკვირველია, თავხედური გაშმაგებით შესვდა ანანაირ ლაპარაკს. დაუოკებელმა, ვერაგმა, ბოროტმოქმედმა ბორჯიამ მუქარაც კი დაუწყო ელჩებს, ფანჯრიდან გადაგყრიო. არც მეფეთა მისამართით სათქმელი სიტყვების შესარჩევად შეწუხდა თავი: „ეს დესპოტები ბედავენ მისაყვედურონ ქრისტეს მოადგილეს და მწამებენ რაღაც მკვლელობებსა და ძარცვა-რბევას, როცა ო�თონ მთელს სახელმწიფოებს უნაწილებენ თავიანთ შვილებს და მილიონობით ადამიანს ხოცავენ თავიანთი უსაფუძვლო ჩხუბით. გაეთრიეთ, უბადრუკო სატელიტებო, და გადაეცით იმათ, ვინც გამოგაგზავნათ, რომ მე ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ჩავიდინო, რათა დანაშაულობაში მათ გავუტოლდე!“ აი, დაუსჯელი ცინიზმი, მეტი რომ აღარ შეიძლება! მეფეთა დესპოტიზმიც ცნობილია, მაგრამ რაღაც კანონიერება და ზომიერება ასე თუ ისე ზღუდავდა მათ, პაპს კი, მეტადრე ალექსანდრეს მსგავს პაპებს, არც კანონი ბოჭავდა, არც ქრისტე, არც ხალხი და არც სიკეთისი.

პაპის ამ გამოთქმებისათვის, რაც არ არის მოკლებული იუმორს, მქადაგებელმა და რეფორმატორმა სავონაროლამ ირონიულად შენიშნა: „რა უნდა იფიქრონ ხალხებმა თავიანთ ტირანებზე, თუ ალექსანდრე VI მეფეებს თავის თავზე უფრო საზარელ დამნაშავეებად თვლის?“ ეს თამამი სიტყვები მთქმელს ძვირად დაუჯდა. დიდი ფლორენციელი მქადაგებელი შეიპყრეს. ინკვიზაციის ტრიბუნალს გადასცეს და, 1498 წლის 23 მაისს კოცონზე დაწვეს.

მამაც სავონაროლას დაწვის დღეს ალექსანდრე მეექვსემ რომში

დიდი ზეიმი მოაწყო თავისი ახალი ვაჟის დაბადების აღსანიშნავად, ჯულია ფარნეზესთან უზნეო კავშირის შედეგად რომ გაჩნდა. ამ შემთხვევის გამო პაპმა ბრძანა ნათლისცემის ერთ-ერთ ბაზილიკაში მისი საყვარლის როზა ვანოცოს დიდებული პორტრეტი მოეთავსებინათ. ამ სურათისათვის უნდა ეცა ხალხს თაყვანი, უწმინდესი ქალწულის ხატის თანაბრად. შემდეგ დაარღვია ლუკრეციას და იოანე სფორცას საქორწინო კავშირი, მიზეზად კი უშვილობა დაასახელა. მიზეზს ეძებდა, თორემ რა შვილი უნდოდა, როცა მის ასულს იმ უბედურ კაცთან თითქმის არც უცხოვრია! მამისა და ძმათა სარეცელში შებილწულ დედაკაცს ხომ უნაყოფოდ ჩაუარა უთვალავმა კავშირმა! არა, პაპი საკუთარ ასულს მეწველ ძროხასავით ასაღებდა სხვადასხვა მხარეს, მერე კი იბრუნებდა. ახლაც სხვა მიმართულებით გაასაღა: ახალგაზრდა ალფონსს მიათხოვა, ბისალის ჰერცოგს, ორივე სიცილიის ანუ ნეაპოლიტანის მეფის ალფონს არაგონიელის უკანონო შვილს. ეს კავშირი განამტკიცებდა პაპის ზეგავლენას იტალიაში.

ამასობაში კარლოს VIII გარდაიცვალა და გვირგვინი ორლეანის გვარის ხელში გადავიდა. ტახტზე დაჯდა ლუდოვიკო XII. ახალი მეფე ცოლის გამოცვლაზე ოცნებობდა: იოანამ დიდი ხანია თავი მოაბეზრა, უნდოდა მოეშორებინა და ანა ბრიტანელი მოეყვანა. ალექსანდრემ ძვირად მიჰყიდა ნებართვა, რომ განქორწინებულიყო ერთთან და ექორწინა მეორესთან. ჩეზარემ შემთხვევით ისარგებლა, პარიზში ჩავიდა, თან მამის ბულები წაიღო. იმედი ჰქონდა, რომ იქ შეხვდებოდა ნეაპოლიტანის მეფეს ფრიდრიხს, რომელიც იმ დროს საფრანგეთში იმყოფებოდა. ფრიდრიხმა კარგად მიიღო, მაგრამ მისმა ასულმა სასტიკი უარი ახალა: ვიღაც ხუცესის ნაბიჭვარს არ გავყვებიო. ადვილი წარმოსადგენია, რარიგ გაშმაგდებოდა ეს იაფფასიანი დესპოტი. ლუდოვიკო XII არ უნდოდა ვატიკანთან ურთიერთობის გაუარესება და წყენის გაზომიერება სცადა. რაც უნდა იყოს, ჩეზარე მის სამეფოში დაიწუნეს, შეურაცხყოფა მიაყენეს: ვალენტის ჰერცოგის ტიტული მიანიჭა, ნავარის მეფის ასული შერთო, მზითვად კი მის განკარგულებაში გადასცა ექვსი ათასი ფეხოსანი და ორი ათასი ცხენი.

იტალიაში რომ დაბრუნდა, ჩეზარე ბორჯიამ განაახლა გამანადგურებელი ომი რომანიის წვრილ მთავრებთან.

რომანია რომ დაიპყრო, ჩეზარე რომში დაბრუნდა, რათა ჩაედინა ახალი დანაშაულობანი, რაც ამ ძმისმკვლელმა ტირანმა თავის გახრწნილ მამასთან ერთად ჩაიფიქრა. საფრანგეთის მეფესთან კავშირი შეკრა და ახლა უნდოდა ლუდოვიკო XII ნეაპოლიტანის მეფესთან ომში ჩაეთრია. რას შეირჩენდა წყენას შუამში მოხარშული ბორჯია! ფრიდრიხის ასულისათვის უნდა მიეგო სამაგიერო, აშას კვრით რომ შეურაცხყო „მღვდლის ნაბუშარი". თანაც იმედი ჰქონდა, რომ შინაური ბრძოლებით დასუსტებული შუა იტალიის მცირე სამთავროებს ხელთ იგდებდა. მაგრამ ყველა ეს სამთავრო ნახევარკუნძულის რომელიმე მონარქთან იყო დაკავშირებული, მათ შორის ბასალის ჰერცოგთან, ლუკრეციას მეორე ქმართან. რა ქნას? უნდა მოიშოროს ის ჰერცოგი, ეშმაკმა დალახვროს! ლუკრეცია სხვას გაჰყვება, სულერთი არ არის?

ჩეზარემ და მისმა უუწმინდესობა მამამ გადაწყვიტეს საიუბილეოდ რომში ჩამოსული ჰერცოგი მოეკლათ. ამით ჰერცოგის სამფლობელოსაც ჩაიგდებდნენ ხელში და ლუკრეციასაც თავიანთ შებილწულ სარეცელში დაიბრუნებდნენ. მაგრამ ღირდა კი იმდენად რაღაც წვრილი სამთავრო, რომ ამისათვის ისედაც სისხლიან სახელს კიდევ ჩირქსა სცხებდნენ? არა, უბრალოდ, ამ წვრილმან, სისხლმოწყურებულ, უნიჭო ადამიანებს ახალი მსხვერპლი ესაჭიროებოდათ.

ჰოდა, ზაფხულის ღამეში, როცა ჰერცოგი პაპის სასახლის კიბის საფეხურებზე ადიოდა, დაქირავებულმა მკვლელებმა სახიფათო ჭრილობები მიაყენეს. ხუთგან ჩასცეს ხანჯალი [illegible] მიიმალნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ჰერცოგი [illegible]. მაგრამ დაჭრილმა შესძლო შიდა ოთახებში შელწევა და შველა ითხოვა.

მისმა უწმინდესობამ, უწმინდური საქმის მოთავემ, რომის პაპმა, ეს ამბავი რომ გაიგო, მკურნალებს უხმო. „ექიმებს, — წერდა ბურხარდი, — ეჭვი არ შეუტანიათ პაპის მწუხარების გულწრფელობაში, ყველა ღონე იხმარეს და დაჭრილი იხსნეს. მაგრამ ერთხელ ღამით, როცა ჰერცოგი უკვე მოკეთებული იყო, რამდენიმე შენიღბული მკვლელი ოთახში შეიჭრა და მწოლარე ახალგაზრდა ჰერცოგი გაგუდეს". ასე აშკარად, შიგ პაპის სასახლეში გათელეს ადამიანობის უპირველესი ცნება და ჩეზარეს თვალწინ დაუსჯელად დაახრჩეს პაპის სიძე, პაპის ნებით და დასტურით. „რაც ნასადილევს ვერ

ასრულდა. ნავახშმევს ასრულდებაო",—უთხრა იმ დღეს დილით ჩეზარემ ლუკრეციას

ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ალექსანდრე თავხედურად ერეოდა მბრძანებელთა მატრიმონიალურ საქმეებში. ძვირად ბიჭყიდა განქორწინების უფლება უნგრეთის მეფეს, აგრეთვე პორტუგალის მეფეს. ამ უკანასკნელმა თანხა გაიორკეცა კიდეც, რომ მახლობელ ნათესავთან ქორწინების ნებაც მიეღო .(ჩვენს დროში კი სამღვდელოება განქორწინების წინააღმდეგ იმაღლებს ხმას და საბუთად ქორწინების სიწმინდეს ასახელებს).

ამას გარდა, წმინდა მამას აზრად მოუვიდა ჯვაროსნული ლაშქრობის მორიგი ვოდევილის გათამაშება. ისევ აავსეს გულუბრყვილო მორწმუნეებმა პაპის კიდობნები ოქროთი და ვერცხლით; მათი აზრით, ეს გათვალისწინებული იყო ურჯულოებისაგან იერუსალიმისა და ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად, სინადვილეში კი ახალ მკვლელობებსა და ორგიებს მოხმარდებოდა, და ბნელმა ხალხმა არც იცოდა, რა ხდებოდა პაპის სასახლის კულისებში! მემატიანეები მოგვითხრობენ, რომ მარტო ვენეციის რესპუბლიკამ პაპს მისცა შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი — თითქმის რვაასი გირვანქა ოქრო.

ეს გრანდიოზული თანხა მთლიანად მოხმარდა პაპის საზეიმო ნადიმებსა და ჩეზარეს დამპყრობელურ ლაშქრობას ქრისტიან თანამემამულეთა დასათრგუნავად.

ოთხი წელიც არ გასულა, რომ ლუკრეციას ძმამ მთელი რიგი დიდი და მცირე სამფლობელო დაიპყრო. დაპყრობილი ქალაქების დიდი მაგნატები ჩეზარე ბორჯიას ბრძანებით გაგუდეს ან ჩამოახრჩვეს. ხორცშესხმული ბოროტება მძვინვარებდა იტალიაში ბორჯიების სახით, სიცოცხლეს სპობდა დედამიწაზე და არავინ იყო გამკითხავი. იმავე დროს ალექსანდრე VI სახელგანთქმული საწამლავით საიქიოს ისტუმრებდა ტანჯულ-წამებულ მსხვერპლთა მშობლებსა და ნათესავებს. ეს იყო ყველაზე უფრო საიმედო ღონისძიება, რომ წართმეული ადგილ-მამულის დაბრუნება არავის ეთხოვა.

ჩეზარე მეფის გვირგვინზე ოცნებობდა. მისი უწმინდესობა თავისი კარისკაცების, საყვარლების და მაამებელი მამაკაცების თანხლებით გაემართა იმ მიწების სანახავად, რომლებიც მისმა ნაბიჭვარმა დაიპყრო და სისხლით მორწყო. გზად ყველგან საჩუქრებს არიგებდა, დღესასწაულებს უწყობდა რელიგიით გაბრუებულ ადამია-

ნებს. ყოველსაერთოდ ცდილობდა ეს უდიდესი აფერისტი საერთო ალფრთოვანების გაღვივებას. კუნძულ ელბაზე პაპმა მოიწყო სახალხო დღესასწაული, თანაც ბრძანა ადგილობრივი ლამაზი ქალიშვილები გამოეგზავნათ, რათა მისთვის სასახლეში ცეკვა-სიმღერები შეესრულებინათ. გასაგებია, რა ბედიც ელოდათ ამ ქალიშვილებს.

რომში რომ დაბრუნდა და ერთი ისტორიკოსის თქმით „მელანქოლიისაგან კუპი გაიწმინდა", ალექსანდრემ ჩეზარესთან ერთად დაიწყო უმბრიისა და რომანიის მეფედ ჩეზარეს კურთხევის საკითხის განსჯა. აუცილებელი იყო დიდძალი ფულადი სახსრები და სამხედრო ძალები, რათა სხვა სახელმწიფოები იძულებული გახდათ ეცნოთ ეს მახინჯი ძალადობის აქტი. „მღვდლის ხაბიჭვრის" მეფედ გამოცხობა უბრალო მზარეულს ხომ არ შეუძლია! აქ ცომის მოსაზელად წყლის ნაცვლად შხამია საჭირო. ამას გარდა, მის უწმინდესობას თავისი დანარჩენი შვილების მოწყობაც ეხებოდა, ისიც საჩქაროდ, რადგან იცოდა, მისი ჩამოცლების შემდეგ ძის უნიჭო შვილებსაც განდევნა და ზიზღი ელოდათ. სხვა ბავშვებისაგან რომ მოიცლიდა, მერე მთლიანად უნდა გადასულიყო თავისი კაენის-ჩეზარეს საქმეებზე, რადგან ეს მისებრ უნდო მხეცი გამორჩეული სიყვარულით უყვარდა, ლოგინშიაც კი არ იშორებდა თავის ასულს ლუკრეციას პაპმა სპოლეტო მისცა (რას არ აძლევდა!), ვაჟს როდრიგოს კი, რომელიც ამ ლუკრეციამ თავის მშობელ-მამას აჩუქა— სერმონა (ასულის უნაყოფობა აწუხებდა და ეს დანაკლისი თვითონვე გამოასწორა). ნეპის საჰერცოგო პაპმა აჩუქა თავის სხვა ვაჟს — იოანე ბორჯიას დაბოლოს, ლუკრეცია ძესამედ გაათხოვა— უაეთ, გაანათხოვრა: ალფონს დესტეს, მისცა, ფერარის ჰერცოგის მემკვიდრეს.

ლუკრეციას ქორწილი 1501 წელს გადაიხადეს. პროფესიონალური მეძავისათვის, რომელსაც შვილი ღვიძლი მამისაგან ეყოლა, ქორწილი მხოლოდ მორიგი ნადიმი იყო და ქმრებს ისე უყურებდა, როგორც ატეხილ ულაყებს დასცქეროდა სასახლის ფანჯრიდან. „სულ რაღაც რვა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლუკრეცია იოანე სფორცას გაჰყვა, — დამშვიდებით მოგვითხრობს ბურხარდი, — და ახალი ქორწილი გადაიხადეს ისეთი ფუფუნებით, რაც თვითონ წარმართულ ძველ დროს არ ახსოვს. საღამოს ესწრებოდა ყველა კარდინალი და უზენაესი სამღვდელმთავრო დიდკაცობა, თანაც ყო

ველ მათგანს თან ახლდა თითო ორ-ორი კეთილშობილი მეძავი, რომელთა მთელს ჩაცმულობას შეადგენდა მარმაშის გამჭვირვალე წამოსასხამი და ყვავილწხულები. ვახშმის შემდეგ ორმოცდაათი როსკიპი ასრულებდა ცეკვას, რომლის აღწერის ნებას ზრდილობა არ გვაძლევს, — ჯერ ცალკე, მერე კი კარდინალების მხარდამხარ. ბოლოს ლუკრეციას ნიშანზე წამოსასხამები გადააგდეს, და ცეკვა შიშველი ქალებისა გაგრძელდა, წმინდა მამა კი ტაშს უკრავდა. მერე სხვა გასართობი დაიწყო. მისმა უწმინდესობამ ნიშანი მისცა და სანადიმო დარბაზის შუაგულში ერთიმეორის პირდაპირ სიმეტრიულად ჩაამწკრივეს ვერცხლის შანდლების თორმეტი რიგი. ლუკრეცია, პაპი და სტუმრები შემწვარ წაბლს ისროდნენ, სრულიად ტიტველი მეძავეები აგროვებდნენ, ეცემოდნენ, იცინოდნენ, გორაობდნენ და ხოხავდნენ. უფრო მარჯვენი პაპისაგან საჩუქრად აბრეშუმსა და სხვა ძვირფას ქსოვილებს იღებდნენ. ბოლოს პაპმა ნიშანი მისცა და დაიწყო აღვირახსნილი გარყვნილება. მისი აღწერა სრულიად შეუძლებელია: სტუმრები ქალებთან აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი აზრად მოუვიდოდათ. ლუკრეცია და მამამისი ამაღლებულ ესტრადაზე ისხდნენ, ხელში პრიზი ეჭირათ, ყველაზე უფრო ვნებიანი და დაუღალავი მამაკაცისათვის დანიშნული".

რა უნდა ვთქვათ ამის შემდეგ საეკლესიო ზნეობაზე! არ ვიცით, რა იყო ოდესმე, მაგრამ პაპების ხელში ქრისტიანობა იქცა მრუშობისა და აღვირახსნილი გახრწნილების რელიგიად.

უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი ეს ზიზღისმომგვრელი ფაქტები, გამოგონილი კია არა, სინამდვილეა, რომანი კი არა, ისტორია გახლავთ.

ჩვენ იძულებული ვართ ძალიან ბევრი მსგავსი ფაქტი გამოვტოვოთ, ალექსანდრე VI წყევლით მოსაგონებელი „მოღვაწეობიდან" რადგან შეუძლებელია ყველას აღნუსხვა.

სრულიად გასაგებია, რომ თავისი ჯოჯოხეთური ვნებების დასაცხრობად ამ ბინძურ ღორს ყოველთვის ფული უჭირდა, და ამ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას მისაღებად თვლიდა. პაპი არა მარტო აბრიყვებდა გულუბრყვილო ქრისტიანებს ჯვაროსნული ლაშქრობებით ან იუბილეებით, არა მარტო ხელებს იბანდა მისივე ბრძანებით გაძარცული მდიდრების სისხლში, არამედ სხვა საზიზღარ ღონისძიებებსაც მიმართავდა.

ფრიად ჭკუის სასწავლებელია ალექსანდრე მეექვსის ნებართვის სიგელების გადათვალიერება, რომ დავრწმუნდეთ, რა ზომამდე დაეშვა პაპობა მიაზმის ჭაობში, ადამიანთა აბსოლუტური მბრძანებლის პრეტენზიით რომ მოჰქონდა თავი, და ფარდა ავხადოთ ამ რელიგიურ დესპოტიზმს, თავს რომ უცოდველად თვლიდა ეს ცოდვის წყარო, — ამ სიგელების ნაწილს სანიმუშოდ დავიმოწმებთ.

პაპმა ბორჯიამ, რომის ეკლესიის მეთაურმა, ღმერთის განგების სახელით თავს ნება მისცა დაემტკიცებინა მამის სოდომია საკუთარ ვაჟიშვილთან. ეს საზიზღარი მამა იყო კარდინალი მენდოზა, ვალენსიის არქიეპისკოპოსი, რომელმაც ალექსანდრეს უსირცხვილოდ სთხოვა მიეცა ნება აეყვანა ერთ-ერთ საყვარლად თავისი ერთ-ერთი უკანონო შვილი — ზანეტი. „კეთილი ხელმწიფე უნდა იყო, — ცინიკურად აცხადებს ალექსანდრე, — ამიტომ ჩვენს ქვეშევრდომებს ვერ ვეტყვით უარს იმაზე, რის უფლებასაც ჩვენ თვითონ ვაძლევთ საკუთარ თავს“. ეს ხომ პაპის გახრწნილების საჯაროდ აღიარებაა, კაცობრიობის სამარცხვინოდ! სხვა პაპები ფარავდნენ მაინც ამნაირ შეცოდებებს, ალექსანდრე აბუჩად იგდებდა ადამის მოდგმას.

დადგა ისეთი მომენტი, როცა თვითონ ბორჯიას ჯოჯოხეთური ფანტაზია ამოწურული აღმოჩნდა. აღარ დარჩენილა რაინდი და ბარონი, რომ გაეგუდა ან მოეწამლა ამ საზარელ სულთამხუთავს, აღარავინ ითხოვდა ნებართვის სიგელებს. აშკარა გახდა ისიც, რომ აღარავინ არ ეგებოდა ჯვაროსნულ ომების ფანტასტიკურ ანკესზე.

მორიელი თვითონ, მოკვდება, თუ არავინ მოშხამა. ახლა ალექსანდრე თავისი კარდინალების მოწამვლას მოჰყვა, რათა მათი ქონება ხელთ ეგდო, თანაც წმინდა კოლეგია „გაეწმინდა“, ე. ი. მთლიანად თავისი დაყენებული არამზადებით შეეცვალა. ამრიგად, ერთბაშად ორ კურდღელს იჭერდა.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ ბორჯიას სახელგანთქმულ შხამზე. როგორც მორიელს ნესტარი, ისე ალექსანდრეს ჰქონდა საგანგებოდ მისი რეცეპტით გამზადებული მომაკვდინებელი სითხე. ჩვენი მოთხრობა რომ არ გავაგრძელოთ, დუმილით ვუვლით გვერდს უთვალავი რომაელი მოქალაქის მოწამლვას. მათი ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ მდიდრები იყვნენ.

ერთი მგლისკენაც უნდა ვთქვათ — ბორჯიამ მკვლელობა

სრულყოფილ ხელოვნებად აქცია. სპეციალური ცოდნა ჰქონდა ამ საქმეში. ერთგული ქიმიკოსებიც ჰყავდა, ამიტომ უაღრესად ძლიერი და ფაქიზად დამუშავებული შხამების მთელი არსენალი შექმნა. სულ ხელწავდა და სრულყოფდა, ასე რომ მის ხელში მოშაკვდინებელი წვეთები დროთა განმავლობაში სულ მეტ ძალას იძენდნენ, როგორც ბებერი გველის კბილში — დახარიბული გესლი. ალექსანდრე. ჩეზარე და ლუკრეცია. სამი ბოროტი სული, ან თვითონ ეხმარებოდნენ ოსტატ შეიმზავებლებს. ან თავიანთი სბირების შემწეობით აღწევდნენ საწადელს. საკმარისი იყო ამ სბირებს ქუჩაში გავლისას გარკვეული პირისათვის ნემსი ეჩხვლიტათ, რომ გესლიანი პაპის ბედშავი მსხვერპლი იქვე მოცელილივით დაცემულიყო. ნემსის რეზერვუარში ინახებოდა შხამი, რომლის ერთი წვეთი ანაზდეულად კლავდა ღონიერ ხარს.

ბორჯიას წყეული ოჯახის საყვარელი ქონება იყო ფერსა და სუნს მოკლებული შხამი თუ კვირაში ერთ წვეთ ასეთ შხაძს მიიღებდა, პაციენტი თანდათანობით კვდებოდა იმ დღეს, რა დღესაც შხამის პატრონი ინებებდა. სწორედ ამ ხანგრძლივ მოქმედებას ეფარებოდა მომწამვლელი, რომ თავისი ბინძური კვალი დაეფარა. შხაძი ინარჩუნებდა მოქმედების უნარს ყავასა და შოკოლადში, მაგრამ ღვინოში ძალას კარგავდა, ამიტომ ტიროსახმა მორიელმა მისი დაზადება შეწყვიტა.

როცა ახალი ქვეყანა აღმოაჩინეს, ალექსანდრემ ბრძანა იქიდან სხვადასხვა შხამიანი მცენარე ჩამოეტანათ. ამ მცენარეებისაგან მისი ქიმიკოსები ნაირნაირ საშინელ საწამლავს აზავებდნენ. ჩეზარე ბორჯია ისე გაიწაფა ამ შხაძით მოწამლული დანით ვაშლის ან ატმის გაჭრაში, რომ მისი ნახევარი შეეძლო თვითონ არხეინად შეექამა, წვეული სტუმარი კი, რომელსაც მეორე ნახევარს აძლევდა, იღუპებოდა. ასე რომ, ბორჯია იურიდიულად მართლდებოდა, მორალურ გამართლებას კი არც საჭიროებდა.

სახელგანთქმული ბორჯიას ღვინო ცნობილი იყო იმ თვისებით, რომ მისი მოქმედება საგრძნობი ხდებოდა მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ: ადამიანს უცვივდებოდა კბილები, თმა, ძვრებოდა ტყავი, ამას მოსდევდა ხანგრძლივი და მტანჯველი აგონია. კარგია, არა? ბორჯიას უნივერსალური ხელოვნება თანამედროვე ქიმიკოსებს შეშურდებოდათ.

ლუკრეციას ჰქონდა გასაღები, სრულიად ჩვეულებრივი გარეგნულად და უჩვეულო — დანიშნულებით. ეს იყო საიქიოს გასაღები აძის შემწეობით ეს გახრწნილი ფურია თაკიდან იშორებდა იმ საყვარლებს, რომლებიც მოსწყენოდებოდა ხოლმე გასაღების სახელური შეუმჩნეველი წვეტით თავდებოდა. ამ წვეტზე შხამს წააცხებდა. შემდეგ ძომლიანი ასპიტი განწირულს ამ გასაღებს გადასცემდა და დაავალებდა ისეთი კარის გაღებას, რაც იოლად არ იღებოდა. თავაზიანი და კოხტა მოყმე გასაღებზე ხელს დააჭერდა, ხელი ეკაწრებოდა და ერთ დღეღამეში საშინელი ტანჯვით ეღებოდა ბოლო.

ჩეზარეს თავის მხრივ არანაკლებ საინტერესო ბეჭედი ჰქონდა. გარეგნულად კრიალა ფოლადისაგან დამზადებული ლომის ორი კლანჭი ამშვენებდა. ეს კლანჭები შიდა მხარეს ჰქონდა შეუმჩნეველად და მოპირდაპირე მხარეს ჩაესობოდა იმ დროს, როცა განწირულს ბოროტი მომწამვლელი ხელს ართმევდა და შუათითს დააჭერდა. ლომის ამ კლანჭებს, რომელთაც ცოფიანი კატა ატარებდა, ორი ღრმა ნასვრეტი ჰქონდა. ამ ნასვრეტებიდან, როგორც ასპიტის კბილიდან, შხამი გამოდიოდა. სადმე ბალზე ნიღაბაკრული მკვლელი უცაბედად ხელს ჩაავლებდა იმას, ვისი ჯავრიც სწყრა. ჩაასობდა „ლომის კლანჭებს“ და იქვე აგიტანდა ბეჭედს. ვინა იპოვნიდა ვინმე იმ გადარეულ ბრბოში ბეჭდის პატრონს? ან თუნდაც გამოეცნოთ, ვის სძულდა თავი, ვინ დააბრალებდა მკვლელობას პაპის შვილს?

ლუკრეციას გასაღები და ჩეზარეს ბეჭედი მათი ჩაძაღლების შემდეგაც დიდხანს იყო ხმარებაში: კაცობრიობის ამ უდიდეს დამნაშავეებს მრავალი მოწაფე და მიმდევარი ჰყავდათ.

იმ შემთხვევაში, როცა ბორჯიას უნდოდა სწრაფად მოესპო მტერი, ხანჯალს ან სწრაფი მოქმედების შხამს მიმართავდა.

სწორედ ასეთი შხამი მოითხოვა ალექსანდრე მეექვსემ, როცა განიზრახა თავისი კარდინალების მოცილება. ეს ვერაგული ზრახვა საზეიმო წირვაზე უნდა მოეყვანა სისრულეში.

საეკლესიო იერარქების შემოტყუება შხამიანი მორიელის საღილზე იოლი საქმე არ იყო. პრელატები, რა თქმა უნდა, ბრმები არ იყვნენ და დიდი ეშვით შესცქეროდნენ პაპის სერობას. პაპმაც იცოდა, მათი უმრავლესობა რომ მიზეზს გამოიხადიდა და შხამიანი მღვდელმთავრის სასახლეში მოსვლაზე უარს იტყოდა, მაშინ კარ-

დინალ კორნეტოს სთხოვა, ერთი დღით დამითმე სანადიმოდ შენი სასახლეო. პაპის განზრახვას წარმატება ჰქონდა: კარდინალებმა მოწვევა მიიღეს.

დანიშნულ დღეს დილითვე ალექსანდრემ კორნეტის სასახლეში თავისი მოურავი გაგზავნა, რომ სუფრის გაწყობისათვის ყურადღება მიექცია, თან ორი ბოთლი ღვინო გაატანა. სასტიკად გააფრთხილა, ყველა ზომა მიიღე, ბოთლები საიმედო ადგილას შეინახე და მიეცი მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც მე მიგითითებო. შეცდომას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.

არც ერთ კარდინალს არ გაუცდენია ნადიმი, და შვილის თანხლებით სასახლეში მისულმა ალექსანდრემ მაშინვე გაიანგარიშა, რამდენ შემოსავალს მისცემდა ეს დღეობა. ეს აგვისტოში მოხდა; აუტანელი სიცხე იდგა, ალექსანდრე და ჩეზარე ნადიმზე ფეხით მოვიდნენ, დაღლილობას უჩივდნენ და მაშინვე გამაგრილებელი სასმელები ითხოვეს. მოურავი წუთით გასულიყო და ერთ-ერთი მსახური მაშინვე გავარდა მისი უწმინდესობის სურვილის შესასრულებლად. ალექსანდრემ, ჩვეულებისამებრ, თავისი თასი ერთბაშად დაცალა. ჩეზარემ კი ღვინოში წყალი გაურია. როგორც კი თასები დაცალეს, მაშინვე კუჭი აეწვათ. ტკივილი აუტანელი იყო. მსახურმა არაფერი იცოდა და უზენაესის ნებით სასმელი დაუსხა იმ გრაფინიდან, რაც მოურავს ჰქონდა გადამალული. პაპს საზარელი კონვულსიები თანგავდა. ახლა საინტერესო ექსპერიმენტი დაიწყო. წმინდა მამა პირადად დარწმუნდებოდა, რა დიდ ხელოვნებას დაეუფლა ამ საქმეში. მაშინვე თავის სასახლეში გადაიყვანეს. შუაღამისას საშინელი ტანჯვით ჩაბარა სული სატანას, რომელმაც ის დედამიწაზე ადამიანთა ასაკლებად გამოგზავნა, შხამში მოხარშულ ასპიტს საკუთარი. შხამი მოერია! ეს მოხდა 1503 წლის 18 აგვისტოს. ეკლესია რომ სამართლის ბურჯი იყოს, ამ დღეს იზეიმებდა.

ჩეზარე სიკვდილ-სიცოცხლის ჯვარედინ გზაზე იდგა და იკრუნჩხებოდა, როგორც ცეცხლის რკალში მოხვედრილი მორიელი, მაგრამ წყალში გახსნილმა შხამმა ძალა დაკარგა და ძლიერმა ორგანიზმმა გაიმარჯვა. ათი თვე იხარშებოდა მის მოწამლულ ტანში ძლიერი სამსალა, და ბოლოს ბორჯია გადარჩა. სასტიკი ტანჯვის მიუხედავად გრძნობა არ დაუკარგავს და თავი მტკიცედ ეჭირა. მისი ბრძანებით მალემსრბოლნი ყოველ წუთში ატყობინებდნენ აგო-

ნიით გათანგული პაპის მდგომარეობას. როგორც კი მამის სიკვდილი აუწყეს, თავის მცველთა უფროსს უბრძანა ვატიკანის კარების ჩაკეტვა, ხანჯალი იშიშვლა და კარდინალ-ხაზინადარი აიძულა მოციქულის ტახტის გასაღები ამ პროფესიონალური მკვლელისათვის გადაეცა.

მეორე დღეს, როგორც კი საზიზღარი მტარვალის სიკვდილის ამბავი რომს მოედო, ერთიანი ზეიმი დაიწყო. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდა წმინდა პეტრეს ტაძრისაკენ. რომაელებს უნდოდათ შეეხედათ იმ ადამიანის ლეშისათვის, რომელიც თერთმეტი წლის განმავლობაში აძრწუნებდა იტალიას და აკანკალებდა სენიორებს. წმინდა პეტრეს ბაზილიკა, სადაც პაპის ნეშტი ესვენა, ხალხით იყო გაჭედილი, ნემსი არ ჩავარდებოდა. შემთხვევით არ გვიწოდებია მისი გვამისათვის ლეში. „საზარელ სანახაობას წარმოადგენდა შავი, უმსგავსოდ დალმეჭილი, გამობერილი გვამი, — წერს რაფაელ კოლატერანი, — იმთავითვე გახრწნილი პაპი გულისამრევი სუნით აყროლებდა მიდამოს. შავ ლორწოს დაეფარა მისი ბაგეები და ნესტოები, პირი ფართოდ გაეღო, და შხამით გაჟღენთილი ენა თითქმის ნიკაპამდე გადმოეგდო. არ გამოჩენილა არც ერთი ფანატიკოსი, რომ მის ხელს ან ფეხს შეხებოდა, როგორც ქრისტიანის ნეშტთან ხდება ხოლმე". განა ალექსანდრე VI, საქრისტიანოს მამა, ქრისტიანი იყო? განგებამ ისეთი სიკვდილი მოუვლინა, როგორიც დაიმსახურა.

საღამოს ექვსი საათისათვის ეკლესიაში ისეთი სუნი იდგა, რომ კარდინალები იძულებული გახდნენ სასწრაფოდ განკარგულება გაეცათ პაპის დაკრძალვის შესახებ, თუმცა იმ დროის კანონების თანახმად დასაფლავების წინ მთელი ათი დღის განმავლობაში შესანდობარი პარაკლისები უნდა ეხადათ. პაპის შენდობა არავის შეეძლო. არც ერთი მღვდელი, არც ერთი კარდინალი, არც ერთი ოფიცერი არ დათანხმდა დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობაზე. გვამი მეკუბოვეთა და მეჩანგლეთა ამარა დარჩა. ზიზღით გადააგდეს პაპის ტიარა და რის ვაივაგლახით ჩატენეს შხამით გასივებულ-გადახარშულ-აყროლებული ხორცის მთა კუბოში, რომელიც მეტისმეტად ვიწრო და მოკლე იყო. შემდეგ კუბო ჩაუშვეს აკლდამაში, მთავარი საკურთხევლის ქვეშ, მარცხენა მხარეს. მოკლედ, საკურთხევლის საძირკველი ააყროლეს.

მამის დაღუპვის შეცდეგ ჩეზარე ბორჯიამ იგრძნო ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლა და ბრძანა, წმინდა ანგელოზის ციხეში გადაიყვანეთო. მისი ბრძანებით ქვეყეხის ცეცხლი დაუშინეს მინერვას მონასტერს, სადაც ბედნიერი შეძთხვევით გადარჩენილი კარდინალები შეყრილიყვნენ წმინდა კოლეგიის სხდომაზე და წინასწარ ბარიკადები აღემართათ მონასტრის გარშემო. გაძარცული მთავრების ნაცესავები ჩეზარეს წინააღმდეგ აღდგნენ, ძალითა და იარაღით ხელში დაიბრუნეს საგვარეულო სამფლობელოები. ბოლოს და ბოლოს, კარდინალების დიდი ხვეწნის შემდეგ, ჩეზარე დათანხმდა, რომ თავის მამულში გადასახლებულიყო — რომანიის საჰერცოგოში, სადაც უკვე ბრუნდებოდნენ ადრინდელი ფეოდალი მბრძანებლები. იქ განდევნილი ნადირი საკმაოდ უფერულ და უბადრუკ ცხოვრებას ეწეოდა; თუმცა მისი რწმენით უზენაესმა მბრძანებლად და სხვა ადამიანებზე აღმატებულად შვა, ამ ყოველგვარი სინდის-ნამესისაგან გარეცხილმა ტირანმა მამის სიკვდილის შემდეგ თავისუფლება პაპის მთელი საგანძურის ფასად იყიდა, ისიც მცირე ხნით. მალე რომანიის ჰერცოგის ტიტულზეც უარის თქმა მოუხდა, გორჩელე კორდოველს შეეხიზნა, იმანაც ფერდინანდ ესპანელს (კათოლიკეს) გადასცა და ორი წელიწადი მედინა დელ კამპოს ციხეში ეგდო. იქიდან გაქცეული ცოლისძმას ესტუმრა, ნავარის მეფეს, მის სამსახურში შევიდა და 1503 წლის 12 მარტს, პამპელუნის სიმაგრის იერიშის დროს მოკლეს, ნავარისა და კასტილიის ომში.* ასე უსახელოდ დასრულა ნაძრახი სიცოცხლე ბოროტმოქმედმა, საკუთარი ძმის მკვლელმა, ღვიძლი დის გამხრწნელმა, სიძეთა მკვლელმა (მის თვალწინ გაგუდეს მისივე ბრძანებით მძიმედ დაჭრილი ჰერცოგი, ლუკრეციას ქმარი), რომელიც დემონური სიმაღლიდან დასცქეროდა ყველას და ყველაფერს.

• რაც შეეხება ლუკრეციას, ფერარიდან რომში აღარასოდეს არ დაბრუნებულა, დიდხანს იცოცხლა,** მფარველობას უწევდა ეკლე-

---

* ეს თარიღი არაა სწორი. ჩეზარე ბორჯია მოკლეს 1507 წელს.

** აქაც მცირე უზუსტობაა. ლუკრეციას არ უცოცხლია ხანდაზმულობამდე, ორმოცი წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა (1480—1519). ეს ქალი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. უაღრესად განათლებული, გონებამახვილი, საარაკო სილამაზის პატრონი, ხელოვნებით გატაცებული ლუკრეცია შეიძლებოდა თავისი დროის უშუალანიშნავესი ქალიც ყოფილიყო, რომ 13 წლის ასაკშივე არ შეერყვნათ მშობელ მამას, მერე მის ძმებსა და მთელს იმ გახრწნილ წრეს, რომელშიაც ეს სუსტი ნე-

სიას, მხატვრებსა და პოეტებს. არიოსტომ „შმაგ ორლანდოში“ ოქტავა უძღვნა ამ ქალს, პოეტი ადიდებს მის სულიერ ღირსებებს, რაც პოეტურ უცნაურობათა საკუთაროს უნდა მიეკუთვნოს. ოლიგიურ თემებზე სურათების შექმნა და მხატვრების წახალისება იყო ერთადერთი რაკ. რითაც ჯოჯოხეთური ცოდვების გამოსყიდვა ს

მსგავსად ვეფხვისა, ისიც მონაა თავისი ინსტინქტებისა. სისხლი იყო მისი სტიქია, რომელშიაც თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში".

გავიხსენოთ ისიც, რომ განთქმული ნიკოლო მაკიაველი, ბორჯიას თანამედროვე, თავის ცნობილ წიგნში „ხელისუფალი" ტირანიაზე მსჯელობის დროს ნიმუშად სახავს და ხოტბას უგალობს ტირან-ვირტუოზს, ჩეზარე ბორჯიას სახით: „ყველას ესმის, რაოდენ სასახელოა ხელმწიფისათვის, რომ შეინარჩუნოს ერთგულება, სიმტკიცე, იმოქმედოს სამართლიანად, ვერაგობის გარეშე, მაგრამ ჩვენი დროის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მხოლოდ იმ ხელმწიფეებს გამოსდით დიდი საქმეები, რომლებიც სიტყვას ტეხენ, მოხერხებულად ატყუებენ სხვებს და ჯობნიან ყველას, ვინ მათ ენდობა".

მაკიაველი ასპიტთა ფილოსოფიას ქადაგებს. ბორჯიამ დროებით გაიმარჯვა სიცრუით, შხამითა და ვერაგობით, მაგრამ ის სიცოცხლეშივე განდევნეს, ისტორიამ კი სამარცხვინო ბოძზე გააკრა ბორჯიას გვარი, სინონიმი ბოროტებისა. ახე თუ ისე, მაინც ბოროტსა სძლია კეთილმა.

ასეთია ალექსანდრე VI ისტორია. ეკლესიის მამებს არასოდეს არ უქცევიათ მისთვის ზურგი, თუ არ გავიხსენებთ, რომ დაკრძალვის დღეს მის აყროლებულ გვამს არც ერთი მღვდელი არ გაეკარა. არ გაწირეს ტირანი იმიტომ, რომ თვითონ არიან მის ბოროტმოქმედებაში თანამონაწილეები, ყველა მის სიავეს და დანაშაულს იზიარებენ. არა თუ არ გასწირეს ეს „გახრწნილების ურჩხული", არამედ აღშფოთებისაგან შემწვარ კიბოსავით წითლდებიან, როცა ვინმე ამ ტირანის შავბნელ საქმეებს გაიხსენებს ხოლმე. ასეთია ჩლუნგ დამნაშავეთა ბუნება.

დარწმუნებული ვარ, ყოველი ბნელეთის მოციქული უპასუხებს ისტორიკოსს, რომელიც გაბედავს და ალექსანდრე ბორჯიასა და მისი შვილის საგმირო საქმეებს პირუთვნელად აღწერს: „თუნდაც სიმართლე იყოს, რომ მათ ერთად გაწყვიტეს და გაძარცვეს იტალიის მრავალი ძლიერი დიდებული. მაგრამ ბორჯია წმინდა ტახტის სასარგებლოდ მოქმედებდა, ცდილობდა გაეზარდა მოციქულის სამფლობელოები, და ამისათვის მადლობელი ვართ მისი. ის იმ ეპოქაში ცხოვრობდა, როცა ცივილიზაციის მედროშენი იძულებული ხდე-

ბოდნენ უკიდურესი ზომებისათვის მიემართათ. ამიტომ ბორჯიას, თუნდაც მრავალი დანაშაულიც ჩაედინოს, აღორძინების მფარველთა შორის პირველ რიგებში ვაყენებთ. ან რა მნიშვნელობა აქვთ მის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა სიას, თუ სიკვდილის წინ მოასწრო თავისი ცოდვების აღიარება და სრული განტევება მიიღო, რათა ცად ამაღლდეს და სასუფეველში დაჯდეს უზენაესი მამის ხელმარჯვნივ? სარწმუნოების საიდუმლოს განსჯა არ უნდა: რელიგია გვასწავლის, რომ ყოველი კაცი, ვინც შენდობას ითხოვს, შენდობილია. აღსარების შემდეგ ის ისევე სუფთაა, როგორც ახლად მონათლული ბავშვი. ასეთია ჩვენი სარწმუნოება! წყევლა და კრულვა მას, ვინც ამ რელიგიას ბოროტების წყაროდ თვლის! ურიგო არ იქნებოდა, თუ დედამიწაზე გამოცხადდებოდა ისეთი ბორჯია, რომელიც თავისი დალოცვილი შხამებით მოთხრიდა თავისუფალ მოაზროვნეთა სახსენებელს: ცოდვა არ ეკითხება მას, ვინც ეკლესიისათვის იღწვის, ხოლო მიზანი ამართლებს საშუალებას“.

მოკლედ, საქმე შეურიგებელ ჯალათებთან გვაქვს. მათი მიზანია ეკლესიის დიდება, და განა მგელი მგლის ტყავს დახევს იმისათვის, რომ ბევრი ცხვარი დაუგლეჯია?

ბედნიერად უნდა ჩავთვალოთ თავი, რომ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა ეკლესიის მამებს აღარ შეუძლიათ თავიანთი სურვილები განახორციელონ, მუქარას ხორცს ვეღარ შეასხამენ. იეზუიტები, ინკვიზაციის ჯალათები და ყველა ბორჯია ქვეყნიერების ყველა მხარეში პატიოსან ადამიანთა სახელით დაწყეველილია უკუნითი უკუნისამდე.

იულიუს II

● მოციქულის ტახტის გარშემო ატეხილ აულაგმავ ვნებათა შეჯახებამ ის შედეგი გამოიღო, რომ დაცარიელებულ ტახტზე ავიდა კარდინალი პიკოლომინი, უდავოდ უმწიკვლო და პატიოსანი კაცი. ვატიკანში რომ გაბატონდა, დაუყოვნებლივ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს შეცვალოს საეკლესიო ზნეობა, უპირველესად რომის კურიის ზნეობა.

მაშინ კარდინალებმა გადაწყვიტეს რაც შეიძლება მალე გამოესწორებინათ თავიანთი შეცდომა. იმ დღეს, როცა პაპმა პიუს III

(ასე ეძახდნენ ამ თეთრ ყოროსს) საქვეყნოდ გახაცხადა თავისი კეთილი განზრახვა, საჭმელში საქსალა ჩაუყარეს, რამაც მაშინვე დაიწყო მოქმედება. სადილის შემდეგ წმინდა მამაკ კუჭის მწვავე ტკივილი იგრძნო, და ექიმების დახმარების მიუხედავად პიუს III საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა. ტახტზე სულ სამი კვირა იჯდა. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ კეთილი სული ბოროტების ტახტზე ვერ გაიხარებს.

როგორც კი პიუს III დაკრძალეს, კარდინალები კონკლავზე შეიკრიბნენ. ხუთი კონკურენტი დიდხანს და გაშმაგებით იბრძოდა ტიარისათვის, ვიდრე საქმეში მეექვსე ავანტიური არ ჩაერია — ჯულიანო დელა როვერე. წმინდა პეტრეს კარდინალი. როგორც კი თავზე ტიარა დაიდგა, ელვისმტყორცნელი ზევსივით განაცხადა, ამას ვერავინ წამართმევს, რადგან ვიყიდეო. მართლაც, ყველა ხმა ნაყიდი ჰქონდა.

ამისმა არგუმენტმა პრელატებზე გავლენა მოახდინა, და ჯულიანო ერთხმად აირჩიეს იულიუს II სახელწოდებით.

ახალი პაპის ახალგაზრდობა მეტად შფოთიანი ამბებით აღინიშნა. ჯულიანო თვითონვე ტრაბახობდა თავისი საგმირო საქმეებით. დიღხანს დაცურავდა ზღვებში, მაგრამ კი არ თევზაობდა, ჩვეულებრივი მეკობრე გახლდათ, სავაჭრო გემებს დაეძებდა, ადამიანებს ძარცვავდა, ქალიშვილებს იტაცებდა და მხევლებად ყიდდა. საქრისტიანოს მამაც ასეთი უნდა!

სასტიკი, შურისმაძიებელი, ქედმაღალი ჯულიანო რომაელთა საყოველთაო სიძულვილის საგანი იყო, ან რა იქნებოდა ზღვის ყაჩაღი! მისი არჩევა ისე მიიღეს, როგორც სახალხო უბედურება. ეს მით უფრო მძიმე იყო, რომ ერთ უბედურებას — ალექსანდრე ბორჯიას — მეორე მოჰყვა.

მშვენივრად იცოდა, რა გრძნობებსაც უნერგავდა გარშემო მყოფ ადამიანებს, მაგრამ მისთვის სულერთი იყო, ზიზღს გამოიწვევდა თუ მოწონებას. ძალაუფლება ხელთ ეპყრა — და ეს იყო ყველაფერი, რაც მას ესაჭიროებოდა. იცოდა, ასეთებს ტახტზე არ წამლავენ... თუ არ შეეშალათ.

პირველ ხანებში არ მიმართავდა ალექსანდრე VI მეთოდებს, არ ხოცავდა დიდკაცობის წარმომადგენლებს, დიპლომატიური ხრიკებით ცდილობდა მათს გადმობირებას. ამ მიზნით თავისი ასული ფი-

ლიცია ერთ მათგანს — ორსინის გვარის კაცს მიათხოვა, მეორე კი, საკუთარ დასთან რომ ეყოლა, ანტონიო კოლონას მისცა. ალექსანდრეც ხომ ასე მოღვაწეობდა!

პატარ-პატარა იტალიელ სენიორთა მიმართ სხვა პოლიტიკას ეწეოდა: ბენტევიოლის ბოლონია მოსთხოვა, ხოლო როცა უარი მიიღო, შეაჩვენა, თან მის ქვეშევრდომებს ნება მისცა ბატონის აღგილმამულს დაპატრონებოდნენ, მისი ქონება დაეხანწილებინათ. არც ეს აკმარა: ცოდვების სრულ მიტევებას დაპირდა მას, ვინც ამ გვარის უმრავლესობას გაწყვეტდა.

ამრიგად, ალექსანდრე VI პოლიტიკა დიდად არ შეცვლილა.

იულიუსმა ციხე-სიმაგრეების დაბრუნება მოსთხოვა იმ სენიორებს, რომლებმაც ბანდიტ ალექსანდრე ბორგიას ჯოჯოხეთში წაშავების შემდეგ კონფისკაციაქმნილი მიწები დაიბრუნეს. ძლევამოსილმა მთავრებმა და სენიორებმა ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარი თქვეს. ყველაზე უფრო გადაჭრით გაძოვიდა ვენეციის რესპუბლიკა, რომელმაც განაცხადა: ჩემი მიწის არც ერთ ნაგლეჯს არ მივცემ პაპს, გახვრეტილ შავ ფულსაც არ გადავიხდი ხარკის ან გადასახადის სახით, რა საბაბითაც არ უნდა ბომთხოვონო. ყოყოჩმა მეკობრე პაპმა მუქარით უპასუხა: ისე დავცემ ვენეციას, უკანასკნელ მეთევზეთა სოფლის დონეზე დავაყენებო. ვერაგ პაპს ესმოდა, რომ თავისი მცირე არმიის შემწეობით ამაუ ვენეციას ქედს ვერ მოადრეკინებდა, ამიტომ დახმარებისათვის ევროპის მეფეებს მიმართა. ღვარძლიანმა მღვდელმთავარმა ეკლესიიდან განკვეთა და შეაჩვენა დოჟი ლორედანო, ათთა საბჭო და ვენეციის მთელი ხალხი, ყველა მსურველს ნება დართო შეეპყრო და შეეძულრა ვენეციელთა გემები, ხელთ ეგდო მათი ქონება, დაეჭირა და გაეყიდა მათი ქალები და ბავშვები... ენა ჩლუნგდება ბოროტი მოძალადის წარმართული სისასტიკის გახსენებაზე. რისთვის ექცეოდა იულიუს-ღორი ვენეციას ასე თურქივით? რაკი მონურად მუხლი არ მოუკარა და ხარკი არ მისცა საზიზღარი ორგიებისათვის, — უნდა აღეგავა?

იმავე ბულით, რაც ვენეციის შეჩვენებას შეიცავდა, პაპი რესპუბლიკას ბრძანებას აძლევდა დანიშნულ დღეს რამდენიმე ქალაქის კასაღები გამოეგზავნა.

დამორჩილების ნაცვლად ათთა საბჭომ ენერგიული ზომები მიიღო, რომ პაპის აშმორებული ბულა არ გამოეცხადებინათ რესპუბ-

ლიკის მიწაწყალზე. გაცოფებულმა პაპმა ლეგატები გაუგზავნა თავის მოკავშირეებს, საბრძოლო მოქმედებათა დაჩქარებას მოითხოვდა, თავადაც ომისათვის გაემზადა. სათვალიანი გველიც ასე სწრაფად ბრაზდება.

როვერეს გვარის ასპიტმა, რომელიც დიპლომატიური და სამხედრო ნიჭით ალექსანდრე ბორჯიას აღემატებოდა, მასავით გოლიათი წინაპრის სახელი აირჩია: იულიუს კეისრის სახელი იწოდა, რითაც თვალსაჩინოდ გამოამჟღავნა თავისი დამპყრობელური ზრახვები. მართლაც, ძველ რომაელთა მოუტეხელი სული, მეომრული სულისკვეთება და იმპერატორული მისწრაფება ჰქონდა, უფრო მახვილით მიწიერი ძალაუფლების დაპყრობის ჟინი აწუხებდა, ვიდრე კვერთხით — ციური სასუფეველისა. ბორჯიებისაგან განსხვავებით ერიდებოდა შხამსა და ხანჯალს, მკაცრი იყო საკუთარი თავის და სხვათა მიმართაც, ხოლო მისი გონების ფართო ხასიათსა და ჭკუას თვით მიქელანჯელო აფასებდა და ანგარიშს უწევდა. თავისი მბრძანებლობის ათი წლის განმავლობაში მან ბევრი რამ გააკეთა რომის ტახტის ძლიერებისა და რომის დამშვენებისათვის.

იულიუს მეორეს თავისებურად ტოლი არა ჰყოლია თავის წინამორბედ 222 კანონიერ პაპს შორის.

იულიუს II სავონის მახლობლად დაიბადა მეთევზის ქოხში. მამამისი რაფაელ როვერე ძმად მოხვდებოდა საშინელ პაპს სიქსტ IV, რომელიც ზემოთ გავიცანით. თავის დროზე, ტახტზე რომ ალექსანდრე ბორჯია ავიდა, როვერე გაერიდა, საფრანგეთში იყო, ბორჯიას დამხობას ცდილობდა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ რომის საქმეებს დაუბრუნდა. მისი წამოყენებული იყო მოხუცი პიუს III, რომელსაც სიცოცხლე მოუსწრაფეს. ამასობაში თვითონ გაიკაფა ტახტის გზა და ტიარაც მიიღო.

ტახტზე რომ ავიდა, სამოც წელს გადაცილებული იყო, მაგრამ ჯანმაგარმა მოხუცმა თამამად დაიხურა მფუზარადი, ჩაიცვა აბჯარი და ჯარს პირადად ჩაუდგა სათავეში. რამდენიმე იოლი გამარჯვება მოიპოვა, პერუჯა და ბოლონია აიღო, ტრიუმფით შევიდა ამ ქალაქებში, ცეცხლსა და მახვილს მისცა ორივე და სამუდამო წყევლაკრულვა დაიმსახურა, ისე რომ მოგვიანებით ბოლონიელებმა ნაცარს შეურიეს მისი ბუმბერაზი ქანდაკება, მიქელანჯელოს ნახელავი. ვერაგი პაპი სისხლში განიბანა. ასეთი ბრწყინვალე მეთოდით

დაიწყო დიდი კარიერის მწვერვალზე მოღვაწეობა იმ რელიგიის წარმომადგენელმა, რომელიც მშვიდობის საქადაგებლად იყო მოწოდებული.

„მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ, მოგვითხრობს ლუდოვიკო XII ისტორიკოსი, წმინდა მამამ, აბჯარს რომ აჟღარუნებდა და თავი, თუ მეტი არა, თემურლენგი მაინც ეგონა, ახლა ევროპის სხვა-მბრძანებლებზე თავდასხმა განიზრახა. სამოცდაათი წლის ბაქიამ, რომელსაც სამხედრო ლაშქრობა ისევე უხდებოდა, როგორც ბერს ცეკვა, ფრანგებს გამოუცხადა ომი“.

მეფის ისტორიკოსი მახვილგონიერულად ხდის ნიღაბს იულიუსის სარდლობის მითს.

გონებასუსტ ლუდოვიკო XII წინააღმდეგ ომში იულიუსმა საეკლესიო ტრადიციები დაიცვა, მოურიდებლად მიმართა მუხანათობას. ემისრები გაგზავნა თავის მშობლიურ მხარეში, გენუაში, ამბოხებისაკენ მოუწოდა ხალხს და პაპის სახელით დახმარებას დაჰპირდა. გენუელებმა დაუჯერეს, იარაღით ხელში ეკვეთნენ ფრანგებს და ოფიცრები განდევნეს. მაგრამ ლუდოვიკო XII იოლად ჩააქრო აჯანყება. მაშინ იულიუს მეორემ გატეხა სიტყვა და არა თუ არ დაეხმარა გენუელებს, არამედ მთელი თავისი შმაგი თავგამოდებით დაეხმარა ფრანგთა მეფეს გენუელებთან ანგარიშის გასწორებაში.

მღვდელმთავრები ხომ ასე ასრულებენ სიტყვას, თუ სარგებლობას არ ელიან!

ჩვენ აღარ შევჩერდებით მეომარი პაპის ინტრიგებზე, ვენეციის რესპუბლიკა რომ აიძულა გადაეცა მოციქულის ტახტისათვის ის ქალაქები, რომელთაც ათთა საბჭო ბრ უთმობდა. ჯერ იმპერატორი მაქსიმილიანე წაჰკიდა მეფე ლუდოვიკო მეთორმეტეს, იტალიის დაპყრობა აქვსო განზრახული, შემდეგ კი თვითონვე გამოვიდა შუამავლის როლში. მისი ხრიკების წყალობით მოაწერეს ხელი ლიგის შექმნის ხელშეკრულებას ვენეციის რესპუბლიკის წინააღმდეგ, ამასთან გადაიბირა სამთავროები, რომელთა შემწეობითაც უნდა დაეჩოქებინა და გაესრისა ვენეცია.

ღვარძლიანი და შურისმგებელი პაპის მუხანათობის წყალობით ვენეცია ალყაშემორტყმული აღმოჩნდა სამი მხრიდან — საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთისა და პაპის ჯარებით, რომელთა წინა რიგებშიც, როგორც ყოველთვის, ტიაროსანი „იულიუს კეისარი“ თავის შეჯავშნულ მერანს დააგელვებდა.

თავისი ზრახვები რომ აისრულა — ვენეციას თავისი სამფლობელოების უმნიშვნელო ნაწილი-ღა დაუტოვა — იულიუსმა უეცრად შეცვალა თავისი პოლიტიკა, მოკავშირეებს ბრალი დასდო. ვენეცია რატომ შემიწუხეთო, დაირღვია კავშირი, რითაც ლიგას შეეკრა, და ლუდოვიკოს უბრძანა, საფრანგეთში დაბრუნდიო. სულელმა მონარქმა სასწრაფოდ შეასრულა პაპის ბრძანება.

სიკვდილის დღემდე განუწყვეტელ ომებს აწარმოებდა იულიუს II. ფერდინანდ კათოლიკეს დაუკავშირდა, დიდხანს ებრძოდა ლუდოვიკო მეთორმეტეს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს უარი განაცხადა რომის პაპის მორჩილი თოჯინის როლზე. ბოლოს, როცა ფრანგები იტალიიდან გახდევნეს, პაპმა ომი გამოუცხადა ესპანეთს, სააბისოდ ფეხზე დააყენა ახალი მოკავშირე — შვეიცარია, რომელმაც ოცდაათიათასიანი არმია შეაკოწიწა. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. მაგრამ საბედნიეროდ მტარვალი იულიუს II უეცრად გარდაიცვალა. პატივმოყვარე ბერიკაცმა ამაოდ იწვალა. ოხრად დარჩა ყველაფერი, როგორც ბორჯიას. მხოლოდ ხელოვნების ტიტანებმა აუგეს უჭკნობი ძეგლი.

„პატიოსანი" პაპი სამარეში ჩააწვინა ცუდმა სენმა, ვენერას წყალობამ, რაც უკვე რამდენიმე წელიწადი სახსრებს უშლიდა. მისი სხეული ათეული წლების მანძილზე იყო დაფარული საშინელი პირღია წყლულებით, რაც ხელს არ უშლიდა ჰყოლოდა საყვარლები და საყვარელი მამაკაცები. დამლუპველი იყო პაპის სიახლოვე.

მაგრამ პაპის საყვარლის ჰატივი ძვირად უღირდათ და ასეთი ბედნიერება მრავალს დაუჯდა სიცოცხლის ფასად. მაგალითად, პაპის კარდინალს იმედი ჰქონდა, რომ მთავარი ფავორიტი გახდებოდა; ერთ მშვენიერ დღეს საჯაროდ დასდო ბრალი ურბინოს ჰერცოგმა, მისი უწმინდესობის ძმისწულმა, განზრახული გაქვს ბოლონია ფრანგებს მიჰყიდოო. „ტყუილია, — მიუგო პავიის კარდინალმა, — ცილისმწამებელს სურს პაპის წყალობა მომაკლოს".

პავიის კარდინალს მართლაც მთავარი ფავორიტის ადგილი ეჭირა პაპის ჰარამხანაში, სადაც ქალი და კაცი ერთნაირად ირეოდა, ეს ძალიანაც იწონებდა ამით თავს. ურბინოს ჰერცოგი მისი გულისხმიერების გამეღვიძებამ გაამწარა და დაიფიცა, პავიის კარდინალს სამაგიეროს გადავუხდიო. მეორე დღეს, ცხენზე ამხედრებული კარდინალი რომ ნახა, დაშნით თავი გაუპო. ასე ჩამოიცილა მეტოქე და

თვითონ განიზრახა მისი ადგილის დაკავება პაპის გულში და... სარეცელში. ანგარიში არ გამართლდა. დარდით გადალეული მღვდელ-თავარი მდუღარე ცრემლს არფქვევდა და ვერანაირად ვერ შერიგებოდა საყვარელი მენახევრის დაკარგვას. ურბინოს ჰერცოგს მცირე ხნით მიმალვა მოუხდა.

ჩვენ შეგვეძლო იულიუს მეორის ბოროტმოქმედების ურიცხვი ბაგალითის დასახელება. იმ დროის მრავალი პოეტი — სატირიკოსი, მწერალი და ისტორიკოსი გაბედულად ამხელს ამ ურჯულის საქმიანობას, სამარცხვინო ბოძზე აკრავენ მას თავიანთ ნაწარმოებებში. ყველა ერთხმად ამტკიცებს, რომ მან საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა უწყალო სისასტიკითა და ზეადამიანური აღვირახსნილობით.

ყველა ქრისტიანი მამა თავის სულიერ შვილებს ნამდვილი ჯალათივით ექცეოდა, თითქოს თავისი საზარელი წყლულების მიზეზი ისინი ყოფილიყვნენ: რომელიმე ქალაქს რომ აიღებდა, უდიდესი მხეცური სიამოვნებით ანადგურებდა არა მარტო მის დამცველებს, არამედ ორივე სქესის მთელს მოსახლეობასაც, რომელიც დაცვაში მონაწილეობას არ იღებდა. ხანძრის, ძალადობის, ცემისა და რბევის ხილვა მას ამოუხსნელ ნეტარებას ჰგვრიდა. ასე რომ, თუ ალექსანდრე მეექვსეს ურჩხულის თავად წარმოვიდგენთ, ამ უწმინდურის ბოლო იულიუსი იყო. ასე შეერთდა პაპის ტახტზე ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრის გენია, და იქცა ტიაროსან გველეშაპად.

იულიუს II და ლუდოვიკო XII ომის დროს რომაელებმა გაბედეს და თავისუფლების მოპოვება სცადეს; თავიანთი მტანჯველი სამღვდელოების განდევნა დაიწყეს. ეს რომ იულიუსმა გაიგო, მეამბოხეთა დასათრგუნავად გამოეშურა უზარმაზარი რაზმით, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ესპანელები და საკუთრივ პაპის ტლანქი ჯალათები. დაახლოებით თხუთმეტი ათასი მოქალაქე გაჟლიტა, რითაც ალბათ თვით უზადო მკვლელს — ალექსანდრე ბორჯიას გადააჭარბა, და ალბათ კიდევ მეტს გაწყვეტდა, რომ ნაღარას ისევ ბრძოლის ველზე არ ეხმო.

როგორც ცნობილია, ლუდოვიკოსთან ომი ფრანგების დამარცხებით დამთავრდა. მეფის არმია იძულებული გახდა კაპიტულაცია მოეხდინა. მაგრამ კაპიტულაციისა და ხელშეკრულების მიუხედა-

ვად, პაპის ბრძანებით ფრანგ ჯარისკაცთა უმრავლესობა მახვილით განგმირეს ან ჩამოახრჩვეს.

იულიუსის, ამ ცოცხლად დამპალ-დაჩირქებული ბებრის პატივმოყვარეობას საზღვარი არა ჰქონდა. ყველაზე უფრო საგრძნობი მარცხის დროსაც კი თავის დიდებაზე ფიქრობდა. მიქელანჯელოს დაავალა თავისი დიდი ძეგლის აღმართვა ბოლონიაში და თავისივე სამარხის დამშვენება. ეს იყო გრანდიოზული ხელშეკრულება, რამაც ლამის მთელი სიცოცხლე შეიწირა ისეთი ტიტანისა, როგორიც იყო მიქელანჯელო. მარტო მოსე კმარა, და მეტიცაა ამ ბოროტი მღვდელმთავრის საფლავის ძეგლად.

იულიუსის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა სატირა, რაშიაც მოყვანილი იყო პაპის საუბარი პეტრე მოციქულთან. ციური კლიტისშემნახავი, ვიდრე იულიუსს სამოთხეში შეუშვებს, მის დანაშაულობებს ჩამოთვლის. სია მეტისმეტად გრძელი გამოდგა. წმინდა პეტრე იულიუსს ბრალად სდებდა სისხლის აღრევას, უზნეო კავშირს დასთან და ასულთან, უკანონო შვილებთან სოდომიას, ძმისწულებთან და კარდინალებთან უზნეო და უკაცური კავშირის დაჭერას. უწოდებდა ფიცის გამტეხს, მოღალატეს, ლოთს, ქურდს, მკვლელს, მომწამვლელს და ბოლოს უცხადებდა, სამოთხის კარები დაგმანულია მისთვის, ვინც ნეაპოლიტანური სენით არისო დაავადებული — ასე ეძახდნენ მაშინ უკურნებელ ვენერიულ სენს.

განგების ნებით
მოვლენილი სენი

● იულიუს II ჩაძაღლებას რომის ხალხი არანაკლები სიხარულით შეხვდა, ვიდრე ალექსანდრე მეექვსის სიკვდილს. მეტისმეტად დიდხანს იტანჯებოდა რომი ამ ორი ურჯულის ხელში—ოც წელზე მეტ ხანს — და ახლა ერთხელ კიდევ სცადეს საეკლესიო უღლის გადაგდება.

ვიდრე ბოროტების სათავე — კარდინალების კრება შეიყრებოდა, რომში აჯანყების დროშა აფრიალდა. მეამბოხეებმა თავიანთი რისხვა წარმართეს ეკლესიების, მონასტრების წინააღმდეგ, ძარცვავდნენ, იკლებდნენ და არც მღვდელს ინდობდნენ, არც ბერს. მაგრამ ვინ გაიცხავს ხალხს, რომელიც თავის ტირანებს აღუდგა?

სამწუხაროდ, მოქალაქეებმა ხელმძღვანელობა არისტოკრატებს გადასცეს. მთავრებმა და დიდკაცებმა დაუყოვნებლივ ისარგებლეს აჯანყებით და ძალაუფლება ხელთ იგდეს. აქ ორი პარტია შეეცილა ერთიმეორეს პირველობას — ურბინოს ჰერცოგისა და კოლონას სახით. სისხლი ღვარად წავიდა. გვამები ზვინებად ეყარა ქუჩებში. მრავალი შესანიშნავი სასახლე ჩამოიქცა და ჩაიფერფლა. მაგრამ მალე აღფრთოვანება შეშფოთებით შეიცვალა: მეამბოხეებმა შეიგნეს, რომ მხოლოდ ბრმა იარაღად გამოიყენეს პატივმოყვარე სენიორებმა, რომლებიც გამანადგურებელ ომს ეწევიან თავიანთი ანგარებისათვის. ამაოდ ცდილობდნენ სენიორები მათი გულების ანთებას — ხალხი ყრუ იყო, არ ესმოდა არავის მათი მოწოდება, რადგან იცოდნენ: შტერი უნდა იყო, რომ წარჩინებულთა და სასულიეროთა დაპირება გჯეროდეს.

როცა სიმშვიდე აღადგინეს, კარდინალები თავიანთი სიმაგრეებიდან გამოვიდნენ და კონკლავი მოიწვიეს.

ყველაზე უფრო ენერგიული ამჯერად აღმოჩნდა კარდინალი ჯიოვანი მედიჩი, ლორენცო ბრწყინვალის შვილი. თუმცა არჩევის შანსი დანარჩენებზე ნაკლები ჰქონდა, მაგრამ ყოვლად სულელურმა შემთხვევამ, რაც ალბათ მორწმუნეებმა განგების ნიშნად ჩათვალეს, შეცვალა კოლეგიის აზრი და მისცა ამ დამთხვეულს საშუალება, რომ ხმების უმრავლესობა მიეღო.

აი, რას მოგვითხრობს ისტორიკოსი ვარილასი მომხდარ ამბავზე:

„სამი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც კარდინალი მედიჩი თავის სასახლეში დამკვიდრდა, ფლორენციაში, როცა იულიუს მეორის უეცარი სიკვდილის ამბავი მოვიდა. კარდინალმა მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტიარისათვის ებრძოლა და რომს მიაშურა. იმ ხანებში ძალიან აწუხებდა საშინელი სენი, რაც პაპმა გადასდო, როცა მის სარეცელს იზიარებდა, როგორც ფავორიტი. წყლულები უშლიდნენ სიარულს, ცხენზე ჯდომას, ამიტომ თავისი გუშინდელი „საყვარლის“ — პაპის სნეულების მემკვიდრეს, რომელიც ახლა ვარაუდობდა მისი ტახტის მემკვიდრეც გამხდარიყო, საკაცით მოუხდა მოგზაურობა. ეს საკაცე თუ ტახტრევანდი ორ ჯორს მიჰქონდა. ჯორები წყნარად მიდიოდნენ. ამრიგად, მედიჩი მოხვდა წმინდა ქალაქში იმ დროს, როცა იულიუსი უკვე მიწას მიაბარეს და

კონკლავი არჩევნებს შეუდგა. ჯიოვანი მედიჩიმ ვატიკანის გაღება ბრძანა და სხვა კარდინალების გვერდით დაიჭირა ადგილი.

წმინდა კოლეგიის წევრები, ახალგაზრდები თუ მოხუცები, თავგამოდებით იცავდნენ თავთავიანთ კანდიდატებს. ყველამ იცოდა, რომ ბრძოლა იქნებოდა ფიცხელი და არჩევნები დიდხანს გასტანდა. უეცარმა ინციდენტმა შეცვალა აზრთა განწყობილება და ყველაფერი უცებ მოათავა.

სასტიკი ტანჯვის მიუხედავად, რასაც სნეულებით გაწამებული მედიჩი განიცდიდა, ფრიად შფოთიანი სცენები გამართა, დაუღალავად იბრძოდა თავისი კანდიდატურისათვის, ხმების უმრავლესობისათვის. მკვეთრი მოძრაობის დროს წყლულები დაუსკდა და წარმოუდგენელმა სუნმა იქაურობა ისე ააყროლა, კონკლავზე გაჩერება შეუძლებელი გახდა.

მოხუცებულ კარდინალებს შეეშინდათ, რომ ავი სუნი მათს ჯანმრთელობაზე ცუდად იმოქმედებდა და რჩევისათვის ექიმებს მიმართეს. ექიმებმა უპასუხეს, ამ სუნის წყარო — კარდინალი მედიჩი — თვეზე შეტ ხანს ვერ იცოცხლებს, მისი აღსასრული ახლოა, ასე რომ როგორმე გაუძელითო.

ექიმების განაჩენმა მთელი კონკლავი შეაძრწუნა. განხეთქილება მაშინვე შეწყდა, და კარდინალებმა ერთხმად დაახურეს ტიარა ოცდაჩვიდმეტი წლის ჯიოვანი მედიჩის, გამოაცხადეს ის მღვდელმთავრად ლევ X სახელწოდებით.

გავიდა ცოტა ხანი. და პრელატებმა, რომელთაც ეგონათ, რომ ტახტზე მომაკვდავი კაცი დასვეს, თავიანთი თვალით ნახეს, რომ ექიმებიც იმდენადვე უცოდველნი ყოფილან, რამდენადაც პაპები. ავადმყოფის მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდებოდა, და წმინდა მამა, რომელიც მომავლის იმედებით ტკბებოდა, მხოლოდ შეჰხაროდა თავის სნეულებას, რომლის წყალობითაც წმინდა ტახტზე ავიდა. გაწბილებული კარდინალები გამოჯანსაღებულ პაპს მუხანათობას სწამებდნენ, მაგრამ თანდათან დაშოშმინდნენ, რადგან შესანიშნავად იცოდნენ, რომ მღვდელმთავრის სიცოცხლე ბევრ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, და ასეთ შემთხვევებს ხშირად ჰქონიათ ადგილი მოციქულის ტახტის ისტორიაში. მართალია, ამჯერად „ბედნიერი შემთხვევა“ მხოლოდ რვა წლის შემდეგ იყო მოსალოდნელი.

ლევ X
ძირჩახვრეტილ სავარძელში

● როგორც კი მოიკეთა და ჯანზე მოვიდა, ლევ X ზეიმით აღნიშნა თავისი არჩევა.

11 აპრილს წმინდა მამა დიდის ამბით გაემართა ლატერანის ტაძრისაკენ. ლალით და თვალ-მარგალიტით მოჭედილი სამღვდელმთავრო სამოსელი ეცვა, პატიოსანი თვლებით მოოქვილი ტიარა ეხურა, თვალს ვერ გაუსწორებდით.

მრავალრიცხოვანი დიდებული ამალა ახლდა. თანამედროვე ისტორიკოსთა აზრით, თვითონ სახელგანთქმული იმპერატორების კორონაცია არ მომხდარა ასეთი პატივითა და დიდებით. ამას თავისი შთამაგონებელი მნიშვნელობა ჰქონდა, და მედიჩიმ იცოდა ეს. მეთევზის შვილი როდი გახლდათ.

რომის სამღვდელოება, დიდკაცობა, მაგისტრები, ყველა ორდენის ბერთა წარმომადგენლობა, აბჯარასხმული ჯარები მთელი თავიანთი ბრწყინვალებით, — ოფიციალური კორტეჟი,—გარემოცული იყო სანახაობას დახარბებული უზარმაზარი ბრბოებით.

მთელს გზაზე გამოფენილი ახალგაზრდა გოგო-ბიჭები ამალას ყვავილებსა და დაფნას აყრიდნენ.

ლევ მეათეს ახლა წყლულები აღარ აწუხებდა, წმინდა სისხლის არაბულ მერანზე იჯდა, მარტო ძვირფასი თვლებით მოოქვილი ასალი ერთ რამედ ღირდა. პაპის გარშემო ირეოდნენ კარდინალები და უახლოესი ნათესავები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა კომანდორი მედიჩი, აბჯარასხმული და ოქროსმუზარადიანი დიდებული.

ამალას ბაზილიკამდე ვერ მიეღწია, როცა ცნობა მოვიდა, რომ ფლორენციის არქიეპისკოპოსი მიიცვალა. პაპმა დეპეშა წაიკითხა და კმაყოფილი სახით მიუბრუნდა კომანდორს.

„ძვირფასო ბიძაშვილო, მოხარული ვარ შეგატყობინოთ: — თქვა განზრახ ხმის აწევით, რომ ყველას გაეგონა, — ხვალ თქვენ დატოვებთ კომანდორის პოსტს და დაიკავებთ იმ პრელატის ადგილს, რომელიც ეს არის გარდაიცვალა“.

განცვიფრების წამოძახილები გაისმა პაპის ამალაში. ასე იწყებდა ახალგაზრდობაშივე მიხრწნილი მედიჩი მბრძანებლობას.

ხეპრე სალდაფონს, რომელსაც საჩუქრად უნდა მიეღო არქიეპისკოპოსის ხარისხი (და მიიღო კიდეც რამდენიმე დღის შემდეგ), არასოდეს არ ჩაერგო ცხვირი კურთხევანში. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ძარცვა-რბევას, ძალადობასა და მკვლელობას ეწეოდა, როგორც ხელობას. რა თქმა უნდა, ამან დიდი გამოცდილება დაუგროვა, რასაც ახლა ახალ ასპარეზზე გამოიყენებდა.

პაპის კურთხევა დადგენილი ცერემონიალის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ როცა ხალხის თვალწინ საჯარო შემოწმების წუთი დადგა („კორამ პოპულო"), გაუთვალისწინებელი ინციდენტი მოხდა. ეს წესი — პაპის მამაკაცობის შეძოწმება — მას შემდეგ შემოიღეს, რაც მოციქულის ტახტზე დედაკაცი აღმოჩნდა, იოანას სახით.

ნახევრად შიშველი მისი უწმინდესობა ძირგასვრეტილ სავარძელში იჯდა და ზურგი ხალხისათვის მიექცია. ახალგაზრდა მღვდელმსახური, რომელსაც პაპის კაცობის შემოწმება დაავალეს, დინჯი საზეიმო ნაბიჯით გაემართა პაპისაკენ. ამ გამოუცდელმა ყმაწვილმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა სასტიკად უსწორდება ვენერა მის გაუფრთხილებელ მსახურებს. მასზე დაკისრებული მისიის სიდიადით გაამაყებულმა ახალგაზრდა მოძღვარმა ხელები გულზე დაიწყო, თავი ჩაჰკიდა და ასე მოწიწებით მიუახლოვდა წმინდა გვამს. შემდეგ თავი წამოსწია, მზერა მის უწმინდესობას მიაპყრო და ადგილზე გაშეშდა, როგორც მოსე, რომელსაც თვალწინ ღმერთი დაუდგა, მაგრამ წმინდა შიშსა და მოწიწებას კი არ გაუშეშებია ჭაბუკი. შემაძრწუნებელი შიშის წამოძახილი აღმოჰხდა, გაბრუნდა და რამდენადაც ამის საშუალებას ანაფორა აძლევდა, სწრაფად გაიქცა დარბაზის მეორე ნაპირისაკენ, თან თავზარდაცემული გაიძახოდა: „არა, არ შემიძლია, არ შემიძლია!"

ამასობაში სავარძელში ღრმად ჩამჯდარი ლევ X მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ბრბო აირია. არავინ ამბობდა: „მადლობა უფალს, კაცი ყოფილაო!" სულელური კომედია გრძელდებოდა. ბოლოს ლევმა ვეღარ მოითმინა, ლომივით წამოიჭრა. ინციდენტი მიჩქმალეს. პაპს წმინდა სამოსელი მეორე დია-

კონმა მოასხა, კარდინალმა თავზე ტიარა დაახურა და წმინდა მამა ვატიკანში გაბრუნდა, გზად ხალხს ლოცავდა. სასახლეში დიდებული ნადიმი ელოდა, გაშლილი სუფრა, რაც ასი ათას ოქროს ეკიუზე მეტი დაუჯდა. ამ ლუკულის ქეიფში მონაწილეობდნენ რომაელი ქალები, რომლებიც განთქმული იყვნენ სილამაზით და არც თუ ისეთი მკაცრი ზნეობით.

მეორე დღეს პაპს გაახსენდა თავისი დამამცირებელი მდგომარეობა იმ სავარძელში და თავისი მემკვიდრის საბედნიეროდ გააუქმა გამოცდის ეს სამარცხვინო დეკრეტი. სიმართლე რომ ითქვას, ეს ცერემონია უსარგებლოც იყო: თითქმის ყველამ, ვინც მოციქულის ტახტზე ავიდა, წინასწარ ქვეყნიერებას დაუმტკიცა თავისი მამაკაცობა ისეთი საბუთებით, რომელთა უარყოფა არავის შეუძლია.

დიდი ფარისეველი

● ტახტზე ლევ X ასვლით რომის კურიაში არსებითი ცვლილებები მოხდა. იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ლევი თავის წინამორბედებზე ნაკლებ გარყვნილი იყო. არა, მაგრამ მისი გარყვნილება უფრო დახვეწილ ხასიათს ატარებდა და უფრო ესთეტიკური საფარველი ემოსა, გარეგნულად მაინც. მისი მმართველობა ფუფუნებითა და ბრწყინვალებით აღინიშნა, მას თან ახლდა მთელი ის თავაშვებული სიგიჟე, რასაც კი შექცევის წყურვილი ჩააგონებს მბრძანებელს, რომლის ერთადერთი ფიქრი და ზრუნვა ხორციელი დატკბობაა. ამ პაპმა გარს შემოიკრიბა ულამაზესი ქალები, უნიჭიერესი არტისტები, მხატვრები, მეცნიერები, რითაც აღემატება წინამორბედებს. რაც შეეხება რელიგიას, ამ საგანზე თვითონ აშკარად ხუმრობდა ხოლმე, საჯაროდ აცხადებდა, რომ რელიგია — ესაა ინსტიტუტი, გათვალისწინებული იმისათვის, რომ ხალხი ალაგმოს, მდიდრები და ძალაუფლების მპყრობელნი კი არასოდეს არაფერში არ უნდა შეზღუდოსო.

ლევ X არ იყო მოკლებული იუმორის გრძნობას, უყვარდა დაცინვა და აშკარად, შთაგონებით ამასხრებდა იმ გულუბრყვილო მორწმუნეებს, რომელნიც ღვთისმსახურების რიტუალებს მოწიწებით შესცქეროდნენ.

ლუთერი თავის თხზულებებში ამტკიცებს, რომ ლევ X უარყოფდა სულის უკვდავებას, და ერთხელ, როგორღაც ორი გამოცდილი მღვდელმთავრის კამათს რომ მოუსმინა ქრისტიანობის ამ ძირითადი საკითხის გარშემო, ასეთი შენიშვნა მისცა: „ძოსაზრებანი, რომლებიც დადებითი პასუხისათვის მოგყავთ, ღრმად გააზრებული მეჩვენება, მაგრამ მე პირადად უარყოფითი პასუხი მირჩევნია, რადგან ის აღგვიძრავს სურვილს მეტი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს სულს და უფრო მეტად დავაფასოთ დღევანდელი დღე“. ამ შეხვედრაში პაპის ფილოსოფია სიბრძნეს მოკლებული როდია! მაგრამ ამ სიტყვების პატრონი რომ საქრისტიანოს განაგებს და მინიჭებულ პატივს ფარისეელურად იყენებს, ეს კი საზიზღრობაა.

იმავე დროს ლევ X პირფერი იყო, როგორც ყოველი ძღვდელი, ჩინებულად იცოდა, რა სარგებლობა მოაქვს ცრუ აბდაუბდას, საეკლესიო დოგმების მიღმა რომ დგას, ამიტომ მანვე გამოსცა დეკრეტი, რომელიც უნივერსიტეტებში მოკალათებულ ყველა ფილოსოფოსს ავალებდა, „ეწარმოებინათ ბრძოლა მეცნიერებთან, რომელთაც საეკლესიო მოძღვრებიდან გადაუხვევიათ და ამტკიცებენ, სული ისევე მოკვდავია, როგორც სხეული, ხოლო სამყარო მარადიულიაო“.

ამ პაპის დროს მაინც უჩვეულო აყვავებას მიაღწია მეცნიერებამ, ხელოვნებამ, ლიტერატურამ. რაფაელი, მიქელანჯელო, კორეჯო, არიოსტო, და სხვები ამ ეპოქის დიდება და მშვენება არიან. ცხადია, ყველა ამ გიგანტმა თავი უკვე ისახელა ლევ მეათის ტახტზე ასვლამდე, ხოლო ამ „ათეისტ“ პაპს ბედმა გაუღიმა, რომ ამ დიდი ადამიანების თანამედროვე იყო, მაგრამ მისი ღვაწლი ისაა, რომ მოხერხებულად გამოიყენა მათი მრავალმხრივი ნიჭი, თუნდაც თავისი თავის განსადიდებლად — ესაა მისი ერთადერთი დამსახურება.

იმასაც მრავალი ფაქტი ადასტურებს, რომ ლევ X ბეცი და გონებაშეზღუდული კაცი იყო (მით უფრო გვიკვირს მისგან, რომ სიქსტ IV მსგავსად პალოზე არ სვამდა მეცნიერებს!). ავიღოთ თუნდაც მისი დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ.

დეკრეტი მიუთითებდა რელიგიისათვის მეტად მძიმე მდგომარეობაზე, რაც მოჰყვა წიგნის ბეჭდვის და განათლების წყურვილს, უეცრად რომ დაიპყრო კაცთა გონება (ვერ ვიტყვით, რომ ეკლე-

სიის თვალსაზრისით ეს დეკრეტი ლევ მეათის სიბეცის საბუთად გამოდგება! სინათლე მუდამ ფანტავს ბნელს).

შემდეგ, პაპი ზღუდავდა მწერალთა უფლებებს შემდეგი პირობებით: გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებულ ყველა შრომას ჯერ უნდა გაევლო ცენზურის ხელში. ვერც ერთი წიგნი ვერ დაიბეჭდებოდა პაპის ვიკარიუსის ნებართვისა და დასტურის გარეშე. ცენზორს ეძახდა „წმინდა სასახლის პატრონს“. მედიჩი თავის საქმეს აკეთებდა.

ამრიგად, ადამიანის აზროვნების ნაყოფი — ფილოსოფია, ლიტერატურული ნაწარმოები — გადაეცა უმეცართა სამსჯავროს, წმინდა წერილის გარდა რომ არასოდეს არავითარი წიგნი არ გადაუშლიათ. ამ ვაჟბატონთა უმეცრებას და სიდუხჭირეს მხოლოდ წყვდიადს თუ შევადარებთ, სხვას ვერაფერს, და სწორედ მათ მიეცათ უფლება აეკრძალათ ან დაეწყევლათ ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც ეწინააღმდეგებოდა იმ ყოველად სულელურ არაკებს, რომლებზედაც რელიგია არის აგებული. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაჭირდებოდა ასეთ პირობებში აზრის მნათობთა წიგნების გამოცემა!

ურჩ მწერალსა და მხატვარს შეჩვენება ელოდა. „შეჩვენება? დიდი ამბავი! — გვეტყვის მკითხველი. — ამ სისულელის ვის ეშიხია!“ მაგრამ ზიზღით რომ იღიმებით, ბოლომდე მოისმინეთ. „დამნაშავენი, — იუწყება დეკრეტი, — განკვეთილნი იქნებიან, ვითარცა ერეტიკოსები“. ჩვენ კი ვიცით, რომ ეკლესიიდან განკვეთილ ერეტიკოსს კოცონზე დაწვა ელოდა.

აი, როგორ მფარველობდა ლევ X მეცნიერებას და ხელოვნებას! განა ღვარძლი ოდესმე პურის თავთავს გაიკეთებს?

პაპი, რომელსაც მხატვრების მფარველობისათვის ადიდებდნენ, ამას გარდა უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა გართობაზე. ქალი ყველაზე მეტად უღირდა: ჩვეულებრივი საჩუქრების გარდა, არც დიდებულ დღესასწაულებს აკლებდა, ყველაფერი ეს კი დიდ ხარჯებს ითხოვდა: ვატიკანის სასახლეში ჰყავდა შემოკრებილი ქვეყნის ხუმარა, კომედიანტი, მოცეკვავე, მემუსიკე, სიკეთით ავსებდა ყველას. პაპის გასართობად, ყოველნაირი სპექტაკლების გარდა, ცხენთა ჯირითი და კამეჩების ჭიდაობაც იმართებოდა. გატაცებული მონადირე იყო, ნადირობას მთელი სინატიფითა და ფუფუნებით აწყობდა, როგორიც კი ეკლესიის მეთაურს შეეფერებოდა. თუ ნადირობით კმა-

ყოფილი იყო და მასაც რაიმე შემოაკვდებოდა, უშურველად ასაჩუქრებდა მარჯვნივ და მარცხნივ ყველას, ვინც ამ დროს მის ახლობლად აღმოჩნდებოდა. მარცხის შემთხვევაში, თავისუფლებას კი არა, სიცოცხლესაც სასწორზე დებდა ის უბედური, რომელიც ცხელ გულზე ხელში მოჰყვებოდა ამ ავხორც ნადირს. ასეთი მხიარული დროსტარება დამღუპველ ზეგავლენას ახდენდა ეკლესიის ცხოვრებაზე, რაც ისედაც მოშლილი იყო. ლატერანის საეკლესიო კრება რომ მოიწვიეს, ხაზინაში თაგვები დანავარდობდნენ. წიგნის ბეჭდვას რომ მრისხანე ბულით დაატყდა თავს, ლევმა იმავე ყრილობაზე გამოაქვეყნა მევახშეთა სასარგებლო ბულა. ცხადია, ამ ხელობის მფარველობა პაპს პირადმა ანგარებამ უკარნახა. იმ ეპოქაში ეკლესია თვითონ იყო პირველი მევახშე, და ამ ბულამ მას გაუადვილა ფინანსიური ოპერაციების წარმოება. მევახშეთა სასარგებლო პროცენტები რომ გაზარდა, პაპმა მოითხოვა ამ პროცენტების ნახევრის შეტანა მოციქულის სალაროში. ეს იყო ძარცვის ახალი ხერხი.

ლევ X თავის ქვეშევრდომთა სიღარიბისა და გაჭირვების სპეკულაციას ახდენდა. თავისი ბულით მღვდელმთავარი ღარიბებს აიძულებდა დაეფარათ მისი დაუსრულებელი ნადიმების ხარჯები, ე. ი. მიემართა მევახშეებისათვის.

ტრაგედია
ვოდევილის შემდეგ

● ლატერანის კრების უკანასკნელ სხდომაზე ლევ X მოითხოვა, რომ კარდინალებს ხმა მიეცათ საგანგებო მეათედისათვის, რაც ვითომ თურქებთან ომისათვის იყო გათვალისწინებული. პირდაპირ ძნელი წარმოსადგენია, რანაირად უნდა მოჰყოლოდა ასეთი წარმატება ძველ, გაცვეთილ, ყბადაღებულ ღონისძიებას: უკვე რამდენჯერ შეიტანა ხალხმა შესაწირავი ფანტასტიკური ლაშქრობისათვის, რაც არ მოწყობილა, და ბედშავ დაბრმავებულ მორწმუნეებს არც კი აძლევდნენ ანგარიშს, თუ რისთვის დაიხარჯა ეს თანხები. ხარკის ამკრეფნი რომ დაგზავნა, ლევ მეათემ სწორად ივარაუდა, რომ ქრისტიანთა სისულელესა და იოლად დამჯერობას საზღვარი არა აქვს. ეს სულელი ძროხა სულ შეგიძლია წველო, პასუხს ვინ მოგთხოვს?

ეს მოხდა იმ დროს, როცა ფრანციისკ I სასტიკად დააძარცხა შვეიცარიელები, წმინდა ტახტის მოკავშირეები, ბოლონიაში ჩამოვიდა და პაპს ზავის პირობები უკარნახა. პატივმოყვარე ლევ X თავისი აგენტების მიერ მოგროვილ ფულს ბზესავით ფანტავდა, რომ ფრანგთა მეფე თავისი ფუფუნებით გაეკვირვებინა. ვის ხარჯზე?!

ნადიმს ნადიმი ცვლიდა. მეფის ამალაში მრავალი მომხიბლავი მანდილოსანი შედიოდა. ეს იყო, ასე ვთქვათ, მეფის სალაშქრო ჰარამხანა. ლევ X, ერთ დროს რომ თვითონ ასრულებდა ქალის როლს პაპის სარეცელში, ქალებსაც ხომ დიდად აფასებდა, და ოდესღაც რომ თავისი ვენერას წყლულებით ვატიკანი ააყროლა, ახლა დახვეწილი მანერებით ეარშიყებოდა მშვენიერ ფრანგ ქალებს; ფრანგთა მეფის ხასებიც უარს რისთვის ეტყოდნენ მდიდარ, თავაზიან, სტუმართმოყვარე, მფლანგველ მასპინძელს?

იმავე დროს, როგორც კეთილმა ქრისტიანმა დედებმა, მათაც კეთილსინდისიერად შეასრულეს თავიანთი ვალი რელიგიის წინაშე: უფლის მოადგილეს რომ ეკუთვნოდე სულით და ხორცით, განა ეს იგივე არ არის, რომ თვითონ უფალს ეკუთვნოდე?

უდარდელი მღვდელმთავარი თავის დახვეწილ სასიყვარულო თავგადასავალს არც ფარავდა. ფრანციისკ I იცოდა ყველაფერი, მაგრამ როდი სწყინდა. პირიქით, ასე გასინჯეთ, დავალებულადაც კი თვლიდა თავს, და საქრისტიანოს მბრძანებლისადმი მისი პატივისცემა უფრო გაიზარდა.

მაგრამ ლევსაც მობეზრდა თავისი იოლი გამარჯვებები. უფრო სწორად, მთელი მისი ვნება თუ სიყვარული ერთმა მანდილოსანმა მიისაკუთრა.

მარიან გოდენი, რომელმაც ქარაფშუტა მღვდელმთავრის გული მოინადირა, მართლაც ციური სილამაზით ყოფილა დაჯილდოებული. მის მომხიბლაობას ძნელად თუ ვინმე დაუდგებოდა წინ. წმინდა პეტრესაც კი შეაცდენდა, მის მოადგილეს კი არა. გოდენიც გამოსადეგი გახდა ამ საქმისათვის, შესანიშნავად გამოიყენა მღვდელმთავრის სიყვარული და ძვირადაც დაუსვა თავისი თავი წმინდა ხაზინას. ფრანციისკის თანხლებით საფრანგეთში, რომ დაბრუნდა, ამ დედაკაცმა მეტი ფული ჩაიტანა, ვიდრე ურჯულოთა მთელი ჯარი წაიღებდა. გამგზავრების წინ კი პაპმა მიართვა რაღაც ზღაპრული ღირებულების ბეჭედი, „მარია გოდენის ბრილიანტად“ წოდებული

სახსოვარი. აი, რა დახვეწილი მიჯნური იყო ლომად წოდებული ლოთი ჯიოვანი ბედიჩი!

როგორც ხედავთ, პაპი მთელს ევროპაში მოხვეჭილ ფულს ისე ეჭცეოდა, როგორც მისი წინაპრები, და კიდევ უფრო თავისუფლად (ზოგი წინამორბედი ხომ საყვარელ ქალებს იქით ართმევდა ფულს). ფრანცისკის წასვლის შემდეგ ლევს თითქმის აღარაფერი დარჩა იქიდან, რაც მისმა მორიგმა ავანტურამ მისცა. ასე ჩაიარა თურქთა შემმუსვრელმა ლაშქრობამ. ცარიელი ხაზინის დანახვას რომ გუნება არ წაეხდინა, ლევმა გადაწყვიტა თავისი კარდინალებისათვის წაეგლიჯა ფულიც, ქონებაც და სასახლეებიც. მაშ რისთვის ჰყავდა?

კარდინალებს სხვა რა გზა ჰქონდათ! ძალა აღმართსა ხნავს. ვერაფერს გააწყობ. მაგრამ უაღრეს შეურაცხყოფას რაღა ეშველებოდა! ვინც თვითონ სხვას ძარცვავს, განსაკუთრებით სწყინს, როცა თავად გაძარცული აღმოჩნდება ხოლმე.

სამმა შეურაცხყოფილმა: ალფონსო პეტრუჩიმ და მისმა ძმებმა, რომელთაც პაპმა სიენა წაართვა, პაპზე თავდასხმა მოაწყვეს, დანარჩენი კარდინალებიც ხალისით დადგნენ შეთქმულთა მხარეზე. გადაწყვეტილი იყო პაპის ქირურგის მოსყიდვა, რომ მოეწამლა ლევ X.

არ ვიცით, რა მიზეზით, მაგრამ პაპმა ექიმი გამოიცვალა. თითქოს მართლაც განგება სწყალობდა ამ ლოთს. შეშინებულმა კარდინალებმა შეთქმულებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, ზოგმა კი მეტი სიფრთხილისათვის რომიც კი დატოვა. გავიდა ხანი და პეტრუჩიმ გადაწყვიტა თვითონ მოეღლო საქმისათვის, ხანჯლით განგმირა პაპი. როგორღაც ლევი ახლაც წინასწარ გააფრთხილეს. პეტრუჩის გეგმები, რომლებშიაც ულმობელი შურისძიების გეგმა იყო გადაშლილი, ხელთ იგდეს.

პეტრუჩის ბედი ამიერიდან განგების ხელში იყო, მაგრამ ლევმა გადაწყვიტა გასწორებოდა დანარჩენ კარდინალებსაც, რომლებიც აშკარად არაეითარ მონაწილეობას არ იღებდნენ შეთქმულებაში და რომიდან წასულიც იყვნენ. მეგობრული წერილები მისწერა და სრულ უშიშროებას ჰპირდებოდა ყველას, ვინც რომში დაბრუნდებოდა.

ბევრი სულელი აეგო ამ ანკესზე. პაპს ვინ დაუჯერებდა!

როგორც კი რომის მიწაზე ფეხი დადგეს, ყველანი შებოჭეს.

ეგოიზმის შხამში მოხარშულ ტირანებს თავდაცვის ასეთი ღონისძიება არასოდეს შეშლიათ. ზოგი მათგანი პეტრეჩისთან ერთად გაგუდეს, სხვები მოწამლეს. გაგუდვა იყო პაპის წამალი. სამასამდე მგუდავი ახსოვს წმინდა ტახტს.

ინდულგენციების
ბაზარი

● ლევ X საკმაოდ მოკლე ხანში გახდა საერთო სიძულვილის საგანი თავისი სისასტიკის, გახრწნილებისა და დესპოტიზმისათვის. უკმაყოფილობამ თავი იჩინა არა მარტო იტალიაში, არამედ საფრანგეთშიც, ესპანეთშიც, ინგლისშიც, გერმანიასა და შვეიცარიაშიც.

ოპოზიციის ზრდას რომ ხედავდა, ლევმა სხვა ვერაფერი მოიგონა, კიდევ უფრო ღრმად ჩაეფლო ფუფუნებაში, შეეცადა ევროპის ყველა მბრძანებელი დაეჩრდილა.

„მაგათ დამიხედეთ ერთი! —ამბობდა ზიზღით. — ტირანი ხარო, ყოყოჩი დესპოტი! ხელოვნება შენთვის მხოლოდ იარაღია პატივმოყვარეობისაო! ჩინებულია. მე თქვენ გპირდებით, თუ ღმერთმა ინება და დღე გაგვიგრძელა, მთელს ქვეყნიერებაზე სახელს განვითქვამთ ჩვენი დღესასწაულების ბრწყინვალებით, ჩვენი მეჯლისებით, რომლებიც თავიანთი სისავსითა და ფუფუნებით დაჩრდილავენ ყველაფერს, რაც აქამდე ყოფილა“.

მაგრამ ამისათვის — კაცობრიობის აბუჩად აგდებისათვის, საჭირო იყო ფული, ბევრი ფული. ყოველდღე ხომ არ შეეძლო პაპს გაეყიდა წითელი ქუდები და მოეკლა ახალი კარდინალები — საქმე იმით გათავდებოდა, რომ ამ ასპარეზზე მოღვაწეობას აღარავინ ისურვებდა!

მაშინ ლევ X დღის სინათლეზე გამოიტანა ძველი დახავსებული ტაქსა დანაშაულობათა, ოდესღაც რომ მისებრ ბილწმა იოანე XXII შეადგინა და დიდი ხანია პაპის არქივებში მტვერმა დაფარა. რამდენიმე მუხლი შეცვალა მხოლოდ, ახალიც ჩაუმატა, გადაბეჭდვა ბრძანა და უზარმაზარი ტირაჟით გაავრცელა მთელს ევროპაში. პაპი ქრისტიანებს აწუხებდა, ფული გადაიხადეთ, ცოდვებს შეგინდობთო, თანაც ისეთ მძიმე ცოდვებს, როგორიცაა ძალადობა, სისხლის აღრევა, მრუშობა, სოდომია (მამათმავლობა), პირუტყვთმავლობა, მკვლელობა და ა. შ.

შემდეგ მისმა უწმინდესობამ ახალი ლაშქრობა გამოაცხადა თურქების წინააღმდეგ. მაგრამ ეს კი უკვე მეტისმეტი იყო! და პაპის სახელით წასული ხარკის ამკრეფნი ყოველი მხრიდან ხელცარიელი დაბრუნდნენ.

ახალი სახსრების გამოსაძებნად ლეო X განსაკუთრებულ ღონისძიებას მიმართა, მით უფრო რომ ყველამ ვალები მოსთხოვა. ტრადიციის თანახმად, ისევ ინდულგენციების გაყიდვას მიჰყო ხელი. ევროპის ხალხთა ცოდვებით ცხოვრობდა რომის პაპი! კომერციული თვალსაზრისით საქმე ძალიან ოსტატურად იყო ორგანიზებული. ყოველ პროვინციაში ეკლესიებთან და მონასტრებთან აგენტები დანიშნეს ქრისტეს წყალობით ვაჭრობისათვის. იქ იყიდებოდა ინდულგენციები ყოველგვარი ხასიათისა და ღირებულებისა, ცოცხლებისა და მიცვალებულებისათვის. გარდა ამისა, ლევმა დომინიკანელთა მთელი ურდოების მობილიზაცია მოახდინა. ფანატიკოსი ბერები, ეკლესიის ჯიუტი ქოფაკები, სოფელ-სოფელ დაძრწოდნენ და ძალით აჩეჩებდნენ ხელში ხალხს ცოდვების მიტევების ფარატინა ქაღალდებს.

აი, ერთ-ერთი სიგელის შინაარსი, რაც სარწმუნო დოკუმენტებიდან ამოვიღეთ:

„დაე, შეგინდოთ თქვენმა იესო ქრისტემ, რომელმაც, თქვენი ცოდვებისათვის ჯვარზე სიკვდილი მიიღო. იესო ქრისტეს, ნეტარ მოციქულთა წმინდა პეტრეს და წმინდა პავლეს ძალაუფლებით, თქვენი წმინდა მამის ძალაუფლებით მე გათავისუფლებთ თქვენს მიერ ჩადენილი ყველა საეკლესიო დანაშაულისაგან; ყველა შეცოდების, გადახვევის, გადაჭარბებისათვის, რაც წარსულში ჩაგიდენიათ და რასაც მომავალში ჩაიდენთ, რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს. იყავით ჩვენი მეომარი ეკლესიის წმინდა საგმირო საქმეთა მოზიარე. მე გაზიარებთ წმინდა საიდუმლოს, უმანკოების სიწმინდეს, ახლად მონათლული ყრმის სიწმინდის თანაბარს. დაე, იყოს თქვენთვის ჩაგმანული ჯოჯოხეთის კარი და სამოთხის ნეტარების კარი გაიღოს თქვენთვის სიკვდილის შემდეგ. ამინ“.

ეს ფორმულა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ იდიოტურია, მაგრამ ისე უწმაწური და უგვანო მაინც არაა, როგორც ინდულგენციებით მოვაჭრე ერთი ბერისა, საქსონიაში რომ საქმიანობდა. მხედველობაში გვყავს სახელგანთქმული იოანე ტეცელი. მყიდველები რომ

მიეზიდა, ეს შარლატანი ცოდვების გრძელ სიას ასეთი სიტყვებით ამთავრებდა:

„დიახ, ძმანო ჩემნო, მისმა უწმინდესობამ დიდი ძალაუფლება მომანიჭა, ჩემი ერთი ხმის გაგონებაზეც ცის კარი იღება ისეთი ცოდვილებისათვისაც კი, რომელთაც წმინდა ქალწულ მარიამთან მოიწადინეს ნების ასრულება მისი დაორსულების მიზნით“.

მყიდველები ბრბოებად მიედინებოდნენ იოანე ტეცელთან. ისიც დაუზარებლად უნდობდა ცოდვებს და იღებდა სხვადასხვა ღირებულებას, მათი კატეგორიის მიხედვით. ზოგი მისი „პირადი“ ინდულგენცია უფლებას აძლევდა მფლობელს. წელიწადში ოთხმოცდაცხრამეტჯერ გამოესყიდა თავისი სურვილით არჩეული ათი კაცის ნებისმიერი ცოდვა.

იგივე იაფფასიანი მატყუარა ასაღებდა აგრეთვე სალხინებლიდან იმდენი სულის განთავისუფლების უფლებას, რამდენჯერაც მყიდველი ინახულებდა ეკლესიას პირველიდან ორ აგვისტომდე; ოცდაოთხი საათის განმავლობაში. მეტი აბსურდი შეიძლება კრეტინის თავში დაიბადოს?

სულ იაფად, ხელსაყრელ ფასებში, იოანე ტეცელი ორმოცდარვა ათასი წლით ამცირებდა სალხინებელში ყოფნის ვადას იმ მორწმუნეთათვის, რომლებიც წმინდა სებასტიანეს ეკლესიაში დადიოდნენ, ხოლო ოთხი ათასი წლით — იმ მსურველთათვის, რომლებიც წლის გარკვეულ დროს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიებში მოილოცავდნენ.

ბოლოს, ეს კი მართლაც გენიალურია, ტეცელი მცირე თანხის ფასად ყიდდა დაპირებას, რომ ღვთისმშობელს დაითანხმებდა გამოცხადებოდა კეთილ ქრისტიანს სიკვდილის წინ, რაღა ძისი სული ნეტართა სავანეში წაეყვანათ. არც ესაა ურიგო.

მოკლე ხანში ლევ X ისევ საზღაპრო თანხა მოაგროვა. არც მისი აგენტები დარჩნენ ხელცარიელი, გვარიანი სარფა ნახეს ინდულგენციების გასაღებაში.

ყველაზე მეტი შემოსავალი მაინც შემოჰქონდა ლევის ბანდიტურ ბულას, რაც ავაზაკებს ნებას აძლევდა დაუსჯელად ძიჰყოლოდნენ თავიანთ საპატიო ხელობას იმ პირობით, რომ პაპის სალაროში გარკვეულ ნაძარცვს შეიტანდნენ. „ჰოი, იესო! — შესძახებდა გაძარცული, — შენ რომ არსებულიყავი, მეორედ აღდგებოდი, მაგრამ

ჩანს, ჯერ არ დაბადებულხარ!“ თუ შარაგზის რაინდები მეტ დანაშაულს ჩაიდენდნენ, მეტ გადასახადსაც შეიტანდნენ და პაპი ყველა ცოდვას შიუტევებდა. გარდა ამისა, ინდულგენციები მათ აძლევდა უზრუნველ ცხოვრებას ამ ქვეყნად და სასუფეველს საიქიოში.

ამტკიცებდნენ, რომ ბანდიტები ძალიან წესიერად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას ლევ X წინაშე. ვინც ქურდსა და ბანდიტს ეფარველობს, თვითონაც ქურდი და ბანდიტიაო, ამბობდნენ, მაგრამ განა ეს სიბრძნე მარტო ლევსა და მის შავბნელ დროს ეხება? შეთანხმება პაპსა და მძარცველებს შორის აკანონებდა ქვრივთა და ობოლთა ძარცვას, უმწეო ადამიანებისაგან ფულის გამოძალვას, სხვისი მემკვიდრეობის მითვისებას, ყალბი საბუთების დამზადებას, ანდერძის ძალადობით შეცვლას და ეკლესია-მონასტრების ძარცვასაკ კი. ეს სიქსტსა და ალექსანდრესაც კი არ გაუკეთებიათ.

დომინიკანელები დათარეშობდნენ მთელს ევროპაში, გულმოდგინედ ასრულებდნენ თავიანთ მისიას: ქრისტიანებს არწმუნებდნენ, უმჯობესია ამ ქვეყნად შიმშილით მოკვდეთ, ვიდრე საიქიო ნეტარების ყიდვის შემთხვევა ხელიდან გაუშვათო. თვითონ ბერები ისე მხიარულად ცხოვრობდნენ, რომ თქვენი მოწონებული: დღისით კამათელს ან ბანქოს თამაშობდნენ, ღამეობით კი სამიკიტნოებსა და საროსკიპოებში დათარეშობდნენ. აი, რას მოგვითხრობს ერთი ღვთისმოშიში ისტორიკოსი ინდულგენციებით მოვაჭრე ბერებზე:

„შეხედეთ ამ ქურდებს, პაპის გამოგზავნილებს, და გაიხარეთ. ნახეთ, როგორ სწოვენ წვენს საწყალ ხალხს! ეს ეშმაკის კერძები მთებსა და ხეობებში დაძრწიან, უბირ ხალხს უკანასკნელ გროშებს აცლიან ხელიდან. უფრო გულდამშვიდებით რომ იყონ, მღვდლებს უთანხმდებიან. „შეყარე შენი ბატები, — ეუბნებიან, — ერთად გავპუტოთ და მერე ბუმბული შუაზე გავიყოთ“. ეს ბინძური ხუცებიც — გახრწნილი, ლოთი ვაჭრუკანები — ბერებს უთანხმდებიან და ძარცვავენ დამთხვეულებს, თავიანთ ქისებს რომ აცარიელებენ, სალხინებლიდან რაღაც სულების გამოხსნის გულისათვის... ო, ღმერთო, ვინღა აღწერს ყველა სიმდაბლეს, რასაც დომინიკანელები ახდენენ, და ამ ინდულგენციებით უსირცხვილო ვაჭრობას!“

წარმატებამ მღვდლებსა და ბერებს ფრთა შეასხა. გაივსო სავაჭრო სახლი „ლევ X და Ko“ (კომპანია ესე შედგებოდა მისი უწმინდესობის საყვარლების, საყვარელი მამაკაცებისა და უკანონო შვი-

ლებისაგან). აგენტები დღითიდღე სულ უფრო თავს გადიოდნენ, სულ უფრო კარგავდნენ სირცხვილსა და ნამუსს, აღარ ეშვებოდნენ სიბნელის მსხვერპლთ. პაპს სულაც არ ესაჭიროებოდა მათი წაქეზება. გაკოტრებულ ტირანთა შემოსავალი გაყიდული ეტრატის სიგელების პროპორციული იყო. ევროპა ინდულგენციების გიგანტურ ბაზრად იქცა.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვაჭრობის წარმატება მორწმუნეთა კეთილმსახურობაზე იყო დამოკიდებული. პირიქით, ინდულგენციების მყიდველთა უმრავლესობა ამაში ხედავდა ნებართვას, რომ დაუსჯელად ჩაედინა ყოველგვარი საძაგლობა. ეს უმაგალითოდ ხრდიდა დანაშაულობათა რიცხვს. ლევ მეათის ბრძანება ხომ ასე იუწყებოდა: „მღვდელმთავარს წმინდა პეტრესა და იესო ქრისტეს მოადგილის სახით მინიჭებული აქვს შეურაცხადი უფლება... მიუტევოს ყოველგვარი დანაშაული, და ყველა ცოდვა-დანაშაული შეუნდოს მონანიების საიდუმლოთი, ხოლო სასჯელს დედამიწაზე ცვლის ინდულგენციებით“. დაუსჯელობის პერსპექტივა, ბერთა აღვირახსნილი საქციელი, სიგელებით რომ ვაჭრობდნენ, — ყოველივე ეს, ცხადია, ქრისტიანობის მორალურ დონეს თავის დაღს ასვამდა.

ლუთერი და ლევ X

ქვეყნად მაინც გამოჩნდა კაცი, რომელმაც გულში — შიგ გულში — ვენერას სენზე მწვალი ცეცხლი შეუნთო გახრწნილ არამზადას, უბადრუკი ქაღალდის ნაგლეჯებისათვის რომ ევროპის სიმდიდრეს ითხოვდა.

გონების საერთო დაჩლუნგებისა და ხალხთა წელში გატეხილობის მიუხედავად, მაინც იყვნენ ადამიანები, რომლებიც შეუპოვრად ებრძოდნენ პაპობას, ცდილობდნენ ხალხის გამოგლეჯას ეკლესიის ხელიდან, ერთიანად რომ ჩაფლულიყო გარყვნილების, პირფერობისა და ცოდვის ჭაობში. რა ამაოც არ უნდა ყოფილიყო მაშინდელი რეფორმატორების ყველა ცდა, მაინც სათანადოდ უნდა შევაფასოთ მათი სიმამაცე, რადგან რომის ეკლესიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში რომ ებმებოდნენ, ამით საკუთარ სიცოცხლესაც საფრთხეში აგდებდნენ.

ამ მამაც, შეუპოვარ, ღრმად განსწავლულ რეფორმატორთა შორის გამოირჩეოდი დოქტორი მარტინ ლუთერი.

1510 წელს, იულიუს, II პონტიფიკატის დროს, ავგუსტინელთა ორდენის ბერი ლუთერი დიპლომატიური დავალებით იქნა გაგზავნილი რომში.

„მე მოწმე გავხდი ისეთი უმსგავსობისა, — ამბობს ლუთერი თავის ერთ-ერთ თხზულებაში, — რომ იმ დღიდან გადავწყვიტე მიმეძღვნა ჩემი ცხოვრება პაპობის განადგურებისათვის, სიცრუის ამოძირკვისათვის, რამაც შებილწა რელიგია მღვდელთა ანგარებისა და პაპთა უზნეობის გამო“.

მოციქულთა ქალაქიდან რომ დაბრუნდა, ლუთერი უშიშრად გამოვიდა პაპის უცოდველობის დოგმის წინააღმდეგ:

„მისმინეთ, ხალხებო, მე მინდა გიჩვენოთ თქვენი მჩაგვრელის — პაპის ნამდვილი სახე. მე მოვსულვარ იესო ქრისტეს გულისათვის და მოგიწოდებთ: ნუ დაემორჩილებით პაპს, დანა ჩაკარით გულში, ჩათვალეთ მისი ყველა მიმდევარი ავაზაკად, მეფე იქნება თუ იმპერატორი. მე რომ იმპერიის მბრძანებელი ვიყო, ერთ კონად შევკრავდი პაპსა და მის კარდინალებს და ტიბრში გადავაგდებდი. დე, განიბანონ! წყალი მოარჩენს იმ ღორებს, სარგებლობას მოუტანს მათ ხორცს, სამარცხვინო სნეულებას რომ დაუწყლულებია. მე გეფიცებით ამას, დე მაცხოვარი იყოს ამისი მოწმე“.

უკვე ეს უმაგალითო, თამამი გამოსვლა მოასწავებდა იმ სასტიკ, სისხლიან, უწყალო ომს, რასაც შემდეგ ასე შეუპოვრად აწარმოებდა ორი მოპირდაპირე ბანაკი — კათოლიკები და რეფორმატორები. პირველთ ჰქონდათ იარაღი, ციხეები, მათ ემსახურებოდა ინკვიზიცია, ეყრდნობოდნენ ხალხის უმეცრებას, პაპში რომ ქრისტეს მოადგილის ხილვას იყო მიჩვეული. რომის ეკლესიის მოწინააღმდეგეებს სხვა იარაღი არ ჰქონდათ, გარდა სიტყვისა: მთელი თავიანთი მჭევრმეტყველების გამოყენება დასჭირდათ, რათა მათი ქადაგება ხალხს გაეგო, ყველასათვის მისაწვდომი ენით ელაპარაკათ, ამასთან არ ერიდებოდნენ ვულგარულ, ზოგჯერ პირდაპირ ცინიკურ გამოთქმებსაც კი, რათა უვიც, ცრუმორწმუნეობისაგან დაჩლუნგებული ადამიანის გონებისათვის როგორმე ჩაენერგათ ზნეობრივი წარმოდგენები ცხოვრებაზე.

ასეთი იყო იმ ეპოქის მქადაგებელთა ორატორული მეთოდი.

საინტერესო მაგალითად გამოგვადგება ტომასისა და ოლივიე მაიარის გამოსვლები — აჰ მართლმორწმუნე კლირიკებისა, რომელთაც ვერანაირად ვერ დავწამებთ მტრულ დამოკიდებულებას ეკლესიისა და რელიგიისადმი.

„როდემდე გინდათ, უკეთურო მღვდლებო, გვარცხვენდეთ გარყვნილებითა და ცოდვებით?! —გაიძახოდა ბერი ტომასი ბორდოს ეკლესიის ამბიონიდან. — როდის მორჩებით თქვენი სტომაქის ამოყორვას ნაზუქებითა და სასმელებით? კიდევ დიდხანს უნდა ქურდავდეთ ღარიბობას, აწვენდეთ როსკიპებს თქვენს სარეცლებში?.. მე ვიცი, ფეხზე გკიდიათ, ხალხი რომ თქვენს კარებზე შიმშილით იხოცება იმ დროს, როცა თვითონ უსირცხვილოდ ვაჭრობთ წმინდა ზიარებით, ნთქავთ ქვრივთა და ობოლთა ქონებას, სალხინებლიდან სულთა ხსნის საბაბით, წყეულიმც იყავით, ეშმაკებო, ახალგაზრდა ქალიშვილებისა და ქალების შემაცდენელნო; აღსარებისათვის რომ მოუხმობთ და ცოდვაში აგდებთ! წყეულიმც იყავით, ხუცებო, ლუციფერებო, რომელთაც ადამიანის გონების დაბნელება გაბედეთ და არასრულწლოვანნი გაგირყვნიათ თქვენი ბინძური ავხორცობით! სირცხვილი თქვენ, საკუთარი სახლები რომ საროსკიპოებად გიქცევიათ!“

ოლივიე მაიარი, ლუდოვიკო XI მქადაგებელი, კიდევ უფრო მწარედ ხდის ფარდას ეკლესიის მესვეურებს:

„დიდხანს ვაკვირდებოდი, როგორ ტენიდნენ თავიანთ ზანდუკებს აბატები, ბერები, მღვდლები და პრელატები, როგორ იტაცებენ საეკლესიო ქონებას, ღამის მძარცველებივით იკლებენ კეთილ ქრისტიანებს. მე ვნახე, როგორ დააფრიალებენ ანაფორებს, სუტანებსა და ბარტყულებს დღე და ღამე საროსკიპოებში, სადაც გახრწნილებას ეწევიან. კანონიკებსა და ღირსპატივცემულ კლირიკებს უზნეობის სახლები გაუხსნიათ, ყიდიან ღვინოს, ქირას უხდიან სუტენიორებსა და მეძავებს. ხშირად მინახავს კლირიკი, კარისკაცის სამოსელი რომ ჩაუცვამს, ან სალუქი ყმაწვილის კოსტუმი, მოდურად შეუკრეჭია წვერი, მხიარულ ქალიშვილებთან დასეირნობს. მე ვიცნობდი ეპისკოპოსს, რომელიც ყოველდღე ტიტველ ქალიშვილებს აიძულებდა მიეტანათ მისთვის კერძები, რათა მადა გაეღვიძებინათ. ისეთ ვინმესაც ვიცნობდი, შინ რომ მოზარდების მთელი ჰარამხანა გაეხსნა... ვიდრე სამარცხვინო ავხორცობას მიეცემოდა, ეს გახრწნილი

არამზადა ქისიდან ვერცხლის მონეტებს გადმობერტყავდა და ყმაწვილებს აიძულებდა ცემა-ტყეპა გაემართათ.

რაოდენ საზიზღარიც არ უნდა გვეჩვენოს, ამაზე უფრო სამარცხვინო ამბებიც არსებობს. ზოგიერთი ეპოსკოპოსი შემოსავალს ურიგებდა მხოლოდ იმ მღვდლებს, რომელთაც დედა, და, ძმისწული ან ვინმე ნათესავი შემოსავლისათვის თავისი ნამუსით გაუმასპინძლდებოდა.

ჰოდა, მიპასუხეთ, საზიზღარო ეპისკოპოსებო და მღვდლებო, ნუთუ სახარება ამას გვიქადაგებს: ნეტარნი მექრთამენი არიანო? ნეტარნი ლოთნი და საყვარლის ხარჯზე მცხოვრებნი არიანო? ნეტარ არიან, ვინც მაღალ თანამდებობას დაბალი პირფერობით აღწევენო? ეშმაკს ეწვიეთ, არამზადებო! როგორ ბედავთ სიკვდილის წინ იესოს წმინდა სახეს წარუდგეთ — გამოფხიზლებული ლოთები, ნაძარცვი ოქროთი ჯიბეგასქელებულნი, მეძავთა, ხასების, ძმისა თუ შეცდენილი ასულების და თქვენი ბინძური ავხორცობის სხვა მსხვერპლთა ამალით გარემოცულნი? წყეულიმც იყოს შარლატანების, თაღლითების, გამომძალველთა მთელი თქვენი ხროვა!

მე ვიცი, თქვენს დანაშაულობას რომ ნიღაბს ვხდი, ამით თავს საფრთხეში ვიგდებ, შეიძლება ვინმე თქვენთაგანმა, სადმე კუთხეში ჩასაფრებულმა, ბოლო მომიღოს, როგორც მოუვიდა მრავალს, ვინც სცადა კაპიტულებისა და მონასტრების გარდაქმნა. მაგრამ თქვენი ხანჯლის შიში ვერ ჩამიკეტავს პირს, ვერ დაამხობს ჩემს რისხვას. არ გავჩუმდები და მთელს სიმართლეს გეტყვით.

გამოდით, დედაკაცებო, რომელთაც თქვენი სხეული დიდებულებს და ბერებს მიჰყიდეთ, გამოდით, ლოთებო და ქურდებო!

აქ გამობრძანდით, მონაზვნებო, მონასტერთა სარდაფები და საკუჭნაოები რომ ახალშობილთა გვამებით აგივსიათ! რა განაჩენს მოისმენთ, როცა თქვენი შვილები დაასახელებენ თავიანთ მამებსა და ჯალათებს? ნუთუ ცეცხლის წვიმა არ დაფერფლავს ამ სავანეებს, როგორც ოდესღაც ფერფლად აქცია სოდომი და გომორი? ნუთუ მღვდლებსა და ეპისკოპოსებს მიწა პირს არ გაუხსნის, რომ თან ჩაიტანოს?

დიახ, ძმანო ჩემნო, ახლოა საათი, როცა უფალი სასტიკ და სამართლიან სამსჯავროზე იხმობს მუქთახორების, პარაზიტების, მრუშთა, მძარცველთა, ქურდთა და მკვლელთა ხროვას!"

ეს შესანიშნავი სიტყვაა, ღირსი ციცერონის ბაგისა.

ზნეობის დაცემა მღაღადებელი სიცხადით ეცემოდა თვალში ყველას, ვისაც სინდისი შერჩენოდა. ლუთერი თამამად დაატყდა თავს რომის კურიის გახრწნილებას. თეზისები, რომლებშიც აკამტკერებდა აღსარებას, სალხინებელს და ინდულგენციებს, ეკლესიის შესასელელთან გააკრეს. ეს იყო ის განთქმული 95 თეზისი (1517 წ.).

დომინიკანელებმა არაერთხელ სცადეს ავგუსტინელი ბერის მოკვლა, მაგრამ ლუთერს საგულდაგულოდ იცავდნენ. პაპი იძულებული იყო საშიშ მოწინააღმდეგესთან ბრძოლის სხვა საშუალება გამოენახა. რომში გამოცხადდი და იქ გადმოალაგე შენი დოქტრინაო, მოსთხოვა, და როცა დოქტორი არ ეახლა გახრწნილ ლოთს, ამ უკანასკნელმა საქსონიის კურფიურსტს მოსწერა, რომის ლეგატს გადაეცია გერმანიაში ეს ბერი.

საბედნიეროდ, კურფიურსტმა არ გააბრიყვებინა თავი ფარისეველ წმინდა მამას და მიუხვდა ვერაგულ საწადელს. პაპს უპასუხა, რეფორმატორი თავის სამშობლოშიც ისევე შეიძლება დაკითხონ, როგორც რომშიო. ლევს ისღა დარჩა, რომ ლუთერის პროცესზე საუკეთესო ღვთისმეტყველნი გამოეგზავნა.

ლუთერმა მაშინვე ისარგებლა შემთხვევით, რომ საჯაროდ დაეცვა თავისი თვალსაზრისი. ხავსმოდებული რომის კურიის მორჩილ ლაქიებს რა უნდა დაეპირისპირებინათ ამ ნათელი გონებისათვის? ვიდრე აუგსბურგის სასამართლოში გაემგზავრებოდა — ეს ქალაქი პაპმა აირჩია — მან იმპერატორის დაცვის სიგელისათვის იზრუნა, რადგან კარგად იცოდა იან ჰუსის ბედი (თუმცა ჰუსსაც ჰქონდა იმპერატორის სიგელი).

პირველად რომის კურიის წარმომადგენლები ცდილობდნენ ბერის გადაბირებას მღვდელმთავრის მხარეზე, ყოველნაირ პატივს ჰპირდებოდნენ, გაგამდიდრებთო, ოღონდ საჯაროდ უარჰყავიო შენი თეზისები. მაგრამ ლუთერი არ იყო იმ მასალისაგან გამოძერწილი, რისგანაც კარდინალებს და პაპებს აკეთებენ. მის მოუსყიდველობაში რომ დარწმუნდნენ, ლევ X ემისრები მუქარაზე გადავიდნენ. მაგრამ რეფორმატორმა მათ შეუპოვრად განუცხადა, ვერავითარი მოსაზრება ვერ შემაცვლევინებს ერთ სტრიქონსაც კი იქიდან, რაც დავწერეო. მისი პრინციპი იყო: „მე აქ ვდგავარ და სხვანაირად არ შემიძლია“.

კარდინალ-ლეგატმა, მისი შეუპოვარი წინააღმდეგობა რომ ნა-ნა, და თანაც ესმოდა, რომ აუცილებელი იყო განხეთქილების ძირ-შივე აღკვეთა, ლუთერის პატიმარყოფა გადაწყვიტა. განზრახვა რომ გაუგო, ავგუსტინელმა ბერმა, რომელსაც ახსოვდა ჰუსის ბედი, სწორი გამოსავალი ნახა: იმპერატორის შეუვალობის სიგელს არ ენდო, აუგსბურგიდან გაიქცა და ამით თავიდან აიცილა მორიელის ჭანგის დაკვრა — პირველ რეფორმატორთა ხვედრი.

იმ დროს, როცა ლუთერის მოძღვრება, ხალხთა სინდისის გამო-ღვიძება, სწრაფად ვრცელდებოდა მთელ ევროპაში, პაპი თავის აღვირახსნილ დროსტარებას განაგრძობდა, ისე რომ ამ კრეტინს არც ესმოდა მთელი სიღრმე იმისა, რაც ევროპაში ხდებოდა. ამ უაზრო დროსტარებაში მხედველობიდან გამორჩა ის მომენტი, როცა უზენა-ესი მღვდელმთავრის ძალაუფლება სასწორზე იყო. ლუთერის მომ-ხრეთა რიცხვი ყოველდღე იზრდებოდა. მრავალი სენიორი, რომლის მიწებიც ტიაროსან ობობას ჰქონდა მიტაცებული, რეფორმატორის დროშის ქვეშ დადგა, არც ერთმა გონებაგახსნილმა მბრძანებელმა არ ისურვა ისეთი მწყემსის მორჩილება, რომელიც მხოლოდ მიწებზე და გადასახადებზე ფიქრობდა.

ახალი იდეები ფართოდ და სწრაფად ვრცელდებოდა. დაბო-ლოს, თავისი უდარდელობის მიუხედავად, ლევ X საგრძნობლად დაშინდა. მოიცალა, გადაიკითხა თხზულება, რომელშიც მას სას-ტიკად ესხმოდნენ თავს, მაგრამ იმდენი ვერ მოიცალა, რომ პასუხი გაეცა. ეს დიდი შეცდომა იყო, რადგან პაპის დეკლარაციას იმ დრო-ისათვის ჯერ კიდევ შეეძლო ერთგვარი გამოძახილი ეპოვნა მორ-წმუნეთა შორის. პაპის ავტორიტეტი დღითიდღე ეცემოდა, მისი მო-წინააღმდეგისა კი მაღლდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, საფრთხე იგრძნო და უფრო ენერგიულად მოქმედება გადაწყვიტა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

კარლოს მეხუთეს გაუგზავნა წერილი და სთხოვა, ლუთერი და-აპატიმრე და ინკვიზიციის სასამართლოს გადაეცი. ასე გადამწყვე-ტი ნაბიჯი რომ გადადგა, პაპი ისევ ჩაეფლო სიამოვნების მორევში და იმპერატორის პასუხის მოლოდინში ჭიქა ასწია, დარწმუნებულ-მა, რომ არაფერი ისე იოლი არაა, როგორც ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხებული ბერის დაპატიმრება. წარმოიდგინეთ მისი გამძვინვა-რება, როცა საპასუხო წერილში კარლოსმა აუწყა, ძალიან მინდა მის

უწმინდესობას სარგებლობა მოვუტანო, მაგრამ არ შემიძლია ბერის თავისუფლებას შევეხო, რადგან იძულებული ვარ ანგარიში გავუწიო აზრთა მსვლელობას გერმანიაში, სადაც რეფორმატორის ქადაგებამ მრავალი თანამდგომი იპოვაო.

კარლოსს სამოქალაქო ომისა შეეშინდა, ან ყოველ შემთხვევაში მოერიდა გავლენიან მთავართა განაწყენებას, რომელთა მხარდაჭერაც ესაჭიროებოდა. იმავე დროს, როგორც ყოველი წესიერი იმპერატორი, კარლოსიც უარს ვერ ეტყოდა სამსახურზე მღვდელმთავარს, როცა ლაპარაკი იყო თავისუფალი აზრის დათრგუნვაზე თუნდაც მის ჩანასახშივე. ამიტომ ძლიერმა და ძლევამოსილმა იმპერატორმა განიზრახა სეიმის მოწვევა, სადაც ლუთერს, მისი ვარაუდით, გაასამართლებდნენ. სეიმის მოლოდინში ლაჩარი იმპერატორი პაპს სთხოვდა ერთხელ კიდევ გამოეცხადებინა ლუთერისათვის ანათემა, რათა სენიორები დაეფრთხო და რეფორმატორის გასამართლებისათვის მიეღწია.

წმინდა მამაც იმპერატორივით ჩლუნგი აღმოჩნდა და ამ სულელურ რჩევას უსმინა. ლუთერმა ამ ანათემის ტექსტით ისარგებლა და გამოვიდა მძვინვარე სიტყვით, რაც ასე თავდებოდა:

„ისევე, როგორც ჩემს შრომებს წვავენ რომში, მეც ამ წყვდიადის მთავრის ბულებსა და დეკრეტალიებს ცეცხლს ვაძლევ და ფიცით ვიხმობ ყველას დასახმარებლად, რათა იმავე კოცონში გადაისროლონ ლევ X, მისი სამოციქულო ტახტი და ყველა კარდინალიც მასთან ერთად“.

ლუთერმა ცეცხლის დანთება ბრძანა და აღელვებული ხალხის თვალწინ მოგიზგიზე კოცონის ალში ისროლა პაპის ბულა, რითაც ლევმა ლუთერი განკვეთა.

ამგვარად, წმინდა მამის წყევლამ მისი მოწინააღმდეგეების აღტაცება გამოიწვია, რადგან უბრალო ბერი, რომელმაც გაბედა პაპის ბულის საჯაროდ დაწვა,—რასაც ვერ გაბედავდა ვერც ერთი იმპერატორი — თავისი სითამამით საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებდა.

სეიმის სხდომაზე კარლოს V გამოცხადდა, რათა შეესრულებინა დაპირება, რაც ლევ X მისცა. რომის ლეგატს, ბრალდების წარმომადგენელს, დავალებული ჰქონდა თვალყურის დაჭერა, რომ პაპობის

მრისხანე მტერი არ გაპარულიყო იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჯაროდ მოინანიებდა. ვერაგი კურია ხომ ადამიანებს მაშინაც წვავდა, გლეჯდა და გუდავდა, როცა ისინი ინანიებდნენ და შეწყალებას ითხოვდნენ!

ლუთერის მეგობრები ძლიერ ღელავდნენ და აფიცებდნენ, ნუ გამოცდიო პაპის ემისართა ფარისევლობას.

„მე ვიცი, — პასუხობდა ლუთერი, — რა საფრთხეშიც ვიგდებ თავს, მაგრამ ხელი მექავება, ყელში უნდა ვატაკო ამ ეშმაკებს, კბილებს ჩავულეწავ და უფლის მოძღვრებას ვიქადაგებ“.

ლუთერს ასი საუკეთესოდ შეიარაღებული კაცი ახლდა. ეს იყო რეფორმატორის ამალა. ვორმსის ახლოს მას შეხვდა აღფრთოვანებული ხალხი, და მისი ჩასვლა იმ ქალაქში, სადაც უნდა გაესამართლებინათ, მეფის ტრიუმფალურ მსვლელობას ჰგავდა.

ენთუზიაზმი, რითაც ხალხი ლუთერს შეხვდა, მის მტრებს კაეშნად ექცათ, თუმცა ძალიან ცდილობდნენ ამის დაფარვას. მათი სიძულვილი აშკარად იჩენდა თავს დაკითხვაშიც კი.

ჩვენ არ გვხიბლავს არც ლუთერანობა, არც კალვინიზმი და არც პროტესტანტიზმის სხვა უთვალავი მიმდინარეობა, არა ვართ მათ მიმართ უფრო კეთილგანწყობილი, ვიდრე ვთქვათ კათოლიკობის მიმართ. ყველა რელიგია, რომელ ღმერთსაც არ უნდა ადიდებდეს — იაღვეს, ქრისტეს, ბუდას, ვიშნუს, ინდრას თუ ათას სხვა უზენაესს, იმ კერპების ჩათვლით, რომელთაც ველური ტომები სცემენ თაყვანს, — სულერთია, ადამიანის დამონებას ემსახურება. ყველა რელიგია ერთნაირია. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ პირველ წლებში რეფორმაცია, როგორც ახალი მიმდინარეობა, თითქმის მთლიანად ხალხური ხასიათისა იყო და ამან გამანადგურებელი დარტყმა აგვეცა თეოკრატიულ ტირანიას. მართალია, შემდეგში პროტესტანტები გაიყინენ, არც ერთი ნაბიჯით არ წასულან წინ და ცრურწმენებში ჩაიძირა მათი მებრძოლი სულისკვეთება. ამ ცრუმორწმუნეობის შენარჩუნებას ითხოვდა თვითონ მათი რელიგიის დამაარსებელი. იმდენადვე გაუბედავი რეფორმატორი, რამდენადაც მამაცი მებრძოლი.

თვითონ ლუთერი, სიმართლე რომ ითქვას, კონსერვატორი იყო, მისი მხურვალე სიტყვის უკან უაღრესად ზომიერი მისწრაფება იმალებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად, თუნდაც თავისი ნების წინააღმ-

დეგ, აცხადებდა პაპის აბსოლუტიზმის უღელს, აღორძინებდა ადამიანის აზრის თავისუფლებას.

რომის ლეგატის ყველა კითხვაზე ლუთერი მტკიცე პასუხს აძლევდა: არა თუ უარს არ ვამბობ ჩემს თვალსაზრისზე, არამედ მზად ვარ საჯაროდ დავიცვა ჩემი თეზისებიო. მისი წინადადება უარყოფილ იქნა. სეიმის წარმომადგენლები არც ისე გულუბრყვილონი იყვნენ, რომ რეფორმატორისათვის საშუალება მიეცათ ხელახლა ეზეიმა. ლეგატმა განაცხადა, რომ ლუთერის მოქმედება ეკლესიისათვის შეურაცხმყოფელია და კამათის გამოქვეყნება კიდევ უფრო გააძლიერებს მის სირცხვილს (პაპთა სამარცხვინო სოდომიაზე კი არავის უთქვამს, სირცხვილია ეკლესიისათვისო!). ბრალდებულმა უთუოდ უნდა იმართლოს თავი მოსამართლეების წინაშეო. ახალმა მთლაპარაკებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო, ლუთერი თავის აზრზე იდგა. მაშინ ბრალმდებლებმა ისევ ძველ ხერხს მიმართეს: ბენეფიციუმსა და კარდინალის ქუდს დაჰპირდნენ. მაგრამ ლუთერმა თავი გადაარჩინა. არც მუქარამ გაჭრა, არც მუდარამ.

მოსამართლეები უძლურნი აღმოჩნდნენ შეხებოდნენ სახელგანთქმული ბერის სიცოცხლესა და თავისუფლებას, საერთო ამბოხებისა შეეშინდათ (ლუთერი ხომ თვითონ კურფიურსტმა გაარიდა მტერს და თავშესაფარი განუჩინა!), ამიტომ მათი გადაწყვეტილება უფრო რბილი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა: იმპერიის საზღვრებიდან განდევნა მიუსაჯეს.

მოკვლის ცდას რომ ადგილი არ ჰქონოდა, მეგობრები სეიმიდან გამოსვლისთანავე შეხვდნენ, საიდუმლოდ გადაიყვანეს ერთ ციხესიმაგრეში, სადაც იუნკერ გეორგის სახელით მთელი წელიწადი დაატარა. „გამტაცებელი“ იყო თვით ფრიდრიხი, საქსონიის კურფიურსტი, რომელმაც გადაცმული ხალხი მიუგზავნა და ვარტბურგში გადააყვანინა დიდი რეფორმატორი, „ბიბლიის“ მთარგმნელი და გერმანული კლასიკური სალიტერატურო ენის შემქმნელი. მისი სიტყვა შეწყდა, მაგრამ მისი თხზულებები განაგრძობდნენ დაწყებული საქმის სამსახურს. მეფეები, დიდკაცობა, კარდინალები, ეპისკოპოსები, ბერები გაერთიანდნენ, წმინდა კავშირი შექმნეს — სინამდვილეში კი უწმინდური კავშირი — და ცეცხლით, რკინით, შხამით იბრძოდნენ მტერთან, რომელიც მათ ბატონობას სამუდამოდ დამხობილი ემუქრებოდა.

მოვლენათა გაცხარებულ მსვლელობაში გამოუსწორებელი

ლოთი ლევ X უწინდებურად გაურბოდა ყველაფერს, რაც ქეიფსა და ტკბობაში ხელს შეუშლიდა. „ეპიკურელი“ პაპის ასეთი უგნური გულგრილობა იმ დროს, როცა რთული ვითარება კათოლიკური ეკლესიისაგან მთელი ძალების დაძაბვას ითხოვდა, მისი მომხრეების ბუნებრივ აღშფოთებას იწვევდა. პაპს ბრალს სდებდნენ სისუსტეში, სიმხდალეში, სიბეცეში, საყვედურობდნენ უაზრო დიდკაცურ დროსტარებას, რასაც დაჟინებით განაგრძობდა, ჩასძახოდნენ, ეკლესიას გინგრევენ, შენ კი ნადირობას, ნადიმობას, კონცერტებს, წარმოდგენებს, ბანკეტებსა და სხვა გასართობებს გადაჰყოლიხარო.

ლევ X არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. რაკი ღმერთმა მას მოურჩინა წყლულები, თუნდაც დანარჩენი მსოფლიო დაეწყლულებინა, რას დაეძებდა! როცა თავადთა რეპუტაცია ესტუმრა და დაჟინებით მოსთხოვა, გადააგდე გულგრილობის საფარველიო, ხუმრობით უპასუხა და ყველანი სანადიმო სუფრაზე მიიწვია. ვორმსის სეიმზე ლუთერის გასამართლების წინ ფლორენციაში გარდაიცვალა ლევ მეათის ძმა ჯულიანო მედიჩი, რომელმაც უზარმაზარი სიმდიდრის მფლობელად დატოვა უკანონო შვილი. მაშინ პაპმა თავის ძმისწულ ლორენცო მედიჩის ახალგაზრდა ფრანგი პრინცესა შერთო. ქორწილი დიდი ფუფუნებით გადაიხადეს თვითონ პარიზში. საწყალმა ხალხმა ამ ფუჭი ნადიმის ხარჯებიც გადაიხადა. მალე პრინცესა მშობიარობას გადაჰყვა და დარჩა ქალიშვილი, რომელმაც შემდეგ ასეთი სავალალო სახელი დაიგდო — ეკატერინე მედიჩი. საფრანგეთი მოწამლა და სისხლში ჩაახჩო ამ ბოროტმა დედოფალმა. ლორენცოც მალე მიჰყვა ცოლს და გარდაიცვალა 1511 წლის 29 აპრილს.

ასე რომ, პაპი დარჩა მამაკაცთა მხრიდან გვარის უფროსი შტოს ერთადერთი წარმომადგენელი. ლევ მეათისათვის ეს მძიმე დარტყმა იყო. მთელი მისი ცდა, რომ მედიჩებისათვის უზარმაზარი სიმდიდრე მოეკვეჭა, უსარგებლო აღმოჩნდა. პატივმოყვარე მომხვეჭელი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. ვისთვის უნდა ეზრუნა? იქნებ ამისათვისაც მიეცა ასეთ უსაშველო და უსასრულო ქეიფს?

ნადირობის ტრფიალი ადრეც იყო, ახლა გაორკეცებული ძალით მოევლინა ეს ჟინი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ირემზე ან ტახზე ნადირობა სულის სიღრმეში მეტ სიამოვნებას ანიჭებდა, ვიდრე ტახტი ან ამაღლებულ საგნებზე ფიქრი, ან თუნდაც ხელოვნების ქმნილებანი. თუ ნადირი გაექცეოდა, ბრაზით გაცოფებული პაპი

იქვე მახვილით განგმირავდა ან შუბზე ააგებდა უბედურ ეგერს და მანამდე ჩხვლეტდა, ვიდრე სისხლისაგან დაცლილი ჭაბუკი ძირს არ დაეცემოდა. წარმატების შემთხვევაში კი მასვე წყალობით ავსებდა. ზოგჯერ მოკლულ ირემს წინ დაუგდებდნენ და ბეცი პაპი შუბს ჩასცემდა ხოლმე. მაშინ ბავშვივით ცმუკავდა.

არანაკლებ უყვარდა ვიტიკანში გამართული მეჯლისი. რაგუს დამზადების ახალი საშუალების აღმომჩენს დახვეწილი მცოდნე მაღალი წოდებით ასაჩუქრებდა. ლევ X სუფრას ოთხი კაცი ემსახურებოდა, ოთხივე საგანგებოდ მუშაობდა ახალი კერძების მომზადებაში. მათი გულმოდგინების წყალობით კაცობრიობა გაეცნო სოსისის ახალ სახეობას, რომლის რეცეპტშიც შედიოდა ფარშევანგის ხორცი. მარტო ამ ღორმუცელა მღვდელმთავრის სუფრა საქრისტიანოს წელიწადში შვიდი მილიონი უჯდებოდა!

პაპის დღეზეიმებში მონაწილეობდა ასობით მასხარა, მსახიობი და პოეტი, რომლებიც მის უწმინდესობას ლექსებით და უწმაწური ხუმრობით ართობდნენ. გახრწნილების ოსტატი ჭაბუკები და ქალიშვილები ატკბობდნენ პაპს და მის სტუმრებს. პაპი უბრალოდ კი არ არჩევდა მათ. წინასწარ სწავლობდა ყველას ზნესა და ღირსებებს ყველა საქმეში.

მოკლედ, ლევ X ორგიები არაფრით არ უთმობდნენ პირველობას ბორჯიას ორგიებს. უდარდელი მღვდელმთავარი სიკვდილის წუთებამდე ქეიფობდა. სიკვდილი ამ ბედნიერ კაცს ანაზდად ესტუმრა 1521 წლის 1 დეკემბერს. არავითარი საამისო მიზეზი არ იყო. ექიმებს ეშვი აღეძრათ, რომ ლევ X მოწამლეს. ვინმეს ხომ უნდა ესინჯა სამსალის გემო!

მილიონობით მსხვერპლი

● ვიდრე მომდევნო პაპზე გადავიდოდეთ, ისევ ლევ მეათის პონტიფიკატის დროის ერთ სისხლიან ეპიზოდზე უნდა შევჩერდეთ.

• დანიის მეფე ქრისტიანი დიდხანს ამაოდ ცდილობდა შვეციის დამორჩილებას. კარლოს V იმპერატორად კურთხევის შემდეგ გამოირკვა,რომ უფსალის არქიეპისკოპოსი ტრონლე მოსყიდული ყოფილა და შვეციიდან განდევნეს —ასეთი დანაშაულისათვის ეს არც ისე დიდი სასჯელია.

პრელატი მაინც გაგულისდა და აშკარად დაიწყო ისტორიები მეფე ქრისტიანის საარგებლოდ. რომის პაპმა დანიის მეფისაგან დიდძალი თანხა მიიღო, ფიქრისათვის ბევრი დრო არ დაუხარჯავს, შვედებს „შეჩვენების" ბულა გაუგზავნა და კარლოს მეხუთეს თხოვა, მიეშველეო ქრისტიან მეფეს. კარლოს V მაშინვე გამოეხმაურა მოწოდებას: ხალხის დართგუნვა თავის უშუალო მოვალეობად მიაჩნდა და უარს ხომ ვერ იტყოდა, გვირგვინი ავალებდა! ოჰ, ტყუილად გაისარჯა დიდი ტიციანი ამ პატარა იმპერატორის პორტრეტების დასახატავად! ამდენის ღირსი არ იყო.

პაპისა და კარლოს V ჯურთხევით ქრისტიანმა ჯარებმა შეყარა და სტოკჰოლმს ალყა შემოარტყა. ასეთი არმიის დამარცხება ორმაგი მადლია! შვეციის მმართველმა სტენ სტურემ გმირული წინააღმდეგობა გაუწია სამი ხელმწიფის ლაშქარს და სამარცხვინოდ დამარცხებული მტერი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. საქმე ისაა, რომ ქრისტიანს სულმა წასძლია, შვეციის დაჩოქება ისე ეჩქარებოდა. რომ პაპის თხოვნით დაპირებულ იმპერატორის ჯარებს არც კი დაელოდა და თავისი ბუმბერაზი მოკავშირეების მორალურ მხარდაჭერას დაუნდო. როგორც კი კარლოსის ჯარი მოვიდა, სამხედრო მოქმედება განაახლა, მაგრამ მოწინააღმდეგის ძლევამოსილი იერიშის შემდეგ ალყის გამოცდა ვეღარ გაბედა და თავისი მხლებელი პრელატების რჩევით მუხანათობის გზას დაადგა. ევროპის არმიებში პაპის სტილი შედიოდა. სტენ სტურთან მოლაპარაკება ისურვა, მცირე ამბალით სტოკჰოლმში შესვლაზე დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომი მისი ნებით არჩეულ რამდენიმე მძევალს აახლებდნენ, თავისი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

ვერაგული წინადადება მიიღეს. როგორც კი წარმომადგენლები — სენატორები და ხელისუფალნი მძევლების სახით მეფის ბანაკში მივიდნენ, სტაცეს ხელი, შებოჭეს და განაცხადეს: თუ სტოკჰოლმი არ დანებდება, ყველას ჩამოვახრჩობთო.

ნათქვამის გასამაგრებლად ჯარი დაძრა და ქალაქს ალყა შემოარტყა. პაპის ლეგატების ხრიკმა ქალაქი მძიმე დღეში ჩააგდო.

მეფის მუხანათობით აღშფოთებული შვედები ორმაგი ძალით იბრძოდნენ და იგერიებდნენ ფლიდი მეფის გაძლიერებული არმიის იერიშებს. მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში სტენ სტურე მოკლეს. სახე-

ლოვანი ბელადის დაცემის შემდეგ შვედებიც სულით დაეცნენ და დანებდნენ.

ქრისტიანი, რომელიც სულაც არ ჰგავდა ქრისტიანს, ისეთი ზეიმით შევიდა ქალაქში, თითქოს სტამბოლი აეღოს. მის ამალას მოჰყვებოდნენ შებოჭილი მძევლები, რომლებიც მუხანათურად შეიპყრო. მეორე დღეს თავის კორონაციაზე მოიწვია ყველა პრელატი, ეპისკოპოსი, კარისკაცი და სენატორი, ვინც სამეფოში იყო. ეს ბატონები ხომ მუდამ მზად არიან ქებათა ქება უგალობონ ყოველ ბანდიტს, ოღონდ გაიმარჯვოს, თუნდაც სატანის შემწეობით! გვირგვინის კურთხევის ცერემონიის დროს ყველა ტაშს უკრავდა, შემდეგ სიმაგრეში დიდი ნადიმი მოუწყო ჯარის სარდლობას. ქეიფი მთელი თვე გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ჯარისკაცებს ნება ეძლეოდათ ნამუსი აეხადათ ქალიშვილებისა და ქალებისათვის. ეს მონღოლური ძალადობა ქრისტიანულ სახელმწიფოში — პაპის დამპალი პრელატების გამხრწნელი „მოღვაწეობის“ შედეგი იყო.

სრულიად გასაგებია, რომ მამაცი, თავისუფლების მოყვარე ხალხი ასეთ უმსგავსობას გულგრილად ვერ შეხედავდა. პაპის ნუნციუსი და საზიზღარი ტროლე, ტროლზე უარესი ავსული, მეფეს დაეინებით ურჩევდნენ გადამჭრელი ზომები მიეღო აჯანყების თავიდან ასაცილებლად. ზომები უბრალო იყო: უამრავ მოქალაქეს სიკვდილით დასჯიდნენ, დანარჩენს ტერორის შიში შებოჭავდა.

ქრისტიანმა ბრწყინვალე იდეა მაშინვე აიტაცა. რაკი პაპმა ლეონ X ყველა შვედი ერეტიკოსად გამოაცხადა (რა კრეტინიზმია!), ერესი კი სასიკვდილო ცოდვად ითვლებოდა, ამიტომ მეფემ შეადგინა იმ მოქალაქეთა სია, რომელთაც ყველაზე უფრო საშიშ მეამბოხეებად თვლიდა. წმინდა მამის ბულის თანახმად, მათი დაპატიმრება ბრძანა, რომ გადაეცათ კომისიისათვის, რაც მღვდელ-ინკვიზიტორთა სასამართლოს წარმოადგენდა.

დასჯის დღეს სტოკჰოლმის ყველა მთავარი ქუჩა გაჭედილი იყო ჯარისკაცებით, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ დაეხოცათ ყველა, ვინც ჭიშკრებთან და ფანჯრებში გამოჩნდებოდა.

ინკვიზიციის მორიგ მსხვერპლთ მოედანზე სჯიდნენ. თანამედროვის ცნობით, მათი რიცხვი ოთხმოცდათოთხმეტი იყო. ყველას თავი მოჰკვეთეს.

მეტად შორს იწვდიდა საცეცებს რომის სპრუტი!

მეორე დღეს ნაჯახი სახრჩობელამ შეცვალა. დასჯილთა შორის იყო ქვეყნის ყველაზე უფრო გამოჩენილი მოქალაქეების, აზნაურთა, ბურგომისტრების, მოქალაქეთა და უბრალო მაყურებელთა ჯგუფი. ამ უკანასკნელებს მხოლოდ იმისათვის სჯიდნენ, რომ თამამად გამოხატეს თავიანთი აღშფოთება. იმ დღეს მსხვერპლთა რიცხვმა ორასს მიაღწია. მეფე „ქრისტიანი" თურქი — სელჯუკივით იქცეოდა.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ შესავალი იყო. მთელი კვირა არ შეწყვეტილა დასჯის საზარელი ცერემონიალი, რასაც პაპის ღვარძლიანი პრელატები ხელმძღვანელობდნენ და შავი ყორნებივით დაყრანტალებდნენ. სურათი რომ ერთფეროვანი არ ყოფილიყო, სასჯელის სახეობას ყოველდღე ცვლიდნენ. მღვდლებმა, სტოკჰოლმის სისხლიანი სვრემის მთავარმა ორგანიზატორებმა, ქრისტიან — ძაღლს, ამ გვირგვინოსან კრეტინს, უბრძანა მკვლელობის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ, როცა უკვე გაწყდა მოსახლეობის მეოთხედი ნაწილი. მაგრამ აქაც პრელატებმა მეფის ყურადღება იმაზე შეაჩერეს, რომ პაპის ბულა მთელი შვეციის მოსახლეობას აცხადებდა ერეტიკოსებად, მაშასადამე საჭიროა სასჯელი სხვა ქალაქების მოსახლეობამაც გაიზიაროსო.

ეს იყო მკვლელობის ახალი ტალღის სიგნალი. სამეფოს ყველა მხარეში უთვალავი ადამიანი სახრჩობელაზე ან კუნძულზე ასრულებდა სიცოცხლეს.

მაგრამ ქრისტიანი მაინც ვერ შეედრებოდა ესპანელ მღვდლებს, რომლებიც მექსიკაში მძვინვარებდნენ და იმავე ლევ X ბულით ხელმძღვანელობდნენ. ლევი კი ქეიფობდა და ჩირადაც არ მიაჩნდა მისი მხეცური კლანჭების კვალი, სისხლის მდინარეების სათავე...

თუ შვეციაში რამდენიმე ათასი კაცი გაქლიტეს, მექსიკაში ეკლესიის ქოფაკებმა რამდენიმე მილიონი ინდიელი იმსხვერპლეს. საეკლესიო ეარგონზე ეს ნიშნავდა ველურთა ევანგელიზაციას: სისხლით ნათლავდნენ!

მკვლელობა სამ მოქმედებად

● კარდინალი ადრიანი, რომელიც ლევ X სიკვდილის შემდეგ ტახტზე დასვეს, თავისი წინამორბედის სრულიად საპირისპირო ვინ-

მე იყო, ნამდვილი ანტიპოდი. ეს უბრალო, გულუბრყვილო, თავმდაბალი კაცი გულწრფელად შეეცადა გამოესწორებინა პაპის სასახლის ზნეობა.

ასეთი ღირსებით აღჭურვილმა კაცმა რომ ტიარა დაიდგას თავზე, ეს ისეთივე სარისკო საქმეა; რომ ბატკანი ვეფხვების გალიაში შევიდეს. მართალია, ზოგჯერ ბატკანი აშინებს ვეფხვებს.

დადგენილ წესებს არჩევისთანავე გადაუხვია: არც კეისრის სახელი მიიკერა, არც ალექსანდრესი, უბრალოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ თავის სახელს ციფრი „VI“ მიუმატა.

ვიდრე ვატიკანში დამკვიდრდებოდა, ესპანეთში ცხოვრობდა და ბევრი მტერი შეიძინა. გენუაში რომ ხმელეთზე გადავიდა, პრელატები შეეგებნენ პაპის ქოშების ამბორის ცერემონიაზე და ცოდვების განტევება სთხოვეს იმ დავიდარაბაში მონაწილეობისათვის, რამაც გენუა ნანგრევთა გროვად აქცია, კარლოს V ომების წყალობით. პაპმა თხოვნაზე უარი თქვა: „არ შემიძლია შეგინდოთ, და არცა მსურსო“.

გენუის შემდეგ ადრიანი ლივორნოში გაჩერდა, სადაც უაღრესად ფუქსავატურად ჩაცმული ეპისკოპოსები შეხვდნენ. წმინდა მამამ, ლამის პირველმა მთელი ათას ხუთასი წლის განმავლობაში, საყვედურით ახედა გახრწნილ ეპოსკოპოსთა მოდურად შეკრეჭილ წვერ-ულვაშსა და ფრივოლურ ჩაცმულობას, იქვე მისცა წინადადება ესპანურ ყაიდაზე გამოპრანჭულ პრელატებს, დაემშვიდობეთ ამ საერო სამკაულებს, არ გამოჩნდეთ ბალებსა და სპექტაკლებზე დაშნითა და ხანჯლითო.

ასეთი კრიტიკა არ ეჭაშნიკათ პრელატებს და გულში ხინჯად ჩარჩათ, ახლად არჩეული მღვდელმთავრის რჩევა ჭკუაში არ დაუჯდათ.

რომში რომ ჩავიდა, მისი კორონაციის ზეიმისათვის მზადება შეაჩერა, თაღების აღმართვა აკრძალა და ერთი მათგანის მოხსნაც კი ბრძანა, თუმცა უკვე თითქმის დამთავრებული იყო და მშენებლებს ხუთას ოქროს დუკატზე მეტი დაეხარჯათ.

„სახალხო ფულს უნდა გავუფრთხილდეთ“, — მიუგო პრელატებს, რომლებიც ასეთ „სიძუნწეს“ არ იყვნენ მიჩვეული. ჭეშმარიტად, ამჯერად ამომრჩევლებს რაღაც შეეშალათ! მაგრამ ასეთი შეცდომები რომ უფრო ხშირად მაინც მოსვლოდათ, ლუთერს უფრო გა-

უჭირდებოდა რომის სისხლიანი ტახტის შერყევა. ადრიან VI დაუსწრებლად აირჩიეს.

ინტრონიზაციის უბრალო ცერემონიის შემდეგ პაპმა წმინდა კოლეგიის სხდომა მოიწვია და სასწრაფო ზომების მიღება სცადა ბზარდი ბოროტების წინააღმდეგ.

მდგომარეობა მართლაც კრიტიკულზე უარესი იყო. საეკლესიო „მოღვაწეთა" საქმეები ყველამ იცის. ეკლესიის ფინანსები გაძოფეტული იყო. გერმანია და შვეიცარია მთლიანად ჩამოსცილდნენ რომს. რეფორმაციას ყოველდღიურად ახალ-ახალი ვინმე ემხრობოდა, პაპის ოლქებს ფერარის ჰერცოგი შეჭრით ემუქრებოდა, დაბოლოს მთელი აპენინის ნახევარკუნძული სავალალო მდგომარეობაში იყო კარლოს V და ფრანცისკ I ომების შემდეგ.

არასოდეს არ ყოფილა ეკლესია ასეთი დიდი საფრთხის წინაშე. უფსკრულის პირას იდგა, და საჭირო იყო უკიდურესი ზომების მიღება, რომ თავიდან აეცილებინათ საყოველთაო სახალხო ამბოხება კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ადრიანმა იქიდან დაიწყო, რომ ბერებს ინდულგენციების გაყიდვა აუკრძალა. გააუქმა ან შეამცირა სხვადასხვა ბეგარა და გადასახადი. აკრძალა ბენეფიციუმების გადაცემა მემკვიდრეობით. შეეცადა მოესპო თანამდებობათა გაყიდვა და აკრძალა მათი შეთავსება. მოკლედ, გააკეთა ყველაფერი იმისათვის, რომ ეხსნა ეკლესია და შეეძულებინათ ეკლესიის მესვეურებს.

პირადი მაგალითი რომ ეჩვენებინა, თავის ძმისწულს უარი უთხრა მითვისებული საპატიო წოდების დამტკიცებაზე. მაგრამ ამით მღვდელმთავართა შორის კიდევ მეტი უკმაყოფილება გამოიწვია.

ამოცანა, რაც ადრიან VI დაისახა, მის ძალას, და ყოველ ადამიანის ძალას აღემატებოდა. დაკანონებულ უკანონობას ერთი წესიერი მღვდელმთავრის გულმოდგინება ვეღარ შეცვლიდა. მისი სასახლის ოფიცრები და კარდინალები გაშმაგებით ეწინააღმდეგებოდნენ მის ყოველ ბრძანებას. თავიანთ ურჩობას რომ ამართლებდნენ, კლირიკების ფესვგადგმულ ჩვევებზე მიუთითებდნენ და დასძენდნენ, რომ მღვდელმთავრის უპირველესი მოვალეობაა ებრძოდეს ყოველგვარ მავნე მოძღვრებას და ურწმუნოებას, აზრის თავისუფლებასა და ერესს, რადგან ისინი შობენ უწესობას და ძირს უთხრიან რელიგიას. თავისი ძალაუფლება უნდა გამოიყენოს მხოლოდ წმინდა ჯვარის სამსახურისათვის.

გახრწნილი არამზადები, რომლებიც ხმას ვერ იღებდნენ ალექსანდრეს და ლევის შავბნელ ჟამს, ახლა ერთადერთ რიგიან მღვდელმთავარს უსწორებდნენ და მკვლელობას ჩააგონებდნენ.

ადრიან VI ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა მსგავს მოსაზრებებს, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდა ეკლესიის სრულ გახრწნაში, სულით დაეცა, კეთილშობილური გადაწყვეტილება მიიღო. თავის კარდინალებს თავი მოუყარა და განაცხადა: „თქვენ ყველანი ბოროტმოქმედნი და ცოდვილნი ხართ! მთელ საქრისტიანოში ერთი მღვდელიც არ მეგულება, რომ გახრწნილი, ქურდი და მკვლელი არ იყოს. ეკლესია იქცა ბუნაგად, მისი მართვა შეუძლებელია, თუ ადამიანმა გულში არ ჩაიკლა პატიოსნება და სინდისი. მე მხოლოდ გაცლა დამრჩენია. მე გადაწყვეტილება მივიღე არა მარტო დავტოვო მოციქულთა ტახტი, არამედ სამუდამოდაც დავემშვიდობო იმ აყროლებულ გუბეს, რასაც რომის კათოლიკობა ეწოდა. მე მოგიწვიეთ იმისათვის, რომ დაგემშვიდობოთ და წინადადება მოგცეთ აირჩიოთ სხვა მემკვიდრე, უფრო ღირსეული იმისათვის, რომ წინამძღოლობა გაუწიოს არამზადების ბანდას, რასაც თქვენ წარმოადგენთ“.

ასეთი სიტყვა, რასაც შეიძლება გენიალური ეწოდოს, და რომლის წარმომთქმელსაც შეიძლება ეპატიოს ის, რომ ლაოკოონს უბრალო კერპს ეძახდა, სამარისებურ დუმილში მოისმინეს და მან კარდინალებზე შემმუსვრელი შთაბეჭდილება მოახდინა. საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ.

როგორ, ულტრეხტელი ადრიან ფლირენსი, აწ ადრიან VI, მღვდელმთავარი, საკუთარი ნებით ტოვებს ტახტსა და ყოველისშემძლე ძალაუფლებას? — მსგავსი სიტუაცია დაუჯერებელია, აბსურდულია, შეუძლებელია, ჯოჯოხეთურია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მღვდელმთავარს გონება დაუკარგავს, მაგრამ რა დინჯად, რა გულგრილად ლაპარაკობს, რა ლოგიკურად, და ეკლესიის მდგომარეობაც რა შეუდარებლად დახატა! მსგავსი შემთხვევა ადრეც ყოფილა, მაგრამ უფრო სუსტი სახით. ეს ძლიერი, გონებანათელი ადამიანი კი, რომელმაც მთელი წელიწადი გაძლო ტახტზე, ებრძოდა ძლიერ კოლეგიას, ასე ანაზდად როგორ დათმობს ტახტსა და დიდებას?

გონს რომ მოვიდნენ, კარდინალებმა მოითათბირეს: პაპის ამ მოტივით გადადგომა სკანდალი იქნება, რითაც კათოლიკობის მტრე-

ბი მაშინვე ისარგებლებენო, და დაუწყეს ადრიანს ხვეწნა, დარჩიო ტახტზე, გამოვსწორდებითო.

პაპმა უპასუხა, ეკლესიის ისტორიაში უკვე იმდენი სკანდალი იყო, რომ ჩემი გადადგომა ვერაფერს ახალს ვერ შემატებს მის სამარცხვინო სახელსო. ისე, ჩემთვის სულერთია, რადგან გადადგომის შემდეგ მაინც გერმანიაში მივდივარ, რათა ლუთერთან ვისწავლო მისი დოქტრინა და მასთან ერთად ვიმუშაო კათოლიკური ეკლესიის თეოკრატიული შენობის დასანგრევად. ეს კი შეტისმეტი მოუვიდა. თითქოს თვითონ ლუთერი იჯდა პაპის ტახტზე, და ვინ აპატიებდა ეკლესიის ტირანთა ამ მხილებას!

კარდინალები დარწმუნდნენ, შემდგომი მოლაპარაკება რომ უშედეგო იქნებოდა, და თათბირი დასრულდა. მაგრამ რაკი ადრიანი ჯიუტად იდგა, კარდინალებმაც მტკიცედ გადაწყვიტეს მისი მოცილება.

სასწრაფოდ შეატყობინეს რომის სამღვდელოებას პაპის განზრახვა. ლუთერი ერთიც ზედმეტი მიაჩნდათ, ორი კი არა! რომის კლირიკებს შორის მრავალი მკვლელი აღმოჩნდა, რომელთაც ხალისით იკისრეს ლევ მეათის შეუსმენელი მემკვიდრის სულის გაცხებინება.

კარდინალებმა სიფრთხილის ყველა ზომა მიიღეს და ახალი ვერაგული თავდასხმა მოაწყვეს. ბაზილიკის ზეძირკველი მათი ბრძანებით გადახერხეს მიახლოებით იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ჩვეულებრივ მღვდელმთავარი იდგა. მაგრამ ეს გულმოდგინედ შემუშავებული გეგმაც მარცხით დამთავრდა: ბოროტგამზრახველებმა მომაკვდინებელი იარაღი უფრო ადრე დაუშვეს, ვიდრე საჭირო იყო, და უზარმაზარმა ლოდმა ექვსიოდე შვეიცარიელი მცველი გასრისა მხოლოდ.

ახალ თავდასხმას რომ ამზადებდნენ, კარდინალებმა დაუყოვნებლივ აამხედრეს ადრიანის წინააღმდეგ რომის მოსახლეობა: სასაცილო სახით უხატავდნენ, დასცინოდნენ მის მომაბეზრებელ სიძუნწეს და თავშეკავებას, რადგან პაპი დღეში მხოლოდ თორმეტ ეკიუს ხარჯავდა, ღვინის ნაცვლად ლუდს სვამდა და სასადილო მაგიდასთან ნახევარ საათზე მეტ ხანს არ დაჯდებოდა! ყველაზე უფრო იაფი თევზით იკვებებოდა და გონებამახვილურად იმტკიცებდა, საჭმლის არჩევაშიც ისევე ცუდად ვერკვევი, როგორც ეკლესიის

მართვაშიო. დაბოლოს, მაგიით გატაცებაც დასწამეს: მთელი ღამე ალქიმიკოსებთან ფუსფუსებს, ფილოსოფიური ქვის აღმოჩენას ფიქრობსო.

- ამასობაში ადრიან VI ლეგატი გაგზავნა ნიურნბერგში ზეიმზე, რაც ფერდინანდ ავსტრიელმა მოიწვია რეფორმაციის საკითხების სერიოზულად განსახილავად, თან ასეთი ეპისტოლე გაატანა:

„თქვენთან ერთად ვნაღვლობ, ძმანო ჩემნო, იმ მძიმე მდგომარეობას, სადამდეც მიგვიყვანეს სამღვდელოების დანაშაულობებმა და რომის მღვდელმთავართა აღვირახსნილობამ. ვაღიარებ, რომ არეულობა, რაც ეკლესიაში სუფევს, მხოლოდ კლირიკების მანკიერების შედეგია: აგერ უკვე მრავალი წელიწადია, რაც მღვდელმთავრებისაგან ვერაფერს ვერ ვხედავთ, გარდა თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, გადამეტებისა და სამარცხვინო მოქმედებისა. ჭირი თავიდან კიდურებზე გავიდა, პაპიდან — პრელატებზე, პრელატებიდან — უბრალო კლირიკებზე და ბერებზე. ძნელია თუნდაც ერთი ისეთი კლირიკის გამონახვა, რომ სიმონიაში, ქურდობაში, მრუშობაში და სოდომიაში ჩართული არ იყოს. მაგრამ ღვთის შეწევნით იმედი მაქვს გამოვიყვანო ეკლესია სავალალო მდგომარეობიდან და ავაღორძინო რომის კურია. თუმცა, ბოროტება ისე დიდია, რომ მე მხოლოდ ნაბიჯებით შემიძლია ვიარო“.

ლეგატი, რომელმაც ეს ეპისტოლე წაიღო, ისევე მტრულად იყო განწყობილი ადრიანის წინააღმდეგ, როგორც დანარჩენი პრელატები, რომელთაც პაპის რეფორმატორული ზრახვები ჭკუაში არ მოსდიოდათ. მიწერილობის შინაარსი ყველასათვის ცნობილი გახდა და დამწვარზე მდუღარე დაემატათ. ისევ დაიწყეს ადრიანის მოცილებაზე ფიქრი და გეგმების დაწყობა. ამ იშვიათ გამონაკლისს მხოლოდ მღვდელმთავრის შარავანდედი იცავდა აშკარა გაქრობისაგან, ისიც იფიტებოდა. 1523 წლის 14 სექტემბერს ადრიან VI უეცრად გარდაიცვალა. მტრებმა კვალის დაფარვაც კი ზედმეტ გარჯად ჩათვალეს. ცინიზმი იქამდე მივიდა, რომ მეორე დღეს იმ ექიმის ოთახის კარი, რომელმაც პაპი მოწამლა, ყვავილწნულებით იყო დამშვენებული და ზედ ასეთი წარწერა ჰქონდა: „სამშობლოს განმათავისუფლებელს“. სამშობლოს ეძახდნენ გახრწნილი არამზადები თავიანთ ღორულ სტომაქსა და ატეხილ ვნებებს!

არანაკლები ცინიზმი იყო კარდინალ პალავიჩინის შესანდობარ

სიტყვაში, ადრიან VI დაკრძალვაზე რომ წარმოთქვა ამ ჩვეულებრივმა ღორმა: „ადრიან VI იყო კეთილმორწმუნე, სწავლული და უანგარი კაცი, რომელსაც რელიგიის სიკეთე სურდა. ამის მიუხედავად, ის საშუალო პაპი გახლდათ, რადგან არ იცოდა მმართველობის ხელოვნების ყველა წვრილმანი, ვერ შესძლო რომის სახლის ზნეობასთან შეთანხმება. მღვდელმთავარს, რომელმაც მასავით დაივიწყა ადამიანის ხორცი და სისხლი, ეკლესიის კარგად მართვა არ შეუძლია". ასე ამუშავებდნენ ავხორცი მაიმუნები ადამიანს, რომელიც შემთხვევით მათ შორის გაერია.

ადრიან VI უკანასკნელი არაიტალიელი პაპი იყო.

კლიმენტი VII, ჰენრიხ VIII და კარლოს V

ადრიან VI დროს საქმეთა წარმოება ხელთ იგდო კარდინალმა ჯულიო მედიჩიმ, სწორედ იმ კომანდორმა, რომელიც კორონაციის ცერემონიის დროს ლევ მეათემ არქიეპისკოპოსის ხარისხით დააჯილდოვა. კარდინალის ქუდი რომ მიიღო, ჯულიო მედიჩიმ ხარბი ნადირის თვალები ტიარას მიაპყრო, ადრიანის სიკვდილის შემდეგ წინ ვინღა დაუდგებოდა! ჯერ ლევის შემდეგ შეეცადა ამ მწველი სურვილის აღსრულებას, მისი მთავარი მოწინააღმდეგე კონკლავზე იყო პომპეო კოლონა. მერე კარდინალებს მოსწყინდათ მათი გაუთავებელი დავა და ხმა მისცეს უცნობ ადამიანს. ამიტომ „შეეშალათ" მაშინ კარდინალებს.

საზიზღარ, პატივმოყვარე მკვლელთა გვარის კიდევ ერთი ნაშიერი გაბატონდა ვატიკანში. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ადრიანის მოწამვლის სულის ჩამდგმელი ჯულიო მედიჩი იყო.

როცა ადრიანის დაკრძალვის შემდეგ კარდინალები ისევ კონკლავზე შეიყარნენ, ჯულიოს ისევ შეხვდა თავისი ძველი მოქიშპე პომპეო კოლონა. ექვსი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა მათი გაშმაგებული ბრძოლა — წმინდა კოლეგიის ხმები გაიყო. გამობრძმედილი მეტოქე რომ გზიდან ჩამოეცილებინა, მედიჩიმ მას ეკლესიის ვიცე-კანცლერის ადგილი შესთავაზა, თანაც ბრწყინვალე პალატები დაუთმო — რომის ერთ-ერთი საუკეთესო რეზიდენცია — და სართად დიდი თანხა მისცა.

ამის შემდეგ ტახტის გზა ბანდიტს გახსნილი ჰქონდა. მედიჩიმ იწოდა კლიმენტი VII. ამასთან ანტიპაპად გამოაცხადა მეორე კლიმენტი VII, რომელიც ავინიონში იჯდა დასავლეთის დიდი განხეთქილების დროს. ამით არ ცნო ის პაპი და ცნო საკუთარი თავი.

თავის მიზანს რომ მიაღწია, კლიმენტიმ ჩამოიხსნა სათნოების საფარველი, რადგან აღარ ესაჭიროებოდა, და ქვეყნიერების წინაშე წარდგა ისევ ისე გაშიშვლებული ხეპრე, სალდაფონი, ყაჩაღი, როგორიც ადრე იყო. მისი პონტიფიკატის თერთმეტი წელი — ეს იყო განუწყვეტელი ომების პერიოდი — ხან კარლოს მეხუთეს ებრძოდა, ხან ფრანცისკ პირველს. 1527 წელს იმპერატორ კარლოსის ჯარებმა რომი აიღეს და მარადიული ქალაქი პაპის წყალობით ერთხელ კიდევ მისცეს ცეცხლსა და მახვილს. მთელი ორი თვის განმავლობაში გადამთიელები არ ინდობდნენ არც ბაზილიკებს, არც მონასტრებს. იმპერატორის ტლანქი ჯარისკაცები უწყალოდ ხოცავდნენ რომაელებს, აუპატიურებდნენ ქალებს, ქალიშვილებს, პატარა ბიჭებსაც კი. დედები თავიანთ შვილებს ხანჯლით ხოცავდნენ, რომ ძალადობის სირცხვილისაგან ეხსნათ. დედათა მონასტერი ერთიანად შებილწეს ამ ჯვრიანმა თურქებმა, რომელთაც ქრისტიანი იმპერატორი კარლოს V მეთაურობდა. მოსახლეობას წარმოუდგენელი წამებით ხდიდნენ სულს: ადამიანებს კოცონში ყრიდნენ, ხელ-ფეხს ნელ ცეცხლზე სწვავდნენ, აწამებდნენ გავარვარებული. გაზებით, აჭრიდნენ ცხვირს, ყურებს, სთხრიდნენ თვალებს. დაჭრილ-დასახიჩრებული რომაელები გროვა-გროვა ეყარნენ ქალაქში. ამ წარმართული საზარლობის მიზეზმა, წმინდა მამამ, გაქცევა მოასწრო, სამწყსო გაცოფებული მგლების ხროვას შეატოვა პირში და თვითონ წმინდა ანგელოზის ციხეში ჩაიკეტა, კოშკის სარკმელში იყურებოდა და გულგრილად დასცქეროდა ხოცვა-ჟლეტას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ველურ, გიჟურ ომში, რაც ავაზაკთა ბანდების შეტაკებას მოგვაგონებს, ორივე მხარე სარწმუნოებისათვის იბრძოდა. კარლოს V არმია შედგებოდა გაშმაგებული ესპანელი კათოლიკებისა და ფანატიკოსი გერმანელი ლუთერანებისაგან. ერთნიც და მეორენიც პაპსა და კარდინალებს თვლიდნენ უკეთურებად და ქაჯებად, ჯოჯოხეთის ამონთხეულ უწმინდურებად (მაგრამ რას ერჩოდნენ ხალხს?). პაპის ჯარები კი, პირიქით, დარწმუნებული იყ-

ვნენ, რომ უფლის კანონიერ მოადგილეს იცავენ ერეტიკოსთა შემოტევისაგან.

კიდევ ამტკიცებენ, რელიგია ზნეობას აფაქიზებსო!

კლიმენტი VII და იმპერატორის ომსაც დასასრული მიეცა. ჰენრიხ VIII, ინგლისის მეფემ გადაწყვიტა ეკატერინე არაგონიელთან — კარლოსის მამიდასთან განქორწინება. მეფე გახელებული იყო მშვენიერ ანა ბოლეინის სიყვარულით და მის შერთვას აპირებდა*. განქორწინების ოფიციალურ მიზეზად გამოიყენა დედოფლის უნაყოფობა. მართლაც, ოცი წელი იცხოვრეს ერთად და მემკვიდრე არ გაუჩნდათ. ძეფემ იცოდა, რომ სნეული დედოფალი შვილს ვერ გაუჩენდა. ადრე მისი ძმის ცოლმა—ეკატერინემ, მხოლოდ ასული აჩუქა, და იმასაც ისტორიამ სამარცხვინო ზედწოდება მიაკუთვნა: მარიამ სისხლიანი — პროტესტანტების ელეტისათვის, რითაც 1555 წელს ხალხის ზიზღი დაიმსახურა (სამასი კაცი მარტო კოცონზე დაიღუპა).

პაპს არ შეეძლო ჰენრიხის თხოვნის შესრულება, რადგან დამოკიდებული იყო იმპერატორზე, რომელსაც, როგორც ეკატერინე არაგონიელის ახლო ნათესავს, იმედი ჰქონდა ინგლისის მართვისა თავისი მამიდის დახმარებით და მეშვეობით, თუ ჰენრიხი ეკატერინეზე ადრე გარდაიცვლებოდა. კარლოსს დრო გაჰყავდა, ათასნაირ ხრიკს მიმართა, მერე კი კლიმენტი მეშვიდესთან მოლაპარაკება გამართა. პაპმა არც მის სამშვიდობო წინადადებას გასცა პასუხი, არც ინგლისის მეფის თხოვნას. წმინდა მამა კუდს იქიცინებდა, თავს იძვრენდა, თავისი ვერაგობა ბოლომდე მიჰქონდა. ერთდროულად ორივეს გაბრიყვება უნდოდა. პირველთან შერიგება სურდა, ოღონდ ისე, რომ მეორეს არ წაჩხუბებოდა, და გადამწყვეტ პასუხს თავს არიდებდა.

მისი თამაში უნაყოფო გამოდგა. კარლოსს პასუხის მოლოდინში პატიმარივით ჰყავდა წმინდა ანგელოზის ციხეში, და პაპი დადგა აუცილებლობის წინაშე, რომ აშკარად დამდგარიყო კარლოსის მხარეზე. შეჩვენების მუქარით აუკრძალა მეფეს ეკატერინე არაგონი-

---

* ანა ბოლეინი, სერ ტომას ბოლეინის მშვენიერი ასული, საფრანგეთში იყო გაზრდილი. ინგლისში დაბრუნებულმა თავისი სილამაზით ჰენრიხ VIII დაატყვევა. მეფე ჯერ კიდევ არ იყო გაყრილი ეკატერინესთან, რომ ანა შეირთო და ერთი წლის შემდეგ ეყოლა ასული, განთქმული ელისაბედ დედოფალი. სამი წელიც არ გასულა, რომ ქმარმა ღალატი დასწამა და თავი მოაკვეთა.

ელთან განქორწინება. მაგრამ ჰენრიხმა სრულიად აიგდო პაპის ბულის მეხი, ჯიქურ წავიდა და ანა ბოლეინთან იქორწინა. მაშინ წმინდა მამამ კიდევ უფრო მრისხანე ბულა გადმოანთხია, რაც ჰენრიხმა პარლამენტში ყველას დასანახავად დაწვა.

ამრიგად, პაპისა და იმპერატორის ომს შედეგად ის მოჰყვა, რომ ინგლისი რომს ჩამოსცილდა. ჰენრიხმა გამოაქვეყნა ბრძანებულება, რომლითაც ქვეშევრდომებს რომის კურიის ავტორიტეტის აღიარებას უკრძალავდა. მაგრამ ინგლისის ეკლესიამ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, კლიმენტის მემკვიდრის პავლე III დროს შეწყვიტა პაპთან ურთიერთობა.

კარლოსმა კლიმენტი VII აიძულა ანათემა გამოეცხადებინა ინგლისის მეფისათვის, შემდეგ კი დაცხრა და თავის ტყვეს ზავი შესთავაზა, რასაც პაპმა ულაპარაკოდ მოაწერა ხელი, რადგან თავისუფლება მოენატრა. შემდეგ წმინდა მამა ბოლონიაში გაემგზავრა, რათა იმპერატორს შეხვედროდა. იქ გახრწნილმა ბოროტმოქმედმა მასავით ავაზაკ კარლოსს დაუზარებლად შეუნდო ყველა დანაშაული, რაც ომის, ოკუპაციის დროს ჩაუდენია. ამით პაპის ღირსებას ანდერძი აეგო. აბა რა მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ითი ითასობით მისი ქვეშევრდომი ასე უღმერთოდ გაჟლიტეს და გამკითხავი არავინ იყო? ამაზე მეტ მსხვერპლსაც გაიღებდა მარადიული ძალადობის ეს პირშავი რგოლი, რომ თავისი ტყვეობის დღეების შემოკლება შესძლებოდა.

ორმა ღირსეულმა მეგობარმა შერიგება ღირსეული საჩუქრებით აღნიშნა. კარლოსმა კლიმენტის მიართვა ვერცხლის ზარდახში ორი ოქროს მედლით, პაპმა კი თავის მეგობარს, რომელმაც რომი აუოხრა, ოქროს არწივი უბოძა. განა აქვს ფასი ასეთი პირუტყვების ხელში ოქროს? საიმპერატორო არწივმა ბასრი კლანჭები ჩაასო დასისხლიანებულ იტალიას, იტალიის მბრძანებელი კი ხალხის სისხლში ნაწრთობ ოქროს არწივს უმზადებდა იმპერატორს საჩუქრად!

წინასწარი მოლაპარაკები რომ დაასრულეს, ორი ტაკიმასხარა სცენიდან გავიდა და კულისებში მიიმალა. შემდგომი მოლაპარაკები კულისებში წარმოებდა, ჩაკეტილ ოთახში, ინტიმურ ვითარებაში. იხილავდნენ მნიშვნელოვან საკითხებს, უმთავრესად ქვეშევრდომთა საკითხს. ამ უკანასკნელებს ვინ რას გაუმხელდა? მზარეული ხოხობს არ ეკითხება, რა წვენში ჩადება უფრო მოგიხდებაო.

იმპერატორი შეშფოთებული ადევნებდა თვალს რეფორმაციის წარმატებას. „ქვეყნად არსებობს მხოლოდ ორი ძლევამოსილი ძალაუფლება, — ამბობდა ბაქია იმპერატორი. — თვითონ ღმერთმა დაავალა მათ წესრიგის შენარჩუნება: პაპობა და იმპერია განუყრელად არიან დაკავშირებული, ორივე ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება. პაპობაზე დატეხილი დარტყმა იმპერიას ხვდება, ისევე როგორც გვირგვინზე დამიზნებული დარტყმა ჯვარს ხვდება". პაპსა და იმპერატორს ერთმანეთს შორის შეუძლიათ ბრძოლა მანამ, ვიდრე მათი ბრძოლის მსხვერპლი მათი ქვეშევრდომები არიან. მაგრამ როცა დარტყმა ხალხიდან მოდის, იქმნება საშიში ვითარება. კარგად რომ მოიფიქრა, კარლოს V კლიმენტის წინადადება მისცა გერმანიაში ყრილობა მოეწვიათ, რათა გერმანიის ეკლესიებსა და რომის წმინდა ტახტს შორის ურთიერთობა აღედგინათ, აგრეთვე დაესვათ საკითხი საეკლესიო ზნეობის გაუმჯობესების შესახებ, რათა ხელი შეეშალათ ერეტიკული პროპაგანდისათვის. იმპერატორი სუსტი იყო ისტორიაში.

„რა მესმის, — შესძახა კლიმენტიმ, — ყოვლის შემძლე ხელმწიფეს, უდიდეს პოლიტიკოსს გახუზრახავს ყრილობის მოწვევა, სადაც თავისუფალი მოაზროვნეები თავს დამოუკიდებლად იგრძნობენ, დაიცავენ თავიანთ დოგმებს და უარყოფენ ჩვენსას! ყრილობის მოწვევას შეიძლება საშიში ამბები მოჰყვეს! შეიძლება დაამხონ პაპობა და დაამსხვრიონ ტახტი. ჩვენ ორნი, იმპერატორი და პაპი, ღვთისაგან მირონცხებულნი ვართ, ვანსახიერებეთ დედამიწაზე მის ძალაუფლებას. ჩვენ უნდა გავანადგუროთ ყოველგვარი თავისუფალი აზრი, რადგან თუ ურწმუნოები მოიწადინებენ, რომ ჩვენი უფლებამოსილობა წარვადგინოთ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით".

საყვარელ თემას რომ მოხსნა თავი, პაპმა ფეიქრის ქსელივით გაება და სიტყვა პათოსით დააბთავრა:

„რა გვესაქმება იმასთან, თუ რა სწამთ ლუთერანებს და მათს დამქაშებს? რისთვის გვინდა მათი დოგმების ახსნა? ჩვენ გვინდა სრული მორჩილება ხალხი მარად უნდა ემორჩილებოდეს მღვდელთა და მეფეთა ნებას. ჩვენი მიზნის მისაღწევად, აჯანყების თავიდან ასაცილებლად უნდა ჩავახშოთ თავისუფალი აზრი, რაც ჩვენს ტახტს არყევს. მტერს ძალა უნდა ვუჩვენოთ! ჯარისკაცი ჯალათად ვაქციოთ!

კოცონები გავაჩაღოთ! დავხოცოთ და დავწვათ, რომ რელიგია შერყვნისაგან ვიხსნათ! გავანადგუროთ უპირველეს ყოვლისა სწავლულები! გავაუქმოთ წიგნის ბეჭდვა! მაშინ, თქვენი ქვეშევრდომები ჭეშმარიტი სარწმუნოების წიაღში დაბრუნდებიან, შფოთს ბოლოს მოუღებენ და თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას ფეხქვეშ ჩაუვარდებიან!"

უმეცრება და ტერორი — აი ძალა, რასაც ეყრდნობა და მარად დაეყრდნობა ყოველგვარი თვითმპყრობელობა. გაბატონებულ ღორებს არ უყვართ მცოდნენი, რადგან მცოდნემ იცის მათი ფასი!

კარლოსს არ შეეძლო არ ეღიარებინა კლიმენტის საბუთების სიმართლე და დათანხმდა, რომ ყრილობის მოწვევის იდეა აბსურდია, როგორც ბევრი რამ სხვა მისი ტახტის ისტორიიდან. გამხიარულებულმა მღვდელმთავარმა იმპერატორს კორონაციის ზეიმი შეუთავაზა და მეორე დღეს ხალხის ზურგზე ეს ყალბი დღესასწაულიც დიდებულად ჩატარდა.

მკვლელობანი, ინტრიგები
და შექცევა

● პაპის ხელიდან გვირგვინი რომ მიიღო და იკურთხა, იმპერატორმა კარლოს V,რომელიც იტალიაში ისე პარპაშობდა, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში, თავის მხრივ მღვდელმთავარიც დაასაჩუქრა იმით, რომ დაჰპირდა, ფლორენციაში მედიჩის ძალაუფლებას აღვადგენო.

ჰოდა, კლიმენტი VII იმპერატორის ჯარის თანხლებით, რომლის სისასტიკეშიც რომშივე დარწმუნდა, თავისი მშობლიური ქალაქის წინააღმდეგ დაიძრა. ახლა ამ ტიაროსან მარტორქას ფლორენცია უნდა აეოხრებინა!

ერთი ომის დამთავრება ვერ მოასწრო, მეორეზე ოცნებობდა.

მაგრამ ფლორენციის დაპყრობას მარტო მეომრული ზნე კი არ კარნახობდა. ეს მანიაკი რესპუბლიკის დახრჩობას ამზადებდა, შემდეგ ფლორენცია უნდა გადაეცა თავისი უკანონო შვილის — ალექსანდრე მედიჩისათვის, რომელიც სადღაც ფუნდუკის მოსამსახურე დედაკაცმა აჩუქა! როგორც ხედავთ, წმინდა მამას საკმაოდ უწმინდური გემოვნება ჰქონდა.

ფლორენციელები თავდასხმას არ მოელოდნენ, მაგრამ დამორჩილებას არ აპირებდნენ, თუმცა იცოდნენ, რომ მარტო გმირობა არ კმარა, როდესაც ებრძვი უზარმაზარ არმიას, რომელიც საბათის დროშით მოდის. ასი ათასი მეომარი შეყარეს და დახმარება სთხოვეს მიქელანჯელოს, როგორც თავისი დროის უდიდეს ინჟინერს. ტრაგიკული ვითარების მიუხედავად, უბრალო ხალხი მშობლიური ქალაქის სადარაჯოზე დადგა.

რესპუბლიკის დაცემა დააჩქარა პაპის საზეიმო დაპირებამ, რომ აპატიებდა ყველა წყენას, რაც ხანგრძლივი ალყის დროს მიაყენეს, და ქალაქის დამოუკიდებლობას არ შეეხებოდა.

მაგრამ როგორც კი კაპიტულაციას ხელი მოაწერეს და პაპის ჯარი ქალაქში შევიდა, დაიწყო მკვლელობა, ძარცვა და რბევა. ქალაქებს თავდაცვისათვის მხოლოდ ჩინგის-ყაენი და მისი მსგავსი ურჯუკები აოხრებდნენ. რით ჯობდა მედიჩი ჩინგის-ყაენს?

საკუთარი დაპირების მიუხედავად, საეკლესიო ცრუ ტრადიციის ერთგულმა პაპმა მაშინვე გაანადგურა ქალაქის თვითმმართველობის ნიშან-წყალი, დააპატიმრა მოწინააღმდეგეები, კონფისკაცია გაუკეთა მათს ქონებას, უსასტიკესად აწამა და მერე სათითაოდ მოაკვლევინა.

ქვეწარმავლური შურისძიების წყურვილი რომ მოიკლა, კლიმენტიმ მეფუნდუკის ნაბიჭვარი დააგვირგვინა და ფლორენციის ჰერცოგის ტიტულით დაასაჩუქრა.

ეს გახრწნილი და გულმხეცი ჰერცოგი, რომელმაც სასახლე დაქირავებული მკვლელებითა და ჯაშუშებით აავსო, მთელს იტალიას შიშის ზარსა სცემდა. საოცარია, რომ ქვეყანა, რომლმაც შვა დანტე და რაფაელი, ასეთ მახინჯებსაც აწოვებდა ძუძუს.

კარლოსი კარგა ხანს კიდევ დაეთრეოდა იტალიაში, თავის მეგობარს ვასალების დამორჩილებაში ეხმარებოდა, მაგრამ ბოლოს ალპებზე გადასვლა მოუხდა, რადგან გერმანიაში ახალი მოვლენები მწიფდებოდა.

ამ დროს დასავლეთში ძლიერდებოდა წინააღმდეგობა და შეხლა-შემოხლა რეფორმატორთა სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის. კარლოს V გადაწყვიტა, რომ დავა რელიგიური ერთიანობის აღდგენაში დაეხმარებოდა, ამ მიზნით აუგსბურგში ყრილობა მოიწვია. პროტესტანტებს ლუთერის მოთხოვნით მელანქტონი მეთაურობდა.

თვითონ ლუთერი ,როგორც რეგვენი იმპერატორის მიერ მსჯავრდებული ერეტიკოსი, ყრილობას ვერ დაესწრებოდა. როცა აუგსბურგის ყრილობამ მუშაობა დაამთავრა, იმპერატორი დარწმუნდა, რომ თათბირმა დაამტკიცა ორი ქრისტიანული მოძღვრების შეუთავსებლობა. პაპთან თავისი პირადი საუბარი გაიხსენა და გამოაქვეყნა ბრძანებულება, რაც ყველგან ეპისკოპოსთა სასამართლოს ძალაუფლებას აკანონებდა. აღდგენილი იქნა კათოლიკური ღვთის მომსახურების მთელი რიტუალი—წმინდა ზიარება, აღსარება, ნათლობა, მირონცხება, ცოდვის მიტევება, წმინდანთა თაყვანისცემა. იმპერატორმა შოითხოვა ეკლესია-მონასტრებისათვის მათი ოდინდელი სამფლობელოების დაბრუნება. გარდა ამისა, აღადგინა ძველი დახავსებული აბსურდი, ცელიბატი, გრიგოლ VII რომ დააკანონა. ამ გვირგვინოსანმა იდიოტმა მღვდლებს უბრძანა დაუყოვნებლივ გაეგდოთ ან მიეტოვებინათ ცოლ-შვილი. ვინც ამ კრეტინს წინააღმდეგობას გაუწევდა, უწყალოდ განიდევნებოდა — ქონების სრული კონფისკაციით, ცხადია.

ჩლუნგი და ბეცი ტირანის ეს ფაქტი აშკარა ომს ნიშნავდა რეფორმატორების წინააღმდეგ და უწმინდესი სიგიჟე იყო. იმპერატორის უაზრო ბრძანებები, რომელთაც ვატიკანის ობობა — კლიმენტი VII უჭერდა მხარს, შეუბრალებელი სისასტიკით სრულდებოდა, ამიტომ მოკლე ხანში გვამთა ახალი გორაკები აღიმართა, წყეულ ტირანთა სამარცხვინო ძეგლად.

იმპერატორის ედიქტმა, რაც ბნელ ძალებს შურისძიების, დასჯა-აკლებისა და ძარცვა-რბევისაკენ მოუწოდებდა, რეფორმატორები სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. ძალადობამ შეკრა, შეამჭიდროვა მათი რიგები და ერთ დროშის ქვეშ დააყენა, რათა სასტიკი ბრძოლა გამოეცხადებინათ მრისხანე მტრისთვის და განუხრელად დაეცვათ თავიანთი სარწმუნოება. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ კარლოს V, რომელმაც ადრე ლუთერის დაპატიმრება ვერ გაბედა, ნაადრევად გამოიფიტა, ისე რომ ჯერ ორმოცდაათი წლისაც არ იყო.

პაპის ყურმოჭრილ ყმად ქცეულმა იმპერატორმა მალე შეიგნო, რომ გერმანელ მთავართა, რეფორმაციის მომხრეთა წინააღმდეგობა ზიანს აყენებს მეფის პრესტიჟს. აშკარა გახდა, რომ წმინდა ტახტის ბრმად მორჩილებამ და ნდობამ სასტიკად შეაცდინა. რელიგიური საკითხები უკანა პლანზე რჩებოდა, წინ წამოვიდა პოლიტიკური

პრობლემა, სულ უფრო საგრძნობი ხდებოდა ფეოდალურ მიწათმფლობელთა ზეგავლენა, რომელთაც იმპერატორს მხარდაჭერაზე უარი უთხრეს.

კარლოს V ისეთ ძალას დაეჯახა, რომლის უგულვებელყოფაც არ შეიძლებოდა, თვალი აეხილა და ყველაფერი პაპს დააბრალა. წმინდა მამა კი რას დაიბრალებდა! როგორ გეკადრებათ, ყველაფერი თქვენი ბრალია, სუსტი ხართ და ბეცია, — თავისებურად ქედმაღლურად შეუტია იმპერატორს. ასე აგინებდა ორი ავაზაკი ერთიმეორეს, ვიდრე მათ შორის ისევ განხეთქილება არ ჩამოვარდა.

ამასობაში ფრანცისკ I, ფრანგთა განათლებული, დახვეწილი და თანაც სასტიკი მეფე, ლუვრის ამშენებელი, რომელსაც თავის საყვარელ ანას სიამოვნება ყოველწლიურად ოცი მილიონი უჯდებოდა, გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ამ განხეთქილების ყოველ საფეხურს. პაპის შემწეობით უნდოდა ეძლია თავისი ძველი მტერი—კარლოს V, რომელმაც 1525 წელს პავიასთან დაამარცხა, ტყვედ ჩაიგდო და ესპანეთში ჩაიყვანა, რომელიმე უბრალო მებატონესავით. ძირითადად ამ მოსაზრებით ცდილობდა ფრანცისკი პაპთან დაახლოებას, ახლაც იმპერატორთან მისი განხეთქილებით ისარგებლა, ძმისწულის — ეკატერინე მედიჩის ხელი სთხოვა თავისი შვილის ჰენრიხის — ორლეანის ჰერცოგისათვის.

ფრანგთა მეფის წინადადება წმინდა მამის ყოველგვარ პატივმოყვარულ მოლოდინს აღემატებოდა: კავშირი განამტკიცებდა პაპის მდგომარეობას, საფრანგეთის სახით მოკავშირეს შესძენდა კარლოს V_ წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფრანცისკისა და პაპის დანათესავებით უკმაყოფილო კარლოსმა შურისძიების ჟინი გულში ჩაიკლა, თავისი მდგომარეობის სიმძიმეს ჩაუფიქრდა და გერმანიის პროტესტანტ მთავრებთან ურთიერთობის გამოსწორებას შეუდგა. ახალი დეკრეტი გამოსცა, ნაფურთხი ალოკა, ყველა რელიგიური პროცესი შეაჩერა და პროტესტანტებს ღვთისმსახურების სრული თავისუფლება მისცა ახალი ყრილობის მოწვევამდე..

ასეთმა მძიმე დარტყმამ პატივმოყვარე პაპის მთელი სიხარული ქარს გაატანა. ღვარძლიანმა მედიჩემ მაშინვე შეაფასა შექმნილი მდგომარეობა: კარლოსის ახალი დეკრეტი მძიმე არჩევანის წინაშე აყენებდა. ან გერმანიის ეკლესიების დამოუკიდებლობა უნდა ეცნო,

ან საფრანგეთთან კავშირზე უარი ეთქვა და დამორჩილებოდა ყრილობის ნებას, რადგან მხოლოდ ყრილობას შეეძლო რეფორმის გატარება და მისი შესრულების მოთხოვნა.

მაგრამ ფიქრისათვის პაპს ცოტა დრო რჩებოდა: ფრანგთა დოფინის და ეკატერინე მედიჩის ქორწილი უკვე დანიშნული იყო. პაპმაც გულისგამაწვრილებელ დარდებს ზურგი აქცია და მხიარული მოგზაურობისათვის გაემზადა.

საპატარძლო მხოლოდ თოთხმეტი წლისა იყო, მაგრამ მისი მანკიერება და „მედიჩური" გარყვნილების ამბავი მთელს იტალიაში იყო მოდებული. თავისი ქარაფშუტული აღვირახსნილობით ეს თოთხმეტი წლის მეძავი გამობრძმედილ როსკიპებს ტოლს არ უდებდა.

ფრანცისკ I და ჰენრიხი მთელი კარის თანხლებით გამოვიდნენ მარსელში პაპისა და მისი ძმისწულის შესახვედრად. პაპი მოუცლელობის საბაბით საფრანგეთში დიდი ხნით დარჩენაზე უარს აცხადებდა და მოითხოვდა დაუყოვნებლივ მოეწყოთ ქორწილი. ეკატერინეს კი არ ეჩქარებოდა. ჯერ კიდევ ყმაწვილმა ქალმა უკვე მოასწრო ყველაფრის ხილვა,რასაც წუთისოფელი იძლევა. სინამდვილეში პაპის აჩქარების მიზეზიც ეს გახლდათ: არაფერი იმედი არ ჰქონდა, რომ მისი გახრწნილი ძმისწული ერთბაშად არ შეაძაგებდა თავს უფლისწულს და უარს არ ათქმევინებდა მის შერთვაზე.

ბრანტომი, ისტორიკოსი და ანეგდოტების შემგროვებელი, რამდენიმე პიკანტურ ეპიზოდს მოგვითხრობს, დაკავშირებულს კლიმენტი VII საფრანგეთში ყოფნასთან. ერთ მათგანს, რაც იმ დროის ზნეობას გამოხატავს, აქვე დავიმოწმებთ.

რამდენიმე მანდილოსანმა თურმე თხოვნით მიმართა ალბანის ჰერცოგს, პაპის კურიის გავლენიან კარისკაცს, მარხვაში ხორცის მიღების ნება მოგვეციო. ჰერცოგმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ქალბატონების თხოვნა სწორედ ვერ გაიგო, ყველანი მის უწმინდესობას მიჰგვარა და უთხრა: „უწმინდესო მამავ, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ სამი ახალგაზრდა ქალბატონი, რომლებიც მთხოვენ არ მოვაკლო ხორციელ სიამოვნებას მარხვის დღეებში".

კლიმენტი VII მაშინვე ზეზე წამოდგა, ლამაზებს ლოყები დაუკოცნა, გაიცინა და მიუგო: „თქვენი თხოვნა მთლად სულის მარგებელი ვერ არის, მაგრამ მაინც ნებას გაძლევთ სამჯერ კვირაში ხორ-

ციც იგემოთ — ეს სრულიად საკმარისია ისეთი ცოდვისათვის, რომ გორიცაა სიყვარულის ჟინი".

მანდილოსნებმა იწყინეს და მის უწმინდესობას მიახალეს, ჩვენ მხოლოდ ხორცის ჭამა გვინდოდა, სხვა არაფერი გვიფიქრიაო. პაპმა დიდხანს იცინა, მერე მოეფერა და გაუშვა.

კლიმენტის საშური საქმეები დაავიწყდა, მარსელში ერთობოდა და იტალიაში დაბრუნებას არ ფიქრობდა, ვიდრე არ დაამთავრა მოლაპარაკება ფრანცისკ პირველთან რეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. ადრე რომ კარლოსს აღვრევინა ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი, ახლა მისი მტერი ფრანცისკი დაიყოლია, რომ ლუთერანების წინააღმდეგ ინკვიზიციის სასამართლო აღედგინა. ინკვიზიცია კი ცნობილია, რა საქმეთა მქმნელია: თავისი არსებობის პირველ 18 წელს ესპანეთში ას ოთხი ათასი „ერეტიკოსი" დასაჯეს, მათგან 8 800 კოცონზე დაწვეს. ახალმა მოკავშირეებმა იმის თაობაზეც მოითათბირეს, რა გზით დაესუსტებინათ კარლოს V. ბოლოს, მდიდრული საჩუქრები რომ მიიღო და გზის ხარჯების დასაფარავად ბლომად ფული ჩაიბარა, ეს მარადიული მუქთახორა გულდამშვიდებით გაემართა იტალიაში, დარწმუნებული, რომ ფრანგთა მეფე ერეტიკოსების სინსილას გაწყვეტდა.

რომში ჩასულმა უეცრად საშინელი ტკივილები იგრძნო მუცელში — პაპთა ჩვეულებრივი სატკივარი — და მალე სულიც განუტევა. ზოგიერთი ისტორიკოსი ამტკიცებს, კარდინალებმა მოწამლესო. ასეთი ვერსია სრულიად დამაჯერებელია.

სინდისი აუქციონზე

● კარდინალმა ალექსანდრე ფარნეზემ, რომელიც არ დაელოდა კლიმენტი მეშვიდის გარდაცვალებას, დროზე იზრუნა იმისათვისაც, რომ ტახტი დაესაკუთრებინა. უზარმაზარი შეძლების პატრონმა წმინდა კოლეგიის ყველა ხმა იყიდა, და როცა კონკლავი შეიკრიბა, დარწმუნებული იყო, რომ მისი კანდიდატურა არავითარ აზრთა სხვადასხვაობას არ გამოიწვევდა. მაგრამ შეცდა. ხუთმა კარდინალმა, რომელთაც სრული იმედი ჰქონდათ, რომ კარლოს V მეტს გადა-

იხდიდა, ინტრიგების ქსელი გაბა ალექსანდრეს წინააღმდეგ. უნდა ვაღიაროთ, რომ ამჯერად მოციქულის ტახტის მაძიებლის წინააღმ-დეგ წამოყენებული ბრალდებანი სრულ სიმართლეს შეადგენდნენ. ფარნეზეს ბრალს სდებდნენ მრავალ დანაშაულში, რაც შვილთან ერთად ჰქონდა ჩადენილი, უზნეო ორგიებში, მაგიითა და ასტრო-ლოგიით გატაცებაში, სწამებდნენ აგრეთვე ნეკრომანტიის — მიცვა-ლებულთა გამოწვევის გზით — მკითხაობას. არც ერთი ღმერთი არა სწამს და კიდევაც ტრაბახობს თავის ურწმუნოებითო.

არც კარდინალის ღორმუცლობას ივიწყებდნენ. მართლაც, სმი-თა და ჭამით რომ გატყვრებოდა, ძველ რომაელთა წესისამებრ ხე-ლოვნურ ღებინებას იწვევდა, რომ ქეიფი თავიდან დაეწყო.

კარდინალებმა გაავრცელეს აგრეთვე მრავალი პამფლეტი, რომ-ლებშიაც ამტკიცებდნენ ფარნეზეს უზნეო და უგვანო კავშირს სა-კუთარ ასულთან და დასთან, აგრეთვე ხუთი დიდებულის მოკვლას მხოლოდ იმისათვის, რომ ამ გახრწნილ მეძავთა ალერსში ეცილე-ბოდნენ.

ყოველივე ამის მიუხედავად ალექსანდრე ფარნეზე, ღვიძლი ასულისა და დის გამხრწნელი, პაპად აირჩიეს. ზნედაცემულმა მკვლელმა და არამზადამ მაინც მოახერხა წმინდა კოლეგიის წევრ-თა გადაბირება, ისეთ განუზომელ წყალობას დაჰპირდა. კარდინალის აგენტები წარმოუდგენელ ხრიკებს მიმართავდნენ. მოაგონებდნენ ფარნეზეს ასაკს: სამოცდაექვსი წლისაა, ავადმყოფი კაცია, და მარ-ტო ამისათვის ღირს მისი არჩევა, რადგან მემკვიდრის არჩევაც მა-ლე მოგიხდებათო.

ასეთი მოსაზრება მართლაც ანგარიშგასაწევი იყო და მოწინააღ-მდეგეებმა ყოყმანი დაიწყეს. მაგრამ საბოლოო გამარჯვება მაინც შორს იყო. მაშინ კარდინალის აგენტებმა გადამწყვეტი დარტყმა მო-ამზადეს: ორ პრელატს მიმართეს შემდეგი სიტყვებით: „კარდინალ ფარნაზეს დიდებული სასახლეები აქვს. შეუძლია დაგითმოთ ოთხი მათგანი — თითოს ორი შეგხვდებათ! შეხედეთ: დიდებული ავეჯი, მოოქროვილი ჭურჭელი და ყველაფერი სხვა ადგილზე დარჩება“.

ამას რომ ისმენ, არც გაგიკვირდება, რისთვის იკლავდნენ თავს ეს ღორები კარდინალის ქუდისა და პაპის ტიარისათვის! პრელატე-ბი ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, მაგრამ ასეთმა წინადადებამ მათი კერ-პობა მაინც გატეხა. ბოლოს და ბოლოს, ორმოცდაათი ათასმა დუ-

კატმა ეს წინააღმდეგობაც გადალახა. ეგზომ სარწმუნო საბუთებმა ფარნეზეს ერთგულ მიმდევრებად აქცია კარდინალები, რომლებიც წინა დღეებში მათ ბრალს სდებდნენ უღმერთობაში, სოდომიაში, სისხლის აღრევასა და მკვლელობაში.

ჯიუტმა პრელატებმა სხვებიც დაარწმუნეს, ამ ოხერს მივცეთო ხმა. ამგვარად, ალექსანდრე ფარნეზე ერთხმად იქნა არჩეული და ტახტზე ავიდა პავლე III სახელწოდებით.

პავლე III
და მისი ოჯახი

● პავლე III ერთ-ერთი ყველაზე უფრო გახრწნილ პაპთაგანი იყო, როგორიც კვ მოციქულის ტახტს უხილავს. კოლექცია შეივსო ახალი ურჩხულით. ეს ტახტი თითქოს მორიელების ბუდე იყო.

ახალ პაპს დაქირავებულ მკვლელთა მთელი ბანდა ჰყავდა. საკმარისი იყო ესურვა და ყოველი ვერაგული ზრახვა ხორცს ისხამდა. პაპისა და მისი ნაბიჭვრის პიერ-ლუიჯი ფარნეზესათვის საგანგებო მიმწოდებლებს რომში ძალითა თუ გაიძვერობით მოჰყავდათ ულამაზესი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც მერე ტიბრში ყრიდნენ.

ვიწრო წრეში პავლე III თავისი ათეიზმით ტრაბახობდა. ჩვეულებრივი ადამიანი შეიძლება ამაყობდეს, რომ ასეთ დასკვნამდე მივიდა. ქრისტიანული ეკლესიის მეთაური კი ამით მხოლოდ თავის ფარისევლობას ამტკიცებდა. მაგრამ, ღმერთის არსებობას რომ უარყოფდა, პაპი ბრმად უჯერებდა ასტროლოგებს. ყოველნაირ, თუნდაც უმნიშვნელო გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ იღებდა, რაც ვარსკვლავთა განლაგებას გაარკვევდა. ბიბლიურ ისრაელთა ისტორია მეორდებოდა.

ისევე, როგორ ლევ X, ალექსანდრე VI, სიქსტ IV და მრავალი სხვა პაპი, პავლე III გარეული მხეცის გამძვინვარებით ზრუნავდა თავისი ნაშიერებისათვის, ოჯახის წევრებისათვის: ნათესავებსა და უკანონო შვილებს უზარმაზარ ფულად საჩუქრებს ურიგებდა, უდიდესი წყალობით ავსებდა. განსაკუთრებულ წყალობას. — ცხადია,

ხალხის ხარჯზე! — თავისი ბუშის პიერ-ლუიჯისათვის იზოგავდა, თავისი შვილისა და ფავორიტისათვის, რომელსაც არც სუფრაზე იშორებდა, არც ტახტზე და არც ლოგინში.

მეორე შვილს, თექვსმეტი წლის გვიდოს, კარდინალობა უბოძა ან რად გვიკვირს, ორმაგად რომ უყვარდა, ორმაგად ხათისავი? ეს ბილწი გვიდო პაპს საკუთარმა ასულმა კონსტანციამ აჩუქა, ასე რომ ერთდროულად მოხვდებოდა შვილად და შვილიშვილად, რასაც შეიძლება ბიოლოგიური სასწაული და ანთროპოლოგიური სენსაციაც ეწოდოს. შემდეგ ეს გვიდო გახდა საკუთარი დედის — იმავე დროს საკუთარი დის — საყვარელი...

ნაზად უყვარდა პავლე მესამეს ალექსანდრე ფარნეზე. თავის მოსახელე, შვილიშვილი, ხსენებულ პიერ-ლუიჯის ვაჟი. თოთხმეტი წლისაც არ იყო, როცა საეკლესიო წოდებები და მყვირალა ტიტულები უბოძეს.

პაპის სკანდალურმა დანიშნულებამ თვითონ წმინდა კოლეგიის წევრებიც აღაშფოთა. მაგრამ კარდინალებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, ყმაწვილები მაღალ საეკლესიო ვალდებულებებს ვერ მეასრულებენო, პაპი ცინიკურ პასუხს აძლევდა: „მე საკმაო გამოცდილება მაქვს, რომ ვასწავლო ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ არ იციანო". ვინ იცის, რას არ ასწავლიდა!

თანამდებობათა უმრავლესობის ბოძება კონსტანციას მითითებით ხდებოდა. ეს აწალი ლუკრეცია თავის საყვარლებს უხვად ასაჩუქრებდა იმით, რაც ეკლესიის სიწმინდედ ითვლებოდა. რომსა და საქრისტიანოს ერთხელ კიდევ დაეპატრონა დედაკაცი.

ერთხელ წმინდა მამამ ასულისა და საყვარლის თაუკითხავად დანიშნა შვიდი კარდინალი, რომელთაგანაც უმცროსი ორმოცდაათ წელს გადაცილებული იყო. კონსტანციამ მწარე წუწუნი მორთო და ორმაგი მამა საყვედურებით აავსო, მაგრამ პავლე III ყრუ იყო, მხოლოდ ეს უპასუხა ქალს: „ამჯერად საქმის ინტერესები ვამჯობინე შენს პირად სიამოვნებას. მე აუცილებლად უნდა დავამხო რეფორმაცია, საამისოდ კი უნარიანი და განათლებული ადამიანების დახმარება მჭირდება".

მართლაც, ეკლესიის მდგომარეობა სავალალო იყო და ენერგიულ ჩარევას მოითხოვდა. ლუთერანელთა საეკლესიო ზეგავლენა პოლიტიკურში გადავიდა. თვითონ ფრანცისკ I ცდილობდა მათთან

კავშირის დამყარებას, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა, რომ თვითონ საფრანგეთში რეფორმატორების დევნა განეგრძო.

პროტესტანტებთან ბრძოლაში გახრწნილი პაპი სულ სხვა, წინამორბედისაგან განსხვავებულ მეთოდებს მიმართავდა. ძალის წინაშე უპირატესობას ეშმაკობას ანიჭებდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველა რელიგიული საკითხის გადაჭრა მსოფლიო კრებისათვის უნდა მიენდო. მართლაც, ყველა ევროპული სახელმწიფოს ელჩების მონაწილეობით მოიწვია წმინდა კოლეგიის სხდომა და ამ სხდომაზე განაცხადა: უწესრიგობა ქრისტიანულ სამყაროში ძალიან მაწუხებს და განზრახული მაქვს უახლოეს ხანში მსოფლიო ყრილობა მოვიწვიო, რომ თანხმობას მივაღწიოთო. თარიღიც კი გამოცხადდა — 1534 წლის 16 ოქტომბერი. პავლე III ის კარდინალებიც კი დაასახელა, რომელთაც დავალებული ჰქონდათ წინასწარ იმ საკითხების დამუშავება, რომლებიც საეკლესიო კრებაზე უნდა გაეტანათ. ბოლოს პაპმა პრელატებს მკაცრი სიტყვით მიმართა, გააფრთხილა, გამოსწორდით და თქვენი საქციელით ქრისტიანთა გულისწყრომას ნუ იმსახურებთო.

ყოველივე ეს უსირცხვილო კომედია იყო. წმინდა მამა ასეთი თაღლითური ხერხით ლამობდა მომავალი კრების გადმობირებას.

ყრილობის გახსნისათვის პაპმა შეუპოვარი საქმიანობა გააჩაღა: ლუთერის გადაბირება სცადა რომის კურიის მხარეზე. რეფორმატორს ბრწყინვალე თანამდებობებს სთავაზობდნენ, მაგრამ ახლოს არავინ გაიკარა. ეს კაცი პაპის კოლეგიის წევრებივით არ იყიდებოდა. პავლემ ასეთივე მარცხი განიცადა კარდინალთა კოლეგიაში, თუმცა თავისი პარტის ერთგული ადამიანები შეარჩია.

პავლე III ფიქრობდა, რომ კომისიის მოხსენება გააბათილებდა მოწინააღმდეგის არგუმენტებს. მაგრამ როცა ფართო მოხსენება შედგა, იმის ნაცვლად, რომ მღვდელმთავრისათვის მიეცათ, კარდინალებმა გადაბეჭდეს და სცადეს მისი გავრცელება არა მარტო სამღვდელოებაში, არამედ პროტესტანტების ბელადებს შორისაც. კარგად იცოდნენ, რომ თუ მათი მოხსენება პირველად პაპის ხელში მოხვდებოდა, ვეღარასოდეს ვერ იხილავდა დღის სინათლეს.

კარდინალთა დასკვნები მართლაც რომის ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. მსჯელობის სიმკაცრემ საყოველთაო გაოცე-

ზა გამოიწვია. კარდინალებისაგან არავინ არ ელოდა კათოლიკური ეკლესიის ზნეობის გმობას. პრელატები გაბედულად გამოვიდნენ სამღვდელოების ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, პაპის აბსოლუტური ძალაუფლების წინააღმდეგ ადამიანის გონებაზე და სინდისზე, ბრალს სდებდნენ მღვდელმთავრებს, რომლებიც თვითნებურად ხსნიდნენ ქრისტიანობის ძირითად დოგმებს, არღვევდნენ საზარების ძველ ტრადიციებს. ისინი თავს დაატყდნენ რომის სამღვდელოების უმეცრებასა და გახრწნილებას, ინდულგენციებით ვაჭრობას, პაპი სასახლის შტატის ფანტასტიკურ გაბერილობას, ორმოცდაათი ათასი კაცისაგან რომ შედგებოდა, პრელატთა მახინჯ წესს, რომ მონაზონთა ჰარამხანები გაემართათ, კარდინალთა საზიზღარ ჩვეულებას, რომ თავიანთ სასახლეებში ლამაზი ყმაწვილები — ვითომ პაჟები — ჰყოლოდათ, და ა. შ.

ძლივს კარდინალებმა ჭეშმარიტების მხარე დაიჭირეს!

მოხსენების გამოქვეყნებამ პავლე III გააცოფა. კარდინალები შეურაცხყოფისა და მუქარის სიტყვებით აიკლო, ბრძანა დაუყოვნებლივ შეეწყვიტა კომისიას მუშაობა.

ამ შეცდომისათვის მწარედ ინანა. რეფორმატორებმა პაპის ვერაგობა იგრძნეს და ყრილობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

მისმა უწმინდესობამ მაინც გადაწყვიტა ყრილობის მოწვევა. ადგილად მანტუა ამოირჩიეს. მაგრამ მისი გახსნის ვადა გადაიდო. 1534 წლის ოქტომბრის ნაცვლად 1535 წლის 23 მაისს დაინიშნა.

დროის ამ შუალედში დასავლეთ ევროპაში კალვინის სახით ახალი რეფორმატორი გამოჩნდა. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ლუთერის გარდა კიდევ ერთი მრისხანე მტერი შეიძინა.

როცა ყრილობის დღე დადგა, მანტუის ჰერცოგმა ფრანცისკ I ჩაგონებით პაპს განუცხადა, ჩემს ქალაქში ყრილობის გახსნის უფლებას არ გაძლევთო. ესეც მაგარი ორიგინალური კაკალი იყო, რაც ოდესმე პაპისათვის შეუთავაზებიათ. არავითარმა ხვეწნამ არ გაჭრა, და პაპს ისევ მოუხდა ყრილობის გადადება 1538 წლის 31 მაისისათვის, ამჯერად ვინჩენცაში. უკვე ყრილობის არდაშვება და გადადება ძლიერ არყევდა რომის ავტორიტეტს და პირველად ვერაგი პაპის პრესტიჟს.

მღვდელმთავარს მარცხზე მარცხი მოსდიოდა. პაპებისათვის უჩვეულოდ დიდხანს ებრძანებლობდა —თითქმის თხუთმეტი წლის მან-

ძილზე, და მრავალი მძიმე ფიასკო იგემა ამ ხნის განმავლობაში. ახლაც ინგლისის მეფემ, რომელიც გერმანელი ლუთერანების მხარეზე დადგა, თავის ქვეშევრდომებს ყრილობაში მონაწილეობის მიღება აუკრძალა. ამიტომ პავლე იძულებული გახდა ისევ გადაედო საეკლესიო კრება განუსაზღვრელი ვადით. ისე გამოდიოდა რომ პაპი ვეღარ იწვევდა ყრილობას. ყოველივე ეს იკმარებდა იმისათვის, რომ გული გაეხეთქა და სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო პაპი, მაგრამ აქ მოხდა ერთი მოვლენა, რომლის წყალობითაც პავლემ გული გაიკეთა და იმედით შეხედა მომავალს.

1534 წლის შავად მოსაგონებლად იგნატი ლოიოლამ შექმნა საზოგადოება, რომელიც თანდათანობით იქცა საზარელ ძალად და რამაც განუზომელი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. ეს იყო იეზუიტების ორდენი.

იეზუიტი—იესო ქრისტესრაინდი—თავიდანვე მოწოდებული იყო შეემუსრა, ყველა ღონისძიებით მოესპო პაპისა და იმ ღმერთის მოწინააღმდეგე, რომლის სახელსაც მისი ორდენი ატარებს.*

რელიგიური მორალი მოქმედებაში

❁ პავლე III და იგნატი ლოიოლას საიდუმლო თათბირის შემდეგ ტრიდენტის კრება მოიწვიეს. ამასობაში იეზუიტებმა, რომლებიც ბა-

---

* იგნატი, დონ-ინიგო-ლოპეც დე-რეკალდო ლოიოლა, ჩამომავლობით ბასკი, უძველეს ესპანელ დიდებულთა შთამომავალი, თავის მშობელთა მეცამეტე შვილი, თავიდანვე ნებისყოფის სიმტკიცით განირჩეოდა, ყველაფერში პირველობას იჩემებდა, მანდილოსანთა შორისაც მხოლოდ პრინცის სისხლის რჩეულებს ეძებდა. 1521 წელს ფრანგებთან ბრძოლაში ორივე ფეხში მძიმედ დაიჭრა. ოპერაციის შემდეგ ფეხი დაუმოკლდა. მაშინ ქირურგებს უბრძანა კვლავ გადაეტეხათ, და რკინის სიმტკიცით გაუძლო ჯოჯოხეთურ ოპერაციას. მაინც დაკოჭლდა. რაინდად გამოუსადეგარმა ფარ-ხმალი ღვთისმშობლის სურათის წინ დაკიდა, იერუსალიმი მოიარა, და კათოლიკური სარწმუნოების ფანატიკურად ერთგულმა, პაპის თაყვანისმცემელმა სასტიკი ასკეტური პრინციპით შექმნა ორდენი, რომლის წევრებიც უნდა ქცეულიყვნენ ცოცხალ ავტომატებად, პაპის. უურმოკრილ მონებად, რომელთა სულსა და გულში ყოველივე ადამიანური ჩამკვდარია. ასე შეიქმნა იეზუიტების ჯოჯოხეთური საზოგადოება, რომლის წევრთა რიცხვი დღესაც კი ორმოცი ათასს უახლოვდება.

ცილებივით გაუჯდნენ მთელ ევროპას, ნიადაგს ამზადებდნენ იმისა-თვის, რომ პაპის მომხრეთა ძლიერი პარტია შეეკრათ.

რაოდენ ულმობელნი და გაქნილნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ახალი ორდენების წევრები, მათ ჯერ კიდევ არ გააჩნდათ ის მრისხანე-ბარაღი, რაც მოგვიანებით გამოჩნდა, მათი ყველა ღონისძიება პროტესტანტების სიმტკიცისა და კათოლიკეთა გულგრილობის კედლებზე იმსხვრეოდა.

დანიშნულ დღეს ყრილობის სხდომაზე არავინ არ გამოცხადებულა. მთელი თვის განმავლობაში პაპის მოწოდებას მხოლოდ ოთხი ეპისკოპოსი გამოეხმაურა; ოთხი კაცი მსოფლიო სამღვდელოების წარმომადგენლებად ვერ გამოდგებოდა.

მაგრამ პაპი რისი პაპი იქნებოდა, რომ ასეთ მარცხს მისთვის გული გაეტეხა! დაუღალავად განაგრძო თავის ერთგულ პრელატებზე ზემოქმედება და იმდენი მოახერხა, რომ ტრიდენტში ჩამოვიდა ოთხი მიტროპოლიტი, ერთი კარდინალი, ექვსი ეპისკოპოსი და სხვადასხვა ორდენთა ხუთი გენერალი. თექვსმეტი-ოცი კაცი მსოფლიო ყრილობისათვის არც ისე ბევრია, მაგრამ ვინც იყო, ყველა რომის კურიის ერთგული იყო და პაპმა შესაძლებლად ჩათვალა კრების გახსნა, მისი გაძღოლა თავის ლეგატებს დაავალა და რამდენიმე იეზუტიც მიაშველა.

პირველსავე სხდომაზე წამოიჭრა საჩოთირო საკითხი: ქვეყნების მიხედვით იქნება კენჭის ყრა თუ პერსონალურადო. არც ყრილობის დღის წესრიგი იყო გარკვევით ცნობილი.

ყრილობამ ინსტრუქციებისათვის დეპუტატები გაუგზავნა პაპს, რომელიც რომში დარჩა. როცა დელეგატები რომში ჩავიდნენ, მღვდელმთავარს თათბირი ჰქონდა ეთიოპიის მეფის ელჩთან. მეფეს კათოლიკობა მიეღო და მისიონერების გაგზავნას მოითხოვდა.

პაპი უსმენდა ელჩს და სახე სიხარულით ებადრებოდა. გზას ამცდარი სულები რომ ჭეშმარიტების გზაზე გამოიყვანო, სატანის კერძნი მოწყალე ღმერთს მიჰგვარო-რა უნდა იყოს ქრისტეს შოადგილისათვის ამაზე უფრო სასიამოვნო? შავი მაიმუნები რომ ყვითელ ოქროს ჩაგიჩხრიალებენ, ამას რა ჯობია? პავლე წინასწარ ტკბებოდა ამ ოპერაციიდან მიღებული მოგებით. იესო და წმინდა მტრედი ნაკლებად აწუხებდა, არც ლუციფერის და მისი ქაჯების ხროვის დარ-

დი ჰქონდა, ეშმაკსაც წაუღიათ ყველანი. სამაგიეროდ ეთიოპიის მეფის დაპირება უზარმაზარ მოგებას უქადდა — ეს კი ნამდვილად საჩსიამოვნო იყო!

მომავალი მოგების მოლოდინში გამხიარულებულმა პაპმა იქვე მაღალ ფასებში გაყიდა რამდენიმე ძვალი, ვითომდა რომელიღაც სახელგანთქმული წმინდანის ჩონჩხის ნაწილები. სინამდვილეში კი ანატომიის ყოველი რიგიანი მცოდნე მიხვდებოდა, რომ ეს ძვლები უახლოეს საყასბოდან მოატანინა, და ძვალი ხორცზე ძვირად დააფასა! შემდეგ პაპი ელჩს დაპპირდა, მეფის თხოვნას შეავასრულებ, რამდენიმე ცალ იეზუიტს გამოგიგზავნიო მეფისა და ხალხის შემწედ.

სასიამოვნო საუბარი რომ დაამთავრა, პაპმა ყრილობის დეპუტატები მიიღო. მათს კითხვაზე უპასუხა, ხმები პერსონალურად დათვალეთო. პავლე მესამეს, ცხადია, ესმოდა, რომ ყრილობის მონაწილეების ცალცალკე დამუშავება უფრო იოლი იქნებოდა. გარდა ამისა, პაპმა მოითხოვა ყველა საკითხის განხილვა პირველად საიდუმლო თათბირზე-და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანა საჯაროდ გასაცნობად. პაპმა იცოდა ყველა ხრიკი და ხვრელი, კარგად ახსოვდა კარდინალთა კომისიის მოხსენება თავისი პონტიფიკატის დასაწყისში და მეორედ რისკის გაწევას აღარ აპირებდა.

პავლემ კატეგორიულად აკრძალა პაპის უცოდველობის დოგმის წამოჭრა, ახლა ამისი დრო არ იყო. საკუთარი ქალიშვილისაგან რომ შვილი ჰყავდა, ასეთ პაპს, ღმერთის თუ არა, ადამიანების შიში მაინც უნდა ჰქონოდა! არც კონსტიტუციის გადამუშავების, სასულიერო წოდების ზნისა და წესების საკითხებს უნდა შეხებოდნენ, წინასწარ პაპთან შეთანხმების გარეშე.

შემდეგ პავლე მესამემ მოქმედების სრული თავისუფლება მისცა ყრილობას რელიგიის საკითხებში, რაც მას ნაკლებად აღელვებდა. უწინაც არაერთხელ ჰქონდა ნათქვამი: თუ ლუთერანები, ანაბაპტისტები, რეფორმატები და საერთოდ სქიზმატიკოსები მას მღვდელმთავრად აღიარებდნენ, თავის მხრივ თავისუფლებას მისცემდა, რა სარწმუნოებაც არ უნდა ექადაგათ, ცრუ რწმენების ჩათვლით. რა თქმა უნდა, პავლე III პირწავარდნილი არამზადა იყო, მაგრამ სულაც არა ბრიყვი. როგორც ყოველ ობობას ეხერხება ქსელის გაბმა, ისე ყოველ პაპს ჰქონდა გარკვეული პაპური ალღო. ამ ცბიერ

მმართველს იმდსათვისაც ეყო ჭკუა, რომ მიქელანჯელო ვატიკანის მთავარ მხატვრად დაენიშნა.

პავლე III, ყველაფერ ამასთან ერთად, დელეგატებს მიმართავდა მკაცრი მოთხოვნით, რომ ყრილობის მსვლელობაში თავი წესიერად დაეჭირათ, მოეშორებინათ საყვარლები, რომლებიც თან იახლეს ტრიდენტში, როგორც ოდესღაც ახლდათ კონსტანცაში და, საერთოდ, ყველგან.

„უკიდურეს შემთხვევაში, — წერდა პაპი, — მხედველობაში ვიღებთ ადამიანურ სისუსტეს და ნებას გაძლევთ ისარგებლოთ თქვენი ფავორიტი მამაკაცებით". ასეთი რამის წერა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე...

როგორც ხედავთ, საეკლესიო მორალს ყოველთვის შეიძლება შეეწყო და შეეგუო! სადაც ქალის გამოჩენა უხერხულია, მის ადგილს კაცი დაიჭერს, სულ ერთი არ არის?

რამდენიმე დღის შემდეგ პავლემ ყრილობას გაუგზავნა კიდევ ერთი ეპისტოლე, რომელშიაც ურჩევს, რაც შეიძლება გააჭიანურონ თათბირები. იმედი ჰქონდა, რომ სადაცაა მოხდებოდა რაღაც ამბები, ეკლესიისათვის ხელსაყრელი და საყურადღებო. მართლაც, ლუთერის უეცარმა გარდაცვალებამ საოცრად გაამართლა პაპის ვარაუდი.

დამთხვევამ გვიჩვენა, რომ პაპი სულაც არ ყოფილა დამთხვეული. გასაოცარი ის იყო, რომ დიდი გერმანელი რეფორმატორის ჯანმრთელობის მდგომარეობა სულაც არ მოასწავებდა მის უეცარ აღსასრულს. პროტესტანტები იეზუტებს სწამებდნენ, დოქტორი მოწამლეთო, და რაკი ლუთერის ჯანის დამრღვევი მიზეზები აუხსნელი დარჩა, ეს ბრალდება სიმართლეს ჰგავდა. დიდი პროტესტანტი, მგზნებარე აგიტატორი, თავისი ერის დიდი შვილი, 95 თეზისის უკვდავი ავტორი და პაპთა რისხვა 63 წლის ასაკში გარდაიცვალა და მხოლოდ ამით გაახარა პაპის ლაქიები.

თავის მხრივ ლოიოლას მოწაფეებმა ბოროტი ხმები დაყარეს პაპობის მგზნებარე მოწინააღმდეგეზე. იმასაც კი ამბობდნენ, თავი ჩამოიხრჩოო, ეშმაკმა დაახრჩოო; დასაფლავების მეორე დღეს სამარხის გარშემო ცუდი სუნი იდგა, ფისისა და გოგირდისა, და საფლავიდან დიდი ყორანი ამოფრინდაო (ადვილი მოსალოდნელია, რომ ეს იეზუტი ყორანი ყოფილიყო). მთელი მისი მოძღვრება, თავისთავად საგულისხმო და შუა საუკუნეების გენიალურ-გულუბრიყვი-

ლო მოძღვრებათა მსგავსი, აგრეთვე მთელი მისი ცხოვრების ამბავი ყოვლად სულელური მითქმა-მოთქმის საგნად აქციეს (ცოლად რომ მონაზონი ჰყავდა, შვილები ადრე მოუკვდა და ა. შ.). გამოჩნდა პამფლეტები, სადაც სერიოზულად ამტკიცებდნენ, რომ ლუთერი ეშმაკის შვილი იყო (ნამდვილად კი ყველასაგან პატივცემული მაღაროელის შვილი გახლდათ). ამტკიცებდნენ, რომ ორმოცდაათი წლის მშვიდი ცხოვრებისათვის ეშმაკს სული მიჰყიდა, რომ ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების პროფესორი უარყოფდა ღმერთის არსებობას და სულის უკვდავებას... მოკლედ, ლუთერი ფაუსტად აქციეს.

პაპი ხელახლა დაიბადა და გადაწყვიტა სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა რეფორმაციისათვის, რომლის ბელადიც მიწას მიაბარეს. ცხადია, პაპს არ ესმოდა რეფორმაციის არსი, ისევე როგორც თვით ლუთერს არ ესმოდა თავისი გამოსვლების მთელი ისტორიული მნიშვნელობა. პაპმა დაუყოვნებლივ განაახლა მოლაპარაკება თავის მტერმოყვარე კარლოს მეხუთესთან, დაჟინებით მოუწოდებდა პროტესტანტებთან შეიარაღებული ბრძოლისაკენ. ბოლოს და ბოლოს, როგორც ყოველთვის, ორი ტირანი ასეთ საქმეში მაინც შეთანხმდა. პაპი იმპერატორს ჰპირდებოდა ორასი ათას ეკიუს ოქროთი, თავისი ხარჯით თორმეტი ათასი ფეხოსნისა და ხუთასი მხედრის გამოყვანას; კარლოს V კი გაუგზავნიდა თავის არმიას, რათა პაპის ჯარს დახმარებოდა ეკლესიის მტრების განადგურებაში.

მოკავშირები მაშინვე საქმეზე გადავიდნენ. პავლე III გამოაქვეყნა ბულა, რომლითაც კათოლიკებს მოუწოდებდა ცეცხლითა და მახვილით დაეთრგუნათ ქალაქები, სოფლები, დაბები და პატარა დასახლებული ადგილებიც კი, რომლებიც პროტესტანტებს მხარს უჭერდნენ. ერთხელ კიდევ იჩინა თავი რელიგიის მესვეურთა კრეტინიზმმა: გაწყვიტეთ ყველა, ღმერთი გაარჩევს თავისიანებსო! საშინელი სვრემა მზადდებოდა. მაგრამ საბედნიეროდ ამჯერად ასეთ სისხლიან ნადიმს აღსრულება არ ეწერა. პირველსავე შეტაკებაზე საქსონიის საზღვარზე პაპისა და იმპერატორის ლაჩარ ჯალათთა არმია სამარცხვინოდ დამარცხდა და გაიქცა.

წმინდა მამამ ობობას ხერხს მიმართა. მაშინვე გაიწვია თავისი ჯარები, თავის ბუნაგში მიიმალა და იმპერატორს მიანდო იმ ხიფათიდან თავის დაძვრენა, რაშიც თვითონ გაახვია. რეგვენი იმპერატორიც ლამის გაცოფდა, როცა ნახა, რომ პაპმა ერთხელ კიდევ გააბრიყვა.

კიდევ უფრო გაშმაგდა, როცა გაიგო, რომ პავლეს სურს ისარგებლოს იმპერატორის შეყოვნებით და ემზადება ყრილობის გადასატანად ტრიდენტიდან პაპის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში. პროტესტანტების წინააღმდეგ სალაშქროდ რომ მიდიოდა, კარლოსი ცდილობდა მოჩვენებით მაინც შეენარჩუნებინა შეთანხმება პროტესტანტ მთავრებთან, რადგან ესმოდა, რომ რეფორმატების დამარცხების შემთხვევაში კანონიერების დარღვევას დააბრალებდნენ და ყრილობის წევრები პაპის მხარეს აღმოჩნდებოდნენ. ახლა კატეგორიულად მოსთხოვა პაპს, არ გადაეტანა ყრილობა ბოლონიაში. მისმა უწმინდესობამ დამარცხებული იმპერატორის თხოვნას ყურიც არ ათხოვა. მაშინ ტრიდენტში თავისი წარმომადგენლები გაგზავნა და დაავალა, თუ ვინმე გამოვა და ყრილობის გადატანას განიზრახავს, კარდინალს მდინარეში გადაუძახეთო. არც ყრილობის დახურვის ნებას იძლეოდა.

მუქარამ იმოქმედა. ოღონდ პაპს იარაღი არ დაუყრია, მხოლოდ ტაქტიკა გამოიცვალა: მრავალ ქალაქში მოაწყო ყალბი არეულობა, შემდეგ განაცხადა, ყრილობა დასასრულს უახლოვდებაო და მონაწილეებს უბრძანა, დააჩქარეთო თათბირები.

პაპის მუხანათობით აღშფოთებულმა კარლოს V გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა და მისი შვილის პიერ-ლუიჯი ფარნეზის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო. იტალიას ერთი არამზადა დააკლდა.

საყვარელი შვილისა და სარეცლის ბილწი მოზიარის სიკვდილი რომ გაიგო, პაპი სრულიად გაცოფდა, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. რამდენიმე საათის განმავლობაში გადარეული პაპი ყვიროდა, იგინებოდა, ღმერთს გმობდა, ღვთისმშობელს თათხავდა, არც მოციქულებსა და წმინდანებს ინდობდა, სულ კი მისი მახინჯი სიყვარულის, მისი ერთი ნაბიჭვრის გულისთვის! მღვდელმთავარიც ასეთი უნდა! რას იტყოდა ბიბლიის იობი? ასეთ გიჟურ რიალში რომ დასუსტდა და მოეშვა, პაპმა განაცხადა, ქვესკნელის ძალებს გამოვიწვევ, რათა იმპერატორი გავანადგუროო. მართლაც, ქრისტე არ სწამდა, მაგრამ ქვესკნელის ძალები, ეტყობა, თავისიანებად მიაჩნდა. თავის ლაბორატორიაში ჩაიკეტა და იმ საქმეს მიჰყო ხელი, რისთვისაც ერეტიკოსებს წვავდნენ. რამდენიმე დღე გაატარა ალქიმიკოსებს შორის, მემარგეებსა და ვარსკვლავმრიცხველებს ეთათბირებოდა. მაგრამ მთელი მისი ქვესკნელი და ზესკნელი უძლური აღ-

მოჩნდა იმისათვის, რომ კარლოსს თუნდაც მუცლის მცირეოდენი ტკივილი ეგრძნო.

პავლე III დარწმუნდა, რომ ეშმაკს არ სურს დახმარება გაუწიოს რომის პაპს, ამიტომ ისევ თვითონ გადაწყვიტა იმპერატორისათვის პირადად მიეზღო სამაგიერო. დუელში გამოიწვია! აქ კი სრულიად ორიგინალური აღმოჩნდა. პაპი და დუელი! ასე შესთავაზა: გინდა ცხენით, გინდა ფეხით, გინდა ხმლით და გინდა დაშნებითო — იარაღის არჩევა მტერს მიანდო. პავლეს ამ დროს 80 უკაკუნებდა, კარლოსი 50 წლისაც არ იყო. იმპერატორმა გაგიჟებული პაპის წინადადება სასაცილოდ აიგდო და ამით ერთი კეთილი საქმე მაინც მოახდინა სიკვდილამდე.

როცა შვილის დაკარგვით გამოწვეული დარდი დაცხრა, პაპმა მთელი თავისი ზრუნვა და ფიქრი შვილიშვილზე — ოქტავიოზე გადაიტანა. მაგრამ მარცხიან პაპს აქაც მძიმე იმედგაცრუება ელოდა. შვილებისა და შვილიშვილებისათვის ზრუნვაში წელმოწყვეტილ ბერიკაცს, რომელსაც მათთვის ხელმწიფობა უნდოდა, ღორული უმადურობის მეტი არაფერი უნახავს თავისი ამ უკანონო ნაშიერებისაგან, რომელთაც ქალაქები და სამთავროები დაურიგა. ეი, აჩუქა ოქტავიო ფარნეზეს პარმის საჰერციგო, დამატებით პაპის ჯარების სარდლობაც მიანდო. ეს ჯარები ახლა შეუპოვრად ებრძოდნენ ფერდინანდ გონზაგოს, რომელმაც კარლოს მეხუთის დახმარებით პიაჩენცა დაიპყრო. წმინდა მამა საკმაოდ შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო, მალე დარწმუნდა, რომ მისი შვილიშვილი ერთობ დუხჭირი სარდალია, შეეშინდა, რომ იმპერიის არმია მის შვილიშვილს სამემკვიდროს წაართმევს, ამიტომ ოქტავიო უკან გაიწვია და ჯარის სარდლად დანიშნა კამილა ორსინი-პაპის კურიის ჯართა გონფოლიერი.

ოქტავიო კი უნიჭოსთან ერთად რეგვენიც აღმოჩნდა, ძლიერ ნაწყენი დარჩა, თუმცა პაპი ყოველნაირ პატივს დაჰპირდა. რომში გაწვევა პაპის წყრომის ნიშნად ჩათვალა, მტერთან მოლაპარაკება გამართა და თავისი პაპის — რომის პაპის წინააღმდეგ გაილაშქრა. მხოლოდ თავისიანებს სწყალობდა მღვდელმთავარი, და მათაც უმუხთლეს!

როგორც კი ოქტავიოს ღალატი გაიგო, ოთხმოც წელს გადაცილებულ ბერიკაცს მეტიც არ უნდოდა. წვეთი ჩაექცა. ერთი საათის შემდეგ გონს მოვიდა, მაგრამ მაღლე მეორე დარტყმა მიიღო. პაპმა

აღსასრულის მოახლოება იგრძნო, მაგრამ ვიდრე სულს დალევდა, მაინც მოასწრო თავისი განუსაზღვრელი სიყვარულის დამტკიცება ბადიშის მიმართ და ხელი მოაწერა ბულას, რითაც მოღალატე შვილიშვილს პარმის გვირგვინს უმტკიცებდა.

ერთი ქალი ორ კაცზე

✪ პავლე III, წმინდა კოლეგიას რომ თავისი შვილებითა და შვილიშვილებით ავსებდა, ამით მარტო თავის მომხრეთა რიცხვის გაზრდა კი არ უნდოდა. პაპის პატივმოყვარული ზრახვები ბევრად უფრო შორს იყო გამიზნული: ის ოცნებობდა მოციქულის ტახტზე ფარნეზეს დინასტიის განმტკიცებაზე.

მის ზრახვა მხოლოდ ნაწილობრივ ასრულდა. როგორც კი კარდინალები კონკლავზე შეიყარნენ, მაშინვე სამი დაჯგუფება შეიქმნა: იმპერატორის, საფრანგეთის და ფარნეზეს ოჯახისა. ამ უკანასკნელთა სათავეში იდგა კარდინალი ალექსანდრე ფარნეზე. პრელატმა იგრძნო, რომ ვერც ის, ვერც მისი ნათესავები ხმის უმრავლესობას ვერ მიიღებენ: წმინდა კოლეგიამ იცოდა, ამ გვარს რომ იმპერატორი კარლოს V ემტერებოდა, და არასოდეს არ წავიდოდა მისი ნების წინააღმდეგ.

მაშინ ალექსანდრემ მარჯვე სვლა გააკეთა და კარდინალ დელ მონტეს დაუჭირა მხარი. ამ კარდინალზე მას ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა მოპოვებული.

ერთ-ერთი კანდიდატი უკუაგდეს, ლუთერანების თანაგრძნობა დასწამეს. რომში ეჭვი ადამიანებს ჭირხლივით იოლად ედებოდა. ეჭვმიტანილი — დაღუპული იყო. მეორე კარდინალსაც ზურგი აქციეს, ოღონდ უფრო სარწმუნო მოტივებით: არც საყვარლები ჰყავდა, არც საყვარელი მამაკაცები. საერთოდ, სათნოებით გამოირჩეოდა — ყოველ შემთხვევაში, მის შესახებ ასეთი არასახარბიელო ხმა დადიოდა — ასე რომ, არც ერთი ხმა არ მიუღია. რა სასწაულით შიაღწია კარდინალობას ასეთმა წესიერმა კაცმა, ეს კი აღარ ვიცით.

ხმის უმრავლესობით აირჩიეს კარდინალი დელ მონტო. არავითარი საფრთხე არ არსებობდა, რომ ეს მონტო ეკლესიის გარდაქმ-

ნას შეუდგებოდა. ზნეობა ნაკლებ აწუხებდა, უზნეობა — მით უფრო. საერთოდ ეს კაცი სერიოზულ საქმეებზე ფიქრს თავს არიდებდა. მხოლოდ სიამოვნებაზე ფიქრობდა და ყველაფერი დანარჩენი, როგორც იტყვიან, ფეხზე ეკიდა.

ღირსეული პაპი, პავლე მესამის ერთ-ერთი საყვარელი და სანუკვარი ფავორიტი, ტახტზე იულიუს III სახელით ავიდა 1550 წელს და ხუთი წელი განაგებდა საქრისტიანოს. ჩოკი დელ მონტე რომაელი იყო, ხელოსანთა ღარიბი ოჯახიდან გამოსული. ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით მიიწევდა მაღალ იერარქიულ კიბეზე, ვიდრე პაპს ტახტს არ მიაწღია, და ეგზომ დიდი კარიერა, როგორც ბეილი ამბობს, იმის წყალობით გაიკეთა, რომ „ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იყო. ძნელი არ არის იმის გამოცნობა, თუ რა გზით მიაღწია რომის სასახლეში მაღალ მდგომარეობას". ცხადია, არა თავით, არამედ იმით, რისი ხსენებაც წესიერ საზოგადოებაში მიღებული არაა.

იულიუს III იმდენადვე ცინიკოსი იყო, რამდენადაც გახრწნილი. არც კი ფარავდა თავის სოდომურ ვნებას ყმაწვილებთან, რომლებიც ხელზე ემსახურებოდნენ. არაერთხელ წაუსწრეს დანაშაულის ადგილზე, თუმცა ამ კავშირში არავითარ საიდუმლოს არ ხედავდა, რადგან საუცხოოდ იცოდა, რომ სწორედ ასეთი ზნეობრივი თვისებები აახლოვებენ მიზანთან. ჰოდა, ლამის წმინდა კოლეგიის სხდომაზეც მზად იყო, რომ სოდომური ცოდვის დემონსტრაცია მოეხდინა. არც შემცდარა!

ბეილმა იულიუს მესამის უაღრესად მიმზიდველი კორესპონდენცია მოაგროვა — მისი მიწერ-მოწერა ერთ რომაელ კურტიზან ქალთან, წმინდა მამისა და კიდევ ერთი კარდინალის საყვარელთან. ეს ორი კურო არასოდეს არ ყოფილა ერთმანეთის მეტოქე, თუმცა ერთი ქალი უყვარდათ. არა მეტოქე, კი არა, მუდამ ახლო მეგობრებად დარჩნენ. ერთად ზრდიდნენ კურტიზანი ქალის შვილებს, ერთმანეთში ვერ არჩევდნენ, რომელი რომლის იყო, ორივე ერთნაირად ეპატრონებოდა იმ ქალს ორგიებში. არავითარი ცილობა და ქიშპობა არ იყო ამ სამთა კავშირში.

იულიუს III წერილები, ბეილმა რომ გამოაქვეყნა, მეტყველებენ იმ გარყვნილებაზე, რომელთან შედარებითაც ყველაფერი ის, რაც ზემოთ გვითქვამს, უბრალო თამაშად გამოჩნდება. ჩვენ სრულიად

უძლური ვართ, რომ აქ მათი შინაარსი გავიძეოროთ. ან რა საჭიროა? უკვე თქმულითაც ნათელია, რა მორალური ავლადიდების პატრონიც ყოფილა წმინდა იულიუსი.

ორგიები ვატიკანში

● კარლოს მეხუთის საამებლად იულიუს III დათანხმდა, რომ საეკლესიო კრება კვლავ გაეხსნა ტრიენტში,* სადაც მისმა წინამორბედმა დანიშნულ დროზე ადრე დახურა. იულიუსმა იცოდა, როგორ ცდილობდა კარლოსი პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის წონასწორობის დაცვას.

ასეთი ცნობით კმაყოფილმა კარლოსმა პაპს ელჩი გაუგზავნა, მიულოცა და ყრილობის გახსნის თარიღის დაზუსტება სთხოვა. იულიუსმა აღფრთოვანებით მიიღო ელჩი, მაგრამ როცა ყრილობის თარიღი იკითხეს, ენა წაერთვა და გაურკვეველი ლუღლუღი დაიწყო. დაპირება მეტისმეტად ნაჩქარევი მოუვიდა — ასე მოკლე ხანში მაინც არ ფიქრობდა მის ასრულებას. ელჩთან საუბარმა დააღონა — ეს პატივცემული ადამიანი ხომ ასე აფასებდა სიმშვიდესა და სიამტკბილობას!

რაღაც პასუხი მაინც მიკიბ-მოკიბა: აქაო და საფრანგეთის მეფის თანხმობა უნდა მივიღოო, იტალიის სამთავროების მბრძანებელთა კითხვაც მინდაო, და ბოლოს ცბიერი ღიმილით დაუმატა: „ეს რამდენიმე დღეა, რაც მოციქულის ტახტზე ავედით, დამეთანხმებით, ჯერ ეს მოვლენა უნდა ვიზეიმოთ, ვიქეიფოთ, მერე კი საქმეს შევუდგეთ...“

შეხვედრის შემდეგ ელჩმა იმპერატორს მისწერა წერილი, რომელშიაც თავისი აუდიენციის შთაბეჭდილებები გაუზიარა: „...პაპი მზადაა ყოველგვარ დათმობაზე წავიდეს, ოღონდ კი არაფერმა შეაშფოთოს მისი უდარდელი და უზნეო ცხოვრება ვატიკანში“.

„იულიუს III კარზე, — დამატებით მოგვითხრობს ერთი ან-

* ტრიენტი (იტალ. — ტრენტო, ლათ. ტრიდენტუმ) იტალიის ქალაქი სამხრეთ ტიროლში, განთქმული ტრიდენტის საეკლესიო ყრილობით.

გარიშგასაწევი მემატიანე, — დღეები და ღამეები ნადიმებსა და სატურნალიებში გადიოდა. ძალიან ხშირად შუა ნადიმში პაპი, კურტიზანი ქალებითა და კარდინალებით გარემოცული, ტანისამოსს გაიხდიდა და სტუმრებს უბრძანებდა, ჩემს მაგალითს მიჰბაძეთო. შემდეგ თავზე სამასკარადო ჩაჩს დაიხურავდა და ამ უცნაურ ფერხულს გაუძღვებოდა, ვატიკანის ბაღებში ტიტველი დარბოდა, თანაც ცეკვავდა და ურიგო, უწმაწურ სიმღერებს მღეროდა".

იმავე ავტორს შემდეგი ცინიკური შენიშვნა-მოჰყავს, ერთხელ ღამით ამ გიჟური ცეკვის დროს რომ წამოისროლა თურმე: „მომისმინეთ, — მიუბრუნდა კარდინალებს. — რას იზამდა ხალხი, რომ დღისით ხელში სანთლები დაგვეჭირა და ჰიმნების ნაცვლად უწმაწური ლექსები გვემღერა?"

„ჩაგვქოლავდა", მიუგო ერთმა კარდინალმა.

„მაშ თუ აგრეა, — განაცხადა პაპმა, — მაშინ ჩვენს ტანისამოსს უნდა ვუმადლოდეთ, რომ დაძსახურებულ სასჯელს არ ვიღებთ". აჭ რელიგიას გადაჰკრა.

მემატიანე აღნიშნავს, რომ პაპის სიტყვებს ყველა თანხმობით შეხვდა. „ვერაფერი ვერ მოგვცემს სრულ წარმოდგენას იმაზე, რაც იულიუს III კარზე ხდებოდა. - წერს შემდეგ ისტორიკოსი. — მისი უწმინდესობა თითქმის ყოველთვის ნასვამია და ღამეების უმეტეს ნაწილს კურტიზან ქალებში, ყმაწვილებსა და კარდინალებთან ატარებს აღვირახსნილ ორგიებში".

მაიმუნების დარაჯი და შეყვარებული პაპი

● იმ დროს, როცა იულიუს III ეპისკოპოსი იყო ბოლონიაში, თავის სასახლეში დაამკვიდრა ერთი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ხუმრობით უწოდა ინოკენტი — „უცოდველი". ეს ახალგაზრდა კაცი მისი ფავორიტიც იყო და იმავე დროს შეთავსებით მაიმუნების დარაჯიც, ამ მაიმუნებთან კი მომავალ პაპს ბევრი რამ ჰქონდა საერთო. თავისი გულმოდგინებითა და ნაზი მოფერებით ეპისკოპოსის გული ისე მოინადირა, რომ მალე მიიღო უფლება ისე მოქცეულიყო სასახლეში, როგორც საკუთარ სახლში. ახალგაზრდა ოინბაზი ხშირად

მეტისმეტად ბევრსა და ზედმეტს აკეთებდა, მაგრამ როცა მისი ჩაგონებით მაიმუნები ერთბაშად მისცვივდებოდნენ ხოლმე პატივცემულ ეპისკოპოსს, აღტაცებისაგან ცმუკავდა და სიცილით იჭაჭებოდა. მართლაც, ეპისკოპოსი ერთი იყო, ყველას ხომ ვერ გაუსწორდებოდა!

ზოგიერთი მემატიანის ცნობით, ინოკენტი, რომელსაც ოგრეთვე ბურტუჩინოს-მაიმუნს ეძახდნენ, მომავალი პაპის უკანონო შვილი იყო.

იულიუსის ტახტზე ასვლის შემდეგ მისი ბუში, ფავორიტი და სარეცლის მოზიარე ბოლონიაში განაგრძობდა ცხოვრებას. პაპის დაჟინებით თხოვნაზე, რომში ჩამოდიო, ჭაბუკი ჯიუტად პასუხობდა: „ჩამოვალ, როცა კარდინალად დამნიშნავთ. მე ძვირად ვყიდი თავს. გამომიგზავნეთ წითელი ქუდი, არა და ბოლონიაში ვიქნები“.

პირველ ხანებში იულის III ვერ ბედავდა ასეთი საკითხის განსახილავად დასმას, წმინდა კოლეგიის რისხვისა ეშინოდა. თავისი მდგომარეობის განმტკიცებას ელოდა. მაგრამ ერთხელ ღამით შმაგად ატეხილმა ვნებამ გული ისე გაუხურა, რომ განიზრახა კარდინალების გამოცდა: აბა როგორ შეხვდებიან ასეთ იდეასო. მზე უკვე ცის ტატნობს უახლოვდებოდა, საღამოს დაწყებული ნადიმი კი ჩვეულებისამებრ ისევ გრძელდებოდა. პაპი გალეშილი იყო, ორც მისი სტუმრები ფხიზლობდნენ. შეზარხოშებულმა პაპმა კარდინალები გააფრთხილა, არ დაიშალოთო. რაღაც თათბირი მაქვსო, წაილუღლუღა.

პაპი დაგვითვრაო, იფიქრეს კარდინალებმა და ერთმანეთს გაოცებით გადახედეს — გადავათქმევინოთო. მართლაც, თათბირის დრო არ იყო. მაგრამ იულიუსს რა განცდები უტრიალებდა გულში, ვინ რა იცოდა! ახლავე ესაჭიროებოდა სარეცელში კარდინალ-მაიმუნი. ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. ახლავე უნდა მოვიწვიო თათბირიო. კარდინალები დარწმუნდნენ, ვერაფერს გავხდებითო, და სხდომათა დარბაზში ბარბაცით გასწიეს.

ტახტზე რომ დაჯდა, პატივცემული კოლეგებით გარემოცულმა ბერტუჩინოს მფარველმა დაუყოვნებლივ ახსნა ეგზომ საჩქაროდ თათბირის მოწვევის მიზეზი: „მე გთხოვთ ჩემი ბერტუჩინო კარდინალის ქუდითა და ეპისკოპოსის კათედრით დაასაჩუქროთ“.

პატივცემული შემადგენლობის რიგებში აღშფოთების ჩურჩუ-

ლი გაისმა. მაგრამ ღვინომ პაპის სული განამტკიცა. მართალია, ენა ჰღალატობდა, ბორძიკობდა, ძაგრამ არ დაბნეულა. გულმხურვალედ მოჰყვა თავისი საყვარლის ქება-დიდებას, მის განსაცვიფრებელ უნარს, რომ კაცს გაუღვიძოს ახალ-ახალი მწვავე განცდები, რომელთა ჩამოთვლას აქ ვერ ვიკისრებთ. უკანასკნელი არგუმენტის სახით პაპმა წმინდა კოლეგიას შეატყობინა, ჯერ კიდევ ბავშვობაში უწინასწარმეტყველეს ვარსკვლავთმრიცხველებმა ბერტუჩინოს სიმდიდრე და უდიდესი პატივიო. ჰოროსკოპის მიხედვით თურმე ბედი პაპის ტახტსაც კი უქადის იმ მაიმუნსო!

პაპის განცხადებამ კარდინალების გაშმაგებული პროტესტი გამოიწვია. სულ დაავიწყდათ, რომ მთელი ღამე ღრეობდნენ, მრუშობდნენ და მუცელს იტენიდნენ. ისეთი რამე მოისმინეს, რომ კეთილშობილთა საკარდისი აღშფოთება არ დაუფარავთ.

ერთმა ვერ შეიკავა ზნეკეთილი განცდა და განაცხადა, ჩვენს წრეში მაიმუნების დარაჯს ვერ გავაჭაჭანებთო! და ნუთუ მისი უწმინდესობა ფიქრობს, რომ მის მიერ აქ ჩამოთვლილი მანკიერი ღირსებები იმ მაიმუნს უფლებას აძლევენ კარდინალის წოდება ატაროსო?

ბერტუჩინოს აუგად ხსენებამ პაპი მთლიანად გააწიწმატა. ისეთი მამხილებელი სიტყვა თქვა, რომ ნამდვილ ტრიბუნს შეშურდებოდა.

„ქალწულის მუცელს ვფიცავ, ბერტუჩინო კარდინალი გახდება! — მეხივით იუქქა პაპმა. — რა იმისთანა მანკიერებაძ აგაღელვათ, რომ მისი მიღება არ გინდათ წმინდა კოლეგიის წევრად, როდესაც თქვენ თვითონ სამარცხვინო სენს დაუჭამიხართ, გახრწნილების ჭაობში ჩაფლულხართ?! ერთი გაბედოს ვინმემ და ქვა ესროლოს! მრუშებო! რას გაჩუმებულხართ? ხომ აღიარებთ, რომ ჩვენ ყველანი — კაცობრიობის სირცხვილი და თავის მოჭრა ვართ? დავიწყოთ ჩემგან... რა სათნოება და სიკეთე მე მქონდა ისეთი, რა ცოდნა, პაპად რომ ამირჩიეთ? ან იქნება ჩემი აღვირახსნილობა არ იყოს თქვენთვის ცნობილი? მე ბევრად უფრო გახრწნილი ვარ, ვიდრე ჩემი საყვარელი ჭაბუკი, მაიმუნების დარაჯი, რომელიც მე შევბილწე. ის ბევრად უფრო სუფთაა ჩემზე, უზენაეს მღვდელმთავარზე, საქრისტიანოს მამაზე, რომელიც თქვენი ნებით დაისვით თავზე. მაშ რანაირად ბედავთ ახლა უარი უთხრათ კარდინალის ქუდზე და ეპისკოპოსის კათედრაზე?“

რა თქმა უნდა, ასეთ ურყევ საბუთებზე პასუხის გაცემა ძნელია.

სახტად დარჩენილი კარდინალები გაშრნენ, ენა მუცელში ჩაუვარდათ, როგორც გინახავთ მონუსხულები, და ბერტუჩინო ერთხმად აირჩიეს კარდინალად. იმავე დღეს თავის საყვარელ მაიმუნს წმინდა მამამ ბოლონიაში კარდინალის ქუდი გაუგზავნა და გზის ხარჯად— თორმეტი ათასი ეკიუ ოქროთი, მოციქულის ტახტიდან აღებული. მხოლოდ იმისათვის, რომ მაიმუნების დარაჯს, ამიერიდან ადამიანების მწყემსს, გამოფიტული პაპის ბინძურ სხეულში ენების ახალი წყაროების მიგნების უნარი ჰქონდა. ახლად არჩეული პრელატი მაშინვე გზას გაუდგა. ამ სიმახინჯის წინაშე ფერს კარგავენ თვითონ სიქსტ IV და ალექსანდრე VI საქმეები.

ზედმეტია მღვდელმთავრის სიხარულის გადმოცემა, როცა ნაზი მეგობარი გულში ჩაიკრა. დაბოლოს, შეყვარებულნი ერთად არიან! რა გულის ამაჩუყებელი შეხვედრაა! ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ღმერთი იაღვე არ არსებობს, თორემ მეხს დაატეხდა ქვეყნიერების შემბილწველ ორეულს.

პაპმა ბერტუჩინოს დანიშვნა დიდი ზეიმით აღნიშნა, ვატიკანის სასახლის საუკეთესო ოთახები მისცა, თავისი საწოლის მახლობლად, პაპის კურიის პირველი მინისტრის მაღალი ხარისხი უბოძა, ეკლესიის მართვა ჩააბარა, და რატომაც არა? ბერტუჩინოს უკვე ჰქონდა დიდი გამოცდილება... მაიმუნების მართვისა. ბერტუჩინო ანაწილებდა ბენეფიციუმებს, წოდებებს, ეკლესიის შემოსავალას. მთელს თავისუფალ დროს კი პაპის პირად სამყოფელში ატარებდა, რბილ ბალიშებზე, ოთხფეხი ბანჯგვლიანი მეგობრებით გარემოცული. ხოლო კურტიზანი ქალები ნელსურნელოვან საკმეველს უკმევდნენ და ღვინოებს ურჩევდნენ. რა გულისამრევი წარმართული სცენა! უცოდველი პაპის სასახლეში! ჭირი იქა, ლხინი აქა...

ჩვენ შეგვეძლო ეს მოთხრობა ზღაპრის სიტყვებით დაგვემთავრებინა: „...ცხოვრობდნენ ასე ბედნიერად, თანხმობითა და სიამტკბილობით“, მხოლოდ ეს იყო სამწუხარო, შვილები არ უჩნდებოდათ.

ევას ვაშლი
და წმინდა მამის ფარშავანგი

❍ სიამოვნების მორევში ჩაძირული იულიუს III იშვიათად ერეოდა პოლიტიკურ საქმეებში. მოციქულის ტახტი 1550 წლის 5

თებერვლიდან 1555 წლის 23 მარტამდე ეჭირა და ნაწლავების გადასკვნით მოეღო ბოლო.

იმდენადვე ღორმუცელა და ლოთი იყო, რამდენადაც გარყვნილი. კაცი იფიქრებს, რომ მღვდელმთავართა პირველი მცნება გარყვნილება იყო. გაუმაძღარი პაპი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კერძების შერჩევას. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი ასეთ ანეგდოტს მოგვითხრობს: ყველა სხვა კერძთან შედარებით ღორის ბარკალსა და ფარშავანგის მოხრაკულს აძლევდა უპირატესობას. მაგრამ ექიმებმა აუკრძალეს სუფრაზე ყოველგვარი კერძის გამოტანა, რადგან მეტისმეტმა ჭამამ და გარყვნილებამ მისი ჯანმრთელობა შეარყიეს. ერთხელ იულიუსმა, მისი საყვარელი კერძები რომ სუფრაზე ვერ დაინახა, სასახლის მაჟორდომს დაუძახა და უბრძანა დაუყოვნებლივ შეეწვათ ფარშავანგი, ამასთან ჩამოხრჩობით დაემუქრა, თუ მის სურვილს ახლავე არ შეასრულებდნენ.

მაჟორდომის წასვლის შემდეგ მისმა „ინოკენტიმ“ დაუწყო მოფერება და დაშოშმინება, ყოველგვარი წვრილმანისათვის კი არ უნდა აიტეხოთ აუტეხელიო.

„არა, წვრილმანი არ არის, — შესძახა პაპმა. — თუ ღმერთი ვაშლისათვის განრისხდა, მე, მის მოადგილეს, სულაც არ მეძრახვის, რომ ფარშავანგის გულისათვის გავცხარდე. განა შეიძლება ფარშავანგის შედარება უბრალო ვაშლთან?“ ჩანს, ამ პაპის ტვინი მუშაობდა.

პავლე IV, იეზუიტების მეგობარი

● მარცელ II, რომლმაც მოციქულის ტახტზე იულიუს III შეცვალა, არჩევიდან მეორე დღესვე გამოამჟღავნა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ სამღვდელოების ზნეობა გამოესწორებინა. რომის კურიის ოფიცრებსა და წარჩინებულთ უბრძანა ძირფესვიანად შეეცვალათ ცხოვრების ხასიათი. გააფრთხილა, არავითარ დავიდარაბასა და გარყვნილებას არ მოვითმენო. პირველი მაგალითი თვითონ უჩვენა. ვატიკანის მსახურთა შტატი შეამცირა, ფავორიტები გარეკა, თავისი სუფრის კერძები შეამცირა, სერობის დრო შეამოკლა, ოქრო-ვერ-

ცხლის ჭურჭლის გაყიდვა ბრძანა, რათა წმინდა ტახტის ვალები გაესტუმრებინა, და საერთოდ თავი ისახელა, როგორც ქველმოქმედმა, კეთილმა, თავმდაბალმა მოღვაწემ; სწორედ ასეთებს ითხოვდა წმინდა მოციქულთა მცნება, რაც მერე მისმა მოადგილეებმა სამარცხვინოდ შებილწეს და დაამდაბლეს. კარდინალებს ერთხელ კიდევ შეეშალათ. საოცარია, რომ ეს წესიერი ლეგატი პავლე მესამის მეგობარი იყო.

ბუნებრივია, კარდინალები ასეთ პაპს დიდხანს არ გაახარებდნენ. მაშინვე დაფაცურდნენ, რომ ჩადენილი შეცდომა გამოესწორებინათ. მარცელ (მარკელ) II გარდაიცვალა იმავე 1555 წლის 30 აპრილს, არჩევიდან სამი კვირის თავზე. პირსისხლიან ავაზაკთა ბანდა, წმინდა კოლეგიად წოდებული მორიელების ბუდე არ აჩერებდა პატიოსან მღვდელმთავარს. საგანგებოდ დამზადებული სასმელი — სამსალა დაეხმარა იერერქებს, რომ თავიანთი მჩაგვრელის არტახებისაგან თავი ეხსნათ. სხვათა შორის, ოდესღაც მარკელ პირველიც, მკაცრი წესიერების გამტარებელი პაპი, ძალადობით მოკვდა.

მარკელის დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ პაპად აირჩიეს კარდინალი ჯან პიეტრო კარაფა, რომელმაც პავლე IV იწოდა. ეს იყო საშინელი ფანატიკოსი, ულმობელი ტირანი, საეკლესიო საქმის ჯიუტი და თავგამოდებული დამცველი. მისი შავბნელი ბატონობის ჟამს განახლდა დევნა, სიკვდილით დასჯა, წამება. თავის დროზე ის ლევ X გაგზავნა ესპანეთში, სადაც მეფე ფერდინანდის მადლობა დაიმსახურა. გასაგებია, რა ძვირად დაუჯდებოდა ხალხს მეფის მადლობა: ერეტიკოსთა დევნით, აკლებით, მათი ქონების კონფისკაციით საგრძნობლად გაამდიდრა ფარისეველი მონარქის სალარო. როგორც ცნობილია, დასჯილ და განდევნილ ერეტიკოსთა ქონების დიდი ნაწილი კეთილმსახური მეფის ხაზინას ბარდებოდა. პაპად არჩევამდე კარაფას უკანასკნელი თანამდებობა იყო რომის დიდი ინკვიზიტორის პოსტი. გასაგებია, რა იქნებოდა პაპის ტახტზე ასული დიდი ინკვიზიტორი. ჯოჯოხეთურ ტრიბუნალს რომ მეთაურობდა, ეს უგულო ჯალათი ამ სიკვდილის ორგანოს წმინდა ტახტის დედაძარღვს ეძახდა.

როგორც კი ინტრონიზაციის ცერემონია დასრულდა, პავლე IV წარმოიდგინა, რომ სწორედ ისაა მოწოდებულ იყოს კათოლიკურ მსოფლიოს დიდი ინკვიზატორი. კიდევ ერთი კრეტინი შეემატა ეკ-

ლესიის ისტორიის ჯალათთა სიას. რაკი წარმოიდგინა, მე ვარ. რაკ ვარო, და იყო ინკვიზიტორი, ამიტომ ინკვიზიტორთა პრეროგატივები გაზარდა, ნება მისცა მათ მიმართ წამებისათვის, — ერეტიკოსთა თანამზრახველების მისაგნებად. ამასთან გამოაქვეყნა ბულა, რაც აკანონებდა სასტიკ ზომებს არა მარტო ერეტიკოსთა, არამედ ერესში ეჭვმიტანილთა წინააღმდეგაც. მძვინვარე ჯალათმა გამოაცხადა, რომ მთავრები, მეფეები, იმპერატორები, ეპისკოპოსები, არქიეპისკოპოსები და კარდინალებიც კი შეუბრალებლად უნდა აწამონ და დაწვახ, თუ წმინდა ინკვიზიცია მათ დამნაშავედ ცნობს.

პაპის ახალმა ღონისძიებამ აღშფოთების ქარიშხალი დაატრიალა. მხოლოდ იეზუტები აქებდნენ პაპს, რომელიც თავის ერთგულ ქოფაკებს ფულითა და წყალობით ავსებდა, უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა იეზუიტთა კოლეჯების ასაშენებლად, დიდებულ ვილებს უძღვნიდა რომის გარეუბნებში. მთელი პოსტიფიკატის განმავლობაში ამ ზიზღისმომგვრელი საზოგადოებისადმი განსაკუთრებულ ზრუნვას და კეთილგანწყობილებას ამჟღავნებდა.

პავლე IV მარტო სასტიკი და ულმობელი კი არ იყო, უკმეხობითაც გამოირჩეოდა, უხეშობით, აღვირახსნილობით, მიუხედავად იმისა, რომ ერთობ ხანდაზმული იყო (ტახტზე 79 წლისა ავიდა). აი, როცა ინგლისის ელჩი ჩამოვიდა, მარიამ ტიუდორის გამოგზავნილი, და პაპს ეახლა, რომ არჩევა მიელოცა და დედოფლის ერთგულება დაემოწმებინა, პაპმა დამამცირებელი ცერემონია შეასრულებინა: ქოშის კოცნის შემდეგ აიძულა დაეჩოქა და დიდი ბრიტანეთის შეცოდებანი მოენანიებინა პაპის წინაშე. შემდეგ როცა გაიგო, რომ ინგლისის მეფე ირლანდიის მეფის ტიტულსაც ატარებს, ქედმაღალსა და შუბლვიწრო პაპს ბრაზით პირზე დუჟი მოადგა და ისე მორთო ყეფა, როგორ გაბედაო თავხედმა დედოფალმა ჩემი დალოცვის გარეშე ირლანდიის გვირგვინის მითვისება! ვიდრე სახტად დარჩენილი და გაოგნებული ელჩი რაიმეს თქმას მოახერხებდა, პაპმა ის ვატიკანიდან განდევნა.

მღვდელმთავრები ისე იყვნენ მიჩვეული იმ აზრს, რელიგიის მთავარი მოწოდება მისი მსახურების გამდიდრებაა, რომ ხშირად ამას საჯაროდ აღიარებდნენ.

როცა სულმოკლე ინგლისის დედოფალმა ელჩებს უბრძანა, ყოველ ღონისძიებით მიაღწიეთ ირლანდიის ინვესტიტურასო, წმინ-

და მამა არ მოერიდა ისეთი ბულის გამოქვეყნებას, რომლის ძალითაც საამეფო ტიტული ორასი ათას ოქროს ეკიუდ იყიდებოდა. გვირგვინით ვაჭრობა ძალაში შევიდა. მეფე, რომელიც ჭეშმარიტ მემრუშეს ეკითხებოდა, ღირსი იყო ასეთი იდიოტური ხარკისა, მაგრამ რა დააშავა ხალხმა?

ტირანია და სისასტიკე პაპს ყოველდღე ახალ-ახალ მტრებსა სძენდა. მისი შურისძიება ჯოჯოხეთური იყო: ყოველ მოქალაქეს, ვისაც კი მის მიმართ მტრულ გახწყობილებას შენიშნავდა, ან ასეთ რამეში ეჭვს ბიიტანდა, განდევნა, ციხე და ინკვიზიციის სასამართლო ელოდა. ინკვიზიციის საზარელი ტრიბუნალის პროცედურა მარტივი იყო, აქ არ უყვარდათ ხახგრძლივი საუბრები, გაჭიანურება და ძიება. ეს იყო ფარისევლურად მოგონილი სიკვდილის ორგანო, შექმნილი მხოლოდ იმისათვის, რომ წინასწარვე გაჰიზნული და გადაწყვეტილი მკვლელობისათვის ცოტაოდენი სამართლის სახე მიეცათ. დამნაშავეებს იქვე ელოდათ საშიხელი ნაძება, შემდეგ უბედურ მსხვერპლს პირდაპირ ჯოცონზე გზავნიდნენ. რა სასწაულს უნდა ეხსნა ინკვიზიციის კლანჭებში ჩავარდნილი მსხვერპლი? სასწაულები არ ხდება. თუმცა რატომ... ადროვეთ ხალხს!

როცა მისმა უწმინდესობამ სოლი ეშმაკს ჩააბარა, რომის ხალხი მღვდლებს აეშალა და თავს დაესხა იმ ლაქიებს, რომლებიც გულმოდგინედ ეხმარებოდნენ პავლე მეოთხეს თავისი იხკვიზ-ტორული მოვალეობის შესრულებაში.

ტირანი ჩაძაღლდა! სიკვდილი მის დამქაშებსაც!

რომაელებმა გახსნეს ციხის კარები, დაწვეს სასახლე, სადაც ინკვიზიტორები თავიანთ მსხვერპლთ ანგარიშს უსწორებდნენ, გლეჯდნენ, ხრუკავდნენ, ტახზე თასმებს აძრობდნენ. არავისთვის არ მოესპიათ სიცოცხლე, არ ჩაუდენიათ ძალადობა და დანაშაული. რომაელებმა ჩირაღდნები აანთეს და დემონსტრაცია მოაწყვეს დომინიკანელთა-ღვთის ქოფაკთა მონასტერთან, შემდეგ დალეწეს ჩამღრძვალი პაპის-კარაფას ქანდაკება და მისი საგვარეულო ღერბი. თავიანთი განზრახვაც კი არ შეასრულეს, რომ პავლე მეოთხის ლეში ქალქში ეთრიათ და ნაგავში დაეგდოთ.

სამწუხაროა! ამ საზიზღარი ბანდიტის ლეში ღირსი იყო ასეთი დაკრძალვისა!

პიუს IV

როცა რომში მღელვარება მიწყნარდა, კარდინალები ახალი პაპის არჩევას შეუდგნენ. კონკლავი უაღრესად შფოთიანი აღმოჩნდა და მთელი ოთხი თვე გაგრძელდა, მეტიც. მწინდა კოლეგიას ძალიან გაუჭირდა შეთანხმება. ჩვეულებრივი ვაჭრობა იყო გაჩაღებული. ტიარის მაძიებელნი ყოვლად უსირცხვილო გაიძვერობას მიმართავდნენ. ბოლოს პავლე მეოთხის ძმისწულების — კარლოს და ალფონს კარაფების შემწეობით ხმის უმრავლესობა მიიღო ჯიოვანი მედიჩიმ, რომელსაც ეწოდა პიუს IV.

პიუს IV შემკული იყო ყველა ზნეობრივი თვისებით, რაც წესიერ პაპს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. ზარმაცი იყო და ხარბი, ძუნწი, შურისმაძიებელი და სისხლის მწყურვალი, სასტიკი და მზაკვარი, ცბიერი და ფლიდი. მთავარი მისი ვნება იყო მუცლის პატივი. თავბრუდამხვევ თანხებს ხარჯავდა სუფრისათვის, -სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოჰქონდათ მისთვის ათასნაირი ხილი და ღვინოები. როგორც სხვა პაპებს, საგანგებო მიმწოდებლები მასაც ლამაზი ქალებით ამარაგებდნენ. მართალია, წინამორბედთაგან განსხვავებით პიუს IV თავის აგენტებს აფრთხილებდა, ძალადობას ნუ მიმართავთ, სიცრუითა და გაიძვერობით იმოქმედეთო. თავის მსხვერპლს პიესი ძვირფასი თვლებით, ოქროს სამკაულებით ასაჩუქრებდა, შემდეგ კი მსახურებს ყოველივე ამის ჩამორთმევა ჰქონდათ ჩუმად ნაბრძანები. იმ დროის ჟამთააღმწერელნი მოგვითხრობენ, პიუს მეოთხეს თავისი სასიყვარულო ხრიკები არაფერი არ უჯდებოდაო. და საერთოდ, რა უჯდება ძვირად ეკლესიას, ამ მარადიულ წურბელას? ის ხომ ყველაფერს ითხოვს და არაფერს იძლევა!

მეტისმეტი მადლიერება დამღუპველია

ერთხელ კარლოს და ალფონს კარაფები კონსისტორიის სხდომაზე მიდიოდნენ. მოულოდნელად მათ პატრული შემოერტყა. დაცვის

ოიფეცრმა ხელფეხშეკრულ კარდინალებს მოკლედ მოუჭრა: „მისი უწმინდესობის ბრძანებაა“.

კარდინალებს დამორჩილება მოუხდათ. არვითარ დანაშაულს არ გრძნობდნენ, არაფერი შეთქმულება არ ჰქონდათ პაპის წინააღმდეგ მოწყობილი. პირიქით, მათი წყალობით ავიდა პიუსი ტახტზე, მის ერთგულ მიმდევრებად რჩებოდნენ ბოლომდე.

მაგრამ კარაფები ვერ ხვდებოდნენ თავიანთ დანაშაულს. ეს გვარი განუზომელ სიმდიდრეს ფლობდა. უზარმაზარი მამულები ჰქონდათ, სასახლეები, ფუფუნების საგნები, რაც მეფეებს შეშურდებოდათ. არავის არ ყავდა ასეთი ძაღლები, ასეთი ცხენები, ამდენი ლამაზი ქალი და ყმაწვილი კაცი. რაც გინდა, სულო და გულო, ვინც გინდა, ის აირჩიე და დრო გაატარე! აი, რა იყო მათი დანაშაული.

ძმებს, რა თქმა უნდა, შურით შესცქეროდნენ და ბევრი მტერიც ჰყავდათ. ცხადია, თავხედური და უსინდისო ცილისწამების მსხვერპლნი იყვნენ, მაგრამ ყველაფერი გაირკვევაო პირველი დაკითხვის შემდეგ: თავიანთ უბრალოებას დაამტკიცებენ და საქმე ამით გათავდება, გული რად უნდა გაიტეხონ? ასე ფიქრობდნენ კარდინალები, ვატიკანის ციხეში რომ ჩასვეს. უთუოდ მტრების დასმენაა!

არც შემცდარან ერთ რამეში: მეშურნეებმა დაღუპეს, სიმდიდრე გახდა მათი უბედურების მიზეზი. ყველაფერი თვითონ პაპმა მოიფიქრა. მას მოუვიდა აზრად დაპატრონებოდა კარაფების სიმდიდრეს და თავისი ნათესავები გაემდიდრებინა.

ქონების კონფისკაცია — უბრალო საქმეა, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყო, რომ უკან აღარავინ მოგთხოვს. ამისი ერთადერთი გარანტია — სიკვდილით დასჯაა. ასე მსჯელობდა გუნებაში პაპი პიუს IV.

მაგრამ ასეთი განაჩენი რაიმე დასაბუთებას ხომ მოითხოვდა! პაპმა ასე განაცხადა: კარდინალები ნაძარცვ ქონებას ფლობდნენ, თავიანთი ნათესავის პავლე IV შეწევნით მოხვეჭილსო. თვითონაც ხომ ძარცვავდა, მაგრამ მერე რა, ქურდის ქურდი ცხონდებაო. მერე და, რისი უფლებაც პაპს აქვს, იმისი უფლება ვინ მისცა კარდინალს?

„ბოლო უნდა მოეღოს ნეპოტიზმის ბოროტ ფორმას, — დაასკვნა პიუსმა, — მე მინდა თვალსაჩინო მაგალითი მივცე ჩემს მემკვიდრეებს, რომ თავი დაანებონ თავიანთი ნათესავების გამდიდრებას“.

თაღლითი პაპი ციინიკურად ლაპარაკობდა ნეპოტიზმით ბოროტად

სარგებლობაზე, ხოლო კარაფას ქონება პირდაპირ გადაბარგდა მისი ძმისწულების სასახლეებში უმალ, ვიდრე განაჩენი აღსრულდებოდა.

კარდინალი კარლოს კარაფა, ვინც ყველაზე მეტი გულმოდგინებით დაეხმარა ჯიოვანი მედიჩის, ვინც უზრუნველჰყო მისთვის ხმების უმრავლესობა, გაგუდეს, სხვებს თავი მოჰკვეთეს და ტიბრში გადაისროლეს.

მხოლოდ ალფონსო კარაფამ მოახერხა თავის გამოსყიდვა ასი ათას ეკიუდ, შემდეგ კი რომიდან გაქრა.

მაგრამ იმ დროისათვის იეზუიტები უკვე მთელს ქვეყნიერებაზე იყვნენ მოდებული, და ვერავინ გაუსხლტებოდა პაპს, სადაც არ უნდა გადაკარგულიყო. სამი თვის შემდეგ ალფონსო კარაფა ნეაპოლში იპყოფებოდა. უეცრად თავი შეუძლოდ იგრძნო და საშინელი ტანჯვით დალია სული. რომელიღაც იეზუიტს მიეგნო და მოეწამლა. ასპიტმა თავისი საქმე გააკეთა და მიიმალა.

ავბედითი გაფრთხილება

❶ კარაფას ძლიერ გვართან ანგარიშის გასწორებამ კარდინალები შეაძრწუნა. ეს იყო ავბედითი გაფრთხილება. კოლეგების სიკვდილი კი არ აღონებდათ — ასეთი მგრძნობიარენი როდი იყვნენ კარდინალები. „ყველანი ასე თუ ისე მდიდრები ვართ, — თათბირობდნენ შეჭირვებულნი, — ყოველი ჩვენგანი შეიძლება გახდეს წმინდა მამის გაუმაძღარი სიხარბის მსხვერპლი“.

ლოთთა და მრუშთა წმინდა ბუნაგის შხამიანი სპრუტი ისეთ ზარსა და ელდას თესავდა, რომ მის უბრალო გახსენებაზე ბუძგავდათ. პაპის ყოველ გამოჩენაზე ფერს კარგავდნენ, შიშით სული კოჭებში ეპარებოდათ და ისე იბნეოდნენ, დამნაშავე ბავშვები გეგონებოდათ.

პიუს IV ბრმა ხომ არ იყო, კარდინალების ასეთი მდგომარეობა ვერ შეენიშნა. იცოდა, ახლა მის წინააღმდეგ ამხედრებას ვეღარავინ გაბედავდა, შემთხვევით ისარგებლა, სამოქალაქო და სამხედრო პოსტებზე თავისი ძმისწულები დანიშნა, — რომის კურიის საქმეებს ხოა ისედაც სულ პაპის მრავალრიცხოვანი ნათესაობა ატრიალებდა! ამრიგად, პაპმა თავის გარშემო მჭიდრო, ძლიერი ჯგუფი შექმნა, ნამდვილი ასპიტთა ბირთვი.

მაგრამ მალე საეკლესიო საქმეებმა პიუს IV აიძულეს უფრო მეგობრული კავშირი დაეჭირა წმინდა კოლეგიასთან. ეკლესიის მთლიანობა დასავლეთში უკვე აღარ არსებობდა. განხეთქილებამ ფართო ხასიათი მიიღო. შოტლანდიაში პროტესტანტებმა გაიმარჯვეს. ბოჰემიაში მეფე მაქსიმილიანე ლუთერანების მხარეზე დადგა. გერმანიაში ფერდინანდი აშკარად იცავდა ახალ რელიგიას. საფრანგეთში მეფემ და სენიორებმა „შემწყნარებლობის ედიქტი" გამოსცეს. ყოველივე ეს პაპსა და კარდინალებს აიძულებდა გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის — ერეტიკოსების წინააღმდეგ საბრძოლველად. პიუს IV კი გახრწნილმა ცხოვრებამ ისეთ გონებრივ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ საეკლესიო საქმეების მართვა ხელიდან გამოეცალა და მისი დამქაშების ხელში ჩავარდა. მთელი ეკლესიის მართვა არსებითად კარდინალ მარკს დაეკისრა. პიუს მეოთხის ყოფილ ფავორიტს. მას ემორჩილებოდა პაპის არმიაც. პიუსმა მთელი ეს დავიდარაბა მარკს მიანდო და თვითონ უაზრო ქარაფშუტობის ჭაობში გადაეშვა. დღისით ინკვიზიციის ჯურღმულებში იჯდა, ადამიანთა წამებით ტკბებოდა, ღამეებს კი საყვარელ ქალებსა და მამაკაცებში ატარებდა და მათი ალერსით ტკბებოდა.

პროტესტანტიზმის ზრდამ გერმანიაში მღვდელმთავარი მოკლე ხნით გამოიყვანა იმ იდიოტიზმისა და ბეხრეკი ბებრის მარაზმის მდგომარეობიდან, რომელთა მსხვერპლიც მისი ჩლუნგი გონება და მიხრწნილი ხორცი იყო წლების განმავლობაში. ესპანეთის მეფე, მუდამ კათოლიკური შმორის გუშაგი, დაჟინებით მოითხოვდა წმინდა მამისაგან, რომ ყურადღება მიექცია კათოლიკური რელიგიის სავალალო მდგომარეობისათვის. ბოლოს პიუს IV თხოვნით მიმართა მაქსიმილიანს და ალბერტ III, ბავარიის ჰერცოგს, ცხოვრებაში გაატარეთ ტრიდენტის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი. ტრიდენტში კი ძირითადად კათოლიკური ეკლესიის სასარგებლოდ წარიმართა მუშაობა.

ბავარიის ჰერცოგის სახით პაპმა ერთგული მოკავშირე ნახა. ალბერტი უკვე დიდი ხანი იმყოფებოდა იეზუიტების ზეგავლენის ქვეშ და მხურვალედ გამოეხმაურა წმინდა მამის მოწოდებას. ამ უკაცურმა დესპოტმა უტიფარი ავანტიურა გულგრილობით განაცხადა, მზად ვარ ჩემი ქვეშევრდომების სამი მეოთხედი გავჟლიტო, ოღონდ ერთი მეოთხედი კათოლიკური ეკლესიის წიაღში დავაბრუნოო. განა არ

ჯობდა ამ ქვეშევრდომთა სამი მეოთხედი ბრძოლაში გაწყვეტილიყო, ოღონდ ერთ მეოთხედს ამ ნადირის უღელი გადაეგდო?

აბა ამაზე კარგად როგორ უნდა დამტკიცდეს ერთი რელიგიის უპირატესობა მეორის წინაშე? ეტყობა, უკეთესია ის ღმერთი, რომლისთვისაც მეტი სისხლი დაიღვრება. რაც მართალია, მართალია, დამწვარ-დასახიჩრებულ-გაწყვეტილთა რაოდენობით ჩვენი სათნო ქრისტიანული რელიგია მსოფლიო პანთეონში პირველ ადგილზეა. გამოდის, რომ ესაა მკვლელთა რელიგია.

თავდაპირველად გამოთაყვანებული პაპის ყურმოჭრილმა ყმამ, სისხლმოწყურებულმა ჰერცოგმა თავის სამფლობელოებში გზა ჩაუკეტა პროტესტანტულ მოძღვრებას, ბრძანა დაეწვათ ერეტიკული შინაარსის წიგნები. ინჰოლშტადტის უნივერსიტეტის პროფესორებსა და წარმომადგენლებს ინკვიზაციის ტრიბუნალის მუქარით ფიცი ჩამოართვა, რომ მხოლოდ კათოლიკურ სარწმუნოებას იქადაგებდნენ.

მაქსიმილიანი უფრო ძნელი დასათანხმებელი გახდა, ვიდრე ალბერტ III. ამ უფრო ჭკვიანმა მონარქმა არა მარტო უარი განაცხადა თავისი ქვეშევრდომებისათვის კათოლიკური დოგმატების ძალით მოხვევაზე, არამედ ტვინნაღრძობ პიუსს მოსთხოვა თავისი სამოციქულო ავტორიტეტით დაემტკიცებინა ზოგიერთი სიახლე, რაც უკვე მიიღო გერმანელთა უმრავლესობამ, ამასთან გააფრთხილა, თუ დათმობებზე წასვლას არ ინებებ, განხეთქილება უფრო გაღრმავდებაო.

პიუსმა თავისი მოკლე ჭკუითაც შენიშნა მაქსიმილიანის ხმაში მუქარა და კილო შეარბილა. იმპერატორის მოთხოვნები ორ მომენტს შეიცავდა: ისინი ეხებოდა კათოლიკეთა ევქარისტული ჰოსტიის (მოსაკითხის) შეცვლას ორი სახეობის ზიარებით, აგრეთვე მღვდელთა ქორწინების ნებართვას. პიუს IV მაქსიმილიანს უპასუხა, ნება დამირთავს გერმანელებისათვის ორი სახეობის ზიარებისა, მაგრამ მეორე მუხლი მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ მისი დაკმაყოფილება შემეძლოსო.

ეტყობა, წმინდა მამამ ზიარების შეცვლა უფრო უმნიშვნელო საქმედ ჩათვალა, ვიდრე მღვდელთა საყვარლების შეცვლა ცოლებით! უფალ ღმერთს რაც შეეხება, პიუსი მოურიდებლად მოიქცევა, მაგრამ რაც პაპის შემოსავალს ზრდის, იმას ირლად არ დათმობს.

მაქსიმალიანი კიდევ ნაწილობრივი დათმობით არ დაკმაყოფილდა, უნდოდა ესიამოვნებინა პროტესტანტი მღვდლებისათვის, რომ-

ლებიც ცელიბატის არაბუნებრივი კანონის გაუქმებას ითხოვდნენ. მისი აზრით, ქორწინების აკრძალვა მღვდლებს აიძულებს იყოლიონ ხასები, და ასეთი უმსგავსობის შესაწყვეტად აუცილებელი იყო მისი მიზეზის გაუქმება.

პიუს IV დაჟინებით მოითხოვდა თავისას, მაგრამ თავისი დაჩ-ლუნგებული გონებითაც გრძნობდა, რა ძლიერ განაწყენებულია იმ-პერატორი მისი უჯათობით. იმპერატორის რისხვით დაშინებულმა პაპმა ახალი მოკავშირეების ძებნა დაიწყო. ვერაგმა მღვდელმა მოა-ხერხა კარლოს IX და ფილიპე II დარწმუნება, მაქსიმილიანს გადა-წყვეტილი აქვს ფრანგ ჰუგენოტებს შეუკავშირდეს, გვირგვინებს და-ეპატრონოს და კათოლიციზმი გაანადგუროსო. ორივე ბეცმა მონარქ-მა კავშირი შეკრა მაქსიმილიანის წინააღმდეგ. ხოლო ერეტიკოსებთან ერთბაშად ანგარიშის გასწორების მიზნით გადაწყდა, რომ თითქმის აკვანშივე გახრწნილი ეკატერინე მედიჩი მოაწყობს პროტესტანტე-ბის რბევას საფრანგეთში, ესპანეთის მეფე კი ნავარასა და ნიდერ-ლანდებს გაუსწორდებაო.

სისხლიანი დანაშაულის შეუმჩნევლად მოწყობის მიზნით პაპმა გადაწყვიტა მცირე ხნით მტრის ყურადღება დაესუსტებინა. წმინდა მამამ ინკვიზიციას უბრძანა შეეჩერებინა ერეტიკოსთა დევნა და ზო-გიერთი რეფორმატორი ციხიდანაც კი გამოეშვა — სულერთია, ისე იყვნენ წამების ყველა სახეობით დარღვეული, რომ მაინც სიკვდილ-ელოდათ, და არ იყო ძალა, რომ ადამიანთა ცოცხლად დამგლეჯი სა-ზიზღარი სისტემა ერთი დაკვრით დაემხო!

ამაზე დიდი მსხვერპლიც გაიღო ღვარძლიანმა მღვდელმთავარმა, რომ მტრის ყურადღება შეენელებინა: მეგობრულად უღიმოდა მო-წინააღმდეგეებს, გერმანიის ელჩსა და ჰუგენოტებს მწუხრის ჟამს სერობაზე ეპატიჟებოდა, მერე ჭიქას უჯახუნებდა და წვეულთა საპა-ტივცემოდ ათჯერ იმეორებდა მათს სადღეგრძელოებს.

საბედნიეროდ, ცბიერი პაპი ღორმუცელობის მსხვერპლი გახდა. ერთხელ, გაჭიანურებული ორგიის შემდეგ, როცა ჩვეულებისამებრ მოზრდილი სასმისი დაცალა, სატანამ თავში ჩაუკაკუნა, და 1569 წლის 9 დეკემბერს სული განუტევა. ექიმებმა თქვეს, წვეთი დაეცაო. წვეთი რას ავნებდა, სისხლის მდინარეები გაუშვა!

პაპის ბოროტმოქმედება — წამება და სასჯელი

● რომის ხალხმა რომ პიუს IV სიკვდილი გაიგო, საყოველთაო ზეიმი გაიმართა: როგორც იქნა, ჩაძაღლდაო ეს ტირანიც! მაგრამ ორი თვეც არ გასულა, რომ სიხარული საშინელმა კაეშანმა შეცვალა. ისე მოკლე ხანში ახალმა მღვდელმთავარმა იმდენი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, რომ ხალხი გულისტკივილით იგონებდა მის ღვარძლიან წინამორბედს, ნამდვილი ჯოჯოხეთის მოციქულს, რომელსაც ზოგ ენციკლოპედიაში „მშვიდობიანს“ ეძახიან.

ჯერ არასოდეს დამჯდარა მოციქულის ტახტზე ასეთი ძვირვარე მხეცი, როგორიც იყო პიუს მეხუთედ წოდებული ჯალათი. მერე, მარტო აღიარებულ პაპთა შორის მას 230 წინამორბედი ჰყავდა!

კონკლავის სხდომები მთელი თვე გაგრძელდა. სასტიკი შეხლა-შემოხლის შემდეგ ანტონიო გისლიერიმ, რომელიც დიდი ინკვიზიტორის საპატიო მოვალეობასაც ასრულებდა, ყველა კონკურენტი დაამარცხა და ეკლესიის მეთაურად გამოცხადდა პიუს V სახელწოდებით.

ჩამომავლობით ძალიან ღარიბი ოჯახიდან იყო, ისე რომ დომინიკანელთა მონასტერში გააბარეს და მზარეულად მუშაობდა, რაოა მერე ადამიანთა სულისა და ხორცის ხარშვა არ გაძნელებოდა. მდაბიო იყო, მაგრამ რა უპირატესობა აქვს მდაბიოს, თუ დიდებულზე უფრო მხეცი და რეგვენი გამოდგება! ჩვენ ვიცნობთ მეღორეს, რომელსაც მედიჩებზე და ბორჯიაზე მეტი ბოროტება დაუთესია ქვეყანაზე.

ყმაწვილმა ზზარეულმა მაშინვე მიიქცია მონასტრის პრიორის ყურადღება: ტანსარო, ლამაზი ბოზარდი იყო და ჭკუითაც გაბრიჩეოდა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ მომავალში დიდებულთა ყურადღებასაც მიიქცევდა.

თავისუფალ დროს პრიორი ბავშვს ღვთისმეტყველებას ასწავლიდა, და ძალიან მოკლე ხანში შეგირდმა მასწავლებლის გულმოდგინება დაასაჩუქრა: აშკარად გაუსწრო საუკეთესო მოწაფეებს.

პრიორმა თავის საყვარელ შეგირდს თავი საეკლესიო დოგმებითა და სიბრძნით გამოუტენა. მისი გულმოდგინებაც ღირსეულად დააფასა და ინკვიზატორად მოაწყო კომოში, სადაც ერეტიკოსების დევნით ისე განითქვა სახელი, რომ მთელმა იტალიამ გაიცნო. ალბათ თვითონ წმინდა დომინიკე ნაზად ადევნებდა თვალს თავის მიმდევარს და გულში ამბობდა: „თუ ეს ოინბაზი ასე ივლის, სასიქადულო საქმეებში მე გამისწრებსო". კომოში ტერორის რეჟიმი დამყარდა. სიკვდილი ადამინებს შავი ჭირივით ცელავდა, და მცელავი იყო ღატაკის შვილი, თავად შავი ჭირი ანტონიო. ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა აივსო და ქალაქის გავლენიანმა პირებმა იმას მიაღწიეს, რომ საზიზღარი ინკვიზიტორი კომოდან განდევნეს.

ჯერ ბერგამოში გაგზავნეს, და რა თქმა უნდა, მოკლე ხანში მისმა სისატიკემ იქაც ნამდვილი აჯანყება გამოიწვია. ხალხმა ალყა შემოარტყა ინკვიზიტორების სასახლეს, და სისხლიანმა ანტონიომ ძლივს გაასწრო, გაქცევით უშველა თავს.

ხალხის ჯალათი, ცხადია, სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა.

ამ სისხლისმსმელი ურჩხულის უწყალო საქმეზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ ინსტრუქციების კრებული, რომელთაც ინკვიზიციის ტრიბუნალების გენერალური ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშნული მხეცი აძლევდა ვენეციის ინკვიზიტორს.

„ჩემო ძვირფასო ძმაო, — სწერდა ვენეციელ ჯალათს, — თქვენ, დარწმუნებული ვარ, გახსოვთ, რომ ძალაუფლება, რომლითაც აღჭურვილი ხართ, მთელს ქვეყნიერებაზე უნდა გავრცელდეს. დაე, თქვენი ნებისყოფა იყოს უვნებო, უდრეკი და უწყალო, ვითარცა უფლის მართლმსაჯულება, რასაც დედამიწაზე თქვენ განასახიერებთ. თქვენი მაღალი დანიშნულება რომ მუდამ გახსოვდეთ, თქვენი ტრიბუნალის ზემოთ დაჭკიდეთ რკინის ჯვარცმა, წერილის სიტყვებით: „ადგილი ესე საშინელ, ჭიშკარი ჯოჯოხეთისა ანუ ცისა..." დაე, ნურავითარი ფიქრი სულის სათნოებაზე ნუ აგაცდენთ წმინდა გზიდან, რაზედაც დამდგარხართ. გახსოვდეთ, რა თქვა ჩვენმა ღვთაებრივმა მასწავლებელმა: „ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა. არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა. რამეთუ მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თვისისა, და ასული დედისაგან თვისისა, და სძალი დედამთილისაგან თვისისა. და მეტ იყვნენ კაცისა სახლეულნი თვისნი. რომელსაც უყვარდეს მამა

ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს, და რომელსა და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს"*.

დაე, ეს კეთილმსახურული სიტყვები გექცეს სახელმძღვანელოდ და გზის მაჩვენებლად, რაც თქვენს მოქმედებას წარმართავს.

აწამეთ უწყალოდ, დაგლიჯეთ შეუბრალებლად, მოკალით, დაწვით, დახრუკეთ, მოსპეთ მამანი თქვენი, დედები, ძმები და დები, თუ შეატყოთ, რომ არ არიან კათოლიკური ეკლესიის ერთგულნი, მოციქულისა და რომის ეკლესიისათვის თავდადებულნი".

ეტყობა, ამ გენერალურ ჯალათს წაკითხული ჰქონდა სახარება. ქვემოთ ინსპექტორი ზუსტად უჩვენებდა უზენაესი ტრიბუნალისათვის აუცილებელი პირების შტატს, რომელთაც პატიმართა ჩამორთმეული ქონებიდან მიეცემოდათ გასამრჯელო. აგენტების და დაცვის ოფიცერთა გარდა ტრიბუნალს ესაჭიროებოდა ექვსი გამოცდილი ღვთისმეტყველი, რომელთაც უნარი ექნებოდათ გაერკვიათ ყველა რელიგიური საკითხი, აგრეთვე ექვსი სბირო და ოცდაოთხი ჯალათი. ოცდაოთხი ჯალათი ერთ ქალაქზე! გესმით, ქრისტიანებო? ეს ხომ მთელი იმპერიისათვის ზედმეტი იქნებოდა? და ყველანი შეუსვენებლივ მუშაობდნენ. ეკლესია ტყუილად არავის უხდიდა! საქმე ყელამდე ჰქონდათ.

„ვიდრე ვინმეს მიიღებდეთ, — წერდა ქვემოთ, — და ჩვენს საშინელ საიდუმლოს გაანდობდეთ, ნეოფიტმა შემდეგი ფიცი უნდა დადოს: „ვფიცავ ყოვლის შემძლე ღმერთს, მის შვილს იესო ქრისტეს, ფიცს ვაძლევ წმინდა მოციქულებს პეტრეს და პავლეს, წმინდა მოციქულის ტახტს, რომის წმინდა ინკვიზიციას და თქვენს ღირსებას, რომელიც აქა ბრძანდებით, რომ მარად ეკლესიისა და წმინდა ტრიბუნალის მორჩილი ვიქნები. ვალდებულებას ვკისრულობ არ დავზოგო მთელი ჩემი ძალ-ღონე, რათა ვამხილო, მივაგნო და შევიპყრო ყველა, ვინც ერესში ეჭვმიტანილი აღმოჩნდება. ვალდებულებას ვკისრულობ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცვა უზენაესი მღვდელმთავარი და წმინდა ინკვიზიციის საქმე".

აი, როგორ თავდებოდა ინკვიზიციის ტრიბუნალის გენერალური ინსპექტორის ინსტრუქცია: „იყოლიეთ იმდენი ჯაშუში, რამდენისათვის გადახდაც შეგიძლიათ. დაავალეთ, ყურადღება მიაქციონ სა-

* სახარება მათესი, 10, 34—38.

ეროებს, ასევე ეკლესიის მსახურთ, რათა მოვაწოდონ ცნობები ყველა საზოგადოებრივ და კერძო უწესრიგობაზე. არასოდეს არ შეიტანოთ ეჭვი მათს ჩვენებებში, გასრისეთ ყველა, ვისაც ისინი მიგითითებენ, დამნაშავენი და უდანაშაულონი, რადგან ჯობს ასი უდანაშაულო დაახრჩოთ, ვიდრე ცოცხალი დატოვოთ თუნდაც ერთი დამნაშავე.

ჩვენ გაგებული გვაქვს რომ ათთა საპჭო ჩვენი წმინდა ინკვიზიციის მტერია, რადგან ჩვენ ვედავებით ძალაუფლებას, რასაც ის საეკლესიო საქმეებში იჩემებს, მაგრამ მხედველობაში მიიღეთ აგრეთვე ის დიპლომატიური ურთიერთობა, რაც ვენეციის ზოგიერთ დიდებულ გვართან გაკავშირებთ. თქვენ უდიდესი სიფრთხილე გმართებთ, რათა ადამიანთა გონების გაღიზიანება არ გააძლიეროთ.

რაც შეეხება ხალხს, ან ბურჟუაზიას, იყავით უწყალო. მართალია, ღმერთი თვითონ დაიცავს საკუთარ თავს, მაგრამ ჩვენ მახვილი გვეძლევა იმისათვის, რომ იმ ადამიანებს ჩავცეთ, რომელთაც ბოროტი განზრახვა აქვთ. უყოყმანოდ გაორკეცეთ სიმკაცრე, თუ ეკლესიის წინააღმდეგ რაიმე მოქმედება შენიშნეთ. ჩვენ იძულებული ვართ თვალი დავხუჭოთ დიდებულთა უწესობაზე მხოლოდ მანამდე, ვიდრე განგება ხელთ არ მოგვცემს რაიმე ღონისძიებას, რათა ბოროტება ძირშივე აღვკვეთოთ. ხალხისა და ბურჟუაზიის მიმართ კი იყავით ულმობელნი".

ამ მეტყველი — უფრო სწორად, მყეფარე — ინსტრუქციის შემთხზველი დიდ ინკვიზიტორად დაინიშნა პავლე IV დროს. იმ მომენტიდან ტრიბუნალები და ჯალათები შეუსვენებლივ მუშაობდნენ. მგელთა ხროვამ დარიგება მიიღო, როგორ ეგლიჯა სამწყსო, დაუსჯელობის სიგელით აღჭურვილს. მერე, პაპი რომ გახდა, ტირანმა უფრო თავისუფლად განაგრძო თავის საგმირო საქმეთა სისხლიან გზაზე სვლა. უწინარეს ყოვლისა, მან გადაწყვიტა კარაფას გვარის გაწყვეტისათვის სამაგიეროს მიგება — იმიტომ კი არა, რომ თავს ამ ოჯახის მეგობრად თვლიდა — მორიელები არავისთან არ მეგობრობნენ — არამედ იმის გამო, რომ კაფარა ახლო ნათესავი იყო იმ მონასტრის პრიორისა, რომელმაც ეს ჯალათი ხალხში გამოიყვანა. გარდა ამისა, ადრე პავლე IV, იგივე ჯან პიეტრო კარაფა, ყოველნაირად უწყობდა ხელს მის დაწინაურებას და წყალობით ავსებდა. ასე, რომ

მიზეზები ჰქონდა. არც ის იქნებოდა ურიგო, რომ დასჯილთა ქონება მიეთვისებინა.

პიუს V განკარგულება გასცა დაეპატიმრებინათ ის მოსამართლეები, გუშაგთა რაზმი, ჯალათები,, რომელთაც განაჩენი აღასრულეს, და ყველანი ინკვიზიციის ტრიბუნალს გადასცა. შეიწყალა მხოლოდ ის პირშავი იეზუიტი, რომელმაც კარდინალი ალფონსო მოწამლა. იგნატი ლოიოლას ორდენი იმჟამად ისე გაძლიერდა, რომ ბერის ძებნა გაჭირდა. ან რომელი მწყემსი ჩამოახრჩობს ერთგულ ქოფაკს! ყველა დანარჩენი საშინელი წამების შემდეგ ცოცხლად დაწვეს, პირდაპირ გვიკვირს: რამ გააბოროტა ასე რელიგიის მესვეურები, რომ დაგლეჯა-დაწვა-დასახიჩრება-გაგუდვაზე მსუბუქი სასჯელი მათს კოდექსში არ ეწერა?

პიუს V არც ამით დაკმაყოფილდა. რომში ტერორი მძვინვარეებდა. სახრჩობელებზე, კოცონებზე იღუპებოდა ათასობით ადამიანი. ეს ადვილად ითქმის, და ვინ განიკითხავს ათასებს! ადამიანებს სიკვდილით სჯიდნენ ათი წლის წინ ჩადენილი დანაშაულისათვის, რაზედაც ახლა წარმოდგენა აღარა ჰქონდათ. ქალაქები გაჭედილი იყო ფისკალებით, რომელნიც დაღუპულთა ქონების წილს ელოდნენ ან პირადი შურისძიებით ანთებულნი ასმენდნენ უდანაშაულო ადამიანებს, რომელთა ბედიც ამით უკვე გადაწყვეტილი იყო. ვინც პაპის მაძებრის რისხვას დაიმსახურებდა, ჯურღმული და წამება ელოდა. პიუსის ჯურღმულიდან გზა ერთი იყო —კოცონზე. ერეტიკოსებზე კი, რა სულელური ბრალდებაც არ უნდა წაეყენებინათ, ლაპარაკი ზედმეტი იყო.

დედის დასჯა

● თავისი პონტიფიკატის ექვსი წლის განმავლობაში სამგზის წყეული პიუს V მხოლოდ წამებითა და სასჯელებით იქცევდა თავს, სხვა არაფერი უკეთებია. სიხარულის ხილვა მისთვის ისევე აუცილებელი იყო, როგორც უბრალო მოკვდავისათვის ჰაერი.

იმ უამრავ ამბავთა შორის, რომელიც ამ ურჩხულის უმაგალითო სისატიკეზე მეტყველებენ, განსაკუთრებით გამოირჩევა XV-XVI საუკუნეების ერთი ისტორიკოსის მოთხრობა.

ერთი იშვიათი სილამაზის პატრონი ქალი ინკვიზიციის ფისკალებმა დაასმინეს და ასეთი ბრალდება წაუყენეს: თავის დაა დაეხმარა გაქცევაშიო. იმ დის დანამაული ის იყო, რომ თურმე კალვინისტებს მიემხრო. კალვინისტებიც ხომ ქრისტიანები იყვნენ!

როცა უბედური მანდილოსანი დააპატიმრეს, რვა თვის ფეხმძიმე იყო. საშინელ ციხისქვეშა დილეგში ჩააგდეს, იქ ნაადრევად შვა ყრმა, სრულიად მოკლებულმა ადამიანთა ყურადღებას. უბედურმა დედამ დაივიწყა შიში და ტახჯვა. ფიქრობდა მხოლოდ შვილზე, რომელიც ინკვიზიციის ჯურღმულში იშვა. მთელი ღამე ხელიდან არ მოუცილებია. დილით ადამიანთა მოდგმის ჩირქმა პიუს მეხუთემ ტრიბუნალზე ბრალდებულის მიყვანა ბრძანა, თუმცა ქალი ფეხზე ძლივს იდგა. მხეცმა როდი შეიბრალა. ამაოდ ჩაუვარდა ფეხქვეშ ახალგაზრდა ქალი გულმხეც მღვდელმთავარს, ამაოდ იფიცებოდა, დის განზრახვა მხოლოდ გახაჩესის გამოცხადების შემდეგ გაიგეო. არც ფიცმა გაჭრა, არც ვედრებამ, არც ცრემლმა, ვერაფერია ვერ მოულბო პაპს ქვის გული.

„შეასრულეთ თქვენი ვალი!“ — უბრძანა ჯალათ-ბერებს.

მაშინვე სამი დომინიკანელი ეცა ახალგაზრდა ნამშობიარევ ქალს, სრულიად გაატიტვლეს და ხუნდზე დააკრეს. ხელ-ფეხი რგოლებით მიაბეს კედელზე, ისე რომ რკინა საცოლავს ხორცში გაუჯდა, ძვალამდე გაატანა.

დაიწყო წყლით წამება. ვერ მოასწრეს მერვე ძაბრი წყლის ჩასხმა, რომ ქალს პირიდან სისხლი წასკდა და ცნობა დაკარგა.

სანახაობით აღფრთოვანებულმა პაპმა ბრძანა ბრალდებული გონს მოეყვანათ და ყველაზე უფრო გრძნობიერ ადგილებზე გავარვარებული თუჯი მიედოთ, ფეხები კი ცეცხლთან მიეთრიათ. უბედური ქალი ისე გოდებდა, მძვინვარე ვეფხვს შეებრალებოდა — ვეფხვებს ხომ რელიგია არა აქვთ!

ახალგაზრდა ლამაზი ქალის წამება სადისტ ორფეხ ნადირს საოცარ სიამოვნებას ჰგვრიდა. იზრუნა იმისათვი, რომ მსხვერპლი მალე არ მომკვდარიყო, ამიტომ ბრძანა, სარდაფში ჩაიყვანეთო. ქალი სიცოცხლის აღარავითარ ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა, მხოლოდ დროდადრო კვნესოდა, და მარტო ეს კვნესა შესძრავდა ზეცას, გოგირდის წვიმას მოუვლენდა ცოდვილი მიწის ნაკვეთს, სადაც იშვა

ის სისხლიანი ნადიმი, რომლის საკადრისი სიტყვაც ადამიანს ვერ შეუქმნია. მაგრამ ღმერთი არ იყო. იყო რომის პაპი.

როგორც კი ქალი მიწისქვეშ აღმოჩნდა, მყისვე გამოცოცხლდა. ბავშვი გაახსენდა. დამწვარ-დასისხლიანებულ ფეხებს ძალა დაატანა, წამოდგა და იქვე დაეცა. დიდხანს მოუხდა ბედშავს კივილი და ძახილი, ვიდრე მეციხოვნე შევიდოდა. „მოძეცით ბავშვი“, — დაიკვნესა დედამ და იმ კუთხეს მიაშტერდა, სადაც საწამებლად გასვლის წინ ჩვრებში გახვეული ყრმა დატოვა. მეციხოვნემ ჩვრები უხეშად მიუგდო. დედამ სახვევი გაშალა და ნახა, რომ ბავშვი მკვდარი იყო. გაყინულიყო. გვამი გულში ჩაიკრა და იქვე გათავდა.

დილით პიუსმა ბრძანა, დაკითხვა განაგრძეთო. და ძალიან შეწუხდა, როცა მოახსენეს, ქალის ტანჯვა დასრულდაო. რამდენი სიამოვნება მოაკლდა პაპს!

იმავე დღეს აგენტებმა გამოარკვიეს, რომ ქალისათვის ცილი დაუწამებიათ. მაგრამ პიუსმა ცილისმწამებლები კი არ დასაჯა, შეაქო გულმოდგინებისათვის, თუმცა მიცვალებულ დედასაც პატივი სცა: მისი გვამი მშობლებს დაუბრუნა. ცხადია, ტახტზე იჯდა ბოროტი ძალა, რომელსაც არ სურდა, არ შეეძლო სიკეთე ჩაედინა. წარმოიდგინეთ საქრისტიანო ექვსი წელი ასეთი სულთამხუთავის ხელში!

სიტყვისათვის — ყულფი ყელზე

● მთელი ტომი დაიწერებოდა უწმინდესი მამის პიუს V ძეცობაზე. მისი ტახტზე ასვლიდან ნახევარი წელიც არ იყო გასული, რომ მრავალი რომაელი აუწერელმა შიშმა მოიცვა და ქალაქიდან გაიქცა. რომი სასაფლაოდ იქცა. შეშფოთებულმა კარდინალებმა სცადეს შეშლილი ჯალათის დარწმუნება, ზედმეტი სისასტიკე ეკლესიის ავტორიტეტს ზიანს მიაყენებსო. გაცოფებულმა მღვდელმთავარმა შეუცაცხანა და კარდინალებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. მისი სიბრაგე დღითიდღე მატულობდა. ჯერ ჯაშუშების რიცხვი გაზარდა. ყოველი დასმენილი და ეჭვმიტანილი მაშინვე შეიპყარით, ნუ შეამოწმებთო, ბრძანა. ეს იყო ბრძანება, რაც არ ჰგავდა არც ადამიანთა

საზოგადოებისათვის შექმნილ კანონს, არც ავაზაკთა თავისებურად სამართლიან მოთხოვნებსა თუ წესებს. ეს ჰგავდა ტყის მტაცებელთა ადათს. დაასმინეთ, — ასეთი იყო ბრძანება, — წამება ენას აადგმევინებს ბრალდებულს! ვისაც რკინის ნებისყოფა არ აღმოაჩნდებოდა, აღიარებდა. ამღიარებელი დაღუპული იყო. ვინც არ აღიარებდა, წამებით იღუპებოდა. საერთოდ კი დამნაშავე აწამებდა უდანაშაულოს.

წმინდა მამის ბინძური ქეშიკები ზუსტად ასრულებდნენ ბატონის ბრძანებას. ინსტრუქციით აღჭურვილი მაძებრები გახდნენ ქალაქის ფაქტიური მბრძანებლები, რადგან ამ მრისხანე არამზადების ნებასურვილზე იყო დამოკიდებული ყველაზე უფრო პატიოსანი და პატივცემული ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი. ერთი სიტყვა კმაროდა, რომ კაცი სახრჩობელაზე ან კოცონზე გაეგზავნათ.

ცნობილი მწერალი ბონიუს კალეარიუსი დამსმენთა მსხვერპლი გახდა, რადგან ასე თქვა: „ინკვიზიცია წარძოადგენს ხანჯალს, როძლის პირი მიმართულია ყველა სწავლულის გულის წინააღძდეგ“. პიუს მეხუთემ სბირები გაგზავნა მილანში, სადაც პალეარიუსი ცხოვრობდა. მწერლის დაპატიმრება უბრძანა. ბინძურმა პაპმა პატივი სცა მის პროფესიას და ვატიკანის ყველაზე უფრო ბინძურ მიწისქვეშა საკანში ჩააგდო.

როგორც წესი, მწერალი დაჰკითხეს. პალეარიუსს იმედი ჰქონდა, რომ თუ ბრალდებას მტკიცედ უარყოფდა, სიცოცხლეს შეინარჩუნებდა, ამიტომ, უსასტიკესი წამების მიუხედავად, შეუპოვრად უარყოფდა, ასეთი ფრაზა არ წარმომითქვამსო. მაშინ პაპმა ჯოჯოხეთურ ბრიკს მიმართა. წამებიდან წამებამდე შესვენებაზე მწერალს სიტყვა მისცა, დაუყოვნებლივ გამოგიშვებ, თუ ამ განცხადებაზე ხელს მომიწერო. მწერალს უნდა ეღიარებინა, რომ „პაპს უფლება აქვს მოკლას ერეტიკოსები, ისევე როგორც ეკლესიას უფლება აქვს დანიშნოს მოხელეები ინკვიზიციის განაჩენების აღმსრულებლად, და უზენაესი მღვდელმთავარი აღჭურვილია უფლებით საკუთარი ხელით განგმიროს თავისი მტრები“.

პალეარიუსმა გულუბრყვილო ნაბიჯი გადადგა, ამ საზიზღარ განცხადებას ხელი მოაწერა. ძლივს მოასწრო საკუთარი განაჩენის დამტკიცება, რომ პაპმა კილო შეიცვალა და გამოუცხადა, შენი ხელით

გამოიჭერი კისერი, რადგან აღიარე, რომ პაპს უფლება აქვს ერეტიკოსები მოკლასო.

პაპის მახანათობა რომ გაიგო და დარწმუნდა, რომ უსარგებლო იქნებოდა მუდარით თავის დამცირება, მწერალმა ზიზღით გადმოუშვა ყველაფერი. რასაც ფიქრობდა მის მზაკვრობაზე, საზიზღარ სიმდაბლეზე და სისასტიკეზე.

„რაზე ჩივით, ძმაო ჩემო, — ფარისევლურად ჰკითხა პაპის ყურმოჭრილმა ყმამ, მლიქვნელია ბერმა მწერალს, როცა გაცოფებული პაპი ბრაზით სულს ძლივს ითქვამდა და ასპიტის გესლიანი თვალებით შესცქეროდა თავის მსხვერპლს. — აკი თქვენ თვითონ აღიარეთ, პაპს უფლება აქვს თავისი ხელით მოკლას ერეტიკოსებიო!“

ბრალდებულმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. პაპმა ნიშანი მისცა. ჯალათებმა ყელზე ყულფი მოარგეს, ჭოჭონაქით ყელზე მიმაგრებული თოკი ასწიეს და ძაღლური ძალის კიდევ ერთი მსხვერპლი უმწეოდ დაეკიდა ჰაერში, ფეხები გაასავსავა, დაიკრუნჩხა და მიყუჩდა.

მაგრამ შესვენების დრო არ იყო. პალეარიუსის გვამი მაშინვე ჩამოხსნეს და ახალი მსხვერპლის შემოსაყვანად კაცი გაგზავნეს. ახლა იმან დაიკავა მეცნიერის და მწერლის ადგილი ხუნდზე. წმინდა მამა უქმად ყოფნას ვერ ეგუებოდა. თანაც პატიმართა სიმრავლე აიძულებდა სწრაფად ეწარმოებინათ საქმე, რომ ციხეები არ გადატვირთულიყო. მიწა ყველას იტევს. ჯოჯოხეთის წისქვილი მუშაობდა და ფქვავდა ადამიანებს.

ქრისტიანი მღვდლები და სიყვარულის ქურუმები

● პიუს V დარწმუნებული იყო, რომ მისი ნება უნდა გაბატონებულიყო მთელს დედამიწაზე, მსგავსად უფლის ნებისა. ეს დუხჭირი ჯალათი ამდენ ფასს რატომ სდებს თავს? როგორც აბსოლუტური კრეტინი, არავითარ შეპასუხებას არ ითმენდა. ვაი მას, ვინც მის ქვეწარმავლურ ზრახვებს წინ აღუდგებოდა!

ამის მიუხედავად პონტიფიკატის პირველ თვეებში იძულებუ-

ლი გახდა უარი ეთქვა დეკრეტზე, რაც მან გამოსცა და რამაც მთელი რომის სასულიერო წოდების აღშფოთება გამოიწვია. წმინდა კოლეგიის ოსტატური პოლიტიკა რომ არა, შეიძლებოდა მაშინ ამ ჯალათს ტახტიც დაეკარგა.

საქმე ასე იყო. პაპმა ცნობა მიიღო, რომ რამდენიმე კალვინისტმა ქალმა, ინკვიზიციის სასამართლოსაგან თავის დაღწევის მიზნით, თავი მეძავად ჩააწერინა, თუმცა სულაც არ ფიქრობდა ასეთი პროფესიის მიღებას. პაპს ვერავითარი დამამტკიცებელი საბუთი ვერ წარუდგინეს, ვერც ერთი კონკრეტული მაგალითი ვერ დაუსახელეს, მაგრამ როგორც უკვე მოგახსენეთ, საკმარისი იყო მარტო ეპვის მიტანა. აბიტომ პიუს მეხუთემ გამოსცა იდიოტური დეკრეტი, რომელიც რომის ყველა მეძავს ავალებდა ერთი თვის განმავლობაში გათხოვილიყო ან ქალაქიდან წასულიყო, თუ არ სურდა საჯაროდ გაშოლტვა-გაშიშვლება.

რომის სამღვდელოება — რომის როსკიპთა პირველი კლიენტურა, დრტვინვას მოჰყვა. რაკი დარწმუნდნენ, წმინდა მაძა ჯიუტობსო, მღვდლებმა აშკარად გამოხატეს თავიანთი უკმაყოფილობა. კარდინალებმა იცოდნენ, რომ ეს საქმე უბრალოდ ვერ ჩაივლის და შეიძლება აჯანყებით დამთავრდეს, ამიტომ პაპს უთხრეს, რამდენიმე კალვინისტი ქალი იმდენად არ ღირს, რომ მათი გულისათვის ტიარა სასწორზე დაიდოსო.

პაპის ყურადღება შეაჩერეს იმაზე, რომ ორმოცდახუთი ათასი მეძავი, რაც რომს ემსახურება, ასეთი დიდი ქალაქისათვის ცოტაა და საცოდავები ვერც კი ასწრებენ სამღვდელოების მომსახურებას, ამ ქალთა არმიის გაუქმება კი კლირიკების ცხოვრებაში ძირფესვიან გადატრიალებას მოახდენს და გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანსო.

ასეთი საფუძვლიანი, თუმცა ამდენადვე უზნეო საბუთები რომ წარუდგინეს, პიუსმა განაცხადა, არავის არ მივცემ უფლებას ჩემი მოქმედება განსაჯოს და დაუყოვნებლივ შეუდექით მის აღსრულებასაო. პაპის ამაყი სულის მოტეხვა არ მოხერხდებოდა, კარდინალებს რომ რაღაც გამოსავალი არ ენახათ: წმინდა მამას შეახსენეს, რომიდან მეძავთა წასვლა ძლიერ იმოქმედებს რომაელი ბავშვების ბედ-

ზეო: ორმოცდახუთი ათასი როსკიპის ადგილას ამდენივე ყრმა დიჭერსო: როცა შეატყვეს, რომ ამ საბუთმა პაპი ცოტა ჩააფიქრა, მაშინვე დაუმატეს: როსკიპთა წასვლა დიდ ზარალს მიაყენებსო მოციქულის ტახტის სალაროს.

შემოსავლის ასეთი წყაროს დაკარგვა მართლაც არ იყო სასურველი, ამიტომ პაპი დანებდა და ედიქტი შეცვალა, მხოლოდ ასეთი განკარგულება გასცა: ქალაქის გარკვეულ უბნებში იცხოვრონ და ფეხი არსაით მოიცვალონ არც დღისით, არც ღამითო. პროსტიტუციის ასეთი ლოკალიზაცია ერთადერთი დათმობა იყო, რაც ოდესმე პაპს პიუს V უნებებია.

სამი ურჩხული

● პაპმა იტალია სასაფლაოდ აქცია. მაგრამ ეს ცოტა იყო. შხამით გაჟღენთილმა მანიაკმა მოინდომა მთელი საქრისტიანო დაეშანთა და ტერორის ისრებით დაესერა. ესპანეთში ღირსეული მოკაჟშირე იპოვნა, კათოლიციზმის ნამდვილი ბურჯი, რომის უსასტიკესი პაპების ტიპის ტირანი, ფილიპე, რომელიც საკუთარ შვილს არ ინდობდა. ესპანეთის ინკვიზიტორები, რომელთაც სისხლით მორწყეს მთელი ნახევარკუნძული, თავიანთი ფანატიკური გულმოდგინებითა და ჯოჯოხეთური სისასტიკით პაპის ინკვიზიტორებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ესპანეთის ულმობელ ტირანს ფილიპეს რომ ხოტბას ასხამდა, პიუს V ქოფაკივით გაალმასებული უღრენდა მის დას მარგარიტა პარმელს, ჰერცოგ ქალს, ნიდერლანდების რეგენტს, რომელიც მისი აზრით ერეტიკოსებს ლმობიერად ექცეოდა.

მარგარიტა პარმელი კი მთელი თავისი ძალღონით ცდილობდა პაპის გულის მოგებას. ყოველდღე სცემდა ერეტიკოსთა და რეფორმატორთა დაპატიმრების ბრძანებას. მაგრამ მოსამართლეები ფარულად რეფორმაციას თანაუგრძნობდნენ და ხალხის ამბოხებისა ეშინოდათ, როგორღაც ლმობიერებას იჩენდნენ და პატიმრებს ათავისუფლებდნენ.

სასოწარკვეთილი მარგარიტა არაერთხელ დასხმია თავს მოსა-

მართლეებს, რომელთაც ჰყოფნიდათ თავხედობა, რომ თავი დამოუკიდებლად სჭეროდათ. ერეტიკოსებს რომ დევნიდა, საჯარო საკრებულოების აღკვეთა სცადა. დახურა სახლები, სადაც ქადაგებების მოსასმენად ხალხი იყრიდა თავს. მაგრამ ხალხმა ქედი არ მოიხადა, შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია ჯალათთა რაზმებს, სახრჩობელაზე აჰყავდა აგენტები, გარეკა ჯარისკაცები. ფილიპე მეორის და დარწმუნდა, რომ ექსპერიმენტების შედეგი სავალალოა და დევნა შეწყვიტა.

პაპის შეგონებით ესპანეთის მეფემ ნიდერლანდების პროტესტანტების წინააღმდეგ მიმართული ახალი ედიქტი გამოაქვეყნა. მეფე მთავრებსა და სენიორებს უბრძანებდა იძულებული გაეხადათ თავიანთი ვასალები, რომ ტრიდენტის კრების დადგენილება მიეღოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქონების კონფისკაციითა და თანამდებობისა თუ წოდებათა ჩამორთმევით ემუქრებოდა.

მეფის მოლოდინი არ გამართლდა, მისი მუქარა აინუნშიაც არავინ ჩააგდო. პირიქით, ნიდერლანდელმა დიდებულებმა უკიდურესი აღშფოთების მახვილი შეაგებეს. მათი მოწოდებით ბრიუსელის ალაყაფის კარების წინ ველზე ოცდაათი ათასზე მეტი მოქალაქე შეიკრიბა და ფიცით შეიკრა, ქვეყნის დამოუკიდებლობას დავიცავთო. სხვა ერი და სხვა სარწმუნოება ქვეყნის დამოუკიდებლობას ეხებოდა მარად და ყველგან. მამაცმა ჰოლანდიელმა ხალხმა ეს იცოდა.

შემდეგ ხუთასმა დელეგატმა მოქალაქეთა მოწონების შეძახილებში მთელი ქალაქი გაიარა და ბაირაღებით ხელში მიადგა რეგენტი ქალის სასახლეს. ბრბოს გამომეტყველება ტირანის დას კარგს არაფერს უქადდა.

მარგარიტა სრულიად დაიბნა, ძმის ინსტრუქცია დაავიწყდა და საზეიმო დაპირება მისცა ხალხს, სარწმუნოების სრულ თავისუფლებას დეკრეტით დაგიმტკიცებთო. დელეგატები უსიტყვოდ წავიდნენ. მაგრამ ეზოდან გასვლა ვერ მოასწრეს, რომ მარგარიტამ თავისი სულმოკლეობა ინანა და მაშინვე სიტყვის გატეხვა გადაწყვიტა.

ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, დემონსტრაციის მონაწილეები მოთმინებით ელოდნენ ედიქტის გაუქმებას. ბოლოს გაბედეს და პირდაპირ მეფეს მიუგზავნეს დელეგაცია, სთხოვეს არა სიტყვით, არამედ საქმით შეემსუბუქებინათ რელიგიური კანონების სიმკაცრე.

წმინდა მამას, რომელმაც მთელი ევროპა ჯაშუშთა ქსელით დახლართა, მაშინვე შეატყობინეს მოსყიდულმა აგენტებმა საქმის ვითარება. თავის მხრივ პაპმა მადრიდში ნუნციუსს დაავალა თვალი დაეჭირა ხალხის წარმომადგენლების ჩასვლაზე, თანაც ჯეროვნად გაეფრთხილებინა მეფე, რათა საკადრისად დაესაჯა ნიდერლანდელთა დესპანები.

პაპის აგენტს ასეთი დავალების შესრულება არ გაუჭირდებოდა. პაპი და მეფე ერთიმეორისაგან მხოლოდ იმით განირჩეოდნენ, რომ ერთს ტიარა ეხურა, მეორეს — გვირგვინი. ორივე ერთნაირად ულმობელი და აღვირახსნილი ფანატიკოსი იყო. ესპანეთის მონარქი პაპის შეგონების გარეშეც ისევე მოიქცეოდა.

როგორც კი ჩამოვიდნენ, ბედშავ ფლამანდიელებს ხელი სტაცეს, ინკვიზიციის სასამართლოს გადასცეს და დაწვეს.

როცა შუაკაცების მუხანათური წამების ამბავი ნიდერლანდებში გავრცელდა, აღშფოთებული ხალხი ესპანეთის მეფის წინააღმდეგ აღდგა. ხუთასი ათასი კაცი იარაღასხმული იფიცებოდა, მღვდელთა და ტირანთა უღელს გადავაგდებთო.

ასეთი იყო გეზების გმირული ამბოხების სარჩული. ესპანეთის პირსისხლიანი მეფის ვერაგობით გულანთებული პატრიოტები წვავდნენ ეკლესიებს, მონასტრებს, ხოცავდნენ ხუცებს. მეფის მხეცურმა და ბეცურმა აქტმა ქვეყანა უბედურების ასპარეზად აქცია, მაგრამ მხოლოდ ბავშვურ თამაშად გამოჩნდებოდა იმასთან შედარებით, რასაც კათოლიკური პარტია სჩადიოდა.

ამჯერად კი კათოლიკეთა წინააღმდეგობა გატეხეს, აჯანყებულმა პატრიოტებმა გაიმარჯვეს. რეგენტი დედაკაცი იძულებული გახდა უარი ეთქვა ინკვიზიციის სამსახურზე და გამოეცა ედიქტი სინდისის თავისუფლებაზე.

ამან გაუგონარი სიხარული გამოიწვია. გეზები დამშვიდდნენ. მართალია, ყოველ შემთხვევისათვის იარაღი არ დაუყრიათ, მაგრამ მშვიდობიანი განწყობილება კი ნამდვილად შეინიშნებოდა. გმირები აღარავის ერჩოდნენ და იქნება ამბოხება დასრულებულიყო, რომ ღვარძლიან ტირანს — პაპს ხელახლა არ მოეხვია თავისი ნება ფილიპეს დისთვის და ორპირ ქალს მეორედ არ დაერღვია მიცემული პირობა.

ფლანდრიის ამბები რომ გაიგო, პიუს V მარგარიტას უბრძანა და-

უყოვნებლივ დაეხია ედიქტი და რჩეული არმია დაეძრა მეამბოხეთა წინააღმდეგ, თანაც იმუქრებოდა, თუ ჩემი ბრძანება არ შესრულდა, თვითონ მარგარიტა პარმელს შევაჩვენებო.

იმავე დროს წმინდა მამამ ესპანეთის მეფე — ინკვიზიტორს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც რეგენტ ქალს ბრალს სდებდა ლმობიერებაში. განუწყვეტლივ გზავნიდა ბრძანება-განკარგულებებს, ილრინებოდა, იცოფებოდა, იმუქრებოდა, მოითხოვდა მეამბოხეთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღებას, რეფორმატორების დასჯას.

„ყველანი ზღვაში უნდა ჩაახრჩოთ, — ასე ამთავრებდა თავის ერთ-ერთ წერილს რომის სულთანჩუთავი, — დაე, ცეცხლმა და მახვილმა უდაბნოდ აქციოს მათი ნაყოფიერი ველ-მინდორიდა მიწასთან გაასწოროს გაამპარტავნებული ქალაქი, რათა ჭეშმარიტმა ქრისტიანებმა იზეიმონ, ჩვენი სარწმუნოების გამარჯვებით გახარებულებმა“.

ვინღა იყო „ჭეშმარიტი ქრისტიანი“, როცა ლამის მსოფლიო სასაკლაოდ აქციეს და თვითონ, რომის პაპები ვენერას უფრო სცემდნენ თაყვანს, ვიდრე ქრისტეს? ორიოდე ჯალათი, ფანატიკოსი, ბერი და მეფე...

ფილიპე მეორემ მაშინვე მორჩილად დაუკრა თავი და ფლანდრიისაკენ მრისხანე არმია დაძრა. დამსჯელ ჯალათთა ჯარს სათაევში ედგა ულმობელი ჰერცოგი ალბა, რომელსაც გულის ნაცვლად მკერდში შავი ქვა ედო. რა თქმა უნდა, მან სავსებით გაამართლა წმინდა მამისა და თავისი მბრძანებლის ნდობა.

უფართოესი უფლებებით აღჭურვილმა ჯალათმა, კათოლიციზმის თავგამოდებულმა დამცველმა ყველა მოქალაქის საყოველთაო დაპატიმრების ბრძანება გასცა. მაშინვე სიკვდილის განაჩენი გამოუტანა სენიორებს, მათი ქონება კი კონფისკაციის წესით მთლიანად გადავიდა მეფისნაცვლის ხაზინაში, ასე რომ მალე ქალაქების გარშემო ციხე-სიმაგრეები აღიმართა. ამის შემდეგ სრულუფლებიანმა მბრძანებელმა დაიწყო გაჭედილი საპყრობილეების ჯურღმულებში ჩაყრილ მოქალაქეთა უწყალო ხოცვა-ჟლეტა. არასოდეს ასე ელვის სისწრაფით არ მომხდარა ადამიანთა მასიური დასჯა. რაღაც წარღვნის პირსისხლიანი მტარვალი ტრიალებდა მშვენიერი ნიდერლანდების მიწა-წყალზე, ზიზღისმომგვრელი ჩონჩხის — ჰერცოგ ალბას სახით.

ამ მართლაც სულითა და ხორცით ჩონჩხმა ალბამ პირველსავე დღეებში შექმნა „სიკვდილის ტრიბუნალი“, რომლის მიზანი იყო ყველა ბრალდებულის განუკითხველი განადგურება, მიუხედავად მათი ასაკის, სქესის და თვით რელიგიისა. „ყველა ბელგიელი სიკვდილს იმსახურებს, — სწერდა თავის ნაცვალს მისებრ პირსისხლიანი ჯალათი მეფე ფილიპე II, არა მელნით, არამედ სისხლით: — პროტესტანტები იმისათვის, რომ ეკლესიები დაანგრიეს, ხოლო კათოლიკები იმისათვის, რომ სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს“. საბედნიეროდ, ეს იდიოტური მსჯავრი მალე შეეხება მის დამსხვრეულ „უძლევ არმადასაც“, რადგან „სათანადო წინააღმდეგობას“ ვერ გაუწევს ინგლისის ფლოტსა და ქარიშხალს!

ძალაუფლების სადავე რომ ხელთ აიღო, ალბაც ზუსტად მიჰყვა შეფის ინსტრუქციას.

ქალაქებსა და სოფლებში სახრჩობელები აღმართეს, კოცონები გააჩაღეს, კუნძები გაამზადეს. შარაგზებზე ბუზი ეხვეოდა ხეებზე შობმულ ადამიანებს, სუნი სდიოდათ უპატრონო გვამებს. სიკვდილით დასჯა, თუ შეიძლება ასე ეწოდოს საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას, რამდენიმე თვეს გაგრძელდა. ერთხელ, მარტო ერთ დღეში, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, დაწვეს, ჩამოახვრჩვეს, თავი მოჭკვეთეს ან ოთხად გაკვეთეს ექვსასზე მეტი მოქალაქე. იგივე ბედი ეწიათ წარჩინებულ პირებს, დიდებულებს, რომლებიც დეკრეტს არ დაემორჩილნენ.

ოცდაათი ათასზე მეტი კალვინისტი გაიქცა გერმანიასა და საფრანგეთში, რომ უეჭველი დაღუპვისათვის თავი დაეღწიათ.

თავი რომ სამშვიდობოს იგრძნეს, ლტოლვილებმა თავი წამოჰყვეს და შეუდგნენ მზადებას შურისძიებისათვის. იარაღით ხელში უნდა ეხსნათ დასახიჩრებული სამშობლო ალბას ტირანიისაგან. საფრანგეთის ჰუგენოტთა უმრავლესობა მათ მიემხრო. არმიას სათავეში ჩაუდგნენ პრინცი ვილჰელმ ორანელი და მისი ძმა ლუდოვიკო. მათი სახელი დაჩაგრული და მცირე ერების ნამდვილ დროშად იქცა ყოველი დროისათვის.

საუბედუროდ, ალბას ჯარი უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო დისციპლინირებული იყო. ბრიუსელს რომ უახლოვდებოდნენ, პროტესტანტები უკვე დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ საფრანგეთში გაქცეულიყვნენ.

ჰერცოგმა ალბამ თავისი ტრიუმფი ახალი სასჯელებით აღნიშნა. მოლოქს სწირავდა მსხვერპლს ჯალათთა რელიგიის აბჯარასხძული სარდალი.

ესპანეთის ჯარის ტრიუმფმა რომის პაპს ობობის გული სიხარულით აუვსო. მისალოცი სიგელები გაუგზავნა ფლანდრიის ყველა ჯალათს და ადიდებდა მათს გულმოდგინებას. რა ფასი ჰქონდათ პაპის ფარატინა ქაღალდებს, უმანკო ადამიანთა სისხლის ზღვაში რომ დააფრიალებდნენ ადამიანთა მოდგმის პირშავი ჯალათები? გეზების დაუნდობელი განადგურებისათვის ჰერცოგმა ალბამ პაპისაგან საჩუქრად მიიღო ფართო ქუდი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, აგრეთვე ოქროს საპატიო ხმალი ასეთი წარწერით: „ერესის მძლეველ გმირს“. ჭრელია ენა პოლიტიკისა: გმირს ეძახიან ხალხის ჯალათს, სისხლში განბანილ მტარვალს! მადლიერმა ჰერცოგმა თავი როდი დაივიწყა. ანტვერპენში ძეგლი აიგო და თაღზე პაპის ეს სიტყვები ამოაკრეფინა.

ამ ბოროტ მტარვალთა ურთიერთ პატივისცემა მორიელების დროებით მეგობრობას მოგვაგონებს და სრულიად კანონზომიერი ამბავია.

არავითარი შებრალება!

● მის უწმინდესობას პიუს V შეეძლო გულდამშვიდებით ეფშვნიტა ხელები, რადგან სრულდებოდა მისი ოცნება, ევროპა სისხლში იხრჩობოდა. იმ დროს, როცა ჰერცოგი ალბა ფლანდრიაში ერეტიკოსებს ანადგურებდა, დალოცვილი მეფე კარლოს IX თავისი მეძავი დედის ეკატერინე მედიჩის დახმარებით, რომელიც ფაქტიურად განაგებდა საფრანგეთს, აგრეთვე ღვთის საამებელ საქმეებს აკეთებდა.

პიუს V არა მატრო ფხიზლად ადევნებდა თვალს საფრანგეთის მეფის პოლიტიკას, არამედ საკუთარი ხაზინიდან ფულსაც კი იმეტებდა მისთვის. იმ დროს საფრანგეთში ჰუგენოტებთან ომი წარმოებდა, და ასეთ წმინდა საქმეში სიხარბეს სიძულვილი აღემატებოდა.

როცა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩართული მეფე

ჭოშმანს დაიწყებდა, პაპი მაშინვე ასეთი სიტყვებით წააქეზებდა: „ქრისტეს სახელით გიბრძანებთ ჩამოახრჩოთ ეს თავი მოჭკვეთოთ თქვენს ხელთ მყოფ ტყვეებს, მათი წოდების, სქესისა და ასაკის მიუხედავად, არ გაიკაროთ გულში სიბრალული, რადგან ისევე, როგორც შეუძლებელია სატანის შვილთა და ჩათლის შვილთა შერიგება, ასევე ამიერიდან ვერ დავუშვებთ, რომ უკეთურთა მოდგმა მრავლდებოდეს. არავითარი დანდობა ერეტიკოსებს! ჩვენი ღმერთისათვის სისხლის დაღვრა ყველაზე უფრო სამართლიანი საქმეა, თუ იღვრება კათოლიკური რელიგიის მტერთა სისხლი. დაე, ღვარებად წავიდეს სისხლი წმინდა საკურთხეველთან. დაე, შიშმა გათანგოს ყველა, ვინც არ დაგვემორჩილება!“

ჰუგენოტების ჯარმა სასტიკი დამარცხება იგემა. მაგრამ მარშალმა, რომელიც ჯალათების არმიას წინამძღოლობდა, მოლოცვის ნაცვლად, რისი მოლოდინიც მას ჰქონდა, პაპის საყვედური მიიღო: მართალია, მრავალი ერეტიკოსი დახოცე, მაგრამ ყველა უნდა მოგესპო — ზოგი გაქცეულაო!

მარშლის თანაშემწედ პიუსმა ერთი იეზუიტი გაგზავნა. ლოიოლას ერთგული მიმდევარი „მეთოდისტი“ იყო. ჯერ, როგორც წესია, კოცონები ააგიზგიზა, მაგრამ ეს გაცვეთილი წესი მეტისმეტად მარტივი და სწრაფი ეჩვენა. მამაკაცებისათვის ამ ხორცშესხმულმა სატანამ სხვა წამება მოიგონა: ცოცხლად ტყავის გაძრობა... ჰოი, ქრისტიანებო! თუ კიდევ გწამთ, იწამეთ თუნდაც პოლინეზიელთა კერპები, ოღონდ არა ის რელიგია, რომელიც დასაშვებად თვლის ცოცხალი ადამიანისათვის ტყავის გაძრობას! ასეთი ხვედრი ელოდათ იეზუიტ ჯალათის ხელში ჩავარდნილ მამაკაცებს, ხოლო ქალებისა და ბავშვების წამებას ის პირადად ხელმძღვანელობდა.

ჩვენ ძალა აღარ გვყოფნის ამ სადისტის მხეცობის გადმოსაცემად და დუმილს ვამჯობინებთ.

წმინდა მამამ თავისი ინსტრუქციის ზუსტად გატარების ამბავი გაიგო და როგორც იქნა, მიულოცა ჯალათ-მარშალს! განა მადლობის ღირსი არ იყო სარდალი, რომელმაც ისეთი ნადირის გული დააცხრო, როგორიც იყო პიუს V, ავტორი დეკიზისა: „არავითარი დანდობა!“

● პაპი ზეიმობდა. ყველა ეკლესიაში სადღესასწაულო ცერემონიებით სრულდებოდა ღვთისმსახურება. პაპი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთში ჰუგენოტები საბოლოოდ განადგურებული იყვნენ და თავის გვარდიის გაწვევას აპირებდა. მაგრამ სულ მალე სიხარული სიმძიმილით შეიცვალა, ისე რომ პირზე დორბლი მოადგა. რომში ცუდი ამბავი მოვიდა: საძრეთში ჰუგენოტების არმია ფორსირებული მარშით დაიძრა და პარიზს მიადგაო. ეკატერინე მედიჩიმ დედაქალაქის ალყის შიშით საბრძოლო ქმედების შეწყვეტა ბრძანაო. საერთო ამნისტიის გარდა მთავრობა მზად იყო დაებრუნებინა ჩამორთმეული მიწები, ნება დაერთო პროტენსტანტებისათვის თავისუფლად ეწარმოებინათ თავიანთი ღვთისმსახურება და დაეკავებინათ ექვსი თანამდებობა პარლმანეტში. ამას გარდა, მათ ხელში რჩებოდა ოთხი ციხე-სიმაგრე.

ეს დათმობანი კათოლიკებს მეტისმეტი ეჩვენათ. მაგრამ ეკატერინე მედიჩი წმინდა მამას სწერდა, რომ მშვიდობიანი ხელშეკრულება — მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯია, სინამდვილეში კი ისა და მისი შვილი ემზადებიან, რათა ჰუგენოტებს უკანასკნელი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ.

პიუს V ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა. იეზუიტებთან ერთად, რომელთა ზედავლენა დასავლეთ ევროპის მბრძანებელთა სასახლეების კარზე უაღრესად გაიზარდა. პაპი სათავეში ჩაუდგა დიდი ლაშქრობის მზადებას ერეტიკოსების წინააღმდეგ; ამასთან ყველა ქრისტიან მეფეს ლეგატი გაუგზავნა, — თავის სისხლიან ზრახვებს აუწყებდა და შეწევნას ითხოვდა.

მილანის არქიეპისკოპოსი, რომელსაც პიემონტსა და შვეიცარიაში ავაზაკთა ბანდების ორგანიზაცია დაეკისრა, ხალისით გამოეხმაურა პიუს V წინადადებას. პაპის კარდინალს, რომელიც პოლოხეთის მეფე სიგმუნდს ესტუმრა, აგრეთვე სიხარულით შეხვდნენ. კარლოს IX და დედამისმა განაცხადეს, სავსებით ვეთანხმებით მის უწმინდესობასო. მხოლოდ გერმანია უწევდა წინააღმდეგობას, აგრეთვე ინგლისი, რომელიც ვერავითარი ღონისძიებით ვერ შეიტყუეს ომობას

ქსელში. პიუს V ამაოდ მიმართავდა ათასნაირ დიპლომატურ ხრიკს ამაოდ ცდილობდა მაქსიმილიანის მოქცევას თავისი ზეგავლენის ქვეშ. იმპერატორმა, არა ჰუმანისტი მოსაზრებებით, არამედ იმის შიშ-ით, რომ ფართო იმპერიის პროტესტანტებს გადაიკიდებდა, უარი თქვა ამ ავანტურაში მონაწილეობაზე, რაც სახიფათოდ მიაჩნდა.

მისმა უარმა წმინდა მამა ისე გააბრაზა, პირიდან სულ ცოფსა ყრიდა, მაგრამ ეტყობა, ცოფიც გამოელია, შხამიც, ჯანიც, შეუძ-ლოდ გახდა და რამდენიმე დღის შემდეგ სამოცდარვა წლის ბეხ-რეკმა-ჯალათმა ცოდვილი სული თავის ძმადნაფიც სატანას ჩააბარა. ეს მადლი მაქსიმილიანეს უფრო ამაღლებს, ვიდრე მისი საიმპერა-ტორო გვირგვინი.

მღდველმთავრის სიკვდილმა მრავალ პროტესტანტს შეუნარჩუნა სიცოცხლე. მხოლოდ ფრანგ ჰუგენოტებს არგუნა ბედმა ის საშინე-ლი ხვედრი, რასაც უნდო ჯალათი პიუს V მთელს ევროპას უმზა-დებდა.

ნუ დავივიწყებთ ნურც იმას, რომ ეკლესიამ ეს სისხლისმღვრე-ლი ჯალათი წმინდანად შერაცხა.

სიმართლე რომ ითქვას, ღირსიც არის შარავანდედით მოსილ ბანდიტთა გალერეისა.

გრიგოლ XIII

● როგორც კი პიუს მეხუთედ წოდებულმა კუშტმა ურჩხულმა თავისი მიწიერი არსებობა დაასრულა, კარისკაცებმა ვატიკანის გარ-შემო ტლანქი ჯარისკაცების მთელი გარნიზონი დააყენეს, სასახლე-ში მისასვლელი ჩაკეტეს, რადგან იცოდნენ, როგორ სძაგდა ხალხს ჩაძაღლებული მტარვალი. ეშინოდათ, რომ განრისხებული რომაელე-ბი მისი უწმინდესობის გვამს შეაგინებდნენ და მისდა სამარცხვი-ნოდ ძაღლის ლეშივით ქალაქში სათრევად გახდიდნენ.

როცა პიუს V დაასაფლავეს, კარდინალები ახალი პაპის ასარჩევად ჩაიკეტნენ. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ-ხმის უმრავლესობა მიიღო კარდინალმა ბონკომპანნიმ, სახელად ჰუგომ, ბოლონიელმა ჯალათმა, რომელიც ბართლომეს ღამის ხოცვა-ჟლეტას სამადლობელი პარაკ-ლისით შეხვდა. ტახტზე ასვლის შემდეგ მისი სახელია გრიგოლ XIII.

რომის კათოლიკური ეკლესიის ახალი მბრძანებელი დაიბადა 1502 წელს, ასე რომ 1572 წელს, როცა ტახტზე ავიდა, უკვე 70 წლისა იყო. პირველად სამართალს სწავლობდა და ოცდარვა წლისამ დოქტორის ხარისხი მიიღო. შემდეგ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა 1539 წლამდე, მაგრამ პაპად შობილი კაცად აღარ ვარგოდა: პროფესორობა საკმაო შემოსავალსა და პატივს არ მაძლევსო, არც ძალაუფლებას, ამიტომ განიზრახა უფრო ბრწყინვალე პროფესიის არჩევა. პავლე III წყალობით სწრაფად წაიწია წინ. იულიუს III არანაკლებ აფასებდა მომავალი მღვდელმთავრის ნიჭს, მოციქულის კანცელარიის მდივნად დანიშნა. პავლე IV დროს ეპისკოპოსის კათედრა მიიღო, ხოლო პიუს IV დროს კი მორწმუნე სულელთა ფულის შემწეობით თავზე კარდინალის ქუდიც ჩამოიფხატა. უკვე ამითაც ჩანს, რომ განათლებას ამ ჯალათის გულზე შემოგარსული ყინული ვერ გაულღვია.

გრიგოლ XIII უწინარეს ყოვლისა შეეცადა განეტკიცებინა კავშირი საფრანგეთის მეფესთან. როცა კარლოს მეცხრემ სთხოვა ნებართვა თავისი დის მარგარიტა ვალუას ქორწინებისა ჰენრიხ ნავარელთან, პაპმა დაუყოვნებლივ დართო ნება. ამ ქორწილზე უნდა გაეელიტათ ჰუგენოტები, და რას დაუშლიდა!

„მე ვერ მიპოვნია ერეტიკოსებთან ანგარიშის გასწორების უკეთესი ღონისძიება, ვიდრე ეს კავშირია“, — ჩლუნგი, დუხჭირი მეფის ეს სიტყვები, მიმართული პიუს V ძმისწულისადმი, სავსებით გამოხატავენ ახლად არჩეული მღვდელმთავრის მოქმედებას. მას სურდა ჰუგონეტების გაწყვეტა, და ისიც ვერაგული, უაზრო და სულელური საშუალებით.

ბოროტი ფურია, ჯოჯოხეთის ბინძური ქმნილება ეკატერინე მედიჩი და მისი ღირსეული შვილი გულის ფანცქალით ელოდნენ იმ წუთს, როცა საბოლოოდ გაუსწორდებოდნენ პაპობის და კათოლიკეთა დაუძინებელ მტრებს.

ახლოვდებოდა ბართლომეს ღამე, ადამიანთა მოდგმის სამარცხვინოდ და სამწუხაროდ.

❂ პარის ოთხმა ქეშიკმა გეგმა შეიმუშავა და კარლოს IX კაბინეტში გადაბალა საბედისწერო საათმა დაჰკრა. კარლოს მეცხრის წინაშე არჩევანი დადგა: ან ადმირალ კოლინის დიდება უნდა გაეზიარებინა, ან ეკატერინე მედიჩისთან ერთად საძარადისო ზიზღი და სირცხვილი იქნებოდა მისი ხვედრი. ან უნდა გაძოესკიდა ახალგაზრდობის ცოდვები, ან შთაძოძავალთა კრულვას და თანამედროვეთა წყევლას თავს ვერ დააღწევდა. ერთი მერყევი, ჩლუნგი, უბადრუკი კაცის სიტყვაზე იყო დაძოკიდებული საფრანგეთის ბედი. თუ ეს ბრძად მორწმუნე თოჯინა ისურვებდა.. და მან ისურვა.

ხმა დადიოდა, თავდაპირველად მეფე ეურჩებოდაო დედასა და მის ავბედით მრჩევლებს ,მაგრამ როცა ლაჩარი უწოდეს, აღრიალდა თურმე: „ადამიანის სიკვდილი გნებავთ? ღმერთს გეფიცებით, მეც ეს მინდა! მაგრამ თუ კოლინი მოვკალით, მაშინ საფრანგეთის სხვა ჰუგენოტებსაც იგივე ბედი ეწევათ! უკანასკნელ კაცამდე! თორემ ისე მოვლენ და საყვედურებით ამიკლებენ! ღმერთმანი, გაეცით ბრძანება! ოღონდ ჩქარა, ჩქარა!“

როგორც ხედავთ, თქვენს წინაშე დგას დამთხვეული, რომელსაც ბევრი აჩაფერი ეკითხება და არც ეკითხებიან: სიმართლე რომ ითქვას, ხოცვა-ჟლეტისათვის უკვე ყველაფერი მზად იყო. სამეფოს ყველა გზაზე მეფის შიკრიკი მიიჩქაროდა, თან საიდუმლო ბრძანება მიჰქონდათ პროვინციების გუბერნატორებისათვის. მკვლელობა მთელს სამეფოში ერთდროულად მზადდებოდა. წმინდა ბართლომეს დღესასწაულის კვირაძალზე, 1572 წლის 24 აგვისტოს, ლუვრიდან მიღებული ბრძანებით, სენ-ჟერმენის ეკლესიის სამრეკლოდან ზარების ხმა გაისმა. ეს იყო ცისკრის ლოცვის ნიშანი. გაისმა ძახილი, წივილ-კივილი, მუშკეტების სროლა. ავაზაკების ბანდები პროტესტანტების სახლებში იჭრებოდნენ, და მხოლოდ ორ დღეში ღვთისმორწმუნე კათოლიკებმა ათასობით ფრანგი — ქალი, კაცი და ბავშვი გაანადგურეს.

ასე აღსრულდა წმინდა საქმე, რაზედაც პიოს V, მოწყალე ღმერთის მოადგილე, ასე დაჟინებით ოცხებობდა.

ადმირალი კოლინი იწვა, როცა ბრბოს ღრიანცელი შემოესმა. წამოვარდა და ფანჯრიდან ნახა, როგორ მიათრევდნენ მის თანამებრძოლებს გადარეული ბანდიტები, როგორ ხოცავდნენ ხალხს პაპის და მეფის სახელით, ბილწი მეძავის ეკატერინე მედიჩის ბრძანებით. ადმირალი მიხვდა, რომ სიკვდილი არ ასცდება, მეფური იერით შეეგება მკვლელებს და მშვიდად, ამაყად უთხრა მათ, რომლებიც „ლაჩარს“ და „ერეტიკოსს“ ეძახდნენ: „აღმართეთ მახვილი, წინასწარვე მიპატიებია ცოდვა. რა არის ჩემი სიცოცხლე? არაფერი! ბრძოლის ველზე შემეძლო ის თქვენთვისვე მეძღვნა!“ ბრბო ჭაღარა სარდალს ფეხქვეშ ჩაუვარდა, მაგრამ ჰერცოგ გიზის ერთგულმა მონამ, ვინმე ბერსმა სასიკვდილოდ ჩასცა მახვილი. მერე მამაცი ადმირალის, სახელოვანი ფრანგი სარდლის თავი პაპს გრიგოლ XIII მიართვეს, როგორც თურქეთის სულთანს მიართმევდნენ ქრისტიანის თავს. გვამებზე დადიოდა ეკატერინე მედიჩი და სისხლით ფეხის დასველებას ერიდებოდა. „ასეთი ბედი ეწია იმ მრისხანე წელს იმას, ვისი სახელითაც ასე ამაყობდა ჩვენი ხალხი“, — ამბობდა ვოლტერი პოემაში „ჰენრიადა“.

მსხვერპლთა საერთო რიცხვს ოცდაათი ათას კაცამდე ვარაუდობენ.

28 აგვისტოს, საზარელი ტრაგედიის შემდეგ, მეხუთე დღეს, თავისი საგმირო საქმით კმაყოფილმა სამღვდელოებამ ამაყად აღნიშნა თავისი სისხლიანი გამარჯვება. კარლოს IX და მისი სასახლის ხროვა არც კი წამოწითლებულა, ისე უსირცხვილოდ მიიღო მონაწილეობა სისხლიანმა ბანდამ იმ ნადიმზე, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ ქრისტიანთა გვამებზე მოაწყო, სამადლობელ პარაკლისებში და სხვა მაიმუნურ ფარსებში ხომ მთავარ როლს პაპი, მეფე და „ევროპის პირველი მეძავი“, სისხლიანი ეკატერინე მედიჩი ასრულებდნენ. კარლოს IX ფანჯრიდან ესროდა ჰუგენოტებს და ბავშვივით ცმუკავდა, დაჭრილები რომ ძირს ეცემოდნენ.

ჰუგენოტების საქვეყნო ხოცვა-ჟლეტა ტახტზე დამთხვეული ჯალათის გრიგოლ XIII ასვლას და ახალი პაპის კორონაციის დღესასწაულს დაემთხვა. რომის წმინდა ბუნაგი ბართლომეს ღამის საზარელ ამბავს აუწერელი სიხარულით შეხვდა. წმინდა ანგელოზის ციხეში ქვემეხთა ქუხილით სალუტს აძლევდნენ სისხლიან ქორწილს, რაც ახალგაზრდა პრინცს ჰენრიხსა და მარგარიტა ვალუას

ეაუმართეს მედიჩიმ, პაპმა და კარლოს მეცხრემ. მისმა უწმინდესობამ ბრძანა ამ საბედნიერო დღესთან დაკავშირებით სახალხო დღესასწაულები გაემართათ, შემდეგ კი კარდინალების ამალის თანხლებით რომის სამი ეკლესია მოიარა და სამგანვე ღმერთს მადლობა შესწირა სასიხარულო ცნობისათვის. რა პირით ახსენებდა ღმერთს პირსისხლიანი მგელი, ამაზე პასუხი კუშტი შუა საუკუნეების საყოველთაო ძნელბედობის წყვდიადში იკარგება. სამწუხაროდ, ვერც ამ ტრაგედიამ აუხილა ხალხს თვალები, რომ დედამიწიდან გაერეკა ანაფორიანი ჯალათები, რომლებიც ხელების ტაკიმასხრული ქნევითა და დახავსებული ფსალმუნების კითხვით ასე წარმატებით ამართლებდნენ თავიანთ შავ საქმეს.

ამას გარდა, გრიგოლ XIII ბრძანებით სამახსოვრო მედალი მოჭრეს: ცალ მხარეს მიხრწნილი „ბრძენი" გრიგოლ XIII გამოუსახავთ პროფილში, მეორე მხარეს ანგელოზი ჯვრითა და მახვილით მუსრავს ქრისტიანებს! ამას გარდა, პაპმა გამოჩენილ იტალიელ მხატვარს ჯორჯო ვაზარის სურათიც შეუკვეთა ასეთი წარწერით: „პაპი იწონებს კოლინის მკვლელობას". რაოდენ დიდი კრეტინი უნდა იყოს მღვდელმთავარი, რომ საკუთარი ბრძანებით უკვდავჰყოფს თავის სისხლიან ბოროტმოქმედებას! ისე რომ, შთამომავალთა მსჯავრისაც კი არ ეშინია! ეს სურათი დღესაც ამშვენებს სიქსტინის კაპელას.

თავის მხრივ, კარდინალმა ლორენმაც, გიზების გვარის ძაღლმა, წმინდა ლუდოვიკოს ტაძარში სამადლობელი წარწერა ამოაჭრევინა სამარცხვინო გამარჯვების აღსანიშნავად, რაც ეკატერინე მედიჩისა და სატანის შვილმა პაპის ლოცვა-კუთხევით მოიპოვა.

იტალიის ყველა ეკლესიაში, ვენეციაშიც კი, საეკლესიო ქადაგებლები, უპირატესად კი იეზუიტები წარმოთქვამდნენ მგზნებარე სიტყვებს, რომლებშიაც ბნელეთის მსახურნი ადიდებდნენ სისხლიან კარლოსსა და გახრწნილ დედამისს. ეს იყო მკვლელთა საჯარო დიდება.

ფილიპე II ესპანელი, შვილის მკვლელი და ნიდერლანდების ჯალათი, პაპზე არანაკლებ აღფრთოვანებული იყო. მეფეთა სირცხვილი ასეთი სიხარულისათვის — ორმაგი სირცხვილია, რადგან პაპი პაპია, მეფეს კი ხალხის უაზრო ჟლეტა, ისიც მხოლოდ რელიგიური

აბსურდისათვის, არ უნდა დაეშვა.

მთელმა დანარჩენმა ევროპამ საზარელი ცნობა მიიღო, როგორც საყოველთაო უპატივცემულობა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ბართლომეს ღამემ მეოთხე რელიგიური ომი გამოიწვია, რადგან მასობრივი ჟლეტის მიუხედავად ყველა ჰუგენოტი როდი იყო დაღუპული. მოკლე ხანში კიდევ უფრო გაძლიერდნენ და უწინდელზე დამოუკიდებელნი გახდნენ.

ამას გარდა, მოხდა რაღაც დაუჯერებელი: ხოცვა-ჟლეტამ გაანადგურა ძველი, შუა საუკუნეების მრუმე ეკლესია. მისმა გონებაჩლუნგმა მეთაურებმა ასეთი ტრაგედია გაითამაშეს — ისიც არა პირისპირ ბრძოლაში, არამედ მუხანათურად, ძინარე ხალხთან სისასტიკანი ანგარიშსწორებით, და ეგონათ, რომ უზარმაზარი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ ბართლომეს ღამე იყო კათოლიკური ეკლესიის თვითმკვლელობა. იმ დღიდან ამ ეკლესიას ზურგი აქცია უთვალავმა პატიოსანმა, ალალმა მორწმუნემ. ბართლომეს ღამემ მრავალი უცხო ქვეყანა აღაშფოთა. ვატიკანის შხამიანი ობობა ფიქრობდა, რომ მსოფლიო მის ჭკუაზე ივლიდა, მაგრამ შეეშალა. თვით საფრანგეთის სამეფო კარი და ეკლესია ძლიერი თავდასხმებისა და დამსახურებული შეურაცხყოფის საგანი გახდა.

მაშინ, როცა პატივცემული გრიგოლ XIII და მისი ერთგული იეზუიტები კარლოსისა და მისი ბოროტმოქმედი დედის საგმირო საქმეს ადიდებდნენ, ესპანელები ფლანდრიას აოხრებდნენ და ბართლომეს ღამეზე არანაკლებ ბილწი დანაშაულით არცხვენდნენ კაცობრიობის ისტორიას. გეგონებოდათ, ჰერცოგი ალბა საგანგებოდ ცდილობდა ეჯობნა მედიჩისა და მისი შუბლვიწრო შვილისათვის.

ვიდრე ნიდერლანდებს დატოვებდა, ალბამ მრავალი ქალაქი სისხლში ჩაახრჩო. მისი ჯარისკაცები ტრაბახობდნენ, ას ორმოცდაათი ათასზე მეტი ბელგიელი მოესპეთო, ოცი ათასი კაცი კი საშგზის წყეულმა ჯალათმა ალბამ მარტო ჯურღმულებში აწამა.

მაგრამ გრიგოლ XIII არ კმაყოფილდება ერეტიკოსებთან მარტო ანგარიშის გასწორებით. ეს ორპირი მხეცი, რომლის სახელსაც სამწუხაროდ გრეგორიანული კალენდარი ატარებს, უპირველესად ცდილობდა დაღუპულთა ქონების მითვისებას. პაპმა მოითხოვა, რომ კარლოს მეცხრეს საფრანგეთშიც დაეარსებინა ინკვიზიციის სასამართლო, იგნატი ლოიოლას ავადმყოფური გონების ეს

უსაზიზღრესი ნაყოფი, და ცხოვრებაში გაეტარებინა ტრიდენტის კრების გადაწყვეტილება — სწორედ ის, რაც პარლამენტმა უარყო. ბუნებრივია, პაპის ახალმა მოთხოვნამ საერთო აღშფოთება გამოიწვია. ჰოდა, სწორედ მაშინ, როცა ჯალათები ვარაუდობდნენ, რომ რეფორმატორებთან ბრძოლა დასრულდა „გრძელი დანების ღამეს" ჰუგენოტებმა თავი წამოჰყვეს, მრავალ ქალაქში გამაგრდნენ, და განაცხადეს, ლუვრს მივადგებით და მოძალადე მეფეს ანგარიშს მოვთხოვთ ჩვენი თანამორწმუნეების საშინელი აკლებისათვისო.

რელიგიის ახალი მსხვერპლნი
და გარყვნილების ახალი ბუნაგი

● კარლოს IX ჰუგენოტების მუქარამ უწყინარ კრავად აქცია. ლაჩარი მეფე ცდილობდა მოეგო მათი გული, რომელთა მეგობრებსა და ნათესავებსაც ფანჯრიდან ტყვიას უშენდა. ბართლომეს ღამის ცოდვის ყულფი უნდოდა კისრიდან მოეხსნა, რომ გიზებისა და რომის კურიისათვის მოერგო. საქმე იქამდე მივიდა, რომ პაპის ლეგატს ყური არ ათხოვა, ჩამორთმეული ქონება ჰუგენოტებს დაუბრუნა და ბოლოს თავი რეფორმატების მფარველად გამოაცხადა.

ასეთი მომნანიებლის გზაზე დამდგარი მეფე კარლოს IX რომ გარდაიცვალა, ტახტი ერგო მის ძმას ჰენრიხ III, კათოლიკური ეკლესიის სრულიად ღირსეულ შვილს. მისი მბრძანებლობის დროს საფრანგეთის სასახლე ნამდვილ ბუნაგად იქცა. „სამეფო კარის ცხოვრება, — წერს ერთი მემატიანე, — გადიოდა ბალებში, ნადიმებსა და ორგიებში, რის შემდეგაც ჰენრიხ III თავის ფავორიტებთან ერთად დაეხეტებოდა ბაზრებში, ქუჩა-მოედნებზე, ქალთა და ქალიშვილთა სირცხვილ-ნამუსს შეურაცხყოფდა, ძალით იმორჩილებდა ყმაწვილ ბიჭუნებს, სცემდა დედებს და მამებს, რომლებიც თავიანთი შვილების დაცვას გაბედავდნენ. მხიარულებით რომ გულს იჯერებდნენ, გახრწნილი არამზადები აწყობდნენ მონანიების კომედიას, იცვამდნენ ანაფორებს, იხურავდნენ წითელი, შავი, მწვანე ან ლურჯი ფერის კაპიშონებს და მიემართებოდნენ ეკლესიებში, შემდეგ კი ვარსკვლავთმრიცხველებსა და მკითხავებს მიმართავდნენ: მოხუცები სიყვარულის წამალს ითხოვდნენ, ახალგაზრდები

კი — საწამლავს, რომ თავიანთი საყვარლების მოხუცი ქმრები თავიდან მოეშორებინათ. იმ ხანებში მამაკაცთა და ქალთა გარყვნილება და უზნეობა უსირცხვილოდ ხმარობდა ხანჯალსა და შხამ-სამსალას, რათა მეტოქეები ჩამოეშორებინათ".

ასეთი გახლდათ ზნედაცემული სოდომიტის ჰენრიხ III კარის ზნეობა, ეს მეფე კი გრიგოლ XIII მეგობარი და თანამზრახველი იყო.

იეზუიტები მუშაობენ

● ამასობაში დადგა მსოფლიოს საიუბილეო დღეც. გრიგოლი მას მოუთმენლად ელოდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ უგნურ მორწმუნეთა შემოწირულობით თავის დაცარიელებულ ხაზინას ააევსებდა.

როგორც ყოველთვის, რომს ყოველი მხრიდან აწყდებოდნენ კეთილმორწმუნე სულელები, რათა ქრისტეს მოადგილის ფერხთით აურაცხელი საჩუქარი დაეხვავებინათ. სარწმუნოებით დაბინდული გონების სიდუხჭირეს რომ საზღვარი ჰქონოდა, ბართლომეს ღამის შემდეგ მაინც ასე აღარ მოიქცეოდნენ. მაგრამ მორწმუნეთა უგნურობა უსაზღვრო იყო და მომლოცველთა შემოწირულმა ოქრომ პაპს საშუალება მისცა დაქირავებულ მკვლელთა ახალი ბანდა შეეკოწიწებინა, რათა ახალი საღვთო ომი გამოეცხადებინა.

მაშინ, როდესაც გრიგოლ XIII თავის ფინანსიურ საქმეებს აგვარებდა, მისი გახრწნილი მოკავშირე ჰენრიხ III მძიმე სიძნელეების წინაშე იდგა. ახალ გადასახადებს ითხოვდა, ეს კი პარიზელთა შორის ძლიერ მღელვარებას იწვევდა.

„წმინდა ლიგამ" თავი ასწია. მისი წევრები ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ, შეუპოვრად აშიშვლებდნენ მეფეს, რომლის გახრწნილება ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა. უზურპატორს ეძახდნენ და მოითხოვდნენ დაუყოვნებლივ გადაეცა ტახტი კარლოს დიდის ნამდვილი მემკვიდრის ჰენრიხ გიზისათვის, რომელიც ლიგის მეთაური იყო. იეზუიტები ყოველი კათედრიდან მოუწოდებდნენ მორწმუნეებს, ლიგას შეერთდითო.

ჰენრიხ III იგძნო თავისი უმწეობა და გენერალური შტატები მოიწვია. იეზუიტების გავლენამ იმძლავრა და დეპუტატებმა კალვინისტების წინააღმდეგ ლაშქრობა მოითხოვეს. ევროპას ისევ ჩამოაწვა ომის ღრუბელი: მაგრამ მეფეს არ ჰყოფნიდა უმთავრესი-საძულველი სისხლისმღვრელი ლითონი. ჰენრიხ III ლიგისა და გათავხედებული გიზის საქციელმა აიძულა კავშირი შეეკრა რეფორმატორებთან. ეს გიზი სულისჩამდგმელი და მეთაური იყო ლიგისა, რომელსაც თითქოს კათოლიკური სარწმუნოება უნდა დაეცვა კალვინისტებისაგან, სინამდვილეში კი მიზნად ჰქონდა ჰენრიხ III ტახტიდან გადაგდება და გიზების გამეფება. ამიტომ მეფეს სხვა გზა არა ჰქონდა, მოქმედების სრული თავისუფლება აღუთქვა რეფორმატორებს, წართმეული მიწები დაუბრუნა, პრივილეგიები მიანიჭა და აღადგინა იმ ჰუგენოტების კეთილი სახელი, რომლებიც ბართლომეს ღამეს დაიღუპნენ. დასასრულ ჰენრიხ III დათანხმდა ცელიბატის კანონის გაუქმებას, მღვდლებს ქორწინების უფლება მისცა.

„ედიქტს, — ერთი ისტორიკოსის სიტყვით, — შეეძლო ქვეყნისათვის კეთილდღეობა მოეტანა, მაგრამ არავის სჯეროდა ჰენრიხის ცრუ და მაცდური დაპირებისა. პაპსა და გიზებს კი, ვითარცა გიქებს, საფრანგეთში სამოქალაქო ომის ცეცხლის გაჩაღება აინტერესებდათ. ამიტომ პაპმა ლიგას მიუგზავნა თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაქნილი დიპლომატი — იეზუიტი ჰენრიხ სომიე, რომელმაც მოხერხებულად ააღელვა ადამიანთა გონება, ყველგან შუღლისა და განხეთქილების კოცონი დაანთო. თავის მხრივ ჰენრიხ გიზიც თანამოაზრეებს აგროვებდა. ფული გასცა, არმია შეადგინა, თავის სასახლეში იარაღის საცავები გახსნა და აშკარად მოუწოდებდა ხალხს დაემხო ჰენრიხ III, მასთან ვალუას დინასტია.

მეფემ ვითარება სწორად შეაფასა, თავისი ღღეები დათვლილად ჩათვალა, ლუვრის გარნიზონი გააძლიერა და თავის მხრივ დაქირავებული შვეიცარიელებისა და გვარდიელებისაგან შექმნა არმია მეფისა და რელიგიის დასაცავად“.

იეზუიტები მუშაობდნენ!

● გრიგოლ XIII ახალი მოკავშირეების ძებნას შეუდგა. ჯერ წმინდა ვინცენტის ორდენი აღადგინა, მარტო ნეაპოლიტანის სამეფოში რომ ხუთასამდე მონასტერს აერთიანებდა.

რომში პაპმა ოცამდე კოლეჯი გახსნა. ოცივეს ახაფორიანთა შავი ლაშქარი განაგებდა. მათი მიზანი იყო იეზუიტური შავი ჭირის გავრცელება მთელს დედამიწაზე, იაპონიაშიც კი. ცხადია, ეს პაპი პროფესორად არ გამოდგებოდა.

ამავე დროს ტიაროსანი მშვიდობის მოციქული წუთითაც არ წყვეტდა ევროპაში შუღლის თესვას, ცდილობდა მეფეთა და მთავართა ერთმანეთზე წასისინებას, რათა კინკლაობა რიმის კურიის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ხუან ავსტრიელს არწმენებდა, მარიამ სტიუარტი შეირთე და ტახტიდან გადააგდე ერეტიკოსი დედოფალი ელისაბედი, უწინარეს ყოვლისა კი ომი გამოუცხადე ჰოლანდიას, რათა პრინცმა ორანელმა ინგლისს დახმარება ვერ გაუწიოსო.

ხუანი, რომელიც აქამდე არასახარბიელო მდგომარეობაში იყო, ბელგიელებთან მოლაპარაკებას აპირებდა, მაგრამ როგორც კი დიდი ხნის ნასატრი მხარდაჭერა მიიღო, პაპის ცნობით აღფრთოვანებულმა პროტესტანტებთან დადებული ხელშეკრულება დაარღვია. მაგრამ მუხანათობამ სარგებლობა ვერ მოუტანა. ბრიუსელში ხალხმა იარაღს ხელი ჩაავლო, ესპანელი სულთამხუთავის ფილიპე II უღელი გადააგდეს, მეფის ნაცვალი გააგდეს და ქვეყნის მართვის სადავეები პრინც ორანელს ჩააბარეს.

მაგრამ ათას თოკში გამომძვრალი გრიგოლ XIII ასე იოლად არ გაიტეხდა იხტიბარს. მისი ბრძანებით იეზუიტების მთელი შავი ღრუბელი დაიძრა ირლანდიისაკენ, რათა ხალხი ელისაბედის წინააღმდეგ აემხედრებინათ.

„მისმა უწმინდესობამ, — მოგვითხრობს ისტორიკოსი ლაშატრი, — საგანგებოდ დააარსა მისიონერთა ორდენი, რომელიც მოწოდებული იყო იმისათვის, რომ ინგლისში აჯანყება მოეწყო. საამისოდ მთელი რაზმი შეადგინა, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა

სამოცდაოთხი ინგლისელი, შოტლანდიელი და ირლანდიელი იეზუიტი. მთელმა შხამიანმა ბანდამ ფიცი დადო, ყველა ღონისძიებას ვიხმართ იმისთვის, რომ ერეტიკოს დედოფალ ელისაბედს ტახტი და სიცოცხლე წავართვათო. ფანატიკოსები მოწამის გვირგვინისათვის ლონდონს წავიდნენ. მაგრამ ზოგჯერ მორიელებიც ისრისებიან. სამი მათგანი დედოფლის მოკვლის ცდისათვის გაგუდეს, ჩამოახრჩვეს და ოთხად გაკვეთეს. პაპმა მათი წმინდანებად შერაცხვა ბრძანა, დანარჩენებს კი ახალი შეთქმულების მოწყობა და მეტი სიფრთხილე დაავალა".

ფილიპე II პაპს გვერდს უვლის

● პორტუგალიაში იეზუიტებს საგრძნობლად უფრო სწყალობდათ ბედი, ვიდრე ინგლისში: ზეგავლენა მოიპოვეს და მრისხანე ძალად იქცნენ. ლოიოლას მემკვიდრეებმა პორტუგალიის მეფე სებასტიანი, ფილიპე მეორის ძმისწული დაიყოლიეს, რომ აფრიკაში ლაშქრობა მოეწყო. ვაგლახ, ახლად მოქცეული მაროკოელები ცუდი ქრისტიანები აღმოჩნდნენ და პაპის რაინდი სებასტიანი მოკლეს! ზანგებზე უფრო შავ ფილიპეს მოუკლეს გული.

გონებასუსტი მეფის, უმემკვიდროდ გადაგებული სებასტიანის გვირგვინი ულაპარაკოდ გადავიდა ბიძამისის, კარდინალ ჰენრიხის ხელში, და ამ საქმეშიც შავი ლაშქრის უნდო ხელი ერია. როგორც კი ბებერი ოინბაზი ტახტზე აღმოჩნდა, მაშინვე მემკვიდრეების გაჩენა მოუნდა. ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, გვირგვინი სხვას რისთვის უნდა დაუთმოს? მოხუცმა პაპს სთხოვა, ერთი ახალგაზრდა ქალი გამომიძებნონ შენმა იეზუიტებმა და ნება მომეცი ცოლად შევირთოო. ეშმაკმა პაპმა, რომელიც დიდი ხანია ხარბი მგელივით შესცქეროდა პორტუგალიის სამეფოს, რელიგიური მოსაზრებით უარი უთხრა. ფილიპე II კიდევ, უახლოესი მემკვიდრე, მეზობელ სამეფოს ვის დაუთმობდა— მაშინვე შეუთვალა კარდინალ-მეფეს, დაუყოვნებლივ დავიპყრობ შენს სამეფოს, თუ პაპის ურჩობა გაბედეო. ბებერი და სნეული ჰენრიხი დიდხანს როდი დარდობდა ჩაშლილ ბედნიერებაზე, ერთნახევარი წლის შემდეგ ადგა და თავისი ფეხით წავიდა უკეთეს ქვეყანაში.

ესპანეთის მეფე, ნიდერლანდების ჯალათი ფილიპე II დაუყოვნებლივ გადავიდა საზღვარზე, პორტუგალია დაიკავა და ყურიც არ ათხოვა გაცოფებულ პაპს, რომელსაც ეს ტახტი თავისი ბუშისთვის უნდოდა. მაგრამ გრიგოლმა ფილიპეს შეჩვენება მაინც ვერ გაბედა, რადგან ძლიერ სჭირდებოდა, ამიტომ იძულებული გახდა გამარჯვება მიელოცა.

შეთქმულებათა სერია

● პაპის სამფლობელოებში ცხოვრება დღითიდღე უფრო ძნელი ხდებოდა. მილანს ერთბაშად ორი უბედურება დაატყდა: შავი ჭირი და პაპის ძმისშვილი ეპისკოპოსი შარლ ბარომე. რომს არაქათი გამოაცალეს გაიძვერა პაპმა და მისმა საყვარელმა ნაბუშარმა, რომლებიც ხორბალს ყიდულობდნენ, რათა ძერე უსინდისო სპეკულაციით თავიანთი სალარო აევსოთ.

ღვარძლიან პაპს ყოველი ძხრიდან წყეველა-კრულვას უთვლიდნენ. მალე, — მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი, — გამოჩნდა ავაზაკთა ბანდები, რომლებიც შარაგზებზე დაეხეტებოდნენ, მგზავრებსა და ვაჭრებს ძარცვავდნენ და წმინდა ქალაქზეც კი აწყობდნენ თავდასხმებს.

უბედურ ადამიანებს, რომლებიც შიმშილსა და სასოწარკვეთილებას ავაზაკობამდე მიეყვანა, ზოგიერთი ძლიერი სენიორიც მფარველობდა, პაპის სიძულვილით გულანთებულნი საკუთარ სასახლეებში აძლევდნენ ბანდიტებს თავშესაფარს.

პაპმა განკარგულება გასცა გაეჩხრიკათ რომის გარშემო ყველა სახლი, განსაკუთრებით კი რაიმონდო ურსინოს სასახლე.

პაპის ქეშიკებმა ურსინოს სასახლეში რამდენიმე უდანაშაულო ადამიანი შეიპყრეს. მაგრამ როცა უკვე წაყვანას უპირებდნენ, რათა წმინდა ანგელოზის ციხეში ჩაეყარათ თავისი ამალით, სახლის პატრონიც მოვიდა, მაშინვე ტყვეების განთავისუფლება ითხოვა, მაგრამ რომის კურიის ოფიცერმა უარი უთხრა. ამის შედეგად, მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც რაიმონდო ურსინო მოკლულ იქნა.

ვატიკაცის ვერაგულმა მკვლელობამ ხალხში აღშფოთება გამოიწვია. გამძვინვარებული რომაელები ვატიკანში მიიჭრნენ. შიშმა

გრიგოლ XIII კეთილგონიერად აქცია, ბრბოს დაშოშმინება მხოლოდ იმით შესძლო, რომ ბრძანა დაუყოვნებლივ შეეპყროთ ურსინოს მკვლელი ოფიცერი და ჯარისკაცები და ყველანი თავის მოკვეთით დაესაჯათ. პაპის დესპოტიზმის იმ ღრმა სიძულვილმა, რასაც საზოგადოების ყველა კლასი ერთნაირად მოეცვა, რაიმონდო ურსინოს ძმას საშუალება მისცა ხალხი მაინც აემხედრებინა და გრიგოლის ციხე-სიმაგრეს დასცემოდა. შემდეგ კი უზარმაზარი სახალხო რაზმის თანხლებით გაიქცა რომიდან, სადაც უსაშინელესი ტერორი დაიწყო".

რაოდენ დიდი ყურადღებაც არ უნდა დაეთმო გრიგოლს ავაზაკთა ბრბოებისათვის, არც სხვა სანუკვარ ზრახვებს ივიწყებდა: ესპანეთის ინტერესებს იცავდა, ანჟუის ჰერცოგს უჭერდა მხარს, ნიდერლანდების ჯავრი სჭირდა და ინტრიგებს აწყობდა მის წინააღმდეგ. ხოლო როცა მისი ხაზინა ისევ დაცარიელდა, პაპმა განიზრახა გადამწყვეტი დარტყმით სცენიდან პრინც ორანელის მოშორება. ეს იყო სახალხო გმირი, პაპის კურიის ყველაზე ეფრო დაუძინებელი და საშიში მტერი. მაგრამ იეზუიტს, რომელსაც ეს საქმე ჰქონდა დავალებული, ხელი მოეცარა (უზენაესს დახმარება შეაგვიანდა!). ბოროტი ბერი დანაშაულის ადგილზე შეიპყრეს და ხალხი მას საკადრისად გაუსწორდა.

შეთქმულების მარცხმა გრიგოლ XIII გააშაგა. დაღუპული ეშმაკებსაც წაუღიათ, მაგრამ გადარჩენილს რა მოუხერხოს? ლიიოლას დაგეშილი შეგირდების დახმარებით მალე გამოძებნა ახალი ფანატიკოსი, რომელმაც დელფტში მახვილით განგმირა პრინცი იმ დროს, როცა მისი თაოსნობით ნიდერლანდის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობას იწყებდა და მამაც გმირს შეეძლო მას სათავეში ჩასდგომოდა. ვინმე ბალთაზარ ჟერარმა იმსხვერპლა ის, ვინც ფილიპე მეორეს ჯიბრში ედგა, ეგმონტს თავის დროზე აფრთხილებდა, განთქმული უტრეხტის უნია შეკრა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია, თუმცა ცამეტი წლის ვაჟი ჰერცოგმა ალბამ მძევლად წაჰგვარა, კანონგარეშედ გამოაცხადეს და ქონებაც ჩამოართვეს. ისედაც „მდუმარედ" წოდებული პრინცი, ვილჰემ I, ლიტერატურული, სამხედრო და ორატორული ნიჭით მომადლებული გმირი, მოციქულის ტახტის მრისხანე მტერი, ახლა სულ ჩააჩუმეს.

პაპი [illegible] ასეთივე გზით ცდილობდა ინგლისის „ურჩი“ დედოფლის ელისაბედის ჩამოცილებას, და ისიც რაც შეიძლება მოკლე ხანში. შხამიანმა ობობამ მეორე ისეთივე ფანატიკოსი წარგზავნა ინგლისში, მახვილითა და საწამლავით აღჭურვილი. მაგრამ გრიგოლ-ჯალათს უზენაესმა არც ამჯერად მოუმართა ხელი. იეზუიტი მკვლელი დროზე შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

ასე ძვირი ჯდება წმინდა მოწამის გვირგვინი!

დედოფალი ელისაბედი მოთმინებიდან გამოვიდა და მეხივით იქუხა მრისხანე ედიქტით, რაც კათოლიკებისა და იეზუიტების წინააღმდეგ იყო მიმართული, სიკვდილის მუქარით აუკრძალა მათ ბრიტანეთის მიწა-წყალზე ფეხის შედგმა. ქალწული დედოფალი რომის ურჩხულის რისხვად იქცა.

გრიგოლ XIII — ტაკიმასხარა

ზოგიერთ ქვეყანაში იეზუიტების საქმე წაღმა ვერ მიდიოდა. გრიგოლ მეცამეტემ საჭიროდ ჩათვალა მათი ავტორიტეტის ამაღლება ევროპის თვალში. ცბიერმა მღვდელმთავარმა ვატიკანში იაპონიის ცრუ ელჩების საზეიმო მიღება გაითამაშა. ელჩების როლს ასრულებდა ოთხი მეთევზე, რომლებიც იეზუიტებმა იაპონიიდან ჩამოიყვანეს. რომში ჩამოსულ ეგრეთ წოდებულ ელჩებს წმინდა კოლეგიის დეპუტაცია დიდის ამბით შეხვდა, შემდეგ ზეიმით მიიყვანეს პაპთან, რომელმაც აუდიენცია გაუმართა.

მეთევზეებმა ბებერ კომედიანტს გრიგოლ XIII გადასცეს იაპონიის პრინცთა სამი ეპისტოლე. უბრწყინვალესი პრინცები უღრმეს სიყვარულსა და ერთგულებას უცხადებდნენ ციური ღმერთის მოადგილეს დედამიწაზე, ღრმა მწუხარებას გამოთქვამდნენ, რომ არა აქვთ საშუალება პირადად ეახლონ და დაუმოწმონ თავიანთი პატივისცემა, ამიტომ უმორჩილესად ითხოვდნენ სახელოვანი იეზუიტების — ჭეშმარიტი სარწმუნოების თავგამოდებული დამცველების უხვად დასაჩუქრებას.

ეპისტოლე რომ მოისმინა, ქრისტეს მოადგილემ პათეტიკურად წამოიძახა: „დიდება, დიდება იესოს მამაც შვილებს! დიდება იგნატი

ლოიოლას მოწაფეებს! მე მოვესწარი იეზუიტების დიდებას! ახლა უფალს ნება ეძლევა თავისი მოადგილე ზეცაში იხმოს!“

ზეცაშიო, როცა ათასჯერ დაიმსახურა ჯოჯოხეთი!

ეფექტური ინსცენირების მიუხედავად ბებერი ტაკიმასხრის კომედიამ შეცდომაში ვერავინ შეიყვანა.

გრიგოლ XIII ნირს მაინც არ იტეხდა, სიცოცხლის აღსასრულამდე აბამდა ევროპაში ინტრიგების ქსელს, რადგან მთელი მისი პოლიტიკა ინტრიგებისა და განხეთქილების თესვაზე იყო აგებული. მაგრამ ვილჰელმ ორანელი პრინცის მოკვლიდან ერთი წლის თავზე ანაზდად წვეთი დაეცა და 1585 წლის 10 აპრილს სული ეშმაკს ჩააბარა.

ასე დაასრულა თავისი დღე საზიზღარმა პაპმა, რომელმაც გაბედა ხოტბა შეესხა ბართლომეს ღამის სულის ჩამდგმელისათვის!

გრიგოლ XIII
მემკვიდრე

● როგორც მატიანე გვაუწყებს, ფელიჩე პეტერი ღარიბი მევენახის ქოხში დაიბადა. როცა სბირები მამამისს წვრილი ბრაკონიეობისათვის სასტიკად გაუსწორდნენ, ყმაწვილი მეზობელ ფერმერთან მოჯამაგირედ გააბარეს. როგორღაც ერთ საღამოს ფრანცისკანელი ბერი სალერი გზას ასცდა—ბერები ხომ ისედაც მარად დაბნეულნი არიან — და შავბედად ყმაწვილ მეღორეს შეხვდა. მოჯამაგირემ გზაზე გაიყვანა და თან თავისი ოჯახის სავალალო ბედი გაანდო. ყმაწვილის ცოდვით გულაჩვილებულმა ბერმა ის მონასტერში წაიყვანა. ახალგაზრდა მორჩილი ერთი ღვთისმეტყველი ბერის ხელში მოხვდა. თავისი ასაკისათვის უაღრესად განვითარებულმა ყმაწვილმა იშვიათი ნიჭი გამოიჩინა და მეცნიერების შესწავლაში საოცრად გულმოდგინე აღმოჩნდა. მხოლოდ ეს იყო, უეცრად აენთებოდა, ნამდვილი ბნედა მოუვლიდა ხოლმე. მართალია, მალე წყნარდებოდა, მაგრამ სიფიცხისათვის შეგირდებმა „მოგიზგიზე ცეცხლი“ უწოდეს.

სხვა ნაკლი ახალგაზრდა ფელიჩეს არა ჰქონდა.

ოცდაექვსი წლისამ ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება და პროფესორის კათედრა მიიღო. რვა წლის შემდეგ სახელი განი-

თქვა, როგორც მქადაგებელმა, და ბერ ფელიჩე პერეტის, ყოფილი მეღორის ბედი შეიცვალა. ქადაგებებში უკვე ცოფის ნიშნები გამოავლინა: ერეტიკოსთა სასტიკ დევნას ითხოვდა და იეზუიტების ყურადღება მიიპყრო. მალე ვენეციის ინკვიზიტორად დანიშნეს. ულმობელი ხასიათითა და სასტიკი ზომებით, რასაც მაშინდელი წმინდა ინკვიზიციის ტრიბუნალის ინსპექტორის — პიუს მეხუთის ბრძანებით ეს ახალი არაკაცი ატარებდა, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია და პერეტის გაქცევა მოუხდა, რომ ხალხის რისხვას არ გაეხარისა. პერეტიმ უკვე დაამტკიცა, რომ ღარიბი მეღორის ქოხში დაბადებული ყრმაც შეიძლება ერთბაშად ღორი გახდეს, მბრძანებლის საჭეს რომ ჩაიგდებს ხელში. მთავარია ბუნებრივი მონაცემები.

ამბობენ, ლაჩრული გაქცევისათვის კოლეგებმა უსაყვედურესო, და პერეტიმ თურმე ასე უპასუხა: „მე დავიფიცე, რომ პაპი გავხდები რომში, ამიტომ ვენეციაში თავს ვერ ჩამოვახრჩობინებდიო“. ცბიერმა ბერმა — მომ ვალმა სიქსტ V — მოწამის გვირგვინი არ დაიხურა: ტიარა ამჯობინა, ძვირფასი თვლებით მოოქვილი.

ბილწი და ვერაგი პიუს მეხუთის შემწეობით პერეტი სწრაფად მიიწევდა იერარქიულ კიბეზე: ჯერ ფრანცისკანელთა ორდენის გენერალი იყო, მერე ეპისკოპოსი, და ბოლოს კარდინალი. როგორც მის წინამორბედს, არც მას სურდა პროფესორის კათედრაზე გაჩერება. ტახტი უნდოდა. ხეპრე ტირანს უფრო უნდა ტახტი, ვიდრე თავაზიან მეცნიერს. ვიდრე მეღორე პორფირის მანტიას მოისხამდა და კარდინალის წითელ ქუდს დაიხურავდა, წმინდა მამის ერთგული თანამებრძოლი იყო, თავისი ყოვლისშემძლე და სისხლიანი პატრონის ნამდვილი ზუსტი ასლი. მაგრამ წმინდა კოლეგიის ბანდის წევრი რომ გახდა, ეტყობა, გადაწყვიტა, პაპისაგან უკვე ყველაფერი მივიღე, რისი მიცემაც შეეძლოო, და ძირფესვიანად შეიცვალა ხასიათი: მგელმა კრავის ტყავი ჩაიცვა, ტახტის გზას დაადგა.

მომავალი პაპის ყალთაბანდობა

● პიუს V სიკვდილის შემდეგ კარდინალმა მონტალტომ (ასე ეძახდა ახლა თავს მეღორე პერეტი) მეფური რეზიდენცია მიატოვა და სანტა მარია მაჯიორეს ეკლესიის მახლობლად ერთ უბრალო სახ-

ლში დამკვიდრდა. გრიგოლ XIII პონტიფიკატის დასასრულამდე კარდინალი ასე განკერძოებით ცხოვრობდა. იყო თავისთვის და გამვლელ-გამომვლელს არწმუნებდა, ამიერიდან მხოლოდ სულის ცხონებისათვის ვიზრუნებო. გარეგნულადაც გამოიცვალა: მოიკაკვა, დაბერდა, დაჩაჩანაკდა, წყნარად ლაპარაკობდა, ხმა უწყდებოდა. მთელი მისი სახე და იერი იმაზე მეტყველებდა, რომ კარზე სიკვდილი უკაკუნებდა. გრიგოლ XIII პონტიფიკატის ბოლო წლებში ხელაც შეწყვიტა ხალხში გამოჩენა. ბებერი აფთარი ნახტომისათვის ემზადებოდა, ოღონდ მიპარვით.

გრიგოლ XIII რომ შავ მიწას მიაბარეს და კარდინალები ახალ კონკლავზე შეიყარნენ, მონტალტო კიდევ უფრო დაჩაჩანაკებული ჩანდა, უფრო მიხრწნილი და უძლური. ეს იყო ზუსტად მოზომილი ხრიკი. ყოველი კარდინალი ხომ ტიარის მაძიებელია, და უნებურად ისევ შეაჩერეს ყურადღება ისეთ კაცზე, რომლის დღეებიც დათვლილი იყო, იმ მოსაზრებით, რომ ვიდრე ეს ბესრეკი მეღორე სულს დალევდა, რაიმე გადაწყვეტილებასაც მიიღებდნენ. ცბიერ მონტალტოს არჩევა მოხდა 1585 წლის 24 თებერვალს.

„როგორც კი მონტალტომ ოცდაექვსი ხმა დათვალა, — მოგვითხრობს მორის ლამატრი. — გათამაშდა სრულიად მოულოდნელი სცენა, რამაც კონკლავი დააბნია: კარდინალი მონტალტო წელში ამაყად გასწორდა, ჯოხი განზე ისროლა და ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა, როგორც ჯანმაგარმა ოცდაათი წლის კაცმა. კარდინალებმა შეძრწუნებული სახით გადახედეს ერთიმეორეს. უხუცესი მიხვდა, რომ კოლეგებმა აჩქარება ინანეს, და შესძახა: „მაცალეთ, ძმებო, ეტყობა, ხ

ეის დათვლის დროს რაღაც შეცდომა მოხდა!“

„არა! — მტკიცედ მიუგო მონტალტომ, — კენჭისყრა კანონის თანახმად მოხდა. მე პაპი ვარ!“ და კაცმა, რომელსაც ერთი საათის წინ სიტყვის წარმოთქმა ისე არ შეეძლო, ხველებით არ გასავათებულიყო, ახლა მჭექარე ხმით დაიქუხა, ისე რომ კაპელის ჭერი გალობით შეაზანზარა: „გადიდებთ, უფალო!“ შემდეგ ტახტის წინ სალოცავად მუხლი მოიყარა. მაგრამ კარდინალი მედიჩი, რომელიც გვერდით იდგა, შეშინდა, რომ ახალი პაპი ბაგეს არ არხევდა, ისე დამშვიდებით შესცქეროდა მაცხოვრის სახეს. როცა ფეხზე დადგა, ერთ-ერთმა კარდინალმა უეცარი გამოჯანსაღება მიულოცა. „ეჰ წელში ვიკეცებოდი, — მიუგო მონტალტომ, — რადგან იმედი

მქონდა, რომ დედაქალაქზე ვიპოვნიდი კათოლიკური სამოთხის გასაღებს. ახლა, როცა ეს გასაღება ხელთა მაქვს, შემიძლია ღმერთს პირდაპირ სახეში ვუყურო". როცა ცერემონმაისტერი მიუახლოვდა და, როგორც წესია, ჰკითხა, თანახმა ხარ თუ არა მღვდელმთავრის ხარისხის მიღებაზეო, მონტალტომ მიუგო: „მე აღარ შემიძლია მივიღო იმაზე მეტი, რაც უკვე მივიღე, მაგრამ არც მეტზე ვიტყოდი, უარს, რადგან ისეთ ღონეზე ვარ, მარტო ეკლესია კი არა, მთელი სამყარო შემიძლია ვმართო". ამის შემდეგ მღვდელმთავრის სამოსი აიღო და შეიმოსა, ისე რომ კამერჰერებს დახმარებაზე უარი უთხრა. ყველაფერი იმდენად უჩვეულო იყო, რომ კარდინალმა რუსტიკოსმა თავი ვერ შეიკავა და თქვა: „მე ვხედავ, უწმინდესო მამავ, რომ სკიპტრა აჯანსაღებს სნეულ კარდინალებს დ უბრუნებს მათ ახალვაზრდობას".

„ამაში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი" — გულდამშვიდებით მიუგო მონტალტომ და თავზე ტიარა დაიხურა. ტახტზე ის ავიდა სიქსტ მეხუთის სახელწოდებით".

სამწუხარო დებიუტი

❂ ახალი პაპის კორონაციის დღეს, იმის ნაცვლად რომ ტრადიციის თანახმად ამნისტია გამოეცხადებინა, მეღორე-ჯალათმა სასრჩობელაზე გაგზავნა სამოცი ყველაზე უფრო ჯიუტი ერეტიკოსი — სხვების სამაგალითოდ და ჭკუის სასწავლებლად.

მემატიანეები მოგვითხრობენ, რომ სიქსტ მეხუთეს არც ცრუ იაპონელი ელჩები შეუწყალებია. ბრწყინვალედ იცოდა, რომ უბადრუკი ფარსი წინამორბედმა პაპმა მოიგონა, მაგრამ საქმის მიუჩეჩება ამჯობინა, რომ პაპობისათვის ჩრდილი არ მიეყენებინა, და სამარცხვინო კომედია საქვეყნო სამსჯავროზე არ გამოეტანა. პატივზე უარი არ უთქვამს, ქოშებზე ამბორის უფლება მისცა, ოქროს დეზების კავალრობა უბოძა იაპონელ მეთევზეებს, დამატებით რომაელი პატრიციების წოდება მისცა, საზეიმო ლეკიმსახურების დროს თვითონ გაუმასპინძლდა წმინდა ზიარებით, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, საზეიმო ბანკეტზე მიიწვია, პატივი სცა. ბოლოს იაპონელ პრინცებთან წერილები გაატანა და გაუშვა.

ელჩებმა შეცურეს და იმ დღიდან კაცის შვილს არ სმენია მათი სახელი. ქრონიკის ავტორები — ენადაუყენებელი ჭორიკანები — თავხედურად აცხადებდნენ: „იეზუიტმა, რომელსაც ელჩების გაცილება ჰქონდა დავალებული, თავის გენერალს აცნობა, რომ ესაიდუმლოეს საუბარში მისმა უწმინდესობამ უთხრა: „კომედია დასრულდა, შეასრულეთ ჩვენი ნება, დაე ზღვა იყოს მათი სამარე". ვინ იცის, დღესაც თევზაობენ ზღვის ფსკერზე ბედშავი იაპონელი ელჩები — მათი ხელობა ხომ ეს იყო!

ტახტზე რომ ავიდა, ამ ბოროტმა კომედიანტმა მაშინვე იხმო და — კამილია და მისი მემკვიდრეები, სასახლე და მამულები აჩუქა, უზარმაზარი პენსია დაუნიშნა. მეორე დღეს რომში ყველას პირზე ეკერა ანეგდოტი ერთ მრეცხავ დედაკაცზე, რომელიც ერთბაშად პრინცესა გახდა. როცა ღვარძლიანმა ბებერმა ასეთი ანეგდოტის არსებობა შეიტყო, გაცოფდა და ბრძანა: რაც არ უნდა დაეჯდეთ, მისი ავტორი მომიძებნეთო, საჩუქრად კი ორმოცი ათასი ეკიუ გამოაცხადა.

სიქსტის მხეცობა ქვეყანამ იცოდა. მაგრამ სულელმა ავტორმა ბულუბრუკვილობა გამოიჩინა, თვითონ თავის ფეხით ეახლა პაპს და თავისი გაუფრთხილებლობა ძვირადაც დაუჯდა: პაპმა ბრძანება ესაცა მისთვის ორმოცი ათასი ეკიუ გადაეთვალა, შემდეგ კი ჯალათს უბრძანა მოეკვეთათ მარჯვენა და ამოეგლიჯათ ენა. ორივე ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულეს. ეს იყო ბარბაროსული მეთოდი იმ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, რომ ჯობს ენას კბილი დააჭირო. თუმცა ყველა რომ ენას კბილს აჭერდეს, დღესაც სიქსტების მეუღლეა იქნებოდა!

როგორც ჩანს, ყოფილი მეღორე არც ისე გრძნობიერი ყოფილა და არც ისე კარგად ხსომებია ღარიბი ხალხის ბედი. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, გონებამახვილობას მოკლებული არ ყოფილა, და ყველაფერი ტლანქად, მაგრამ მაინც მოსწრებულად გამოსდიოდა. ჯერ იყო და სულ დახსნა ის მოსამართლეები, რომლებიც გრიგოლის დროს ერეტიკოსების მიმართ ასე თუ ისე ლმობიერებას იჩენდნენ, გააფართოვა შინაური პოლიციის რწმუნებანი პაპის ოლქში და საკუთარი მიხედულობით მოქმედება მიანდო. გარდა ამისა, გამოსცა ედიქტი, რითაც სიკვდილი გადაუწყვიტა ყველას, ვინაც ადულტერში დაიჭერდნენ — ცოლქმრულ ერთგულების დარ-

'ღვევაში (ამ ღონისძიებამ ფრიად საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა რომის მოსახლეობის რიცხვზე).

მემატიანეები მოგვითხრობენ ერთ ასეთ ამბავს, რაც სიქსტის სისასტიკეზე მეტყველებს. ვინმე სალერნოელმა სენიორმა, რომელიც არ იყო პაპის ქვეშევრდომი, თურმე განაცხადა, სიქსტის ედიქტს ჩემთან არაფერი ხელი არა აქვსო. სიქსტი გაშმაგდა, როცა გაიგო, რომ უცხოელი მის ბრძანებას არ დაემორჩილა და მოითხოვა, რომ გუბერნატორს მკაცრად დაეცვა კანონი. გუბერნატორმა შენიშნა, რომ დამრღვევნი ნეაპოლიტანის მეფის ქვეშევრდომნი არიან და ამიტომ სხვა ქვეყნის კანონით მათი დასჯა არ შეიძლება. „სულ ეს არის, რაც თქვენ გაჩერებთ? — ჰკითხა ტიაროსანმა მეღორემ, ღრაჭასავით გაბერილმა ბებერმა ტირანმა, რომელიც სამყაროს მეუფებას აპირებდა — თუ ასე კეთილსინდისიერი ხართ, საყვარლები და ქალის ქმარი ნეაპოლიტანში ნაყიდ თოკით ჩამოახჩვეთ!“ ესეც ხომ გონებამახვილურად გადაწყვეტილი დეტალია! ღირსპატივცემული მამა მხოლოდ იმ კანონებს ცნობდა, რომელთაც თვითონ იგონებდა. საბრალო ქმარს თავისი ლმობიერება ძვირად დაუჯდა. სახრჩობელაზე აიყვანეს იმისათვის, რომ რქოსანი აღმოჩნდა. განა ამდენი უბედურება ერთი კაცისათვის მეტისმეტად ბევრი არ არის? ცოლი გღალატობს და შენვე გახრჩობენ!

დანაშაულობათა შემცირებას პაპი უცნაური იდეით აპირებდა: გათავხედებული კლირიკები უნდა აელაგმა. ეს ეხებოდა ნაწილობრივ კარდინალებსაც, წმინდა კოლეგიის წევრებს, რომლებიც ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობდნენ და ვალებს არასოდეს არ იხდიდნენ. ყველა ძალად წმინდანისათვის რომ ჭკუა ესწავლებინა, პაპმა ყველა ძველი ვალი გადაიხადა (უნდა შევნიშნოთ, რომ მისთვის ეს არ იყო ძნელი: ცალი ხელით აძლევდა, მეორე ხელით იღებდა). თავისი დედაქალაქის მოსახლეობას მძიმე გადასახადები შეაწერა და სასტიკად ადევნებდა თვალს მათს აკრეფას, რამაც საერთო მღელვარებანი გამოიწვია.

სიქსტ V ლაჩარი იყო, როგორც ტირანთა უმრავლესობა, და საკუთარ სიცოცხლეს ისე დაჰკანკალებდა, თითქოს დიდი რამე ყოფილიყო, ამიტომ ყოველ მოქალაქეს აუკრძალა იარაღის ტარება. ვისაც კი იარაღს უპოვნიდნენ, სიკვდილი არ ასცდებოდა. საერთოდ, ეს არ იყო ურიგო ღონისძიება, მაგრამ უფრო ისევ საბრალო ხალხს

დააწვა ტვირთად. პაპმა არ დაინდო არც ყრმა, რომელმაც ხარაჯის ამკრეფ სპირებზე ხანჯალი აღმართა, რადგან შეურაცხყოფა მიაყენეს. თექვსმეტი წლის ყმაწვილ კაცს სიკვდილი მიუსაჯა. როცა დამცველმა ახსენა კანონი, რაც არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯას კრძალავდა, უწმინდესმა მაშინ შესძახა: „უზენაესის ნაბოძები უფლებით მე ამ ყმაწვილს ვაძლევ ჩემს ათ წელიწადს — მოიყვანეთ კანონი სისრულეში!“ როგორც ხედავთ, სიქსტი არ იყო მოკლებული ჯოჯოხეთურ გონებახვილობას. სიტყვა უჭრიდა.

სიქსტე V
მეფეებს ემუქრება

ფეტრებს რომ ფაცრად გაუსწორდა, სიქსტმა გადაწყვიტა ევროპის ბრძანებელთაგ შებმა, და სცადა თვითონ ისეთ თავგამოდებულ კათოლიკესთან შეტაკება როგორიც იყო ფილიპე II.

უპირველეს ყოვლისა ინტრიგები წამოუწყო საფრანგეთს, გრიგოლ XIII პოლიტიკა განაგრძო ამ ძლიერი სამეფოს წინააღმდეგ. კათოლიკებს ბურბონების წინააღმდეგ აქეზებდა და მეხივით დაატეხა ბულა ერეტიკოსსა და მწვალებელ ჰენრიხ ნავარელს, მასთან ყველა პროტესტანტს. ჰენრიხი თავის მხრივ ლანძღავდა მოღალატე — პაპს, ამ ცბიერ ანტიქრისტეს, რომლის გმობის მოწოდებებს კედელზე აკრავდა, და ფიცხ პაპს ისღა რჩებოდა, გაოცება გამოეთქვა მეფის სითამამეზე, რაც მოელს ევროპას აოცებდა

ტაატზე სიქსტის ასვლამ ინგლისში სენსაცია გამოიწვია. დედოფალმა ელისაბედმა რომში კაცი გაგზავნა და ასეთი დავალება მისცა: გამირკვიე ახალი პაპის ზრახვები ჩვენი ანგლიკანური ეკლესიის მიმართო. ელისაბედმა ელჩს გაატანა თავისი პორტრეტი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი (სურათი გათვალისწინებული იყო კარდინალ ალექსანდრესათვის, პაპის ძმისშვილისათვის) და დაავალა, ყველა ღონისძიებით ეცადე პაპის გულის მოგებასო.

სიქსტმა უმოწყალესი მიღება მოუწყო ახალგაზრდა ელჩს, ცხოველი ინტერესით ეკითხებოდა ინგლისის ბრძანებლის ამბავს. ახალგაზრდა ელჩმა ისარგებლა შემთხვევით და პაპს დედოფლის

პორტრეტი გადასცა. მისმა უწმინდესობამ სურათი ყურადღებით დაათვალიერა და ნაღვლიანად თქვა: „კეთილშობილი სახეა! შესანიშნავი ქალია! რა ხშირად ვწუხვარ, რომ წოდება ქორწინების ნებას არ შაძლევს! ქრისტეს წვერსა ვფიცავ, მხოლოდ ელისაბედს ავირჩევდი და ჩვენი შვილები ჩვენი ღირსი იქნებოდნენ!“ ამრიგად, ზღაპარი სინამდვილეს დაემსგავსა: იტალიელ მეღორეს ინგლისის დედოფალი მოუნდა ცოლად!

აუდიენცია რომ დასრულდა, მისმა უწმინდესობამ თავის ძმისწულს დაავალა, ელჩს საკადრისი პატივი ეცია.

ძმისწულთან საუბარი უნაყოფო არ ყოფილა. ინგლისის ელჩმა ბევრი სასიამოვნო ცნობა მიიღო მისი უწმინდესობის დამოკიდებულების გარშემო იმ გეგმებისადმი, რომლებიც ელისაბედს ესპანეთის მიმართ ჰქონდა. ინგლისის დედოფლისადმი თავისი კეთილგანწყობილების ნიშნად პაპმა თავის ძმისწულს რწმუნება მისცა, რომ თავისი პორტრეტი ელისაბედისათვის ეჩუქებინა. გახარებულმა ელჩმა მამინვე მისწერა წერილი ელისაბედს, ძისია წარმარტებით შევასრულეო, შეატყობინა, და დედოფალს ურჩია, დაუყოვნებლივ დაძარი ჯარები ესპანეთის წინააღმდეგ, მაშაც ნიღერლანდებიან შეთანხმებითო.

პირდაპირ გვეცინება, როგორ გააბრიყვა სიქსტმა დედოფლის ელჩი, რა ცუდად იცნობდა პაპს ყველა. ეიხც მის ვერაგობას ყოველდღე არ ხედავდა! სინამდვილეში სიქსტ მესუთე მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: ორი მონარქი ერთიმეორესათვის წაეკიდებინა და რომის სამღვდელოების სასარგებლოდ ორივე დაესუსტებინა. თავაზიანი ვიზიტები არ წარმართავენ პოლიტიკას, სიქსტი კი გამოჩენილი პოლიტიკოსი, ცბიერი დიპლომატი და დაუღალავი მებრძოლი იყო. რესპუბლიკების მიმართ მუდამ მზაკვრულ მშვიდობას ინარჩუნებდა.

ერთხელ თავის ნუნციუსს სასტიკი საყვედური გამოუცხადა იმის გამო, რომ შვეიცარიის ტერიტორიაზე ერთი პროტესტანტი დაიჭირა. აი, რა მისწერა პაპმა მეტისმეტად გულმოდგინე მსახურს: „განა დაგავიწყდათ, რომ შვეიცარიაში გაგაგზავნეთ კანტონებს შორის მშვიდობის დასამყარებლად და არა აერეულობის შესატანად? ჩვენ ერეტიკოსებსა და კათოლიკებს შორის თანხმობის ჩამოგდება დაგავალეთ და არა მათი წაჩხუბება. დრია გაიგოთ, რომ ჩვენ

ხელს არ გვაძლევს თავისუფალი ხალხის მიმართ ისე მოქცევა, როგორც ვექცევით მეფეებს. დამოუკიდებელი ხალხების რევოლუციები და მღელვარებანი ყოველთვის სახიფათოა ქრისტიანებისათვის და პირიქით, მუდამ ხელსაყრელია ერეტიკოსებისათვის. კატეგორიულად გაფრთხილებთ, უფრო ფრთხილად იმოქმედეთ და თავი შეიკავეთ შვეიცარიელებთან, რომლებიც უარს ამბობენ ჩვენს წიაღში შემოსვლაზე. ნუ მიჰბაძავთ იეზუიტების ტლანქ თავგამოდებას, ჩვენი ტახტის დაცვას რომ ცდილობენ და ხშირად უმძიმეს დარტყმებს კი აყენებენ". წმინდა ტახტზე იშვიათად მჯდარა ასეთი გონიერი და ცბიერი ბრძანებელი.

პაპი სიქსტ V
და კეთილმსახური მამები

მართლაც, იეზუიტები, რომლებიც თავიანთი წმინდა საქმის სადიდებლად არავითარ დანაშაულს არ ერიდებოდნენ, ხშირად დათვურ სამსახურს უწევდნენ რომის ტახტს და არაერთხელ გაუტეხიათ სახელი პაპობისათვის. სიქსტ მეხუთის დიპლომატიური თამაში სულაც არ ეჭაშნიკებოდათ ლოიოლას შვილებს. პაპის ძმისწულის გადმობირება სცადეს და იმანაც წმინდა მამას ურჩია, სულიერ მოძღვრად იეზუიტი აიყვანეო. ბიძია ფელიჩემ ამაზე უსასტიკესი შეგონებით უპასუხა: ბინძურ მატრაბაზებთან ძმაბიჭობას თავი გაანებეო, და დასძინა: „ჩემთან აღსარების თქმა ერჩიათ ჩემი აღსარების მოსმენასო". ხოლო როცა მისი რისხვა დაცხრა, ისე განსაჯა: წმინდა ტახტი ბევრს მოიგებდა, რომ ეშმაკობაში იეზუიტებისათვის გადაგვეჭარბებიაო, და ძმისწულის თხოვნა შეისმინა, იეზუიტებს ღვთისმსახურებაში მონაწილეობის ნება დართო. აქ თავს იჩენს ყოველი სასტიკი, შეურიგებელი, ბოროტი ძალის ოდინდელი თვისება: თვით მათივე იდეის თავგამოდებულ დამცველები ტირანთა უნდობლობის, ათვალწუნებისა და ხშირად რისხვის მსხვერპლნიც კი ხდებიან ხოლმე, იმდენად შეუთავსებელია ტირანია და თავისუფლება, ძალადობა და სამართლიანობა, პაპობა და შემწყნარებლობა.

ამბობენ, ერთხელ, მესის შემდეგ, რასაც უზენაესი მღვდელ-მთავრის დასწრებამ საზეიმო ელერი მისცა, კეთილმსახურმა მამებმა პაპს სთხოვეს, პატივი დაგვდე და ჩვენს ძმობას ესტუმრეო. მაგრამ როცა პაპმა იმ სარდაფებში შეხედვის სურვილიც გამოთქვა, სადაც ამ საზოგადოების განძი ინახებოდა, წინამძღვარმა ნაღვლიანად მიუგო: „სამწუხაროდ, სარდაფები ცარიელია. არასოდეს ჩვენი საზოგადოება ისე ღარიბი არ ყოფილა, როგორც ამჟამად, თქვენი ძალაუფლების დროს“. „მერე, სად გაქრა ის სიმდიდრე, რაც ამერიკასა და იაპონიაში მოხვეტეთ? — ვერ მოითმინა სიქსტმა. — თქვენ აუარებელი კაცის ცოდვა გაწევთ და ყოველი მკვლელობისათვის ფულს გაძლევენ, ახლა ვხედავ, რომ რასაც გწამებენ, ყველაფერი მართალია: თქვენ ფარისევლურად ფარავთ თქვენს დახაშაულს, ისევე როგორც თქვენს განძეულს. უახლოეს ხანში მე მოვიცლი თქვენი საქციელის გასარჩევად და მაშინ თქვენს სალაროშიც შევიხედავ. მაცალეთ, ვიზრუნებ იმისათვის, რომ საუკეთესო ქრისტიანებად გაქციოთო“. ამ სიტყვებში იგრძნობა ძლიერი და გამჭრიახი პოლიტიკოსი, რომელსაც შეეძლო სამაგალითო მბრძანებელი ყოფილიყო, რომ მაინც პაპი არ ყოფილიყო, ცბიერი და სასტიკი ტირანი.

მაგრამ მიუხედავად უდავო სურვილისა, რომ შავი ლაშქარი აელაგმა, წმინდა მამას, თუნდაც ასე ძლიერსა და ენერგიულს, ჩანაფიქრის განხორციელების ღონე აღარ შესწევდა. პაპობა ერთიანი ჭაობი იყო, და თუ ეს სისტემა არ დაინგრეოდა, მას ვერაფერი გამოასწორებდა. სიქსტმა კარდინალი ალდობრანდინი დანიშნა ყველა ამ საჩივრის გასარჩევად, რაც იეზუიტებზე შემოდიოდა. შედეგი უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა. კომისიის წევრებმა მოახსენეს, იტალიაში ერთი მონასტერიც არ აღმოჩნდა ისეთი, სადაც ბერები გარყვნილებას, უზრუნველ ქეიფსა და ღრეობას, მამათმავლობას და სხვა საძაგლობას არ ეწეოდნენო. ავსტრიაში ას ოცდაორი მამათა და დედათა მონასტერი ენახათ, მარტო მამაკაცთა მონასტრებში ას ოთხმოცდაცხრამეტი — თითქმის ორასი მეძავი ქალი ეპოვნათ, თორმეტი წლისაზე ნაკლები ასაკის ორმოცდათხუთმეტი ბიჭი და გოგონა; დედათა მონასტერში კი ოთხას ორმოცდახუთი გარყვნილი მამაკაცი აღმოუჩენიათ, მსახურთა და საყვარელთა

სახით". ფაქტიც კი საგულისხმოა, რომ ასეთი დაკვირვება ჩატარდა და ისიც მღვდელმთავრის განკარგულებით.

რაც შეეხება საფრანგეთში განლაგებულ მონასტრებს, იქ მდგომარეობა ბევრად უფრო სკანდალური იყო.

სიქსტი — მორალისტი კიდევ უფრო მკაცრად დაატყდა თავს ზედმეტ ფუფუნებას ჩაცმა-დახურვასა და ყოფა-ცხოვრებაში, რამაც სიძულვილით აღავსო განსაკუთრებით ქალები და ვაჭრები. ეს დადებითი ღონისძიებები, ავრეთვე ვატიკანის უზარმაზარი წიგნსაცავის აგება და ზოგი სხვა საქმე, რაც სიქსტს წინამორბედი პაპებისაგან განასხვავებს, როგორღაც ვერ შეგვითავსებია მისი სისასტიკის, ტირანიის, მზაკვრობისა და ინტრიგების მთელს იმ ჯაჭვთან, რაც მისი პონტიფიკატის ხუთ წელიწადს წითელ ზოლად გასდევს.

პირფერული პოლიტიკა

❷ სიქსტ V, უაღრესად დახვეწილი ინტრიგანი, ძალიან უცნაურ როლს თამაშობდა იმ ომში, რაც სამი ჰენრიხის ომის სახელითაა ცნობილი. ყველა პარტიას ერთიმეორეს უსისინებდა. ლიგას არ უჭერდა მხარს, მაგრამ იმავე დროს სასტიკად კიცხავდა საფრანგეთის მეფეს და შეაჩვენა ჰენრიხ ნავარელი. სასტიკი და მზაკვარი პაპის სურვილი იყო სამივე პარტიის დამარცხება და ამაში ხედავდა სარგებლობას წმინდა ტახტისათვის.

ასეთსავე პოლიტიკას ეწეოდა ინგლისის დედოფლის ელისაბედის მიმართ. მისი თანაგრძნობა მოჩვენებითი იყო, გარეგნული, და პორტრეტების გაცვლა სულაც არ უშლიდა ხელს, რომ ესპანეთის ელჩსა და იეზუიტებს დახმარებოდა დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობაში, რის შედეგადაც სისხლით განბანილი გვირგვინი მარიამ სტიუარტის ხელში გადავიდოდა.

მაგრამ „პატიოსან" ადამიანებს, რომლებიც მოწყალე ღმერთის სახელით მოქმედებდნენ (ანგლიკანელთა ღმერთიც ხომ იგივე იყო!), მარცხი მოუვიდათ: შეთქმულებას ისევ აეხადა ფარდა, ლორდების ბოტყუება იოლი არ აღმოჩნდა, ყველა შეთქმული შეი-

პყრეს და სიკვდილით დასაჯეს, როგორც სახელმწიფო მოღალატეები, ხოლო მარიამ სტიუარტს დედოფალ ელისაბედის განაჩენით თავი მოჰკვეთეს. ქალწულმა დედოფალმა ისევ გაიმარჯვა, და კათოლიკე სტიუარტმა, რომელსაც პაპი სამეფო გვირგვინს ჰპირდებოდა, მხოლოდ მოწამის გვირგვინი მიიღო.

„არავითარი მღელვარება არ გამოუხატავს შოტლანდიის დედოფლის ტრაგიკული აღსასრულის გამო, — წერს ისტორიკოსი ლეტი, — ისე მოუსმინა პაპმა თავის ელჩს და ბოლოს შესძახა: „ამბორს შენი, ელისაბედ, რადგან ღმერთი გწყალობს, შენს ფერხთით დაეცა გვირგვინოსანი თავი, მე კი მხოლოდ მრუში სენიორების, ბნელი ავანტურისტებისა და უბედური მჯღაბნელების სისხლსა ვღვრი!“ — და მაშინვე თავის „ძმაკაცს“, ესპანეთის მეფე ფილიპე II ურჩია, მარიამ სტიუარტის დასჯა შენს სასარგებლოდ გამოიყენეო!

ესპანეთის მეფემ სიქსტის აზრი მოიწონა. თანაც რამდენიმე მოთხოვნა წამოაყენა, მათ შორის კარდინალის ქუდი ინგლისელი ალანისათვის — მოღალატისათვის, რომელიც ესპანეთს მიეყიდა. პაპმა თხოვნა შეასრულა და სერ ალანი ესპანეთში გაგზავნა ლეგატად, რათა მეფე წაექეზებინა, ინგლისის წინააღმდეგ სალაშქროდ მზადება დააჩქარეო.

საიდუმლო შეთანხმებაც ჰქონდათ. პაპი ვალდებულებას კისრულობდა მილიონი ეკიუ გადაეხადა, როგორც კი ესპანეთის ჯარები თუნდაც ერთ ქალაქს აიღებდნენ ინგლისის მიწაზე. ის კი არა, სიქსტი დაპირებას იძლეოდა, რომ უარს იტყოდა ინ- განსაკუთრებულ ადგილსახადებზე, რომელთაც ფილიპე მეორის სამეფოდან იღებდა. მაგრამ ფილიპე II არც აგრე იოლად ენდობოდა პაპს და ინგლისის წინააღმდეგ ლაშქრობას აყოვნებდა. ვატიკანის ახალი სიცრუით დამინებულმა პაპს მოსთხოვა, საჯაროდ შეაჩვენე ინგლისის დედოფალი. პაპმა საჩქაროდ დააკმაყოფილა თავისი ღირსეული თანამოლაშქრის მოთხოვნა, კარდინალებისა და უცხო ქვეყნების ელჩთა დასწრებით წაიკითხა გრძელი ბულა:

„ჩვენ, სიქსტ V, ქრისტეს სამწყოს მსოფლიო მწყემსმა, უზენაესმა მბრძანებელმა დედამიწაზე, განვცვრიტეთ, რომ ინგლისისა და ირლანდიის ხალხები, რაკიღა ურჯულო, სისხლიანი ელისაბედი გაიბატონეს, აწ ჩაფლულან ერესის ზღვაში, რაც საქრიატიანოს წა-

ლეკვით ემუქრება, და მის მსგავსად უარს აცხადებენ რომის ეკლესიის ძალაუფლების აღიარებაზე. დაბნეულთა სულების ტანჯვა-წამებისაგან სახსნელად, საქრისტიანოს ერთიანობისა და სიმშვიდის გულისათვის, ტახტიდან გადაყენებულად ვაცხადებთ ერეტიკოს ელისაბედს, რომელიც უკანონოდ აცხადებს ბრიტანეთის კუნძულების ტახტის პრეტენზიას. სულიწმინდის შეგონებით, ეკლესიის საერთო სიკეთის გულისათვის, ჩვენ ვამტკიცებთ გადაწყვეტილებას, რაც გამოიტანეს ჩვენმა წინამორბედებმა პიუს V და გრიგოლ XIII ახალი იეზაბელის წინააღმდეგ*. ჩვენ ვართმევთ მას მეფის წოდებას, ყველა უფლებას და პრივილეგიას. ვათავისუფლებთ ყველა ქვეშევრდომს ფიცისაგან და ვუკრძალავთ საძაგელი ერეტიკოსი დედაკაცის ყოველგვარ მსახურებას. დაე, ერთი ხელიც არავინ გაუწოდოს დასახმარებლად! დაე, იყოს მარტოხელა და დევნილი, ვითარცა ეშმაკეული! სამარცხვინო ბოძზე გააკარით და დევნეთ მისი ყველა თანამოაზრე, მკვდარი და ცოცხალი. დაე ყველანი ინკვიზიციის ტრიბუნალმა გაასამართლოს! ყველას, ვინც წმინდა ეკლესიის წინაშე თავის ვალს პირნათლად მოიხდის, ვპირდებით არა მარტო მარადიულ სასუფეველს, არამედ ამქვეყნად წყალობასაც. ცოდვების მიტევებას ვპირდებით ყველას, ვინც იარაღით ხელში აღდგება და ჩვენს ძვირფას შვილს ფილიპე მეორეს გაჰყვება ურჯულო ელისაბედის დასათრგუნავად. ჩვენ სრულ მფლობელობაში ვაძლევთ ბრიტანეთის კუნძულებს ხსენებულ მონარქს წმინდა ტახტის ერთგული სამსახურისათვის და ნიდერლანდების კეთილმორწმუნე კათოლიკების მიმართ გამოჩენილი სიყვარულისათვის“.

სიქსტი აქ ისევ დამთხვეული მღვდლის სახით გვევლინება, ასაჩუქრებს კუნძულებს, რომლებიც მას არ ეკუთვნის, და სიტყვებით აგდებს ტასტიდან დედოფალს, რომელსაც საქმით ვერაფერი ავნო. მღვდლების ღონე -- წყეველაა.

შეჩვენების ბულა ზარების ზრიალში გააკრეს ყველა ეკლესიის კარზე, ათასობით სანთლის შუქზე. მადრიდში, ესკურიალის ეკვდერში, რაც ერთიანად ძაძებში იყო, ფილიპემ, თავით ფეხამდე

---

* სიქსტ V ბიბლიის ცოდნას ამეღავნებს: იეზაბელი, აქაბ მეფის ცოლი, სიდონიის მეფის ასული, ბაალს მსახურებდა, ისრაელთა მეფე განარისხა „და სული თვისი წაწყმიდა, რამეთუ ბოროტ მოქმედებდა, უფროის ყოველთა მეფეთა ისრაელისათა“. იუეი რომ გამეფდა, იეზაბელი სასახლის ფანჯრიდან „გადაისროლ“ და გვამი ძაღლებს მიუგდო საძიძგნად (მეფეთა, 3, 31—33; თ. 19, 1—3).

შავებში ჩამჯდარმა ესპანეთის მეფემ, მისებრ შავოსანი ამალის თანხლებით (წინასწარ თუ გლოვობდნენ თავიანთი არმადის მარცხს!) რომ შემობრძანდა, ნუნციუსს უბრძანა წაეკითხა მრისხანე ანათემა — „საძაგელი ელისაბედის“ წინააღმდეგ მიმართული ბულა.

საზიზღარი გამცემლობა

● ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ პაპი სიქსტ V ნამდვილად აპირებდა ფილიპე II მხარის დაჭერას და მისთვის ინგლისის გვირგვინის უზრუნველყოფას, რაც იმ დროისათვის არც თუ ისე ძნელი ჩანდა. ახალგაზრდა ინგლისელი ელჩი დარწმუნდა, რომ პაპმა მოატყუა და უკვე მარადიული ქალაქის დატოვებას აპირებდა, როცა მღვდელმთავარმა დაიბარა თუ მიიწვია, ამ ქლესა ფარისეველმა, რომელმაც ლამის თვითონაც არ იცოდა, ვის უჭერდა მხარს, და დიდხანს ესაუბრა „ბრძანებულებათა მძიმე ხვედრზე, აუცილებლობაზე, რომ დაეფარათ საკუთარი აზრები და ემოქმედათ თავიანთი გრძნობების საწინააღმდეგოდ“. ისევ დაუმოწმა ელჩს თავისი ღრმა პატივისცემა და გულწრფელი მეგობრული გრძნობები ელისაბედის მიმართ, თანაც გააფრთხილა, დაუყოვნებლივ მისწერე შენს დედოფალს, ფხიზლად იყოს, ფილიპე II მის სამეფოში სალაშქროდ ემზადებაო. ფარისეველმა მღვდელმთავარმა მიუთითა: „გახრწნილი შოტლანდიელი დედოფლის მოკვლით ელისაბედმა ესპანელი განარისხა, გადაიკიდა და დიდი რისკი გასწია: ვაი თუ ფილიპეს აგენტებმა მოკლანო“. იქამდეც კი მივიდა, რომ განაცხადა: „...პაპის ტიტული მაიძულებს საძულველ ფილიპეს მხარი დავიჭირო, მიუხედავად იმისა, რომ სიამოვნებით გავუსწორდებოდი ისევე, როგორც ელისაბედი გაუსწორდა მარიამ სტიუარტსო“. ბოლოს დაიფიცა, ფილიპეს ცარიელი სიტყვით დავპირდი მხარდაჭერას და ერთადერთი ჩემი დახმარება მის მიმართ, ესაა კარდინალის ქუდი, შტერ ალანს რომ ვუბოძე, და ელისაბედის საპაციილო შეჩვენებაო. რაც შეეხება ჩემს მილიონ ეკიუს, ვალდებულება ავიღე მივცე მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც ესპანეთის ჯარები ინგლისის ტერიტორიის ნაწილს დაიპყრობენ, რასაც, იმედი მაქვს, დედოფა-

ლი არ დაუშვებსო. რაკი პაპის სიტყვას არავინ ენდობოდა, ამჯერად ნივთიერი საბუთიც ზედ დაურთო: ფილიპეს წერილი ეაატანა ელისაბედთან. ამ წერილში ესპანეთის მეფე დაწვრილებით უმლიდა „მოკავშირეს“ თავისი ჯარის შემადგენლობას, ლაშქრობის გეგმას და სარდლობის ვინაობას. მოკლედ, სიქსტმა, ფუშეს სულიერმა წინამორბედმა, გასცა ფილიპე II.

ეს ცნობები რომ მიიღო და ელჩის კომენტარები მოისმინა, ელისაბედმაც ისეთივე კომედია გაითამაშა, როგორიც ვატიკანელმა იუპიტერმა. როგორც ინგლისის ეკლესიის მეთაურმა, ანათემა გამოუცხადა წმინდა მამას და მის წმინდა ხროვას, ყველას, ვინც შეჩვენების ბულას ხელი მოაწერა.

ინგლისისა და ესპანეთის ბრძოლა ფილიპეს სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. 132 სამხედრო ხომალდისაგან შედგენილი „უძლეველი არმადა“ 1588 წელს ინგლისის ნაპირებთან დაფანტა და თითქმის ოთხმოცამდე გემი ჩაძირა ნაწილობრივ ქარიშხალმა, ნაწილობრივ დედოფლის ფლოტმა. ამით დასამარდა ესპანეთის ძლიერება ზღვაზე. ამ ცნობამ სიქსტ V ძალიან გაახარა. ჩანს, საქრისტიანოს მბრძანებელს რელიგიური მოსაზრებები არ ამოძრავებდა. როცა პაპს ინგლისის ელჩი ელისაბედის ვამარჯვების ამბებს უკითხავდა, მისი ძმისწული კარდინალი მონტალტო შემოვიდა, და სიქსტმა თავი ვერ შეიკავა, აღტაცებით წამოძახა: „გაიხარე, ძმისწულო. ფილიპე II დამარცხებულია, ახლა ნეაპოლიტანის სამეფო ჩვენს ხელთაა!“ ხომ არ დაავიწყდა, რომ პაპის სიტყვებს მსოფლიო გაიგებდა?

პაპისა და იმპერატორის დავა

● ინგლისი და ესპანეთი რომ ერთმანეთს შეაწყვიტა, სიქსტ V მზერა გერმანიას მიაპყრო, ეპისკოპოსებსა და კათოლიკურ ორდენებს უბრძანა, იმპერატორ რუდოლფ მეორეს ნუ დაემორჩილებითო.

პაპის სასახლეში მყოფმა გერმანიის ელჩმა ენერგიული პროტესტი განაცხადა იმპერატორის სახელით. მაგრამ მას უპასუხეს,

შენს საჩივარს ვერ მივიღებთ: როგორც იმპერატორის ოფიციალურ წარმომადგენელს, უნდა გეუწყებოდეთ ეს, რა დიდად არიან დავალებული იმპერატორები პაპების წინაშე, როგორ აძლევდნენ პაპები იმპერატორებს გვირგვინს წმინდა ტახტის ინტერესების დასაცავად, ხოლო ქრისტეს მოადგილე მხოლოდ ღმერთს ემორჩილება და საერო ხელისუფალთ ვერ მისცემს იმის ნებას, რომ საკურთხევლის მსახურნი დანიშნონო.

იმპერატორის ელჩმა მარჯვედ შეაბრუნა პაპის სიტყვა: „თუ საერო მბრძანებელთა ჩარევა საეკლესიო საქმეებში უსამართლობაა, ამაზე არანაკლები უსამართლობაა, მისი უწმინდესობის ჩარევა საერო საქმეებშიო“. ამ საფუძველზე ელჩი დაჟინებით მოთხოვდა იმპერატორისათვის რომის პრეფექტის დანიშვნის უფლებას.

მაშინ გაცოფებულმა სიქსტმა განაცხადა: „თქვენი ბატონი რომაელთა მეფედ ითვლებოდა გერმანიაში — ეს მართალია. მაგრამ მას არავითარი ძალაუფლება არა აქვს რომზე, რადგან აქ მე ვითვლები ერთადერთ კანონიერ მბრძანებელად! ოდესღაც პაპები იმპერატორს სთხოვდნენ რომის პრეფექტის დანიშვნის დასტურს. ეს აღარ განმეორდება. მე ვარ რომის იმპერატორი! ქალაქი მე მეკუთვნის, და გადაწყვეტილი მაქვს დავიცვა ჩემი უფლება ყველასაგან, ვინც ჩემი სახელმწიფოს საქმეებში ჩარევას განიზრახავს! სახარება გვასწავლის მიეცეს კეისარს კეისრისა და მონას მონისა, მაგრამ მსოფლიო ეკუთვნის ღმერთსა და მის მოადგილეებს, და მაშასადამე, კეისარს მხოლოდ იმისი უფლება აქვს, რაც პაპს ნებავს! მეფეები და იმპერატორები ჩვენი ქვეშევრდომები არიან“.

ასეთი გალობა ახალი როდი იყო. ყოველი თავდადებული პაპიც ამასვე გაიძახოდა, და ამას ამბობდა ქრისტეს მოადგილე, ქრისტე კი ამბობდა: „სამეფო ჩემი არა ამქვეყნიური“!

იგნატი ლოიოლას შვილთა
შურისძიება

● ინგლის-ესპანეთის ომის შემდეგ სიქსტისა და ფილიპეს — ორი გამოუსწორებელი კათოლიკე ხელმწიფის ურთიერთობა სრულიად წახდა. ნეაპოლიტანის სამეფო პაპს არ მიუღია და ისიც ისევე

განაგრძობდა ინტრიგის ქსელის ხლართვას ესპანეთის მეფის წინააღმდეგ. ახლა ელისაბედს აქეზებდა, თავს დაესხი ესპანეთს და მიწასთან გაასწორეო.

შეჩვენებული ერეტიკოსი დედოფალი პაპის რჩევას მიჰყვა და კათოლიკე ფილიპეს პორტუგალიის წართმევა მოუნდომა. ცდამ უნაყოფოდ ჩაუარა და წმინდა მამა მეტისმეტად გააბრაზა. ასე შეუთვალა: „პორტუგალიაში თავი ისე გეჭირა, როგორც დედაკაცს და არა როგორც დედოფალსო", თანაც გააფრთხილა: „თუ საფრანგეთშიც ასეთი ყოყმანი დაიწყე, ფილიპე II გძლევსო".

ამასობაში იეზუიტები მიხვდნენ, რომ ღიგა სულს ღაფავდა და ესპანეთს მიეყიდნენ. სიქსტ V აშკარად უჭერდა მხარს ჰენრიხ IV, რომელმაც პარიზს ალყა შემოარტყა. ჰენრიხი კი ჰუგენოტების ბელადი იყო და კათოლიკებს, ე. ი. პაპისტებს ებრძოდა, თუმცა მერე თქვა, „პარიზი ღირს მესადო", და კათოლიკეთა მხარეზე გადავიდა (ეს მოხდა სიქსტის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ).

როცა საფრანგეთის დედაქალაქში შიმშილობა დაიწყო, შავმა ლაშქარმა მოსახლეობის გასამხნევებლად დიდებული პროცესია მოაწყო.

ერთ-ერთი ქრონიკის ავტორი მოგვითხრობს: „ამ ცერემონიას პაპის ლეგატი და ეპისკოპოსი სანლისი ესწრებოდნენ, პროცესიას მიუძღოდნენ, მარჯვენა ხელში ჯვარი ეჭირათ, მარცხენა ხელში— წათები. უკან ათას ორასი ბერი მიჰყვებოდათ, სუტანის გარეთ ბეგთარი ემოსათ. კაპიშონების ზემოთ მუზარადი ეხურათ. კორტეჟის ცენტრს შეადგენდა ექვსასი იეზუიტი და ორასი მღვდელი, შეიარაღებული ძველებური მუშკეტებით, შუბებითა და ხმლებით. მაგრამ ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევდა კოჭლი ბერი, ძველი შარლატანი, რომელიც თავის თავს მამა ბერნარდს ეძახდა. დროგამოშვებით ხან ფეხებით, ხანაც ხელებით საოცარი სიმარჯვით გადაინაცვლებდა პროცესიის თავიდან მის ბოლომდე, ალაგ-ალაგ შეჩერდებოდა, იძრობდა უზარმაზარ მახვილს და ნამდვილი ოინბაზის სიმარჯვით ყლაპავდა".

ამ ოინმა გონიერი პაპი სრულიად აღაშფოთა და ამნაირი ზეიმის წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება გადაწყვიტა. სიქსტმა ორდენის გენერალს უბრძანა აეკრძალა თავისი საზოგადოების წევრებისათვის მეფეთა და მთავართა სასახლეებში სულიერი მამების

მოვალეობის შესრულება. მაწვე ჰოითხოვა გაეწვიათ იეზუიტები — მისიონერების სახით რომ იყვნენ მოდებული შოტლანდიაში, ნიდერლანდებში, ირლანდიასა და ინგლისში — როგორც ყველა შფოთისა და უწესრიგობის მოთავეები. დაბოლოს, წმინდა მამამ განაცხადა, რომ იეზუიტების ორდენის გამოცხადება ბერების ორდენად-მკრეხელობაა, და ამიერიდან იგნატი ლოიოლას მოწაფეები უნდა იწოდებოდნენ არა იესოს სახელის მიხედვით შერქმეულ იეზუიტებად, არამედ იგნატიანებად, რაც ამ ორდენის გამასხრება იყო. გარდა ამისა, პაპმა თქვა: ჩემი მოთმინების ფიალა აივსო, ამ საზოგადოების წევრთა დანაშაულობანი, გამცემლობა და გაუმაძღარი პატივმოყვარეობა მაიძულებენ ვიფიქრო რადიკალურ რეფორმაზე და ბოროტების ამოძირკვაზეო. აქ ერთხელ კიდევ იელვა ამ საოცარი პაპის დადებითმა მონაცემმა. ასეთ რამეს ხომ გრიგოლ მეცამეტისაგან ვერ მოისმენდით!

ამ გამოსვლის მეორე დღეს რომის ერთ-ერთი ქანდაკების ზეძირკველზე ასეთი განცხადება აღმოჩნდა გაკრული: „პაპს სიქსტს სიცოცხლე მოჰბეზრებია“.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ მისი უწმინდესობა იეზუიტების შხამმა იმსხვერპლა.

როგორც ვხედავთ, აქ შეუპოვარმა და ჭკვიანმა პაპმა დიდი შეცდომა დაუშვა — ბრძოლა გამოუცხადა იმას, რაც მასზე ძლიერი იყო. იეზუიტები, პაპთა მცველები, პაპზე ძლიერნი აღმოჩნდნენ, და პაპზე თავგასულნიც.

მრავალი ისტორიკოსის ცნობით, სიქსტი რომელიღაც მეაფთიაქემ მოწამლა ესპანეთის მეფის შთაგონებით. შხამი შეუზავაო აბში. უფრო სარწმუნო ვერსიით, მკვლელობა მოაწყვეს იგნატიანებმა.

თვითონ წმინდა მამა, ეტყობა, ორივეს შესაძლებლად თვლიდა, სიკვდილის წინ თავის ძმისწულს მონტალტოს გამოუტყდა: „ღმერთს არ ენება, რომ ნეაპოლიტანის სამეფო ეკლესიას შეერთებოდა, რადგან ფილიპემ განზრახვა შეგვიტყო, იეზუიტებმა კი დამსაჯეს“. ჩინებულადაა ნათქვამი.

სიქსტმა პონტიფიკატის სულ რაღაც ხუთი წლის განმავლობაში უდავოდ ბევრი რამ გააკეთა ეკლესიისათვის, მაგრამ ისე შეაძულა თავი რომის მოსახლეობას, რომ მისი გარდაცვალების დღეს აჯან-

ყებამ იფეთქა: მოქალაქეებმა იარაღს ხელი ჩაავლეს, მისი უწმინდესობის ყველა ქანდაკება ნამსხვრევებად აქციეს და პაპის სასახლეს ალყა შემოარტყეს, რათა ტირახის ნეშტი ხელთ ეგდოთ და ტიბრში გადაესროლათ. ძნელია ჭკვიანი უწოდო მბრძანებელს, რომელიც ხალხს თავს ისე აძულებს, რომ მის ქანდაკებებს მისი სიკვდილის დღესვე ამსხვრევენ!

ლეტი ასე ახასიათებს სიქსტ მეხუთეს: „უზენაესი მბრძანებლის როლში განუწყვეტლივ მიმართავდა სიცრუესა და მოტყუებას, ინტრიგებსა და გამცემლობას, და თავისი მიზნებისათვის ბრძოლაში არ ჩერდებოდა დანაშაულის წინაშე. მაგრამ თავის წმინდა მოვალეობას რომ ასრულებდა, განუხრელად რჩებოდა წმინდანად წმინდანთა შორის, მართლმორწმუნედ მართლმორწმუნეთა შორის...“

ჩვენის მხრივ დავუმატებთ: და სწორუპოვარ ნაძირალად ნაძირალებს შორის!

ურბან VII

❍ სიქსტის მრავალრიცხოვანმა მტრებმა ზეიმით აღნიშნეს მისი აღსასრული. ყველაზე მეტად იეზუიტები ხარობდნენ.

ამბობდნენ, იგნატი ლოიოლას ერთმა მიმდევარმა კათედრიდან მეტად არაჩვეულებრივი სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქვაო, ასეთი შინაარსისა:

„უფალმა გვიხსნა, ძმებო, საზიზღარი პაპისაგან. მეტ ხანს რომ ეცოცხლა, იძულებული გავხდებოდით შეგვეჩვენებინა, რადგან სწორედ ეკლესიიდან განკვეთას იმსახურებს ასეთი მრუში, ჯადოქარი, მამათმაკალი, ერეტიკოსი. უფალმა თვითონვე მოსპო სატანა, ტიარით დაგვირგვინებული ეშმაკეული“.

როგორც კი „სატანა“ დაასაფლავეს, კარდინალები მაშინვე შეიკრიბნენ ახალი პაპის ასარჩევად.

დაიწყო შეხლა-შემოხლა, როგორც ყოველთვის, და უკვე მეშვიდე დღეს რამდენიმე კარდინალმა უარი თქვა თავის კანდიდატურაზე — კარდინალ კასტანიას სასარგებლოდ, რომელმაც ხმების ორი მესამედი მიიღო და გახდა საქრისტიანოს მბრძანებელი ურბან VII სახელწოდებით.

ჯიოვანი ბატისტა კასტანია დაიბადა რომში 1521 წელს. „სიმწიფის ასაკს რომ მიაღწია, — ამბობს ლაშატრი, — გულმოდგინედ სწავლობდა სამოქალაქო სამართალსა და საეკლესიო წესდებას, რაც იმ დროს უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე წმინდა წერილის შესწავლა“.

გრიგოლ XIII დროს მნიშვნელოვანი დაკალება შეასრულა კელნში, ფილიპე IIდა გაერთიანებული პროვინციების მოლაპარაკებას ადევნებდა თვალყურს. ამ მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი სიმარჯვისათვის საჩუქრად მიიღო დიდძალი თანხა და კარდინალის ქუდი.

სიქსტ მეხუთეც წყალობით ავსებდა, ყოველი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტის დროს მას მიმართავდა ხოლმე. როცა ამ კაცზე ლაპარაკობდა, მუდამ იმეორებდა: მისი დახმარებით იმედი მაქვს იეზუიტებს ავლაგმავ და მხოლოდ ერთსა ვთხოვ უფალს — რომ ჩემი მემკვიდრე კასტანია იყოსო.

სიქსტის სურვილი, როგორც ვხედავთ, აასრულდა.

რომის მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ახალი პაპის არჩევის ცნობას, რადგან კასტანიამ თავისი ქველმოქმედებით, პატიოსნებითა და სამართლიანობით, — კლირიკების მოდგმისათვის ეგზომ იშვიათი თვისებებით — ხალხის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა. განა გრძელი დღე ეწერა ასეთ პაპს?

> *წმინდა ტახტზე —*
> *პატიოსანი კაცი!*

ურბან მეშვიდეს თავისი ღირსებები არც ტახტზე ასვლის შემდეგ დაუკარგავს. გვირგვინის კურთხევის დღეს საკუთარი ფულით დაფარა ყველა ვალი, რომისა და მისი გარეუბნების ყველა ღარიბ-ღატაკს პური და ხორცი გაეცითო, ბრძანა. ამას გარდა, წმინდა მამამ ხეიბართა ბედისათვის ზრუნვა ითავა. დაბოლოს, გაუგონარი ბრძანება გამოსცა: „მეთონეებმა გააუმჯობესონ პურის ხარისხი, დაუკლონ ფასი, რათა ხალხმა სრულფასოვანი პროდუქტი მიიღოს, და წონაში არავინ მოატყუოსო“.

კარდინალებს, რომელთაც თავიანთი ნათესავებისათვის რომის

სასახლის საუკეთესო, უმაღლესი ადგილები სთხოვეს, ნეპოტიზმის მტერმა ურბანი VII ასეთი პასუხი გასცა: „მე არ მინდა შეკრული ვიყო ნათესაური კავშირით, თუ თანამდებობის პირები მოღალატენი აღმოჩნდებიან და იძულებული გავხდები დავსაჯო“.

პატიოსან მღვდელმთავარს არ შეეძლო უშიშრად არ დაეგმო სიქსტ მეხუთის მეომრული და ვერაგული პოლიტიკა. ხელმწიფეთა წარმომადგენლებს განუცხადა: „ჩემი მმართველობის დროს ხალხებმა მშვიდობა უნდა იხილონ. მეფეებს ჰმართებთ ქრისტიანთა გაერთიანებისათვის ზრუნვა და მშვიდობისათვის ბრძოლა არა ტერორის გზით, არამედ დარწმუნებით, შემწყნარებლობის გამოჩენით“.

რაც მართალია, მართალია, ურბან VII მეტისმეტად პატიოსანი იყო იმისათვის, რომ პაპის ტახტზე მჯდარიყო! გაუგებარია, რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა წმინდა კოლეგია, როცა ამ კარდინალს ირჩევდა. კონკლავის გზები მიუწვდომელია!

წმინდა მამებთან
ხუმრობა სახიფათოა!

● მისი უწმინდესობა არ იყო ფარისეველი და ცარიელი სიტყვის კაცი, მაშინვე საქმით შეუდგა თავისი მშვიდობიანი გეგმების განხორციელებას და კომისიები შექმნა რელიგიური ორდენების გარდასაქმნელად, განსაკუთრებით კი იეზუიტების მეტისმეტად ძლიერი ორდენის ასალაგმავად. ეს ხომ მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან ომის ატეხვას ჰგავდა! სულ მოკლე ხანში ურბან მეშვიდემ, მისი წინამორბედის მსგავსად, ამ საკითხზე ამომწურავი პასუხი მიიღო.

1590 წლის 26 სექტემბერს, მოციქულის ტახტზე ასვლის მეთორმეტე დღეს, კეთილი მამებისაგან მოწამლულმა პაპმა სული დალია.

შავი კაცები არ ელოდებიან ღვთის შეწევნას, როცა მათთვის არახელსაყრელი ბრძანებლის თავიდან მოცილება სურთ — საკუთარ თავს უფრო ენდობიან, რადგანაც იციან, რომ მათი საშუალება უფრო ოპერატიულია და, რაც მთავარია, უფრო სანდო.

გრიგოლ XIV

❸ როგორც კი თამამი და ქველმოქმედი ურბან VII ბიწას მიაბარეს, მაშინვე ორმოცდათორმეტი კარდინალი შეიყარა, რომ მისი მემკვიდრე აერჩიათ. მონტალტოს ინიციატივით პაპის ტახტზე დასვეს კარდინალი ნიკოლო სფონდრატი, რომელმაც გრიგოლ XIV იწოდა.

ახალმა პაპმა თავის ყოველ ამომრჩეველს თითო ათასი ეკიუ მისცა. ეტყობა, კარგად იცოდა ძველი ანდაზა: „პატარა საჩუქარი დიდ მეგობრობას ამაგრებსო". მართალიც იყო: რასაცა გასცემ შენია.

მემატიანეები ამბობენ, მბრძანებლად არ ვარგოდაო, ზანტი იყო და ზარმაცი, თავმოყვარე და თავმოთნე, იმდენი ცოდნაც არა ჰქონდა, რაც ეპისკოპოსს ესაჭიროებაო, — მოკლედ, ფარშევანგის პატივმოყვარეობა ჰქონდა და ბატივით სულელი იყოო.

ისე, უგნური არ ყოფილა: იეზუიტების შხამით დაშინებულმა ტახტზე ასვლისთანავე ლოიოლას შვილთა მომხრედ და თანამოაზრედ გამოაცხადა თავი, ესპანეთთან და კათოლიკურ ლიგასთან სამშვიდობო ურთიერთობა დაამყარა.

„ამაზე მეტიც გააკეთა, — მოგვითხრობს მეზერეი, — სიქსტ მუხუთის დროს ვატიკანში დაგროვილი საუნჯე გასცა, თოთხმეტი ათასიანი არმია შეადგინა, წმინდა ლიგას გაუგზავნა. სარდლად თავისი ძმისწული დანიშნა. შემდეგ ეპისტოლე გამოაქვეყნა, რომლითაც ყველა სასულიერო პირს, სენიორსა და მაგისტრს უბრძანა 15 დღის განმავლობაში დაეტოვებინათ ჰერცოგ ბურბონის მიწები, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჩვენებით ემუქრებოდა ყველას. ამას გარდა ახალი ბულა გამოაქვეყნა, მეფე — მწვალებელს ანათემა გამოუცხადა, ყველა ადგილ-მამული და სამეფო ძალაუფლება ჩამოართვა.

უბედურებას
უბედურება მოსდევს

❸ „მისი უსულელესობის" გრიგოლ XIV მუქარას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. პარლამენტმა ბრძანა ბულა დაეწვათ და მისი

მომტანი ნუნციუსი დაეტუსაღებინათ. საფრანგეთის უზენაესმა სამღვდელოებამ განაცხადა, რომ ყველა ეს ბულა „ეწინააღმდეგება კანონს, ყრილობის ეწსდებას, სახარების დიქტრინის სულს, რადგან შინაარსითაც და ფორმითაც უკახოხოაო“.

ამის შემდეგ ჰენრიხ IV უწინდელზე ძლიერი გახდა და პაპის ყოვლად შტერული ბულის საპასუხოდ გააუქმა ყველა უწინდელი ბრძანება, პროტესტანტების წინაღმდეგ მიმართული.

მარცხმა პაპი ვერ შეაჩერა: აქტიური მიწერმოწერა გამართა ესპანეთის მეფეებთან, იმედი ჰქონდა, რომ გვირგვინს დაუსაკუთრებდა. სამწუხაროდ, გრიგოლი ასეთ ბედნიერ დღეს ვერ მოესწრო: 1591 წლის 16 ოქტომბერს სამუდამოდ დაემშვიდობა მოციქულის ტახტის ბალიშებს. სულ ერთი წელი და ოციოდე დღე დასცალდა...

ინოკენტი IX

● ახალ პაპს ანტონიო ერქვა, მაგრამ ინოკენტი IX იწოდა.

ესპანელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ახალი პაპი მათ მხარს დაუჭერდა: მცირე ინტრიგა როდი გასწიეს და ცოტა ფული როდი გადაიხადეს მისი არჩევისათვის. მაგრამ სასტიკად შეეშალათ. თავისი წინამორბედის მსგავსად, ინოკენტი IX ფიქრობდა, რომ პაპის უპირველესი მოვალეობაა თავისი ძალაუფლება კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოიყენოს.

შეამსუბუქა გადასახადები, რითაც სიქსტ V რომს წელი გაუწყვიტა, შეამცირა ჯარების რიცხვი, კარისკაცთა რაოდენობა. ყოველივე ამის შედეგად შესძლო ღარიბ-ღატაკთა დახმარება, ისე რომ მოციქულის ხაზინას არც შეხებია. დასასრულ განაცხადა. სურვილი მაქვს ყველაფერი გავაკეთო ევროპის მშვიდობისათვის, უთანხმოებათა მიზეზები მოვსპო და იეზუიტებს ნება მივცე ერეტიკოსები მხოლოდ დარწმუნებისა და ქველმოქმედების გზით მოაქციონო.

ამ დეკლარაციამ გადაწყვიტა მისი ბედი. ესპანეთი აშკარად დარწმუნდა, რომ ახალი პაპის იმედი ტყუილად ექნება, ამიტომ მშვიდობისმოყვარე მღვდელმთავრის საქმე გათავებული იყო. 1591

წლის 30 დეკემბერს*, არჩევიდან ორი თვის შემდეგ, საშინელი ტანჯვით დალია სული. ვინც ინოკენტი IX ტახტზე აიყვანა, მანვე მოუღო ბოლო შხამით — კეთილ კათოლიკეთა საყვარელი საშუალებით. მღვდელმთავარი ამ დროს 72 წლისა იყო.

კლიმენტი VIII

● უბედური ინოკენტი IX, თავისი კეთილი ზრახვების მორიგი მსხვერპლი რომ მიწას მიაბარეს და მოასვენეს, ათი დღის შემდეგ ორმოცდათორმეტი კარდინალი ისევ კონკლავზე შეიკრიბა. ესპანეთის ელჩის მარჯვე მანევრების მიუხედავად მისი კანდიდატი დამარცხდა და ტახტზე დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ აიყვანეს იპოლიტე ალდობრანდინი, რომელსაც ეწოდა კლიმენტი VIII. უმჯობესი კი იყო შთამომავლობას არც სცოდნოდა იმ ღვარძლიანი ჯალათის სახელი, რომელმაც აწამა დიდი ჯორდანო ბრუნო.

ახალი პაპი ამ დროს ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო. იტალიელი მემატიანის სიტყვით „კლიმენტი VIII უფრო თავხედი იყო, ვიდრე ბონიფაციუს VIII და იოანე XXIII, უფრო ქედმაღალი და პატივმოყვარე, ვიდრე გრიგოლVII და სიქსტ V, უფრო ვერაგი და მუხანათი, ვიდრე ალექსანდრე VI“. ამაზე მეტყველი დახასიათება სწორედ შეუძლებელია!

თავისი მბრძანებლობა გადამწყვეტი ზომებიდან დაიწყო. პარიზის არქიეპისკოპოსი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ჰენრიხ მეოთხის სამშვიდობო წინადადებანი რომში ჩაეტანა, ამ ბეხრეკმა ბებერმა ძაღლმა წინასწარვე გააფრთხილა: ფიქრიც არა მსურს მეფე — ერეტიკოსთან მოლაპარაკებაზეო, თან დაემუქრა: თუ პარიზი დაგიტოვებია, ხარისხს დაკარგავ და პაპის კურთხევას ვერ ეღირსებიო. „სატანის კურთხევას!“ — გვინდა შევუსწოროთ.

კლიმენტიმ ენერგიული ბრძოლა გააჩაღა ჰენრიხ IV წინააღ-

---

* რუსულ თარგმანში შეცდომაა: 30 სექტემბერი წერია. ინოკენტის წინამორბედი 16 ოქტომბერს მოწამლეს. მის მემკვიდრეს, ცხადია, არ შეეძლო ამაზე ადრე ასულიყო ტახტზე. მისი პონტიფიკატი ოქტომბრიდან დეკემბრის ბოლომდე გრძელდებოდა.

მდეგ და გამოაქვეყნა ბულა, რომლითაც ფრანგ კათოლიკებს ავალებდა აერჩიათ სხვა მეფე, „მათი სარწმუნოების შესაფერისი“.

უკეთური ჰენრიხის
მორჯულება

ესპანელები მოუთმენლად ელოდნენ იმ ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელიც კლიმენტიმ მოიწვია, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. მოულოდნელად გამოჩნდა „მენიპეს სატირა“*. ამ სახელგანთქმულმა სატირამ ხელი შეუწყო კათოლიკური ლიგისა და მისი უცხოელი თანამდგომობის დამარცხებას. ამას გარდა, ლიგის დამარცხებამ აიძულა ჰენრიხ IV უარი ეთქვა პროტესტანტობაზე. მეფე დარწმუნდა, რომ „პარიზი ღირს მესად“ (კათოლიკეთა წირვად), და როგორც თავის სატრფოს სწერდა, „სასიკვდილო ნახტომი“ გააკეთა: 1593 წლის 25 ივლისს სენ-დენის სააბატოს ძველ ეკლესიაში საჯაროდ განუდგა პროტესტანტებს, რითაც მოიხსნა პაპის ანათემა.

მოციქულის ტახტის ნუნციუსი, ესპანეთის მთავრობის ერთგული მსახური, მთელი თავისი ძალღონით აცხადებდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რასაც თვითონ „ცრუ მოქცევას“ ეძახდა, და ამტკიცებდა, ერეტიკოსი მეფის მოქცევის უფლება მხოლოდ პაპს ჰქონდაო. ჰენრიხმა კი მაშინვე ელჩი აფრინა პაპთან და სთხოვა მისი სამეფო უდიდებულესობისათვის შეჩვენება მოეხსნა. მაგრამ გოროლმა კლიმენტიმ ელჩი ახლოს არ გაიკარა და განაცხადა, განზრახული მაქვს ჰენრიხს სამეფო ტახტიც წავართვაო.

მეფის მოკვლის
მოთხოვნა

კლიმენტი VIII ენერგიულად მოქმედებდა. შავი არმიის „გენერალმა“ პარიზში მყოფ თავის ჯარისკაცებს უბრძანა, დაუყოვნებლივ

* მენიპე (დაახ. 270 წ. ძვ. წ.) — ყოფილი ფინიკიელი მონა, ძველი საბერძნეთის ცნობილი ცინიკოსი და სატირიკოსი, სხვა ფილოსოფიურ სკოლებს დასცინოდა, მეტადრე ეპიკურელებს. მისი 13 სატირა ნიმუშად გამოიყენეს რომაელმა ვარუსმა და ლუკიანემ.

იპოვეთ მკვლელი, რათა სამუდამოდ გაუსწოროს ანგარიში ექსჰუგენტოს ჰენრიხ მეოთხესო. კეთილმა მამებმა მაშინვე მიიღეს ზომები, პარიზსა და პროვინციებში დაიწყეს ისეთი ფანატიკოსის ძებნა, რომელიც რელიგიისათვის თავს გასწირავდა, და არც კი დაუფიქრდებოდა, რომ კაცის მოკვლა რელიგია არ არის. მათი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, და ვიღაც გიჟმა ბარიერმა, ვინც სიცოცხლე შეიძულა მას შემდეგ, რაც საყვარელმა უარი სტკიცა, იეზუიტებს თავისი სამსახური შესთავაზა, მეფის მოკვლა იკისრა. პარიზი მიატოვა, რომ მეფესთან შეეღწია, თან იეზუიტურად მოწამლული ხანჯალი წაიღო. მაგრამ სიყვარულში ხელმოცარულს მკვლელობაშიც მოეცარა ხელი. ფანატიკოსი შეიპყრეს. მაშინვე დაჰკითხეს, მეფის მოკვლის ცდა დაუმტკიცეს და მიუსაჯეს სიკვდილი, რაც დაუყოვნებლივ სისრულეში მოიყვანეს.

სამწუხაროდ, განადგურებული იქნა მხოლოდ დანაშაულის იარაღი, ასე ვთქვათ მოწამლული ხანჯალი, ხოლო მისი სულის ჩამდგმელნი, როგორც მუდამ, ახლაც ჩრდილში რჩებოდნენ.

ჰენრიხ IV ჭკვიანი მეფე იყო, მაშინვე ისარგებლა ამ ცდით, რაც მის სიცოცხლეს დაემუქრა. მთავარი ქალაქებისა და პროვინციების მმართველები მიიმხრო და 1954 წლის 22 მარტს ზეიმით შევიდა პარიზში, სადაც ამდენ ხანს არ უშვებდნენ. იეზუიტებს ცოტა შეეშალათ. პაპს კი კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

დასცხეთ იეზუიტებს!

● წმინდა ტახტის ზეგავლენის ქვეშ მყოფმა რელიგიურმა ორდენებმა და განსაკუთრებით ლოიოლას უძვირფასესმა შვილებმა არ ისურვეს ადგილობრივ ხელისუფალთა მაგალითისამებრ მეფის დამორჩილება და უარი უთხრეს ჰენრიხს საჯარო ლოცვებში მონაწილეობაზე. ისე უკმეხად შეურაცხყოფდნენ თავიანთ ქადაგებაში, რომ მეფემ გადაწყვიტა განეახლებინა ძველი დავა უნივერსიტეტსა და იესოს საზოგადოებას შორის. ბევრ ვინმეს გაართობდა ამ გოლიათების ჭიდილი.

ბრძოლისათვის რომ ემზადებოდნენ, უნივერსიტეტისა და იე-

ზუიტების წარმომადგენლები ერთიმეორეს მრისხანე პამფლეტ
ბით უმასპინძლდებოდნენ. პირველნი ლოიოლას ყორნებს ეძახდნ
„მომწამვლელებს, უწესობის სულის ჩამდგმელებს, მკვლელთა წ
მქეზებლებს“. „შავმა კაცებმა“ კი უნივერსიტეტის წინააღმდეგ მ
წმინდანო ფარისეველთა და ფანატიკოსთა მთელი არმია დასძრე
როცა ორივე პარტია პარიზის პარლამენტის წინაშე წარდგა, სახ
ლოვანმა თეოლოგმა ახტუან არნომ, რომელსაც უნივერსიტეტ
ღირსების დაცვა ევალებოდა, წარმოთქვა სახელგანთქმული სიტ
ყვა, რომელშიაც ლოიოლას საზიზღარ ნაშიერებს ასეთი აძომწურ
ვი დახასიათება მისცა: „დროა იცოდნენ ხალხებმა, თუ რას წარმო
ადგენენ იეზუიტები, დროა გარისაჯონ და დაისაჯონ სისხლიანი ძ
რები, რომლებიც თავს დაგვტრიალებენ და ცდილობენ შეგვჭამო
ეს ბილწი შეთქმულნი ემზადებიან იმისათვის, რომ საფრანგეთ
გაიმეორონ ის საგმირო საქმეები, რომლებიც ამერიკაში მოახდ
ნეს, ოცი მილიონი მაჰაკაცი, ქალი და ბავშვი რომ შერყვნეს, დაწვ
ან გაგუდეს ჭეშმარიტი რელიგიის სადიდებლად. დაე, ყველამ იცი
დეს, რომ იეზუიტებს ოქროც ისევე უყვართ, როგორც სისხლ
მთელი კუნძულების მოსახლეობა გაწყვიტეს, რათა თავიანთი სიხ
რბე დაეცხროთ, მამაკაცებს ცოცხლად მარხავდნენ მაღაროებშ
ხოლო დედაკაცებს აიძულებდნენ მათივე ბავშვების სისხლით მო
წყული მიწა დაემუშავებინათ. მათ გამოიგონეს იხალი, მასობრივ
წამების საშუალებანი, რითაც ერთდროულად ოთხი ათას კაც
ხდიდნენ სულს: სრულიად აშიშვლებდნენ და ერთიმეორეს ჯაჭვ
ბით აბამდნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში მათ სამჯერ სცე
დნენ ყოველდღიურად, თან მოითხოვდნენ, რომ იმ უბედურებ
გაემხილათ, სად ინახებოდა მათი საგანძური. რაკი ბედშავ ადამი
ნებს არაფერი ჰქონდათ სათქმელი, ცემით უღებდნენ ბოლოს ბ
რბაროს იეზუიტებს რომ თავი დააღწიონ, უბედური ინდიელებ
მთებში გარბიან, სადაც სასოწარკვეთილნი ხეებზე იხრჩობენ თავ
ცოლ-შვილთან ერთად.

იგნატი ლოიოლას მიმდევრები ლტოლვილებზე ისე ნადირო
ენ, როგორც გარეულ ტახებზე ან ირმებზე, ძაღლებს აგლეჯინ
ბენ. ცოცხლად დარჩენილებს აიძულებენ მოაგროვონ მათთვ
ტყეში თაფლი და ცვილი, ამ ძებნაში კი საბრალოებს გველები გ
დავენ და ვეფხვები გლეჯენ.

იეზუიტების სიხარბე და ადამიანთა მოდგმის სიძულვილი ისე დიდია, რომ როდესაც ბოხები ერთი კუნძულიდან მეორეზე გადაჰყავთ, ხომალდების სიდიდეზე არ ფიქრობენ და სულ მცირე ღელვის დროს ადამიანებს ზღვაში ისვრიან ხოლმე ; ;ენძულებს შორის ცურვისათვის არც კოჭპასი სჭირდებათ, არც ზღვის რუკა — საკმარისია თვალი ადევნოს ზღვის ტალღებში მოტივტივე ინდიელთა გვამებს...“

როგორც ვხედავთ, ბნელ შუა საუკუნეებშიც თამამად ებრძოდნენ შავ და უკუღმართ ძალებს. მარტო ანტუან მქადაგებლის ეს სიტყვა იკმარებდა, რომ კაცობრიობის ეს შხამიანი ბაცილები მოესპოთ, მაგრამ ასეთი დღე ჯერ არ დამდგარიყო.

უნივერსიტეტის მამაცი დამცველი მოითხოვდა, გადაჭრით დაეგმოთ და დაესაჯათ, გახედევნათ იეზუიტები საფრანგეთიდან.

პირველად „შავი ლაშქარი“ დაიბნა, მაგრამ მალე გამხნევდა. პაპმა არ შეუნდო ჰენრიხს შეცოდება, თუმცა მეფე ასე დაჟინებით ითხოვდა; ამით საქმე გაიკეთა, იმას მიაღწია, რომ მეფემ დებატები და პროცესი გადადო, რითაც იეზუიტურ ურჩხულს ამოსუნთქვის და წელში გასწორების საშუალება მისცა.

ჟან შატელი კეთილ მამებს ემორჩილება

● იეზუიტებმა წინასწარ განჭვრიტეს, რომ როგორც კი მეფეს შეჩვეხება მოეხსნებოდა, ბრძოლა განახლდებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს მოწინააღმდეგისათვის დაესწროთ და ახალი ფანატიკოსი გამონახეს — ჟან შატელი. მახვილით შეიარაღებულმა ძკვლელმა 1594 წლის 27 დეკემბერს ერთხელ კიდევ სცადა ჰენრიხ IV მოკვლა.

ცხრამეტი წლის ჭაბუკმა, რომელიც იეზუიტების კოლეჟში სწავლობდა, მოგვითხრობს ლაშატრი, ლუვრში შეაღწია იმ დროს, როცა ჰენრიხ IV თავის კარისკაცებს იღებდა. როდესაც მეფე დიდებულთა წყენას მისალმებაზე პასუხს აძლევდა და ლიგის ორ წევრს თავი დაუკრა, მკვლელმა დანა ჩაარტყა, ზედა ბაგეში დაჭრა

და ერთი კბილი ამოუგდო. ჭაბუკი იქვე შეიპყრეს. მეფეს უნდოდა ახალგაზრდა კაცისათვის სიცოცხლე ეჩუქებინა, მაგრამ როცა გაიგო, რომ შატელი — იეზუიტების კოლეჯის მოწაფეა, დაპატიმრება და გამოძიება ბრძანა.

მოსამართლის კითხვაზე, რატომ გინდოდა მეფის მოკვლაო, შატელმა უპასუხა: „მე ბევრ ადგილას გავიგონე, რომ ისეთი მეფის მოკვლა, რომელიც პაპს არ მოსწონს, — სამართლიანი საქმეა“.

დაკითხვაზე გამოირკვა, რომ შატელის შთამაგონებელი — იეზუიტები ყოფილან. ეს მოწამლული მოდგმა, რომელიც თავს ალბათ კაციობრიობის ნაწილად არ თვლიდა, რამდენიმე წლის განმავლობაში თურმე ქადაგებდა, მკვლელობა ქრისტიანული გმირობა არისო.

ახალგაზრდა გიჟი აწამეს. ამბობენ, ყველა ტანჯვა ვაჟკაცურად გადაიტანაო, თანაც თურმე ბოლომდე ამტკიცებდა, ყველაფერი ჩემი სურვილით გავაკეთეო.

თავდასხმის მესამე დღეს სიკვდილი მიესაჯა და განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. ჯალათმა ჯერ მარჯვენა ხელი მოჰკვეთა, შემდეგ ოთხად გაკვეთეს, გვამი დაწვეს და ფერფლი ქარს გაატანეს.

ლოიოლას ყორნებმა საკადრისი გაკვეთილი მიიღეს.

შავი ბანდის შავი დღე

● დანაშაულობრივმა მოქმედებამ გადაწყვიტა იეზუიტების ბანდის ბედი. ლოიოლას ყორნები საფრანგეთის მიწაწყლიდან განდევნეს. იმაზე პარლამენტმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„ჩვენ ვბრძანებთ, რომ იეზუიტების საზოგადოების მღვდლები და მოწაფეები, სიმშვიდის დამრღვევნი, სახელმწიფოს მტრები და ახალგაზდობის შემრყვნელნი, თხუთმეტი დღის განმავლობაში გაგვეცალონ სამეფოდან, მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფის ბრალდებისა და მეფის სასარგებლოდ მათი ქონების კონფისკაციის შიშით“.

სამართლიანმა განაჩენმა ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა მთელს ევროპაში, უმთავრესად კი რომში. „საგანგებო ზომებმა“,

რაღა თქმა უნდა, კრეტინი ალდობრანდინი მთლად გააცოფა. კარდინალები შეყარა და გამოუცხადა, იეზუიტებმა ბევრი სარგებლობა მოუტანეს ეკლესიას და მოწონების ღირსია მათი მოქმედება, მეფის მკვლელებს რომ აიარაღებენო, შემდეგ კი ქება-დიდებით შეამკო „კეთილი მამაცები", რომლებიც სარწმუნოების სადიდებლად ეწამენ.

ლაჩრული მოქცევა

● კლიმენტი VIII დარწმუნდა, რომ ეკლესიიდან განკვეთის მიუხედავად ჰენრიხ IV საფრანგეთის ხალხმა მეფედ აღიარა. ახლა ვერაგ პაპს შეეშინდა, ვაითუ ეკლესიის ზართვის სადავეებიც ხელთ იგდოსო, და ეგზომ საშიში დარტყმის თავიდან აცილების მიზნით ჰენრიხს აცნობა, მზად ვარ ვისმინო თქვენი თხოვნა და თქვენი უდიდებულესობის სურვილები შევასრულოო. იკადრა!

საფრანგეთის მეფემ თავის წარმომადგენლებს დაავალა გაერკვიათ წმინდა ტახტთან შერიგების პირობები. ბაგრამ სწორედ ამ დროს ესპანეთის კუშტი მეფის ფილიპე II ჯარებმა ფრანგებთან ბრძოლაში ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს, დიპლომატიური თამაში სხვა მიმართულებით წავიდა და ცბიერმა კლიმენტი VIII ამით ისარგებლა, შეჩვენების მოსახსნელად მეფეს შემდეგი პირობები მოსთხოვა:

1. ელჩები მეფის სახელით უარყოფენ ერესს და საზეიმო ვითარებაში გაივლიან მთელს იმ ცერემონიალს, რაც დამნაშავის დასამცირებლად ეკლესიამ ასეთი შემთხვევებისათვის დაადგინა.

2. საფრანგეთის მეფე ბეარნში კათოლიკობას აღადგენს, თავის მფარველობაში აიყვანს ყველა მართლმორწმუნე მღვდელს და საკუთარი ხაზინიდან მისცემს მათ გასამრჯელოს, სანამ კარგ სამრევლოს არ ჩააბარებს.

3. თანამდებობას და საეკლესიო ხარისხს მიიღებენ მხოლოდ ის ღვთისმსახურნი, რომლებიც რომის სასახლის ერთგულნი იქნებიან.

4. მისი უდიდებულესობა გამოაქვეყნებს ტრიდენტის კრების

გადაწყვეტილებებს, რომელთაც მისი წინამორბედნი აფასებენ რ
გორც ერისა და თავისუფლების ჩელყოფას.

5. ცხრა თვის განმავლობაში მეფე დაიცავს სასტიკ მარხვა
ყოველ დილა-საღამოს წაიკითხავს „მამაო ჩვენოს“, ყოველდღე მო
სმენს მესას, აღსარებას იტყვის წელიწადში ოთხჯერ, არანაკლ
და მიიღებს წმინდა ზიარებას. ამას გარდა, უამრავ მონასტერ
ააშენებს, უშურველად შეინახავს და იეზუიტებს ისევ მოიხმ
საფრანგეთში.

უყურებთ გაბღენძილი პაპის ღორულ მადას? მეფეს ისე ე
ცევა, როგორ მონას, და მონას რაღა ხეირს დააყრიდა დუხჭირ
კლიმენტი VIII?

ექსჰუგენოტი ჰენრიხ IV ამ სამარცხვინო პირობებზე დათანხმდ

ერთმა მწერალმა ცერემონიის საინტერესო წვრილმანები და
ვიტოვა: „წმინდა პეტრეს ტაძრის კარიბჭის შუაგულში მაღალი ხ
რაჩო აღმართეს. 1595 წლის 17 სექტემბერს პაპი ყველა თავისი კ
რდინალის, არქიეპისკოპოსის, სამღვდელოების მთელი ზედა ფენ
თანხლებით ვატიკანიდან გამოვიდა და ამაყად ავიდა ფუფუნები
მორთულ ტახტზე, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი მდიდრულ
ფარდაგებით რომ იყო დაფარული.

ბურბონის ელჩები ტახტს ქუდმოხდილნი მიუახლოვდნენ
მორჩილად დაუკოცნეს პაპს ქოშები. შემდეგ ყველას გასაგონა
უარყვეს კალვინიზმი, ისე რომ თავიც არ აუწევიათ. კლიმენტ
წაუკითხა პირობები, რომელთა მიღების შემდეგ უნდა მოეხსნა მ
ფისათვის ანათემა. მას შემდეგ, რაც ელჩებმა სახარებაზე დაიფ
ცეს, რომ მეფე რომის ტახტის ნებას შეასრულებს, პაპჰა ძირს დ
მხობის ნიშანი მისცა, კვერთხით შეიარაღდა და თითო სამჯერ და
კრა ყველას, შემდეგ მიაფურთხა, კისერზე შეადგა ფეხებით, და ს
ეკლესიო ქორომ შეასრულა გულისწამღები „მიზერერე“ (შეგვ
წყალენ!).

დამამცირებელი ცერემონიის დამთავრების შემდეგ ჰენრიხ
ელჩები როგორც იქნა წამოდგნენ, და წმინდ, მამამ ხმამაღლა წა
მოთქვა შეწყნარების ფორმულა. „ყოვლის შემძლე უფლის და ნ
ტარ მოციქულთა, წმინდა პეტრეს და წმინდა პავლეს, და პირადა
ჩემი, ყველა მიწიერ ძალაუფლებაზე მაღლა დაყენებულის სახელ
ვაძლევ ცოდვის განტევებას ჰენრიხ ბურბონს, ფრანგთა მეფეს

ტაძრის კარები მაშინვე გაიღო და კლიმენტი VIII ისევ ელჩებს ეიუბრუნდა: „ახლა, როცა თქვენს მეფეს ისევ გავუხსენი ეკლესიის კარები, ნუ დაავიწყდება, რომ ისევ შემიძლია დავხურო“. ქვემეხმა იქუხა, ბუკ-ნაღარის ხმა არტილერიის გუგუნს შეუერთდა და ქვეყნიერებას ეუწყა, რომ მეფე ჰენრიხი რომის პაპის ფერხთით მტვერში იწვა, სანდლებს ულოკავდა და პაპის ბილწი ხაფურთხით იზინთებოდა.

ჩინებულადაა ნათქვამი! ასეთი დამცირება იშვიათად ვინმეს ახსოვს მას შემდეგ, რაც კანოსაში გრიგოლ მეშვიდემ გერმანიის იმპერატორი დააჩოქა! საგულისხმო დამთხვევაა: იმპერატორსაც ჰენოიხ IV ერქვა!

კლიმენტი ამარცხებს ჰერცოგს

● ამის შემდეგ მისმა უწმინდესობამ მზერა იტალიას მიაპყრო. ანათემა დაანთხია თავზე ჩეზარე და ესტეს, ფერარის ჰერცოგს, ხალხისა და დიდკაცების საყვარელ გმირს, რომელსაც ჭირივით სძულდა იგნატი ლოიოლა და მისი დაგეშილი ქოფაკები.

ქრისტეს მოადგილის მებრძოლი ჯარები ჰერცოგის სამფლობელოებში შეიჭრნენ და ფერარის მბრძანებელი იძულებული გახდა კაპიტულაცია მოეხდინა.

„მაშინ, — გვაუწყებს მორის ლაშატრი, — კლიმენტი დაეპატრონა ფერარს, ააგო იქ მიუვალი ციხე და შიგ შეინახა ორი მილიონი ოქრო, რაც საჰერცოგოს ძარცვით მოიხვეჭა. ძოქალაქეები აიძულა თავიანთი სახსრებით აეგოთ მისთვის ბრინჯაოს მონუმენტი, შემდეგ კი გამოსცა დეკრეტი, რაც მის შემოსავალს ზრდიდა. თავისი წინამორბედის მსგავსად შეუდგა წმინდა წერილის სწორებას, გამოსცა ბიბლიის თარგმანი, რაც ორი ათას შეცდომას შეიცავდა და ასეთი კლიმენტურად შებილწული წიგნი გამოაცხადა ერთადერთ კანონიკურ წიგნად. იქვე წინასწარ უცხადებდა ანათემას ყველას, ვინც ამ გამოცემაში ცვლილებას შეიტანდა“.

შემდეგ მძვინვარე წმინდა მამამ ციებიანივით იფეთქა და ახალი ბულა დაახეთქა, რითაც „აუკრძალა იტალიელებს, მათი წოდე-

ბისა და მოწოდების მიუხედავად, ისეთ ქვეყნებში ცხოვრება, სადაც არ იქნებოდხენ კათოლიკე მღვდლები, აკრძალული იქნებოდა კათოლიკური ღვთისმსახურება". ამაზე უაღრესი იდიოტობა ის იყო, რომ საყვარელმა პაპმა ყველას აუკრძალა ერეტიკოს ქალებზე დაქორწინება, კათოლიკე ექიმებს კიდევ — რეფორმაციის მომხრეთა მკურნალობა, რადგან თურმე „ჭეშმარიტ ქრისტიანს უჯობს არყოფნა, ვიდრე მიწიერ ცხოვრებაში ერეტიკოსთა დახმარება, სნეული პროტესტანტისათვის კი, როგორც ქეციანი ძაღლისთვის, შემწეობის აღმოჩენა დანაშაულია".

რა პაპურად ნათლად იჩენს აქ თავს ქრისტიანული სათნოება, ურჯულოსაც კი ძმურად გაუწოდეთ ხელი განსაცდელშიო, რომ ქადაგებს!

მაგრამ პაპის ყველა ცდის მიუხედავად ეკლესიის საქმეები უკუღმა მიდიოდა, მეტადრე საფრანგეთში. ჰენრიხ IV ურჯუკს ქედს არ უხრიდა. პაპის ლეგატის ენერგიული პროტესტის მიუხედავად, ახლად მოქცეულმა ჰენრიხმა პროტესტანტების სასარგებლოდ განთქმული ნანტის ედიქტი გამოსცა.

კათოლიკე ტირანის დამარცხება და აღსასრული

მეფემ ამ ედიქტით ადამიანთა გონებას თავისუფლება დაუბრუნა, შემდეგ კი თავისი ძალები წარმართა ესპანეთის არმიისა და სავოიის ჰერცოგის ბანდის წინააღმდეგ, რომელიც ფილიპე მეორესთან იყო დაკავშირებული. საფრანგეთის მტრები დამარცხებული აღმოჩნდნენ. ესპანეთის მეფე იძულებული გახდა ჰენრიხ მეოთხისათვის ზავი ეთხოვა. პაპი დათანხმდა შუამავლის როლზე იმ პირობით, რომ საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ფილიპე ყველა ღონისძიებას იხმარდა თურქების წინააღმდეგ ლიგის შესაქმნელად. მართლაც, თურქები უკვე შეჭრილი იყვნენ უნგრეთში და იტალიას ემუქრებოდნენ. პაპი და თურქი სულთანი—ორი ბოროტი ვეშაპი, მშვენიერ სამხრეთს აოხრებით ემუქრებოდნენ მუდამ და ახლა მათი შეტაკებაც კარგს არაფერს მოუტანდა ხალხებს.

1598 წლის 2 მაისს მეომარ მხარეთა შორის შეიკრა ზავი, ფრიად ხელსაყრელი საფრანგეთისათვის. სისხლიანმა დესპოტმა ფილიპე II ცოდვებით დამძიმებული თავი დახარა და სამუდამოდ

დაემშვიდობა ძველ ოცნებას, რომ საფრანგეთის გვირგვინს დაუფლებოდა. პაპივით შორს იწვდიდა ხელს კათოლიკე ჯალათი, პარქუში ფანატიკოსი, რომელმაც ტახტზე 43 წელი დაჰყო და მხოლოდ ადამიანთა წამება-განადგურებით ისახელა თავი, მეფეებთან ბრძოლაში კი ზღვაზეც დამარცხდა და ხმელეთზეც. პატივმოყვარე მეფეს არც ნიდერლანდებში გაუღიმა ბედმა. მოსახლეობამ კუდით ქვა ასროლინა მოძალადე გადამთიელებს, მოთმინებიდან გამოსულმა თავისი მიწაწყლიდან გარეკა ესპანეთის არმია და დამოუკიდებელი შტატები შექმნა — შეერთებული პროვინციები. ეგმონტის საქმემ გაიმარჯვა.

ამაოდ ცდილობდა გვირგვინოსანი ჯალათი ნიდერლანდების დაბრუნებას, და ბოლოს საკუთარ შხამში მოხარშული ჯოჯობეთური ობობა, რომელსაც ფილიპე II ერქვა, 75 წლის ასაკში ნიკრისის ქარების შემოტევამ იმსხვერპლა.

ვიდრე სიკვდილის საათი დაჰკრავდა, ესპანეთის მეფე სისხლიან გეგმებს აწყობდა, რომელთაც, საბედნიეროდ, განხორციელება არ ეწერათ. ამბობენ, ბეხრეკი დესპოტის მიხრწნილ გვამთან ექიმები ჭოჭმანობდნენ, გამოვუშვათ სისხლი თუ არაო; გვამმა ენა აიდგა და უთხრა: „ხომ არ გგონიათ, რომ მეფეს, რომელმაც სისხლის მდინარეები დააქცია ერთი წვეთი სისხლის დაკარგვისა ეშინია? დამიბრუნეთ ჯანმრთელობა და მე სასრულეში მოვიყვან ჩემს საქმეს — ყველა ერეტიკოსს მოვსპობ უკანასკნელ კაცამდე“. ასეთ ურჯულკს 75 წელი უნდა ეცოცხლა? ქრისტე არ აღდგა

იეზუიტების დაბრუნება

● 1599 წელი არაჩვეულებრივ ბარაქიანი იყო უზენაესი მბრძანებლისათვის, რადგან ახალი საუკუნის კვირაძალზე მორიგი იუბილე გამოცხადდა. სამ მილიონზე მეტმა ბრიყვმა მორწმუნემ და ცნობისმოყვარემ ინახულა და ლამის წალეკა მარადიული ქალაქი. ვატიკანის შემოსავალი გრანდიოზული იყო. ტონობით ოქრო-ვერცხლი ნიაღვრად ჩადიოდა პაპის მრუმე სარდაფებში. ვატიკანში ადგილი აღარ ჰყოფნიდათ მოსაკითხის შესანახად და პაპმა იეზუიტების გენერალს სთხოვა, შენდამი რწმუნებული კოლეჯის სარდა-

ფები დამითმეო. „შავი საზოგადოების“ მეთაურმა არა მარტო ათხოვა სარდაფები, არამედ რამდენიმე რაზმიც შეადგინა იეზუიტებისაგან, რომ ინდულგენციები გაესაღებინათ და ნებართვის სიგელებიც გაეტანათ დიდ კათოლიკურ ბაზრობაზე.

გენერალი ვარაუდობდა, რომ მისი გულმოდგინება ჯეროვნად იქნება დაფასებული და მღვდელმთავარი მხარს დაუჭერს იეზუიტებს მათს კამათში დომინიკანელებთან დოგმატების თაობაზე.

კლიმენტი VIII დიახაც ჩაერია ამ კამათში, მაგრამ თავი აარიდა აშკარად რომელიმე მხარის სასარგებლოდ რაიმეს თქმას — ჩანს, ლაჩარსა და ცბიერ პაპს ურბან მეშვიდის ბედი მოაგონდა, განრისხებულმა წმინდა მამებმა მის წინააღმდეგ ორდენის ყველა კოლეჯი აამხედრეს, დაიწყეს ეჭვის გამოთქმა მისი არჩევის კანონიერებაზე და იმისი მტკიცებაც კი გაბედეს, რომ „რწმენის საკითხებში სულაც არ არის აუცილებელი პაპის აზრისათვის ანგარიშის გაწევა“.

გაცოფებულმა კლიმენტიმ ლამის არის დაშალა იეზუიტების ორდენი. ესპანეთის მეფე რომ არ ჩარეულიყო, ვინ იცის, ეს საქმე რით დამთავრდებოდა. „თუმცა, — დასძენს მეძატიანე, — იმ სამსახურმა, რაც იეზუიტებმა ინგლისში გაუწიეს, აგრეთვე მათმა გულმოდგინებამ საფრანგეთში პაპი ამ ორდენის მომხრედ გახადა“.

ინგლისიდან განდევნილი იეზუიტები არ მოერიდნენ ტურებივით უკან დაბრუნებას ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ და ძველებურად განაგრძეს ინტრიგების ქსელის გაბმა. თავის მხრივ ფრანგმა იეზუიტებმაც ვამოაცოცხლეს მუშაობა და თავიანთ მხარეს გადაიბირეს მრავალი გავლენიანი სენიორი, მათ შორის დედოფალი მარიამ მედიჩი.

პარიზში თავხედურად გაავრცელეს პასკვილი მეფესა და პარლამენტზე. არც ამას დასჯერდნენ. ენერგიულად შეუდგნენ შეთქმულების მზადებას ჰენრიხ მეოთხის წინააღმდეგ.

მათმა აშკარა გამოსვლებმა შეაშინა მეფე და გადაწყვიტა იეზუიტების ხელახლა მოწვევა. მაგრამ ვიდრე თავისთვის ეგზომ დამამცირებელ ნაბიჯს გადადგამდა, თავისი მახლობლები მოიწვია და მოეთათბირა. კარგად იცოდა, ჭირივით რომ სძულდათ და ამიტომ ასეთი სიტყვით მიმართა: „ბატონებო, ჩვენ ვდგავართ დილემის წინაშე — ან დავაბრუნოთ ჩვენს სამეფოში იეზუიტები, მოვხსნათ მათ წყევლა და შერცხვენა, რასაც სავსებით იმსახურებენ, ან გამო-

ვაცხადოთ მათი დევნა მთელი სისასტიკით, ავუკრძალოთ ჩვენს სამფლობელოებთან მოახლოება. ასეთი გადაწყვეტილება ძირშივე საფრთხესთანაა დაკავშირებული. ჩვენ ერთთავად ფხიზლად ყოფნა მოგვიხდება, საკუთარ აპარტამენტებშიც კი აბჯრის ტარება, ჭამაზე უარის თქმა, ვიდრე კერძს ექიმები შეამოწმებენ, ჩვენი უახლოესი და უერთგულესი ქვეშევრდომების მოახლოებაზე შიშით კანკალი, რადგან იმ ხალხს ყველგან აგენტები ჰყავს, და იოლად შეუძლიათ ადამიანთა თვალსაზრისებზე ზეგავლენის მოხდენა, გონების ისე შეტრიალება, როგორც ისურვებენ. იეზუიტების შიში ჩვენს ცხოვრებას ჯოჯოხეთად აქცევს". როგორც ამ სიტყვიდანაც იგრძნობა, ევროპაში არ იყო ძალა, რომელიც ამ შხამიან ბორიელებს გასრესდა, იესოს სახელით ორსავე ნახევარსფეროში ჭირად მოდებულს.

სენიორებიც მიხვდნენ, რომ მეფესთან დავა უქმია, მინისტრმა სულიმაც უთხრა, სავსებით ვენდობით თქვენს კეთილგონიერებასო.

ჰენრიხმა იქვე მოაწერა ხელი ბრძანებულებას, რაც იესოს ორდენს საფრანგეთში დაბრუნების ნებას აძლევდა. მაგრამ პარლამენტის წევრები ბევრად უფრო შეუსმენელნი აღმოჩნდნენ, ვიდრე დამყოლი კარისკაცები, — მეფის განკარგულება არ დაამტკიცეს: ჯერ იეზუიტებმა ორდენის სახელწოდება და მისი წესდება გამოცვალონო, მოითხოვეს.

შავი კაცები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყოველგვარი პირობის გარეშეც დაბრუნდებოდნენ საფრანგეთში, ამიტომ პარლამენტის მოთხოვნის შესრულებაზე გადაჭრილი უარი განაცხადეს. ბოლოს და ბოლოს, ამ პირშავმა არამზადებმა იზეიმეს, რადგან მეფე ჰენრიხ IV პარლამენტს უბრძანა, „უბრალოდ და უზოზინოდ" დაემტკიცებინა ბრძანებულება იეზუიტების დაბრუნების შესახებ.

ყოველმა მოწაფემ იცის, როგორ დაასაჩუქრეს ლოიოლას მიმდევრებმა მერყევი მეფე: მათი დაბრუნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, 1610 წლის 14 მაისს ჰენრიხ IV ფანატიკოს ფრანსუა რავალიაკის ხანჯლით განგმირული დაეცა. მესამე ცდამ შენიღბულ მკვლელებს წარმატება მოუტანა*.

---

* რავალიაკი მასწავლებელი იყო. 32 წლის ფანატიკოსმა პაპისტმა მტკიცედ გადაწყვიტა მოეკლა ჰუგენოტების ბელადი ჰენრიხ IV, ვიწრო ქუჩაში დაუდარაჯა, სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ჯერ გვერდში, მერე შიგ გულში. ბოროტმოქმედი იქვე შეიპყრეს და აწამეს. მისი სიკვდილით დასჯა მთელი საათი გაგრძელდა.

იეზუიტები პაპს დაჰპირდნენ, საფრანგეთს დაგიმორჩილებთო. მაგრამ სამეფოს ბატონ-პატრონად რომ იგრძნეს თავი, როგორც წესია, დაპირება დაივიწყეს და დომინიკანელებთან პაექრობა განაახლეს. კლიმენტის კი შეატყობინეს, განზრახული გვაქვს კვლავაც დაგემორჩილოთ, თუ დაგვიცავ და ლოიოლას კანონიზაციას მოახდენო. პირწავარდნილი მკვლელები და ქვეყნიერების მომწამვლელები თავიანთი გულქვა კერპის წმინდანად გამოცხადებას ითხოვდნენ.

მისი უწმინდესობა ამ ერთ საქმეში სწორად მოიქცა. გაჯიუტდა და არა თუ ორდენის მხარეზე არ დადგა, არამედ აშკარად დომინიკანელებს დაუჭირა მხარი და წმინდანად შერაცხა განსვენებული შარლ ბარომე, სულძაღლი ჯალათი, დომინიკანელთა ორდენის ერთ-ერთი მეთაური და ინკვიზიციის საზიზღარი ჯალათი, ე. ი. ერთ ძაღლს ქვა ესროლა, მაგრამ მეორე ცოფიანი ძაღლი წმინდა ტაძარში შეიყვანა*.

რაც შეგვეხება ჩვენ, ლოიოლა და ბარომე ერთიმეორის ღირსნი და მსგავსნი არიან, და არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვს, რომ ორივე სისხლიანი არამზადა წმინდანად შერაცხონ.

იეზუიტებმა ასეთი შეურაცხყოფის გადაყლაპვა არ ისურვესო, მოგვითხრობს ისტორიკოსი და პაპის მრჩეველს კარდინალ ალდობრადინის შეუტიეს. ერთმა მათგანმა მისი მოწამვლა გადაწყვიტა და არაერთხელ სცადა მის სამზარეულოში შეღწევა. იეზუიტის დაჟინებამ ეჭვი გამოიწვია. ორი სბირო დაესხა თავს, მაგრამ იეზუიტი ღონიერი მოყმე გამოდგა, გაექცა და კარდინალ ფარნეზეს სასახ-

---

* დომინიკელთა ორდენის სახელწოდება მომდინარეობს ამ მოგლახაკე ბერთა, ინკვიზიციის მსახურთა ორდენის დამაარსებელის დომინიკეს სახელწოდებიდან (დომინიკანი, დომინიკანერ), მაგრამ გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავს მის უშუალო დანიშნულებასაც (ლათინურად დომინი კანუს ნიშნავს „ღვთის ქოფაკს"). დომინიკე წმინდანად შერაცხეს 1232 წელს. ორდენი დაამტკიცა ინოკენტი მესამემ 1216 წელს.

ლეში დაიმალა, რომელიც ლოიოლას მოწაფეებს მეთარველობდა.

რომის პრეფექტი კარდინალ ფარნეზეს სასახლეში მივიდა და იეზუიტი ძაღლის გაცემა მოსთხოვა. კარდინალმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პრეფექტს და აიძულა უკან გაბრუნებულიყო. წინააღმდეგობა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.

როცა მისმა უწმინდესობამ თავისი ჯარების დაძვრა გადაწყვიტა, ფარნეზე და მისი მომხრეები სასახლის საიდუმლო ხვრელიდან გავიდნენ და რომის მახლობლად აღმართულ დიდებულ ციხეს შეაფარეს თავი.

განრისხებული წმინდა მამა ორდენს დაშლით დაემუქრა და კარდინალ ფარნეზეს შეუთვალა, „გართმევ უფლებას, რომ წინაპართა სახელი ატარო, რადგან მათი ღირსი არა ხარო“.

კარდინალი ასეთი გადაწყვეტილების დამორჩილებას სულაც არ აპირებდა და გულდამშვიდებით იჯდა თავის სიმაგრეში. მაშინ მისი ძმა კლიმენტის ფეხქვეშ ჩაუვარდა და ფარნეზეს შეწყალება სთხოვა. კლიმენტიმ ისეთი სახე მიიღო, ვითომ აპატია მეამბოხეს და მარადიულ ქალაქში დაბრუნების ნება მისცა. ფარნეზემ გაუფრთხილებლობა გამოიჩინა, ისარგებლა ამ უფლებით. ვერ მოასწრო რომში ფეხის შემოდგმა, რომ ხელი სტაცეს, შეიპყრეს და წმინდა ანგელოზის ციხის გზას გაუყენეს.

ჩანს, ეს ფარნეზე დიდი გულუბრყვილო ვინმე ყოფილა, რომ ენდო პაპის პატიოსან, უკეთ — უპატიოსნო სიტყვას! ამ გულუბრყვილობამ იმსხვერპლა. მაგრამ ლოიოლას შვილებმა მალე იძიეს მისთვის შური და პაპი მოწამლეს. კუშტი ჯალათი საშინელი ტანჯვით მოკვდა. ეს მოხდა 1605 წელს.

ასე დაასრულა ნაძრახი სიცოცხლე მუხანათმა და დამნაშავე კლიმენტი მერვემ, XVI საუკუნის უკანასკნელმა პაპმა*.

---

* ტაქსილი რატომღაც დუმილით უვლის გვერდს კლიმენტი მერვის ყველაზე უფრო დიდ დანაშაულს. ამ პაპის დროს მოხდა შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნის, ფილოსოფოსისა და პოეტის ჯორდანო ბრუნოს შეპყრობა და დაწვა (1600 წელს), ამ საზიზღარმა ჯალათმა მისცა დასტური ინკვიზიციას, რომ კოცონზე აეყვანათ შუა საუკუნეების გაღვიძებული სინდისი (ნ. „დაფერფლილი დიდება“).

ლევ XI

● ასეთია პაპობის ისტორია: დასრულდა თუ არა კლიმენტი მერვის „დამიწება“, კონკლავის სხდომა გაიმართა, რომ ახალი მღვდელმთავარი აერჩიათ.

მოსყიდული კარდინალების მხარდაჭერის წყალობით პაპი გახდა ალესანდრო მედიჩი-ლევ XI (თუ გავიხსენებთ, ლევ მეათეც მედიჩი იყო-ჯიოვანი), რომელსაც ტახტზე ჯდომა სულ 26 დღით ეწერა.

ამ არჩევამ ძლიერ გაახარა საფრანგეთი, სადაც სულ რაღაც ჩვიდმეტი წლის წინ მიწას მიაბარეს მზაკვარი და მომწამვლელი ეკატერინე მედიჩი, მაგრამ ცოცხლობდნენ მისი ნაშიერები. სამაგიეროდ უაღრესად მოიწყინა ესპანეთის მეფემ ფილიპე III.

ადამიანი იმედით ცოცხლობს. ცოტაოდენი ხნით ჩალხებს იმედი მიეცათ, რომ წესიერი პაპი იბატონებდაო, წერს მემატიანე. ჩანს, ჰქონდათ ერთგვარი საფუძველი. ლევმა იმით დაიწყო, რომ ვატიკანიდან კარისკაცთა დიდი ნაწილი განდევნა. გამოაცხადა, განზრახული მაქვს მთელი რიგი რეფორმების გატარებაო, ეკლესიის მართვის წესი შეიცვლება და ორსავე ორდენს ვაუქმებო: გულისხმობდა დომინიკანელთა და იეზუიტთა საძულველ ორდენებს (ხომ გრძნობ, მკითხველო, რა მძიმე ამოცანას შეეჭიდა ეს საოცარი მედიჩი?). ურბან მეშვიდის კვალზე წასულმა პაპმა გადასახადები შეამსუბუქა და ამით დაჩრდილა წინამორბედნი, რომელთაც მთელს პროვინციებს ლამის სული ამოხადეს. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ დადგა საყოველთაო კეთილდღეობისა და შემწყნარებლობის პერიოდი. მაგრამ გულუბრყვილო პაპი და ხალხი ცდებოდნენ: ვინ აცოცხლებდა ასეთ მბრძანებელს ძალადობისა და საყოველთაოდ სიწამხდრის დესპოტურ საუკუნეში? იესოს სახელს ამოფარებული ძაღლები, სიქსტ მეხუთის და კლიმენტი მერვის მკვლელები, რომელთაც ეს კუშტი ჯალათებიც კი ორ დაინდეს, ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მღვდელმთავრის ყოველ ნაბიჯს.

ცხადია, ასეთი ჰუმანური იდეებით ლევ XI დიდხანს ვერ იბოგინებდა პაპის ტახტზე. იეზუიტები არ გაახარებდნენ მღვდელმთავარს,

რომელიც მათ აკიწროებდა. ყველაზე უფრო სწრაფი მოქმედების შხამით გაუმასპინძლდნენ და 1605 წლის 27 აპრილს ლევ XI გამოუთქმელი ტანჯვით გარდაიცვალა. ისე რომ საქრისტიანოს ქრისტიანულად გაბაკებდა სულ 20 დღე.

აი, როგორ ასაჩუქრებდნენ წმინდა მამები სათნოებას! კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ბოროტების ინსტიტუტში კეთილი მბრძანებელი ვერ იბოგინებს და თუ ცოცხალი დარჩა, ისიც წყალობად უნდა ჩაითვალოს.

პავლე V

ლევ XI დაკრძალვის შემდეგ კარდინალებმა არჩევნების მორიგი კომედია გაითამაშეს. ამჯერად კოხლავი ოთხ ბანაკად გაიყო.

კარდინალმა ბარონიუსმა, რომელმაც წინა არჩევნებში მარცხი განიცადა, თავისი კანდიდატურა ხელახლა წამოაყენა. ბევრი ოფლი დაღვარა და ბევრი მომბრეც იყიდა, ასე რომ იმედი ჰქონდა მოკლე ხანში კონკურენტებთან ბრძოლაში გამარჯვებას იზეიმებდა. მაგრამ გადამწყვეტ წუთს მის მომხრეთა სარგებლობი ნაწილი — თხუთმეტიოდე კაცი, მოწინააღმდეგე კანდიდატის ბანაკში გადავიდა. ეს იყო უმდიდრესი კარდინალი ტოსკო, რომელმაც ორმოცდაცხრამეტიდან ორმოცდაბუთი ხმა მიიღო.

„უკვე თაყვანისცემის ცერემონიაზე უნდა გასულიყვნენ, — მოგვითხრობს ისტორიკოსი, — როცა კარდინალმა ბარონიუსმა, განრისხებულმა იმით, რომ ტიარა ხელიდან დაუცურდა, ხოინწიანი ხმით გააბა: „თქვენ გინდათ მეთაურად აირჩიოთ არამზადა, რომელიც ორ სიტყვას არ იტყვის, თუ საზიზღარი გინება არ მიაყოლა? თქვენ გინდათ მღვდელმთავრად აირჩიოთ უზნეო კაცი და რომის ტახტს დაატეხოთ ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის რისხვა, კიდევ უფრო გააძლიეროთ სიძულვილი, რასაც ისედაც ვუნერგავთ ხალხებს?“ მისმა თამამმა გამოსვლამ კონკლავის წევრებში დიდი დაბნეულობა გამოწვია და ტოსკოს არჩევას ხელი შეუშალა. მაგრამ სითამამემ ბარონიუსს ხმები ვერ დაუბრუნა. დილით პაპად გამოცხადდა კარდინალი კამილო ბორგეზე, რომელსაც ეწოდა პავლე VII-ე.

ახალი მღვდელმთავარი რომაელი იყო. ჯერ ვექილობას ეწეოდა, შემდეგ სასულიერო ასპარეზი აირჩია, სადაც თანმიმდევრობით ეჭირა ვიცე-ლეგატის, სამსჯავროს წევრის, პაპის ვიკარიუსის და დიდი ინკვიზიტორის პოსტები. ბოლოს, კლიმენტი VIII დროს, კარდინალის ტიტული იყიდა... ფული ჰქონდა და იყიდა.

მისი უწმინდესობა
ნათესავებს აწყობს

❷ ვიდრე ძალაუფლების მწვერვალზე აღმოჩნდებოდა, პავლე V ყოველთვის შორს იდგა პოლიტიკიდან და ყველას ეგონა, რომ თავისი დღე და მოსწრება მშვიდობიანი ცხოვრების სიამით დატკბებოდა და დაკმაყოფილდებოდა. ამიტომ, როგორც კი პაპი გახდა, სხვადასხვა ჯგუფების წინამძღოლებმა თავთავიანთი სამსახური შეთავაზეს, დარწმუნებულთ, რომ მის მაგიერ მართვის სადავეებს თვითონ აიღებდნენ. მაგრამ ხელმოცარულ პოლიტიკოსებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მისმა უწმინდესობამ გასაგებად განუმარტა, გაიზრახული არა მაქვს მმართველობის სადავეები საკუთარი ხელიდან გავუშვაო. მალე საქმითაც დაამტკიცა, რომ თავისი გადაწყვეტილება არ შეუცვლია. ტახტზე ასვლა ასე ცვლიდა ბერიკაცებს. ერთ-ერთი ძმისწული კარდინალის ხარისხით დაასაჩუქრა, ძმებს უმაღლესი თანამდებობანი ჩააბარა, იმავე დროს ვატიკანისა და წმინდა ანგელოზის ციხის მართვა მიანდო, რითაც ბრსებითად თავზე დაასვა სამოცამდე კარდინალს. დანარჩენ ნათესავებსაც წყალობით ავსებდა. ყველანი თავისი მაღალი გვამის მახლობლად დაამკვიდრა, და იყვნენ ასე განცხრომაში.

რას იზამთ, ეტყობა, ეს პაპი თავისი ოჯახის დიდი მოყვარული იყო. ერთი რამ მაინც აშკარაა: ვიდრე სახელმწიფო საქმეებს მიხედავდა, ჯერ თავისიანები მოაწყო და მერე როგორ! ღმერთივით.

ახლა ვნახოთ, რა გააკეთა სახელმწიფოსათვის. რომის ეკლესიის ძველი ტრადიციები აღადგინა და ამით ააღორძინა ძველი იდეა იტალიის სრული მორჩილებისა. პირველად წმინდა მამა ნეაპოლიტანის სამეფოს საქმეებში ჩაერია, შემდეგ ლუკის, გენუისა და ვენეციის რესპუბლიკებს, აგრეთვე იტალიის ყველა სამთავროს პაპუ-

რი თავხედობით აუკრძალა მისი თანხმობის გარეშე რაიმე ხელშეკრულების დადება ერთმანეთს შორის ან უცხო სახელმწიფოებთან. ამ ძალადობაში ერთხელ კიდევ გამოჩნდა პაპების ცხოველური ენინი, რომ უთუოდ გააფართოვონ თავიანთი ზეგავლენის სფეროები, ტერიტორია, ბატონობის არე. სხვა აბა რა საქმე ჰქონდათ? პაპმა წინასწარვე მიიღო ზომები, რომ ჰერცოგებს პროტესტი არ განეცხადებინათ: შხამივით დაანთხია მრისხანე ბულა. რაც განკვეთით ემუქრებოდა ყველას, ვინც უცხოელებთან მისი ნებართვის გარეშე რაიმე კავშირს დაამყარებდა.

უბედურ მმართველებს დუმილის გარდა რა დარჩენოდათ! რაღაც სულელური შეჩვენების ფარატინა ქალალდის შიშით ძალაუფლებას თმობდნენ!

პავლე V და ვენეციის რესპუბლიკა

● იტალიელ მთავრებს უთუოდ შეეშინდათ მრისხანე პაპის რისხვისა და გაუგონარი მოთხოვნები უდრტვინველად მიიღეს. გენუამ თავისი ბრძანებაც კი გააუქმა, შავი კაცების წინააღმდეგ მიმართული, იეზუიტებს ნება მისცა დაეკავებინათ სამოქალაქო თუ სამხედრო თანამდებობანი.

ვენეციის საქმე სხვანაირად იყო. მხოლოდ ვენეციელებმა არ ისურვეს დამორჩილებოდნენ პავლე მეხუთის გიჟურ მოთხოვნებს, და დაიწყო ბრძოლა. ამ რესპუბლიკასა და პაპს შორის პაექრობა მუდამ იყო. ერთ დროს პაპმა მოითხოვა პაოლო სარპის გადაცემა — ვენეციამ უარი თქვა, და პაპთა და იეზუიტთა მრისხანე მტერი გადარჩა. ადრე, ჯორდანო ბრუნოს გადაცემა რომ მოსთხოვეს, რესპუბლიკამ დიპლომატიური მოსაზრებით დათმო. ახლა კიდევ განდგა.

„ათთა საბჭომ, — მოგვითხრობს ისტორიკოსი, — სიკვდილი მიუსაჯა ავგუსტინელ ბერს, რომელმაც ძალადობა იხმარა, ათი წლის გოგონა გააუპატიურა და მერე გაგუდა. იმავე დროს მიმდინარეობდა პროცესი ერთი კანონიკისა, რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ შენიღბული არამზადების თანხლებით შეიჭრა ნათესავ

ქალიშვილთან და ნამუსი ახადა საკუთარ სახლში. კიდევ ძეტი. ვენეციის დოჟმა გაბედა და საკუთარი ძალაუფლებით პატიმარჰყო აბატი, რომელმაც თავისი მამა, ძმა და რამდენიმე მოსამსახურე მოწამლა, თვითონ კი სისხლის აღმრევ კავშირში იყო ღვიძლ დასთან (გარდა ამისა, პატივცემული აბატი შარაგზაზე ძარცვა-რბევას ეწეოდა და საკუთარი ხელით მოკლა მისივე შებილწული რამდენიმე ბიჭი).

მისმა უწმინდესობამ განაცხადა, რომ თავიანთი სასულიერო წოდების ძალით დამნაშავეები კანონის მფარველობაში არიან და მათი სამართალში მიცემით რესპუბლიკამ დაარღვია ხელშეუხებლობა. შეჩვენების მუქარით პაპმა დოჟს უბრძანა დაუყოვნებლივ გადაეცა პაპის ნუნციუსისათვის ღვთისმოშიში ავგუსტინელი, კანონიკი და აბატი. პავლე მეხუთემ ისარგებლა ამ შემთხვევით და გააუქმა კანონი, რაც მღვდლებს უკრძალავდა უძრავი ქონების შეძენას სენატის სანქციის გარეშე, აგრეთვე სახლებისა და მიწის გაყიდვას, თუ ნათესავებისაგანაა მემკვიდრეობით მიღებული.

მაგრამ სენატი სულაც არ შეუშინდა მუქარას და პაპს უპასუხა, რომ წინამორბედმა პაპებმა განსაზღვრეს კანონი სასულიერო პირთა დამოკიდებულების შესახებ სახელმწიფოსთან, და მღვდელმთავარს არა აქვს უფლება შეცვალოს მათი გადაწყვეტილება, ან თავის იურისდიქციას დაუმორჩილოს დამნაშავეები". მაშინ პავლე V განაცხადა: „ყველა უფლება, რაც ვენეციელებს წინამორბედებმა მიანიჭეს, გაუქმებულიაო".

მღვდელმთავარი დარწმუნდა, რომ მისი მუქარა მამაც რესპუბლიკაზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა, ამიტომ სხვა საშუალებებსაც მიმართა, თავისი მტრების მრეწველობისა და ვაჭრობის მოშლა განიზრახა. ბოლოს და ბოლოს შეაჩვენა დოჟიცა და სენატიც, ინტერდიქტი დაადო როგორც ქალაქ ვენეციას, ისევე მის სამფლობელოებს ხმელეთსა და ადრიატიკის კუნძულებზე.

მაგრამ რესპუბლიკამ აინუნშიაც არ ჩააგდო პაპი და ღირსეული პასუხი გასცა რომის სასახლეს, გამოსცა დეკრეტი, რომელშიც ნათქვამი იყო: „სასულიერო პირებს სიკვდილის მუქარით ეკრძალებათ სადმე პაპის ბულის გავრცელება და ეკლესიებში ღვთისმსახურების შეწყვეტა". ვენეციის სამღვდელოება ერთსულოვნად დაემორჩილა ბრძანებას, მხოლოდ ლოიოლას მიმდევრებმა განაცხადეს, რომ

„მათ სინდისი არ აძლევს ნებას არ დაემორჩილონ პაპის ბრძანებას, ამიტომ რესპუბლიკიდან გაშვებას ითხოვენ“

რასაკვირველია, თხოვნა შეუსრულეს. სენატორი კირინო და მწერალი სარპი ერთდროულად ავრცელებდნენ თხზულებებს, რომლებშიაც თავს ესხმოდნენ პაპის საერო ძალაუფლებას და ხალხებს მოუწოდებდნენ, რათა დიდ ტრიბუნალს გაესამართლებინა რომის ტახტი.

მოსალოდნელი შედეგებით დაშინებულმა პაპმა კარდინალებს უბრძანა პასუხი გაეცათ მოწინააღმდეგეებისათვის. მაგრამ გაქნილმა და უვიცმა კარდინალებმა აშკარა პაექრობას თავი აარიდეს და დაკმაყოფილდნენ პრინციპული დებულებით იმის შესახებ, „რომ დესპოტიზმი ღვთისაგან მოდის და კაცობრიობა უდრტვინველად უნდა დაემორჩილოს მას, ვინც უზენაეს ძალაუფლებას განაგებს“. ასე ამართლებდნენ ბნელი ადამიანები ბნელის მეუფეებას ყოველი დროისა და ხალხისათვის. ქუხილით იუწყებოდნენ „სულის უპირატესობას მატერიის წინაშე“ და აქედან ასეთი დასკვნა გამოჰყავდათ:

„სული წარმართავს და ათვინიერებს სხეულს, ამიტომ საერო ძალაუფლება ვერ აძაღლდება სასულიეროზე, ვერც უპრძანებს და ვერც დაახშობს, რაც ამბოხებისა და წარმართული ტირანიის თანაბარი იქნებოდა. მღვდელმა უნდა გაასამართლოს იმპერატორი და არა იმპერატორმა მღვდელი, რამეთუ აბსურდი იქნება მტკიცება, ცხვარმა უნდა გარეკოს მწყემსიო“. აი, პაპისტების მარტივი და მავნე ფილოსოფია! უარს არ იტყოდნენ, რომ მღვდელს კი არა, უბრალო დიაკონს განესაჯა იმპერატორი!

კირინო და პაოლო სარპი თავის მხრივ აცხადებდნენ, რომ „ყოველგვარი ძალაუფლება ღვთისაგანაა“, შემდეგ კი ეყრდნობოდნენ საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების დოქტრინებს და ასკვნიდნენ: „მეფის ძალაუფლებასაც იგივე წყარო აქვს, რაც პაპისას, და პაპს არა აქვს უფლება ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეებში“.

„პაპსაც აქვს ხალხებზე უმაღლესი ძალაუფლება, — დასძენენ პაპის მტრები, — მაგრამ ესაა სასულიერო ძალაუფლება, როგორც ის, რაც ქრისტემ დაადგინა. უფლის ძეს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში არ გაუმართავს საერო სამსჯავრო და

ვერც პეტრე მოციქულს უანდერძებდა, ვერც თავის მემკვიდრეებს იმ უფლებას, რაც თვითონ არასოდეს არ გამოუყენებია".

როგორც ვხედავთ, სრულიად სარწმუნო არგუმენტია, მაგრამ პატივმოყვარე პავლე V სხვა აზრისა იყო და ქრისტეს მცნების სიპირისპიროდ ამტკიცებდა, რომ მისი სამფლობელოები მთელს დედამიწაზე ვრცელდება.

რაკი დარწმუნდა ,რომ მტრებს ვერ გააჩუმებს, ახალი ობობა სამხედრო მოქმედებაზე გადავიდა, დაიმედებული, რომ იარაღი მეტ წარმატებას მოუტანდა, ვიდრე კალამი, და იფოფრებოდა, ვენეციის რესპუბლიკას გავაცამტვერებო.

დახეთ, რა ყოჩაღი მეომარი ყოფილა ეს წმინდა მამა!

„მაგრამ, — განაგრძობს ლაშატრი, — საბრძოლო სულისკვეთება დიდხანს ვერ გაჰყვა. არ ვიცით, თავისი არმიის დამარცხებისა ეშინოდა, რაც მის ძალაუფლებას იტალიაში ძლიერ შეარყევდა, ჯარის შესანახად ფული არ ეყო თუ ეჭვი ჰქონდა, ვაითუ ფილიპე III და ჰენრიხ IV ჩემი საწინააღმდეგო კავშირი შეკრანო, — ბოლოს და ბოლოს, ისმინა ფრანგთა ელჩების რჩევა და მიიღო მათი შუამავლობა ვენეციასთან ურთიერთობის მოწესრიგების თაობაზე".

მისმა უწმინდესობამ იეზუიტების დაბრუნება მოსთხოვა, მაგრამ მამაცმა დოჟმა ლუდოვიკო დონატომ განაცხადა, რომ ამჯობინებს ომი გაგრძელდეს, ვიდრე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოითმინოს იგნატი ლოიოლას თუნდაც ერთი მიმდევარი, არა თუ ამდენი იეზუიტი, რომელთაც სატანის მოციქულებს ეძახდა.

ზავი დაიდო, იეზუიტები კი განდევნილობაში დარჩნენ.

რომმა ვერ აჯობა ვენეციას!

ვენეციამ მორალურად სძლია საფრანგეთს, რომელმაც იეზუიტები დააბრუნა!

იეზუიტები ინგლისში

● სახელოვანმა მამებმა, რომელთაც დაკარგეს თავიანთი ზეგავლენა ვენეციაში, ძველი ძლიერების ნაწილი დაიბრუნეს დიდ ბრიტანეთში. ელისაბედის მკაცრი ბრძანებების მიუხედავად, იეზუი-

ტები მაინც გამოჩნდნენ სამეფოს მიწაწყალზე, რადგან ახალი მეფის — იაკობ I მფარველობის ინედი ჰქონდათ, და რამდენიმე კოლეჯიც გახსნეს. მალე შავი კაცები ისე გათავხედდნენ, რომ მეფე იძულებული გახდა ზოგი მათგანი დაესაჯა. ლოიოლას არალოიალურმა შვილებმა ფიცი დადეს, ჩვენი მოძმეებისათვის შურს ვიძიებთო. იეზუიტის შურისძიება ხომ საანდაზოდ გამოდგებოდა! რამდენიმე კათოლიკე დიდებულის დახმარებით, რომელნიც სულიერი მამების სახით ემსახურებოდნენ, ეიზუიტებმა მოამზადეს შეთქმულება, რაც ისტორიაში ფართოდაა ცნობილი „დენთის შეთქმულების“ სახელწოდებით. წარმოიდგინეთ, პარლამენტის შენობის აფეთქება განიზრახეს იმ დროისათვის, როცა მთელი მეფის ოჯახი იქ იქნებოდა, და ეს საქმე დაავალეს ქრისტიანული გულმოდგინებით ცნობილ გაი ფოქსს. თავდაპირველად მან უარი განაცხადა შეთქმულებაში მონაწილეობაზე: „პარლამენტის სხდომაზე იმდენივე კათოლიკე ესწრება, რამდენიც ერეტიკოსი, და ჩვენ ღმერთის წინაშე პასუხისგება მოგვიხდება თანამოძმეთა გაწყვეტისათვისო“. სხვა ქრისტიანთა კი არა, მხოლოდ კათოლიკეთა გაწყვეტისათვის! კეთილმსახურმა მამებმა ასე უპასუხეს: „ღმერთი შეგვინდობს მართლმორწმუნეთა გაწყვეტას იმ დიდებისათვის, რასაც ერეტიკოსთა გაწყვეტით მოიმკისო“.

ფოქსი ხათრიანი კაცი იყო და იეზუიტების საბუთი სარწმუნოდ მიიჩნია, საქმეს შეუდგა. მაგრამ შეთქმულება გამომჟღავნდა: ფოქსს დანაშაულის ადგილზე წაასწრეს, როცა ეს პირშავი ლაქია პარლამენტის სხდომათა დარბაზის ქვეშ გამართულ სარდაფში ფეთქებად ნივთიერებას — ნაღმს აწყობდა. იქვე დაპკითხეს და იქვე გასცა თავისი თანამზრახველნი.

ლოიოლას რამდენიმე მიმდევარი, რომელთა შორისაც იყო შეთქმულების ორი მოთავე, უზენაეს სასამართლოს წარუდგინა. დამნაშავეებს ჩამოხრჩობა მიესაჯათ.

წმინდა ბანდიტებმა ასეთი ფინალი სავსებით დაიმსახურეს.

პოლემიკა ტასტსა და საკურთხეველს შორის

● შეთქმულებამ იაკობ I აიძულა დაეფიცებინა ხალხი „ქვეშევრდომობაზე“, რაც ყოველი ინგლისელისათვის სავალდებულო იქნე-

ბოდა, რა რელიგიური რწმენისაც უნდა ყოფილიყო. ამ ფიცის თანახმად, „არც პაპს, არც არქიეპისკოპოსს, არც ეპისკოპოსს უფლება არა აქვთ აშალონ ხალხი, მოსთხოვონ მეფის ერთგულების ფიცის დარღვევა. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს მისი მიწები, ხელი აღმართოს მის სიცოცხლეზე, რადგან კათოლიკების ქადაგება, დოქტრინა იმის შესახებ, რომ პაპის ბრძანებით ქვეშევრდომს უფლება აქვს მოკლას თავისი ხელმწიფე, საზიზღარი და არაკანონიერია“.

განრისხებულმა მღვდელმთავარმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა ინგლისელ მოწმინდანო ღვთისმსახურთ რამდენიმე სიგელი, რომლებითაც ხალხს მოუწოდებდა არ დამორჩილებოდნენ იაკობ პირველს.

პირველად მეფემ დასაჯა რამდენიმე შეუსმენელი ფანატიკოსი და ზოგ მათგანს თავიც კი მოჰკვეთა (ხვედრი, რაც შემდეგ თვითონ გაიზიარა!). შემდეგ კალამი აიღო, პამფლეტები დაწერა და დაგმო მისი უსამღვდელოესობის კარდინალ ბელარმინოს* ბოღვაწეობა. კეთილმსახურმა იეზუიტმა, ლოიოლას აწ მოხუცებულმა შვილმა, მეფის პამფლეტს პასუხი გასცა წიგნით, რაც იმდენადვე უთავბოლო იყო, რამდენადაც უჩვეულო. „მღვდელმთავარი, - წერდა სწავლული იეზუიტი, — სრულიად უფლებამოსილია, რომ მეფეებს უბრძანოს, მას შეუძლია აიძულოს ხელმწიფეები დაემორჩილონ მის განკარგულებებს და დასაჯოს ურჩები, რადგან მის ხელთაა ორლესული მახვილი“. ეს დამტკიცებულია თურმე იმით, რომ ეკლესიის მეთაურები ყოველთვის შეაჩვენებდნენ მეფეებსა და იმპერატორებს, ამხობდნენ მათ, ათავისუფლებდნენ ქვეშევრდომებს მიცემული ფიცისაგან და აძლევდნენ მათს მიწებს კათოლიკე ხელმწიფეებს. რა ბრძნული საბუთიაა! მერე, მეფეებიც ხომ ამხობდნენ პაპებს და ნიშნავდნენ ანტიპაპებს?

წმინდა საზოგადოების ორი წევრი ჩაერია ტახტისა და საკურთხევლის დიდ პაექრობაში. ერთი ამტკიცებდა, სასულიერო პირის

---

* სახელგანთქმული „წმინდა დოქტორი“, ჯორდანო ბრუნოს ერთ-ერთი ჯალათი და განსწავლული ღვთისმეტყველი რობერტო ბელარმინო კათოლიკური დოგმების დიდი დამცველი იყო. 1604 წელს, როცა „დენთის შეთქმულება“ გამომჟღავნდა და მისი მოთაველები — აეტსბი და პერსი თანამზრახველებთან ერთად დასაჯეს, ბელარმინო 62 წლისა იყო.

ამბოხება მეფის წინააღმდეგ არ შეურაცხყოფს მის უდიდებულესობას, რადგან მღვდელი არ ჩაითვლება მეფის ქვეშევრდომადო, ასევე არ შეიძლება თურმე დამნაშავე ეწოდოს საერო პირს, თუ მეფე ეკლესიიდან განკვეთილია. ასეთ შემთხვევაში ყველა მორწმუნე უნდა გაერთიანდეს, რათა მტვერში დასცენ ტირანი და ხელი შეუწყონ რელიგიის ტრიუმფსო. ო, ეს რელიგიის ტრიუმფი, სიცრუისა და არარაობის ღვარძლიანი მეუფება! მეფე და მონა, რეალური და ხილული უნდა ფერხთა მტვრად ექცეს არარაობას, არარსებულს!

„რატომ მე არ შემიძლია, — გაიძახოდა მეორე. — რომ უფალს მეფის სისხლი წავუქცეო ზედაშედ! არასოდეს, ამაზე ძვირფასი ღვინო არ წაქცეულა საკურთხეველზე, არასოდეს არ უხილავს იესო ქრისტეს ამაზე სანატრელი მსხვერპლი!..“ ბოლოს და ბოლოს, ესაა კაციჭამიაობის რელიგია!

თავის მხრივ ამ რელიგიის ქურუმთ ქურუმი პავლე V აქეზებდა სახელგანთქმულ ესპანელ ისტორიკოსს მარიანს, რომელიც მეფის მკვლელობას მოითხოვდა, თუ პაპს არ ემორჩილებოდა.

ესპანელი იეზუიტის მაგალითით აღფრთოვანებული ფრანგი კათოლიკები ყოველნაირად ცდილობდნენ მეფის ძალაუფლების დამცირებას. დაჟინებით მოითხოვდნენ მღვდელმთავრის უზენაეს ძალაუფლებას. ფიცხი მქადაგებელი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა: „ქრისტეს ძენო, ისმინეთ, ბრმად უსმინეთ ძლევამოსილ ნებას. რამაც ჰენრიხ IV აიძულა კეთილმსახურთა ბანაკში მოიყვანა. არ დაუჯეროთ მას, ვინც ამტკიცებს, პაპს არ შეუძლია საფრანგეთის მეფის შეჩვენებაო. პაპმა გაბედა, მეფემ კი აღიარა მისი ყოვლის შემძლე ძალაუფლება, თავი დაიმცირა, მტვერში განრთხმული ევედრებოდა, მომიტევეო. საფრანგეთის ხსნის გულისათვის პაპი მოვალეა, ნაჯახით შეიარაღდეს, ჭრას და კაფოს ხეები, რომლებიც ყლორტების ამოყრას ხელს უშლიან“.

ამაოდ არ ჩაუვლია ბნელეთის მოციქულთა ქადაგებას. მაშინ გამოჩნდა ფანატიკოსი რავალიაკი, რომელმაც უკვდავჰყო თავისი სახელი და მოკლა ჰენრიხ IV. ეს მოხდა 1610 წლის 14 მაისს.

„მას შემდეგ, რაც მეფის მკვლელს მართლმსაჯულება გაუსწორდა, — წერს მემატიანე, — ფხიზელმა გონებამ გაიმარჯვა და დაიწყო ძებნა მკვლელობის ნამდვილ სულისჩამდგმელთა, რომელთაც იარაღად რავალიაკი გამოიყენეს. მთელი საზოგადოებრივი აზრი აღდგა იეზუიტების წინააღმდეგ, ყველგან გამოჩნდა პამფლეტები კეთილმსახურად წოდებული მამების წინააღმდეგ, მათ შორის პასკვილი, რომლის სათაურიც იყო „ანტი-კოტონი“. მისი ავტორი ამტკიცებდა, რომ რავალიაკს ხელში იარაღი მისცეს იეზუიტებმა და დედოფალმა.

პარლამენტმა ვერ გაბედა ასეთი ყოვლის შემძლე დამნაშავეების წინააღმდეგ გამოსვლა და იმით შემოიფარგლა, რომ თეოლოგიურ ფაკულტეტს მიუთითა იეზუიტების ხელით დაწერილი იმ შრომების ცენზურაში გატარების აუცილებლობაზე, რომლებშიც მეფის მკვლელობაზეა ლაპარაკი. მეცნიერთა გადაწყვეტილებით ზოგიერთი ასეთი წიგნი ჯალათს გადაეცა და საჯაროდ დაიწვა გრევის მოედანზე პარიზში. მაგრამ ასეთმა გადაწყვეტილებამ ხელი ვერ შეუშალა მარიამ მედიჩის, რომ შემდეგაც გაეწია მფარველობა იეზუიტებისათვის. ახალგაზრდა ლუდოვიკო XIII სულიერ მოძღვრად მან მიუჩინა მამა კოტონი, იეზუიტი, ხოლო ქმრის გული მიანდო იეზუიტების კოლეჟს. ბნელმა დედოფალმა საგანგებო სიგელებიც კი უბოძა იეზუიტებს, უფრო ფართო უფლებები მიანიჭა, ვიდრე უწინ ჰქონდათ, ნება დართო ესწავლებინათ ღვთისმეტყველება და სხვა მეცნიერებანი, ხოლო ბავშვებისათვის სასარგებლოდ მიაჩნდა ის, რომ მათი მასწავლებლები სწორედ იეზუიტები ყოფილიყვნენ.

იეზუიტებმა დაუყოვნებლივ უნივერსიტეტს მიმართეს, დოკუმენტები რეგისტრაციაში გაატარეს და შეუდგნენ მათს დამტკიცებას პარლამენტში.

უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამცველმა ხელისუფალთ მოაგონა, რომ სახელოვანი დაწესებულება უკვე მესამედ მიმართავს პარლამენტს, თანადგომასა სთხოვს, რომ ანაფორიანი ბოროტმოქმედნი ალაგმონ და ბოლოს და ბოლოს წესრიგი აღადგინონ სამეფოში,

სადაც იეზუიტების გავრცელების დღიდან მთელს ევროპაში ქადაგებენ პოლიტიკური ძალაუფლების დამხობას. ორატორი ბრალს სდებს წმინდა მამებს იმ დანაშაულთა წამქეზებლობაში, რომლებიც საფრანგეთში ჩაიდინეს ჟაკ კლემანმა, ბარიერმა, ჟან შატელმა და რავილიაკმა, მოაგონებდა იეზუიტების მონაწილეობას „დენთის შეთქმულებაში", რამაც კინაღამ ინგლისის პარლამენტი აიფეთქა, სხვადასხვა სახელმწიფოში მოწყობილ არეულობას, და თავისი ბრალდების დასასრულ პარლამენტს ეუბნებოდა: „ნუ ენდობა წმინდა მამების მზაკვრულ დაპირებებსა და თაფლისმწთოლვარე, მოქარგულ სიტყვას, ნუ დაივიწყებს, რომ იეზუიტების კონსტიტუცია უფლებას იძლევა დაარღვიონ ფიცი, თუ ამას ორდენისა და პაპის ინტერესები მოითხოვენ".

ადვიკატი შემდეგ მოითხოვდა „აეკრძალათ იეზუიტებისთვის გაკვეთილების ჩატარება და ყოველგვარი აღმზრდელობითი ფუნქციები როგორც ბავშვების, აგრეთვე მოზრდილთა მიმართ ქალაქ პარიზის ფარგლებში". ბოლოს და ბოლოს, პარლამენტმა ყურად იღო ეს საღი მსჯელობა და განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მართალია თავის მტკიცებებში და ითვლება მხარედ, რომელმაც საქმე მოიგო.

იგნატი ლოიოლას უძვირფასესი მიმდევრები, ვითარცა ცოფიანი მგლები, სძაგდათ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ევროპისა და ამერიკის ყველა მხარესა და ქვეყანაშიც.

თითქმის ყველა ქვეყნიდან განდევნილმა, მხოლოდ ზიზღსა და სიძულვილს რომ იმსახურებდნენ, ცბიერმა ბერებმა ალამი დაუშვეს. მაგრამ თავიანთი მანკიერი ორგანიზაციის აღდგენის ცდაში იქამდე მივიდნენ, რომ უარი თქვეს მეფის მკვლელობის დოქტრინაზე და მეფის პიროვნების ხელუხლებლობაც კი აღიარეს.

სახელოვანმა მამებმა
თავი წამოჰყვეს

● თუმცა მკვლელთა ორდენის მორჩილება იმდენადვე დაგვიანებული იყო, რამდენადაც იძულებითი, მაინც ვან წმინდა ძმობას ხელიც შეუწყო, რადგან შეანელა მოწინააღმდეგის აღშფოთება და

საქმე იქამდე მივიდა, რომ საფრანგეთში ისევ დაიწყო მათი შე-
წყნარება. ისევ განაახლეს თავიანთი ჯრებები, სადაც სხვადასხვ
რელიგიურ საკითხებს არჩევდნენ. მათ დაგმეს პარიზელი თეოლო
გის ედმონდ რიშეს ტრაქტატი „სულიერ ძალაუფლებაზე“ და მი
აღწიეს ავტორის თანამდებობიდან გადაყენებას. ამ მღაღადებელმ
უსამართლობამ ისევ გააღვიძა რისხვის მიძინებული სული, იეზუი
ტების წინააღმდეგ აამხედრა ისევ პარიზი. ამ არამზადებსა და ანგ
ლიკანური ეკლესიის ქომაგთა შორის ატეხილმა და ერთხანს მი
წყნარებულმა ომმა ხელახლა იფეთქა.

თავის წიგნში, რასაც დიდი წარძატება ჰქონდა, ედმონდ რიშ
ამტკიცებს, რომ „არც მეფეებს, არც პაპებს არა აქვთ უფლება გახა
ცხადონ უცოდველობის პრეტენზია, ყველას ხალხი ანიჭებს ძალა
უფლებას და ვერავითარი საბუთით ვერ იტყვიან უარს ხალხებ
უზენაეს მართლმსაჯულებაზე“. ეს უაღრესად ნათელი, ამაღლებუ
ლი მსჯელობაა. იეზუიტების რისხვას ხომ დამსახურება უნდოდა
დიახ, ეს პირდაპირი და პატიოსანი სიტყვაა!

იმ დროს ყველაზე უფრო პატიოსანი მწერლები თავისთვ
პატივად თვლიდნენ ამ თეოლოგის მხარეზე დადგომას, ხელში კა
ლამი აიღეს და შეუდგნენ სამართლიანი დოქტრინის დაცვას. ერთმ
მათგანმა, პლესი-ძორნეიმ გამოსცა სახელგანთქმული შრომა —
„უკანონობის საიდუმლოებანი“, სადაც არ შეუშინდა წმინდა ტახტ
ზე თავდასხმას, გაბედულად ჩამოთვალა ურიცხვი დანაშაულობა დ
სისაძაგლე, რაც ბატონ მღვდელმთავრებს ჩაუდენიათ. დასკვნის სა
ხით მწერალი წერდა: „წმინდა პეტრეს მემკვიდრეები — ანტიქრის
ტეს მოციქულები არიან“. თავისი წიგნის ფრონტისპისზე — ტიტუ
ლის წინა გვერდზე — ვატიკანის ემბლემის — ბაბილონის გოდო
ლის გვერდით — მამაცმა და შეუპოვარმა მწერალმა წინა პლანზ
გამოხატა პავლე V, სატანის სიხით რომ მიუძღვის წინ ყველა ჯიში
სა და ყაიდის ბერების ლაშქარს.

ვინ აღწერს პაპის გაძვინვარებას, მისი მომაკვდინებელი ნა
წარმოების გამოქვეყნება რომ შეიტყო! ისეთი რამ ხომ ჯერ პაპი
სათვის არავის უკადრებია! ავარდა, დავარდა, კადნიერ მწერალ
გამანადგურებელი მეხი და ელვა დაანთხია თავზე, მისი წიგნის აკრ
ძალვა მოითხოვა საფრანგეთის სამეფოში.

პაპის ღირსეულმა მსახურებმა, იეზუიტებმა, რა თქმა უნდ

თავიანთ თავზე აიღეს ზრუნვა, უკეთური წიგნის დევნისათვის თავს არ დავიზოგავთო. მათი ცდა წარმატებით დაგვირგვინდა, ფრანგ მოსამართლეებს არ შერცხვათ წიგნის აკრძალვა. რასაც რომის საასახლე მოითხოვდა.

სიცრუემ ერთხელ კიდევ იზეიმა ჭეშმარიტებაზე გამარჯვება.

„წარმატებით გამხნევებულებმა, — წერს ერთი მწერალი, — ლოიოლას შვილებმა ახლა იმისათვის დაიწყეს ბრძოლა, რომ ვენეციაში პაპს გაემარჯვა. უპირველესად შეეცადნენ თავიდან მოეშორებინათ ფრიად საშიში მტერი, სახელოვანი პიერ სარპი, ან როგორც დომინიკანელები ეძახდნენ, ფრა პაოლო. იმასვე უპირებდნენ, რაც პელსი-მორნეის გაუკეთეს, მაგრამ იმედი არ ჰქონოდათ, რომ ათთა საბჭოშიც ისევე მორჩილ მოსამართლეებს იპოვიდნენ, როგორც საფრანგეთში იპოვეს, ამიტომ ისევ მოკვლა სცადეს. ფრა პაოლომ ანონიმური წერილით გაიგო, რა საფრთხეც ემუქრებოდა, და სიფრთხილის ყველა ღონისძიება მიიღო, სამოსის ქვეშ აბჯრის ტარების უფლებაც მოითხოვა, ქუჩაში კი მუშკეტით შეიარაღებული მცველის თანხლებით გამოდიოდა. ასეთი ნებართვა მიიღო იმის მიუხედავად ,რომ ეს სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო ქალაქში, სადაც იარაღის ტარებისათვის სიკვდილით დასჯა იყო დაწესებული. ერთხელ, როცა ფრა პაოლი მონასტრიდან გამოდიოდა, ხუთი შენიღბული უცნობი დაესხა თავს, რამდენიმე მძიმე ჭრილობა მიაყენეს ხანჯლით და მიიმალნენ უმალ, ვიდრე მისი ძმა იარაღს იხმარდა. პირველ სარპი თითქმის მკვდარი წაიყვანეს, ჭრილობები მიყენებული ჰქონდა სტილეტით, რომელზედაც ამოკვეთილი იყო ტიარა, ჯვარი, თავის ქალა და წარწერა, რაც ასე იუწყებოდა: „პაპისათვის — იესოს საზოგადოება“*.

„როგორც კი საზიზღარი დანაშაულის ამბავი გაიგეს, სენატო-

---

* პაოლო სარპი (1552—1623)—დიდი იტალიელი სწავლული და პოლიტიკური მოღვაწე, პაპობის და კერძოდ პავლე V წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლით ცნობილი რესპუბლიკელი, პიტერო პოლანის ფსევდონიმით გამოვიდა 1619 წელს, როცა ლონდონში გამოსცა თავისი მთავარი შრომა „ტრიდენტის ყრილობის ისტორია“.

ცნობილია სარპის ნაკვესი. როცა ქირურგი მძიმე ოპერაციას უკეთებდა, მან თურმე იხუმრა: „სტილეტი? ეს პაპის სტილია!“

რებმა სხდომა შეწყვიტეს, დომინიკანელეთა მონასტერში წავიდნენ, რომ დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეეტყოთ. ათთა საბჭომ ბრძანა სრულიად განსაკუთრებული ზომები მიეღოთ მკვლელთა შესაპყრობად, მაგრამ საუბედუროდ ეს ვერ მოხერხდა. ფრა პაოლოს მკურნალად დოჟმა საუკეთესო ქირურგი მოიწვია, მკურნალობის ხარჯები მთავრობამ თავის თავზე აიღო, ხოლო როცა სარპი მომჯობინდა, უბრწყინვალესმა რესპუბლიკამ გასამრჯელო გაუორკეცა და სასახლე აჩუქა.

საყოველთაო ყურადღების ასეთი ნიშნებით გულაჩვილებულმა პიერ სარპიმ უარი თქვა ხარჯებსა და სასახლეზე მაგრამ მონასტრიდან კი მხოლოდ ამალის თანხლებით გამოდიოდა, რათა ახალი თავდასხმისაგან დაზღვეული ყოფილიყო".

ჭეშმარიტად, ვენეციის რესპუბლიკა მაინც ღირსეულ სიმაღლეზე იდგა და სრულ კონტრასტს წარმოადგენდა იმისას, რაც ხარბი და წუწკი, ვერაგი და დაუნდობელი პაპების აშმორებულ სასახლეში ხდებოდა, ამ შერყვნილი და ფანჯრიდან ტიბრში გადაყრილი ბიჭუნებისა და გოგონების ცოდვის კითხვით დამძიმებულ სატანის სამეუფოში.

იეზუიტების
ორმაგი თავხედობა

❍ რაკი ვენეცია პაპის ფერხთით ვერ დააჩოქეს, იგნატის ყორნები საფრანგეთს დააფრინდნენ. ჰენრიხ IV ქვრივისა და მისი სულიერი მამის კოტონის დახმარებით მთელი ქვეყანა მოწამლეს რელიგიური კონგრეგაციებით, რომელთა დანიშნულება იყო ქალაქებსა და სოფლებში წმინდა უმეცრების — „წმინდა ვირობის" — დანერგვა.

მთელი სამეფო წალეკა ყველა ყაიდის ანაფორიანთა მრავალრიცხოვანმა ლეგიონმა, და უბედური პროვინციები წყეული მოდგმის ქვეწარმავალთა ტყვეობაში აღმოჩნდნენ!

როცა შავმა ურდომ საკმაო ღონე იგრძნო, რომ აშკარად გაელაშქრა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ, მოწმინდანო მზაკვარ დედაკაცს მარიამ მედიჩის სთხოვეს დაეყოლიებინა გენერალური

შტატები, რომ ტრიდენტის საეკლესიო კრების ხელდება გაძოექვეყნებისა.

შტატებში შემავალი მთელი დიდკაცობა, აგრეთვე სამღვდელოების მრავალი წარმომადგენელი იეზუიტების ამ პროექტს ისეთი ლმობიერებით შეხვდა, რომ მეტი არ შეიძლება. მაგრამ საშუალო წოდება სხვა აზრისა იყო. გადაჭრით განუცხადეს რეგენტ დედაკაცს, რომ „აღარ ღირს ტრიდენტის კრების საკითხის აღძვრა, რამდენადაც ეს საკითხი აგერ მთელი სამოცი წლის განმავლობაში ვერ იქნა და ვერ განვიხილეთო“. თანაც ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ორთოდოქსალურად ითვლებიან, უკვე ადრევე აღიარეს, როგორც სამეფო ძალაუფლების ხელყოფა, საზოგადოებრივი წესრიგის საწინააღმდეგო ღონისძიება, და პარლამენტმა უკვე არაერთხელ უარჰყო ის დოგმები.

ლოიოლას შვილებმა შეიგნეს, რომ საშუალო წოდება მათს წინადადებას არასოდეს არ მოიწონებს და თხოვნით მიმართეს ლუდოვიკო XIII, რომელიც ის იყო სრულწლოვანი გახდა, და მისგან მიიღეს „მოქმედების უფლება“.

ამრიგად, ლუდოვიკო XIII ტახტზე ფეხის შედგმისთანავე, ამტკიცებს, რომ საფრანგეთს კრეტინი დაეპატრონა. სამღვდელოებისა და დიდკაცობის წარმომადგენლებმა საიდუმლო თათბირი გამართეს და „აუცილებლად მიიჩნიეს პაპის საქმის გამარჯვებისაკენ მისწრაფება, რათა წელში მოხარონ ერი თეოკრატიული უღლის ქვეშ“. მაგრამ ფანატიკოსთა თავხედურმა საქციელმა საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია და პარიზის სასამართლომ აუკრძალა „ყველა სასულიერო პირს რაიმეს გამოცემა ტრიდენტის კრების გარშემო, აგრეთვე თუნდაც სულ უმნიშვნელო ცვლილების შეტანაზე ლაპარაკი გალიკანური ეკლესიის კეთილწესიერებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოელით ქონების კონფისკაცია და უფლებების ჩამორთმევა“.

იმ დროს, როცა პარლამენტი და გენერალური შტატები მთელი ძალღონით იბრძოდნენ რომის სასახლის გაუგონარი პრეტენზიების წინააღმდეგ, თავის მხრივ ჰუგენოტები გამოვიდნენ მანიფესტით და ყველას გასაგონად განაცხადეს, „ისევ იარაღს ჩავავლებთ ხელს, თუ მეფე მოინდომებს, რომ საფრანგეთი წმინდა ტახტს დაუმორჩილოსო“. ზოგიერთ ქალაქში გადაწყვეტილებას მოქმედება

მოჰყვა. მაშინ საქმეში ჩაერია მარშალი დ'ანკერი, დედოფალი — დედა დაიყოლია „უარი ეთქვა ტრიდენტის ყრილობის გადაწყვეტილებათა მიღებაზე და დაჰპირებოდა ჰუგენოტებს, რომ წმინდა ტახტის მოთხოვნისა და სამღვდელოების დასტურის მიუხედავად ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა“. საფრანგეთის სამღვდელოების უმაღლესმა ფენამ, მიუხედავად მარიამ მედიჩის საზეიმო დაპირებისა და პარიზის სასამართლოს გადაწყვეტილებისა, თავისი ხელქვეითები შეყარა და განაცხადა, „რომ მართლმორწმუნენი მოვალენი არიან თავიანთი სინდისით დაიცვან წმინდა ტრიდენტის ყრილობის გადაწყვეტილებანი“.

თავიანთი ბანდიტური გამარჯვებით გაამაყებულმა წმინდა მამებმა ორკეცი თავხედობა გამოიჩინეს და გამოაცხადეს: „საფრანგეთმა მიიღო ტრიდენტის ყრილობის გადაწყვეტილებანი და დაემორჩილა პაპის ყოვლისშემძლე ძალაუფლებასო“.

ეს კი მეტისმეტი მოუვიდათ! ასპიტს რაც გააქვს, შხამით გააქვს.

სწორედ ამ დროს ცნობილმა თეოლოგმა მარკ ანტუან დე დომინისმა გამოაქვეყნა თავისი მეცნიერული შრომა „სულიერი რესპუბლიკა“, რაც წმინდა ტახტის უზენაესი ძალაუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ჩვენ დავიმოწმებთ ამ წიგნიდან რამდენსამე დებულებას. ყოველი მათგანი საშიში დარტყმაა, რაც რომის ორთოდოქსალურმა ეკლესიამ იგემა.

„პაპის ძალაუფლების ქვეშ ეკლესია უკვე აღარ არის ეკლესია, არამედ ითვლება საერო სახელმწიფოდ და პაპის წმინდა მიწიერ მონარქიულ ძალაუფლებად“.

„ეკლესიას არ შეუძლია ჰქონდეს ძალაუფლება და ვერ მიმართავს გარედან ზემოქმედებას“.

„მღვდლები მესის შესრულების ჟამს ვერ აღადგენენ ქრისტეს მსხვერპლს, მხოლოდ მის ხსოვნას ემსახურებიან“.

„სულიწმინდა — ჭეშმარიტის მოადგილეა მაცხოვრისა დედამიწაზე და იგი ფლობს მხოლოდ სულიერ ძალაუფლებას“.

„იან ჰუსი უსამართლოდ და ქრისტიანული რესპუბლიკის პრინციპების საწინააღმდეგოდ დასაჯეს კონსტანცის კრებაზე“.

„იესო ქრისტემ სული წმინდა უანდერძა მთელს ეკლესიას,

და სულაც არ მიუკუთვნებია ის გამორჩევით მღვდლებისა და ეპისკოპოსებისათვის“.

„ბრძანება — წმინდა საიდუმლო აღარაა“.

„რომის ეკლესია პირველია იმ ქალაქის პატივით, რომლის სახელსაც ატარებს, მაგრამ არა იურისდიქციით“.

„ეკლესიის მსახურთა უქორწინობა არ არის აუცილებელი“.

„ბერთა საზეიმო აღთქმაც ისეთივეა, როგორც ყოველი ჩვეულებრივი აღთქმა“.

„პაპობა — ადამიანთა გამოგონილია“.

რა უბრალო, ნათელი, ძლიერი, დამაჯერებელი მტკიცებაა! თუ არსებობს რაიმე მეცნიერული თეოლოგია, სწორედ ამას უნდა ეწოდოს, უწინარეს ყოვლისა იძისათვის, რომ ამტკიცებს, პაპობა ადამიანთა გამოგონილიაო.

ამ შრომამ საფრანგეთსა და იტალიაში იმდენი აურზაური გამოიწვია, რომ ლუციფუგმა პავლე V მაშინვე მოითხოვა მისი დამუშავება თეოლოგიურ ფაკულტეტზე — მისი უარყოფის მიზნით ,ცხადრა. შემდეგ ავტორს პატივი დასდო, კარდინალის ქუდს დაჰპირდა იმ ადგილების უარყოფისათვის, რომელთაც მიუთითებდნენ. ჩანს, ამ პაპის ტვინიც მუშაობდა, ოღონდ მხოლოდ მისი ნახევარი, მცირე ნახევარსფერო. სამწუხაროდ, მისმა მაღალღირსებამ დე დომინისმა ცთუნებას ყური ათხოვა, ბრწყინვალე პატივსა და ცბიერ დაპირებას დახარბდა, სიმხდალე გამოიჩინა და უარყო ის ადგილები, სადაც პაპის გვამს ეხებოდა. შემდეგ საბედისწერო გაუფრთხილებლობაც გამოიჩინა, რომის სასახლეში ჩავიდა, სადაც თავისი სამარცხვინო მორჩილებისათვის საკადრის საჩუქრებს ელოდა. სამწუხაროდ, მას ცუდად სცოდნია ან დავიწყებია იმ წმინდა გვამის ისტორია, რასაც ასე შესანიშნავად ჩასცა ლახვარი, და ვერც ის გაუთვალისწინებია, რომ მუხანათი პაპი ქედმოხრილს უფრო იოლად გაუსწორდებოდა. ბედშავმა თავისი შასპინძლის უფლება და ხასიათი დაივიწყა. პაპი სულაც არ აპირებდა მის ამაღლებას, — მაშინვე ბრძანა წმინდა ანგელოზის ციხის ჯურღმულებში დაემდაბლებინათ.

უწმინდესმა ინკვიზიციამ დომინისის და მისი წიგნის წინააღმდეგ პროცესი აღძრა, რის შედეგადაც ავტორსაც და მის შრომასაც პაპური სასჯელი ერგოთ, კოცონზე დაწვა. ძალადობა, რის წინააღმ-

დეგაც ღვთისმეტყველი იბრძოდა, მასვე მიუყენეს. „მაგრამ, — დასძენს მემატიანე, — ადამიანის სინდისი უკვე ეწინააღმდეგებოდა ხალხის ასეთ მხეცურ განადგურებას მარტოოდენ განსხვავებული აზრებისათვის რელიგიურ საკითხებში. ამიტომ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ უმჯობესი იქნებოდა დომინისს სხვა გზით გასწორებოდნენ: ციხეში გარდაიცვალაო, გამოაცხადეს. მართლაც, ციხეში დალია სული, კეთილმსახურულად მოწამლულმა, განსაკუთრებული წყალობის ნიშნად. საწამლავმა იხსნა კოცონიდან. ის იყო უსრულდებოდა სამოცი წელი.

მისი ნეშტი მიწას მიაბარეს, მაგრამ ინკვიზიციამ მისი დაწვა ინება, სიკვდილის შემდეგ მაინც. პაპის დამტკიცებული განკარგულებით ,დომინისის სხეული ამოთხარეს; ფლორას ველზე საზეიმო ცერემონია გამართეს და იქ დაწვეს, იმ უკეთურის .მავნე წიგნთან ერთად“.

ასე დაასრულა თავისი მიწიერი სიცოცხლე მარკ ანტუან დომინისმა, სპალატროს არქიეპისკოპოსმა, რომლის ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ რომის, მოციქულის, კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლს შეეხო. ღვარძლიანმა მღვდელმთავარმა მაინც თავისი გააკეთა.

პოლიტიკისა და რელიგიის აჯაბსანდალი

● იმ ხანებში ფრანცისკანელები და დომინიკანელები აღშფოთების გრძნობით აღავსებდნენ ევროპას და განსაკუთრებით ესპანეთს, სასაცილო პაექრობით უბიწო ჩასახვის შესახებ. ბრძოლამ ტრაგიკული ხასიათი მიიღო, რადგან კეთილმა ბერებმა ბატის ფრთის კალმები გადააგდეს და ხანჯლები იშიშვლეს — ბევრად უფრო საიმედო იარაღი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

საფრანგეთში ამ პაექრობას ნაკლებ დროს უთმობდნენ. მაშინდელ საზოგადოებას აქ უფრო მნიშვნელოვანი ამბები აღელვებდა. ძკაცრი ზომები მიიღეს დედოფალ-დედისა და მისი ფავორიტების წინააღმდეგ. ლუდოვიკი XIII განკარგულებით მოკლეს კარისკაცი კონჩინი. პარლამენტის გადაწყვეტილებით მარიამ მედიჩის რეგენ-

ტობის უფლება წაართვეს. მეფის სულიერი მოძღვარი, მამაო კოტონი თანამდებობიდან გადააყენეს. თვითონ რიშელიე გაასახლეს, იმ დროს ლუსონის ეპისკოპოსი და სახელმწიფო საბჭოს წევრი. ეშმაკი პრელატი მაშინ ავინიონში წავიდა, სადაც მისი უწმინდესობის ლეგატთან დაამყარა კავშირი, რათა პარიზში დაბრუნების საშუალება მისცემოდა. ლეგატი მართლაც ცდილობდა მაშინ რიშელიეს დაბრუნებას და პავლე V წინაშე შუამდგომლობდა, რომ ეპისკოპოსს საფრანგეთის სასახლეში თავისი ადგილი დაეჭირა, მაგრამ საფრანგეთის ნამდვილ გამგებელს, ჰერცოგ ლუინს სამართლიანად ეშინოდა ლუსონის პატივმოყვარე ეპისკოპოსის გავლენისა და წინადადება არ მიიღო.

მაშინ რიშელიემ სხვა საშუალებას მიმართა. მარიამ მედიჩის მისწერა წერილი, მისი რჩევით რომ მიატოვა სასახლე და სამხრეთის პროვინციებში წავიდა, — სამოქალაქო ომის ხანძარი გააჩაღეო სამხრეთ საფრანგეთში. ჰერცოგმა ლუიზმ იცოდა რიშელიეს გავლენის ამბავი და იძულებული გახდა მასთან მოლაპარაკება გაემართა. წინადადება მისცა, სახელმწიფო საბჭოს წევრად მუშაობა განაგრძეო ,და კარდინალის ქუდსაც დაპირდა, თუ მარიამ მედიჩის ზავის დადებაზე დაითანხმებდა.

მაგრამ ჰერცოგმა ლუინმა თვითონ რიშელიე მოატყუა და მშრალზე დატოვა. როგორც კი ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, არა თუ დაპირება არ შეუსრულა, პაპს სთხოვა კიდეც, „უყურადღებოდ დაეტოვებინა საფრანგეთის ელჩის თხოვნა ლუსონის ეპისკოპოსისათვის კარდინალის ქუდის ბოძების შესახებ". პავლე V ეს თხოვნა ისმინა და რვა კარდინალის გადაწყვეტილებით ეპისკოპოს რიშელიეს უარი ეთქვა კარდინალის ხარისხზე. პატივმოყვარე პრელატმა ფიცი დადო, ჰერცოგს სამაგიეროს გადავუხდიო. დედოფალ-დედას ჩააგონა, საომარი მოქმედება განაგრძეო, შემდეგ კი წმინდა ტახტს აცნობა, სამუდამოდ ვწყვეტ კავშირს თქვენს პოლიტიკასთან და რომის ტახტი ამას ინანებსო. აი, ეს იყო კარდინალური პასუხი!

მისმა მუქარამ ანგელოზები ვერ დაუფრთხო წმინდა მამაზ, და პაპმა ლუსონის ეპისკოპოსი პასუხის ღირსადაც კი არ გახადა. მთელი მის ყურადღება გადავიდა გერმანიის ახალ იმპერატორ ფერდინანდ მეორეზე, რომელმაც პაპის საამებლად პროტესტანტების დევ-

ნა დაიწყო, თავისი გულმოდგინება ამ ლაქია-იმპერატორმა მდიდრული საჩუქრებითაც კი განამტკიცა. ასეთი მაამებელი ნიშნების შემდეგ პაპმა ფერდინანდს ანათემა მოხსნა და ტახტზე მისი ასვლა დაამტკიცა, ამასთან კათოლიკე ეპისკოპოსებს დაავალა მისი მირონცხება.

მისი უწმინდესობა უხვად იძლეოდა წყალობას, ოღონდ ჯიბეში მისთვის ბლომად ლითონი ჩაეჩხრიალებინათ. სამაგიერო მხოლოდ სულიერი წყალობა ჰქონდა.

ბორგეზეს ოჯახი
და რომის სასახლე

● ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ მეტად საინტერესო ნაწყვეტი წიგნიდან, რომელშიაც ავტორი რომის სასახლის კარის უწესობას მოგვითხრობს.

პავლე V ისე გულმოდგინედ გაქურდა მორწმუნეები, რომ თავისი ძმისწულის, კარდინალ ბორგეზესათვის იოლად იყიდა ოთხ მილიონ ეკიუდ ღირებული მიწები. სამას ორმოცდაათი ათასი ეკიუ მისცა მარტო იმ მამულისათვის, რაც რომის მახლობლად შეიძინა, რვაასი ათასი ეკიუ დახარჯა თავისი ციხის ასაშენებლად და დასამშვენებლად. მისი კაბინეტი სავსე იყო ხელოვნების იშვიათი ნაწარმოებებით და იმას კი არ კითხულობდა ეს მუხთალი მკვლელი, იყო თუ არა მათი ცქერის ღირსი.

რა წყაროებიდან შოულობდა საშუალებებს? ხომ მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ არჩევის წინ ბორგეზეს საგვარეულო სრულიად გაღატაკებული იყო! ახლა კი ყველაფერი შეიცვალა-მტაცებლობამ და ქურდობამ ბორგეზე იტალიის ერთ-ერთ უმდიდრეს სენიორად აქცია. ყველას ხომ არა აქვს ამისი ნიჭი!

ძალიან გაკვირვებული დავრჩებით, თუ ბულებს გადავფურცლავთ და მრავალი გვერდის მანძილზე ვერ ვნახავთ იმ პირთა სახელებს, რომლებმაც პაპის წყალობა მიიღეს. პავლე V ბრწყინვალედ იცოდა, რომ ყველა წყალობას იღებდა მისი გაღმერთებული კარდინალი ბორგეზე. ეს სახელი განზრახ მიჩქმალულია, რათა არ შეაცბუნოს ის, ვინც ჯერ კიდევ საკმაოდ სულელია, რომ პაპის სამართლიანობა იწამოს.

საკუთარი უმეცრება რომ დაფაროს, პაპი თავის სიახლოვეს არ აჩერებს განათლებულ და გამოცდილ ადამიანებს. სწორედ ამის გამო კარდინალის ქუდებს აძლევს უტვინო თაღლითებს, ბრიყვებს, ვაჟკაცობასა და გონებას მოკლებულთ, მხოლოდ ბრმად შესრულება რომ შეუძლიათ იმისა, რასაც ყურში ჩასძახებთ პაპის ძმისწული, — ვირებს, რომლებიც თავიანთ სამრეველოს მიწებზე ბალახობენ, ხოლო ამ მიწების შემოსავალს კი კარდინალ ბორგეზეს უდებენ ჯიბეში.

კარდინალებს კაპონს, ბარბერინის, ლოტრეკსა და სპინოლას ძალიან გაუჭირდებათ პასუხის გაცემა, რომ ჰკითხოთ, რომელ ქალაქებში მიუღიათ განათლება, სად უსწავლიათ ლიტერატურა, რადგან დამწერლობის ყველა ნაწარმოებიდან წაკითხული აქვთ მხოლოდ თამასუქები, რაც პაპის ძმისწულს მიეცა.

რაც შეეხება კარდინალთა კოლეგიის სხვა წევრებს, ჯობს არ იკითხოთ, თუ რა ხელობას ეწეოდნენ, ვიდრე ამ მაღალ ხარისხს მიიღებდნენ. ერთი ორღანისტი გახლდათ, უმნიშვნელო ხელფასს იღებდა, მეორე ყვავილიან სნეულს უვლიდა, მესამე უბრალოდ სუტენიორი იყო, საყვარლის ხარჯზე ცხოვრობდა, მეოთხე კი ქურდთა და ჯიბგირთა ბანდას მეთაურობდა და ასეთივე წარმატებით შეეძლო დაემსახურებინა სახრჩობელა იმ ძარცვა-რბევისათვის, რასაც ღამეობით ეწეოდა.

ვიდრე პორფირს შეიმოსავდნენ, დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო ბიწიერი ქალაქის — რომის ნაძირალების რიცხვს ეკუთვნოდნენ.

ყველამ იცის, რომ ვატიკანში არ არის არც სამართალი, არც სისუფთავე, იქ არც კი ცდილობენ დაფარონ თავიანთი ბილწი საქციელი. დღისით-მზისით ეპისკოპოსის მანტიებით მოსილი პრელატები მოყივნებულ მეძავებთან დადიან, უსირცხვილოდ ხოცავენ ქმრებსა და მამებს, ქალიშვილებსა და ცოლებს კი იტაცებენ.

რაც შეეხება თვითონ პავლე V, მხოლოდ ბრწყინვალებით იქცევს თავს, და როგორც ჭეშმარიტი კურატი, ისე დაცურავს მრუშობის, სისხლის აღრევის, მამათმავლობის აყროლებულ წუმპეში. ან როგორ გინდათ ,როცა თვითონვე მოწამლა თავისი ერთ-ერთი ამის ცოლი, როცა რძალმა უზნეო ნება არ შეუსრულა! როგორ არ

უნდა გაუწიოს მფარველობა სისხლის აღმრევთ, როცა თვითონ პაპს ჰყავს შვილები ღვიძლი დისაგან და თვითონ გახლავთ მამა თავისი ძმისწულის, კარდინალ ბორგეზესი?

ვინ გაბედავს და ხმას ამოიღებს იმ სიმდაბლეზე, რომელთა წყალობითაც მისი უწმინდესობის მეორე ძმის ცოლმა პაპესის-პაპის ცოლის წოდება დაიმსახურა? რა სამარცხვინო საშუალებებით დაეპატრონა ეს დედაკაცი ეპარქიებს, კარდინალთა ქუდებს, სამრევლოებს? როგორ მოხდა, რომ ეს ახალი იოანა განაგებს ეკლესიას, მოციქულის ტახტზე მორჭმით დაბრძანებულა, თავზე ტიარა ახურავს და განაზებულ ხელში ციური გასაღები უჭირავს? ვინ გაბედავს ხმამაღლა თქვას, პაპს, საქრისტიანოს უზენაეს მბრძანებელს, ღმერთის მოადგილეს დედამიწაზე, კარდინალ ბორგეზეს სახით ჰყავს ერთდროულად ძმისწული, ღვიძლი შვილი და საყვარელიო?! ნუთუ ციურმა მეუფემ გადაწყვიტა, რომ მსგავსი ურჩხული უნდა განაგებდეს ქვეყნიერებას?

ნუთუ ადამიანები მარად ასე დაუკრავენ თავს ტირანებს?

დადგება დღე, როცა ხალხები სამსჯავროს გაუმართავენ მეფეებსა და პაპებს, აღგვიან პირისაგან მიწისა ყველა დესპოტსა და თანამონაწილეს, მღვდლებსა და დიდკაცებს!"

ძარღვებში სისხლი იყინება, ამ შესანიშნავ პამფლეტს რომ ვკითხულობთ! თვითონ ალექსანდრე VI და ბალთაზარ კოსა იჩრდილებიან! და რა სამწუხაროა, რომ ჩაძაღლებულ ლეშს ყველაფერი შერჩა და ვეღარავინ გადაუხდის სამაგიეროს!

ისე კი, ვერაფერს იტყვი, საპატივცემო ოჯახი შეუქმნია ამ პაპს — სისხლის აღმრევს, მამათმავალს, მკვლელსა და მძარცველს!

1621 წლის 28 იანვარს, როგორც იქნა, დედამიწა განთავისუფლდა პავლე მეხუთედ წოდებული ბილწი ძაღლისაგან, რომელმაც თექვსმეტი წლის ბატონობის შემდეგ საზიზღარი წაწყმედილი სული სატანას ჩააბარა.

გრიგოლ XV

● პავლე მეხუთის მემკვიდრე გახდა ალესანდრო ლუდოვიზი, რომელმაც გრიგოლ XV იწოდა. ახალი პაპი ცნობილი არისტოკრატიული გვარისა იყო.

ტახტზე რომ ავიდა, გრიგოლ XV სცადა პაპთა ოდინდელი დიდების აღდგენა თავის ოლქში. ხანდაზმულობის გამო პაპს არ შეეძლო სახელმწიფო საქმეები ენერგიულად განეგო, ამიტომ დახმარებისათვის მიმართა სხვას, და მერე ვის? იგნატი ლოიოლას ორდენს. ვატიკანში საგანგებო საბჭო შექმნა, რომელშიც მხოლოდ იეზუიტები შედიოდნენ, თავმჯდომარედ კი დაუნიშნა თავისი საყვარელი ძმისწული ლუდოვიკო ლუდოვიზი. ისტორია მეორდება: რა განსხვავებაა ამ შემთხვევაში პაკლე III და გრიგოლ XV შორის? მხოლოდ ის, რომ მათ და მათს საყვარელ ძმისწულებს სახელები სხვადასხვა აქვთ. გაღმერთებული ძმისწული, თუმცა მხოლოდ ოცდამეხუთე გაზაფხულს ითვლიდა, უკვე გამოირჩეოდა ყველა მანკიერებით, რაც რომის სასახლეს ახასიათებდა. მოკლედ, ახალგაზრდა ლუდოვიკო იეზუიტთა ორდენის ღირსეული მოწაფე გამოდგა.

პირველად მისმა უწმინდესობამ გადაწყვიტა ევროპაში თავისი ძლიერების აღდგენა. საზღვარგარეთის ელჩების ზეგავლენის შიშით გამოსცა დეკრეტი, რაც კარდინალებს ავალებდა სხდომებზე ხმა მიეცათ არა აშკარა, არამედ ფარული კენჭისყრით.

საბჭოს მთელი გულისყური მიმართული იყო იქითკენ, რომ მთელს ევროპაში ერთი რწმენის, ერთი ფანატიკური დოგმის, ერთი პარტიის ბრძა თაყვანისცემა და მორჩილება დაენერგათ, რაც თავისთავად კრეტინიზმისა და ძალადობის საძირკველს ქმნიდა. რელიგიური ცეცხლი იმ დროისათვის საგრძნობლად განელდა, ამიტომ იეზუიტებს ახალი კოცონი უნდა შეენთოთ ევროპის ხალხებისათვის. ამავე მიზნით გრიგოლ XV მოახდინა მრავალი ახალი მოწამის კანონიზაცია, მათ შორის წმინდანად გამოაცხადა ნეტარი იგნატი ლოიოლა, რომელიც, რასაკვირველია, ყველაზე მეტად იმსახურებს წმინდანის შარავანდედს, მაგრამ გრიგოლ მეთორმეტემდე თვით ყველაზე უფრო პირშავმა პაპებმაც კი ვერ შეუმოსეს შუბლი ამ სამკაულით!

საყოველთაო რბევ

ამ დროისათვის წმინდა ტახტის სალარო ისევ საბოლოოდ მდგომარეობაში იყო, ამიტომ ცბიერმა გრიგოლ XV საზეიმო ეუ-

ბილე გამოაცხადა, რათა ჯერ ერთი, თავისი ხაზინა შეევსო, მეორეც, რათა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის რელიგიური ტემპერატურა მოესინჯა.

ამ პოლიტიკურ-ფინანსიური ხრიკის უზარმაზარმა წარმატებამ ბებერ ლორს დაუმოწმა, რომ კათოლიკურ სამყაროში საქმე რიგზე ყოფილა. გერმანელი მთავრები არა თუ წინააღმდეგობას არ უწევდნენ ინდულგენციებით ვაჭრობას, არამედ მხურვალედაც უჭერდნენ მხარს პაპობას, რითაც დიდი ლუთერის სახელს არცხვენდნენ. ავსტრიის იმპერატორი უდიდესი თავგამოდებით შეუდგა ლუთერანობის ამოძირკვას.

„საფრანგეთშიც კი, — მოგვითხრობს ისტორიკოსი, — პაპის ავტორიტეტზე უკვე აღარავინ დავობდა. იეზუიტები ისევ შეუდგნენ თავიანთ ძირგამომთხრელ მუშაობას, წვავდნენ პროტესტანტულ ტაძრებს, ცეცხლითა და მახვილით დევნიდნენ ჰუგენოტებს". უღმერთო პაპებს პირდაპირ ღმერთი სწყალობდა!

შვეიცარიაში იეზუიტების სანერგეში გაზრდილმა ძაღლმა დამნაშავეთა ბანდა შეკრა, უბედურ კალვინისტებს მუსრს ავლებდა. როგორც ნადირებს, ისე სდევნიდნენ ყველგან: ალპებში თუ ხეობებში. ფანატიკოსები აწყობდნენ რბევას ტიროლში და ყველგან. ქალაქები, სოფლები, უბადრუკი ქოხმახებიც კი ცეცხლის ალში იყო გახვეული. გზები, ველური მიდამოები, ხეობები — მთელი ქვეყანა რეფორმატორთა სისხლით იყო მორწყული. შხამიანი იეზუიტური ჭირის ბაცილები გაუჯდნენ ევროპის სხეულს.

რეაქციამ ყველა კათოლიკურ ქვეყანაში უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია. ისეთი პაპის ხელში, რომელიც გრიგოლ XV იყო, აღარ უშინდოდათ, რომ რომის წმინდა ტახტი თავისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან გაუშვებდა.

მისმა უწმინდესობამ პროპაგანდის კონგრეგაცია შექმნა. ბოროტ ძალას ძალიან ხშირად ჰქონია წარმატება. სიდამპლის დიდება და პროპაგანდა მუდმ ჭირივით ვრცელდებოდა და ცეცხლივით ედებოდა ქვეყნებს. პაპის აგიტატორები თავიანთ მისიას ნერგავდნენ ქვეყნის ყოველ მხარეში, ამ ერთი უსაშველო ჭირით უნდოდათ მთელი პოფლიო მოეწამლათ. შემდეგ პაპმა კავშირი შეკრა კათოლიკურ სახელმწიფოებთან, კერძოდ ფერდინანდ მეორესთან, რომელსაც თავისი ნუნციუსის კარლ კარაფას საშუალებით სამხედრო

სუბსიდიები შეაძლია, უმდიდრესი საჩუქარი უძღვნა — ორასი ათასი ეკიუ, მრავალი ინდულგენცია და დაპირება. ფერდინანდი კი რეფორმატორებთან ბრძოლაში დახმარებას დაჰპირდა.

ქრისტეს მოწყალე მოადგილის ძღვენი უაღრესად მომხიბლავი იყო: ინდულგენცია, საიმედო ადგილი საიქიოში და დამატებით წმინდა მამის ლოცვა-კურთხევა! ვინ არ შეცდებოდა ასეთი რამის წინაშე? ავსტრიის მონარქსაც ბევრი არ უფიქრია, ან სადა ჰქონდა ფიქრის ტვინი, მაშინვე მოაწერა ხელი გარიგებას.

„როგორც კი პაქტი შეიკრა, — დასძენს ისტორიკოსი, — დომინიკანელთა, ავგუსტინელთა, ფრანცისკანელთა, კარმელიტების და იეზუიტების მთელი შავი ურდოები დაიძრნენ და კარაფას დროშის ქვეშ დადგნენ, რათა თავს დასხმოდნენ ბოჰემიას, დაენგრიათ ლუთერანელთა და კალვინისტების ტაძრები, აღედგინათ იქ რომის ეკლესიის წესები — ერთი სახის ზიარება, ღვთისმსახურება ლათინურ ენაზე, ნაკურთხი წყლის მოსხურება, საიდუმლო აღსარება. იმ უბედურებს, რომლებიც ორი სახის ზიარებას იცავდნენ, ქვის ტომრებში სვამდნენ და კოცონზე გზავნიდნენ, მათს ქონებას კი კონფისკაციას უკეთებდნენ ეკლესიის სასარგებლოდ — პაპისა და კარდინალების ღორული სტომაქის გასახეთქად!

პროტესტანტების სახლებს ალყას არტყამდნენ. ჯარისკაცები და ბერები სოფლებში საყოველთაო რბევა-აწიოკებას აწყობდნენ, წვავდნენ ფერმებს, გუდავდნენ მიწის მუშებს, ნამუსს ხდიდნენ ქალიშვილებს, ბილწავდნენ პატარა ბავშვებს, იწყალებდნენ მხოლოდ იმას, ვინც თავს კათოლიკად გამოაცხადებდა, და ისიც არა ყოველთვის. ასეთი ბარბაროსული მეთოდების წყალობით კარაფამ შესძლო მოკლე ხანში მისი უწმინდესობისათვის მოეხსენებინა, რომ მთელი ბოჰემია ტახტის მარჩილია“.

მორავიაში, ავსტრიაში, უნგრეთში, ბავარიაში, საქსონიაში, პფალცსა და ბადენში — მოკლედ, წმინდა რომის იმპერიის ყოველ მხარეში კათოლიკურ რეაქციას განუზომელი სისხლიანი ბოროტ-მოქმედება რჩებოდა თავის საზიზღარ ჯოჯოხეთურ ნატერფალზე.

და რაღა თქმა უნდა, მთელი ეს გმირობა ხდებოდა ღმერთის, მშვიდობისა და სათნოების სახელით!

● კათოლიკე ბანდიტების დიდმა ატამანმა ღირსეულად დაასაჩუქრა კეთილი სამსახურისათვის გერმანელი ჰერცოგები, რომელთაც რომის ეკლესიას სარგებლობა მოუტანეს.

შემდეგ გრიგოლმა საფრანგეთის მეფეს მიმართა თხოვნით, წმინდა ტახტის ინტერესებს ცოტა შენც მოემსახურეო. მწუხარე ბატონმა და ჩლუნგმა ფანატიკოსმა პაპის წერილი ისეთი მოწიწებით მიიღო, როგრც რეგვენ ლაქიას შეეფერება, ხალისით გამოეხმაურა და დაჰპირდა, ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი მის უწმინდესობას ესიამოვნებაო.

სამეფოში შეუპოვარი ომი გაჩაღდა კალვინისტების ასაკლებად: ერთიმეორის მიყოლებით დაკარგეს ყველა შეღავათი, რაც ამდენი მსხვერპლის ფასად ჰქონდათ მოპოვებული. უკვე აღარა ჰქონდათ უფლება ან შეკრებილიყვნენ, ან თავი დაეცვათ, ასე რომ ნებაყოფილობით უნდა ეთქვათ უარი კალვინისტურ რწმენაზე. დიდგვაროვანმა პროტესტანტებმა თვითონვე განუცხადეს მეფეს თანადგომა და კათოლიციზმზე გადავიდნენ, რათა სანუკვარი ხარისხები და ორდენები მიეღოთ და შეენარჩუნებინათ ის პრივილეგიები, რომელთაც წარჩინებულთა კასტას საშუალო წოდება ედავებოდა.

პაპს პირდაპირ ჯალათის გული აუჩვილა ლენჩისა და უნიათო ლუდოვიკო XIII ასეთმა ერთგულებამ და ასეთი გამოთქმებით ასიამოვნა: „კეთილო შვილო ჩემო, სამყაროს სამკაულო, ჩვენი საუკუნის დიდებავ, იარეთ მარად წმინდა ბილიკით. აგრძნობინეთ თქვენი ხელის ძალა ყველას, ვინც ღმერთი აო იცის. ნუ გამოიჩენთ ლმობიერებას ერეტიკოსების მიმართ და ეცადეთ მოიპოვოთ უფლება, რომ ოდესმე იესო ქრისტეს ხელმარჯვნივ დაიკავოთ ადგილი, მსხვერპლად მიუძღვნათ ყველა ანტიქრისტე, რომლებიც თქვენს სამეფოს წამლავენ“.

საკითხავია, ეს ფარისეველი ობობა და მისი გვირგვინოსანი ყმა, ერთიმეორეს რომ ეკურკურებიან, თავიანთი ამონასუნთქით ხომ აო წამლავენ მთელს მსოფლიოს, სადაც ამ შხამისაგან ერეტიკოსებიც იგუდებიან და გულუბრყვილო კათოლიკებიც?

რეფორმაციის საქმეს უმუხთლა არა მარტო საფრანგეთის დიდკაცობამ, და მისმა უტკინო მეფემ, არამედ მთელი პროტესტანტული სამყაროს ზედა ფენამ, რომელმაც თავის რწმენას ზურგი აქცია, უსაზღვროდ დაშინებულმა თავისუფლების იდეით, რაც დიდებულთა უფლება-პრივილეგიებსა და არსებობას ემუქრებოდა.

პაპობას მსოლოდ ინგლისის დაჩოქება დარჩა. მაგრამ ასეთი რთული ამოცანის შესასრულებლად ცბიერმა გრიგოლ XV ძალის პოლიტიკას მშვიდობიანი ოპერაცია ამჯობინა, რადგან იცოდა, რომ სატანის მეუფებას სრუტეების გადალახვა უჭირდა და ბრიტანელებს იოლად ვერ გააბრიყვებდა. მოლაპარაკება გამართა ინგლისის მეფესთან, ამასთან გაითვალისწინა, რომ ამ უკანასკნელს ძალიან უნდოდა თავისი შვილისათვის ესპანეთის პრინცესა შეერთო, მაგრამ პავლე V ყოველთვის ხელს უშლიდა. გრიგოლმა ინგლისის მეფეს ქორწინების ნებართვის ბულა შეაჩეჩა, არავითარი სამაგიერო პირობა არ მოუთხოვია, დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ახალგაზრდა პრინცს უთხრა: „იმედი მაქვს ვიხილო თქვენს გულში ხელახლა აღმოცენებული სარწმუნოების ძველი თესლი, რომელსაც ინგლისის მეფეთა შორის ეგზომ მშვენიერი ყვავილები მოუცია, და კათოლიკე ქალიშვილთან კავშირი მიმაჩნია ბედნიერ ნიშნად რომის ეკლესიისათვის".

იაკობ I გულგრილი ხომ ვერ დარჩებოდა ეგზომ თავაზიანი წმინდა მამის ქამელეონურად ჩატკბილებული სიტყვის წინაშე, და საგანგებო ბრძანებით დართო ნება კათოლიკებს ინგლისში სრულიად თავისუფალი ღვთისმომსახურებისა.

ამრიგად, გრიგოლ XV ბედმა გაუღიმა, მთელს ევროპაში ასე იოლად დანერგა დავისი შავბნელი ბატონობა. მაგრამ მისი გაუმაძღარი პატივმოყვარეობა არც ამით დაკმაყოფილდა — მთელი მსოფლიოს დაპყრობა მოიწადინა, ამ მიზნით შავი ლაშქრის ურდოები დააგზავნა ორივე ამერიკის, ინდოეთის, იაპონიის, აზიისა და აფრიკის დასაპყრობად. ასე შორს არც ერთ კათოლიკურ რვაფეხას არ გაუწვდია თავისი შხამიანი საცეცები.

ყველასათვის ცნობილია, რა ბარბაროსული საშუალებით იბრძოდნენ ძველსა თუ ახალ ქვეყანაში იგნატი ლოიოლას წყეული შვილები, ცივსისხლიანთა სიყვარულით მომადლებულნი და ღვთის სახელით მოვაჭრენი. ვიდრე თავს გაუჩეჩქვავდნენ, ეს ასპიტი

ყველგან გესლავდა ყველა მოდგმის ხალხს და ცოდვის კითხვას ატრიალებდა ქვეყნის ყველა მხარეში.

მღვდელმთავრის უკანასკნელი გეგმა

● იტალიის რესპუბლიკები სერიოზულად იყვნენ შეშფოთებული ავსტრიის მონარქიის ძლიერებით, დამოუკიდებლობის დაკარგვისა შეეშინდათ და საფრანგეთის მეფეს სთხოვეს დახმარება.

მღვდელმთავარი უკვე ოცნებობდა ამ სიტუაციიდან სარგებლობის მიღებაზე, მაგრამ სიკვდილმა შეაჩერა მისი გეგმების განხორციელება და ხალხების საბედნიეროდ ეკლესიას გამოსტაცა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მარჯვე პოლიტიკოსი, რომელსაც კი ოდესმე წმინდა პეტრეს კათედრა სჭერია.

ეს მოხდა 1623 წლის 8 ივლისს.

ურბან VIII

● ძლივს მოასწრეს განსვენებულ გრიგოლ XV გვამის სამარეში ჩაშვება, რომ დაიწყო ვნებათა გაშმაგებული ჭიდილი. ყოველი სროვა ლამობდა ტახტზე თავისი კანდიდატის აყვანას, ადგილი კი ერთი იყო. სხვა მაძიებელთა შორის თავისი თავხედობითა და საბრძოლო განწყობილებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა კარდინალი ბარბერინო, რომელსაც, ამის მიუხედავად, კონკლავის თითქმის ყველა წევრი უარყოფდა. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ტახტის ხელში ჩაგდება ჰქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ ბარბერინომ მთელი კონკლავი ტერორის ქვეშ დააყენა.

„მისი ბრძანებით, — მოგვითხრობს ლაშატრი, — მისმა ძმებმა და ძმისშვილებმა ბანდიტების რაზმი შეაკოწიწეს, გარეუბნების მოსახლეობა გადაიბირეს, აჯანყება მოაწყვეს და კარდინალები აიძულეს ვატიკანში ჩაკეტილიყვნენ და თავი ქვემეხებითა და მუშკეტებით დაეცვათ. როცა კარდინალები კონკლავზე შეიკრიბ-

ნენ, ბარბერინოც მათ შორის დაჯდა, აქაო და მე არაფერი ვიციო. ჯერ დიდის მოთმინებით მოისმინა პაპის ტახტის კანდიდატების სიტყვა, შემდეგ სიტყვა აიღო და წმინდა კოლეგიას დაუწყო მტკიცება, ენერგიული კაცი აირჩიეთო, რომის მოსახლეობაში შფოთსა და უწესობას რომ ბოლოს მოუღებსო. არც კი დაუფარავს, ერთგვარი ზეგავლენა მაქვსო არეულობის მოთავეებზე, და ცინკურად განაცხადა, ყოველგვარ არეულობას ბოლო მოეღება, როგორც კი თავზე წმინდა ტიარას დამახურავთო. ამ დეკლარაციამ არა თუ მისი სასარგებლო ხმების რიცხვი არ გაზარდა, არამედ ერთიანი პროტესტიც გამოიწვია. ბარბერინოს წარბიც არ შეუხრია, ბრძოლის ველი არ მიუტოვებია; ის კი არა, კიდევ უფრო ენერგიული საქმიანობა გააჩაღა, ბანდიტებს ფარული ინსტრუქციები გაუგზავნა, ცეცხლით და მახვილით იმოქმედეთ, სისხლი დაღვარეთო. მისი ბრძანება ზუსტად იქნა შესრულებული, ასე რომ მარადიული ქალაქი საზიზღარი მხეცობის ასპარეზად იქცა.

კარდინალის დაქირავებული არამზადები ახრჩობდნენ მოხუცებსა და ბავშვებს, ნამუსსა ხდიდნენ ქალებსა და ქალიშვილებს, უსაძაგლესი სახით ბილწავდნენ და რყვნიდნენ მათს გვამებს. ხოცვა-ყლეტით რომ გული იჯერეს, ქალაქის ქუჩებში ჩირაღდნებით სირბილი მოიგონეს, წმინდა ანგელოზის ციხის ზღუდესთან გაჩერდნენ და მრისხანე ხმით იმუქრებოდნენ: „ან სიკვდილი და ხანძარი, ან პაპი ბარბერინო!“

ეს წამოძახილები კარდინალებს ესმათ და თავზარი დაეცათ. არჩევნები გრძელდებოდა, მაგრამ ბარბერინოს სახელი ურნიდან არ გამოჩნდა და არა. მაშინ კარდინალებმა თავზარდამცემი ამბავი შენიშნეს: კონკლავის წევრთა რიცხვი ყოველდღიურად მცირდებოდა. ამისი მიზეზი იყო სიკვდილი ან ავადმყოფობა, რის შედეგადაც ქრებოდნენ სწორედ ის კარდინალები, რომლებიც ყველაზე უფრო თავგამოდებით იბრძოდნენ ბოროტმოქმედი მხეცის ბარბერინოს წინააღმდეგ. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მტრებს ეს შხამიანი გველი საწამლავის საშუალებით იცილებდა თავიდან. ამ დღიდან ყოველგვარი წინააღმდეგობა შეწყდა, და კარდინალი ბარბერინო პაპი გახდა ურბან VIII სახელწოდებით“. ამ არამზადამ არამზადებს შორის, თავის არჩევამდე რომ მეტი უბედურება დაატეხა ქვეყანას, ვიდრე ბევრმა მისებრ ურჩხულმა — არჩევის შემ-

დეგ, მთელი ოცდაერთი წელი გაძლო წმინდა ტახტზე და მხოლოდ კარდინალმა რიშელიემ ასწავლა ჭკუა.

თავისი ბანდიტური ხრიკით ფლორენციელმა მათეო ბარბერინომ, სულით და ხორცით ბარბაროსმა, დაამტკიცა, რომ ნამდვილად ღირსია პაპობისა.

ბარბერინო წარჩინებული ოჯახის შვილი იყო. პირველად სამოციქულო პალატის დიაკვნად მუშაობდა, შემდეგ წმინდა ტახტის ნუნციუსად საფრანგეთის სამეფო კარზე. მოციქულის ტახტზე ასვლის წინ ურბანს ორმოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდა, მაგრამ უნაკლო ჯანმრთელობა და რკინის აღნაგობა ჰქონდა. მოკლედ, ძირმაგარაანთ გვარისა იყო, და ყველა სიამე ხელთა ჰქონდა.

პავლე V მაგალითს მიჰყვა, ტახტზე ასვლისთანავე უპირველეს ყოვლისა თავისი ძმები და ძმისწულები დანიშნა ყველა სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე. შემდეგ უაღრესი გულმოდგინებით მოაგვარა წმინდანთა კულტის საკითხი. მერე უნდოდა რელიგიური პროპაგანდა განეგრძო, მისმა პატივმოყვარე წინამორბედებმა რომ წამოიწყეს. მაგრამ ჯერ ურბანმა, იმდენადვე ეჭვიანმა, რამდენადაც სასტიკმა, თავისი ჯანმაგარი გვამის დაცვა ამჯობინა ყველგვარი თავდასხმისაგან, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრებისაგან. ამიტომ წმინდა ქალაქი ნამდვილ სამხედრო ბანაკად აქცია. სამწუხაროდ, ქვეყნად უფრო ხშირად ბოროტი ძალა იმარჯვებდა და ზეიმობდა ხოლმე, ამიტომ აქაც ორი ათული წელი იპარპაშა ტიაროსანმა ბანდიტმა, როცა ათასში ერთხელ შემთხვევით არჩეულ ჰუმანურ და სამართლიან პაპთა პონტიფიკატი სულ დღეობით ან კვირაობით გრძელდებოდა, მერე, კი, როგორც წესი, კლავდნენ ხოლმე.

საკუთარი დიდების სულელური შეგნებით დაბრმავებული ურბან VIII ვერც შეპასუხებას ითმენდა, ვერც რჩევას. წმინდა კოლეგია იშვიათ შემთხვევაში თუ შეიკრიბებოდა. კარდინალები ერთმეორეს არ აცლიდნენ ბოროტი პაპის სიტყვის ტაშით დაჯილდოებას და უდრტვინველად ასრულებდნენ მის ბრძანებებს. ზუსტად ასეთ მოქცევას ითხოვდა პაპი უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩებისაგან. ერთხელ, როცა რომელიღაც მეფის ელჩმა ძველ პაპთა კონსტიტუცია მოიგონა, წმინდა მამამ მკვახედ შეაწყვეტინა: „ჩემს გადაწყვეტილებას მეტი წონა აქვს, ვიდრე ორასი მკვდარი პაპის კანონს“.

ჭეშმარიტად, ეშსანიშავი პიროვნებაა! არც წინამორბედთა კანონებს ცსობს, არც უცხო ქვეყნებს, არც ცოცხლებს, არც მკვდრებს. მაღლა ღმერთია, დაბლა ურბან VIII.

მაგრამ ამ აულაგმავმა და ულმობელმა, ქედმაღალმა და საზარლობამდე თავხედმა პაპმა რიშელიეს სახით ნახა მმართველი, რომელიც კარდინალი და ყოვლის შემძლე მინისტრი გახდა და დადებული ფიცის თანახმად გაატარა პოლიტიკა, სრულიად საწინააღმდეგო იმისა, რასაც წმინდა ტახტი ატარებდა. მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო, ისე გამოვიდა.

ისე კი ორივე, ღვთის წინაშე, მარჯვე მხეცი იყო.

წმინდა მამის პოლიტიკა

ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის ომის მსვლელობაში მისი უწმინდესობა ლუდოვიკო მეცამეტის მინისტრივით იქცეოდა: ხან კათოლიკებს ეხმარებოდა, ხან პროტესტანტებს. ბოლოს ფერდინანდ მეორემ, აქამდე რომის კარის ერთგულმა იმპერატორმა, მაღალ მთიანი იტალიისაკენ ხელის გაწვდენა გაბედა. პაპმა გუსტავ ადოლფს მიმართა, პროტესტანტების მფარველს, დახმარება სთხოვა.

განრისხებულმა ფერდინანდ II მღვდელმთავარი გააფრთხილა: „როგორც კი გუსტავ ადოლფსა და მის ოცდაათი ათას ერეტიკოსს გერმანიიდან გავრეკავ, წმინდა ტახტთან მექნება საქმეო". ურბან VIII ლაკონიური პასუხით დაკმაყოფილდა: „ოცდაათი ათასი ბერძენი მოლაშქრით ალექსანდრემ მსოფლიო დაიპყრო". პასუხი არაა მოკლებული მახვილგონიერებას.

მაგრამ შვეციის მეფესთან კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან მისი უწმინდესობა დაინტერესებული იყო სულაც არა ავსტრიის სამეფო გვარის განადგურებით, არამედ მისი მხოლოდ დასუსტებით, რადგან ამას უსათუოდ მოჰყვებოდა კათოლიციზმის განადგურებაც. თავისი შეცდომა რომ შეიგნო, პაპმა ინტრიგები წამოიწყო გუსტავ-ადოლფის წინააღმდეგ, ფერდინანდთან კავშირი გნაახლა და შვეციის არმიის გეგმები გაანდო. მოკავშირეც ასეთი უნდა! ურბანმა იმპერატორი დაარწმუნა, რომ მთავარსარდლობა ვალენშტაინისათვის მიენდო, მისი აზრით ერთადერთი სარდლისათვის,

რომელიც შვედების ძლევამოსილ მეფეს სძლევდა. არც ეს შორსმჭვრეტელობა იყო მახვილგონიერებას მოკლებული. სამწუხაროდ, შვეციის მამაცი მეფე, პროტესტანტიზმის დაუღალავი ქომაგი გუსტავ-ადოლფი ავსტრიის იმპერატორის ჯარებთან ბრძოლაში დაიღუპა ლუცენთან (1632 წ.).

ურბან VIII ჩინებულად იცოდა, რომ რეფორმაციამ თავისი მთავარი სვეტი დაკარგა და უკვე აგრერიგად აღარ აღელვებდა შვედებისა და ფერდინანდ მეორის ბრძოლის შედეგი. გარდა ამისა, ომი სწორედ მის სასარგებლოდ წარძოებდა, რადგან ვიდრე ავსტრიის სამეფო კარი ასეთ მძიმე ომში იყო ჩაბმული, თვითონ არხეინად შეეძლო განეგო იტალიის სამთავროების ბედი.

საეკლესიო საქმეებს რომ განაგებდა, მღვდელმთავარი არც საკუთარი ოჯახის საქმეებს ივიწყებდა. მისი ძმისწულების გულმოდგინებით მოგროვილმა თანხამ გვარიანი მრგვალი ციფრი შეადგინა: ხუთასი მილიონი ეკიუ! ამაში არ შედის ის ფული, რაც დაეხარჯათ სასახლეების, ადგილმამულების, ოქროს და ვერცხლის ჭურჭლის, ძვირფასი თვლების, ხელოვნების ნაწარმოებთა შეძენისათვის.

წმინდა მამის სიყვარულით გამთბარი გულის წყალობით ნეპოტიზმმა არაჩვეულებრივ გაქანებას მიაღწია.

ეკლესია დევნის გენიას

● თავისი ნათესავებისათვის უაღრესად მზრუნველი ურბან VIII არც მისი ნებით დაყენებულებს ივიწყებდა, არც ნაცნობ-მეგობრებს, ბრწყინვალე სამრევლოებს აძლევდა. მფარველობას უცხადებდა უბადრუკ მლიქვნელებს, და იმავე დროს გაშმაგებით დევნიდა დიდ მეცნიერებს. სახელგანთქმული გალილეო გალილეი იყო ერთი იმათგანი, რომელთაც განსაკუთრებული გამძვინვარებით ებრძოდა. ძალუმი გენიის აღმოჩენილი დიადი ჭეშმარიტებით დაშინებულმა ზიზღისმომგვრელმა, სამგზის წყეულმა ბილწმა ურბან მერვემ თვითონ გაგზავნა მისი შრომა ინკვიზიციის ტრიბუნალში, და სამოცდაათი წლის გალილეი, რომლის ჯამნრთელობა შერყეული იყო, გულქვა ჯალათთა სამსჯავროზე წარდგა.

„მე რომში ჩამოვედი, — წერდა დიდი სწავლული ერთ-ერთ წერილში, —1633 წლის 10 თებერვალს და ვენდე მოწყალე წმინდა ინკვიზიციასა და წმინდა მამას, რომლისთვისაც მე არაფრით არ ვიყავი საინტერესო, რადგან არ შემეძლო ეპიგრამებისა და სასიყვარულო სონეტების შეთხზვა. ჯერ სამების ციხეში ჩამაგდეს მთაზე, მეორე დღეს კი ინკვიზიციის კომისარი მესტუმრა და თავისი ეტლით წამიყვანა.

გზად რაღაც შეკითხვებს მაძლევდა და გამოთქვა სურვილი, რომ შემეწყვიტა სკანდალი, გამოწვეული იტალიაში ჩემი აღმოჩენით, დედამიწის მოძრაობის შესახებ. ყველა მათემატიკურ მტკიცებაზე რაც შემეძლო მისთვის დამეპირისპირებინა, პასუხს მაძლევდა წმინდა წერილის სიტყვებით: „მიწა იყო და იქნება უძრავი უკუნეთი უკუნისამდე“.

ასეთი საუბრით ჩავედით წმინდა ინკვიზიციის სასახლეში. მე წარვდექი კონგრეგაციის წინაშე, რომელიც დანიშნული იყო არა იმისათვის, რომ გავესამართლებინე, არამედ იმისათვის, რომ დავესაჯე. მე ჩემი არგუმენტები გადმოვულაგე, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩამიარა, ვერაფერი გავაგებინე. ყველა საბუთზე პასუხს მაძლევდნეს საღვთო წერილის ტექსტით, რაც იესო ნავინის სასწაულს ეხება. მეც ჩემის მხრივ დავიმოწმე დაბადების ეს გაურკვეველი სიტყვები, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ „ზეცა მყარია, კრიალა, მსგავსად ბრინჯაოს სარკისა“. ვცდილობდი დამემტკიცებინა წერილის პირდაპირი გაგების უაზრობა: ასეთი ახსნა ხომ ხალხებს უმეცრების ღრმა ჭაობში ახრჩობს.

ამის პასუხად ლანძღვა-გინებით ამიკლეს“.

30 აპრილს დებატები დასრულდა. გალილეი დილეგში ჩააგდეს, ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვით დაღდასმულმა აღიარა, რომ მისი თხზულება „აღსავსეა საზიზღარი სიცრუით“.

30 ივნისს უბედური ბერიკაცი წარუდგა საძაგელ ტრიბუნალს, სადაც გავარვარებული შანთებით წამების შემდეგ უარჰყო თავისი მოძღვრება. სახელგანთქმულმა მეცნიერმა მუხლები მოიყარა თავისი მოსამართლეების წინაშე, ხელი სახარებაზე დადო, თავი დახარა და შემდეგი სიტყვები თქვა: „მე, გალილეო გალილეი, ფლორენციელი, სამოცდაათი წლისა, მუხლებს ვიყრი თქვენი მაღალმა-

ტებულებების, ღირსპატივცემული კარდინალების, გენერალური ინკვიზიტორების წინაშე, ერეტიკულ ბოროტებას რომ ებრძვით მთელს სამყაროში ქრისტიანული რესპუბლიკის სახელით, დავცქერი წმინდა სახარებას, რომელსაც ხელით ვეხები, და ვფიცავ, რომ ყოველთვის მწამდა, ახლაც მწამს და ღვთის შეწევნით ამიერიდანაც ვიწამებ იმას, რასაც თვლის ჭეშმარიტებად, ქადაგებს და მასწავლის წმინდა კათოლიკური და მოციქულის ეკლესია... მე გამასამართლეს, როგორც ერესში ეჭვმიტანილი, იმისათვის, რომ ვამტკიცებდი და მწამდა, თითქოს მზე იყოს სამყაროს უძრავი ცენტრი, თითქოს დედამიწა არ იყოს სამყაროს ცენტრი და მოძრაობდეს. აი, რატომაა, რომ თქვენს უსამღვდელოებათა და ყოველი კათოლიკე ქრისტიანის გონებიდან გვინდა გავფანტოთ ეგზომ მძიმე ეჭვი, რომლის სისწორეს ვაღიარებ, და გულწრფელად, არა თუ მოჩვენებითი რწმენით, უარვყოფ, ვწყევლი ნაჩვენებ დაბნეულობასა და ერეხს...“

არსებობს ლეგენდა: უარყოფის შემდეგ მეცნიერი წელში გაიმართა, ფეხი იატაკზე დაჰკრა და შესძახაო: „დედამიწა კი მაინც ბრუნავს!“

სამღვდელოება სრულიად კმაყოფილი იყო ასეთი უარყოფით, რაც ვერ გამოჰგლიჯეს ჯორდანო ბრუნოს სამი ათეული წლის წინ. ინკვიზიციამ მხეცური ძალადობით გამოსტაცა მეცნიერს ჭეშმარიტების უარყოფა, და ამ ნაძალადევმა წარმატებამ მაინც არ შეუშალა ხელი შური ეძია: მოხუცი მეცნიერი ერთხანს საპატიმროში ჰყავდათ, შემდეგ კი მისი გარდაცვალების დღემდე (1642 წ.) წმინდა ინკვიზიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

აი, როგორ დაასაჩუქრეს საზიზღარმა ურბან VIII და მისმა ღირსეულმა თანამოლაშქრე ძაღლებმა უკვდავი გენია!

ცრუმორწმუნეობის მსხვერპლნი

● იმ დროს, როცა იტალიაში წმინდა ტახტი დაუნდობლად დევნიდა, კოცონზე წვავდა და აწამებდა დიდ მეცნიერებს მათი დიადი აღმოჩენებისა და უმეცრებასთან ბრძოლისათვის, სამეფო ხელის-

უფლება საფრანგეთში კოცონზე გზავნიდა ერესში ბრალდებულ ადამიანებს. ჯადოქრების აბსურდული ბრალდებით წვავდნენ მათ, ვისაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებად თვლიდნენ, ან აურაცხელი ქონება თავზე გადასდიოდა და ნებით არ სურდა დაეთმო.

ლუდოვიკო XIII მინისტრი და ფაქტიური ბატონი, კარდინალი რიშელიე ხშირად მიმართავდა ამ მეთოდს არასასურველი ადამიანების მოსაცილებლად — მათი ქონების დასაკუთრების მიზნით.

მისი წაქეზებით იგნატი ლოიოლას მიმდევრები ხალისით ავრცელებდნენ ყოვლად სულელურ არაკებს ჯადოქრებსა და კუდიანებზე, და ხალხი, რომელიც ხშირად დღესაც კი ასეთი ხალისით იჯერებს ათასგვარ აბდაუბდას ზებუნებრივი ძალების შესახებ, ისე აჰყვა ცრუ წმინდანებსა და უბადრუკ შარლატანებს, რომ ყველას პირზე მაგია და ჯადოქრობა ეკერა. ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა საფრანგეთში ღვარძლიან რიშელიეს ამ „პაპური" ხრიკის წყალობით, ე. წ. ჯადოქრობის პროცესების განაჩენით.

მის უბრიყვესობას ლუდოვიკო XIII სიკვდილის დღემდე აკანკალებდა შიში უწმინდური სულისა, ასე რომ მთელი თავისი სამეფო საგანგებო ბრძანებულებით ჩააბარა ღვთისშობლის მზრუნველობას. აბა რა გასაკვირია, რომ ასეთ კრეტინსა და მის ბედშავ სამეფოს კარდინალი რიშელიე განაგებდა! ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ საგანგებოდ ვაბარებთ ჩვენს პერსონალს, ჩვენს სკიპტრას, დიადემას და ყველა ქვეშევრდომს ნეტარ, უწყინარ, ყოვლად სათნო ღვთისმშობელს, რომელსაც საფრანგეთის სამეფოს სპეციალურ მფარველად ვირჩევთ". ირჩევს! მაგრამ ერთი ამ ქალაჩუნას ვკითხოთ, ღვთისმშობელი თუ ირჩევს ასეთ დამთხვეულს?

კეთილი მამების
დოქტრინა და ზნეობა

● XVII საუკუნეში იეზუიტებმა თავიანთ წესდებაში უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს. რელიგიის პროპაგანდა უკანა პლანზე გადაიტანეს, არც მსოფლიოს დაპყრობისათვის იკლავდნენ თავს, უფრო იმაზე გადავიდნენ, რაც შეიძლება უკეთ შეეფარდებინათ თავიანთი საჭიროებისათვის კათოლიკური დოქტრინა.

არა მარტო შეცვალეს ორდენის წესდება, არამედ არსებითად მიერყვნეს ზოგიერთი დოგმატი. ცოდვის ბუნებისადმი მიძღვნილ შრომებში იეზუიტი ღვთისმეტყველნი ამტკიცებდნენ, რომ „არსებობს მხოლოდ შეგნებული გადახრა ღვთის მცნებებიდან, მაშასადამე ცოდვად ითვლება მხოლოდ შეგნებული და წინასწარგანზრახული დაბნეულობა“.

. დავიმოწმოთ იეზუიტთა მორალის ზოგიერთი ნიმუში:

„დიდ სიკეთედ და უდიდეს წყალობად ითვლება ისა, რომ კაცმა სულაც არ იცოდეს ღმერთი, რადგან ცოდვა-ესაა ღმერთის გმობა, ხოლო რაკი ადამიანმა ვერ შეიცნო ღმერთი, მისთვის აღარც ცოდვა არსებობს, აღარც მარადიული განკიცხვა და სასჯელი. ამრიგად, ათეისტი, თუმცა ღმერთი არა სწამს, სწორედ ამიტომაც უძლურია ჩაიდინოს რაიმე ისეთი მოქმედება, რასაც ეკლესია დაგმობს. სრული უფლებით შეიძლება აგრეთვე არაცოცხალი საგნების თაყვანისცემა, ცხოველებისაც და საკუთარი სხეულის ნაწილებისაც, ნაყოფიერების ორგანოების ჩათვლითაც კი, — იმ საფუძველზე, რომ ეკლესია ნებას იძლევა თაყვანი ვცეთ ღმერთს ყველა მისი ქმნილების სახით.

მაგრამ იმის გამო, რომ ძირს დამხობისა და უსულო საგნების თაყვანისცემისა თუ ამბორყოფის ჟამს შესაძლებელია ცრუმორწმუნედ ჩაგვთვალონ, ეს საჯაროდ არ უნდა გაკეთდეს. ფარული ცოდვა — მიტევებული ცოდვაა“.

„რაკი წარმართები,თავიანთ ღვთაებებს რომ თაყვანსა სცემენ, ნტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ეს კერპები ღვთაებებს გამოხატავენ, ცოდვას არ სჩადიან. შეიძლება კაცმა თაყვანი სცეს პრიაპს ან ვენერას“.

„სასუფევლის დასამკვიდრებლად სულაც არ არის აუცილებელი ყოველთვის გვწამდეს რელიგიური დოგმები და საიდუმლოებანი: საკმარისია თუნდაც ერთი წამით ვიწამოთ, რომ ეს რწმენა მთელს სიცოცხლეში გვეყოს“.

„მესა რომ მოვისმინოთ, საკმარისია ღვთისმსახურებას დავესწროთ. დაფანტულობა, ქარაფშუტული განწყობილება, ვნების აშლა ან ლამაზი ქალების თვალიერება სულაც არ უკარგავს წირვას თავის ფასს“.

„ზოგიერთ გარეგნობაში ქალიშვილს არც თუ ისე დიდ შეცოდებად ეთვლება სასიყვარულო თავგადასავლებში გარევა ქორწინებამდე, არც ქმრის ღალატი და სხვა მამაკაცების მკლავებში ყოფნა ითვლება დიდ ცოდვად. უბიწო სუსანა-წმინდა წერილიდან — არ იყო მართალი, როცა წამოიძახა: „უკეთუ მივიდე და ბერბერთა გულისა ნება ვყო, წარწყმედილ ვიყო.“ რაკი ერთის მხრიდან სირცხვილი ელოდა, მეორე მხრიდან — სიკვდილი, [illegible] ჰქონდა ეთქვა: „მე არა ვარ თანახმა ქმრის ღალატისა, [illegible] არ მეშვებიან, გადავიტან, არავისთან არ გავამხელ, [illegible] და პატიოსნება შევინარჩუნო“.

„გამოუცდელ ახალგაზრდა ქალებსა ჰგონიათ, [illegible] შევინარჩუნებთ, თუ შველას ვითხოვთ და შემცველნელთ [illegible] დებითო. თქვენც არ მომიკვდეთ: ასევე უბიწოებად [illegible] გაჩუმდებიან და მოძალადეს დანებდებიან. ცოდვა [illegible] ტო წინასწარ განზრახული ღალატი. სუსანა [illegible] ჩილებოდა, მათი ვნება დაეცხრო, ოღონდ [illegible] არავითარ ცოდვას არ დაიტეხდა“.

„ახალგაზრდა ქალს ნება ეძლევა ატაროს [illegible] ციელი ვნება გაუღვიძოს მამაკაცებს, ისე რომ [illegible] არ გაიტაროს, შეუძლია ფერუმარილი წაიცხოს. [illegible] იპკუროს, თვალ-მარგალიტით მოირთოს და [illegible] ბუქი სამოსი ატაროს, სიფრიფანა სამოსში [illegible] დეს, სხეულის ნაკვთები გამოერჩეოდეს, და [illegible] კი შეიგრძნობოდეს, თუ მოდა ამას მოითხოვს.

„მამაკაცი ცოდვას არ ჩაიდენს, თუნდაც ბერი ან [illegible] იყოს, თუ გარყვნილების სახლში ივლის, რათა ზნეობა [illegible] დაბნეულ სულებს, თუნდაც ცთუნებას წინააღმდეგობა [illegible] და სიყვარულის ქურუმებთან გულის წადილი აისრულოს. [illegible] ვა, რამაც ის გახრწნილების ტაძარში მიიყვანა, [illegible] ცავს. მოსამსახურეს, რომელიც ლუკმპატრისათვის [illegible] თავის ბატონს, შეუძლია ყველაზე უფრო საზიზღარი [illegible] შეუსრულოს, ისე რომ უფლის წყალობას არ მოიკლებს. [illegible] მოახლე გოგოსაც შეუძლია თავისი ბატონისაგან [illegible] თუ თავს ზიანს არ მოუტანს, ხელი შეუწყოს ქალბატონის სასიყვარულო ინტრიგებს, საყვარლები [illegible] შემოუშვას, ისე რომ მამას ან

ქმარს არაფერი უთხრას, ატაროს სატრფიალო წერილები და სხვა მსგავსი დავალებები შეასრულოს“.

„მეძავს კანონის თანახმად შეუძლია სათანადო გასამრჯელო მოითხოვოს თავისი შრომისათვის, იმ პირობით, რომ ფასს არ აუწევს. იგივე ითქმის ყოველ ქალიშვილზე, რომელიც ფარულად ეწევა პროსტიტუციას“.

„ზოგიერთ შემთხვევაში ქურდობა დანაშაულად არ ითვლება. ქალს ქმრის ზურგს უკან შეუძლია მისი სალაროდან აიღოს იმდენი ფული, რამდენიც ქველი საქმისათვის დასჭირდება. შეუძლია გაქურდოს ქმარი და ფული გამოიყენოს თამაშის, ტუალეტის ან თუნდაც საყვარლებისათვის გადასახდელად, ოღონდ იმ პირობით, რომ ნახევარი ეკლესიას მისცეს. ბავშვებსაც ამავე საფუძველზე უფლება აქვთ გაქურდონ მშობლები, გაიტაცონ და საკუთარი სიამოვნებისათვის დახარჯონ იმდენი თანხა, რამდენის საშუალებაც ექნებათ. მოსამსახურეს შეუძლია გაქურდოს ბატონი, იმ საბაბით, რომ იმდენ გასამრჯელოს ვერ იღებს, რამდენიც ეკუთვნის, ოღონდ ნაწილი მღვდელს უნდა გაუზიაროს. ყველა, ვინც მდიდრებს ისე გაქურდავს, რომ დიდ ზიანს არ მიაყენებს, კანონიერი საკუთრების უფლებით სარგებლობს. თუ მოპარულის ნაწილს წმინდა საქმისათვის გამოიყენებს, თამამად შეუძლია მართმსაჯულებას განუცხადოს, რომ არაფერიც არ მოუპარავს“.

„თუ ადამიანის სინდისი ყალბ ფიცს არ იძლევა, შეუძლია ხმამაღლა ფიცის სიტყვები წარმოთქვას და გულში შეუმჩნევლად გადაასხვაფეროს ფორმულა, ამასთან უცოდველი დარჩეს. მაგალითად, ნაცვლად სიტყვისა „იუცო“, რაც ნიშნავს „ვფიცავ“, შეიძლება თქვა „იცო“, რაც ნიშნავს „ვიწვი“. მაშინ ფიცის მიმცემს ცოდვა ეპატიება. თუ თავს კანონიერად იცავთ და ამ დროს კაცი შემოგაკვდათ, შეგიძლიათ ფიციით თქვათ, რომ არავინაც არ მოგიკლავთ. საამისოდ საკმარისია გუნებაში თქვათ: „თავს რომ არ დამსხმოდა“. თუ ქალთან მამამისმა წაგასწროთ და გაიძულებთ მისი ქალი შეირთოთ, შეგიძლიათ თამამად შეჰფიცოთ და ასე ჩაითქვათ გუნებაში: „თუ მაიძულებენ, ან დროთა მანძილზე შემიყვარდება“.

თუ მოვაჭრეს ძალიან ცოტას აძლევენ საქონელში, შეუძლია ყალბი საწონები გამოიყენოს და მოსამართლის წინაშე ეს უარყოს, ამასთან გულში თქვას:—„მყიდველს ზარალი არ უნახავს“. შეუძლია

ფაქტებიც კი დაასახელოს და ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მიიღოს ფული ყალბი მოწმობისათვის, იმ პირობით, რომ ფულის ნაწილს ეკლესიას მისცემს“.

შეიძლება ფიცის ისე წარმოთქმაც, რომ მთქმელს მისი დაცვის არავითარი განზრახვა არა ჰქონდეს. თუ მოსამართლე ფიცის შესრულებას მოითხოვს, შეიძლება უარის თქმა, თუ წამოიძახებს ფორმულას: „მე არაფერს არ დავპირებივარ“. ამ ხერხის გარეშე შეიძლება ხარჯის გაწევა მოგვიხდეს იქ, სადაც არ გვინდა გადავიხადოთ, ან იმ ქალიშვილის შერთვა, რომელიც არ გვიყვარს“.

„თუ ბერმა იცის, რა საფრთხეშიც ჩავარდება, თუ მრუშობის დროს თავს წაადგებიან, ქალის ოთახში შეიარაღებული შევა და შემოსწრებულ ქმარს თავდაცვის დროს მოკლავს, თავისუფლად შეუძლია განაგრძოს საეკლესიო სამსახურის ფუნქციები. თუ მღვდელმა საკურთხეველთან ეპვიანი ქმრის თავდასხმა განიცადა, შეუძლია დროებით შეწყვიტონ წირვა-ლოცვა, რათა თავდამსხმელი მოკლას, შემდეგ კი სისხლიანი ხელებით დაბრუნდეს წმინდა საკურთხეველთან და ღვთისმსახურება განაგრძოს“.

„ქმარს სასამართლოს განაჩენის გამოსვლამდე უფლება არა აქვს მოკლას ცოლი, მამას კი ასული, თუნდაც მრუშობის დროს ზედ წაუსწრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მომაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენენ, თუნდაც დამნაშავეებმა მათი დასწრებით განაგრძონ თავიანთი საქმიანობა. განაჩენის გამოტანის შემდეგ ქმარსა და მამას შეუძლიათ მოკლან ცოლი ან ასული, რადგან მაშინ განაჩენის თავისუფალ აღმასრულებლად გვევლინებიან. მაშინ ისინი ჯალათები არიან და არა შურისმაძიებელნი“.

„შვილს შეუძლია მოკლას მამა, რათა მემკვიდრეობა ხელში ჩაიგდოს, დედას შეუძლია ისურვოს ასულის სიკვდილი, რათა რჩენა და გამზითვება არ მოუხდეს. მღვდელს შეუძლია თავისი ეპისკოპოსის სიკვდილი ისურვოს, თუ იმედი აქვს, რომ მისი მემკვიდრე გახდება, რადგან სიკეთე საკუთარი თავისთვის უფრო გვინდა, ვიდრე მოყვასისათვის... თუ მთვრალი შვილი მამას მოკლავს, შეუძლია გაიხაროს სამემკვიდროს ხელში ჩაგდებით, და ეს სიხარული ცოდვად არ ჩაეთვლება. შვილს შეუძლია მოკლას მამა, თუ ის დაწყევლილია ან სახელმწიფოს და რელიგიის მტრადაა გამოცხადებული“.

კათოლიკე შვილებმა უნდა დაასმინონ თავიანთი ერეტიკოსი მშობლები, თუნდაც იცოდნენ, რომ ერესში ეჭვმიტანილს სიკვდილი ელის. ხოლო თუ პროტესტანტულ ქვეყნებში ცხოვრობენ, შიშისა და კიცხვის გარეშე ნება ეძლევათ გაგუდონ მშობლები".

ასეთი გახლდათ იეზუიტებისდოქტრინები. გეგონებათ, ან გაგიჟებულან, ან ღმერთს გადასდგომიან, ან საკუთარ თავს დასცინიანო. არც ერთია და არც მეორე. ღალატისა და მკვლელობის აპოლოგია ენებათ და ქადაგებდნენ. საბედნიეროდ, კაცობრიობის აზრი უკვე ემანსიპაციას იწყებდა, და აღარ კმაროდა ადამიანს ანაფორა ეტარებინა, რათა მისი აბდაუბდა მტკიცებანი უდრტვინველად მიეღოთ, როგორც ურყევი ჭეშმარიტებანი.

კრიტიკული თავისუფლების მოყვარე აზრი აღარ იყო განსაკუთრებული მონოპოლია ცალკეული ერუდიტებისა, თანდათანობით ედებოდა ის მასებს, ამიტომაც იეზუიტების დოქტრინამ საკადრისი შეფასება მიიღო.

ბუზენბაუმმა, „მორალური ტრაქტატის" ერთ-ერთმა ავტორთაგანმა, ორი კოლეჯის უფროსობა შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ როგორც მისი „მორალიდან" ჩანს, უაღრესად გახრწნილ ცხოვრებას ეწეოდა. გამოუსწორებელი ლოთი იყო. ამიტომაც დაწერა ალბათ თავის ერთ-ერთ თხზულებაში: „ცოდვად არ ჩაითვლება უზომოდ ბევრის სმა, თუ გონება შეგრჩება და სმას შეწყვეტ მანამდე, ვიდრე შეგეძლება თვითონ სავსე მარხილის გარჩევა ადამიანისაგან".

სახელგანთქმული ესკობარი კიდევ უფრო შორს მიდიოდა, თავის სიტყვებსა და ნაწერებში ამტკიცებდა, მამათმავლობის აქტში არაფერს დასაძრახისს არ ვხედავო!

მამაო ჰიმენიუსი წერდა, სულის საცხონებლად აუცილებელი არ არის წმინდა სამების საიდუმლოს რწმენაო, და დასძენდა: „ქრისტიანული რელიგია ვერ ჩაითვლება რწმენის საგნად, რადგან მერყევია და გაურკვეველი. მეტიც. ვისაც ჰგონია, ეს რელიგია თვალსაჩინოებამდე ჭეშმარიტიაო, თვითონვე იძულებული იქნება აღიაროს, რომ იგივე რელიგია თვალსაჩინოებამდე ყალბია. საიდან ვიცით, რომ ყველა იმ რელიგიას შორის, რაც ოდესმე დედამიწაზე ყოფილა, ქრისტეს რელიგია ყველაზე უფრო მართალი სარწმუნოებაა? იყო თუ არა წინასწარმეტყველთა სიტყვა ღვთის სულისაგან შთა-

გონებული? სიმართლეს შეეფერება თუ არა ის სასწაულები, რომ-ლებიც იესო ქრისტეს მიეწერება? მე საწინააღმდეგოს ვამტკიცებ! მაგრამ არაფერი არ არის დასაგმობი იმაში, რომ უბირი მორწმუნე ხალხი ვაიძულოთ სწამდეს რაღაცა მცდარი. აი, რისთვის ვაღიარებ სახარებას და ყველა წმინდა წიგნს!"

მამაო ტამბურინი დაახლოებით იმავე აზრისა იყო: „რელიგია-ში, ისევე როგორც ყველაფერ სხვაში, ნებადართულია მივდიოთ ხან ერთ, ხან მეორე საალბათო მსჯელობას: შეიძლება ქრისტე-მართლა კაცი გახდა, შესაძლებელია, რომ იუპიტერი ხარად ქცეუ-ლიყო! უნდა მწამდეს თუ არა ესა? დიახ! მისი საწინააღმდეგო აზ-რიც ამდენადვე სარწმუნოა, და მე უფლება მაქვს ისიც ვიწამო".

ამ თეორიების ავტორებს სულაც არ განუზრახავთ „უბირ მორ-წმუნეთა" რწმენა შეერყიათ, თუმცა მათ შესახებ ასეთი აგდების კილოთი ლაპარაკობს მამაო ჰიმენიუსი. ხოლო გონების გასახსნე-ლად იმაზე უფრო საქმიანი რა იქნება, რომ გავიგონოთ აღიარება თვით სასულიერო პირთა, რომელნიც რელიგიას სიცრუედ თვლიან და გადაკრულად ამბობენ, მღვდლები მატყუარები არიანო? ამ მიზნით დავიმოწმეთ ამდენი ჩინებული დებულება იეზუიტთა თხზულებიდან.

ბებერი მამალი და
ორი დედალი

● ურბან VIII საიქიოს 1664 წლის 29 ივლისს წაშავდა. მისი მემ-კვიდრე გახდა პამფილი, ინოკენტი X, რომლის დროსაც პაპის სა-ხელმწიფოს განაგებდა მისი ძმის ქვრივი, „და ისევ დაეპატრონა დედაკაცი იერუსალიმს".

ახალი პაპი გულისამრევად გონჯი და უსახური იყო, თანაც დე-დალი ბატივით სულელი. პორტრეტის დასასრულებლად უნდა და-ვუმატოთ, რომ ის გახლდათ ცრუ, ფლიდი, ცბიერი, ფარისეველი, მხდალი, შურისმაძიებელი, სასტიკი და ძალიან ავხორცი. მოკლედ, იესოს ნამდვილი შეურაცხყოფა! მთელი პონტიფიკატის განმავლო-ბაში ბრმა იარაღად და მორჩილ მონად ჰყავდათ საყვარლებსა და საყვარელ მამაკაცებს. ტახტზე იჯდა გონჯი ფიტულა. იჯდა თითქმის თერთმეტი წელიწადი.

ტახტზე ასვლის წინ მისი მთხვარი საყვარელი იყო ოლიმპია, განსაცვიფრებელ სილამაზის და საოცრად საზრიანი ქალი. მაშინვე ხელთ იგდო მართვის საბავეები, და ინოკენტი სიხარულით აღარ იყო, რომ ყოველდღიური დავიდარაბისაგან თავდახსნილს სულით და ხორცით შეეძლო ეცურა გახრწნილების ჭაობში. მისებრ გონჯს უკანასკნელი მრეცხავიც არ გაიკარებდა, მაგრამ ურბანი პაპი იყო!

ოლიმპია მღვდელმთავრის ერთ-ერთი ძმის ქვრივი იყო, ესე იგი მისი რძალი. მისი და პაპის ურთერთობა არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა — ყველამ იცოდა, რომ ინოკენტი ამ დედაკაცის ჭირვეული ნებისა და ვნების ბრმა მონაა. ტყუილად კი არ ეძახდნენ იოანას პაპესას. სულაც არ სწყინდა და არც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო უთვალავი კარიკატურისა, შაირებისა და ნაკვესებისა, რომში პირიდან პირზე რომ გადადიოდა. მართალია, მღვდელმთავარს უფრო მწარე ისრები ხვდებოდა, ვიდრე მის მშვენიერ საყვარელს.

რომში ჩამოსული უცხოელი ელჩები პირველად ოლიმპიასთან ითხოვდნენ აუდიენციას. მოკრძალებული პატივისცემის ნიშნად, პაპის გამოსახულების გვერდით კარდინალები ყოვლისშემძლე კურტიზანი ქალის პორტრეტს ჰკიდებდნენ. უცხოეთის სასახლეები აშკარად ყიდულობდნენ მის კეთილგანწყობილებასა თუ მფარველობას, და ყველა მთხოვნელი, ვისაც პაპთან საქმე ჰქონდა, აუდიენციას მხოლოდ მას სთხოვდა. იღებდა საჩუქრებსა და ფულად თანხებს, შემდეგ კი მოქმედებდა თავისი ფანტაზიისა თუ თავისი სარგებლიანობის თვალსაზრისით. მოკლე ხანში დიდი ქონების მეპატრონე გახდა.

კარგა ხანს ოჯახის მყუდროებას არაფერი არ არღვევდა. სახელმწიფო საქმეებისაგან რომ მოიცლიდა, ოლიმპია მღვდელმთავარს მეჯლისებს უმართავდა. დაუზარებლად ურჩევდა ფუნთუშა გოგონებსა და კოხტა ბიჭებს, იმავე დროს კი თვითონაც ვნებიანი ალერსით ათრობდა, როცა უნდოდა.

გადამწიფებულ-გადაყრუებულ გონჯის, სამოცდაათი წლის ბეხრეკი ბებრის გასართობთა გამრავალფეროვნებას ისე მოხდენილად ახერხებდა, რომ მღვდელმთავრისთვის ყოველთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. ოლიმპიას კარგად ესმოდა, რომ შემთხვევითი ურთიერთობანი მის ზეგავლენახ ვერ დაემუქრებოდ-

ხეხ. გარკვეულ დრომდე ასედაც იყო. უეცრად კი პაპმა შეიცნო ისეთი სიყვარული, რამაც ყოვლისშემძლე ოლიმპიას ძალაუფლება შეარყია.

აი, როგორ მოხდა ეს.

ინოკენტის თავისი საყვარლისაგან რამდენიმე შვილი ჰყავდა. ტიარა რომ დაიხურა, წინამორბედთა მაგალითისამებრ, თავისი ოჯახის კეთილდღეობისთვისაც იზრუნა: ასულები მდიდარ სენიორებს მიათხოვა, შვილი კამილი კი ადრევე სასულიერო წოდებისათვის გაამწესა. ამ ახალგაზრდა ქარაფშუტა კაცმა, რომლის გონებამ მამის დონესაც კი ვერ მიაღწია, მთელი თავისი სისულელის მიუხედავად, ან იქნებ ამის წყალობითაც, ძალიან მოკლე ხანში დაიმსახურა კარდინალის წოდება. საერთოდ, ეს დიდ პატივად ითვლებოდა, მაგრამ მამიკოს ესეც ეცოტავა. როგორც კი ბრწყინვალე ქორწინების შესაძლებლობა გამოჩნდა, მისმა უწმინდესობამ კამილი აღთქმისაგან გაათავისუფლა-ხომ მის ხელთ იყო ცა და მიწა!-და შერთო ერთი ახალგაზრდა ქვრივი, რომელსაც სიმდიდრით რომში თითქმის ვერავინ შეედრებოდა.

ოლიმპია როსანო — ასე ეძახდნენ ქალს, რომელიც წმინდა მამის რძალი გახდა — ძალიან ლამაზიც იყო, არაჩვეულებრივ მახვილგონიერიც და არანაკლებ პატივმოყვარეც. მოკლედ, ყველა სიკეთე მოემადლებინა მისთვის განგებას, რათა ძველი ოლიმპიელის — უფროს ოლიმპიას დიდება დაეჩრდილა. პაპის სასახლეში რომ გადავიდა, მან იხმარა ქალის კეკლუცობის ყველა საშუალება, რათა ბებერი ავხორცი პაპი მოეხიბლა.

მისი წარმატება ელვისებური იყო, ოღონდ არა სრული. მისი მონამორჩილი რომ გახდა, ინოკენტი იმავე დროს თავისი ძველი რძლისა და საყვარლის, ოლიმპია უფროსის ყველა ნება-სურვილსაც უდრტვინველად ასრულებდა. ო, მტრისას! აქ ორი მოქიშპე ქალი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ერთიმეორეს, ორივეს თითქმის ერთნაირი ძალა და უნარი ჰქონდა, და მით უფრო უჭირდა ორივეს მოპირდაპირეზე გამარჯვება. მათმა სიძულვილმა ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ მღვდელმთავარი იძულებული გახდა ერთი მათგანი გაეგდო. განა უდარდელად-დიდი გულისტკივილით სთხოვა შვილს, ადგილი გამოიცვალე და ცოლიც თან წაიყვანეო.

ოლიმპია № 1 ზეიმობდა.

● ვერც კი მოასწრო ინოკენტიმ თავისი მეტისმეტად მომთენი შვილისა და საყვარელი რძლის გასტუმრება, რომ თავისი გადაწყვეტილება საშინლად ინანა. ამ ქალის ატეხილმა ვნებამ დაიპყრო და დაიმონა. იმ იმედით, რომ № 2 ოლიმპიას მალე დაივიწყებდა, ძველი საყვარელი (ძველი სტაჟით, თორემ მოხუცი სულაც არ გახლდათ) ყოველ ღონეს ხმარობდა მღვდელმთავრის გასართობად, ათასნაირ სიამოვნებას იგონებდა მისთვის. გარეშენი გარეშენი იყვნენ, მაგრამ თავისი ოდინდელი მომხიბლაობიდანაც ბევრი არაფერი დაუკარგავს, და თუ გაზაფხულის ყვავილი ოდნავ დაჭკნა, სამაგიეროდ ჰქონდა მდიდარი გამოცდილება, რითაც დანაკლისს ინაზღაურებდა და ორმაგად ასიამოვნებდა გონჯ ბერიკაცს.

სულ ფერად-ფერად შექცევა — გასართობებს უწყობდა. ღამეობით ვატიკანის ბაღებში გამოჩდებოდნენ ორივე სქესის ულაწვილი გოგო-ბიჭები, ტანზე ისე ემოსათ, როგორც, ბიბლიის თანახმად, ჩვენი შორეული წინაპრები იცვამდნენ მანამდე, ვიდრე ცნობილი ვაშლის ამბავი არ შეემთხვათ. ინოკენტი თავმდაბალი კაცი იყო, ამ სოფლურ სათამაშოებზე-უარს არ ამბობდა, მონაწილეობდა და ერთობოდა. მაგრამ სულ ახსოვდა ახალგაზრდა ოლიმპია, რძალი და საყვარელი, საყვარლის შვილის ცოლი, რომელსაც გამოცდილება ნაკლები ჰქონდა, მაგრამ ისეთი სასურველი კი იყო, რომ პაპის ადგილზე ვერც თქვენ მოისვენებდით.

კაპასი მატრონა რომ არ განერისხებინა, მღვდელმთავარი დიდხანს ითმენდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვეღარ მოითმინა! ან რისთვის უნდა მოეთმინა უფლის მოადგილეს! მისი დღეები ხომ დათვლილი იყო- ჯანდაბას, არ დავეძებ რძლის ბუზღუნს, წივილ-კივილსა და დავიდარაბასო, თქვა, წუწუნი მორთო, შვილი მენატრებაო, და კამილი მისი მეუღლის თანხლებით სასახლეში დააბრუნა.

• რაც ოლიმპია № 2 შინ დაბრუნებას ამბავი მოჰყვა, ამაზე ეპიკური პოემის შეთხზვა შეიძლებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ რძალ-მამამთილის ჩხუბი და აყალმაყალი ქუჩაში არ გასულიყო. სრულიად მოურიდებლად აწყობდნენ იქ ისეთ საკვირველ დისკუსიებს,

რასაც მწერლები კაზმულ სიტყვიერებაში „თმით-თრევას“, „ცემა-ტყეპასა “და „მუშტი-კრივს“ ეძახიან. დიახ, წმინდა მამა და მისი რძალი! ისიც ხომ ადამიანია!

რამდენიმე ასეთი შეხლა-შემოხლა საკმარისი გახდა, რომ ვთელს ქალაქს გაეგო მისი უწმინდესობის უწმინდური ოჯახის ურიცო საქმეები.

კარგა ხანს იყო პაპი ორივე მეძავის ზეგავლენის ქვეშ. ერთი ბერიკაცი ეზიდებოდა ორი ქალის ბედს, და რა მძიმეა ქალის ტვირთი! ხან ერთს უგონებდა, ხან მეორეს. ის კი არა, ტრაბახობდა კიდეც სულისა და ხორცის სიმტკიცეს, რომლის წყალობითაც ორივე ოლიმპია შეინარჩუნა.

დღეს შვილის მეუღლე დაიყოლიებდა რაიმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილების გამოტანაზე, ხვალ კი ძმის ნაცოლარი აეკიდებოდა და სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას გამოატანინებდა. და იყო ასე წაღმა-უკუღმა წმინდა ოჯახის საქმე...

დაწვრილებით ვერ გადმოგცემთ ყოველდღიურ ბატალიებს, რაც რომის სასახლეში ხდებოდა, ლეში-პაპისა და მისი რძალ-საყვარლების შეხლის სახით; ჯერ ერთი, მეტოქე ქალთა ბრძოლის მეთოდები, მიმართული იქითკენ, რომ მღვდელმთავრის გონების ნაშთიც დაეჩლუნგებინათ, უაღრესად ერთფეროვანი იქნებოდა, მეორეც კიდევ — მათი აღწერა იგივე მოუთმენელი პორნოგრაფია გამოვიდოდა.

პაპის სასახლეში გაბატონებულ ზნეობაზე წარმოდგენას ქმნის თუნდაც ის, რომ პაპი თავის საყვარელთა ქცევის შესახებ ცნობებს თვითონ ქალების ბაგიდან ისმენდა: თვითონვე მოუთხრობდხენ თავიანთ თავგადასავალს, და ეს მოთხრობა წმინდა მამას ძალიან ართობდა. რომელიმე ახალი საყვარლისათვის წყალობის გამოთხოვა რომ უნდოდათ, ორივე ასეთ დამაჯერებელ არგუმენტს იშველიებდა: „თქვენ ვერ ეტყვით იმ კაცს უარს — ის ხომ ჩემი საყვარელია!“ სწორედ ასეთი არგუმენტით უშოვა ერთ ახალგაზრდა კარდინალს შემოსავლიანი ადგილი ოლიმპია ნომერ ორმა.

მალე მღვდელმთავარი დაემსგავსა ჯაგლაგს, რომელსაც ორი მხედარი აჰკიდებია: ერთი მთაში ერეკება, მეორე ბარში, ერთი ალთასაა, მეორე ბალთას.

ოლიმპია № 1 აზრად მოუვიდა თავისი პოზიციის გამაგრება, იმით, რომ წმინდა კოლეგიაში შეეყვანა თავისი საყვარელი ასტალი. პირველად წმინდა მამა უარზე იდგა, მაგრამ როგორც კი ასტალი ნახა, გადაწყვეტილება შეიცვალა: პირმშვენიერმა ახალგაზრდამ, თავისი საყვარლის საყვარელმა, სილამაზით და ახალგაზრდული იერით მაშინვე მოინადირა ავხორცი ბერიკაცის გული. მსუნაგი ბებერი სატირის არსება ვნების ცახცახმა აიტანა. კარდინალის ქუდი აიღო და ასტალის დაახურა, თან ვნებიანად აკოცა.

თავისი წარმატებით აღტაცებული ოლიმპია მადლობის თქმას ვერ აუდიოდა; რა იცოდა, რომ სიხარული მალე მწარე სინანულით შეეცვლებოდა! თავისი საყვარელი რომ კარდინალად გაჰყავდა, ამით იმედი ჰქონდა, რომ თავისი მოქიშპე სეხნიის წინააღმდეგ ბრძოლაში ზურგს გაიმაგრებდა. ის კი ვერ გაითვალისწინა, რომ საკუთარი ხელით შეაჩეჩა გახრწნილ პაპს თავისი მთავარი მეტოქე, ყველაზე უფრო საშიში რაყიფი. იმავე საღამოს, როცა ასტალი პირველად წარუდგინეს, პაპმა ბრძანა ჭაბუკისათვის კარდინალის პატივი მიეგოთ და თავისი ინტიმური აპარტამენტების გვერდით დაესახლებინათ. იმავე ღამეს ქრისტეს მოადგილეს კიდევ ერთი საყვარელი ფავორიტი შეემატა. ახალი კარდინალის დანიშვნის აღსანიშნავად გაიმართა დიდი ზეიმი, გაისმა ქვემეხთა ქუხილი, საჩუქრებს ურიგებდნენ ხალხს: უხვად გასცემდა, სხვათაცა ხომ კარგად გამოსდიოდათ-რა არ გამოსდიოდათ! იმ დღიდან ასტალისაც დიდებული ხელი გამოუვიდა: სასახლის ყველა საქმე ხელთ იგდო, და რაც მთელი თავისი გონებრივი ავლადიდებით ვერ მოიპოვა, ის ძოიხვეჭა ერთ ღამეში თავისი სხეულის იმ ფუნქციით, რაც ბუნებას არ გაუთვალისწინებია.

მლიქვნელ კარისკაცთა მთელმა ამალამ, აქამდე რომ ქალებს ბუზივით თავს ეხვია, ერთბაშად ზურგი აქცია ორსავე ოლიმპიას და პაპის სარეცლის ყოვლის შემძლე მოზიარეს აეკიდა. წმინდა მამის ახალი რძალი თავს იმით ინუგეშებდა, რომ საკუთარი თვალით იხილა თავისი დედამთილის დაცემა: მისი ქმარი, პაპის საყვარელი ვაჟი კამილი ხომ იმავე პაპისა და ოლიმპია პირველის ძე იყო! სწორედ ღმერთის მოადგილე უნდა იყო, რომ ამ ამბებში გაერკვე! რაც შეეხება უფროს ოლიმპიას, ნომერ პირველს, რომელსაც საყვარელმა ჭაბუკმა საყვარელი ბერიკაცი წაართვა, ბრაზისაგან შხამს

ანთხევდა; მთელი თავისი ძალაუფლება გამოიყენა, რომ შექმნილი ვითარება შეეცვალა: ხვეწნა, მუდარა, ცრემლი, მოლაპარაკება... სულ ამაოდ! ასტალიმ განუსაზღვრელი ძალაუფლება მოიპოვა პაპზე. სილამაზის გარდა ერთი უპირატესობაც ჰქონდა: შვილი არ გაუჩნდებოდა!

ოლიმპია კი მაინც არ ტოვებდა ბრძოლის ველს. დაიმედებულმა, რომ გახმიანების შიში პაპს მოთოკავდა, როგორც იტყვიან, ხოჭალდები დაწვა და უკანასკნელ ღონისძიებას მიმართა: მუქარა დაეწყო. ყოფილ საყვარლებს შორის გაიმართა ფრიად გაცხოველებული საუბარი, რომელსაც მოკლედ აქვე დავიმოწმებთ:

ო ლ ი მ პ ი ა. ამრიგად, თქვენ გადაწყვეტილება მიიღეთ? ეკლესიის მართვა-გამგეობას ახალ ფავორიტს აბარებთ? დაფიქრდით, შეჩერდით ამ საშიშ გზაზე, სადაც ახალგაზრდა კაცის ვნებიანმა სიყვარულმა დაგაყენათ.

პ ა პ ი. მე ის მიყვარს! ვაღმერთებ! მომეშვით!

ო ლ ი მ პ ი ა. ესაა თქვენი უკანასკნელი სიტყვა?

პ ა პ ი. დიახ, უკანასკნელი სიტყვაა.

ო ლ მ პ ი ა. მაშინ გაიძულებთ, რომ მას ძალაუფლება წაართვათ.

— პ ა პ ი. მართლა თუ? საინტერესოა, რისი იმედი გაქვთ?

ო ლ ი მ პ ი ა. უბრალო რამის: მე ნიღაბს ავხდი თქვენს საბარცხვინო კავშირს.

პ ა პ ი. ფეხზე მკიდია.

ო ლ ი მ პ ი ა: მთელი საქრისტიანო გაიგებს თქვენს საზიზღარ საქმეებს.

პ ა პ ი. საქრისტიანომ უკვე იცის ყველაფერი.

ო ლ ი მ პ ი ა. სისხლის აღმრევი კავშირი ჩემთან და შენი შვილის ცოლთან?

პ ა პ ი. ეს დიდი ხანია საიდუმლო აღარ არის.

ო ლ ი მ პ ი ა. ვიტყვი, რომ თქვენ ჯოჯოხეთურ ორგიებს აწყობთ და გახრწნილების ჭაობში ხართ ჩაფლული თქვენს საზიზღარ კურტიზან ქალებთან და კიდევ უფრო საზიზღარ ბიჭებთან ერთად.

პ ა პ ი. სულ ეს არის?

ო ლ ი მ პ ი ა. თქვენ ზურგს გაქცევთ ყველა კათოლიკე. რა

მორალურ ავტორიტეტს შეინარჩუნებთ ასეთი გაშიშვლების შემგდე?

• პაპი. მე დიდი ხანია გაშიშვლებული ვარ. ჩემო საყვარელო რძალო, თქვენ სულელი ხართ. ხომ გითხარით, ახალს ვერაფერს ძეტყვით-მეთქი? რა დავაშავე, იმის გარდა, რომ ჩემს წინამორბედებს ვბაძავდი? გაიგეთ, მე არ მეშინია თქვენი, მაგრამ მინდა ოჯახში მშვიდობა შევინარჩუნო, ამიტომ ქენით სიკეთე, დაუყოვნებლივ გამეცალეთ. გზა მშვიდობისა!

ასე ისტუმრებდა პაპი რძლებს. ისე, ჩანს, მთლად უჭკუო არ ყოფილა. წინაპრების კვალზე მივდივარო, ალიარა.

ოლიმპია გადარეულსა ჰგავდა. მისმა უკანასკნელმა ცდამ მარცხი განიცადა. ამდენი წელი უზენაესი მბრძანებელი იყო და ერთბაშად ძალაუფლება დაკარგო ,ხუმრობა ხომ არ არის! პაპის სასახლე უნდა დატოვოს! ადგილი დაუთმოს მოღალატეს, რომელმაც ალერსისათვის პასუხად პაპის გული წაართვა! რა დამცირება, რა კატასტროფაა!

ბრაზით გადარეულს იმდენი საზრიანობა მაინც აღმოაჩნდა, რომ მტრები თავისი დამარცხების ხილვით არ გაახარა, ფარულად მიატოვა სასახლე და შეუდგა შურისძიების გეგმის შემუშავებას.

ოლიმპიას შურისძიება

● უფრო თავშეკავებულმა და რაც მთავარია, უფრო ფრთხილმა ახალგაზრდა ოლიმპია ასტალის თავი დაუკრა. კაცმა წაართვა თბილი სარეცელი, ქალმა ხომ არა!

საუბედუროდ, მისი უტვინო ქმარი ასე გონიერი ვერ გამოდგა. ყოჩაღი რჭოსანი კრეტინი ძალიანაც ამაყობდა იმით, რომ მის უქრისტიანეს მამას ინტიმური კავშირი ჰქონდა მის ცოლთან. ახლა პაპმა მის საყვარელ ოლიმპიას ზურგი აქცია, საწყალი ქალი სულ ქმართან წევს, თუ სხვა უხარისხო საყვარლებს არ ჩავთვლით, და კამილი რა კამილია, თუ ეს შეურაცხყოფა მოითმინა! ასტალი აითვალისწუნა. სადაც კი შეხვდებოდა, ეჭვიანობის სცენებს უმართავდა. პაპი, რაც უნდა იყოს, მამა იყო და საყვედური არც იმასთან დაუფარავს. მაგრამ ინოკენტის მამაშვილური სიყვარულის სიმი არც ისე მაგარი ჰქონდა, როგორც სხვა სიმები. ერთადერთი მოსაზრება,

რისთვისაც არ უნდოდა შვილთან მთლად ყავშირის გაწყვეტა, ეს იყო, რომ უჭირდა მომხიბლავ ოლიმპიასთან განშორება. დროებამოშვებით მისი უწმინდესობა რძლისთვისაც იცლიდა, და თავისი სიმახინჯის მიუხედავად ციურ ნეტარებას აზიარებდა. პირველ ხანებში ინოკენტი მოთმინებით ისმენდა შვილის საყვედურებს: რა დაგიშავა, რატომ არ წვები ჩემს ცოლთანო. ასე რომ, ხანდახან ეგონა, თითქოს შეასმინა, მოტეხა კიდეც. მერე თავი გამარჯვებულად წარმოიდგინა, აშკარად გაახშირა წმინდა მამაზე თავდასხმები, და უკრეფავში გადადიოდა, საზღვარი არ იცოდ, ანგარიშს ვერ აძლევდა თავის სიტყვებს. პაპის სასახლე ისევ აურზაურის ასპარეზად იქცა — ამჯერად მოქმედი პირები იყვნენ უკვე არა მანდილოსნები, არამედ ბანდილოსანი და უმანდილო მამაკაცები. ბოლოს და ბოლოს, პაპის მოთმინების ფიალა აივსო! დალახვროს ღმერთმა, არის თუ არა ინოკენტი პაპი? და თუ არის, ვინ უბედავს პაპს დავას? უნდა მორჩეს ეს საქმე! პაპმა გადაწყვიტა პირველობა ფავორიტი ჭაბუკისათვის მიეცა და ოლიმპია თავის მოჩხუბარ ქმართან ერთად თავიდან მოეცილებინა.

მაშინ უფროსმა ოლიმპიამ, რომელსაც ყველაფერი ეუწყებოდა, სასახლეში დაბრუნება გადაწყვიტა. ისეთი თვინიერი გახდა, როგორიც არასოდეს არ ყოფილა. ისევ დაიწყო ზრუნვა წმინდა მამის შექცევისათვის, ამასთან იმდენი სიმარჯვე და გულმოდგინება გამოიჩინა, რომ ერთგვარი გავლენა ხელახლა მოიპოვა.

ჩვეულებრივი კურტიზანი ქალი მაშინვე შეეცდებოდა თავისი გამარჯვების ნაყოფით დატკბობას. ოლიმპია კი ასეთი აჩქარებით თავისი სახელის გატეხვას მოერიდა. მისი გეგმა ზუსტ ანგარიშზე იყო აგებული, ამიტომ თავმდაბლობა გაორკეცა, უფრო გაინაზა, გაინაბა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისი ერთადერთი მიზანია პაპს აამოს. მტკიცედ და დაჯერებულად მიდიოდა ეს ისტორიული მეძავი დასახული მიზნისაკენ: დაემხო საზიზღარი ასტალი, რომლის ძალაუფლების საიდუმლოც მიხრწნილი პაპის სარეცელში იფარებოდა.

ერთხელ ქალმა პაპს მიუყვანა ყმაწვილი კაცი, რომელიც ასტალიზე უფრო ლამაზი იყო. პაპი დაუყოვნებლივ დანებდა მის ჯადოს. ფარული სიხარულით ადევნებდა თვალს ოლიმპია, როგორც თანდათან ინადირებდა პაპის გულს ახალი ფავორიტი და როგორ ციდებო-

და იგივე ბეხრეკი გული ასტალისათვის. მიუხედავად ჭაბუკის წინააღმდეგობისა, ყმაწვილი მალე პაპის კანცელარიის მდივნად დაინიშნა. ყველაფერში თავისი მფარველი ქალის რჩევას მისდევდა და ყოველდღიურად იმაგრებდა პოზიციებს. ვინ იცის, იქნებ პაპის ტახტზეც ოცნებობდნენ! პაპის სარეცელი ზოგჯერ მორიგი მღვდელმთავრის ტახტის საფეხურია!

დადგა წუთი, როცა ასტალი მიხვდა, რომ ბრძოლა ამაო იქნება, მოახლოებული შერისხვა იგრძნო და ინოკენტის წინააღმდეგ მოკავშირეთა შემოკრება დაიწყო. წმინდა ტახტის საიდუმლო ფლორენციელებსა და ესპანელებს გაანდო. მაგრამ ვერ მიართვეს ბატის თავი! ოლიმპიას როდი ეძინა მას შემდეგ, რაც პაპის სარეცელს ეს ჭაბუკი შეეცილა! ყველაფერიც იცოდა და მეტოქე დანაშაულის ადგილზე შეიპყრო. ასტალის დაუყოვნებლივ ჩამოჰგლიჯეს პორფირის მანტია და ვატიკანიდან განდევნეს. ყველაფერი წაართვეს: ფული, თანამდებობანი, მრევლი. უწყალო ოლიმპიამ განკარგულება გასცა და ის ექვსი ათასი ეკიუც ჩამოართვეს, სასახლიდან წასვლის დროს რომ ფუთაში ჩაიდო. კიდევ იოლად გადარჩა.

ასტალის წასვლის შემდეგ პაპმა ეკლესიის სადავეები ისევ თავის რძალსა და მენახევრეს გადასცა. ისევ გახდა პაპესა, წმინდა ტახტის ფინანსების გამგებელი. ინოკენტი კი თავისი ახალი ფავორიტით იყო გატაცებული და ძალაუფლების შენარჩუნებას მოსაჩვენებლადაც კი აღარ დაეძებდა. ვინც აუდიენციას სთხოვდა, მოკლედ მოუჭრიდა: „მე აღარ განვაგებ საქმეებს, მიმართეთ ჩემს ძვირფას ოლიმპიას“.

პატივმოყვარე კურტიზან დედაკაცს ოცნებაც კი არ შეეძლო ასეთ წარმატებაზე. განუსაზღვრელი უფლებით განაგებდა მოციქულის ხაზინას, უხვად ასაჩუქრებდა თავის საყვარლებს, მთელი კარი შემოიყარა. ასე გრძელდებოდა ინოკენტის აღსასრულის დღემდე.

მაგრამ აი, გახრწნილი ბერიკაცი ლოგინად ჩავარდა. ფიზიკური ტკივილების გარდა აკვიატებული აზრიც ტანჯავდა: უსათუოდ მომწამლავენო ასტალის მოსყიდული მსახურები. რამდენიმე თვე ისე გავიდა, პირი არაფრისთვის არ მიუკარებია — იმის გარდა, რასაც მის თვალწინ მისი რძალი ამზადებდა. ამ ქალს, ეტყობა, ძალიან არ მოსწონდა მზარეულის როლი, მაგრამ მომაკვდავის ყველა პირველულ

მოთხოვნას ასრულებდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ ეს გონჯი გულზე ფიანდაზად ეხატებოდა, არამედ ზღვარდაუდებელი სიხარბის გამო. ბოლომდე ეშინოდა პაპის წყალობა რისხვად არ შეცვლოდა და ეგზომ ხანგრძლივი მზაკვრული მანევრების ნაყოფი ერთ დღეს წყალში არ გადაყროდა. უწინდებურად ნაზი იყო ბეხრეკ ბებერთან და საცხოვრებლადაც კი მის საწოლ ოთახში გადაბარგდა. მთელი თვე გაატარა მის სასთუმალთან, ისე რომ ძილი და სიმშვიდე არ იცოდა.

განთავისუფლების სასიხარულო შეძახილი აღმოჰხდა მკერდიდან ოლიმპიას, როცა 1655 წლის 5 იანვარს ინოკენტი-მამათმავალმა სული ეშმაკს ჩააბარა. ჩინებულად იცოდა, რომ სასურველ ძალაუფლებაზე უარის თქმა მოუხდებოდა, მაგრამ იმდენი ნაძარცვი ფული ჰქონდა და ისე ლამაზი იყო, რომ უზრუნველი ცხოვრების იმედი კი შერჩა.

პაპესამ ისე უსირცხვილოდ გაანიავა მოციქულის ტახტის სალარო, რომ მღვდელმთავრის, რეგვენი პაპის დასაკრძალავად საჭირო თანხაც კი არ აღმოჩნდა.

ნამი დღე ეგდო ინოკენტის გვამი სიკვდილის სარეცელზე და არავინ არ იწუხებდა თავს იმისათვის, რომ დაემარხათ. მისი გულის სწორს, ოლიმპიას სთხოვეს, დაკრძალვის ხარჯები გადაიხადეო. საყვარელმა, ცოცხალს რომ თავს ევლებოდა, მიცვალებულს უღალატა: კატეგორიული უარი განაცხადა იმ კაცის დაკრძალვაზე, რომლის ხაზინასაც ისე განაგებდა, როგორც ვირთხა-ბეღელს. პაპის შეძავს სხვებმაც მიბაძეს. მღვდელმთავრის მთელს მლიქვნელთა ამალაში ერთი კაციც არ გამოჩნდა, რომ თუნდაც ერთი ეკიუ გაემეტებინათ მოხუცის დასამარხავად. ბოლოს კი მთელი ხარჯის გადახდა ერთმა კანონიკმა იკისრა.

ეს წვრილმანი ისე ახასიათებს პაპის სასახლის კარს, რომ უფრო მეტყველი მაგალითის დასახელება ძნელია.

განსაცვიფრებელი ცვლილება

● როგორც წესი, ინოკენტი X მემკვიდრის არჩევას თან ახლდა ხანგრძლივი შეხლა-შემოხლა, დავა და სამარცხვინო ვაჭრობა. ბოლოს და ბოლოს, ღვთაებრივი მტრედი, რომელიც, ცნობილია, კონ-

კლავის სხდომას ყოველთვის ესწრება, მხარზე დააჯდა ვინმე ფაბიო კიჯის, უცნობ სიენელ კარდინალს, რომელმაც სახელად ალექსანდრე VII აწოდა. შეიძლება ეს სახელი მიიღო ძვირფას ალექსანდრე VI ბორჯიას საპატივცემოდ, რომლის საგმირო საქმეები ასე დაწვრილებით ჩამოვთვალეთ. თუ ასეა, მაშინ საგულდაგულოდ ფარავდა თავის ზრახვებს, რადგან ყველა თანამედროვე ერთსულოვნად ამტკიცებს, რომ ტახტზე ასვლის წინ ეს კაცი ყველა ქრისტიანული სათნოების განსახიერება იყო.

სინამდვილეში კი სათნოებათა შორის მხოლოდ ერთს იცავდა — პირფვრობას. მორწმუნეთა გულუბრყვილო ფარა შეცდომაში შეიყვანა ამ მგლის მოჩვენებითმა გალობამ თავმდაბლობასა და მოყვასის სიყვარულზე. რაც შეეხებათ პრელატ-კოლეგებს, ბუნებრივია, უფრო კარგად იცოდნენ საქმის ვითარება, ნაკლებად სჯეროდათ მისი და ხედავდნენ კიდეც ფარისევლურ ნიღაბს, ეგზომ აუცილებელს მათი პროფესიისათვის. არჩევნების დროის გათამაშებული სცენა აშკარად გვიჩვენებს, როგორ აფასებდნენ კარდინალები ალექსანდრე მეშვიდის მოჩვენებით მორჩილებას.

აი, რა წავიკითხეთ კონკლავის ერთ-ერთი მონაწილის ჩანაწერებში.

ალექსანდრე არავითარ ღონისძიებაზე არ ამბობდა უარს, ოღონდ თავისი მოწინააღმდეგეები დაემარცხებინა. მაგრამ როცა მისი არჩევის ამბავი აუწყეს, აქვითინდა, თითქოს ყველა მახლობლის სიკვდილი ეუწყებინათ. ეტყობა, გამარჯვებას ელოდა და ცხვირსახოცში ახალი ხახვი ჰქონდა გახვეული, ისე აფრქვევდა ნიანგის ცრემლებს.

ცერემონიის წესდების თანახმად, როგორც კი აირჩევენ, მღვდელმთავარი მაშინვე წმინდა პეტრეს ტახტზე უნდა დაჯდეს. ალექსანდრე VII კი მორცხვად დაჯდა სავარძლის კიდეზე, ღარიბი ნათესავის მსგავსად დაეხარა თავი. „ინებეთ ცენტრის დაკავება, — შესძახა ცერემონმაისტერმა, — ასე ითხოვს წესი“. დიდი ხვეწნა-პუდარის შემდეგ მისი უსამღვდელოესობა როგორც იქნა დაყაბულდა, ოღონდ ტახტზე უაღრესი მოკრძალებით ჩამოჯდა. ტრადიციის თანახმად, კარდინალები რიგრიგობით მიდიან და ულოცავენ, თვითონ კი მხურვალე მადლობას ეუბნება. მაგრამ უკიდურესად აღელვებულმა (ჩანს, ხახვმა იმოქმედა) ისევ ქვითინი მორთო

რისი მადლობა, სულ ცრემლად დაიღვარა. კარდინალებმა თავი ვერ შეიკავეს და ხარხარი დაიწყეს, თან შესძახეს: „გეყოფა, წმინდაო მამა, გეყოფა!" რა სანუკვარი სანახაობაა: პაპი სლუკუნებს, კარდინალებს კი მუცელი ხელით უჭირავთ, იცაცხებიან და გაიძახიან: „გეყოფათ, კარგია, პარკეტი გაფუჭდება!"

გონს რომ მოეგო, საქმეს შეუდგა. სრულ მიწიერ ნეტარებას რომ უფრო თავისუფლად მისცემოდა, ალექსანდრე VII რომს არ დასჯერდა, რეზიდენცია ალბანოს ტბის გარშემო გადაშლილ მომჯადოებელ ველზე გადაიტანა.

აქ ატარებდა დროს ახალი წმინდა მამა, თავისი გარყვნილი კარისკაცების თანხლებით. განა არ ღირდა ალბანოს ტბა ზღვა ცრემლად? ყველაზე უფრო ნუგბარი საქმელები, როგორიც კი ქვეყნად არსებობს, ყველაზე უფრო ტკბილი და საამო ღვინო პაპისა დ მისი მხიარული ამალის ნეტარ დღეებს კიდევ უფრო ახალისებდა. ხანდახან მოსაჩვენებლად ორიოდე საათით პაპი ვატიკანშიც გამოჩნდებოდა, ისე კი საქმეებს მოსაბეზრებლად თვლიდა და მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა გადასცა კონგრეგაციას, რაც ჯერ კიდევ ზანტმა ურბან VIII შექმნა. თავის გამგებლობაში ალექსანდრემ დაიტოვა მხოლოდ ხაზინა, რასაც გულმოდგინებით აცარიელებდა. ვერავითარი გადასახადი ვერ ანაზღაურებდა პაპის ხარჯებს. ყველა შემოსავალი მღვდელმთავრისა და მისი ფავორიტების ხელში ორთქლად იქცეოდა. ინოკენტი მეათის მემკვიდრემ წელიწადში სამჯერ დაარბია საეკლესიო ოლქი მხოლოდ იმისათვის, რომ საზეიმო შეხვედრა მოეწყო შვედი დედოფლის ქრისტინას საპატივცემოდ, რომელიც რომში ჩამოვიდა იმ მიზნით, რომ პროტესტანტობაზე უარი ეთქვა.

აი შეფასება, რასაც გრიგოლ მეშვიდეს ერთი რომაელი პრელატი აძლევს: „მე ვემსახურებოდი ამ პაპს ორმოცდაორი თვის განმავლობაში და შემიძლია დაგიდასტუროთ: მხოლდ იმისათვის ზრუნავდა, რომ უფრო ღრმად შეეტოპა გარყვნილების ჭაობში. პაპობიდან მემკვიდრეობად გადაიღო მხოლოდ სახელი და მანკიერება".

ალექსანდრე VIII კოლოსალურ ფულს ხარჯავდა სასახლეების შენებლობაზეც. ნათესავებისათვის აგებულ მდიდრულ სასახლეებზე რომ არაფერი ვთქვათ, განუწყვეტლივ აშენებდა სხვა დიდ შენო-

ბებსა და მონუმენტებსაც .მაგალითად, წმინდა პეტრეს მოედანზე ბრძანა უზარმაზარი ძეგლის აგება, რაც ორას ოთხმოცდაერთი სვეტისა და ოთხმოცდაათი თაღისაგან შედგებოდა.

იეზუიტები იყვნენ ალექსანდრე VII ვთავარი თანაშემწეები, ნათი გაიძვერობით ქაჩავდა მორწმუნეთა ჯიბეებიდან განუზომელ თანხებს. ქრისტიანებს რომ ქისები გაეხსნათ.. იეზუიტებს გენერალმა ოლივამ კათედრიდან დაიწყო გაუმაძღარი პაპისა და მისი კარდინალების გამართლება: „იცოდეთ, ძმანო ჩემნო, პაპის საქმეები მხოლოდ წმინდა და ღირსეული შეიძლება იყოს. მორწმუნეთა კეთილდღეობისათვის ალექსანდრე VII და მისი კარდინალები სიმდიდრეს ეტანებიან...“

წმინდა მამის ანგარება და სიხარბე საყოველთაოდ ცნობილი იყო. სრულიად აშკარად ვრცელდებოდა გრავიურა, რომელზედაც პაპი გამოესახათ თავისი საყვარლებისა და ფავორიტების, მსახურთა და კარდინალების თანხლებით, ქრისტეს ფერხთით გართხმულნი, თანაც მაცხოვრის ტანიდან სისხლის ნაცვლად გამოდის ოქროს ნიაღვარი. პაპი ოქროს მონეტებს ტიარაში აგროვებს და თან თავისთვის ლაპარაკობს: „ის ჯვარს აცვეს მხოლოდ ჩვენთვის“.

რაკი თვითონ ალექსანდრე VII სახელმწიფო საქმეებისთვის ვერ იცლიდა, სახელმწიფო კონგრეგაცია დიდ საქმეში იყო, სულ თეოლოგიური პაექრობით იქცევდა თავს, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში რომ გაჩაღდა. ორი ბულა გამოიცა იანსენისტების წინააღმდეგ, იეზუიტებს რომ ებრძოდნენ. სწორედ მაშინ გამოქვეყნდა პასკალის სახელგანთქმული შრომა „წერილები პროვინციალისადმი“ — სასტიკი სატირა იეზუიტების მორალისა და დოქტრინების წინააღმდეგ. საერო ძალაუფლების შენარჩუნება და პაპის უცოდველობის იდიოტური დოგმის დაცვა — აი, რა აღელვებდა ახალ მღვდელმთავარს, დანარჩენს არაფერს დაგიდევდათ. ის კი არა, პირად საუბრებში ხშირად კარდინალებთან ერთად სასაცილოდ იგდებდა კათოლიციზმის ძირითად დოგმებს. მისი ერთ-ერთი საყვარელი თემა იყო იესო ქრისტეს დაბადება. ამ ქარგის მიხდვით გამოჰყავდა ხოლმე ოინბაზური ვარიაციები, თანაუგრძნობდა გულუბრყვილო იოსებს, რომელმაც ცოლს დაუჯერა, გაბრიელ მთავარანგელოზის დახმარებით რომ მოიგონა რაღაც ზღაპარი სულიწმინდის გამოცხადების შესახებ, და ამაზე იქნა აგებული ქრისტიანული

მოძღვრება! მოკლედ, პაპი დასცინოდა თავის რელიგიას, რომლის წყალობითაც მიწიერ სამოთხეს ეზიარა!

ჰოდა, ეს უღმერთო მღვდელმთავარი თავის თავს ღვთაებრივ ქრისტეს უცოდველ წარმომადგენლად თვლიდა! ისევე ძვირად უღირდა ეს პრივილეგია, როგორც თავისი საერო ძალაუფლება!

* * *

● როცა მეომარმა საფრანგეთმა და ესპანეთმა ზავი შეკრეს და პაპს არ შეუთანხმეს, ალბანოს ტბის ურჩხულმა თავი ისე შეურაცხყოფილად იგრძნო, რომ ნამდვილი ასპიტის გულით შეიძულა ფრანგები და ესპანელები, აგრეთვე მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლები. განსაკუთრებით მძიმე დღეში ჩავარდა მაზარინი. პაპმა დაიფიცა, საფრანგეთის სამეფოს სამაგიეროს გადავუხდიო, და საამისოდ მხოლოდ შესაფერის მომენტს ელოდა. ჯერ თავისთვის გერმანიის იმპერატორის მხარდაჭერას მიაღწია. შემდეგ თავისი პირადი ამალის კორსიკულ წარმომადგენლებს უბრძანა საჯაროდ მიეყნებინათ შვურაცხყოფა ლუდოვიკო XIV ელჩებისათვის, რომელთაც ჰერცოგი კრეკი მეთაურობდა. ეს პაპური სიტლანქე ფრანგებმა ვერ მოითმინეს, შეურაცხყოფას შეურაცხყოფით უპასუხეს და საქმე სისხლიანი შეტაკებით დასრულდა.

ოთხასი კორსიკელი დაესხა თავს საელჩოს სასახლეს. ფრანგებს შეურაცხყოფდნენ იმ კუნძულის მკვიდრნი, სადაც ასი წლის შემდეგ ნაპოლეონი უნდა შობილიყო! როგორც კი ჰერცოგი აივანზე გამოჩნდა, რომ თავდამსხმელნი გონს მოეყვანა, გაისმა სროლის ხმა, და ის იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. იმავე დროს სროლა აუტეხეს მის ეტლს, და პაჟი სასიკვდილოდ დაჭრეს.

სხვა ქვეყნების წარმომადგენლები რომ არ ჩარეულიყვნენ, ტვინნაღრძობი პაპის ბრძანებით მისი უტვინო ჯარისკაცები გაწყვეტდნენ ელჩს, მის ოჯახსა და მთელი საელჩოს შემადგენლობას. კრეკიმ დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა, და როცა უარი მიიღო, თავი აღარ დაუმცირებია, მაგრამ ყოველივე მომხდარი თავის მთავრობას შეატყობინა. მსგავსი ბანდიტური თავდასხმა თვით პაპების უმაგალითო დანაშაულობათა ისტორიაში არ მომხდარა. ადვილი წარმოსადგენია, რა აღშფოთებას გამოიწვევდა ლუდოვიკო XIV სასახლეში ეს ცნობა.

ლუდოვიკო XIV, „მეფე-მზე“, ლუდოვიკო XIII როდი იყო. მართალია, ბევრი მარცხი განიცადა, მთელი ევროპა გადაიკიდა, ფინანსები დაშრიტა, მაგრამ ქედმაღალ მონარქს იმდენი გამბედაობა მაინც ჰქონდა, რომ ამაყად განეცხადებინა: „სახელმწიფო — ეს მე ვარ!“

„მეფე-მზემ“ იმით დაიწყო, რომ ალექსანდრე მეშვიდის ნუნციუსი სასახლიდან გააგდო. შემდეგ თავისი ელჩის ხელით პაპს წარუდგინა ულტიმატუმი, დაუყოვნებლივ არმიის გაგზავნით და პაპის მიწების დაკავებით დაემუქრა, თუ არ შეასრულებდა შემდეგ პირობებს:

1. თანამდებობიდან უნდა გადაეყენებინა რომის გუბერნატორი, პაპის ძმა, რომელიც ერ დაეხმარა ელჩს.

2. კარდინალის ხარისხი უნდა ჩამორთმეოდა იმპერიალის, უწესობის მოთავეს.

3. სამუდამოდ უნდა განედევნა რომიდან კორსიკელთა რაზმი.

4. ფარნეზეს მოედანზე უნდა აღემართა მონუმენტი წარწერით, რაც სამარცხვინო ბოძზე გააკრავდა ყველას, ვინც საფრანგეთის წარმომადგენელს თავს დაესხა.

წმინდა მამამ გადაჭრილი უარი განაცხადა ამ მოთხოვნების შესრულებაზე. სხვა რომ არა იყოს რა, თავის თავს ხომ არ გააკრავდა სამარცხვინო ბოძზე! წესრიგის პირველი დამრღვევი ხომ თვით პაპი იყო! ის კი არა, ყველაფერი შებრუნებით გააკეთა. იმპერიალი რომანის ლეგატად დანიშნა, დააწინაურა. თავის ძმას ახალი სამრევლოები აჩუქა, და მადლობის ნიშნად გასამრჯელო გაუდიდა კორსიკელ მცველებს. ეპისტოლეს, რომლითაც თავის გადაწყვეტილებებს ატყობინებდა, მღვდელმთავარი ასეთი სიტყვებით ამთავრებდა: „ჩვენი ტახტის წმინდა უფლებების დასაცავად მზად ვართ დავატეხოთ სამღვდელოებას და დავიტეხოთ თვითონ ჩვენ მეფეთა სისხლიანი თავდასხმა. მაგრამ ჩვენ არ დავნებდებით, არამედ შემწეობას ვთხოვთ მორწმუნეებს. თუ მათი დახმარება არ აღმოჩნდება საკმარისი, უზენაესს მოვიხმობთ, რათა ზეციდან ანგელოზთა ლაშქარი დაძრას ჩვენდა სახსნელად.“ ნეტავ, რამდენჯერ გამოუგზავნა უზენაესმა ანგელოზთა ლაშქარი სისხლისაღმრევ-მამათმავალ ტიროსან ტირანებს?

ალექსანდრე მეშვიდეს რომ მარტო ამ ციური ლაშქრის იმედი

ჰქონდა, ალბათ თავის მეომრულ ზნეს დაიოკებდა, დაცხრებოდა და დაელოდებოდა ციური მხედრობით მის დასახსნელად მოჰავალ დიდ იაღვეს. ჭეშმარიტება იმაში მდგომარეობს, რომ გათავხედებულ პაპს გერმანიის იმპერატორის ლეოპოლდ I დაპირება ედო წინ: რა დროსაც დაგჭირდეს, მიხმე და მოვალო, ამიტომ ლაპარაკობდა ასე თამამად.

სიმართლე რომ ითქვას, საჭიროება არა თუ აშკარა, საჩქაროც იყო. კაცმა ბრძოლა არ იცოდა, მხოლოდ ყოჩაღი ბაქია იყო, კორსიკელთა რაზმის წაქეზება შეეძლო და საელჩოს დარბევა, სხვა არაფერი. ამიტომ მტერი მხოლოდ უფრო გააღიზიანა. თვითონ კი სასწრაფოდ გაბრუნება დააპირა თავის ედემში, საყვარლებთან და ფავორიტებთნ, ან რა ედარდებოდა! მისთვის მოფიქრებულ დარტყმას იმპერტორი მიიღებდა. პაპს როდის რა დაუშავდა, როცა მისი მიზეზით რომი ააოხრეს!

გერმანიის იმპერატორი კი საქმეს უფრო ჩაუფიქრდა: განა ღირს თავის ჩაგდება ხათაბალაში? ლუდოვიკი XIV არმიამ ხომ ის იყო მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებები! ამ მოსაზრებით ლეოპოლდმა დაპირება მაუდის ქვეშ ამოსდო. ალექსანდრე მეშვიდეს ასეთი პასუხი გასცა: დახმარებას ნამდვილად დაგპირდი, მაგრამ ჯარების გამოგზავნას არ დიგპირებივარო. ისე კი, ნებას გაძლევ მოციქულის ტახტის ხარჯზე ჩემს სამფლობელოში ჯარისკაცები დაიქირაო, ეს იქნება სულ ჩემი დახმარებაო.

პაპს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ციური ლაშქარიც აგვიანებდა, ასე რომ მაშინვე ზავი ითხოვა, რადგან საყვარლებთან ეჩქარებოდა. ლუდოვიკოს ჯარები უკვე მილანში იყვნენ. მეფემ არმია სწრაფად უკან გაიწვია.

ხელშეკრულება პიზაში დაიდო. პაპი ვალდებულებას კისრულობდა აეგო „გამოსასყიდი" მონუმენტი და სამუდამოდ განედევნა კორსიკელები თავისი მიწაწყლიდან. ძვირად დაუჯდათ პაპის წყალობა.

პირველი, რაც რომში ჩასულმა პაპმა გააკეთა, ის იყო, რომ განაცხადა, უარს ვამბობ ძალით გამოგლეჯილი დაპირებების შესრულებაზე, და ოფიციალურად ვაცხადებ უარს პიზის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განაღდებაზეო.

იმავე დროს ფარისეველი ბლუდელმთავარი საფრანგეთის სა-

სახლის კართან უმანკო ბატკნის როლის თამაშს განაგრძობდა, და თავის ძმისწულს ისიც კი დაავალა, გადაეცი ლუდოვიკოს, რომ უმორჩილესად ვიხდი ბოდიშს მისი უდიდებულესობის წინაშეო. მოკლედ, ნამდვილი პაპი იყო! პრელატს დამატებითი დავალებაც ჰქონდა — ყველა ზამბარა დაეჭიმა და საფრანგეთში მღელვარება კამოეწვია. კარდინალმა მაშინვე იეზუიტებთან დაიჭირა კავშირი და თავისი უწმინდესი ბიძის სახელით დაავალა, ფარული ომი გამოუცხადეთ მეფესო. წმინდა მამის სასახლეში ქეიფსა და დროსტარებას მიჩვეული ახალგაზრდა კარდინალი პარიზშიც ფაშასავით ჩაეფლო გარყვნილების ჭაობში. სასახლის მანდილოსანთა შორის ბევრი კეკლუცი აღმოჩნდა, ციური სასუფევლის მაძიებელი, ქრისტეს მოადგილის წარმომადგენელთან უშუალო სიახლოვით რომ ნატრობდა ამ წყალობის მოპოვებას. რომაელ კარდინალს მაინც თავისი ავტორიტეტი და მიმზიდველობა ჰქონდა. ალექსანდრე მეშვიდის ღირსეული ელჩი არც ახალგაზრდა კარისკაცებს იწუნებდა, ასე რომ ფრანგებმა მალე დაასაჩუქრეს „სოდომის შვილის“ წოდებით.

პაპის ძმისწულის თავაშვებულმა ცხოვრებამ პარიზში სულ დააბნია ლუდოვიკი XIV და დაავიწყა მისი ნამდვილი მისია საფრანგეთში. კარდინალი სულთნის ელჩივით პარპაშებდა პარიზში და თვით ეროვნულ თავმოყვარეობას უჩლუნგებდა ეგზომ შეურაცხყოფილ მეფეს. მაგრამ ზოგიერთი ისეთი შრომის გამოქვეყნებამ, რომლებშიაც პაპის დაგეშილი ძაღლები ცოფს ანთხევდნენ და სახელს უტეხდნენ მეფის ძალაუფლებას, ლუდოვიკო XIV აიძულა საქმეს სერიოზულად ჩაფიქრებოდა. საქმის გარკვევის და მთავარი დამნაშავის პოვნის მიზნით იეზუიტური წარმოშობის ორი მავნე წიგნი აკრძალა. მიაღწია იმას, რომ სორბონმა ეს წიგნები დაგმო, თვითონ კი პაპის გამოხმაურებას დაელოდა.

პაპის საქციელმა სავსებით დაადასტურა მეფის ეჭვი. ალექსანდრე მეშვიდემ საშინელი ბულა დაანთხია, რომლითაც სორბონის გადაწყვეტილებას სამარცხვინოს ეძახდა, და ეკლესიიდან განკვეთის მუქარით აუკრძალა სასულიერო პირებს ამ „თავხედური, თვითდაჯერებული“ დადგენილების დამორჩილება.

ახლა ლუდოვიკო დარწმუნდა პაპის ნამდვილი ზრახვის სამტრო ხასიათში, მაგრამ უფრო ხელსაყრელად მიიჩნია მასთან მჭიდრო

კავშირის შენარჩუნება და ნაცად ღონისძიებას მიმართა, რომ ალექსანდრე VII გული მოენადირებინა: რომში დიდძალი თანხა გაგზავნა იმ რელიქვიების შესაძენად, რომელნიც საფრანგეთის სხვადასხვა ეკლესიებში უნდა ჩამოერიგებინა, უფრო კი პარიზშივე. ძაღლი ძაღლის ტყავს არ ხევდა!

საჩუქრით მოხიბლულმა პაპმა მაშინვე გაგზავნა რელიქვიები. სამ ყუთში ჩაალაგეს, ზედ იმ კარდინალის ბეჭედი დაარტყეს, რომელსაც ჰქონდა დავალებული ძვლების შეგროვება და გაყიდვა (ეს იყო პაპის კომერციის ერთი მთავარი შემოსავლიანი დარგი).

მოხდა ისე, რომ ეპისკოპოსი, რომელსაც ყუთების გახსნა ჰქონდა დავალებული, ფარულად იანსენისტებს თანაუგრძნობდა, პაპის მოწინააღმდეგეებს, ამიტომ სულაც არ იტყოდა უარს სიამოვნებაზე, რომ პაპისა და მისი კარდინალებისათვის ისეთი ოინი გაეკეთებინა, რაც მათ ბოლად ჩაუვლიდათ.

არა, ყუთში ჩაწყობილი ძვლები კი არ გადაუყრია და არ განუცხადებია, წმინდა ნაწილები აორთქლილანო! პირიქით, ყუთებით ჩამოტანილი ძვლების გასინჯვისა და მათი კლასიფიკაციის მიზნით ეპისკოპოსმა სრულიად უწყინარი კაცის ტონით განაცხადა, კარგი იქნება ანატომებს მოვიწვევდეთ და დავადგენდეთ, რა საქონელთან გვაქვსო საქმე. ხუმრობა რომ უფრო თავშესაქცევი გამოსვლოდა, პაპის ძმისწულიც მიიწვია.

პირველი ყუთი იუწყებოდა: ჩემს წიაღში ორი სახელგანთქმული წმინდანის ნეშტი განისვენებსო. მაგრამ როცა ძვლები ამოიღეს, აღმოჩნდა, რომ იქ თავმოყრილი ორი მოწამის ნეშტისაგან სამი ჩონჩხის გამოყვანა შეიძლებოდა.

პაპის ძმისწულმა მდგომარეობიდან გამოსავალი ნახა: მდივანს შეშლიაო. სადაც „ორი" წერია, იქ „სამი" უნდა ჩაეწერაო.

როცა მეორე ყუთზე გადავიდნენ, ახალი სურპრიზი აღმოჩნდა: ადამიანთა ძვლების გარდა იქ ეყარა ვირის სამი ტაბუხის ძვალი-ბარძაყის მაგიერი, ძაღლის ორი წვივი და სხვა ძვლები, შინაურ ცხოველთა ჩონჩხის ნაწილები. ამრიგად, პაპმა ფრანგთა მეფეს ტაბუხი მიართვა!*

---

* ტაბუხი — „მუხლის თავი" (საბა). ტაბუხის (თავის) მირთმევა — მოტყუება. პირში ჩალის გამოვლება, გაცურება.

კარდინალმა, ცხადია, კარგად იცოდა ვატიკანის ანატომიის საიდუმლო და თავს ძლივს იკავებდა, სიცილით იგუდებოდა. მაგრამ მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა ეპოვნა და ამიტომ შემდეგი განაცხადა: „ჩანს, სათაყვანებელი წმინდანების ძვლებს შორის ეს ზედმეტი ძვლები სატანამ გაურია. ეშმაკის მანქანება სრულიად მიუწვდომელია. ძმანო ჩემნო, მას უნდოდა თქვენი რწმენა გამოეცადა. ჩვენ მის იმედებს გავაქარწყლებთ და ინციდენტს დავიწყებას მივცემთ. გადავიდეთ მესამე ყუთზე“.

უკანასკნელი ყუთის წარწერა იუწყებოდა: „წმინდა ფორტუნატის თავი“. გახსნეს და ჩინებულად შენახული მიცვალებულის თავის ქალა აღმოჩნდა.

კარდინალს სახე ებადრებოდა. მადლობა ღმერთს, ახალ მოულოდნელობას თავი დააღწია, თორემ ყველაფერს ხომ ეშმაკის ჩარევით ვერ ახსნი, თუნდაც თვითონ ეშმაკი იყო! არა, ეს ნამდვილი თავი იყო და ვერავინ იტყოდა, წმინდა ფორტუნატის თავი არ არისო. საუბედუროდ, ერთმა მეცნიერმა რაღაც ხინჯი მაინც შეიშნა, თავის ქალა მდუღარე წყალში ჩააგდო. თავის ქალა მაშინვე გადნა და ყოველგვარი ფორმა დაკარგა: ჭაშა მუყაოსაგან იყო დამზადებული.

ფრანგმა მეცნიერებმა რომაელ ხუცებს კოვზი ნაცარში ჩაუგდეს. კარდინალი რაღაცას ლუღლუღებდა, ექიმებმა და იანსენისტმა ეპისკოპოსმა დაივიწყეს თავიანთი დიდებული იერი და მრუში მღვდელმთავარი, მუყაოს წმინდანებით მოვაჭრე შარლატანი ხარხარით გააცილეს. რომის წმინდა ტახტს ერთხელ კიდევ აეხადა ფარდა და გამოჩნდა აშმორებული დუქანი.

ლუდოვიკო XIV დიდი სიბრიყვე ჩაიდინა, ასეთი საქონელი რომ შეუკვეთა რომს, მაგრამ მისი სიბრიყვე ნამდვილი სიბრძნით იქნა გამოსყიდული: მის ხელთ იყო უდიდესი მამხილებელი საბუთი, რაც ყოველგვარ წიგნს აღემატებოდა. მას დაწვრილებით მოახსენეს ყველაფერი, რაც ამ კომედიის მსვლელობაში მოხდა, უამბეს წმინდა ნაწილების მეცნიერული ანალიზის შედეგები. ოქმში, სხვათა შორის, არც იმისი აღნიშვნა დავიწყებიათ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების წმინდანთა ჩონჩხის ნაწილებად გამოცხადებული ძვლები სინამდვილეში სულ ახლახან გარდაცვლილ ადამიანთა ძვლები აღმოჩნდა.

კაცი იფიქრებდა, რომ მისტიფიკაციის მსხვერპლი მონარქი უსარგებლო ძვლებს გადაყრიდა, მაგრამ თქვენც არ მოძიკვდეთ! მეფემ ცეცხლში ისროლა ანატომთა ოქმი, უსასტიკესად აუკრძალა დამსწრე პირთ იმისი გამხელა, რაც ნახეს და დაწერეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბასტილიაში ჩაგდებით იმუქრებოდა. მეფემზე ბნელეთის ქომაგი აღმოჩნდა. მას რომ ეს ფაქტი ჯეროვნად გამოყენებინა, თავის გვირგვინს მეტ სხივს შესძენდა, ვიდრე ყველა თავისი საგმირო საქმით შესძინა. გამოგზავნილი ძვლები კი, მუყაოს დაშლილი თავის გარდა, პარიზის ეკლესიებში ჩამოარიგებინა. ამიტომ, თუ გვეტყვიან, რომ ვირისა და ძაღლის ძვლები სასწაულებს ახდენენ, არც გაგვიკვირდება. ხუცესთა თავხედობა, გაიძვერობა და მუხანათობა რომ მორწმუნეთა უმეცრებასთან შევაერთოთ, იმდენ სასწაულს მივიღებთ, რამდენიც გვინდა.

რელიქვიები, რომლებიც ალექსანდრე VII გამოუგზავნა ლუდოვიკო XIV, დღემდე დაამშვენებდნენ პარიზის ეკლესიებს, მთელს დანარჩენ ნაგავთან ერთად რომ არ დაეწვა საფრანგეთის დიდ რევოლუციას! დიახ, საჭირო გახდა რევოლუცია და ტიტანთა მოსვლა, რომ ტაძრებიდან ძაღლის ძვლები გაეყარათ!

მართალია, სამღვდელოებამ თავისი შემოსავლის წყარო არ დაშრიტა, გახვეტილი ეკლესიები ახალი ნაგავით შეავსო. მას ლუდოვიკოს და ალექსანდრეს ისტორიულ სახელთა სხივი აკლია, - მაგრამ რად უნდა მორწმუნეს სხივი?

რელიგიური უხამსობანი

1667 წელს ალექსანდრე VII თავის სამოთხეში გარდაიცვალა და საერთო ჯოჯოხეთში წავიდა. ერთი თვის შემდეგ რომის მღვდელმთავრად აირჩიეს ჯულიო, კლიმენტი IX, სუსტი, აპათიური და ზარმაცი კაცი. მოციქულის ტახტი ორნახევარი წელი ეჭირა და თავისი პონტიფიკატი ვერაფრით აღნიშნა ისეთით, რომ ყურადღებას იმსახურებდეს.

კლიმენტი IX ყველაზე უფრო სუსტი მხარე იყო ლოთობა. ამასთან ერთად, პირველი რიგის ღორმუცელა გახლდათ. იმდენ სანო-

ვაგეს ნთქავდა, ვერავინ შეაჩვია თვალი, და იმასაც კი აოცებდა, ვინც მუდამ მასთან ერთად უჯდა სუფრას. მოკლედ, ღორმუცელა იყო. მაგრამ ეს არაფერი, სხვა მღვდელმთავრები ხომ ხალხებს ჭამდნენ და თავად იყვნენ ღორები!

თავისებურად ეგზომ ორიგინალური კლიმენტი IX 1669 წელს გარდაიცვალა მუცლის აშლილობისაგან.

ამ პაპის მეუფების დროის ერთ ეპიზოდს მაინც გავიხსენებთ, რადგან თვალნათლივ ახასიათებს იმ დროის საეკლესიო რიტეალს.

წმინდა ტახტთან ხშირად ასე მწყრალად მყოფმა ლუდოვიკო XIV კლიმენტის გულის მოგება მოინდომა და სთხოვა, დოფინი მომინათლეო. პაპი უარს როგორ იტყოდა მეფისწულის მონათვალაზე, როცა სამეფო სუფრა ყოველთვის ასე მდიდარია! მართალია, თვითონ ისე ზარმაცი იყო, პარიზში ვერ ჩავიდოდა, მაგრამ ერთ სუფრას რომშიც გაუწყობდნენ. ამიტომ ვანდომის კარდინალს სრული რწმუნება უბოძა-მისი უწმინდესობის მაგიერ უნდა მიეღო ნათლიმამის მოვალეობა.

ცერემონიის დამთავრებასთან ერთად თავდებოდა ვანდომის კარდინალის რწმუნებაც, მაგრამ იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, როცა კარდინალი თავს პაპის შარავანდედით მოსილად გრძნობდა, ისე დაუტკბა ეს მაღალი პატივი, რომ არხეინად განაგრძო პაპის როლში თამაში. ამ უფლებით გააუქმა თავისი ძმისწულისა და პორტუგალიის მეფის საქორწინო კავშირი და ქალს ნება დართო გაჰყოლოდა მეფის ძმას, დონ პედროს, აქამდე რომ მხოლოდ საყვარლად ჰყავდა. მოკლედ, ამ კარდინალს პაპის მონაცემები ჰქონდა! მხოლოდ ტიარა აკლდა.

ასეთი გადაწყვეტილება აღემატებოდა კარდინალის ძალაუფლებას და ის გააუქმეს. პაპს თავდაპირველი მდგომარეობა უნდა აღედგინა: ქალი უნდა განექორწინებინა მეფის ძმასთან და კანონიერი ქმრისთვის დაებრუნებინა.

ბუნებრივია, ასეთი გამოსავალი ხელს არ აძლევდა შეყვარებულებს. თავზე ჩამოწოლილი საფრთხის ღრუბელი რომ გაეფანტა, ექს-დედოფალმა (ვაი ასეთ დედოფლებს!) განაცხადა, ქმარს ვერ დავუბრუნდები, რადგან ფეხმძიმედ ვარ და ბავშვის მამად მეფეს ვერ ჩავთვლი, ყრმა მეორე ქმართან ჩამესახაო. განქორწინების მი-

ზეზად კი მეფის უძლურობა გამოცხადდა: კაცი არ არისო პორტუგალიის მეფე!

საბუთი საგრძნობლად დიდია! იურიდიულად ვერსად წაუვიდოდა ვერც ერთი ჭკვათამყოფელი. მაგრამ დონ პედრომ მეორე საბაბიც გამონახა, კიდევ უფრო სარწმუნო. სასულიერო პირთა მექრთამეობის ამბვი რომ იცოდა, კლიმენტი მეცხრეს დიდებული საჩუქრები გაუგზავნა, და ღორმუცელა პაპმაც დაუყოვნებლივ დაამტკიცა ვანდომის კარდინალის გადაწყვეტილება.

რაკი ბულაში ასეთი მიზეზის დასახელება უხერხული იქნებოდა, პაპმა სასტიკად გაკიცხა პორტუგალიელი ეპისკოპოსები, რომელთაც დაქორწინების წინ მომავალი მეუღლეები არ გამოცადეს.

ეს გამოცდა ძველი საეკლესიო წესია. სასულიერო მოსამართლენი ექსპერტიზას ექიმს, ქირურგსა და მატრონას ავალებდნენ.

წინასწარი კვლევა-ძიების შემდეგ ცოლ-ქმარი ვალდებული იყო ექსპერტის დასწრებით სარეცელში ჩაწოლილიყო, ამასთან ფარდაგი გადაწეული იყო, მიუხედავად ცოლის ან ქმრის პროტესტისა. მერე ქალი და კაცი საწოლს ტოვებდნენ, ალკოვში ექსპერტი შედიოდა და იწყებოდა ახალი კვლევა-ძიება. ბოლოს დგებოდა ოქმი და საეკლესიო სამსჯავროს გამოჰქონდა სათანადო გადაწყვეტილება. ეკლესია ხომ დასაბამიდან იკრებოდა სხვათა სარეცელში!

როცა ხელისუფალთ საფრანგეთში ამ საზიზღარი წესის მოსპობა განიზრახეს, შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ: ყველა ეპისკოპოსი აღდგა იმის დასაცავად, რასაც „წმინდა დედის ეკლესიის წმინდა სუროგატივს“ უწოდებდნენ. მის დაძლევას გაუგონარი შეუპოვრობა დასჭირდა. ეტყობა, უხამსი პროცედურა ამ ბინძურ პირუტყვთა ჯიშს უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებდა.

ნათელმჭვრეტელის
თავგადასავალი

❶ კლიმენტი IX გარდაცვალების შემდეგ კარდინალებს რამდენიმე თვე დასჭირდათ, რომ ახალი პაპი აერჩიათ. ბოლოს გადაწყვიტეს უპირატესობა მიეცათ ოთხმოცი წლის ბერიკაცისთვის, რომელ ემილიო ალტიერისათვის, რომელსაც ეწოდა კლიმენტი X.

ეს იყო უნიჭო და უვიცი ლოთი, რომელსაც სახელის გარდა ის საერთოც ჰქონდა თავის წინამორბედთან, რომ სპირტს ეტანებოდა. ღვინო მეტისმეტად მტკნარი ეჩვენებოდა და უფრო მაგარი სასმელებით იბრუებდა ისედაც ჩლუნგ გონებას. მამრობითი სქესის ნათესავები არ ჰყავდა, მაგრამ პაპთა წმინდა ტრადიციას მაინც არ ულალატა, ძმისშვილად დაიმტკიცა თავისი ერთ-ერთი ძმისწულის სიძე ანტონიო პაულუცი. ყვავი ჩხიკვის მამიდაო, ისე გამოუვიდა. ხარისხებითა და საჩუქრებით აავსო ახალი კარდინალი და მთელი მისი ოჯახისათვის ზრუნვას გადაჰყვა. ასე იქცა ვინმე ანტონიო პრემიერ-მინისტრად ანუ კარდინალ-პადრონად, რომლის წლიური შემოსავალი ასი თასი ეკიუ იყო. ბედშავი საქრისტიანო სატანის ჰოციქულებს კვებავდა!

ყოვლად უგნური ბავშვური ახირებით კლიმენტი X წინამორბედებს ჩრდილავდა, რამდენიმე დღეში გაამდიდრა ყველა პაულუცი და მათი ნათესაობა. პაპის იდიოტურმა სიუხვემ ბევრ ვინმეს მოაგონა, რომ პაულუცის და მაშასადამე პაპის ნათესავები არიან. ნათესავები ისე მომრავლდნენ, როგორც სოკოები ნაწვიმარზე.

ყველა ახალი ნათესავი რომ ასე დაასაჩუქრა, წმინდა მამამ თქვა: უფალმა ღმერთმა ექვს დღეში სამყარო შექმნა, მეშვიდეს მუთაქებზე წამოგორდა და მეც ასე მმართებსო, მის მოადგილეს. თავი დაიდაფნა და განცხრომას მიეცა.

ეკლესიის მართვა-გამგეობა თავის პრემიერ-მინისტრს დააკისრა, თვითონ კი აღვირახსნილ ღრეობას მიჰყო ხელი. ალკოჰოლით მეტისმეტმა გატაცებამ ბერიკაცი მთლად გამოათაყვანა და კრეტინად აქცია.

ამასობაში რელიგიური სექტები მრავლდებოდნენ და ყოველ წვრილმანზე პაექრობდნენ. საკმარისი იყო რომელიმე თაღლითს ან შტერს განეცხადებინა, ღმერთი მარიგებსო, რომ შაშინვე ბნედიანთა მთელი ბრბო შემოეხვეოდა. ასე იქმნებოდა სექტები, მათი რიცხვი უთვალავი იყო, მაგრამ ისტორიაში შესამჩნევი კვალი სულ რამდენიმემ დატოვა. ერთი ასეთი ჯგუფი შექმნა ლილის მცხოვრებმა ანტუანეტამ. ჯერ კიდევ პატარა იყო ანტუანეტა, რომ დედამ შეიძულა და სხვენზე დაასახლა, სადაც რამდენიმე წელიწადი გაატარა სრულ მარტოობაში, ალბათ მხოლოდ კატებს ხედავდა, აგრეთვე ერთ ვინმეს, ვისაც მისთვის საჭმელი დაჰქონდა, დაუტოვებდა და

ერთ სიტყვასაც კი არ ეტყოდა. ცხადია, ასეთ პირობებში ადამიანი იოლად გამოთაყვანდებოდა.

საბრალო ქალიშვილზე დიდი ზეგავლენა მოახდინა რამდენიმე მისტიკური შინაარსის წიგნმა, შემთხვევით რომ იპოვა სხვენზე. ბოლოს და ბოლოს მისმა რელიგიურმა შეშლილობამ ისეთ საზღვარს ჩიაღწია, რომ მოჩვენებებზე ბოდვა დაიწყო და ამტკიცებდა, ღამ-ღამობით ღმერთი მეცხადებაო. უკვე მონასტერში აპირებდა წასვლას, როცა უცებ იესო ქრისტე მოევლინა და უთხრა: „მონაზვნები და ბერები ისევე საზიზღარნი არიან, როგორც მღვდლები, მათი სიბილწე სასჯელს ითხოვს. მოვა დრო, როცა ეს ეშმაკის მოციქულები გაწყდებიან, საკუთარ თავს ამოიჟამენ". მაშინ ანტუანეტამ თავის ციხეში დარჩენა ამჯობინა.

მშობლებს ქალიშვილი ტვირთად აწვათ, მალე თავიდან მოშორება მოიწადინეს, გათხოვება მოუნდომეს. მდიდრები იყვნენ და საჩიქოები ბუზივით ეხვეოდნენ. მაგრამ ახალგაზრდა ნათელმჭვრეტელს ისე სძაგდა ამ საგანზე ლაპარაკიც კი, რომ სახლიდან გაქცევა ამჯობინა, თუმცა არავითარი სახსარი არ გააჩნდა.

გზად ჯარისკაცთა რაზმი შეხვდა. განდეგილის ტანისამოსის მიუხედავად , მისმა წერწეტმა ტანმა, სახის სწორმა ნაკვეთებმა და მორცხვობამ ჯარისკაცებს ეშვი აღუძრა. რაზმის უფროსმა ეშვის გასაფანტავად ბრძანა მონაზონი იქვე გაეტიტვლებინათ. —

საბრალო ანტუანეტა, რომელიც ერთ მამაკაცს გაურბოდა, მიუხედვად ხვეწნა-მუდარისა და ცრემლთა ფრქვევისა, მთელმა რაზმმა გააუპატიურა. თუ მის ბიოგრაფს ვერწმუნებით, არც ერთმა ჯარისკაცმა არ დაინდო უმანკო ქალიშვილი, რაზმში კი ოთხასი ჯარისკაცი შედიოდა!

ჩვეულებრივი ქალი ასეთი ექსპერიმენტის შედეგად, ცხადია, მოკვდებოდა, მაგრამ ანტუანეტა წმინდანი გახლდათ, რომელიც ღმერთმა განსაკუთრებული წყალობით დააჯილდოვა. ჯერ თვალს ბოფარებულიც არ იყო რაზმი, რომ ქალიშვილი ზეზე წამოიჭრა და გზა ისე არხეინად განაგრძო, თითქოს არაფერიც ა რ მომხდარიყო. მისი ბიოგრაფი, ასე გასინჯეთ, იმასაც კი ამტკიცებს, ქალწულობა არ დაუკარგავსო! ჩანს, წესიერად ვერ გაატიტვლეს...

ანტუანეტა მეზობელი სოფლის მღვდელთან მოხვდა, იმან კიდევ მონასტერში მოაწყო. სამაგალითო კეთილმსახურის წესებს

იცავდა. მაგრამ თავის მისტიკურ იდეებზე კი ხელი არ აუღია, მონაზვნებს შორის თავისი ჭკუის რამდენიმე თანამოაზრეც იპოვნა, პასავით რელიგიური ექსტაზით შებოჭილნი.

ამ მონასტერში სულიერი მამები იეზუიტები იყვნენ. მათი უხანსი საქციელით აღშფოთებულმა მონასტრიდან გაქცევა გადაწყვიტა, თან რამდენიმე მონაზონი უნდა წაეყვანა, თავისი ზეგავლენის ქვეშ მოქცეულნი. უღალატეს. გასცეს. მონასტრიდან განდევნეს. გზა გახაგრძო, თავშესაფარი სხვა მღვდელთან ნახა. იმანაც კარგად ჰიიღო. მოაწყო. ანტუანეტამ უკვე დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ იესო ქრისტემ სასულიერო პირებს ცილი დასწამა, საზიზღარი ეშმაკის კერძები რომ უწოდა.

მაგრამ მღვდელმა, ახალგაზრდა ქალი რომ შეივრდომა, თავისი სტუმართ-მოყვარეობის დასაჩუქრება მოიწადინა და ღამით ანტუანეტასთან შესვლა სცადა. უბედურმა ქალწულმა, რომელსაც მხოლოდ ოთხასი კაცი ენახა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და სიყვარულით დამწვარი მღვდელი ხახამშრალი დატოვა.

მთელი ამ მიმოსვლისა და განსაცდელის შემდეგ ანტუანეტა მშობლიურ სახლში დაბრუნდა. მალე დედამისი გარდაიცვალა, მერე მამა დაკარგა, და ანტუანეტა კარგი შეძლების პატრონი გახდა. წმინდა ავგუსტინეს ორდენის სამოსი ჩაიცვა და მონასტრის საავადმყოფოში სნეულთა მოვლა დაიწყო. მონასტრის ცხოვრებამ ჰალუცინაციები გაუძლიერა და მოკლე ხანში ისევ თავისი ისტერიები დაიწყო.

რელიგიური შეშლილობა ძალიან გადამდებია, წყობილებათა სიდამპლის ჟამს ის ყოველთვის ხელახლა იჩენს ხოლმე თავს, და მალე ხსენებულ მონასტერშიც ყველა მონაზონი ბნედიანს დაემსგავსა. ხმა იმის შესახებ, რომ ანტუანეტა ჯადოქარია, ეშმაკეული, და სავანის სხვა მონაზვნებიც დააგიჟაო, მალე მთელს ქალაქს მოედო.

ანტუანეტა იძულებული გახდა ლილი მიეტოვებინა, აქ შეიძლებოდა მოეკლათ.

მშობლიური ქალაქი რომ მეორედ მიატოვა, მისი ტვინი ცოტა დაცხრა. მართალია, მოჩვენებები არც ახლა ასვენებდნენ, მაგრამ სხვა ხასიათი მიიღეს-წინ სამოთხის ნეტარებას უშლიდნენ.

„უფალმა, — წერს თავის მემუარებში, — დაბოლოს, ღირს

მყო მასთან მარადიული კავშირისა და ბავშვის გაჩენა მიბრძანა, რაც შევასრულე. მაშინვე ვიგრძენი, რომ ციურმა მწყემსმა ხელი მომხვია და კოცნა დამიწყო. შემდეგ ცნობა დავკარგე და ამოუხსნელი ნეტარებით მთვრალი ვიყავი დიდხანს... ქალწულობა ჩემი დასრულდა და მე მუცლად ვიღე. ცხრა თვის შემდეგ ვშვი ყრმა. ტკივილები კი მქონდა, მაგრამ უფლის ნებას ვასრულებდი, და ყოველთვის ასე ხდებოდა, როცა ბავშვს ვაჩენდი".

ანტუანეტა ამსტერდამში იმყოფებოდა, როცა ღმერთმა პირველად შვილით ვააბედნიერა. ჩვენ ეჭვი გვინდოდა შეგვეტანა იმ არსების ღვთაებრივ ჩამომავლობაში, ვინც საბრალო მოხეტიალე ქალწულს შვილი გაუჩინა. მაგრამ ისტერიკით შეპყრობილი ამ ღვთისნიერი ქალის მოთხრობას სიტყვასიტყვით ადასტურებს ღვთისნიერი მამაო ბორდი.

განა შეიძლება ამ საბუთის სისწორეში ეჭვის შეტანა? რა თქმა უნდა, არა! უნდა ვიგულისხმოთ, რომ მამაო ბორდი ძალიან ახლოს იცნობდა ანტუანეტას, ისე ახლოს, რომ თქმაც კი გვიჭირს. ერთი რამ კი ცხადია: მასავით დაწვრილებით არავინ იცოდა, თუ როგორ იღებდა მუცლად ანტუანეტა და როგორ ფაბრიკასავით უშვებდა ყმაწვილებს. ღვთისმშობლივით უნაყოფო კი არ იყო, ერთი ყრმა რომ დაამადლა ქვეყნიერებას, — ანტუანეტამ მრავალი შვილი აჩუქა ადამის ტომს და ყველა უბიწო ჩასახვის ნაყოფი იყო. ამის თავდებია თვითონ მამაო ბორდი, რომელიც ანტუანეტას ერთი დღითაც არ ტოვებდა. ყველა მოგზაურობაში თან ახლდა, რომ ჯარისკაცთა ახალი რაზმი არ შეყროდა. მისი მიმდევარი იყო, ხოლო ქალიც მისი მეუღლე — უბიწო მეუღლე, ცხადია. ღამითაც კი არ სცილდებოდა, მის სარეცელსაც იზიარებდა. ამასთან უმანკობის მცნებას იცავდა და, ამრიგად, მისი ღვთაებრივი მოწყალების მთელი საიდუმლო იცოდა. დალოცვილი ღმერთი რომ ეცხადებოდა და ეხვეოდა, მაშინაც იქვე იყო და ლოცულობდა.

მისტიციზმის დიდი დოზა სიგიჟეს იწვევს, მცირე — გაკეულურებას.

უფლის სადიდებლად!

● ექვსი წლის მმართველობის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც ეკლესიას ფაქტიურად ანტონიო პაულუცი განაგებდა, კლიმენტი X გარდაიცვალა.

პაპი — ლოთი შეცვალა ბენედეტომ — ინოკენტი XI. ეს იყო სასტიკი, სისხლიანი პაპი, რომელმაც უფლის სადიდებლად სისხლის მდინარეები დალვარა. წინამორბედი დაანატრა სალხს: ჯობს ბატონად გყავდეს ლოთი ბერიკაცი, ვიდრე გარეული მხეცი!

ინტრიგების შემწეობით, იეზუიტების დახმარებით პაპმა ინგლისში მთელი შეთქმულება მოაწყო, რომ კათოლიკური რელიგია აღედგინა, როგორც სახელმწიფო სარწმუნოება.

ინგლისში ამ დროს ტახტზე იჯდა კრომველის მიერ განდევნილი კარლოს II. მამამისს, კარლოს I იმავე კრომველმა სახელმწიფო ღალატი დააბრალა და თავი მოჰკვეთეს. შვილი ამაოდ ცდილობდა განუსაზღვრელი ძალაუფლების დაბრუნებას. რაკი მიზნად აბსოლუტიზმის აღდგენა დაისახა, სრულიად გულგრილად უყურებდა პრესვიტერიანელების საყოველთაო რბევის პერსპექტივას და არც კონსტიტუციური მთავრობა ეჭაშნიკებოდა. მონარქის გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ კათოლიკები გამოეყენებინა კრომველის პარლამენტის დასამხობად, შემდეგ კი ისევ პრესვიტერიანელებს მიმხრობოდა კათოლიკეთა წინააღმდეგ *.

ასეთ ორპოფულ გზას რომ დაადგა, კარლოს II ვერ განსაზღვრა, რომ საქმე აქვს უფრო ძლიერ და ვერაგ მტერთან, ვიდრე თვითონაა. რომის აგენტებმა მისი გეგმა გამოიცნეს და მხოლოდ ისეთი სახე მიიღეს, ვითომ მეფის ნებას ემორჩილებიან. სინამდვილეში კი განიზრახეს მისი მოკვლა, გვირგვინი გადაეცათ მისი ძმის იაკობისათვის, რომელიც იორკის ჰერცოგის ტიტულს ატარებდა

---

*პრესვიტერიანელები — ინგლისელი, შოტლანდიელი და ამერიკელი კალვინისტები, თითქმის იგივე რეფორმატორები, რომლებიც ეპისკოპოსის ძალაუფლებას არ ცნობდნენ და აღიარებდნენ მხოლოდ მღვდელს (პრესბიტერ — მღვდელი). საფუძველი ჩაეყარა 1647 წელს, „ღვთისმეტყველთა დიდ საკრებულოზე", როგორც „ვესტმინსტერულ სარწმუნოებას".

ყველაფერი მზად იყო, როცა ერთ-ერთმა კონსპირატორმა შეთქმულება ჩააგდო: ლონდონის საერო მოსამართლეს_განუცხადა, რომ ქრისტეს მოადგილეს განზრახული აქვს ძირფესვიანად აღმოფხვრას ინგლისის სამეფოში მოდებული ერესი, ამ მიზნით იეზუიტებს დაავალა პაპის ძალაუფლების აღდგენა და უფლება მისცა მიმართონ ყოველგვარ ღონისძიებას.

შეიქმნა კათოლიკური მთავრობა, რომლის სათავეშიც უნდა ჩამდგარიყო პაპის_ლეგატი. მთავარი სახელმწიფო თანამდებობანი უნდა დაენაწილებინათ პაპისა და რომის ეკლესიის ფანატიკურად ერთგული მომხრეებისათვის. იორკის ჰერცოგი გახდებოდა სათამაშო თოჯინა, ყურმოჭრილი ყმა, ინოკენტი XI და იეზუიტების გეირგვინოსანი მარიონეტი. უფრო თავხედური გამოხდომა თვით პაპი — სპრუტის მხრივაც კი წარმოუდგენელი იყო.

მეფე კარლოს მეორეს იეზუიტების საიდუმლო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა. მღვიმეებში შემალულ ღრიანკელებს თავიანთი სამსჯავრო ჰქონდათ.

ლუდოვიკო მეთოთხმეტის სულიერმა მამამ, იეზუიტმა ლაშეზმა* დედოფლის პირად ექიმს ათი ათასი გირვანქა შეაძლია მეფის მოწამვლისათვის. პატიოსანი ექიმი უარს აბობდა თავისი მეფის ნდობის ბოროტად გამოყენებაზე.... თუ ხუთი ათას გირვანქას არ მოუმატებდნენ. მამაო ლაშეზი მაშინვე დათანხმდა, და სინდისის ნატამალიც გაიყიდა.

ყველა ეს წვრილმანი ერთმა მონანიებულმა შეთქმულმა მოსამართლეს გაანდო. თან დაუმატა, რომ თუ ექიმი დაპირებას ვერ შეასრულებს, იმ შემოხვევისათვის იეზუიტებმა მოისყიდეს კიდევ ოთხი მკვლელი, რომელთაც ხანჯლებით უნდა განეგმირათ კარლოს II, როცა პარლამენტში გამოჩნდებოდა. ამ ხერხმა სასურველი ნაყოფი გამოიღო ჰენრიხ IV. მიმართ და სრულიად გამოსადეგი გამო-

---

* ფრანსუა ლაშეზი (1624-1709) — ლუდოვიკო მეთოთხმეტის სულიერი მოძღვარი. ლე პერ ლაშეზად წოდებული იეზუიტი, ფრიად განათლებული. პირადად უანგარო, თავაზიანი, მაგრამ ბნელი და საშიში ფანატიკოსი, რომელმაც უღრესი ზეგავლენა მოიპოვა მეფეზე და მიაღწია ნანტის ედიქტის გაუქმებას. მეფემ ქალაქგარეთ აჩუქა ბაღი, რომელიც 1804 წლიდან იქცა პერ-ლაშეზად წოდებულ სახელგანთქმულ სასაფლაოდ. ბოროტმა იეზუიტმა სიცოცხლეშივე სასაფლაოს დაამსგავსა მთელი საფრანგეთი.

დგა. თუ ეს საუკეთესოდ მომზადებული თავდასხმაც მარცხით დამთავრდებოდა, იეზუიტების განკარგულებაში რჩებოდა კიდევ ორი აგენტი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ სროლა და მეფის მოკვლა პირდაპირ ტყვიით.

შეთქმულმა ისიც კი თქვა, იეზუიტები თავს იქცევენ და ერთმანეთს შორის სანაძლეოდ დებენ მეფის სიკვდილის ვადებზეო. ერთი ამტკიცებდა, საშობრ დღესასწაულებამდე მოკვდებაო, სხვები კი ფიქრობდნენ, რომ მკვლელობა უფრო მოგვიანებით მოხდება.

ძიებას სათავეში ჩაუდგა მოსამართლე, რომლის გულმოდგინე მუშაობამ ფარდა ახადა კათოლიკე მკვლელთა საშინელ ზრახვებს. გადამწყვეტ წუთს ინგლისს მაინც ბედი სწყალობდა, ვილჰელმ დამპყრობელის დროიდან მოყოლებული. ეს დამტკიცდა ელიზაბედ დედოფლის მოკვლის არაერთი ცდის ჩაშლით, „დენთის შეთქმულების“ ჩავარდნით, ფილიპეს „უძლეველი არმადის“ ძლევით, და ახლაც...

იპოვეს საიდუმლო მიწერმოწერა დედოფლისა იორკის ჰერცოგთან, კათოლიკე ლორდებისა — პაპის ნუნციუსთან და ლუდოვიკო XIV სულიერ მოძღვართან. ეს წერილები ისეთი მაღალი მდგომარეობის ადამიანებს უტეხდნენ სახელს, რომ მოსამათლეს მათი გამომზეურება უსათუოდ სიცოცხლის ფასად უნდა დასჯდომოდა.

ერთხელ დილით შეუპოვარი მოსამართლე საკუთარ დაშნაზე აგებული ნახეს. იეზუიტებმა თვითმკვლელობის სცენა გაითამაშეს: აქაო და წმინდა კათოლიკური ეკლესიის მინისტრებს გაუტეხა სახელი, სინდისის ქენჯნას ვერ გაუძლო და საკუთარ მახვილზე აეგოო. საკითხავია, მაშინ რა მახვილზე უნდა აეგოთ თავი იეზუიტებს, რომელთაც მთელს კაცობრიობას გაუტეხეს სახელი? მოკლულ მოსამართლეს კისერზე ალისფერი კვალი აღმოაჩნდა, რაც მოწმობდა, რომ გაგუდეს. დაშნა მაშინ გაუყარეს, როცა ცოცხალი აღარ იყო. მკვლელობა აშკარად მეფის კარისა და იეზუიტების შთაგონებით იყო ჩადენილი. ასე გუდავდნენ სამართალს შუა საუკუნეებში და გუდავენ დღემდე ძლიერნი ამა ქვეყნისანი. ბოროტება მეტისმეტად ხშირად იმარჯვებს. იეზუიტებმა ცუდად იცოდნენ მედიცინა და ძალიან კარგად — მკვლელობის საიდუმლეოებანი.

ეპვი მალე გამართლდა. დაკითხულ კათოლიკეთა შორის ალ-

მოჩნდა ერთი უკმაყოფილო, რომელმაც საიდუმლო გასცა. მის ჩვენებას მით უფრო მეტი წონა ჰქონდა, რომ თვითონ იყო საქმეში ჩარეული.

აუცილებელი იყო აღშფოთებული საზოგადოების დამშვიდება, ამიტომ კარლოს მეორემ გასწირა რამდენიმე იეზუიტი, შეთქმულების მეორეხარისხოვანი მონაწილე. საზოგადოებრივი აზრის დასაწყნარებლად შეპყრობილნი სასამართლოს წინაშე დააყენეს, სიკვდილი მიუსაჯეს და ჩამოახრჩეს.

ამის მიუხედავად, კათოლიკები გამარჯვებას აღწევდნენ. მრავალი მრევლი ჩაიგდეს ხელში, ყოველნაირად ავიწროვებდნენ პროტესტანტებს, ინგლისის ნამდვილ ბატონ-პატრონებად იქცნენ, თავიანთი სასტიკი და გარყვნილი მბრძანებლის ერთგულ თანამგზავრებად.

იაკობ II, რომელიც კარლოს მეორის გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე, სავსებით გაამართა კათოლიკების იმედები. საგულდაგულოდ ქადაგებდა რომის რელიგიას და ისეთი გამძვინვარებით დაუწყო დევნა პრესვიტერიანელებს, რომ მისი წინამორბედის ბარბაროსული სისასტიკე ფერს კარგავდა.

ინგლისის მორჩილება რომ პაპისათვის დაემოწმებინა, დიდი ბრიტანეთის, შოტლანდიისა და ირლანდიის სახელით იაკობმა ელჩი გაუგზავნა. ინოკენტი მეთერთმეტემ ხელახლა მიიღო თავის ქსელში გაბმული სამი ახალი ქვეყანა — მართალია, დროებით — ერთი სკიპტრის ქვეშ გაერთიანებული სამი საყმო. რეგვენი რეტროგრადი იმედოვნებდა, რომ ასეთი ბარბაროსული გაშმაგებით ამოძირკული პროტესტანტიზმი ამ მიწაზე აღარასოდეს აღმოცენდებოდა. ნეტარ არიან სულელნი, რომელთაც თავიანთი ბნელი ინსტიტუტი მარადიული ჰგონიათ! მარადიული რა არის, რომ ბოროტება იყოს! თუ ის ხშირად უფრო ძლიერია, სამაგიეროდ სიკეთე უფრო დღეგრძელია.

ახალი გამარჯვება არა მარტო პატივმოყვარეობის სენს უამებდა, არამედ მნიშვნელოვან შემოსავალსაც აძლევდა ღვარძლიან პაპს. ტირანი აღტაცებული იყო.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ კათოლიკურმა ეკლესიამ ინგლისში მტკიცე პოზიცია დაიკავა. ქვეყანა ახალი მღვდლებისა და ბერების ნიაღვარმა წალეკა. გათავხედებულნი და თავგასულნი,

ყველგან ისე შედიოდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში. არსებითად ასედაც იყო იმ გვირგვინოსანი კრეტინის წყალობით, რომელსაც იაკობ II ერქვა. იმ იმედით, რომ მისი პროტესტანტი ქალიშვილები შეცვლიდნენ, ხალხი ითმენდა, ვიდრე ეს რეგვენი მეფეც არ განდევნეს და პრინცი ორანელი არ გამეფდა. ეს ერთბაშად არ მომხდარა. მოთმინებიდან გამოსული ყველა არაკათოლიკური პარტია გაერთიანდა და დაიწყო ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. მხოლოდ ამ ბრძოლის შემდეგ განდევნეს იაკობ II ინგლისის სამეფოს საზღვრებიდან, მასთან ერთად გადაყარეს მთელი ნაგავი — სხვადასხვა წოდების სასულიერო პირთა კათოლიკური ურდო. გვირგვინი გადაეცა ხსენებულ ვილჰელმ ორანელს, ჰერცოგს, რომელსაც ეწოდა ვილჰელმ III. პაპის გამარჯვება ინგლისში აღმოჩნდა შემთხვევითი და წამიერი.

მართალია, ძლეულ მღვდელმთავარს სანუგეშოდ დარჩენოდა საფრანგეთი, სადაც ლუდოვიკო XIV ზრუნვით უფრთხილდებოდა კათოლიციზმს, გაშმაგებით ანადგურებდა ჰუგენოტებს. მას ხომ სულიერ მოძღვრად იეზუიტი ჰყავდა! მართალია, ეს ხელმწიფე პაპს თავის ბატონად არ თვლიდა, მაგრამ მისი ლაქიის როლს კი ასრულებდა.

ედვნა დამთავრდა მასობრივი რბევა-აწიოკებით, რომელმაც თავისი სისასტიკით ბართლომეს ღამეს გადააჭარბა. ერეტიკოსთა დასამშვიდებლად გაგზავნილი ტლანქი დრაგუნები მისიონერთა ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ, რადგან კათოლიკე ბანდიტები თავიანთ მსხვერპლთა სულებისათვის ზრუნავდნენ. ჰუგენოტებისათვის რომ უარყოფა გამოეგლიჯათ, არაადამიანურ წამებას მიმართავდნენ.

დაქირავებულნი და ბერები მთელს ქალაქებსა და სოფლებში დაძრწოდნენ, პროტესტანტების სახლებში იჭრებოდნენ, ძარცვავდნენ, იტაცებდნენ ქონებას, ნამუსს ხდიდნენ ქალებსა და ქალიშვილებს. ურჯული პაპისტების საყვარელი გასართობი იყო ადამიანების ცოცხლად დაწვა: მდუღარე ფისს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ეს იყო ძალადობა, ეს იყო კათოლიკური რელიგია! ბოროტება ზეიმობდა, თორემ ვის რა ჭირად უნდოდა ასეთი რელიგია, კანონი და საუკუნეები?

პირშავი ჯალათი, გონებადაჩლუნგებული ლუდოვიკო XIV თა-

ვისი სულიერი მამის დარიგების მიჰყვებოდა, პროტესტანტების საბოლოოდ აღგვა განიზრახა და გაუქმა ნანტის ედიქტი, რელიგიური თავისუფლება აღკვეთა, რასაც საფრანგეთისათვის დამღუპველი შედეგი მოჰყვა. საქმე ისაა, რომ წარმოების მთავარ დარგებთან სწორედ ჰუგენოტები იყვნენ დაკავშირებული. ახლა მასიურად გარბოდნენ უცხო ქვეყნებში, თან მიჰქონდათ წარმოებანი და კაპიტალები. ღვთისმოსავი მეფის უგნურობით საფრანგეთი გაღატაკდა.

რვაასი ათასზე მეტი ჰუგენოტი წავიდა საზღვარგარეთ და თან წაიღო თავისი განძეული. პოლიტიკური თუ რელიგიური მოსაზრებით ერის ნაღები ხალხის განდევნა არის მარადიული სიჩლუქე, რაც გაბატონებულ ურჯულ მოძალადეთა შავად მოსაგონებელ სახელს ზიზღისა და წყევლის საგნად ტოვებს კაცთა მოდგმის ისტორიაში. აქაც ასე განმეორდა. ვაჭრობიდან გამოითიშა მნიშვნელოვანი კაპიტალი, და სამეფოს მიწები დაუმუშაებელი რჩებოდა. რისთვის?!

რაღა თქმა უნდა, პაპმა მისებრ ბნელ ლუდოვიკოს მხურვალე მისალმებით მიმართა. შემდგომაც ამ ბილიკს მიჰყვეიო, ქრისტეს მორჩილი სახედარივით დაარიგა. მაშინ მეფემ თავისი რელიგიური გულმოდგინება სხვა მეზობელ ქვეყნებზეც გაავრცელა. სავოიის ჰერცოგს წინადადება მისცა, რომ გაენადგურებინა მშვიდობიანი, შრომისმოყვარე მოსახლეობა, რომლის ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ პაპს არ ემორჩილებოდა. მეტი დანაშაულიც არ უნდოდა იმ დროის ადამიანს. —

პიემონტის რაზმებთან შეერთებული ლუდოვიკოს დრაგუნები თურქებივით შეესიენ მთის მოსახლეობას და ოცი ათასზე მეტი კაცი გაწყვიტეს.

სისასტიკემ და უკაცურობამ საფრანგეთის მეფეს ინოკენტი მეთერთმეტის კეთილგანწყობილება მოუპოვა. მაგრამ განა რამდენი მსხვერპლი უნდა შეეწირა დუხჭირ დესპოტს კაციჭამია მოლოქისათვის, რომ მისი ქვეწარმავლური სიხარბე დაეცხრო? თუ კლიმენტი IX ბლომად სანოვაგეს ჭამდა, ინოკენტი XI პირდაპირ ხალხებს ნთქავდა და სისხლის მდინარეებს სვამდა. ასეთ ხარბ პაპსა და ზვიად მეფეს შორის მალე შავ კატას უნდა გადაერბინა. ტირანები მართლაც წაიკიდნენ. პაპმა განიზრახა იმ პრივილეგიების მოს-

პობა, რომლებითაც რომში საზღვარგარეთის ელჩები სარგებლობდნენ. სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღიარა მღვდელმთავრის დეკრეტი, ამპარტავანმა ლუდოვიკო XIV კი ეს თავისი ღირსების შეურაცხყოფად მიიღო — ამდენი ალღო კი აღმოაჩნდა — და თავისი წარმომადგენლებისათვის უწინდელი პრივილეგიების შენარჩუნება მოითხოვა.

რა უნდა ყოფილიყო ორიოდე ელჩის პრივილეგია ისეთი, რაც ფრანგთა გამოთაყვანებული მეფის ამდენ სამსახურს შეედრებოდა, ქვეყნები რომ სისხლში ჩაუხრჩო და დაუმტკიცა წმინდა ტახტს? მაგრამ პაპმა ამაზეც სასტიკი უარი ახალა. შაშინ მეფემ რომში რვაასი კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა, საელჩოს შენობის დაკავება და არსებული პრივილეგიების დაცვა იარაღის შემწეობით. ამას გარდა, მეფემ მოითხოვა საბჭოს შედგენა, რომ ინოკენტი XI გაესამართლებინათ.

პაპმა აქედანაც იპოვა გამოსავალი: დაწვა და სული დალია. თავისი წყეული პონტიფიკატის განმავლობაში, თითქმის ცამეტი წლის მანძილზე, მან მოასწრო იმდენი ერეტიკოსის განადგურება, რომ უზრუნველჰყო თავისთვის თბილი ადგილი ყველაზე უფრო ცნობილ მკვლელთა შორის, უფალი ღმერთის ‘ჭარმარჯვნივ’ რომ სხედან სასუფეველში.

ღრეობა,
მუხანათობა, თაღლითობა

● ინოკენტი XI ჩაღრძობის ამბავი რომ გაიგო, ლუდოვიკომ თავის წარმომადგენელს რომში განკარგულება მისცა. მოზრდილი თანხით დაესაჩუქრებინა ყველა კარდინალი, რომ მისთვის ხელსაყრელი კაცი აერჩიათ მოციქულის ტახტზე.

ეს საშუალება ყველაზე უფრო საიმედო იყო. ფრანგთა ელჩის მითითების თანახმად, ხმათა უმრავლესობა მიიღო ვენეციელმა პიეტრომ, რომელსაც ალექსანდრე VIII ეწოდა.

ახალმა პაპმა ჩინებულად შეათავსა ორი წინამორბედი პაპის — კლიმენტი IX და კლიმენტი X მთავარი მანკი — გაუმაძღარი ღორმუცელაც იყო და გამოუსწორებელი ლოთიც. მაძღრისად ივახშმე-

ბდა, მერე დაიწყებდა სმას და თან ღიღინებდა შაირებს, რომელთაც თვითონვე თხზავდა.

თავისი ბუში და საყვარელი ფავორიტი კარდინალის ხარისხით დაასაჩუქრა, ამასთან საეკლესიო საქმეების სუპერინტენდანტად დანიშნა, — აშკარა არარაობა დიდ კანცლერად და ავინიონის ლეგატად აქცია, ამას გარდა უზრუნველჰყო მდიდარი მრევლებით, რომელთა საერთო შემოსავალი წლიურად ორმოცდაათი ათასამდე ეკიუს შეადგენდა. რამდენადაც დიდი იყო პაპთა წყალობა საკუთარი საყვარლებისა და ნათესავების მიმართ, იმდენადვე ცივსისხლიანნი იყვნენ დანარჩენ მსოფლიოსათვის. ახალმა ალექსანდრემ ათეული სხვა ნათესავები დაიგიწყა, ყველანი მაღალი და შემოსავლიანი ადგილებით უზრუნველჰყო.

ინოკენტი მეთერთმეტემ ხაზინა ბრწყინვალე ფინანსიურ მდგომარეობაში დატოვა. ვერ მოასწრო სატანის კერძმა ტახტის ქონების განიავება, და გარდა ამისა, ერეტიკოსთა აღგვაც პირისაგან მიწისა ბევრად უფრო ნაკლები უჯდებოდა, ვიდრე ქეიფი, ღრეობა, ორგიები და საყვარლები. სამაგიეროდ მისმა მემკვიდრემ სწრაფად დააცარიელა ეიციქულის სალარო. ს

დებოდათ! მაგრამ ვინმეს ესეც ხელს აძლევდა. ხალხის ნაჯაფი მილიონები წყალში იყრებოდა. დებატები მაინც გრძელდებოდა, და სულ უკანასკნელ წუთებამდე არჩევნების შედეგი გაურკვეველი იყო. ექვსი თვის ბრძოლის შემდეგ პაპის ტახტზე ავიდა ლუდოვიკოს დაყენებული ანტონიო, ნეაპოლიტანელი, ინოკენტი XII. ძალიან მარჯვე გამოდგა, მოხერხებულად გამოიყენა ლაშეზის გავლენა და მისი დახმარებით მიაღწია ყველა იმ ედიქტისა და ორდონანსის გაუქმებას, რაც რომის კურიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ინოკენტი მოკვდა თავის საუკუნესთან ერთად — 1700 წელს. სიკვდილამდე ცოტა ხნის წინ ისევ გაიხსენა ცოდვების საყოველთაო მიტევების კომედიის გათამაშება. მაშ უსარგებლოდ ხომ არ გაუშვებდა ასეთ მრგვალ საიუბილეო ლუკმასl 1700 წელმა, ისევე როგორც ყველა წინა იუბილემ, ბარაქიანი მოსავალი მისცა. ვატიკანის საგანძურში საქრისტიანოს ყველა კუთხიდან ოქროს ნიაღვარი წამოვიდა. მაგრამ თვითონ პაპს ამ უხვი მოსავლით სარგებლობა არ დასცალდა — სატანამ წაიყვანა, რადგან ღმერთს ასე კარგად ემსახურებოდა.

მისი გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ ახალმა პაპმა ჯიოვანი ფრანჩესკო ალბანიმ, ურბინოელმა, კლიმენტი XI წოდებულმა, მოციქულის სალაროში სავსე კიდობნები იპოვა: ოქრო პირდაპირ ზედ გადადიოდა — ეს იყო ფაქტი, რაც მოციქულის ტახტის ისტორიაში ძალიან იშვიათად გვხვდება.

ეკლესიის ფაშები

❻ კლიმენტი XI ტახტზე ასვლას მალე საშინელი უბედურება მოჰყვა. უხვმოსავლიან საიუბილეო წელს ღმერთძა მეტისმეტად უხვად მოუვლინა პაპის მიწებს წვიმები, ტიბრი ადიდდა, ყანები წალეკა და მოსავალი დაღუპა. დაიწყო შიმშილობა. მოსახლეობა ბალახით იკვებებოდა.

შიმშილს უზარმაზარი სიკვდილიანობა მოჰყვა. ეპიდემია ათასობით ადამიანს ცელავდა. ყველა უბედურებას მიწისძვრაც დაერ-

თო თხუთმეტ წუთში მთელი ქუჩები ღაიქცა და უთვალავი ადამიანი ცოცხლად ჩაიმარხა ნანგრევებში.

ქალაქში ზარი და ელდა ჩამოწვა შიმშილითა და ციებით გაწამებული ხალხი ვატიკანს მიადგა, წმინდა ტახტს შველას შეევედრა. კლიმენტი XI კი ჩვეულებრივად ჯდებოდა სადილად, ისე რომ თავისი უხვი მენიუს ოდნავ შემცირებაც კი არ ინება. აი, წმინდა მოციქულთა მემკვიდრეების მარადიული სენი! ქრისტე პურსაც მათხოვრებს უყოფდაო, მისი მოადგილე კი ღორულ სტომაქს იყორავდა, და მარჩენალი ხალხი უმწეოდ შესთხოვდა შველას.

რომაელები მით უფრო იყვნენ აღშფოთებული, რომ იცოდნენ, ახლახან მოწვეულ იუბილეზე მოხვეტილი ოქრო-ვერცხლით რომ ვატიკანის სალარო სკდებოდა. ის კი აღარ იცოდნენ, რომ ეს უზარმაზარი განძი უკვე განიავებული იქნებოდა. პაპმა თავი არ შეიწუხა და ერთი ეკიუც კი არ გაიმეტა, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ ხალხს მიშველებოდა. რამდენიმე დეკრეტით დაკმაყოფილდა, რომელთაც ზოგიერთი ისტორიკოსი ბრძნულს უწოდებს. არ გვინდა სადავოდ გავხადოთ ეს ოპტიმისტური შეფასება, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ როდესაც ხალხი შიმშილით იხოცება, მთელ ტომარა ბრძნულ დეკრეტს ერთი ტომარა ხორბალი ჯობს.

პაპის დეკრეტი გადასახადისაგან ათავისუფლებდა იმ მოქალაქეებს, რომელთა სახლებიც მიწისძვრამ დაანგრია (და სხეული ნანგრევებში ჩაიმარხა, გვინდა დავძინოთ!). მოწყალე მამა დროებით უარს ამბობდა იმ ღატაკთა გროშებზე, რომელთაც სულს იქით არაფერი ებადათ! მანვე ბრძანა შეეჩვენებინათ ის სასულიერო პირები, რომლებიც ლოთობენ და ღრნეობენ იმ დროს, როცა რომის ხალხი შიმშილისა და ჭირისაგან იღუპება!

პაპის „ბრძნული“ ბულა რომ ჯეროვნად შევაფასოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ მისი კარდინალები და ნათესავები უზარმაზარ სიმდიდრეს ფლობდნენ. მხოლოდ მათ არ განუცდიათ სტიქიური უბედურება.

პაპზე უფრო გულუხვები ასე თუ ისე ეხმარებოდნენ მოსახლეობის ნაწილს, მაგრამ ძალიან თავისებურად. ქველმოქმედების ნიღბით მოსილნი ხალხს რაღაც უბადრუკ ნამცეცებს ურიგებდნენ და იაფად ყიდულობდნენ რომის ლამაზ გოგო-ბიჭებს. საზიზღარი კლირიკები ხალხის უბედურების სპეკულაციას ეწეოდნენ — ყოვე-

ლი მათგანი შესანიშნავ ჰარამხანას იწყობდა. ქალიშვილები და ბიჭებიც კი საკუთარ თავს ლუკმაპურისათვის სწირავდნენ ქრისტიან მამათა ჰარამხანაში თაყვანთი ფეხით მიდიოდნენ

სურვილი მოთხოვნილებას ბევრად აღემატებოდა და განწირულნი შიშით კანკალებდნენ, ვაი თუ უარი გვითხრანო! დედებს ქალიშვილები მიჰყავდათ, ქმრებს-ცოლები, და ვაი მას, ვინც გამოუსადეგარი გამოდგებოდა: ეკლესიის ურჯუკი მსახურები მუქთად არაფერს არ იძლეოდნენ.

კლიმენტი XI საჭიროდ არ ჩაუთვლია უმსგავსობის აღკვეთა. მაგრამ სახალხო მღელვარებამ ისეთ საზღვრებს მიაღწია, რომ პაპს აჯანყებისა შეეშინდა: მაშინ ხომ გამძვინვარებული ხალხი დასჯის ეპისკოპოსებს, კარდინალებს, და შეიძლება თვითონ პაპსაც მოხვდეს! ამიტომ გამოაქვეყნა კლიმენტიმ ბულა, რომლის თანახმადაც რომის ყველა სასულიერო პირს პატრონისათვის უნდა დაებრუნებინა ყველა ქალი და ქალიშვილი, რომლებიც თავიანთ სასახლეებში ჰყავდათ.

წმინდა მამას, უბრალოდ. თავის დაზღვევა უნდოდა. ხომ არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ დეკრეტები ვერ შეცვლიან შექმნილ ვითარებას, ვიდრე მიზეზი არ მოისპობა და რომაელი ქალი იძულებული იქნება დადგეს არჩევანის წინაშე: ან სიკვდილი ან პროსტიტუცია!

სამღვდელოება უფრო გაფრთხილდა და წინდახედული გახდა. ქუჩაში აყალმაყალი არ ატეხილა — ეს უნდოდა პაპსაც! რა ცოტა რამ ეთვლებათ ჩლნგ ტირანებს დამსახურებად!

საეკლესიო
ტაკიმასხარები

● გაჭირვებულთათვის ფული არა მაქვს, რომ დავეხმაროო, რომ ამტკიცებდა, კლიმენტი XI, შესაძლოა, მართალიც იყო. თავის წინამორბედთა უმრავლესობის მსგავსად, ისიც უზარმაზარ თანხებს ხარჯავდა თავისი ნათესავებისათვის, და არც თვითონ იკლებდა არაფერს.

და მაინც უაღრესად უცნაური ამბავია! ნუთუ ასე თვალის დახამხამებაში გაანიავეს აურაცხელი სიმდიდრე, მსოფლიო იუბილემ

რომ დაახვავა ვატიკანში? კლიმენტი XI, მართალია, განსაკუთრებული უბიწობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ არ ეკუთვნოდა იმ პაპთა რიცხვს, რომლებიც ქალებისათვის სულს არ ი'შურებენ.

მოციქულის ხაზინა რომ ასე უცებ დაცარიელდა, თითქოს სული შეუბერესო, შეიძლება დავიჯეროთ, თუ გავითვალისწინებთ ერთ გარემოებას, რასაც ავტორიტეტული ისტორიკოსები ამტკიცებენ: არჩევნების დროს კარდინალებმა თავიანთი ხმებისათვის უზარმაზარი თანხები დახარჯეს. არის და გამოვიყენოთო, ფიქრობდნენ. ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ კეთილმორწმუნე ქრისტიანთა დანაზოგი ერთმანეთში გაინაწილეს. ამიტომ თავისი არჩევის მეორე დღეს კლიმენტის სულს იქით აღარაფერი ებადა, თითქოს საიუბილეო დღესასწაული არც კი ყოფილიყო.

კარდინალების საქციელი ადასტურებს ჩვენს ვარაუდს. იმ დროს, როცა საარსებოდ აუცილებელი პროდუქტიც კი საშუალო შეძლების ადამიანისათვის ოცნების საგნად ქცეულიყო, კარდინალებს ჩიტის რძეც არ აკლდათ. რაც ორგიებისათვის ფული იხარჯებოდა, ის რომ ხალხისათვის მიეცათ, ყველას ეყოფოდა. ქრთამები კარდინალთა ისედაც უხვ შემოსავალს კიდევ უფრო ზრდიდნენ. თუმცა, შეიძლება ზომიერი ცხოვრებაც დაეწყოთ ამ პარაზიტებს, რომ გამდიდრების სრულიად ახალი, განსაკუთრებული წყარო არ გამოსჩენოდათ.

სრულიად სარწმუნო ფაქტია, რომ თავისი პონტიფიკატის მეექვსე წელს კლიმენტი XI ისეთი ქესატი იყო, სხვა გასაქანი აღარა ჰქონდა და ისევ იუბილე გამოაცხადა, რამაც ჩინებული შედეგი მისცა.

ადამიანთა სიბრიყვის საიდუმლო ისევე ბურუსითაა მოცული, ვითარცა გზები უფლისა.

პაპის არჩევის დროს კარდინალები ჩვეულებრივ ორ მიზანს ისახავდნენ: უფრო ძვირად გაეყიდათ თავიანთი ხმები და აერჩიათ ყველაზე უფრო მიხრწნილ-გადაყრუებული კანდიდატი; ამ გზით მოგებასაც იღებდნენ და შესაძლებლობაც მიეცემოდათ, რომ მოკლე ხანში იგივე პროცედურა განმეორებით მოეწყოთ, რაც უმრავლესობას ახალ შემოსავალს უქადდა, ზოგიერთს კი ტიარის მოპოვების იმედსაც.

კლიმენტი XI მხოლოდ ორმოცდაათი წლისა იყო, მაგრამ კარ-

დინალებმა მისთვის, ეტყობა, გამონაკლისი გააკეთეს, რადგან მოციქულის ტახტის სალარო გაუღო.

კლიმენტი XII კი, ჩანს, მხოლოდ იმისათვის აირჩიეს, რომ ოთხმოც წელს გადაცილებული იყო, ასე რომ მოკლე ხანში აბრაამის წიაღში უნდა განესვენა. მართალია, გონებამ ცოტა უღალატა, სამაგიეროდ ნამდვილი საეკლესიო საზრიანობა გამოიჩინა, მოხერხებულად დაფარა ის ნაკლი, რაც არსებული წესის თანახმად გამორიცხავდა მღვდელმთავრის ადგილზე მის არჩევას: ბრმა იყო. ბრმა-მეთქი, სრულიად უსინათლო. კარდინალებმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. რამდენი სიფრთხილე უნდა დაეცვა, რომ ამ პატივმოყვარე ბერიკაცს ეგზომ დიდი ნაკლი კარდინალთა მახვილი თვალისათვის გამოეპარებინა! ბრმა ბერიკაცი მოციქულის ტახტზე!*

კლიმენტი XII არჩევას წინ უძღოდა ოთხი თვის ფარული ბრძოლა კულისებში, უსირცხვილო ვაჭრობა და ინტრიგები. კარდინალები რომ როგორმე მორიგებულიყვნენ, საჭირო გახდა კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი გარემოება. მათი სხდომის ადგილმა უეცარი თავდასხმა განიცადა. კონკლავს თავს დაესხა... ბაღლინჯოების ჯარი. მწერები გაშმაგებით იკბინებოდნენ. იმდენი ბაღლინჯო იყო, რომ მათი უსამღვდელოესობა უძლური აღმოჩნდა. ამიტომ გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ დებატები.

კაცმა სიმართლე უნდა აღიაროს. კლიმენტი XII თავის ამაღლებას ბაღლინჯოებს უნდა უმადლოდეს. ბრმა კი ისედაც იყო ყველა, ვინც პაპს ირჩევდა და ემორჩილებოდა.

მაგრამ არჩევა კინაღამ გააუქმეს. როცა პაპს არჩევის შემდეგ ოქმი გაუწოდეს ხელმოსაწერად, ზედ ტექსტზე მოაწერა ხელი და არა ქვემოთ, სადაც საჭირო იყო. საბედნიეროდ, ერთადერთმა კლირიკმა, რომელმაც საქმის ვითარება იცოდა, სამელნე გადააყირავა. მისი საზრიანობის წყალობით კლიმენტის უსინათლობა შეუმჩნეველი დარჩა. ამრიგად, ერთმა ბრმამ აჯობა სამოც თვალხილულს. აქტი გადაწერეს და მეორედ მიართვეს ხელმოსაწერად. მაგრამ ამ-

---

* კლიმენტი XI შემდეგ ტახტზე იჯდა მიქელანჯელო დეი კონტი, იგივე ინოკენტი XIII — ჯუჯა, რომელიც ტიტანრს სახელს ატარებდა. თავი ისახელა მხოლოდ იმით, რომ გერმანიას ნეაპოლი აჩუქა. მისი მემკვიდრე იყო ბენედიქტე, პიეტრო ფრანჩესკო ორსინი (1724 — 1730), რომელიც შეცვალა კლიმენტი ლორენცო კორსინიმ-კლიმენტი XII (1730 — 1740).

ჯერად ბერიკაცმა იზრუნა იმისათვის, რომ მისი ხელი მესაიდუმლეს დაეჭირა.

კლიმენტი XII პონტიფიკატის დროს პარიზში რელიგიური სიგიჟის ნამდვილი ეპიდემია მძვინვარებდა.

მასების უმეცრებით წახალისებულმა მღვდლებმა ხმა დაყარეს, ზოგიერთი კლირიკის საფლავზე სასწაულები ხდებაო. ასეთი წმიდა მიცვალებული აღმოჩნდა ერთ-ერთი დიაკონი.

ეს პოპულარული დიაკონი იყო და მღვდლებმა მისთვის დიდებული მავზოლეუმი გამართეს. რომელი სნეულიც იქ მივა და მოსაკითხს დატოვებს (ფრიად არსებითი გარემოებაა!), უსათუოდ განიკურნებაო. საშინელი პირღია წყლულები თურმე ისე ქრებოდნენ, თითქოს იესო ქრისტემ შეუბერაო (რა თქმა უნდა, არც ერთ მორწმუნეს არ მოსვლია აზრად, რომ ეს წყლულები ხელოვნურად მიკერებული ბუტაფორია იყო). წმიდა მკურნალის ავტორიტეტი საარარაკოდ გაიზარდა. ბრმა იყო ხალხი, თორემ სიცოცხლეში ვინ განკურნა, ლეში ვის განკურნავდა!

მიმლოცველთა რიცხვი ისე გაიზარდა, რომ ზედახოცვის შიშით სამარხის ზღუდეში თორმეტი კარის გაკეთება დასჭირდათ. დიაკვნის საფლავზე მოსახვედრად რამდენიმე საათის ლოდინი უხდებოდათ. მართალია, სპექტაკლი, რაც დღე და ღამე გრძელდებოდა, მის ორგანიზატორებს ჯაფას ათმაგად უნაზღაურებდა.

„სპეციალური ზღუდის შიგნით, — ამბობს ლაშატრი, — ნახევრად შიშველი ქალები და მამაკაცები დარბოდნენ, ხტოდნენ, ცეკვავდნენ. მოკრუნჩხულები ეცემოდნენ ძირს, თან ისეთი ძალით განაგრძობდნენ გრეხვას, რომ გაუგებარი იყო, როგორ უძლებდნენ ამას. ასობით ადამიანი გორაობდა დედამიწაზე. სრულიად უწესოდ იგრიხებოდა. იმ დროს მღვდლები ისეთი უზარმაზარი გავლენით სარგებლობდნენ, რომ, მიუხედავად ასეთი როკვისა და ალიაქოთისა მავზოლეუმის გარშემო, ხელისუფალნი დიდხანს თვალს ხუჭავდნენ ასეთ უმსგავსობაზე.

ბოლოს და ბოლოს, რელიგიური შეშლილობის სცენებმა ისეთი უხამსი ხასიათი მიიღეს, რომ საერო ხელისუფალნი იძულებული გახდნენ სასაფლაო დაეკეტათ.

დილით ალაყაფის კარებზე გამოჩნდა ვიღაც მორწმუნე მასხარის დაწერილი ეპიგრამა:

მეფემ ცეცხლიდან ღმერთს აუკრძალა,
სასწაულებით გვიჩვენოს ძალა.

მღვდლები არ ცხრებოდნენ. თავიანთი წარმოდგენა სხვა ადგილზე გამართეს. სასაფლაო-თეატრების რიცხვი იზრდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენ მიმდევარს შემოიკრებდნენ საეკლესიო ტაკიმასხარები.

მოკლე ხანში, წერს ლაშატრი, რვაასამდე სასწაულთმოქმედი ანუ ბნედიანი გამოჩნდა, ყოვლად უგვანო სპექტაკლებს რომ აწყობდა. მთავარ როლებს ამ რელიგიურ სატურნალიებში ქალები და ქალიშვილები ასრულებდნენ. ისე დახელოვდნენ ამ ჯამბაზობაში, რომ მოგეწონებოდათ. ზოგიერთები ისე გაწაფულიყვნენ აღმოსავლურად ფეხის წვერებზე ბრუნვაში, ისე ბზრიალასავით ტრიალებდნენ, რომ მაყურებელს თავბრუ ესხმოდა. სხვა მოწოდების იონბაზეები საოცრად იკლაკნებოდნენ და თან ზანზალაკებს აჟღარუნებდნენ. მესამენი დამსწრეებს მოუწოდებდნენ, ტანზე გაიხადეთო, გააშიშვლებდნენ, იმსახურებდნენ, მუხლს აყრევინებდნენ, თაყვანს აცემინებდნენ და აიძულებდნენ დახმარება გაეწიათ ბნედიანთათვის. ეს დახმარება ხშირად მეტად უცნაური და უწმაწური იყო.

სრულიად გადარეული მროკავნი ბოლოს ძირს გაიშხლართებოდნენ და მორჩილთ უბრძანებდნენ, მუცელზე დაგვადექით და იხტუნეთო, დაგვზილეთო, როგორც ყურძნის დაწურვის დროს აკეთებენ. ზოგჯერ ითხოვდნენ, ხელ-ფეხი გაგვიჭიმეთო, და იმდენს წევდნენ, ლამის ოთხად ხლეჩდნენ. ზოგიერთებიც საწამებელ ძელზე გაკვრას ითხოვდნენ, მარწუხით ძუძუების დაგრეხვას, ენის გახვრეტას მახვილით... განა პირუტყვი ასეთ რამეს მოიფიქრებს? დიდია ღმერთი და მისი ქმნილების — ადამიანის გონება!

იყვნენ ისეთებიც, რომელთაც მღვდლები ჯვარზე გააკრავდნენ, ჯოხებს იღებდნენ და ბეგვავდნენ თავში, მკერდში, მუცელში. იყვნენ მართლაც სასწაულთმოქმედნი, რომლებიც დღეში ექვსი ათას, რვა ათას დარტყმას უძლებდნენ. ახალგაზრდა გოგოები თავდაყირა დადიოდნენ, ხელებზე შემდგარნი, სიმღერებს ღიღინებდნენ და სულაც არ ფიქრობდნენ იმაზე, რა გამოუჩნდებოდათ ზემოთ. უცებ

წელში გასწორდებოდნენ, მაიმუნების სიმარჯვით ეცემოდნენ მღვდლებს, მსრებზე აუცოცდებოდნენ, ლოგინში მიათრევდნენ, ეხვეოდნენ, შემდეგ კი ძირს აგდებდნენ.

იმ დროს, როცა მღვდლები რელიგიური სიგიჟის კოცონს აღვივებდნენ, ენციკლოპედისტების სახელოვანმა პლეადამ ომი გამოუცხადა ეკლესიას და ისეთი დარტყმა აგემა, რომ ეს საზარელი გესლისმნთხეველი ურჩხული წელში ვეღარასოდეს ვერ გასწორდა. პაპიზმის ისტორიის გაცნობის შემდეგ ორმაგი ფასი ედება ამ მამაც რაინდთა ისტორიულ გმირობას. თუ ბრუნო, კამპანელა, გალილეი, ვანინი, შემდეგ ლუთერი და სხვები რომის ტახტს საძირკველს ურყევდნენ, ახლა მას ისეთი მეხი დაატახეს, ცოფიან პაპთა ბულებს ცეცხლი წაეკიდათ.

უკვდავმა ვოლტერმა თეოკრატიულ სამყაროს სახეში ესროლა საომარი შეძახილი: „გასრისეთ ქვეწარმავალი!“ მასთან ერთად კაცობრიობის გონების სახსნელად იბრძოდნენ რუსო, მონტესკიე, დალამბერი. მრავალი სახელოვანი მეცნიერი მიჰყვა გალილეის გზას, ამსხვრევდა ბიბლიის ზღაპრებს, გზას უკაფავდა ჭეშმარიტებას. გაჩაღდა ბრძოლა მეცნიერებასა და რელიგიურ ცრუ რწმენებს შორის. მღვდელთა ტირანიასა და სამართლიანობას შორის. პაპი ჯერ კიდევ იჯდა, მაგრამ მის ფეხქვეშ მიწა იძვროდა.

შეშფოთებული წმინდანი

● იმ ხრიკებს შორის, რომელთაც პაპები მიმართავდნენ, რათა მორწმუნეებს ქისები გაეხსნათ, ერთი არასოდეს არ უცრუებდა მათ იმედს. მხედველობაში გვაქვს ამა თუ იმ მიცვალებულის კანონიზაცია. ეს ცერემონია ყოველთვის ხდებოდა საბაბი ყოვლად უსირცხვილო ძარცვისა, მას ყოველთვის მნიშვნელოვანი შემოსავალი შემოჰქონდა პაპის სალაროში, და ამ შემოსავლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ხმარდებოდა ეკლესიის ნამდვილ საჭიროებას.

თავისი სავანის ბერის გამოცხადება წმინდანად ფრიად სარფიანი საქმე იყო: ყოველი ძვალი სასწაულს ახდენდა, და მიცვალებულის ჩონჩხი უხვი, განუწყვეტელი შემოსავლის წყაროდ იქცეოდა.

მიცვალებული კვებავდა ცოცხლებს. ადამიანის თავისებური კულტის, მიცვალებულის ფეტიშად ქცევა, ჩვენი შორეული წინაპრების ეს ხავსმოდებული წესი, ახალ-ახალ ფორმებს იძენდა და მუდამ ადამიანთა გონების გაბრუების, სიღატაკის გამართლების და ყალბი ზეიმის საგნად იქცეოდა.

ბუნებრივია, მონასტრები, რომელთაც თავიანთი წმინდანის კანონიზაცია სურდათ, გვარიან გასამრჯელოს უხდიდნენ პაპს. მაქამე და გაქმევო!

რა ბევრიც არ უნდა მოეთხოვათ, მონასტრები არასოდეს არ ვაჭრობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ თავიანთი სახსრების უფრო საიმედოდ სადმე მოთავსებაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. წმინდა მამა უსირცხვილო თაღლითივით გვექცევა, მაგრამ მორწმუნეები ათმაგად აგვინაზღაურებენო, ფიქრობდნენ, და მაშინვე მიაშავებდნენ ხოლმე.

კლიმენტი XII ექვსიოდე წმინდანის ფაბრიკაცია მოახდინა.

ვინცენტ დე პოლის კანონიზაციამ საფრანგეთში აშკარა უკმაყოფილობა გამოიწვია. ჩვეულებრივ, ყოველი ქვეყანა თავისთვის დიდ პატივად თვლიდა მისი მკვიდრის შემოსვას წმინდანის გვირგვინით. ვინცენტ დე პოლი შავ მიწაში იწვა და თავის დაგვიანებულ დიდებას უმადლოდა სისხლიან გულმოდგინებას, რასაც პაპის მტრებთან ბრძოლაში იჩენდა. აღმაშფოთებელი ცინიზმით აღიარებს ამას თვითონ კლიმენტი XII თავის იდიოტურ ბულაში: „სწორედ იმისათვის, რომ არასოდეს არ შეუწყვეტია მეფის, დედოფლისა და მინისტრების შეგულიანება რომის ეკლესიის მოწინააღმდეგეთა დასათრგუნავად, ჩვენ მას წმინდანად ვაცხადებთ, რათა ჯეროვნად დავაფასოთ იმ ადამიანთა განადგურებისათვის, რომლებიც იანსენისტებივით ჯიუტობდნენ და არ უარყოფდნენ თავიანთ დაბნეულობას... ჩვენ ვამაღლებთ მას ციურ მოლაშქრეთა დასში, რადგან, თუმცა, მართალია, ეკლესია თვითონ უარს აცხადებს სისხლის ღვრაზე, მაინც უნდა ითქვას, რომ საერო ძალაუფლებას ეყრდნობა და არასოდეს არ დაიღლება მეფეთა თხოვნით, რათა ერეტიკოსები სიკვდილისა და წამების მუქარით აიძულონ მიიღონ სულიერი წამლები“. ეს ბულა საზიზღარი ძალადობის მორიგი სამარცხვინო დოკუმენტია. მღვდელს, სისხლისმსმელ ჯალათს წმინდანად აცხადებენ მხოლოდ იმისათვის, რომ ცალკეული ჯგუფის, პაპის „პარ-

ტიის“, უსაზიზღრეს მჩაგვრელთა ინტერესები დაიცვა და სისხლში ჩაახრჩო უთვალავი უდანაშაულო ადამიანი!

1669 წ., სიკვდილის სარეცელზე რომ იწვა, ჯალათმა ვინცენტ დე პოლმა*, თავის მეგობარს დ' არქენსონს ერთი პაკეტი მიანდო, რაც მისი გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ უნდა გაეხსნათ. ანდერძი თავის დროზე შეასრულა ანდერძის აღმსრულებლის ბადიშმა პოლნიმ, თვით ლუდოვიკო XV დასწრებით. პაკეტში აღმოჩნდა რაღაც აღსარების მსგავსი ნაწერი, რომელშიც „განგების მოციქული“ ამბობდა, რომ კათოლიკურ სარწმუნოებას მხოლოდ გარეგნულად ეკუთვნოდა, სინამდვილეში კი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იზიარებდა სოსიანიზმის დოქტრინას. მისი სიტყვით, თავისი ჭეშმარიტი რწმენის საიდუმლოდ შენახვა უნდოდა მთელი ასი წლის განმავლობაში, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში ქრისტიანობის დაბნეულობას ჭეშმარიტი სოსიანიზმი უკუაგდებდა.

მთელი იმ ეპოქის ყველა ერეტიკულ „დაბნეულობათა“ შორის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ყველაზე უფრო თავგამოდებით იბრძოდა ეს ოპოზიციური მიმდინარეობა, რაც სოსენის სახელთან იყო დაკავშირებული. ქრისტეს ღვთაებრივ ჩამომავლობას და სულიწმინდას უარყოფდნენ. სოსიანისტებს არ სწამდათ სამყაროს შექმნა ექვს დღეში, ამ თქმულების წარმოშობას ხსნიდნენ მატერიის ტრანსფორმაციით, რაც უზენაეს ნებას, ღმერთად წოდებულ ძალას ემორჩილება. უარყოფდნენ ცოდვის გამოსყიდვის შესაძლებლობას, რაც ძირს უთხრიდა პაპის ძლიერების — ფინანსიური შემოსავლის წყაროს. სარწმუნოებას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ადამიანი მხოლოდ მისი საქმეების მიხედვით უნდა შეფასდესო. მათი მოძღვრების თანახმად, უკანასკნელ მონანიებას არ ეძლევა გამოსყიდვის მნიშვნელობა. უარყოფდნენ პირველ ცოდვას, უარყოფდნენ აბსურდულ მტკიცებას, რომლის მიხედვითაც სიკვ-

* ვინცენტ დე პოლი, ცნობილი ფრანგი მღვდელი, ჰენრიხ IV მეუღლის სულიერი მოძღვარი, „განგების“ მოციქული“, ოდესღაც მონად გაყიდული ენამჭევრი მქადაგებელი, ძველ წიგნებში დახასიათებულია, როგორც ქველმოქმედი, სნეულთათვის მზრუნველი, მოწყალების დის წოდების დამაარსებელი (1633 წ.), მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ნიღაბი იყო, მისი დაუნდობელი ფანატიზმის დასაფარავად მოგონილი. ნეტარად ჯერ კიდევ ბენედიქტე მეცამეტემ გამოაცხადა, კლიმენტიმ კი წმინდანად შერაცხა.

დილი ადამისა და ევას ურჩობის შედეგია, ამტკიცებდნენ, რომ სიკვდილი — ესაა აუცილებელი ხარკი, რასაც ყოველი ცოცხალი არსება უხდის ბუნებას.

ქრისტიანებთან ერთად აღიარებდნენ სულის უკვდავებას, მაგრამ უარყოფდნენ მარადიულ სატანჯველს ჯოჯოხეთში, რაც აგრეთვე გამანადგურებელი ლახვარი იყო, კათოლიკური სიცრუის წინააღმდეგ მიმართული. სოსენის მიმდევართა რწმენით, ღმერთი — აბსოლუტური სამართლიანობაა და მას შეუძლია მხოლოდ ისეთი სასჯელის დადება, რაც ჩადენილ დანაშაულს შეეფერება. რაოდენ პროგრესულია ეს თვალსაზრისი პაპისტ ჯალათთა დოგმატთან შედარებით, — რომ ინკვიზიტორებივით უწყალო ღმერთი თითქოს მცირე შეცოდებისთვის უსასრულო სატანჯველს უმზადებს მიცვალებულის სულს!

ეს არასრული ჩამოთვლაც კი ნათელჰყოფს, რაოდენ დიდი განსხვავება ყოფილა სოსიანიზმსა და კათოლიკურ სარწმუნოებას შორის. ამრიგად, ვინცენტ დე პოლი გაშმაგებით დევნიდა პაპიზმის მტრებს, გულში კი სძულდა ის სარწმუნოება და წესები, რომელთა სასტიკ მცველადაც სიკვდილამდე (და სიკვდილის შემდეგაც კი!) ის ითვლებოდა. იესო ქრისტეს ღვთაებრივ ჩამომავლობას რომ უარყოფდა, — ამით ანადგურებდა მათ, ვინც ღვთაებრივ ქრისტეს მოადგილედ თვლიდა თავს — ანადგურებდა მხოლოდ თეორიულად, საკუთარ გულში, სინამდვილეში კი სპობდა ყველას, ვინც ქრისტეს ღვთაებრივობას და პაპის უცოდველობას არ ცნობდა. ეს უკვე კურიოზია. სიმართლე რომ ითქვას, ვინცენტ დე პოლი თუ დეპოლი სავსებით იმსახურებს კათოლიკური ეკლესიის წმინდა ბანდიტების დასში შეყვანას.

ჯერ კიდევ კლიმენტი XII წინამორბედი შეეცადა მისი ფარული მტრის კანონიზაციას, მაგრამ საფრანგეთმა არ ისურვა სისხლიანი თაღლითის წმინდანად შერაცხვა, ასე რომ პაპი იძულებული გახდა დაეთმო. არც ჩვენს მიერ ციტირებულ ბულას შეხვედრიან ვინცენტის თანამემამულეები ტაშის ქუხილით, მაგრამ ლუდოვიკო XV დევნა დაუწყო ვინცენტის მოწინააღმდეგეებს და ასე ძალადობით მიათვალეს ჯალათი წმინდანებს.

● კლიმენტი XII შემდეგ პაპის ტახტზე ავიდა კარდინალი ლამბერტინი, რომელიც ენაკვიმატიან მასხარად ითვლებოდა. ყოველ შემთხვევაში, საზრიანი და მახვილგონიერი კაცი იყო, კარგად იცოდა, რა ბედენაც ბრძანდებოდა რელიგია. თვითონ ამ სიცრუის ტაძარში მხოლოდ შემოსავლიან ხელობას ხედავდა.

საფუძვლიანი და მრავალმხრივი განათლება მიიღო, მეცნიერებსა და მწერალ-ისტორიკოსებში უპირატესობას მაინც პოეტებს აძლევდა .მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა, რომ მოსაბეზრებელი საღვთისმეტყველო კვლევა-ძიება ეწარმოებინა, და მთელი თექვსმეტი ტომი მიუძღვნა ამ სევდისმომგვრელ თემებს, რომელთაც ნიანგის კუჭიც ვერ მოინელებდა. მიზანი დიდი არაფერი ჰქონდა, უფრო პატივმოყვარეობამ დააწერინა, ვიდრე შინაგანმა მოთხოვნილებამ. ადრევე ჰქონდა განზრახული, უთუოდ მაღალი სასულიერო ხარისხი უნდა მივიღოო, დაჰკრა ფეხი და საეკლესიო იურისპრუდენციის ჭაობის სიღრმეში ჩაყვინთა.

„მე მსაყვედურობენ, — წერდა, — რომ მეტისმეტად ხშირად მივმართავ ტასოს, დანტეს, არიოსტოს. მაგრამ განა ცნობილი არ არის, რომ ამ ავტორთა კითხვა ჩემთვის ტკბილი სასმელია, რაც მეხმარება ეკლესიის ლენჩ მზარეულთა ტლანქი საჭმლის მონელებაში? ეს პოეტები აღმიტაცებენ თავიანთი ბრწყინვალე ხელოვნებით, და მხოლოდ მათი შემწეობით შემიძლია დავძლიო რელიგიური სისულელეები“. ვაჟკაცური აღიარებაა!

ლამბერტინის კარგი ცხოვრება უყვარდა. თავისი მხიარული ზნითა და ბუნებით, მახვილგონივრული საუბრებით, ზოგჯერ უწმაწური ნაკვესებით რომ აზავებდა, რომის უსაქმურ და ქარაფშუტა არისტოკრატიას იზიდავდა. მკაცრი მორალით არ იზღუდავდა თავს, და არც თუ ისე იშვიათი გამარჯვებებით განებივრებულს საწოლ ოთახში ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე მშვენიერი პატრიცი მანდილოსნები.

კლიმენტი XII დროს ლამბერტინიმ აუცილებლად ჩათვალა თავისი კანდიდატურის წამოყენება და შეუდგა მზადებას. მკაცრად

შეიცვალა ცხოვრების ნირი. სხეულის საამებლად მიმოსვლას კი არ იშლიდა, მაგრამ სულის საამებლად ხმაურს ერიდებოდა, თავის თავგადასავალს საგულდაგულოდ ნიღბავდა საიდუმლოებით, ძველ მეგობართა მხიარულ საზოგადოებაში აღარ დადიოდა. ზოგიერთი წინამორბედის მსგავსად დაიოკა ლაგამახსნილი ზნე. სინამდვილეში ყველაფერი ძველებურად ხდებოდა, მხოლოდ გარეგნული თავაზიანობის საფარველი გადაეფარა კარდინალის ქცევას. საეკლესიო დიდკაცობა ყველაზე უფრო უბირსა და გარყვნილ ქვეშევრდომებთან დროსტარებასაც კადრულობს, თუ კი საიდუმლოს შეუნახავენ. საიდუმლოს გამხელა — აი, ეს ისჯება სასტიკად.

ლამბერტინის ტაქტიკა, ცხადია, ვერ მოატყუებდა კარდინალებს, ასეთ საქმეებში მისი მოსატყუებელი კბილი გამოცვლილი ჰქონდათ: ან თუნდაც დაეფარა თავისი ზნეობრივი თავისუფლება, მისი წარმატების შანსი ამით სულაც არ გაიზრდებოდა. ჩვენ გვახსოვს, კარდინალთა კოლეგია სულაც არ ნატრობდა ეკლესიის სათავეში სასტიკი კაცის მოხვედრას: ის ხომ სამღვდელოებას მეხივით დაატყდებოდა, ზნეობის გამოსწორებაზე დაუწყებდა ქადაგებას! თავს მოაწამვლინებდა, ცოდვას ჩაადენინებდა წმინდა მღვდელმთავრებს.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა შეატყო, რომ კარდინალები ხანგრძლივმა დებატებმა მოქანცეს, ლამბერტინიმ მათ მიმართა სიტყვით, რაც ასე დაამთავრა: „თუ თქვენ გინდათ მღვდელმთავრად წმინდანი გყავდეთ — აირჩიეთ გოტი; თუ მარჯვე პოლიტიკოსი გნებავთ — მიეცით ხმა ალდობრანდინის, ხოლო თუ გინდათ კარგი კაცი გყავდეთ — აგერა ვარ!“

კარდინალებმა გაიცინეს. მახვილი სიტყვა ყველგან ყოველთვის თავის საქმეს აკეთებს. ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი ხუმარას და ტახტზე აიყვანეს პოეტურად განწყობილი პაპი — ბენედიქტე XIV.

თავისი პონტიფიკატის პირველ წლებში რელიგიის საკითხებში უაღრესად შემწყნარებელი გამოდგა. ეს სავსებით ბუნებრივი იყო: თვითონ ხომ ასეთი აზრი ჰქონდა, კათოლიკური დოგმები აბსურდად მიაჩნდა, მათი რწმენა ყოველ განათლებულ ადამიანს სირცხვილით გააწითლებსო, ამბობდა.

მაგრამ ლიბერალიზმი და სიბრძნე დიდხანს ვერ ეყო. მალე

იეზუიტების მორჩილ იარაღად იქცა, თუმცა სულაც არ იყო იეზუიტი. ფანატიკური საზოგადოების ერთ-ერთმა მთავარმა წევრმა, პარიზის არქიეპისკოპოსმა კრისტოფ დე ბომონმა გადაწყვიტა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, წმინდა დომინიკეს ნატერფალზე უნდა წავიდეო. ეს ხომ სისხლიანი ნატერფალი იყო, და ბომონმაც მიზნად დაისახა სახელის მოხვეჭა ურწმუნოთა უზარმაზარი რბევათ. კაცობრიობის ერთ-ერთი უბოროტესი მტარვალი, ახალი ღრიანკელ-არქიეპისკოპოსი, ვინმე დე ბომონი ოცნებობდა კოლოსალურ ხოცვა-ქლეტაზე, კოცონთა მოზაიკაზე, სისხლის მდინარეებზე. იგივე მიწა კვებავდა ვოლტერს! შეუცნობელია ძალა განგებისა!

ზოგიერთ ყველაზე უფრო გავლენიან კოლეგას მოეთათბირა, საფრანგეთში ინკვიზიციის ტრიბუნალის აღდგენა მოიწადინა ბნელეთის მოციქულმა, ვინმე ბომონმა, რომელიც პაპიც კი არ იყო! მაგრამ თანაც მეტისმეტად ფრთხილობდა. რომ აჩქარებულიყო, ჯერ პაპს წარუდგინა ახალი კანონი, მიმართული იანსენისტების წინააღმდეგ, იმ მოტივით, რომ სექტის წარმატება მეტ სიმკაცრეს ითხოვსო.

ბენედიქტე XIV დაავიწყდა დანტე და ტასო; აწ მხოლოდ რომის პაპი იყო, არქიეპისკოპოსის გეგმა მოიწონა, მაგრამ პარლამენტმა არ მიიღო სასტიკი რეპრესიების კანონი, რაც უსასტიკესმა პრელატმა წარადგინა, არ მისცა სანქცია. მაშინ დაუძინებელმა იეზუიტებმა პარლამენტის წევრებს ბრალი დასდეს, ერესს თანაუგრძნობთო. ლუდოვიკო XV უფრო თავისი საყვარლებით იყო გართული, ვიდრე სახელმწიფო საქმეებით — ყოველი ლუდოვიკო ხომ ლენჩი ტირანი იყო! ამიტომ ვერ მოიცალა და დროზე ვერ აღკვეთა გაჩაღებული კონფლიქტი. კრისტოფ დე ბომონმა მეფის უმოქმედობით ისარგებლა, გამხნევდა და სხვა სექტების დევნაც დაიწყო.

საერო ხელისუფლება უკვე ვეღარ იცავდა იეზუიტი მორიელებისაგან იმ მოქალაქეებს, რომლებიც ეკლესიის მორჩილებაზე უარს ამბობდნენ. ტირანიის ვაჟკაცური წინააღმდეგობისათვის ბევრმა ღირსეულმა ფრანგმა დაკარგა ქონება და სიცოცხლეც კი. უგულო, აბეზარი მღვდლები სიკვდილის კარამდე დევნიდნენ მართალ ადამიანებს, მეფე კი ქალის კაბებს უმზერდა სისხლიანი სასახლის დიდებულ დარბაზებში.

მეფის საყვარელი, მშვენიერი მარკიზა პომპადური, გახარწნილი და ყოვლის შემძლე ფავორიტი ქალი, რომელმაც შვიდწლიან ომს საფუძველი ჩაუყარა, ადრე ენციკლოპედისტებს თანაუგრძნობდა, მაგრამ ახლა, როცა მისი ლაყე გული გაგრილდა, მოულოდნელად იეზუიტების მხარეზე დადგა. ამ ქალის წყალობით, რომელიც ფაქტიურად საფრანგეთის ბატონ-პატრონი იყო, როგორც ერთ დროს ოლიმპია-საქრისტიანოსი, წმინდა მამებმა თავი წამოჰყვეს და ლიიოლას მიმდევრები დაუსჯელად უტეხდნენ სახელს საერო ხელისუფლებას. ვინ აღუდგებოდათ წინ, როცა პირველი საერო კაცი ჟანეტა პომპადურის კაბის კალთას იყო ამოფარებული! ყველა, ვინც თავზე ტონზურას ამოიპარსავდა, ტრაბახობდა იმით, რომ საერო ხელისუფლება ფეხზე ეკიდა. ბოლოს პარლამენტსაც მოსწყინდა მღვდლების წინააღმდეგ ტყუილად ბრძანებულებების გამოცემა და გადაწყვიტა მთავარი წამქეზებლის — პარიზის არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ გალაშქრება. პარლამენტი ვიღაც ბომონის, ერთი არქიეპისკოპოსის წინააღმდეგ! და ეს არ იყო იოლი ბრძოლა.

შეტაკება დაიწყო შემდეგ ვითარებაში:

„ფანატიკოსმა მღვდელმა არ აზიარა წმიდა აღათის მონასტრის მონაზონი პერეპეტა, — მოგვითხრობს ისტორიკოსი ლაშატრი, — მაშინ პარლამენტმა პასუხი მოსთხოვა ფანატიკოსს. მღვდელმა თავის წარმომადგენლად გაგზავნა ვიკარიუსი, რომელმაც განაცხადა, რომ მღვდელი მოქმედებდა პარიზის არქიეპისკოპოსის კრისტოფ დე ბომონის განსაკუთრებული განკარგულების თანახმად. ეპისკოპოსის სასახლეში მაშინვე გაგზავნეს დეპუტაცია, რათა პრელატი იძულებული გაეხადათ სნეული ქალის ზიარების ნება მიეცა. მისმა უსამღვდელოესობამ თავხედურად უპასუხა, რომ პასუხისმგებელია მხოლოდ პაპის წინაშე, თავს მოვალედ თვლის თავისი საქციელის მოტივი აუხსნას მხოლოდ მეფეს და იმდენად ვერ დამცირდება, რომ პასუხი გასცეს ყოველ ვიგინდარას, ვითომდა ხალხის წარმომადგენელს“.

პარლამენტმა არქიეპისკოპოსი სამართალში მისცა, გასარჩევად პერები მოიწვია და მის შემოსავალს ყადაღა დაადო. ზნედაცემულმა ავსულმა მარკიზა პომპადურმა, მეფის ხასამ, პერების შეკრება აკრძალა, მეფისა და სამეფო საბჭოს თანხმობა მიიღო და პარლამენტის გადაწყვეტილება გააუქმა, რითაც უდიდესი ისტორიული

უტიფრობა ჩაიდინა და ლეონჩი მეჯის დასტურით სახელი გაუტეხა სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს, ვინმე ხეცესის გულისთვის! პარლამენტი დაჟინებით მოითხოვდა პერების მოწვევას. ქალაჩუნა ლუდოვიკო XV ცოფს ანთებდა, ქალის თვალებში ამოკითხული ბრძანების თანახმად აკრძალა პერების მოწვევა და მრჩევლებს დაპატიმრების ბრძანებით დაემუქრა, თანაც განკარგულება გასცა ამოეშალათ მონასტრის სიიდან იმ მონაზვნის სახელი, რომელიც კონფლიქტის მიზეზი გახდა.

„ისღა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ საბრალო მომაკვდავი მონაზონი საპყრობილეში გაგზავნეს", — წერს ლაშატრი.

ბარბაროსულმა აქტმა, რაც გახრწნილი მეძავის ჟანეტა პომპადურის ქვენა გრძნობების კარნახით გამოტვინებულმა მეფემ მოახდინა, აღაშფოთა პარლამენტის წევრები. ერთმა ყოვლად ღირსეულმა ორატორმა თავის ვაჟკაცურ გამოსვლაში საკადრისი გამოთქმებით სამარცხვინო ბოძზე გააკრა ამ დაპატიმრების მოთავენი და იქვე დაითანხმა პარლამენტის ყველა წევრი, რომ შეედგინათ ენერგიული პროტესტი მეფის დანაშაულებრივი კეთილგანწყობილების წინააღმდეგ, რასაც პომპადურ-მეძავსა და ქვეყნიერების შემბილწველ იეზუიტებს უწევდა. ლუდოვიკო XV არ მიიღო დელეგატები, რომელთაც პროტესტი უნდა გადაეცათ. მაშინ პალატებმა გადაწყვიტეს არ შეეწყვიტათ სხდომები, ვიდრე მეფე არ ინებებდა მათი მოთხოვნების მიღებას. იეზუიტებმა მოხერხებულად გათამაშეს მეფის თავმოყვარეობაზე, რასაც უმაღლ შეიძლება მამლაყინწას ბღინძვა ეწოდოს, და ლუდოვიკომ მოსამართლეთა დაპატიმრება ბრძანა. ზოგი საპყრობილეში ჩაიგდო, ზოგი შორეულ ქალაქებში გადაასახლა წარმატებით გაბრუებულმა ხუცებმა პარიზში თავი ისე იგრძნეს, როგორც დაპყრობილ ტერიტორიაზე, და ასედაც იყო! გახრწნილი დედაკაცი დაეპატრონა ქვეყნის ბედს. სამღვდელოებს წრესგადასულმა თავხედობამ აღაშფოთა მოსახლეობის ყველა ფენა და წოდება. შეშინებულმა კრეტინმა საფრთხე იგრძნო, ნაფურთხი ალოკა, გადასახლებულნი დააბრუნა, პყრობილნი გაათავისუფლა. ამ ტირანმა, რომელმაც საფრანგეთის ხაზინა პაპივით დააცარიელა, და თავისი დამთხვეულობით დააჩქარა დიდი რევოლუცია, ამრიგად, მარცხი განიცადა.

საქმის ასეთი შემობრუნებით გაცოფებული იეზუიტები ტყავიდან ძვრებოდნენ, რომ ოდინდელი ზეგავლენა დაებრუნებინათ.

მათი ინიციატივით რამდენიმე ეპისკოპოსი ესტუმრა მეფეს და წერილობით მოახსენა: შენი საქციელით მეფის ავტორიტეტს ქარს ატანო, ფილოსოფოსების მხარეს იჭერ, ლოიოლას ზურგი აქციეო (ლოიოლა დაუპირისპირეს ვოლტერს!). სასულიერო წოდების მთელი დესპოტიზმი, სისასტიკე და შეუწყნარებლობა შხამის ნიაღვარივით მოედინება ამ შედევრიდან, რომელიც სრულიად უცვლელად, სიტყვასიტყვით მოგვყავს:

„ხელმწიფევ! აუცილებელი ვალი გვაიძულებს მუხლი მოვიყაროთ ტახტის საფეხურებთან, რათა გაგაფრთხილოთ, რომ სქელი კვამლი, რაც წმინდა წერილის თანახმად ამოდის ქვესკნელიდან და თანდათან ფარავს მზეს, მთელს სამეფოში გავრცელებით იმუქრება. იცოდეთ, რომ მეფის ძალაუფლება შეუთავსებელია თავისუფლებასთან, რასაც ფრანგები ითხოვენ, სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებასთან. იცოდეთ, რომ მეფეთა ინტერესებში შედის ობსკურანტიზმის შენარჩუნება და თავხედი გონების ადამიანთა ჩსჯელობის აღკვეთა, კულტებსა და ძალაუფლებაზე რომ მსჯელობენ. არ დაივიწყოთ, რომ ტახტი და საკურთხეველი განუყოფელია, რომ მეფენი უძლურნი არიან გონივრულად გამოიყენონ თავიანთი ძალაუფლება მღვდელთა თანადგომის გარეშე, და უდიდესი გაუფრთხილებლობა იქნებოდა მათ წინააღმდეგ გამოსვლა, ხალხის მხარეზე. გაფრთხილდით. რომ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ფილოსოფოსები აქეზებენ, არ ისწავლონ ისე შეხედონ თავიანთ მბრძანებლებს, როგორც უზურპატორებს, თორემ მაშინ მონარქია დაიღუპება. ქედმაღალი ავტორები ღმერთზე ამხედრებულან, ფილოსოფოსები ანგრევენ ჯერ ქრისტეს ტახტს, რათა მერე დაამხონ კეისრის ტახტი. ძირშივე აღკვეთეთ ეს მოქმედებანი, ჩაყარეთ საპყრობილეებში საშიში მწერლები, ჩაუწყვიტეთ ხმა გამომცემლებს და ყველას, ვინც პრესაში ცდილობს დამღუპველი იდეების გავრცელებას, რომლებიც საზოგადოების ყველა ნასვრეტს მოსდებიან და რყვნიან ხალხს.

მოსპეთ, მეფეო, თავისუფლების საზიზღარი მოციქულები, აიძულეთ ხმა გაკმინდონ აუტანელი წამებისა და საზარელი სასჯელების შიშით!“

ამას შეიძლება სატანის დეკლარაცია ეწოდოს! უნდა ითქვას, რომ მის შემთხზველთ თავისთვის საჭირო ჭკუა და ალღო ჰქონიათ.. თითქოს გრძნობენ ლუციფუგები სინათლის მოახლოებას, მზესა და კვამლზე ბოდავენ და არ ფარავენ, რომ ტახტისა და საკურთხევლის მოვალეობაა ხალხის დატოვება ბნელში... რა შიშისმგვრელნი არიან და რა უძლურნი!

ლუდოვიკომ ამ პათეტიკურ ეპისტოლეს რაღაც გაურკვეველი ბურტყუნით უპასუხა, რამაც ეპისკოპოსები ვერ დააკმაყოფილა. პაპს მისწერეს. მღვდელმთავარმა, ცხადია, მაშინვე აღიარა მათი სიმართლე და გამოუშვა მრისხანე ბულა, რომლითაც გმობდა ლიბერალურ იდეებსა და მათს პროპაგანდისტებს. ტიაროსანი ცერბერი ფხიზლად იდგა ბნელეთის სადარაჯოზე.

ბულა აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა ბენედიქტე XIV პრინციპებს. ეს უღმერთო პირდაპირ რელიგიური შეუწყნარებლობის რეკორდსმენად ქცეულიყო. ჩანს, ღმერთმა მისი გული მოინადირა. მეფეს თითქოს თვალი აეხილა, პაპის განკარგულებებსაც კი გულგრილად შეხვდა, მაგრამ მეფეთა სიკეთეს მუდამ ეშვის თვალით უნდა შევხედოთ: სამართლის ქომაგად დადგომას კი არ აპირებდა ლუდოვიკო XV, თავისი კეთილი პარიზის ამბოხებისა ეშინოდა. მხოლოდ ფულის უკიდურესმა ნაკლებობამ აიძულა მიეცა მღვდლებისათვის ყველა პრივილეგია და შეღავათი, — რასაც ეს პარაზიტები ითხოვდნენ. ამ მეფემ ხომ თავის საყვარლებსა და დროსტარებას ანაცვალა ქვეყნის კეთილდღეობა!

ძვირად უჯდებოდა ლუდოვიკოს სიყვარული და ფუფუნება. პარლამენტმა გადაჭრით განაცხადა უარი ახალი გადასახადების დაწესებაზე, და ეს ახალი გაბედული გამოსვლა იმით გაამართლა, რომ ხალხი სულს ღაფავდა. „შეყვარებულმა“ ლუდოვიკომ მხედველობაშიც კი არ მიიღო ასეთი უმნიშვნელო მოსაზრება: მეფეს ოქრო სჭირდებოდა, და რა ესაქმებოდა ქვეშევრდომთა გასაჭირთან, თუნდაც შიმშილით სული ამოხდომოდათ!

მაშინ ხელმწიფეს სამღვდელოებამ ფული შესთავაზა — რა თქმა უნდა, გარკვეული პირობებით. მეფემ ეს პირობები ყოველგვარი შეპასუხების გარეშე მიიღო. იეზუიტებმა ისევ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს საფრანგეთში.

მაგრამ ამ მორიელის ჯიშს ასეთმა წყალობამ ხელი არ შეუშა-

ლა, რომ მეფეზე თავდასხმა მოეწყოთ მისი მოკვლის მიზნით, ისიც არაერთხელ. ესეც თქვენი კეთილი მამების მადლობა! სწორედ ამ უნიათო და ყოვლად შტერი მეფის ასეთი დათმობის შემდეგ მოხდა დამიენის თავდასხმა"*. ეს იყო იეზუიტების ავბედითი ზრახვების ბრმად აღმსრულებელი, გონებადაბინდული ფანატიკოსი. მეფე სიკვდილის ღირსი იყო, მაგრამ მკვლელობა მაინც მკვლელობაა. იეზუიტებმა მისი მოშორება განიზრახეს, რომ ტახტზე დაესვათ მათი ყურმოჭრილი ყმა, დოფინი, მეფისწული. დაკითხვაზე დამიენი აქედან ყოველნაირად ცდილობდა პარლამენტის ყველაზე უფრო გავლენიან წევრებზე აღეძრა ეჭვი იეზუიტებმა ერთი დაკვრით ორი კურდღლის მოკვლა მოინდომეს: უნდა დაებნიათ მოსამართლეები და საზოგადოებრივი აზრი, თან ყველაფერი ფილოსოფოსებისთვის გადაებრალებინათ. მაგრამ ღვარძლიანი ბრალდების უაზროობა ისე აშკარა იყო, რომ ვერავინ ვერ მოატყუეს.

იეზუიტების გეგმა საბოლოოდ ჩაიფუშა. მეფემ შეიგნო, ვისთანაც აქვს საქმე, და ისევ პარლამენტს დაუახლოვდა, ყველა წართმეული უფლება დაუბრუნა.

იეზუიტებმა დახმარებისათვის პაპს მიმართეს, მაგრამ პაპმაც კი შეიკავა თავი ჩარევისაგან, არ ისურვა თავისი სახელისათვის ჩირქი მოეცხო. ის კი არა, ბულა გამოსცა, რითაც პორტუგალიის პრემიერ-მინისტრს სრულ რწმუნებას აძლევდა, რომ იეზუიტებისათვის მიცემული პრივილეგიები გადაესინჯა.

ეს იყო ბენედიქტე XVI უკანასკნელი ბულა. 1758 წელს ოთხმოცდასამი წლის პაპი გარდაიცვალა**.

---

* რობერტ ფრანსუა დამიენი, ჯარისკაცი, დეზერტირი, ქერდი, ოპიუმით გაბრუებული ფანატიკოსი მეფის საყოველთაო გმობამ გააღიზიანა, ამით ისარგებლეს იეზუიტებმა და წააქეზეს. ვერსალში სვეტებს ამოფარებული მკვლელი მეფეს მივარდა, დანით დაკრა გვერდში. საშინელი წამებით მოუღეს ბოლო 1757 წ. იანვარში.

** უნდა აღინიშნოს, რომ ბენედიქტე XIV პაპთა შორის მაინც საუკეთესოთა გვერდით იხსენიება. განათლებული, შედარებით თავისუფლად მოაზროვნე და რჩულშემწყნარებელი, მშვიდობის მოყვარე მღვდელმთავარმა ვატიკანის ბიბლიოთეკა 3300 ხელნაწერით გაამდიდრა, ბრძანა მსოფლიო ლიტერატურის რჩეულ ნიმუშთა თარგმნა, დააარსა რომის სამეცნიერო აკადემია, დაამშვენა რომი ხელოვნების ნაწარმოებებით და ა. შ.

ბენედიქტე XIV მემკვიდრე გახდა კარდინალი კარლო როცონიკო, რომელმაც კლიმენტი XIII იწოდა. არჩევნების შედეგის მოლოდინში ამ ვენეციელმა, რომელიც იეზუიტებს მფარველობდა, კომედიის გათამაშება განიზრახა: განზე ისროლა პაპის სამოსელი, რაც მალე უნდა ჩაეცვა, ხელები მაღლა აღაპყრო და ისეთი ქვითინი მორთო, რასაც შეეძლო მხოლოდ სიცილი გამოეწვია.

„არა! — შესძახა. — მე არა ვარ ასეთი პატივის ღირსი! რისთვის მომეცით თქვენი ხმები? ღმერთია მოწამე, მე ეს არ მინდოდა!“

ასე გოდებდა, ვიდრე ერთმა გაბრაზებულმა კარდინალმა კოლეგებს წინადადება არ მისცა, არ უნდა და ნუ უნდაო!

„მოვეშვათ ამ მყვირალას, — განაცხადა მოურიდებლად, — რაკი პაპობა არ უნდა, სხვა ავირჩიოთ, რას ვეხვეწებით?“

გაიგონა თუ არა ეს, როცონიკო წამოხტა და კილო იცვალა:

„არა, ღვთის გულისათვის, ნუ იზამთ ამას! მე თანახმა ვარ!“ — და საჩქაროდ დაიკიდა კისერზე ძვირფასი ზიზილ-პიპილი, პაპის ძალაუფლების სიმბოლო.

როგორც კი ტახტზე ავიდა, საოცრად ცხოველი ინტერესი და სიმპათია გამოავლინა იეზუიტების გმობილი ორდენის მიმართ, თუმცა იეზუიტი არ იყო. თავს დავდებ მათთვისო, განაცხადა, მაგათი მტერი ჩემი მტერი იქნება, რადგან მძულს ლიბერალური იდეებიო.

პორტუგალიელმა იეზუიტებმა ახალი პაპის კეთილგანწყობილებით ისარგებლეს და ბენედიქტე XIV ბულის შეცვლა სცადეს. ადრეც ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ მას, მაგრამ სამეფოს სხვადასხვა მხარეში მოწყობილი მათი პროვოკაციული გამოსვლები სწრაფად ჩააქრეს და საქმე იმით დამთავრდა, რომ კოლეჯებიც დაუხურეს. მაშინ გადაწყვიტეს მეფის მოკვლა და საძულველი მთავრობის შეცვლა საზიზღარი იეზუიტური მეთოდით.

მათი საზოგადოების წევრებს შორის იყო ერთი ფანატიკოსი, ვინმე გაბრიელ მალაგრიდა, რომელიც ისტორიაში ცნობილ უთვალავ შეშლილთა მსგავსად ამტკიცებდა, იესო ქრისტესა და წმინ-

დეს ქალწულთან მაქვსო უშუალო კავშირი. რა ხელმწიფეები და კარისკაცები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ასეთი ბოდვა სერიოზულად სწამდათ! იეზუიტისათვის ყველა წარჩინებულის კარი ღია იყო. სხვათა შორის, მისი თაყვანისმცემელი იყო ერთი მარკიზა, რომლის ქმარი, უწინ ძალიან დიდი კაცი, ახლა შერისხული აღმოჩნდა. ამის გამო ამ მარკიზ ქალს ჭირივით შესძაგდა მეფე ხოზე I. იეზუიტებმა შექმნილი ვითარებით ისარგებლეს და მარკიზი ქალის მოძღვარი სათანადო ინსტრუქციებით აღჭურვეს. კეთილმა გაბრიელმა ძაღლივით ერთგულად შეასრულა თავისი შეფების დავალება და მარკიზას ჩააგონა, რომ მეფის მოკვლა წმინდა საქმეა, თანაც ყველა ცოდვის მიტევებას დაჰპირდა. ნუთუ ღმერთი ამ შხამიან ქვეწარმავლებს ასეთ რწმუნებას აძლევდა, რომ ცოდვები მიეტევებინათ ყველა თავიანთი თანამზრახველისათვის?

მარკიზ ქალს ჭკუაში დაუჯდა ორმაგი სარგებლობა: ცოდვებსაც მომიტევებენ და საძულველ მეფესაც თავიდან მოვიცილებო, ამიტომ დამქაშების ძებნას შეუდგა. რამდენიმე დიდებულმა, მათ შორის მარკიზას ქმარმაც, პროფესიონალური ბანდიტები მოისყიდეს და ხელსაყრელი შემთხვევის ლოდინი დაიწყეს. ეს შემთხვევაც მალე დადგა.

ერთხელ, როცა მეფე პაემანზე წავიდა, ბანდიტები გზაში ჩაუსაფრდნენ. გეგმა ჩინებულად იყო მოფიქრებული და ეხოლოდ გაუთვალისწინებელი გარემოების წყალობით ჩაიშალა. პირველი ტყვია მიზანში ვერ მოახვედრეს, ორი მომდევნო ტყვია მეფის ეტლს მოხვდა და მხოლოდ გაკაწრა ხელმწიფე. იმის ნაცვლად, რომ გზა განეგრძო, როგორც მკვლელები ვარაუდობდნენ, მეფემ მეეტლეს უბრძანა, ეტლი მოაბრუნეო.

დილით შეთქმულების მონაწილეები დააპატიმრეს. მაშინვე სიკვდილი მიუსაჯეს და თავი მოჰკვეთეს (მარკიზის ქალის გამოკლებით, რომელიც მონასტერში გაგზავნეს). რაც შეეხება იეზუიტებს, მოსამართლეებმა კატეგორიული უარი თქვეს, არ გავასამართლებთ, თავი კი არ მოგვიძულებიაო. მათი დანაშაული აშკარა იყო, მაგრამ ღვთის მორწმუნე მოსამართლეები თავს იმართლებდნენ: მღვდლების მიერ ჩადენილი დანაშაული ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდისო.

ბრალდებულებმა თავის მხრივ პაპს მიმართეს. მისი გადაწყვე-

ტილების მოლოდინში ხოზეს სამი ბრალდებული ციხეში ჰყავდა, დანარჩენი იეზუიტები კი თავიდან მოიცილა, გემებში ჩასვა და იტალიის გზას გაუყენა. განდევნილობის დეკრეტში მათ ბრალი ედებოდათ, როგორც მეამბოხეებსა და მოღალატეებს, რომელთაც ხელი აღმართეს მეფეზე, სახელმწიფო ძალაუფლებასა და საზოგადოებრივ სიმშვიდეზე.

როგორც კი გაიგო, სამი ჩემი მეგობარი საპყრობილეშია, დანარჩენები კი პორტუგალიიდან განუდევნიათო, გაცოფებულმა კლიმენტი XIII მაშინვე მისწერა მეფეს ქედმაღლური და ტლანქი ხელით ნაჯღაბნი უხეში წერილი, რომლითაც უბრძანებდა სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა პატიმრები, უკან მოეყვანა განდევნილნი და ყველასათვის უკლებლივ დაებრუნებინა ქონება და პრივილეგიები. ბებერი ძაღლი, ტახტზე ასვლის წინ რომ უკანასკნელი გლახაკივით იცრემლებოდა და კუდს აქიცინებდა, ახლა მეფეს სწერდა, ვერ ამიხსნია, როგორ გაბედეს წმინდა მამებზე ხელის აღმართვაო, არაფრად თვლიდა ამ წმინდა მამების საზიზღარ დანაშაულს, თვითონ რომ მეფეზე აღმართეს ხელი, და პორტუგალიის მბრძანებელს მძიმე სასჯელით ემუქრებოდა, თუ მის ბრძანებას დაუყოვნებლივ არ აასრულებდა.

კლიმენტის ტლანქმა თავხედობამ ხოზე I აიძულა კავშირი გაეწყვიტა რომთან. მართალია, სამღვდელოების პრივილეგიების ხელყოფა ვეღარ გაბედა — ასეთი გმირული ეპოქა ჯერ არ იყო დამდგარი — და სამართალში ვერ მისცა შეთქმული იეზუიტები, რომელთაც მეფის მოკვლა სცადეს, მაგრამ ის კი მოახერხა, რომ ფანატიკოს მალაგრიდას გასწორებოდა, რომელსაც მკვლელობის მოძზადებასა და მცდელობაში ყველაზე მძიმე დამნაშავედ თვლიდა.

მალაგრიდა, ეს ბორგნეული ხუცესი, მართლაც იეზუიტების შეურიგებელ მტრებს—დომინიკანელებს გადასცა. დომინიკანელებს თავიდანვე სძაგდათ იეზუიტები, როგორც თავიანთი ყველაზე უფრო ძლიერი კონკურენტები, და მეფემ კარგად იცოდა, რომ მალაგრიდას ისევე მოექცეოდნენ, როგორც პროფესიონალური ჯალათი მოექცეოდა. ის უბედური მართლაც ცოცხლად დაწვეს, როგორც ერეტიკოსი და ცრუ წინასწარმეტყველი. ბიბლიური ხვედრია, ერთობ კურიოზული! ერეტიკოსთა დაუძინებელი მტერი ისე დაიწვა, როგორც ერეტიკოსი!

ესეც ერთი მაგალითი ეკლესიის მსახურთა მოყვასის სიყვარულისა!

იეზუიტების დამარცხება

❸ კლიმენტი XIII მძიმე უღელი დაიდგა, იეზუიტების მფარველობა რომ იკისრა — გამოუსწორებელ მკვლელთა და მუხანათთა დაცვა! მოგვიანებით ეს ინანა, მაგრამ მეტისმეტად გვიან იყო.

მას შემდეგ, რაც ლოიოლას მიმდევრები პორტუგალიიდან განდევნეს, მათი ფრანგი თანამოძმეები თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობას განაგრძობდნენ, რითაც პარლამენტს ყველა საფუძველი მისცეს მიეღო მათ წინააღმდეგ ის სასტიკი ზომები, რომელთაც საზოგადოებრივი აზრი ითხოვდა...

იეზუიტებმა მარტინიკის კუნძულზე გაგზავნეს მამაო ლავალეტი, რომელიც ჭკვიან კაცად და საქმიან კომერსანტად ითვლებოდა. კოლონიებში მისიონერული მოღვაწეობა და რელიგიური პროპაგანდა მხოლოდ საბაბი იყო: ნამდვილ მიზანს წარმოადგენდა ეგზოტიკური საქონლით სარფიანი ვაჭრობა, რაც ძალზე იაფი უჯდებოდათ, რადგან იეზუიტები „ველურებს“ სრულიად უსირცხვილოდ ამუშავებდნენ და მარტოოდენ იმქვეყნიურ სამოთხეს აღუთქვამდნენ. მისიის სარჩულით ყველგან სავაჭრო საწარმოები იქმნებოდა. ეგრეთ წოდებული მოციქულები ჩვეულებრივი ვაჭრები იყვნენ. თან მოჰქონდათ კათოლიციზმი, დოგმები, გაჰქონდათ შაქარი, ყავა და ა. შ.

ლავალეტი მარტინიკის იეზუიტური ორგანიზაციის უფროსად დაინიშნა და ლიონის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან ბანაკში განუსაზღვრელი კრედიტიც მიიღო. ფრანგმა მღვდელმა მამაო ფორესტიემ ქრისტეს საზოგადოების ზეპირი გარანტიის საფუძველზე ბანკირებთან გამართა მოლაპარაკება ლავრენტის ყველა თამასუქის განაღდების პირობების შესახებ. რა თქმა უნდა, წერილობითი ხელშეკრულების შეკვრა უფრო სწორი იქნებოდა, მაგრამ ეკლესიის მამები აშკარა სავაჭრო გარიგებებით თავიანთ სახელს ჩირქს ვერ მოსცხებენ — ფინანსიური ოპერაცია რომ გახმაურებულიყო, ხომ

თავი მოეჭრებოდათ! ბანკირები პატიოსან სიტყვას ენდობოდნენ. ეკლესიის მამებს გარკვეული ვადით დიდძალ ფულს აძლევდნენ, რასაც მოკლე ხანში ან ფულის ან საქონლის სახით ინაღდებდნენ. ლავალეტი მართლაც წესიერად იხდიდა ვალს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბანკირები სესხად ორ მილიონ ფრანკს აძლევდნენ. მარტინიკიდან რომ ცნობა მიიღეს, რამდენიმე დატვირთული გემი გამოვაგზავნეთო, და საქონლის ღირებულება სესხის თანხას აღემატებაო, ბანკებს აღარაფრის დარდი არა ჰქონდათ. არც მაშინ შეშფოთებულან, როცა აცნობეს, გემები ინგლისელებმა ჩაიგდესო ხელში რას კარგავდნენ? უმდიდრესი საზოგადოების პატიოსანი სიტყვა ჰქონდათ მიღებული! პატიოსანი სიტყვა! იეზუიტებს არ შეეძლოთ მიეცათ ის, რაც არ გააჩნდათ!

ბანკირებმა იეზუიტების ორდენის გენერალს მიმართეს, ვექსელები გაგვინაღდეთო. პასუხად გაიგონეს გაუგონარი: ჩვენი ორდენის წესდების თანახმად, უმაღლესი უფროსები თავიანთ ხელქვეითებს ათავისუფლებენ ვალდებულებისაგან, თუ მათი შესრულება საზოგადოებას აზარალებსო.

უბედური ბანკირების ყველა საბუთს იეზუიტები აქარწყლებდნენ თავიანთი სტატუტის სიტყვებით, უფლება გვაქვს ბოვატყუოთ გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც გვენდობიანო.

ერთმა ბანკირმა სცადა პარიზში ჩასვლა, რომ იეზუიტთა უმაღლეს ორგანოებში ეჩივლა. თითქოს ყრუ იყვნენ. ყური არავინ ათხოვა. მაშინ ვერაგი მატყუარების სინდისში ჩაეფეთა სცადა, აუწერა სიღატაკე და სირცხვილი, რაც მასა და მის კომპანიონებს ელოდათ, რადგან არ შეეძლოთ ორი მილიონის დაკარგვა.

„ჩვენ ვერ გავუძლებთ ამ კატასტროფას, — თქვა ბოლოს, — და ჩვენი თვითმკვლელობის მიზეზი თქვენ იქნებით“.

ღვთისმოსავმა იეზუიტებმა იქვე გულგრილად უპასუხეს: „რას იზამთ, შვილო ჩემო, ჩვენ უფასოდ გიწირავთ სულის მოსახსენებელ მესას“. კაცობრიობის ნაძირალები აბუჩად იგდებდნენ კაცობრიობას.

ბოლოს და ბოლოს, ბანკირებმა თავი გაკოტრებულად გამოაცხადეს და მთელი თავიანთი ქონება კრედიტორებს დაულოცეს. მაგრამ კრედიტორებმა იცოდნენ კრახის მიზეზები და მამაო ლავალეტის გასამართლება ითხოვეს.

· იეზუიტმა თავის მზრივ ორდენის უფროსებისაგან მითითება მიიღო, თავი შენც ბანკროტად გამოაცხადეო. მაგრამ ხრიკი არ გავიდა. საქმე მთელი საზოგადოების წინააღმდეგ აღიძრა და პარიზის პარლამენტს გადეცა.

იეზუიტებმა მშვენივრად იცოდნენ, მოსამართლეები რომ მოუსყიდავნი იყვნენ. მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთი წესდების ნიღაბს ამოეფარებოდნენ და უარყოფდნენ ყოველგვარ სოლიდარობას თავიანთ აგენტთან, მარტინიკაზე რომ იყო.

გაიძვერა იეზუიტებს ყალბ ბანკროტობაში დასდეს ბრალი, ლავალეტი გამოცხადდა თაღლითად, რომელსაც წინასწარ განზრახული ჰქონდა, კრედიტორებს მშრალზე დავტოვებო. მარტინიკელი იეზუიტების ორგანიზაცია უზარმაზარ მიწებს განაგებდა, ჰქონდათ დიდძალი მოძრავი ქონება და ფულადი ღირებულება მრავალჯერ აღემატებოდა თანხას, რაც თამასუქების თანახმად ბანკირებისათვის უნდა გადაეხადათ. ასეთ პირობებში ლავალეტის კოტრობა აშკარა სიმულაციას წარმოადგენდა, რასაც ურაყოფდნენ სამართალში მიცემული იეზუიტები.

დაცვაში ისინი დაკმაყოფილდნენ თავიანთი წესდების იმ მუხლებზე მითითებით, რომლის თანახმადაც საზოგადოებას უფლება აქვს თავის საკუთრებად ჩათვალოს მისი წევრის ინდივიდუალურად ნაშოვნი ფული, ხოლო პიროვნებას მიაწეროს მთელი პირადი ანგარიში იმ ოპერაციისა, რაც საზოგადოებას ზარალს იყენებს. აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ლავალეტის ნაშოვნი ფული საზოგადოებისაა, ხოლო მისი ზარალი — მხოლოდ მისი.

ამ ჯოჯოხეთური მტკიცების გასამაგრებლად იეზუიტებმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინეს და წესდება მოსამართლეებს ჩაუგდეს ხელში.

პარლამენტმა იმით დაიწყო, რომ იეზუიტთა საზოგადოება განიხილა როგორც ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც ერთ გენერალს ემორჩილებოდა, და ეს საზოგადოება დაავალდებულა, რომ თამასუქები გაენაღდებინა, თუნდაც თვითონ ლავალეტი გაკოტრებული ყოფილიყო.

იეზუიტთა მეთაურებმა გვიან მოისაზრეს, როგორ გაირთულეს მდგომარეობა. საბედისწერო შეცდომის შედეგები რომ ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ, შეეცადნენ სასამართლოს გადაწყვეტილება

სასწრაფოდ დაეკმაყოფილებინათ, შემდეგ უკანვე წაეღოთ ქაღალ-
დები, რომლებიც მთელს მათ გმობილ ორდენს ჩირქსა სცხებდა.

მაგრამ ჯოჯოხეთური წესდების გამო ისეთი ხმაური ატყდა, ისე იყო საზოგადოება ამ საზიზღარი, არაადამიანური, კანონთა არ-
სის შემგინებული საზოგადოების საქციელით შეურაცხოფილი, რომ პარლამენტს უკვე აღარ შეეძლო საქმის მიფუჩეჩება. ამიტომ გადაჭრით განაცხადა უარი იეზუიტთა პრეტენზიის შესრულებაზე, რადგან ლოიოლას ბოროტი თესლი სულ უფრო მეტად აღაშფოთე-
ბდა ხალხს.

საზოგადოების ყველა კლასი მოითხოვდა ამ მავნებლების განდევნას. იეზუიტები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ თავიანთი ძლიერება გადააფასეს, აშკარად და დაუსჯელად რომ ეწეოდ-
ნენ საზიზღარ საქმეებს. ამიტომ კლიმენტი XIII ნუნციუსს მიმართეს.

მათი მოთხოვნით შეიქმნა ოცდაათი ეპისკოპოსის საბჭო, რომელსაც პარლამენტის პარალელურად უნდა ეწარმოებინა კვლევა-
ძიება. რა თქმა უნდა, მგელი მგლის მოსამართე არაა და ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს. პრელატებმა იეზუიტების კონსტიტუცია უნაკლოდ ჩათვალეს და დაადგინეს საქმის შეწყვეტა.

მაგრამ ქვეყანა ჩალით აღარ იყო დახურული. პარიზის პარლა-
მენტმა ბოლოს და ბოლოს გამოიტანა დადგენილება, რომელიც ისე იყო მოტივირებული, რომ სამართლიანად შეიძლება თავისებურ შედეგრად ჩაითვალოს.

ჯერ მოცემული იყო იეზუიტთა ორდენის მოკლე ისტორია მისი დაარსების დღიდან. ჩამოთვლილი იყო საფრანგეთში გამოსუ-
ლი ყველა დეკრეტი, როგორც მათი სასარგებლო, ისე საწინააღმ-
დეგო. სასარგებლო დეკრეტები იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ, იეზუიტები არასოდეს არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და ყოველთვის სამართლიან აღშფოთებას იმსახურებდნენო.

საგანგებოდ განიხილავდნენ კეთილმსახურ მამათა ძირითად შრომებს, სადაც იწონებდნენ სიხარბეს, ანგარებას, ღვთის გმობას, ჯადოქრობას, ასტროლოგიას, ყალბ ჩვენებას, მრუშობას, სოდო-
მიას, ქურდობას, მკვლელობას, მონარქთა მკვლელობასაც კი.
პაპთა, რომლებიც ვერაგულად მოეკლათ იგნატი ლოიოლას მიმდევ-
რებს.

საბოლოოდ იეზუიტების თეორია და პრაქტიკა შეფასებული იყო, როგორც „რელიგიისა და პატიოსნების ყველა პრინციპის ძირის გამომთხრელი, ქრისტიანობის მორალის შეურახმყოფელი, ხალხთა უფლებებისა და სამეფო პირთა ხელუხლებლობის ხელმყოფელი“.

„ამის საფუძველზე იეზუიტების ინსტიტუტი ულაპარაკოდ უნდა აიკრძალოს მთელი სამეფოს ტერიტორიაზე; მეფის ქვეშევრდომებს სამუდამოდ ეკრძალებათ საზოგადოების თანაგრძნობა ან მისი აღდგენის მოთხოვნა, ისევე როგორც საზიზღარ ღვთისმსახურთა კოლეჟებში, პანსიონებში, სემინარებსა და კონგრეგაციებზე სიარული. იგნატი ლოიოლას მიმდევრებს ებრძანოთ მიატოვონ ყველა სკოლა, მონასტერი, დაწესებულება, ვინც არ უნდა განაგებდეს მათ, ქვეყნის რომელიც გნებავთ კუთხე, სადაც შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივ პირობებში ცხოვრება, აეკრძალოთ ერთად დასახლება, რომ დაემორჩილონ თავიანთი გენერლის ძალაუფლებას, ატარონ ღვთისმსახურის ტანისამოსი“.

პარლამენტის გადაწყვეტილებამ ერთხელ კიდევ მისცა საშუალება გამოშტერებულ პაპს საქვეყნოდ გამოედო თავი იეზუიტებისათვის. პაპმა თავისებურად უხეშად და მკვახედ გააპროტესტა მათი განკიცხვა, და განაცხადა, რომ „საფრანგეთის სამეფოს ყველა საერო ხელისუფლების ყველა აკრძალვა, ბრძანებულება, განკარგულება და მსჯავრი, მიმართული იესოს საზოგადოების გასანადგურებლად, განიხილება როგორც გაუქმებული, ძალას მოკლებული და უკანონო, არავინ არ არის ვალდებული დაემორჩილოს მათ, ისიც კი, ვინც სათანადო ფიცი დადო“.

ლუდოვიკო XV უახალისოდ, მაგრამ მაინც დაამტკიცა პარლამენტის გადაწყვეტილება. მართალია, შემდეგ ამ უნიჭო ფლიდმა პაპს ორდენის აღდგენა სთხოვა საფრანგეთში იმ ერთადერთი პირობით, რომ იეზუიტთა წესდებაში შეეცვალათ მუხლი, რაც მეფეთა მკვლელობას აკანონებს... რა კრეტინიზმია! ოღონდ თვითონ ლუდოვიკო არ მოკლან და თუნდაც მთელი საფრანგეთი სასაკლაოდ აქციონ! — ეს ნიშნავს, რომ მეფეებს გადაყირავების გარდა ვერაფერი გამოასწორებს, და რევოლუციას, რომელმაც მხოლოდ ლუდოვიკო XVI დატოვა უთავოდ, ცოტა შეაგვიანდა... თუმცა ისიც

მხედველობაშია მისაღები, რომ ლუდოვიკო ისედაც უთავო იყო და რაც არ ჰქონდა, რას წააცლიდნენ!

კლიმენტი XIII უხეშად მოიშორა გაწვდილი ხელი. „ღე, იყონ, რაც არიან, ანდა მაშინ სულაც ნუ იქნებიანო!“ — მიუგო ღვარძლიანმა ბებერმა.

საფრანგეთის მეფესა და რომის ტახტს შორის ურთიერთობა გამწვავდა 43 წლის მარკიზა დე პომპადურის უეცარი გარდაცვალების ეშმდეგ. იეზუიტებმა ისევ დაიწყეს ინტრიგის ქსელის გაბმა. ქვეწარმავალთა ამოუძირკვავი ჯიშის მესვეურებმა მიაღწიეს ეპისკოპოსთა კრების მოწვევას, სადაც დაადგინეს, რომ შეწყდეს დავა საერო და საეკლესიო ხელისუფალთა შორის.

ანათემა დაანთხიეს ისეთი ძირითადი ფილოსოფიური შრომების წინააღმდეგ, როგორიც არიან „ენციკლოპედია“, ბეილის „ანალიზი“, ჰელვეციუსის „გონების წიგნი“, ჟან ჟაკ რუსოს „ემილი“, „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, „წერილები მთებიდან“, ვოლტერის „ცდა ზნეობებზე“, „ფილოსოფიური ლექსიკონი“, „ფილოსოფიური ისტორია“ და „აღმოსავლური დესპოტიზმი“.

მადა ჭამაში მოდისო, ეპისკოპოსებმაც თამამად განაცხადეს, მხოლოდ ეკლესიას აქვსო ბავშვთა აღზრდის უფლება. მაშინ ჯერ კიდევ დუმდნენ ოჯახის მამების განთქმულ უფლებებზე, რითაც დღეს ასე ყოყოჩობენ მამა კლირიკები. შემდეგ კიდევ რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღეს იმავე პრინციპის შესაბამისად — კათოლიკური ეკლესიის პრიმატი გახლავთ!

პარლამენტმა პრელატების ასამბლეის გადაწყვეტილება გააუქმა. მაშინ აბეზარმა კლირიკებმა მიმართეს მეფეს, რომელმაც თავის მხრივ სასამართლოს გადაწყვეტილებას გადაუსვა ხაზი. ფიცხი კრეტინი ლუდოვიკო XV უცებ აენთო და ახლა მზად იყო ეკლესიის სასარგებლოდ ყოველგვარ დათმობაზე წასულიყო. მონანიებული ვირი ყურებს აბარტყუნებდა და ბასტილიის მოდანზე ქვემეხთა შორეულ ქუხილს გრძნობდა. სამღვდელოების ზეიმი ხანმოკლე გამოდგა და მალე დიდი დამარცხებით დამთავრდა. მეფე რომელიღაც მადემუაზელმა დე რომანმა გაიტაცა. მისმა მშვენიერმა თვალებმა მეფეს ნაღვლიანი ფიქრები გაუფანტეს, სრულიად გადაავიწყეს იეზუიტები, ეპისკოპოსი, პაპი — მოკლედ, ყველაფერი, რაც მის ახალ საყვარელს არ აინტერესებდა.

. პარლამენტმა დროზე გამოიყენა მეფის ახალი რომანი მშვენიერ რომანთან და როგორც იქნა, მიაღწია საძულველი ორდენის გაუქმებას. ადრე პარიზიდან განდევნილი იეზუიტები საერთოდ განდევნეს საფრანგეთიდან. ბოროტმა სულებმა თავშესაფარი პაპის კალთის ქვეშ ნახეს.

სწორედ მაშინ ინანა კლიმენტი მეცამეტემ იეზუიტების მფარველობა, მეცამეტე გოჭივით რომ გამოხტა და წინ გადაუდგა ყველას, ვინც ამ მოურჯულებელ ფანატიკოსთა წინაღმდეგ ხმას აიმაღლებდა.

პორტუგალიამ, ესპანეთმა და საფრანგეთმა თავი დაიხსნეს კეთილმსახური მამებისაგან, რომლებიც, ბუნებრივია, თავიანთ დიდ მფარველს შეეხიზნენ.

იეზუიტების ურდო შეესია იტალიას, რამაც პაპს ბევრი საზრუნავი გაუჩინა. მღვდელმთავარი ხედავდა, როგორ გადადიოდა მისი შემოსავალი ამ პარაზიტების ხელში, იგნატი ლოიოლას სახელით რომ წამლავდნენ მსოფლიოს. ,

პაპს სრული დაქცევა ელოდა, ამიტომ იძულებული გახდა მიემართა უკიდურესი ღონისძიებებისათვის იეზუიტები ახლა თავისი სამფლობელოებიდან განდევნა. მაგრამ პაპი საკმაოდ დახვეწილი პოლიტიკოსი იყო და ჩინებულადაც იცოდა, რა სახიფათო იქნებოდა ამ ძლიერი ორდენის გადაკიდება. მრავალს დაუჯდა ეს სიცოცხლის ფასად. ამიტომ, გაცლა რომ უბრძანა, დაპირებაც მისცა, მფარველობას გაგიწევთ ყველა ქვეყანაში, სადაც იქნებითო.

საგანგებო ბულაც კი „დაახეთქა“, წინასწარ შეაჩვენა ყველა მეფე, რომელიც თავშესაფარზე უარს ეტყოდა კეთილმსახურ მამებს და არ მისცემდა უწინდელ პრივილეგიებს. მაგრამ პაპის ელვა და მეხი გოჭის ჭყივილზე მეტ ზეგავლენას აღარ ახდენდა მეფეებზე. კლიმენტი მეცამეტის ბულამ ვერ შეაშინა ხელმწიფეები და ვერაფერი დახმარება ვერ გაუწია მუხანათ, სახელგატეხილ იეზუიტებს.

კლიმენტი XIV

● კლიმენტი XIII რომ გარდაიცვალა, პაპი გახდა კარდინალი ჯიოვანი ვინჩენცო ანტონიო განგანელი, იეზუიტების მოწაფე, გა-

ნათლებული ბერი, რომელიც ისტორიაში შევიდა, როგორც კლიმენტი XIV, ეჭიმის შვილმა განათლება იეზუიტებთან მიიღო, მაგრამ ფრანცისკანელთა ორდენს ეკუთვნოდა. მის სახელს ატარებს ვატიკანის მუზეუმი, რაც მანვე დააარსა.

კლიმენტი მეცამეტის დროის საეკლესიო დავიდარაბაში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან არ მოსწონდა იეზუიტები, რომელთაც მისი წინამორბედი ასე თავგამოდებით მფარველობდა. საერთოდ, ლიბერალური აზრთა მსვლელობით გამოირჩეოდა, და მზად ვართ ყველა შეცოდება მივუტევოთ, რადგან პაპთა შორის ყველაზე უფრო ჰუმანური ნაბიჯი გადადგა: გაუქმა იეზუიტთა ორდენი.

ასეთი კაცის ასვლა პაპის ტახტზე შეიძლება მოსეს ყველა სასწაულზე საოცარ მოვლენად მივიჩნიოთ. თუ წინამორბედი პაპის მთელი პონტიფიკატი აღინიშნა უსასრულო კონფლიქტებით უცხოელ სახელმწიფოებთან, რომლებიც იეზუიტების განდევნას და დათრგუნვას ითხოვდნენ, კლიმენტ XIV ტახტზე ასვლისთანავე გაეცნო იმ სახელმწიფოების გადაწყვეტილებებს, რომელთაც იეზუიტები განდევნეს და 1773 წელს გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც გაანადგურა საძულველი ორდენი. ამის შედეგად რომი ევროპის ყველა კათოლიკურ სახელმწიფოს შეურიგდა.

კლიმენტი მეთოთხმეტის ნამდვილი გმირობა, ღირსი აღტაცებისა, მით უფრო მეტ ფასს იძენს, რომ დარწმუნებული იყო, იეზუიტები, ეს შხამიანი ქვეწარმავლები, სასტიკად გაუსწორდებოდნენ. ასედაც მოხდა. ამ სახელგანთქმული ბრძანებულების გამოცემიდან ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ მღვდელმთავარი (არც კი გვინდა მას პაპი ვუწოდოთ) უეცრად გარდაიცვალა. თანამედროვეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ის იეზუიტებმა მოწამლეს*.

---

* ეს ეჭვი მთლად დადასტურებული არ არის. ცხადია მხოლოდ ერთი რამ: იეზუიტებმა ხმა დაყარეს. ბენედიქტე XIV შეიშალაო, რაც ბნელეთის მოციქულთა თვალსაზრისით სიმართლესთან ახლოსაა.

• ⓑ საკმაოდ ხანგრძლივი დებატების შემდეგ ლიბერალ ბენედიქტეს შემკვიდრე გახდა პირბნელი ფანატიკოსი ჯიოვანი ბრასკი, იგივე პიუს VI. ეს ენერგიული ქურუმთქურუმი, ჩამომავლობით გრაფი, თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით, იეზუიტების ნამდვილი მამა და მფარველი იყო (ამიტომაც ეჭირა კლიმენტი მეცამეტის კარზე მინისტრის მაღალი თანამდებობა). განგებამ მწარე პატივი არგუნა: ნაპოლეონის დროს პაპის ტახტზე ჯდომა, მაგრამ იმდენი ჭკუა არ აღმოაჩნდა, რომ ეს გაეგო. მის კუშტ გონებას ვერ მისწვდა ვერც საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქვეშეხთა ქუხილი. პაპი იყო და თითქმის მთელი 24 წელი განაგებდა წმინდა ტახტს, რაც ბოლოს ციხის სკამით შეეცვალა.

ბნელეთის მოციქულს მაინც არ შეეძლო ცოტა ანგარიში არ გაეწია ახალი დროის სიოს ქროლისათვის. მთელი მისი პონტიფიკატისათვის დამახასიათებელია განუწყვეტელი მერყეობა და სანახევრო ზომები, როგორც საერო, ასევე საეკლესიო პოლიტიკაში. ობობა შუქმა დააბნია.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, სავსებით აღადგინა მრავალი წინამორბედის სახელოვანი ტრადიციები: ორივე ბუში წყალობით აავსო.

ერთს, ლუდოვიკოს, გრაფის ტიტული უბოძა და განუსაზღვრელი უფლება მისცა პაპის სალაროდან ფული ეხვეტა. ამან სავაჭრო საქმით გატაცებულ ლუდოვიკოს საშუალება მისცა ხორბლით გრანდიოზული სპეკულაცია ეწარმოებინა.

შეუდარებელი ხელობაა წმინდა მამის უწმინდური შვილისათვის!

თუმცა კი, ძნელი სათქმელია, რომელს მიეცეს უპირატესობა ამ მომხიბლავ ოჯახში! შინაურ გართობაში მონაწილეობას იღებდნენ პაპი, მისი და, რომელიც იმავე დროს მისი საყვარელი იყო (ეს მემკვიდრეობითი სენია სულიერი კეთრით შეპყრობილი პაპებისა!), მერე მათი, ე. ი. ღვიძლი და-ძმის შვილები (იმავე დროს — პაპის სარეცლის მოზიარე ფავორიტები!) და გაუთხოვარი ქალწული, რო-

მელიც იმდენად მშვენიერი იყო, რომ მამაძისმა არავის დაუთმო. ამ ახალი უბიწო ქალწულის დედა პიუსის ხასა იყო ჯერ კიდევ ტახტზე ასვლამდე.

არც ერთს არ ახასიათებდა ეკვიანობა, ყველა ერთმანეთში იყო არეული და ყველა ისე იცვლიდა პარტნიორს, თითქოს სარეცლიდან სარეცელში კი არ გადადიოდნენ, არამედ სადმე ბალზე ვალსს ცეკვავდნენ. წმინდა ოჯახის წევრები, და-ძმები, მამა-შვილები, ქალი თუ კაცი, დიდი თუ მოზარდი, როგორც ნახირი ფარეხში, ისე უნამუსოდ და განურჩევლად წვებოდა ერთიმეორის გვერდით... თუმცა რად ვაყენებთ შეურაცხყოფას ნახირს! პიუს მეექვსეს ბედნიერი ახრიც კი მოუვიდა თავში. რომ საქორწინო კავშირით შეეკრა თავისი ლოგინის მენახევრე ვაჟი და საყვარელი ქალი, ე. ი. და და ძმა, რადგან ორივე მისი იყო, ე. ი. ორივე მან გააჩინა, კაცთა მოდგმის სამარცხვინოდ. შორს რატომ გაუშვებდა, ან უცხოს რისთვის მოიყვანდა? განა მამას უფლება არა აქვს თავის ნებაზე გაათხოვოს ქალი და დააქორწინოს ღვიძლი შვილი?

ახლად დაქორწინებულნი პაპმა, წმინდა მამამ პიუს VI წყალობითა და საჩუქრებით აავსო. ქორწილის წინ ვაჟს ჰერცოგ დე ბრაჩის ტიტული უბოძა. ბებერი ძაღლი ტახტზე 58 წლისა ავიდა, მაგრამ გახრწნილების მორევში კიდევ უფრო ღრმად შეტოპა. პონტინის ჭაობების ამოშრობაში კოლოსალური თანხები გადაყარა, საკუთარი ოჯახური ჭაობის ამოშრობაზე კი არ უფიქრია, თუმცა ყველანი კისრამდე იყვნენ ჩაფლული.

ნეფე-დედოფალს, იგივე შვილებს, საჩუქრად მიართვა ძვირფასი ზარდახშა, რომელშიაც ასი ათასი ოქროს დუბლონის გარდა ეწყო ფასდაუდებელი ბრილიანტები, მედალთა კოლექციები, ძვირფასი თვალებით მოჭედილი. ამას გარდა შვილსა და სიძეს აჩუქა სასახლეები, მიწა-წყალი, განსაცვიფრებელი სასაღილო ჭურჭელი, სულ ოქრო-ვერცხლისა, შერისხული სენიორების გაძარცული ოჯახებიდან წამოღებული.

მღვდელმთავრისათვის რომ თავიანთი პატივისცემა დაემტკიცებინათ, მდიდარმა სენიორებმა, ურიცხვმა კარდინალებმა, ეპისკოპოსმა, არისტოკრატებმა და მოციქულის მოხელეებმა თავიანთი თავი მოვალედ ჩათვალეს ახალი ჰერცოგისა და ჰერცოგი ქალისათვის უმ-

დიდრესი საჩუქრები მიეძღვნათ. საჩუქრებით აივსო ვატიკანის რამ-დენიმე დარბაზი.

სირცხვილ-ნამუსისაგან გარეცხილმა პიუსმა განიზრახა ძველ პაპთა ტრადიციის აღდგენა და შებილწული შვილების ქორწილში უცხოეთის ქვეყნების მბრძანებლები მოიპატიჟა.

სწორედ ამ დროს მოილოგინეს ასტურიის პრინცესამ და საფ-რანგეთის დედოფალმა. მეფეთა ორსავე ნაშიერს პაპმა თავისი სა-ხელით გაუგზავნა წმინდა არტახები (შვილთა სარეცლის შემბილწვე-ლი პაპი და წმინდა?!). ამ წმინდა საჩუქრის მიუხედავად (და ალბათ სწორედ ამ უწმინდური ძღვენის წყალობითო, იტყოდა მორწმუნე), ერთ-ერთ ახალშობილ ყრმას ბედის წიგნში ჩაეწერა იმ ტახტის და-კარგვა, რომელზედაც მემკვიდრეობითი უფლების ძალით უნდა ასუ-ლიყო.*

თავისი იაფფასიანი საჩუქრის — ბინძური არტახების ნაცვლად (პაპი არტახების გარდა რას გაგზავნიდა!) პიუს VI იმედოვნებდა, რომ თავისი საყვარელი — ორმაგად საყვარელი — შვილებისათვის ფასდაუდებელ საჩუქრებს მიიღებდა. მართლაც, ვერსალისა და მად-რიდის სასახლეში არ დააყოვნეს თავიანთი კმაყოფილების გამო-ხატვა პაპის თავაზიანობისათვის, და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მეფუ-რი საჩუქრებით აავსეს.

როგორც „ქებულ ძველ დროს“, ვატიკანი ისევ ყაჩაღთა ბუნა-გად იქცეოდა: ყოველ ღამე ქეიფი და გალეშილი წმინდა ბანდიტე-ბის ტლანქი ხორხოცი ისმოდა დაღამებიდან გათენებამდე. ორგიებში მღვდელმთავრის, მისი ასულისა და ორი ვაჟის გარდა მონაწილეობ-დნენ კოხტა პაჟები, მანდილოსნები, მეძავები, მაღალი თანამდებო-ბის პირები და... მზარეული ქალები. პიუსის სიახლოვის საგანს ყვე-ლგან ნახავდით, საეკლესიო და საერო დიდებულთა შორის თუ ახ-ალგაზრდა მზარეულის შეგირდებში, რომლებიც გალეშილ მღვდელ-მთავარს თვალში მოსდიოდა.

---

* იგულისხმება ლუდოვიკო კარლოს XVII, ლუდოვიკო მეთექვსმეტის ვაჟი, რომელიც ნაციონალური კონვენტის გადაწყვეტილებით ერთ უხეშ იაკობინელ ხარაზს მიაბარეს შეგირდად და სული ცემა-ტყეპაში აღმოჰხდა (დაიბადა 1785 წ., გარდაიცვალა ათი წლისა, მამის თავის მოკვეთიდან ორი წლის შემდეგ). მისი სამარე ვერ იპოვეს.

პიუსი თავისი სილამაზისათვის მეტს ზრუნავდა, ვიდრე საქრისტიანოს კეთილდღეობისათვის. ყოველდღიურად რამდენსამე საათს თავის ტუალეტს უნდებოდა, იღებავდა ტუჩებს, ზიზილ-პიპილებით ითითხნიდა სახეს, ნელსაცხებელს იცხებდა გახრწნილ ტანზე და ისეთი ძვირფასი ბაფთებით იმკობდა თავს, რომ აბა რომელ კურტიზან ქალს არ შეშურდებოდა! თუ მსახური გემოზე ვერ შემოსავდა, რისხვის მეხს ატეხდა თავზე. ღრიალებდა, იგინებოდა, სილას აწნავდა და მუშტებით ამტვრევდა ყბებს ყველას, ვინც მახლობლად აღმოჩნდებოდა. აი, ასეთი ბნედიანი პირუტყვი, ძველი ტიპის პათოლოგიური გვამი იჯდა პაპის ტახტზე იმ დროს, როცა „ფაუსტი“ იქმნებოდა და ნაპოლეონი სამხრეთში ლაშქრობდა...

ხალხს ისე სძაგდა ეს პირუტყვი, რომ მის ყოველ გამოჩენას, რელიგიურ დღესასწაულებზეც კი, თან ახლდა ხალხის სტვენა, ყიჟინა, ზიზღის გამომხატველი წამოძახილები. მრუში ბერიკაცი კი არხეინად განაგრძობდა ღვთისა და ადამიანთა აბუჩად აგდებას.

პიუს VI — ქურდი და მკვლელი

● დაუღალავი პიუს VI ყველა ღონისძიებით განაგრძობდა თავისი უკანონო შვილების, ამ ზნედაცემული ნაბიჭვრების გამდიდრებას უკანონო გზით, ისე რომ ნეპოტიზმით არანაკლებ აღაშფოთებდა ხალხს, ვიდრე გახრწნილებითა და ბილწი სოდომიით საკუთარ ვაჟებთან. განსაკუთრებით მაინც ჰერცოგ დე ბრაჩისა და მის ცოლს სწყალობდა, თავის საყვარლებს.

უწინდელი ფავორიტი, ვინმე რომუალდი, თავისი უნდილი სახელი რომ პაპის სარეცლის წყალობით დატოვა ისტორიაში, ახლა უკანა რიგში გადავიდა. პირველობა დაუთმო უფროს ძმას, მშვენიერ კონსტანციას ნომინალურ ქმარს, რომელიც თვითონ იყო პაპის „ცოლი“. რომუალდმა იოლად გადაიტანა თავისი ჭირვეული „მამა“-პაპის გულგრილობა, მის საზიზღარ სხეულს ზედმეტი ფუნქციები მოეხსნა და განუზომელი სიმდიდრის მოვლაზე გადავიდა. სულაც არ აწუხებდა, ზურგი რომ აქციეს, უახლოესი მეგობრებივით უყურებდა მამასაც, ძმასაც და დასაც, რომელიც ახლა რძლად ექცა, ძმისცოლად.

სამდურავი რა ჰქონდა? თავისი ოჯახის ფუფუნებისათვის კეთილი მამა არავითარ ღონისძიებას არ ერიდებოდა, არც დანაშაულის წინაშე იხევდა უკან, და თუმცა ძალიან ფრთხილობდა, სისხლიანი კვალის დაფარვას ყოველთვის ვერ ახერხებდა. ამაზე შეგიძლიათ ნათელი წარმოდგენა მიიღოთ, თუ ერთ სარწმუნო მოთხრობას მოისმენთ.

მილანელმა მდიდარმა,სახელად ამანციო ლერპიმ, რომში გადასვლა გადაწყვიტა, რადგან ვარაუდობდა, რომ წმინდა მამის სიახლოვე მასაც წმინდა კაცად აქცევდა. ჩანს, ჭურში ცხოვრობდა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, იმდენად ღვთისმოშიში იყო, რომ ლამის სიგიჟემდე მივიდა. თავის შემოსავლის მეტ წილს იმისათვის ხარჯავდა, რასაც ღვთისმსახურნი ქველმოქმედებას ეძახიან. პიუსმა ერთ-ერთი იეზუიტი იხმო და დაავალა: დაარწმუნე ამანციო, რომ ქონება სხვადასხვა მონასტრებში არ გაფანტოს, თუ თავისი სულის ცხონება უნდა, მთელი თავისი ავლადიდება ჰერცოგსა და ჰერცოგ ქალს დე ბრაჩის დაულოცოსო. გაბრიყვდა კაცი, გარყვნილ არამზადებს მისცა ქონება. როცა ნაჩუქრობის ხელშეკრულება დაიწერა, პაპმა ფარისევლური გაოცების სცენა გაითამაშა და რეგვენ ამანციოს უთხრა: ჩემს დისწულს ასეთი საჩუქრის მიღების ნებას ვერ მივცემო. სინამდვილეში კი სულმდაბალი ტიაროსანი თაღლითი სულაც არ აპირებდა საჩუქარზე უარის თქმას, მხოლოდ უნდოდა ამანციოს მოწმეთა თანდასწრებით განეცხადებინა, ვასაჩუქრებო, და ამრიგად გაეფანტა ეჭვის ნისლი, ამ გაუგონარი ნაჩუქრობის სიგელმა რომ გამოიწვია.

არც შემცდარა ახირებული მართლმორწმუნის ხასიათის შეფასებაში, სულელმა მილანელმა პაპს ხვეწნა დაუწყო, ნუ მომაკლებ სიამოვნებას, რომ ჩემი სულის საცხონებლად ჩემი ქონება ისე გავასაჩუქრო, როგორც მინდაო. ბოლოს პიუს VI მხრები აიჩეჩა, თანხმობა განაცხადა და ნაჩუქრობის სიგელი იქვე შეამოწმა, ამოიოხრა და დაამტკიცა. თავისი როლი ბოლომდე შეასრულა, ისე რომ ლერპი დაარწმუნა კიდეც, ყოველთვიური შემოსავალი ხუთას ეკიუს რაოდენობით მაინც შეინარჩუნეო.

ამ ფანტასტიკურ იდიოტს დისწული ჰყავდა თავის მეურვეობაში, მარიანა. ამ ქალიშვილის დედა, მარკიზა ვიქტორია და ლერპი აღაშფოთა ძმის ვერაგულმა ნაჩუქრობამ, რაც მის ასულს კანონიერ

მემკვიდრეობას უკარგავდა, და რაკი დამთხვეულ ძმას ვერაფერი შეასმინა, პალატის აუდიტორის ტრიბუნალს მიმართა, პროტესტი განაცხადა. პაპის ბრმად მორჩილმა აუდიტორმა ქალს ცივი უარი მიახალა, საჩივარი არ მიიღო. „ღირსეული“ მოსამართლე იმავე დღეს დაასაჩუქრეს კარდინალის ქუდით. ერთ სიბრმავეს მეორე მოჰყვა.

მარკიზა სულით არ დაეცა. აპელაცია მისცა რომის სამსჯავროს ტრიბუნალს, რაც თორმეტი მოსამართლისა და აუდიტორისაგან შედგებოდა. მათგან მხოლოდ სამი იყო რომაელი, დანარჩენები იტალიის სხვა ქალაქებისა და ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლები იყვნენ. ეს სასამართლო ორგანო ჯერ კიდევ არ იყო შერყვნილი, რადგან მისი წევრებიდან პაპი მხოლოდ ხუთს ინახავდა, და საერთოდ საკმაოდ მიუდგომელ სამსჯავროდ ითვლებოდა.

პიუს VI არ ჰქონდა სასამართლოს თანადგომის იმედი, ამიტომ ვიქტორია ლერპის გარიგება შესთავაზა: ორასი ათას ეკიუს მოგცემ და აპელაცია უკან წაიღე, სარჩელზე უარი განაცხადეო. ქალი არ დათანხმდა.

მაშინ პაპმა მარკიზას ახალი პროექტი შესთავაზა. პირველ წინადადებაზე უარს ამბობდა, სამაგიეროდ ჰპირდებოდა, ჩემს რომუალთან დავაქორწინებო შენს მარიანას.

ამრიგად, მეურვეობაში მყოფი ქალიშვილი ხდებოდა ბევრად უფრო დიდი ქონების მფლობელი, ვიდრე რეგვენმა ამანციოკ ჰერცოგ დე ბრაჩის აჩუქა.

„გადაეცით თქვენს ბატონს, — უპასუხა მარკიზამ პაპის შუამავალს, — რომ მე ვეძებ არა სიძეს, არამედ სამართალს, და ყველაფერს ვიღონებ, რომ ის ვიპოვო“. თამამი ქალი იყო ეს მარკიზა. მეფეები და იმპერატორები ვერ პოულობდნენ რომში სამართალს, მაგრამ იმედი ჰქონდა!

რომის სამსჯავროს ტრიბუნალმა გააუქმა პირველი მოსამართლის იდიოტური გადაწყვეტილება, ნაჩუქრობის ქაღალდი გაუქმებულად გამოაცხადა და მოტივად ის დაასახელა, რომ ადგილი ჰქონდა გონებრივად დაქვეითებული პირის მოტყუებასა და ძალდატანებას.

სიქსტ V რომ ყოფილიყო, მიწას ფეხს დაჰკრავდა და ხრინწიანი ხმით ბრძანებდა: „მე ვარ მოსამართლე! ამანციოც ჩემია და მისი ქონებაც!“ მაგრამ ეს ხდებოდა ახალი საუკუნის კვირაძალზე.

პიუს VI სასტიკად დამარცხდა. პაპთა ისტორიაში მსგავსი რაი

იშვიათად მომხდარა. მღვდელმთავარმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს გადაწყვეტილებას ემორჩილებოდა, მაგრამ იმავე იეზუიტს დაავალა ამანციოსთან მოლაპარაკება: დამთხვეულ მილანელს ხელი უნდა მოეწერა ანდერძზე, რომლითაც მთელი მისი ქონების კანონიერ მემკვიდრედ დე ბრაჩი გამოცხადდებოდა. ობობა მაინც არ უშვებდა ხელიდან სწვის ქონებას!

იმავე დღეს, როცა უბედურმა რეგვენმა ასეთ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, მუცლის საშინელი გვრემა აუვარდა, რასაც კრუნჩხვა და პირისღებინება დაერთო. საიდუმლოება უბრალოდ იხსნებოდა: წმინდა მამას შეეშინდა, რომ ამანციო გადაწყვეტილებას შეცვლიდა და საწამლავით დაეხმარა, იმ სასუფეველში გაგზავნა, რისთვისაც ასე ზრუნავდა. ექიმებმა მიზეზი მაშინვე გამოიცნეს, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე საათით გაუხანგრძლივეს სიცოცხლე.

როგორც კი ბედუკულმართმა რეგვენმა სული განუტევა, პაპმა რომის სასამართლო შეკრიბა და განსვენებულის ანდერძი წარუდგინა. მოსამართლეებმა დოკუმენტი გასინჯეს, ყველაფერი წესიერად აღმოჩნდა გაკეთებული და უკვე მზად იყვნენ მიცვალებულის მთელი ქონების მფლობელად ზნედაცემული და-ძმა — ცოლ-ქმარი გამოეცხადებინათ. მღვდელმთავრის საყვარელი შვილი და საყვარელი „მეუღლე“ დიდი მემკვიდრეობის მფლობელები ხდებოდნენ. მაგრამ აქ ანაზდად, როგორც რომაულ ანდაზაშია, ასპარეზზე გამოვიდა მარიანა-„დეუს ექს მახინა“. თან დედამისი ახლდა. ქალიშვილმა პერგამენტი გაშალა და ტრიბუნალს გადასცა. ეს იყო მეორე ანდერძი, პირველზე გვიანდელი, უფრო სარწმუნო და სამართლიანი.

ამანციო ამ მეორე ანდერძში უარს ამბობდა პირველზე, ისევე როგორც ნაჩუქრობაზე, რაზედაც იძულებით მოაწერინეს ხელი, და მთელს თავის ქონებას უტოვებდა კანონიერ მემკვიდრეს, მარკიზ-ვიქტორია ლერპის ასულს, თან აცხადებდა, რომ ბოროტმოქმედი მღვდლისა და საკუთარი გულუბრიყვილობის მსხვერპლი გახდა.

პაპი — თაღლითი, პაპი — მკვლელი დამარცხდა. მაგრამ მას უფრო დიდ მარცხიც ელოდა.

პიუს VI და ნაპოლეონ ბონაპარტე

● იმ დროს, როცა რევოლუციური საფრანგეთის არმიები ტალიელს არყევდნენ, პიუს მეექვსეს იმედი ჰქონდა, რომ რეაქცია მაინც იბეიმებდა და ფრანგთა შურისძიებას დაუძვრებოდა. წარმოიდგინეთ მისი სასოწარკვეთილება, როცა იტალიის საზღვრებთან გენერალ ბონაპარტეს სარდლობით რესპუბლიკური ჯარები გამოჩნდნენ!

ბედუკულმართმა თოჯინამ ლაშქრის შეკრება და წინააღმდეგობის გაწევა სცადა და ამ მიზნით გამოუშვა ქაღალდის ფული, რომლის ღირებულება არაფრით არ იყო გარანტირებული. ყალბი ფული კი არა, ოქროს ნიაღვარიც ვერ უშველიდა. არმია რომს მიადგა. პიუსმა ახალგაზრდა ნაპოლეონს ზავი შესთავაზა. თხუთმეტი მილიონის რაოდენობით კონტრიბუციის გადახდა იკისრა, ვატიკანის დარბაზებში განლაგებული ხელოვნების შედევრები დაუთმო. ამ წინადადებათა საფუძველზე ხელშეკრულება შეიკრა, მაგრამ პიუსი ძველებურ ყაიდაზე აპირებდა ჩრდილოელ მბრძანებელთა მოტყუებას. მხოლოდ დროის მოგებას ცდილობდა. როგორც კი შეთანხმებას ხელი მოაწერეს, პაპმა გამოაქვეყნა ბულა, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„კათოლიკური ეკლესიის ყველა საყვარელ შვილს, ქრისტეს მორწმუნე ძმებს! ქრისტიანების საკეთილდღეოდ მოგიწოდებთ, ხელი იარაღს ჩაავლეთ. ჩვენი ნება რომ უყოყმანოდ შეასრულოთ, გაუწყებთ, რომ ჩვენი უზენაესი ძალაუფლების სახელით ვუბოძებთ ინდულგენციებს ყველას, ვინც ჩვენი დროშის ქვეშ დადგება, ხოლო ნეტარებას ვაზიარებთ მას, ვინც თუნდაც ერთ ჩვენს მტერს მოკლავს!“ ასე ამართლებდა პიუსი თავის კომიკურ სახელს!*

ნაპოლეონმა ნახა, რა გულმოდგინედაც ასრულებდა პიუს-მემრუშე ხელშეკრულების ვალდებულებას და საომარი მოქმედების განახლებით დაემუქრა. კედელთან მიმწყვდეულმა პიუს VI ერთხელ კიდევ მოახერხა ფრანგი გენერლის მოტყუება.

ისეთი სახე მიიღო, ვითომ ბონაპარტის წინაშე ქედს იხრის. მონასტრებს, საკათედრო ტახტებსა და კონგრეგაციებს უბრძანა ვატიკანში ჩაებარებინათ ოქრო-ვერცხლის ყველა ძვირფასი ჭურჭელი, ურომლისოდაც შეიძლებოდა იოლად გასვლა, კათოლიკური ღვთის-

---

* პიუს (ლათ.) — წმინდა, კეთილი, გულმართალი...

მსახურების აღსრულება. შემდეგ მოახდინა თავის ქვეშევრდომთა სასაღილო ჭურჭლეულის კონფისკაცია, გაჩხრიკა კერძო სახლები, მონვეეჭა მთელი თვალ-მარგალიტი, ბეჭდებიც კი წაართვა ყველას.

ამრიგად, ჭეშმარიტად სამოციქულო ძარცვა-რბევით მოაგროვა საჭირო თანხა, ისე რომ მის სალაროს არაფერი დააკლდა, და ეს ამბავი ნაპოლეონს შეატყობინა.

დირექტორიამ მაშინვე გაგზავნა რომში თავისი კომისრები პაპისა და ნაპოლეონის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. ხელშეკრულების პირობების დამატებით რესპუბლიკამ მოითხოვა იმ ბულების გაუქმება, რომლებიც რევოლუციის დაწყების დღიდან ფრანგი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამასთან უნდა გაეუქმებიაათ ინკვიზიცია ყველა კათოლიკურ ქვეყანაში და უნდა შეეწყვიტათ ყრმების კასტრაციის ყოვლად ბარბაროსული წესი საეკლესიო ქოროებში.

პაპს არავითარი განზრახვა არ ჰქონდა, რომ თავისი დაპირებანი შეესრულებინა, მხოლოდ თავს იკატუნებდა, ვითომ თანახმა ვარო, და მოუთმენლად ელოდა ავსტრიის ჯარების დახმარებას.

იმავე დროს მისი ბრძანებით სამღვდელოება ყველა ღონისძიებას იყენებდა, რომ რელიგიური ფანატიზმი გაეღვიძებინა. ღვთისმშობლის ყველა ქანდაკებამ ეკლესია-მონასტრებში ხელ-ფეხის აწევ-დაწევა და თვალების გახელა დაიწყო. ჯვარცმიდან სისხლი ჩამოდიოდა. წმინდა პეტრეს და პავლეს თავის ქალები რომში ჰიმნებს გალობდნენ. მაგრამ იმ დროს ყველა სასწაულს შორის ყველაზე უფრო საკვირველი მოხდა დიდ დღესასწაულზე, რომელსაც ესწრებოდა პაპი. კარდინალთა პლეადა და რვაასი ათასზე მეტი მაყურებელი. მადონა ადგილიდან დაიძრა, სამჯერ გააქნია თავი და მძიმედ ამოიოხრა. ვითომ ეს ნაპოლეონის დასათრგუნავად მოწოდება იყო? საკუთარი ასეულის შემბილწველი პაპი თუ არჩია განათლებული რესპუბლიკელი გენერლის გენიას, მაშინ ის არ ყოფილა ღვთისმშობელი!

მაგრამ ნაპოლეონის გამარჯვებამ ყველა სასწაული ისე გაფანტა, როგორც ქარიშხალმა — ზანტი ნისლები. ავსტრიის არმია დამარცხდა და პაპი იძულებული გახდა ბავშვური ოინები შეეწყვიტა. წერილიც კი მისწერა ნაპოლეონს, რესპუბლიკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და ყველაზე მეტად მე მაწუხებს რომში დაღვრილი სისხლიო.

იქნებ ნაპოლეონიც კი მოტყუებულიყო, დაეჯერებინა წმინდა მამისათვის, რომ ხელში არ ჩავარდნოდა პიუს მეექვსის წერილი ავსტრიის იმპერატორისადმი. პაპი ბნელი ძალების ქომაგს არწმუნებდა, რაც შეიძლება მალე გამოგზავნე ჯარიო. თანაც ატყობინებდა, ბატონ კომისრებს „ვართობ", ვიდრე მოკავშირეთა არმია არ მომეშველებაო. მაშინ ისედი ჰქონდა, რომ ტიარას საპხედრო მუზარადით შეიცვლიდა, იმპერატორ კონსტანტინეს სახელოვან ბაირაღს გაშლიდა და ქრისტეს ჯარისკაცებს გაუძღვებოდა კათოლიკური ეკლესიის მტრების დასათრგუნავად.

რა სასაცილოა ბაირაღიან-მუზარადიანი პიუსი, ეს ხორცშესხმული ანაქრონიზმი, მგზნებარე ნაპოლეონის წინააღმდეგ ამხედრებული!

ეპისტოლეს კინაღამ პაპობის სრული დაცემა მოჰყვა. თხუთმეტი დღის განმავლობაში ნაპოლეონის არმია პაპის ოლქის ნახევარს დაეპატრონა. სამწუხაროდ, ნაპოლეონი ამით დაკმაყოფილდა, თვით ნაპოლეონი შეჩერდა ყოვლის მომნუსხველი პაპების ჯადოს წინაშე, თუმცა დირექტორიამ რომის აღება უბრძანა. იქნებ სწორედ მაშინ დაებადა ევროპის დაპყრობის აზრი; ამისი განხორციელება კი, ცხადია, სამღვდელოების დაუხმარებლად შეუძლებელი იყო. ნაპოლეონის შორსმჭვრეტელობამ იხსნა საზიზღარი პაპიზმი, და მომავალ იმპერატორსაც დასჭირდა მისი სახელი. ამიტომ პიუსს ახალი საზავო ხელშეკრულება შესთავაზა, რაც პაპმა სიხარულით მიიღო. უზარმაზარი თანხაც გადაიხადა, რამდენიმე პროვინციაც დაკარგა (მათ შორის ავინიონი), მაგრამ მთელი თავისი ძალაუფლება კი შეინარჩუნა, და ეს მაშინ, როცა ბეწვზე ეკიდა მისი და მთელი პაპობის ყოფნა-არყოფნის საკითხი. თვით ნაპოლეონმა და გარიბალდიმ ვერ სძლიეს ამ სამასთავიან ურჩხულს, რომელიც თავს მაცხოვრის მოადგილედ აცხადებდა.

რომის რესპუბლიკა

● პიუს VI ახალგაზრდა აღარ იყო, როცა მძიმე ავადმყოფობამ ლოგინად ჩააგდო. რამდენსამე დღეში პაპის მდგომარეობა იმდენად

გაუარესდა, რომ უკვე სერიოზულად დაიწყო ფიქრი ახალი მღვდელმთავრის კანდიდატურაზე. მის სიკვდილს დღე-დღეზე ელოდნენ და კარდინალებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ რომის ტახტი ასეთ ცვალებად დროს დიდხანს ვაკანტური დარჩებოდა, ეს მომაკვდინებელი საფრთხით დაემუქრებოდა თვით პაპობის ინსტიტუტის არსებობას. რომის გამოსყიდვის მიზნით მღვდელმთავრის მიერ ვატიკანში თავმოყრილი განძი ჯერ კიდევ იქ ეწყო. წმინდა მამის დღეები მის უწმინდურ შვილებს დათვლილად მიაჩნდათ და ამიტომ უმჯობესად ჩათვალეს მთელი განძის საკუთარ ზანდუკებში ჩალაგება — რაღა ფრანგებს მივცეთო! თაღლითებმა საგანძური მიითვისეს. მაგრამ პიუსი მოულოდნელად წამოდგა. ამბობენ, საუნჯის დაკარგვამ ძალიან შეაწუხაო, მაგრამ როცა გაიგო, რომ მძარცველები მისი შვილები იყვნენ, დამშვიდდა.

ახლა მხოლოდ ეს იყო საკითხავი: რანაირად უნდა აენაზღაურებინათ ამოდენა თანხა? პიუს VI ისედაც მეტისმეტად დიდხანს სარგებლობდა ბოროტად საფრანგეთის მთავრობის მოთმინებით, და პირის მოქონვით ან ხელახლა მოტყუებით ფონს გასვლის ამედი არ უნდა ჰქონოდა.

საიდან უნდა მოექუჩებინათ ერთხელ უკვე გაძარცულ და საერთოდ აოხრებულ ქვეყანაში ამდენი ფული და განძეული? პიუსსაც კი ესმოდა, რომ ამდენი რბევის შემდეგ ახალი გადასახადების შეწერას აზრი აღარ ჰქონდა.

დარჩა ერთი გზა: ისევ სამღვდელოებას უნდა ეზღო ვატიკანის გახრწნილი ვირთხების განიავებული თანხა. მონასტრებში, კარდინალთა და ეპისკოპოსთა სასახლეებში განუზომელი სიმდიდრე იყო თავმოყრილი. თანხა, რაც მღვდელმთავარს ესაჭიროებოდა (და რატომ კერძოდ მღვდელმთავარს? ეს ხომ პაპის სახელმწიფო იყო), მხოლოდ წვეთი იყო ზღვაში იმ სიმდიდრესთან შედარებით, რაც კარდინალებს სიმდიდრის მთელი ოკეანის სახით ჰქონდათ. მაგრამ საეკლესიო ძერები გამოხრულ ძვალსაც კი არ იმეტებდნენ. მათი ხელიდან გახვრეტილი გროშის მიღებაც კი იოლი საქმე როდია. კარდინალები მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის არიან მიჩვეული ფულის ხარჯვას. წმინდა მამამ ეს იცოდა, მაგრამ მაინც თხოვნით მიმართა, დაეხმარეთო. ანაფორიანმა ეგოისტებმა ერთი ამბავი ატეხეს. ტირანიაზე ჩამოაგდეს სიტყვა, პაპის გინება დაიწყეს თავიანთ ქადაგებაში,

ეძახდნენ ქურდს, სისხლის აღმრევს, საკუთარი ასულისა და ვაჟიშვილების შემარცხვენელს, ხალხს აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. კიდევ კარგი, ქურდი და სისხლის აღმრევი რომ მათთვის ჯერ კიდევ საალანძღავ სიტყვად ითვლებოდა!

ამასობაში მოვიდა ჟოზეფ ბონოპარტი, ნაპოლეონის ძმა, ხელშეკრულების განაღდება მოითხოვა და დამატებით იმ იტალიელთა განთავისუფლება, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებისათვის ისხდნენ საპყრობილეში. რომაელებმა ფრანგთა სახით მხსნელი ნახეს და მათ დაუჭირეს მხარი. მოზეიმე ხალხი პატრიოტული ჰიმნების გალობით შემოერტყა რესპუბლიკის წარმომადგენელთა რეზიდენციას და მგზნებარე ენთუზიაზმით ესალმებოდნენ ჩრდილოეთიდან მოვლენილი იმედის სხივს.

ასეთი მანიფესტაცია რომ ნახა, მღვდელმთავარმა შეიგნო, რომ კლირიკებთან დავა არ არგებდა. ეკლესიის მამებსა და მათს ღირსეულ წინამძღოლს შორის ზავი შეიკრა.

ეს საქმე რომ მოაგვარა, პიუსმა სახალხო მღელვარების ჩაქრობა განიზრახა. მღვდელმთავრის ბრაზი განუზომელი იყო. როგორ, ამ წყეულმა ფრანგებმა აუფორიაქეს ქვეშევრდომები, ათას შვიდასი წელი რომ ასე მორჩილებით ეზიდებიან მონობის უღელს, ასწავლეს თავისუფლების ფასი, და ასე აპატიოს? უსაზღვროდ გაცოფებულმა პაპმა ქუჩის ბრძოლებისა თუ არეულობის გამოყენება გადაწყვიტა.

რომის ქუჩებსა და მოედნებზე უიარაღო მოქალაქეები გაჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ სასტიკმა პიუსმა ხალხის დასათრგუნავად გაგზავნა ჯარისკაცები, რომლებიც უწყალოდ ხვრეტდნენ უიარაღო ხალხს, არ ინდობდნენ ქალებსა და ბავშვებსაც კი. შემდეგ ყოჩაღი პაპისტი ვირები საფრანგეთის საელჩოში შეცვივდნენ და იტალიელთა გაცემა მოსთხოვეს. ჟოზეფ ბონაპარტემ და რამდენიმე ოფიცერმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ რას გახდებოდა ერთი მუჭა რაზმი ხუთასამდე დაქირავებულ მკვლელთა ბანდასთან?

იტალიელები, რომელთაც საელჩოს ხელუხლებლობის იმედი ჰქონდათ, უწყალოდ გაჟლიტეს, რამდენიმე ფრანგსაც იგივე ბედი ეწია, მათ შორის დაიღუპა გენერალი დიუფო, იტალიელთა დაცვის ცდის დროს რომ მოკლეს.

ამრიგად, ნაპოლეონის მრისხანე გენიის სიახლოვის მიუხედა-

ვად, კედელთან მიმწყვდეული პაპი ისევ ფრანგებს ხვრეტდა, და კინაღამ თვით ნაპოლეონის ძმაც მოკლა.

მსგავს თავხედურ ექსცესებს ჰქონდა ადგილი პაპის ოლქის სხვა ქალაქებშიც. ვერონაში ათასობით მოქალაქე გაწყდა. მოძალადეთა ბანდები პირდაპირ საავადმყოფოებში იჭრებოდნენ, ადგილზე კლავდნენ დაჭრილ ფრანგებს, წყალში ყრიდნენ სნეულთ. ასე გაანადგურეს ოთხასზე მეტი კაცი. ცხადია, ეს ზიანს აყენებდა რესპუბლიკური საფრანგეთის ძლიერებას, რასაც ვერ უმაგრდებოდა თვით იმპერატორთა, მეფეთა, მამელუკთა არმიები.

დიპლომატიური კორპუსის სახელით მკაცრი პროტესტი განაცხადა ესპანეთის ელჩმა.

„მე სასოწარკვეთილებაში ვარ ჩავარდნილი, — მიუგო ვითომ შერცხვენილმა მღვდელმთავარმა. — ჩემი ხალხი ჩემი პირადი ინიციატივის გარეშე მოქმედებდა. როცა ის შეტაკება მოხდა, სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა მამაც გენერალ დიუფოს, მე ჩემს ეკვდერში ვლოცულობდი საფრანგეთის რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის“.

აქ კი ისეთი უსირცხვილო სიცრუე დაახეთქა, რომ პაპისაგანაც კი გვიკვირს. ჟოზეფ ბონაპარტე მისმა ტყუილმა აღაშფოთა, დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დასჯა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში რომიდან წასვლით დაემუქრა. პასუხი არ გაუციათ. მაშინვე ძთელი პერსონალის თანხლებით რომიდან გავიდა.

მალე ფრანგთა არმია ბერთიეს წინამძღოლობით ტრიუმფით შევიდა რომში. ამაოდ ევედრებოდა წმინდა მამა თავის ჟამგადასულ წმინდანებსა და მადონებს, ვერაფერმა ვერ უშველა, მით უმეტეს, რომ იტალიელები ყველგან ეთრსულოვნად უძმობილდებოდნენ ფრანგებს. მარტო ეს ფაქტი არარაობად აქცევდა ყველა სასწაულსა და ფანატიკურ მტკიცებას, პაპის ძალაუფლება ღვთისაგან არისო.

ქალაქის ალაყაფის კარებთან გენერალ ბერთიეს დეპუტაცია მიესალმა, როგორც განმათავისუფლებელს და ეხარა: ქალაქში თავისუფლება გამოცხადდაო. რომი ტაშის ქუხილით შეხვდა ბერთიეს*. ხალხი გაჰყვიროდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“

---

* ალექსანდრე ბერთიე, ცნობილი გენერალი, მერე მარშალი, ნაპოლეონის მინისტრი, შტაბის უფროსი, ვაგრამის თავადი, ნეშატელის და ვალანჟენის ჰერცო-

კაპიტოლიუმს რომ მიუახლოვდა, გენერალი შეჩერდა დ ხმამაღლა შესძახა: „კატონო, ბრუტუსო, პომპეუსო, ციცერენო, თავისუფალი ფრანგები მოგესალმებიან თქვენ კაპიტოლიუმზე, სადაც ისე ხშირად დაგიცავთ ხალხთა უფლებები და გისახელებიათ რომის რესპუბლიკა. გალთა შვილები ზეთისხილის რტოებით ხელში მოვიდნენ თქვენთან სამშვიდობოდ, რათა აქ თავისუფლების საკურთხევლები აღმართონ. თქვენ კი, რომაელებო, თქვენი კანონიერი უფლებები რომ ბრძოლით მოგიპოვებიათ, გაიხსენეთ თქვენი სახელოვანი წინაპრები, შეხედეთ წმინდა ძეგლებს თქვენს გარშემო და დაიბრუნეთ თქვენი მამა-პაპის ოდინდელი დიდება!“

ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა გენერლის სიტყვას. შემდეგ ბერთიე თავის ბანაკში დაბრუნდა.

ასპიტისთვალებიან პიუსს შიშით სული კოჭებში ეპარებოდა, გარეთ გამოჩენას ვერ ბედავდა, ვატიკანის სასახლეში დაიმალა. გენერალ ბერთიეს თავისი ყველაზე უფრო მაღალი მდგომარეობის კარისკაცები გაუგზავნა და საზავო მოლაპარაკება გაუმართა. მამაცმა ბერთიემ პაპის ელჩები არ მიიღო და განუცხადა, რომ ის არ ცნობს პაპის ძალაუფლებას და ელის ახალგაზრდა რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

რომის მოქალაქეები ერწმუნენ საფრანგეთის რესპუბლიკის დახმარებას და დემოკრატიული მთავრობა შექმნეს. დაბეჭდეს მუზეუმები, საზოგადოებრივი ადგილები და ძვირფასი ნივთები, რომ ხარბი პაპის ბანდიტური ხელყოფისაგან ეხსნათ ეროვნული საუნჯე. მრავალი კარდინალი რომიდან გაასახლეს, ყველაზე უფრო ბოროტი და დამნაშავეები ციხეში ჩასვეს. რევოლუციურმა საფრანგეთმა საფუძვლიანად შეანჯღრია წმინდა ბუნაგი.

რაც შეეხება მღვდელმთავარსა და მის ორ შვილს, ხალხმა თავისი ძველი სისუსტე გამოიჩინა, არ შეეხო ტირანთა სიცოცხლეს და იმით დაკმაყოფილდა, რომ დარჩენილი ქონება წაართვა.

პაპის გახრწნილ ასულსა და მისსავე საყვარელს კიდევ უფრო ლმობიერად მოექცნენ: მამის საჩუქართა უდიდესი ნაწილი შეუნარ-

---

გი, იტალიის ლაშქრობაში არმიას სარდლობდა; რომის რესპუბლიკა გამოაცხადა. იმპერატორის დამხობის შემდეგ ლუდოვიკო XVIII მიემხრო, ხოლო ელბიდან ნაპოლეონის დაბრუნებისთანავე („ასი დღე“) ჯერ სიმამრს შეეხიზნა, ბავარიის მეფეს, მერე თავი მოიკლა.

ჩუნეს. ტივოლიში გაგზავნეს, სადაც ახალ-ახალი კეროები ართობდნენ და ანუგეშებდნენ, რომ ძველი რომანები დავიწყებოდა: მას ხომ რომში დარჩა საყვარლები, რომელთაგანაც ერთი ერთდოულად იყო ძმა და ქმარი, მეორე კი — მამა და ქრისტიანთა უზენაესი მბრძანებელი! ასეთი საყვარლების დათმობა განა იოლია?

სიყვარული და ვერაგობა

● მოხდა ისტორიული ბედნიერება. სიკეთემ გაიმარჯვა ბოროტებაზე. როცა პიუსს შეატყობინეს, რომ საერო ძალაუფლებას კარგავს, ბებერი მხეცი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

რესპუბლიკის წარმომადგენლები უსიტყვოდ ელოდნენ, როდის მოვიდოდა გონს ერთ დროს ყოვლის შემძლე, მეფეთ-მეფეთა მბრძანებელი, აწ კი უუფლებო, უსუსური ბერიკაცი, რომელიც იქცა იმად, რაც იყო: ჩვეულებრივ სუსტ ადამიანად, რომელიც ხალხთა უმეცრებაზე აგებდა საკუთარ ძლიერებას! ბოლოს, როგორც იქნა, თითქოს გონს მოეგო და რაღაც გაურკვეველი ბურტყუნი დაიწყო. ჩანს, დარტყმა ერთობ ძლიერი აღმოჩნდა გვამზე უფრო მიხრწნილი და პირუტყვზე უარესად გახრწნილი ბებრისათვის, და პიუს VI გონება დაკარგა.

დელეგატები მაინც თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ ბოლომდე ეთქვათ სათქმელი. პაპს აუწყეს, რომ ეკლესიის უზენაეს მბრძანებლად დარჩება, მისი მდგომარეობისათვის შესაფერისი ჯამაგირი დაენიშნება და პირად მცველთა რაზმი ეყოლება ას ოცი კაცის რაოდენობით, თუმცა არავითარი საფრთხე არ ემუქრება.

ამის გამგონე პიუს VI შესამჩნევად გამხნევდა და უცნაური ღიმილით შესძახა: „მაშ, მე ისევ პაპი ვარ!"

პიუსი სწორი იყო, რესპუბლიკა და ნაპოლეონი კი არ იყვნენ სწორი: მათ უნდა გაესრისათ ობობა. ამის ნაცვლად საკუთარ ქსელში დატოვეს. მეტი მას არაფერი უნდოდა.

იმ აზრმა, რომ ჯერ ყველაფერი არ გათავებულა, ვატიკანის კარიბჭე თავს არ წამოქცევია და მაშასადამე, განუსაზღვრელი ძალაუფლების მოპოვება ისევ შეეძლო, მღვდელმთავრის გონებას ცოტა დენი შუქი მოჰფინა. რესპუბლიკაზე კარგად ეხმოდა, რომ ჩამოხრ-

ჩობას იმსახურებდა თუნდაც მარტო ჯოჯოხეთური უზნეობისათვის, მაგრამ არავინ ახრჩობდა ბედის ნიბიერ ტირანს, ცოფისმნთხეველ ღორს, მშვენიერი იტალიის სხეულში კიბოსავით გამჯდარ ღრაჭას, იმის ნაცვლად რომ საბრალდებო სკამზე დაესვათ, პენსია დაუნიშნეს, ხელფასი მისცეს და მიატოვეს. ხალხის სისხლი და ცრემლი ხახვივით შერჩა...

პაპს წუთიც არ დაუკარგავს, ისე ხელდახელ შეუდგა ახალი ჯოჯოხეთური შეთქმულების მზადებას — უკანასკნელ კაცამდე უნდა გავწყვიტათ ყველა ფრანგი და რესპუბლიკის ყველა მომხრე.

საბედნიეროდ, ამ შეთქმულების გეგმა გახმაურდა. წმინდა მამა დაუყოვნებლივ დააპატიმრეს, ეტლში ჩასვეს და სიენაში გაგზავნეს, წმინდა ავგუსტინეს მონასტერში, შემდეგ კი ფლორენციაში, სადაც თითქმის ერთი წელი დაჰყო. ყველა დამნაშავე ისჯებოდა, პაპი კი არა და არა!

მაგრამ ვერც ხანდაზმულობამ, ვერც შეთქმულების ჩავარდნამ ვერ ასწავლეს ჭკუა მოურჯულებელ ურჯულს, ვერ შეაწყვეტინეს პიუსს დანაშაულებრივი საქმიანობა. ერთხელ კიდევ მოახერხა რომში პროვოკაციული არეულობის მოწყობა. ისევ დაძრწოდნენ რომის ქუჩებში მკვლელები, ისევ დაატრიალეს მოსყიდულმა ბანდიტებმა „წმინდა“ ხანჯლები, მუცელში უყრიდნენ ფრანგებს, რომლებიც წინ ხვდებოდათ. პროვოკატორებს წინ მღვდელები მიუძღოდნენ. მრავალი რესპუბლიკელი — რომაელი შეკრეს და ტიბრში გადაუძახეს. კიდევ ვინ იცის, სადამდე მივიდოდნენ წმინდა ბანდიტები, რომ მათი მეთაურები არ შეეპყროთ. მაშინ ავაზაკები ქალაქის გარეუბნებში მიმოიფანტნენ და შექმნეს რაზმი ექვსი ათასი კაცის რაოდენობით. იმ დროისათვის ეს თითქმის მთელი არმია იყო. ფრანგებთან პირველსავე შეტაკებაში „წმინდა არმია“ საბედნიეროდ სასტიკად დამარცხდა და ბანდიტები ოთხსავე მხარეს გაიფანტნენ.

პიუს VI არ ცხრებოდა. წმინდა სულელთა სისხლს მისთვის წყალზე მეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა ისარგებლა თავისი ზეგავლენით ნეაპოლიტანის მეფე ფერდინანდ მეექვსესა და მის მეუღლეზე, რეგვენი მეფე-დედოფალი აიძულა ომი გამოეცხადებინათ საფრანგეთისათვის. რომში ჯარი აღარ იყო, ქალაქმა ნეაპოლიტანელთა შემოტევას ვერ გაუძლო და დაეცა. ვერაფერი ასწავლა ისტორიამ სახალხო გმირებს! ბედნიერი პიუსი თავის სატახტო ქალაქში ტრიუმ-

ფით დაბრუნებაზე ოცნებობდა, როცა საფრანგეთის არმიამ ენერგიული მოქმედება დაიწყო და ნეაპოლიტანის უჯილაგო მეფის ჯარებს კუდით ქვა ასროლინა, ზედ ნეაპოლამდე სდია. ნეაპოლში გამოცხადდა რესპუბლიკა, რამაც რამდენიმე კვირა გაძლო. მაგრამ კალაბრიის ჩამორჩენილი, უმეცარი, ცრუმორწმუნე მოსახლეობა პაპის ემისრების ქადაგებას აჰყვა, თავიანთი მჩაგვრელების მხარე დაიჭირეს. ფრანგები და ნეაპოლიტანელი პატრიოტები იძულებული გახდნენ კაპიტულაცია მოეხდინათ. მართალია, იარაღი მხოლოდ მას შემდეგ დაყარეს, რაც ფერდინანდის მტკიცე სიტყვა მიიღეს, რომ სიცოცხლესა და ქონებას შეუნარჩუნებდნენ. მაგრამ როგორც კი სამეფო არმია ქალაქში შევიდა, წმინდა მამის ერთ-ერთმა მთავარმა აგენტმა, კარდინალმა რუფომ განკარგულება გასცა დაეპატიმრებინათ რესპუბლიკის თანაგრძნობაში ეჭვმიტანილი ყველა მოქალაქე.

გაუგონარი გამცემლობის უბედური მსხვერპლნი სპეციალური ტრიბუნალის წინაშე წარდგნენ და უკლებლივ ყველანი სიკვდილით დასაჯეს. განაჩენები სისრულეში მოჰყავდათ სასწრაფო წესით, ყოველდღიურად ასობით ადამიანი იღუპებოდა. პაპსა და მის ლაქიებს თითქოს ეჩქარებოდათ, ვაი თუ მოგვისწრონო! რელიგიისა და სულის ხსნის იდიოტური რწმენით აგზნებული კალაბრიელები არ ინდობდნენ არც ქალს, არც კაცს, არც მოხუცსა და არც ყრმას, ძარცვავდნენ და წვავდნენ ნეაპოლიტანელთა სახლებს.

ისტორია მეორდებოდა.

პიუს VI ფიქრობდა, რომ პაპობის მტრები ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილი არიან, დაბრმავებულმა ბეხრეკმა ბებერმა ყველა ეპისკოპოსს აცნობა, ძველებურად აღჭურვილი ვარ მთელი საერო და სასულიერო ძალაუფლებით და ძლევამოსილი ვბრუნდები რომშიო. რამეთუ არა იცოდა...

დიდი სიხარული შვილთან ერთად უნდა განეცადა. საყვარელმა... შვილმა კარგად იცოდა, რომ მამამისი ჯერ კიდევ დიდი სიმდიდრის მფლობელი იყო, ან იქნებ საყვარელი... მამა მოენატრა. ასე იყო თუ ისე, გულისხმიერი შვილი სწორედ დროზე ესტუმრა მშობელს, რათა ქონება მოეპარა, გაეტაცებინა და გაპარულიყო იმ მომენტში, როცა დირექტორიამ გადაწყვიტა უჯათო ბებერი პაპი საფრანგეთში გადაეყვანა.

პიუს VI პატიმარჰყვეს და ვალანში ჩაიყვანეს, სამხრეთ საფრანგეთში. სამწუხაროდ, ამდენი ფრანგის გამჭლეტსა და სიკეთის შეურიგებელ მტერს დაუმსახურებელი პატივით ეჭცეოდნენ. მაგრამ საბედნიეროდ აღარაფერს არ შეეძლო პაპის დამშვიდება. ვერანაირად ვერ შეურიგდა თავის ნაბიჭვრის ღალატს, ჭაობიდან ცამდე რომ აამაღლა, აავსო, განადიდა, თავის ბილწ სარეცელში შეაქნილს, მერე სარეცელიც კი გაუზიარა, და მახინჯი მახინჯად დარჩა, — ორჯერ გაძარცვა, უკანასკნელ განსაცდელში მიატოვა და სამარცხვინოდ მიიმალა. წმინდა მამა, რომელმაც კარიკატურული სახით მეფე ლიერის ბედი გაიზიარა, უსაშველო კაეშანმა წელში მოხარა, საყვარელი ფავორიტის ღალატით შეძრწუნებული მელანქოლიამ დაჯაბნა, ამასთან თავი იჩინა მრავალი ათეული წლის უზნეო, აღვირახსნილი ცხოვრების დამღუპველმა შედეგმა. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ მეტისმეტი სიამოვნება ყელში უნდა ამოსვლოდა. 1799 წლის 29 აგვისტოს 80 წელს გადაცილებულ პიოტ ბერიკაცს დამბლა დაეცა და სული ეშმაკს ჩააბარა.

ბონაპარტე და პიუს VII

● პიუს VI დროს დირექტორიამ ფაქტიურად გააუქმა პაპობა. მაგრამ სინამდვილეში პაპობა ნორმალურად გრძელდებოდა. უპირველეს ყოვლისა იმავე ბონაპარტემ, როგორც კი თვრამეტი ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, პაპის ძალაუფლება საჩქაროდ აღადგინა, რადგან თავისი დიდმპყრობელური მიზნების განსახორციელებლად ეკლესიის მხარდაჭერას საჭიროებდა. ეს იყო საშინელი რეაქციული ნაბიჯი. ხსენებული გადატრიალებიდან ოცი დღის შემდეგ ვენეციაში ოცდათხუთმეტი კარდინალი შეიკრიბა. ხანგრძლივი და შფოთიანი დებატების შემდეგ, რაც სამნახევარ თვეს გაგრძელდა, 1800 წლის მარტს პაპი გახდა პიუს VII — კარდინალი ბარნაბა, გრაფი კიარამონტი. მართალია, ეს იყო თოჯინა ნაპოლეონის ხელში, მაგრამ მაინც პაპი! იმპერატორის განდევნისთანავე ტახტზე ბრუნდებოდა, და საერთოდ 23 წელი განაგებდა საქრისტიანოს.

როგორც კი ტახტზე ავიდა, პიუს მეშვიდესა და კონსულს შო-

რის ცხარე დავა გაიმართა იმის გამო, რომ პიუსმა თავისი არჩევა ავენიონი პროვანსის გრაფს და საფრანგეთის მეფედაც გამოაცხადა. კონსული ბონაპარტე პროვანსის გრაფს საფრანგეთის გვირგვინს როგორ დაუთმობდა? ნაპოლეონი თავისი არმიით ალპებზე გადავიდა. სასიკვდილოდ დამფრთხალმა ქალაჩუნა პიუსმა, წინა პიუსის ასლმა, სრული მორჩილების წერილი გაუგზავნა. მთელი რიგი პირობები ჩამოაყალიბა ხელშეკრულებისათვის, რაც 1801 წლის 15 ივლისს დამტკიცდა.

ამ კონკორდატმა კათოლიკური რეაქციის ახალი ტალღა აატორტმანა.

ჩვენ არ ვაპირებთ ნაპოლეონისა და პიუს მეშვიდის ყველა შეტაკების აღნუსხვას. გავიხსენებთ მხოლოდ იმას, რომ იმპერატორის დეკრეტზე, პაპის მიწა-წყალი საფრანგეთს შეუერთდესო, გამძვინვარებულმა პიუსმა მის წინააღმდეგ ძველი დახავსებული ტრადიციის თანახმად მოციქულის მეხის დატეხვა სცადა. ნავსი ბულა დაანთხია დუხჭირმა ხუცესმა, თითქოს დიდი რამე ყოფილიყო, და ნაპოლეონი შეაჩვენა. ამნაირი მუქარები, ნაპოლეონს კი არა, ჩიტსაც ვეღარ აშინებდა. პირიქით, ტალახი პაპსვე დაეცა თავში. პიუს VII დააპატიმრეს და ძალით გადაასახლეს სავოიაში.

რუსეთში დამარცხების შემდეგ ნაპოლეონმა პაპს შესთავაზა ახალი კონკორდატი, რასაც საზეიმო ვითარებაში მოაწერეს ხელი 1813 წლის 31 იანვარს. ამასთან დაკავშირებით მოეწყო გრანდიოზული ზეიმი, და თუმცა ანათემა ჯერაც არ იყო მოხსნილი, პიუს VII ნაპოლეონს ეამბორა, საქვეყნოდ დაამოწმა თავისი კეთილგანწყობილება საფრანგეთის იმპერატორის წინაშე, რომელსაც იძულებით უკურთხა გვირგვინი რომის პაპმა! მაგრამ როგორც კი პარადი დასრულდა, განხეთქილებაც განახლდა.

მღვდელმთავარი დარდით აღარ იყო, რომ ნაპოლეონს ამდენი დაუთმო, დაავიწყდა, რომ ძალა აღმართსა ხნავს, და კონკორდატი გაუქმებულად გამოაცხადა. იარაღით მოპოვებულს ჯვარი აუქმებდა.

აი ნაწყვეტი წერილიდან, რაც ნაპოლეონს გაუგზავნა ხელშეკრულების შედგენიდან ორი თვის შემდეგ: „წყვდიადის სულმა, სატანამ ჩამძახა ყურში ამ კონკორდატის მუხლები... ყოვლად მწარე სინანული, სრულიად აუტანელი ქენჯნა სინდისისა მითანგავენ სულსა და გულს, რომელთაც ვეღარ უპოვნიათ მას შემდეგ ვერც სიმშვიდე,

ვერც დასვენება. მე უარს ვაცხადებ ჩემს დაპირებაზე, როგორც განაცხადა პასქალის მეორემ დაპირებებზე, რომლებიც გერმანიის იმპერატორ ჰენრიხ მეხუთეს მისცა, და ვაცხადებ, რომ არ მივიღებ არავითარ პირობებს, ვიდრე არ დამიბრუნებენ ყველა ჩემს საერო და საერო უფლებებს...“

ღვარძლიანი მღვდელმთავარი არ ცნობდა იმას, რაც უფრო ძლიერმა მხარემ მოახვია თავს. მაგრამ ნაპოლეონს არ უყვარდა შეპასუხება და კონკორდატი ხელმეორედ დაამტკიცა. კიდევ უფრო ენერგიულ ზომებს მიიღებდა წმინდა მამის წინააღმდეგ, რომ უფრო სერიოზული საზრუნავი არა ჰქონდა: ერთდროულად რამდენიმე მონარქი დაესხა თავს და თავი უნდა დაეცვა.

ბობოქარმა წლებმა ჩაიქროლეს, კოლოსი დაეცა, მეფურმა ეტლებმა განდევნილი ბურბონები პარიზში დააბრუნეს, ლუდოვიკო XVIII კანონიერი მეფე გახდა. მაშინ გაიხარა თავად „წყვდიადის სულმა“ პიუს VII, ერთბაშად უპასუხა გადაყენებული იმპერატორის ყველა დამცირებასა და შეურაცხყოფას. პიუსმა ნაპოლეონზე შური იძია როგორც ჭეშმარიტმა პაპმა — ყოვლად მხეცური, გამცეცლური და ლაჩრული სახით.

რომაელებს, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ, პაპის აბსოლუტიზმის მოწინააღმდეგენი არიანო, კატორღა, გალერებზე მუშაობა ან სიკვდილი მიუსაჯეს. მღვდლები რელიგიურ ფანატიკოსებს წმინდა ხანჯლებს ურიგებდნენ, ერეტიკოსებზე აქეზებდნენ, გულში გაუყარეთო, ამასთან გულისხმობდნენ რესპუბლიკელებს, ლიბერალებს და ებრაელებსაც კი. ახალი დროის დაუსჯელი ურჯულეები იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ ნადირთა ზნეს ამჟღავნებდნენ, პაპს სთხოვდნენ, ნეპა დაგვრთე, რომ „ებრაელთა ხორცის მოხრაკული ვიგემოთო“. არც დაიხევდნენ უკან არაფრის წინაშე, რომ საქმეში უცხოელი ელჩები არ ჩარეულიყვნენ.

ებრაელები, მართალია, არ შეუჭამიათ, მაგრამ სამაგიეროდ წმინდა მამამ მთელი მათი ქონების კონფისკაცია მოახდინა: ხელთ იგდო ფული, უძრავი ქონება, და ახალი გადასახადით ლამის სული ამოხადა.

ამავე დროს ღვარძლიანმა სატანამ იეზუიტების ორდენი აღადგინა, რაც ოდესღაც ფონტენებლოში პატიმარყოფილი პაპის ნამდვილი ბნელი-ღონისძიება იყო, ინკვიზიციის აღდგენასთან ერთად.

ეს ის დრო იყო, როცა ლაჩარი ბურბონები ისევ სხდებოდნენ ეტლში და საფრანგეთიდან მეორედ გარბოდნენ, ელბიდან წამოსული „კორსიკელი ურჩხული“ პარიზს უახლოვდებოდა. ნაპოლეონი ტრიუმფალური მარშით მიდიოდა თავისი სატახტო ქალაქისაკენ, მას ელოდა პატივი, დიდება და დაცარიელებული ტახტი, რაც კუდამოძუებულმა მხდალმა ლუდოვიკომ მიატოვა.

ეს რომ გაიგო, ელდანაკრავმა პიუს VII რომი მიატოვა და გენუაში დაიმალა, როგორც მიმპარავმა ძაღლმა იცის ლომის გამოჩენაზე. რომში ის დაბრუნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა იმპერატორი საბოლოოდ დაამარცხეს და გადაასახლეს ელენეს კუნძულზე. რომის ტახტზე რომ დაჯდა, სირცხვილ-ნამუსისაგან გარეცხილმა პაპმა მისებრ ჯაბანსა და სულმოკლე ლუდოვიკოს XVIII მიულოცა „შინ დაბრუნება“ და იქვე სთხოვა ნებართვა, რომ საფრანგეთში იეზუიტები დაებრუნებინა. დრო ცვალებადია, ბნელი ძალა ზეიმობდა, ნებართვა მიეცა, და ლოიოლას შვილებმა რევოლუციური საფრანგეთის ნანგრევებზე ისევ ააშენეს თავიანთი კოლეჯები.

მღვდელმთავარმა იმასაც მიაღწია, რომ ნაპოლიონის მიერ წართმეული პროვინციები და რომის მუზეუმიდან წაღებული ხელოვნების მრავალი შედევრი დაუბრუნეს. ცბიერმა პაპმა რეგვენი ლუდოვიკო XVIII აიძულა ხელი მოეწერა ახალ კონკორდატზე, ამასთან ნიმუშად აიღო ლევ X და ფრანცისკ I ხავსმოდებული შეთანხმება.

ეკლესიის უფროსი შვილის მორჩილებით გახარებულმა პაპმა პიუს VII ევროპაში შავბედითი რეაქციის აღორძინება განიზრახა. შეაჩვენა ლიბერალები, დევნა დაუწყო დამოუკიდებელ მწერლებს. 1823 წელს პიუს VII უზენაესმა დასცინა. თავის ოთახში ფეხი დაუცდა და თეძო მოიტეხა. ასეთი უბედურება რომ ლიბერალს მოსვლოდა, ეკლესიის ბნელი მამები არ დააყოვნებდნენ მის ახსნას ღვთის რისხვის ნიშნად.

პიუსმა კი ყველაზე უფრო დახელოვნებული ექიმები მოიწვია, უარი თქვა სასწაულთმოქმედ საშუალებებზე, რომელთაც მღვდელები ასე თავგამოდებით ურჩევენ გულუბრიყვილო ცხვრებს. მაგრამ ამჯერად მეცნიერებაც ისევე უძლური აღმოჩნდა, როგორც წმინდანთა სხეულის ნაწილები, რელიქვიებად წოდებული ძვლები და თმები. ბებერი ურჯუკი საშინელი ტკივილისაგან გარდაიცვალა ოთხმოც-

დასამი წლის ასაკში, — ასაკი საკმაოდ საპატიო გახლავთ, რაც არ ითქმის თვითონ პაპის შესახებ.*

იმ დღიდან გრაფი ბარნაბა ლუიჯი კიარამონტი, პაპი კი არა, გვამია და მშვიდად წევს მიწაში, რადგან ფეხმოტეხილია და ვერ დადის.

როცა ეშმაკი ბერდება

● კარდინალი ანიბალე დელა ჯენგა სამოცდასამი წლისა იყო, როცა პიუს მეშვიდეს მემკვიდრე გახდა. ისეთი კაცის სახე ჰქონდა, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგას. ჩანს, ვენერას და მარსის სამსახური ადამიანს ორმაგად აბერებს. მაგრამ ასე თუ ისე ხუთ წელიწადს ეჭირა მოციქულის ტახტი, რითაც კარდინალებს ნეტარი მოლოდინი გაუცრუა.

ძალიან ადრე შეევიდა სასულიერო სამსახურში და ძალიან მოკლე დროში მიაღწია უმაღლეს მდგომარეობას, რასაც საგრძნობლად შეუწყო ხელი მისმა უზნეო კავშირმა გავლენიანი პრელატების საყვარელ ქალებთან, მეტადრე პიუს მეექვსის ასულებთან. ეს მომღიმარი უხსენებლები, მამასთან და ძმასთან რომ არ თაკილობდნენ წოლას, ანიბალესაც სწყალობდნენ და მამისაგან ითხოვდნენ მისთვის იმას, რისი მიცემაც თვითონ აღარ შეეძლოთ.

პიუს VII დროს ანიბალე დელა ჯენგა ნუნციუსის პატივით შემოსეს ჯერ ნაპოლეონის, მერე კი ლუდოვიკო XVIII კარზე. იტალიაში დაბრუნებულმა გულმოდგინედ დაიწყო ბარბაროსული ჩვეულებების აღდგენა, კერძოდ წამების საზიზღარი, არაადამიანური სისტემისა.

ასეთი იყო კაცი, რომელიც 1823 წელს პაპი გახდა და ლევ XII სახელწოდებით ტახტზე დაჯდა. არჩევის შემდეგ სულ მოკლე ხან-

* რუსულ თარგმანში შეცდომაა: პიუს VII დაეცა და მიღებული ტრავმისაგან გარდაიცვალა არა 1828, არამედ 1823 წელს. 1740 წელს დაბადებული პაპი ამ დროს იყო არა 81 წლისა, როგორც ავტორს აქვს, არამედ — თითქმის 83 წლისა.

ში კარდინალები სიხარულით აავსო — მძიმე ავად გახდა. მაგრამ ტახტის მაძიებელი კარდინალები ისევ მოტყუვდნენ, პაპმა მოიკეთა.

გამოჯანსაღების აღსანიშნავად პაპმა საყოველთაოდ ცოდვების მიტევება გამოაცხადა და გამოაქვეყნა ენციკლიკი, რითაც ომს უცხადებდა ლიბერალურ იდეებს. პაპები ძველი ნაცადი გზებით მიდიოდნენ.

გულუბრყვილო ბებერი ძაღლი მოგვაგონებდა ლოკოკინას, რომელიც რკინიგზის ლიანდაგზე გასულა და ორთქლმავლის შეჩერეფიქრობს! წმინდა მამა ფილოსოფოსებით არ დაკმაყოფილდა, ბიბლიურ საზოგადოებებსაც კი დაესხა თავს, რომელთა მიზანი იყო მხოლოდ ბიბლიის, წმინდა წერილის პოპულარიზაცია, ვულგარიზაციასთან ბრძოლის მიზნით. ცხადია, პაპი გაგიჟდა.

ლევ XII ეკლესიის ძველი დიდების აღდგენას ლამობდა და ამ მიზნით ერთგული დამქაშების ძებნას შეუდგა. სრულიად ბუნებრივია, რომ ნაცად მოკავშირეებს, ცოფიან ქოფაკებს — იეზუიტებს მიმართა, ყოველნაირად შეეცადა მათი გულის მოგებას. წყალობით ავსებდა, მონასტრებსა და მიწა-წყალს აძლევდა, კოლეჯებს უხსნიდა, მონოპოლია დაუსაკუთრა განათლების საქმეში.

ადმინისტრაციული გულმოდგინებით გამოსცა დეკრეტები, რომლებიც ეხებოდა ჩაცმულობას, სახლების მორთულობას, ეტლებს, ბალებსა და სპექტაკლებს. პაპი იღრინებოდა, კრძალავდა იმ საერო გასართობებს, რომელნიც მისთვის, მიხრწნილი ბებრისთვის მიუწვდომელი იყო, თუმცა ახალგაზრდობაში სულაც არ გამოირჩეოდა უბიწობით.

რომს ვეღარ იცნობდით: რელიგიური პროცესები და დღეზეიმები, ზარების ზრიალი და ლიტურგიული გალობა — აი, როგორ გამოიყურებოდა მარადიული ქალაქი, ოდინდელი რესპუბლიკა. მანდილოსნებს აეკრძალათ ლამაზად ჩაცმა, მორთვა-მოკაზმვა, მსუბუქი სამოსის ტარება, ტანზე გამოყვანილი კაბების ჩაცმა. რაკი ბეხრეკ ბერიკაცს ზაშველი მკერდის ცქერა უძლურ ბრაზს ჰგვრიდა, მკერავებს „ბოროტების ძირშივე აღკვეთის“ საბაბით და შეჩვენების მუქარით აუკრძალა დეკოლტირებული კაბების კერვა.

ამასთან ერთად ბებერმა ღრაჭამ, დორბლის მნთხეველმა ტირანმა საოცარი კეთილგანწყობილება და თანაგრძნობა გამოავლინა ქურდებთან, ჯიბგირებთან და ბანდიტებთან, რომელთაც ბუნებით ენა-

თესავებოდა. მზად იყო მასთან სურათზე გამოესახათ და კურიოზული ტილო ხატად გაეხადათ. ასევე თანაუგრძნობდა მკვლელებს. პაპს ეყო თავხედობა, რომ მოციქულის ხაზინის შევსების მიზნით აღედგინა სპეციალური პრეისკურანტი, რომლის მიხედვითაც მდიდარ არამზადებს სრულიად დაუსჯელად შეეძლოთ ჩაედინათ ყოველნაირი დანაშაული, საზიზღარი ბოროტმოქმედებანი, და მათ ამისათვი პასუხს არავინ მოსთხოვდა. ამას აკანონებდა რომის პაპი, ქრისტიანთა უცოდველი მბრძანებელი.

როცა ზოგიერთმა კარდინალმა შენიშნა, რომ დანაშაულობათა დაკანონების ეს ცინიკური აქტი პაპობის მტრებს ხელში საშიშ იარაღს მისცემსო, ლევ XII უპასუხა: „ნუ წუხდებით, ჩვენ ვასწავლით ჭკუას მწერლებს. დღეს რელიგიის შემწეობით ფულს მოვიხვეჭთ, რათა ხვალ ამ ფულზე რელიგია ავაგოთ“. რა ღვარძლიანი ყოფილა ბებერი ლომის ტიაროსანი კარიკატურა — უფრო სწორად! მწერლებს ჭკუას ასწავლიდა ქურდების ბელადი!

იეზუიტები თავგამოდებით უჭერდნენ მხარს კათოლიკურ რეაქციას. საფრანგეთში კონსტიტუციის კანონებით ცოტა შევიწროებული იყვნენ, სამაგიეროდ ფიანდაზი ეგოთ ესპანეთში, სადაც ფერდინანდ VII დაბრუნებისთანავე შავი ინკვიზიცია აღდგა. ებრძოდნენ ნაპოლეონს, მაგრამ ცეცხლის ენებმა მისი უღელიც ანატრეს! ინკვიზიციის მსხვერპლთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1826 წელს იეზუიტებმა კოცონზე დაწვეს ერთი უბადრუკი ებრაელი და კოცონთან ისეთი ზეიმი გაიმართა, რომ წყევლით სახსენებელი ტორკვ

იღებდნენ სასწავლო დაწესებულებაში, ვიდრე უფროსს არ განუცხადებდა ,რომ არც ერთ რელიგიურ კონგრეგაციას არ ეკუთვნოდა.

. ლიიოლას შვილები რომ ენუგეშებინა, ლევ XII მეფე კარლოს მეათეს მიმართა, სასტიკად გაიცხა სისუსტისათვის და მოითხოვა სახელმწიფოებრივი ზომების მიღება. ეს სწორედ ფარისეველი მეფის გუნებისა იყო. ხავსმოდებული მონარქის მისწრაფებაც ხომ სულიერ მამათა გულისნადებს სარკესავით არეკლავდა! მართალია, წმინდა მამას სატანამ არ აღირსა იმის ხილვა, რაც კარლოს მეათედ წოდებულმა რეაქციონერმა გრაფ დ, არტუამ მოიმოქმედა მისი მოთხოვნის ცხოვრებაში გასატარებლად: 1829 წლის 10 თებერვალს, ხანმოკლე ავადმყოფობის შედეგად, ლევ XII თავის წინამორბედთა ჯოჯოხეთურ პლეადას ესტუმრა. მისმა უკანასკნელმა ცაცხანმა კარლოს კიდევ უფრო დააჩქარებინა 1830 წლის რევოლუციის ქარიშხლის მოახლოვება. საერთოდ, ერთი მგელი იყო, მეორე — მგლისფერი ძაღლი. რევოლუციონერებით აავსეს საპყრობილეები.

შუა საუკუნეების
წყვდიადში დაბრუნება

პირქუში ტირანი პიუს VIII, ფრანჩესკო გრაფ კასტილიონე, თავისი წინამორბედის პოლიტიკას განაგრძობდა, თუმცა საბედნიეროდ წმინდა ტახტს მხოლოდ ერთი წელი ბილწავდა. ჯერ იმით დაიწყო, რომ ყველა ეპისკოპოსს ცირკულარით მიმართა და რესპუბლიკელი, მეტადრე ეკლესიის მოწინააღმდეგე მწერლების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. „პატივცემულო ძმებო, — წერდა მღვდელმთავარი, — აუცილებელია საშიში სოფისტების გამომზეურება, მათი დასმენა და ტრიბუნალზე წარდგენა, ინკვიზიტორთა ხელში გადაცემა, რათა წამების შემწეობით გაიხსენონ ჭეშმარიტი სარწმუნოება“. ჭეშმარიტი სარწმუნოება! კაცობრიობის ჯვარმცმელი, შეუწყნარებელი, გავარვარებული მარწუხებით დამგლეჯი, ბნელი და შავბნელი რელიგია!.. ტიაროსანი ურჯუკი „სოფისტებს“ ეძახის ჯვაროსან ტირანთა მგმობელ მწერლებს! იქნებ მისთვის გოვთეც „სოფისტი“ იყო?

აფთრის სიამოვნებით ადევნებდა თვალს პიუს VIII დევნა-შევიწროებას, რასაც განიცდიდნენ ლიბერალები იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში. ეროვნულ თავმოყვარეობასაც კი აჩლუნგებდა რე-

ლიგია, გადამთიელი ბებრის ბრძანებით საკუთარ ქვეშევრდომებს დევნიდნენ მეფეები.

მხოლოდ გერმანია იყო ამჯერად ყრუ პიუსის მოთხოვნის მიმართ: გერმანელმა მეფეებმა და მთავრებმა აშკარად განაცხადეს, სასულიერო ძალაუფლება საკუთარ საეროს ეშორჩილებაო. წმინდა მამად წოდებულმა კაციჭამიამ ვეღარ გაბედა გერმანიის მოსახლეობის ამხედრება საკუთარი მბრძანებლების წინააღმდეგ.

საფრანგეთში შაბნელი კარლოს X ყოველნაირად ცდილობდა მიებაძა გულქვა ფერდინად VII ესპანელისათვის, რომელმაც ღვთისმგმობელთა და მკრეხელთა წინააღმდეგ მიმართული შუა საუკუნეების ბნელი ბრძანებები აღადგინა. თითო ბნელი ტირანი ესპანეთს არასოდეს ელეოდა.

მართალია, მისი მიმბაძველი ფრანგთა მეფის ძალაუფლება შეზღუდული იყო, მაგრამ თავის საზიზღარ დამქაშ მრჩეველთა თანადგომით მაინც შესძლო გამოეცა 1830 წლის ივლისის ორდონანსი, რითაც მეფის ტახტი თვითონვე შეაზანზარა.

მაშინ ატყდა რევოლუციის ქარტეხილი, მაგრამ, როგორც ცნობილია, მოპოვებული თავისუფლება ისევ ბურჟუაზიის ხელში აღმოჩნდა, თუმცა რა გამოვიდოდა? ვინც გაიმარჯვებდა, ხვალ ის გახდებოდა ბურჟუა! ასეთი უკუღმართობით ტახტზე ასულმა კრეტინმა ლუი-ფილიპემ მაშინვე პაპს დაუმოწმა თავისი პატივისცემა და სრული მორჩილება. ვიდრე „ბარიკადების მეფეს“ ცნობდა, პიუსმა ბევრი ახვეწნინა ფრანგი ლაქიები. ბეცი იყო, თორემ უნდა სცოდნოდა, რა ბედენაც იყო ახალი მონარქი, რომელიც მის კურთხევას ითხოვდა. ბოლოს გული გაიმაგრა და ცნო, მაგრამ დიდხანს აღარ მოუხდა ბუმბულებში კოტრიალი. მარადიული ძილი დაეუფლა და მისი ადგილი მისებრ რეაქციონერმა ბარტოლომეო ალბერტო კაპელარიმ დაიჭირა. ამოსუნთქვის საშუალებაც არ იყო. ტახტზე რომ ავიდა, გრაფი თუ მეღორე ერთნაირად პირშავი ტირანი ხდებოდა. ჯერაც კარდინალი იყო, როცა თავისი საყვარელი, რომელმაც შვიდი შვილი აჩუქა, მღვდელმთავარმა დალაქს მიათხოვა. მერე, ამ დალაქისათვის რომ სამაგიერო პატივი ეცა და თან თავის ყოფილ საყვარელთან სიახლოვის საშუალება ჰქონოდა, ახლა თავისი ქალის მოზიარეს კარდინალის ჯამაგირი დაუნიშნა და სასახლეში გადაიყვანა.

ბუნებით ხორციელი სიამოვნების დიდი მოყვარული გრიგოლ

XVI არჩევის წინ თავს ისე იკატუნებდა, რომ ხორცშესხმული წმინდანი გეგონებოდათ. მაგრამ ტახტზე რომ ავიდა, მრავალი წინამორბედი არტისტის მსგავსად, ცხოვრების ძველ ყაიდას დაუბრუნდა. პაპებს ხომ ავხორცობისათვის არავინ ცვლიდა! გრიგოლ XVI ისეთ ასაკში იყო, რომ ხორციელად დაჩაჩანაკებულს მხოლოდ პირის გემოღა შერჩა და სწორედ ამიტომ ბებრული სისუსტით გამოწვეულ დანაკლისს საჭმელ-სასმელის სიჭარბით ინაზღაურებდა. მუცელს ისე იყორავდა, რომ სანადიმო დარბაზიდან ხელით გაჰყავდათ*.

ურწმუნობისა და უღმერთობის სულისკვეთება იტალიაში ყოველდღიურად მატულობდა. მაშინ გრიგოლმა იეზუიტებს კათოლიციზმის სახელით და პაპობის სახსნელად ერთი მშვიდობიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობა დაავალა. ლიიოლას შვილები სოფლებში მგლებივით დაძრწოდნენ, აკრავდნენ ჯვრებს, გამოდიოდნენ ქადაგებით — მოკლედ, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ რელიგიური სიგიჟე გაეღვივებინათ. ამ ახალ დროში მათ ეყოთ თავხედობა, რომ მადონები და წმინდანები იძულებული გაეხადათ სასწაულები მოეხდინათ. მალე პაპის მიწა-წყალზე ერთი სოფლის ეკლესიაც არ დარჩენილა, რომ მექანიზირებული სასწაულთმოქმედი არ გაეწყოთ. ერთ-ერთ ეკვდერში მადონა ცრემლს აფრქვევდა, ძეორე ეკლესიაში ქრისტეს სისხლი სდიოდა, მესამეში მოციქული ხელებს მაღლა სწევდა და თავს აქნევდა. როცა ციურ სამეფოს ნეტარ ბინადართა გალერეა ამოიწურა და იეზუიტებს რეპერტუარი შემოაკლდათ, ცხოველთა გაცოცხლებაზე გადავიდნენ.

შეიძლება სულიწმინდა გეხილათ მტრედის სახით, წმინდა პეტრეს მამალი კი ისე ნამდვილივით ყიოდა, რომ სოფლის მამლისაგან ვერ გაარჩევდით. გაცოცხლებული ჰყავდათ ბეთლემის დედალი ვირი, ძაღლი და სხვა ცხოველები, რომლებიც ყველა ყაიდაზე ყეფდნენ, ჭიხვინებდნენ, ყროყინებდნენ და ზმუოდნენ. მექანიკა ეკლესიის სამსახურში ჩადგა!

---

* ტახტზე რომ ავიდა, გრიგოლ XVI უკვე 66 წლისა იყო. ტახტზე 15 წელი იჯდა და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო პირშავი, სასტიკი, ბოროტი და სიახლის მტერი ხდებოდა. თვით ეკლესიის დამცირების წლებში, როცა ფრანგები რომში შეეიდნენ, წინასწარმეტყველივით ქადაგებდა პაპობის დიდების დაბრუნებას, და იმდენად შეურიგებული რეაქციონერი იყო, რომ თავის მიწა-წყალზე რკინიგზაც კი არ გააყვანინა.

თავდაპირველად ყველაფერი შესანიშნავად აეწყო. იეზუიტები წარმატებით ატარებდნენ რელიგიურ პროპაგანდას — იხდენდნენ სასწაულმოქმედი ნივთების ფაბრიკაციას, რაც მღვდლებს მამასისხლად უჯდებოდათ. თავის მხრივ არც მღვდლები რჩებოდნენ ვალში და მთელი ამ იაფფასიანი ბუტაფორიიდან ბნელი ხალხის წყალობით უზარმაზარ შემოსავალს იღებდნენ. მაგრამ მალე კონკურენციამ საშინელი ზიანი მიაყენა მრეწველობის ამ მავნე დარგს, ასე რომ იფურჩქნებოდა ერთის მხრივ სიბნელისა დ ჩამორჩენილობის, მეორე მხრივ კი გაიძვერობისა და თაღლითობის საშუალებით.

აი, რა მოხდა.

ყოველ მრევლს იესოს საზოგადოებიდან მიღებული თავისი სასწაული ჰქონდა. მორწმუნეებს კი უნდოდათ მეზობელ ეკლესიაში შეეხედათ და ენახათ, როგორ ატრიალებდნენ თავს წმინდანები, როგორ ყროყინებდნენ ვირები და ყიოდნენ მექანიკური მამლები. მღვდლები, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას უწევდნენ, არ სურდათ, რომ მათი შემოსავალი მეზობელი კონკურენტების ჯიბეში მოხვედრილიყო. ეკლესიის ყოველი მსახური ცდილობდა შეერცხვინა და დაემცირებინა მეზობელი ეკლესიის სასწაულები, თითქოს ის სხვა რელიგიის კერა ყოფილიყო, და ამ ნიადაგზე ნამდვილი ომი გაიმართა. მლოცველები, ცხადია, თავიანთ მწყემსებს იცავდნენ, და პაპის ოლქის ყველა მხარეში ნამდვილი ფანატიკური რაზმები შეიქმნა. მათს რელიგიურ ბნედას გარდუვალი სისხლის ღვრა უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც.

როცა მრევლთა საზღვრებზე რელიგიური პროცესების ერთიმეორეს ხვდებოდნენ, მღვდლები ხმამაღალ გინებას დაიწყებდნენ, კამათსა და შეხლა-შემოხლას აწყობდნენ. ყველა თავის სასწაულმოქმედს აქებდა, აზვიადებდა მის ძალასა და საოცრებას, თანაც ლანძღვა-გინებით იკლებდა მოპირდაპირე მხარის მადონებსა და ყველა წმინდანს. დავა და ლანძღვა-გინება დიდხანს გრძელდებოდა. მღვდლები, ეკლესიის დარაჯები, მგალობლები, ქოროს ბავშვები, მორჩილნი და მორწმუნენი, მნათეები და დიაკვნები ერთიმეორეს ეცემოდნენ ხოლმე და მანამდე სცემდნენ, კბენდნენ, ჭიდაობდნენ, ვიდრე ერთი მხარე არ გაიმარჯვებდა. ამ რელიგიურ ბრძოლაში ჯვარცმები, შანდლები და საეკლესიო ტანსაცმელი ხშირად სასიკვდილო იარაღად იქცეოდნენ. ტირანებს ყოველთვის ხელს აძლევთ ქვეშევრდომ-

თა წასისიანება, კინკლაობა, ცილაობა, ხოცვა-ჟლეტა — მონების დასუსტებით ხომ თვითონ ძლიერდებიან ხოლმე! ამჯერადაც ასე გახლდათ.

• თავისდა სამწუხაროდ, პაპი ღრმა სინანულის გრძნობით დაემშვიდობა ასეთ სასარგებლო სპექტაკლებს --- იძულებული გახდა აეკრძალა კერპების ასეთი დემონსტრაცია.

იეზუიტები ეგზომ შემოსავლიანი წამოწყების გაუქმებით ძალიან შეწუხებული იყვნენ. იტალიის ლიბერალიზმის დათრგუნვის მიზნით მათ უსასტიკესი ზომების მიღება გადაწყვიტეს. მოიწვიეს კონფერენცია, სადაც იესოს საზოგადოების გენერალმა წარმოთქვა სიტყვა და ნამდვილი ომი გამოუცხადა თანამედროვე საზოგადოებას, მის პოლიტიკას, მეცნიერობას, მწერლობას...

„ჩვენი საუკუნე, მართლაც, მეტად ახირებული დელიკატობით გამოირჩევა! — ჩხაოდა ბნელეთის მოციქული. — ხომ არა ჰგონია ხალხს, რომ ხანძრების ფერფლი საბოლოოდ გაცივდა და ერთი ნაღვერდალიც აღარ მოიძებნება შიგ, რომ კოცონი აენთოს? გიჟები! იეზუიტებს რომ გვეძახიან, ამით ვითომ საჰარცხვინო ბოძზე გვაკრავენ. იცოდეთ, იეზუიტები თქვენთვის ახალ სასჯელსა და წამებას ამზადებენ... დადგება დღე, როცა ჩვენ ვიქნებით ხალხთა მბრძანებლები!“ აი, ასე ჩხაოდა იეზუიტი ყორანი. და მისი მეუფების ღირსი იყო ყველა, ვინც მას ანთებულ მუგუზალს არ ესვროდა!

იტალიელებს არ ესაჭიროებოდათ პაპისა და მისი ქოფაკების ციური პოლიტიკის ახალი საბუთები; ისინი ისედაც გრძნობდნენ, რომ პაპი და მისი დამქაშები ისტორიის ღკუღმა შებრუნებასა და შუა საუკუნეების ბარბაროსობის აღდგენას აპირებდნენ.

• პაპობა რომ გადაეგდოთ—საძულველი საერო მტერი, ყველა უბედურების პირველი მიზეზი, მსოფლიო ბოროტება და ამოუძირკვავი სარეველა.—ერთი დროშის ქვეშ გაერთიანდა ყველა კლასი და წოდება: მუშა, გლეხი, ბურჟუა, არისტოკრატიაც კი. მრავალ ქალაქში იფეთქა აჯანყებამ, და საფრანგეთისა და ავსტრიის ჩარევა რომ არა, პაპობას ბოლო მოეღებოდა. საქმეც ესაა და უბედურებაც: მუდამ ვინმე მისებრ პირშავი ქომაგი გამოუჩნდებოდა ხოლმე განსაცდელში ჩავარდნილ პაპს!

ბრძოლა იყო ხანგრძლივი და დაუნდობელი. სასულიერო წოდებამ უტვინო ფანატიკოსთა და სინდის-ნამუსისასგან გარეცხილი ბან-

დიტებისაგან მასავით ბნელი მილიციის რაზმები შეაკოწიწა. ამ რაზმში შემსვლელი ასეთ ფიცს დებდა:

„ფიცსა ვდებ არ დავინდო არავინ საზიზღარი ლიბერალების მიმდევართაგან, არ ვათხოვო ყური მათი ცოლ-შვილის გოდებას, მოხუცთა ჩივილს, მიუხედავად ასაკისა, სქესისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა“.

ფანატიკოს პაპისტ-ჯალათთა, როგორც სისხლის მწოველი ვამპირების, მგლებისა და ასპიტების ბრალდებად ისიც კმარა, რომ არასოდეს არსად არავითარი დანდობა არ იცოდნენ, მხეცური გაშმაგებით ებრძოდნენ ქრისტიან ძმებს და ამ დანაშაულის დაფარვას ზეპირ ფიცსა თუ წერილობით დოკუმენტებშიც კი არ თვლიდნენ საჭიროდ!

კაცი რომ ასეთ ფიცს დადებს, ბუნებრივია, არავითარი მხეცობის ჩადენაზე არ იტყვის უარს და ყოველგვარი ბარბაროსული საქმე გამოუვა ხელიდან, რაკი პირიდან ასეთი ნაგავი გამოსდის. პაპის ჯარისკაცები უფრო ჯალათებსა და ჯაშუშებს ჰგვანდნენ, ვიდრე მეომრებს და მაინც უზარმაზარი სამსახური გაუწიეს გრიგოლ მეთექვსმეტეს, როცა ამ პირსისხლიანმა მხეცმა აჯანყება ჩააქრო და უსასტიკეს რეპრესიებზე გადავიდა. მართალია, სიმშვიდე ძეტად დროებითი, არასაიმედო იყო და მხოლოდ შიშზე აგებული. დაბოლოს, როგორც იქნა, იტალია ტირანისაგან სიკვდილმა გადაარჩინა. მოძალადე-რეტროგრადი, რომელიც მთელი თხუთმეტი წელიწადი ჯიჯგნიდა სამხრეთის თვალს, უეცრად ავად გახდა და მთელი თავის ჯოჯოხეთური ტანჯვის შემდეგ, 1846 წლის 1 ივნისს, კუპრის მორევში ჩაყვინთა, სადაც უკვე დაცურავდა მისი თხუთმეტი წინამორბედი გრიგოლი. ალბათ მადლობას ეტყოდნენ გულმოდგინებისათვის—მეტადრე გრგიოლ VII — მით უმეტეს, რომ ყოველი ერთმოსახელე — წინამორბედის სახელით თითო წელი განაგებდა საქრისტიანოს და წმინდა საკურთხეველზე მათი სულის მოსახსენებლად უთვალავი ადამიანის სისხლი დაიღვარა.

ჯოჯოხეთში გამგზავრების დროისათვის გრიგოლ XVI უკვე 81 წლისა იყო.

მღვდელმთავრის გარდაცვალებამდე ორიოდე დღით ადრე საყვარელი დალაქი თავისი ცოლის — პაპის ნაცოლარისა და ხასის — თანხლებით რომიდან გაიპარა. ამ ღირსეულმა წყვილმა ალბათ

კარგად იცოდა, რასაც მათი დანახვისას ხალხი განიცდიდა. ამიტომაც გონივრულად ამჯობინეს გაცლა, რომ ამ განცდის გამომქღავნება ვერავის მოესწრო. იმ ძვირფასეულობის გარდა, რაც პაპმა თავის მთავარ საყვარელს აჩუქა, საგანგებო ფურგონში ეწყო ძვირფასი ავეჯი, რაც მათს ბინას ამშვენებდა. თავისუფალნი და ბედნიერნი წავიდნენ სადღაც მიწიერ სამოთხეში, რათა იმ სიკეთით დამტკბარიყვნენ რაც ქრისტეს მოადგილესთან სამსახურში მიიღეს, ხოლო მათი სულიერი მამა ორიოდე დღის შემდეგ გაემგზავრა, როგორც მოგახსენეთ, ჯოჯოხეთში, რაც ქრისტეს სამსახურში ყოფნის დროს მოიპოვა.

უკანასკნელი პაპი — შეუზღუდავი მონარქი

● ჩვენ დასასრულს ვუახლოვდებით. ტახტზე ზის ჯიოვანი მარია, გრაფი, პიუს მეცხრედ* წოდებული მანიაკი. მისი ყველა საძაგლობა რომ ჩამოვთვალოთ, ერთი მოზრდილი ტომი გამოგვივა. ამიტომ განზე დავტოვებთ იმას, რაც შეიძლება დაუჯერებელი გვეჩვენოს და შემოვიფარგლებით იმით, რაც უტყუარი სინამდვილეა.

პიუს IX ტახტზე 1846 წლის 16 ივნისს ავიდა და იჯდა 32 წელი — მეტ ხანს, ვიდრე რომელიმე სხვა პაპი! არჩევის ცერემონიალი განსაკუთრებული ფუფუნებით გამოირჩეოდა. მას შემდეგ, რაც მღვდელმთავარმა მესა დაამთავრა, სიქსტინის კაპელის საჭურისებმა ჰიმნების გალობა გააბეს, და ვინ იცის, რა ამღერებდათ დაკოდილებს! ახალ პაპს მოწიწებით მიუახლოვდა კარდინალ-დიაკონი და სამგზის მუხლის მოყრის შემდეგ თავზე მიტრა მოხადა. ისევ სამჯერ მოუყარა მუხლი და ნელა დაახურა თავზე ნაპოლეონ ბონაპარტეს ნაჩუქარი ტიარა, ძვირფასი თვლებით მოჭედილი სამღვდელმთავრო გვირგვინი, რომლის ღირებულებაც იყო ნახევარი მილიონი ფრანკი. ამრი-

---

*ლეო ტაქსილი 1907 წელს გარდაიცვალა. ამ დროს პაპი იყო პიუს X, სარტო (1903—1914), მაგრამ ტაქსილის წიგნის უკანასკნელი პაპია პიუს IX, რომლის პონტიფიკატი 1878 წელს თავდება. ამრიგად, ფრანგი მწერლის შრომაში არ შესულა უკანასკნელი შვიდი პაპი: ლევ XIII, პიუს X, ბენედიქტე XV, პიუს XI, პიუს XII, იოანე XXIII, პავლე VI. მათ შესახებ ცნობებს მკითხველი ნახავს დამატებაში, რომლის ავტორია აკაკი ბაქრაძე.

გად, ნაპოლეონის კორპუსმა რომი კი აიღო და ტყვექმნა პაპები, მაგრამ მღვდლების დამხობას სულაც არ აპირებდა და თავის ტყვეს ისეთი არმაღანი გაუგზავნა, რომ ვერც ერთი იმპერატორი უკეთესს ვერ მოიფიქრებდა.

ქრისტიანული მორჩილების ეს ემბლემა დამზადებულია თეთრი ხავერდისაგან, ხოლო ზედ სამ წრედ შემოვლებული სამი გვირგვინი შედგება ბრილიანტების, ზურმუხტის, საფირონისა და მარგალიტებისაგან. ტიარას აგვირგვინებს დიდი ზურმუხტის თვალი, ზედ კი ფასდაუდებელი ღირებულების ბრილიანტის ჯვარია აღმართული. სიმართლე რომ ითქვას, ეს გვირგვინი არაფრით არ ჰგავს ქრისტიანობის დამაარსებელის ეკლის გვირგვინს. საით მიდის გამარჯვებული რეგვენი, უჯილაგო ხეპრე ტირანი! ვინც სარწმუნოება შექმნა, იხსნა, ეწამა, ეკლის გვირგვინზე დიდების ტახტი აუგო, სწორედ იმის სახელს თელავს ტლანქი ფეხით! ყველა ხომ წმინდა პეტრე არ იქნებოდა! ეს უნდა სცოდნოდათ პატრიარქებს.

შეღამებისას რომის სასახლეები გაცისკროვნებული იყვნენ ილუმინაციებით, წმინდა პეტრეს ტაძარს ოცი ათასი ლამპარი ანათებდა.

ხალხი გულწრფელად ზეიმობდა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ პიუს IX ლიბერალი იქნებოდა. საშინელი შეცდომა იმაზე იყო დაფუძნებული, რომ წინამორბედი პაპის რეაქციულ ღონისძიებებს მართლაც წინააღმდეგობას უწევდა. ხალხის იმედი გაცრუვდა იმ წუთიდან, რაც პიუსმა ნაპოლეონის ნაჩუქარი ტიარა თავზე დაიხურა. ეს იყო გახრწნილი ურჯუკი!

პიუს IX დაიბადა1790 წლის 13 მაისს პაპის ოლქში. ყმაწვილკაცობა მეტად შფოთიანი და მოუსვენარი ჰქონდა. მასონთა ლოჟის წევრი იყო და ყველაზე უფრო მოწინავე იდეებს თანაუგრძნობდა. წინასწარ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს იეზუიტების, თავისუფლების ამ ყველაზე უფრო შეურიგებელი მტრების ბრმა იარაღად იქცეოდა.

პიუს O... იგივე პიუს IX გარეგნული მოხდენილობითა და ფარისევლური თავაზიანობით გამოირჩეოდა, მუდამ წარმატება ჰქონდა ქალებში. მაშინაც კი არ აუღია ხელი არშიყობასა და დროსტარებაზე, როცა პაპის გვარდიის მუნდირი ანაფორაზე გაცვალა.

1832 წელს გრიგოლ მეთოთხმეტემ ეპისკოპოსად დანიშნა, 1840

წელს — კარდინალად. საერთოდ გართობა სულაც არ უშლიდა მის სასულიერო კარიერას.

უდარდელი და არც თუ ისე ჭკვიანი პიუს IX იოლად ექცეოდა სხვისი გავლენის ქვეშ. მორჩილ ფინიას ჰგავდა, რომელიც იეზუიტებისა და თავისი პირადი ინტერესებისათვის თოკით დაჰყავდა კარდინალ ანტონელის, და საითაც გასწევდა, იქით გაიწევდა. ამ ახტონელის „წითელ პაპს" ეძახდნენ. ის აშკარად ჯობნიდა „თეთრ პაპს" — პიუს მეცხრეს. მართალია, პირველად პიუსს თითქმის ლიბერალად მოჰქონდა თავი: ეს იყო ნიღაბი. იეზუიტებს ეშინოდათ გრიგოლ მეთოთხმეტის რეაქციული პოლიტიკის აშკარად გაგრძელებისა, ხალხები კუშტად შესცქეროდნენ მკვლელებს.

მაგრამ აი, გამოსცეს რამდენიმე მეორეხარისხოვანი ბრძანებულება, იეზუიტებმა სრულიად საკმარისად ჩათვალეს ხალხის გულის მოსაგებად მიღებული ეს ღონისძიებანი, ნიღაბი მოიხსნეს და პირდაპირ ჯიქურ წავიდნენ კათოლიკური რეაქციის გაკვალულ გზაზე. ამან ყრუ უკმაყოფილება გამოიწვია, შეიქმნა საიდუმლო საზოგადოებანი, რომლებშიც შედიოდნენ მამაცი იტალიელი პატრიოტები, რომელთა ოცნებაც იყო ორმაგი-ავსტრიისა და პაპის უღლის გადაგდება.

დაწვრილებით ვერ გადმოგცემთ ჩაგრული ხალხის ბრძოლას ტირანთა და სულთამხუთავთა წინააღმდეგ, რაც, უდავოდ, სამართლიანობის ზეიმით დამთავრდებოდა, საფრანგეთის რეაქციულ ძალებს რომ პაპისათვის მხარი არ დაეჭირათ 1849 წელს და რომში მთელი არმიის კორპუსი არ გაეგზავნათ. მამაცი გარიბალდის მოხალისეების არმია რომის რესპუბლიკის სახელით მთელი იტალიის გაერთიანებას ისახავდა მიზნად, ევროპის რეაქცია კი თავისუფლების ყლორტებს პაპის შხამით წვავდა. 24 აპრილს დივიზიის ავანგარდი გენერალ უდინოს სარდლობით ჩივიტა- ვეკიასთან მივიდა.

რამდენიმე თვით ადრე ლაჩარმა პიუს IX ფარულად დატოვა რომი, რათა არ გაეტარებინა რეფორმები, რომელთაც მისგან მოითხოვდნენ. გახრწნილი მღვდელმთავარი თავისი საქმიანობის შესაფერისი კოსტუმით მორთული გაიქცა: სამოქალაქო სამოსი ეცვა, მოხდენილ დონ-ჟუანსა ჰგავდა, მრგვალი ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა და ავსტრიის სამეფო კარის აგენტი ახლდა, რომლის ცოლიც მისი საყვარელი იყო. მის ამალაში შედიოდა აგრეთვე მოურა-

ვი, რომელსაც ბეჭედი მიჰქონდა, აგრეთვე კურთხევანი, წმინდა ქოშები და ზარდახშაში ჩაწყობილი მედლები, რომლებზედაც ამოკვეთილი იყო პაპის სახე. არც ოქროს წაღება დავიწყებიათ.

სამი მგზავრი სრულიად თავისუფლად გავიდა ქალაქიდან. ჩივიტა-ვეკიას გზაზე დათქმულ ალაგს მეორე ეტლი ელოდათ. როცა მივიდნენ, ეტლი ჯერ კიდევ არ ჩანდა. სწორედ ამ დროს გაიარა კარაბინერთა რაზმმა და პიუსს შიშით ლამის სული კოჭებში ვაეპარა. ყველაფერი დაიღუპაო, გაიფიქრა, თუმცა მხოლოდ პაპი დაიღუპებოდა. რაზმს ზურგი აქცია და ლოცვების ბუტბუტი დაიწყო, ღვთისმშობელს უხმობდა შემწედ. ეტყობა, მაშინ წმინდა მარიამი უკვე სწყალობდა პაპს (შემთხვევით არ მომხდარა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ პიუსმა საქვეყნოდ გამოაცხადა უბიწო ჩასახვის დოგმატი!). ლოცვა ისმინა დედა-ღვთისამ, დონ ჟუანად გადაცმული სატანა შეიბრალა და სასწრაფოდ მოჰგვარა ეტლი, რასაც მოუთმენლად ელოდა.

ეტლიდან გრაფის ქალი გამოვიდა და თავის საყვარელ პაპს ხმამაღლა მიაძახა: „სენიორ დოქტორო, დროზე ჩაბრძანდით ეტლში!“ შიშით ფერწასულმა პაპმა ბევრი არ ახვეწნინა თავისი გულის სწორი. ავიდა, სადღაც ეტლის სიღრმეში დაჯდა, გვერდით მანდილოსანი მოისვა, ქალის ქმარი და მოურავი კი წინ მოთავსდნენ. გრაფის ქალმა მეეტლეს წასვლა უბრძანა და ეტლი დაიძრა. აგენტმა იცოდა, რა ხდებოდა უკან, მაგრამ იცოდა ისიც, თუ რა მოჰყვებოდა უკან მოხედვას.

პაპის გაქცევის შემდეგ რომში რესპუბლიკა გამოცხადდა და გამოიცა შემდეგი დეკრეტი:

„პაპი ფაქტიურად და იურიდიულად კარგავს საერო ძალაუფლებას რომის სახელმწიფოში.

რომის მღვდელმთავარს ეძლევა ღვთისმსახურების თავისუფლად შესრულების უფლება.

რომის სახელმწიფოს მმართველობის ფორმა იქნება დემოკრატია, რომის რესპუბლიკის სახელოვანი სახელით“.

ასეთი იყო პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც ჩივიტა-ვეკიაში ჩავიდა შავი რეაქციის წყეული ძალა, რათა პაპის ძალაუფლება აღედგინა. მის სათავეში იდგა ის პირსისხლიანი ხროვა, რომელიც მეორე რესპუბლიკის მთავრობად წოდებულ ჯალათთა ბრძანებას ასრუ-

ლებდა. მის სინდისს ამძიმებდა ათასობით ფრანგი მშრომელის სისხლი...

ფრანგთა ჯარების ჩივიტა-ვეკიაში, რომიდან ოდნავ ჩრდილოეთით გადმოსხმის ამბავი რომ გაიგო, რომის დამფუძნებელმა კრებამ განაცხადა, რომ განაგრძობს თავის საქმიანობას, და გადაწყეეტილება მიიღო გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწიათ შავი ინტერვენტებისათვის. მაშინ ასპარეზზე გამოვიდა სახალხო გმირი ჯუზეპე გარიბალდი — სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი.

მაგრამ თავგანწირული ბრძოლების შემდეგ, რაც თითქმის მთელი თვე გაგრძელდა, ფრანგთა ხიშტებმა იმძლავრეს და რომი დაეცა.

გენერალ უდინოს ბრძანებით ქალაქის გასაღები პაპს გადაეცა.

ბოროტმოქმედება აღსრულდა: საფრანგეთის მთავრობამ რომის მიწები ისევ საზიზღარ კაციჭამიას გადასცა. სისხლი და ცრემლი ღაღადებს, თაობები წყევლას უთვლიან ფრანგთა მეფის შავბაირაღიან ძალებს, რომელთაც სატირის მეუფეობა აღადგინეს!

ღვარძლიან პიუს მეცხრის ახალი მმართველობა დაიწყო დეკრეტით, რაც ასეთი შინაარსისა იყო:

„იხურება ყველა წრე, იშლება ყველა რევოლუციური გაერთიანება. იკრძალება ხუთზე მეტი კაცის თავმოყრა, მეტადრე საღამოობით.

თუ ვინმე საპატიო მიზეზების გარეშე გამოჩნდება ქუჩაში საღამოს თერთმეტი საათის შემდეგ, დაკავებული იქნება და ხუთი დღის პატიმრობა მიესჯება, ხოლო თუ განმეორდა — ერთი თვის ციხე.

პრესის თავისუფლება უქმდება. ყველაფრი, რაც გამოსაცემია, უნდა მოიწონოს სასულიერო ხელისუფლებამ ან პოლიციამ, ნაწარმოების შინაარსის მიხედვით. ურჩობის შემთხვევაში გამომცემელი და ავტორი, ნაბეჭდის კონფისკაციის გარდა, დაჯარიმდებიან 25 ეკიუს რაოდენობით პირველად, 50 ეკიუთი — მეორედ და 100 ეკიუთი — მესამედ. უკანასკნელ შემთხვევაში სტამბა დაიხურება, ხოლო გამომცემელი სამუდამოდ დაკარგავს უფლებას, რომ თავისი პროფესიით იმუშაოს.

დაბეჭდილი წიგნი, გინდ უცხოური, გინდ მშობლიურ ენაზე და

წერილი, ვერ გავრცელდება, თუ ნებადართული არ იქნება სასულიერო ხელისუფალთა ან პოლიციის მიერ. წიგნის გაყიდვა შეიძლება მხოლოდ წერილობითი ნებართვის შემდეგ, მაღაზიაში, ქუჩებში გაყიდვა აკრძალულია. იგივე წესები ვრცელდება გრავიურებსა და ლითოგრაფიულ ნაწარმოებზე".

ეს მეფერმეტყველური დეკრეტი ნათლად ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ხდიდნენ სულს რომაელებს პაპი და მისი დამქაშები. ობობა ცენზურას აწესებს და კრძალავს ყველაფერს, რაც მის შხამიან ქსელს არ ადიდებს! იდევნება სხვა აზრი, სხვა გამოცემა, სხვა სიტყვა, თუნდაც გენიალური! ხალხი გმინავდა, სამაგიეროდ ოქროს დღეები დაუდგათ ხუცებსა და პოლიციელებს. ეს იყო ამდენი ბრძოლის შედეგი, ასე იყო არა ფრიდრიხ ბარბაროსას დროს, არამედ აზრის მეუფების ჟამს, ამ ასიოდე წლის წინ!

ცუდი დღე ელოდა მოქალაქეს, რომელსაც რაიმე გაუფრთხილებელი სიტყვისათვის, ან რომელიმე ვიგინდარა, ხეპრე და ტლანქი სასულიერო პირის მტრული განწყობილების წყალობით ბრალად დაედებოდა ლიბერალური შეხედულება. უბედურს თავს დაესხმოდა ტირანის ქეშიკთა რაზმი, შეიპყრობდნენ, მოსწყვეტდნენ ოჯახს, ჩაგდებდნენ საპყრობილეში, ყოვლად ბარბაროსულად და არაადამიანურად მოექცეოდნენ. პოლიტიკურ პატიმართა რიცხვმა პიუსის წინამორბედის დროსაც ცხრამეტი ათასს მიაღწია, ახლა კი ბედშავ დევნილთა რიცხვის დადგენა ჭირდა. ხშირად წმინდა მამის „სამართლიანობა" კიდევ უფრო ოპერატიულ ხასიათს ატარებდა: სბირები ღამეობით დაიჭერდნენ ნაჩვენებ პირებს, ხანჯლით განგმირავდნენ და ტიბრში გადაისროდნენ... მოკლედ, ეს იყო დაკანონებული ბანდიტიზმი, რომელიც სახელმწიფოსა და საქრისტიანოს სახელით ასრულებდა იმასვე, რასაც შარაგზის ავაზაკები აკეთებენ. ასეთი გახლდათ „თავაზიანი" პიუს IX. ლუი ბონაპარტეც მას ემსახურებოდა, ნაპოლეონ ბონაპარტეს ტიარაც და ტიბრიც.

პროვინციებში, რომლებიც ავსტრიის უღელქვეშ გმინავდნენ, კათოლიკური რეაქცია კიდევ უფრო კუშტად მძვინვარებდა და პიუს IX ლოცავდა მჩაგვრელთა სისხლიან ხიშტებს.

რაც შეეხება მკვლელებს, მძარცველებს, მათ მხოლოდ მამინ იჭერდნენ, როცა დანაშაულის ადგილზე ნახავდნენ. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც კი მათ საოცრად ლმობიერად ექცეოდნენ. ხოლო

დამნაშავე მღვდელი იყო, მისთვის პოლიციაში მისვლაც არ დაგჭირდებოდათ.

ბოროტი ძალაუფლება მუდამ სიმპათიურად უყურებს მკვლელებს, თავის სულიერ ნათესავებს. ყველა მოძალადე მოძალადეთა ძმა და თვისია!

მაგალითად, ერთმა ჰერცოგმა თავისი მსახური მოკლა, საკმაო რიდით არ მექცეოდაო. პაპმა მას ერთი თვით მონასტერში ყოფნა მიუსაჯა. ხოლო კაცს, რომელმაც მღვდელი მოკლა, ასო-ასო დაკეპვა გადაუწყვიტა. კარდინალმა ანტონელიმ, ამ ხორცშესხმულმა კრეტინმა, ბრძანა თავი მოეკვეთათ ბედშავი გიჟისათვის, რომელიც მას დაემუქრა... ჩანგლით! ეტყობა, ჭკუით კონკურენციისა შეეშინდა.

სიკვდილმისჯილნი ყოველდღიურად ელოდნენ განაჩენის სისრულეში მოყვანას და არავინ არ მოდიოდა. ეს გრძელდებოდა რამდენიმე წლის განმავლობაში. პოლიტიკურ პატიმრებს არაადამიანურად ტანჯავდნენ, ცემდნენ, აწამებდნენ, დასცინოდნენ. ციხის პრაქტიკაში ისევ შევიდა შუა საუკუნეების ჯალათთა ხელით წამება. პაპი აბუჩად იგდებდა კაცობრიობის ყველა მონაპოვარს, კეთილი ძალა კი არ ჩანდა, რომ ეძლია ბოროტი!

უბედურ პატიმრებს დააჩოქებდნენ დიდი ქვის წინ, რომელზედაც მკერდით აწვებოდნენ, მერე იატაკზე ჯაჭვით აბამდნენ, ერთის მხრით ხელებით, მეორე მხრით ფეხებით, და ამ მდგომარეობაში სცემდნენ ხარის ძარღვებისაგან დაწნული გრძელი შოლტით. ღმერთს ეძინა, ადამიანი სუსტი იყო...

იყენებდნენ რკინის გაზსაც, რომლითაც პირიდან ენას გამოსწვავდნენ და მოუჭერდნენ. ანთებული ენა ისე სივდებოდა, რომ დიდი ხნის განმავლობაში პირის ღრუში ვეღარ თავსდებოდა. ეს კეთდებოდა ქრისტეს სახელით!

ეს ბოროტმოქმედებანი შუა საუკუნეების შავბნელ დროს მოგვაგონებენ და გვავიწყებენ კიდეც. სინამდვილეში კი ეს ხდება XIX საუკუნეში!

იტალიელი პატრიოტები კი საარაკო ვაჟკაცობას არ თმობდნენ. მაძინიმ საზღვარგარეთ შექმნა რევოლუციური კომიტეტი და ამზადებდა აჯანყებას. რამდენიმე უშედეგო ცდამ რეპრესიები გააძლიერა. შავბნელმა ტირანებმა თავიანთ სიგიჟეში ვერასოდეს ვერ შეიგ-

ნეს, რომ რაც მეტია ძალადობა, მით უფრო მეტია სიძულვილი და აღშფოთებაც.

აი, ისევ გამოჩნდა გარიბალდი. ორივე სიცილია გაათავისუფლა და მოახდინა სახელგანთქმული მილანის ლაშქრობა, ხელთ იგდო სამეფო და სამწუხაროდ აჩუქა ისეთ კრეტინს, როგორიც იყო ვიქტორ-ემანუელი, რომელმაც ჭეშმარიტად მეფური უმადურობით უპასუხა. მაგრამ გარიბალდი ვერც ამან დააღონა. მან ანგარიში გაუსწორა ბურბონთა ტირანიას, მისმა გამარჯვებებმა შეარყიეს პაპის ტახტი. გამარჯვება ახლო იყო...

გარიბალდის გმირული ცდა, რაც თავის სახელოვან მოხალისეებთან ერთად მოაწყო 1867 წელს, წარმატებით დაგვირგვინდებოდა, რომ საქმეში ისევ ფრანგ რეაქციონერთა ხროვა არ ჩარეულიყო. კუნძულ კაპრერაზე იტალიის ფლოტის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფმა გარიბალდიმ მოატყუა გუშაგები, მეზღვაურის სამოსი ჩაიცვა, ნავსადგურში მოდარაჯე გემებს თვალსა და ხელს შუა გაეპარა და რომის მიწების საზღვარს მიაღწია, სადაც პატარ-პატარა ჯგუფებად უკვე იკრიბებოდნენ მისი რაზმელები.

ერთგული ლეგიონერების თანხლებით გარიბალდიმ მონტე-როტონდოს მიაშურა. ეს იყო ქალაქი რომის გზაზე, აქ იდგა ფრანგი დამპყრობელების ჯარი, რომელთაც პაპი თავის ხარჯზე—დამონებული ხალხის ხარჯზე ინახავდა. სასტიკი ბრძოლის შემდეგ გარიბალდიმ ფრანგთა ლეგიონი აიძულა კაპიტულაცია მოეხდინა და ტიაროსანი ობობა, რომელსაც აკი ფრანგთა დამზადებული გვირგვინი ამშვენებდა, ერთხელ კიდევ გააცოფა. ქალაქი პატრიოტებმა დაიკავეს. აქედან გარიბალდი ტივოლს გაემართა და მენტალასთან გამართულ ბრძოლაში უკვე ამარცხებდა პაპის შავ ძალებს, რომ სულთამხუთავი პიუსი ისევ ფრანგმა ჯარისკაცებმა იხსნეს.* არასოდეს ფრანგებს ისეთი დუხჭირი და სამარცხვინო როლი არ შეუსრულებიათ, როგორც გარიბალდისა და პაპის ბრძოლის წლებში შეასრულეს. სამშობლოს დამცველები საარაკო სიმამაცით იბრძოდნენ, მაგრამ ძალ-

* მენტანასთან გარიბალდი 4 600 კაცით ებრძოდა ფრანგთა და პაპის 11 000-იან არმიას. ჩრდილოეთიდან ვიქტორ-ემანუელი მოიჩქაროდა, — ვისაც გარიბალდიმ გვირგვინი დაუბრუნა —ოღონდ არა გარიბალდის დასახმარებლად, არამედ მის შესაპყრობად, რაც ამ რეგენტმა იტალიელმა ტირანმა აღასრულა კიდეც.

გარიბალდი დამარცხდა და შეიპყრეს, თუმცა ეროვნული გმირის დიდება სულაც არ იყო დამთავრებული და მას ელოდა იტალიის პარლამენტის წევრობა რომის სახელით. მისი თხუთმეტი ათასიანი ლეგიონის დამარცხებამ უტვინო პიუს IX საბოლოოდ დაამშვიდა და გაახარა. უტვინო მღვდელმთავარს ეგონა, აღარაფრის შიში არ უნდა მქონდესო. რა იცოდა, რომ სულ მალე პარიზში სასტიკი ბრძოლა გაიმართებოდა, ნაპოლეონ III თავის ბნელ საექსპედიციო კორპუსს გაიწვევდა და ამის შემდეგ მისი ძალაუფლებაც მოკლე ხანში ისე დაეცემოდა, როგორც სვეტებგამოცლილი საბძელი.

პიუს IX, ბეცი და ლაჩარი ხუცესი, ფიქრობდა, რომ თავის ძალაუფლებას განამტკიცებდა, თუ ოფიციალურად დაამტკიცებდა ორ დოგმატს: უბიწო ჩასახვისა და პაპის უცოდველობისას. ამ აბსურდულმა დოგმატებმა, რა თქმა უნდა, უარესად დასცეს პაპის ავტორიტეტი თვით გულწრფელი კათოლიკების თვალში. მისი ენციკლიკა და „სილაბუსი", ვითომ თხზულებები, ეს იყო აშკარა ომი პროგრესის ყველა დარგის, ყველა ნათელი მისწრაფების წინააღმდეგ. ბრმა და ჩლუნგი ბებერი ღორი თავის თავს თვლიდა სიბრძნის წყაროდ, მაგრამ მხოლოდ ბალღამის წყარო აღმოჩნდა და მისმა უბადრუკმა „ნაშრომებმაც" სრულიად საწინააღმდეგო შედეგი გამოიღეს: ქვეყნიერებას უჩვენეს, რა წუმპეშიც დაცემულა კათოლიკური ეკლესია.

თუმცა წმინდა მამას დამშვიდებით ეძინა, ხოლო მღვდლები კი, რომლებიც ძველებურად აყროლებდნენ მარადიულ ქალაქს, იმავე გახრწნილების წუმპეში გორაობდნენ და სულაც არ აწუხებდათ ხვალინდელი დღე. მათ რომ ოდესმე თავიანთ სტომაქსა და ქვენა გრძნობებზე მაღლა სინიდისი და რწმენა დაეყენებინათ, აქამდეც არ მივიდოდნენ.

პროსტიტუცია ყველაზე უფრო აყვავებულ ხელობად იქცა რომში. პოლიცია სიმკაცრეს მხოლოდ განსაკუთრებულ სკანდალურ შემთხვევაში იჩენდა. ხომ ვერ დაიტეხდა ცოდვას, ხომ ვერ მოაკლებდა სეამოვნებას ხეთ თუ ექვს ათას სასულიერო პირს, პაპის ოლქში ~~ოფიციალურ~~ პიტენბივით იყვნენ მოდებული!

მაგრამ ჰორიზონტი მაინც შუბლს იკრავდა. საფრანგეთის იმპე-

რატორი, ნაპოლეონის დუხჭირი კარიკატურა, გრძნობდა, რომ მისი ტახტი ირყეოდა, და პრუსიას გამოუცხადა ომი, დარწმუნებულმა, რომ ძლევამოსილი ლაშქრობა ძალაუფლებას განამტკიცებდა. სენაიდვილეში კი მოიქცა სიცხიანი სნეულივით, რომელიც თოვლში გაიარა და ეგონა, რომ სასიამოვნო სიგრილე სიკვდილისაგან იხსნიდა.*

გადამწყვეტი ბრძოლისათვის ნაპოლეონს დასჭირდა მთელი თავისი ჯარები, და რომიდან კორპუსი გაიწვია.

პრუსიელთა პირველმა გამარჯვებებმა უკვე ნათელჰყვეს, რომ ფრანგები იტალიისათვის ვეღარ მოიცლიან და პაპის ოლქის საზღვრებზე განლაგებული ვიქტორ-ემანუელის არმია რომზე დაიძრა. მაგრამ ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევდა. მართალია, პაპმა შეაჩვენა, მაგრამ მაინც მეგობრობდნენ, და საიქიო სასუფეველშიც ერთად გაემგზავრნენ 1878 წელს.

თავისი მბრძანებლობის ბოლო პიუსმა ახალი ბოროტმოქმედებით დააგვირგვინა. აშკარა იყო, შემდგომი წინააღმდეგობა სიგიჟეს ედრებოდა, ახალი დროის ძლევამოსილ ლაშქრობას ვერ გაუძლებდა და მხოლოდ ამაო სისხლისღვრას გამოიწვევდა, მაგრამ უჯათო და უტვინო პაპმა, როგორც შხამში გადახარშულმა ფანატიკოსებმა იციან, მაინც ბოლომდე ბრძოლა გადაწყვიტა.

მისი არმია ძირითადად უცხოელ დაქირავებულთაგან შედგებოდა, იტალიელები კი ძალიან ცოტა ჰყავდა (სამაგიეროდ იტალიელთა ფული ჰქონდა). ჯარში გაყვანა კი არა, ყოველ ქუჩა-კუთხეში და გზაჯვარედინზე ქვემეხები დადგა, რადგან კარგად იცოდა ხალხის განწყობილება და აჯანყების შიშით კანკალებდა.

ბრძოლა გაიმართა 1870 წლის 20 სექტემბერს. ოთხსაათიანი კანონადის შემდეგ ქალაქის ერთ-ერთ კედელში ბრეში გაჩნდა და გენერალი კადორნა თავისი დივიზიით მარადიულ ქალაქში შევიდა.

თითქმის იმავე დროს დაიკავეს ქალაქის ორი ჭიშკარი. ჩაშინ კი იკადრეს პაპისტმა ურჯუკებმა წინააღმდეგობის შეწყვეტა.

---

* ეს უაზრო ომი ნაპოლეონს კლერიკალებმა და შავმა რეაქციონერებმა ურჩიეს. მისი შედეგები სავალალო იყო. ყოველმხრივ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მარშალი ბაზენი ქ. მეცთან მთელი თავისი 173-ათასიანი არმიით ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელთა ორასიათასიან არმიას (ბაზენს სიკვდილი მიუსაჯეს, რაც 20 წლის კატორღით შეეცვალა). მერე გაიქცა. ამას მოყვა თვით ნაპოლეონ III ტყვედ ჩავარდნა სედანთან).

პაპის ჯარისკაცები იარაღს დაბლა ყრიდნენ, ქუჩებში კი ხალხი გამარჯვებულებს უძღობილდებოდა. მაცხოვარმა ზურგი აქცია თავის მოადგილეს.*

რომი მრავალჯერ აუღიათ, მაგრამ პაპის საერო ძალაუფლება მხოლოდ ამ ლაშქრობით დასრულდა. ამის შემდეგ პაპობას აღარ ჰქონდა არც ძველებური ზეგავლენა, არც ავტორიტეტი. როგორც დაღუპული გემის უკანასკნელი ნამუსრევი, მალე ის სულაც ჩაიძირება, და მაშინ კაცობრიობა საბოლოოდ სანაგვე ყუთში გადაყრის პაპის დესპოტიზმის საუკუნო ბორკილებს.

* 1871 წლის 26 იანვარს იტალიის პარლამენტმა საბოლოოდ ჩამოართვა პაპს საერო ძალაუფლება. რომი იტალიის დედაქალაქად გამოცხადდა.

ლეო ტაქსილი და მისი პამფლეტი პაპებზე

აბ, დავხურეთ „პაპების წიგნი“.

უკან დარჩა ჯოჯოხეთის წყვდიადის ის სისხლიანი სფერო, რომელსაც მოწინავე კაცობრიობა ძრწოლით უწოდებს პაპობას, ინკვიზიციას,— საქრისტიანოს სახელით ცნობილი სარწმუნოების სამეფო, რომლის ტახტზეც სატანა ზის. ტაქსილის შრომას შეიძლება ეწოდოს ღვთაებრივი კომედია პროზად.

ახლა საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს გავაცნოთ ამ დიდი მხატვრული პამფლეტის ავტორი და კვალიფიკაცია მივცეთ იმ საშინელ სინამდვილეს, რაც ამბოხებულმა კარდინალმა თავის წიგნში ასახა.

შავანაფორიანი შხამიანი ღამურები დაფართხალებდნენ მთელს ევროპაში, ვერაგნი და დაუნდობელნი, ხარკსა კრეფდნენ და ხალხებს აწამებდნენ საუკუნიდან საუკუნემდე. გლეხსა და ხელოსანს კი არა, ჰერცოგებსა და მეფეებსაც არ ერიდებოდნენ. ბნელეთის შვილებს ქვეყნიერება თავისთვის უნდოდათ. ეს იყო პაპის ლაშქარი. ვერავინ დაუდგებოდა წინ ქრისტეს მეომრებს, რადგან თვით წყვდიადი იყო მათი აბჯარი. „აწამეთ! დაწვით! გაჟლიტეთ! — გაჰკიოდნენ ხმის ჩახლეჩამდე. — ტახტი და საკურთხეველი ერთ მიზანს ისახავენ. ვინც ქრისტეს საკურთხეველს დაამხობს, ხვალ ტახტს დალეწავს. ამიტომ აღკვეთეთ ერესი! დაწვით! აწამეთ! გაწყვიტეთ ბრალიანი და უბრალო, ღმერთი გაარჩევს თავისიანებს!“

ეს იყო ბერთა და მღვდელთა, იეზუიტთა და დომინიკანელთა უთვალავი ურდო. ბოროტების სათავე იყო წმინდა ტახტი, რომელზედაც იჯდა შხამიანი ობობა — რომის პაპი, ღვარძლიანი ბერიკაცი, რომელიც სიკვდილამდე ლამობდა მოვსწრო კაცობრიობის ჯვარცმა, დაჩოქება, მტვერში დაცემა. ისევე, როგორც წმინდა პეტრე ლუკმა-პურს თევზის ჭერით შოულობდა, მისი მოადგილეები ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან თითქოს

ბადით ბოჭავდნენ ხალხთა საუნჯეს. მოდიოდა ოქროს ნიაღვარი და ივსებოდა მღვდელმთავრის სტომაქი. იცლებოდა სალარო და იშლებოდა ახალი ბადე. შიმშილობდა ევროპა, ღრეობდა პაპი. მერე ის კვდებოდა, ტახტზე სხვა ჯდებოდა, ვეღარავინ გადააყენებდა. პაპები მიდიოდნენ, პაპობა რჩებოდა.

პაპობა მსოფლიო ისტორიაში განუმეორებელი, საოცარი და თავისებური მოვლენაა.

„ერგო სუმ პაპა!" — მე ვარ პაპი! — ამაყად გაიძახოდა საუკუნეების განმავლობაში უცვლელი მღვდელმთავარი. დია, შენ ხარ პაპი, საქრისტიანოს მამა, და ეს არის ბოროტება! კაცობრიობის უძველეს და უძნელეს სნეულებათა შორის აღიარებულია პროსტიტუცია. კეთრი, ომი და პაპობა. შენ ხარ სარწმუნოების ხე და შენი განშტოებებია ინკვიზიცია, იეზუიტობა, წმინდა კონგრეგაციის ყველა ვერაგობა. ყველაფერს შენ განაგებ —შენ ხარ პაპი!

გინახავთ მარტინ შონჰაუერის „დიდი ჯვრის ზიდვა"? მთელი საქრისტიანოს ტანჯვაა ჩაქსოვილი ამ კლასიკურ ტილოში, რაც სიქსტ IV და ალექსანდრე VI დროს ასახავს. საუკუნეები გავიდა. ჩაგვრის სამყაროში ძველი ელეგია გრძელდება: ჯვარს ეზიდება კაცობრიობა გოლგოთის გზაზე გოდებით ჯერაც.. მორწმუნეს ცრემლი ჩამოსდიოდა, და უნისლავდნენ პაპები მზერას.

ეროტიკის მოყვარულ მკითხველთა მოხიბლვისა და შექცევის მიზნით არ შეგვირჩევია მღვდელმთავართა ძალადობისა და უზნეობის ეს საშინელი მატიანე. პაპობა — ძალმომრეობის, თვითნებობის, აღვირახსნილი გახრწნილებისა და ტირანიის ისეთი კლასიკური მაგალითია, რასაც ნიმუშს ვერავინ უპოვნის ~~ვერც~~ აღმოსავლეთში, ვერც დასავლეთში, ვერც მითოლოგიაში და ვერც რეალურ ცხოვრებაში. წიგნი, რომელიც მკითხველს ტირანთა სიძულვილს ასწავლის, თავისთავად წმენდს ზნეობას და ამზადებს ადამიანებს ადამიანური ცხოვრებისათვის მებრძოლებად.

პაპიზმის ისტორია გადახლართულია კაცობრიობის მთელს ისტორიასთან, პირველი საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, გადახლართულია, როგორც სარეველა, როგორც პარაზიტი მცენარე, როგორც კეთრის ბაცილა, გადახლართულია, როგორც გველეშაპი ცხოვრების ხეზე, და სადაც პაპია, იქ არის ხრწნა.

ეს იყო უსასრულო უბედურება. ამ ორიათასწლოვანი უბედურების ისტორიაა გადმოცემული გამოჩენილი ფრანგი მწერლის, ჟურნალისტისა

და სწავლულის ლეო ტაქსილის წიგნში „წმინდა ბუნაგი“: უფრო კულისების ისტორია!

ტაქსილი კარდინალი იყო. ერთი შეხედვით დაუჯერებელია, რომ კარდინალმა გააშიშვლა კარდინალთა და პაპთა საზარელი წუმპე. მაგრამ ტაქსილი სხვანაირი კარდინალი გახლდათ. ის ჯოჯოხეთში შევიდა იმისათვის, რომ ხალხისათვის უკეთ აეწერა, რა არის ჯოჯოხეთი. პაპთა მრისხანე მსაჯული წყნარად მუშაობდა ვატიკანის არქივებში. რა იცოდა წმინდა კოლეგიამ, რომ გავიდოდა ხანი და ეს მონანიებული კარდინალი პონტინის ჭაობებზე უფრო აშმორებულ წმინდა წუმპეს პორფირის საფარველს გადახდიდა, შიგ დაბუდებულ სპრუტს თამამად ჩაავლებდა ხელს, ამოსწევდა და მთელს მსოფლიოს აჩვენებდა მის სისხლიან, შხამიან საცეცებს, რომელთა შემწეობითაც ეს ტიაროსანი მსეცი ხალხთა მოგუდვას ლამობდა!

ეს ასე მოხდა. ხალხთა ენებზე გამოვიდა წიგნი და ეწოდა „წმინდა ბუნაგი“.

ტაქსილს მისი უთვალავი კოლეგებივით ნაყიდი ან ბიძაშვილობით ნაბოძები როდი ჰქონდა კარდინალის ქუდი, თავისი ნიჭით მიაღწია მაღალ იერარქიულ პატივს. მის უარყოფას ამით მეტი ფასი ეძლევა.

ტაქსილმა პაპები მათივე ნაცადი იარაღით — ეშმაკობით მოატყუა.

მარსელელი ლეო ტაქსილი, რომლის ნამდვილი სახელია გაბრიელ ჟოგან-პაჟესი, 1854 წელს დაიბადა და 1907 წელს გარდაიცვალა. ჯერ იეზუიტურ სკოლაში სწავლობდა, მერე მიზნად დაისახა რელიგიური სიცრუის მხილება და ამით გაითქვა სახელი. მის რომანებსა და პამფლეტებს ხალხი იტაცებდა. მალე გამოჩნდა გრუბერის გერმანული თარგმანი, დაიბეჭდა რუსულად და სხვ.

1879 წლიდან დაწყებული ტაქსილმა ოცამდე რომანი და პამფლეტი გამოაქვეყნა: „პაპის პიუს IX სასიყვარულო თავგადასავალი“, „ბორჯიების ოჯახი“, „იეზუიტის შვილი“, „მომწამვლელი ლევ XIII“, „გასართობი ბიბლია“, „გასართობი სახარება“...

1884 წელს ლევ XIII აქვეყნებს ენციკლიკას „ადამიანთა მოდგმა“, რომელშიაც პაპი თავისუფალ აზრს ეშმაკის საქმედ აცხადებდა. ტაქსილიც ასეთ საბაბს ეძებდა. ვითომ მოხიბლა პაპის ენციკლიკამ, მოინანია თავისი განდგომა, პაპს ეახლა, დაუჩოქა, პატიება სთხოვა...

ადრინდელი ლევები რომ ყოფილიყვნენ, ისე დაგლეჯდნენ, როგორც ჯეირანს, მაგრამ განათლებულმა პაპმა დიპლომატიური ტაქტი გამოავ-

ლინა, შეივრდომა, კათოლიკური ეკლესიის წიაღში დააბრუნა „ცხვარი, რომელიც ფარას ჩამოშორდა", მოეფერა კიდეც.

ტაქსილის განცხადებამ ეკლესიის მამების ნამდვილი ზეიმი გამოიწვია. ჯერ კიდევ აუდენციამდე პაპის ნუნციუსი მას პარიზში შეხვდა და ურჩია: ამიერიდან პაპს ემსახურე კალმით, რითაც აქამდე მტერს ემსახურებოდიო.

ტაქსილმა იცოდა, რომ ლევ XIII მასონთა შიშით ცახცახებდა, ყველგან მათი საიდუმლო წრეები ელანდებოდა, ამიტომ თვითონაც მასონებს შეუტია. ეს ძლიერი რელიგიური მიმდინარეობა პირველ ხანებში სულ ძმობა-ერთობას ქადაგებდა. მაგრამ რამდენად დასაჯერებელიც იყო ამ არისტოკრატიული „თავისუფალი საზოგადოების" ძმობა-ერთობა, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ პავლე I და ფრიდრიხ I მასონები იყვნენ. ნიჰიერმა კარდინალმა მათი მისტიკური მოძღვრებით ისარგებლა და თავისებურად შეება: სერიოზულად ამტკიცებდა, მასონთა კრებებს ჯადოქრები ესწრებიან, კუდიანები კამარას კრავენო. ქაჯებთან აქვთო კავშირი, სატანას ეფიცებიანო ერთგულებას, „უწმინდური ძალის" შემწეობით ემზადებიან მარსზე გასაფრენადო. თორმეტი წელი წერდა ტაქსილი ასეთი სულისკვეთების სტატიებს.

მსგავსი აბდაუბდა რომში მიმლოცველთა ოქროსავით გადიოდა. კარდინალები აღტაცების წერილებს წერდნენ, ატყობინებდნენ, შენს სტატიებს პაპი „უდიდესი სიამოვნებით კითხულობსო", საეკლესიო იერარქებს ეჭვი არ ეპარებოდათ არც ტაქსილის გულწრფელობაში, არც მისი მოთხრობების სიმართლეში.

მაგრამ შუა წარმოდგენაზე ანაზდად ნაღმი აფეთქდა: 1897 წლის აპრილში პარიზის მორწმუნეთა დიდ საკრებულოზე ტაქსილმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ ეს იყო მისტიფიკაცია: თორმეტი წელი განზრახ ვეწეოდი ამ კომიკურ-თამაშს, რათა ქვეყნიერებისათვის მეჩვენებინა ეკლესიის მესვეურთა სიცრუე, მუხანათობა, სიბნელე და სიდუხჭირეო!

ამ დღიდან ისევ განაგრძო აშკარა ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ

შეიძლება მის წიგნში ზოგი დეტალი სადავო იყოს, ზოგჯერ ფანტასტიკის სამეფოშიც გადადიოდეს იმ არქივიდან, სადაც ხელი მიუწვდება. აქვს ზოგიერთი ფაქტიური დაუდევრობაც, მაგრამ ძირითადად-ესაა თავისუფალი, რეალისტური მოთხრობა საშინელ სინამდვილეზე. მისი კითხვაც კი გვიმძიმს.

მსუბუქი კითხვის მოყვარულს შეიძლება ცოტა მოსაწყენად ეჩვენოს

მხოლოდ ის ადგილები, სადაც ცნობილ ისტორიულ მოვლენებს გადმოგვცემს, მაგრამ მთელი წიგნი ერთ დიდ ისტორიულ მაგისტრალს მისდევს და ყოველი სერიოზული მკითხველი მას ინტერესით გაჰყვება ბოლომდე.

ტაქსილის წიგნი პიუს IX პონტიფიკატით თავდება (1878)*. ეს იყო XIX საუკუნის ყველაზე უფრო დამახასიათებელი, ვერაგი, შეურიგებელი შტერი ყოველივე პროგრესულისა და ადამიანურისა, ყველაზე უფრო ენერგიული მებრძოლი პაპის საერო ძალაუფლებისათვის, რაც სწორედ მან დაკარგა ასე უიმედოდ. მის სახელთანაა დაკავშირებული ახალი დროის კათოლიკური ეკლესიის ყველაზე უფრო მუხანათური ღონისძიებები. იმავე დროს პიუს IX იყო ნამდვილი ყასაბი, რომლის სინდისს ათასობით ადამიანის სისხლი ამძიმებს. მაგრამ რანი იყვნენ სხვანი? თავიდანვე რომ პიუსით დაეწყოთ და ორიოდე გამონაკლისის გათვალისწინებით ახლანდელი პაპისათვის პიუს მესამასე ეწოდებინათ, განა ამით ჭეშმარიტებას ეღალატებოდა?

ზოგადად გადავავლოთ თვალი იმ ჯოჯოხეთურ ინსტიტუტს, რომელიც წინამდებარე წიგნში ნაწილ-ნაწილ, ფურცელ-ფურცელ არის ნაჩვენები.

* * *

კაცობრიობას გუშინდელ დღესავით ახსოვს ის დრო, როცა ქვეყნად არ იყო უზენაესის ნებით კურთხეული პაპი, იყვნენ მხოლოდ მორწმუნეები, პრესვიტერები, მქადაგებლები, „მოციქულნი", „წინასწარმეტყველნი", ეპისკოპოსები ანუ „ზედამხედველნი". რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს პაპი, „მამა" პირველად ეწოდა მესამე საუკუნის ბოლოს, მარცელიუსის დროს. ეწოდა ადამიანთა და არა ღმერთის ნებით. მერე პაპებს ძალაუფლება დაუტკბათ, — მადა ჭამაში მოვიდა — და მთელს ქვეყნიერებაზე განაცხადეს პრეტენზია. როგორც ჩანს, პაპიზმი ტირანიის ფრიად მიწიერი ნაირსახეობაა და არა უზენაესის ქმნილება. ასევე ბოლად იხსნება თვით რელიგიის არსი. ადამიანს არ შეეძლო აეხსნა ჭექა-ქუხილი, მეხი, მიწისძვრა, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოება, და ეს მოვლენები მიაწერა უჩინარ ძალას — ღმერთს. მერე საჭირო გახდა ღმერთის მომადლიერება და გაჩნდა მსხვერპლი, საკურთხეველზე საჩუქრების მიტანა. ახლა საჩუქრებს ღია ცის ქვეშ ხომ ვერ შეინახავდნენ,

* მომდევნო შვიდი პაპის ამბავს მკითხველი ნახავს მთარგმნელის შრომაში „ვატიკანის უკანასკნელი 100 წელი", რაც „წმინდა ბუნაგის" ერთგვარი გაგრძელებაა.

წვიმაში ხომ ვერ ილოცებდნენ! ასე აშენდა პირველი მარტივი სამსხვერპლო, ეკლესია, სამლოცველო, უფლის სახლი. ყოველ სახლს პატრონი უნდა, რომელმაც უკეთ იცის მისი ასავალ-დასავალი. ღვთისმსახურების გასაძღოლად გამოეყო ქურუმი, მღვდელი, დიაკონი... მთელს ამ „ღვთაებრივ პერსონალს“ ხომ უფროსი უნდა! ხალხმა აირჩია ქურუმთქურუმი, ეპისკოპოსი, კარდინალი, პაპი...

ჩვენ ისევ პაპთან მოვხვდით. როგორც აქ გადმოცემული ცნობილი მარტივი მოთხრობიდან ჩანს, რელიგიაც ერთი ჩვეულებრივი ზღაპარია, და სხვადასხვა რელიგიები — მისი ვარიანტებია.

მაგრამ კათოლიკურმა რელიგიამ როგორღაც, დროისა და ადგილის წყალობით, თავიდანვე პირველობის პრეტენზია განაცხადა, როგორც ერთადერთმა ჭეშმარიტმა სარწმუნოებამ, და კრონოსივით დაიწყო შვილების შთანთქმა.

ურჩ ხალხთა, ერეტიკოსთა, განდგომილთა, მწვალებელთა, მწერალთა, მეცნიერეთა დასათრგუნავად პაპობამ გამოიგონა საშინელი მანქანა— ინკვიზიცია, წმინდა სამსჯავრო, რამაც დედამიწა ჯოჯოხეთად აქცია.

აი, ამ ჯოჯოხეთზე დაიწერა ეს წიგნიც, არა მარტო პაპებზე.

* * *

1848 წლის 9 თებერვალს რომში გამოიცა დეკრეტი, რითაც წმინდა ბუნაგიდან გაქცეულ პაპს ჩამოერთვა საერო ძალაუფლება. მაგრამ რომის ახალგაზრდა რესპუბლიკა ფრანგთა ხიშტებზე ააგეს, პიუს IX ტახტზე დაბრუნდა და წყევლა-კრულვის ცოფი დაანთხია ლამის მთელს კაცობრიობას, მის მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, განსაკუთრებით კომუნისტებს. ნაპოლეონ III ბნელი ძალების დახმარებით ისევ დაამარცხა გარიბალდი და იტალიაში უსასტიკესი ტერორის რეჟიმი დაამყარა.

მართალია, მძვინვარე ჯალათის უხერხემლო პროტესტმა პაპობის დამხობას ვერაფერი უშველა, მაგრამ პაპის უცოდველობის დოგმის დამტკიცება მაინც მის ძლიერებაზე მეტყველებდა. ამის შემდეგაც კი — დამხობის შემდეგ — მთელი 30 წელი იბატონა ტიაროსანმა ურჯუკმა, რომელსაც თავის მხრივ კარნახობდა მისებრ კუშტი და ამპარტავანი, ცივი და სასტიკი კარდინალი ანტონელი.

პიუს IX თავის „სილაბუსში“ ანათემას უცხადებდა ყველას, ვინც პაპს პროგრესთან შეთანხმებას ურჩევდა. ეს იყო კუშტი და უხეში, უმადური და უკაცური ხეპრე, ხუცესის სუტანაში გამოხვეული ხორცის მთა,

თავისი ხალხის ჯალათი, რომელიც საახალწლო ზეიმზე კოკისპირულ წვიმაში მასთან მისასალმებლად მისულ სალხთან აივანზე არ გამობრძანდა, გაბრაზებულმა გუბერნატორის-პირით შეუთვალა: დაიშალონ, თორემ ტყვიით გავაბრუნებო! (ამას მოგვითხრობს იმ დროს რომში მყოფი გერცენი).

პიუსის „სილაბუსი" შეიცავდა 80 „დაბნეულობას", რომელთაც ეკლესია უნდა ებრძოდეს, მათ შორისაა პანთეიზმი, ნატურალიზმი, რაციონალიზმი, ლიბერალიზმი, პროტესტანტიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი... ისტორიამ ცხადჰყო, რომ დაბნეული იყო თვითონ რომის პაპი.

პიუს IX დროს გამოვიდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", რომელშიაც მარქსი და ენგელსი აცხადებდნენ, რომ პაპი შეუკავშირდა რეაქციის ყველაზე უფრო ბნელ ძალებს, მეფეს, მეტერნიხს, გიზოს, და გააფთრებით ებრძოდა სოციალიზმს.

არავინ არ იდგა ისე შორს ხალხისაგან, როგორც „ხალხის მამა" პიუს IX.

1870 წელს მან გამოსცა პაპის უცოდველობის ხსენებული დოგმატი, რაც უცოდველად აცხადებდა თვით ბორჯიას, სიქსტ IV, პაპებს, რომლებიც საკუთარ ასულებთან ცხოვრობდნენ და საკუთარ ვაჟებთან აქორწინებდნენ იმავე ზნედაცემულ დედაკაცებს... მაგრამ ისტორია ხშირად სამართლიანია, ამბოხებულმა ხალხმა იმავე წელს დაამხო პიუსი, რომი იტალიას შეუერთდა. პაპმა საბოლოოდ დაკარგა. საერო ძალაუფლება. მართალია, 60 წლის შემდეგ, 1929 წელს იტალიის ფაშისტებმა შექმნეს ვატიკანის მარიონეტული მთავრობა, მაგრამ ეს იყო და არის მხოლოდ კარიკატურა პაპთა ოდინდელ დიდებასთან შედარებით. ესაა ათას ერთი ღამის ბოროტი ჯინი, მინის ბოთლში ჩაკეტილი-ნისლი.

იესოს არ უთხოვია არაფერი პეტრე მოციქულისთვის, გასაღები რომ ჩააბარა, მხოლოდ ეს უთხრა: ჩემი გზით იარეო. მისი მოადგილეები კი განუზომელ ოქროს ითხოვდნენ ყოველი კვერთხისათვის, ყველა თანამდებობისათვის.

მითიურ იესო ქრისტეს არასოდეს არ დაუჩემებია საერო ძალაუფლება, მისი მიწიერი მოადგილეები კი მეფეებს თავიანთ ყმებად აცხადებდნენ. არ ჰყოფნიდათ საჯიჯგნად რომი, შორს იწვდიდნენ ხელებს. ბიზანტიასა და ბალკანეთზე რომ არაფერი ვთქვათ, შორეულ მართლმადიდებელ რუსეთშიც ხშირად სინჯავდნენ ნიადაგს, თუმცა სწორედ ეს იყო ალბათ ერთადერთი ქვეყანა, სადაც პაპი და მისი ლეგატები პირში ჩალაგამოვლე-

ბული რჩებოდნენ. სწორედ ბედნიერად უნდა ვთვლიდეთ თავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხს არ განუცდია ის ძრწოლა, რასაც იწვევენ კაციჭამია მხეცები, მახრჩობელები, პაპები და ინკვიზიტორები. რა გზით არ უცდიათ შემოჭრა!

ინოკენტი მეოთხემ ლეგატები გაუგზავნა ალექსანდრე ნეველს და შეუთვალა: „გაგვიგონია, დიდებული და სახელოვანი მთავარიაო, თორმეტი კაცი გამოგვაგზავნა, რათა ისმინოთ მისი მოძღვრება". დიდმა მთავარმა თავის ბრძენთ ჰკითხა და უპასუხა: „თქვენს მოძღვრებას არ ვიღებთ!" ნუნციუსი და მისი ამალა კუდამოძუებულნი გაბრუნდნენ.

1581 წელს გრიგოლ XIII იეზუიტი ანტონიუს პოსევინი გამოუგზავნა ივანე მრისხანეს და გადაბირება მოუნდომა. ივანემ დიდი ცოდნა და მეფური პირდაპირობა გამოავლინა, ცბიერი იეზუიტი ამ სიტყვებით გაისტუმრა: „თქვენი პაპი მგელია და არა მწყემსი!" ცხადია, იოანე IV არ იყო ჰენრიხ IV. ყველა რომ ასე წასულიყო, წმინდა პეტრეს ტაძარი ვერ იქცეოდა მსოფლიოში ყველაზე უფრო აღვირახსნილი, თავნება და თავხედი ბანდიტების სათარეშო ასპარეზად.

ვოლტერმა დრამა უძღვნა ალექსანდრე VI ასულსა და საყვარელს ლუკრეციას. ფერარის ჰერცოგის მეუღლეს, აწ უკვე „კალაპოტში ჩამდგარ" დონა ლუკრეციას ვენეციაში ბალს უმართავენ. ნიღბოსანი შკვლელი ისევ შეყვარებულია. ამჯერად მას უყვარს მშვენიერი ჭაბუკი ჯენარო. მათს გულითად საუბარს წყვეტს ხუთი ვენეციელი დიდებული. სათითაოდ ეუბნებიან თავიანთ ვინაობას: იმ ადამიანთა უახლოესი ნათესავები არიან, რომელნიც ლუკრეციამ მოწამლა ან მახვილით მოაკვლევინა, მათ შორისაა მისი ქმრის, დონ ალფონსო არაგონიელის ნათესავიც. ჯენარო შეძრწუნებულია, და ნიღაბახდილი მეძავი ჯენაროს ფერხთით ეცემა გულწასული. გადის ხანი. ლუკრეცია ფერარაში მართავს ვახშამს, წამლავს იმ ხუთსავე ჭაბუკს და კუბოებს უჩვენებს, გამზადებულს: „ინებეთ! ვენეციაში ბალი გამიმართეთ, ფერარაში ვახშმით გიმასპინძლდებით. აი, თქვენთვის ხუთი კუბო". „მეექვსეც დაგჭირდება, სენიორა!" — ესმის ჯენაროს ხმა. ასე იყო მუდამ. სადაც პაპი და მისი მახლობლები იყვნენ, ყველგან სიკვდილი როკავდა.

იგივე ვოლტერი თავის შრომაში „ცდა ზნეობაზე" წერდა: „ეს მიწიერი ღმერთები ან თვითონ წამლავდნენ და კლავდნენ სხვას ან სხვა წამლავდა და კლავდა მათ; წყევლიდნენ ომის ამტეხთ და თვითონ ტეხდნენ ომს. პაპები ერთდროულად იყვნენ მთელი კათოლიკური ევროპის სირცხვილი,

საზარლობა და ღვთაება". შეიძლება დავუმატოთ, რომ პაპი სხვას უკრძალავდა გარყვნილებას, თვითონ კი გახრწნილი იყო. ყველა ლამაზი თავისთვის უნდოდა, მღვდელს კი ქორწინებას უკრძალავდა, ან რად უნდოდა მღვდელს ცოლი, ვიდრე გლეხებს ცოლები ჰყავდათ?

პაპი — ეს იყო სრულიად საპირისპირო რამ იმისა, რასაც ადამიანურს ვეძახით.

პაპის რომი... ეს დიდებული, შეუდარებელი ძეგლი ადამიანის გენიისა, და იმავე გენიის გლოვის ველი! ცათა სწორი ტაძარი და ჯოჯოხეთის წიაღი! ჩვენს შორის დრო და სივრცეა, ვინ რას დაგვიჯერებს! უმჯობესია დავიმოწმოთ ერთი ეპიგრამა, თვით ტანჯულ რომაელთა შეთხზული:

მრუშნო, ჯაშუშნო, თუ გაგიწყდეთ იმედის ძაფი,
რომს მიაშურეთ, გაგამდიდრებთ მოწყალე პაპი!

ქურდთა, მკვლელთა და მრუშთა მფარველ პაპს ზოგჯერ თვითონვე ავიწყდებოდა თავისი წინამორბედების უცოდველობა, მათს დანაშაულებრივ გადაწყვეტილებას ცვლიდა და ამით საკუთარ დოგმატს თვითონვე უარყოფდა. ასე, ურბან VIII აშკარად უარყოფდა წინამორბედთა კანონებს. ამავე დებულების კლასიკური მაგალითია ჟანა დ, არკის დაწვა და კანონიზაცია, რაც ეკლესიის გადაწყვეტილებითვე მოხდა. ახლა გალილეის პროცესიც უნდა გადასინჯონ: პაპის უცოდველობისა და იესოს უბიწოდ ჩასახვის დოგმები ერთიმეორეზე უფრო უაზრო ზღაპრებია, მაგრამ პირველი მაინც უფრო ძნელი დასაჯერებელია, ვიდრე მეორე...

პაპიზმის ისტორიას რომ ვეცნობით, პაპების ლმობიერება გვიკვირს.

პაპი — ესაა ცარიელი ადგილი კაცობრიობის გულში. ესაა სისხლის გათეთრება, გაჭიანურებული ჭირი, უჰაერო სივრცე, სადაც ყოველი სულიერი წონას კარგავს და იღუპება. მაგრამ, სამწუხაროდ, პაპი — ფაქტია. ის განაგებს ვატიკანს და ჰყავს კარდინალთა კურია. 1961 წელს კი კარდინალთა რიცხვი 87 იყო, აქედან 31 — იტალიელია. წმინდა კურია ისევ ირჩევს პაპს. პაპი ისევ ითხოვს ყველაფერს და არაფერს არ იძლევა. პაპმა ქალსაც და კაცსაც გამოსტაცა ყველაფერი, რისი მიცემაც შეეძლოთ, და ვის რა მისცა?

უმეცარნი იტყვიან: პაპი იმისათვის არის, ცოდვა გვაშოროსო, ხალხი იმისათვის, სული აცხონოსო. მცოდნენი სხვანაირად ფიქრობენ: პაპი იმისათვის არის, ფუფუნებით იცხოვროს, ხალხი იმისათვის — ჯალათი ფუფუნებით აცხოვროსო.

ხალხს არ სურს ქვეწარმავლის ხსენება და „უხსენებელს" ეძახის.

ცრუმორწმუნე ადამიანს ეშინოდა სახადის, ყვავილის, მწვავე ინფექციურ სნეულებათა, და მათ „ბატონებს“ ეძახდა. ტახტზე ასული მღვდელმთავრებიც სათნო სახელებს ირჩევდნენ: ურბანი (ზრდილობიანი), ბონიფაციუსი (სიკეთე), კლიმენტი (წყალობა), ინოკენტი (უმწიკვლო, უდანაშაულო), პიუსი (სათნო, კეთილი)... რა ჯალათები, რა სატანები — ნამდვილი სათნოების გალერეა გახლავთ! თვით სახელი შეიცავს ტრაგიკომიკურ შინაარსს.

ქრისტეს მოადგილე მხოლოდ ღმერთს ემორჩილება, ღმერთი კი არ არსებობს, ეს პაპებმაც იციან, ამიტომ არავის ემორჩილებიან.

პაპი მხოლოდ სასუფევლის დაპირებას იძლევა, სხვა ყველაფერი თავისთვის უნდა. განა სატანა სასუფეველს იძლევა?

როცა პაპს სატანას ვადარებთ, ამით შეურაცხყოფას ვაყენებთ... სატანას. მართლაც, რა დააშავა ამ ბოროტმა სულმა, რა დააშავა იმის ფასი, რომ შევადაროთ ხალხთა ჯალათს, ვინც საიქიოს აღთქმით სააქაო წაართვა ადამიანს, ჯოხი შეახვედრა წინსვლის ბორბალს, უფსკრულში გადაჩეხა, ჯვარს აცვა თავისუფლების ანგელოზი?

მაგრამ ადამიანთა ლექსიკონი ღარიბია, რომ სათანადოდ შეამკოს ისეთი ბოროტება, როგორიცაა პაპობა. ამიტომ მოვლენის მკრთალი ასახვით ვკმაყოფილდებით და პაპს ვადარებთ უბრალო სატანას, წყვდიადის ხელს, რომელიც არ არსებობს და არავის ერჩის.

ცხადია, რეალური პაპი ბევრ რამეში ჰგავს ფანტასტიკურ ეშმაკს: ბასავით ცბიერია, ყველაზე აღწევს, კრიჭაში უდგას სამართალს. მისი ქაჯები ძოსდებიან ქვეყნიერებას იეზუიტების, მისიონერების, ჯვაროსნების, ნუნციუსების, ლეგატების, ბერთა, მღვდელთა და ეპისკოპოსთა სახით.

როცა შავი რეაქცია ფრთებსა შლის, ინთება კოცონები და იწყება ძვლების ჭახჭახი, იკრძალება საღი აზრი და იფერფლება უკვდავი წიგნები, — ინკვიზიცია ამას ეძახის ეკლესიის ზეიმს, იდეოლოგიურ ბრძოლას, დ ხავსმოდებული კოლეგიები გონების ნაცოდვილარად აცხადებენ ბეგოქმედთა ნათელ ნააზრევს, გმობენ მწერლებს: ვურჩიეთ და არ დაგვეწორჩილაო! „ო, ძალადობის წყეულო ურჩხულო! —იძახიან წამებული რაინდები. — როდის დასრულდება შენი საშინელი მეუფება? რად გვინდა ასეთი ღმერთი, თუ ის ადამიანებს შეჭამს?“ იეზუიტი შემპარავი ღიმილით ეკითხება: „როცა მოედანზე კოცონი გაჩაღდება, რას იტყვი?“ „ძირს პაპიზმი! — აი, რას ვიტყვი“. „შვილო, შენ მალე მოგიწევს ამის თქმა“.

ასე ხდებოდა. დღეს მოსმენაც გვიჭირს იმისა რაც მაშინ კეთდებოდა.

* * *

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ საჯაროდ დაწვა პაპი. კონკრეტად გამოაწყვეს პიუს VI, საზეიმო ვითარებაში ასწიეს და ცეცხლს მისცეს... სამწუხაროდ, ეს იყო მხოლოდ პაპის ფიტული. განრისხებულმა პიუსმა, რატომ თვითონ მე არ დამწვითო, ღვარძლი და ბალღამი დაანთხია საფრანგეთს. 1791 წლის 30 ივნისს, როცა შეთქმული მეფე, სახელმწიფო მოღალატე ლუი XVI დააპატიმრეს, პიუსმა მრისხანე ანათემა გაუგზავნა საფრანგეთს: „თქვენ, ფრანგებო, ტახტის მტრებო, ტირანებო, რომლებიც მთელს დედამიწას სძულხართ—ძრწოდეთ! ჩვენი ძალები ერთიანდებიან თქვენს დასათრგუნავად. უნდა იცოდეთ, რომ კიდევ ბრიან შურისმგებელნი ჩვენთა წინაპართა რელიგიისათვის.... თუ თქვენს გამოხდომებს არ შეწყვეტთ თქვენი ხელმწიფის წინააღმდეგ, მისი მეკობრები მიეშველებიან, უცხო სახელმწიფოთა ყველა მახვილი თქვენსაა აღმართული. თქვენი კერა საფრთხეშია. ძრწოდეთ!“ მუქარას მთელი ბლოკის შეკვრა. მოკყვა. მაგრამ ისტორია წინ მიდიოდა. ხალხმა ლუდოვიკოს თავი წაცალა, პიუსი კი ტყვექმნა და საფრანგეთში ჩააბრძანა, სადაც მღვდელმთავარმა სული დალია. ერთხელ მაინც იზეიმა ხალხმა ბნელ ტირანებზე გამარჯვება.

მაგრამ პაპობა გრძელდებოდა. ძლეული წმინდა მამები არ ემორჩილებოდნენ არავის, არც თვით ნაპოლეონს. ყველაფერი ჩანდა, რომ პაპის გულში ერთი ნათელი სხივიც არ ჩამდგარა. მორიელივით უცვლელი რჩებოდა მისი სახე, ზნე და ბუნება. ყველა მიდიოდა, პაპები რჩებოდნენ.

პაპს არ დაუთმია საერო ძალაუფლება, ძალით წაართვეს. პიუსის სილაბუსს მთელი ცივილიზებული კაცობრიობა დაუპირისპირდა. ევროპის რეაქციის სული და გული, უნდო ტირანი, რომელიც იმაზე ოცნებობდა, თავის ქსელში დედამიწის სფერო გაეხვია, ვატიკანის ვიწრო კედლებით შემოფარგლეს, და ის ვეღარასოდეს მისწვდებოდა ცეცხლის ენებით შორეულ ქვეყნებს. ძვირად დაუჯდა კაცობრიობას ეს გამარჯვება. მაგრამ რა კურიოზული ანაქრონიზმიც არ უნდა იყოს, ეს ბრძოლა არ დამთავრებულა, პაპობა კიდევ არსებობს, მას ისევ უწევენ ანგარიშს კონტინენტები, და მის ძალაუფლებას ისევ იცავენ იეზუიტები, რომელთა სიხიზლარი სექტის წევრთა რიცხვი დღესაც კი ორმოცი ათასს უახლოვდება (აქედან 8000 შეერთებულ შტატებშია).

* * *

– დევნილი, თითქმის პყრობილი პიუს IX იღრინებოდა, დრტვინავდა,

წუხდა: „ყველაფერი გათავებულია! იმ კარებში, სადაც ჩემი წინამორბედნი დიდებამოსილნი გამოდიოდნენ, შეჩვეული ვიქტორ-ენანუელის ჯარისკაცები დგანან! ქრისტეზე ღარიბი გავხდი, პეტრეზე ღატაკი!“ ანტონელი ანუგეშებდა: „შენ ღმერთზე ძლიერი ხარ, გრიგოლ მეშვიდეზე ძლიერი, რადგან უცოდველი ხარ!“ რა დამთხვეულობაა! უცოდველობის ზეპირი დოგმაც კი ნუგეშად მიაჩნდათ კედელთან მიმწყვდეულ ბანდიტებს!

უცოდველი პაპი! საქმე გვაქვს ცოდვის ცნების თავისებურ გაგებასთან.

„გულივერის“ ავტორი სვიფტი წერდა: „რომ მოვაგროვოთ მთელი ფერფლი, ყველა ქალაქისა და სოფლისა, რელიგიური ომებისა და განხეთქილებების შედეგად რომ გადაუბუგავთ, ერთი მთა გამოვიდოდა — ევროპის უმაღლეს მწვერვალზე, მონბლანზე არანაკლები“. ეს მთა პაპებმა ააშენეს!

გარიბალდიმ თქვა: „პაპობა — ესაა იტალიის შემმუსვრელი კეთრი“. განა მარტო იტალიისა?

მატიანემ დასაბამიდან დღემდე სამასადმე პაპი იცის. აქედან ორასზე მეტი პირწავარდნილი მკვლელი, ავაზაკი, მრუში, ხარბი და ავხორცი ვინმეა, ორმოცდაათი — სასტიკი, ორმოცზე მეტი — ჩლუნგი და უნიათო, დანარჩენ ათში შეიძლება ვეძიოთ ცოტაოდენი პოეზია, სათნოება, სამართალი და მისთანა ღირსებები.

რაღა შორს მივდივართ, რუსი მწერალი პავლენკო 1950 წელს „იტალიურ შთაბეჭდილებებში“ წერდა: „პაპობის ისტორია უხვია აღვირახსნილობისა და ცინიზმის ისეთი სურათებით, რომლის მსგავსითაც ვერ დაიტრაბახებს ვერც ერთი ტირანი, თუნდაც ნერონი იყოს. რა ჯურის ვიგინდარა არ მჯდარა წმინდა პეტრეს ტახტზე!“

დევნა აძლიერებს სიძულვილს. ჯოჯოხეთური დევნით პაპმა მთელი კაცობრიობა აიმხედრა. თუ ერეტიკოსებს ღვთის გმობისათვის დევნიდნენ, პაპთა შორისაც არაერთი ერეტიკოსი შეიძლება დავასახელოთ: პავლე III, ლევ X, ალექსანდრე VII, ბენედიქტე XIV, რომელიც ქრისტეს და მის მოციქულებს დასცინოდა...

ცხადია, ყოველივე ეს არყევდა ჭეშმარიტ რწმენას. ვიქტორ ჰიუგოს ერთმა ეპისკოპოსმა ურწმუნო უწოდა. დიდმა მწერალმა პამფლეტით უპასუხა:

დიახ, ხუცესო, მე ვარ ურწმუნო!

ღმერთი, კაცივით მანკიერი და სისხლის მღვრელი,
ტირანთა ხელით კაცთა მკვლელი და შემმუსვრელი,
ვინც აფრიალა სიავის და სიცრუის დროშა —
ასეთი ღმერთი არცა მწამს და არც მიღირს გროშად!

* * *

ახალი დროის პაპებს სულ უფრო მძლავრად ითრევდა პოლიტიკური ცხოვრების მორევი. აქ ნაკლებად არის ლაპარაკი სასიყვარულო ინტრიგებზე, ყოველდღიურ მკვლელობაზე, მოწამვლაზე. სამაგიეროდ პაპები წარმართავენ უფრო ფართო მასშტაბის მოვლენებს, რომელთა შედეგია პოლიტიკური ინტრიგები, ინტერესთა შეჯახება, ომი და არეულობა, ანტიკომუნისტური ლაშქრობა. ცნობილია: პაპმა შეაჩვენა საბჭოთა რუსეთი.

უკანასკნელმა პაპებმა კარგად იციან, რომ კათოლიკურ ეკლესიას ოთხას მილიონზე მეტი მიმდევარი ჰყავს. მათი უმრავლესობა მშრომელი ხალხია. ამიტომ ვატიკანის მთელი დემაგოგიური პროპაგანდა მიმართულია იქით, რომ მშრომელთა გონება დააბნელონ. ზოგ ქვეყანაში მთავრობის სათავეებში კათოლიკური პარტიები მოხვედრილან. კლირიკი ქვეყნის სათავეში — ესაა უბედურება, ანტიხალხური პოლიტიკა, აგრესიის ქადაგება. დღეს ადამიანებს ვეღარ წვავენ, მაგრამ სულიერად ისევ წამლავენ. გამოჩნდება რომელიმე ახალი შარლატანი და განაცხადებს: ვინც წელს არ მოინათლება, იმ წლამდე ვერ მიატანსო, და მიაწყდება მორწმუნეთა ბრბო ეკლესიებს...

ჩვენი დროის პაპები მშვიდობიან თანაარსებობას ქადაგებენ, მაგრამ პაპობის არსი რჩება, და გამოდის ბოროტებისა და სიკეთის, ცოდნისა და უმეცრების, დღისა და ღამის თანაარსებობა.

დღეს, მართალია, აღარავის ეშინია წმინდა ტახტის. *პაპები კი არა, თვით პაპობა* დაბერდა. რაღაც ნახევარ კვადრატულ კილომეტრზე — 44 ჰექტარ ფართობზე განლაგებული პაპის სახელმწიფო თავისი ათასი მცხოვრებითა და ფრიდრიხ ბარბაროსას დროის აბჯრით მოსილი შვეიცარიელი გვარდიელებით ვეღარავის დაემუქრება კოცონზე აყვანით, და ამას ვუმადლით კამპანელას, ბრუნოს, ვანინის, გალილეის, ვოლტერს... მამაც წამე-

ბულ გმირთა თაობებს, მაგრამ აი, ამ ციდა სასელმწიფოს მთელს მსოფლიოში გაფანტული ძლიერი ლაშქარი ჰყავს. მარტო შეერთებულ შტატებში ორმოცი ათასი მღვდელია, იტალიაში—70 000 მღვდელი და უთვალავი ბერ-მონაზონი. ესპანეთში — 50 000 მღვდელი და ამდენივე ბერი... მთელს ამ სიცრუის ლაშქარს, პარაზიტების ხროვას რომის მგლები უწევენ ხელმძღვანელობას და ისინი უარს არ იტყოდნენ იმის აღდგენაზე, რაც გრიგოლ VII დროს იყო. მზად არიან დედამიწის სფერო პაპის ქოშში მოაქციონ. ისევ დადის კაპიტოლიუმის გარშემო წმინდა პეტრეს ლანდი და იმეორებს დანტეს სიტყვებს:

> თქვენ შემიბილწეთ ამ მიწაზე ტახტი ციური,
> ჰო,- ჩემი ტახტი, ჩემი ტახტი, რომელიც ახლა
> უფლის წინაშე უპატრონოდ, ობლად შთენილა,
> ჩემი სამარეც გიქცევიათ სიბილწის სახლად,
> მკვლელთა ბუნაგად, ხოლო ის, ვინც ცით მოვლენილა,
> ვისაც მოელის ჯოჯოხეთი, ნადიმობს მაღლა.

თუ კათოლიკური ეკლესიის ოფიციალურ სიას ვერწმუნებით, პაპების რიცხვია სულ 262. მაგრამ თუ ორმოც ანტიპაპსაც ჩავთვლით, მათი რიცხვი 300 გამოდის. ჩვენ, მაგალითად, ვთვლით ანტიპაპებს, რადგან მათ ყველა წესის დაცვით ირჩევდნენ, განაგებდნენ საქრისტიანოს, ატარებდნენ ტიარას, ღრეობდნენ, მრუშობდნენ, იბრძოდნენ, დევნიდნენ, იდევნებოდნენ, კვდებოდნენ... მოკლედ, ნამდვილი პაპები იყვნენ. მოდით და ნუ ცნობთ ბალთაზარ კოსას, რომელიც ხუთი წელი აზანზარებდა საქრისტიანოს, ან იოანას, რომელმაც ყრმა ქუჩაში შვა! ფაქტი ჯიუტია. ხოლო თუ არცნობაა, ჩვენ საქრისტიანოს მბრძანებლად სამასი პაპიდან სამის გარდა არც ერთს არა ვცნობთ, და არც ის სამი იყო საჭირო.

მაგრამ პაპობა ფაქტია. სამასივე პაპი ისტორიის საკუთრებაა. მათს საქმეებს თვალსაჩინოდ გვაცნობს „წმინდა ბუნაგი". აქ ისღა დაგვრჩენია, რომ გავიმეოროთ ანატოლ ფრანსის სიტყვები: „კათოლიკური ეკლესია ყველაზე უფრო საზარელი კომბინაციაა, როგორიც კი ოდესმე შექმნილა კაცობრიობის თავისუფლების, გონებისა და ბედნიერების წინააღმდეგ".

აკაკი გელოვანი

შენიშვნები*

აბელარი, პიერ (1079—1142) — ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, თავისუფალი მოაზროვნე. ებრძოდა ბრმა რწმენას, ადიდებდა ბერძენ ფილოსოფოსებს. თხზულებაში „კი და არა“ დაამტკიცა, რომ ეკლესიის მამების (ნ.) თხზულებანი აღსავსეა წინააღმდეგობით. ეკლესიამ დევნიდა.

აგრიპა დ ობინე (1552—1630) — ცნობილი მწერალი, ისტორიკოსი, „საყოველთაო ისტორიის“ ავტორი.

აგრიპა (კორნელიუს) ნეტესჰაიმელი (1486—1535) — ცნობილი გერმანელი ექიმი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „მეცნიერების ამაოებისა და უიმედობის შესახებ“ (1527). თავს ესხმის სქოლასტიკას, გახრწნილ კლირსა და ფეოდალებს. მის ფილოსოფიას პანთეისტურ-ანტიიეროლოგიურ ტენდენციასთან ერთად მისტიკური იერიც გადაჰკრავს (დაუკავშირდა მაგიას).

ადოლ ფნასაუელი — გერმანიის იმპერატორი (1250—1292 — 1298)**, გადააყენეს გადმდგარმა კურფიურსტებმა.

ავგუსტინე, ავრელიუსი, ნუმიდიელი წმინდანი (მართლმადიდებელ ეკლესიაში — ნეტარი ავგუსტინე) — დიდი საეკლესიო მოღვაწე, „ეკლესიის მამათა“ მამა(354—430). ეპისკოპოსმა ამბროსიმ მოაქცია და მონათლა 387 წელს. მერე ჩრდილოეთ აფრიკის ეპისკოპოსად დაინიშნა. დაწერა მრავალი წერილი, ქადაგება, თხზულება („აღსარება“, „უფლის ქალაქის შესახებ“, სულ 22 ტომი). შუა სა-

---

* ლეო ტაქსილის წიგნში ხმარებული საკუთარი სახელებისა თუ ცნებებს უფრო იოლად მოძებნის მიზნით მთარგმნელმა უმჯობესად ჩათვალა მათი დალაგება ანბანური წესით. ეს ერთგვარი „მცირე ისტორიულ-თეისტური ლექსიკონი“ მკითხველს დაეხმარება სხვა თეისტური ლიტერატურის კითხვის დროსაც, რაც ქართულად შედარებით ცოტა გვაქვს. პაპების საქიებელი ცალკეა გამოყოფილი.

** პირველი თარიღი დაბადების წელია, ორი დანარჩენი — მეფობისა.

უკუნეების ამ ერთ-ერთმა უდიდესმა საეკლესიო ავტორიტეტმა დაამუშავა სამების მოძღვრება, ღვთაებრივი განგების იდეა მსოფლიო ისტორიაში და სხვ. მისი ერთ-ერთი მთავარი დოქტრინა მოითხოვს საერო ხელისუფალთა მორჩილებას სამღვდელოების წინამძღოლთა წინაშე.

ავგუსტინელთა ორდენი — მოგლახაკე ბერთა ცნობილი ორდენი, რომელიც 1243 წელს დაარსდა და იცავდა პაპთა ძალაუფლებას. საფუძვლად დაედო წესდება, რაც თითქოს წმინდა ავგუსტინეს ხელით იყო დაწერილი.

ავინიონი — პატარა ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში (ვოკლიუზის დეპარტამენტის დედაქალაქი), სადაც მთელი 70 წლის განმავლობაში თავიანთი რეზიდენცია ჰქონდათ კანონიერ და უკანონო პაპებს, ფრანგ მეფეთა ფაქტიურ ტყვეებს („ავინიონის ტყვეობა", 1309—1377). ცნობილია მრავალი ეკლესიით, დიდებული ტაძრითა და პაპთა სასახლით, რაც მერე ყაზარმად აქციეს.

ავინიონის ტყვეობის დამთავრების შემდეგ მოხდა დიდი საეკლესიო განხეთქილება კათოლიკურ ეკლესიაში (1378—1417) — პარიოდი, როცა რომში ერთ პაპს ირჩევდნენ, ხოლო ავინიონში — მეორეს (საფრანგეთის, ესპანეთის, შოტლანდიის კარდინალები). განხეთქილებას ბოლო მოუღო კონსტანცის საეკლესიო ყრილობამ, სადაც ორივე პაპი გადააყენეს და აირჩიეს მარტინ V.

ათანასე ალექსანდრიელი (295—373) — ალექსანდრიის ეპისკოპოსი, პატრიარქი, ეკლესიის წმინდა მამა, ცნობილი ერეტიკოსთა (არიანელთა) წინააღმდეგ გამართული პოლემიკითა და სისასტიკით. იმპერატორებმა კონსტანტინემ, იულიანემ და ვალენტინმა ხუთჯერ განდევნეს. ერთხელ ეგვიპტეში გაიქცა. მეორედ ოთხი თვე მამის აკლდამაში გაატარა. შეუპოვარმა, მჭევრმეტყველმა, ფანატიკურად მორწმუნე და უდავოდ მამაცმა ღვთისმეტყველმა თავისი ეპისკოპოსობის 46 წლიდან 20 საპყრობილეებსა და განდევნილობაში გატარა. ისტორიამ „ათანასე დიდის" წოდება მიაკუთვნა.

ათთა საბჭო — ვენეციის რესპუბლიკის მთავარი პოლიტიკური ორგანო, რომელიც ფაქტიურად განაგებდა რესპუბლიკას (უფრო XIV საუკუნიდან).

ალბა, ფერდინანდ ალვარეს დე ტოლედო (1508—1582) — კათოლიკური ესპანეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ინკვიზი-

ციის მეუფების შავბნელ დროში, ჰერცოგი, სარდალი, ჯალათი, მეფის ნაცვალი ნიდერლანდებში (1567—73). 26 წლისა უკვე გენერალი იყო, 30 წლისა— სამეფო არმიის მთავარსარდალი. ესაზღვროდ ენდობოდა კარლოს V, ნიდერლანდების დაწყნარება დაავალა. ალბამ ინკვიზიცია შემოიღო, ქვეყანა ცოდვის კალოდ აქცია, ათასობით ადამიანი აწამა, დაწვა, ჩამოახრჩო, რითაც მხოლოდ დააჩქარა რევოლუცია, რომლის ჩაქრობა ვეღარ შესძლო. უკმაყოფილო მეფემ უკან გაიწვია და შერისხა, მაგრამ ბებერმა ჯალათმა სიკვდილის წინ ესპანეთს პორტუგალია მაინც დაუმორჩილა.

ალბანო — ადგილი რომის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ალბიგოელები (ქ. ალბის მცხოვრებნი) — ლანგედოკელი ერეტიკოსები, უარყოფდნენ ეკლესიის დოგმებსა და წესებს, სასულიერო და საერო ჩაგვრას... მათი მოძღვრება გავრცელდა მთელს სამხრეთ საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში. 1209 წ. ინოკენტი III ალბიგოელთა წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობას აცხადებს აყვავებულ მხარეს ფერფლად აქცევს. ომი გრძელდება 1229 წლამდე. ცოცხლად დარჩენილნი ინკვიზიციამ აწამა.

ალფონს V — არაგონიის მეფე (1416—1458). როგორც ნეაპოლისა და სიცილიის მეფეს, ალფონს I ეძახიან.

ანაბაპტისტები („მეორედ მომნათვლელნი") — გლეხთა რელიგიური მოძრაობის მიმდევრები რეფორმაციის ეპოქაში. ჯერ აქტიურად მონაწილეობდნენ გლეხთა ომში, მერე ჩაურევლობის გზას დაადგნენ .უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიას (უფროს — უმცროსობას), რელიგიურ წესებს, მოითხოვდნენ მოზრდილთა მეორედ მონათვლას, რადგან მათი თვალსაზრისით ადამიანმა სარწმუნოება შეგნებულად უნდა მიიღოს. შეეცადნენ ციერ სამეფოს განხორციელებას დედამიწაზე, რისთვისაც მოაწყვეს მიუნსტერის კომუნა. მეთაურები დასაჯეს, სექტა დაიშალა.

ანათემა (ბერძ. ანას — შორს, ტითეინ—დაყენება) — შეჩვენება უფლის სახელით, ეკლესიიდან განკვეთა: უმაღლესი საეკლესიო სასჯელი, რომლის შიშითაც ერთ დროს იმპერატორები ცახცახებდნენ.

ანა კომნინა (1083—1148) — ბიზანტიის იმპერატორის ალექსი კომნინის ასული, ავტორი წიგნისა „ალექსიადები", რომელშიაც მა-

მას ადიდებს. საინტერესოდ აღწერა ბერძენთა და ჯვაროსანთა ურთიერთობა.

ანალოი — მაღალი დამრეცი ძაგიდა მცირე ზომისა, ღვთისმსახურების დროს საჭირო წიგნებისათვის, ხშირად უაღრესად ძვირფასი.

ანგლიკანური ეკლესია — ინგლისის სახელმწიფო ეკლესია, პროტესტანტიზმის ნაირსახეობა, ყველაზე ახლო დგას კათოლიციზმთან: ინარჩუნებს საეკლესიო იერარქიას, ფუფუნებას ღვთისმსახურებაში. 1534 წ. პარლამენტის აქტის საფუძველზე ამ ეკლესიის მეთაურად ინგლისის მეფე (ჰენრიხ VII, ნ. ეს) გამოუცხადდა. ხატები დაწვეს, მონასტრები დახურეს და მთელი რელიგია გადაკიდა მეფის აბსოლუტური ძალაუფლების სამსახურში. იმავე წელს გაწყდა ვატიკანთან კავშირი. მეფის შემდეგ მთავარია კენტერბერის ეპისკოპოსი. 42 მუხლი შეადგენს მისი მოძღვრების საფუძველს. მაღალი, დაბალი და ფართო მიმდინარეობანი ქმნიან ამ ეკლესიის შიგნით სოციალურ სხვადასხვაობათა სურათს.

ანტიპაპი — კანონიერი პაპის სიცოცხლეში კარდინალების ან მეფის მიერ ამორჩეული „უკანონო“ მღვდელმთავარი, რომელსაც კათოლიკური ეკლესია არ ცნობს. ხშირად ყოფილა ერთდროულად ორი ან სამი პაპი, რაც საქრისტიანოს უდიდეს სიძნელეებს უქმნიდა.

აპოკალიფსი (ბერძ. გამოცხადება) — სახარების ის ნაწილი, სადაც მეორედ მოსვლის ამბებია მოთხრობილი (წარღვნა, განკითხვა). მიეწერება იოანე მოციქულს.

აპოსტატი (ბერ.) — განდგომილი, სარწმუნოებიდან გადამდგარი.

არიანები — ცნობილი ალექსანდრიელი მოძღვრის არიუსის მიერ შექმნილი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის მიმდევრები. არიუსი (გარდ. 336 წ.) ამტკიცებდა, რომ ძე — ღმერთის (ქრისტეს) გამოცხადება ღმერთად ათანასწორებს მას მამა — ღმერთთან და ამდენად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას ღმერთის, როგორც ერთარსების შესახებ. ღმერთი, როგორც დაუსაბამო და მარადიული, სამყაროს შემქმნელი, ერთია, ქრისტეს კი აქვს დასაბამი: ის დაიბადა. არიუსს 325 წ. შეედავა ათანასე ალექსანდრიელი, ნიკეის კრებაზე კი იმავე წელს არიანიზმი ერესად გამოცხადდა (იგივე დამტკიცდა კონსტანტინოპოლის კრებაზე 381 წ.),

მაგრამ არიანებმა ბრძოლა გაბაგრძეს (პოლონეთში ის აღორძინდა XVI ს-ში).

არიოსტო (1474—1533) — დიდი იტალიელი პოეტი, ჰუმანისტი, „შმაგი ორლანდის" ავტორი. რენესანსის ეპოქის ამ დიდ ეპიკურ ქმნილებაში ლოდოვიკო არიოსტომ ასახა კარლოს დიდის ბრძოლა სარკინოზებთან, უფრო კი რაინდული სიყვარულის ამაღლებული ფორმა.

არნო, ანტუან , დიდი არნო (1612—1694) — სორბონის დოქტორი, იანსენისტების ბელადი, იეზუიტთა რისხვის — ადვოკატ ანტუან არნო უფროსის შვილი, ღვთისშეტყველი, თვითონაც ებრძოდა იეზუიტებს, რომელთაც ჰოლანდიაში გაექცა.

არნოლდ ბრეშიანელი (1100—1155) — ცნობილი ლომბარდიელი რეფორმატორი, მქადაგებელი, შეუპოვარი მებრძოლი, ანელარის მოწაფე. იბრძოდა რესპუბლიკისათვის. არაეროხელ განდევნეს პაპებმა. 1143 წ. მოაწყო აჯანყება და თვითონ განდევნა ინოკენტი II. რომში კომუნა გამოაცხადა. სათავეში ედგა რესპუბლიკას, საერო ძალაუფლება წაართვა პაპს. მაგრამ პაპმა სძლია, ადრევე შეჩვენებული რომიდან განდევნა, არნოლდი ფრიდრიხ I ბარბაროსას ქეშიკებმა ჩაიგდეს ხელში, პაპს გადასცეს და ადრიან მეოთხეს ბრძანებით გაგუდეს, მერე კი დაწვეს.

ატილა — ჰუნების ცნობილი ბელადი (433—454), თავისი დროის უძლიერესი მბრძანებელი. 452 წ. მისი ლაშქარი ალპებზე გადავიდა, ზვავის მსგავსად დაატყდა თავს ევროპას, მაგრამ იმპერატორმა ხარკის დაპირებით გააბრუნა.

აუტოდაფე (პორტ. „სარწმუნოების აქტი") — ერეტიკოსთა საჯაროდ დაწვა.

ბაბილონი — ძველი დროის სახელგანთქმულ სამეფოს დედაქალაქი, ქრისტიანთა წარმოდგენაში საზარელი გარყვნილების სინონიმად იქცა. ამ აზრით ადარებენ აპოკალიფსის ავტორები ძველ ნიერ რომს უზნეო ბაბილონს.

ბაზილიკა — ქრისტეს ტაძრის შენობა, სწორკუთხედის მოყვანილობისა, სვეტებიანი, ნაწილებად დაყოფილი.

ბაიაზეთ II — თურქეთის სულთანი (1481—1512).

ბალაამი — ბიბლიური თქმულების გმირი, მესოპოტამიელი მოგვი, რომელიც უზენაესმა სახედრის პირით გააფრთხილა, რომ

არ დახმარებოდა ისრაელის მტრებს, რომელთაც მოისყიდეს. სამჯერ გააღო პირი მოსეს ხალხის დასაწყევლად და სამჯერვე დალოცვა აღმოჰხდა. მერე ბრძოლაში დაიღუპა.

ბარონიუსი, ჩეზარე (1538—1607)— იტალიელი ღვთისმეტყველი, ვატიკანის ბიბლიოთეკის კარდინალ-ბიბლიოთეკარი, ეკლესიის 12-ტომიანი ისტორიის ავტორი.

ბარტყული — მაღალი ფართო ცილინდრული ქუდი, რომლის შავი ან თეთრი საფარველი ბერებს თავიდან მხრებზე სცემდათ.

ბეარნელი — ჰენრიხ (ანრი) IV (დაიბადა ბეარნის ოლქში, რაც ნავარის სამეფოს ეკუთვნოდა (ნ. ჰენრიხ IV):

ბენედიქტეს ორდენი — კათოლიკე ბერთა მდიდარი ორდენი, რაც VI საუკუნეში შეიქმნა იტალიაში, წმ. ბენედიქტეს სახელზე. ეს იყო პირველი ორდენი დასავლეთ ევროპაში. პაპის ერთგულ ბერთა ორდენის წევრებს ბენედიქტინებს სასტიკად უნდა დაეცვათ სამი აღთქმა: მონასტრიდან გაუსვლელობის, უბიწობის და სრული მორჩილების. დღესაც კი ამ ძლიერი ორდენის წევრთა რიცხვი ოცი ათასამდეა.

ბენეფიციუმი (ლათ. ქველმოქმედება) — მამული, რასაც ფეოდალი უბოძებდა ვასალს (ეს მიწა არ გადადიოდა სამემკვიდრო საჩუქრად).

ბერნოლდი (1054—1100) — კონსტანცის ეპისკოპოსი, პაპის ერთგული დამცველი, „ქრონიკების“ ავტორი.

ბერნჰარდ II — იტალიის მეფე (950—962).

ბერძენი ლტოლვილნი — მეჰმედ დიდის (ნ.). ურდოები რომ საბერძნეთში შეიჭრნენ, მოსახლეობა აშკარა სიკვდილს გაქცევით აღწევდა თავს.

ბოგომოლები (ლეგენდარული მღვდლის ბოგომოლის სახელიდან) — X საუკუნეში ბულგარეთში წამოწყებული მოძრაობის წარმომადგენლები, ქადაგებდნენ თანასწორობას, უარყოფდნენ ეკლესიის ძალაუფლებას, ითხოვდნენ ასკეტიზმს.

ბოლანდი, ჟან (1596—1665) — ბელგიელი იეზუიტი, ბოლანდისტების საზოგადოების დამაარსებელი, სცემდა „წმინდანთა ცხოვრებას“, დღემდე გამოვიდა 67 ტომი (გამოცემა ჯერ არ დამთავრებულა).

ბოლესლავ I მამაცი — პოლონეთის მეფე (992—1025).

ბომონი, ქრისტოფ დე (1703—81)— პარიზის არქიეპისკოპოსი, უბადრუკი ზოილი, რომელმაც თავი „ისახელა“ იმით, რომ რუსოს „ემილის“ წინააღმდეგ გაილაშქრა და სცადა ჩაექრო ერის დიდების ნათლის სვეტი.

ბორჯია — იტალიელ დიდებულთა (ჩამომავლობით ესპანელთა) ძველი და ძლიერი, საქვეყნოდ ცნობილი და მოყივნებული გვარი— უზნეობისა და მუხანათობის სიმბოლო. ბორჯიებმა იტალიაში დიდი ზეგავლენა მოიპოვეს მას შემდეგ, რაც ალფონსო ბორჯია პაპი გახდა (კალიქსტ III). განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ როდრიგო ბორჯია (ალექსანდრე VI), მისი შვილები ჯიოვანი და ჩეზარე — უფროსი ძმის მკვლელი, რომელსაც მამამ კარდინალობა უბოძა. მტრებს ვერაგული მკვლელობით იცილებდნენ გზიდან. მათი და, ლუკრეცია ბორჯია, საკუთარი მამისა და ძმების საყვარელი, სასტიკი მკვლელი და გახრწნილი დედაკაცი, ფერარის ჰერცოგმაც ვერ დააოკა. ცნობილი იყვნენ აგრეთვე ფრანჩესკო, ჯიოვანის შვილი, იეზუიტთა ორდენის წევრი, მეორე ფრანჩესკო, პერუს მეფისნაცვალი, პოეტი და კარდინალი სტეფანო ბორჯია და სხვ.

ბრანტონი, პიერ დე ბურდეი (1540—1614) — ფრანგი დიდებული და მწერალი, ეკატერინე მედიჩის კარისკაცი, ებრძოდა ჰუგენოტებს, დაწერა „დიდ სარდალთა ბიოგრაფიები“ და „გამოჩენილ მანდილოსანთა ცხოვრებანი“.

ბრიგიტა — ინგლისისა და განსაკუთრებით ირლანდიის მფარველი წმინდანი, მონაზონი, რომელიც სიკვდილამდე სენაკს არ გასცილებია (VI ს.).

ბუზენბაუმი (1600—68) — გერმანელი იეზუიტი, თეოლოგი, მორალისტი, რომელსაც მიეწერება თქმა: „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

ბულა (ლათ. „ბურთულა“) — პაპის სიგელი, ლათინურად დაწერილი განცხადება ან ბრძანება, თან ახლდა ტყვიის ან ოქროს მრგვალი ბეჭედი, რაც ზონრით ეკიდა. ლევ მეათის ბულა ლუთერმა ცეცხლში ისროლა.

ბურბონები — ვალუების მონათესავე დიდებულთა ოჯახი, რომელიც საფრანგეთში მეფობდა ვალუების გვარის დაშრეტის შემდეგ (1589—1793 და 1814—1830). ეს გვარი ქედმაღლობის სინონიმად იქცა.

ბურხარდი, იოჰან სტრასბურგელი (1483—1506) — პაპის ცერემონიმაისტერი, „რომის კურიის დღიურების“ ავტორი.

ვალანი, იაროსლავ (1902—49) — ცნობილი დასავლეთუკრაინელი მწერალი, ანტიფაშისტი, შეუპოვარი მებრძოლი ყველა ჯურის ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ. მისი მახვილი პამფლეტები გამოირჩევიან ერუდიციითა და გონებამახვილობით („ობობები ქილაში“, „მამელუკები“, „ფრონტი ეთერში“, „ადამიანები, რომელთაც საშობლო არა აქვთ“). ვატიკანის ერთ-ერთი ძლიერი მამხილებელი („სატანის სამსახურში“, „წყვდიადის მამა და დამქაშები“). ვერაგულად მოკლეს ლვოვში კათოლიკე-ნაციონალისტებმა.

გალია — ძველი ქვეყანა, მოიცავდა ახლანდელ საფრანგეთს, ბელგიას, ნიდერლანდებს, შვეიცარიას და ჩრდილოეთ იტალიას.

განხეთქილება —ეკლესიის შინაგანი გათიშვა. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ბიზანტიის და რომის ეკლესიების განხეთქილება, რაც მოჰყვა რომის იმპერიის გაყოფას დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიებად. ნ. ფოტიოსი, ავინიონის ტყვეობა.

„გასრისეთ ქვეწარმავალი!“ (ე. ი. კათოლიკური ეკლესია) — ვოლტერის მრისხანე დევიზი, რითაც ამთავრებდა თავის პირად წერილებს მეგობრებთან.

გერვასიუსი და პროტასიუსი — ქრისტიანი მოწამენი, ტყუპები, აწამეს იმპერატორ ნერონის დროს.

გიბელინები —იტალიის პოლიტიკური პარტია XII—XV საუკუნეებში, შედგებოდა ფეოდალური დიდკაცობისაგან, რომელიც გერმანიის იმპერატორებს უჭერდა მხარს და ებრძოდა გველფებს— პაპის მომხრეებს (ვაჭარ-ხელოსანთა და მრეწველ-ბანკირთა ფენებს).

გიუი — იტალიის მეფე, იმპერატორი (889—894).

გნოსტიციზმი (ბერძ. გნოსის ცოდნა, გიგნოსკო — ვიცი) — ადრეული ქრისტიანობის ფილოსოფიური მიმდინარეობა (I—III ს.), რომელიც ამტკიცებს, რომ ყველა ამქვეყნიერი ბოროტების საძირკველია სულისა და მატერიის წინააღმდეგობა. გნოსტიკოსები მთლიანად უარყოფენ ძველ აღთქმას — ბიბლიას, იაღვეს თვლიან ჯოჯოხეთის ნაშიერად, ადიდებენ კაინს, გველეშაპს, მოითხოვენ სრულყოფილი ღვთაების შესწავლას და მისკენ მიმავალი ყველა საფეხურის შეცნობას. ერთ-ერთ ასეთ საფეხურად თვლიან ქრისტეს, ანგრე-

ვენ მისი ღვთაებრივი ჩამომავლობის მითს. იყოფოდა მრავალ გაბ-ზტოებად: კაინისტები, ვალენტიანელები და სხვ. ეს უკანასკნელი სკოლა დააარსა II ს. ეგვიპტელმა ბერძენმა ვალენტინმა.

გონფალონიერი — ბაირახტარი, მედროშე იტალიის ზოგ სახელმწიფოში.

გოტშალკი — შარლატანი მღვდელი, რომელმაც ჯვაროსან მძარცველთა მთელი ლაშქარი შეყარა რაინის მხარეში ქრისტეს ხაფლავის სახსნელად, მაგრამ მხოლოდ ებრაელები აწიოკა. ვერც ქრისტე იხსნა და ვერც თავისი ჯარი, რაც მთლიანად გაწყვიტეს უნგრეთში.

გრაციანი — დასავლეთ რომის იმპერატორი (367—383), ცნობილი გოტებთან ომით და ქრისტიანთა დევნით.

გრიგოლ სასწაულმოქმედი — ნეოკესარიელი ეპისკოპოსი, წმინდანი, ორიგენის მოწაფე, ქრისტიანობის გამავრცელებელი, გარდ. 270 წ.

გუსტავ-ადოლფ II — შვეციის მამაცი მეფე, რომელმაც ოცდაათწლიან ომში ჰპოვა აღსასრული ცხარე შეტაკების დროს (1611—32).

დანტე, ალიგიერი — გენიალური ფლორენციელი პოეტი (1265—1321), მისი სიცოცხლის წლები 13 პაპის პონტიფიკატს ემთხვევა, ალბათ ამიტომაც მოეწამლა ცხოვრება. თავისი თანამედროვე ბონიფაციუს VIII სიცოცხლეშივე ჯოჯოხეთში მოაქცია. მერვე სფეროს ერთ-ერთ ორმოში თავდაყირა დასობილ ლანდს პოეტი ეკითხება:

ჩაყუდებულო თავდაყირა, როგორც მიწაში
ჩარჭმული ბოძი, ხმა გამეცი, თუ შეგიძლია.

ლანდი გაოცებულია: „ო, როგორ! ნუთუ ეს შენა ხარ, ბონიფაციუს?“ დანტეს ვერაფერი გაუგია. მეგზური უხსნის, რომ ესაა პაპი ნიკოლოზ III, რომელიც პარკში ოქროს აგროვებდა და მერე ამ პარკში თვითონვე მოექცა. ნიკოლოზი ჯოჯოხეთში ელოდება ბონიფაციუსსა და კლიმენტი მეხუთეს, რომელიც ბევრად უფრო გვიან, 1314 წელს ესტუმრა დანტეს „ჯოჯოხეთს“.

დიდმა პოეტმა განდევნილობაში დალია სული.

დიადემა — გვირგვინი, საპატიო თავსარქმელი.

დიდი საეკლესიო განხეთქილება — ნ. ავინიონის ტყვეობა.

დიოკლეტიანე — რომის იმპერატორი (284—305), იულიუს კეისარივით მოითხოვდა სიცოცხლეშივე გაღმერთებას, წამებისა და სიკვდილის მუქარით აიძულებდა ქრისტიანებს თაყვანი ეცათ მისი გამოსახულებისათვის. პროტესტს მოჰყვა ბათი დევნა და არმიიდან გარიცხვა. ლეგენდის თანახმად, დევნა — წამება განიცადეს პირველმა პაპებმაც: მარცელინმა, მარცელმა და ევსებიუსმა. მაგრამ ეს ანაქრონიზმია.

დომინიკე გუსმანი, წმ. — ესპანელი აზნაური (1170—1221), რომელმაც 1216 წ. დომინიკანელთა საშინელი ორდენი დააარსა და მიზნად დაუსახა ერესთან ბრძოლა (1232 წ. ინკვიზიციას გადაეცა). ორდენს დამაარსებლის სახელი დაანათლეს, მაგრამ კლასიკურად შეეწყო მისთვის ზედგამოჭრილი ლათინური მნიშვნელობაც: დომინი კანუს — „ღვთის ქოფაკი". ფანატიკოს ბერებს ასეთი ძაღლური სამსახური ესახელებოდათ კიდეც.

დოჟი — ვენეციისა და გენუის რესპუბლიკების მბრძანებელი, ირჩევდნენ სამისდღემშიოდ (სიკვდილამდე არ იცვლებოდა).

დოფინი — უფლისწული, ტახტის მემკვიდრე (საფრანგეთში).

ედგარი — ინგლისის მეფე (959—75).

ედუარდ I — ინგლისის მეფე (1239—1272—1307), შეზღუდა სამღვდელოება და გააძლიერა პარლამენტი (ადრეც იყო ედუარდ I, უფროსი).

ეთესი — ძველი დროის აყვავებული ქალაქი ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მცირე აზიაში. აქ იყო აღმართული არტემიდას ტაძარი, ქვეყნიერების მეშვიდე სასწაული, თავისი სახელის უკვდავყოფის მიზნით რომ ვინმე ჰეროსტრატემ ცეცხლი წაუკიდა.

ეკატერინე მედიჩი (1519—86) — იტალიელ ტირანთა ეს უზნეო და უგულო ნაშიერი ცოლად შეაჩეჩეს ფრანგთა მეფეს ჰენრიხ (ანრი) მეორეს (1547—59). აქაც გაჰყვა თავისი ზნე და სისხლის ტბორები დააყენა საფრანგეთში.

ეკლესიის მამები (მასწავლებლები, მოძღვარნი) — განსაკუთრებით აღიარებული ღვთისმეტყველნი, რომელთაც II—VIII საუკუნეებში ქრისტიანული, დოგმატიკის, ღვთისმეტყველების და ფილოსოფიის ძირითადი საკითხები დაამუშავეს. ებრძოდნენ ქრისტია-

ნობის შემავიწროებელ იმპერატორებს, ერესს და ა. შ., ქადაგებდნენ სისასტიკეს, რელიგიურ შეუწყნარებლობას, მეცნიერული აზრის წინააღმდეგ ბრძოლას, ასკეტიზმს, პაპის პირველობას საქრისტიანოში (ავგუსტინე, კლიმენტი და ათანასე ალექსანდრიელები, ვასილ დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი, იოანე ოქროპირი, იოანე დამასკელი და სხვ.). მათ მოძღვრების მთლიანობას პატრისტიკას ეძახიან (პატერ — მამა).

ელისაბედი —ინგლისის დედოფალი (1533—1558—1603), ჰენრიხ VIII და ანა ბოლეინის ასული (ნ. ჰენრიხ VIII). 45 წელი იჯდა ტახტზე და მრავალი წარმატებაც ჰქონდა, სძლია შინაური და გარეშე მტრები, მოაწესრიგა ფინანსები. სიყრმიდანვე პროტესტანტმა თანდათან განდევნა კათოლიკობა და ამ საბაბით შეეტაკა შოტლანდიის დედოფალს მარიამ სტიუარტს, რომელსაც, როგორც ჰენრიხ VII ბადიშს, ინგლისის ტახტის პრეტენზიაც ჰქონდა. შოტლანდიელებმა რომ სტიუარტი განდევნეს, ელისაბედმა შეიფარა, მაგრამ დაატყვევა, შეთქმულების მომზადება დასწამა და თავი მოჰკვეთა. ვერაფერს გახდა სტიუარტის მფარველი ფილიპე II ესპანელი, რომლის უძლეველი არმადაც ქარიშხალმა და ელისაბედის ადმირალებმა გააცამტვერეს. პიუს V და მერე სიქსტ V ზედიზედ უცხადებენ ანათემას, მაგრამ ვერაფერი ავნეს, ვერც მიგზავნილმა მკვლელებმა მიაღწიეს მიზანს. გარდ. 70 წლისაა.

ელსტერი — მდინარე (ამჟამად — კურორტიც) საქსონიაში. 1080 წ. აქ სასიკვდილოდ დაიჭრა გერმანელ მთავართა არჩეული მეფე რუდოლფ შვაბი, ჰენრიხ IV რომლზე დაიძრა, აიღო და იმპერატორად ეკურთხა.

ენციკლიკა (საშუალო ლათინური — „საერთო", საყოველთაო) — პაპის მიწერილობა (მიმართვა), რასაც სახელად ეძლევა საწყისი სიტყვები. მაგ., ლევ XIII ენციკლიკით „რერუმ ნოვარუმ" ხალხთა განწყობილების შეცვლას ვარაუდობდა.

ენციკლოპედისტების სახელოვანი პლეადა — რუსო, დიდრო, დალამბერი, ვოლტერი, მონტესკიე, ჰოლბახი, ჰელვეციუსი, კონდილიაკი და სხვ. — საუკუნის უდიდესი ადამიანები, საფრანგეთის დიდი ენციკლოპედიის შემდგენნი, რომელთაც იდეოლოგიურად მოამზადეს რევოლუცია. ებრძოდნენ პაპობას.

ეპისკოპოსი (ბერძ. „ზედამხედველი") — თავდაპირველად:

საეკლესიო თემობის ქონების გამგებელი, მერე — უმაღლესი სასულიერო წოდების პირი.

ეპიტიმია (ბერძ. ეპი — „ზე“, ტიმო — „სასჯელი“) — საეკლესიო სასჯელი რაიმე შეცოდებისათვის (მარხვა, ლოცვა და სხვ.).

ესკობარი (1589—1669) — ესპანელი იეზუიტი.

ესკურიალი — სახელგანთქმული ხუროთმოძღვრული ანსამბლი მადრიდიდან 52 კილომეტრის დაშორებით, ევროპის უდიდესი სასახლე, რაც საფრანგეთზე გამარჯვების ძეგლად ააგო ფილიპე II ესპანელმა 1559—84 წლებში. კომპლექსში შედის მონასტერი, სასახლე, მუზეუმი, უმაღლესი სკოლა, ბრწყინვალე ბიბლიოთეკა და 26 მეფის აკლდამა (კარლოს V დაწყებული).

ვალდენსელები (ლიონელი ვაჭრის პიერ ვალდის სახელიდან) — XII საუკუნის ერეტიკოსები, რომელთა მოძღვრება ისევე ფართოდაა გავრცელებული, როგორც მათი თანამედროვე ალბიგოელებისა, რომელთაც ენათესავებოდნენ: მოითხოვდნენ თანასწორობას, პაპს სატანის მოციქულს ეძახდნენ.

ვალენტი ფლაბიუსი —აღმოსავლეთ რომის იმპერატორი (364—378). დაიმორჩილა გოტები, რომელთაც 9 წლის შემდეგ სძლიეს და მოკლეს.

ვალენტ(ინ)იანელები — ნ. გნოსტიკოსები.

ვალენტი(ნი)ანი, ფლაბიუსი, უმცროსი — რომის იმპერატორი (375—392).

ვალენშტაინი, ალბრეხტ ვენცესლავ (1583—1631) — ოცდაათწლიანი ომების ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი სარდალი, გერმანიის იმპერატორის ფერდინანდ მეორის ჯარების წინამძღოლი. არაერთი გამარჯვება მოიპოვა დანიელებთან და პროტესტანტ მთავრებთან ბრძოლაში. იმპერატორი შიშით ადევნებდა თვალს მისი ავტორიტეტის ზრდას, მტერთან კავშირი დასწამა, მერე შეთქმულებმა მოკლეს ბანაკში. მას ეძღვნა შილერის ტრილოგია.

ვალომბროზე — სააბატო აპენინებზე, სადაც 1038 წ. „სათნომჭვრეტელ“ ბერთა ორდენი დაარსდა.

ვალომბროზე —სააბატო ენინებზე, სადაც 1328—1589 წლებში, კარლ IV გარდაცვალებიდან ჰენრიხ III მოკვლამდე, როცა ტახტი გადავიდა ვალუების ნათესავ ბურბონთა ხელში (ნ. ჰენრიხ ნავარელი).

ვანდალები — აღმოსავლეთ გერმანელთა ფრიად უნდო და ულმობელი ტომი, რომლის სახელი ბარბაროსობის სინონიმად იქცა. 406 წელს გაიჭრნენ ესპანეთში, 429 წ. მეფე გეიზერიხმა აფრიკაში გაილაშქრა და შექმნა ვანდალთა სამეფო, რომლის დედაქალაქი იყო კართაგენი. 455 წ. ვანდალებმა იერიშით აიღეს და ააოხრეს რომი.

ვატიკანი — რომის ერთ-ერთი გორაკი (სულ 7 გორაკია), რომელზედაც V ს. ბოლოს აშენდა სასახლე, პაპთა რეზიდენცია. შემდეგ ვატიკანი იქცა პაპის სახელმწიფო ძალაუფლების სიმბოლოდ. ამჟამად, იქ, რაღაც ნახევარ ჰექტარ ფართობზე თავმოყრილია ვატიკანის პატარა სახელმწიფო, რომელსაც საქრისტიანოს მბრძანებლობის პრეტენზია აქვს.

ვერგილიუსი (გარდ. 784) — ზალცბურგის ეპისკოპოსი, ქრისტიანობის მქადაგებელი. გადააყენეს, როგორც ერეტიკოსი.

ვიკლეფი — ნ. უიკლიფი.

ვილანი, ჯიოვანი (1276—1348) — იტალიელი მემატიანე, ფლორენციის ისტორიის ავტორი.

ვილჰელმ I ორანელი, პრინცი (1533—1584) — ნიდერლანდების რევოლუციის გმირი, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რაინდი, რომელიც მუხანათურად მოკლა ფილიპე II აგენტმა, ფანატიკოსმა ჟერარმა. პირველად დიდ პატივში ჰყავდათ კარლოს V და ფილიპე მეორეს, დანიშნეს სარდლად, სახელმწიფო საბჭოს წევრად, ჰოლანდიის და სხვა პროვინციების მმართველად, მაგრამ ფილიპე უკვე აღარ ენდობოდა, ალბამ კი 13 წლის ვაჟი მძევლად წაჰგვარა, თვით ვილჰელმს სისხლიან სამსჯავროზე (ნ.) გამოცხადება ებრძანა და კანონგარეშედ გამოცხადდა. მაშინ გადამდგარმა პრინცმა აშკარა ბრძოლა გაუმართა გადამთიელებს, რაც 1579 წ. უტრეხტის ზავით (უნიით) და ნიდერლანდების შეერთებული რესპუბლიკის შექმნით დამთავრდა.

ვილჰელმ III ორანელი (1650—1702) — ჰოლანდიის შტატჰალტერი, გამოჩენილი სარდალი, რომელმაც საფრანგეთში არ შეუშვა ლუდოვიკო XIV, აუგსბურგის კავშირი შეკრა მოძალადის წინააღმდეგ და აიძულა ეცნო ინგლისის მეფედ (სულ სხვაა ვილჰელმ I ორანელი პრინცი ნ. ზემოთ).

ვინცენტ ბოველი (1190—1264) — ლუდოვიკო მეთერთმეტის ბიბლიოთეკარი, „სარკედ“ წოდებული ენციკლოპედიის ავტორი.

ვიქტორ-ემანუელ II — იტალიის ძეფე (1861—78). პირველად მხოლოდ სარდინიის მეფე იყო, ოცნებობდა იტალიის გაერთიანებაზე, რაც 1860 წლიდან გარიბალდიმ იკისრა, ორივე სიცილიის მეფეს შეუტია, სძლია, თითქმის მთელი იტალია შეუერთა სარდინიის სამეფოს, მერე დიქტატორის რწმუნება მოიხსნა და გვირგვინი ვიქტორ-ემანუელს ჩააბარა, მაგრამ შემდეგ უმადურმა მონარქმა თვით გარიბალდი შეიპყრო და ძმურად გაუწოდა ხელი... პაპს, რომელმაც ის შეაჩვენა. 1870 წელს ფრანგთა ხიშტებით რომიც აიღეს და პაპის სატახტო ქალაქი მეფის სატახტო ქალაქად იქცა.

ვოლატერანი, რაფაელ (1452—1522) — იტალიელი მწერალი, ტოსკანელი, აღწერა, სიქსტ IV, ინოკენტი VIII, ალექსანდრე VI და პიუს III ცხოვრება.

ზიარება — ქრისტიანული ეკლესიის მთავარი საიდუმლო, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მორწმუნე მღვდლის ხელით იღებს პურსა და თეთრ ღვინოს, ვითომ ამით ეზიარება ქრისტეს ხორცსა და სისხლს და მიეტევება ცოდვები (ქრისტიანული მოძღვრებით, ქრისტემ ჯვარზე ასვლით უკვე გამოისყიდა ყველა მორწმუნის ცოდვა, მაგრამ თვით ეკლესია ეწინააღმდეგება ამ ცნობას, მოითხოვს აღსარებას, რაც ხშირად დასმენის წყაროდ ქცეულა, და ცოდვების გამოსყიდვის მრავალ ღონისძიებას — ინდულგენციების შეძენას და სხვ. ეკლესიის მტკიცებით, მორწმუნე პურისა და ღვინის მირთმევით „ეზიარება" ღმერთის სისხლსა და ხორცს, ამასთან მღვდლებსა და ეპისკოპოსებს ორივე სახის ზიარების მიღება მოეთხოვებათ, უბრალო მორწმუნეებს კი შეუძლიათ მხოლოდ პურის ნამცეცები მიირთვან, რაც ამ ფაქტიურად წარმართული ცერემონიალის ნამდვილ ხასიათზე მიუთითებს.

თეოდორ გაზელი (1400—76) — იტალიელი ჰუმანისტი, ისტორიკოსი, თარგმნა ანტიკური ავტორები (ჰომეროსი, არისტოტელე, ციცერონი).

თვითგვემა — ფანატიკურად მორწმუნე ქრისტიანთა სულელური ჩვევა, რომ აწამონ საკუთარი თავი (ჯაჭვით, ბორკილით, შოლტით, ლურსმნებით...). ეს ითვლებოდა ზნეობრივ გმირობად, რითაც ღმერთის გულს ინადირებდნენ.

თომა აქვინელი (1225—74) — დიდი იტალიელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, „დიდი სქოლასტიკის" მთავარი ბურჯი, რომლის

იდეალისტური ფილოსოფიური თეორია (თომიზმი) საფუძვლად დაედო კათოლიციზმს.

იაკობ I სტიუარტი — ინგლისის მეფე (1603—25), მარიამ სტიუარტის და ჰენრიხ დარნლეის შვილი, საძულველი დესპოტი, ელისაბედის (ნ.) გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე, რომლის ძიებასაც დედამისი შეეწირა. მოუწყვეს დენთის შეთქმულება.

იაკობ II — ნ. იორკის ჰერცოგი.

იანსენისტები — იმ ოპოზიციური დაჯგუფების წევრები, რომელიც კათოლიკური ეკლესიის შიგნით შექმნა კორნელი იანსენმა, ჰოლანდიელმა ღვთისმეტყველმა (1585—1638). სასტიკად ებრძოდნენ იუზეიტებს, პაპის დესპოტიზმსა და უზნეობას, ქადაგებდნენ მორალურ სრულყოფას ეკლესიის გარეშე, უბრალოებას. სასტიკად დევნიდნენ, სჯიდნენ, აწამებდნენ.

იერონიმე (348—420) — ცნობილი განდეგილი, ეკლესიის მამა, მწერალი, მთარგმნელი. შეასრულა ბიბლიის ახალი თარგმანი (ვულგატადან), შეადგინა ქრისტიან მწერალთა კატალოგი. სიცოცხლის ბოლო 40 წელი უდაბნოებსა და განმარტოებულ სენაკში გაატარა.

იერონიმე პრაღელი — ჰუსის მოწაფე, ნ. ჰუსი.

იესო ნავინი — ბიბლიური წინასწარმეტყველი, მოსეს მემკვიდრე, ეგვიპტის ტყვეობიდან წამოყვანილი ისრაელი ხალხის წინამძღოლი, მოახდინა რამდენიმე სასწაული უდაბნოში, შეაჩერა მზე, რომ ძლეული მტრის მუსრვა დაესრულებინათ. ეს ლეგენდა ეკლესიის მამებმა დედამიწის უძრაობის საბუთად გამოიყენეს.

ინვესტიტურა (ლათ. ვესტის-სამოსი) — ეპისკოპოსად ან აბატად შემოსვა და კურთხევა. აძლევდნენ კვერთხს, ბეჭედს, სკიპტრას (საერო ძალაუფლების დამორჩილების ნიშნად). XI—XII საუკუნეებში მეფეები და პაპები ამ „შემოსვის" უფლებისათვის იბრძოდნენ.

ინტერდიქტი — ღვთისმსახურების დროებითი აკრძალვა (ლათ. ინტერდიქტ — აკრძალვა) გარკვეულ ტერიტორიაზე (მხარეზე, სახელმწიფოში, ქალაქში), რასაც X საუკუნიდან რომის პაპები მიმართავდნენ ურჩთა დასასჯელად (ხალხი არ მოითმენდა ეკლესიების დაკეტვას).

ინტრონიზაცია — მღვდელმთავრის აყვანა ტახტზე.

ინფესურა, სტეფანო (გარდ. დაახ. 1500) — რომის მაგისტრატის მდივანი, ცნობილი „რომის დღიურის“ ავტორი (პაპთა ისტორია 1292—1494 წლებში), XV საუკუნის პაპების ულმობელი მტერი.

იოანე II კომნენი —ბიზანტიის იმპერატორი (1118—1143), წარმატებით ებრძოდა პაჭანიგებსა და იკონიის სულთანს.

იოანე ნათლისმცემელი — მითიური წინასწარმეტყველი, რომელმაც იწინასწარმეტყველა ქრისტეს გამოცხადება, მერე მონათლა იესო ქრისტე და მრავალი სხვა ებრაელი.

იობი — ბიბლიური გმირი, რომელმაც უდრტვინველად გადაიტანა უფლის ნებით დატეხილი ყველა უბედურება. „იობის მოთმინება“ საანდაზოდ იქცა.

იორკის ჰერცოგი — ინგლისის მეფე იაკობ II (1685—88) კარლოს II ძმა, რომელიც „სახელოვანმა რევოლუციამ“ ტახტიდან გადააგდო და მეფედ გამოაცხადა სიძე — მისი ასულის მარიამ მეორის ქმარი ვილჰელმ III ორანელი (1689—1702).

იუბილე, საიუბილეო წლები (ლათ. იუბილეუმ, ებრაულიდან: იობელ-ყოჩის რქის მოყვანილობის ბუკი, რასაც დღეზეიმებზე უკრავდნენ) — კათოლიკური ეკლესიის ნებიერი კლირის სიმდიდრის წყარო, საქრისტიანოს უდიდესი საყოველთაო საზეიმო წლები, რომლებიც პაპებმა მოიგონეს ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებისა და დაცარიელებული ხაზინის შევსების მიზნით. ამ წლებში რომს მილიონობით მიმლოცველი აწყდებოდა, პაპის სალარო ოქროვერცხლს ვერ იტევდა, მერე ეს თანხა ძირითადად ორგიებში იხარჯებოდა. პირველად ბონიფაციუს მერვემ გამოაცხადა 1300 საიუბილეო წლად და დააკანონა მისი გამეორება ყოველ ას წელიწადში (რომს ორი მილიონი მლოცველი ესტუმრა). მის მემკვიდრეებს ეს გრძელი ვადა ხელს არ აძლევდა და სულ ამოკლებდნენ. კლიმენტი VI მოგების წყურვილმა აიძულა საგანგებო ბულით შეემცირებინა შუალედი 50 წლამდე. ასე აღმოჩნდა 1350 წელიც საიუბილეო. 1389 წ. ურბან მეექვსემ „აღმოაჩინა“, რომ ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა და საიუბილეო წლებს შორის მანძილად დაადგინა 33 წელი (ამდენი წელი იცოცხლა ქრისტემ დედამიწაზე). ბოლოს, 1470 წ. პავლე მეორემ ეს ვადაც შეამცირა და იუბილე დააწესა ყოველ 25 წელიწადში, რაც დღემდე რჩება. პაპს უფლება აქვს საგანგებო იუბილეც გამოაცხადოს.

იულიანე განდგომილი (ფილოსოფოსი) — რომის იმპერატორი (361—363), ცდილობდა ძველი რელიგიის აღდგენას, დევნიდა ქრისტიანებს.

იოანე ოქროპირი (ქრიზოსტომი), წმ. (347—407) — კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ეკლესიის მამა, ცნობილი მქადაგებელი და ღვთისმეტყველი, ასკეტი და მიწიერ სიამეთა უარმყოფელი, ებრძოდა ერესს.

კაბალისტიკური ფორმულები — ციფრები, რომლებზედაც თითქოს აგებულია სამყარო და შეიძლება მომავლის წინასწარმეტყველება .საფუძვლად დაედო ძველი აღთქმის თავისებური ახსნა (VIII—IX ს).

კათოლიციზმი (ლათ., ბერძნულიდან: კათოლიკოს — მსოფლიო, მთელი ქვეყნიერების მომცველი) — ქრისტიანული ეკლესიის მთავარი შტო, რაც თავიდანვე პირველობას აცხადებდა. ჯერ კიდევ IV საუკუნეში დაიწყო ეკლესიის დიდი გათიშვა დასავლეთის რომაულ-კათოლიკურ და აღმოსავლეთის ბერძნულ-მართლმადიდებელ ეკლესიებად. ეს გათიშვა თანდათან უფრო ღრმავდებოდა, ვიდრე არ მოხდა სრული გაყოფა (1054). მათი წესების, დოგმების, შეხედულებათა სხვადასხვაობა განსაზღვრა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იმპერიებს შორის არსებულმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა განსხვავებამ, აგრეთვე პირველობისათვის ბრძოლის ეგოისტურმა ჟინმა, რაც ეკლესიის მხდალსა და ცბიერ მსახურთ ყველგან ერთნაირად სჭირთ. კათოლიკურმა ეკლესიამ „ღვთაებრივი მადლის შარავანდედით შემოსა ფეოდალური წყობილება" (ენგელსი). თავისი ფუფუნება, პატივმოყვარეობა და იერარქია დაახლოებით ისევე ააგო, როგორც იმპერიებს ჰქონდათ, თუმცა ეს სულ არ ეწყობა ქრისტეს მოძღვრებას სათნოებასა და უბრალოებაზე.

კათოლიკური ეკლესიის წიაღში შეიქმნა ქრისტიანული ეკლესიის მესამე ძირითადი მიმდინარეობა — პროტესტანტობა ყველა თავისი განშტოებით (ლუთერანები, კალვინისტები, ჰუგენოტები, ანგლიკანები...). მათი უმნიშვნელო განსხვავება, რასაც სარჩულად უფრო ღრმა მიზეზები ედო, კაცობრიობას ასიათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა.

კალვინიზმი — პროტესტანტიზმის ნაირსახეობა, რომლის და-

მაარსებელია ჟან კალვინი, საკ. კოლვენი (1509—64). ჩამომავლობით ფრანგმა, სასტიკმა და უკომპრომისო კალვინმა თავისი მოღვაწეობა შვეიცარიაში გაშალა, ჟენევაში დააძყარა თეოკრატიული რეჟიმი და „ჟენეველი პაპის" წოდება დაიმსახურა. მან დაწვა იმ დროის უდიდესი ექიმი სერვეტი. მისი მოძღვრება გამოხატავდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ ამხედრებული საშუალო წოდების ინტერესებს. კალვინისტები უარყოფდნენ ეპისკოპოსებს, ჯვარს, ხატს, სანთელს, საკურთხეველს, სამღვდელოების გამორჩეულ სამოსელს. ყველა ცერემონიალი იცვლებოდა, ფსალმუნთა საერთო გალობით და სხვ. კალვინიზმი გავრცელდა ინგლისში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, შოტლანდიაში შეერთებულ შტატებში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში. პაპი, ლუთერი და კალვინი არაერთი სატირისა და კარიკატურის საგნად უქცევიათ.

კანოსა — პარმის სამხრეთით აღმართული ციხე-კოშკი, რაც მარკგრაფის ქალს მატილდას ეკუთვნოდა. 1077 წლის იანვარში აქ ფეხშიშველა იმპერატორი ჰენრიხ IV ჭიშკართან მდგომი ევედრებოდა მიღებას პაპს-გრიგოლ მეშვიდეს, რომელიც თავის საყვარელ მატილდასთან ნებივრობდა. კანოსას წასვლა— უდიდესი დამცირების სინონიმად იქცა.

კანუტ II დიდი — დანიის და ინგლისის მეფე (1017—1035). 1014 წ. დანიის ტახტზე ავიდა, მერე გაილაშქრა ინგლისში, რაც ბამბისმა სვენმა დაიპყრო. მეტოქე ედმუნდის გარდაცვალების შემდეგ მთელი ინგლისი მას დარჩა და იქვე გარდაიცვალა, შვეციისა და ნორვეგიის დასაპყრობად მოწყობილი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ.

კაპუცინი (იტ. კაპუცინო — წვეტიანი ქუდი) — მოგლახაკე ბერთა ორდენის წევრი (XVI ს-დან). ეს ორდენი ფრანცისკანელთა განშტოებაა. ებრძოდა რეფორმაციას. იყენენ კაპუცინი ქალებიც; ერთგვარი მაიმუნიცაა.

კარლომანი — იტალიის მეფე (გარდ. 880) — იტალიის მეფე, ლუდოვიკო გერმანელის შვილი, ერგო ბავარია, იტალიიდან განდევნა კარლოს მელოტი, უშვილო იყო და სამეფო ძმებს გაუნაწილა.

კარლოს I დიდი (742—768—814) — ფრანკთა მეფე, რომის

იმპერატორი, შესანიშნავი, ძლევამოსილი მეფე, ცნობილი თავისი ოცდაათწლიანი ომებით სარკინოზებთან, დანიელებთან, ესპანელებთან (წარუმატებლად) და სხვ. დაამხო პაპის დაუძინებელი ჰტრების — ლანგობარდების სამეფო, რისთვისაც ლევ მესამემ 800 წელს იმპერატორად აკურთხა. ზრუნავდა განათლებაზე, თუმცა თვითონ ხელის მოწერაც არ იცოდა.

კარლოს II მელოტი — გერმანიის იმპერატორი, ფრანკთა მეფე (840—77), ლუდოვიკო კეთილმსახურის ერთ-ერთი შვილი, ებრძოდნენ ძმები. ტახტი უანდერძა შვილს ლუდოვიკო II ბლუს.

კარლ (შარლ) ვალუა (1270—1324) — ფილიპე IV ძმა, გამოჩენილი ფრანგი სარდალი, რომელიც ბონიფაციუს მერვის და დონატის დახმარებით თავს დაესხა „თეთრების" პარტიას ფლორენციაში და განდევნა ქალაქიდან. ამით სამუდამო განდევნილობაში მოხვდა დანტე, რომელიც „თეთრებს" ემხრობოდა და პაპისტებს ებრძოდა (თუმცა იმავე დონატის და ჰყავდა ცოლად).

კარლ (შარლ) X — საფრანგეთის მეფე (1824—30). ამ რეაქციონერმა ტირანმა 1830 წლის 25 ივლისს ე. წ. ივლისის ორდონანსებით გააუქმა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, აღადგინა სასტიკი ცენზურა, შემოიღო ახალი რეაქციული საარჩევნო კანონი, დაითხოვა პარლამენტი, მაგრამ მეტად უსუსური წელი ჰქონდა; რომ ამ დიქტატორული ღონისძიებების შედეგები გაეთვალისწინებინა და უკუეგდო. ორი დღის შემდეგ იფეთქა ივლისის რევოლუციამ. უგნური დესპოტი დაემხო, ტახტზე ავიდა ლუი ფილიპე.

კარლ (შარლ) VI — საფრანგეთის მეფე (1380—1422).

კარლ XI — საფრანგეთის მეფე (1560—74).

კარლოს V — ესპანეთის მეფე (1516—55) და გერმანიის იმპერატორი (1519—55), ფილიპე მეორის მამა, საკმაოდ შეზღუდული გონებისა და ცვალებადი ბედის მქონე, მაგრამ ფართოდ ცნობილი და გავლენიანი მონარქი, ებრძოდა თურქებს, საფრანგეთს, მეამბოხე ნიდერლანდებს, იცავდა პაპს და ყოველნაირად ებრძოდა გერმანიაში რეფორმაციას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, ტახტი შვილსა და ძმას დაუთმო და თვითონ ბერად შედგა წმ. იუსტის მონასტერში (ესპანეთში), სადაც გარდაიცვალა 1558 წ.

კარმელიტები — კარმელის მთაზე (პალესტინაში) 1156 წ. დაარსებული ორდენი, რომელიც XIII საუკუნეში ევროპაში გადაბარგდა. 1245 წ. ინოკენტი მეოთხემ ორდენი დაამტკიცა. არსებობდა ქალთა ანალოგიური ორდენიც.

კიბელა — მცირე აზიური წარმოშობის ღვთაება, ღმერთების დედა, ყოველი ცოცხალი არსების სულის ჩამდგმელი.

კლერმონის ყრილობა — ნ. საეკლესიო ყრილობები.

კლირი (ბერძ. კლეროს) — სამღვდელოება, „ხელდასხმული" მსახურები.

კლუნი — ბენედიქტინელთა მონასტერი (ბურგუნდიაში), რომელიც 910 წ. დაარსდა. კლუნიის რეფორმებმა X—XI ს-ში დიდად შეუწყო ხელი პაპის ძალაუფლებისა და ეკლესიის ეკონომიურად გაძლიერებას (სამღვდელოების უქორწინობა, საერო ხელისუფ[illegible]თა ჩაურევლობა საეკლესიო საქმეებში, სიმონიის მოსპობა, პაპის [illegible]ჩევა კარდინალთა საბჭოზე და სხვ., განხორციელდა ნაწილობრივ).

კოლინი, გასპარ დე (1519—72) — გამოჩენილი ფრანგი სარდალი, ადმირალი, ცნობილი პირდაპირობით და სიმამაცით, ჰუგენოტების მეთაური და ბართლომეს ღამის პირველი მსხვერპლი.

კომოდი — რომის იმპერატორი (180—192), ცნობილი თავაშვებული ცხოვრებით და ვერაგობით. მოკლეს მისმა საყვარელმა მარციამ, აზატმა და პრეფექტმა, რომელთაც შემთხვევით გაიგეს, რომ იმპერატორს განზრახული აქვს მათი სიკვდილით დასჯა. სენატმა აქტი დაამტკიცა და კომოდი სამშობლოს მტრად გამოაცხადა.

კონკორდატი — საერო ხელმწიფეთა ხელშეკრულება პაპთან.

კონრად II — გერმანიის იმპერატორი (1024—39), ებრძოდა ურჩ მთავრებს.

კონრად III კეთილმსახური, პირველი ჰოჰენშტაუფენი (ამავე გვარიდან იყვნენ ფრიდრიხ ბარბაროსა და ფრიდრიხ II დიდი) — გერმანიის იმპერატორი (1138—52). მოაწყო მეორე, მარცხიანი ჯვაროსნული ლაშქრობა.

კონსტანტინე I დიდი— რომის იმპერატორი (306—337). ერეოდა ეკლესიის საქმეებში. 313 წ. მილანის ედიქტით ქრისტიანებს ღვთისმსახურების უფლება მიანიჭა: იყენებდა თავისი ინტერესებისათვის.

კონსტანცის საეკლესიო ყრილობა — ნ. საეკლესიო ყრილობები:

კრომველი, ოლივერ (1599—1658) — გამოჩენილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც გადააყირავა ტახტი, სიკვდილით დასაჯა კარლოს I და ინგლისი რესპუბლიკად გამოაცხადა (1649). ადრევე ჩაახშო მონარქიული ამბოხება, გახდა „ლორდ-პროტექტორი" და განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობდა. მემკვიდრედ შვილი დატოვა, რომელმაც მალე ქვეყნის მართვაზე უარი თქვა. არ უნდა აგვერიოს მეორე კრომველთან, ტომასთან, ესექსის გრაფთან და ჰენრიხ მერვის მინისტრთან, რომელსაც კათოლიკეთა ინტრიგების წყალობით ერეტიკოსობა დაბრალდა და თვითონ მეფემ მოჰკვეთა თავი ასიოდე წლით ადრე (1540).

კურფიურსტი — გერმანელი მთავარი, რომელსაც უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო იმპერატორის არჩევაში („კური" — არჩევა).

„ლამენტაბილე" — მუსიკაში ეს სიტყვა ჩივილს, გოდებას ნიშნავს. ინკვიზიციის კონგრეგაციამ კი ასე უწოდა 1907 წლის 3 ივლისს გამოქვეყნებულ დეკრეტს, რაც პიუს მეცხრის „სილაბუსში" გამოთქმულ ობსკურანტულ აზრებს იმეორებს და განავითარებს. ცხადია, სიტყვა გოდება ინკვიზიციასთან უფრო ახლოა, ვიდრე მუსიკასთან. პაპის მორიგ განცხადებაში ჩამოთვლილია 65 დებულება, რაც არ ეწყობა ეკლესიის დოგმებს. პიუს X მთელს პაპურ რისხვას ატეხს იმ მოდერნისტებს, რომლებიც ამტკიცებენ, ქრისტეს აზრადაც არ მოსვლია პეტრეს დაყენება ეკლესიის ერთპიროვნულ მეფედო.

ლამპერტ ჰერსფელდელი (დაახ. 1025—85) — ცნობილი გერმანელი მემატიანე, რომლის „ანალები" გადმოგვცემენ „სამყაროს შექმნიდან" XI ს-მდე მომხდარ ამბებს—სულაც არა ისე ობიექტურად, როგორც ტაქსილი თვლის.

ლატერანი — რომის პაპების სახელგანთქმული რეზიდენცია XIV ს-მდე, აშენდა ნერონის დროს, მერე კონსტანტინე დიდის მეუღლემ ფაუსტამ პაპს აჩუქა (იმდროინდელი მხოლოდ ბაპტისტერიუმი შემორჩა) და 1308 წლამდე პაპთა სასახლეა. მისი ბაზილიკა სან ჯიოვანი ინ ლატერანო უმაღლესი რანგის სამლოცველო იყო მთელს საქრისტიანოში.

ლატერანის ყრილობები — ნ. საეკლესიო ყრილობები.

ლაქტანციუსი — ქრისტიანი მწერალი (IV. ს.). რომელიც ამტკიცებდა, რომ ვინც ქრისტიანებს დევნიდა, ყველა საშინელი ტანჯვით დაიღუპა.

ლეგატი — პაპის ელჩი, დესპანი, საგანგებო მისიით გაგზავნილი რომელიმე ხელმწიფესთან.

ლაშატრი, მორის (1814—1900) — ფრანგი ისტორიკოსი და გამოძიებელი, პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცა. მისი შესანიშნავი შრომებია „პაპთა ისტორია" (1844—43) და „ინკვიზიციის ისტორია" (1880), რომელთაც კასილი ხშირად მიმართავს.

ლეოპოლდ I (იგნატი იოსებ ბალთაზარ ფელიციანი) — გერმანიის იმპერატორი (1658—1705), რომელმაც პროტესტანტიზმის აღმოფხვრის ამაო ცდაში დააქცია სახელმწიფოც და სახელმწიფო სალაროც.

ლესბოსი — კუნძული ეგეოსის ზღვაში, უზნეო სიყვარულის სავანე (ლესბიური სიყვარული). გადმოცემით. აქ ცხოვრობდა პოეტი ქალი საფო, რომელსაც შემოკრებილი ჰყავდა ლამაზი ქალიშვილები (მათი უზნეო ურთიერთობა მეცნიერებამ უარჰყო). არსებობს გ. კურბეს სურათი ამ თემაზე.

ლეტი, გრეგორიო (1630—1701) — იტალიელი ისტორიკოსი. კვლევის საგნად აირჩია ლუდოვიკო XIV, სიქსტ V და სხვ

ლიუტპრანდი (დაახ. 920—72) — ლომბარდიელი ისტორიკოსი, კრემოხის ეპისკოპოსი („იმპერატორი ოტონ დიდი" და სხვ.)

ლოთარ I — ფრანკთა იმპერატორი (840—55), ლუდოვიკო კეთილმსახურის შვილი, არაერთხელ აუმხედრდა მამას და ამ საქმეში ძმები — ლუდოვიკო და კარლოსიც ეხმარებოდნენ, მამის გარდაცვალების შემდეგ კი იმავე ძმებს შეებრძოლა, მაგრამ 841 ფონტენოისთან დამარცხდა და რაინის მხარით დაკმაყოფილდა.

ლოთარ II — გერმანიის იმპერატორი (825—855—869), ლოთარ პირველის შვილი, მამის სამემკვიდროს მისი სახელის მიხედვით ლოთარინგია ეწოდა.

ლოთარ III — გერმანიის იმპერატორი (1075—1125—1137), საქსონიის ჰერცოგი (1133 წლიდან იმპერატორი), ინვესტიტურისათვის ბრძოლაში დაამარცხა ჰენრიხ V, დალაშქრა იტალია.

ლოიოლა, იგნატი (1491—1556) — იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი და მისი პირველი გენერალი, 1622 წ. წმინდანად შერაცხეს (ნ. ტექსტში).

ლოლარდები (ჰოლ. ლოლლენ-ტიტინი) — ინგლისელი გლეხი—ერეტიკოსები XV ს-ში („ღატაკი მღვდლები"), ებრძოდნენ მეფეებს, მოითხოვდნენ ეპისკოპოსის წოდების გაუქმებას. „როცა ადამი ხნავდა, ევა კი რთავდა, მაშინ სადღა იყვნენ ბატონებიო?"— ამბობდა ერთ-ერთი ლოლარდი, უოტ ტაილერის თანამებრძოლი ჯონ ბოლი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს.

ლომბარდიის ლიგა — ჩრდილოეთ იტალიის ქალაქთა კავშირი, რომელიც იმპერატორის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა 1167 წ. და 1176 წ. მილანთან სასტიკად დაამარცხა ფრიდრიხ I ბარბაროსა, ხელი ააღებინა იტალიის დაპყრობის განზრახვაზე.

ლორეტო — ქ. შუა იტალიაში, ადრიატიკის ზღვის ნაპირზე.

ლუდოვიკო IV ბავარიელი — გერმანიის იმპერატორი (1314—1347, დ. 1287), ებრძოდა ავსტრიის მეფეებს, 1327 წ. თავი იტალიის მეფედ გამოაცხადა, მომდევნო წელს კი რომში იმპერატორად ეკურთხა. ათი წლის შემდეგ პაპი აიძულა მოეხსნა შეჩვეხება და ინტერდიქტი. ებრძოდა გერმანელ კურფიურსტებს.

ლუდოვიკო გერმანელი — გერმანიის მეფე (840—876), ლუდოვიკო კეთილმსახურის ერთ-ერთი შვილი (ნ. ლოთარ I).

ლუდოვიკო I კეთილმსახური (778—814—840) — გერმანიის იმპერატორი (მანამდე ფრანგთა მეფე), კარლოს I დიდის შვილი, ღვთისმსახურთა მორჩილი მონა, ხუსტი მბრძანებელი, რომელიც ვერ მოერია ვერც მეამბოხე შვილებს, ვერც აშლილ მთავრებს. არაერთხელ წაართვეს ტახტი, მერე საშეფო შვილებს დაუნაწილა, თავისთვის მხოლოდ ტიტული დაიტოვა. საქმის განსახილავად ვორმსში სეიმი დანიშნა, მაგრამ გახსნამდე გარდაიცვალა.

ლუდოვიკო II ბლუ — კარლოს მელოტის შვილი, ფრანგთა მეფე (877—79).

ლუდოვიკო VI სქელი — საფრანგეთის მეფე (1108—1137), ეუფლობოდა ეკლესიას, ებრძოდა თავგასულ მთავრებს.

ლუდოვიკო IX წმ. (1215—1226—70) — საფრანგეთის მეფე,

ბრმად მორწმუნე ფანატიკოსი, ჯვაროსნულ ლაშქრობაში წავიდა პალესტინაში თურქებს ჩაუვარდა ტყვედ, ძლივს გამოისყიდა თავი. 1270 წ. მეორედ ილაშქრა, ამჯერად ტუნისში, სადაც „ქრისტეს საფლავს“ ეძებდა და ჭირი იპოვნა. პაპმა წმინდანად შერაცხა.

ლუდოვიკო XII — საფრანგეთის მეფე (1498—1515).

ლუდოვიკო XIII — საფრანგეთის მეფე (1613—43), ჰენრიხ IV შვილი. ტახტზე 9 წლისა აიყვანეს, რეგენტად დაუნიშნეს დედა — მარიამ მედიჩი, მერე ქვეყანას ფაქტიურად კარდინალი რიშელიე განაგებდა. უნიათო მეფე მხოლოდ ადასტურებდა მის ნებას და იშვიათად იჩენდა ინიციატივას.

ლუდოვიკო XVIII — საფრანგეთის მეფე (1814—24), საფრანგეთის რევოლუციის დროს გილიოტინირებულ ლუდოვიკო მეთექვსმეტის ძმა (უმცროსი), 1814 წლამდე ემიგრაციაში იყო, ასი დღის ბატონობის დროს ნაპოლეონმა ისევ განდევნა. ეყრდნობოდა რეაქციონერ დიდკაცობას და სამღვდელოებას.

ლუვრი — საფრანგეთის მეფეთა ძველი რეზიდენცია (XVIII ს.—დან). დიდი რევოლუციის შემდეგ მსოფლიოში განთქმულ ხელოვნების მუზეუმად იქცა.

ლუთერი, მარტინ (1483—1546) — დიდი გერმანელი რეფორმატორი, ლუთერანული ეკლესიის მამამთავარი, პაპთან ბრძოლაში მხარს უჭერდა მრავალი გერმანელი მთავარი. ერთ დროს მგზნებარე მქადაგებელი, პაპთა მამხილებელი და ტირანთა რისხვა, დოქტორი ლუთერი 1524—25 წლებში გლეხთა აჯანყების დროს ფეოდალებს მიემხრო, გლეხთა ჟლეტას მოითხოვდა.

ლუთერანობა — პროტესტანტიზმის ერთი მთავარი მიმდინარეობა, აქვს უფრო გამარტივებული წესები, იცავს მხოლოდ ნათლობისა და წმინდა ზიარების საიდუმლოებას, ჭეშმარიტების წყაროდ თვლის მხოლოდ წმინდა წერილს — არა პაპთა და ყრილობათა გადაწყვეტილებებს... ყველაზე დიდი გავრცელება ჰპოვა გერმანიაში. სკანდინავიაში, შეერთებულ შტატებში.

ლუი ფილიპე, ორლეანის ჰერცოგი, საფრანგეთის მეფე (1830—48). ჯერ ივლისის რევოლუციას ემხრობოდა, მერე ძალაუფლება თვითონ ჩაიგდო ხელში და მდიდარი ბურჟუების მეფე გახდა. აღმფოთებული ხალხი აეშალა, მოკვლის ამაო ცდის შემდეგ 1848

წლის 24 თებერვალს ისევ რევოლუციამ იფეთქა და ლუი ფილიპეს ინგლისში მოუხდა გაქცევა.

ლუკულის ნადიმი — რომის კონსულის ლუკულის სიმდიდრე საანდაზოდ იქცა. მის მეფურ ნადიმებზე პლუტარქი ლაპარაკობს.

ლუციფერი — ქრისტიანული მითოლოგიით: სატანა, წყვდიადის სული, ღამურისფრთებიანი მეუფე ქვესკნელისა.

მაზარინი, ჟიულ (1643—61) — კარდინალი, ლუდოვიკო მეცამეტის მეუღლის, ანა ავსტრიელის ფავორიტი, ლუდოვიკო მეთოთხმეტის პირველი მინისტრი, რიშელიეზე უფრო ლმობიერი იყო, მაგრამ ნიჭით ძლიერ ჩამორჩებოდა.

მაკიაველი, ნიკოლო და ბერნარდო დეი (1469—1527) — სახელგანთქმული ფლორენციელი მოაზროვნე, ისტორიკოსი, მედიჩების განდევნის შემდეგ-რესპუბლიკის ათთა საბჭოს მდივანი. 1512 მედიჩებმა შეთქმულება დასწამეს, შეიპყრეს, აწამეს, გამართლების შემდეგ კი დაწერა ტრაქტატი „ხელმწიფე“ და მბრძანებელთა განუსაზღვრელი ძალაუფლება იქადაგა, ამასთან განადიდა ძველი რომი, სადაც იმპერატორი თავისუფალი იყო მორალური ბორკილებისაგან. ტირანი მედიჩი გამოაცხადა იდეალურ ხელმწიფედ, დასაშვებად ჩათვალა ყველა ღონისძიება (მკვლელობა, მოწამვლა, სიცრუე, ძალადობა). ამიტომ უპრინციპო, სიცრუეზე აგებულ ხელისუფლებას მაკიაველიზმი ეწოდა.

მართლმადიდებლობა — ქრისტიანული რელიგიის აღმოსავლური განშტოება (სულ სამი განშტოებაა: კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა და პროტესტანტიზმი). გამოყოფა დაიწყო 395 წლიდან, მაგრამ საბოლოოდ გამოეთიშა კათოლიკობას 1054 წელს და კათოლიციზმივით ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიის პრეტენზიას აცხადებს. მისი მოძღვრების საფუძველია ბიბლია და „წმინდა გადმოცემა“ (ეკლესიის მამათა თხზულებანი, ყრილობის დადგენილებანი). მისი სიმბოლო სარწმუნოებისა სამებაა: მამა — ღმერთი, ძე— ღმერთი და სულიწმინდა, რომელიც მამა — ღმერთისაგან გამოდის (კათოლიკური სარწმუნოების მიხედვით კი — მამა-ღმერთისა და ძე— ღმერთისაგან). მართლმადიდებლობა ცნობს მარადიულ სასუფეველს, ცოდვის გამოსყიდვას, რა მიზნითაც იესო-ქრისტე ეწამა და სხვ.

არსებობს 14 ავტოკეფალური (დამოუკიდებელი) მართლმადიდებელი ეკლესია: ალბანეთის (არქიეპისკოპოსი), ალექსანდრიის

(პატრიარქი — პაპი), ანტიოქიის (ეპარქიები), ბულგარეთის (პატრიარქი), ქართული (კათალიკოს-პატრიარქი), კვიპროსის (არქიეპისკოპოსი), კონსტანტინოპოლის (პატრიარქი), პოლონეთის (მიტროპოლიტი), რუმინეთის (პატრიარქი), რუსეთის (პატრიარქი, სინოდი), სერბიის (პატრიარქი), ჩეხოსლოვაკიის (მიტროპოლიტი), ელადის (არქიეპისკოპოსი) ეკლესიები.

საქართველოშიც მიიღო რამდენიმე გამოჩენილმა პირმა კათოლიკობა. ზოგი ამაში ხედავდა მუსულმანური აღმოსავლეთისაგან ხსნის გზებს. მაგრამ მარტო ამ წიგნის გაცნობა ნათელჰყოფს, რაოდენ მცდარი და უპერსპექტივო იყო იმ მოღვაწეთა გზა, რომელთა საორიენტაციო ისარიც როძისაკენ იხრებოდა — არა მარტო რომის სიშორისა და უმწეობის, არამედ რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ძეთაურთა სიცრუისა და სისასტიკის გამოც.

ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა ჯერ კიდევ 484 წელს (ადრე ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდა). ამჟამად მთლად საქართველოს კათალიკოს — პატრიარქის ადგილსამყოფელია თბილისი (სიონი). 1811 წლიდან ქართული ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა, როგორც საეგზარქოსო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოიპოვა ავტოკეფალია, რაც სინოდმა მხოლოდ 1943 წ. ცნო. ამჟამად მისი მეთაურია სრულიად — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II.

მარიან მედიჩი (1573—1642 — ფრანც I ასული, ჰენრიხ (ანრი) IV მეუღლე და მისი გარდაცვალების შემდეგ — მცირეწლოვან ლუდოვიკო მეცამეტის რეგენტი. თავნება, პატივმოყვარე და ქარაფშუტა დედაკაცი. ჰუგენოტების დევნითა და ხაზინის ფლანგვით ყველა წოდება აიმხედრა. ძალაუფლებას კარდინალმა რიშელიემ ჩამოაშორა.

მარიამ სტიუარტი — შოტლანდიის დედოფალი (1542—87), ინგლისის ტახტის მაძიებელი, რომელსაც მხარს უჭერდნენ კათოლიკური ესპანეთი და რომის პაპი. 19 წელი ჰყავდა ტყვეობაში ელისაბედს, მერე თავი მოჰკვეთა. მის ცხოვრებაზე შილერმა დრამა შექმნა, ცვაიგმა — ბიოგრაფიული რომანი.

მარიამ ტიუდორი (სისხლიანი) — ინგლისის დედოფალი (1553—58), უკიდურესი კათოლიკე, სასტიკად დევნიდა რეფორმაციის მომხრეებს, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ესპანეთის ფანატიკოს

მბრძანებელს ფილიპე II მისთხოვდა. ლონდონში შესვლისთანავე სისხლის გუბეები დააყენა, რისთვისაც ისტორიამ საკადრისი ეპითეტით შეამკო. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა ელისაბედი (ნ).

მარიანა, ჟან (1537—1624)— ესპანელი იეზუიტი, დაწერა „ესპანეთის ისტორია".

„მატერ ეტ მაგისტრა" (ლათ. „დედა და დამრიგებელი") — იოანე XXIII მიერ გამოშვებული ენციკლიკა (და მისი საწყისი ფრაზა), რაც 1961 წ., ლევ მეცამეტის ენციკლიკის („რერუმ ნოვარუმ") გამოქვეყნებიდან 70 წლისთავზე გამოვიდა. ესაა კათოლიკური ეკლესიის ახალი საპროგრამო დოკუმენტი, კომუნიზმისა და პროგრესის პასუხად შექმნილი. აღიარებს ხალხთა ცხოვრებაში მოხდარ გრანდიოზულ ცვლილებებს და საჭიროდ ცნობს მასთან შერიგებას, ოღონდ საამისოდ პაპი საჭიროდ თვლის გარკვეული დროის გავლას და მაგალითად ასახელებს საფრანგეთის დიდ რევოლუციას, რომლის „მონელებას" ეკლესია ასი წელი მოუნდა.

მაქსიმილიან I — გერმანიის იმპერატორი, „უკანასკნელ რაინდად" წოდებული (1459—1493—1519), ცაამყარა „მარადიული. შინაური ზავი", მიემხრო წმინდა ლიგას, წარუმატებლად ებრძოდა საფრანგეთს, იტალიას, ბურგუნდიას.

მაქსიმილიან II (1527—1564—1576) — გერმანიის იმპერატორი, ამაოდ ცდილობდა კათოლიკური და პროტესტანტული პარტიების მორიგებას.

მაძინი, ჯუზეპე (1805—72) — იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, პატრიოტი. იტალიიდან განდევნილმა მარსელში დაარსა „ახალგაზრდა იტალის" საზოგადოება (1831), რისთვისაც სამშობლოში სიკვდილი იესაჯა ძველმა იტალიამ, რომელსაც ებრძოდა. აქტიურად მონაწილეობდა 1848—49 წ. რევოლუციაში. 1866 წ. იტალიის გაერთიანების გამო ვიქტორ-ემანუელმა ამნისტია უბოძა, მაგრამ სამშობლოში მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაბრუნდა. მისი დევიზი იყო „დიო ე პოპოლო" — ღმერთი და ხალხი.

მედიჩები — ფლორენციის მბრძანებელ-ბანკირთა სახელგანთქმული ოჯახი, ცნობილი თვითნებობით, ხელოვანთა მფარველობით, ფუფუნებითა და ვერაგობით. სრული სამასი წელი გასაგებდნეი

ფლორენციას (1434—1737), და ეს იყო უსასრულო ინტრიგების, მკვლელობის, მოწამვლის, დევნის საუკუნეები. პირველად ძალაუფლება ხელთ იგდო კოზიმო 1 მედიჩიმ 1434 წ. და ბატონობდა 1464 წლამდე, როგორც დიქტატორი. ღრმად განათლებული და დიდი გემოვნების კაცი იყო, „ბრძენსა“ და „სამშობლოს მამას“ ეძახდნენ. მისი შვილიშვილი ლორენცო ბრწყინვალე კიდევ უფრო ცნობილი გახდა გემოვნებით, ცოდნით, პოეტური ფანტაზიით, ორატორული ნიჭით, მიქელანჯელოსთან მეგობრობით (1449—92). დაამშვენა ფლორენცია დიდებული სასახლეებით, სამხედრო აკადემიით, სადაც მიქელანჯელო სწავლობდა. მის დროს ფლორენციამ ხელოვნების აყვავებისა და ძლიერების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. შურიანმა პაპმა სიქსტ IV, კარდინალმა რიარიომ და არქიეპისკოპოსმა სალვიატიმ ძმებს შეთქმულება მოუწყვეს, მაგრამ მოახერხეს მხოლოდ ჯულიანოს მოკვლა. პაპმა სალვიატის ჩამოხრჩობისათვის დაწყევლა რესპუბლიკა, მაგრამ იძულებული გახდა შერიგებოდა. ლორენცო დაბრუნდა, ისევ ფუფუნებაში ჩაეფლო და ქონება გაფლანგა, მისი ვალი რესპუბლიკამ დაფარა.

ამ ოჯახიდან გამოვიდნენ ჯიოვანი მედიჩი (ლორენცო I ბრწყინვალის შვილი) — ლევ X; მისი ძმა პიერო II — სასტიკი და საძულველი დესპოტი (ხალხი ამხედრდა, ტირანი გაიქცა, მდინარეში დაიხრჩო); ეკატერინე მედიჩი — ლორენცო II ასული, საფრანგეთის დედოფალი; ალექსანდრო — უწყალო ტირანი, რომელიც კარლოს V დახმარებით ჰერცოგი გახდა და ნათესავმა ლორენცომ მოკლა (მერე ეს ლორენცოც ხანჯლით განგმირეს); ცნობილი სარდალი ჯიოვანი მედიჩი, მარიამ მედიჩი (ჰენრიხ IV მეუღლე) და სხვა. 1530 წ. კოზიმო მედიჩი ფლორენციის შეუზღუდავი მბრძანებელი გახდა.

მეზერეი (1610—83) — ფრანგი ისტორიკოსი („საფრანგეთის ისტორია“).

მემბური, ლუი (1610—86) — ფრანგი იეზუიტი, ეკლესიის ისტორიკოსი.

მესა (ფრ.) — კათოლიკეთა წირვა, კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიის მთავარი ნაწილი.

მესალინა — გარყვნილი, ურცხვი, გლისპი და უზნეო დედაკაცი (რომის იმპერატორ კლავდიუსის მესამე ცოლი, სისასტიკით ცნო-

ბილი მეძავი, ქმრის სიცოცხლეშივე გაპყვა მის აზატს. 48 წ. ეს ქალი მოკლეს).

მეფე — მწვალებელი — ასე ეძახდნენ კათოლიკები ჰენრიხ (ანრი) მეოთხეს.

მეჰმედ II დამპყრობელი, მეჰმედ დიდი — თურქეთის ცნობილი სულთანი (1451—81), რომელმაც 1453 წ. აიღო კონსტანტინოპოლი, ამით დაამხო ბიზანტიის ქრისტიანული იმპერია, მის დედაქალაქს კი ეწოდა სტამბოლი. მეჰმედის ურდოებმა სხვა მრავალი ტერიტორიაც დაიპყრეს მცირე აზიაში, ყირიმში, ბალკანეთში, დაიკავეს ათენი, ვალახია, სერბია. მამაცი ვენეცია შეუპოვრად ებრძოდა ოსმალთა მრისხანე მბრძანებელს, მაგრამ ღვარძლიანი პაპი სარწმუნოებაზე მაღლა თავის ღორულ სტომაქს აყენებდა, რესპუბლიკას არავინ მიეშველა და თექვსმეტწლიანი ომი დამთავრდა კონსტანტინოპოლის ზავით (1479). ვენეციამ სულთანს ეგეოსის კუნძულები დაუთმო, ხარკი მისცა, სამაგიეროდ თურქეთში უბაჟო ვაჭრობის უფლება მოიპოვა.

„მიზერერე“ — შემიწყალენ: ფსალმუნთა წიგნის ცნობილი თავის საწყისი სიტყვები: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოებანი ჩემი“ (ფსალმ., 50, I).

მიტრა — ეპისკოპოსის ქუდი.

მიქელანჯელო ბუონაროტი (1475—1564)— გენიალური იტალიელი (ფლორენციული) მხატვარი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი, პოეტი (ქართულად მის შესახებ გამოცემულია როზემარია შუდერის რომანი „მიჯაჭვული ტიტანი“).

მონტე-კასინო — სახელგანთქმული მონასტერი ნეაპოლის მახლობლად, ბენედიქტე ნურსიელის დაარსებული 529 წ., შექმნა ორდენის წესდება.

მონფორი, სიმონ დე-რაინდთა ლაშქრის ბელადი, რომელმაც 1209 წ. ბარბაროსულად შემუსრა ალბიგოელები და მათს მიწებს დაეპატრონა. მოკლეს ამბოხებულ ლანგედოკში 1218 წელს.

მორჩილი — ბერთა შეგირდი, რომელიც მონასტერში მოსამზადებლად შედის და მოსამსახურის როლსაც ასრულებს.

მოსე — ბიბლიური წინასწარმეტყველი, ისრაელთა წინამძღოლი, რომელმაც თავისი ხალხი ეგვიპტიდან გამოიყვანა და აღთქმუ-

ლი ქვეყნის გზაზე კანონები მისცა (იაღვეშ უკარნახაო სინაის მთაზე, ამბობს ლეგენდა).

„მტრედის როლი...“ — ლეგენდის თანახმად, იოსების მეუღლეს მარიამს მტრედის სახით მოვლენილმა სულიწმინდამ აუწყა, იესო დაიბადებაო. ამ ლეგენდის გახსენებით ტაქსილი ირონიულად ლაპარაკობს გრიგოლ მეშვიდეზე, რომლის ნამდვილი მამა ღვიძლი ბიძა იყო.

მურატორი, ლუი ანტონ (1672—1750) — იტალიელი ისტორიკოსი და არქეოლოგი, გამოსცა მატიანეთა 21 — ტომეული.

მუსოლინი, ბენიტო (1883—1945)— ფაშიზმის ბელადი, რომელმაც 1919 წ. პირველად შექმნა ეს საზარელი პარტია და უწოდა „ფასცი“ (კონა). 1922—43 წლებში იტალიის დიქტატორი იყო. მოსპო ყოველგვარი დემოკრატიის ნასახი, დაამყარა ტერორისტული რეჟიმი, მოაწყო აგრესიული ომი ეთიოპიაში (1935—36) და ამით მსოფლიო ომის პირველი კერა ვააჩაღა, მერე დაეხმარა ფრანკოს. 1943 წ. ჰიტლერული გერმანიის „ძალამ“ ვეღარ იხსნა, მისი დიქტატურა დაემხო და „დუჩე“ ჩრდ. იტალიის შეფად დაინიშნა. 1945 წ. შვეიცარიაში გაქცევის ცდის დროს პარტიზანებმა შეიპყრეს და დახვრიტეს. დღევანდელი ვატიკანის სახელმწიფო მისი ნებითაა შექმნილი 1929 წელს.

„მწამს, რადგან სისულელეა“ (ლათ. კრედო ქვია აბსურდუმ)— საეკლესიო მწერლის ტერტულიანის გამოთქმა (დაახ. 160—220), რომლის პირდაპირი აზრია: ადამიანის გონება უძლურია ჩასწვდეს საეკლესიო ჭეშმარიტებებს.

მაქსენციუსი — რომის სასტიკი და გახრწნილი იმპერატორი (307—312). ჯერ გადამდგარი მამა მოიწვია თანამმართველად, მერე განდევნა, თავის თანამმართველ კონსტანტინე დიდს შეება, დამარცხდა, გაიქცა, ტიბრში ჩაიხრჩო.

ნანტის ედიქტი — ისტორიული აქტი, რომელიც 1598 წ. დაამტკიცა ჰენრიხ მეთოხემ. ამით დასრულდა რელიგიური ომები საფრანგეთში (1562—94). ამ საკანონმდებლო დადგენილების თანახმად საფრანგეთის მთავარ სარწმუნოებად კათოლიკობა ცხადდებოდა, მაგრამ ჰუგენოტებსაც ეძლეოდათ თავისუფალი ღვთისმსახურების უფლება ყველგან, პარიზის გარდა; დაუბრუნდათ არჩევისა და ქალაქთა მართვის უფლებებიც. მაგრამ ლუდოვიკო XIII და

XIV ყოველდღე არღვევდნენ ამ ედიქტს, 1685 წ. კი სულაც გააუქმეს.

ნაპოლეონ I ბონაპარტე — საფრანგეთის სახელოვანი სარდალი (1769—1821), კორსიკელი აზნაურის შვილი, შვა პირდაპირ ბრძოლის ველიდან მოსულმა დედამ. რევოლუციური არმიის გენერალმა ილაშქრა იტალიაში, აფრიკაში, სადაც მამელუკები დააძარცხა. მისმა კორპუსმა პაპის რომი აიღო. 1804 წლიდან 1815 წლამდე იმპერატორი იყო. რუსეთში ლაშქრობამ წელში გატეხა მისი ძლევამოსილი იმპერია. პაპობა არ მოსპო, რადგან მსოფლიო ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ესაჭიროებოდა. როცა მოკავშირეებმა სძლიეს, თავისი მცირეწლოვანი ვაჟის სასარგებლოდ ტახტზე უარი თქვა, მაგრამ ყრმა ნაპოლეონ II (1811—32) მხოლოდ რამდენიმე დღით იჯდა ტახტზე, ნომინალურად.

ნაპოლეონ III — საფრანგეთის იმპერატორი (1852—70), ჰოლანდიის მეფის ლუი ბონაპარტეს და ჰორტენზია ბოგარნეს — ნაპოლეონ ბონაპარტეს გერი ქალის შვილი. მღელვარე ახალგაზრდობის შემდეგ (არაერთხელ დააპატიმრეს და განდევნეს) ჯერ რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა, მერე კი 851 წ. 2 დეკემბერს მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და თავი ფრანგთა იმპერატორად გამოაცხადა. საფრანგეთი აბსოლუტური მონარქია გახდა. მონაწილეობა მიიღო ყირიმის ომში, შეკრა ვესტფალის ზავი, ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებლის როლს იჩემებდა, ებრძოდა ავსტრიას იტალიაში, გარიბალდის მოლაშქრეები დაამარცხეს მისმა ჭარბმა ძალებმა, მერე კლერიკალთა და რეაქციონერთა რჩევით გერმანიასთან ომი გააჩაღა. ბისმარკის გერმანიამ სასტიკად დაამარცხა. სედანთან ნაპოლეონ III ტყვედ ჩავარდა, მთელს თავის არმიასთან ერთად. განთავისუფლების შემდეგ ინგლისს მიაშურა, სადაც ოჯახი ჰყავდა. სამი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ნეკრომანტია — მიცვალებულთა სულების შემწეობით მკითხაობა.

ნეოკესარიის საეკლესიო ყრილობა — ნ. საეკლესიო ყრილობები.

ნეპოტიზმი (ლათ. ნეპოს — ბიძაშვილი) — ნათესავთა მფარველობა.

ნიდერლანდების შეერთებული პროვინციები — ნიდერლანდე-

ბის რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდება უტრეხტის უნიის შემდეგ (1579).

ნიკეის საეკლესიო ყრილობა — ნ. საეკლესიო ყრილობები.

ნიკოლაიტები — ებრაელთა მოპირდაპირე ადრეულ ქრისტიან ერეტიკოსთა სექტა, რომლის „ნათლია" იყო წმინდა მოციქულთა საქმეში ნახსენები დიაკონი ნიკოლოზი (ასეთ დიაკონთა რიცხვი სულ შვიდი იყო). უარყოფდნენ საეკლესიო ყრილობების დადგენილებებს, დასაშვებად თვლიდნენ სამსხვერპლო ხორცის ჭამას, ცოლთა საზიარო საკუთრებას და მრუშობას. ტაქსილი შეცდომით თვლის სექტის დამაარსებლად II საუკუნის ქრისტიან მწერალს, ბერძენ ჰერმას: აღმოსავლეთში I საუკუნეში უკვე არსებობდა ასეთი სექტა (არ უნდა აგვერიოს ბოჰემელი ნიკოლაიტების სექტასთან, რაც 1417 წ. დააარსა გლეხმა ნიკოლოზმა და ეკლესიას ებრძოდა).

ნოტაბლები (წარჩინებულნი) — ფრანგი დიდებულნი, შეძლებული მოქალაქეები, რომელთაც მეფე საგანგებო შემთხვევებში იწვევდა სათათბიროდ.

ნუმიდია — რომის პროვინცია ჩრდილოეთ აფრიკაში (ახლანდელი ალჟირის ტერიტორიაზე). 305 წ. მის დედაქალაქ ცირტაში ყრილობა შეიკრიბა. „ეპისკოპოსის კვერთხი მიიღო ყველაზე უფრო ულირსმა" — იგულისხმება სილვანი, მუხანათი ლაქია, რომელმაც წმ. წიგნები დაწვა.

ნუნციუსი (ლათ. შიკრიკი). — პაპის მუდმივი ელჩი უცხო დედაქალაქებში.

ორიგენი — ეკლესიის მამა (184—254) — ფრიად ნაყოფიერი მწერალი, ძველი და ახალი აღთქმის კომენტატორი. დევნა განიცადა, როგორც ერეტიკოსმა (ანასტასი პირველმა კი გვიან, 399 წ. ოფიციალურად გამოაცხადა ერეტიკოსად). ცდილობდა ბერძენთა ფილოსოფიის (პლატონის) მისადაგებას ქრისტიანობასთან. შეადგინა „ექვსმაგი" (ექსაპლა): ბიბლიის ებრაული, ბერძნული, 70 კომენტატორის და სხვ. ტექსტების ნუსხა ექვს სვეტად.

ორლესული მახვილი — პაპის კვერთხი, სასულიერო და საერო ხელისუფლების სიმბოლო.

ოტომანთა იმპერია — ასე ეწოდა იმპერიას, რომლის დამაარსებელია ოსმან (არაბ. ოტმან) I (1288—1326) — პირველი სულთანი.

ოტონ I დიდი (912—936—973) — წმინდა რომის იმპერიის

(გერმანიის) იმპერატორი, ჰენრიხ I შვილი, ჭკვიანი, ენერგიული მბრძანებელი, ქრისტიანობის გამავრცელებელი; დანია ვასალად გაიხადა, ლომბარდიის გვირგვინი დაიხურა, მეფის ქვრივი ადელჰაიდა შეირთო, უნგრეთი დაამარცხა, შინა ფეოდალები სძლია და გერმანია უძლიერეს ქვეყნად აქცია.

ოტონ III — გერმანიის იმპერატორი (980—983—1002), „ქვეყნიერების სასწაული". ტახტზე სამი წლისა აიყვანეს. რომში პაპმა იოანე XV მიიწვია, იმპერატორად კი გრიგოლ მეხუთემ აკურთხა. სასწაული მხოლოდ ის იყო, რომ ძველი რომის უზარმაზარი იმპერიის აღდგენა მოინდომა, ამ მიზნით ებრძოდა პაპებსაც, მაგრამ რავენაში გაქცევა მოუხდა.

ოტონ IV ბრაუნშვაიგელი (1182—1209—1214) — გერმანიის იმპერატორი, განდევნა ფრიდრიხ მეორემ, მხოლოდ ჰარცბურგი შეინარჩუნა.

ოცდაათწლიანი ომი (1618—48) — ევროპის ხალხთა დიდი ომი, გაჩაღდა რელიგიურ ნიადაგზე. ჩეხებმა გერმანიის იმპერატორი ფერდინანდ II გადაყენებულად გამოაცხადეს, მაგრამ კათოლიკე ფერდინანდმა გაიმარჯვა, ბოჰემია ააოხრა. პროტესტანტებს შვეიცის ნეფე, ნიჭიერი სარდალი გუსტავ ადოლფი ძიეშველა, შეშინებულმა იმპერატორმა სასწრაფოდ ზავი შეკრა, მაგრამ გუსტავ ადოლფი მალე ბრძოლაში დაიღუპა (1632). შემდეგ იმპერიის არმიის სარდალი ვალენშტაინიც იმსხვერპლა შეთქმულებამ, რომელშიაც თვით იმპერატორის ხელიც ერია. ომი დამთავრდა ვესტფალის ზავით, რამაც შეაჩერა როგორც პროტესტანტები, ისე კათოლიკეებიც.

პალეარიო, ანტონიო (აონიუს)— გამოჩენილი იტალიელი ჰუმანისტი, რეფორმატორი, ლათინური და ბერძნული ლიტერატურის მასწავლებელი ლუკაში, თავს ესხმის რელიგიურ დოგმებს. ერესში ბრალდებული მეცნიერი შეიპყრეს. აწამეს, მილანის საპყრობილეში ჩასვეს და რომში გაგუდეს.

პალერმო — ქ. სიცილიაში.

პაპებროკი, დანიელ (1628—1714) — ბელგიელი ისტორიკოსი, იეზუიტი, შექმნა ბოლანდის ბიბლიოთეკა და მუზეუმი (ნ. ბოლანდი).

პასკალი, ბლეზ (1623—62) — დიდი ფრანგი მათემატიკოსი, მწერალი და ფილოსოფოსი, მისმა პამფლეტმა „პროვინციალის წე-

რილებმა“ მოძაკვდინებელი ლახვარი ჩასცა იეზუიტებს, რომელთაც ეს წიგნი დაწვეს (1660).

„პაცემ ინ ტერრის“ (ლათ. „მშვიდობა დედამიწაზე“) — საყოველთაო მშვიდობის ენციკლიკა, რაც 1963 წ. აპრილში იოანე XXIII — რონკალიმ გააოაქვეყნა. რეაქციული წრეები აღაშფოთა პაპის სამშვიდობო პოლიტიკამ. ჰაბურგის გაზეთი „დი ველტ“ წერდა: „ეე ძივმართავ პაპს გაფრთხილებით: შენ ბორკტად სარგებლობ შენი პოლიტიკური მდგომარეობით... შენ გინდა იხსნა ეკლესია და ამისათვის ჩვენს თავისუფლებას სწირავ. პოლიტიკა შეხი საქმე არაა, ჩამოგვცილდი ამ გზიდან“.

პერენი, ჟან პოლ (დ. 1580) — ფრანგი ისტორიკოსი — პროტესტანტი, ალბიგოელთა და ვალდენსელთა ისტორიის ავტორი (ნ.).

პერუჯა — ქ. შუა იტალიაში, ტიბრზე. დიდი მხატვრის პიეტრო პერუჯინოს (ვანუჩის) სამშობლო ქალაქი (პერუჯის საკურთხევლის ფრესკები და სხვ.).

პეტრარკა, ფრანჩესკო (304—74)— დიდი იტალიელი პოეტი— ჰუმანისტი, შექმნა უკვდავი ლირიკული ლექსები და სატირები, რომლებშიაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა პაპის კურია. ერთ-ერთ სონეტში („პაპის კურიას ავინიონში“) პოეტი ამბობს:

ცეცხლი ციური, რისხვა ღვთისა დაგატყდეს თავზე!
დაგვიწყებია განდიდებულს ჰარხვა და წყალი,
ღატაკ ხალხისოვის ჩაგივლია უწყალო ბრჭყალი,
ფუფუნებაში ჩაძირულხარ, ცოდვებით სავსე.
ბუხანათობის ბხელო ბუდევ, შენ ზრდი და კვებავ
დედამიწაზე ყველა ცოდვას, ჭირს და სიავეს,
სიცრუის ლაფში ეწაფები ყველა სიაკეს,
გაგშიშვლებია ურცხვად შენი ღორული ენება.

პეტრე — ქრისტეს მოციქული, ლეგენდარული პირველი ეპისკოპოსი, რომელმაც მაცხოვროს ტაძარი კლდეზე ააგო (ბერძ. პეტრა— ქვა) და დასაბამი მისცა პაპობას. ტრადიცია პირველ პაპად წმინდა პეტრეს თვლის.

პეტრე დამიანი (1007—72) — კარდინალ-ეპისკოპოსი, კლუნიელთა მოძრაობის თეორეტიკოსი, მოითხოვდა პაპობის გაძლიერებას — იმპერატორებთან კავშირს.

პეტრე მეუდაბნოე (ამიენელი) — ფანატიკოსი ბერი, ჯვაროს-

ნული ლაშქრობის მქადაგებელი (1050—1115), რომელმაც 14 000 გლეხი შეყარა. მორწმუნეთა შემოწირულობიდან უხვად იღებდა მოწყალებას და წმინდა კაცის სახელი დაიგდო. მისმა „ღატაკთა ლაშქარმა“ მარცხი განიცადა. მატყუარა ბერი კონსტანტინოპოლში გაიქცა და რაინდთა ლაშქარს დაელოდა.

პიზის საეკლესიო კრება — ნ. საეკლესიო ყრილობები.

პილსუდსკი, იუზეფ (1867—1935) — პოლონეთის მარშალი, რეაქციონერი პოლიტიკური მოღვაწე, ფაშისტური პოლონეთის დიქტატორი 1926—35 წლებში (სიკვდილამდე). 1887 წ. ალექსანდრე ძესამეზე თავდასხმა დაბრალდა. ოთხი წელი პატიმრობაში იყო. ტერორისტი პილსუდსკი მეფეებს არ ებრძოდა, პოლონეთის სამხედრო ორგანიზაციებს, დამკვრელ ჯგუფებს და ჯაშუშურ ორგანიზაციებს კი ადგენდა რუსეთისა თუ პოლონეთის მუშათა დასათრგუნავად. იყო ტოკიოში (1904 რუსეთ-იაპონიის ომის დროს, იაპონიის დაზვერვასთან კავშირის დამყარების მიზნით), 1914—17 წლებში მეთაურობდა პოლონეთის ლეგიონს, 1920 წ. მოაწყო პოლონეთის პანების ლაშქრობა საბჭოთა რუსეთზე (რუსეთ-პოლონეთის ომი). ფაქტიურად მოამზადა პოლონეთის დაპყრობა ფაშისტების მიერ (1939 წელს).

პლატინა, ბარტოლომეო დე საკი (1421—81) — იტალიელი ჰუმანისტი, სიქსტ IV დროს განაგებდა ვატიკანის ბიბლიოთეკას, აღწერა პაპთა ცხოვრება.

პომპადური, მარკიზა ჟანა ანტუანეტა პუასონი (1721—64) — ლუდოვიკო XV ყოვლისშემძლე საყვარელი, რომელმაც დიდი პოლიტიკური როლი შეასრულა ისტორიაში. შეძლებული პარიზელის ზნედაცემულ ასულს მეფემ ყურადღება მიაქცია მაშინ, როცა ოცი წლის ახალგაზრდა ქალი ვინმე ლენორმანის ცოლი იყო. მალე ქმარს გასცილდა, მეფემ მარკიზის ტიტული უბოძა.ხასად დაისვა. აწინაურებდა უნიჭო ადამიანებს, თავის საყვარლებს, და ხალხის ზიზღი დაიმსახურა. მისი სახელი უზნეო ქალის სინონიმია.

პონტიფიკატი (ლათ. პონტიფექს — ძველ რომაელთა ქურუმი. პონტიფექს მაქსიმუს ქურუმთქურუმი) — პაპის მბრძანებლობის დრო; პაპის ძალაუფლება.

პორტა, ბრწყინვალე პორტა — სულთნის თურქეთი (შუა საუკუნეებში).

პოსევინი, ანტონიუსი (1534—1611)— იეზუიტი, გრიგოლ XIII ელჩი ივანე მეოთხესთან. გაბრუნდა სრულიად უშედეგოდ.

პრელატი (ლათ. „წარჩინებული") — კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირი, რომელსაც მსჯულის უფლებები აქვს.

პრესვიტერიანები (საკ. „პრესბიტერ", ბერძ. „მღვდელი") — ინგლისის, შოტლანდიის და ამერიკის პროტესტანტები, უარყოფენ საეკლესიო ფუფუნებას, ეპისკოპოსს, ცნობენ არჩეულ მღვდელს, (პრესვიტერს). დევნიდნენ ელისაბედი და სტიუარტები. ედიქტით მიეცათ თავისუფლება XVII ს-ში.

პრიაპი — ნაყოფიერების, სიტკბოების, ბაღ-ვენახთა ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში, დიონისეს და აფროდიტეს შვილი (მახინჯი, დიდფალოსიანი).

პრიმასი — ქვეყნის უზენაესი სასულიერო პირი.

პროვანსი — ძველი მხარე სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში.

პროსფორა — პატარა კვერი, სეფისკვერი (კათოლ. ეკლესიაში — ჰოსტია).

პროტესტანტიზმი — ქრისტიანული სარწმუნოების მესამე დიდი განშტოება, რაც XVI ს-ში საეკლესიო რეფორმის აუცილებლობით ნაკარნახევმა დიდმა საერთო — ევროპულმა მოძრაობამ წარმოშვა.

ჟანა დ' არკი (1412—31) — საფრანგეთის ეროვნული გმირი, ორლეანელი ქალწული, რომელმაც იხსნა საფრანგეთი, განდევნა ორლეანიდან ინგლისელები და კარლოს მეშვიდეს გვირგვინი დაუბრუნა. დაწვეს, როგორც ჯადოქარი. ბოლო დროს ვარაუდობენ, რომ გადარჩა, სხვა დაწვეს (ან ფიტულა).

ჟენებრარი, გილბერტ (1537—97) — ბენედიქტინელი, ექსის არქიეპისკოპოსი, თავის შრომებში იცავდა ეკლესიის დამოუკიდებლობას.

ჟიურიე, პიერ (1637—1713) — ფრანგი ღვთისმეტყველი, რეფორმატორი.

ჟორესი ჟან (1859—1914) — გამოჩენილი ფრანგი სოციალისტი, ბრწყინვალე ორატორი, თავი ისახელა დრეიფუსის საქმის გადასინჯვის დროს.

რავენა — ქ. ჩრდ. იტალიაში, მოგვიანებით პაპის სახელმწიფოს შეუერთეს.

რაინალდი — იტალიელი ისტორიკოსი, განაგრძო ბარონიუსის საეკლესიო ისტორია 1565 წლამდე.

რაფაელ სანტი (1483—1520) — გენიალური იტალიელი მხატვარი, რომელმაც ბევრი სურათი შექმნა იულიუს II და ლევ X დაკვეთით.

რელიქვიები — ქრისტიან წმინდანთა სხეულის საეკვო ნაწილები (თმა, ძვალი, ტყავი...), რომლებიც თითქოს სასწაულებრივი ზემოქმედების უნარით არიან აღჭურვილი და უმსგავსი ვაჭრობის საგნად ქცეულან.

„რერუმ ნოვარუმ“ — ლევ XIII ცნობილი სოციალური ენციკლიკა — პირველი დოკუმენტი, რაც კათოლიკური სარწმუნოების სოციალურ მოძღვრებას წინ სწევდა და მთლიანად სოციალიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული (1891 წ. 15 მაისი).

რეფორმაცია. (ლათ. „გარდაქმნა“, „შესწორება“) — ფართო ანტიკათოლიკური მოძრაობა მთელს ევროპაში XVI ს. პირველ ნახევარში. რაკი სარჩულად რელიგიური ბრძოლა ედო, გულუბრყვილო ხალხი ფიქრობდა, რომ ეს იყო წმინდა რელიგიური მოძრაობა, სინამდვილეში კი ეს იყო ბურჟუაზიის ბრძოლა ფეოდალიზმთან, რაც პირველ რიგში გამოიხატა „ფეოდალიზმის პირველი წოდების“ — მდიდარი სამღვდელოების წინააღმდეგ ატეხილი ომით. პაპის კურია და მთელი კათოლიკური ზედა ფენა სამართლიანად მიაჩნდათ ფეოდალთა თანაბარ დიდკაცობად, ამიტომ ებრძოდა გლეხობაც „ეკლესიის მთავრებს“, მისი სახით კი — ქონებრივ უთანასწორობას. ხალხი მოითხოვდა ასე ძვირი და მდიდრული კულტის გაუქმებას, პირადი რწმენის ამაღლებას. რეფორმაციის საჭიროება დიდი ხნით ადრე მომწიფდა, მაგრამ ხორცი შეისხა გერმანიაში ლუთერის დროს, გავრცელდა მთელს ევროპაში, მისი წინამორბედნი კი იყვნენ ჩეხი ჰუსიტები (ნ. ჰუსი). პროტესტანტული მოძრაობაც რეფორმაციის შედეგად გაიშალა. კათოლიკურმა ეკლესიამ მას უპასუხა კონტრრეფორმაციით, რამაც მთელს კონტინენტზე შეაჩერა რეფორმაციის განვითარება, პოლონეთსა და საფრანგეთში კი სულაც დაახრჩო.

„რეფორმატები“ — ასე ეწოდათ კალვინისტებს ევროპის კონ-

ტინენტზე, შოტლანდიელ — ინგლისელ კალვინისტებს კი — პრესვიტერიანები და კონგრეგაციონალისტები. ნ. კალვინი, ანაბაპტისტები, ლუთერანობა.

რიენცი, კოლა დე (1313—54) — სახელოვანი იტალიელი პატრიოტი, ტრიბუნი, ჰუმანისტი (და არა დემაგოგი, როგორც კათოლიკები ახასიათებენ). რომაელი მედუქნის შვილმა ზედმიწევნით შეისწავლა რომის კლასიკოსები, ადრე დაიწყო ოცნება ძველ რესპუბლიკაზე, ხალხის პეტიციით წარუდგა ავინიონში კლიმენტი მეექვსეს, რომელმაც ხერხი იხმარა, ნოტარიუსად დანიშნა. 1347 წ. ვატიკანში თავი სახალხო ტრიბუნად გამოაცხადა, რესპუბლიკა დაამყარა, მაგრამ გადასახადები დააწესა, რომიდან გაქცევა მოახერხა. იმავე კლიმენტიმ საპყრობილეში ჩააგდო, მერე ინოკენტი მეოთხემ გაათავისუფლა, სენატორად დანიშნა და დიდებულთა დასამორჩილებლად გაგზავნა, მაგრამ მისი ავტორიტეტი უკვე შერყეული იყო (მძიმე გადასახადები დააწესა) და 1354 წ. 8 ოქტომბერს კაპიტოლოუმში რიენცი მოკლეს. ამ თემაზე ვაგნერმა ოპერა შექმნა.

რიშელიე, არმან ჟან დიუ პლესი, ჰერცოგი, კარდინალი — დიდი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ცბიერი დიპლომატი და ენერგიული მმართველი, საფრანგეთის ფაქტიური მბრძანებელი 1624—1642 წლებში, როგორც პირველი მინისტრი ლუდოვიკო XIII დროს. იბრძოდა მეფის ძალაუფლების განმტკიცებისა და ავსტრიაესპანეთის დასუსტებისათვის.

რობერტ გუისკარი (1015—1085) — ნორმანთა სარდალი, იცავდა პაპს, რომელმაც ნეაპოლის და კალაბრიის ჰერცოგობა უბოძა. მისი ბრძანებით აშენდა ქ. სალერნოში ტაძარი, რომელშიაც განისვენებს გრიგოლ VII.

რომანია — ოლქი აღ.იტალიაში, პაპის ოლქის ნაწილი (XV ს-დან 1860 წლამდე).

რუდოლფ II —გერმანიის იმპერატორი, (1552—1576—1612) მაქსიმილიან II და მარიამ ავსტრიელის, კარლოს მეხუთის ასულის შვილი, ანტიკათოლიკურ-პროტესტანტულმა კოალიციამ ბოჰემიაში ერთგვარ რელიგიურ თავისუფლებას მიაღწია (1609). მის დარღვევას მოჰყვა ბოჰემიის აჯანყება და ოცდაათწლიანი ომი.

საბაოთი — ბიბლიური ღმერთის იაღვეს ერთ-ერთი ზედწოდება (იაღვეს ხსენება იკრძალებოდა).

საეკლესიო ყრილობები (კრებები) — ქრისტიანული საღვთისმეტყველოების უმაღლესი საკრებულოები, რომლებზედაც უმნიშვნელოვანეს საეკლესიო საკითხებს არჩევდნენ, დოგმებს ამტკიცებდნენ, ეკლესიის გაძლიერების ღონისძიებებს იღებდნენ. მართლმადიდებელი ეკლესია ცნობს საეკლესიო განხეთქილებამდე მოწვეულ 7 საეკლესიო ყრილობას: I — ნიკეის, მოიწვიეს ნიკეაში (მცირე აზიაში), წარმართი იმპერატორის კონსტანტინე დიდის მეთაურობით, დაგმო არიანელთა ერესი (6); II — კონსტანტინოპოლის პირველი ყრილობა (381) — განაგრძო ბრძოლა არიანელებთან: III — ეფესის (431), დაგმო ნესტორიანელები. მალე იქვე ახალი ყრილობა შეიკრა, მაგრამ მომდევნო ქალკიდონის ანუ „ავაზაკთა ყრილობამ“ დაგმო ბევრი გადაწყვეტილებანი, ამიტომ მეოთხე ყრილობად სწორედ ქალკიდონისა ითვლება; V — კონსტანტინოპოლის მეორე საეკლესიო ყრილობა (533), მოიწვია იმპერატორმა იუსტინიანე I; VI — კონსტანტინოპოლის მესამე საეკლესიო კრება (680—681), აღადგინა ურთიერთობა პაპთან; VII ყრილობა (786—87) მოიწვიეს ხატთმებრძოლობის დაგმობის მიზნით. პირველი სხდომები კონსტანტინოპოლში მიმდინარეობდა, მერე ნიკეაში გადაიტანეს, რის გამოც „ნიკეის მეორე ყრილობა“ ეწოდა.

დიდი შეჯალედის შემდეგ, 869—70 წლებში მუშაობდა „კონსტანტინოპოლის მეოთხე საეკლესიო ყრილობა“, რომელსაც მოჰყვა „კონსტანტინოპოლის მეხუთე ყრილობა“ (879—80). ეკლესია გაიყო ბიზანტიურ-მართლმადიდებელ და კათოლიკურ შტოებად.

შემდგომ ყრილობებს უკვე რომის პაპები იწვევდნენ, გათიშვის შემდეგ. 1095 წ. კლერმონში (სამხ. საფრ.) ურბან მეორემ ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა. კლერმონის დიდი ტაძარი მონაწილეებს ვერ იტევდა და ხალხი გაშლილ ველზე გაიყვანეს. ყრილობამ მიიღო 32 დადგენილება. ამას მოჰყვა I, II და III ლატერანის ყრილობები 1123, 1139 და 1179 წლებში (ლატერანის ბაზილიკაში რომში). IV ლატერანის ყრილობა მოიწვია იქვე ინოკენტი მესამემ. ეს იყო შუა საუკუნეების უდიდესი საეკლესიო ყრილობა, რასაც კონსტანცისა თუ შეედრება. მიიღო 70 დადგენილება, გამოუცხადა ერეტიკოსებს სასტიკი დევნა. მომდევნო, ლიონის I ყრილობა შედგა 1245 წ., ლიონის II—1274 წელს. 1409 წ. პიზაში გაიხსნა საეკლესიო ყრილობა, რომლის მიზანიც იყო ორპაპობის მოსპობა, მაგრამ

ტახტზე სამი პაპი აღმოჩნდა (აირჩიეს ალექსანდრე V, ორი წინანდელიც არ გადადგა).

1414 წ. მოიწვიეს კონსტანცის დიდი საეკლესიო ყრილობა (ახლანდ. შვეიცარიის ტერიტორიაზე), რომელმაც იმპერატორ სიგიზმუნდის მონაწილეობით დაამხო იოანე XXIII (ბალთაზარ კოსა), აირჩია მარტინ V, ბოლო მოუღო ორპაპობას, პაპი დაუმორჩილა ყრილობას, დაწვა იან ჰუსი.

1432—49 წლებში ბაზელში, ფერარაში და ფლორენციაში, მერე რომსა და ლოზანაში მუშაობდა ბაზელის ანუ ბაზელ-ფლორენციის XVII საეკლესიო ყრილობა, რომელმაც ხელი შეუწყო ჰუსიტების დამარცხებას ჩეხეთში.

1512—17 წლებში პაპმა იულიუს II რომში მოიწვია V ლატერანის ყრილობა. 1545—63 წლებში მუშაობდა ტრიდენტის XIX მსოფლიო ყრილობა, რომლის მიზანი იყო რეფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა და კათოლიკური ეკლესიის შერყეული პოზიციის განმტკიცება. გააძლიერა ეპისკოპოსთა ძალაუფლება, ყრილობა დაუქვემდებარა პაპს (კონსტანცაში პირიქით იყო).

1869—70 წ. პიუს IX რომში მოიწვია ვატიკანის I ყრილობა, რომელმაც დაგმო კომუნიზმი და გამოაცხადა პაპის უცოდველობის დოგმატი.

1962—65 წლებში მიმდინარეობდა II ვატიკანის ყრილობა, რამაც ახალ ვითარებას ანგარიში გაუწია, მოახდინა რომის კურიის რეფორმა, იქადაგა მშვიდობა, ეს იყო თეთრად მოსილი სამღვდელოების დიდი კრება.

სავონაროლა, ჯიროლამო (1452—98) — დომინიკანელი ბერი, დიდი რეფორმატორი, პაპების და მედიჩების წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი, უარყოფდა ფუფუნებას (ხელოვნებიხ შედევრებსაც კი წვავდა). ეს დიდი ფლორენციელი გაასამართლეს და, როგორც ერეტიკოსი, დაწვეს.

სალადინი — ეგვიპტის სულთანი (1174—93), ნიჭიერი სარდალი, შექმნა ძლიერი მუსულმანური სახელმწიფო, საღვთო ომი გამოუცხადა ჯვაროსნებს, დაამარცხა მათი ჯარები 1187 წ. და აიღო იერუსალიმი.

სალენო სამფლობელო (გერ. „ლენ“ —სესხი) —მიწაწყალი, რასაც რაიმე სამსახურისათვის ვასალი იღებდა სენიორისაგან. ბე-

ნეფიციუმისაგან განსხვავებით, სამემკვიდროდ გადადიოდა (წართმევა შეეძლო პერთა საბჭოს).

სალეფი — მდ. კილიკიაში (მცირე აზია), სადაც დაიხრჩო ფრიდრიხ ბარბაროსა.

სამი ჰენრიხის ომი — ჰენრიხ III, ჰენრიხ გიზის და ჰენრიხ ბურბონის ომი 1588 წ. პირველი კათოლიკებსა და პროტესტანტებს შორის მერყეობდა, მეორე თავგამოდებული კათოლიკე იყო, მესამე — პროტესტანტების მეთაური. პირველი სალაშქრო კარავში მოკლა ფანატიკოსმა ბერმა ჟაკ კლემანმა, მეორე ადრე იმავე ჰენრიხ მესამემ მოაკვლევინა, მესამეც ფანატიკოსმა იეზუიტმა რავალიაკმა განგმირა 22 წლის შემდეგ.

სარდანაპალი — ასირიის უკანასკნელი, ოცდამეათე მეფე, ნახევრად ლეგენდარული ტირანი (ფიქრობენ, რომ ესაა ასურბანიპალის სხვა სახელი). მისი დაუსრულებელი ნადიმი იმით დამთავრდა, რომ მიდიის მეფისნაცვლის ჯარებისაგან ალყაშემორტყულმა სასახლეს ცეცხლი წაუკიდა და ცოლებიან-კარისკაცებიანად ნანგრევებში ჩაიმარხა (IX ს. ძვ. წ.). მისი სახელი უდარდელი მოქეიფის სინონიმად იქცა.

სარკინოზი (სარაცინები) — ასე ეძახდნენ შუა საუკუნეებში ჯერ არაბებს, მერე ყველა მაჰმადიანს (არაბთა ერთი ტომის სახელია).

სარპი, პაოლო (1552—1623) — ვენეციის სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, ათთა საბჭოს წევრი, პაპთა შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

სატურნალიები — ძველ რომაელთა ღრეობა, ყველიერის მსგავსი დღესასწაული, დროის და ნათესის ღმერთ სატურნის პატივსაცემად.

სბირები (იტ. სბირრო)— პოლიციის ოფიცრები, დამამცირებელი ზედწოდება.

სებასტიანე — პორტუგალიის მეფე (1557—78), ოცნებობდა ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე, აფრიკისა და ინდოეთის დაპყრობაზე, მაგრამ შერიფისა და მისი ძმის ერთ უბრალო ბრძოლაში დაიღუპა. გვამი ისე დაასახიჩრეს, რომ ვერ იცნეს და როცა ფილიპე II გამეფდა, ასპარეზზე რამდენიმე ცრუ სებასტიანე გამოჩნდა.

სენ-დენი — ბენედიქტინელთა სააბატო ქ. სენ-დენიში (პარიზის ჩრდ. გარეუბანში), დაარსდა 630 წ.

სენიორია (პრიორატი) — ბატონთა საბჭო, ფლორენციის საზელმწიფო ძალაუფლების უმაღლესი ორგანო, შედგებოდა შვიდი კაცისაგან, რომელთაც სათავეში გონფალონიერი ედგა (მედროშე)

სიგიბერტი (1030—1112) — ბელგიელი ბერი, მსოფლიო მატიანის ავტორი.

სიგიზმუნდი — გერმანიის იმპერატორი (1368—1433—1437). კარლოს IV შვილი, ადრე უნგრეთისა და გერმანიის მეფე. მოიწვია კონსტანცის საეკლესიო ყრილობა და თანაუგრძნობდა რეფორმაციას, მაგრამ თავი შეირცხვინა იმით, რომ ამ საქმეს მსხვერპლად შესწირა ჰუსი — მისცა შეუვალობის სიგელი და მაინც დაუშვა მისი დაწვა, რის გამოც ჰუსიტებმა ომი აუტეხეს (ჰუსიტური ომები, 1419—34). ჯერ თაბორში შეიყარა 42 000 ჩეხი გლეხი, მერე ხუთი ჯვაროსნული ლაშქრობა მოიგერიეს, შერცხვენილმა იმპერატორმა და პაპმა ჩეხთა მამაც არმიას ვერ სძლიეს, ვიდრე მისი შინაგანი განხეთქილება არ მოახდინეს.

სიგიზმუნდ II ავგუსტი —პოლონეთის მეფე (1548—72), რომლის დროსაც პოლონეთში რეფორმაციამ იწყო გავრცელება.

„სიკვდილის ტრიბუნალი“ — არეულობათა საბჭო, რაც ჰერცოგმა ალბამ დააარსა 1567 წ. ურჩ ნიდერლანდებთან ანგარიშის გასწორების მიზნით. ექვს წელიწადში რვა ათასამდე კაცი სიკვდილით დასაჯეს.

„სილაბუსი“ — 1864 წლის ენციკლიკის დამატება, რომელშიაც ჩამოთვლილია „ჩვენი დროის 80 დაბნეულობა“, მათ შორის ათეიზმი, „კომუნისტური ჭირი“, სოციალიზმი. პაპი პიუს IX, მისი ავტორი; ანათემას უცხადებს ყველას, ვინც ვატიკანს პროგრესთან შეგუებას ურჩევს.

სიმბოლო სარწმუნოებისა (ბერძ. სიმბოლონ — ნიშანი, ლათ. კრედო—მწამს)—ქრიატიანული რელიგიის დოგმატების მოკლე გადმოცემა. აღიარებს სამებას: მამა-ღმერთს, სამყაროს შემქმნელს, ძე — ღმერთს, ქალწულ მარიამის (იოსების მეუღლის) შობილს, დედამიწაზე ჩამოსულსა და ადამიანისათვის ჯვარცმულს, და ღმერთსულიწმინდას, მამისა და ძისაგან (მართლმადიდებელი ეკლესიით—მხოლოდ მამისაგან) მოვლენილს. დაჯგუფებათა ბრძოლის შემდეგ მიიღო ნიკეის ყრილობამ 325 წ. და შეივსო 381 წ. II მსოფლიო საეკლესიო ყრილობაზე. განიხილეს ტრიდენტშიც.

სიმონია (სახარების მოგვი სიმონი ფულით ცდილობდა მოციქულებისაგან სულიწმინდის კურთხევის ყიდვას) — თახაძდებობათა ყიდვა-გაყიდვა, რაც ყოველ უსამართლო, ტირანულ წყობილებას ჭირივით მოსდგამს, მაგრამ პაპებსა და ეპისკოპოსებს აძ საქმეში ტოლი არ ჰყავდათ.

სინკლიტი (ბერძ.) — უმაღლეს საერო დიდებულთა საკრებულო.

სიქსტინის კაპელა (სისტინა, სიქსტინა, გერ. სიქსტინიშე კაპელლე) — პაპის ეიოადი საძლოცველო, რაც სიქსტ IV ბრძანებით აშენა ვატიკანში ჯიოვანი დე დოლჩიმ 1473—81 წლებში. დაძწვეხებულია ძველი და ახალი აღთქმის სცენებით, რაც იმ დროის უდიდესმა ოსტატებმა შექმნეს (მიქელანჯელომ, ბოტიჩელიმ, გირლანდაიომ, პერუჯინომ; საკურთხევლის კედლის „განკითხვის დღე" — მიქელანჯელოს ფრესკა, 1534); სიქსტინის მადონა რაფაელის სწორუპრვარი სურათით, მეორე პაპის, სიქსტ მეორის სახელს ატარებს. ეს სურათი დრეზდენის მშვენებაა.

სოდომია — არაბუნებრივი, მახინჯი სახე გარყვნილებისა (მამათმავლობა, ცხოველთმავლობა და სხვ.). სოდომიტი — ძაძაკაცი, რომელიც გარყვნილებას ეწევა (ბიბლიით: უზნეობითა და უზრდელობით ცნობილ ქალაქებს, სოდომსა და გომორს იაღვეშ გოგირდის წვიმა. მოუვლინა).

სოლომონ ბრძენი — ბიბლიური მეფე, რომელსაც ბიბლიური ლიტერატურის მრავალი ძეგლი მიეწერება.

სპოლეტი — იტალიის ქალაქი, რომის ჩრდილოეთით.

სქემოსანი — ბერი, რომელიც თავის ჩვეულებრივ თანამოძმეებზე უფრო სასტიკ წესთა დაცვის აღთქმას დებს (სრული ააკეტიზმი, მარხვა და სხვ.).

სქიზმა — განხეთქილება. სქიზმატიკოსებს კათოლიკები მართლმადიდებლებს ეძახიან.

ტასო, ტორკვატო (1544—95) — სახელოვანი იტალიელი პოეტი, „განთავისუფლებული იერუსალიმის" ავტორი (პოემა უძღვნა 1 ჯვაროსნულ ლაშქრობას).

ტიარა — რომის პაპის გვირგვინი, დამშვენებული ძვირფასი ქვებით და თავზე აღმართული ჯვრით — სამმაგი ორნამენტული წრე სიმბოლოა პაპის სამკეცი ძალაუფლებისა: როგორც ქრისტეს

მოადგილის, კათოლიკეთა მღვდელმთავრისა და მიწიერი ხელმწიფისა. ამით შეცვალეს ქრისტეს ეკლის გვირგვინი მისმა გახრწნილმა მოადგილეებმა დედამიწაზე.

ტიურლეპენები — ერეტიკული სექტა, რომლის წევრებიც თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდნენ, შეაჩვენა გრიგოლ მეთერთძეტემ (XIV ს.).

ტორკვემადა, თომა (1420—98) ბნელი ინკვიზატორი, კაცთა მოდგმის ერთ-ერთი უდიდესი ჯალათი, ხორცშესხმული სატანა, „კასტილიისა და არაგონიის დიდი ინკვიზიტორი", რომლის ბრძანებით 10 220 ადამიანი ცოცხლად დაწვეს, კიდევ მეტი აწამეს ან განდევნეს (ლიორეტის ცნობით). ახალგაზრდობაში საყვარელმა ქალმა უარი ახალა, მავრი ამჯობინა, იმ დღიდან შეიძულა მავრები და ჩაიკლა გულში ყოველგვარი სიყვარული. ფარულად დააგვირგვინა ფერდინანდ კათოლიკე და იზაბელა კასტილიელი, ებრაელებს უბრძანა პირჯვარი გამოესახათ ან ესპანეთი დაეტოვებინათ, რითაც ესპანეთის ვაჭრობას ლახვარი ჩასცა. მთელი ქვეყანა ცახცახებდა მისი შიშით. უნდო ჯალათი მცველთა თანხლებით დადიოდა ქუჩებში. მაგიდაზე მუდამ მარტორქის რქა ედო: საწამლავისაგან მიხსნისო. (ძველად სწამდათ, ამ რქაში შხამი ძალას კარგავსო). განსაკუთრებით გამძვინვარდა მას შემდეგ, რაც მისებრ გულქვა მტარვალი, ინკვიზიტორი პეტრე არბუესი მოკლეს, მთელს ოჯახებს რომ აგზავნიდა კოცონზე. თვით საზარელი სიქსტ IV და ალექსანდრე VI შეამფოთა ტორკვემადას მძვინვარებამ, ოთხი დიდი ინკვიზიტორი მიუჩინეს, ვითომ მზრუნველად.

ტრიდენტის ყრილობა — ნ. საეკლესიო ყრილობები.

უიკლიფი, ჯონ (1320—84) — გამოჩენილი ინგლისელი რეფორმატორი, ღვთისმეტყველების პროფესორი ოქსფორდში, არ ცნობდა წმინდანთა კულტს, აცამტვერებდა პაპის უცოდველობის დოგმატს, უარყოფდა უქორწინობას, ზიარებას და ეკლესიის ააადგილმამულო საკუთრებას, თარგმნა ბიბლია (ვულგატა). კონსტანცის ყრილობამ ერეტიკოსად გამოაცხადა და მისი ნეშტის დაწვა ბრძანა, სიცოცხლეში კი ვერაფერი მოუხერხეს.

ულტრამონტანები (ახ. ლათ. ულტრა — უკიდურესი, მონს მონტის — მთა) — უკიდურესი რეაქციონერები, რომლებიც პაპის განუსაზღვრელ ძალაუფლებას მოითხოვდნენ. პირველად კონსტანცის

ყრილობაზე აიმაღლეს ხმა. XVI ს-დან სათავეში იეზუიტები ჩაუდგნენ. სწორედ მათი წყალობით გაიტანა ვატიკანის ყრილობამ პაპის უცოდველობის დახავსებული დოგმა.

უმბრია — ოლქი შუა იტალიაში.

ურბინო — ქ. შუა იტალიაში, ჯერ პაპისა, მერე საჰერცოგოს ცენტრი.

უცოდველობა — კათოლიკური ეკლესიის ყოვლად აბსურდული დოგმა, რაც პაპის ყოველ საქციელს და სიტყვას აცხადებს „აბბიონიდან თქმულად", ღვთაების უზენაეს და უწმინდეს ნებად (ექს კათედრა). ამიტომ პაპს თითქოს—არ შეუძლია იყოს ცოდვილი. საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ ამ დოგმის დამტკიცებას, მაგრამ ეს მოახერხა მხოლოდ პიუს მეცხრემ ვატიკანის მსოფლიო ყრილობაზე (1870), მერე ვატიკანის II ყრილობამ ისევ დაადასტურა.

უძლეველი არმადა — ფილიპე მეორის ფლოტი, რაც იმ დროის მსოფლიოში უდიდესად ითვლებოდა (130 სამხედრო და 30 სატრანსპორტო გემი, 2630 ქვემეხი). 1587 წ. ინგლისის დასაპყრობად გაგზავნილი ფლოტი ერთიანად დაიღუპა და მას შემდეგ ესპანეთის ძლიერების მზე ჩაესვენა. ფილიპემ ფლოტის სარდალს მედინა სიდონიას უსაყვედურა: ადამიანებთან საომრად გაგაგზავნე და არა ქარიშხალთანო. ელისაბედმა მედალი გამოაჭრევინა წარწერით: „ღმერთმა შეუბერა და გაფანტა".

ფარისეველი — ძველ ებრაელთა რელიგიურ-პოლიტიკური სექტა, რომლის წევრებიც მხოლოდ გარეგნულად იცავდნენ სათნოების წესებს. აქედან იქცა ეს სიტყვა პირფერის, მლიქვნელის სინონიმად.

ფერარა — საჰერცოგო ჩრდ. იტალიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, განთქმული სიმდიდრითა და დიდმშვენიერებით.

ფერდინანდ I (ავსტრიელი) — გერმანიის იმპერატორი, ჩეხეთისა და უნგრეთის მეფე (1556—64). შეკრა აუგსბურგის რელიგიური ზავი, რაც კათოლიკეთა და პროტესტანტთა შერიგებას გულისხმობდა და მთავრებს ნებას აძლევდა თავისი ნებით აერჩიათ სარწმუნოება თავის მხარეში პრინციპით: „ვისიც ქვეყანაა, მისია რელიგიაც". თვით მეფე კათოლიკე იყო, მაგრამ შეიგნო, რომ პროტესტანტიზმს ვერ აღმოფხვრიდა.

ფერდინანდ II — გერმანიის იმპერატორი (1619—37), რო-

მელმაც ძლიერი სამხედრო მონარქიის შექმნა მოინდომა, მაგრამ ხელი მოეცარა. სამაგიეროდ უწყალოდ დათრგუნა პროტესტანტიზმი და გააუქმა რეფორმაციის ყველა მონაპოვარი. იეზუიტების აღზრდილმა კათოლიკობის სრული აღორძინების უაზრო ცდით აამხედრა ხალხები და გამოიწვია 30-წლიანი ომი.

ფერდინანდ I — ნეაპოლიტანის მეფე (1423—94), ალფონს V შვილი, მეცნიერთა მფარველი.

ფერდინანდ IV — ნეაპოლიტანის მეფე (1751—1825). 1799 წ. ნაპოლეონმა ნეაპოლიდან განდევნა, მერე ტახტი დაიბრუნა. 1806 ხელახლა განდევნეს და უკვე სახელშეცვლილი დაბრუნდა ტახტზე, როგორც ორივე სიცილიის მეფე ფერდინანდ I.

ფერდინანდ V კათოლიკე (როგორც არაგონიის მეფე — ფერდინანდ II) ესპანეთის ცნობილი მბრძანებელი, მეტსახელად ფარისეველი (1479—1516). ჯერ არაგონიის მეფე იყო, მერე შეერთო კასტილიის დედოფალი იზაბელა, გააერთიანა ორივე სამეფო და გააძლიერა ესპანეთი. აიღო გრენადა, მავრების სიმაგრე, განდევნა ებრაელები, შემოიღო ინკვიზიცია. რაც მთავარია, მის დროს აღმოაჩინა კოლუმბმა ამერიკა, მაგრამ გონებაშეზღუდულმა მონარქმა ვერ განჭვრიტა აღმოჩენის მნიშვნელობა, დიდ კოლუმბს ბორკილებში აძოხდა სული.

ფერდინანდ VII — ესპანეთის მეფე. ტახტზე ავიდა 1808 წ. იმავე წელს დაამხო ნაპოლეონმა. 1814—33 წლებში ისევ ტახტზე იჯდა.

ფეხის დაბანვის ცერემონიალი — სულელური პაროდია ქრისტეს ცხოვრების იმ ეპიზოდისა, რასაც პაპი ნიკოლოზ II იმეორებდა. სახარებაში იესომ 12 მოციქულს დაბანა ფეხი: „და მოიღო წყალი და შთაასხა საბანელსა მას და იწყო ბანად ფერხთა მოწაფეთა თვისთა, და წარჰხოცდა არდაგითა მით, რომელი მოერტყა“ (იოანე, 13, 5).

ფილიპე II — ესპანეთის მეფე, კარლოს V შვილი (1524—1555—1598), კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბნელი და გულქვა ტირანი, ფანატიკოსი — კათოლიკე, რომელიც მსოფლიოს ერთიან კათოლიკურ საბრძანებლად გადაქცევას უქადდა, ოღონდ ცენტრად მიაჩნდა არა რომი, არამედ ესპანეთი. გლოვის ველად აქცია ნიდერლანდები, მამის სამემკვიდრო, რითაც ეს

ქვეყანა აიმხედრა და ჩამოიცილა, ამაოდ ებრძოდა ინგლისს, რომელსაც პაპის ნაჩუქარი ირლანდია აუმხედრა (მის მარიამ სტიუარტი თავი მოჰკვეთა ელისაბედმა, მისი არმადა კი ჩაძირა), მარცხი განიცადა საფრანგეთთან ომშიც. მავრების დევნით გამოიწვია ოსი ბერბერებთან (დონ ხუან ავსტრიელის ფლოტის გამარჯვება ლეპანტოსთან, 1571). ჰქონდა მეორე წარმატებაც: 1588 წ. დაიპყრო პორტუგალია. ეს იყო პაპი საერო ტახტზე. სახელმწიფოც პაპივით დაქცეული დატოვა.

ფილიპე III — ესპანეთის მეფე (1598—1621), ფილიპე მეორის შვილი, სულით უმწეო და უბადრუკი, აღზრდით წამხდარი მონარქი, რომელშიაც დესპოტმა მამამ, შვილის მკვლელმა ჩაახშო ყოველივე ადამიანური. ჩაიბარა დაქცეული ქვეყანა და დატოვა გაპარტახებული. გაასახლა 800 000 მავრი.

ფლაგელანტები (ახ. ლათ. ფლაგელუმ-პატარა შოლტი) — საკუთარი თავის გამშოლტავები (ნ. თვითგვემა). გარკვეულ დროს რელიგიური ფსიქოზით მოცული ბერები ცოდვების გამოსყიდვის მიზნით თავს იშოლტავდნენ, ვიდრე სისხლიანი იარები პირს არ დააღებდნენ. ვერც ამ გულმოდგინებამ იხსნა ეს შეშლილები. 1349 წ. პაპმა კლიმენტი V ისინი ერეტიკოსებად გამოაცხადა.

ფოკა, ნიკიფორე-ბიზანტიის იმპერატორი (602—610). ჯერ უბრალო ჯარისკაცი იყო, ბერე არმიას სარდლობდა, იმპერატორ მავრიკიუსს გადაუდგა, დააჭრა, წამებით მოკლა, თავი იმპერატორად გამოაცხადა. თვითონ ძის თავისი მოადგილე ჰერაკლეც ასევე გადაუდგა, შეიპყრო, თავი მოჰკვეთა.

ფოტიოსი (დაახ. 828—97) — კონსტანტინოპოლის სახელგანთქმული პატრიარქი, ბიზანტიის იმპერატორთა ნათესავი, დიდი ეკლესიის მოღვაწე, რომლის ცოდნას, ნიჭსა და სიმტკიცეს მტრებიც აღიარებდნენ. პაპებს ებრძოდა. სასტიკად შეეტაკა ხიკოლოზ პირველს, შეაჩვენეს ერთმანეთი და მხოლოდ 200 წლის შემდეგ (1054) მოხდა ორი ეკლესიის გათიშვა (მართლმადიდებელი აღმოსავლეთი და კათოლიკე დასავლეთი. არსებითად ეს იყო საომარი მდგომარეობა პირველობისათვის საქრისტიანოში).

ფრანკო, ფრანცისკო (დ. 1892) — ესპანეთის გენერალი, ფაშისტი დიქტატორი. 1936 წ. სათავეში ჩაუდგა სამხედრო-კონტრრე-

ვოლუციურ გადატრიალებას (ამბოხებას), დაამხო რესპუბლიკა და დაამყარა ტერორისტული რეჟიმი, რასაც აგერ 34 წელი მეთაურობ.

ფრანცისკ ასიზელი (1184—1226) — ფრანცისკანელთა (მოგლ. ხაკე ბერთა) ანუ უმცროს ძმათა ორდენის დამაარსებელი. ვალდენ სელთა ზეგავლენით სიღარიბეს ქადაგებდა. 1209 წ. ინოკენტი მე-სამემ ორდენს თავისი კალთა გადააფარა და პაპობის ბურჯად აქ-ცია.

ფრანცისკ I — საფრანგეთის მეფე (1515—47). მარინიანოს (მილანთან) გამართულ „ბუმბერაზთა ბრძოლაში" სასტიკად დაამარ-ცხა შვეიცარიელთა ჯარი (1515 წ. 14 სექტ.), რისთვისაც ეწოდ. „კეისარი — შვეიცარიელთა დამმარცხებელი". დაიმორჩილა მი-ლანი. უშედეგოდ ებრძოდა კარლოს მეხუთეს.

ფრატიჩელები („ძმობის წევრები") — ოპოზიციური ჯგუფი ფრანცისკანელთა ორდენის შიგნით, ებრძოდა პაპებს, ამტკიცებდა, რომ ეკლესია გახრწნილების წუმპეში ჩაეფლო და საჭიროა რეფორ-მაცია. დევნიდნენ.

ფრიდრიხ I ბარბაროსა, ჰოჰენშტაუფენი (1152—90) — ცნო-ბილი გერმანელი იმპერატორი, სარდალი და პოლიტიკოსი, დიდხანს ცვალებადი წარმატებით ებრძოდა პაპებსა და ლომბარდიის ქალა-ქებს, 1189 წავიდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მაგრამ კილიკიაში დაიხრჩო. ამბობენ, დიდსულოვანი იყო.

ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენი — გერმანიის იმპერატორი (1215—50), ბარბაროსას ბადიში, განათლებული, სწავლულთა მფარ-ველი, არაბი და ებრაელი მეცნიერები შემოიკრიბა. 1229 წ. ჯვა-როსნული ლაშქრობაც მოაწყო, მაგრამ პაპების გული მაინც ვერ მოიგო, ებრძოდა გრიგოლ მეთერთმეტეს, რომელმაც შეაჩვენა, და ინოკენტი მეოთხეს.

ფრიდრიხ III არაგონიელი — ორივე სიცილის მეფე (1496—1501).

„ფულს სუნი არ სდის", „ფული არ ჰყარს" — ცნობილი ხა-ტოვანი (და ღვარძლიანი) თქმა, რაც სვეტონიუსმა შემოგვინახა „12 კეისრის ცხოვრებაში". როცა ვესპასიანეს შვილმა უსაყვედუ-რა, საპირფარეშოები რად დაბეგრეო, იმპერატორმა მონეტა უჩვენა: „ყარს? ეს ხომ ღამის ოქროა! როგორც ხედავ, ფულს სუნი არა სდის".

ქანაანის მიწა — პალესტინის ძველი სახელწოდება ებრაელთა მოსვლამდე (ბიბლიის მიხედვით).

ქრიზოპოლი — ძვ. ბიზანტიური ქალაქი, მარმარილოს ზღვის ნაპირას.

ქრისტიან II — დანიის მეფე (1513—23), „ბოროტად" წოდებული, ჭკვიანი და ენერგიული, მაგრამ გულქვა ტირანი, ცოლად ჰყავდა კარლოს მეხუთის და, მაგრამ თავის „სულიკოს" (ხასას) მორჩილებოდა. შეება შვეციის მმართველ სტენ სტურე უმცროსს, ომელმაც დაამარცხა, მერე სტურე სასიკვდილოდ დაიჭრა, ქრისტიანმა შვეცია დაიპყრო და 600 კაცი სიკვდილით დასაჯა, რითაც აიმბედრა ხალხი და შვეცია დაკარგა, მერე კი დანიის ტახტიც, რომლის დაბრუნების ცდაშიც მეფე ფრიდრიხ პირველმა შეიპყრო და საპყრობილეში ჩასვა.

ქრისტინა — შვეციის დედოფალი (1626—1632—1654). არისტოკრატები ნიჭიერთა დაწინაურებით გადაიკიდა, წოდებები — ფლანგვისათვის. გადადგა.

ცელიბატი — უქორწინობა, რასაც კათოლიკური ეკლესია აბატონებს და ამით გზას უხსნის საყოველთაო გახრწნილებას.

ცეცილია — რომაელი ბანოვანი, რომელმაც III ს. დასაწყისში ფარულად მიიღო ქრისტიანობა და ქალწულობის აღთქმა დადო. სამი დღის წამების შემდეგ მოკლეს. მისი ნეშტი პასქალის პირველმა მისი სახელობის ეკლესიაში დაისვენა.

წარმართი იმპერატორები — რომის იმპერიის მბრძანებლები 293—306 წლებში, როცა ტახტს ერთდროულად განაგებდა ოთხი იმპერატორი: დიოკლეტიანე (285—305), მაქსიმილიანე (286—305), ვალერიუსი (293—311) და კონსტანცი I (293—306). ყველანი გაძლიერებით დევნიდნენ ქრისტიანებს.

წმინდა ლიგა — კათოლიკე მბრძანებელთა კავშირი, დაარსდა 1576 წ. I გიზის წინამძღოლობით, ჰუგენოტებთან ბრძოლის მიზნით.

ხოზე I — პორტუგალიის მეფე (1750—77) — პორტუგალიის მეფე, რომელმაც დეკრეტით განდევნა თავისი ქვეყნიდან იეზუიტები (759).

ჯვაროსნული ლაშქრობანი — გიჟური ღონისძიებანი, რომელთაც პაპები და მეფეები ატარებდნენ XI ს-დან XIII ს. ბოლომდე,

ვითომდა ქრისტეს საფლავის სახსნელად პალესტინაში, ნამდვილად კი მაჰმადიანური სამყაროს დასამხობად და სიმდიდრის წყაროების მოსაპოვებლად. სულ 8 დიდი ლაშქრობა მოეწყო, თუ არ ჩავთვლით მღვდელ გოტშალკის (ნ.). უწესრიგო ბრბოს, რამაც უნგრეთშივე ნახა სამარე. მთავარ ლაშქრობათა სურათი ასეთია:

I — მოაწყო ურბან მეორემ (1096—99). ასი ათას (ზოგი ცნობით 300.000) საუცხოოდ შეიარაღებულ და გაწრთვნილ მეომარს, რომელთა რიცხვი გზადაგზა უთვალავი ხიფათისმაძიებლითა და დამნაშავით ივსებოდა, სათავეში ჩაუყენეს იმ დროის გამოჩენილი სარდლები: გოტფრიდ ბულონელი და მისი ძმები, გრაფი ჰუგო ვერმანდუა, ფილიპე I ძმა, რაიმუნდ ტულუზიელი, ტანკრედ აპულიელი და სხვ. რაინისპირეთშივე დახოცეს 35000 ებრაელი, რითაც ცოდვები გამოისყიდეს (თუ აიკიდეს?). მრავალი ძნელბედობის შემდეგ აიღეს ანტიოქია, ედესი, იერუსალიმი, სადაც საშინელი სვრემა გაიმართა. გოტფრიდი გამოცხადდა იერუსალიმის პირველ მეფედ (დაარსდა სხვა სამთავროებიც), მაგრამ ტიტულზე უარი თქვა, თავი „უფლის საფლავის მცველად“ გამოაცხადა, მალე გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმა აკიდა. იერუსალიმის სამეფო არსებობდა 1100—1187 წლებში.

ამ წარმატებით წაქეზებულმა მბრძანებლებმა ევროპიდან მცირე აზიაში ჯვაროსანთა ახალი ნაკადი დაძრეს. ბავარიელთა, გერმანელთა, იტალიელთა, ფრანგთა არმია, რაც 260 000 კაცისაგან შედგებოდა, სელჯუკებმა დაამარცხეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს. 1144 წ. ედესიც თურქებმა აიღეს. ევროპის ძალები უკვე დნებოდნენ.

II ჯვაროსნული ლაშქრობა (1147—49) მოეწყო ევგენი III თაოსნობით, რომელმაც ურბანივით ცოდვების მიტევება აღუთქვა ყველა მონაწილეს. მეოცნებე ბერნარდ კლერვომ მონაწილეობაზე დაითანხმა ფრანგთა მეფე ლუდუვიკო VII და გერმანიის იმპერატორი კონრად III ჰოჰენშტაუფენი. შედგა უზარმაზარი არმია, რომელშიაც შედიოდა 140 000 მხედარი და 100 000 ფეხოსანი. ამ ურდომ, რაც ჭირმა და მცირე შეტაკებებმა შეათხელეს, დამასკოც კი ვერ აიღო და ლაშქრობა სამარცხვინოდ დამთავრდა.

III ლაშქრობა (1189—96) მოეწყო მას შემდეგ, რაც სულთანმა სალადინმა 1187 წ. იერუსალიმი აიღო. მასში მონაწილეობდნენ

ძირითადად გერმანელი რაინდები, რომელთაც ფრიდრიხ I ბარბაროსა სარდლობდა, ფრანგები, რომელთაც ფილიპე II ავგუსტი გაუძღვა, და ინგლისელები, რომელთაც სათავეში ედგა რიჩარდ ლომგული. ბარბაროსა მდ. სალეფში დაიხრჩო, ფილიპე ავგუსტი უკან გაბრუნდა, რიჩარდ ლომგულმა კი ზოგ წარმატებას მიაღწია (აიღო აკრა და კვიპროსი), მაგრამ იერუსალიმთან ფარ-ხმალი დაყარა და სალადინთან ზავი შეკრა.

IV ლაშქრობა (1202—1204), რაც ინოკენტი მესამემ მოაწყო, დამთავრდა იმით, რომ 20 000 ფრანგმა და გერმანელმა 1204 წლის 13 აპრილს იერიშით აიღო და ააოხრა კონტსანტინეპოლი. ქრისტეს საფლავის სახსნელად დაძრული ლაშქრის იარაღით ქრისტიანული იმპერიის დაგრევა და მის ადგილზე „ლათინური იმპერიის“ შექმნა (1204—61) ნიღაბს ხდიდა ჯვაროსანთა ნამდვილ ვერაგულ მიზნებს. ამ იმპერიამ სულ 57 წელი იარსება (ყველაზე მეტად მოიგო ვენეციამ).

დანარჩენი ლაშქრობანი კიდევ უფრო უაზრო და უშედეგო აღმოჩნდა.

სათვალავში არ იღებენ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს დანაშაულს — 1212 წელს მოწყობილ ბავშვთა ჯვაროსნულ ლაშქრობას (50 000 ბავშვი, რომელთაც ვითომ ღმერთი დაეხმარებოდა, თითქმის მთლიანად დაიღუპა გზაში), არც უნგრეთის მეფის კონრად II ლაშქრობას სირიაში (1217—18). ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ამას ლაშქრობად თვლის, და მაშინ გამოდის რვა ლაშქრობა.

V (თუ VI) ჯვაროსნული (1228—29) მოაწყო პაპის შეჩვენებულმა ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენმა, რომელსაც ტევტონთა ორდენი უჭერდა მხარს. ფრიდრიხმა მოახერხა იაფის და იერუსალიმის აღება (იქვე ეკურთხა მეფედ), მაგრამ 1244 წ. ეს ქალაქი საბოლოოდ ჩავარდა არაბთა ხელში (აიღო ეგვიპტის სულთანმა).

VI (თუ VII) ლაშქრობა (1248—54) მოაწყო ლუდოვიკო IX ფრანგთა მეფემ, რომელსაც მძიმე ავადმყოფობის დროს აღთქმა ჰქონდა დადებული, ქრისტეს საფლავის სახსნელად წავალო. საფლავი ვერ იხსნა, თვითონ კი ტყვედ ჩავარდა და ძლივს გამოიხსნა თავი. მალე დედა გარდაეცვალა და საშშობლოში გაბრუნდა.

VII (ან VIII) და უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა მოა-

წყო იმავე ლუდოვიკო მეცხრემ 1270 წელს, ტუნისში. ქრისტეს საფლავი ტუნისში როდია, მაგრამ მეფეს კარლ ანჟუელისათვის სპირდებოდა ჩრდ. აფრიკა. მეფემ ქალაქს ალუა შემოარტყა, მაგრამ ჭირმა იმსხვერპლა, ჯარის დიდ ნაწილთან ერთად. ქრისტე ვერ დაეხმარა მისთვის თავდადებულ რაინდებს, მაგრამ მორწმუნეები მუდამ ბრმა რჩებოდნენ.

1268 წ. თურქეთმა ანტიოქია დაიბრუნა, მალე ტრიპოლი და აკაც დაიკარგა და ჯვაროსანთა სისხლით მოპოვებული მიწები ისევ მაჰმადიანთა ხელში გადავიდა. მდინარემ ვერ მორწყო უდაბნოს ქვიშა. უგნურ ლაშქრობათა საბოლოო შედეგი იყო პაპობის ავტორიტეტის დაცემა, უზარმაზარი მსხვერპლი და კულტურის უნიკალური ძეგლების განადგურება კონსტანტინოპოლში. ასი ათასობით ევროპელი შეეწირა პაპის ახირებას. რვა დაუნდობელმა ლაშქრობამ განუზომელი უბედურება დაატეხა აღმოსავლეთის ქვეყნებსაც. მართალია, გაიზარდა გეოგრაფიული ჰორიზონტი, ცოდნა, გაცხოველდა ურთიერთობა, მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში.

ჯვაროსნული ლაშქრობის ლოზუნგით პაპები საუკუნეების განმავლობაში განაგრძობდნენ ხალხების წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ლოზუნგით ჩატარდა ტევტონთა ორდენის ქოფაკ რაინდთა თავდასხმა რუსეთის მიწაწყალზე (XII—XIII ს.), ალბიგოელთა გაჟლეტა 1209 წ., ჩრდილოეთ იტალიის აჯანყების ჩაქრობა 1305 წ. ჩეხი ჰუსიტების წინააღმდეგ ატეხილი ომი (1420—31) და სხვ. ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა პიუს მეცხრემ 1930 წ. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და დღესაც ქადაგებენ ასეთ ლაშქრობას, რათა „ბოლო მოუღონ კომუნიზმის საფრთხეს“.

ჰერმა — ნ. ნიკოლაიტები.

ჰენრიხ I საქსონიელი — გერმანიის მეომარი იმპერატორი (1002—1024), გააძლიერა მეფის ძალაუფლება, სამჯერ ილაშქრა იტალიაში, პაპს ბენედიქტე მერვეს დაეხმარა ბერძნებთან ომში, ევგენი მესამემ წმინდანად შერაცხა.

ჰენრიხ (შარლ) I — გიზი — პრინცი, ლოთარინგიის ჰერცოგი (1550—88), ფრანგ კათოლიკეთა მეთაური, რომელმაც განახორციელა ბართლომეს ღამის ხოცვა-ჟლეტა და ადმირალ კოლინის მკვლელობა. იგივე იყო ე. წ. „წმინდა ლიგის“ ორგანიზატორი. 1588 წ. პარიზში კათოლიკეთა ახალი გამოსვლა მოაწყო ჰენრიხ მესამის წი-

ნააღმდეგ, მაგრამ თვითონვე მოკლეს ჰენრიხის ბრძანებით (ნ. სამი ჰენრიხის ომი).

ჰენრიხ II — საფრანგეთის მეფე (1547—59), ფრანცისკ პირველის, ორლეანის ჰერცოგის შვილი. მის დროს დაარსდა „ცეცხლის პალატა“ — პროტესტანტების წინააღმდეგ.

ჰენრიხ III — საფრანგეთის მეფე, კარლოს IX ძმა (1574—89), ბართლომეს ღამის ტრაგედიის მონაწილე. ჰუგენოტების წინააღმდეგ მორიგი არმია დაძრა, დამარცხდა, ჰენრიხ მეოთხის ბანაკში გაიქცა, სენ-კლუში, და იქ ფანატიკოსმა კლემანმა ხანჯლით განგმირა.

ჰენრიხ VIII — ინგლისის მეფე (1491—1509—1547), ჯერ პაპობაზე ოცნებობდა (ურიგო პაპი არ იქნებოდა!) და თავგამოდებული კათოლიკე იყო, მაგრამ 1533 წ. პაპმა ქორწინება არ დაუმტკიცა და მისი მტერი გახდა, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად თავისი თავი გამოაცხადა, რითაც ძველი ოცნება მაინც განახორციელა. ეკლესიების გათიშვის საბაბი გახდა პირველ ცოლთან კატერინა არაგონიელთან განქორწინება, რის შემდეგაც მშვენიერი ანა ბოლეინი შეირთო (ამ საქმეში ჩაერია კლიმენტი VII). მერე ამ ქალსაც ღალატი დასწამა, სიკვდილით დასაჯა და შეირთო იოანა სეიმური (ედუარდ VI დედა), რომელიც მალე გარდაიცვალა. მისი მორიგი მსხვერპლი იყო კატერინა გოუარდი, რომელსაც გაშორდა და შეირთო მეექვსე — კატერინა პარი (ქმარზე მეტ ხანს იცოცხლა).

ჰენრიხ ნავარელი — ნავარის მეფე, ბურბონი (ვალუების ნათესავი), საფრანგეთის ისტორიის ფრიად გამოჩენილი პიროვნება (ჰაინრიხ მანის დიდი რომანის გმირი), მომავალი ჰენრიხ (ანრი) IV (1589—1610), ჰუგენოტების ბელადი, მერე კათოლიკების მხარეზე გადავიდა („პარიზი ღირს მქსად!“). სწორედ მესამ იხსნა ბართლომეს ღამეს (წირვაზე იყო). ხანჯლით მოკლა რავალიაკმა (იეზუიტებმა ადრეც არაერთხელ სცადეს მისი მოკვლა).

ჰეტერა — თავისუფალი ქცევის განათლებული ქალი ძვ. რომსა და საბერძნეთში. ცნობილია პერიკლეს გავლენიანი ჰეტერა ასპაზია, აგრეთვე ფრინა, რომელმაც თებელებს დანგრეული კედლები თავისი ხარჯით აუშენა.

ჰოროსკოპი — ვარსკვლავთა განლაგების მაჩვენებელი ცხრილი ან ხელსაწყო.

ჰუგენოტები (თავშეყრის ადგილის სახელი, გერმანულად „აიდგენოსენ“ — ფიცით შეკრულნი)— ფრანგი კალვინისტები, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის და აბსოლუტიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ (რელიგიური ომები, 1562—94).

ჰუგო — იტალიის (ლომბარდიის) მეფე (926—47).

ჰუსი, იან (1369—1415) — დიდი ჩეხი ჰუმანისტი, რეფორმატორი, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, პრაღის უნ-ტის პროფესორი, პაპთა რისხვა. გმობდა ინდულგენციებით ვაჭრობას. კონსტანცის კრებამ კოცონზე დაწვა ჰუსიც და მისი მოწაფე იერონიმე პრაღელიც (ჰუსი 1415 წ. 6 ივლისს, იერონიმე — 1416 წ. 30 მაისს).

პაპები და ანტიპაპები

პეტრე მოციქული — ძითიური პირველი პაპი, რომელმაც თითქოს ქვაზე ააგო სამღვდელმთავრო ტაძარი (ბერძნულად პეტროს ნიშნავს ქვას).
ლინი, რომის ეპისკოპოსი, 67—76.
ანაკლეტ I, რომაელი, აწამეს, 76—88.
კლიმენტი I, რომაელი, მოწამე, 88—97.
ევარისტი, ანტიოქელი ბერძენი, 97—105 (?).
ალექსანდრე I, რომაელი, აწამეს, 105—115.
სიქსტ I, რომაელი, 115—125.
ტელესფორი, ბერძენი, 125—136.
გიგინი, ათენელი ბერძენი, 136—140.
პიუს I, იტალიელი, 140—155.
ანიკეტი, სირიელი, 155—166.
სოტერი, იტალიელი, 166—175.
ელეფთერი, ეპირელი ბერძენი, 175—189.
ვიქტორ I, აფრიკელი, მოწამე, 189—199.
ზეფერინი, რომაელი, 199—217.
კალიქსტ I, რომაელი, 217—222.
* იპოლიტე, რომაელი, ანტიპაპი, 217—235.

---

* ვარსკვლავივით აღნიშნულ მღვდელმთავრებს. კათოლიკური ეკლესია ანტიპაპებად თვლის.

ურბან I, რომაელი, აწამეს, 222—230.
პოხციანო, რომაელი, 230—235.
ანტერი, ბერძენი, 235—236.
ფაბიანი, რომაელი, 236—250. გარდაიცვალა ციხეში.
კორნელიუსი, რომაელი, 251—253. დაიღუპა გადასახლებაში.
*ნოვაციანი I, რომაელი, 251—258, კორნელიუსის ანტიპაპი.
ლუციუს I, რომაელი, 253—254. აწამეს.
სტეფანე I, რომაელი, 254—257. მის სახელზე დაარსდა წმ. სტეფანეს ორდენი.
სიქსტ II, ათენელი ბერძენი, 254—258. მოკლეს წირვის დროს.
დიონისი, სადაურობა უცნობია, 259—269.
ფელიქს I, რომაელი, 269—274, აწამეს.
ევტიხი, ტოსკანელი, 275—283.
გაიუსი, დალმაციელი, 283—296.
მარცელინი, რომაელი, 296—304. პირველი ეპისკოპოსი, რომელსაც ეწოდა პაპი.
მარცელ (მარკელ) I, რომაელი, მოწამე, 308—309.
ევსებიუსი, ბერძენი, 309 წ. აპრილი — აგვისტო. განდევნეს.
მილტიადე, აფრიკელი, 311—314.
სილვესტრ I, რომაელი, 314—335.
მარკი, რომაელი, 336 წ. იანვარი — ოქტომბერი.
იულიუს I, რომაელი, 337—352.
ლიბერიუსი, რომაელი, 352—366. განდევნა იმპერატორმა კონსტანციუსმა.
* ფელიქს II, რომაელი, არიანელი, განდევნეს, 355—365.
* დამასი I, რომაელი, 366—384.
* ურსინი, რომაელი, 366—367.
სირიციუსი, რომაელი, 384—399.
ანასტას I, რომაელი, 399—401.
ინოკენტი I, ალბანელი, 401—417. იხსნა რომი ვესტგოთებისაგან.
ზოსიმე, ბერძენი, 417—418.
ბონიფაციუს I, რომაელი, 418—419.
ცელესტინ I, რომაელი, 418—422.
* ევლალიუსი, რომაელი, 418—419.
ცელესტინ I, იტალიელი, 422—432.

სიქსტ III, რომაელი, 432—440.
ლევ I დიდი, ტოსკანელი, 440—461. სახელი გაითქვა რომის გადარჩენით ატილასა და ვანდალთა მეფე ალარიხისაგან.
გილარიუსი, სარდინიელი, 461—468.
სიმპლიციუსი, იტალიელი, 468—483.
ფელიქს III, რომაელი, 483—492.
გელასიუსი, აფრიკელი, 492—496.
ანასტას II, რომაელი, 496—498.
სიმახი, სარდინიელი, 498—514.
ლავრენტი, რომაელი, 498—505.
ჰორმიზდი, კამპანიელი, 514—523.
იოანე I, ტოსკანელი, 523—526. დაიღუპა ციხეში.
ფელიქს IV (III), კამპანიელი, 526—530.
ბონიფაციუს II, რომაელი, 530—532.
დიოსკორი, ალექსანდრიელი, 530 წ. სექტემბერ-ოქტომბერი (22 დღე).
იოანე II, რომაელი, 533—535. მის დროს რომი ველიზარიუსმა აიღო.
აგაფეტ I, რომაელი, 535—536.
სილვერიუსი, კამპანიელი, 536—537. იმპერატორმა გადაასახლა.
ვიგილიუსი, რომაელი, 537—555. ოსტგოთებს გაექცა სიცილიაში.
პელაგიუს 1, რომაელი, 556—561.
იოანე III, რომაელი, 561—574.
ბენედიქტე I, რომაელი, 575—579.
პელაგიუს II, რომაელი, 579—590.
გრიგოლ I დიდი, 590—604. დასაბამი მისცა ერეტიკოსთა დაწვას კოცონზე (სახარების თანახმად: ხმელი ტოტი მოეჭრას, ცეცხლს შეეკეთოსო!).
ბონიფაციუს III, რომაელი, 607, თებერვალ-ნოემბერი (22 დღე).
ბონიფაციუს IV, იტალიელი, 608—615.
ადეოდატი, რომაელი, 615—618.
ბონიფაციუს V, ნეაპოლელი, 619—625.
ჰონორიუს I, კამპანიელი, 625—638. კონსტანტინოპოლის კრებამ ერეტიკოსად გამოაცხადა.
სევერინი, რომაელი, 640 წ. მაისი-აგვისტო.

იოანე IV, დალმაციელი, 640—642.
თეოდორ I, ბერძენი, 642—649.
მარტინ I, იტალიელი, 649—655. გარდაიცვალა ხერსონში, სადაც იმპერატორმა ირაკლიმ გადაასახლა.
ევგენი I, რომაელი, 654—657, აირჩიეს მარტინის სიცოცხლეში.
ვიტალი, იტალიელი, 657—672.
ადეოდატ II, 672—676.
ლომნიუსი, რომაელი, 676—678.
აგათონი, სიცილიელი, 678—681.
ლევ II, რომაელი, 684—685.
ბენედიქტე II, რომაელი, 684—685.
იოანე VI, სირიელი, 685—686.
კონონი, 686—687.
* თეოდორი, ანტიპაპი, 687 წ. დეკემბერი.
* პასქალი, 687.
სერგი I, სირიელი, 687—701. მოამზადა განხეთქილება.
იოანე VI, ბერძენი, 701—705.
იოანე VII, ბერძენი, 705—707.
სიზინიუსი, სირიელი, 708 წ. იანვარი — თებერვალი (20 დღე).
კონსტანტინე I, სირიელი, 708—715.
გრიგოლ II, რომაელი, 715—731.
გრიგოლ III, სირიელი, 731—741.
ზაქარია, ბერძენი, 741—752. ტახტზე ასვლის დასტური მისცა პიპინს.
* სტეფან II, რომაელი, 752 წ. 23—25 მარტი. გარდაიცვალა მესამე დღეს.
სტეფან III, 752—757, გვირგვინი უკურთხა პიპინ მოკლეს.
პავლე I, რომაელი, 757—767.
* კონსტანტინე (ტიბერიუს) II, იტალიელი.
* ფილიპე, 768 წ. 31 ივლისი. პაპი ერთი დღით: არჩევისთანავე მონასტერში დაამწყვდიეს.
სტეფან IV, სიცილიელი, 768—772. თვალები დასთხარა ანტიპაპს, რომი აეშალა, ლანგობარდებთან დალია სული.
ადრიან I, რომაელი, 772—795, კარლოს დიდის ყურმოჭრილი ყმა.

ლევ III, რომაელი, 795—816. იმპერატორად-აკურთხა კარლოს დიდი (800).

სტეფან V, რომაელი, 816—817.

პასქალი, I, რომაელი, 817—824.

ევგენი II, რომაელი, 824—827.

ვალენტინი, რომაელი, 827, აგვისტო-სექტემბერი.

გრიგოლ IV, რომაელი, 827—844.

* იოანე, 844 წ. იანვარი.

სერგი II, რომაელი, 844—847. გახრწნილი, თანამდებობებით მოვაჭრე პაპი.

ლევ IV, რომაელი, 847—855, ავხორცი, გაუმაძღარი ლოთი.

* იოანა, ინგლსელი, 855—858 (?), ერთადერთი პაპი ქალი ტახტზე. მისი არსებობა საბოლოოდ არ არის დამტკიცებული.

ბენედიქტე III, რომაელი, 855—858 (იოანას, პაპი — ქალის უარყოფის ცდა).

* ანასტასი, რომაელი, 855 წ. აგვისტო-სექტემბერი.

ნიკოლოზ I, რომაელი, 858—867, უძლიერესი პაპი გრიგოლ პირველსა და გრიგოლ მეშვიდეს შორის, კაროლინგების ეკლესია აქცია პაპის ეკლესიად.

ადრიან II, რომაელი, 867—872.

იოანე VIII, 872—882. მოწამლეს, მერე ჩაქუჩით გაუპეს თავი.

მარტინ II (ვარინ I), იტალიელი, 882—884.

ადრიან III, რომაელი, 884—885.

სტეფან V, რომაელი, 885—891.

ფორმოზ I, იტალიელი, 891—896. სტეფან VI და სარგი III მისი გვამი ამოთხარეს, გაასამართლეს, თითები ოთაკრეს, ათრიეს, დაწვეს.

ბონიფაციუს VI, რომაელი, 896 წ. აპრილი (რამდენიმე დღით).

სტეფან VII, რომაელი, 896—897. გაასამართლა ფორმოზის გვამი. გაგეჟდეს.

რომან I, იტალიელი, 897 წ. აგვისტო-ნოემბერი.

თეოდორ III, რომაელი, 897 წ. დეკემბერი.

იოანე IX, იტალიელი, 898—900.

ბენედიქტე IV, რომაელი, 900—903.

ლევ V, იტალიელი, 903. ტახტზე იჯდა 40 დღე. სერგი III ნებით გაგუდეს.

* ქრისტეფორე, რომაელი, 903—904. სერგი მესამის ბრძანებით გაგუდეს.

სერგი III, რომაელი, 904—911. უზნეო, ავხორცი, პაპთა მგუდავი.

ანასტასი III, რომაელი, 911—913, ტაკიმასხარა რომის ტახტზე.

ლანდონი, იტალიელი, 913—914, „დროებითი პაპი", მაროზიას საყვარელი.

იოანე X, იტალიელი, 914—928, „პაპი გახდა თეოდორას და მისი ორი ასულის — სამი დედაკაცის წყალობით" (მარქსი). ციხეში გაგუდეს.

ლევ VI, რომაელი, 928 წ. მაისი-დეკემბერი.

სტეფან VII, რომაელი, 928—931, თეოდორას და მაროზიას თოჯინა ტახტზე.

იოანე XI, 931—935, გარდაიცვალა საპყრობილეში.

ლევ VII, რომაელი, 936—939, მორიგი თოჯინა პაპის ტახტზე.

სტეფანე VIII, რომაელი, 934—942.

მარინ II, რომაელი, 942—946.

აგაფეტ II, რომაელი, 946—955.

იოანე XII, იტალიელი, 955—964, გრაფი ოქტავიანე, პირველი პაპი, რომელმაც არჩევის შემდეგ სახელი გამოიცვალა. ზნედაცემული ტირანი, რომელიც სატანის სადღეგრძელოს სვამდა. აღსასრული ჰპოვა საყვარლის სარეცელში.

ლევ VIII, რომაელი, 963—965.

* ბენედიქტე V, რომაელი, 965—966. განდევნეს ჰამბურგში.

* იოანე XIII, რომაელი, 965—972.

* ბონიფაციუს VII, რომაელი, 974 (მერე 984—985).

ბენედიქტე VII, რომაელი, 974—983.

იოანე XIV, იტალიელი, 983—984. ციხეში მოკლეს.

იოანე XV, რომაელი, 985—996.

გრიგოლ V, ბრუნო, საქსონიელი, 996—999. შუალედი სამნახევარი თვე.

* იოანე XVI, იტალიელი, ჯიოვანი ფილაგეტი, 997—998. თავი მოჰკვეთეს იმპერატორ ოტონ III ბრძანებით.

სალვესტრ II, ფრანგი, ჰერბერტი, 999—1003, ფილოსოფოსი, მათემატიკოსი.

იოანე XVII, სიკონე, რომაელი, 1003, ივნის-დეკემბერი.

იოანე XVIII, ფრაზანო, 1004—1009.

სერგი IV, პიეტრო, 1009—1012, „ღორის დინგად“ წოდებული.

ბენედიქტე VIII, თეოფილაქტე, ტუსკულანის გრაფი, 1012—1024.

* გრიგოლი, 1012.

იოანე XIX, რომაელი, ტუსკულანის გრაფი, 1024—1032, არ იყო სასულიერო პირი, ტახტი იყიდა. ფეხზე სამთხვევად ეახლა დანიის მეფე კანუტი.

ბენედიქტე IX, ტუსკულანის გრაფი, 1032—1044. ტახტზე დასვეს 12 წლისა.

* სილვესტრ III, ჯიოვანი, რომაელი, 1044 წ. იანვარ-თებერვალი. არ ცნობენ.

* იოანე XX, 1045—1046.

გრიგოლ VI, ჯიოვანი გრაციანო, რომაელი, 1045—1046. პაპის ტახტი იყიდა ბენედიქტე IX, იოანე XX და სილვესტრ მესამისაგან. იმ ხანებში კიდევ ორჯერ იჯდა პაპის ტახტზე იგივე ბენედიქტე IX: მეორედ 1045 წლის აპრილ-მაისში და მესამედ 1047—1048 წლებში.

კლიმენტი II, მორსლებენი, საქსონიელი, 1046—1047, სწავლული.

დამასი II, პოპონე, ბავარიელი, 1048 წ. ივლის-აგვისტო.

პაპი.

ლევ IX, ბრუნო, ელზასელი, გრაფი, 1049—1054. საეკლესიო განხეთქილება.

ვიქტორ II, ჰერბერტი, გრაფი, გერმანელი, 1055—1057. ებრძოდა სიმონიას.

სტეფან IX, ფრიდრიხი, ლოთარინგიის გრაფი, 1057—1058.

ბენედიქტე X, ჯიოვანი, 1058—1059 (ცხრა თვეს).

ნიკოლოზ II, ჟერარი, ბურგუნდიელი, 1059—1061. ტახტს განაგებს ჰილდებრანდი, მომავალი გრიგოლ VII. პაპის არჩევა კარდინალებს მიანდო.

ალექსანდრე II, ანსელმო, მილანელი, 1061—1073.

* ჰონორიუს II, კადალი, ვერონელი, 1061—1072. არ ცნობენ.

გრიგოლ VII, ჰილდებრანდი, ტოსკანელი, 1073—1085. უძლიერესი პაპი.

* კლიმენტი III, ვიბერტო, პარმელი, 1080—1100. არ ცნობენ.

ვიქტორ III დეზიდერიუსი, იტალიელი, 1086—1087.

ურბან II, ოდონ დი ლაჟერი, 1988—1099, გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა.

პასქალი II, რანიერი, იტალიელი, 1099—1118.

* თეოდორიხი, იტალიელი, 1100.

* ალბერტი, იტალიელი, 1102.

* სილვესტრ IV, მაგინულფო. 1105—1111.

გელასიუს II, ჯიოვანი, კაეტანი, იტალიელი, 1118—1119.

* გრიგოლ VIII, მორისი, ფრანგი, 1118—1121.

კალიქსტ II, გი, ბურგუნდიელი, გრაფი, 1119—1124.

ჰონორიუს II (მეორე პაპი ამ სახელით), ლამბერტო, იტალიელი, 1124—1130.

* ცელესტინ II, ტებალდო, რომაელი, 1124 წ. დეკემბერი.

* ინოკენტი II, გრიგოლ პაპარესკი, რომაელი, 1130—1143.

* ანაკლეტ II, პიეტრო პეტრი ლეონისი, 1130—1138.

* ვიქტორ IV, გრიგოლი, 1138 წ. მარტი-მაისი.

ცელესტინ II (მეორე პაპი ამ სახელით), გვიდო, იტალიელი, 1143—1144.

ლუციუს II, ჟერარდო, ბოლონიელი, 1144—1145. მეამბოხეებმა მოკლეს ქვით.

ევგენი III, ბერნარდო, პიზელი, 1145—1153.

ანასტას IV, კორადო, რომაელი, 1153—1154.

ადრიან IV, ნიკოლოზ ბრეიკსპირი, ერთადერთი ინგლისელი პაპი, 1154—1159. გამოჩენილი მღვდელმთავარი, გაიმარჯვა „უბა

-რუკ იმპერიაზე“.

ალექსანდრე III, როლანდო ბანდინელი, იტალიელი, 1159—1181. ებრძოდა ფრიდრიხ ბარბაროსას, რომელმაც ქოშები დაუკოცნა.

* ვიქტორ IV, ოქტავიან მონტინელი, იტალიელი, 1159—1164.

* პასქალის III, გვიდო კრემელი, 1164—1168. არ ცნობენ.

* კალიქსტ, ჯიოვანი, იტალიელი, 1168—1178 (ალექსანდრეს მესამე ანტიპაპი).

* ინოკენტი III, ლანდო, იტალიელი, 1179—1180.

ლუციუს III, უბალდო ალუჩინიოლი, იტალიელი, 1181—1185. გულქვა ჯალათი, რომელიც შვილების თვალწინ მშობლებს წვავდა, მერე—ბავშვებსაც.

ურბან III, უბერტო კრიველი, მილანელი. 1185—1187.

გრიგოლ VIII, ალბერტო დე ბორა, იტალიელი, 1187.

კლიმენტი III, პაოლო, სკოლარი, რომაელი, 1187—1191.

ცელესტინ III, ჯაჩინტო, ბობონე, რომაელი, 1191—1198.

ინოკენტი III, ლოტარიო, გრაფ სენის გვარისა, იტალიელი, 1198—1216. ერთი უძლიერესი პაპი, ნიჭიერი დიპლომატი, ვასალად გაიხადა თითქმის მთელი ევროპა. მის დროს დაარსდა დომინიკანელთა ორდენი.

ჰონორიუს III, ცენჩიო საველი, რომაელი, 1216—1227.

გრიგოლ IX, კარდინალი, ჰუგოლინო, გრაფ სენის გვარისა, 1227—1241. მისმა 40 000 ჯვაროსანმა ერთ სოფელში 6000 გლეხი გაჟლიტა.

ცელესტინ IV, ჯოფრედო კასტილიონი, მილანელი, 1241 (გარდაიცვალა არჩევიდან მეცამეტე დღეს).

ინოკენტი IV, სიბინალდო, ფიესკი, გენუელი, 1243—1254. ამაოდ სცადა ალექსანდრე ნეველის გადაბირება. მეფემ პაპის ნუნციუსი გააგდო.

ალექსანდრე IV, რინალდო, სენის გრაფი, 1254—1261.

ურბან IV, ჟოაკიმ პანტალეონ, ფრანგი, 1261—1264. ხარაზის შვილი.

კლიმენტი IV, გი ფულკოდი, ფრანგი, 1265—1268. კარლ ანჟუელს აჩუქა ნეაპოლი და სიცილია.

გრიგოლ X, ტეოდალდო ვისკონტი, იტალიელი, 1271—1276. ლიონის ყრილობაზე დაწესდა კონკლავი, წმინდა კოლეგია (1274).

ინოკენტი V, პიეტრო ტარანტასია, სავოელი, 1276 წ.

ადრიან V, ოტობონო ფიესკი, გენუელი, 1276 (თვე და ერთი კვირა). მათხოვრის შვილი.

იოანე XXI, პიეტრო იულიანი, ლისაბონელი, 1276—1277. ჭერი ჩამოექცა.

ნიკოლოზ III ჯიოვანი გაეტანო ორსინი, რომაელი, 1277—1280.

მარტინ IV, სიმონ და ბრიონი, ფრანგი, გერმანელთა მოძულე, 1281—1285.

ჰონორიუს IV, ჯაკომო საველი, რომაელი, 1285—1287.

ნიკოლოზ IV, ჯიროლამო მასკი, იტალიელი, 1288—1292. ელჩები გაგზავნა ჩინეთს.

ცელესტინ V, პიეტრო დელ მურონე, 1294—1296. უაღრესად ბნელი და ცრუმორწმუნე მღვდელმთავარი, გარდაიცვალა ციხეში.

ბონიფაციუს VIII, ბენედიქტე გაეტანი, იტალიელი, 1294—1303. ფილიპე IV ლამაზმა სილა გააწნა 86 წლის პაპს, რომელიც ფრანგებს ძაღლებს ეძახდა, საკუთარ თავს კი — ღმერთს. ბრაზით გული გაუსკდა.

ბენედიქტე XI, ნიკოლო ბოკასინი, იტალიელი, 1303—1304. უნიათო ბერი, რომელსაც მოწამლული ლეღვი მიართვეს და მოკლეს.

კლიმენტი V, ბერტრან დე გო, 1305—1314, ავინიონელი („ფრანგთა") პაპი.

იოანე XXII ჟოაკიმ დ, ოსა, ფრანგი, 1316—1334.

* ნიკოლოზ V, პიეტრო რაინალუჩი, იტალიელი, 1328—1330.

ბენედიქტე XII, ჟოაკიმ ფურნიე, ფრანგი, 1334—1342, ავინიონელი ლოთი.

კლიმენტი VI, პიერ როჟე, ფრანგი, 1342—1352. პროფესორი, რომელმაც საიქიოს ანგელოზები ბულით გააფრთხილა, სამოთხეში გადაიყვანეთ ყველა ცოდვილი, ვინც ჩემს სალაროში ფულს შეიტანსო. პეტრარკას მფარველი.

ინოკენტი VI, ეტიენ ობერი, ფრანგი, 1352—1362, ავინიონელი ციხიოსი.

ურბან V, გილიომ დე გრიმორი, 1362—1370, ფრანგი ბერი.

გრიგოლ XI, პიერ როჟე და ბეფორი, ფრანგი, 1370—1378. ტახტი ავინიონიდან რომში გადაიტანა. ამაოდ სცადა პროფესორ ვიკლიფის დაპატიმრება.

* ურბან VI, პრინიანო, ნეაპოლიტანელი, 1378 — 1389. ჯალათი პაპი.

* ბონიფაციუს IX, პეტრე ტომაჩელი, ნეაპოლიტანელი, 1389—1404.

* ინოკენტი VII, კოზიმო მილიორატი, იტალიელი, 1404—1406.

* გრიგოლ XII, ანჯელო კორერი, ვენეციელი, 1406—1409. დაამხო პიზის კრებამ.

* კლიმენტი VII, რობერტო, გენუელი გრაფი, „ავინიონელი ბან-

დიტი“, 1378—1394. აირჩიეს საფრანგეთს, ესპანეთის, ლიის, შოტლანდიისა და კვიპროსის კარდინალებმა.

* ბენედიქტე XIII, პედრო დე ლუნა, ესპანელი, 1394—140: თა შორის ყველაზე დღეგრძელია: ასი წელი იცოცხლა.

* ალექსანდრე V, პეტრე ფილარგი, კრიტოსელი, ბერძენი, 1 1410.

* იოანე XXIII, ბალთაზარ დელა კოსა, ნეაპოლიტანელი, 1 1415. ზნედაცემული ბანდიტი, მეკობრე, რომელმაც ძალი იხურა ტიარა.

მარტინ V, ოდონე კოლონა, რომაელი, 1417—1431. აირჩია კო ცის კრებამ, რომელმაც კოსა დაამხო. შეწყდა საეკლესი ხეთქილება.

* კლიმენტი VIII, ეგიდე მუნოცი, ანტიპაპი (არ ცნობენ), 1 1429.

ევგენი IV, გაბრიელ კონდელმერი, 1431—1447, ვენეციელი, ნატი“.

* ფელიქს V, პრინცი ამედეი VIII, სავოიის ჰერცოგი, 1 1449.

ნიკოლოზ V, ტომაზო პარენტუჩელი, 1447—1455. მეცენატად (ლი ლოთი, მის დროს თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღ

კალიქსტ III, ალფონსო ბორჯია, ესპანელი, 80 წლისა აი 1455—1458.

პიუს II, ენიუს სილვიო დე პიკოლომინი, იტალიელი, 1458— ჰუმანისტი პაპის ტახტზე. მრავალი ისტორიულ-გეოგრაფ და რიტორიკული შრომის ავტორი ((„ფრიდრიხ III ისტ და სხვ.), პოეტი, რომელმაც დაფნის გვირგვინი მიიღო. თანს პირჯვრის გამოსახვისთვის საქრისტიანოს ნახევარს დ და. მოაწყო ჯვაროსნული ლაშქრობა.

პავლე II, პიეტრო ბარბო, ვენეციელი, 1464—1471. „წმინდ შენ არა ხარ, ბედნიერ მამად კი ჩაითვლებიო“, დასცინ ზნედაცემულ პაპს.

სიქსტ IV, ფრანჩესკო დელა როვერე, იტალიელი, მე- შვილი, ძლიერი და ბოროტი პაპი, 1471—1484. ამ „ ტის“ დროს ესპანეთს ერთდროულად დაატყდა ინკვიზ

შავი ჭირი. იეზუიტების გენერალი, ჯვაროსნული ლაშქრობის მომწყობი, მძვინვარე დესპოტი, ნერონზე ავი.

ინოკენტი VIII ჩიბრ, გენუელი, 1484—1492. ბოროტი, უზნეო, რეგვენი პაპი.

ალექსანდრე VI, როდრიგო დე ბორჯია, ესპანელი, 1492—1503, ჭკვიანი და უზნეო არამზადა, საყვარლად ჰყავდა საკუთარი ასული ლუკრეცია, მერე თავისსავე ვაჟს შერთო. თავი „ისახელა“ საწამლავთა შეზავებით.

პიუს III, ჯულიანო, დელა როვერე, იტალიელი, 1503—1513, რენესანსის ეპოქის უდიდესი პაპი, ახალ საეკლესიო სახელმწიფოს შემქმნელი, პაპი — აღმაშენებელი, ჭკვიანი და ენერგიული ტირანი, რომელმაც რომი მიქელანჯელოს ქმნილებებით დაამშვენა.

ლევ X ჯიოვანი მედიჩი, ფლორენციელი, 1513—1521. ტახტზე ავიდა ვენერიული წყლულების წყალობით (მალე მოკვდებაო). თავი „ისახელა“ დაუსრულებელი ორგიებით, ქეიფით. მის დროს გამოვიდა ლუთერი.

ადრიან VI, ადრიან ფლორენსი, უტრეხტელი, 1522—1523, უკანასკნელი არაიტალიელი პაპი, სამართლიანი კაცი, წესრიგის მოყვარული, მოწამლეს.

კლიმენტი VII, ჯულიო მედიჩი, ფლორენციელი, 1523—1534. მლიქვნელი. მის დროს დაიწვა ბ'არკი.

პავლე III, ალექსანდრე ფარნეზე, რომაელი, 1534—1549, ცბიერი და შეუპოვარი მმართველი, მიქელანჯელო დანიშნა მთავარ მხატვრად.

იულიუს III, ჩოკი დელ მონტე, რომაელი, 1550—1555.

მარკელ II, მაჩელო ჩერვინი, 1555 (22 დღე).

პავლე IV, ჯანპიეტრო კარაფა, ნეაპოლიტანელი, 1555—1559. გამოსცა აკრძალულ წიგნთა სია (ინდექსი).

პიუს IV, ჯიოვანი ანჯელო მედიჩი, 1560—1565.

პიუს V. ანტონიო გისლიერი, 1566—1572. დაწყევლა ელისაბედ დედოფალი.

გრიგოლ XIII, ჰუგო ბონკომპანი, ბოლონიელი, 1572—1585. შეასწორებინა კალენდარი. საზეიმო პარაკლისით შეხვდა ბართლომეს ღამის ჟლეტას.

სიქსტ V, ფელიჩე პერეტო, კარდინალი მონტალტო, 1585—1590. ღორების მწყემსი, მორჩილი, ფრანცისკანელი ბერი. ენერგიული, შეუპოვარი პაპი, მისი ღვაწლია პაპის კურიის ორგანიზაცია, რაც დღემდე უცვლელად რჩება.

ურბან VII, კოსტანიო, 1590 (ორი კვირის თავზე გარდაიცვალა).

გრიგოლ XIV, ნიკოლო სფონდრატი, 1590—1591.

ინოკენტი IX, ანტონიო ფაკინეტი, ბოლონიელი, 1491.

კლიმენტი VIII, იპოლიტო, ალდობრანდინი, ფლორენციელი, 1592—1605. უნიჭო და უბადრუკი ჯალათი, რომელმაც დაწვა ჯორდანო ბრუნო.

ლევ XI, ალესანდრო მედიჩი, ფლორენციელი, 1605 (27 დღით).

პავლე V, კამილო ბორგეზე, 1605—1621, დამარცხდა ვენეციასთან დავაში.

გრიგოლ XV, ალექსანდრე ლუდოვიზი, ბოლონიელი, 1621—1623.

ურბან VIII, მათეო ბარბერინო, ფლორენციელი, 1623—1644. საფრანგეთის დაჩოქებას ლამობდა, მაგრამ სძლია კარდინალმა რიშელიემ.

ინოკენტი X, პამფილი, რომაელი, 1644—1655, მართავდა ძმის ქვრივი, „და ისევ დაეპატრონა დედაკაცი იერუსალიმს“.

ალექსანდრე VII, ფაბიო კიჯი, სიენელი, 1655—1667, შეეტაკა ლუდოვიკო XIV-ს.

კლიმენტი IX, ჯულიო როსპიგლიოზი, 1667—1669.

კლიმენტი X, ემილიო ალტიერი, რომაელი, 1670—1676, უვიცი და უნიჭო.

ინოკენტი XI, ბენედეტო ოდესკალკი, 1676—1689. ამაოდ ებრძოდა ლუდოვიკო მეთოთხმეტეს, რომელიც პაპებს არ თვლიდა თავის უფროსებად.

ალექსანდრე VIII, პიეტრო ოტობონი, ვენეციელი, 1689—1691.

ინოკენტი XII, ანტონიო პინიატელი, ნეაპოლიტანელი, 1691—1700.

კლიმენტი XI, ჯიოვანი ფრანჩესკო ალბანი, ურბინოელი, 1700—1721.

ინოკენტი XIII, მიქელანჯელო დეი კონტი, 1721 — 1724. ამ ჯუჯამ, რომელიც ტიტანის სახელს ატარებდა, სინამდვილეში კი ტირანი იყო, იტალიას ვერაფერი შეჰმატა, გერმანიას კი ნეაპოლი აჩუქა.

ბენედიქტე XIII, პიეტრო ფრანჩესკო ორსინი, რომაელი, 1724—1730.

კლიმენტი XII, ლორენცო კორსინი, ფლორენციელი, 1730 — 1740. გაამდიდრა ვატიკანის ბიბლიოთეკა აღმოსავლური ხელნაწერებით.

ბენედიქტე XIV, პროსპერო ლამბერტინი, ბოლონიელი, 1740—1758.

კლიმენტი XIII, კარლო როცონიკო, ვენეციელი, 1758—1769, მფარველობდა იეზუიტებს.

კლიმენტი XIV, კარდინალი ჯიოვანი ვინჩენცო ანტონიო განგანელი, 1767—1774. იეზუიტების მოწაფე, ბერი, იეზუიტებმავე მოწამლეს.

პიუს VI, ჯიოვანი ანჯელო ბრასკი, 1775—1799. ნაპოლეონის კორპუსმა რომი აიღო, პაპი დაამხო. პიუსი ციხეში გარდაიცვალა.

პიუს VII, ბარნაბა, გრაფი კიარამონტი, 1800—1823, თოჯინა ნაპოლეონის ხელში. ნაპოლეონი რომ კუნძულზე მიჰყავდათ, თვითონ ტახტზე ჯდებოდა.

ლევ XII, გრაფი ჰანიბალე დელა ჯენგა, 1823—1829. სასტიკი პაპი, რომელმაც ციხეები რევოლუციონერებით ააავსო.

პიუს VIII, ფრანჩესკო გრაფ კასტილიონე, 1829—1830. პირქუში ტირანი.

გრიგოლ XVI, ბარტოლომეო ალბერტო კაპელარი, 1831—1846. რეაქციონერი.

პიუს IX, ჯიოვანი მასტაი-ფერეტის გრაფი, 1846—1878, პროგრესის დაუძინებელი მტერი. ღვთისმშობლის უბიწობის (1854) და პაპის უცოდველობის (1870) დოგმებით ისევ აამაღლა დაცემული პაპობა.

ლევ XIII, ჯოაკინო პეჩი, 1878—1903, სოციალიზმის დაუძინებელი მტერი.

პიუს X, ჯუზეპე სარტო, 1903—1914, მსოფლიო ომი რომ გაჩაღდა, „გული გაუსკდა", სინამდვილეში კი თვითონ ამხედრებდა ქვეყნებს ერთმანეთზე.

ბენედიქტე XV, ჯაკომო დელა კიეზა, გენუელი, 1914—1922. ცნო. კოლჩაკი, ებრძოდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას, დეპეშა გაუგზავნა ლენინს.

პიუს XI, აქილე რატი, მილანელი, 1922—1939. მხარს უჭერდა ფაშიზმს.

პიუს XII, ევჯენიო პაჩელი, რომაელი, 1939—1958, გამოჩენილი პოლიტიკოსი და დიპლომატი, ყოველგვარი წინსვლის მტერი, კომუნიზმის მგმობელი.

იოანე XXIII, კარდინალი ანჯელო ჯუპეზე რონკალი, ვენეციის პატრიარქი, 1958—1963. გარკვეული წვლილი შეიტანა მშვიდობის საქმეში.

პავლე VI, ჯიოვანი ბატისტი მონტინი, 1963 წ. 21 ივნისიდან... ეკლესიის შემარიგებელი ახალ ვითარებასთან. რიცხვით დაახლოებით მისამასია.

სარჩევი

გახრწნილი წმინდა მამები 5
კლერიკალიზმის მამები 6
წმინდა ტახტი და ქალები 16
სიქსტ III 18
ლევ I 19
პაპთა შინაბრძოლა 23
დიდი გრიგოლი 25
ამაზრზენი ზნეობანი 29
ჩხუბი და ცემა-ტყეპა 31
ვისია ყრმა? 33
რეზინის სინდისი 38
რაც ბატონი, ისიც ყმაო 40
პასქალი I 42
წმინდა ნაწილთა წარმოება ნარდად და ცალობით 43
ორგიები და მკვლელობანი 45
დააბრუნეთ ფული! 46
ხატთგაღმერთება 47
მკვლელი, ქურდი, თაღლითი და გამცემი 49
ღორის დინგი 52
მონაზვნები და წმინდა მამა 52
პაპი ქალი იოანა 54
ვისია ტიარა? 56
გულისამრევი წვრილმანები 57
დედაკაცთა ხრიკები 58
არქიეპისკოპოხი ბრალს სდებს ნიკოლოზ პირველს . . . 61
უფლის ხელი 63
მღვდელმთავრის მორალი 64

ეპისკოპოსი — ძმისმკვლელი 65
პაპი-ფალსიფიკატორი 67
რომაელი ქალის შურისძიება 68
ცოცხლად გახრწნილი 68
საჯარო ვაჭრობა 69
ბერების სიხარბე 70
კალიის განადგურება 71
ქურდი, მკვლელი და უბიწო კაცი! 73
მეფობა ორი კვირით 74
სტეფანე VII 75
სტეფანე მეშვიდის დანაშაულობანი და სიგიჟე 76
ეკლესია IX საუკუნეში 78
ჰაერი! მეტი ჰაერი! 79
ქრისტიანობის შედეგები 81
ქრისტოფ-ჯალათი 82
წმინდა მამები და კურტიზანი ქალები 83
დედა და ასული 84
რა საშიშია ხანდახან იმპერატორი ქალის სიყვარული! 87
ინტიმური კურთხევა 88
იოანე XI, თავისი დედის საყვარელი 89
ოჯახიც ასეთი უნდა! 91
ტახტის დაკარგვა 93
მიზანი ამართლებს საშუალებას 96
კარნავალი ტაძარში 98
კურტიზანი ქალი წმინდანად შერაცხეს 100
ხელჩართული ბრძოლა წმინდა ტახტზე 102
მღვდელმთავრის გართობა და შურისძიება 103
ნათლობის ფასი 106
კეთილი ნეშტიც .. განამტკიცებს მეგობრობას 108
ორი სასწაული 109
აქედან გამეცალე! 111
მფარველი და მისი მონამორჩილი 114
ბონიფაციუსის ახალი საქმენი საგმირონი 116
შურისძიება სიკვდილის შემდეგ 118
ცრუმორწმუნეობანი 119

ქვები ტირიან, ქვები... ცეკვავენ! 122
ფუტკრები-მისნები 124
ხმლის ერთი დაკვრით 125
პირველი ლოცვა 127
მეორე ლოცვა 127
როგორ შეიძლება მიწისძვრის შეჩერება 129
სალხინებელი სიცილიაში 131
იესო ქრისტეს წერილი 134
ძირს ტირანი! 138
ყრმა — პაპი 139
კიდევ რამდენიმე სიტყვა ბენედიქტე მეცხრეზე 140
გადაყენებული პაპის დროსტარება 141
სამი მღვდელმთავარი წმინდა ტახტზე 142
წმინდა ოთხეული 143
სისხლიანი აბაზანა 144
კლიმენტი II 146
ვინ ჩაჯდება სავარძელში? 147
ძველი ნაცნობი 149
ბენედიქტე IX — აწ და მარადის... 150
დაყაბე ფული! 151
წმინდა მამის აღიარება 153
როგორ ექიშპებოდა ორი დუქანი ერთმანეთს 155
ეშმაკი წირვაზე 159
მოსამართლენი, ბრალმდებელნი და ბრალდებულნი . . . 162
რა ღირს საუკეთესო პაპი? 163
ძნელი არჩევანი 166
ფანატიზმი 168
ბრძოლა პაპის ტახტისათვის 170
ალდობრანდინი, უცეცხლოდ მოხარშული ბერი 173
უზენაესის ეონგლიორები 177
„in vino veritas!“ 179
გრიგოლ VII 182
გრიგოლ VII — ასკეტიზმის ქომაგი 189
შეთქმულება გრიგოლ VII წინააღმდეგ 190
ჰენრიხ IV კანოსაში 193

პაპის ჯოჯოხეთური ხრიკი 196
სასწაულთმოქმედი ტიარა 199
სამოქალაქო ომები სამეფო და სამოციქულო ტახტებზე . . 200
სიმართლე ჯვაროსნულ ომებზე 201
პასქალის II — გრიგოლ მეშვიდის ერთგული მიმდევარი . . 207
მასწავლებელი და მისი ღირსეული მოწაფე 211
ორი მეტოქის ბრძოლა 217
ქრისტიანობა — სათნოების რელიგია 221
საინტერესო წიგნი უზნეოთა ზნეობაზე 225
კათოლიკური მხედრიონის შტაბ-ბინა საფრთხეშია . . . 227
რომელ წმინდანს ღირსებია სხვას ასეთი წყალობა? . . . 228
ადრიან IV 231
არნოლდ ბრეშიანელის დაღუპვა 233
ალექსანდრე III 235
ვალდენსებთან ანუ ლიონელ ღატაკებთან ანგარიშის გასწორება 238
ლუციუს III 243
გრიგოლ VIII, კლიმენტი III 251
XIII საუკუნის პაპები 252
ფრანცისკ ასიზელი 258
ჰონორიუს III 261
გრიგოლ IX 261
ცელესტინ IV 269
ინოკენტი IV 270
ალექსანდრე IV 274
ბონიფაციუს VIII 279
წმინდა წელი 289
პატარა სახლი ლორეტოში 290
შარლატანების ტრიუმფი 291
ბანდიტების ბანდა 294
იოანე XXII 296
ცოდვების განტევება პრეისკურანტით 300
ტიარწსანი ბანდიტები 303
ერეტიკოსების საყოველთაო რბევა 306
მტაცებელთა და ბანდიტთა ცემა-ტყეპა 308
იოანე XXIII (ბალთაზარ კოსა) 314

განათლებული შარლატანი და გახრწნილი ადამიანი . . . 320
ბაღი წამებისა 321
ტიაროსანი მკვლელი 325
თავები მოჭკვეთეთ, ოღონდ გადაიხადეთ 327
ოქროს ფეერია 330
სამი მამაცი ჰაბუკის სავალალო ამბავი 332
წმინდა მამის ფინანსიური ოპერაციები 333
ჯანსაღი აზრები 335
საარჩევნო ორომტრიალი 338
მკვლელობა მინდობილობით 340
ნადირობა ადამიანებზე 341
ინოკენტი VIII უკანასკნელი მხეცობანი 343
ალექსანდრე VI 348
იულიუს II 379
განგების ნებით მოვლენილი სენი 386
ლეო X ძირჩახვრეტილ სავარძელში 389
დიდი ფარისეველი 391
ტრაგედია ვოდევილის შემდეგ 394
ინდულგენციების ბაზარი 397
ლუთერი და ლეო X 401
მილიონობით მსხვერპლი 411
მკვლელობა სამ მოქმედებად 414
კლიმენტი VII, ჰენრიხ VIII და კარლოს V 420
მკვლელობანი, ინტრიგები და შექცევა 425
სინდისი აუქციონზე 430
პავლე III და მისი ოჯახი 432
რელიგიური მორალი მოქმედებაში 436
ერთი ქალი ორ კაცზე 443
ორგიები ვატიკანში 445
მაიმუნების დარაჯი და შეყვარებული პაპი 446
ევას ვაშლი და წმინდა მამის ფარშავანგი 449
პავლე IV, იეზუიტების მეგობარი 450
პიუს IV 454
მეტისმეტი მადლიერება დამღუპველია 454
ავბედითი გაფრთხილება 456

პაპის ბოროტმოქმედება — წამება და სასჯელი 460
დედის დასჯა 461
სიტყვისათვის — ყულფი ყელზე 466
ქრისტიანი მღვდლები და სიყვარულის ქურუმები 468
სამი ურჩხული 470
არავითარი შებრალება! 475
წმინდანის უკანასკნელი დანაშაულობანი 477
გრიგოლ XIII 478
ბართლომეს ღამე 480
რელიგიის ახალი მსხვერპლნი და გარყვნილების ახალი ბუნაგი 484
იეზუიტები მუშაობენ 485
პაპის მარცხი 487
ფილიპე II პაპს გვერდს უვლის 488
შეთქმულებათა სერია 489
გრიგოლ XIII — ტაკიმასხარა 491
გრიგოლ XIII მემკვიდრე 492
მომავალი პაპის ყალთაბანდობა 493
სამწუხარო დებიუტი 495
სიქსტ V მეფეებს ემუქრება 498
პაპი სიქსტ V და კეთილმსახური მამები 500
პირფერული პოლიტიკა 502
საზიზღარი გამცემლობა 505
პაპისა და იმპერატორის დავა 506
იგნატი ლოიოლას შვილთა შურისძიება 507
ურბან VII 510
წმინდა ტახტზე — პატიოსანი კაცი! 511
წმინდა მამებთან ხუმრობა სახიფათოა! 512
გრიგოლ XIV 513
უბედურებას უბედურება მოსდევს 513
ინოკენტი IX 514
კლიმენტი VIII 515
უკეთური ჰენრიხის მორჯულება 516
მეფის მოკვლის მოთხოვნა 516
დასცხეთ იეზუიტებს! 517
ჟან შატელი კეთილ მამებს ემორჩილება 519

შავი ბანდის შავი დღე 520
ლაჩრული მოქცევა 521
კლიმენტი ამარცხებს ჰერცოგს 523
კათოლიკე ტირანის დამარცხება და აღსასრული 524
იეზუიტების დაბრუნება 525
წმინდა მამის აღსასრული 528
ლევ XI 530
პავლე V 531
მისი უწმინდესობა ნათესავებს აწყობს 532
პავლე V და ვენეციის რესპუბლიკა 533
იეზუიტები ინგლისში 536
პოლემიკა ტახტსა და საკურთხეველს შორის 537
იეზუიტები უნივერსიტეტში 540
სახელოვანმა მამებმა თავი წამოაყვეს 541
იეზუიტების ორმაგი თავხედობა 544
პოლიტიკისა და რელიგიის აჯაბსანდალი 548
ბორგეზეს ოჯახი და რომის სასახლე 550
გრიგოლ XV 552
საყოველთაო რბევა 553
პაპის სალამი 556
მღვდელმთავრის უკანასკნელი გეგმა 558
ურბან VIII 558
წმინდა მამის პოლიტიკა 561
ეკლესია დევნის გენიას 562
ცრუმორწმუნეობის მსხვერპლნი 564
კეთილი მამების დოქტრინა და ზნეობა 565
ბებერი მამალი და ორი დედალი 571
ზოგი ალთას, ზოგი ბალთას 574
ოლიმპიას შურისძიება 578
განსაცვიფრებელი ცვლილება 581
რელიგიური უხამსობანი 591
ნათელმჭვრეტელის თავგადასავალი 593
უფლის სადიდებლად! 598
ღრეობა, მუხანათობა, თაღლითობა 604
ეკლესიის ფაშები 606

საეკლესიო ტაკიმასხარები 608
შეშფოთებული წმინდანი 613
სატანების... სუტანების ამბოხება 617
იეზუიტი, რომელიც დომინიკანელებმა დაწვეს 625
იეზუიტების დამარცხება 628
კლიმენტი XIV 634
პიუს VI და მისი ოჯახი 636
პიუს VI — ქურდი და მკვლელი 639
პიუს VI და ნაპოლეონ ბონაპარტე 643
რომის რესპუბლიკა 645
სიყვარული და ვერაგობა 650
ბონაპარტე და პიუს VII 653
როცა ეშმაკი ბერდება 657
შუა საუკუნეების წყვდიადში დაბრუნება 660
უკანასკნელი პაპი — შეუზღუდავი მონარქი 666
აკაკი გელოვანი — ლეო ტაქსილ[illegible]ი პამფლეტი პაპებზე . 677
შენიშვნები — აკ. გელოვანისა 691
პაპები და ანტიპაპები 744

რედაქტორი ე. მაღრაძე

გამომცემლობის რედაქტორი მ. ვარდოსანიძე
მხატვარი ი. ვასილკოვსკი
ტექ. რედაქტორი გ. პაპინაშვილი
კორექტორი ე. სარჯველაძე

●

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/VIII-1970 წ.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16.
ფიზიკური ნაბეჭდი თაბახი 48.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 38.

●

შეკვ. № 441. ტირაჟი 40.000.
ფასი 1 მან 80 კაპ.

●

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი. ლენინის ქ. 14.
Типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

Лео Таксиль

Святой вертел

Перевод на грузинский язык
Гелованн Акакия Платоновича
Редактор Э. Маградзе

Издательство ЦК КП Грузии
Тбилиси
1971